

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი

მკა გოცირიძე

**გამონათვის თავისუფლება
კონფლიქტურ დირექციებთან სამართლიანი
დაბალანსების კონტექსტში**

(აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა
და სტრასბურგის სასამართლოს
იურისპრუდენციის მიხედვით)

ხელმძღვანელი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
აკადემიკოსი ლევან ალექსიძე

ნაშრომი წარდგენილია დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი
2007

Ivane Djavakhishvili Tbilisi State University
Faculty of Law
Institut of International Law

EVA GOTSIRIDZE

**FREEDOM OF EXPRESSION WITHIN THE
CONTEXT OF FAIR BALANCE OF
CONFLICTING VALUES**

(According to the European Convention on Human Rights and
the jurisprudence of the European court of Human Rights)

Edited by Professor LEVAN ALEXIDZE

Tbilisi
2007

უ ი ნ ა ა რ ს ი

წამბღვარება

- თემის პრეზენტაცია
- კვლევის საგანი, მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია, ნაშრომის შინაარსი, სტრუქტურა და სამეცნიერო სიახლე

თავი 1. პიროვნების თავისუფლების იდეა და გამოხატვის თავისუფლება რეტროსპექტივაში

- §1.1. პიროვნების თავისუფლება (შეხედულებები და ისტორიული რეალიები)
- §1.2. გამოხატვის თავისუფლების აღიარება და დამკვიდრება ევროპაში

თავი 2. გამოხატვის თავისუფლება კონვენციის სისტემაში

- §2.1. კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა კლასიფიკაცია დაცულობის ფარგლების მიხედვით
- §2.2. მიმართება კონვენციის სხვა უფლებებთან

თავი 3. ძირითადი მიდგომები გამოხატვის თავისუფლების სფეროში

- §3.1. მთავარი კონცეპტუალური მიდგომა
- §3.2. ძირითადი ფაქტორები, მიდგომათა საფუძვლები და მიზანდასახულობა

თავი 4. მნიშვნელოვანი დოქტრინები და კონცეფციები

- §4.1. „შეფასების თავისუფლების არე“ (Margin of appreciation)
- §4.2. „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობა“
- §4.3. „მოვალეობები და პასუხისმგებლობა“

თავი 5. კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლებები

- §5.1. კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით დაცვის საგანი
- §5.2. „გამოხატვა“, რომელიც არ იმყოფება მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების სფეროში

თავი 6. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პირობები

- §6.1. „კანონით გათვალისწინებული“
- §6.2. შეზღუდვის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“

- 6.2.1. საერთო კონცეპტუალური გაგება
- 6.2.2. „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება
- 6.2.3. „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასება
- §6.3. „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – დასაბუთების ლოგიკა
- §6.4. „სამართლიანი ბალანსისა“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონცეფციების ურთიერთმიმართება

თავი 7. პოლიტიკის სფერო და პრესის თავისუფლება

- §7.1. გამოხატვის თავისუფლება პოლიტიკის სფეროში
 - 7.1.1. საერთო მიდგომა
 - 7.1.2. ხელისუფლების კრიტიკა
 - 7.1.3. დეპუტატისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის სიტყვის თავისუფლება
 - 7.1.4. პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის უფლების შეზღუდვა
 - 7.1.5. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არჩევნების დროს
 - 7.1.6. პოლიტიკური დებატების თავისუფლება და შეუწყნარებლობის გამოვლინებანი (*hate speech*)
- §7.2. პრესის თავისუფლება
 - 7.2.1. პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული ღირებულებათა კონფლიქტის სპეციფიკურობა
 - 7.2.2. საერთო მიდგომა
 - 7.2.3. სპეციალური დოქტრინები და პრინციპები პრესის თავისუფლების ხელშესაწყობად
 - 8.2.4. ჟურნალისტთა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“

თავი 8. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად

- §8.1. საერთო მიდგომა „*offend, shock or disturb*“ ფორმულის მიხედვით
- §8.2. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა პირთა განუსაზღვრელი წრის ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფის რეპუტაციისა თუ სხვა უფლებების დასაცავად
- §8.3. „დასაშვები კრიტიკის“ კონცეფცია
 - 8.3.1. კონცეფციის აზრი და ზოგადი პრინციპები
 - 8.3.2. „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები პოლიტიკოსების მიმართ
 - 8.3.3. პოლიტიკოსების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობა
 - 8.3.4. „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები სახელმწიფო მოხელეთა მიმართ
 - 8.3.5. კერძო პირთა კრიტიკა
- §8.4. გამოხატვის თავისუფლებასა და რეპუტაციის უფლებას შორის ღირებულებათა კონფლიქტის გადაჭრის შეფასება

თავი 9. გამონატვის თავისუფლების შეზღუდვა საჯარო ინტერესების დასაცავად

- §9.1. შეზღუდვა ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად
- §9.2. შეზღუდვა უწყსრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით
- §9.3. შეზღუდვა საზოგადოებრივი მორალის დასაცავად
- §9.4. შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად

თავი 10. გამონატვის თავისუფლება ცალკეულ სფეროებში

- §10.1. ჯანმრთელობის დაცვის ინტერესი და გამონატვის თავისუფლება
- §10.2. ტელე- და რადიომუწყებლობის სფერო
- 10.2.1. სპეციფიკა და ძირითადი პოზიციები
- 10.2.2. საქმეების მიმოხილვა
- §10.3. გამონატვის თავისუფლება კომერციის სფეროში.

თავი 11. შედარებითი ანალიზი

- §11.1. გამონატვის თავისუფლება აშშ-ს კონსტიტუციურ სამართალში და მისი შედარება ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალთან
- 11.1.1. ძირითადი მსგავსება და განსხვავება
- 11.1.2. რა არ არის დაცული
- 11.1.3. რა არის დაცული
- 11.1.4. შეზღუდვის პირობები
- 11.1.5. პოლიტიკის სფერო
- 11.1.6. დიფამაცია
- 11.1.7. პრესის თავისუფლება
- 11.1.8. ეროვნული უშიშროების დაცვა
- 11.1.9. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა
- 11.1.10. მორალის დაცვა
- 11.1.11. კომერციის სფერო
- 11.1.12. დასკვნა
- §11.2. გამონატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში
- 11.2.1. შესავალი
- 11.2.2. შესაბამისი დებულებები
- 11.2.3. მიმოხილვა
- §11.3. გამონატვის თავისუფლებისა და სხვა ძირითად უფლებათა დაცვა ევროპაში ე.წ. „სამმაგი იურისდიქციის“ კონტექსტში.
- 11.3.1. „სამმაგი იურისდიქციის“ ცნება

- 11.3.2. ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის კავშირის სამართლისა და ევროპული კონვენციის ურთიერთმიმართება
- 11.3.3. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა
- 11.3.4. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (ECJ) მიდგომა
- 11.3.6. გამოსავლის ძიება

თავი 12. „მიზეზობრივი კავშირის“ როლი გამოხატვის თავისუფლების დარღვევის აღიარებასა თუ უარყოფაში

- §12.1. ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის გამოყენების საერთო სურათი
- §12.2. „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის აქტუალობა და მისი შეუცვლელი როლი კონვენციის დარღვევის გამო საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრაში (მიზეზობრივი კავშირის ძირითადი მიმართება)
- §12.3. „მიზეზობრივი კავშირის“ როლი იმის დადგენისას, იყო თუ არა უფლების შეზღუდვა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“
- §12.4. საერთო ხასიათის ძირითადი დასკვნები

დასკვნითი დებულებები

დასკვნითი დებულებები ინგლისურად

- ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებები, გადაწყვეტილებები (Case-Law)
- გამოყენებული ლიტერატურა
- ავტორის შრომების სია დისერტაციის თემაზე

C O N T E N T

Foreword

- Introduction
- Subject, methodology and method of research, content, structure and scientific innovations of the research work

Chapter 1. Idea of Individual Freedom and Freedom of Expression in Retrospect

- §1.1. Freedom of individual (viewpoints and historical realities)*
- §1.2. Recognition and establishment of freedom of expression in Europe*

Chapter 2. Freedom of Expression in the Convention System

- §2.1. Classification of the rights under the Convention according to the scopes of protection*
- §2.2. Reference to the other rights of the Convention*

Chapter 3. Main Approaches in the Field of Freedom of Expression

- §3.1. Core conceptual approach*
- §3.2. Main factors, foundations and purpose of approaches*

Chapter 4. Substantial Doctrines and Concepts

- §4.1. “Margin of appreciation”*
- §4.2. “Participation in public discussion” over “the issue of public interest”*
- §4.3. “Duties and responsibilities”*

Chapter 5. Rights Protected under Article 10 of the Convention

- §5.1. Subject of protection of paragraph 1 of Article 10 of the Convention*
- §5.2. Expression falling out of the scopes of Paragraph 1 of Article 10 of the Convention*

Chapter 6. Conditions for Limitation of Freedom of Expression

- §6.1. “Prescribed by law”*
- §6.2. “Necessary in a democratic society”*
 - 6.2.1. General conceptual understanding
 - 6.2.2. Evaluation of “the necessity of intervention”
 - 6.2.3. Evaluation of “proportionality of intervention”
- §6.3. “Necessary in a democratic society” – logic of substantiation*

§6.4. *Correlation between the concepts of “fair balance” and “necessary in a democratic society”*

Chapter 7. Politics and Freedom of Press

§7.1. *Freedom of expression in politics*

7.1.1. General approach

7.1.2. Criticism of government

7.1.3. Freedom of speech of MP and opposition political party

7.1.4. Limitation of the right to express political views

7.1.5. Limitation of freedom of expression during elections

7.1.6. Freedom to engage in political debates and manifestations of *hate speech*

§7.2. *Freedom of Press*

7.2.1. Specifics of the value conflicts related to freedom of press

7.2.2. General approach

7.2.3. Special doctrines and principles to promote freedom of press

7.2.4. “Duties and responsibility” of journalists

Chapter 8. Limitation of Freedom of Expression to Protect the Rights and Reputation of Others

§8.1. *General approach according to “offend, shock or disturb” formula*

§8.2. *Limiting freedom of expression to protect the reputation or other rights of a certain circle of persons or certain group of people (group defamation)*

§8.3. *Concept of “admissible criticism”*

8.3.1. Idea and general principles of the concept

8.3.2. Scopes of “admissible criticism” in relation to politicians

8.3.3. Protection of the privacy and family life of politicians

8.3.4. Scopes of “admissible criticism” in relation to public servants

8.3.5. Criticism of private persons

§8.4. *Evaluating the value conflicts between freedom of expression and the right to reputation*

Chapter 9. Limitation of freedom of expression in public interests

§9.1. *Limitation to protect national security, territorial integrity and public safety*

§9.2. *Limitation to prevent disorder and crime*

§9.3. *Limitation to protect public morals*

§9.4. *Limitation to maintain the authority and impartiality of the judiciary*

Chapter 10. Freedom of Expression in Various Spheres

§10.1. *Health concern and freedom of expression*

§10.2. *TV and radio broadcasting*

10.2.1. Specifics and main positions

10.2.1. Overview of matters

§10.3. *Freedom of expression in commerce*

Chapter 11. Comparative Analysis

§11.1. *Freedom of expression in the US Constitutional Law and its comparison with the European Human Rights Law*

§11.2. *Freedom of expression in universal and regional human rights acts*

11.2.1. Introduction

11.2.2. Relevant provisions

11.2.3. Overview

§11.3. *Protection of freedom of expression and other fundamental rights in Europe within the so-called “three-fold jurisdiction”*

11.3.1. Concept of “three-fold jurisdiction”

11.3.2. Correlation of EU Law and ECHR

11.3.3. Approach of the European Commission of Human Rights and European Court of Human Rights

11.3.4. Approach of the European Court of Justice (ECJ)

11.3.5. In Search of Solution

Chapter 12. Role of “Causal Connection” in Recognizing or not Violation of Freedom of Expression

§12.1. *General picture of application of the concept of “causal connection” in the European Law of Human Rights*

§12.2. *Topicality of the concept of “causal connection and its unique role in determining international legal responsibility for violation of the Convention (main application of causal connection)*

§12.3. *Role of “causal connection” in determining whether limitation of right was “necessary in a democratic society”*

§12.4. *Main conclusions of general character*

Conclusive provisions

Conclusive provisions in English

- Judgments and decisions of the European Commission of Human Rights and European Court of Human Rights (Case-Law)

- Bibliography

- Publications by the author on the topic

ნამძღვარება

თემის პრეზენტაცია

ინდივიდუალური უფლებათა განხორციელება ყოველთვის შეიცავს რისკს საერთო საჯარო ინტერესების, ისევე, როგორც სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დარღვევისა. ამიტომ, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა (მხედველობაშია ადამიანის აბსოლუტური უფლებები, რომლებიც არც ერთ დროს, არავითარ პირობებში არ შეიძლება შეიზღუდოს), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებანი არასდროს არ არის განუსაზღვრელი. ისინი იზღუდება იმ ზომითა და იმ ხარისხით, რამდენადაც ეს დემოკრატიული საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის არის აუცილებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიული საზოგადოების უდიდესი მონაპოვარი – ადამიანის უფლებათა დაცულობა, ურომლისოდაც საერთოდ არ მოიაზრება იგი, თვით მისივე ინტერესების გამო გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. დიას, უფლებები იზღუდება, ვინაიდან ეს აუცდენელია, და ეს იმიტომაც არის აუცდენელი, რომ ცხოვრება უთუოდ წარმოშობს მორალურ, ზნეობრივ, სამართლებრივ ღირებულებათა კონფლიქტებს. ინდივიდუალური უფლებები ძალზე ხშირად აღმოჩნდება ხოლმე საზოგადოების საერთო ინტერესებთან თუ სხვა ინდივიდუალური უფლებებთან ღირებულებით კონფლიქტში. უფრო მეტიც, ინდივიდის თავისუფლება არც მოიაზრება საერთო, საჯარო, ზეინდივიდუალური თუ სხვა პირთა ინტერესების გაუთვალისწინებლად. ისტორია მოწმობს, რომ ინდივიდის თავისუფლების იდეის აღიარებასთან ერთად განისაზღვრა ამ თავისუფლების ფარგლებიც და ისინი შემოიზღუდა სხვათა უფლებებითა და თავისუფლებებით.¹ ღირებულებათა კონფლიქტის სირთულეც ის არის, რომ აქ სამართლებრივად აღიარებული, კანონიერი ინტერესები ეჯახება ერთმანეთს და შესაბამისად, ორივე მხარეს გააჩნია, სულ მცირე, იმის უფლება, მოითხოვოს დაცვა და იმავდროულად – მეტად თუ ნაკლებად გამართლებული მოლოდინიც იმისა, რომ დაცული იქნება და მსხვერპლად არ შეეწირება მასსავით “კანონიერ” სხვა ინტერესს. ღირებულებათა კონფლიქტის დილემიდან გამოსავალი კი დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთადერთია. ესაა სამართლიანობის მიღწევა. რაკი ინტერესთა დაპირისპირება აუცდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის აუცილებლობა; ამის მიღწევა კი ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების გზით არის შესაძლებელი. თავის მხრივ, “ბალანსის სამართლიანობა“ კონკურენტულ ღირებულებათა მნიშვნელობისა და სხვა მრავალი თანმხლები გარემოების შეფასებაზეა დამოკიდებული. დაპირისპირებული უფლებებისა და ინტერესების სამართლიანი დაბალანსება უარსებითესია საზოგადოებაში სოციალური მშვიდობისა და ჰარმონიის

¹ როგორც **ლოუსონი** და **სხერმერსი** მიუთითებენ, ძალიან რთული იქნებოდა, უფლებები ოდესმე აბსოლუტურად მიგვეჩინა. ადამიანის ნებისმიერმა უფლებამ შეიძლება უკან დაიხიოს, როდესაც იგი კონფლიქტში აღმოჩნდება სხვა ძირითად უფლებასთან. იხ. **R.A.Lawson & H.G.Schermers, *Leading Cases of the European Court of Human Rights*, (sec.ed.) 1999, გვ.37.**

შესანარჩუნებლად და, შესაბამისად, მთავარი საზრუნავი, მიზანი და ამოცანაა მათთვის, ვინც ღირებულებათა კონფლიქტის საკითხს წყვეტს. თავისთავად მრავლისმთქმელია, რომ **დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს საქმიანობის უმთავრეს ამოცანადაა აღიარებული.**²

სწორედ ამიტომ, ცხადია, უმნიშვნელოვანესია იმის გარკვევა, თუ როგორ ბალანსს მიიჩნევს ევროპული სასამართლო “სამართლიანად“, რას გულისხმობს დაპირისპირებული ინტერესების გაწონასწორება და როგორ მიიღწევა იგი. ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციით შემუშავებული ძირითადი მიდგომების, პრინციპების, კრიტერიუმების, კონცეფციებისა თუ შეფასების სტანდარტების გაცნობა, რომლებსაც იგი კანონიერ ინტერესთა სასარგებლოდ ინდივიდურ უფლებათა შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას გამოიყენებს, დაგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ როგორია სამართლიანი ბალანსის მიღწევის გზები; საჯარო ინტერესების სასარგებლოდ ინდივიდური უფლებების როგორი შეზღუდვა იქნება მიჩნეული “აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და, მაშასადამე, შეწყნარებული სტრასბურგის სასამართლოს მხრიდან; როდისაა საზოგადოდ უფლებათა შეზღუდვის შესახებ სახელმწიფოს პოზიცია დომინანტური და როდისაა საერთო ევროპული სტანდარტი მისთვის სავალდებულო.

ამ საკითხებში კარგად გარკვევა იმისთვისაცაა საჭირო, რათა აცდენილ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და საჯარო ინტერესების დაცვის მომიზეზებით მათში უსაფუძვლო და გაუმართლებელი ჩარევა, რის უფლებასაც სახელმწიფოები (მათ შორის დემოკრატიული) ხშირად აძლევენ თავიანთ თავს. მეორე მხრივ, ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დემოკრატიული ცხოვრების ნაკლები გამოცდილების მქონე ისეთ სახელმწიფოს, როგორც მაგალითად საქართველოა, დაეხმაროს იაროს სწორი გზით – არა უფლებათა მეტისმეტი შეზღუდვის, არამედ – საზოგადოებრივ ინტერესებთან მათი გონივრული დაბალანსებისა და გაწონასწორების გზით, რაც უარსებითესია დემოკრატიული ღირებულებების საიმედოდ დამკვიდრებისათვის.

წინამდებარე ნაშრომში ადამიანის უფლებებისა და სხვა კანონიერი ინტერესების დაბალანსების საკითხი სწორედ ამ კონტექსტშია განხილული. მასში შესწავლილია სამართლიანი ბალანსის მიღწევის გზები, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, სხვა პირთა უფლებებს ან საერთო საჯარო ინტერესს (როგორცაა ქვეყნის ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, უწყსრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილება, მორალისა და ჯანმრთელობის დაცვა, მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა) შორის. ნაშრომში ეს საკითხი განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის საფუძველზე; კერძოდ, შესწავლილია ადამიანის უფლებათა

² იხ. *Soering v. the United Kingdom*, judgment of 7 July 1989.

ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართალი, შექმნილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით. ნაშრომში გაკეთებული დასკვნები ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპული კომისიის გადაწყვეტილებებსა და განჩინებებს საქმეებზე, რომლებიც განხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის ამ საერთაშორისო ინსტრუმენტის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ასეთი ხანგრძლივი სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ, შესაძლებელი გახდა, გაგვეჩვენა არა მარტო საწყისი, შემდგომი თუ უახლესი პოზიციები გამოხატვის თავისუფლების დაცულობის ფარგლების თაობაზე,³ არამედ ისიც, რომ დინამიკაში დაგვეჩვენა, თუ როგორ გავლენას ახდენდა ევროპულ სამართლებრივ სივრცეში მომხდარი პოლიტიკური, კულტურული თუ სამართლებრივი ცვლილებები იურიდიული აზრის განვითარებაზე, გამოხატვის თავისუფლების დაცულობის საერთო ევროპული მიდგომების ჩამოყალიბებაზე, მისი დაცულობის სტანდარტებისა და ღირებულებათა კონფლიქტის დროს ბალანსის სამართლიანობის განსაზღვრაზე.

გამოხატვის თავისუფლების უფლების ის მნიშვნელობა, რომელიც მას თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანად ენიჭება, უთუოდ არის მაპროვოცირებელი იმის აღნიშვნისა, რომ ადამიანის უფლებებისა (როგორც “ინდივიდუალური ინტერესების”) და “საჯარო ინტერესების” ცნებათა გამიჯვნას სრულიად პირობითი ხასიათი აქვს და ეს პირობითობა ქმნის საფუძველსა და წინაპირობას იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ “ინდივიდუალური” და “საჯარო” ინტერესები არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც განყენებული, ერთმანეთისაგან მოწყვეტილი და, მით უფრო – როგორც დაპირისპირებული შინაარსის მქონე ცნებები, არც – როგორც “ნაწილისა” და “მთელისა”, ანდა – “კერძოსა” და “ზოგადისა” კატეგორიები მათი კლასიკური გაგებით. ამ ცნებათა იურიდიული შინაარსი ურთიერთგადაჯაჭვულია, ისინი ერთიმეორეს მოიცავენ ან ურთიერთს განაპირობებენ. ყოველგვარი ინდივიდუალური ინტერესის დაცვა საერთო საჯარო ინ-

³ კონვენციის დებულებების ევოლუციური ინტერპრეტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რომელსაც ევროპული სასამართლო გამოიყენებს. იგი მიჰყვება დინამიკურ და არა სტატიკურ, ისტორიულ მეთოდს. ეს იმას ნიშნავს, რომ კონვენციაში გამოყენებული კონცეპტები გაგებული უნდა იქნეს თანამედროვე დემოკრატიული ევროპული საზოგადოების კონტექსტში და არა იმ დროის კონტექსტში, როდესაც კონვენცია იყო შემუშავებული. ზემოაღნიშნულ მეთოდთან ერთად, ევროპული სასამართლო გამოიყენებს სხვა მეთოდებსაც, როგორცაა ავტონომიური ან შედარებითი ინტერპრეტაციის მეთოდები, შეფასების თავისუფლების არე, პროპორციულობის პრინციპი და სხვ. (იხ. **F.Matscher**, *Method of interpretation of the Convention*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Ed.). 1993. გვ.75. იხ. აგრეთვე **Bydlinsk**, *Juristische Methodenlehre und Rechtsbegrif*. 1983, გვ.28). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ძირითადად კაზუისტიკურია და შედარებით იშვიათია ზოგადი დებულებები, რომლებსაც საერთო გამოყენებითი დანიშნულება აქვს (იხ. **Jacobs**, *The European Convention of Human Rights*, 1975, გვ.15). ცალკე თემა კონვენციის ინტერპრეტაციის საკითხები ხელშეკრულებითი სამართლის შესახებ ვენის კონვენციასთან მიმართებაში (ამ საკითხზე იხ. **Heribert Golsong**, *Interpriting the European Convention on Human Rights Beyond the Confines of the Viena Convention on the Law of Treaties?* კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold, (Ed.). 1993).

ტერესის დაცვას უწყობს ხელს და პირიქით; უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა დაცულობა საერთო კეთილდღეობის საწინდარია და დემოკრატიული საზოგადოება წარმოდგენელია ადამიანის უფლებათა დაცულობის გარეშე. ამ თვალსაზრისით, თითოეული ადამიანის უფლების დაცვა, როგორც ინდივიდური ინტერესი, იმავდროულად საერთო საზოგადოებრივ ინტერესსადაც შეიძლება განვიხილოთ. სწორედ აქედან წარმოდგება დაპირისპირებულ ინტერესთა ჰარმონიზაციის საჭიროებაც და მისი სირთულეც.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ იქნა ზემოაღნიშნული პრობლემატიკის შესასწავლად შერჩეული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლება – გამოხატვის თავისუფლება.

საამისო მოტივები გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აქტუალურობას, ამ უფლების მნიშვნელობიდან და მისი ონტოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე სპეციფიკურობასა და ზოგიერთ სირთულეს უკავშირდება.

მნიშვნელობა და სპეციფიკურობა

აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენადაა მიჩნეული, ხოლო მისი უზრუნველყოფა – საზოგადოებრივი დემოკრატიული პროცესების წარმატებით ფუნქციონირების სასიცოცხლო პირობად. ეს იქიდან წარმოდგება, რომ **გამოხატვის თავისუფლებას ორმაგი ბუნება, ორმაგი დატვირთვა გააჩნია**. იგი სრულიად უნივერსალურია თავისი ხასიათით. იგი ერთდროულად მიზანიც არის და საშუალებაც. იგი არა მარტო თავისთავადი სიკეთე და ღირებულებაა, არამედ იმავდროულად სხვა ღირებულებათა დაცვის საუკეთესო გზაა.

“აზრის გამოხატვის“ მოთხოვნილება იმანენტურად ახასიათებს ადამიანს, როგორც მოაზროვნე არსებას. იგი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ გონება ადამიანის ბუნებრივი მონაპოვარია, ხოლო შემეცნების შესაძლებლობა – ჭკუის განუყოფელი ატრიბუტი“. აქედან წარმოდგება “ადამიანის ბუნებითი უფლება თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი, რასაც გონება, როგორადაც არ უნდა ცდებოდეს ის, კარნახობს ჭეშმარიტების სახით“.⁴ ამდენად, **გამოხატვის თავისუფლება პიროვნების თვითრეალიზაციის აუცილებელი საშუალებაა**; მაგრამ გამოხატვის თავისუფლება, როგორც ბუნებითი უფლება, ეფუძნება იდეებისა და შეხედულებების არა მარტო საკუთრივ “გამოხატვის“ ბუნებრივ მოთხოვნილებას, არამედ მათი სხვა ადამიანებისათვის გაზიარების, მათ ჭეშმარიტებაში სხვათა დარწმუნების ასეთივე ბუნებრივ მოთხოვნილებას. აქედანვე წარმოდგება ადამი-

⁴ ინგლისელი ტ.ერსკინისა და ამერიკელი ტ. უორტმანის ზემოაღნიშნული გამონათქვამები ციტირებულია პაატა ცნობილადის სტატიიდან *სიტყვის თავისუფლება – დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ელემენტი*. იხ. კრებულში *ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (კ.კორკელიას რედაქტორობით)*, თბილისი, 2002, გვ.249.

ნის უფლებაც, შეიტყოს სხვათა შეხედულებები საკუთარს შესამუშავებლად. ეს ორი ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნილება ადამიანისა შესანიშნავად ახსნა ამერიკული კონსტიტუციური სამართლის ცნობილმა სპეციალისტმა **ტ. სანლონ-მა**: “ადამიანთა სურვილი დაარწმუნონ, შთაბეჭდილება მოახდინონ, დაამკვიდრონ ან სული შთაბერონ ვინმეს ან რაიმეს, სოციალურ ვითარებებში ყოველთვის ძლიერად სჭვოდა ხოლმე და უდიდეს გავლენას ახდენდა მოვლენების განვითარებაზე. ამ უფლების ჩაკვლა, ამ უნარის ჩახშობა, ეს იგივეა, რაც მოვსპოთ ადამიანის ბუნების ერთ-ერთი ყველაზე უფრო აღმაფრთოვანებელი ასპექტი. ანალოგიურად, იმის უფლება და უნარი, სხვისგან მიიღო გამომწვევი ან შთამაგონებელი იდეა, უაღრესად მნიშვნელოვანია საკუთარი პირადი შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ჩვენი უნარი თვითშემეცნებისა“.⁵

ამდენად, გამონატვის თავისუფლება არა მარტო თვითრეალიზაციის, არამედ **ადამიანის ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა**. მაგრამ გამონატვის თავისუფლების მნიშვნელობა მხოლოდ ამ ასპექტებით არ ამოიწურება. ერთ-ერთი, შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი სწორედ ის გახლავთ, რომ **იგი ჭეშმარიტების გამოვლენის, მისი მიღწევის საშუალებაა**, რის გარეშეც ყოველგვარი პროგრესი წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ ებრძვიან მას ტოტალიტარულ სახელმწიფოში. საზოგადოებაში უნდა არსებობდეს იდეებისა და შეხედულებების პლურალიზმი ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რომლებიც მისი კანონიერი ინტერესების სფეროს მიეკუთვნება იმისათვის, რათა იაროს ჭეშმარიტებისა და პროგრესის გზით. სწორედ აქედან წარმოდგება გამონატვის თავისუფლების, **როგორც საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე საჯარო დისკუსიების, დემოკრატიული პროცესების განვითარების, საზოგადოებრივი მიზნების მიღწევის, მათ შორის – ადამიანის სხვა უფლებათა უზრუნველყოფის საშუალების ხედვა**. მასვე უკავშირდება ამ თავისუფლების ჩახშობის საშიშროებაც.

გამონატვის თავისუფლების ხედვა, როგორც საჯარო ინტერესის მიღწევის საშუალებისა, განსაკუთრებით ნათლად დაასაბუთეს აშშ-ში ამ უფლების ცნობილმა დამცველებმა, გამოჩენილმა მოღვაწეებმა ოლივერ **უენდელ ჰოლმსმა** და **უილიამ ბრანდისმა**. ჰოლმსმა, რომელიც აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყო, შესანიშნავი მეტაფორა შექმნა: “იდეათა თავისუფალი ბაზარი“. მისი აზრით, “ხალხმა ირწმუნა, რომ **საერთო სიკეთის მიღწევის საუკეთესო ხერხი (ხაზგასმა ჩემია – ე.გ.)** იდეათა თავისუფალი ურთიერთგაცვლა იყო, „... ჭეშმარიტების საუკეთესო საზომი – ეს არის საბაზრო კონკურენციისას თავისთავად აღიარებული აზრის მეუფება“ - თქვა მან.⁶ ჰოლმსი ყველაზე უფრო გააფრთხილებული და მცდარი შეხედულებების გამოთქმის დასჯადობის წინააღმდეგ გა-

⁵ **Sanlon T.** “*Theory of Freedom of Expression*”, 1972 (204). აზრის გამონატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე იხ. აგრეთვე **Redish M.** “*The Value of the Free Speech*” 130, U. 1982. გვ. 59.

⁶ **С.Франковский; Р.Голдман; Э.Лентовска** – «*Верховный Суд США о Гражданских правах и свободах*», изд. «Бега» (Польша), 1997.

მოდიოდა და მიაჩნდა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლების ერთადერთი აზრი ის იყო, რომ მიეცათ მისთვის მოქმედების შანსი და შესაძლებლობა.⁷

იდეათა ჩახშობის საშიშროებიდან გამოდიოდა ბრანდისიცი: „მათ ვინც მოიპოვეს ჩვენი დამოუკიდებლობა, სწამდათ, რომ გონიერება გაიმარჯვებდა თვითნებობაზე. ისინი არ აყენებდნენ “წესრიგს“ “თავისუფლებაზე“ მაღლა და “თავისუფლებას“ აფასებდნენ, როგორც მიზანს, ისევე, როგორც საშუალებას; - (ხაზგასმა ჩემია – ე.გ.) ... მათ სწამდათ, რომ თავისუფლება ბედნიერების გასაღებია, ხოლო გამბედაობა კი – თავისუფლებისა; მათ სჯეროდათ, რომ აზროვნების თავისუფლება აუცილებელი საშუალებაა პოლიტიკური სიმართლის აღმოსაჩენად და გასაგრძელებლად და, რომ იდეათა ჩახშობა ყველაზე უფრო საშიში შეიძლება გახდეს, რადგან: შიში შობს დებრესიას, დებრესია – სიძულვილს, სიძულვილი კი ემუქრება სახელმწიფოს სიმყარეს და უსაფრთხოებისაკენ გზა მხოლოდ თავისუფალ მსჯელობაზე გადის“.⁸

ბრანდისი ყურადღებას ამახვილებდა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის. მან მარტივად და შესანიშნავად დაასაბუთა ეს: დემოკრატიული თვითმმართველობა დამოკიდებულია ამომრჩეველთა უნარზე, აირჩიოს ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც საუკეთესოდ გამოხატავდნენ მათ შეხედულებებსა და ინტერესებს და, წარმომადგენელთა უნარზე – გაიგონ თავიანთი ამომრჩევლების პრობლემები.⁹

გამოხატვის თავისუფლების ასეთი ორმაგი ხედვა, რომელიც თავდაპირველად ევროპაში ჩაისახა და რომელიც უმთავრეს არგუმენტს წარმოადგენდა ევროპულ ქვეყნებში ამ თავისუფლების აღიარებისათვის,¹⁰ დღეს საყოველთაოდ არის დამკვიდრებული. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ცნობილი სპეციალისტები **დ.გ.ჰარისი, მ.ო.ბოილი და ს.უორბრიკი** მიუთითებენ, რომ გამოხატვის თავისუფლება ცენტრალურ როლს ასრულებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვაში.¹¹

გამოხატვის თავისუფლების ორმაგი ხედვით, მისი უნივერსალურობის იდეით გაჯერებულია ადამიანის უფლებათა ევროპული იურისპრუდენციაც. ეს სჭვავის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა თუ ევროპული კომისიის

⁷ *Gitlow v. New York* – 1925; *Abrahams v. United States*; 250; 49; 616; 613 (1919), გვ.630.

⁸ *Whitney v. California* – 274.U.S. 357 – (1927), გვ.376.

⁹ (*Whitney v. California*, 271; U.S. გვ.375). ეს ორმაგი დასაბუთება გამოხატვის თავისუფლებისა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში საბოლოოდ დამკვიდრდა აშშ-ის პოლიტიკურ, სამართლებრივ აზროვნებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში. სწორედ ამიტომ, როდესაც 1978 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო აქტი ანტისამთავრობო საქმიანობის შესახებ, რომელიც დანაშაულად აცხადებდა აშშ-ის მთავრობის წინააღმდეგ ნებისმიერი ცრუ, შეურაცხმყოფელი, წინასწარი შეცნობითა და ბოროტი განზრახვით შექმნილი ყალბი ინფორმაციის გავრცელებას, ამას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ვირჯინიის შტატის ასამბლეამ განაცხადა, რომ „ეს აქტი საყოველთაოდ განგაშს იწვევდა, რადგან ის მიმართული იყო იმ უფლების წინააღმდეგ, რომელიც სამართლიანად ითვლებოდა **სხვა უფლებების დაცვის ეფექტიან საშუალებად**“ (ხაზგასმა ჩემია – ე.გ.) სწორედ ამ არაპოპულარული აქტის გამო პრეზიდენტისა და კონგრესის უმრავლესობამ მაშინ წაავო მორიგი არჩევნები.

¹⁰ ევროპაში გამოხატვის თავისუფლების აღიარებისა და დამკვიდრების ისტორიას წინამდებარე ნაშრომში ცალკე თავი ეძღვნება.

¹¹ **D.G.Harris, M.O’Boyle, C.Warbrick**, *Law of the European Convention on Human Rights*, Butterwarths, London, Dublin, Edinburg, 1995. გვ.372.

ყველა განჩინებიდან თუ გადაწყვეტილებიდან, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას შეეხება და სადაც ეს უფლება ღირებულებათა ამა თუ იმ კონფლიქტის მონაწილეა. ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებას უწოდა “ერთ-ერთი საბაზისო წინაპირობა დემოკრატიული საზოგადოების პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარებისათვის”.¹²

ასეთი ორმაგი ხედვა განსაზღვრავს შესაბამისი პრობლემატიკის სპეციფიკურობას და, მასთან ერთად, იმ ძირითად მიდგომებს, კრიტერიუმებსა თუ სტანდარტებს, რომლებითაც ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავისი პოზიციების შემუშავებისას შესაბამისი სხვადასხვა პრობლემების დამუშავების დროს. განსაკუთრებით მკაფიოდ კი ეს დამოკიდებულება იმ საქმეთა განხილვისას ვლინდება, რომელიც მედიის თავისუფლებას შეეხება, ვინაიდან, უმთავრესად, სწორედ პრესისა თუ ტელე- და რადიო მაუწყებლობის მიერ თავიანთი ფუნქციის შესრულებით ხდება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ღია საზოგადოებრივი დისკუსიების უზრუნველყოფა, ურომლისოდაც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება. როგორც ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე თავის განჩინებაში (რაც არაერთხელ არის შემდგომ ციტირებული სასამართლოს სხვა განჩინებებსა თუ გადაწყვეტილებებში) მიუთითა: “არა მარტო პრესას აქვს ამოცანა გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები, არამედ ხალხსაც აქვს უფლება – მიიღოს ისინი”.¹³ ამ ფორმულირებით, ფაქტობრივად, ტოლობის ნიშანია დასმული გამოხატვის თავისუფლებას, როგორც ინდივიდურ უფლებასა (ინდივიდურ ინტერესსა), და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც საერთო-საზოგადოებრივ, საჯარო ინტერესს შორის.

ამგვარად, გამოხატვის თავისუფლება, როგორც ინდივიდური **ინტერესი, არა მარტო გადაჯაჭვულია საზოგადოებრივ ინტერესებთან, არამედ იმავდროულად თავადვე წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს. ამ უფლების ორმაგი დატვირთვა მის ორმაგ ღირებულებას განაპირობებს.** ამიტომ, როდესაც გამოხატვის თავისუფლება ღირებულებით კონფლიქტში აღმოჩნდება სხვა ინტერესებთან, ეს გარემოება გათვალისწინებას მოითხოვს. შესაბამისად ცხადი ხდება, რომ ორმაგი ღირებულების მქონე ინდივიდური უფლების შეზღუდვის საჭიროება უფრო ძნელად დასასაბუთებელია და გაცილებით უფრო “წონად გამართლებას” მოითხოვს, ვიდრე სხვა უფლებები.

მეორე მხრივ, “სამართლიანი ბალანსის“ მიღწევის სირთულე იმით არის განპირობებული, რომ **გამოხატვის თავისუფლებას სხვა ინტერესებში, მათ შორის კონვენციით გავთალისწინებულ სხვა უფლებებში შეჭრის დიდი პოტენცია გააჩნია თავისი ონტოლოგიური ბუნების გამო.** ზოგიერთ “გამოხატვას“ საშიში სოციალური შედეგებიც კი შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, ისეთი აზრების გავრცელებამ, რომლებიც აქეზებენ დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევების ჩადენისაკენ, მოუწოდებენ აჯანყებისა თუ ტერორისტული აქტებისკენ, გამოხატავენ რასობრივ თუ რელიგიურ სიძულვილს, გამოუსწორებელი შედეგი შეიძლება

¹² *Handyside v. the United Kingdom*, judgment of 7 December 1976. Series A. No 24 para 49

¹³ *Lingens v. Austria*, judgment of 8 July 1926, Series A. N 103, §41.

გამოიწვიოს. განსაკუთრებით იზრდება ამის საშიშროება მაშინ, როდესაც შესაბამისი აზრები მასმედიის საშუალებით არის გავრცელებული, რაც მასმედიის ფართო აუდიტორიას გამო ზრდის პოტენციური ზიანის შესაძლებლობას. როგორც **დ.გ.ჰარისი, მ.ო.ბოილი და ს.უორბრიკი** მიუთითებენ, მასმედიას ძალუძს სხვა ინტერესების ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი დარღვევა (“...ცაპაბლე *of the most egregious violations of other interests*~”).¹⁴ ცხადია, ასეთი შედეგების თავიდან აცილების ვალდებულება სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს. სწორედ ამით აიხსნება ის ერთგვარი “პარადოქსი“, რომ **გამონატვის თავისუფლებამ, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების საყრდენად და მისი განვითარების წინაპირობად არის მიჩნეული, შეიძლება თავად შეუქმნას საფრთხე საზოგადოებრივ ინტერესებს და შეიზღუდოს მისივე დაცვის მოსაზრებით.** აქედანვე წარმოდგება კონვენციის მე-10 მუხლში საგანგებო მითითება გამონატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტის შესაბამის “მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“ და ის გარემოებაც, რომ ასეთი მითითება კონვენციაში მხოლოდ გამონატვის თავისუფლებასთან მიმართებაშია გაკეთებული და არა სხვა უფლებებთან მიმართებებში, რომლებიც ასევე შეიძლება შეიზღუდონ საჯარო თუ სხვა კანონიერი ინტერესების დასაცავად.

გამონატვის თავისუფლების ამგვარი სპეციფიკურობის – ერთი მხრივ დემოკრატიული პროცესის ფუნქციონირებისათვის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის, ხოლო მეორე მხრივ, სხვა ინტერესებში ენერგიული შეჭრის უნარის გამო, **გაცილებით უფრო პრობლემატური ხდება სამართლიანი ბალანსის განსაზღვრა ამ უფლების სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების შემთხვევაში;** გართულებულია იმის შეფასება, თუ რამდენად გამართლებული იყო მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან გამონატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა შესაბამისი საჯარო ან სხვა პირთა ინტერესის დასაცავად.

აქტუალურობა

თემის აქტუალურობა, ცხადია, დემოკრატიულ საზოგადოებაში გამონატვის თავისუფლების სასიცოცხლო როლიდან გამომდინარეობს. მაგრამ სრულიად აშკარაა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოსათვის.

ცხადია, რომ ტოტალიტარიზმის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის შემდგომ, რომელშიც ეს თავისუფლება მთლიანად დათრგუნული იყო, საქართველოში დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს წარმატებით მშენებლობისათვის უზარმაზარი დატვირთვა შეიძინა ამ თავისუფლების რეალურმა უზრუნველყოფამ. “რეალური უზრუნველყოფა“ კი არ გულისხმობს ამ თავისუფლების ოდენ დეკლარირებას კონსტიტუციითა თუ კანონებით. იგი გულისხმობს გამონატვის თავისუფლების დაცვის მყარი გარანტიების შექმნას, რომელიც თავის მხრივ, რამდენიმე ასპექტს მოიცავს. ერთი მხრივ, **იგი გულისხმობს რეალური, ჯანსაღი თავისუფლების დამკვიდრებას, რომელსაც არ ახლავს შიშის გრძნობა**

¹⁴ იხ. D.G.Harris, M.O’Boyle, C.Warbrick; მითითებული ნაშრომი, გვ.376.

და ერთგვარი მოლოდინი იმისა, რომ გამოხატული შეხედულებების გამო ადამიანი შეიძლება პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაექვემდებაროს რეპრესიას, დევნას, შევიწროებას ანდა ამან დააბრკოლოს მისი წარმატება და წინსვლა პროფესიული თუ საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში. მეორე მხრივ, იგი გულისხმობს თავისუფლებით სარგებლობის კულტურას – იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით, შეგნებულად თავის თავზე აღებას, რაც თანაარსია თავისუფლებისა და მისგან განუყოფელი. ეს ყოველივე კი იმისთვის არის აუცილებელი, რომ დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარი (გამოხატვის თავისუფლება) მის საწინააღმდეგოდ არ იყოს გამოყენებული.¹⁵ ცხადია, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად ქმედითი გარანტიების ამოქმედება როგორც ამ თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის აღსაკვეთად, ისე დარღვეული უფლების აღდგენა-გამოსწორებისათვის.

განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტიკური სიტყვისა და პრესის თავისუფლების საკითხები. საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე აზრთა თავისუფალი ურთიერთგაცვლისა და ინფორმაციის გავრცელების სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო, ევროპული სასამართლო უკიდურესად ზღუდავს მათი შეზღუდვის გამართლებულად მიჩნევის შესაძლებლობას, ყველაზე უფრო მაღალ სტანდარტებს გამოიყენებს და ეროვნულ სახელმწიფოებს ამ სტანდარტების დაცვას “აიძულებს“.

საქართველოში პრესის (ისევე, როგორც საერთოდ მასმედიის) თავისუფლების რეალური დამკვიდრების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე აღმოფხვრილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა თუ ცალკეულ ჟურნალისტთა უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის შემთხვევები. მეორე მხრივ, თავისუფლებას დაწაფებულ ქართველ ჟურნალისტთა საქმიანობაში ჯერ საკმარისად არ იგრძნობა “თვითშეზღუდვისა“ და “თვითცენზურის“ კულტურა; ხშირია პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევისა და სხვა ადამიანთა უფლებებისა და რეპუტაციის გაუმართლებელი, უხეში ხელყოფის შემთხვევები. ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ანალიზი მათ საშუალებას მისცემს, კარგად გაიცნობიერონ, როდის და რა შემთხვევებში ენიჭება მასმედიას განუზომელი (თუმცა, ის არასოდეს არ არის აბსოლუტური) თავისუფლება და როდის – შედარებით შეზღუდული; ვისი ან რისი კრიტიკის თავისუფლებაა თითქმის შეუზღუდავი და ვისი – გარკვეულ ფარგლებში მოქცეული.

დღეს, საერთაშორისო ტერორიზმის პირობებში, გამოხატვის თავისუფლებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი სრულიად განსაკუთრებულია ტერორიზმის დანაშაულთა გაშუქებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჟურნალისტთა ხელშეუხებლობისა და ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობა. გადაუდებე-

¹⁵ სავსებით ვეთანხმები პაატა ცნობილადის მოსაზრებას, რომ დაუშვებელია აზრისა და სიტყვის თავისუფლების დისკრედიტაცია. იხ. პაატა ცნობილადე, *სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ელემენტი*, კრებულში *ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში*. (კ.კორკელიას რედაქტორობით), თბილისი, 2002, გვ.254.

ლია საქართველოში ამ მიმართებით საკანონმდებლო და სხვა გარანტიებისა თუ ბერკეტების რეალური ამოქმედება, რომლებიც უზრუნველყოფენ ჟურნალისტთა მხრიდან თავიანთი უფლებების ეფექტიან განხორციელებას დაინტერესებული სახელმწიფოს მხრიდან მათ უფლებებში ჩარევის საწინააღმდეგოდ.

გამოხატვის თავისუფლების დაცვის სფეროში, ქართული კანონმდებლობა, მთლიანობაში, მართალია ასახავს თანამედროვე საერთაშორისო-სამართლებრივ ტენდენციებს, მაგრამ იგი არასრულყოფილი, ცალმხრივი და დანარჩენ კანონმდებლობასთან შეუსაბამოა. ხარვეზებია “დარღვეული უფლების ეფექტიანი აღდგენა-გამოსწორების“ უზრუნველყოფის სფეროშიც.

ნაშრომის თემატიკა საინტერესო და აქტუალური იქნება როგორც კანონმდებლობის სრულყოფის, ისე იმ თვალსაზრისით, რომ მოსამართლეებმა და ყველა იმათ, ვინც ადამიანის უფლებათა საკითხებს წყვეტს, საკანონმდებლო ხარვეზების არსებობის პირობებშიც კი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაზე დაყრდნობით, უზრუნველყონ გამოხატვის თავისუფლების ეფექტიანი დაცვა; კონფლიქტის შემთხვევაში კი – მისი გონივრული დაბალანსება დაპირისპირებულ ინტერესებთან.

გამოხატვის თავისუფლების ზემოთ ახსნილი მნიშვნელობის, სპეციფიკურობისა და აქტუალურობის გამო იქნა შერჩეული კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებული იურისპრუდენცია საკვლევად იმ დიდი თემისა, როგორცაა კანონიერ ინტერესთა დაპირისპირების დროს მათი სამართლიანი დაბალანსების პრობლემატიკა.

* * *

კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით შექმნილი პრაქტიკა არა მარტო თავისი სირთულით აღმოჩნდა საინტერესო, არამედ – მრავალფეროვნებითაც, თავისი მრავალმხრივი პრობლემატიკის გამო. არსებობს უამრავი ასპექტი, ნიუანსი თუ სპეციფიკა, რომლებიც განსხვავებული მიდგომის საფუძველი ხდება. ესაა გამოხატვის ფორმის, საშუალების, დროისა თუ გამოხატული აზრის შინაარსის გავლენა მისი დაცულობის ფარგლებზე. განსხვავებულია დამოკიდებულება იმისდა მიხედვით, რა სფეროს შეეხება შესაბამისი იდეები თუ ინფორმაცია, ვის მიერაა გამოთქმული, ვის ან რას შეეხება ისინი, როგორია უფლების დარღვევის ხასიათი და ხარისხი და სხვა. თავიანთი სპეციფიკა აქვთ დიფამაციის საქმეებს, აგრეთვე, ტელე- და რადიომაუწყებლობის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებს, სადაც ხშირად წამოიჭრება სიტყვის თავისუფლებისა და სახელმწიფოს მხრიდან მაუწყებლობის ლიცენზირების უფლების ურთიერთმიმართების საკითხი. ასეთი სპეციფიკურობანი და გარემოებანი კომპლექსურად გავლენას ახდენენ შესაბამის შემთხვევაში სახელმწიფოსათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლების განსაზღვრაზე და საბოლოო ჯამში იმაზე, თუ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში სახელმწიფოს როგორი ჩარევა იქნება მიჩნეული “აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო

შერჩეული ღონისძიება კი – “თანაზომიერად“ დასახული კანონიერი მიზნისა, შეფასების რა კრიტერიუმები და სტანდარტები იქნება გამოყენებული საამისოდ და ა.შ.

ამასთანავე, უდავოა ისიც, რომ ზემოაღნიშნულ საკითხებში გარკვევა და სწორი ორიენტირების შერჩევა შეუძლებელი გახდება, თუ კარგად არ გვექნება გააზრებული საკუთრივ სისტემა საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებით ადამიანის უფლებათა დაცვისა. სახელდობრ ის, თუ რას გულისხმობს **სუბსიდიურობის პრინციპი**, რომელსაც ევროპული კონვენცია ემყარება და რას გულისხმობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა ევროპული კონვენციის მეშვეობით, რით გამოიხატება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უფლებამოსილება ამ მიმართებით; სად ემიჯნება ეს უფლებამოსილება მონაწილე სახელმწიფოთა შესაბამის უფლებამოსილებას და, როგორია გამოხატვის თავისუფლების დაცვის სისტემის თანაფარდობა კონვენციის სხვა მუხლებით უზრუნველყოფილ უფლებათა დაცვის სისტემისაგან.

ცხადია, რომ ამ საერთაშორისო-სამართლებრივი ინტერიერის შესწავლისა და გათვალისწინების გარეშე, თუ საერთოდ შეუძლებელი არ გახდება, უთუოდ გაჭირდება საკუთრივ მე-10 მუხლის პრობლემატიკაში გარკვევა და მეტი წინაპირობა შეიქმნება მრუდი, დაუსაბუთებელი და ცალმხრივი დასკვნების გაკეთებისათვის საკვლევი ძირითადი საკითხის თაობაზე.

გულახდილად რომ აღვნიშნოთ, ერთგვარ სირთულეს წარმოადგენდა აგრეთვე თავად ის სპეციფიკა, რასაც პრეცედენტული სამართლის შესწავლა უთუოდ გულისხმობს. გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებულ მიდგომებში, პრინციპებში, დოქტრინებსა თუ კონცეფციებში გარკვევა აუცილებლად მოითხოვდა სასამართლოს საკმაოდ ვრცელი პრაქტიკის შესწავლას, შეჯერებასა და ანალიზს თვით სამართლებრივი პრობლემატიკის გამოსავლენადაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ დამუშავებაზე, ისევე, როგორც – მომიჯნავე ან კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა არაერთი ზოგადი თუ კერძო საკითხის შესწავლასა და საკუთრივ პრეცედენტული სამართლის ქმნადობის თავისებურებებში ჩაწვდომის აუცილებლობაზე. ზამოაღნიშნული დოქტრინების პრინციპებისა თუ მიდგომების თაობაზე ქვემოთ დაწვრილებით შევჩერდებით, მაგრამ საჭიროდ გვესახება დასაწყისშივე აღინიშნოს შემდეგი:

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლი გამოხატვის თავისუფლებას იცავს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მხრიდან ამ უფლებაში “გაუმართლებელი ჩარევისაგან“.¹⁶ სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლო ყოველ კონკრეტულ საქმეში, რომელსაც სასამართლოში შემოსული საჩივრის საფუძველზე იხილავს, აფასებს, მოცემულ შემთხვევაში

¹⁶ აქ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის აღიარება ყოველთვის არ უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან უფლების განხორციელებაში პირდაპირ ჩარევას, ანუ ნეგატიური ვალდებულების შეუსრულებლობას. ეს მუხლი შეიძლება დარღვეულად იქნას ცნობილი პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაშიც, კერძოდ იმისათვის, რომ სახელმწიფომ არ გაატარა აუცილებელი ღონისძიებები ამ თავისუფლების დასაცავად, მათ შორის, მესამე პირთა ხელყოფისაგან.

რამდენად იყო “გამართლებული“ შესაბამისი სახელმწიფოს მხრიდან ამა თუ იმ საჯარო ინტერესის ან სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. ამასთან, სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლო არ ცვლის ეროვნულ სასამართლოებს და არ წარმოადგენს მათთან მიმართებაში ზემორე სასამართლო ინსტანციას. იგი მხოლოდ მე-10 მუხლის კონტექსტში განიხილავს ეროვნულ სასამართლოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს შეფასების თავისუფლების პრინციპზე რომ არის დაყრდნობილი. პირველ რიგში, სწორედ ეროვნული სასამართლოები აფასებენ ამა თუ იმ კანონიერი ინტერესის დასაცავად ინდივიდის უფლებაში ჩარევის “გამართლებულობას“. მე-10 მუხლის კონტექსტში ამ “გამართლებულობის“ გამორკვევა კი იმის შეფასებას გულისხმობს, მართლაც ემსახურებოდა თუ არა ინდივიდურ უფლებაში ჩარევა შესაბამისი კანონიერი მიზნის მიღწევას, იყო თუ არა ასეთი ჩარევა “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ამ მიზნის დასაცავად და “თანაზომიერი“ მასთან მიმართებაში.

სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოში ზემოაღნიშნულ საკითხთა განხილვის ისტორია მოწმობს, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის “გამართლებულობის“ შეფასებანი მიდგომათა არაერთგვაროვნებით ხასიათდება. სხვადასხვა შემთხვევაში არაერთგვაროვანი სიმკაცრით ხდება უფლებაში ჩარევის “გამართლებულობის“ მოთხოვნის დაყენება. მაგრამ მუდმივია ძირითადი კონცეპტუალური მიდგომა: **სახელმწიფოთა მხრიდან გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ნებისმიერი შეჭრა ამ უფლებაში ჩარევად განიხილება.** ეს არის საწყისი პოზიცია. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება იმის შეფასება, **გამართლებული იყო თუ არა იგი.** ძირითადი ტენდენცია კი ისაა, რომ თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დემოკრატიული პროცესების ფუნქციონირებისათვის, გამოხატვის თავისუფლებას ხშირად ენიჭება უპირატესობა დაპირისპირებულ ღირებულებებთან მიმართებაში; კონვენციაში (იგულისხმება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი) მისი შემზღუდველი დებულებების განმარტება ხდება ვიწროდ და, საბოლოო ჯამში, ის თუ როდის არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და “თანაზომიერი“ დასახული კანონიერი მიზნისა, შედარებით ნაკლებ შემთხვევებს უკავშირდება.

სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების დაცულობისათვის შეფასების ძალიან მაღალი სტანდარტების გამოყენების აუცილებლობა მრავალგზის დაასაბუთა თავისი სამოსამართლო სამართლის შექმნისას. ამ დასაბუთების დედააზრი კი შემდეგია: ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში აღწერილი გამონაკლისები უნდა განმარტებულიყო ძალიან ვიწროდ, ხოლო ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვის “აუცილებლობა“ კი – დასაბუთებული ზედმიწევნით სარწმუნოდ და დამაჯერებლად.

კვლევის საბანი, მიზანი, მეთოდოლოგია

და მეთოდობა, ნაშრომის უინაარსი, სტრუქტურა და

სამეცნიერო სიახლე

წინამდებარე ნაშრომში კვლევის საგანია საჯარო ან სხვა კანონიერი ინტერესების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პირობები და მისი გამართლებულობის შეფასება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მის საფუძველზე შექმნილი იურისპრუდენციის მიხედვით. ნაშრომის მიზანი იმის გამოკვლევაა, თუ რა ფარგლებშია დაცული ეს უფლება ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, რა მოსაზრებებს ემყარება შესაბამის შემთხვევებში ინტერესთა კონფლიქტის დროს მისი შეზღუდვა თუ პრიორიტეტი და რას გულისხმობს გამოხატვის თავისუფლების სამართლიანი დაბალანსება მოქიშპე ინტერესებთან.

ევროპულმა კონვენციამ დაადგინა გამოხატვის თავისუფლების დაცულობის საერთო ფარგლები. კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი ყველასათვის უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. მაგრამ მეორე პუნქტი მისი შეზღუდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს. თუმცა, აქვე მიუთითებს იმ პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეზღუდვა დასაშვებია. კერძოდ, მიუთითებს იმ კანონიერ მიზნებს, რომელთა დასაცავადაც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს და კიდევ ორ აუცილებელ პირობას: შეზღუდვა უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული და, ამასთანავე – აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მე-2 პუნქტის შემზღუდველი დებულებები, რამდენადაც ისინი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებს აწესებენ, იმავდროულად ამ უფლების გარანტიებს წარმოადგენენ. ცხადია, რომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი ისეთი შეზღუდვა, რომელიც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, დაუშვებელია. მაგრამ თავისთავად ის გარემოება, რომ გამართლებულად მხოლოდ ისეთი შეზღუდვა ჩაითვლება, რომელიც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და არა სხვაგვარი, ცხადია, გამოხატვის თავისუფლების განსაზღვრულ ფარგლებში დაცულობის მყარი გარანტიაა იმავდროულად.

მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ კონვენციის დებულებები, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ნორმები ინტერპრეტაციას მოითხოვენ მათი შინაარსის ზუსტად დასადგენად. ამ ფუნქციას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასრულებს.¹⁷ მან გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიღებულ განჩინებებსა და გადაწყვეტილებებში განმარტა კონვენციის მე-10 მუხლის შინაარსი, დააზუსტა და დააკონკრეტა ცალკეული დებუ-

¹⁷ ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა კონვენციის „დინამიური“ (დროის შესატყვისად) განმარტების კონცეფცია. მან მიუთითა, რომ კონვენცია „ცოცხალი ინსტრუმენტია“, რომელიც უნდა განმარტდეს დემოკრატიული საზოგადოების თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით (მაგალითისათვის იხ. *Van der Musselle v. Belgium*. 1983 წლის 23 ნოემბერი, 32-ე პუნქტი)

ლებების, ცნებებისა თუ ტერმინების მნიშვნელობა და შინაარსობრივი ფარგლები. ამ გზით მან განსაზღვრა, თუ რა იგულისხმებოდა მათში “კონვენციის გაგებით”. ასეთი განმარტებების აუცილებლობა წარმოადგებოდა კონვენციის მე-10 მუხლში არა მარტო ისეთი მართლაცდა მეტისმეტად ამორფული შეფასებითი ცნების გამოყენებიდან, როგორცაა – “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში”, არამედ სხვა ცნებებისა და ტერმინების არსებობიდან, რომლებიც არც შეფასებით ცნებებს წარმოადგენენ და *prima facie* მეტ გარკვეულობასაც გულისხმობენ (მაგალითად “კანონით გათვალისწინებული”). ადამიანის უფლებათა ევროპულმა იურისპრუდენციამ არა მარტო კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვა მიანიჭა მათ, არამედ შეიმუშავა და დაამკვიდრა არაერთი მიდგომა, პრინციპი, კონცეფცია თუ კრიტერიუმი ამა თუ იმ შემზღუდველი პირობის დაცულობის შესაფასებლად. მაგალითად, შემზღუდველი პირობის – “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში” შესაფასებლად ჩამოაყალიბა “მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების” კონცეპტი, რომელიც, თავის მხრივ, “შესაბამისი და საკმარისი საფუძვლის” არსებობით განმარტა. კონვენციის მე-10 მუხლის რეალური შინაარსი და გამოხატვის თავისუფლების რეალური ფარგლები ევროპულმა სასამართლომ არა მარტო ზოგადი განმარტებებით, არამედ (რაც მთავარია) თავისი გადაწყვეტილებებით საცნაურჰყო, როდესაც შეზღუდვის ესა თუ ის პირობა და მასთან ერთად კონვენციის მე-10 მუხლიც დაცულად ან დარღვეულად გამოაცხადა.

ვინაიდან ევროპული სასამართლოს მიერ შექმნილი იურისპრუდენცია, მისი პრეცედენტები კონვენციის ტექსტის თანაბრად მნიშვნელოვანი და სავალდებულოა, ამიტომ, ცხადია, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხების გამოკვლევა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკის შესწავლის ამოცანას გულისხმობდა.

საჯარო ან სხვა კანონიერი ინტერესების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თემატიკა რამდენიმე ძირითად პრობლემას შეიცავს:

- რა იგულისხმება შეზღუდვის იმ სამ აუცილებელ პირობაში, რომლებიც კონვენციის მე-10 (II) მუხლშია მითითებული;
- რას ნიშნავს გამოხატვის თავისუფლების სხვა პირთა უფლებებთან ან საჯარო ინტერესებთან სამართლიანი დაბალანსება (გაწონასწორება) და როგორ მიიღწევა იგი;
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებაზე.

ამ პრობლემების დამუშავება, თავის მხრივ, გულისხმობს იმ პრინციპების, მიდგომების, კონცეფციებისა თუ შეფასების კრიტერიუმების დაწვრილებით ანალიზს, რომლებსაც ევროპული სასამართლო გამოიყენებს მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას.

სწორედ ამიტომ, საკვლევ საკითხთა სანიმუშო ჩამონათვალი ასეთია:

- 1) რა არის კონვენციის მე-10 მუხლით დაცვის საგანი და როგორია მისი დაცულობის საერთო ფარგლები; არსებობს თუ არა ისეთი “გამოხატვა”, რო-

მელზედაც საერთოდ არ ვრცელდება კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვა;

2) რას გულისხმობს შეზღუდვის პირობა – “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (“*necessary in the democratic society*~) და მისი ორი კომპონენტის - “ჩარევის აუცილებლობისა“ (“*necessity of the interference*~) და “ჩარევის თანაზომიერების“ (“*proportionality of the interference*~) შეფასებანი;

3) რას გულისხმობს შეზღუდვის პირობა “კანონით გათვალისწინებული“ (“*prescribed by Law*“);

4) რა გავლენას ახდენს ჩარევის აუცილებლობისა და ჩარევის თანაზომიერების შეფასებებზე იმ საჯარო ან სხვა კანონიერ ინტერესთა რაობა, რომელთა დასაცავადაც გამოხატვის თავისუფლება იზღუდება;

5) რას ნიშნავს გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი “მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ (“*duties and responsibilities*~) და როდისაა მიჩნეული იგი დარღვეულად; როგორია დამოკიდებულება გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებისადმი;

6) რას გულისხმობს სუბსიდიურობის პრინციპი (პრინციპლე *of subsidiarity*), რომელსაც კონვენცია ემყარება; ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლება (“*margin of appreciation*~); როდისაა მისი ფარგლები ვიწრო ან ფართო და როგორ აისახება იგი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებაზე;

7) როგორია მიდგომები ცალკეული სფეროებისადმი (პოლიტიკის, შემოქმედების, კომერციის); რომელია კარგად თუ სუსტად დაცული სფეროები;

8) რა სტანდარტები გამოიყენება მასმედიის მიმართ; განსხვავდება თუ არა დამოკიდებულება პრესის, ტელევიზიასა თუ რადიომაუწყებლობასთან მიმართებაში;

9) რა სპეციფიკა ახლავს დიფამაციის საქმეებს და როგორ ხდება გამოხატვის თავისუფლებისა და რეპუტაციის უფლებას შორის ღირებულებათა კონფლიქტის მოწესრიგება.

10) რას ნიშნავს “დასაშვები კრიტიკის“ კონცეფცია; და რა გავლენას ახდენს შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებაზე გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტის ანდა იმ პირის ვინაობა, ვისკენაც არის მიმართული კრიტიკა;

11) რა განსხვავებული მიდგომებია დაწესებული, ერთი მხრივ, იდეებისა და შეხედულებების, მეორე მხრივ – ინფორმაციის გავრცელებასთან მიმართებაში; რას ნიშნავს “ფაქტების გადმოცემა“ და “შეფასებითი მსჯელობა“ (“*statements of facts*“ and “*value judgment*~);

12) რით გამოიხატება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებანი გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში და სხვა.

ნაშრომი ყველა ზემოჩამოთვლილ საკითხს შეეხება. მართალია, ყოველ მათგანს ცალკე თავი ან პარაგრაფი არ ეძღვნება, მაგრამ მათ სათანადო ყუ-

რადღება აქვთ დათმობილი იმ უმთავრეს პრობლემათა ანალიზის დროს, რომელთა მიმართებაშიც მათი აქტუალურობა და მნიშვნელობა ლოგიკურად გამოვლინდა. ამა თუ იმ ღირებულებითი კონფლიქტის დროს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა თუ მისთვის პრიორიტეტის მინიჭების გადაწყვეტილება იმ უამრავი ფაქტორისა თუ ნიუანსის კომპლექსურ შეფასებას მოითხოვს, რომლებიც შესაბამის საქმეში წარმოჩინდება. მათი ურთიერთქმედება და თანაფარდობა ქმნის იმ საერთო კონტექსტს, ფაქტობრივ თუ სამართლებრივ გარემოებათა იმ საერთო მოცემულობას, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ან მისთვის პრიორიტეტის მინიჭების გადაწყვეტილებას განაპირობებს. შესაბამისად, ზოგიერთი საკითხების ერთმანეთისაგან მოწყვეტით განხილვა შეუძლებელი და არაგონივრული აღმოჩნდა. ხანდახან, ესა თუ ის საკითხები თითქოს გადაზრდილია ერთმანეთში. ზოგიერთი მათგანი კი ისეთია თავისი არსით, რომ არაერთი სხვა საკითხის გაშუქებაში იღებს მონაწილეობას. მაგალითად, ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლებს (მის სიფართოვესა თუ სივიწროვეს) განსაზღვრავს ის სფერო, რომელსაც შესაბამისი “გამოხატვა“ მიეკუთვნება, იმავდროულად – იმ საჯარო ინტერესთა რაობაც, რომელთა დასაცავადაც შეიზღუდა იგი. ამიტომ, ნაშრომის იმ ნაწილებში, რომლებიც შეეხება პოლიტიკის, მასმედიის ან სხვა სფეროებს, ანდა ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მორალის, მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობისა თუ სხვა კანონიერ ინტერესებთან გამოხატვის თავისუფლების ღირებულებითი კონფლიქტის საკითხებს, ყველგან აუცილებელი გახდა შესაბამის სფეროში სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლებზე მსჯელობა. პირობითი მიჯნებია პოლიტიკურ საკითხებზე გამოხატვის თავისუფლებისა და პრესის თავისუფლების საკითხებს შორის, ვინაიდან პრესის საქმიანობა უმთავრესად პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ინტერესის სხვა საკითხების გაშუქებას ემსახურება; ისევე როგორც – პრესისა და დიფამაციის საკითხებს შორის, ვინაიდან დიფამაციური განცხადებების გავრცელება სწორედ პრესის ან მასმედიის სხვა საშუალებებით ხორციელდება.

საკითხთა ურთიერთგადაჯაჭვულობამ, მეორე მხრივ, ისიც განაპირობა, რომ ევროპული სასამართლოს ზოგიერთი გადაწყვეტილება თუ განჩინება არაერთხელ არის მოხმობილი ნაშრომში სრულიად სხვადასხვა რაკურსში და განსხვავებულ საკითხთა ილუსტრაციისათვის. შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე ნაშრომის არქიტექტონიკა და კომპოზიციური დამუშავება ერთ-ერთი იმ სირთულეთაგანი იყო, რომელსაც მუშაობის დროს წავაწყდით.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი არ წარმოადგენს სრულ და ყოვლისმომცველ ანალიზს ყველა იმ თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტისა, რაც გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში წარმოიშობა. ასეთი მიზანი მეტიმეტად ამბიციური იქნებოდა; რაც მთავარია – არაგონივრული და მიუღწევადი. პრობლემათა სიმრავლისა და სირთულის დაძლევა ერთი, თუნდაც ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევის პირობებში, აშკარად შეუძლებლად მივიჩნიეთ. ამიტომაც **მიზნად დავისახეთ გაგვერკვია ძირითადი კონცეპტუალური მოსაზრებანი,**

რომლებიც საფუძვლად უდევს საჯარო ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, შეგვექმნა საერთო სურათი ამ თავისუფლების დაცულობის თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესახებ და წინა პლანზე წამოგვეწია ყველაზე უფრო სისხლხორცეული ან ნაკლებად დამუშავებული საკითხები.

სამაგიეროდ, შევეცადეთ ნაშრომი “გაგვემდიდრებინა“ ზოგიერთი ისეთი საკითხის გაშუქებით, რომლებიც შესაბამისი საკვლევი პრობლემატიკის უფრო ფართო, კომპლექსურ და დისტანციურ ხედვაში დაგვეხმარებოდა.

მაგალითად,

1) ნაშრომში მიმოხილულია **პიროვნების თავისუფლების იდეისა და მასთან ერთად გამოხატვის თავისუფლების აღიარებისა და დამკვიდრების ისტორია ევროპაში**. ეს მიმოხილვა მიზნად ისახავდა არა მარტო პიროვნების თავისუფლების იდეასთან მიმართებაში გამოხატვის თავისუფლების გააზრებას, არამედ თანამედროვე ევროპული მიდგომების ისტორიული, სამართლებრივი თუ ფილოსოფიური წანამძღვრების უკეთ შეცნობას, მათ შორის, “თავისუფლების“ ფარგლების განსაზღვრისა და ზეინდივიდუალური ან სხვა პირთა ინტერესებით მისი შემოფარგულობის საკითხებში. რეტროსპექტიულმა მიმოხილვამ დაადასტურა, რომ ევროპული კონვენცია და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ევროპული ქვეყნების საერთო კულტურულ და სამართლებრივ ტრადიციებსა და გამოცდილებას ემყარება და მის ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს დემოკრატიის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

2) ნაშრომში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი **შედარებით ანალიზს**.

შევეცადეთ შედარებით ასპექტში გამოგვეკვლია გამოხატვის თავისუფლების დაცულობის ფარგლები აშშ-სა და კანადის კონსტიტუციური სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული იურისპრუდენციის მიხედვით; აგრეთვე, სხვადასხვა (უნივერსალური თუ რეგიონალური) საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისი მუხლები, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებას შეეხება (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948), საერთაშორისო პაქტი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ (1996), ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (1965), ადამიანის და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია (1986) და ძირითადი უფლებების შესახებ ევროპის კავშირის ქარტია (2000)).

გვერდი ვერ ავუარეთ დღეისათვის ძალზე აქტუალურ ე.წ. **“სამმაგი იურისდიქციის პრობლემას“**, რომელიც ევროპაში ადამიანის უფლებათა სფეროში სამი სამართლებრივი სისტემის (ადამიანის უფლებათა სამართლის სამი წყაროს – ევროპული კონვენციის, ევროპის კავშირის სამართლის, ეროვნული სამართლის და შესაბამისი იურისდიქციების) თანაარსებობას უკავშირდება და ბევრ სირთულეს წამოჭრის სამართლებრივი გარკვეულობისა თუ უფლებათა დაცვის ეფექტიანობის თვალსაზრისით. ამ საკითხის გამოკვლევა, ერთი მხრივ, საინტერესო იყო იმ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, თუ რეალურად როგორი დაცვა აქვთ უზრუნველყოფილი ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფ-

ლებებს ევროპის კავშირის სამართლის მიხედვით, რამდენადაც შეესატყვისება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომა სტრასბურგის სასამართლოს მიდგომებს, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების სფეროში; მეორე მხრივ, იმ თვალსაზრისითაც, წარმოიშობა თუ არა უფლებამოსილებათა გამიჯვნის აუცილებლობა ამ ორი ევროპული სასამართლოს საქმიანობის პროცესში და ვრცელდება თუ არა, ან უნდა გავრცელდეს თუ არა (პრინციპულად) ევროპული სასამართლოს იურიდიქცია კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოთა ისეთ მოქმედებაზე, რომლებიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ევროპის კავშირის სამართალს ეყრდნობა. ამ საკითხებში გარკვევა და იმ ტენდენციების შეტყობა, თუ საითკენ მიდის საქმე, ძალზე სასარგებლო გამოდგა არა მარტო ევროპული კონვენციის სისტემის მნიშვნელობისა და როლის უკეთ გასააზრებლად, არამედ იმ სავარაუდო დასკვნების გასაკეთებლადაც, თუ რა პრობლემატიკა გახდება აქტუალური საქართველოსათვის მისი ევროპის კავშირში გაერთიანების შემდეგ ერთიანი ევროპული კონსტიტუციის არარსებობის პირობებში.

3) დაბოლოს, ჩვენი ნაშრომი შეეხება ერთი შეხედვით გარეშე და ავტონომიურ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, უფლებათა შეზღუდვის პრობლემატიკასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საინტერესო საკითხს – **ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში “მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის გამოყენებადობას;** შესწავლილია, თუ რა როლი ეკისრება ან შეიძლება დაეკისროს “მიზეზობრივ კავშირს“ კანონიერი ინტერესების დასაცავად ინდივიდურ უფლებათა, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის, ისევე როგორც, საერთოდ კონვენციის დარღვევის აღიარებისა თუ უარყოფის შესახებ გადაწყვეტილების მყარი და ობიექტური საფუძვლის შექმნაში. მართალია, ასეთი მიზანი წინასწარ არ ყოფილა დასახული, მაგრამ გამოკვლევის პროცესში უფლებათა შეზღუდვის “აუცილებლობისა“ და “თანაზომიერების“ შეფასებათა დასაბუთების ლოგიკაში წვდომამ არა მარტო ამ საკითხის აქტუალურობა გვიკარნახა, არამედ ნათელი გახდა ის როლი (ზოგჯერ შეუცვლელი), რომელიც ამ კონცეფციას შეუძლია იტვირთოს კონვენციის დარღვევის აღიარებისა თუ უარყოფისათვის დიდი თუ მცირე მნიშვნელობის მქონე საკითხთა გადაწყვეტაში. ამდენად, ამ მიმართებით კვლევა შემოქმედებითი თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო და მოულოდნელობებით აღსავსე აღმოჩნდა.

ვფიქრობთ, წინამდებარე გამოკვლევის შინაარსი და დასკვნითი დებულებები შესაბამისობაშია იმ მიზნებთან, რომლებსაც იგი ისახავდა.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ნაშრომი მთლიანად ემყარება **მოძღვრებას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ**, ხელისუფლებათა გამიჯვნისა და მათი ურთიერთკონტროლის, ადამიანის უფლებების პრიორიტეტული დაცვისა და სამართლის უზენაესობის პრინციპებს. თემატიკიდან გამომდინარე, ნაშრომის უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური საყრდენია მოძღვრება ბუნებითი სამართლისა და ბუნებითი უფლებების შესახებ; ლოკის, გროციუსის, მილის, რუსოსა და სხვათა თეორიები და განმანათლებლური იდეები, რომლებიც, თავის მხრივ, ნა-

საზრდოებია “სამართლიანი სამართლის“ შესახებ ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსთა (პერაკლიტე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი, სენეკა) შეხედულებებით. **საფუძველმდებ პრინციპებად** მიჩნეულია, ერთი მხრივ ის, რომ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ წარუვალ (ხელშეუვალ) და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს, და მეორე მხრივ, ის, რომ ისინი შემოზღუდულია სხვათა უფლებებითა და ზეინდივიდუალური, საჯარო ინტერესებით. **უმთავრეს ღირებულებებად** მიჩნეულია საყოველთაო მშვიდობა, თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა, რომელთა დასამკვიდრებლად იღვწის თანამედროვე საერთაშორისო თემობა და რომლის გამონატულებასაც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სფეროში დღეისათვის მოქმედი უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, მათ შორის – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. ამ თვალსაზრისით, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ **ევროპული კონვენციის პრეამბულა და ის სულისკვეთება, რომლითაც მთელი კონვენციაა გამსჭვალული, ჩვენთვის წარმოადგენს იმ ათვლის წერტილს, ხედვის კუთხესა თუ ამოსავალს, რომლითაც ნაშრომში დაყენებული საკითხები შესწავლილია და გააზრებული.**

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა სპეციალური მეთოდი, კერძოდ, ისტორიული, სისტემურ-სტრუქტურული, ნორმატიული (დოგმატიკური), შედარების, გრაფის, და, რაღა თქმა უნდა – ლოგიკური, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანი იყო ნებისმიერი საკითხის გამოკვლევისას, იმისდა მიუხედავად, დამოუკიდებლად გამოიყენებოდა იგი, თუ კვლევის რომელიმე სხვა მეთოდთან შესამე-

წინამდებარე ნაშრომის **მეცნიერულ სიახლედ** მიგვაჩნია ის გარემოება, რომ იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში გამონატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების **პირველ ვრცელ გამოკვლევას საქართველოში ამ თემატიკის ისტორიული, თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტების ჩათვლით.** ამასთან, გამოკვლევა არ არის შემოფარგლული არც საკუთრივ გამონატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სპეციფიკური პრობლემებით და არც მხოლოდ და მხოლოდ ევროპული კონვენციითა და მისი პრაქტიკით. ერთი მხრივ, მასში დამუშავებულია საერთოდ ადამიანის უფლებათა დაცვაზე ევროპული კონტროლის განხორციელებების თავისებურებანი (მაგალითად “სუბსიდიურობის პრინციპი, “ეროვნული შეფასების თავისუფლების“ დოქტრინა); მეორე მხრივ, სისტემური და კომპლექსური საკითხები (მაგალითად, “შედარებითი ანალიზის“ ბლოკი); შესწავლილია შედარებით ახალი და თვით ევროპაშიც კი ნაკლებად დამუშავებული **ადამიანთა ჯგუფის დიფამაციის საკითხი.** ერთ-ერთი გამორჩეული სიახლეა ევროპაში **“სამმაგი იურისდიქციის“ პრობლემის გაშუქება,** რომლისკენაც აქამდე არ ყოფილა მიპყრობილი ქართველ იურისტთა ყურადღება. მაგრამ ყველაზე უფრო თვალსაჩინო სიახლედ მაინც **ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში “მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის გამოყენებადობისა**

და აქტუალურობის შესწავლა უნდა მივიჩნიოთ. ეს საკითხი არა თუ საქართველოში, არსად არ ყოფილა აქამდე საგანგებოდ გამოკვლეული.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვით გამოყენებული ტერმინების შესახებ:

ნაშრომში “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ მოხსენიებულია სხვადასხვაგვარად – როგორც “ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“, “ევროპული კონვენცია“ ან უბრალოდ “კონვენცია“;

“ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო“ - როგორც “ევროპული სასამართლო“, “საერთაშორისო სასამართლო“ ან “სტრასბურგის სასამართლო“;

“დეცისიონ“ - როგორც “გადაწყვეტილება“

“ჯუდგმენტ“ - როგორც “განჩინება“.

შესაბამისი კონტექსტისდა მიხედვით, “ჩასე *Law*“ (*of the ECtHR*) მოხსენიებულია, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს “პრეცედენტული სამართალი“, ან “სამოსამართლო სამართალი“, ან “პრაქტიკა“ ან “იურისპრუდენცია“.

“ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალი“ და “ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი“ გამოყენებულია ერთი და იგივე მნიშვნელობით და მათში ნაგულისხმებია ერთობლივად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და მისი გამოყენების დროს შექმნილი *Case Law*. ამდენად, საკუთრივ ტერმინში “ჩასე *Law*“ ნაგულისხმებია არა მარტო ახალი, მუდმივმოქმედი სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, არამედ ძველი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის განჩინებები და გადაწყვეტილებები. შესაბამისად, ისეთ ტერმინებში, როგორიცაა “ევროპული სასამართლოს მიდგომა“, “ევროპული სასამართლოს პოზიცია“ და სხვ. ყოველთვის, როდესაც სპეციფიკაცია არ არის გაკეთებული, ნაგულისხმებია მთელი ისტორიის მანძილზე კონვენციის ორგანოების (ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის, ძველი და ახალი სასამართლოს) მიერ შემუშავებული და დამკვიდრებული ესა თუ ის პოზიცია.

ნაშრომი შედგება “წამძღვარების“, ძირითადი ნაწილისა და “დასკვნითი დებულებებისაგან“; თან ერთვის კონვენციის მე-10 მუხლის თაობაზე კონვენციის ორგანოების მიერ შექმნილი სასამართლო პრაქტიკა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განჩინებებისა და გადაწყვეტილებების ჩამონათვალი) და გამოყენებული ლიტერატურის სია.

თ ა ვ ი 1

პიროვნების თავისუფლების იდეა და გამოხატვის თავისუფლება ჩატროსკაქშივაში

გამოხატვის თავისუფლების, ისევე როგორც ადამიანის სხვა ძირითად უფლებათა აღიარებისა და დამკვიდრების ისტორია განუყოფლადაა დაკავშირებული ფილოსოფიური, პოლიტიკური, სამართლებრივი თუ რელიგიური შეხედულებების ისტორიასთან.

სხვადასხვა ეპოქებში გაბატონებული შეხედულებები სახელმწიფოს წარმოშობის, სამართლის წყაროების, პოლიტიკისა და ზნეობის, ზნეობისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხებში უთუოდ მოიცავდა ადამიანის, პიროვნების კონტექსტს და გულისხმობდა რაღაც, გარკვეულ პასუხს მისი რაობის, დანიშნულებისა თუ როლის შესახებ. ადამიანის ფაქტობრივ და სამართლებრივ მდგომარეობას შესაბამის დროს შესაბამის სახელმწიფოში გაბატონებული შეხედულებები განსაზღვრავდა, რომლებიც, თავის მხრივ, თავად ცხოვრების, ისტორიის, ადამიანთა ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისა თუ გამოცდილების კვალობაზე ყალიბდებოდა. ამ წანამძღვრების ცვალებადობა, დროთა განმავლობაში განაპირობებდა გაბატონებული შეხედულებების წიაღში ახალი, განსხვავებული შეხედულებების გაჩენას, რომლებიც საერთო, ბუნებრივი კანონზომიერების გამო უფრო პროგრესული და მოწინავე იყო, ვიდრე გაბატონებული. ადამიანური მოდემის ცივილიზაცია ადამიანთა თვითგანვითარებამ, ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებამ და, მათთან ერთად, შეხედულებათა ცვალებადობამ განაპირობა. ამიტომ, თუნდაც ამის გათვალისწინებით, საღად მოაზროვნე ადამიანთა ტვინებს არ შეიძლებოდა არ ამოეცნოთ ეს კანონზომიერება; არ დაენახათ, რომ ადამიანთა ყოველგვარი პროგრესის წყარო და არ მისულიყვნენ ადამიანის, როგორც ღირებულების აღიარების, პიროვნების ყოველმხრივი თავისუფალი განვითარებისა და მისი უფლებების აღიარების იდეამდე.

მეორე მხრივ, რადგან ადამიანის, როგორც სოციალური არსების ყოფიერება წარმოუდგენელი იყო სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე და ისინი ერთობლივი თანაარსებობისათვის ორგანიზაციულად (სახელმწიფოებად) გაერთიანდნენ, გაჩნდა ზეინდივიდუალური ინტერესები – „სახელმწიფო“, „სამშობლო“, „საზოგადოება“, „ხალხი“. რელიგიის გაჩენისთანავე წარმოიშვა რელიგიური დოგმა, რომელიც დაცვას მოითხოვდა; გაჩნდა ხელისუფლება, რომელიც ამ ზეინდივიდუალური ინტერესების დასაცავად თუ მისი დაცვის საბაბით ახორციელებდა უფლებამოსილებას. ამიტომ, ადამიანისა და ზეინდივიდუალური ინტერესების დაპირისპირების პრობლემა ისეთივე ძველია, როგორც თავად სახელმწიფოს შექმნა. შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ რა ეპოქის, როგორი მმართველობის სახელმწიფოსთან გვექონდა საქმე და როგორი ფილოსოფიური, სამართლებრივი და სხვა შეხედულებები იყო გაბატონებული, განისაზღვრებოდა ის, თუ როგორი იყო ადამიანის ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა, რა მიმართებაში იყო იგი სახელმწიფოსთან და

სხვა ზეინდივიდუალურ ინტერესებთან და რამდენად სამართლიანი იყო მათ შორის არსებული უფლებრივი ბალანსი.

ამ კონტექსტში ადამიანის უფლებათა ისტორია დინამიკაში შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სახელმწიფოს მიმართ პიროვნების უფლებების განსაზღვრისა და პიროვნების მიმართ სახელმწიფოს უფლებების შეზღუდვის, ინდივიდისა და ზეინდივიდუალური ინტერესების თანდათანობითი ჰარმონიზაციის ისტორია; რა თქმა უნდა, ხანგრძლივი უძრაობისა თუ ზოგჯერ უკუსვლების პერიოდებით.

პროცესის ასეთი მიმართულებით განვითარებას ხელი შეუწყო და მნიშვნელოვნად განაპირობა სწორედ იმ, გაბატონებულისაგან განსხვავებულმა ახლებურმა შეხედულებებმა, რომლებიც თავიანთი სიჯანსაღის გამო იკვლევდნენ გზას და თანდათანობით მკვიდრდებოდნენ; ასე ვთქვათ – თავად „აზრის გამოხატვის თავისუფლებამ“, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის აღიარებული საერთოდ და განიცდიდნენ თუ არა შესაბამისი შეხედულებების მქადაგებლები დევნასა და შევიწროებას საერო თუ საეკლესიო ხელისუფლებათა მხრიდან. სწორედ ამიტომ განიხილება ეს თავისუფლება ჭეშმარიტების, საერთო პროგრესის მიღწევის საუკეთესო საშუალებად, მათ შორის – ადამიანის სხვა უფლებათა უზრუნველყოფის გარანტიად.

ქვემოთ მიმოხილულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული პიროვნების თავისუფლების იდეის განვითარების გზა და მისი საერთო ისტორიულ-სამართლებრივი ფონი; გადმოცემულია, თუ როგორ აისახებოდა სხვადასხვა ეპოქაში გაბატონებული შეხედულებები და ისტორიული რეალიები ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე.¹ მიმოხილულია აგრეთვე პრესის თავისუფლების ისტორია, ვინაიდან, როგორც დიდი რუსი მეცნიერი **ტარნოვსკი** აღნიშნავს, „პიროვნების თავისუფლება ყველაზე მეტად სწორედ პრესისა და სიტყვის თავისუფლებით მკვიდრდება და დასტურდება.² ყურადღება გამახვილებულია ინგლისსა და საფრანგეთზე, ვინაიდან ევროპაში სწორედ ეს ქვეყნები მიუახლოვდნენ პირველად გამოხატვის თავისუფლების იმ საყოველთაო მინიმალურ სტანდარტებს, რომლებსაც სამართლებრივი სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს.

ქვემოთ რეტროსპექტივა ემსახურება არა მარტო გამოხატვის თავისუფლების იდეის პიროვნების თავისუფლების იდეასთან მიმართებაში გააზრებას, არამედ იმ ისტორიული, სამართლებრივი თუ ფილოსოფიური

¹ ამ საკითხებზე იხ:

Berger A.; *Encyclopedic Dictionary of Roman Law*, 1953; **Jolowicz H.F. and Nicholas J.K.B.**; *Historical Introduction to the study of Roman Law*; 1972; **Schulz, F.** *History of Roman Legal Science*, 1946; *Continental Legal History Series*, vol.1. General Survey of Continental Legal History, 1912. **Friedrich C.J.**, *Philosophy of law in Historical Perspective*, 1958; **Zweigert K.**, *Encyclopedia of Comparative Law* 1969; **Holdsworth, sir W.**, *History of English Law*, 1966; **Oliver-Martin F.**, *Historie du droit Francais*, 1961; **Dias R.W.M.** *Bibliography of Jurisprudence*, 1970; **Chambliss W.J. and Seidman R.B.**, *Sociology of the Law*, 1970; **Zepos, P.J.**, *Greek Law*, 1949; **Sauer W.**, *Gerechtigkeit*, 1958; **Amos M.S. and Walton F.P.**: *Introduction to French Law*, 1967; **David R. and de Vries H.P.**: *French Legal System*, 1958.

² **Тарновскій**, *Четыре Свободы*, С.Петербургъ, Брокгаузъ-Ефронъ 1906, გვ.76.

საყრდენების უკეთ შეცნობას, რომელსაც გამოხატვის თავისუფლების სფეროში თანამედროვე ევროპული მიდგომები ემყარება.

§1.1. პიროვნების თავისუფლება (უმხედულებები და ისტორიული რეალიები)

ანტიკური მსოფლიოს სახელმწიფოების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სამართლებრივი სახელმწიფოსაგან ის არის, რომ არ იყო აღიარებული ადამიანის უფლებები სახელმწიფოს მიმართ და სახელმწიფოს უფლებების შეზღუდვა (სახელმწიფოს ბოჭვა) ადამიანის უფლებებით.

მიუხედავად მაღალი კულტურული განვითარებისა და მართვის რესპუბლიკური (შედარებით სრულყოფილი პოლიტიკური) ფორმისა, რომელიც უზრუნველყოფდა თავისუფალი მოქალაქეების მონაწილეობას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ანტიკური სახელმწიფო შთანთქავდა პიროვნებას. საქმე ისაა, რომ საბერძნეთსა და რომში აღიარებული იყო ე.წ. „სახალხო თვითმპყრობლობის“ პრინციპი, რომელიც გატარებული იყო მეტისმეტად ფართოდ და ყოვლისმომცველად. რელიგიის, სიტყვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებები დაშვებული იყო, მაგრამ ამ თავისუფლებათა შინაარსი და ხარისხი ძალზე განსხვავდებოდა „თავისუფლების“ დღევანდელი გაგებისაგან. ანტიკური სახელმწიფო არ უშვებდა, რომ ცალკეულ რიგით მოქალაქეს ჰქონოდა თავისი აზრები და შეხედულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს. ცნებები „სამშობლო“, „მამული“, „სახელმწიფოსათვის სასარგებლო“, „ხალხის კეთილდღეობა“ (*salus populi*) მეტისმეტად ამძიმებდა ძველი ბერძენისა და განსაკუთრებით რომაელის ცნობიერებას საიმისოდ, რათა ეღიარებინათ პიროვნული უფლება თვითგამორკვევისა, დამოუკიდებელი, საერთო შაბლონისაგან განსხვავებული განვითარებისა. *Tu natus es non tibi, non mihi, sed patriae* (შენ დაიბადე არც თვითონ შენთვის, და არც ჩემთვის, არამედ სამშობლოსათვის) – თავისი მეგობრისათვის ციცერონის მიერ ნათქვამ ამ სიტყვებში კარგად ჩანს „სახალხო თვითმპყრობლობის“ პრინციპის დედააზრი და მისგან გამომდინარე მსოფლმხედველობა. „მარადიული რომის“ იდეა, პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის გაძლიერებული გრძნობა, რომელიც აღმოცენებული იყო მოქალაქეებში განუწყვეტელი ომებისა და სხვათა პოლიტიკური დაჯახებისათვის ბრძოლების შედეგად, მათვე აიძულებდა, რომ სხვისთვის, ვინც კი სახელმწიფოს მიერ აღიარებული რწმენის ან პოლიტიკური ნორმის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა, ეცქირათ, როგორც სამშობლოს საშიში მტრისათვის, ვის წინააღმდეგაც ყველაზე უფრო გადაამჭრელი ღონისძიებების გამოყენება იყო საჭირო. სოკრატეს, ანაქსაგორას და სხვა ფილოსოფოსთა მაგალითები, ქრისტიანთა დევნა რომში საკმარისი დადასტურებაა იმისა, რომ ანტიკური სამყარო ნაკლებად სცემდა პატივს პიროვნების რელიგიური და ზნეობრივი თავისუფლების პრინციპებს. „სახალხო სუვერენიტეტი“ განიხილებოდა სამართლისა და ზნეობის ნორმების ერთადერთ წყაროდ. ასეთი სუვერენიტეტი, რომელიც თრგუნავდა პირად თავისუფლებას,

პირად ინიციატივასა და დამოუკიდებლობას, ადვილად გადაიზარდა ერთპიროვნულ მმართველობაში. იმპერიულმა რომმა მთლიანად დათრგუნა ეს უფლებები, რომლებიც რესპუბლიკის დროს მაინც განაგრძობდნენ არსებობასა და განვითარებას. იმდენად რამდენადაც, იმპერატორთა ძალაუფლება შეუზღუდავი იყო და იგი არ იყო დაბალანსებული ადამიანის უფლებათა გარანტიებით, იგი გადაიქცა დესპოტიად, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა იმდროინდელი აღმოსავლური მონარქიებისაგან, რომელთა ხალხებმა არაფერი იცოდნენ რესპუბლიკური მმართველობის შესახებ.

პიროვნების იდეა რომის იმპერიის დაშლის შემდეგ გაძლიერდა. ბარბაროსების მიერ შექმნილი სახელმწიფოები სწორედ ამ საწყისს დაემყარა. გერმანული ფეოდალიზმი დაეფუძნა ინდივიდუალიზმის, ადამიანთა ცალკეული ჯგუფების თვითმმართველობის საწყისებს, რომელიც თავის მხრივ ეფუძნებოდა პიროვნების, უფროსსა და ხელქვეითს, სიუზერენსა³ და ვასალს შორის ურთიერთობის იდეას. ასეთი ურთიერთობა გულისხმობდა ერთგვარ ხელშეკრულებას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა ერთმანეთისადმი უფლებამოვალეობებს. სიუზერენის მხრიდან მცირედი გადახვევა უფლებამოსილებიდან, ვასალს აძლევდა არა მარტო დაუმორჩილებლობის, არამედ ძალით შეწინააღმდეგების უფლებასაც. ასეთი წესრიგი იყო მთელს ფეოდალურ კიბეზე. შიდა ომები და აჯანყებებიც ამ ურთიერთვალდებულებების დარღვევას უკავშირდებოდა.⁴ ასე შეიზღუდა ინგლისის მეფის უფლებებიც ქვეშევრდომთა – წინაშე, როდესაც ბარონებმა აიძულეს მეფე (იოანე უმეცხველი), ხელი მოეწერა თავისუფლების დიდი ქარტიისათვის (*Magna Carta Libertatum*) 1215 წელს. ეს იყო ევროპაში მართლაც პირველი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მეფის ხელისუფლების სერიოზული შეზღუდვისა. მართალია იგი კვლავ უმაღლეს ხელისუფლად რჩებოდა, მაგრამ ამიერიდან იგი განიხილებოდა, როგორც პირველი „სენიორი“ თანასწორთა შორის (*primus inter pares*), ამიტომ მას აღარ უნდა ჰქონოდა განსაკუთრებული უფლებები და უპირატესობები, რაც არ გამოძინარეობდა ვასალსა და სიუზერენს შორის ჩვეულებრივი ურთიერთობიდან.

ინდივიდუალიზმისა და თვითმმართველობის ასეთი საწყისები მთლიანად ეწინააღმდეგებოდა რომის საჯარო სამართლის ხელისუფლებას. როგორც სახალხო თვითმპრობლობა, ისე იმპერატორული, სრულიად არ უშვებდა სახელმწიფოში ცალკეული პირებისა თუ გარკვეული ჯგუფების დამოუკიდებლობას. სწორედ ამიტომ, როდესაც განხორციელდა რომის სამართლის რეცეფცია ევროპულ ქვეყნებში, მეფის ხელისუფლება შეეცადა, რომაული პატრიოტიზმის იდეასთან ერთად იგი აბსოლუტური მონარქიის დამკვიდრებისათვის გამოეყენებინა. ამ მიმართებით განსაკუთრებით წარმატებული იყო საფრანგეთი. მეფის ხელისუფლებამ შეძლო მარჯვედ გამოეყენებინა ხალხის მისწრაფება პოლიტიკური ერთიანობისაკენ დამქანცველი ომების (მათ შორის – ასწლიანი ომის) შემდეგ და დაიწყო სამეფო აბსოლუტიზმის იდეების ქადაგება

³ *Suzerain* (ინგ.) – ფეოდალი

⁴ მაგალითად, გლეხთა ომები გერმანიაში, ჟაკერი (გლეხთა აჯანყება) საფრანგეთში, უოთ ტაილორის აჯანყება ინგლისში და სხვ.

ეროვნული ერთიანობისა და სიმტკიცის დროშით. ამ იდეების მომხრეთა საყვარელი ლოზუნგი იყო საფრანგეთში ერთი რწმენის, ერთი კანონის და ერთი მეფის არსებობა (*une foi, une loi, uni roi*). ამ გზით განხორციელდა მეფის ნებისა და კანონის ნების გაიგივება: *si veut le roi, si veut la loi* (რაც სურს მეფეს, ის სურს კანონსაც). აქედან გამომდინარე, ლუდოვიკო მე-XIV-ს მართლაც შეეძლო ეთქვა *L'état c'est moi!* (სახელმწიფო, ეს მე ვარ!). ამის გათვალისწინებით ცხადია, აბსოლუტიზმის ეპოქაში (XVII-XVIII საუკუნეები) პიროვნების თავისუფლების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ადამიანი, ფაქტობრივად წარმოადგენდა ობიექტს, და არა სუბიექტს სამართლისა. მისი როლი პასიური იყო. მას ვეალებოდა დამორჩილებოდა ხელისუფლების განკარგულებებს; მისი თვითნებობის წინააღმდეგ კი არავითარი გარანტიები არ გააჩნდა.

ამრიგად, აბსოლუტურმა მონარქიამ ძლიერი დაბრკოლებები შეუქმნა ადამიანთა მისწრაფებას პოლიტიკური თავისუფლებისაკენ. არანაკლები დაბრკოლებები შეუქმნა მას კათოლიციზმის სულიერმა დესპოტიზმმა (ასეთი დესპოტიზმი გაცილებით ნაკლები ხარისხით იყო მართლმადიდებლობაში). თუ ქრისტიანობამ თავის დროზე რომში ძირი გამოუთხარა ადამიანთა ცნობიერებაში ცეზარიზმისა და უძლეველი სახელმწიფოსადმი მორჩილების იდეის ბატონობას, კათოლიკური ეკლესიის სახით იგი გადაიქცა უმკაცრეს დოგმატიკად, რომელიც განხილვასა და გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რეფორმატორული იდეები პირველად გაცხადებულ იქნა სწორედ რწმენის, ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის საკითხებში. რეფორმაცია დაეყრდნო გერმანულ-ფეოდალურ ინდივიდუალიზმს, რომელიც მთლიანად დათრგუნა აბსოლუტიზმმა და კათოლიციზმმა. რეფორმაციამ უარყო „ქრისტეს შუამავლების“ ხელისუფლება, მათდამი მორჩილება და გააცხადა სინდისის თავისუფლება. ეს, არაპირდაპირ, აბსოლუტიზმისათვის ჩაცემული ლახვარიც იყო; ვინაიდან, თუ დადგინდებოდა ადამიანის უფლება თავისი სინდისის შესაბამისი რწმენა ჰქონოდა, თუ სასულიერო თემობის ორგანიზაციები თავისუფალნი იქნებოდნენ, იმავდროულად დაშვებული უნდა ყოფილიყო შეკრებების (რელიგიურ თუ სხვ.), სიტყვის, აღზრდის, განათლებისა და სხვა თავისუფლებები. მართალია რეფორმატორული იდეების მქადაგებლები (მათ შორის **ლუთერი**)⁵ ასე შორს არ მიდიოდნენ, მაგრამ ეს პრინციპები აუცილებლად უნდა გასულიყვნენ და გავიდნენ კიდევაც რელიგიური სფეროს ფარგლებიდან პოლიტიკურ ურთიერთობების სფეროში. ეს ყველაზე ადვილად ინგლისში განხორციელდა, რამდენადაც რელიგიური ინდივიდუალიზმის მოძღვრება აქ ხელსაყრელ ნიადაგზე დაეცა. პარლამენტსა და სტიუარტებს შორის პოლიტიკური ბრძოლა და რეფორმატორული მოძრაობა ერთმანეთს შეერწყა და რევოლუციაში გადაიზარდა. ეს ადამიანის უფლებათა ახალი მონაპოვრით დაგვირგვინდა. ინგლისში მიღებული ორი დოკუმენტი – *ჰაბეას კორპუსის აქტი* (*Act of Habeas Corpus – 1679*) და *უფლებათა ბილი* (*Bill of Rights – 1689*) ადამიანის ძირითად უფლებათა განვითარების გზაზე მნიშვნელოვან

⁵ მარტინ ლუთერი, გერმანელი თეოლოგი და რეფორმატორი (1483-1546)

ეტაპს წარმოადგენდა. პირველმა მათგანმა შექმნა სასამართლო კონტროლის ეფექტიანი გარანტია უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ;⁶ მეორემ კი დაადგინა მეფისათვის პეტტიციით მიმართვის უფლება. ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში ადამიანის დაპატიმრება და დევნა უკანონოდ ჩაითვლებოდა და უნდა შეჩერებულიყო მეფის მიერ პეტტიციის განხილვამდე.

ინდივიდუალიზმის იდეამ, რომელიც მე-XVI საუკუნის რეფორმატორულმა მოძრაობამ დააბადა და ინგლისურ რევოლუციაში განხორციელდა, თავისი შემდგომი დადასტურება და განვითარება ჰპოვა ბუნებით სამართალსა და ფილოსოფიაში. შეიქმნა უზარმაზარი ლიტერატურა საზოგადოებრივი ხელშეკრულების, ადამიანის ბუნებითი უფლებების შესახებ. ეს იდეები გაბატონდა მე-XVIII საუკუნის საზოგადოებრივ მოღვაწეთა ცნობიერებაში. ბუნებითი სამართლისა და ბუნებითი უფლებების შესახებ ლოკის,⁷ ვოლფის,⁸ ბლეკსტონის,⁹ რუსოსა და სხვათა მიერ შექმნილი მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს ჰიპოთეზა პიროვნების აბსოლუტური საწყისი დამოუკიდებლობის შესახებ. ადამიანები დაიბადნენ სრულიად თავისუფალნი და თანასწორნი; სახელმწიფოდ გაერთიანებისას მათ სახელმწიფოს გადასცეს თავიანთი ხელისუფლების გარკვეული ნაწილი, რათა მას დაეცვა მათი დარჩენილი თავისუფლება. ამიტომ სახელმწიფოს (ხელისუფლების) მიზანია პიროვნების თავისუფლების დაცვა.

ამ იდეების ყველაზე ნათელ აღიარებასა და გამარჯვებას წარმოადგენდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ამ რევოლუციის შედეგად მიღებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ (*Déclaration des droits de l'homme et du citoyen*). 1786 წლის 26 აგვისტოს მიღებული ეს დეკლარაცია ყველაზე პირველი დოკუმენტია ევროპაში ადამიანთა თავისუფლებასა და თანასწორობას რომ აღიარებს.¹⁰ „ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და თანაბარი უფლებებით და ასეთებად რჩებიან. საზოგადოებრივი განსხვავებანი მათ შორის შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონით“ (მ.1). „თითოეული პოლიტიკური

⁶ სასამართლოში წარდგენის სტატუტორული უფლება დაპატიმრებულთათვის მანამდე დაადგინა ჰაბეას კორპუსის შესახებ 1640 წლის აქტმა. მაგრამ იგი ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფდა ამ უფლებას. 1979 წლის აქტმა შექმნა მექანიზმი დარღვეული უფლების აღდგენისა. განისაზღვრა სასამართლოში წარდგენის ვადა (დაპატიმრებიდან არაუმეტეს 20 დღე); სასამართლოს მიეცა უფლება, გაეშვა დაპატიმრებული თავდებით ან საწინდრით თავდებობის საფუძველზე. აიკრძალა ხელმოკრედ დაპატიმრება იმავე დარღვევისათვის; აგრეთვე, დაპატიმრებულის ინგლისის ფარგლებს გარეთ (ირლანდიაში, შოტლანდიაში ან სხვაგან) გაგზავნა. უფლებათა ბილმა (1689) დამატებითი გარანტიები შექმნა. მან აკრძალა ექსცესიური საწინდარის მოთხოვნა სასამართლოს მხრიდან (იხ. *The Oxford Companion to Law* by David M. Walker. 1980, გვ.545-546).

⁷ ჯონ ლოკი (Locke) – ინგლისელი ფილოსოფოსი (1632-1704). მისი ძირითადი შრომებია *Essays on the Law of Nature* (1954), *Letters on Toleration* (1968, 1690 და 1692); *Two treatises on Civil Government* (1690) და *Essay concerning on Civil Government* (1690).

⁸ ვონ ქრისტინ ვოლფი (Wolf) – გერმანელი ფილოსოფოსი (1679-1754) მისი მთავარი შრომაა *Philosophie première* (1729)

⁹ სერ უილიამ ბლეკსტონი (Blackstone) (1723-1780), იყო ინგლისის დედოფლის გენერალური სოლისიტორი, სამეფო სასამართლოს მოსამართლე. სახელი გაითქვა ლექციებით (ინგლისის სამართლის საკითხებზე) ოქსფორდის უნივერსიტეტში. მისი ძირითადი შრომაა *Commentaries on the Law of England* (1765-70).

¹⁰ მას ცოტათი უსწრებდა ამერიკული შტატების მიერ მიღებული ვირჯინიის დეკლარაცია (*Virginia Bill of Rights* – 1776 წლის 12 ივნისი), რომელიც ევროპულ ბუნებით სამართალსა და ინგლისური საერთო სამართლის ტრადიციებს ემყარებოდა. იგი ძირითადი უფლებების შესახებ მსოფლიოში პირველ სრულყოფილ დოკუმენტადაა აღიარებული (იხ. კ.კუბლაშვილი. *ძირითადი უფლებები*. გამომცემლობა „ჯვისია“, გვ.28).

კავშირის მიზანია ადამიანის ბუნებითი და ხელშეუვალ უფლებების დაცვა. ეს უფლებებია – თავისუფლება, საკუთრება, უსაფრთხოება და ძალადობისათვის წინააღმდეგობა“ (მ.2). დეკლარაციამ განმარტა თავისუფლების საზღვრები: „თავისუფლება ნიშნავს ყველაფრის კეთების უფლებას, რაც სხვას არ აყენებს ზიანს“ (მ.4).¹¹

თეორიებმა საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა და ბუნებითი უფლებების შესახებ უზარმაზარი გავლენა მოახდინა თანამედროვეთა ცნობიერებაზე და რეალურად გამოიწვია ყველაზე უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი რეფორმები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მე-XIX საუკუნეში კი შტირნერისა¹² და ნიცშეს გაბატონებულმა თეორიებმა, ანარქისტების, როგორც უკიდურესი ინდივიდუალისტების ვნებით აღსავსე შედახილებმა ახალი ელფერი შემატეს მოძღვრებას პიროვნების შესახებ, როგორც ერთადერთ რეალურ წყაროს ყოველგვარი სამართლისა, მორალისა და რელიგიისა, მიუხედავად მისი რაობისა თუ დოგმებისა.

პიროვნების თავისუფლების იდეა კიდევ უფრო განვითარდა შემდგომში; დამუშავდა პიროვნების თავისუფალი განვითარების, ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის, ერთმანეთისადმი მათი უფლება-მოვალეობების ფარგლების საკითხები.

მაგალითად ცნობილი მწერალი, პროფესორი **ესმეინი** 1903 წელს წერდა: „ცოცხალი ადამიანები, რომლებიც ქმნიან საზოგადოებას, არიან არსებები, რომლებსაც აქვთ ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა და უნარი, მართონ თავიანთი ქმედება. პოლიტიკური საზოგადოება ფუნქციონირებს მხოლოდ თავისი წევრების ინტერესებისათვის. უმთავრესი ინტერესი და ადამიანის უმთავრესი უფლება – ესაა შესაძლებლობა, თავისუფლად განავითაროს თავისი თვისებები. საუკეთესო გარანტია ამ განვითარებისა – ესაა პიროვნების უფლება, თავისი მიხედულებით წარმართოს იგი, თავისი ნებით, თავისი შიშითა და რისკით; მთავარია არ დაარღვიოს სხვათა უფლებები. პიროვნების თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფაში მდგომარეობს სწორედ სხვადასხვა თავისუფლებების აზრი. მათი პატივისცემის გარეშე პოლიტიკური საზოგადოება ვერ შესძლებს შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა და სახელმწიფო დაკარგავდა თავის აზრსა და არსებობის მიზეზს“.¹³

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ინგლისელი ფილოსოფოსისა და იურისტის **ჯ.ს.მილის**¹⁴ ტრაქტატს „თავისუფლების შესახებ“, რომელიც დღესაც კლასიკურად ითვლება ამ საკითხში. იგი საუბრობს ინდივიდებთან მიმართებაში უკვე არა სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების ხელისუფლების ფარგლებზე. მან წინა პლანზე წამოწია **საზოგადოების წინაშე პიროვნების პასუხისმგებლობის**

¹¹ საფრანგეთის 1958 წლის 4 ოქტომბრის (ამჟამად მოქმედი) კონსტიტუციის პრეამბულა ამ დეკლარაციას კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად აცხადებს.

¹² **მაქს შტირნერი (Stirner)** – გერმანელი ფილოსოფოსი (1806-1856)

¹³ **A. Esmein**, „Elements de droit constitutionnel“, 1903, გვ.381.

¹⁴ **ჯონ სტიუარტ მილი** (1806-73) როგორც ფილოსოფოსი, იგი განიცდიდა იერემია ბენტამის გავლენას. მისი ცნობილი შრომებია „ლოგიკის სისტემა“ (1843), „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“ (1848), „წარმომადგენლობითი ხელისუფლება“ (1861), „უტილიტარიანიზმი“ (1863).

ასპექტიც. „ერთადერთი მიზანი, რისთვისაც სახელმწიფოს ან საზოგადოებას უფლება აქვს ჩაერიოს თავისი წევრის თავისუფლებაში, არის თვითდაცვა და სხვა პირისათვის ზიანის მიყენების აცდენა... პიროვნება პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე იმდენად, რამდენადაც მისი მოქმედება ეხება სხვა პირებსაც. მაგრამ თუ მისი მოქმედება შეეხება მხოლოდ თვითონ მას, მისი თავისუფლება შეუზღუდველი უნდა იყოს“.

იგი ინდივიდურ თავისუფლებას ორ ნაწილად ჰყოფდა – შინაგან სფეროდ (სინდისის, აზრის, გრძნობის, შეხედულებებისა და სიმპათიების თავისუფლება, აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლება) და გარეგან სფეროდ (საქმიანობის, პროფესიის, ცხოვრების წესის თავისუფლად არჩევის, მოქმედების თავისუფლება და სხვ.).

ინგლისელი ფილოსოფოსი და სამართალმცოდნე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აზრისა და სიტყვის თავისუფლებას. მისი აზრით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დამლუპველია მაშინაც კი, როდესაც ეს ხდება საზოგადოების თანხმობით და, მით უფრო მაშინ, როდესაც ამას ხელისუფლება აკეთებს საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად. იგი მიიჩნევს, რომ ერთი ადამიანის იძულება, არ გამოავლინოს განსხვავებული შეხედულებები, ისეთივე დიდი ბოროტებაა, როგორც მთელი კაცობრიობის იძულება, რომ გაჩუმდეს.

მილმა შესანიშნავად დაასაბუთა, რომ დაშვებული უნდა ყოფილიყო თუნდაც საყოველთაოდ აღიარებული დებულების კრიტიკის შეუზღუდველობა. მან ასე დააყენა საკითხი:

– რას ემყარება საყოველთაოდ მიღებული დებულებების აბსოლუტური ჭეშმარიტება? რომელიმე აზრის გამოთქმის აკრძალვა იგივეა, რაც საზოგადოების მხრიდან თავისი უცოდველობის, თავისი შეუმცდარობის აღიარება. მილის აზრით, როდესაც განსხვავებული შეხედულებები მცდარია, ის მაინც შეიძლება შეიცავდეს ჭეშმარიტების ელემენტს, და სხვა შეხედულებებთან მისი შეჯერების შემდეგ, შეიძლება მოხდეს დანარჩენი ჭეშმარიტების მიღწევა. ხოლო როდესაც საზოგადოებრივი აზრი მართლაც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და იგი აღარ დაექვემდებარება კრიტიკას, იგი დაემგვანება სიძველის ფერით დაბინდულ აკვიატებულ აზრს და გაუფასურდება მისი გონივრული საფუძვლების გაგება. ეს ჭეშმარიტება დაკარგავს სიცოცხლისუნარიანობას და გახდება უბრალო ფორმალობა, რომელიც დააბრკოლებს გულწრფელი და დამოუკიდებელი შეხედულებების წარმოშობას.¹⁵

ტარნოვსკიმ (1906) ყურადღება გაამახვილა ინდივიდუალიზმისათვის საფრთხეზე თვით დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირობებშიც კი. მისი აზრით, არ შეიძლება **ყოფილიყო გამორიცხული უმრავლესობის მხრიდან უმცირესობის დათრგუნვა**. ამიტომ იგი ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარ

¹⁵ ინგლისურ ფილოსოფიურ ლიტერატურაში საერთოდ ჭარბობს ინდივიდუალიზმისადმი სიმპატიები. მილის გარდა, ინდივიდუალიზმის თეორეტიკოსებად შეიძლება დავასახელოთ **ა.სმიტი**, **ბენტამი**, **გ.სპენსერი**. ფრანგებიდან – **პრუდონი**. ყველაზე უფრო ნათელი ფილოსოფიური დასაბუთება ინდივიდუალიზმისა განახორციელა **შტირნერმა**.

გარანტიას ამ ღირებულებებით ადამიანთა გაჯერებულობაში, მის საერთო ეთიკურ-პოლიტიკურ ნორმად გადაქცევაში ხედავდა.¹⁶

თანდათანობით წინა პლანზე წამოიწია **თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტების მხრიდან თვითშეზღუდვის აუცილებლობის იდეამ**. აღიარებული იქნა ფორმულა: „მოიქეცი ისე, რომ თითოეული შენი საქციელი რაც შეიძლება მეტად შეესაბამებოდეს საერთო და სხვა პირთა ინტერესებს (იმანუილ კანტი, გეორგ ელინეკი).

როგორც ვხედავთ, მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნეში პიროვნების თავისუფლების, საზოგადოების ინტერესებთან მიმართებაში ამ თავისუფლების ფარგლების საერთო გაგება დასავლეთ ევროპაში უკვე მიუახლოვდა თანამედროვე ევროპულ შეხედულებებს. თუმცა მათი რეალური უზრუნველყოფა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. ომების (განსაკუთრებით მე-2 მსოფლიო ომის), რევოლუციების, სახელმწიფო გადატრიალებების, ხელისუფლების ცვალებადობის პერიოდებში არაერთხელ დარჩენილა იგი ქალაქდზე. სწორედ ამიტომ, მე-20 საუკუნე საერთაშორისო თანამშრომლობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ქმედითი საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმების შექმნით აღბეჭდა ადამიანთა თემობამ.

¹⁶ Е.Тарновскій, *Четыре свободы*, С.Петербург, 1906, გვ.75-76.

§1.2. გამონათვის თავისუფლების აღიარება და დაპყვიდრება ევროპაში

ბეჭდვის გამოგონებამდე გამონათვის თავისუფლების ისტორია ევროპაში მჭიდროდ უკავშირდება შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ისტორიას. ზეპირი სიტყვის თავისუფლებას მნიშვნელოვანწილად ისიც განსაზღვრავდა, იყო თუ არა დაშვებული შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება. უფრო მეტიც, ზეპირი სიტყვის თავისუფლება ერთგვარად გაიგივებულიც კი იყო ამ თავისუფლებებთან.

შეკრების, მიტინგის, გაერთიანების თავისუფლება ევროპაში ისეთივე კანონზომიერებით ვითარდებოდა, როგორც ადამიანის სხვა თავისუფლებანი.

აბსოლუტიზმის დროს, ცხადია, ეს თავისუფლება ვერ იქნებოდა დაშვებული, რადგან ხალხის შეკრება და პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი საფრთხეს უქმნიდა აბსოლუტიზმს, რომლის პრინციპიც იყო *divide et impera* (დაყავი და იბატონე).

ამიტომ ეს თავისუფლებანი შედარებით ფართოდ გამოიყენებოდა მხოლოდ რესპუბლიკური რომის დროს და აგრეთვე გერმანული ფეოდალიზმის ხანაში (სუსტი ცენტრალური ხელისუფლების არსებობისას). აბსოლუტური მონარქიების ეპოქაში ეს თავისუფლებანი მნიშვნელოვნად შეზღუდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო ინგლისი. მან ხელუხლებლად შეინარჩუნა ძველი გერმანული სამართალი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების სფეროში. ინგლისში პოლიტიკური შეკრებები და პოლიტიკური მიტინგები სერიოზულ როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში და, შესაბამისად, ისინი შეხედულებებისა და იდეების საჯაროდ გამოთქმის საშუალებას წარმოადგენდა.

საფრანგეთში 1789-81 წლებში პირველად დადგინდა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება „უიარაღოდ და პოლიტიკური კანონების დაცვით“. შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნების კონსტიტუციებმაც გაითვალისწინეს ეს თავისუფლებანი პოლიციური წესების დაცვის შესახებ ისეთივე დათქმით, რაც ასახავდა ხელისუფლების მხრიდან დაბალი ფენებისადმი უნდობლობას. ასეთი დათქმა არ იყო მხოლოდ ინგლისში. ბეჭდვის გამოგონების შემდეგ გამონათვის თავისუფლების რეალური მდგომარეობა ევროპაში უმთავრესად პრესის თავისუფლების მიხედვით განიზომებოდა. ამიტომ ჩვენც სწორედ მისი მიმოხილვა მივიჩნიეთ უფრო მნიშვნელოვნად.

* * *

პრესის თავისუფლების ისტორია 3 ძირითად ეტაპად შეიძლება დაიყოს:

1. მკაცრი წინასწარი ცენზურისა და მკაცრი რეპრესიული რეჟიმის ერთდროულად არსებობის პერიოდი;

2. წინასწარი ცენზურის გაუქმების შემდეგ მკაცრი რეპრესიული სისტემის¹ პერიოდი;

3. ლიბერალური რეპრესიული სისტემის ჩამოყალიბების ხანა.

პრესის რეალური თავისუფლების დამკვიდრება ევროპაში სწორედ ამ მესამე ეტაპიდან იწყება.

ნაბეჭდი სიტყვის მნიშვნელობა ევროპაში თავიდანვე, წიგნის ბეჭდვის გამოგონებისთანავე² დამსახურებულად იქნა შეფასებული. მისი ძლიერი გავლენა და ზემოქმედების უნარი მაშინვე აღიარეს, როგორც კი პირველი ნაბეჭდი წიგნები გამოჩნდა. უმაღლესი დანახული ისიც, რომ ზეპირი სიტყვისაგან განსხვავებით, ნაბეჭდი სიტყვა არ იკარგებოდა, იგი რჩებოდა და მომავალ თაობებს გადასცემდა იმ ვნებათაღელვას, რომლებიც მათ წინაპრებს გააჩნდათ. ამიტომ საეკლესიო ხელისუფლება შიშითა და უნდობლობით შეხვდა ადამიანის გონების ამ ახალ ნაწარმოებს. ვ.ჰიუგომ თავისი რომანის (პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი) პერსონაჟის პირით კარგად გადმოსცა ის განწყობილება, რომელიც წიგნის მიმართ შეექმნა კათოლიკურ ეკლესიას. იგი შიშობდა, რომ „წიგნი მოკლავდა ეკლესიას“. ამიტომ, წინასწარი ცენზურის პირველივე მცდელობები უკვე მე-XV საუკუნეში არსებობდა. 1501 წელს რომის პაპმა ალექსანდრე VI-მ დაადგინა ცენზურა ოთხ გერმანულ პროვინციაში იმ არგუმენტით, რომ „გაჩნდა ბევრი წიგნი, რომლებიც შეიცავდნენ მცდარ, ყალბ და დამლუპველ დოქტრინებს, მათ შორის – წმინდა ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ“. 1515 წელს, რეფორმაციის დაწყებამდე, უკვე შემოღებული იქნა ახალი წესი, რომელიც ითვალისწინებდა სასულიერო ცენზურას მთელი კათოლიკური სამყაროსთვის. „ამიერიდან ვერავინ გაბედავს ვერც რომში და ვერც სხვა ქალაქებსა თუ დიოცეზებში (საეპისკოპოსოებში) დაბეჭდოს რაიმე წიგნი ან თხზულება ადგილობრივი ეპისკოპოსის ან ინკვიზიტორის მიერ მისი განხილვისა და მოწონების გარეშე“. ბევრი დრო დაკარგეს მაშინ ეპისკოპოსებმა და ინკვიზიტორებმა ერეტიკოსების წიგნების განხილვასა და აკრძალვაში.

საერო ცენზურა დასავლეთ ევროპაში სასულიერო ცენზურის შემდეგ გაჩნდა. პირველი საერო ცენზურა დაარსდა გერმანიაში 1529-30 წლებში. ინგლისში დედოფლის პირველი განკარგულება წინასწარი ცენზურის შესახებ გამოცხადებულ იქნა 1530 წელს. საფრანგეთში იგი 1538 წელს დაარსდა.

წიგნის ბეჭდვის საქმის განვითარება აბსოლუტიზმის ეპოქას ემთხვევა (XVI-XVIII საუკუნეები). ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ აბსოლუტურმა მონარქიამ და ეკლესიამ დაუნდობელი ომი გამოუცხადა წიგნს. ამ ბრძოლაში ერთ მხარეს იყო დევნა, გასამართლება, სასჯელი, წამება; მეორე მხარეს – შეუიარაღებელი სიტყვა, უშიშრად რომ საუბრობდა სიმართლეზე. და სიტყვამ

¹ რეპრესიული სისტემა გამორიცხავს წინასწარ აკრძალვებს და შემოიფარგლება მხოლოდ „აზრის გამოხატვის“ შემდგომი (*post factum*) იურიდიული შედეგებით

² წიგნის საბეჭდი მანქანა გამოიგონა **იოჰანს გუტენბერგმა**, რომელიც ცხოვრობდა ქ.სტრასბურგში. პირველი წიგნი დაბეჭდა 1455 წელს (le Petit Larousse, 100^e édition, 2005. გვ.1421).

გაიმარჯვა. თანდათანობით პრესის თავისუფლება პრინციპულად იქნა აღიარებული ევროპულ ქვეყნებში და გაუქმდა წინასწარი ცენზურა ინგლისში – 1695 წელს, შვეციაში – 1766 წელს, დანიაში – 1770 წელს, საფრანგეთში – 1789 წელს, ნორვეგიაში – 1814 წელს, ბელგიასა და ნიდერლანდებში – 1815 წელს, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში და შვეიცარიაში – 1848 წელს, ესპანეთში – 1876 წელს. ყველგან დადგინდა რეპრესიული სისტემა. მართალია ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა პრესის რეალურ გათავისუფლებას, მაგრამ წინასწარი ცენზურის გაუქმება უკვე მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნიდა ამ თავისუფლების უკეთესად უზრუნველყოფისათვის.

ინგლისი

პირველი გამარჯვება პრესამ ინგლისში იზეიმა, სადაც მისი მდგომარეობა ტრაგიკული იყო კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების მწვავე დაპირისპირების გამო. წიგნებს წვაგდნენ ეჭვიანი კათოლიკეებიც და პროტესტანტებიც. ინგლისში მეფე ჰენრი მე-VIII-ის დროს სწავდნენ პროტესტანტულ წიგნებს. შემდეგ, როდესაც მეფემ განიზრახა განდგომოდა კათოლიკურ ეკლესიას, დაიწყო კათოლიკური წიგნების წვა. მეფე ედუარდ VI-ის დროს გრძელდებოდა კათოლიკური წიგნების დაწვა. დედოფალ მარიას დროს, რომელიც კათოლიკე იყო, სწავდნენ პროტესტანტულ წიგნებს. დედოფალ ელისაბედის დროს კი ისევ კათოლიკური წიგნების ჯერი დადგა.

1622 წელს ინგლისში დაარსდა პერიოდული პრესა – პირველი ყოველდღიური გაზეთი.³ მაგრამ ბეჭდვაზე საერთო ზედამხედველობას ახორციელებდა ცნობილი „ვარსკვლავური პალატა“, რომელიც წარმოადგენდა დესპოტიზმისა და თვითნებობის საშუალებას. სასჯელის გავრცელებული სახეები იყო სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, პირის აკერვა, ყურისა და მარჯვენა ხელის მოჭრა, სამუდამო პატიმრობა, ზოგჯერ სიკვდილით დასჯაც კი. მაგალითად დედოფალ ელისაბედის დროს ხელი მოჰკვეთეს ჯონ სტებს მხოლოდ იმიტომ, რომ მან დაწერა თხზულება პურიტანიზმის სასარგებლოდ (ინგლისური ეკლესიის წინააღმდეგ). 1637 წელს რელიგიური პაემლეტების შეთხზვისათვის (პურიტანიზმის სულისკვეთებით) სამ მწერალს მიესაჯა უზარმაზარი ჯარიმა, სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, ყურის მოჭრა და სამუდამო პატიმრობა. მართალია 1641 წელს „ვარსკვლავური პალატა“ გაუქმდა, მაგრამ სტიუარტების დინასტიის აღდგენის შემდეგ (1666წ.) ხელახლა შემოიღეს მკაცრი შეზღუდვები პრესისათვის სპეციალური სტატუტის საფუძველზე (*Licensing Act*); აღდგენილ იქნა წინასწარი ცენზურა და ერეტიკული თუ მემბოხე წიგნების ავტორებს მკაცრი სასჯელები ელოდებოდათ.

ე.წ. „სასახელო“ რევოლუციის შემდეგ (1681) წინასწარი ცენზურა სულ მალე გაუქმდა. იმ პერიოდისათვის ზემოაღნიშნულ აქტს (ბეჭდვის ნებართვის შესახებ) გაუვიდა ვადა. დაისვა საკითხი ვადის გაგრძელების შესახებ. თემთა

³ პირველი გაზეთი მთელს ევროპაში, როგორც პერიოდული გამოცემა, დაარსდა ანტვერპენში (ბელგია) 1605 წელს.

პალატა ამის წინააღმდეგი იყო. ლორდთა პალატა კი მოითხოვდა ვადის გაგრძელებას. თემთა პალატამ მოამზადა სპეციალური კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა წინასწარი ცენზურის აქტის გაუქმებას და მოტივირებული იყო. თუმცა, ეს მოტივაცია პრინციპულ მოსაზრებებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ პრაქტიკულ, უტილიტარულ მოსაზრებებს (მაგალითად, ნათქვამი იყო, რომ წინასწარი ცენზურა აბრკოლებდა წიგნით ვაჭრობას და იყო სამართალდარღვევათა ჩადენის საბაბი). როდესაც ეს ბილი ლორდთა პალატამ მეორედ განიხილა, აღარ გამოთქმულა საწინააღმდეგო მოსაზრებები. ამრიგად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, წინასწარი ცენზურა ინგლისში გაუქმდა 1695 წელს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სრულ თავისუფლებას. მართალია ყველას შეეძლო ის დაებეჭდა, რაც სურდა, მაგრამ მათ ემუქრებოდათ დევნა „პასკვილების შესახებ“ გაუგებარი და ბუნდოვანი კანონის საფუძველზე. ამ კანონის შინაარსი იმდროინდელი იურისტებისთვისაც კი გაუგებარი იყო. მაგალითად, ინგლისური სამართლის კარგი მცოდნე **უილიამ ფითი** (პირველი)⁴ (XVIII ს.). ამბობდა, „რაც შემეხება მე, არასოდეს მესმოდა, თუ რა არის პასკვილი“.

ამ კანონის საფუძველზე ბევრი მწერალი დაისაჯა. მაგალითად დანიელ დეფო პასკვილისათვის, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ინგლისური ეკლესიის პოლიტიკა დისიდენტების მიმართ. მწერალს მიესაჯა სამარცხვინო ბოძზე გაკვრა და განუსაზღვრელი ვადით პატიმრობა (მისი უდიდებულესობის მიხედულებით). მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაათავისუფლეს დეფო გავლენიანი მეგობრების წყალობით. ასე რომ, მე-18 საუკუნის ინგლისში თავისუფალი პრესა არ არსებობდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ აქ ვითარება მაინც უფრო უკეთესი იყო, ვიდრე კონტინენტურ ევროპაში, სადაც ბატონობდა მკაცრი საერო და სასულიერო ცენზურა.

რეალური გარდატეხა მოხდა მე-18 საუკუნის ბოლოს, 1792 წელს, როდესაც ინგლისის პარლამენტმა მიიღო სპეციალური აქტი, რომლითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაეცა პრესის საქმეების განხილვის უფლებამოსილება. მთავარი ის იყო, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არა მარტო იმის უფლება გადაეცა, განეხილა საკუთრივ პუბლიკაციის ფაქტი, არამედ იმისაც, რომ თავად შეეფასებინა, წარმოადგენდა თუ არა პუბლიკაცია სამართალდარღვევას და მოქმედებდა თუ არა პირი ბრალეულად. ფაქტობრივად ამ პერიოდიდან დაიწყო პრესის თავისუფლება ინგლისში. დადგინდა აზრის გამოხატვის თავისუფლების საზღვარი – გამოთქმული შეხედულებები არ უნდა ყოფილიყო სამართალდარღვევა; ხოლო საკუთრივ ის საკითხი, ჩაითვლებოდა თუ არა გამოთქმული შეხედულებები სამართალდარღვევად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა. მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც თავს შეურაცხყოფილად ჩათვლიდა, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა პირს, შეეძლო საქმე აღედრა ავტორის წინააღმდეგ ცილისწამების ან დიფამაციისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, რომელსაც შეეძლო გამოეყენებინა

⁴ Pitt William (the first) (1708-1778) – ინგლისელი პოლიტიკოსი, ინგლისური ნაციონალიზმის ლიდერი. (La Petit Larouse, 2005, გვ.1644).

ადმინისტრაციული ღონისძიებები პერიოდული გამოცემის ან პასკვილის ავტორის მიმართ. მაშინაც კი, როდესაც საქმე შეეხებოდა შეიარაღებული აჯანყებისა თუ დაუმორჩილებლობისაკენ მოწოდებას, ინგლისის მთავრობას არ შეეძლო გაზეთის დახურვა, შესაბამისი ნომრის კონფისკაცია ან განადგურება. ეს მხოლოდ სასამართლოს საშუალებით და საქმის არსებითი განხილვის შემდეგ შეიძლებოდა მომხდარიყო.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ინგლისში ისტორიულად დიდი როლი შეასრულა ამ თავისუფლების რეალური დამკვიდრების საქმეში; განსაკუთრებით იმით, თუ როგორ ახდენდა იგი დასაშვები თუ დაუშვებელი შეხედულებების განსაზღვრას, რას მიიჩნევდა გასაკიცხად და რას არა. ინგლისის სამეფო სასამართლოს მთავარი მოსამართლე **ლორდი კენიონი** წერდა ერთი ლიტერატურული პროცესის შემდეგ: პრესის თავისუფლების არსის გაგება იოლია. თითოეულ ადამიანს შეუძლია დაბეჭდოს ყველაფერი, რასაც 12 თანამოქალაქე (იგულისხმებიან ნაფიცი მსაჯულები) არ მიიჩნევს გასაკიცხად.

ამგვარად, ინგლისში ჩამოყალიბდა რეპრესიული სისტემა. პრესის თავისუფლება შეზღუდული იყო სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებით. პასუხისმგებლობის ფარგლები ძალზე ელასტიური და მოქნილი იყო, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიხედულების ფართო შესაძლებლობას აძლევდა. ეს შესაძლებლობა მათ პრესის თავისუფლების სასარგებლოდ გამოიყენეს. რაიმე სპეციალური კანონი პრესის დარღვევების შესახებ ინგლისში არასდროს მიუღიათ. ინგლისში დამკვიდრებული მაღალი სტანდარტები შემდეგ ფართოდ გავრცელდა ყველა ანგლო-საქსურ მიწაზე.

საფრანგეთში

საფრანგეთში პრესის თავისუფლებამ სხვა გზა გაიარა. საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე, აბსოლუტური მონარქიის პოლიტიკური წყობის შესაბამისად, მოქმედებდა მკაცრი წინასწარი ცენზურა და მკაცრი სისხლისსამართლებრივი რეპრესია ბეჭდვის შესახებ სხვადასხვა წესების დარღვევისათვის. მთავრობისათვის არასასიამოვნო თხზულების ავტორს ემუქრებოდა სამეფოდან გაძევება ან ციხე. 1757 წელს შემოიღეს სიკვდილით დასჯა ისეთი თხზულებისათვის, რომელიც წარმოადგენდა თავდასხმას რელიგიაზე, მეფის ხელისუფლების შეურაცხყოფას ან სახელმწიფოში წესრიგისა და სიმშვიდის დასარღვევად „ტვინების აღზნებას“.

შეზღუდული იყო საკუთრივ ტიპოგრაფიების ნებადართული რაოდენობაც. მთელს საფრანგეთში დაშვებული იყო მხოლოდ 250 ტიპოგრაფიის არსებობა. ეს წესი მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში იყო შენარჩუნებული მიუხედავად მოსახლეობის მოთხოვნილებების გაზრდისა.

გარდატეხა დიდმა რევოლუციამ შეიტანა. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ (მე-11 მუხლში) პირდაპირ და პირველად ევროპაში გამოაცხადა თავად პრინციპი: „*იდეებისა და შეხედულებების თავისუფალი*

გავრცელება ადამიანის ერთ-ერთი უძვირფასესი უფლებაა; ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, თავისუფლად ილაპარაკოს, წეროს და ბეჭდოს იმ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელიც მას ეკისრება ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებისას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (მ.11); დაუშვებელია ადამიანზე ზეწოლა აზრის, მათ შორის – რელიგიური აზრის გამოთქმის გამო, თუკი ამ გამონათქვამით არ ირღვევა კანონით განსაზღვრული საჯარო წესრიგი (მ.10). ეს პრინციპები შემდგომ დაამტკიცა 1791 წლის კონსტიტუციამ. იგი უზრუნველყოფს ყველას უფლებას, ილაპარაკოს, წეროს, ბეჭდოს და გამოაქვეყნოს თავისი შეხედულებები ყოველგვარი ცენზურისა თუ ზედამხედველობის გარეშე.

თითქოს დადგა თავისუფალი პრესის ეპოქა. გაიზარდა პერიოდულ გამოცემათა რიცხვი, აღორძინდა საჟურნალო საქმიანობა, გაჩნდა ახალი ტიპოგრაფიები. მაგრამ სახელმწიფო გადატრიალებები და კონსტიტუციის შეცვლა უარყოფითად აისახა პრესის თავისუფლებაზე. 1793 წელს კონვენტის დეკრეტით შემოღებული იქნა მკაცრი სასჯელები, მათ შორის – სიკვდილით დასჯა იმ ავტორებისა და გამომცემლებისა, რომლებიც ავრცელებდნენ შეხედულებებს მეფის ხელისუფლების აღდგენისა და საერთოდ კონვენტისადმი მტრული შეხედულებების გავრცელებისათვის. ტერორის დროს არაერთი ჟურნალისტი და მწერალი დაიღუპა გილიოტინის თავსაკვეთი დანით.

ნაპოლეონ I-ის დროს ფრანგული პრესა უმძიმეს პირობებში იმყოფებოდა. მისი მმართველობის დროს 73 გაზეთიდან, რომლებიც პარიზში გამოდიოდა, დარჩა მხოლოდ 4. ბურბონების დროს, მათი რეაქციული პოლიტიკის წყალობით, პრესა ისევ უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. მხოლოდ 1830 წლის რევოლუციის შემდეგ მოსულმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ აღადგინა (თანაც არასრულად) პრესის თავისუფლების პრინციპი, რომელიც 1789 წლის კონსტიტუციით იყო გაცხადებული. მე-2 იმპერიის დროს⁵ დადგა ისევ რეაქციული ხანა. მართალია წინასწარი ცენზურა არ აღდგენილა, მაგრამ ჩამოყალიბდა პრესაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის განსაკუთრებული სისტემა, რაც ძალზე აიოლებდა გამომცემლობების საქმიანობის შეჩერებას, მათ საერთოდ დახურვასა და გამომცემელთა დასჯას. დანაშაულებრივ პუბლიკაციას

⁵ იგულისხმება ნაპოლეონ III-ის მმართველობის ხანა.

1789 წლის რევოლუციის შემდეგ რესპუბლიკური და მონარქიული მმართველობის მონაცვლეობისა და კონსტიტუციური ცვლილებების გამო საფრანგეთის ისტორიის შესაბამის პერიოდებს შემდეგნაირად აღნიშნავენ:

პირველი რესპუბლიკა (1789-1799) – 1789 წლის რევოლუციის შემდგომი რესპუბლიკური მმართველობა;

პირველი იმპერია (1799-1815) – ნაპოლეონ I-ისა და ბურბონების მმართველობა;

მეორე რესპუბლიკა (1848-1852) – 1848 წლის რევოლუციის შემდგომი რესპუბლიკური მმართველობა;

მეორე იმპერია (1852-1870) – ნაპოლეონ III-ის შედარებით ლიბერალური მმართველობა;

მესამე რესპუბლიკა (1870-1940) – რესპუბლიკური საპარლამენტო დემოკრატიული მმართველობა, რომელიც დამყარდა საფრანგეთ-პრუსიის ომში ნაპოლეონ III-ის იმპერიის დამხობის შემდეგ და გავრძელდა საფრანგეთში გერმანიის მესამე რაიხის შეჭრამდე;

ოკუპაციის პერიოდი (1940-1944)

მეოთხე რესპუბლიკა (1946-1958) – 1946 წლის 13 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციის შესაბამისად დამყარებული რესპუბლიკური მმართველობა;

მეხუთე (ამჟამინდელი) რესპუბლიკა (1958...) – 1958 წლის 5 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციის შემდგომი ცენტრალიზებული საპრეზიდენტო მმართველობა.

შეიძლება მოჰყოლოდა გამოცემის შეწყვეტა; საქმეს კი განიხილავდა სამეფო და არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. გარდა ამისა, საერთო უშიშროების მოტივით, მთავრობას სასამართლოს გარეშე შეეძლო დაეხურა გაზეთი. ეს გრძელდებოდა მე-2 იმპერიის უკანასკნელ წლებამდე. ამრიგად, მე-19 საუკუნის 70-იან-80-იან წლებამდე საფრანგეთში პრესა არ სარგებლობდა ისეთი თავისუფლებით, როგორც ინგლისსა და აშშ-ში. მე-2 იმპერიის დამხობისა და მე-3 რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, როგორც იქნა პრესა საბოლოოდ გათავისუფლდა და აღდგა ის გარანტიები, რომლებიც 1791 წლის კონსტიტუციით იყო გაცხადებული. 1881 წელს მიღებული იქნა აქტი, რომელმაც დაადგინა, რომ პრესა თავისუფალი იყო არა მარტო წინასწარი ცენზურისაგან, არამედ ყოველგვარი ადმინისტრაციული ზედამხედველობისაგან. ინგლისის მსგავსად, დამკვიდრდა ლიბერალური რეპრესიული სისტემა. პრესის თავისუფლების ფარგლები დადგენილ იქნა კანონმდებლობით, რომელიც ითვალისწინებდა შესაძლო გადაცდომებს (ესენი იყო სხვათა შეურაცხყოფა ან დიფამაცია, ზნეობრივი წესების დარღვევა, რომელშიც იგულისხმებოდა უხამსი თხზულებების, გრავიურებისა თუ სურათების პუბლიკაცია და სხვ.); შეიზღუდა სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებაც; დადგენილ იქნა პრინციპი, რომლის მიხედვით იკრძალებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა განსხვავებული შეხედულებების გავრცელებისათვის. ამ პრინციპის საფუძველზე გაუქმდა ყოველგვარი პასუხისმგებლობა ე.წ. „აზრობრივი გადაცდომებისათვის“ (*delits d'opinion*), რომლებიც მანამდე სისხლის სამართლით იდევნებოდა. კერძოდ:

ა) კანონისადმი დაუმორჩილებლობისაკენ წაქეზებისათვის (კომისიამ, რომელმაც 1881 წლის კანონი მოამზადა, მიიჩნია, რომ ასეთი გადაცდომის სამართლებრივი შინაარსი ბუნდოვანი იყო და ამიტომ თვითნებობის წყარო შეიძლება გამხდარიყო. გარდა ამისა, იგი არ იძლეოდა შესაძლებლობას „რეალური პროვოკაცია“ განესხვავებინათ „კანონების კრიტიკისაგან“).

ბ) რელიგიური და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხყოფისათვის;

გ) სახელმწიფო რელიგიის შეურაცხყოფისათვის, სახელმწიფოს, ოჯახისა და საკუთრების პრინციპების უარყოფისათვის (კომისიამ მიიჩნია, რომ ეს განეკუთვნებოდა აბსტრაქტული მსჯელობის სფეროს. შესაბამისად, ამა თუ იმ თეორიისა თუ რელიგიური აღმსარებლობის კრიტიკისა თუ გაკიცხვის აკრძალვა ფაქტობრივად ფილოსოფიისა და მეცნიერების აკრძალვას უდრიდა).

დ) კონსტიტუციის, სახალხო თვითმპყრობლობისა და საყოველთაო არჩევნების პრინციპების კრიტიკისათვის;

ე) მთავრობის სიძულვილისა და მისდამი უკმაყოფილების გაღვივებისათვის; (კომისიამ ასე დაასაბუთა: სიძულვილის გრძნობა არ არის გადაცდომა; უკმაყოფილება – მით უფრო. მაშ როგორღა შეიძლება, ამა თუ იმ გრძნობის აღძვრა გადაცდომა იყოს?!)

ვ) გადაცდომის ჩადენისაკენ წაქეზებისათვის, თუ მას არ მოჰყვა შედეგი და სხვა.

საფრანგეთის კანონის ამ დებულებებმა, განსაკუთრებით – ხელისუფლების კრიტიკის დასაშვებობის შესახებ, დიდი გავლენა მოახდინა ევროპაში

პოლიტიკური სიტყვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის დამკვიდრების საქმეში. მოწინავე საზოგადოება მას აღფრთოვანებით შეხვდა ევროპის იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ძლიერ ჩამორჩებოდნენ ამ მიმართებით. **ტარნოვსკი** სინანულით აღნიშნავდა: ჩვენ, რუსებმა, ძალიან ცოტა რამ ვიცით, უფრო სწორად, არაფერი ვიცით სიტყვის თავისუფლების შესახებ, რომელიც არ იქნება დაკავშირებული არც გარეგან შიშთან და არც შინაგან მორჩილებასა და კაბალასთან.⁶ თუმცა მას სწამდა, რომ როგორც არ უნდა განვითარებულიყო მოვლენები, რუსეთშიც აუცილებლად იზეიმებდა პრესის სრული თავისუფლება.⁷

ასეა თუ ისე, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ **თავისუფალი პრესა პიროვნების თავისუფლების იდეის გამარჯვების ნაყოფია**. თავისუფალ პრესას, რომელიც ევროპის დიდ ნაწილში 200 წლის განმავლობაში თანდათანობით მკვიდრდებოდა, თავის მხრივ, დიდი წვლილი შეჰქონდა მოვლენების განვითარებაში საზოგადოებრივი პროგრესისაკენ მიმავალ გზაზე დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოების ჩამოყალიბების, თავისუფლების, თანხმობისა და სამართლიანობის დამკვიდრების საქმეში.

მართალია, გამოხატვის თავისუფლებამ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გზა გაიარა, მაგრამ საერთო იყო ის კონცეპტუალური საფუძველი, რასაც მისი აღიარება დაემყარა; საერთო იყო წარმოდგენები ამ თავისუფლების შინაარსის, მნიშვნელობისა და როლის, აგრეთვე – მისი ფარგლების შესახებ სხვა ადამიანისა თუ საზოგადოების საერთო ინტერესებთან მიმართებაში.

თუნდაც მხოლოდ ამის გათვალისწინებით, სავსებით კანონზომიერი იყო ის, რომ 1950 წლის 4 ნოემბერს, მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა და რომელმაც ფეხქვეშ გათელა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ევროპულმა სახელმწიფოებმა, რომლებსაც ჰქონდათ „პოლიტიკური ტრადიციების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა“, დაადასტურეს „თავიანთი ერთგულება იმ ძირითადი თავისუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება საყოველთაო სამართლიანობა და მშვიდობა“ და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი აღსრულებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად“, „მათი ერთობლივი აღსრულებისათვის“⁸ ხელი მოაწერეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის (ევროპულ) კონვენციას.

როგორც თავად ევროპული კონვენციის დებულებები, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოწმობს, რომ ისინი მართლაც ამ საერთო ტრადიციებითა და გამოცდილებით არის ნასაზრდოები, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების დაცვის, ადამიანის უფლებებისა და საჯარო ინტერესების დაბალანსების სფეროში.

⁶ **Е.Тарновскій. Четыре свободы.** С-Петербург, 1906, გვ.74.

⁷ რუსეთის იმპერიაში წინასწარი ცენზურა გაუქმდა 1905 და 1906 წლებში მიღებული დროებითი წესების შესაბამისად, თუმცა პრინციპულად ამას ვითარება არ შეუცვლია

⁸ იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პრეამბულა.

თ ა ვ ი 2

გამონახვის თავისუფლება კონვენციის სისტემაში

იმისათვის, რათა ზედმიწევნით გავერკვეთ საჯარო ან სხვა პირთა უფლებებთან და ინტერესებთან გამოხატვის თავისუფლების სამართლიანი დაბალანსების პრობლემატიკაში, აუცილებელია სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ, ერთი მხრივ, იმაზე, თუ როგორია სხვა ინტერესების დასაცავად კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა; უფლებათა როგორი კატეგორიზაციაა შესაძლებელი მათი დაცულობის ფარგლების მიხედვით და, შესაბამისად, რომელ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი გამოხატვის თავისუფლება კლასიფიკაციის ამგვარ სისტემაში. მეორე მხრივ, აუცილებელია განვსაზღვროთ, თუ რა მიმართებაშია გამოხატვის თავისუფლება კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებთან თუ კონვენციის ცალკეულ დებულებებთან, რომელი უფლებების მომიჯნავეა ის, ანდა რომელ უფლებებს უკავშირდება გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად მათი ერთობლივი დარღვევის აღიარება.

§2.1. კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა კლასიფიკაცია დაცულობის ფარგლების მიხედვით

კონვენციით უზრუნველყოფილ უფლებათა ფარგლებს ცხადია, პირველ რიგში, შესაბამისი მუხლის შინაარსი და კონსტრუქცია განსაზღვრავს. მაგრამ მხოლოდ მათი მიხედვით საბოლოო დასკვნის გამოტანა შესაბამისი უფლების დაცულობის ფარგლების თაობაზე ყოველთვის არ არის საკმარისი. იმავდროულად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონვენციის სხვა მუხლებში მითითებული ზოგადი ხასიათის დებულებები, რომლებიც ამა თუ იმ პირობებში უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას ითვალისწინებენ (მხედველობაშია უწინარესად კონვენციის მე-15 მუხლი, რომელიც ომის, ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფოს კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან უკან დახვევის უფლებამოსილებას ანიჭებს).

დაცულობის ფარგლების მიხედვით კონვენციის უფლებები ორ ძირითად კატეგორიად უნდა დაიყოს:

1. უფლებები, რომლებიც არ ექვემდებარებიან შეზღუდვებს.
2. უფლებები, რომლებიც ექვემდებარებიან მას.

უფლებები, რომლებიც არ ექვემდებარებიან შეზღუდვებს **აბსოლუტური უფლებებია**. ისინი არანაირ პირობებში არ შეიძლება შეიზღუდოს. ასეთი შესაძლებლობა არც შესაბამის მუხლშია დაშვებული (ისინი, როგორც წესი, აკრძალვის ფორმითაა ჩამოყალიბებული) და არც კონვენციის მე-15 მუხლში, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროს უფლებათა დროებით შეზღუდვის

შესაძლებლობას დასაშვებად აცხადებს. ეს უფლებებია სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი), ოღონდ ნაწილობრივ, წამების, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა (მე-3 მუხლი), მონობის აკრძალვა (მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი), არავითარი დანაშაული და სასჯელი კანონის გარეშე (მე-7 მუხლი), სიკვდილით დასჯის გაუქმება (მე-6 ოქმის 1-ლი მუხლი)¹ ხელმოკრულ გასამართლებისა და დასჯის აკრძალვა (მე-7 ოქმის მე-4 მუხლი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია კონვენციის მე-15 მუხლის ჩამონათვალში მითითებულნი არ არიან, მაგრამ აბსოლუტურ უფლებებს განეკუთვნებიან კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული „აზრის თავისუფლება“ და კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული „ადამიანის უფლება გააჩნდეს საკუთარი აზრი“. შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ მათი გამომჟღავნების შემთხვევაში.

უფლებები, რომლებიც შეზღუდვებს ექვემდებარებიან, თავის მხრივ ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს.

I. უფლებები, რომლებიც მხოლოდ კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე კონვენციიდან უკან დახევის დროს შეიძლება შეიზღუდოს. მაგალითად, ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება (მე-13 მუხლი), საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, ნაწილობრივ (მე-6 მუხლი), თავისუფალი არჩევნების უფლება (პირველი ოქმის მე-3 მუხლი), მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა (მე-4 ოქმის მე-3 მუხლი), უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა (მე-4 ოქმის მე-4 მუხლი) და სხვა.

II. უფლებები, რომლებიც ექვემდებარებიან შეზღუდვებს არა მარტო კონვენციის მე-15 მუხლის, არამედ საკუთრივ იმ მუხლების საფუძველზეც, რომლებიც შესაბამის უფლებას უზრუნველყოფენ. ამასთან, ასეთი შესაძლებლობა შესაბამის მუხლში ზოგჯერ გამონაკლისის სახითაა დაშვებული და ეს გამონაკლისები მასში პირდაპირ და ამომწურავადაა მითითებული (მაგალითად, სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი), თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი), სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება (მე-7 ოქმის მე-2 მუხლი). ზოგჯერ კი უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა ზოგადად არის მითითებული და იგი ეროვნული შეფასების თავისუფლების შედარებით უფრო ფართო ფარგლებს გულისხმობს. სახელმწიფოს ეძლევა უფლება შეზღუდოს უფლების განხორციელება, თუ იგი ამას აუცილებლად მიიჩნევს საჯარო ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად. თუმცა, საკუთრივ ამ კანონიერ ინტერესთა ჩამონათვალი ამომწურავია და სახელმწიფოს არა აქვს უფლება შეზღუდოს უფლება რაიმე სხვა ისეთი კანონიერი ინტერესის დასაცავად, რომელიც შესაბამისი მუხლებით არ არის სახელდებით გათვალისწინებული. ასეთ უფლებებს

¹საკუთრივ მე-6 ოქმი მე-2 მუხლში ითვალისწინებდა სახელმწიფოს უფლებას, კანონმდებლობით გათვალისწინებინა სიკვდილით დასჯა ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებისათვის. მაგრამ კონვენციის მე-13 ოქმმა (2002 წლის 3 მაისი) სიკვდილით დასჯა მთლიანად (ყველა ვითარებაში) აკრძალა.

მიეკუთვნება, მაგალითად, საქმის *საქვეყნოდ განხილვის უფლება* (მოიცავს მე-6 მუხლი), *სინდისისა და რელიგიის თავისუფლება* (მე-9 მუხლი), *შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება* (მე-11 მუხლი), *საკუთრების უფლება* (1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი), *მიმოსვლის თავისუფლება* (მე-4 ოქმის მე-2 მუხლი), *უცხოელის პროცედურული უფლებები გაძევებასთან დაკავშირებით* (მე-7 ოქმის 1-ლი მუხლი). *გამონათვის თავისუფლებაც უფლებათა ამ კატეგორიას მიეკუთვნება.*

აბსოლუტური უფლებების გარდა, ყველა სხვა უფლება შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად,² მაგრამ მათი შეზღუდვის საფუძველი განსხვავებულია.

კონვენციიდან უკან დახევის დროს უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა, იმის მიუხედავად, თუ რომელი კატეგორიის უფლებასთან გვაქვს საქმე, გამოიყენება პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ და შეზღუდვის საფუძველი არ უკავშირდება კონკრეტული შემთხვევის გარემოებებს და მათგან წარმომდგარ საფრთხეს. მაშინ, როდესაც სხვა დანარჩენ შემთხვევაში განხორციელებული შეზღუდვები კონვენციის შესაბამისი მუხლის საფუძველზე, ყოველთვის კონკრეტულ შემთხვევას ეყრდნობა. სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ შესაბამის კონკრეტულ შემთხვევაში უფლების შეზღუდვა წარმოადგენდა კონვენციით დაშვებულ გამონაკლისს, ანდა აუცილებელი იყო შესაბამისი კანონიერი ინტერესის დასაცავად.

ამრიგად, გამონათვის თავისუფლება მიეკუთვნება უფლებათა იმ კატეგორიას, რომელიც ექვემდებარება შეზღუდვას როგორც კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე (რომელიც პირთა განუსაზღვრელ წრეს შეეხება), ისე შესაბამისი მუხლის საფუძველზე, რომლის გამართლებულობაც კონკრეტული შემთხვევის მიხედვით განისაზღვრება.

² აქვე, აუცილებლად გვესახება შემდეგი კომენტარი:

ზოგიერთი უფლება კონვენციაში ისეთი ფორმითაა ჩამოყალიბებული, რომ ძნელია ცალსახად იმის თქმა, თუ უფლებათა რომელ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს იგი. ეს ის უფლებებია, რომელთა შეზღუდვის შესაძლებლობას შესაბამისი მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს, მაგრამ მათი შინაარსობრივი ფარგლების განსაზღვრისა და მათი განხორციელების საკითხების დარეგულირება მთლიანად მიეკუთვნება ეროვნული ხელისუფლების უფლებამოსილების სფეროს. ასეთია მაგალითად, *ქორწინების უფლება*. კონვენციის მე-12 მუხლი მიუთითებს, რომ მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება „ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას“. იგივე შეიძლება ითქვას პირველი ოქმის მეორე მუხლით უზრუნველყოფილ „*განათლების უფლებაზე*“.

გარდა ამისა, სადავოდ გვესახება ზოგიერთ უფლებასთან მიმართებაში კონვენციის მე-15 მუხლის მოქმედების გავრცელება. მაგალითად მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში გადმოცემულ უფლებათა ჩამონათვალში, რომლებზედაც არ ვრცელდება უკან დახევის უფლებამოსილება, მითითებული არ არის კონვენციის მე-4 ოქმის 1-ლი მუხლით უზრუნველყოფილი უფლება – „*ვაღალაუფალობის გამო თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა*“. ამით ფაქტობრივად დაშვებულია იმის შესაძლებლობა, რომ თითქოს იმის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის პირობებში შეიძლება აუცილებელი გახდეს პიროვნებისათვის თავისუფლების აღკვეთა „*მხოლოდ იმის გამო, რომ არ შესწევს უნარი შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება*“. ვფიქრობთ, რომ ამ უფლებიდან უკან დახევა არ არის ობიექტურ და ლოგიკურ კავშირში იმ მიზნების შესრულებასთან, რასაც კონვენციის მე-15 მუხლით უზრუნველყოფილი უკან დახევის უფლების გამოყენება უნდა ემსახურებოდეს. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ სხვა უფლებაზეც.

თუ კიდევ უფრო შევზღუდავთ იმ უფლებათა წრეს, რომელთა დაცულობის საერთო ფარგლები გამოხატვის თავისუფლების მსგავსად განისაზღვრება, ეს იქნება უფლებები, რომელთა შესაზღუდად შემდეგი ერთგვაროვანი პირობებია დაწესებული: შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით, ემსახურებოდეს შესაბამის მუხლში მითითებულ ერთ ან რამდენიმე კანონიერ ინტერესს და „აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში“ დასახული მიზნის მისაღწევად. ასეთი უფლება, გამოხატვის თავისუფლების გარდა, კონვენციაში კიდევ ოთხია. ესენია: პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი), სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მე-9 მუხლი), შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მე-11 მუხლი) და მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 ოქმის მე-2 მუხლი).

როგორც ვხედავთ, ყველა მათგანი თავისუფლების უფლებაა – ისინი უზრუნველყოფენ ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა, სახელმწიფოს ჩარევისაგან თავისუფალ სფეროებს. ისინი ადამიანის ისეთი ძირითადი უფლებებია, რომელთა განხორციელებაში სახელმწიფო შეიძლება ჩაერიოს მხოლოდ საერთო საჯარო ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.³ ყოველგვარი „თავისუფლების“ გაგება შემოზღუდულია სხვათა თავისუფლებით და საერთო საზოგადოებრივი ინტერესებით. **სახელმწიფოს მიზანია დაიცვას ყველა ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი და იზრუნოს საერთო კეთილდღეობისათვის. აქედან წარმოდგება ლეგიტიმური საფუძველი სახელმწიფოს უფლებისა, ჩაერიოს ამა თუ იმ თავისუფლების განხორციელებაში, თუ იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოების ან მის ცალკეულ წევრთა ინტერესებს.**

აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკური და გამართლებულია როგორც თავისთვად ის, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია უშვებს საჯარო და სხვა პირთა ინტერესების დასაცავად პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის, რწმენისა და რელიგიის გამჟღავნების, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების, აგრეთვე, მიმოსვლის თავისუფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას, აგრეთვე, ისიც, რომ იგი მათი შეზღუდვის ერთგვაროვან პირობებს ადგენს. თუმცა, ცხადია, რომ ამ თავისუფლებათა განსხვავებული მნიშვნელობის, სპეციფიკისა თუ ონტოლოგიური ბუნების გამო მათი შეზღუდვის გამართლებულობის შესაფასებელი კონკრეტული კრიტერიუმები და სტანდარტები განსხვავებულია.

³ „ძირითად უფლებათა“ ცნების, სახეების, სტრუქტურისა და მათი დაჯგუფების პრინციპების შესახებ იხ. კ.კუბლაშვილი „ძირითადი უფლებები“, გამომცემლობა ჯისიაი, გვ.48-84.

§2.2. მიმართება კონვენციის სხვა უფლებებთან

კონვენციის მე-10 მუხლის ფორმულირება საკმაოდ ფართო და ზოგადია. შინაარსობრივად, მასში ნაგულისხმები უფლებები ზოგჯერ მთლიანად ან ნაწილობრივ მოიცავს კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს. ამიტომ, შესაბამის შემთხვევებში, კონვენციის ესა თუ ის მუხლი მე-10 მუხლთან მიმართებაში, განიხილება, როგორც *Lex specialis* (შესაბამისად – მე-10 მუხლი მათთან მიმართებაში – როგორც *Lex generalis*) და გამოიყენება დამოუკიდებლად, და არა მე-10 მუხლთან ერთობლივად. თუმცა ის, ამა თუ იმ შემთხვევაში რომელი მუხლი უნდა იქნეს გამოყენებული, ანდა, ზომ არ არის საჭირო ერთობლივი კვალიფიკაცია, ყოველთვის იოლად გადასაწყვეტი არ არის და შესაბამისი შემთხვევის გარემოებებზეა დამოკიდებული. აქვე უნდა ითქვას, რომ ევროპული სასამართლო ხშირად განსხვავებულ ფორმულირებებს იყენებს იმისდა მიხედვით, თუ რომელ ფაქტორებს ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. ზოგჯერ იგი ცალსახად მიუთითებს, თუ რომელი მუხლია გამოყენებადი შესაბამის შემთხვევაში და რომელი არა. ზოგჯერ კი იგი იმის მითითებით შემოიფარგლება, რომ შესაბამის გარემოებებში მას აღარ ესახება აუცილებლად, საქმის ფაქტები, რომლებიც მან უკვე განიხილა კონვენციის რომელიმე მუხლთან მიმართებაში, დამატებით განიხილოს სხვა მუხლთან მიმართებაშიც. ამრიგად, იმისდა მიხედვით, თუ რომელია **მთავარი, წამყვანი თემა** საქმეში, ევროპული სასამართლო შემოიფარგლება ხოლმე ხან მე-10 და ხან რომელიმე სხვა მუხლის დარღვევის აღიარებით.

განვიხილოთ, თუ კონვენციის რომელ მუხლებს უკავშირდება ყველაზე უფრო მჭიდროდ მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი გამოხატვის თავისუფლება და რა პოზიციებია დამკვიდრებული კვალიფიკაციის საკითხებში.

ა) მე-10 მუხლი და მე-6 მუხლი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება)

ცნობილია, რომ ადამიანის დავალებულება, მისცეს თვითმამხილებელი ჩვენება სისხლის სამართლის საქმეზე, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილ „სამართლიანი განხილვის“ უფლებას. მაგრამ, იმავდროულად იგი შეიძლება წარმოადგენდეს გამოხატვის ნეგატიური თავისუფლების დარღვევას, თუ თვითმამხილებელი ჩვენების მიცემაზე უარის თქმას შედეგად რაიმე სანქცია მოჰყვა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საქმე *K. v. Austria*. მომჩივნის უარმა, მიეცა თვითმამხილებელი ჩვენება, გამოიწვია მისი დაპატიმრება და დაჯარიმება. იმის გადაწყვეტისას, იყო თუ არა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა „აუცილებელი“, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მხედველობაში მიიღო კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი საქმის

სამართლიანი განხილვის პრინციპები. მან დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა და მიიჩნია, რომ საჩივრის ცალკე განხილვა დამატებით მე-6 მუხლის საფუძველზე საჭირო აღარ იყო.¹

ბ) მე-10 მუხლი და მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება)

პირადი კორესპონდენცია, ტელეფონი და კომუნიკაციის სხვა მსგავსი საშუალებები, დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით. მაგრამ კომუნიკაციის ყველა საშუალება, რომელიც გამოყენებულია ინფორმაციის მისაღებად ან გასავრცელებლად, ასევე დაცულია მე-10 მუხლით. ამიტომ, ამ მიმართებაში მე-8 და მე-10 მუხლები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს.

ეს საკითხი პირველად წამოიჭრა *Silver*-ის საქმეში, რომელიც შეეხებოდა პატიმრის პირადი კორესპონდენციის დაცვას. ევროპულმა კომისიამ და ევროპულმა სასამართლომ მიიჩნიეს, რომ მოცემულ შემთხვევაში კორესპონდენციის დაცულობის საკითხის განხილვა მე-10 მუხლის საფუძველზე საჭირო არ იყო.² თუმცა, *McCallum*-ის საქმეში, რომელიც ასევე პატიმრის კორესპონდენციას შეეხებოდა, კომისიამ ნაწილობრივ შეცვალა მიდგომა და დაადგინა, რომ კორესპონდენციის მეშვეობით ინფორმაციის კომუნიკაციის სავარაუდო დარღვევის დროს, კონვენციის მე-8 მუხლი წარმოადგენდა *Lex specialis* და მე-10 მუხლის საფუძველზე ცალკე საკითხი აღარ წარმოიშობოდა.³ კომისიის ეს დებულება საკამათოდ გვესახება. მე-10 და მე-8 მუხლებს სხვადასხვა მიზნები აქვთ. მე-8 მუხლის კონტექსტში მთავარი ფაქტორია კომუნიკაციის საშუალებების პირადი ხასიათი. მაშინ როდესაც, მე-10 მუხლით ისინი დაცულია, როგორც შეხედულებებისა და ინფორმაციის გამონატვის საშუალებები.⁴ ამიტომ კომისიის ზემოაღნიშნული ზოგადი ხასიათის დებულების გამოყენებამ შესაძლოა ზოგჯერ უსწორო კვალიფიკაცია გამოიწვიოს.

მე-8 მუხლთან ერთად მე-10 მუხლის გამოყენებადობის საკითხი პრაქტიკაში წამოიჭრა სხვაგვარ შემთხვევებთან მიმართებაშიც, როდესაც გამონატვის თავისუფლება პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდებოდა პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უზრუნველყოფას.

¹ *K. v. Austria*, Report of 13 October 1992, A.255-B. გვ.37-39. აქვე უნდა ითქვას, რომ კომისიის ამ გადაწყვეტილებამ კრიტიკა გამოიწვია. მაგალითად ვან დეიკმა და ვან ჰოფმა აღნიშნეს, რომ ასეთი დასკვნა არ გამოძინარეობდა კომისიის არგუმენტაციიდან. მათი აზრით, კომისიის კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაც უნდა ეცნო. იხ. **P. van Dijk, G.J.H. van Hoof**, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 1998; გვ.567.

² Report of 11 October 1980, B.51(1987), გვ.99. Judgment of 25 March 1983, A.61. გვ.41; იხ. აგრეთვე, *Schönenberger and Durmaz*-ის საქმეზე მიღებული განჩინება (20.06.1988; A.137, გვ.23)

³ Report of 4 May 1989, A.183, გვ.25, იგივე პოზიცია დაიკავა კომისიამ საქმეში *X v. Federal Republic of Germany*, appl. 8383178, D&R17(1980).

⁴ ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ვან დეიკისა და ვან ჰოფის მითითებული ნაშრომი, გვ.567.

ერთ-ერთ საქმეში ჰომოსექსუალიზმისათვის მსჯავრდებული პირი ჩიოდა, რომ დაპატიმრებამ მას აღუკვეთა უფლება სიყვარულის გრძნობები გამოეხატა მეორე მამაკაცის მიმართ.⁵ საგულისხმოა, რომ კომისიამ, საზოგადოდ არ გამორიცხა გრძნობების გამოხატვის სფეროში მე-10 მუხლის გამოყენებადობის შესაძლებლობა, მაგრამ ფიზიკური კავშირის გზით გრძნობების გამოხატვა არ მიაკუთვნა მე-10 მუხლით დაცულ სფეროს. კერძოდ, მან მიუთითა, რომ „გამოხატვა“ მე-10 მუხლის გაგებით გულისხმობდა მხოლოდ შეხედულებებისა და იდეების გადმოცემას და იგი არ მოიცავდა გრძნობების ფიზიკურ გამოხატვას.⁶

ყველაზე უფრო თვალსაჩინო შემთხვევა მე-8 მუხლთან ერთად მე-10 მუხლის გამოყენებადობისა, იყო საქმე, რომელშიც ორი მომჩივანი მიუთითებდა, რომ პატიმრობაში ყოფნის დროს 45 საათის განმავლობაში მათ აღუკვეთად თავიანთ მუღლეთან ყოველგვარი კონტაქტის შესაძლებლობა. მართალია, კომისიამ საქმე ორივე მუხლთან მიმართებაში მისაღებად ცნო, მაგრამ საქმის განხილვის შედეგად, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის აღიარების შემდეგ, აუცილებლად აღარ მიიჩნია საკითხის განხილვა მე-10 მუხლთან მიმართებაში.⁷

გ) მე-10 მუხლი და მე-9 მუხლი (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება)

კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლება ძალზე მჭიდროდ უკავშირდება კონვენციის მე-9 მუხლით უზრუნველყოფილ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. ეს თავისუფლებანი მოიცავენ რელიგიისა თუ რწმენის, მათ შორის, არარელიგიური მრწამსის (პაციფიზმის)⁸ გამჟღავნების, შესაბამისი იდეების პროპაგანდის თავისუფლებას, მათ შორის, საკუთარ რწმენასა თუ რელიგიაზე სხვათა დაყოლიების მიზნით. ამიტომ, ცხადია, რომ მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლება, რომელიც საზოგადოდ ნებისმიერ საკითხზე შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას იცავს, არსებითად, რელიგიისა და რწმენის საკითხებში შეხედულებების გამოთქმის თავისუფლებასაც მოიცავს. მაგრამ ის, თუ რომელი მუხლი უნდა იქნეს გამოყენებული – მე-9 თუ მე-10, – ეს საქმის გარემოებებზე, უწინარესად – გამოხატული შეხედულებების ბუნებასა და ხასიათზეა დამოკიდებული. კონვენციის მე-9 მუხლში მითითებულია, რომ ყველას აქვს უფლება ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების შესრულებით. შესაბამისად,

⁵ Appl. 7215\75. *X. v. the United Kingdom*, Yearbook XXI (1978) ტ.374

⁶ Report of 12 October 1978. D&R 19(1980), გვ.66(80).

⁷ Report of 18 March 1981, **McVeigh, O Neil and Evans**, D&R25 (1982), გვ.15(53).

⁸ იხ. *Arrowsmith v. United Kingdom*, report of 10 October, 1978.

თუ შეხედულებებისა და იდეების გავრცელებით ადამიანი თავისი რწმენისა თუ რელიგიის აღმსარებლობას, ქადაგებას, წესებსა თუ რიტუალებს ახორციელებს, ასეთი შეხედულებებისა და იდეების შეზღუდვის გამართლებულობა კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.⁹ იდეებისა და შეხედულებების საკუთრივ რელიგიური თემატიკა, გადამწყვეტი არ არის. მთავარია დადგინდეს, რომ საქმე დანამდვილებით შეეხებოდა **საკუთარი** რელიგიის, რწმენისა თუ მრწამსის გამჟღავნების თავისუფლებას, რაც განუყოფელი კომპონენტია კონვენციის მე-9 მუხლით უზრუნველყოფილი თავისუფლებებისა.¹⁰ ყველა სხვა შემთხვევაში, რელიგიისა თუ რწმენის საკითხებზე შეხედულებების გამოთქმა კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა.¹¹

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. როგორც მე-9, ისე მე-10 მუხლი ითვალისწინებს **აზრის თავისუფლებას**, ანუ, ადამიანის უფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, რაც არანაირ პირობებში შეზღუდვას არ ექვემდებარება. მართალია, კონვენციის მე-10 მუხლის შინაარსობრივი ფარგლები საერთოდ უფრო ფართოა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ევროპულ კომისიას ან სასამართლოს არ მოუხდენიათ მე-9 მუხლით გათვალისწინებული „აზრის თავისუფლების“ ვიწრო ინტერპრეტაცია, არ დაუდგენიათ, რომ იგი მხოლოდ რელიგიისა და რწმენის საკითხებით იყო შემოფარგლული. ასეთი განმარტების არსებობის შემთხვევაში მე-9 მუხლით გათვალისწინებული „აზრის თავისუფლება“ იქნებოდა *les specialis* მე-10 მუხლთან მიმართებაში. ამიტომ, ვინაიდან მისი ზუსტი შინაარსობრივი ფარგლები პრეცედენტული სამართლით დადგენილი არ არის, მთლიანად უნდა დავეთანხმეთ **ვან დეიკსა** და **ვან ჰოფს**, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მე-9 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებულ „აზრის თავისუფლებათა“ გამიჯვნა შესაძლებელი არ არის.¹²

დ) მე-10 მუხლი და მე-11 მუხლი (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება)

კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლება ასევე ძალზე მჭიდროდ უკავშირდება მე-11 მუხლით დაცულ შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას. შეკრებები, მიტინგები, დემონსტრაციები, როგორც წესი, სწორედ პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვაგვარი შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გამოხატვის ასპარეზი და საშუალებაა. თვით მღუმარე დემონსტრაციაც კი, ყოველთვის წარმოადგენს გარკვეული აზრის გამოხატვას.

⁹ მაგალითისათვის იხილეთ *Kokkinakis v. Greece*, judgment of 25 May 1993.

¹⁰ იხ. Report of 12 October 1978. *Arrowsmith, D&R19* (1980), გვ.5(19-20).

¹¹ მაგალითისთვის იხ. *Otto-Preminger Institut v. Austria*, judgment of 20 September, 1994.

¹² იხ. **ვან დეიკსა** და **ვან ჰოფის** მითითებული ნაშრომი. გვ.571.

უფრო მეტიც, ცნობილია, რომ ისტორიულად, ეს თავისუფლებანი, იმის მიუხედავად, იყვნენ თუ არა დაშვებულნი საერთოდ, ყოველთვის გამოიყენებოდა სიტყვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად. *Ezelin*-ის საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ მე-10 მუხლით ნაგულისხმები შეხედულებების დაცვა წარმოადგენდა მე-11 მუხლით უზრუნველყოფილი მშვიდობიანი შეკრებებისა და გამოხატვის თავისუფლებათა მიზანდასახულობას.¹³ ამის მიუხედავად, შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლებებს, დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ და მართებული არ იქნება მათი განხილვა, მხოლოდ როგორც „საშუალებებისა“ აზრის გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად. ამიტომ, იმ საკითხის გადაწყვეტისას, თუ რომელი მუხლი უნდა იქნეს გამოყენებული ამა თუ იმ შემთხვევაში, აუცილებელია შემოწმდეს, თუ კერძოდ რომელ თავისუფლებაში ჩარევა განხორციელდა სახელმწიფოს ამა თუ იმ მოქმედებით, ანდა რა იყო მთავარი, წარმმართველი საკითხი შესაბამის საქმეში.

ზემოთ მითითებულ *Ezelin*-ის საქმეში ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაბამის გარემოებებში (საქმე შეეხებოდა ადვოკატის დისციპლინურ დასჯას სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის), მე-11 მუხლი უნდა მიჩნეულიყო, როგორც *Lex specialis* მე-10 მუხლთან მიმართებაში და, ამიტომ აღარ არსებობდა იმის საჭიროება, საქმე განეხილა მე-10 მუხლის საფუძველზე. ასევე, *Sigurdur A. Sigurdjonsson*-ის საქმეში,¹⁴ რომელშიც სასამართლომ კონვენციასთან მიმართებაში შეაფასა ტაქსის მძღოლთა ორგანიზაციაში გაერთიანების ვალდებულება, მან აღიარა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა და მიუთითა, რომ აღარ არსებობდა საჭიროება, ცალკე განეხილა საჩივარი მე-9 და მე-10 მუხლებთან მიმართებაში. მაგრამ *Vogt*-ის საქმეში კი, მან აღიარა როგორც მე-10, ისე მე-11 მუხლების დარღვევა, რამდენადაც საქმე შეეხებოდა მასწავლებლის სამსახურიდან დათხოვნას აქტიური პოლიტიკური საქმიანობისათვის, რაც პოლიტიკურ პარტიაში მის წევრობას უკავშირდებოდა.¹⁵

მისგან განსხვავებით, თუ სახელმწიფო საკუთრივ ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას დააბრკოლებს ან არსებულს აკრძალავს, ასეთი ჩარევა მხოლოდ კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე უნდა შეფასდეს. ამასთან, მაშინაც კი, თუ ჩარევის საფუძველი შესაბამისი პოლიტიკური ორგანიზაციის იდეოლოგია და მსოფლმხედველობაა, მე-10 მუხლის გამოყენებადობის საკითხი მაინც არ დადგება. მაგალითად, თუ სახელმწიფომ აკრძალა ფაშისტური ან კომუნისტური ორგანიზაციის შექმნა და ამით ჩაერია გაერთიანების თავისუფლებაში, ეს არ იქნება

¹³ judgment of 26 April 1991, A.202, გვ.20.

¹⁴ judgment of 30 June 1990. A.264, გვ.42. იხ. აგრეთვე judgment of 13 August 1981, *Young, James and Webster*, A.44, გვ.26.

¹⁵ judgment of 26 September, 1995, A.323, გვ.31.

იმავდროულად გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება თუ მიზანი ყოველთვის არის საკუთარი იდეოლოგიის გავრცელება და, მაშასადამე, გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვით მის წევრებს საკუთარი იდეოლოგიის გავრცელების შესაძლებლობაც შეეზღუდებათ. თუმცა, პოლიტიკური ორგანიზაციის იდეოლოგიას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს არა მარტო იმის შეფასებისას, იყო თუ არა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში მე-9 მუხლით უზრუნველყოფილ უფლებაში ჩარევა, არამედ თვით ამ მუხლის გამოყენებადობის საკითხთან მიმართებაშიც. პოლიტიკური ორგანიზაციის იდეოლოგია და მიზნები შეიძლება საფუძვლად დაედოს შეფასებას (დასკვნას) მისი წევრების მხრიდან კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ გაერთიანების უფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე. ასეთი შემთხვევა კონვენციის მე-17 მუხლის ძალით შესაძლოა საერთოდ არ იქნას მიჩნეული მე-9 მუხლით უზრუნველყოფილ უფლებად და საჩივარი მე-9 მუხლის ნაგულები დარღვევის შესახებ ცნობილი იქნას მიუღებლად საგნობრივი შეუთავსებადობის გამო.

ე) მე-10 მუხლი და პირველი ოქმის მე-3 მუხლი (თავისუფალი არჩევნების უფლება)

პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი, ხომ არ მოიცავდა მე-10 მუხლი ხმის მიცემის უფლებას, რამდენადაც კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლი პირდაპირ მიუთითებს „ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვაზე“. მართლაც, ძნელია იმის უარყოფა, რომ არჩევნებში მონაწილეობა წარმოადგენს აზრის გამოხატვის ფორმას. მაგრამ ევროპულმა კომისიამ დაამკვიდრა მიდგომა, რომლის მიხედვით კონვენციის მე-10 მუხლი არ მოიცავს არჩევნების დროს უშუალოდ ხმის მიცემით აზრის გამოხატვის შემთხვევებს.¹⁶ თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არასდროს არ არის გამოყენებადი არჩევნებთან მიმართებაში. მაგალითად, როდესაც საქმე შეეხება წინასაარჩევნო კამპანიის დროს ინფორმაციისა და შეხედულებების გავრცელებისა თუ მიღების შეზღუდვას, ანდა ყალბი ინფორმაციების გავრცელებას, რომელიც ელექტორატის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად და სხვა, კონვენციის მე-10 მუხლი არა მარტო არის გამოყენებადი, არამედ ამ გარემოებებს ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს იმის შეფასებისას, დაირღვა თუ არა თავისუფალი არჩევნების უფლება. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში შეხედულებებისა და ინფორმაციის თავისუფალი ბრუნვა, ხოლო უშუალოდ არჩევნების დროს პირიქით – მათი შეზღუდვა, უმნიშვნელოვანესია ხალხის მხრიდან სწორი არჩევანისა და საკუთარი

¹⁶ იხ. Appl. 6573/74, *X v. the Netherlands*, D&R 1(1975) პ.87(89). Appl. 6850/74, *Association X, Y and Z v. Federal Republic of Germany*, D&R 5(1976), პ.90(93).

ნება-სურვილის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისათვის. ამიტომ, გამონატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა თუ შეუზღუდველობა უარყოფითად აისახება თავისუფალი არჩევნების უფლების განხორციელებაზე და შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის დარღვევა. რამდენიმე ასეთი საქმე ნაშრომში შესაბამის საკითხებთან მიმართებაში არის განხილული; ამიტომ ამჯერად მათზე აღარ შევჩერდებით.

ვ) მე-10 მუხლი და მე-13 (ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება), მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-16 (უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა), მე-17 (უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა) და მე-18 (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მუხლები.

კონვენციის მე-16 მუხლი, რომელიც უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვის შესაძლებლობას უშვებს, ფაქტობრივად მე-10 მუხლის (ისევე როგორც მე-11 და მე-14 მუხლების) შინაარსობრივ დაზუსტებას წარმოადგენს.

ამავე თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი კონვენციის მე-10 მუხლის მიმართება მე-17 და მე-18 მუხლებთან, რომლებიც აზუსტებენ კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებების (მათ შორის, გამონატვის თავისუფლების) შეზღუდვის ფარგლებს და იმ მიზნებს, რომლებსაც ნებადართული შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს).

რაც შეეხება მე-13 და მე-14 მუხლებს, რამდენადაც ისინი ყოველთვის კონვენციით გათვალისწინებული ამა თუ იმ უფლების დარღვევას უკავშირდება, ხშირად გამოიყენება მე-10 მუხლთან ერთობლიობაში. მაგალითად, თუ გამონატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა განპირობებული იყო დისკრიმინაციული მოტივით – პიროვნების რასობრივი, რელიგიური თუ სხვა კუთვნილებით, იმავდროულად დაირღვევა კონვენციის მე-14 მუხლი. ანდა, თუ პიროვნებას დაერღვა გამონატვის თავისუფლება და მას არ გააჩნდა დარღვეული უფლების აღდგენა-გამოსწორების უზრუნველყოფი ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი ეროვნული ხელისუფლებისაგან, აღიარებული იქნება კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა მე-10 მუხლთან ერთობლიობაში.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული მიმართებანი უკვე საკმარისად ცხადყოფს, რომ გამონატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება წარმოუდგენელია კონვენციის მთელი სისტემის, მისი ლოგიკის გააზრების გარეშე და, რომ მხოლოდ ასეთი კომპლექსური ხედვის პირობებშია შესაძლებელი ცალკეულ, თუნდაც *prima facie* ავტონომიურ საკითხებზე მართებული დასკვნების გამოტანა.

თ ა ვ ი 3

ძირითადი მიღწევები გამონათვის თავისუფლების სფეროში

საჯარო ან სხვა კანონიერი ინტერესების დასაცავად გამონათვის თავისუფლების შეზღუდვის თემა, ფაქტობრივად მისი დაცულობის ფარგლების პრობლემატიკას გულისხმობს. გამონათვის თავისუფლებას კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი იცავს. შეზღუდვის შესაძლებლობა და პირობები კი მე-2 პუნქტით არის გათვალისწინებული:

მუხლი 10. გამონათვის თავისუფლება

1. ყველას აქვს გამონათვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს შეზღუდვებსა თუ სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყსრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან რეპუტაციის დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

გამონათვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლების დადგენა იმავდროულად მისი დაცულობის ფარგლების განსაზღვრას გულისხმობს. შესაბამისად, ერთგვარი პირობითობის მიუხედავად, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ გამონათვის თავისუფლება დაცულია იმ ფარგლებში, რომლის იქითაც მისი შეზღუდვა შესაბამის გარემოებებში გაუმართლებლად ვეღარ იქნება მიჩნეული.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლმა დაადგინა გამონათვის თავისუფლების შეზღუდვის საერთო ფარგლები, როდესაც მე-2 პუნქტში შეზღუდვის სამი აუცილებელი პირობა მიუთითა (შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით, ემსახურებოდეს მე-2 პუნქტში მითითებული რომელიმე კანონიერი ინტერესის დაცვას და იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში). ამ პირობათა

დაცულობა თითოეულ შემთხვევაში შემოწმებას მოითხოვს და ყოველთვის კონკრეტულ კონტექსტს უკავშირდება. ამდენად, იქნება თუ არა შეზღუდვა გამართლებულად მიჩნეული, ამას საქმის გარემოებები განსაზღვრავს. ამიტომაც კონვენციით დადგენილი საერთო ფარგლები მყარი არ არის, ცვლადია და უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული. უფრო მეტიც, პრაქტიკულად, არც მისი მინიმალური ან მაქსიმალური ფარგლები არსებობს. ზოგიერთი „გამოხატვა“ საერთოდ არ ექცევა კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, რომ პირველი პუნქტი არავითარ გამონაკლისებს არ ითვალისწინებს); ზოგჯერ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში სახელმწიფოს მხრიდან ძალზე სერიოზული ჩარევაც შეიძლება გამართლებულად იქნეს მიჩნეული. ზოგჯერ პირიქით – მცირედი ჩარევაც გაუმართლებლად შეფასდეს.

თუმცა, ზემოაღნიშნული სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს შესაბამისი იურისპრუდენციის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების დაცულობის (თუ შეზღუდვის) ფარგლები საკმარისად განჭვრეტადი არ არის და მეტისმეტად რთულია სავარაუდო დასკვნების გამოტანა იმის თაობაზე, თუ როდის რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, როდის იქნება ეს თუ ის შეზღუდვა „გამართლებულად“ ანდა „გაუმართლებლად“ მიჩნეული. ევროპულმა სასამართლომ თავისი იურისპრუდენციით ჩამოაყალიბა არაერთი მიდგომა, პრინციპი, კონცეფცია თუ შეფასების კრიტერიუმი, რომელსაც გამოიყენებს საჯარო ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად ამ თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას; მან განსაზღვრა მთელი რიგი ფაქტორები, რომელთა არსებობაც „მოქმედებს“ გამოხატვის თავისუფლების დაცულობისა თუ შეზღუდვის სასარგებლოდ, რითაც მან დააზუსტა და უფრო განჭვრეტადი გახადა კონვენციით დადგენილი ფარგლები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართლით ყველასათვის საცნაურჰყო გამოხატვის თავისუფლების თანამედროვე ევროპული სტანდარტები და ამ გზით ხელი შეუწყო კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში მათ გავრცელებასა და დამკვიდრებას. წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ **საერთო სტანდარტი საკმაოდ მაღალია; სხვადასხვა სფეროები განსხვავებული ხარისხით არის დაცული; ყველაზე უკეთ დაცულ სფეროებშიც კი დაცულობის ხარისხი არასდროს არ არის აბსოლუტური (გამონაკლისია მხოლოდ ადამიანის უფლება, გააჩნდეს საკუთარი აზრი. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის შესაძლებლობა მასზე არ ვრცელდება).**

განვიხილოთ ის ძირითადი მიდგომები, რომლებსაც ევროპული სასამართლო გამოიყენებს გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში და ის უმთავრესი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მისი დაცულობის ფარგლების განსაზღვრასა და შესაბამისად, მისი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებაზე.

§3.1. მთავარი კონცეპტუალური მიდგომა

გამონათვის თავისუფლებისადმი კონცეპტუალურ მიდგომას განსაზღვრავს მისი მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და მისი როლი კონვენციის პრეამბულაში გაცხადებული მიზნების მიღწევაში. მასზეა დამოკიდებული არა მარტო ის, თუ როგორ მოხდება საკუთრივ ამ მუხლის შინაარსის ინტერპრეტაცია, არამედ ისიც, თუ როგორი იქნება ხედვის საერთო კუთხე ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში.

კონცეპტუალური მიდგომა ასეთია: **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამონათვის თავისუფლებას სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიულ საზოგადოებაში და განიხილავს მას, როგორც დემოკრატიის საყრდენს, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების წინაპირობას.** ამ სულისკვეთებითაა გაჯერებული მე-10 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით შექმნილი სასამართლოს იურისპრუდენცია. ამითაა განპირობებული როგორც მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტისათვის ფართო შინაარსის მინიჭება, ისე სხვა მიდგომების, პრინციპებისა თუ კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რომლებიც გამონათვის თავისუფლებასთან მიმართებაში გამოიყენება.

ყველაზე უფრო სრულყოფილად ეს სულისკვეთება ევროპულმა სასამართლომ *Handyside*-ს ცნობილი საქმის (1986) განჩინებაში გადმოსცა. მასში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა გამონათვის თავისუფლების ორმაგი დატვირთვა დემოკრატიულ საზოგადოებაში და მიუთითა მისი მაღალი სტანდარტით დაცვის აუცილებლობის შესახებ. ამითვე შექმნა საწინდარი ისეთი მიდგომების გამოყენებისა, რომლებიც საუკეთესოდ უზრუნველყოფენ ამ თავისუფლების ეფექტიან დაცვას. შემთხვევითი არ არის, რომ ეს განმარტება, რამდენადაც მასში გამონათვის თავისუფლების მიმართ ევროპული სასამართლოს კონცეპტუალური მიდგომა ჩამოყალიბებული, ყველაზე უფრო ხშირად ციტირებადი განმარტებაა მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში; ამასთან, არა მარტო საკუთრივ ევროპული სასამართლოს მე-10 მუხლთან დაკავშირებულ განჩინებებსა თუ გადაწყვეტილებებში, არამედ იმ მომჩივანთა მიერ წარდგენილ მოსაზრებებშიც, რომლებმაც სტრასბურგის სასამართლოს გამონათვის თავისუფლების ნაგულები დარღვევის გამო მიმართეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრეზიდენტმა **ლუციუს ვილდჰაბერმა** კი მას „ზარის რეკვასავით ხშირად განმეორებადი დეკლარაცია“ (*much repeated ringing declaration*) უწოდა.¹

„გამონათვის თავისუფლება, როგორადაც იგი კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით განისაზღვრება, წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენს, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის

¹*Freedom of expression under Article 10 of the European Convention on Human Rights*; Address by **Luzius Wildhaber**, president of the European Court of Human Rights at Istanbul University, 9 April, 2002.

მოთხოვნათა მიხედვით, იგი მოიცავს არა მარტო ისეთ „ინფორმაციას“ და „იდებს“, რომლებსაც კეთილგანწყობით ხვდებიან, ან უვნებელია ანდა ნეიტრალური, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემამფოთებელია (*offend, shock or disturb*) სახელმწიფოსა თუ საზოგადოების გარკვეული სექტორისათვის. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, ურომლისოდაც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება“.²

გამონათვის თავისუფლებისათვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭება, განსაკუთრებით კი მისი მე-2 ასპექტი (როგორც ადამიანის თვითრეალიზაციის საშუალებისა) ევროპაში სათავეს იღებს ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის ფრანგული დეკლარაციის მე-11 მუხლიდან, რომლის მიხედვით ადამიანის უფლება, თავისუფლად გამოეხატა თავისი აზრი, წარმოადგენდა ყველაზე უფრო ძვირად ღირებულ უფლებას ადამიანისა („*un des droits les plus précieux de l'homme*“)³

დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ თავისუფლების უზრუნველყოფამ კიდევ უფრო მეტი ღირებულება შეიძინა. მიჩნეულია, რომ მის გარეშე წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების ნორმალური და აქტიური ფუნქციონირება. დემოკრატიის გარეშე კი შეუძლებელია სამართლის უზენაესობისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებების დაცვა. როგორც **ვილდჰაბერმა** აღნიშნა სტამბულის უნივერსიტეტში გამოსვლის დროს (2002 წლის 9 აპრილი) „დემოკრატია არ არსებობს სამართლის უზენაესობის გარეშე, ხოლო სამართლის უზენაესობა – დემოკრატიის გარეშე“.⁴ დემოკრატიული ღირებულებების დაცვის საზრუნავი უდევს საფუძვლად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასაც, რაც მის პრეამბულაშია გაცხადებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, გამონათვის თავისუფლების მნიშვნელობის ისეთი დახასიათება, როგორიც *Handyside*-ს საქმის განჩინებაშია გადმოცემული, ლოგიკურია და გამართლებული.

გამონათვის თავისუფლების ასეთი ხედვა განაპირობებს საერთო ხასიათის სხვა მიდგომებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან, რაც შეიძლება ქმედითი განადონ კონვენციის საფუძველზე გამონათვის თავისუფლების დაცვა და არ დაუშვან მისი გაუმართლებელი შეზღუდვა.

მათ შორისაა:

ა) კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შინაარსის ფართო, ხოლო მე-2 პუნქტისა კი პირიქით, – ვიწრო ინტერპრეტაცია; შეზღუდვის აუცილებლობის სარწმუნოდ დასაბუთების მოთხოვნა;

ევროპულმა სასამართლომ თავისი იურისპრუდენციით ფართო შინაარსი მიანიჭა კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შინაარსს და დაადგინა, რომ

² *Handyside v. United Kingdom*, judgment of 7 December 1976, series A N 24, §49.

³ French Declaration of the Rights of a Man and of the Citizen of 1789. Art.11.

⁴ **L.Wildhaber**, *Freedom of expression under art. 10 of the European convention on Human Rights*, 9 April, 2002.

იგი იცავდა არა მარტო შესაბამისი „იდეებისა“ და „ინფორმაციის“ შინაარსს, არამედ მათი გამოხატვის ფორმასა და საშუალებებსაც, აგრეთვე, ინფორმაციის მოძიების უფლებას, ნაწილობრივ – ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას, ისევე, როგორც გამოხატვის ნეგატიურ თავისუფლებას.⁵

მეორე მხრივ, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები უნდა განმარტებულიყო ვიწროდ, ხოლო თითოეული შეზღუდვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა დადგენილიყო სარწმუნოდ და დამაჯერებლად:

„გამოხატვის თავისუფლება... ექვემდებარება რიგ გამონაკლისებს, რომლებიც განმარტებული უნდა იყოს ვიწროდ. ამა თუ იმ შეზღუდვის აუცილებლობა სარწმუნოდ უნდა იყოს დადგენილი“.⁶

„...როდესაც საქმე შეეხება კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებულ უფლებებს, კონტროლი უნდა იყოს მკაცრი, გამომდინარე მათი მნიშვნელობიდან, რაც არაერთგზის აღუნიშნავს სასამართლოს. მათი შეზღუდვის აუცილებლობა სარწმუნოდ უნდა იყოს დადგენილი“.⁷

ბ) შეზღუდვის (მე-2 პუნქტით გათვალისწინებული) პირობების დაცულობის შესაფასებლად მკაცრი კრიტერიუმების დაწესება

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის „კანონით გათვალისწინებულობის“ მოთხოვნა მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა დაკმაყოფილებულად, თუ ასეთი კანონი იქნებოდა „ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი“; ანუ ისეთი, რომელიც ნათლად არეგულირებდა სახელმწიფოს მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის საკითხებს, არ ქმნიდა მისი თვითნებური გამოყენების წინაპირობებს, ითვალისწინებდა უფლებათა დაცვის გარანტიებს, ხოლო მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევდა, შეეთანხმებინა მისთვის თავისი მოქმედება და გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შეზღუდვის პირობა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (*necessary in the democratic society*) გულისხმობდა საამისოდ „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (*pressing social needs*), რომლის აღიარებისათვის, თავის მხრივ, საჭირო იყო „შესაბამისი და საკმარისი“ (*relevant and sufficient*) საფუძვლის არსებობა.

მანვე დაადგინა „აუცილებელის“ საკმაოდ მაღალი სტანდარტი. მართალია, ის არ აღწევს „აშკარად აუცილებელის“ ან „უკიდურესად აუცილებელის“ საზღვრებს, მაგრამ გაცილებით მაღალია, ვიდრე ოდენ „სასურველი“, „მისაღები“ ანდა „საჭირო“.⁸

ამას გარდა, ევროპულმა სასამართლომ დაამკვიდრა „შეზღუდველი ღონისძიების თანაზომიერების“ მოთხოვნა დასახულ კანონიერ მიზანთან

⁵ იხ. *Obershlick*, §57; *Leander*, §74; *Gaskin*, §52; *Karataş*, §49

⁶ *Observer and Guardian*, §59; *Sunday Times N2*, §50. *Thorgeir Thorgeirson*, §63; *Nilsen et Johnsen*, §43

⁷ *Radio ABC*, §30; *Otto-Preminger Institut*, §50; *Informationsverein Lentia*, §35.

⁸ *Janowski*, §30; *Rekvényi*, §42; *Öztürk*, §64; *Zana*, §51; *Ahmed*, §55; *Hertel*, §46

მიმართებაში. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების არსებობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ იქნეს დარღვეულად მიჩნეული. აუცილებელია არსებობდეს მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება სწორედ ისეთი ჩარევისა, უფლების ისეთი შეზღუდვისა, როგორც განხორციელდა. ამისათვის ჩარევის (ანუ უფლების შემზღუდველი) ღონისძიება მკაცრად პროპორციული უნდა იყოს დასახული კანონიერი მიზნისა; რაციონალურად უნდა იყოს მასთან დაკავშირებული და რეალურად ემსახურებოდეს მას; არ იყოს ექსცესიური და გადაჭარბებული. ევროპული სასამართლოს მოთხოვნაა, რომ როდესაც არსებობს უფლების შეზღუდვის ალტერნატიული საშუალებები, სახელმწიფომ იაროს არა უფლებათა მეტისმეტი შეზღუდვის გზით, არამედ აირჩიოს ყველაზე უფრო ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიება. ხოლო შემზღუდველი ღონისძიების გასამართლებლად სახელმწიფოს არგუმენტები უნდა იყოს საკმარისი და კონვენციის მე-10 მუხლის პუნქტის შესაბამისი.

„...ჩარევის გასაჩივრებული ღონისძიება უნდა შეფასდეს იმისდა მიხედვით, იყო თუ არა იგი დასახული კანონიერი მიზნის თანაზომიერი, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან მის გასამართლებლად მოყვანილი არგუმენტები – საკმარისი და კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის კრიტერიუმების შესატყვისი. ევროპული სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიყენა წესები, რომლებიც შეესაბამებოდა კონვენციის მე-10 მუხლის პრინციპებს და ეყრდნობოდა საქმეში არსებული ფაქტების მისაღებ შეფასებას.“⁹

თავისი არსით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცირე შესაძლებლობასა და მაშასადამე, მისი მაღალი სტანდარტით დაცვის აუცილებლობაზე მიანიშნებს აგრეთვე *Handyside*-ს ფორმულა – „*Offend, shock or disturb*“. ზემოაღნიშნულ განმარტებაში ევროპულმა სასამართლომ (ჩვენი შეხედულებით) სწორედ ის გამოკვეთა, რომ შეურაცხმყოფელი, გამოგნებელი თუ შემაშფოთებელი იდეები და ინფორმაცია კი შეიძლებოდა დაცული ყოფილიყო და ეს თვისებები, ცალკე აღებული, სრულიადაც არ იყო საკმარისი პირობა შეზღუდვის აუცილებლობის აღიარებისათვის. ამით ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა გარკვეული, დამატებითი ორიენტირი კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის აუცილებლობის შეფასებისათვის და კიდევ ერთი სერიოზული საყრდენი შეუქმნა მათი მაღალი სტანდარტით დაცულობას (ფორმულის – „*Offend, shock or disturb*“ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საკითხი წინამდებარე ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული).

⁹ *Rekvenyi*, §42; *Öztürk*, §64; *Zana*, §51; *Ahmed*, §55; *Hertel*, §46; *Wille*, §61; *Janowski*, §30; *Ceylan*, §32; *Karataş*, §48; *Erdogdu et Ince*, §47; *Başkaya et Okçuoğlu*, §61; *Süreç N1*, §58; *Incal*, §48

გ) გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში სახელმწიფოებისათვის პოზიტიური ვალდებულების დაკისრება

გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს ამ უფლების რეალური და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. მისი აზრით, ამ თავისუფლების დაუბრკოლებლად განხორციელებისათვის ყოველთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ნეგატიური ვალდებულების შესრულება (ანუ ამ თავისუფლების განხორციელებაში ჩაურევლობა). ზოგჯერ გამოხატვის თავისუფლების რეალური უზრუნველყოფის ამოცანამ შეიძლება მოითხოვოს დაცვის პოზიტიური ღონისძიებების გატარება.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, არ დაუშვას ექსცესიური ან დისკრიმინაციული შეზღუდვითი პრაქტიკა შიდა მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან; უზრუნველყოს შესაბამისი ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი (*effectiv remedial regime*) გამოხატვის თავისუფლების დარღვევის აღდგენა-გამოსწორებისათვის. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებანი ეკისრება მაშინაც, როდესაც ამ თავისუფლების შეზღუდვის საფრთხე კერძო პირიდან წარმოდგება.¹⁰

ამასთან, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ „პოზიტიური ვალდებულება“, მთლიანობაში, არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სახელმწიფოზე მეტისმეტი და აუტანელი ტვირთის დაკისრება.¹¹

¹⁰ იხ. *De Geillustreede Pers v. the Netherlands* 1976. Com. Rep. §88. *Wingrove v. the United Kingdom*. 1994

¹¹ *Özgür Gündem*, §43

§3.2 ძირითადი ფაქტორები, მიდგომათა საფუძვლები და მიზანდასახულობა

მიუხედავად საერთო პრინციპული მიდგომისა, უზრუნველყოფილ იქნეს გამოხატვის თავისუფლების დაცულობის მაღალი სტანდარტები მისი მნიშვნელობის გამო დემოკრატიულ საზოგადოებაში, სხვადასხვა შემთხვევებში ამ თავისუფლების დაცულობის ხარისხი განსხვავებულია – ზოგჯერ ძალიან მაღალი, ზოგჯერ უფრო ნაკლები, ზოგჯერ კი მცირე. დაცულობის შესაბამის ხარისხს არაერთი ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან თითოეული ამ თავისუფლების სასარგებლო ან საზიანო ბალანსის ჩამოყალიბებას უწოდებს ხელს. ამ ფაქტორთა ერთობლიობის საფუძველზე, საბოლოო ჯამში განისაზღვრება, იქნება თუ არა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მიჩნეული „აუცილებლად“ და „თანაზომიერად“, მაშასადამე – გამართლებულად და, როგორი ბალანსი იქნება მიჩნეული „სამართლიანად“.

ძირითადად ფაქტორთა ჩამონათვალი შემდეგია:

1) გამოხატული იდეებისა თუ ინფორმაციის შინაარსი, გამოხატვის ფორმა და საშუალება;

2) სფერო, რომელსაც მიეკუთვნება შესაბამისი ინფორმაცია თუ იდეები (დაცულობის სხვადასხვა ხარისხია დაწესებული პოლიტიკის, შემოქმედებით თუ კომერციის სფეროებში გამოხატვის თავისუფლების მიმართ);

3) სუბიექტის ვინაობა, ვინც ახორციელებს გამოხატვის თავისუფლებას (იმისდა მიხედვით თუ ვინ არის ამ თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტი – ხალხის არჩეული წარმომადგენელი, ჟურნალისტი, ადვოკატი, სახელმწიფო მოხელე, მოსამართლე, შეიარაღებული ძალების ან პოლიციის თანამშრომელი თუ კერძო პირი, – მიდგომები განსხვავებულია;

4) იმ პირთა ვინაობა, ვის მიმართაც არის გამოთქმული კრიტიკა (განსხვავებულია მიდგომები პოლიტიკოსის, სახელმწიფო მოხელის, სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების, მოსამართლის თუ კერძო პირის მიმართ გამოთქმულ კრიტიკასთან მიმართებაში);

5) იმ საჯარო ან სხვა კანონიერ ინტერესთა რაობა, რომლის დასაცავადაც გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდა (ეროვნული უშიშროება, საზოგადოებრივი უწყესრიგობის თავიდან აცილება, სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა, სხვა პირთა უფლებები და რეპუტაცია და სხვ.)

6) როგორია შესაბამის სფეროში ეროვნული შეფასების თავისუფლების არე (სხვადასხვა სფეროების დარეგულირებისას კონვენციის ხელშემკრელ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების განსხვავებული ფარგლები ენიჭებათ. ამ ფარგლების სიფართოვესა და სივიწროვეზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენად აუცილებელი იქნება ეროვნული ხელისუფლების მიერ დაკავებული პოზიციისათვის ანგარიშის გაწევა ევროპული სასამართლოს მხრიდან;

7) რისი გამოხატვა ხდება – იდეებისა თუ შეხედულებებისა, თუ მხოლოდ ინფორმაციისა, რასთან გვაქვს საქმე – „შეფასებით მსჯელობასთან“ (value

judgment) თუ „ფაქტების გადმოცემასთან“ (*statement of facts*); ნამდვილ ფაქტებთან თუ ყალბ ან შეუმოწმებელ ინფორმაციასთან; რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებდა მათი გამავრცელებელი და სხვ. (ამ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ დიფამაციის საქმეებში, რეპუტაციის უფლებასთან ღირებულებითი კონფლიქტის დროს;

8) უგულვებელყოფილია თუ არა კონვენციის მე-10 მუხლით ნაგულისხმები „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ (ამასთან, სხვადასხვა მიმართებაში შესაბამის „მოვალეობათა და პასუხისმგებლობის“ შინაარსი განსხვავებულია);

9) როგორია შესაბამისი კანონიერი ინტერესისათვის ამოხატვის თავისუფლების განხორციელებით მიყენებული ან პოტენციური ზიანის სიდიდე და ხასიათი;

10) როგორია სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩარევის ხასიათი და ხარისხი და სხვ.

ზემოაღნიშნულ ფაქტორებზე განყენებულად და ერთმანეთისაგან მოწყვეტით საუბარი შეუძლებელია, ვინაიდან ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს; ზოგჯერ საერთო მიმართებებს გულისხმობენ; ზოგჯერ ნაწილობრივ გადაფარავენ ერთმანეთს; ზოგჯერ კი გადაჯაჭვულნი არიან და გარკვეულწილად განაპირობებენ კიდევაც ერთმანეთს. მაგალითად, სახელმწიფოებისათვის მინიჭებულ შეფასების თავისუფლების ფარგლებზე საუბარი (მე-6 ფაქტორი) შეუძლებელია გამოხატვის თავისუფლებასთან დაპირისპირებულ საჯარო ან სხვა კანონიერ ინტერესებთან მიმართების (მე-5 ფაქტორი) გამორკვევის გარეშე, ვინაიდან ეს ფარგლები მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ამ ინტერესთა რაობაზე, ისევე როგორც, ზოგჯერ იმ სფეროზეც, რომელსაც შესაბამისი იდეები თუ ინფორმაცია მიეკუთვნება (მე-6 ფაქტორი).

ამჯერად საჭიროდ არ გვესახება იმაზე საუბარი, რომელია ამ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი ან ნაკლებად მნიშვნელოვანი. კონკრეტულ კონტექსტში თითოეული მათგანი შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი. თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ზოგიერთი ფაქტორის გავლენა უფრო ხშირია და არსებითი. ასეა თუ ისე, ცხადია ერთი, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტორებთანაა დაკავშირებული სხვადასხვა შემთხვევებში განსხვავებული მიდგომების გამოყენება. განსხვავებული მიდგომები კი გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ხარისხით დაცულობას განაპირობებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ღებულებას იმის შესახებ, რომ განსხვავებულ მიდგომებს ზემოაღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავს, მეტ-ნაკლებად პირობითი ხასიათი აქვს. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ამ ფაქტორების მიხედვით გამოვლინდება შესაბამისი მიდგომის აუცილებლობა. ეს აუცილებლობა კი მყარ კონცეპტუალურ საფუძველზე წარმოიშობა. ჩვენ შევეცადეთ ევროპული სასამართლოს მიერ გამოყენებული მიდგომები, რომლებიც სხვადასხვა შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების დაცულობის სხვადასხვა ხარისხს განაპირობებენ, აგვეხსნა და დაგვეჯგუფებინა წარმოშობის საფუძვლისა

და მათი მიზანდასახულობის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ეს მიდგომები ძირითადად სამ მნიშვნელოვან საწყისს ემყარება.

მიდგომათა ერთი ნაწილი ასახავს **ღირებულებათა ერთგვარ იერარქიას**, რომელიც იმისდა მიხედვით განისაზღვრება, თუ რამდენად ადეკვატურია გამოხატვის თავისუფლების განხორციელების შესაბამისი შემთხვევა იმ ფუნქციისა თუ დანიშნულებისა, რომელიც ამ თავისუფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში ეკისრება და რასაც საერთოდ ემყარება მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის აღიარება. შესაბამისად, გამოყენებული მიდგომები მიზნად ისახავს უზრუნველყოს დაცულობის ის ხარისხი, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შესაბამისი შემთხვევის ღირებულებით მნიშვნელობას შეესატყვისება.

მიდგომათა მეორე ნაწილი **სუბსიდიურობის პრინციპიდან წარმოდგება** და ასახავს ადამიანის უფლებათა დაცვაზე საერთაშორისო კონტროლის სპეციფიკას; ხოლო თავისი არსით, მოწოდებულია სუვერენულ სახელმწიფოთა ხელისუფლების პოზიციებისადმი პატივისცემა შეუხამოს საერთაშორისო კონტროლის ამოცანებს.

მიდგომათა მესამე ნაწილი კი საკუთრივ **ღირებულებათა კონფლიქტის სპეციფიკურობიდან** წარმოდგება და შესაბამისი ინტერესების ჰარმონიზაციასა და გაწონასწორებას ემსახურება.

I. მიდგომები, რომლებიც ასახავს ღირებულებათა იერარქიას

ამა თუ იმ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების დაცულობის მეტ-ნაკლებ ხარისხს მისი შესაბამისად მეტი ან ნაკლები ღირებულებითი მნიშვნელობა განსაზღვრავს. მაგრამ როგორ განისაზღვრება საკუთრივ „ღირებულებითი მნიშვნელობა?“ იგი იმისდა მიხედვით განისაზღვრება, **თუ რამდენად უშუალო შემხებლობაშია გამოხატვის თავისუფლების განხორციელების შესაბამისი შემთხვევა დემოკრატიული პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებასთან და შეიძლება თუ არა მისი განხილვა ამ პროცესში მონაწილეობად.**

რა იგულისხმება ამაში:

დემოკრატიის პროგრესისათვის აუცილებელია, რომ საზოგადოებაში არსებობდეს იდეებისა და ინფორმაციების სიმრავლე ყველა იმ საკითხის შესახებ, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეადგენს. საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს მათ შესახებ, რათა გამოიმუშაოს საკუთარი აზრი და ჰქონდეს არჩევანის შესაძლებლობა. საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, მათ შორის ღია და საჯარო დისკუსიები, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ღირებულებას. ამ პროცესის დაბრკოლება კი ტოტალიტარიზმის წინაპირობაა. გამოხატვის თავისუფლება, როგორადაც ის კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტშია განმარტებული, მოიცავს არა მარტო იდეებისა და ინფორმაციების გავრცელების, არამედ მათი მოძიებისა და მიღების თავისუფლებას და, შესაბამისად, იგი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ღია და თავისუფალი საჯარო დებატების გამართვის ერთადერთი საშუალებაა. ამიტომ ევროპული სასამართლო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იკვლევს,

შეეხებოდა თუ არა შესაბამისი იდეები თუ ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს და, შესაბამის კონტექსტში, ჩაითვლებოდა თუ არა იგი საჯარო დებატებში მონაწილეობად. ამ „სტატუსს“, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო წონადი, უმეტეს შემთხვევაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა ღირებულებითი კონფლიქტის დროს პრიორიტეტი სწორედ მას მიენიჭოს და არა მასთან დაპირისპირებულს.

ამიტომ, როდესაც გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში ღირებულებით იერარქიულობაზეა საუბარი, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამ თავისუფლების განხორციელების ყველა შესაძლო შემთხვევათა შორის „საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობას“ ამ იერარქიაში პირველი ადგილი აქვს მიკუთვნებული. ამრიგად, თუ შეხედულებები ან ინფორმაცია შეეხება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხს და მათი გავრცელება შესაბამის კონტექსტში განიხილება, როგორც ამ საკითხებზე საჯარო დებატებში წვლილის შეტანა, ასეთი გამოხატვის თავისუფლების ღირებულება ძალზე მაღალია. ევროპული სასამართლოს აზრით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობას, ძალზე რთულია მიჩნეულ იქნას „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მაშინაც კი, როდესაც გამოყენებულა ექსცესიური სიტყვები და ისინი მიმართულია კერძო ინდივიდების წინააღმდეგ.¹

ასეთი ხედვა, თავის მხრივ განაპირობებს იმ სხვა მიდგომებს, რომლებსაც ევროპული სასამართლო გამოიყენებს. სწორედ ამ მიზეზთა გამოა, რომ:

ა) პოლიტიკურ საკითხებზე „გამოხატვა“ გაცილებით უკეთაა დაცული, ვიდრე შემოქმედებითი თვითგამოხატვა ანდა კომერციის სფერო. პოლიტიკა საზოგადოებრივ ინტერესის საგანია, ამიტომ პოლიტიკურ საკითხებზე იდეებისა თუ ინფორმაციების გავრცელების შესაზღუდად ძალზე მცირე ფარგლებია დატოვებული;

ბ) განსაკუთრებით ფასობს ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლება, რომელიც თავისი მანდატის შესაბამისად, ვალდებულია წამოსწიოს და სააშკარაოზე გამოიტანოს საზოგადოებისათვის საჭირობო პრობლემები;

გ) ხელისუფლებისა და პოლიტიკოსების მიმართ „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ ძალზე ფართოა, გაცილებით ფართო, ვიდრე სახელმწიფო მოხელეების და მათ უფრო კერძო პირებთან მიმართებაში, იმდენად ფართო, რომ ზოგჯერ მათი პირადი ცხოვრებაც საზოგადოებრივი ინტერესის საგნადაა მიჩნეული. აღიარებულია, რომ საზოგადოებას უფლება აქვს ყველაფერი იცოდეს პოლიტიკოსების შესახებ, რადგანაც მათ თავიანთ თავზე აიღეს ქვეყნის მართვის გავლენიანი როლი და შესაბამისი პასუხისმგებლობა. ამიტომაც, დასაშვებადაა მიჩნეული მკვახე, უსიამოვნო და ზოგჯერ უსამართლო თავდასხმები

¹ Jean-Paul Costa, *The European Court of Human Rights and Its Recent Case Law*. *Texas International Law Journal*, special 2003, N3. vol.38. კვ.465.

ხელისუფლებასა და ფუნქციონერებზე; ექსცესიური, შეურაცხყოფელი, გადაჭარბებული გამონათქვამების გამოყენება. ევროპული სასამართლო მიდრეკილია იქითკენ, რომ სადავო შემთხვევაში შესაბამისი იდეა თუ ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საგანს მიაკუთვნოს. ხოლო შესაბამისი გამონათქვამი „შეფასებით მსჯელობას“ და არა – „ფაქტების გადმოცემას“. შეიძლება ითქვას, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცულობის ყველაზე მაღალი სტანდარტი, რომელიც ევროპულმა სასამართლომ *Handyside*-ს საქმეში გადმოსცა, სწორედ ხელისუფლებასა და ცალკეულ პოლიტიკოსებთან მიმართებაშია ყველაზე უფრო ადეკვატური.

დ) **პრესის თავისუფლება სრულიად განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს**, ვინაიდან სწორედ პრესის მეშვეობით ხდება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების გაშუქება, მათ შორის პოლიტიკის სფეროში. უფრო მეტიც, ეს პრესის მართო უფლებად კი არა, მოვალეობადაა მიჩნეული. პრესის თავისუფლებაში ყველაზე უფრო მეტად იგულისხმება ინფორმაციის მიღების უფლება („არა მართო პრესას აქვს ამოცანა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, არამედ ხალხსაც აქვს უფლება მიიღოს ისინი და იქონიოს მასზე საკუთარი აზრი და შეხედულება“).²

აქვე უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხები მხოლოდ პოლიტიკისა და პრესის თავისუფლების სფეროებით როდი შემოიფარგლება. მხედველობაში მიიღება, თუ საზოგადოებისათვის რამდენად მნიშვნელოვან საკითხს შეეხებოდა გავრცელებული ინფორმაცია თუ იდეები. მათი ღირებულებაც ამის მიხედვით განისაზღვრება. მთლიანობაში, პრესის თავისუფლებისა და პოლიტიკის სფერო მაინც ყველაზე უკეთაა დაცული.

ე) ამავე ლოგიკის საფუძველზე, **იდეები და ინფორმაცია, რომლებიც არ შეეხება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებს, შედარებით ნაკლები დაცვა აქვთ გარანტირებული**. მათ ნაკლები შანსი გააჩნიათ ღირებულებათი კონფლიქტის დროს პრიორიტეტის მოსაპოვებლად, და ნაკლები მედეგობა შეზღუდვის საწინააღმდეგოდ (მაგალითად, თუ პოლიტიკურ საკითხებზე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას, სახელმწიფოს აკისრია მძიმე ტვირთი, დაამტკიცოს უფლებაში ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, კომერციული რეკლამის სფეროში საკმარისია იმის დამტკიცება, რომ „შეზღუდვა არ იყო არაგონივრული“). ხოლო მაშინ, როდესაც ისინი პიროვნებაზე თავდასხმას წარმოადგენენ, შეიცავენ შეურაცხყოფელ გამოთქმებს, მათი ღირებულება და შესაბამისად, დაცულობის ხარისხიც მინიმალურია. ევროპულმა სასამართლომ *Otto-Preminger Institut*-ის საქმის განჩინებაში მიუთითა, რომ შეურაცხყოფელი გამოთქმები სხვათა რელიგიური გრძნობების შესახებ, ვერ ჩაითვლებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობად, რომელიც საქვეყნო საქმეების პროგრესს უწყობდა ხელს.³

² *Lingens v. Austria*, judgment of 8 July 1986. §41. *Oberschlick v. Austria*, judgment of 1 July 1997. §58.

³ *Otto-Preminger-Institut v. Austria*, judgment of 20 September, 1994; series A. N295-A. §49.

ეროვნული რასობრივი, რელიგიური ან სხვაგვარი შეუწყნარებლობის გამოვლინებებს, სიძულვილის შემცველ და მტრულ განცხადებებს (*hate speech*), დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევების ჩადენისაკენ წაქეზებას, ღირებულებით იერარქიაში საერთოდ არ მოეპოვებათ ადგილი და ისინი, როგორც წესი, იზღუდებიან.

II. მიდგომები, რომლებიც წარმოდგება სუბსიდიურობის პრინციპიდან

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეშვეობით კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვა ემყარება **სუბსიდიურობის პრინციპს**. პირველ რიგში კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები არიან ვალდებული უზრუნველყონ თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვა. ხოლო ევროპული სასამართლოს ამოცანაა შეაფასოს, დაარღვია თუ არა ხელშემკვრელმა მხარემ კონვენციით ნაკისრი ვალდებულება და კონვენციის დარღვევის მსხვერპლს განუსაზღვროს „სამართლიანი დაკმაყოფილება“. ამიტომ ევროპული სასამართლოს მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვა დამატებითია (სუბსიდიურია). საერთაშორისო კონტროლის ასეთმა ბუნებამ თავად წარმოშვა მისი შეზღუდვის აუცილებლობა, კერძოდ – ინდივიდურ უფლებათა შეზღუდვის საკითხებში ეროვნული შეფასებების გათვალისწინებისა და ანგარიშის გაწევის აუცილებლობა. ამიტომ ევროპულმა სასამართლომ შეიმუშვა მთელი რიგი მიდგომები:

ა) ჯერ ერთი, აღიარა უფლებათა შეზღუდვის სფეროში ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებებისადმი პატივისცემის აუცილებლობა და შეიმუშავა ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა. მან უფლებათაში ჩარევის „აუცილებლობისა“ და “თანაზომიერების“ საკითხებში ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მიანიჭა შეფასების თავისუფლების გარკვეული არე; რითაც დაადასტურა, რომ ზოგჯერ ეროვნული შეფასების პრიორიტეტულობა უნდა იქნას აღიარებული. ამ გზით მან შეზღუდა საკუთარი მიხედვლების თავისუფლება, ანუ განახორციელა თვითშეზღუდვა.⁴

ბ) იმავდროულად დაადგინა, რომ ეს ფარგლები არ იყო აბსოლუტური და განუსაზღვრელი და რომ მათი დაცულობა ევროპულ კონტროლს ექვემდებარებოდა.⁵

გ) მანვე განმარტა, რომ სხვადასხვა შემთხვევებში ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები განსხვავებული იყო, შეიმუშავა სახელმძღვანელო ორიენტირები ამ ფარგლების განსაზღვრად. მათი მიხედვით ამ ფარგლების

⁴ იხ. *Incal v. Turkey*, judgment of 9 June 1998, §48; *Rekvenyi v. Hungary*, judgment of 20 May 1999, §42; *Oztürk v. Turkey*, judgment of 28 September 1999, §64; *Zana v. Turkey*, judgment of 25 September 1997, §51; *Ahmed and Others v. the United Kingdom*, judgment of 2 September, 1998, §55; *Hertell v. Switzerland*, judgment of 25 August 1998 §46; *Wille v. Liechtenstein*, judgment of 28 October, 1999, §61 და სხვ.

⁵ *Wingrove v. the United Kingdom*, judgment of 25 November, 1996, §53; *Radio ABC v. Austria*, judgment of 20 October, 1997, §30; *Janowski v. Poland*, judgment of 21 January, 1999, §30; *Karataş v. Turkey*, judgment of 9 July 1999, §48; *Ceylan v. Turkey*, judgment of 8 July, 1999, §32; *Erdugdu and Ince v. Turkey*, judgment of 8 July 1999, §47; *Sürek (N1) v. Turkey*, judgment of 8 July, 1949, §58 და სხვ.

სიფართოვე თუ სივიწროვე დამოკიდებულია ინდივიდური უფლებისა და მასთან დაპირისპირებული ინტერესის მნიშვნელობაზე, სპეციფიკაზე, აგრეთვე, უფლებაში ჩარევის ხასიათსა და ხარისხზე. ევროპულმა სასამართლომ შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლები განუსაზღვრა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს იმ სფეროებში, სადაც მეტია ადგილობრივი რეალიებისა და სპეციფიკის გათვალისწინების საჭიროება, სადაც არ არსებობს საერთო-ევროპული კონცეფცია და სტანდარტი. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთ სფეროებში ეროვნული ხელისუფლება უკეთეს მდგომარეობაშია შეაფასოს შეზღუდვის აუცილებლობა, ვიდრე საერთაშორისო სასამართლო.⁶

შესაბამისად, ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები ფართოა, როდესაც გამოხატვის თავისუფლება იზღუდება ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და მორალის ინტერესების დასაცავად; აგრეთვე, კომერციის (განსაკუთრებით რეკლამის) სფეროში იდეებისა და ინფორმაციების შეზღუდვასთან მიმართებაში.

მათგან განსხვავებით, ეს ფარგლები ვიწროა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გავრცელების შეზღუდვასთან მიმართებაში, მაშასადამე – პოლიტიკის, პრესის თავისუფლების, ხალხის არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის სფეროებში, აგრეთვე, ადვოკატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასთან მიმართებაში მისი პროცესუალური როლის გათვალისწინებით და სხვ.

შეფასების თავისუფლების ფარგლებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, გაიზიარებს თუ არა ევროპული სასამართლო ეროვნული ხელისუფლების შეფასებას გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის შესახებ. სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ მასზე ხშირად არის დამოკიდებული საქმის ბედი. ამის გათვალისწინებით, ნაშრომში ცალკე პარაგრაფი ეძღვნება შეფასების თავისუფლების დოქტრინას, სადაც უფრო სრულად არის ახსნილი მისი შინაარსი და გაანალიზებულია, თუ რა მოსაზრებას ემყარება ამა თუ იმ შემთხვევაში მისი ფარგლების სიფართოვე თუ სივიწროვე.

III. „სამართლიანი ბალანსის“ იდეიდან გამომდინარე მიდგომები

ნებისმიერი კონფლიქტის გადაჭრა სამართლიანობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ერთი ან რომელიმე მხარის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტა, ისევე, როგორც შუალედური პოზიცია, შესაბამის შემთხვევებში შეიძლება იყოს „სამართლიანი“. მაგრამ როდესაც საქმე ღირებულებათა კონფლიქტს შეეხება, მაგალითად – კონფლიქტს ინდივიდურ უფლებასა და საჯარო ინტერესს, ანდა ორ ინდივიდურ უფლებას, ან ორ საჯარო ინტერესს შორის, კონფლიქტის სამართლიანი გადაჭრის გაგება და მისი მიღწევის საშუალებები შედარებით განსხვავებულია. განსხვავებულია საწყისი პოზიციები. ვინაიდან კონფლიქტის ორივე მონაწილე „ღირებულებაა“, რომლებიც სამართლებრივად არის დაცული,

⁶ *Handyside v. The United Kingdom*, judgment of 7 December 1976. §48.

ცხადია, ორივე მათგანს თავიდანვე სერიოზული პოზიცია გააჩნია მოითხოვოს, რომ იგი რეალურად იქნეს დაცული. მაგრამ, რაკი კონფლიქტები წარმოიშობა, მასთან ერთად ჩნდება რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭების აუცილებლობა. **ღირებულებათა კონფლიქტის გადაჭრა, არსებითად სწორედ კონფლიქტურ ღირებულებებთან რომელიმე მათგანის უპირატესობის (პრიორიტეტის) განსაზღვრას გულისხმობს.** შესაბამისად, „ღირებულებათა კონფლიქტის სამართლიანი გადაჭრა“ – ამ უპირატესობის სამართლიანად განსაზღვრას. ის, თუ როდის რა იქნება „სამართლიანი“, ეს საქმის გარემოებებსა და სხვა ფაქტორებსა დამოკიდებული. ხან ერთი და ხან მეორე ღირებულებისათვის უპირატესობის (მათ შორის სრული უპირატესობის) მინიჭება შეიძლება იყოს სამართლიანი. ამის მიუხედავად, აშკარაა ისიც, რომ რაკი საქმე ღირებულებებს შეეხება, მათ შორის კონფლიქტის სამართლიანი გადაჭრა უთუოდ გულისხმობს საზრუნავს, ყველა შესაძლებლობა თუ რესურსი იქნეს გამოყენებული მათი ჰარმონიზაციის, დაბალანსებისა და გაწონასწორებისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ღირებულებათა კონფლიქტების გადაჭრის ისტორია მოწმობს, რომ იგი ცდილობს, რაც კი შესაძლებელია, მაქსიმალურად გაითვალისწინოს ორივე დაპირისპირებული ინტერესის დაცვის აუცილებლობა და იაროს ინტერესთა ჰარმონიზაციის, და არა კონფლიქტის კიდევ უფრო გაღრმავების გზით. ამრიგად, კონფლიქტურ ღირებულებებს შორის სამართლიანი ბალანსის იდეა უთუოდ მოიცავს ინტერესთა ჰარმონიზაციის, გონივრული დაბალანსებისა და გაწონასწორების საზრუნავს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში ამა თუ იმ საჯარო ინტერესის დასაცავად ინდივიდურ უფლებათა, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება ყოველთვის ამ თვალსაზრისით ხდება. იგი ყოველთვის საგანგებოდ იკვლევს, რამდენად გონივრულად დააბალანსა და გააწონასწორა ეროვნულმა ხელისუფლებამ დაპირისპირებული ინტერესები. ეს გახლავთ ერთ-ერთი ძირითადი კოცეპტუალური მიდგომა, რომელსაც ევროპული სასამართლო გამოიყენებს.

მაგრამ ამჯერად ჩვენი ამოცანა მხოლოდ ამის თქმა არ არის. არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება ის გარემოებაც, რომ არაერთი სხვა მიდგომა, რომლებსაც ევროპული სასამართლო გამოიყენებს, ასევე ემყარება გაწონასწორებისა და დაბალანსების იდეას, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ინტერესთა გაწონასწორების ამოცანის წარმატებით გადაჭრას უწყობს ხელს და საბოლოო ჯამში კი, სამართლიანი ბალანსის მიღწევას ემსახურება. ცხადია, ასეთ შესატყვისობას ღრმა, შინაგანი, ლოგიკური საფუძველი გააჩნია. იგი ინტერესთა ჰარმონიული გაწონასწორების იდეით ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის გაჟღერების და დამადასტურებელია და მთლიანად შეესაბამება უმთავრესი დემოკრატიული ღირებულებების – საზოგადოებაში მშვიდობის, ჰარმონიისა და თანხმობის დამკვიდრებას.

გაგაცნობთ რამდენიმე მიდგომას, რომლებიც გაწონასწორებისა და დაბალანსების პრინციპს ემყარება.

ა) ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოვლინება ამ პრინციპის გამოყენებისა საკუთრივ კონვენციის მე-10 მუხლია. მხედველობაშია ამ მუხლს მე-2 პუნქტის მითითება იმის თაობაზე, რომ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით აღწერილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში...

აღნიშნული დებულება, ფაქტობრივად იმას გულისხმობს, რომ გამოხატვის თავისუფლების თანაარსი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევამ შეიძლება მისი შეზღუდვა განაპირობოს. რა თქმა უნდა, იგი არ არის აუცილებელი პირობა შეზღუდვისა და მას, ასე ვთქვათ, მხოლოდ შეზღუდვის დამატებითი არგუმენტის ფუნქცია შეიძლება დაეკისროს ამ მუხლის შინაარსის კონტექსტში. მაგრამ საერთო კონტექსტში – გამოხატვის თავისუფლებისათვის მინიჭებული მნიშვნელობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამ დებულების მნიშვნელობა გაცილებით უფრო დიდია და არსებითი. იგი, ფაქტობრივად, გვევლინება, როგორც დაბალანსებელი საშუალება იმ საერთო (სავსებით სწორი) მიდგომისა, რომლის მიხედვითაც, გამოხატვის თავისუფლება თავისი სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო დემოკრატიულ საზოგადოებაში, დაცული უნდა იყოს მაღალი სტანდარტით.

უფლებანი და მოვალეობანი ისედაც განუყოფელია. კონვენციამ სხვა დამატებითი გარანტიებიც შექმნა საიმისოდ, რომ უზრუნველყო მოვალეობათა უხეში დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი შედეგები. ამას ემსახურება მაგალითად კონვენციის მე-17 მუხლი, რომელიც უფლებათა ბოროტად გამოყენებას კრძალავს როგორც სახელმწიფოს, ისე ინდივიდების მხრიდან. მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ კონვენციის ხელშემკვრელმა მხარეებმა დაისაჭიროვეს საგანგებოდ მიეთითებინათ კონვენციის მე-10 მუხლში გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე.

ამას, ჩვენი რწმენით, ორი მიზეზი განაპირობებს: ერთი მხრივ – გამოხატვის თავისუფლების დიდი მნიშვნელობა და, მეორე მხრივ – მისი ონტოლოგიური ბუნება. ვგულისხმობთ სხვა ინტერესებში უხეში შეჭრის, მათთვის სერიოზული ზიანის მიყენების უნარს. ცხადია, გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცულობის აუცილებლობა და იმავედროულად ზიანის მიყენების მისი დიდი უნარი აძლიერებს ამ თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტთა „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“. სწორედ ამიტომ შესაბამის „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“ მითითება გვევლინება, როგორც გამოხატვის თავისუფლების ფართო ფარგლების

საპირწონე, მისგან მომდინარე პოტენციური საფრთხის განეიტრალების საშუალება.

ამრიგად, გამოხატვის თავისუფლების ფართო ფარგლები, მისი მაღალი სტანდარტით დაცვის აუცილებლობა და მისი მხრიდან ზიანის გამოწვევის საფრთხე გაწონასწორებულია შესაბამისად მაღალი ხარისხის „მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით“.

ფაქტობრივად, მე-10 მუხლის ზემოაღნიშნული დებულება გამოხატავს პრინციპს: **რაც მეტია თავისუფლება, მით მეტია შესაბამისი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა.**

ასეთი პრინციპი, არა მარტო გონივრული, არამედ სამართლიანიცაა.

შესაბამისად, ამ პრინციპის გამოყენება უკვე დიდი წინაპირობაა საქმეზე სამართლიანი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა მოწმობს, რომ იგი არა მარტო ყოველთვის ითვალისწინებს „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის ფაქტორს, ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობასაც ანიჭებს მას. იგი თავის განჩინებაში თუ გადაწყვეტილებებში განმარტავს, თუ კერძოდ რას გულისხმობს „გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ და აღნიშნავს, თუ რით გამოიხატა შესაბამის შემთხვევაში მათი დარღვევა. აღსანიშნავია, რომ ასეთი განმარტებები ყველაზე უფრო ხშირად ევროპულმა სასამართლომ პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში გააკეთა, რაც არ არის შემთხვევითი სწორედ იმ ძლიერი ზეგავლენის გამო, რომელიც მას გააჩნია.

ბ) გაწონასწორებისა და დაბალანსების საწყისს პირდაპირ ემყარება შეზღუდვის „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შეფასებანი და ის კრიტერიუმები, რომლებიც ამ დროს გამოიყენება.

შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც საჯარო ან სხვა კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული ან პოტენციური ზიანის სიდიდე, ისე უფლებაში ჩარევის ხასიათი და ხარისხი. ამასთან, რაც უფრო მეტია შესაბამისი კანონიერი ინტერესის მნიშვნელობა, ან მისთვის მიყენებული პოტენციური ზიანი, მით უფრო იოლია შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებისა“ და საამისოდ აუცილებელი „შესაბამისი და საკმარისი საფუძვლის“ აღიარება. მასთან ერთად – მით უფრო მსუბუქია მოპასუხე სახელმწიფოს ტვირთი, დაამტკიცოს შეზღუდვის აუცილებლობა.

და პირიქით: რაც უფრო დიდია იმ თავისუფლების მნიშვნელობა, რომელიც შეიზღუდა, რაც უფრო სერიოზულია მასში ჩარევის ხასიათი ან ხარისხი, მით უფრო წონადი გამართლება ესაჭიროება მას; მით უფრო მძიმეა მოპასუხე სახელმწიფოს ტვირთი, დაამტკიცოს უფლებაში ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ასეთი პროპორციული გაწონასწორება გამოხატვის თავისუფლებისა ან შესაბამისი კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული ზიანისა და

სახელმწიფოსთვის დაკისრებული მტკიცების შესაბამისი ტვირთისა, პირდაპირ და უშუალოდ ემსახურება ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების ამოცანას.

გ) **გაწონასწორების პრინციპი უდევს საფუძვლად (ნაწილობრივ) „დასაშვები კრიტიკის“ კონცეფციასაც, ოღონდ სხვა ასპექტში. აქ კრიტიკის ობიექტის თავდაცვის საშუალებები და კრიტიკისაგან დაცვის სახელმწიფოს ვალდებულების შესაბამისი ხარისხია ერთმანეთთან გაწონასწორებული.**

პოლიტიკოსების მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფართო ფარგლები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, ემყარება კონცეპტუალურ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით პოლიტიკურ საკითხებზე „გამონატვა“ კარგად უნდა იყოს დაცული (მიჩნეულია, რომ მათ მეტი (ზოგჯერ დაუმსახურებელი) კრიტიკა უნდა აიტანონ და ზიღონ ის ტვირთი, რომელიც პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობას ახლავს). მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი ფართო ფარგლები იმასაც ემყარება, რომ პოლიტიკოსებს, რომელთაც ტრიბუნა უპყრიათ ხელთ, ისედაც უამრავი საშუალება გააჩნიათ მათ წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკაზე პასუხის გასაცემად. ამიტომ სახელმწიფოს ვალდებულება დაუმსახურებელი კრიტიკით რეპუტაციის შელახვისაგან მათი დაცვისა, ნაკლებია.

მათგან განსხვავებით, კერძო პირები მთლიანად დაუცველნი არიან, მათ თავდაცვისა და პასუხის გაცემის სხვა საშუალებები არ გააჩნიათ. შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულება მათი რეპუტაციის დაცვისა, გაცილებით უფრო ძლიერია.

განსხვავებულ საწყისებს ეყარება სახელმწიფო მოხელეთა, მათ შორის მოსამართლეთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების განსაზღვრა. ამ მიმართებით მათ შუალედური ადგილი უკავიათ პოლიტიკოსებსა და კერძო პირებს შორის. აქაც გაწონასწორების პრინციპია ჩადებული. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო მოხელეებს, განსაკუთრებით კი მოსამართლეებს, პოლიტიკოსებისა და კერძო პირებისაგან განსხვავებით, საკუთრივ გამონატვის თავისუფლება აქვთ შეზღუდული. მათ ეკისრებათ ე.წ. „**თავშეკავებულობის ვალდებულება**“ როგორც საზოგადოდ, ისე უშუალოდ მათ წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკაზე პასუხის გაცემასთან მიმართებაში. ეს მოთხოვნა წარმოდგება მათი მდგომარეობიდან და მიზნად ისახავს სახელმწიფო სამსახურის, მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობისადმი ხალხის ნდობის შენარჩუნებას. მოსამართლეები და სხვა სახელმწიფო მოხელეები, ვალდებულნი არიან გამოიჩინონ თავშეკავება გამონატვის თავისუფლების განხორციელებისას, რათა მათმა გამონატვამებმა ნებისით, თუ უნებლიედ, ჩრდილი არ მიაყენოს სახელმწიფო სამსახურს, სასამართლოს ავტორიტეტს და ძირი არ გამოუთხაროს მათდამი ხალხის ნდობას.

შესაბამისად, ვინაიდან გამონატვის თავისუფლება, *inter alia* კრიტიკაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა მათ შეზღუდული აქვთ, მათი კრიტიკის უფლებაც შესაბამისად არის შეზღუდული და შედარებით გაიოლებულია მათი

რეპუტაციის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეღუპვის გამართლებულად ცნობა.

* * *

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საჯარო ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევის გამართლებულობის შეფასებისას კიდევ სხვა არაერთ მიდგომას გამოიყენებს. გზადაგზა, ცალკეულ საკითხთა გაშუქებისას ჩვენ უმეტეს მათგანს შევეხებით და მათ მიზანდასახულობას გავაანალიზებთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მიდგომის გარკვეულ სისტემაში მოქცევა და გარკვეული ნიშნით დაჯგუფება იოლი საქმე არ არის, ვინაიდან თითოეული მათგანი ზოგჯერ ერთდროულად რამდენიმე თვალსაზრისს ეფუძნება. რა თქმა უნდა, შეიძლება ეს მიდგომები სხვაგვარადაც დაგვეჯგუფებინა. მაგალითად, ცალკე გამოგვეყო ის მიდგომები, რომლებიც გამოიყენება ყველა იმ უფლებასთან მიმართებაში, რომლებიც კონვენციის მიხედვით სხვა ინტერესების დასაცავად შეიძლება შეიზღუდოს და, ცალკე ისინი, რომლებიც მხოლოდ კონვენციის მე-10 მუხლს უკავშირდება. ნაშრომში შედარებითი თუ სხვა ასპექტების გამოკვლევისას ამ საკითხზეც არის ყურადღება გამახვილებული და ვფიქრობთ, რომ საერთო სურათი შექმნილია. ამჯერად ჩვენ სწორედ ზემოაღნიშნული სისტემა მივიჩნიეთ უფრო საინტერესოდ.

თ ა ვ ი 4

გნიშვნელოვანი ღოჭრინაჰი და კონსაჰსიჰი

სხვა ღირებულებებთან გამოხატვის თავისუფლების კონფლიქტის დროს სამართლანი ბალანსის ძიებისას ევროპული სასამართლო არაერთ ღოჭტრინას, კონცეფციას, პრინციპსა თუ კრიტერიუმს გამოიყენებს. მაგრამ მათ შორის სრულიად გამორჩეულია რამდენიმე მათგანი. ესენია „ეროვნული შეფასების თავისუფლების არე“, „საზოგადოებრივი ინტერესის საჯარო დისკუსიაში მონაწილეობა“ და „აზრის გამოხატვის თავისუფლებისათვის თანაარსი მოვალეობები და პასუხისმგებლობა“. პირველი მათგანი საერთაშორისო კონტროლის სპეციფიკას ასახავს და დემოკრატიული სახელმწიფოს სუვერენიტეტისადმი პატივისცემის პრინციპის გამომხატველია, მეორე მათგანი – დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების გამორჩეული მნიშვნელობის მინიჭებისა და, შესაბამისად, მისი მაღალი სტანდარტით დაცულობის საფუძვლებს გვიხსნის, მესამე მათგანი კი ამ დიდი თავისუფლების გონივრულ ფარგლებში მოქცევის სამართლებრივ მიზანშეწონილობაზე მიგვანიშნებს. მათი გამოყენებადობის არეალი განსხვავებულია. პირველი მათგანი კონვენციის ყველა იმ უფლებასთან მიმართებაში გამოიყენება, რომლებიც სხვა კანონიერ ინტერესთა სასარგებლოდ შეზღუდვებს ექვემდებარებიან, მეორე – მხოლოდ გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში. რაც შეეხება მესამეს – იგი იმპლიციტურად იგულისხმება თავისუფლების ყველა უფლებასთან მიმართებაში, რამდენადაც მოვალეობები და პასუხისმგებლობა ყოველგვარი თავისუფლების განუყოველი კომპონენტია; თუმცა განსაკუთრებული დატვირთვა მას სწორედ გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში გააჩნია. ქვემოთ დაწვრილებით არის გაანალიზებული მათი რაობა და დანიშნულება.

§4.1. „შეფასების თავისუფლების არე“

საჯარო ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის სფეროში¹ ევროპული სასამართლო კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების გარკვეულ არეს (margin of appreciation) მიაკუთვნებს. მის სიფართოვესა თუ სივიწროვეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გაიზიარებს თუ არა ევროპული სასამართლო ეროვნული ხელისუფლების პოზიციას ამა თუ იმ შემთხვევაში საჯარო ან სხვა კანონიერი

¹ იგულისხმება უფლებათა შეზღუდვის ყველა შემთხვევა, რომლის შესაძლებლობასაც კონვენცია ითვალისწინებს, მათ შორის ისინიც, რომლებიც კონვენციის მე-15 მუხლის შესაბამისად კონვენციიდან უკან დახვევის დროს შეიძლება განხორციელდეს.

ინტერესების დასაცავად ინდივიდურ უფლებათა შეზღუდვის აუცილებლობის საკითხში.

ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმათთაგან, რომლებიც ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა, რომლებსაც ეფექტიანად გამოიყენებს თავის საქმიანობაში და რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვაზე საერთაშორისო კონტროლის სპეციფიკას ასახავს.²

ნაშრომის იმ თავში, რომელშიც გადმოცემულია ევროპული სასამართლოს ძირითადი მიდგომები საჯარო ინტერესებისა და გამოხატვის თავისუფლების ღირებულებითი კონფლიქტის გადაჭრისას, ჩვენ ნაწილობრივ ავსენით „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინის არსი და დანიშნულება. მაგრამ იმ დიდი გავლენის გამო, რომელიც მას გააჩნია ინდივიდურ უფლებათა შეზღუდვის კონვენციასთან შესაბამისობის დადგენის სფეროში, აუცილებლად გვესახება, უფრო სიღრმისეულად და სისტემურად გავიაზროთ, თუ რატომ ენიჭებათ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლება, გავარკვიოთ მისი როლი ადამიანის უფლებათა დაცულობაზე საერთაშორისო კონტროლის განხორციელების პროცესში და პრინციპები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება მისი ფარგლები.

გამოკვლევამ შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა.

უწინარესად ის უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა „შეფასების თავისუფლების არე“ (ან „შეფასების თავისუფლების ფარგლები“ ანდა „შეფასების თავისუფლების კოეფიციენტი“ - „margin of appreciation“) საკუთრივ კონვენციის ტერმინი არ არის. იგი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა და გამოიყენება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის სფეროში ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიხედულების თავისუფლების ხარისხის აღმნიშვნელად. ერთი მხრივ, იგი გულისხმობს პატივისცემისა და ანგარიშის გაწევის იმ ხარისხს (*degree of deference*), რომლითაც ევროპული სასამართლო ეკიდება ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებას ამ საკითხზე. მეორე მხრივ, იგი იმავდროულად იმის მაჩვენებელიცაა, თუ რამდენად კრიტიკული იქნება ევროპული სასამართლო ეროვნული შეფასებებისადმი (*degree of scrutiny*).

ეროვნული „შეფასების თავისუფლება“ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვაზე საერთაშორისო კონტროლის აუცილებელ ელემენტს. იგი გამომდინარეობს

² იხ. C.Feingold, „The doctrine of margin of appreciation and the European Convention of Human Rights“ (1997); Notre Dame Lawyer 90; R.St. J Macdonald, „The margin of appreciation in the Jurisprudence of the European Court of Human Rights“, „International Law and the time of its codification“. Milan 1987. გვ.187. H.C.Yourou „The margin of appreciation doctrine in the dynamics of European Human Rights Jurisprudence“ (1988) 3 Connecticut Journal of International Law; P. van Dijk & G. van Hoff. „Theory and practice of the European Convention on Human Rights“, 1998; De Salvia Michell, „Contrôle européen et principe de subsidiarité: faut-il encore émaner à la marge d'appréciation?“ კრებულში Protecting Human Rights: the European Perspective (Studies in memory of Rolv Ryssdal), 2000, გვ.373-386. ამავე კრებულში იხილეთ აგრეთვე Finlay Thomas S.A. „Judicial self-restraint“, (გვ.499-506) Callewaert, Johan, „Quel avenir pour la marge d'appréciation?“ (გვ.147-165); Lord Mackay Clashfern „The margin of appreciation and the need for balance“ (გვ.837-844). E.Brems „The Margin of Appreciation Doctrine in the Case-Law of the European Court of Human Rights“. ZAÖRL, vol. 59. 1996. T.H.Jones „The Devaluation of Human Rights under the European Convention in Public Law“, 1995.

საერთაშორისო იურისდიქციის ბუნებიდან და არსებითად საერთაშორისო კონტროლის თვითშეზღუდვას გულისხმობს. ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის შეფასების თავისუფლების გარკვეული არეალის მიკუთვნებით, ევროპულმა სასამართლომ საკუთარი შეფასების თავისუფლება შეზღუდა. შეიძლება ითქვას, რომ ევროპული სასამართლოს შეფასების თავისუფლება შეზღუდულია ეროვნული შეფასების თავისუფლების შესაბამისი არეალით.

საერთაშორისო კონტროლის ასეთ თვითშეზღუდვას გონივრული საფუძველი გააჩნია. იგი წარმოადგება ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს დანიშნულებიდან³ და ასახავს სუვერენიტეტის, სუბსიდიურობისა და დემოკრატიის პრინციპებს.⁴ იგი უზრუნველყოფს კონვენციის ეფექტიან მოქმედებას დემოკრატიის პირობებში, სუვერენული სახელმწიფოების შესაბამისი უფლებებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. სხვა სიტყვებით, საერთაშორისო კონტროლის თვითშეზღუდვა ემსახურება იმას, რომ ეს კონტროლი არ გადაიზარდოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევაში და ის გონივრულ საწყისებზე განხორციელდეს.⁵

რა იგულისხმება ყოველივე ამაში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეშვეობით კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვა ემყარება სუბსიდიურობის პრინციპს. პირველ რიგში კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები არიან ვალდებული უზრუნველყონ თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვა. ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი სწორედ ამ ვალდებულებაზე მიუთითებს: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის

³ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მთავარი დანიშნულება ადამიანის უფლებათა საყოველთაო გაცხადება კი არ არის, არამედ – მათი დაცვის ორგანიზაცია ევროპის საბჭოს ფარგლებში ხელშემკვრელი მხარეების ერობლივი ძალისხმევის განხორციელებით. ამ თვალსაზრისით, ევროპული კონვენცია მსოფლიოში პრაქტიკულად პირველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი იყო, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელებულიყო ადამიანის უფლებათა კოლექტიური უზრუნველყოფა. ასეთი მისია თუ დანიშნულება კონვენციასა და მის ორგანოებს თვისებრივად განსხვავებულ უნიკალურ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას აკისრებდა. ამასთან დაკავშირებით სავესებით სამართლიანად აღნიშნა **ტიტგენმა**: „რამდენადაც „კლასიკურ“ საერთაშორისო სამართალში მანამდე არ არსებობდა კოლექტიური უზრუნველყოფის მაგალითი, რაიმე პრეცედენტისა თუ წყაროს ძიება სრულიად უნაყოფო იყო“ (იხ. **P.H. Teitgen**, *Introduction to the European Convention on Human Rights*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds), 1993, გვ.3).

⁴ როგორც **ჰერბერტ პეტცოლდი** მიუთითებს, ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა სუბსიდიურობის პრინციპის ბუნებრივი პროდუქტია. (იხ. **Herbert Petzold**, *The Convention and the Principle of Subsidiarity*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds), 1993, გვ.59).

⁵ **რ.მაკდონალდის** განმარტებით „შეფასების ათვისუფლების“ დოქტრინა წარმოადგენს ილუსტრაციას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ძირითადი მიდგომისა იმ დელიკატური ამოცანის მიმართ, თუ როგორ უნდა დაბალანსდეს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი კონვენციის წინაშე მათ პასუხისმგებლობასთან (იხ. **R.St.J. Macdonald**, *Margin of Appreciation*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds), 1993, გვ.83).

უზრუნველყოფენ ამ კონვენციის პირველ კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ ვალდებულებათა შესრულებაზე საერთაშორისო კონტროლის გზით ახორციელებს უფლებათა დაცვას. კონვენციის მე-19 მუხლში საგანგებოდ არის მითითებული ევროპული სასამართლოს ეს დანიშნულება: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად არსდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო...“. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს ამოცანა ის კი არ არის, რომ ჩაენაცვლოს ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს, არამედ ის, რომ განახორციელოს საერთაშორისო კონტროლი მათი მხრიდან კონვენციის მოთხოვნების დაცულობის საკითხზე. ევროპულმა სასამართლომ თავის განჩინებებში არაერთხელ მიუთითა, რომ მის ამოცანას წარმოადგენდა არა ეროვნულ სასამართლოთა ჩანაცვლება, არამედ ეროვნული ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებათა კონვენციასთან შესაბამისობაზე კონტროლი, რომლებიც გამოტანილი იქნა შეფასების თავისუფლების საფუძველზე:

„სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საქმის გარემოებები და შეფასების თავისუფლება, რომელიც სახელმწიფოს აქვს მინიჭებული“⁶.

„უდავოა, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული თავისუფლებით იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა აუცილებელი და რა ზომით გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, განსაკუთრებით კი – გონივრული და შესაბამისი ღონისძიებების შერჩევის სფეროში“.⁷

„ევროპული სასამართლოს ამოცანას წარმოადგენს არა ეროვნულ სასამართლოთა ჩანაცვლება, არამედ იმ გადაწყვეტილებათა მე-10 მუხლთან შესაბამისობაზე კონტროლი, რომელიც გამოტანილი იქნა შეფასების თავისუფლების საფუძველზე.“⁸

ამგვარად, ევროპული სასამართლოს მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვა მეორადია, დამატებითია, ანუ სუბსიდიურია.⁹ ევროპული სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს (*tribunal of facts*). მისი იურისდიქცია 46 ქვეყანასა და მის 800 მილიონიან მოსახლეობაზე ვრცელდება.

⁶ *Zana v. Turkey*, judgment of 25 September, 1997, §55.

⁷ *Steel and others v. the United Kingdom*, 23 September 1998, §101.

⁸ *Incal v. Turkey*, judgment of 9 June, 1998, §48; *Rekvenyi v. Hungary*, judgment of 20 May 1999, §42; *Öztürk v. Turkey*, judgment of 28 September, 1999, §64; *Zana v. Turkey*, judgment of 25 September, 1997, §51; *Ahmed and Others v. The United Kingdom*, judgment of 2 September, 1998, §55; *Hertel v. Switzerland*, judgment of 25 August, 1998, §46; *Wille v. Liechtenstein*, judgment of 28 October, 1999, §61.

⁹ ჰერბერტ პეტცოლდის განმარტებით, სუბსიდიურობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ რომ ფლურალისტურ თანამეგობრობაში დიდმა სოციალურმა ერთეულმა უნდა უზრუნველყოს პასუხისმგებლობა ფუნქციონირებისათვის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მცირე სოციალური ერთეული უძლურია საამისოდ (იხ. **Herbert Petzold**, მითითებული ნაშრომი, გვ.41). ამ თვალსაზრისის სისწორეს ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეამბულა, რომლის მიხედვით, კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები „მზად არიან გადადგან პირველი ნაბიჯები... უფლებათა ერთობლივი აღსრულებისათვის“ (იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლების დაცვის კონვენციის პრეამბულა).

ამიტომ იგი ფიზიკურადაც ვერ შეძლებდა ამ ფუნქციის შესრულებას.¹⁰ იგი არ წარმოადგენს არც მეოთხე ინსტანციის სასამართლოს. მისი ფუნქცია მხოლოდ იმით ამოიწურება, შეაფასოს, დაარღვია თუ არა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ კონვენციით ნაკისრი ვალდებულება და, საჭიროების შემთხვევაში, კონვენციის დარღვევის მსხვერპლს განუსაზღვროს შესაბამისი სამართლიანი დაკმაყოფილება კონვენციის დარღვევის გამო მიყენებული მორალური თუ სხვაგვარი ზიანისათვის. როგორც **ჰერბერტ პეტცოლდი** აღნიშნავს, კონვენცია წარმოადგენს დამატებით და ალტერნატიულ ქმედით სამართლებრივ მისაგებელს (*remedy*) იმ გარანტიებთან მიმართებაში, რომლებსაც კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები სთავაზობენ ინდივიდს.¹¹

საერთაშორისო კონტროლის ასეთი ფარგლები არსებითად იქიდან წარმოდგება, რომ კონვენცია, სუვერენულ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა საერთო ნების გამოხატულებაა. ხელშემკვრელმა მხარეებმა, ერთი მხრივ, თავიანთ თავზე ნებაყოფლობით აიღეს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება; მეორე მხრივ, აღიარეს ევროპული სასამართლოს უფლებამოსილება, გაეკონტროლებინა მათი მხრიდან ამ ვალდებულებათა შესრულება. მაგრამ სწორედ იმ გარემოებამ, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები დამოუკიდებელი, სუვერენული და იმავდროულად დემოკრატიული, სამართლის უზენაესობაზე დამყარებული სახელმწიფოები არიან, რომლებსაც უფლება აქვთ თავიანთი შეხედულებით დაარეგულირონ ადამიანის უფლებათა დაცვის, მათ შორის – სხვა კანონიერ ინტერესთა დასაცავად მათი შეზღუდვის საკითხები,¹² წარმოშვა საერთაშორისო კონტროლის გარკვეულ ფარგლებში მოქცევის აუცილებლობა. ევროპული სასამართლოს უფლებამოსილების აღიარებას არ უნდა გამოეწვია საერთაშორისო კონტროლის ისეთი განვრცობა, რომელიც შეიძლებოდა არ ყოფილიყო გონივრული და ხელშემკვრელ მხარეთა ჭეშმარიტი ნების შესაბამისი; ამდენად – იქნებ ნაგულისხმებიც კი კონვენციის რატიფიცირებისას.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა კონტროლის განხორციელების დროს **საკუთარი მიხედულების თვითშეზღუდვის აუცილებლობა იმ ზომით, რა ზომითაც დემოკრატიულ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებანი საერთო საზოგადოებრივი თუ ცალკეულ პირთა ინტერესების დასაცავად უფლებათა შეზღუდვის საკითხებში გათვალისწინებასა და ანგარიშის გაწევას მოითხოვდა საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან.**

¹⁰ Address by **Luzius Wildhaber** at Istanbul University, *Freedom of expression under Article 10 of the European Convention on Human Rights*, Istanbul, 9 April, 2002.

¹¹ იხ. **Herbert Petzold**, მითითებული ნაშრომი, გვ.43.

¹² როგორც **ვილჰელმ ბერტი** აღნიშნავს, დემოკრატიულად არჩეული კანონმდებელი უნდა იყოს თავისუფალი, გაატაროს ღონისძიებები საერთო ინტერესების დასაცავად, თუნდაც ინდივიდურ უფლებებში ჩარევის გზით და დააბალანსოს მოქიშპე ინტერესები“. იხ. სტამბულის უნივერსიტეტში მისი მითითებული გამოსვლის ტექსტი (2002 წლის 9 აპრილი).

ევროპულმა სასამართლომ ასეთი „თვითშეზღუდვა“ ინდივიდურ უფლებათა დაცვის სფეროში სახელმწიფოთათვის შეფასების თავისუფლების გარკვეული ფარგლების მიკუთვნებით განახორციელა. ასეთი ფარგლების მინიჭება იმას ნიშნავს, რომ ზოგჯერ შესაძლოა ეროვნული ხელისუფლების შეფასებების პრიორიტეტულობა იქნეს აღიარებული.

მართლაც: კონვენციის ხელშემკრველი სახელმწიფოები განსხვავებული კულტურული და სამართლებრივი ტრადიციების ქვეყნებს წარმოადგენენ. განსხვავებულია მათი ცხოვრებისეული რეალიები, სოციალური თუ პოლიტიკური ვითარება, ცნობიერება და მორალი. შესაბამისად განსხვავებულია მათი კანონმდებლობა, მათ შორის ის ღონისძიებებიც, რომლებიც დადგენილია საერთო საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.

ცხადია, ყოველი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო საკუთარი შეხედულებით, ადგილობრივი პირობებისა და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით არეგულირებს ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ (მათ შორის – საერთო ინტერესების დასაცავად უფლებათა შეზღუდვის) საკითხებს საზოგადოდ თუ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში. გარდა ამისა, მთავარი ისაა, რომ თავად კონვენციამ მიანიჭა მათ კანონიერი ინტერესების დასაცავად კონვენციით გათვალისწინებული ზოგიერთი უფლების შეზღუდვის უფლებამოსილება.

ამასთანავე, ის გარემოება, რომ კონვენციის ხელშემკრველი მხარეები დემოკრატიული და სამართლის უზენაესობაზე დამყარებული სახელმწიფოები არიან, ქმნის ერთგვარ პრეზუმფციას თუ არა, დიდ მოსალოდნელობას მაინც იმისა, რომ შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც მიღებული იქნა დემოკრატიული წესით არჩეული ხელისუფლების მიერ, წარმოადგენს ხალხის ნების გამოხატულებას, ასახავს ქვეყნის სამართლებრივ და კულტურულ ტრადიციებს და შეესაბამება საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. იგივე ითქმის კანონთა გამოყენების პროცესთან მიმართებაშიც. არსებობს დიდი მოსალოდნელობა, რომ კანონთა საფუძველზე მიღებული ეროვნული ხელისუფლებისა და, მით უფრო, დამოუკიდებელ სასამართლოთა შესაბამისი გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად ინდივიდურ უფლებათა შეზღუდვის თაობაზე გონივრულ საფუძველს ემყარება და შესაბამისი საჭიროებითაა ნაკარნახევი. ასეთი მოსალოდნელობა სავსებით ლოგიკურია სამართლის უზენაესობაზე დამყარებულ სახელმწიფოში. ეს გარემოება კი თავისთავად უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ საერთაშორისო კონტროლის განხორციელების დროს (რომელიც თანაბრად შეეხება ეროვნულ კანონმდებლობასა და მის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს), ევროპული სასამართლოს შეფასებანი, რომელსაც უფრო შორეული და ზოგადი წარმოდგენა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციებსა თუ ცხოვრებისეულ რეალიებზე, გაცილებით უფრო შეუსაბამო აღმოჩნდეს, ვიდრე ეროვნული ხელისუფლებისა, რომელიც უშუალო და მუდმივ შემხებლობაშია მათთან.

რა თქმა უნდა, ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ ყველა სახელმწიფოში ხდება მეტად თუ ნაკლებად ადამიანის უფლებათა დარღვევა. დემოკრატიის არსებობა სამწუხაროდ ვერ გამოირიცხავს ამას. როგორც **ლუციუს ვილდჰაბერმა** აღნიშნა, დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები „უმრავლესობის ნების ექსცესურობისაგან“ საჭიროებს დაცვას.¹³ მართლაც, ადამიანის უფლებები რომ არ ირღვეოდეს, არც საერთაშორისო კონტროლის აუცილებლობა იარსებებდა. ასეთი კონტროლის აუცილებლობაც ხომ თავად ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა აღიარეს და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე კონტროლი ევროპულ სასამართლოს მიანდეს. მაგრამ ეს გარემოებები, თავისთავად, სრულიადაც არ აქარწყლებს არაადეკვატური შეფასებების შესაძლებლობას ევროპული სასამართლოს მხრიდან. მთავარი ის არის, რომ უწინარესად, სწორედ ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ასეთი საფრთხის შესაძლებლობა და ამიტომაც საერთაშორისო კონტროლი გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია. უფრო სწორად, კი არ დაავიწროვა კონტროლის ფარგლები, არამედ შეზღუდა კონტროლის განხორციელების დროს საკუთარი მიხედულების თავისუფლება სახელმწიფოებისათვის შეფასების თავისუფლების გარკვეული არეალის მიკუთვნების გზით. მან აღიარა, რომ ეროვნული ხელისუფლება, რომელიც უშუალო და განუწყვეტელ შემხებლობაშია თავისი ქვეყნის ცხოვრებისეულ რეალიებთან, პრინციპულად უკეთეს მდგომარეობაშია, ინდივიდურ უფლებაში ჩარევის აუცილებლობისა და თანაზომიერების საკითხებზე გამოთქვას ადეკვატური აზრი. ევროპული სასამართლო კი, რომელიც ნაკლებად იცნობს, ადგილობრივ სპეციფიკურობას, ვალდებულია პატივისცემით მოეკიდოს და ანგარიში გაუწიოს მათ.¹⁴

პრაქტიკული თვალსაზრისით, სახელმწიფოებისათვის შეფასების თავისუფლების არეალის მიკუთვნება იმას ნიშნავს, რომ ზოგჯერ ევროპულმა სასამართლომ უკან უნდა დაიხიოს, ეროვნულ შეფასებებს ნდობა გამოუცხადოს და მათი პრიორიტეტულობა აღიაროს.

შეფასების თავისუფლების შესაბამისი ფარგლები კი იმის მიმანიშნებელია, თუ რამდენად კრიტიკული იქნება ევროპული სასამართლო ეროვნული გადაწყვეტილების კონვენციასთან შესაბამისობის შემოწმებისას. როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის საერთაშორისო ცენტრი „ინტერრაიტსი“ აღნიშნავს, „სახელმწიფოსათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლები განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად განვრცობითად დაექვემდებარება უფლების

¹³ Address by **Luzius Wildhaber** at Istanbul University, “Freedom of Expression Under Article 10 of the European Convention on Human Rights”, Istanbul, 9 April, 2002. ასეთივე აზრი გამოთქვას **ლოუსონმა** და **სხერმერსმა**: დემოკრატიულ საზოგადოებაში უმრავლესობა წვევტს. ეს შეიცავს რისკს, რომ უმცირესობა დაიჩაგროს. ამიტომ მხოლოდ პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო თავალსაწიერის საშუალებით შეიძლება იმის უზრუნველყოფა, რომ უმცირესობის უფლებები საკმარისად იქნას დაცული ისეთ სისტემაში, სადაც წესს უმრავლესობა ქმნის“. იხ. **Lawson R.A. & Schermers H.G.**, *Leading Cases of the European Court of Human Rights*, (sec.ed.) 1999, გვ.39-41.

¹⁴*Handyside v. The United Kingdom*, judgment of 7 December 1976. §48.

შეზღუდვის შესახებ სახელმწიფოს გადაწყვეტილება ევროპული სასამართლოს მხრიდან ყურადღებით განხილვას.¹⁵

მთლიანად ვიზიარებთ შეფასების თავისუფლების ფარგლების ასეთ ხედვას.

აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოებისათვის შეფასების თავისუფლების გარკვეული ფარგლების მიკუთვნება უფრო მეტად სახელმძღვანელო პრინციპია, საკითხისადმი საერთო მიდგომის გამომხატველია, ვიდრე მკაფიოდ ჩამოყალიბებული მწყობრი ინსტრუქცია შესაბამის შემთხვევებში გამოსაყენებლად. და, აი, რატომ:

1) მართალია, ევროპულმა სასამართლომ ეროვნული შეფასების თავისუფლება აღიარა, მაგრამ იმავდროულად განაცხადა, რომ საბოლოო ჯამში ყველაფერი ევროპულ კონტროლს ექვემდებარებოდა.¹⁶ მან სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლება მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში მიაკუთვნა. ეს ფარგლები კი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა იმ სფეროებსა თუ შემთხვევათა გარკვეულ კატეგორიაზე, სადაც ასეთი ფარგლები შედარებით ფართო იყო; სადაც, სავარაუდოდ, მეტი აუცილებლობა შეიძლებოდა წარმოშობილიყო ეროვნული შეფასებებისათვის ანგარიშის გაწევისა და მათი პრიორიტეტულობის აღიარებისა. მარტივად რომ ვთქვათ, მონიშნა ის სფეროები, სადაც ეროვნულ ხელისუფლებას უკეთ შეიძლებოდა სცოდნოდა, თუ რა იქნებოდა უფრო სწორი და ადეკვატური შესაბამის შემთხვევაში.

2) რაკი ეს ფარგლები მკაცრად განსაზღვრული არ არის და „სავარაუდოა“, ევროპული სასამართლო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აფასებს, გადალახა თუ არა ეროვნულმა ხელისუფლებამ მისთვის მიკუთვნებული ფარგლები. იმის გამო, რომ ამ ფარგლებს სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს, რომლებიც ან ავიწროვებენ, ანდა აფართოებენ მათ, ყოველთვის ცალკე შეფასების საგანი ხდება, თუ რა ფარგლები ენიჭებოდა ეროვნულ ხელისუფლებას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. ამრიგად, შეფასების თავისუფლების ფარგლები ყოველთვის კონკრეტულ კონტექსტს უკავშირდება და, მაშასადამე, მსჯელობა იმაზე, გადალახა თუ არა სახელმწიფომ ეს ფარგლები, ასევე ზედმიწევნით კონკრეტულია, საქმის გარემოებებს ემყარება და მხოლოდ საერთო მიდგომებიდან როდი გამომდინარეობს. მაგალითისათვის: ცნობილია, რომ სახელმწიფოებს სავარაუდოდ ფართო ფარგლები ენიჭებათ ეროვნული უშიშროების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში. აღიარებულია, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ უკეთ იცის, თუ რა არის „აუცილებელი“ მისი ქვეყნის ეროვნული უშიშროების დასაცავად. მაგრამ ეს სრულებითაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა საქმეში, სადაც ინდივიდური უფლება ამ საჯარო ინტერესის დასაცავად შეიზღუდა, სახელმწიფოსათვის საბოლოოდ განსაზღვრული ფარგლები ყოველთვის ფართო იქნება. შეიძლება

¹⁵ Written comments by INTERRIGHTS submitted pursuant to leave granted by the President of the Grand Chamber of ECHR in accordance with Rule 44 §2 of the Rules of Court (by **Kevin Kitching** and **Vesselina Navdova**), case *Blečić v. Croatia*, appl. N59532/00.

¹⁶ *Wingrove v. The United Kingdom*, judgment of 25 November, 1996, §53.

იმავდროულად არსებობდეს სხვა ფაქტორები, რომლებიც, პირიქით, დაავიწროვებს თავისუფალი შეფასების არეალს. მაგალითად, თუ გამოთქმული შეხედულება, რომელიც ეროვნული უშიშროების დაცვის მოტივით შეიზღუდა, შეეხება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს, მით უფრო პოლიტიკურს და თანაც პრესის საშუალებითაა გავრცელებული, ეს გარემოება დაავიწროვებს შეფასების თავისუფლების არეალს და, საბოლოო ჯამში, მისი ფარგლები აღარ იქნება ისეთი ფართო. ამიტომ, ევროპული სასამართლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქმის ყველა გარემოებისა თუ ნიუანსის მხედველობაში მიღებით იკვლევს, თუ რა ფარგლები ენიჭებოდა ეროვნულ ხელისუფლებას მოცემულ კერძო შემთხვევაში და ჩაითვლებოდა თუ არა ისინი გადალახულად.

3) ეროვნული შეფასების თავისუფლება არასდროს არ არის აბსოლუტური, სრული. სახელმწიფოებისათვის სრული თავისუფლების მინიჭება გონივრული არ არის და ეს არც გააჩნიათ მათ. როგორც **ჰერბერტ პეტცოლდმა** აღნიშნა, სახელმწიფოს მიხედულება არასდროს არ არის არც ხელშეუვალი (unfettered) და არც ისეთი, რომ გადასინჯვას არ ექვემდებარებოდეს (unreviewed).¹⁷ მართლაც, ეს იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ სახელმწიფოთა ნებისმიერი შეფასება გაზიარებულიყო და, შესაბამისად, ინდივიდურ უფლებებში სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა წინასწარვე გამართლებულად მიჩნეულიყო. ეს, ცხადია, საერთოდ გააუფასურებდა საერთაშორისო სასამართლოს როლსა და დანიშნულებას. იგი მექანიკურად ამოაგდებდა შემთხვევათა დიდ წყებას ქმედითი კონტროლის სფეროდან, რაც გაუმართლებელი და არაგონივრული იქნებოდა.

ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა ხაზგასმით, რომ ეროვნული შეფასების თავისუფლება აბსოლუტური არ იყო.

„ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების თავისუფლებით ასეთი საჭიროების (იგულისხმება უფლებაში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება – ე.გ.) შეფასებისას. მაგრამ იგი ექვემდებარება ევროპულ კონტროლს, რომელიც თანაბრად შეეხება როგორც კანონს, ისე გადაწყვეტილებებს მისი გამოყენების შესახებ, მაშინაც კი, როდესაც მათ დამოუკიდებელი ორგანო იღებს“.¹⁸

„ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების თავისუფლებით, მაგრამ იგი ექვემდებარება ევროპულ კონტროლს“.¹⁹

„ხელშემკვრელი მხარეები სარგებლობენ შეფასების გარკვეული, მაგრამ არა შეუზღუდველი თავისუფლებით... ევროპულმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რამდენად შეთავსებადი იყო შეზღუდვა

¹⁷ **Herbert Petzold**, მითითებული ნაშრომი, გვ.57.

¹⁸ *Janowski v. Poland*, judgment of 21 January 1999, §30; *Karataş v. Turkey*, judgment of 8 July 1999, §48; *Ceylan v. Turkey*, judgment of 8 July 1999, §32; *Erdogdu and Ince v. Turkey*, judgment of 8 July 1999, §47; *Sürek (NI) v. Turkey*, judgment of 8 July 1999, §58.

¹⁹ *Radio ABC, 30 v. Austria*, judgment of 20 October 1997, §30.

კონვენციასთან, შეესაბამებოდა თუ არა იგი „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ და იყო თუ არა იგი დასახული კანონიერი მიზნის თანაზომიერი“.²⁰

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოებისათვის შეფასების თავისუფლების არეალის მინიჭება, რომელიც ევროპული სასამართლოს თვითშეზღუდვის გამოხატულებაა, ფაქტობრივად მთლიანად არის ევროპული სასამართლოს მიხედულების არეში მოქცეული; ევროპულმა სასამართლომ **თავისი მიხედულებით** სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების გარკვეული არეალი მიაკუთვნა; **თავისი მიხედულებით** განსაზღვრა მისი სავარაუდო ფარგლები ცალკეულ სფეროებთან მიმართებაში და **თავისი მიხედულებით** წყვეტს, გადალახა თუ არა სახელმწიფომ ეს ფარგლები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოთათვის შეფასების თავისუფლების მიკუთვნებას საკუთრივ კონვენციაშიც სერიოზული დასაყრდენი გააჩნია. მაგალითად, კონვენციის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებში მითითებული შეზღუდვის პირობა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ იმავდროულად, სახელმწიფოს უფლებაა: სახელმწიფოს უფლება აქვს შეზღუდოს ამ მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. **თავისთავად სიტყვებს – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ იმდენად პირობითი შინაარსობრივი ფარგლები გააჩნია, რომ იგი უთუოდ გულისხმობს თავისუფალი შეფასების სივრცეს ეროვნული ხელისუფლებისათვის.** თუმცა, სახელმწიფოებისათვის შეფასების თავისუფლების გარკვეული ფარგლების მიკუთვნება ოდენ იმის აღიარება კი არ არის, რომ მათ გააჩნიათ შეფასების თავისუფლების გარკვეული არეალი უფლებათა შეზღუდვის სფეროში შიდა გადაწყვეტილების მიღებისას, არამედ, გაცილებით მეტისა; ეს უწინარესად იმის აღიარებაა, რომ მათ შეფასებებს ანგარიში უნდა გაეწიოს ევროპული კონტროლის დროს და ზოგჯერ პრიორიტეტი მიენიჭოთ. სწორედ ეს არის ევროპული კონტროლის თვითშეზღუდვის არსი, რაც ევროპულმა სასამართლომ თავისი მიხედულებით გააკეთა.

ამასთან, რაკი სხვადასხვა შემთხვევებისათვის შეფასების თავისუფლების განსხვავებული ფარგლებიც თავისი მიხედულებით განსაზღვრა, საბოლოო ჯამში ის, თუ როდის გამოუცხადებს ნდობას ევროპული სასამართლო ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებას და აღიარებს მის პრიორიტეტს, ადვილად სავარაუდო არ არის. ეს კონკრეტული მიზანშეწონილობით განისაზღვრება. მასზე ისიც იქონიებს გავლენას, თუ რამდენად თანმიმდევრულია თავად ევროპული სასამართლო. ამიტომ გამართლებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინის ეფექტიანობა თითქმის მთლიანად ევროპულ სასამართლოზეა დამოკიდებული.

ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის გაცნობა მოწმობს, რომ მან შეძლო შესანიშნავად შეეთავსებინა ერთმანეთთან ადამიანის უფლებათა დაცვაზე

²⁰ *Wingrove v. The United Kingdom*, §53.

საერთაშორისო კონტროლის ამოცანები ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებებისადმი პატივისცემასთან.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა არ არის ერთადერთი და უნიკალური ევროპული კონვენციის სისტემისათვის. სხვა საერთაშორისო სასამართლოები ასევე იყენებენ მსგავს დოქტრინებსა თუ კონცეფციებს სახელმწიფო მხრიდან უფლების შეზღუდვისა და კონფლიქტურ ინტერესებს შორის მიღწეული ბალანსის შემოწმებისას (Inter-American Court, The European Court of Justice,²¹ International Tribunal on the Law of the sea),²² რაც იმაზე მეტყველებს, რომ საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან თვითშეზღუდვა აუცილებელი ელემენტია კონტროლისა, რომელიც სუვერენულ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა მიმართ ხორციელდება.²³

თავის მხრივ, ასეთი თვითშეზღუდვა, როგორც ევროპული სასამართლო ახორციელებს, თანაარსია საკუთრივ სასამართლო კონტროლისათვის. თვითშეზღუდვას ეროვნული სახელმწიფოებიც იყენებენ იმავე ეფექტით, როგორც ევროპული სასამართლო შეფასების თავისუფლების დოქტრინას გამოიყენებს. ევროპული სასამართლო ისევეა შეზღუდული სასამართლო კონტროლის საერთო პრინციპებით (რომელიც ხელისუფლების დანაწილებას უკავშირდება), როგორც ეროვნული სასამართლოები; ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ევროპული სასამართლო დამატებით სუვერენიტეტის საკითხებსაც იღებს მხედველობაში.²⁴

როგორ განისაზღვრება ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები?

ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა ფაქტორები, რომლებზეც შეფასების თავისუფლების შესაბამისი ფარგლებია დამოკიდებული.

ესენია:

- 1) უფლების ბუნება და მნიშვნელობა;
- 2) უფლებაში ჩარევის ხასიათი და ხარისხი;

²¹სუბსიდიურობის პრინციპი და ეროვნული შეფასების თავისუფლება უდევს საფუძვლად ევროპის კავშირს: „გაერთიანება იმოქმედებს... მხოლოდ მაშინ, თუ შესაბამისი ღონისძიების მიზანი ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოს მიერ და უკეთესად იქნება მიღწეული გაერთიანების მიერ“ (იხ. art 3b of the EC Treaty).

²² იხ. Inter-American Court in Advisory Opinion OC 4/84 of January 19, 1984, Proposed Amendments to Naturalisation Provisions of the Constitution of Costa Rica, Inter-Am. Ct. HR. A.4(1984). 2) the European Court of Justice case 41\74; Van Duyn v. Home Office, Case 36\75, Rutili v. Minister for the Interior: case C-77\02 Steinicke v. Bundesanstalt für Arbeit §63, Separate opinion of Judge Got in the “Volga Case” (Russian Federation v. Australia); 3) International Tribunal on The law of the Sea, Judgment of 23 December 2002.

²³ **ლოუსონი** და **სხერმერსი** მიუთითებენ, რომ სუბსიდიურობის პრინციპი და ეროვნული შეფასების თავისუფლება შესაძლებლობას იძლევა ევროპულ დონეზე საერთო მორალური და სამართლებრივი შეხედულებების ნელი, მაგრამ თანდათანობითი განვითარებისათვის (იხ. **Lawson R.A. & Schermers H.G.**, *Leading Cases of the European Court of Human Rights*, (sec.ed.) 1999, გვ.39).

²⁴ **სტივენ გრი** (ბრისტოლის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა) მიუთითებს, რომ შეფასების თავისუფლების დოქტრინა გამომდინარეობს ეროვნული სასამართლოების იმ პრაქტიკიდან, რომელიც ადმინისტრაციის აქტებზე სასამართლო კონტროლს შეეხება (Dr. **Steven Greer**. *Public Interests and Human Rights in the European Convention on Human Rights*, Strasbourg, January, 1995).

3) საქმის საერთო კონტექსტი.²⁵

მართალია ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში სასამართლოს არ მიუთითებია, მაგრამ მთელი მისი იურისპრუდენცია მოწმობს, რომ მე-4 ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შეფასების თავისუფლების ფარგლებს, არის იმ საჯარო თუ სხვა კანონიერ ინტერესთა მნიშვნელობა და სპეციფიკურობა, რომლის დასაცავადაც ინდივიდური უფლება შეიზღუდა.

აღნიშნული ფაქტორებისა და შეფასების თავისუფლების შესაბამისი ფარგლების ურთიერთმიმართება ასეთია:

– უფლების დიდი მნიშვნელობა ავიწროებს სახელმწიფოსათვის მონიჭებული შეფასების თავისუფლების არეალს, მაგრამ მასთან დაპირისპირებული საჯარო ან სხვა ინტერესის დიდი მნიშვნელობა, ისევე, როგორც ზოგიერთი თავისებურება, რომელიც მის დაცვას ახლავს, პირიქით, აფართოებს მას; („დაცვის თავისებურებებში“ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც აუცილებელია ადგილობრივი გარემოებების გათვალისწინება და ამიტომ ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებისათვის ანგარიშის გაწევა გონივრულია. მათში იგულისხმება ისეთი სფეროებიც, რომლებშიც არ არსებობს საერთო ევროპული გაგება და ერთიანი ევროპული კონცეფცია და სტანდარტი);

– უფლებებში ჩარევის სერიოზული ხასიათი და ხარისხი ავიწროებს შეფასების თავისუფლების ფარგლებს.

– „საერთო კონტექსტი“ კი ყველა სხვა ისეთი ფაქტორისა თუ ნიუანსის მხედველობაში მიღებას გულისხმობს, რომლებიც შეეხება უფლების შეზღუდვის **საერთო სოციალურ და სამართლებრივ კონტექსტს** და რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს შეფასების თავისუფლების ფარგლების განსაზღვრაზე. შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია საერთო კონტექსტი უფლების შეზღუდვისა, დამოკიდებულებაც სხვადასხვაგვარია. ზოგჯერ საერთო კონტექსტი აშკარას ხდის მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოსათვის შეფასების თავისუფლების მეტი ფარგლების მინიჭების გონივრულობას. ზოგჯერ კი პირიქით.

ამრიგად, ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები, რომლებიც ზემოაღნიშნულ მიდგომებს ემყარება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში თავისებურად განისაზღვრება.

შეფასების თავისუფლების ფარგლებისა და სახელმწიფოს მხრიდან უფლების შეზღუდვის გამართლებულობის დამტკიცების ტვირთის თანაფარდობა კი ასეთია:

– რაც უფრო ვიწროა შეფასების თავისუფლების არეალი, მით მეტი ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს, გაამართლოს შემზღუდველი ღონისძიება. მაშასადამე, შესაბამისად მით უფრო კრიტიკულია დამოკიდებულება ეროვნული შეფასების კონვენციასთან შესაბამისობის შემოწმების საკითხში.

და პირიქით:

²⁵ *Rasmussen v. Denmark*, judgment of 28 November 1984, §40; *Connors v. The United Kingdom*, judgment of 22 May 2004, §82.

– რაც უფრო ფართოა ეს ფარგლები, შესაბამისად მსუბუქია სახელმწიფოს ტვირთიც, ნაკლებად კრიტიკულია ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება და მეტია ნდობა ეროვნული შეფასებებისადმი.

* * *

ახლა უფრო დაწვრილებით ზემოაღნიშნული ფაქტორების შესახებ.

საქმეში *Connors v. The United Kingdom* ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ სახელმწიფოს გააჩნდა შეფასების თავისუფლების ვიწრო ფარგლები, როდესაც საფრთხეში მყოფ უფლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდის ინტიმურ და უმთავრეს უფლებათა ეფექტიანი განხორციელებისათვის (margin will tend to be narrower where the right at stake is crucial to the individual's effective enjoyment of intimate or keyrights)²⁶

მათში იგულისხმება უფლებები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პიროვნების თვითმყოფადობის, თვითგამორკვევის (თვითიდენტიფიკაციის), ფიზიკური და მორალური სიმტკიცის შენარჩუნებისათვის, ისევე, როგორც სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უზრუნველყოფისათვის.

კონვენციით გათვალისწინებული ის უფლებები, რომლებიც სხვა ინტერესების დასაცავად შეიძლება შეიზღუდოს (მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და სხვა მუხლებით დაცული უფლებები) თავისთავად არაერთ უფლებას შეიცავენ (მაგალითად, მე-8 მუხლი მოიცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და მიმოწერის დაცულობის უფლებებს; მე-9 მუხლი – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას; მე-10 მუხლი – ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას, საკუთარი შეხედულების გამოხატვაზე უარის თქმას და ა.შ.). სწორედ ამიტომ, შეფასების თავისუფლების ფარგლების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, რომელ უფლებაში ჩარევას შეეხებოდა სახელდობრ საქმე და, საქმის საერთო კონტექსტის მიხედვით, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის ზემოაღნიშნული თვალსაზრისით.

გამოკვეთილად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ფარგლები ყველაზე უფრო ვიწროა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებთან მიმართებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ინტიმურ სფეროს შეეხება.

შეფასების თავისუფლების ფარგლები ფართოა, როდესაც შეზღუდვა უკავშირდება ქვეყანაში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას.²⁷ მაგალითად, როდესაც ხდება საკუთრების უფლების შეზღუდვა საერთო საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, კომერციული რეკლამების შეზღუდვა, ტელე- თუ რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მიცემაზე უარის თქმა თავისუფალ

²⁶ *Connors v. The United Kingdom*, §82.

²⁷ *Powell and Rayner v. The United Kingdom*, judgment of 21 February 1990, §44.

სიხშირეთა გადატვირთულობის ტექნიკური მოტივით ან გადაცემათა ხარისხის უზრუნველსაყოფად და სხვა. მიჩნეულია, რომ სახელმწიფო უკეთეს მდგომარეობაშია, შეაფასოს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსური და ტექნიკურ ასპექტები და განახორციელოს ღონისძიებები, ვიდრე ევროპული სასამართლო.

აქვე უნდა ითქვას, რომ ტელე- და რადიომაუწყებლობის ლიცენზირების საკითხში ეროვნული შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლები საკუთრივ კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარეობს. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება“. ამ წინადადების ჩართვა პირველ პუნქტში და არა მეორეში, თავისთავად იმის მიმანიშნებელია, რომ ეროვნულ ხელისუფლებას შეფასების თავისუფლების ძალზე ფართო ფარგლები გააჩნია ამ საწარმოთათვის ლიცენზიის მიცემის სფეროში და ევროპული კონტროლიც შესაბამისად არის შეზღუდული. ფართო ფარგლები ტელე- და რადიომაუწყებლობის მიღების ტექნიკურ შესაძლებლობათა შეზღუდულობასთანაა დაკავშირებული და მიზნად ისახავს მათ ეფექტიან გამოყენებას. მისი შიდასახელმწიფოებრივი რეგულირება გადაცემათა შინაარსობრივი პლურალიზმისა და ბალანსის პრინციპებზეა აგებული, თუმცა, ზემოაღნიშნული წინადადების პირველ პუნქტში ჩართვა არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოებს შეუზღუდველი თავისუფლება გააჩნიათ. ლიცენზირების საკითხის გადამოწმება მაინც მე-2 პუნქტის მოთხოვნათა საფუძველზე ხდება, ცხადია, ნაკლებად მკაცრი კრიტერიუმებით.

ფართო ფარგლების გამო, ჩარევის „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შეფასებათა სტანდარტი დაბალია. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 1-ლ ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებაში (საკუთრების უფლება) განაცხადა, რომ იგი გაიზიარებდა ეროვნული ხელისუფლების შეფასებას იმის თაობაზე, თუ რა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, იმ პირობით, თუ გამოყენებული ღონისძიება აშკარად დისპროპორციული არ იყო დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში.²⁸

თუმცა, როდესაც საქმე საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევას შეეხება, იგი აღარ არის მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის უფლების დარღვევა და უკავშირდება საცხოვრისის დაცულობის ძირითად უფლებას (მე-8 მ.). მაგალითად, საქმეში *Blečić v. Croatia* „ინტერრაიტსი“ არ დაეთანხმა ევროპული სასამართლოს პალატას შეფასების თავისუფლების ფარგლების განსაზღვრაში და ღიდი პალატისათვის წარდგენილ მოსაზრებებში მან ყურადღება გაამახვილა უფლების დარღვევის ხასიათსა და ხარისხზე. მისი აზრით, საცხოვრებელი ბინის ჩამორთმევა კომპენსაციის გარეშე წარმოადგენდა ისეთ უხეშ ჩარევას, რომელიც მნიშვნელოვანი

²⁸ *Blečić v. Croatia*, judgment of 29 July 2004.

ხარისხით ავიწროებდა ეროვნული შეფასების თავისუფლებას; მით უმეტეს, რომ არ არსებობდა მტკიცებულება, რომ სახელმწიფოს არ შეეძლო დასახული კანონიერი მიზნისათვის სხვა საშუალებებით მიეღწია (აღნიშნული საქმე შეეხებოდა სერბიული წარმოშობის მოქალაქისათვის ხორვატიაში მიტოვებული საცხოვრებელი ბინის ჩამორთმევას).

უფლებაში ჩარევის ხასიათისა და ხარისხის გავლენა შეფასების თავისუფლების ფარგლებზე ძალიან დიდია. ჩარევის ხასიათი და ხარისხი პირდაპირ უკავშირდება „თანაზომიერების“ შეფასებას, რისთვისაც ეროვნულ ხელისუფლებას შეფასების თავისუფლების ფარგლები განესაზღვრებათ. სწორედ ამიტომ, საკვებით კანონზომიერადაა მიჩნეული, რომ „თანაზომიერების“ ტესტი და „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინა მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს.²⁹ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **რაც უფრო სერიოზულია უფლებაში ჩარევის ხასიათი და ხარისხი, მით უფრო ვიწროა შეფასების თავისუფლების არეალი. შესაბამისად, თანაზომიერების შეფასებაც მკაცრია.** მაგრამ როდესაც უფლებაში ჩარევის ხასიათი და ხარისხი მნიშვნელოვანი არ არის და, შესაბამისად, ფართოა შეფასების თავისუფლების არეალი, თანაზომიერების შეფასებაც ნაკლებად მკაცრია. ასეთ დროს მხოლოდ „ამკარად არათანაზომიერი ჩარევა“ შეიძლება გახდეს უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის დამადასტურებელი.

ინდივიდურ უფლებებთან დაპირისპირებულ საჯარო ინტერესთა რაობა, მათი ბუნება და ხასიათი ასევე თითქმის ყოველთვის ახდენს გავლენას შეფასების თავისუფლების ფარგლებზე. ძირითადი კრიტერიუმი ისაა, გვაქვს თუ არა საქმე ისეთ ვითარებასთან, როდესაც ჩარევის გამართლებულობის შეფასებისას აუცილებელია ადგილობრივი რეალობების გათვალისწინება.

ზოგჯერ ეს უკავშირდება შესაბამის სფეროში საერთო ევროპული სტანდარტების არსებობას ან არარსებობას. **იმ სფეროებში, სადაც არ არსებობს ერთიანი ევროპული კონცეფცია და საერთო ევროპული სტანდარტი, სტრასბურგის სასამართლო სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლებს მიაკუთვნებს.** მაგალითად, იმის გამო, რომ არ არსებობს „მორალის“ საერთო ევროპული გაგება, ამ საჯარო ინტერესის დასაცავად ინდივიდურ უფლებათა შეზღუდვაზე კონტროლი ნაკლებად მკაცრია. კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები განსხვავებული კულტურისა და ტრადიციების ქვეყნებს წარმოადგენენ. განსხვავებულია „მორალის“ ცნება და მისი მოთხოვნების შინაარსი სხვადასხვა ქვეყანაში, ზოგჯერ ერთი ქვეყნის შიგნითაც კი, სხვადასხვა რეგიონების მოსახლეობის მიხედვით. მაგალითად, განსხვავებულია „მორალის“ ცნება კონსერვატორულ და ლიბერალურ საზოგადოებაში. გარდა ამისა, ითვალისწინებენ იმასაც, რომ მორალის მოთხოვნების შინაარსი სწრაფად ცვალებადია თანამედროვე ეპოქაში. ამიტომ, ევროპული სასამართლოს აზრით, იმის შეფასებისას, თუ რა იყო

²⁹ *Wingrove v. The United Kingdom*. §53. *Steel and others v. the United Kingdom*, judgment of 23 September, 1998, §101.

„აუცილებელი“ ამა თუ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალის დასაცავად, ეროვნული ხელისუფლება, პრინციპულად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე.³⁰ თავისთავად მრავლის მიქმელია ის გარემოება, რომ შეფასების თავისუფლების დოქტრინა ევროპულმა სასამართლომ სწორედ Handyside-ს ცნობილ საქმეში ჩამოაყალიბა, რომელშიც საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალისა და არასრულწლოვანთა ინტერესების დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად ცნო.

ევროპული სასამართლო ასევე არ ქმნის სტანდარტებს ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის და გემოვნების (შემოქმედებითი თვითგამოხატვის შეზღუდვისას) საკითხებზე, აგრეთვე კონფლიქტების შესახებ მედიის საშუალებების პლურალიზმსა და კონცენტრაციას შორის, რაც ხშირად გამხდარა დავისა და შეფასების საგანი მე-10 მუხლთან მიმართებაში. ამ სფეროში შეფასების თავისუფლების ფარგლები ძალიან ფართოა, მაგრამ ევროპული სასამართლოს იურისპრუდენცია სახელმწიფოებს შეახსენებს, რომ მათი ხელისუფლება შეუზღუდავი არ არის.

მათგან განსხვავებით, როდესაც საქმე მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას შეეხება, აქ შეფასების თავისუფლება ისეთი ფართო აღარ არის, რაც სავსებით კანონზომიერია. „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“ გაგება და შესაბამისი სტანდარტები არ უნდა განსხვავდებოდეს (და შეუძლებელიცაა ძლიერად განსხვავდებოდეს) დემოკრატიულ ქვეყნებში. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ სფეროში საერთო ევროპული სტანდარტის შემუშავება გაცილებით უფრო შესაძლებელია, ვიდრე მაგალითად მორალისა და რელიგიის დაცვის საკითხებში.³¹ უფრო მეტიც; მან თავად მიუთითა ზოგიერთი სტანდარტი. მაგალითად, თავისი იურისპრუდენციით დაამკვიდრა, რომ სასამართლოს მიუკერძოებლობა გულისხმობდა ორ თანაბრად მნიშვნელოვან ასპექტს – სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას.³² ამიტომ, თუ რომელიმე უფლების განხორციელება (მაგალითად პრესის საშუალებით ინფორმაციის გამოქვეყნება რომელიმე განსახილველ საქმის შესახებ) უარყოფითად მოქმედებს სასამართლოს მიუკერძოებლობაზე რაიმე თვალსაზრისით, მისი შეზღუდვა შეიძლება გამართლებულად შეფასდეს.

თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს სასამართლოს მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის სფეროში შესაბამისი ქვეყნის სამართლებრივ სისტემასა და ტრადიციებს, მათთან დაკავშირებულ ზოგიერთ თავისებურებებს. ასეთ დროს ევროპული სასამართლო საგანგებოდ შეისწავლის, ქმნის თუ არა კონვენციის მოთხოვნებთან *prima facie* შეუსაბამო ეროვნული კანონმდებლობის ნორმა ანდა დამკვიდრებული პრაქტიკა რეალურ საფრთხეს

³⁰ *Handyside*, §48. *Muller and Others v. Switzerland*, judgment of 24 May 1988, series A. N133

³¹ *Sunday Times (NI) v. The United Kingdom*, judgment of 26 April 1979, series A. N230.

³² მაგალითისთვის იხილეთ *Kyprianou v. Cyprus*, judgment of 24 January 2004.

სასამართლოს მიუკერძოებლობისათვის; აქედან გამომდინარე, რამდენად მიზანშეწონილია შესაბამისი კანონმდებლობისა თუ პრაქტიკისათვის სახელმწიფოზე საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით.

საბოლოო ჯამში, ამ საჯარო ინტერესის დაცვის სფეროში ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები საშუალოდ უნდა ჩაითვალოს.

შედარებით ფართოა ეს ფარგლები დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად უფლებათა შეზღუდვის სფეროში. ასეთ დროს ეროვნული ხელისუფლების (განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლების) პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს მოსახლეობის უსაფრთხოება და სიმშვიდე, ძალიან ძლიერია. შესაბამისად, მათი გადაწყვეტილებები ამ ინტერესთა დასაცავად ინდივიდურ უფლებაში ჩარევის აუცილებლობის შესახებ, ანგარიშის გაწევას იმსახურებს.

კიდევ უფრო ფართოა შეფასების თავისუფლების ფარგლები ისეთ საკითხებთან მიმართებაში, სადაც აუცილებელია პოლიტიკური შეფასება. მაგალითად, იმის გარკვევა, თუ რა საფრთხე შეიძლება მიაყენოს ამა თუ იმ შეხედულების ან კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებამ ქვეყნის ეროვნულ უშიშროებას ან ტერიტორიულ მთლიანობას, თავისი არსით, პოლიტიკური საკითხია. მასზე მსჯელობა პოლიტიკური კრიტერიუმების გამოყენებას მოითხოვს და იურიდიული კატეგორიებით ანალიზს არ ექვემდებარება. არადა, მასზე პირდაპირაა დამოკიდებული იმის შეფასება, თუ რამდენად აუცილებელი იყო შესაბამისი შეხედულებისა თუ ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა ზემოაღნიშნული საჯარო ინტერესის დასაცავად. პოლიტიკურ საკითხთა გადაწყვეტა ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლების პრეროგატივაა და მასზე სასამართლო კონტროლი შეზღუდულია. ამაში მდგომარეობს ე.წ. „**პოლიტიკური საკითხის დოქტრინა**“. იგი იმას გულისხმობს, რომ პოლიტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს პოლიტიკური ხელისუფლება – ის, ვინც უშუალოდ არის ხალხის წინაშე პასუხისმგებელი და რომლის კეთილდღეობაც მისი საქმიანობის შედეგებზეა დამოკიდებული. სასამართლოს კი საამისოდ არ გააჩნია არც სათანადო კვალიფიკაცია და არც შესაბამისი პასუხისმგებლობა. ამიტომაც **პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე სასამართლო კონტროლის განხორციელება შეზღუდულია ანდა საერთოდ გამორიცხული.**³³

³³ ამის ნათელი დადასტურებაა დიდ პალატაში განხილული საქმე *Marcovic and Others v. Italy*, რომელიც შეეხებოდა იტალიის სახელმწიფოს მიერ (NATO-ს წევრობიდან გამომდინარე), სამხედრო ოპერაციის განხორციელებას სერბიაში, რომელიც მიზნად ისახავდა სერბიაში მცხოვრები ალბანელი მოსახლეობის დაცვას ხოცვა-ჟლეტისაგან. ამ ოპერაციას მოჰყვა მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვა (მსხვერპლი 16 კაცი). იტალიის სასამართლოებმა დაზარალებულთა საჩივარი არ მიიღეს იმ მოტივით, რომ იგი შეეხებოდა პოლიტიკურ საკითხს – ისეთ სახელისუფლო გადაწყვეტილებასა და მის შესაბამისად განხორციელებულ ღონისძიებას, რომლის მართლზომიერების შეფასებაც სასამართლო კონტროლს არ ექვემდებარებოდა. დაზარალებულებმა ევროპულ სასამართლოს მიმართეს საჩივრით და აღნიშნეს, რომ იტალიის სასამართლოებმა დაარღვიეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნა. ევროპული სასამართლოს

ამასთანავე ცხადია, რომ როდესაც საქმე ადამიანის უფლებების შეზღუდვას შეეხება, თუნდაც ეს პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე მართლაც აუცილებელი შეიძლება იყოს, სასამართლო კონტროლის მთლიანად გამორიცხვა დაუშვებელია. მართალია, იურიდიული კატეგორიებით რთულია იმაზე მსჯელობა, თუ რა საფრთხე შეუქმნა უფლების განხორციელებამ ეროვნული უშიშროების ინტერესებს, მაგრამ სასამართლოს შეუძლია პოლიტიკურ ხელისუფლებას მოსთხოვოს, დაასაბუთოს ასეთი საფრთხის არსებობა და, მასთან ერთად, უფლების შეზღუდვის თაობაზე თავისი პოლიტიკური გადაწყვეტილება; თვითონ კი, წარმოდგენილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, შეაფასოს უფლების შეზღუდვის აუცილებლობა დაპირისპირებულ ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების თვალსაზრისით.

საბოლოო ჯამში, ნათელია, რომ პოლიტიკურ საკითხებზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას აშკარად ახლავს ერთგვარი უხერხულობა, რომლის დაძლევაც სასამართლოს მხრიდან თვითშეზღუდვის, პოლიტიკური ხელისუფლების მოსაზრებისათვის ანგარიშის გაწევის გზით არის შესაძლებელი.

თუ დავაკვირდებით, ეს პრობლემა ორმაგდება საერთაშორისო სასამართლოში ასეთ საკითხთა განხილვისას. ზემოაღნიშნულ უხერხულობას, რომელიც სასამართლოს მიერ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შეფასებას უკავშირდება, ემატება სხვა უხერხულობა. ეს იქიდან წარმოდგება, რომ ამ დროს ეროვნული კი არა, საერთაშორისო სასამართლოა შემფასებელი სუბიექტი. პრობლემა რომ ნათლად დავინახოთ, ასე ჩამოვაცალიბებდი: მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როდესაც **საერთაშორისო სასამართლო ანუ საერთაშორისო არაპოლიტიკური ხელისუფლება აფასებს ეროვნული პოლიტიკური ორგანოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას.** საერთაშორისო სასამართლო ისედაც ნაკლებად იცნობს ადგილობრივ გარემოებებს და ნაკლები წარმოდგენა აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოში ეროვნული უშიშროების რეალურ ინტერესებზე. ამიტომ, მისი მსჯელობა, თუ რა იყო აუცილებელი მის დასაცავად, შეიძლება კიდევ უფრო შეუსაბამო აღმოჩნდეს, ხოლო მისი შეფასება კიდევ უფრო არაადეკვატური, ვიდრე თუნდაც ეროვნული სასამართლოს მსჯელობანი და შეფასებანი იმავე საკითხზე.

ამიტომ, „პოლიტიკური საკითხის დოქტრინის“ ჭრილში, საკვებით გონივრულია ევროპული სასამართლოს პოზიცია, ეროვნული უშიშროების (ასევე ტერიტორიული მთლიანობის) დასაცავად უფლებათა შეზღუდვის სფეროში ძალზე ფართო ფარგლები მიაკუთვნოს ეროვნულ ხელისუფლებას და ამ გზით ასეთივე ხარისხით შეზღუდოს საკუთარი შეფასების თავისუფლება. ევროპული სასამართლოს

პალატამ სირთულის გამო საქმეზე იურისდიქცია გადააბარა დიდ პალატას. დიდმა პალატამ კი, მართალია საჩივარი მისაღებად ცნო, მაგრამ (პირველი კენჭისყრის მიხედვით – 14.12.05) ხმათა მინიმალური უპირატესობით (9 ხმით 8-ის წინააღმდეგ), ფაქტობრივად პოლიტიკური საკითხის დოქტრინაზე დაყრდნობით, უარყო კონვენციის დარღვევა. წინამდებარე ნაშრომი უკვე მზად იყო გამოსაქვეყნებლად, როდესაც დიდმა პალატამ (14.12.06) 10 ხმით 7-ის წინააღმდეგ, დაადასტურა, რომ კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებები იტალიას დარღვეული არ ჰქონდა.

პრაქტიკის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ამ საჯარო ინტერესის დასაცავად უფლებათა შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას მისი საწყისი პოზიცია უცვლელია. სასამართლო აღიარებს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ უკეთ იცის, თუ რა არის მის ქვეყნის ეროვნული უშიშროებისათვის აუცილებელი, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლემ. განსაკუთრებით ფართოა შეფასების თავისუფლების ფარგლები ძალადობისაკენ ხალხის მოწოდების დროს.³⁴

აქვე უნდა ითქვას, რომ ეროვნული შეფასების თავისუფლება არც ეროვნული უშიშროებისა თუ ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სფეროშია აბსოლუტური და შეუზღუდავი. იგი ხშირად საგრძნობლად იზღუდება სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით.³⁵

ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, **შეფასების ყველაზე უფრო მეტი თავისუფლება სახელმწიფოებს ენიჭებათ ომისა და სხვა საგანგებო მდგომარეობის პერიოდში უფლებათა შეზღუდვისას**, რაც ასევე ლოგიკურია და გამართლებული. კონვენციის მე-15 მუხლი ხელშემკერელ სახელმწიფოებს ანიჭებს კონვენციიდან უკან დახევის უფლებამოსილებას ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, თუ ეს მკაცრად ნაკარნახეია შექმნილი ვითარების სიმწვავეთ. ცხადია, ეროვნულ ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს შეფასების დიდი თავისუფლება იმის განსაზღვრისას, თუ რა მოიმოქმედოს ომის, ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს და რა ღონისძიებების გატარებას მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე. ერთი მხრივ იმის გამო, რომ ესეც თავისი არსით პოლიტიკური საკითხია და, მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ აქ საქმე გვაქვს სერიოზულ საფრთხესთან, რომელიც ერის არსებობას ემუქრება, მნიშვნელოვნად იზრდება ეროვნული ხელისუფლების პასუხისმგებლობა, მასთან ერთად კი, მისი შეფასებისათვის ანგარიშის გაწევისა და ევროპული კონტროლის თვითშეზღუდვის აუცილებლობა.³⁶

ამასთან, კონვენციის მე-15 მუხლით ნაგულისხმები კონვენციიდან უკან დახევის უფლებამოსილება, იმავდროულად აშკარად ხდის მის გამოყენებაზე საერთაშორისო კონტროლის მნიშვნელობას. ამ მუხლის შესაბამისად სახელმწიფო უფლებამოსილია, (დროებით) უარი თქვას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. უკან დახევა დასაშვებია კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დიდ ნაწილთან მიმართებაში (მე-15 მუხლი მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისს ითვალისწინებს) და შეეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს. ეს გარემოება, აძლიერებს სასამართლო

³⁴ მაგალითისათვის იხ. *Arslan v. Turkey*, judgment of 8 July 1999; *Polat v. Turkey*, judgment of 8 July 1999; *Cerger v. Turkey*, judgment of 8 July 1999.

³⁵ *Kataras v. Turkey*, judgment of 8 July 1999.

³⁶ აღსანიშნავია, რომ პირველად ეროვნული შეფასების დოქტრინა ევროპულმა სასამართლომ სწორედ მე-15 მუხლთან დაკავშირებით, „საგანგებო მდგომარეობასთან“ მიმართებაში (emergency) გამოიყენა (*Greece v. The United Kingdom*, yearbook II 1958-59), შემდეგ იგი ანალოგიის გზით გავრცელდა „ექსტრაორდინარულ“ (კრიზისულ) სიტუაციებზე (*Belgian Linguistics*, judgment 23 July, 1968 A.G.) ამის შემდეგ კი დოქტრინამ შეაღწია კონვენციის თითქმის ყველა ნაწილში და იქცა სტრასბურგის პრეცედენტული სამართლის კარდინალურ საკითხად.

კონტროლის აუცილებლობას. თუმცა, მისი ფოკუსი ოდნავ შეცვლილია. ევროპული კონტროლი ნაკლებად მკაცრია იმის შეფასებისას, მართლაც არსებობდა თუ არა ერის არსებობისათვის საშიშროება. აქცენტი გადატანილია იმაზე, ხომ არ მოხდა უკანდახევის უფლებამოსილების ბოროტად ან ექსცესიურად გამოყენება, ანუ – უკანდახევის თანაზომიერების შეფასებაზე მდგომარეობის სიმწვავესთან მიმართებაში. ევროპული სასამართლო აფასებს, მოხდა თუ არა კონვენციიდან უკან დახევა იმ ზომით, რასაც მკაცრად მოითხოვდა მდგომარეობის სიმწვავე, აუცილებელი იყო თუ არა ყველა იმ უფლებათა დაცვაზე უარის თქმა, რაც განხორციელდა და რამდენად შეესატყვისებოდა დასახულ კანონიერ მიზნებს უკან დახევის შედეგად უფლებათა შეზღუდვის ხასიათი და ხარისხი. ამისათვის ევროპული სასამართლო ზედმიწევნით იკვლევს, თუ რამდენად შეესაბამებოდა უკან დახევის შესახებ კანონი აუცილებელ მოთხოვნებს, იძლეოდა თუ არა თვითნებური გამოყენების შესაძლებლობას და ქმნიდა თუ არა უფლებათა დაცვის სხვა გარანტიებს. მხედველობაში მიიღება უკან დახევის ხანგრძლივობაც.³⁷

„საქმის საერთო კონტექსტის“ გათვალისწინება ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლების განსაზღვრისას იმას გულისხმობს, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საერთო სამართლებრივი და სოციალური ვითარება, რომელშიც შემზღუდველი ღონისძიება იქნა გამოყენებული,³⁸ აგრეთვე, პერსონალური გარემოება და ყველა სხვა ფაქტორი, რომლებმაც ამ ფარგლებზე შეიძლება გავლენა იქონიოს მათი განვრცობისა თუ შეზღუდვის სასარგებლოდ. არცერთი მათგანი ცალკე აღებული, არ არის წარმმართველი და გადამწყვეტი. შეფასების თავისუფლების საბოლოო ფარგლები ყველა ამ ფაქტორის ურთიერთქმედებისა და დაბალანსების შედეგად ყალიბდება. ამასთანავე, გამოთქმულია შეხედულება ზოგიერთი დამატებითი ფაქტორის შესახებ, რომლებსაც თავისთავად მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ შეფასების თავისუფლების ფარგლების განსაზღვრის დროს. მაგალითად, INTERRIGHTS მიიჩნევს, რომ როდესაც საქმე შეეხება ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლის უფლების შეზღუდვას, ამან უნდა გაამკაცროს კონტროლი ევროპული სასამართლოს მხრიდან; მით უმეტეს მაშინ, როდესაც შესაბამის სახელმწიფოში არსებობს კონფლიქტური ვითარება მოცემულ

³⁷ „კონვენციიდან უკან დახევა“ პრაქტიკაში ძალზე იშვიათად ხდება. ასეთი საქმეები ევროპულ სასამართლოში თითო-ორთაა. ამიტომ მათი პრეცედენტული მნიშვნელობა ძალზე დიდია. ერთ-ერთი ასეთი საქმეა *Lawless v. Ireland*. იგი შეეხებოდა 1946 წელს ირლანდიაში მიღებულ კანონს, რომლის მიხედვით შს მინისტრს საგანგებო მდგომარეობის დროს უფლება ენიჭებოდა, დაეპატიმრებინა კაცი გონივრულ ვადაში სასამართლოში წარდგენის გარეშე, ანუ habeas corpus-ის პრინციპის დაუცველად. ასეთი დაპატიმრებანი მართლაც განხორციელდა 1954-56 წლებში ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი პირებისა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, ასეთი დაპატიმრებანი არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლს, მაგრამ გამართებული იყო მე-15 მუხლის საფუძველზე. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მაშინდელ ირლანდიაში მართლაც არსებობდა „ერის არსებობისათვის აშკარა საფრთხე“, ხოლო განხორციელებული დაპატიმრებანი მკაცრად ნაკარნახევი იყო მდგომარეობის სიმწვავეთ. სასამართლომ ისიც გაითვალისწინა, რომ ირლანდიის 1940 წლის კანონი აკმაყოფილებდა აუცილებელ მოთხოვნებს – ის მინიმუმადე ამცირებდა თვითნებობის შესაძლებლობას და ქმნიდა უფლებათა დაცვის სხვადასხვა გარანტიებს. (*Lawless v. Ireland*, judgment of 1 July 1961. series A. no.3).

³⁸ Written comments by INTERRIGHTS, submitted to the Grand Chamber of ECHR. case *Blečić v. Croatia*

ეროვნულ უმცირესობასთან. INTERRIGHTS-ის აზრით, როდესაც პიროვნება განსაკუთრებით დაუცველია (vulnerable), ევროპულ სასამართლოს ყველაზე უფრო დიდი სიფხიზლე (vigilance) მოეთხოვება. ასეთ დროს ევროპული სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ სახელმწიფომ მის მიმართ ყველაზე უფრო ნაკლები ძალდატანება გამოიყენა.³⁹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები მყარი და მკაცრად განსაზღვრული არ არის. მართალია არსებობს წინასწარ ჩამოყალიბებული მიდგომები იმის თაობაზე, თუ როდისაა ეს ფარგლები შედარებით ფართო ან ვიწრო, მაგრამ ეს სავარაუდო ფარგლები კონკრეტულ საქმეში არსებული არაერთი გარემოებისა თუ ფაქტორის მიხედვით იცვლება და, საბოლოო ჯამში, შესაბამისი ღირებულებათა კონფლიქტის კონკრეტული კონტექსტის მიხედვით განისაზღვრება. ამ მიმართებით სავსებით ვეთანხმებით ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის **მაკდონალდის** შემდეგ თვალსაზრისს. როგორც ის აღნიშნავს, „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ ზუსტად რა ფარგლები და მოცულობა ექნება ეროვნული შეფასების თავისუფლებას, ძალიან რთულია... რადგან ის ყალიბდება იმ ბალანსის შესაბამისად, რომელიც გამოვლინდება და რომლის გათვალისწინებაც ხდება კონკრეტული საქმის განხილვის დროს. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ფარგლები, სავარაუდოდ, ყველაზე უფრო ფართო მაშინ არის, როდესაც ევროპული სასამართლო განსაზღვრავს, იყო თუ არა აუცილებელი უფლებათა შეზღუდვა საგანგებო, სერიოზული ვითარების პერიოდში და ყველაზე უფრო ვიწრო, როდესაც საქმე გვაქვს ადამიანის უადრესად პირადული და კერძო ცხოვრების ხელყოფასთან.“⁴⁰

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა, რომელიც საერთაშორისო კონტროლის თვითშეზღუდვას გულისხმობს, ადეკვატური და ეფექტიანი საშუალებაა საიმისოდ, რათა ადამიანის უფლებათა შეზღუდვის სფეროში საერთაშორისო კონტროლის მიზანი შეხამებული იქნეს სუვერენიტეტისა და ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებისადმი პატივისცემის პრინციპებთან. როგორც ევროპული სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა **სერ ჰამფრეი უოლდოკმა** აღნიშნა, ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა წარმოადგენს „ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც შექმნეს კომისიამ და სასამართლომ და რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს კონვენციის ეფექტიანი მოქმედება ხელისუფლების

³⁹ *Gillow v. The United Kingdom*, judgment of 24 November 1986. §§57-58.

⁴⁰ **Macdonald R. St. J.** “Margin of Appreciation in the Jurisprudence of the European Court of Human Rights”. *International Law at the time of its Codification. Essays in Honor of Robert Ago* 1987. გვ.187; 207.

სუვერენობისა და მთავრობის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით დემოკრატიულ საზოგადოებაში“.⁴¹

* * *

დაბოლოს, რამდენიმე მოსაზრების შესახებ, რომლებიც გამოთქმულია ევროპული კონვენციისა და შესაბამისი პრეცედენტული სამართლის კომენტატორების მიერ ამ დოქტრინის გამოყენებისას ევროპული სასამართლოს მიდგომის, მისი ფარგლების განსაზღვრისა და დღევანდელი ტენდენციების შესახებ.

ვან ლეიკი და ვან ჰოფი სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში გამოჰყოფენ ოთხ ძირითად მიდგომას, რომლებიც ასახავენ ეროვნული შეფასების თავისუფლებისა და ევროპული ზედამხედველობის შესაბამის ფარგლებს:

a) როდესაც სტრასბურგის სასამართლო საერთოდ არ ანიჭებს შეფასების თავისუფლების არეს სახელმწიფოს და სრულ ზედამხედველობას ახორციელებს;

b) როდესაც მიაკუთვნებს მცირე (ვიწრო) ფარგლებს;

c) როდესაც გამოყენებულია „გონივრულობის“ ტესტი;

d) როდესაც გამოყენებულია ტესტი „არ არის არაგონივრული“.

ეს ავტორები მიიჩნევენ, რომ პირველი ორი მათგანი თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინაიდან „b“ შემთხვევებში, მართალია, სასამართლო აღიარებს ეროვნული შეფასების გარკვეულ ფარგლებს, მაგრამ, ფაქტობრივად, მაინც სრულ ზედამხედველობას ახორციელებს. რაც შეეხება „c“ და „d“ შემთხვევებს, მათი აზრით, ისინი მტკიცების ტვირთის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

„c“ შემთხვევებში, სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ მისი გადაწყვეტილება ინდივიდური უფლების შეზღუდვის შესახებ გონივრული იყო.

„d“ შემთხვევებში კი, მომჩივანმა უნდა დაამტკიცოს, რომ ასეთი გადაწყვეტილება გონივრული არ იყო. ეჭვი კი სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.⁴²

ერთი შეხედვით, ეს მოსაზრება სადაოდაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, ვინაიდან უფლების შეზღუდვის აუცილებლობის დამტკიცება ყოველთვის შეზღუდვის ინიციატორს, ანუ სახელმწიფოს ეკისრება. მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ მოსაზრებას.

სახელმწიფოს მიერ იმის დამტკიცება, რომ შეზღუდვა არ იყო არაგონივრული, და, მომჩივნის მიერ იმის დამტკიცება, რომ შეზღუდვა არ იყო გონივრული, ფაქტობრივად ამ საზღვარს (მიჯნას) მიაჩნებენ, რომლის ერთ მხარეს უფლების შეზღუდვა გამართლებულად შეფასდება, მეორე მხარეს კი – გაუმართლებლად. ჩვენი აზრით, ვან ლეიკმა და ვან ჰოფმა სწორედ ეს მიჯნა გამოკვეთეს, ოღონდ –

⁴¹ უოლდოკის ეს გამონათქვამი ციტირებულია ლორდ მაკკეის სტატიიდან (იხ. Lord Mackay of Clashfern. The margin of appreciation and the need for balance. Protecting Human Rights: The European Perspective, 2000, გვ.840).

⁴² P. van Dijk & van Hoof. Theory and Practice of the European Convention on Human Rights, 1998, გვ.589).

მტკიცების ტვირთის საშუალებით. სახელმწიფოს მიერ იმის დამტკიცება, რომ შეზღუდვა არ იყო არაგონივრული, შედარებით მსუბუქი ტვირთია. ეს გარემოება თავისთავად ააქტიურებს მომჩივნის, როგორც პროცესუალური მოწინააღმდეგის როლს, დაამტკიცოს საპირისპირო. ამ გაგებით, მტკიცების აქტიური როლი (და, მაშასადამე – ტვირთიც) მართლაც ბუნებრივად გადადის მომჩივანზე. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულმა ავტორებმა სწორედ ეს ნიუანსი გამოკვეთეს.

ვან დეიკი და ვან ჰოფი აღიარებენ, რომ შეფასების თავისუფლების ფარგლებს უამრავი ფაქტორი განსაზღვრავს, მაგრამ გადამწყვეტ ფაქტორებად ისინი მიიჩნევენ ორ მათგანს, კერძოდ – უფლებაში ჩარევის ხასიათს და იმას, თუ თავისთავად როგორი ევროპული სტანდარტი გამოდინარეობს წევრი ქვეყნების სამართლიდან.

ამ მეორე ფაქტორზე მითითება ძალზე საგულისხმოდ გვესახება, ვინაიდან მასში სწორედ ისაა ხაზგასმული, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიდგომები მხოლოდ იდეალისტურ, ნიადამოწყვეტილ მოსაზრებებზე კი არ არის აღმოცენებული, არამედ წევრი ქვეყნების ეროვნულ სამართალს ემყარება.

ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინის შესახებ გამოთქმულია შემდეგი სადავო (თუმცა საინტერესო) მოსაზრებაც. ზოგიერთის შეხედულებით, ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა გამოხატავს სტრასბურგის სასამართლოს ერთგვარ უუნარობას, უზრუნველყოს კონვენციის აღსრულება (*enforcing*); ამიტომ, როდესაც სასამართლო ეროვნული შეფასების ფარგლების არგუმენტს იყენებს, ეს გარემოება უკვე თავისთავად მიანიშნებს მასზე, რომ უფლება დარღვეული იყო.⁴³ ასეთი შეხედულება მისაღები არ არის. აშკარაა, რომ მისი გაზიარება სხვა კანონიერი ინტერესების სასარგებლოდ უფლების შეზღუდვის სრულ შეუწყნარებლობამდე მიგვიყვანს, ვინაიდან უფლებათა განხორციელებაში ჩარევა (სახელმწიფოს მხრიდან) ყოველთვის **როდი ნიშნავს მათ დარღვევას კონვენციის გაგებით.**

დამაფიქრებელია ის მოსაზრებანიც, რომლებიც შეფასების ფარგლების განჭვრეტადობის საკითხზეა გამოთქმული. არაერთი ავტორის აზრით, ევროპული სასამართლოს განმარტებები ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლების შესახებ ძალზე ზოგადია, რის გამოც იოლი არ არის იმის წინასწარი განსაზღვრა (ვარაუდი), თუ როგორი ფარგლები მიენიჭება სახელმწიფოს ამა თუ იმ შემთხვევაში (საგულისხმოა, რომ ჩვენც ამ დასკვნამდე მივედით, რაც ავლნიშნეთ კიდევ ზემოთ). მაგალითად, ვან დეიკი და ვან ჰოფი მიუთითებენ, რომ Handyside-სა და სხვა საქმეებში (*Silver, Lingens*) მოცემული განმარტებები არ უზრუნველყოფს სიცხადეს და ჯერჯერობით ძალიან დიდი რისკია იმის განჭვრეტის მცდელობა, თუ როდისაა ეროვნული ხელისუფლებისათვის დაშვებული ფარგლები დიდი თუ მცირე.⁴⁴ იგივე

⁴³ ამ მოსაზრებათა შესახებ დაწვრილებით იხ. ლორდ მაკკეის სტატია *The margin of appreciation and the need for balance* კრებულში „Protecting Human Rights: The European Perspective, 2000. გვ.840“.

⁴⁴ P.Van Dijk & G. Van Hoff. იქვე, გვ.589.

აზრისაა **ლორდი მაკკეი**. იგი ვარაუდობს, რომ ასეთი განუსაზღვრელობა მომავალშიც გაგრძელდება.⁴⁵

მანვე საინტერესო შეხედულებები გამოთქვა იმის თაობაზე, თუ რა ტენდენციები შეინიშნება შეფასების ფარგლების განსაზღვრის სფეროში. იგი მიიჩნევს, რომ ევროპის საბჭოში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაერთიანების შემდეგ, კულტურული და სოციალური ვარიაციები გაცილებით მეტია, ვიდრე მანამდე. ამიტომ იმ უფლებებთან მიმართებაში, რომლებიც აბსოლუტური არ არის, სამართლიანი ბალანსის შესახებ ეროვნული ხელისუფლების შეხედულებები სრულიად სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ეს კი ევროპული სასამართლოს მხრიდან გათვალისწინებას მოითხოვს. ლორდი მაკკეი ყურადღებას ამახვილებს ევროპაში ინდივიდუალიზმის კულტურის სწრაფ განვითარებაზე, რაც საჯარო ან სხვა ინტერესთა დასაცავად პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევის სფეროში სახელმწიფოთა შეფასების არეალს შეამცირებს. ამისაგან განსხვავებით, მისი დაკვირვებით, კერძო საკუთრების შეზღუდვის სფეროში საპირისპირო ტენდენციაა. როგორც ის აღნიშნავს, საჯარო ინტერესებისათვის ამ უფლებაში ჩარევის საკითხში ევროპული სასამართლო დღეს უფრო მეტ ანგარიშს უწევს ეროვნული ხელისუფლების პოზიციებს, ვიდრე უწინ. საერთოდ ლორდი მაკკეი ეროვნული შეფასების თავისუფლების დიდი ფარგლების მომხრეა და მიიჩნევს, რომ მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს ეროვნული ხელისუფლების ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელებიც ინტერესთა კონფლიქტის დროს საჯარო ინტერესების სასარგებლო ბალანსს აყალიბებენ. მისი აზრით, სწორი მიდგომა ის იქნება, რომ ევროპული სასამართლო ჩაერიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც გონივრულია, რომ ეროვნული სამართლიდან გამომდინარე, ვითარება მიჩნეულ იქნას კონვენციასთან შეუსაბამოდ. ხოლო საპირისპირო შემთხვევაში ეროვნული ხელისუფლების დემოკრატიულ ლეგიტიმურობას მეტი პატივი უნდა მიეგოს. ლორდი მაკკეი მიიჩნევს, რომ ევროპული სასამართლოს ძირითადი მიდგომები „ცალმხრივ მოძრაობას“ გულისხმობს და რომ ეს მოძრაობა მიმართულია უფლებათა ფარგლების გაფართოებისაკენ, რაც, ართულებს საბოლოო ჯამში იმის შესაძლებლობას, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ბალანსი საჯარო ინტერესის სასარგებლოდ ჩამოაყალიბოს მაშინაც კი, როდესაც ეს გამართლებულია კონვენციის გაგებით და ეროვნული საჭიროებებით არის ნაკარნახევი. იგი აღნიშნავს, რომ ევროპულ სასამართლოს ეგების მთელი ყურადღება და ძირითადი ფოკუსი გადაიტანოს იმაზე, თუ რა შეიძლება გახდეს დიდი საშიშროება ჩვენი საზოგადოებისათვის მომავალში და იზრუნოს მის თავიდან ასაცილებლად.⁴⁶

მართლაც, უდავოა, რომ კონვენციამ და მისმა ინსტიტუციებმა არ უნდა მოახდინონ და არც შეუძლიათ მოახდინონ სპეციფიკაცია იმისა, თუ როგორ უნდა

⁴⁵ Lord Mackay of Clashfern. *The margin of appreciation and the need for balance, Protecting Human Rights: The European perspective*. 2000. გვ.842.

⁴⁶ Lord Mackay of Clashfern, იქვე, გვ.842-843.

ჩამოყალიბდეს ბალანსი ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ევროპის 46 ქვეყანაში. მისი ყურადღება და ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობებისა და შესაბამისი პრაქტიკის ჰარმონიზაციაზე. მხოლოდ ასეთი ხედვის კუთხე შეესაბამება სუბსიდიურობის პრინციპს, რომელსაც კონვენცია ემყარება. სუბსიდიურობა კი, როგორც ევროპული სასამართლოს ყოველმა პრეზიდენტმა **როლფ რისდალმა** აღნიშნა, „წარმოადგენს ერთ-ერთ, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს, რომელიც კონვენციას უდევს საფუძვლად“.⁴⁷

როგორია სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლები კონვენციის მე-10 მუხლთა მიმართებაში?

ყოველივე ზამთოქმულმა, ვფიქრობ, საერთო სურათი ისედაც გამოკვეთა: წინამდებარე მიმოხილვა სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ „შეფასების თავისუფლების“ კონცეპტის არსში ჩაწვდომის გზით გაგვეადვილებინა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში გამოყენებული მიდგომების საფუძვლებსა და მიზანდასახულობაში გარკვევა. ამის მიუხედავად, მოკლედ შეიძლება ითქვას შემდეგი:

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში სახელმწიფოებისათვის გადაცემული შეფასების თავისუფლების საერთო ფარგლები ფართო არ არის გამომდინარე ამ უფლების დიდი მნიშვნელობიდან დემოკრატიულ საზოგადოებაში. აი რა თქვა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის სფეროში სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლებსა და შესაბამისი ევროპული ზედამხედველობის განვრცობადობის ხარისხზე:

„ხელშემკვრელი მხარეები ჩარევის აუცილებლობის შეფასებისას სარგებლობენ შეფასების თავისუფლების გარკვეული ფარგლებით, მაგრამ იგი ექვემდებარება ევროპულ ზედამხედველობას, რომლის განვრცობადობის ხარისხი ცვალებადია თითოეული საქმისდა მიხედვით. მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევისას, ზედამხედველობა უნდა იყოს მკაცრი (*strict*) ამ უფლებათა მნიშვნელობის გამო. ამ უფლებათა მნიშვნელობას მრავალგზის გაუსვა ხაზი სასამართლომ. მათი შეზღუდვის აუცილებლობა უტყუარად (*convincingly*) უნდა იყოს დადგენილი“.⁴⁸

იმ გარემოებებიდან, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიული

⁴⁷ **Rolv Ryssdal**: *Opinion: The coming Age of the European Convention on Human Rights (1996) European Human Rights Law Review*, issue 1. გვ.24. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმგვარი შეხედულებების შესახებაც, რომელთა მიხედვით, არსებობს შეფასების თავისუფლების ელასტიური კონცეპტის „ექსესიური“ გამოყენების შესაძლებლობა (იხ. **Anthony Lester**, *Freedom of Expression*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds), 1993, გვ.490).

⁴⁸ *Autronic AG v. Switzerland*, judgment of 22 May 1990, series A. No 178; §61.

საზოგადოების ფუნქციონირებისათვის, მის შესაზღუდად შეფასების მაღალ სტანდარტებს იყენებს და ამის გასამართლებლად წონად დასაბუთებას მოითხოვს, თავისთავად გამოძინარეობს, რომ ამ უფლების სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების დროს „სამართლიანი ბალანსის“ განსაზღვრისას, ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების არეალი ძალიან ფართო არასდროს არ არის, თუმცა განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებრივ მიზნებთან მიმართებაში.

ძირითადი მიდგომა იგივეა: იმ საზოგადოებრივ მიზნებთან მიმართებაში, სადაც ერთიანი ევროპული კრიტერიუმი, ერთიანი ევროპული სტანდარტი არ არსებობს და მეტია ადგილობრივი გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობა, საერთაშორისო სასამართლო ეროვნულ სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფართო არეალს მიაკუთვნებს (ეს ძირითადად ითქმის შემთხვევებზე, როდესაც გამოხატვის თავისუფლება შესაბამის ქვეყანაში დამკვიდრებულ საზოგადოებრივ მორალს უპირისპირდება). ასევე ფართოა ასეთი არეალი, როდესაც საქმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს, ან ისეთ სპეციფიკურ სფეროს შეეხება, რომლებიც ზრდის ეროვნული სახელმწიფოს შეფასებისათვის ანგარიშის გაწვევის მიზანშეწონილობას (მაგალითად, ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობასთან მიმართებაში). მეორე მხრივ, განსაკუთრებით ვიწროა შეფასების თავისუფლების არეალი, როდესაც შესაბამისი „გამოხატვა“ მიჩნეულია „საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობად“. ამის გამო, ძალიან მაღალი მოთხოვნები წაყენება ხელშემკვრელ სახელმწიფოებს პოლიტიკის სფეროში გამოხატული აზრების, პრესის თავისუფლების, ხალხის არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის დასამტკიცებლად. ასევე, ვიწროა ასეთი არეალი ადვოკატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შეფასებასთან მიმართებაში, გამოძინარე იმ პროცესუალური როლიდან, რომელიც ადვოკატს ეკისრება და სხვ. (სხვადასხვა კანონიერ მიზანთან მიმართებაში სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლებს უფრო კონკრეტულად ნაშრომის შემდგომ თავებში შევხებით, სადაც შესაბამის მიზანთა მისაღწევად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხებია გაანალიზებული).

დასასრულ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ფართო ან ვიწროა შესაბამის სფეროსთან მიმართებაში მისი ფარგლები, საბოლოო ჯამში, ბალანსს გამოხატვის თავისუფლების საზიანოდ ხრის. ამიტომა ამ უფლების მაღალი სტანდარტით დაცვის მომხრეები მიიჩნევენ, რომ შეფასების თავისუფლების დოქტრინისა და საერთოდ კონვენციით დაშვებული შეზღუდვების ინტერპრეტაცია სიტყვის თავისუფლების სასარგებლო მკაცრი პრეზუმციის მიხედვით უნდა გადაწყდეს.⁴⁹

⁴⁹ Anthony Lester, მითითებული ნაშრომი, გვ.491.

§4.2. „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობის“ ფაქტორი (მეთოდოლოგიური საფუძვლები)

იმაში კარგად გარკვევა, თუ რას გულისხმობს „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობის“ ფაქტორი, უმნიშვნელოვანესია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემატიკის გასაშუქებლად. შეეხებოდა თუ არა გავრცელებული იდეები თუ ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს და წარმოადგენდა თუ არა იგი ამ საკითხზე ღია საჯარო დისკუსიაში მონაწილეობას, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ორიენტირს მათი დაცულობისა თუ შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას.

დასაწყისში, სადაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში ევროპული სასამართლოს ძირითადი მიდგომები მიმოვიხილეთ, ავხსენით, თუ რატომ ენიჭება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე იდეებისა თუ ინფორმაციების თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას, მათ შესახებ ღია და საჯარო დისკუსიებს ესოდენ დიდი მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, რა როლს ასრულებს გამოხატვის თავისუფლება ასეთი დისკუსიების უზრუნველყოფის საქმეში და სხვა რა პრინციპული მიდგომები თუ პოზიციებია ამ ფაქტორთან პირდაპირ დაკავშირებული.

ამჯერად ჩვენი ამოცანაა სხვა აქცენტების გაკეთება, რომლებიც გაგვიადვილებს სისტემურად გავიაზროთ ამ ფაქტორის მნიშვნელობა და მისი გავლენა ღირებულებათა კონფლიქტის გადაჭრაზე.

1. რას მოიცავს „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხები“ და რას გულისხმობს ასეთ საკითხებზე „საჯარო დისკუსიაში მონაწილეობა“

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების“ გაგება ძალიან ფართოა. მასში იგულისხმება ფაქტობრივად ყველა სფერო, რაც კი საზოგადოების მხრიდან ინტერესისა თუ საზრუნავის საგანია: სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, ხელისუფლებისა თუ მისი ცალკეული წარმომადგენლების მოქმედება, საზოგადოებრივი მორალი, ჯანმრთელობა, რელიგია, ისტორიული მოვლენები, სპორტი, მეცნიერება, გარემოს დაცვა, განათლება და აღზრდა და სხვ.

ის, რაც ნამდვილად არ იგულისხმება მასში, ესაა ადამიანთა პირადი და ოჯახური ცხოვრება. თუმცა, გამონაკლისი აქაც არსებობს. მიჩნეულია, რომ პოლიტიკოსების, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირადი ცხოვრება საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

მართალია საზოგადოებრივი ინტერესის სფეროები მრავალია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი საკითხი, რომელიც ამ სფეროებს შეეხება ანდა

უკავშირდება, ყოველთვის საზოგადოებრივი ინტერესის საკითხად იქნება მიჩნეული. ევროპული სასამართლო ყოველთვის მხედველობაში იღებს, თუ კერძოდ რა საკითხს შეეხებოდა „ინფორმაცია“ თუ „იდეები“ და როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო საზოგადოების მხრიდან მათით დაინტერესების ხარისხი. გარდა ამისა, როდესაც აღიარებულია, რომ “ინფორმაცია“ ან „იდეები“ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხებოდა, მათდამი მოპყრობა ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის. საზოგადოებისათვის რაც უფრო აქტუალური, სერიოზული, საჭირობოროტო თუ სისხლხორცეული მნიშვნელობისაა პრობლემა, მით უფრო მეტია შესაბამისი იდეებისა თუ ინფორმაციის დაცულობის ხარისხიც.

ამავე დროს, გამოხატვის საგანი მთავარი არ არის. შესაძლოა, ესა თუ ის ინფორმაცია თუ იდეა შეეხებოდეს ან უკავშირდებოდეს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს, მაგრამ იგი არ წარმოადგენდეს ამ საკითხზე „საჯარო დისკუსიაში მონაწილეობას“, მასში „წვლილის შეტანას“. ასეთ დროს მხედველობაში მიღება ის საერთო კონტექსტი, რომელშიც შესაბამისი იდეები თუ ინფორმაცია სააშკარაოზე იქნა გამოტანილი. მხედველობაში მიიღება, მაგალითად ის, იყო თუ არა უკვე დაწყებული საჯარო დისკუსია შესაბამის საკითხზე პრესაში ან სხვაგან; როგორი იყო მიმდინარე მოვლენები, რომლებმაც პრობლემური გახდა ეს თუ ის საკითხი, გაამწვავა ანდა პროვოცირება მოახდინა მისი და სხვ. ამ გარემოებების გათვალისწინებით ყალიბდება დასკვნა, წარმოადგენდა თუ არა შესაბამისი იდეებისა თუ ინფორმაციების გავრცელება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობას.

„იდეებისა თუ ინფორმაციის“ დაცულობის ხარისხზე შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ახდენს გავლენას ის, თუ რამდენად სერიოზული და მნიშვნელოვანი იყო მათი წვლილი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში. თუმცა, მცირედი წვლილის შეტანაც კი პოზიტიურად განიხილება.

იმავედროულად, არსებობს შემთხვევები, როდესაც ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს უშუალოდ შეეხება, მაგრამ მათი გავრცელება არ განიხილება ამ საკითხებზე საჯარო დებატებში წვლილის შეტანად, ვინაიდან მათ პირიქით – უკუ ეფექტი გააჩნიათ.

ეს მომენტი შესანიშნავად გამოკვეთა ევროპულმა სასამართლომ *Otto-Preminger*-ის საქმეში, რომელიც შეეხებოდა კათოლიკური რელიგიის შეურაცხმყოფელი ვიდეოფილმის აკრძალვას. რელიგიის საკითხები, ცხადია, საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. ამა თუ იმ რელიგიის შესახებ კრიტიკული შეხედულებების გაცნობა შესაძლოა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდეს, მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს ამა თუ იმ რელიგიის აბუჩად აგებასთან, მის მიმდევართა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასა თუ დამცირებასთან, ასეთი შეხედულებების გავრცელება ველარ განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის განხილვაში პოზიტიური წვლილის შეტანა.

სწორედ ამიტომ მიუთითა სასამართლომ ზემოაღნიშნულ საქმეში, რომ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ვერ ჩაითვლებოდა ისეთ საჯარო დებატებში მონაწილეობად, რომელიც საქვეყნო საქმეების პროგრესს შეუწყობდა ხელს.

აქვე უნდა ითქვას, რომ თავისთავად, ძალზე დელიკატური საკითხია იმის განსაზღვრა, თუ როგორი საჯარო დისკუსია შეიძლება იქნას მიჩნეული „საზოგადოებრივი პროგრესის წყაროდ“. ვფიქრობთ, ევროპული სასამართლო *Otto-Preminger*-ის საქმეში იმაზე უფრო შორს წავიდა, ვიდრე უნდა წასულიყო. ნებისმიერი რევოლუციური, რადიკალური, არაორთოდოქსალური შეხედულებები შეიძლება წარმოადგენდეს პროგრესის წყაროს. ამიტომ ასეთ შეხედულებებს უნდა მეცეთ მოქმედების შანსი და შესაძლებლობა იმისა, რომ შემოაბრუნონ სავარაუდოდ მცდარი ორთოდოქსალური პოზიციები. იმის წინასწარ უცდომელი განჭვრეტა, თუ რომელი შეხედულებები და იდეებია პროგრესული თუ რეგრესული, ყოველთვის არც შესაძლებელია და არც გონივრული. ამიტომ, ევროპული სასამართლო, ცხადია, ვერ აიღებს თავის თავზე იმის უშეცდომოდ განსაზღვრას, შეუწყობს თუ არა ხელს შესაბამისი შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებრივ პროგრესს. ევროპული სასამართლო უნდა შემოიფარგლოს იმით, რომ თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს სრულიად განსხვავებული შეხედულებებისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებას, არ დააბრკოლოს მათი სააშკარაოზე გამოტანა, რათა საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცეს, გამოიმუშავოს საკუთარი აზრი და გააკეთოს არჩევანი. სწორედ ამ არჩევანზეა დამოკიდებული, თუ რა გზას აირჩევს პროგრესის მისაღწევად. „პროგრესის“ იდეა, შეფარდებით ასპექტში უნდა იქნას გაგებული. დღევანდელი განზომილებებით ძალზე რთულია იმის შეფასება, ნამდვილად მიღის თუ არა საზოგადოება პროგრესის გზით ან რამდენად ეფექტიანი გზა აქვს შერჩეული საამისოდ. ამიტომ ევროპული სასამართლოს საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს იმის უზრუნველყოფას, რომ საზოგადოებას ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა; ხოლო თვითონ თავი უნდა შეიკავოს იმის შეფასებისაგან, თუ როგორი ინფორმაცია და იდეები შეუწყობს ხელს პროგრესს საკაცობრიო საკითხებში და როგორი არა. საგულისხმოა, რომ *Otto-Preminger*-ის საქმის შემდეგ ევროპულ სასამართლოს შემდგომ საქმეებში აღარ დაუკავშირებია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხები პროგრესის იდეასთან.

სრულიად სხვა საქმეა იდეებისა თუ ინფორმაციების შეზღუდვა არა იმ მოტივით, რომ ისინი ვერ შეიტანენ წვლილს საჯარო დებატებში, რომელიც საქვეყნო საქმეების პროგრესს უწყობს ხელს, არამედ იმ მოტივით, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან და ზიანს აყენებენ დემოკრატიულ ღირებულებებს. ამ თვალსაზრისით, *Otto-Preminger*-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, არგუმენტების სადავო ფორმულირების მიუხედავად, სავსებით სწორი და გამართლებულია. ევროპული სასამართლო, რომელიც კონვენციის საფუძველზე შეიქმნა და მოქმედებს, ცხადია არის და უნდა იყოს იმ ღირებულებათა

დამამკვიდრებელი, რომელიც კონვენციის პრეამბულაშია გაცხადებული. იგი ვალდებულია თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს საყოველთაო მშვიდობასა და თანხმობას, ადამიანთა უფლებების დაცულობას. ეს ღირებულებები თანამედროვე ევროპული საზოგადოების საერთო ღირებულებანია. შესაბამისად, ევროპული სასამართლოს ამოცანაა, იზრუნოს ამ საზოგადოების დღევანდელი ღირებულებების უზრუნველსაყოფად.

სწორედ ამიტომ, თუ ესა თუ ის განსხვავებული, რადიკალური შეხედულებების გავრცელება ეწინააღმდეგება და ზიანს აყენებს ამ საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებს, იგი ვალდებულია გარკვეულ ფარგლებში მოაქციოს მათი გავრცელების თავისუფლება. შესაბამისად, როდესაც იდეები თუ ინფორმაცია, შეიცავენ რისკს საზოგადოებაში დამკვიდრებული ჰარმონიის, მათ შორის რელიგიური მშვიდობის დარღვევისა, შეხედულებების სიმრავლისა და მათდამი შემწყნარებლობის საერთო დემოკრატიული მოთხოვნები უკან იხევს.

ზოგიერთ უკიდურეს შემთხვევაში, იდეები თუ ინფორმაცია შეიძლება უშუალოდ შეეხებოდეს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, მაგრამ თავიანთი შინაარსის გამო, შესაძლოა არათუ არ იქნას მიჩნეული ამ საკითხებზე საჯარო დისკუსიაში წვლილის შეტანად, არამედ – საერთოდ „აზრის გამოხატავად“ მე-10 მუხლის გაგებით. მაგალითად, მე-2 მსოფლიო ომთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ფაშისტური რეჟიმის მიერ ებრაელთა მასობრივი განადგურება და დევნა (ჰოლოკოსტი), ცხადია, საზოგადოების მხრიდან შეუხელებელი ინტერესის საგანია, მაგრამ ამ ისტორიულად ზუსტად დადგენილი ფაქტების უარყოფა და მათი პრინციპულად განსხვავებული ინტერპრეტაცია, ძირფესვიანად ეწინააღმდეგება გამონატვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებას და ამიტომაც არ განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში შეტანილი პოზიტიური წვლილი.

საბოლოო ჯამში, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ა) თუ *Otto-Preminger*-ის საქმეს არ მივიღებთ მხედველობაში, ევროპული სასამართლო თავს იკავებს იმის შეფასებისაგან, თუ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე გამოთქმული რომელი აზრებია პროგრესული ან რეგრესული. განსხვავებული, მათ შორის მცდარი შეხედულებების გამონატვაც საზოგადოებრივ დებატებში წვლილის შეტანად განიხილება, რაც სავსებით მართებულია. როგორც **ჯონ სტიუარტ მილის** „თავისუფლების ტრაქტატშია“ ნათქვამი (1859წ.) „ყალბ განცხადებებსაც კი შეუძლია ფასეული წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივ დებატებში, რადგან მისგან წარმოდგება უფრო გამოკვეთილი შეხედულება სიმართლეზე, რაც სიცრუესთან მისი დაპირისპირებით ხდება“.¹

¹ საგულისხმოა, რომ მილის სწორედ ეს დებულება დაიმოწმა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე *New York Times v. Sullivan*, როდესაც დაადგინა, რომ კონსტიტუციის 1-ლი დამატება იცავდა ყველანაირი, მათ შორის მცდარი განცხადებების პუბლიკაციას.

ბ) აუცილებელია გამოირიცხოს აშკარა და ძლიერი (და არა ყოველგვარი) ნეგატიური ეფექტის შესაძლებლობა. საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ინფორმაციისა თუ იდეების გავრცელება არ უნდა უპირისპირდებოდეს კონვენციის უმთავრეს ღირებულებებს;

გ) როდესაც ინფორმაცია თუ იდეები საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეეხება და განიხილება მასზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად, მათი დაცულობის ხარისხი განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სერიოზულ, საზოგადოებისათვის საჭირობო საკითხს შეეხება იგი, რამდენად პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება მას და რამდენად მნიშვნელოვანია მისი წვლილი შესაბამისი საკითხის საჯარო განხილვაში. როგორც ლუციუს ვალდჰაბერმა აღნიშნა, იდეებისა და შეხედულებების „დაცვის გარანტირებული ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პირდაპირ არის შესაბამისი „გამოხატვა“ დაკავშირებული დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირების უშუალო პროცესთან.²

2. რა თავისებურებს სძენს „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობის“ ფაქტორი ღირებულებათა კონფლიქტს

„საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის“ ფაქტორი უკავშირდება გამოხატვის თავისუფლების ორმაგ ბუნებას, რაშიც ასევე ვლინდება ამ საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების შეზღუდვის სირთულის მიზეზები.

საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის ფაქტორი ღირებულებათა კონფლიქტს ისეთ თავისებურებას სძენს, რომელიც აშკარად ხდის, თუ რატომაა ეგზომ გართულებული ღირებულებათა კონფლიქტის დროს მისი დაჯაბვნა დაპირისპირებული ღირებულების მხრიდან.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოხატვის თავისუფლება ერთდროულად არის როგორც პიროვნების თვითრეალიზაციის, ისე საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე საჯარო დისკუსიების გამართვის საშუალება. გამოხატვის თავისუფლების ეს ორმაგი ბუნება, მისი ეს ორმაგი დატვირთვა ღირებულებათა კონფლიქტში აორმაგებს (ან უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა – „მნიშვნელოვნად აძლიერებს“) მის მედეგობას შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

სრულიად აშკარაა შემდეგი: ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლება როგორც ინდივიდური უფლება, ცხადია ინდივიდური ინტერესია. მაგრამ, მეორე მხრივ, როდესაც იგი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეეხება და წარმოადგენს ამ საკითხზე „საჯარო დებატებში მონაწილეობას“, იგი იმავდროულად საჯარო ინტერესიცაა. ასეთ დროს გამოხატვის თავისუფლების დაცვის აუცილებლობა შორს სცილდება ამ უფლების განმახორციელებელი სუბიექტის უფლებრივი დაცვის, მისი

² Address by **Wildhaber L.** *The right to offend, shock or disturb? – aspects of freedom of expression under the European Court of Human rights*, Dublin, 11 October, 2001.

პიროვნული თვითრეალიზაციის უზრუნველყოფის ამოცანებს და იგი გაცილებით უფრო ფართოდ, სწორედ საჯარო ინტერესის დაცვის, კერძოდ – საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიების უზრუნველყოფის კონტექსტში მოიაზრება. ამრიგად, როდესაც „გამონატვა“ „საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობად“ არის მიჩნეული, ასეთ დროს, ეს ინდივიდური უფლება ფაქტობრივად ორმაგი ღირებულებაა.

ამიტომ, ნებისმიერი კონფლიქტის დროს, სადაც ერთი მხარე გამონატვის თავისუფლებაა და იგი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეეხება, ღირებულებათა კონფლიქტის ფორმულა განსხვავებულია სხვა ისეთი შემთხვევებისაგან, როგორც კონფლიქტის მონაწილე კონვენციით გათვალისწინებული სხვა ინდივიდური უფლებაა, რომელიც ასევე შეიძლება შეიზღუდოს საჯარო თუ სხვა პირთა უფლებების დასაცავად. ასეთ დროს ესა თუ ის უფლება, როგორც ინდივიდური ინტერესი, უპირისპირდება საჯარო ან სხვა ინდივიდურ ინტერესს. გამონატვის თავისუფლება კი, როდესაც იგი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხება და მიჩნეულია მასზე საჯარო დებატებში მონაწილეობად, როგორც ერთსა და იმავე დროს „ინდივიდური“ და „საჯარო“ ინტერესი უპირისპირდება სხვა „საჯარო“ ან სხვა „ინდივიდური“ ინტერესს:



ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში, კონფლიქტის გადაჭრის დროს გამონატვის თავისუფლების ეს ორივე კომპონენტი უნდა იქნეს (და არის კიდევაც) მხედველობაში მიღებული. შესაბამისად, ცხადი ხდება ისიც, თუ რატომ არის ამ ორმაგი ღირებულების მქონე ინდივიდური უფლების შეზღუდვის საჭიროება უფრო ძნელად დასასაბუთებელი და რატომ მოითხოვს იგი უფრო „წონად“ გამართლებას, ვიდრე ისეთ შემთხვევებში, როდესაც „გამონატვა“ არ შეეხება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს. უფრო მეტიც: ვფიქრობთ, ნაკლები ოპონენტები გამოუჩნდება იმ აზრს, რომ არსებითად, გამონატვის თავისუფლების განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით დაცულობის აუცილებლობა სწორედ ამ მეორე კომპონენტს უფრო უკავშირდება, ვიდრე პირველს (ანუ მას, როგორც პიროვნების თვითრეალიზაციის საშუალებას). აქედან გამომდინარე, ცხადია ისიც, რომ როდესაც „გამონატვა“ არ შეეხება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საგანს, მისი მაღალი სტანდარტით

დაცულობის აუცილებლობა გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე საპირისპირო შემთხვევაში.

ამიტომაც არის, რომ ევროპული სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საგანგებოდ ამოწმებს, შეეხებოდა თუ არა „გამოხატვა“ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხს და იმასაც, შეიძლებოდა თუ არა მისი მიჩნევა მასზე „საჯარო დებატებში მონაწილეობად“. ხოლო ამ კითხვაზე დადებითი პასუხი კი, გვევლინება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ღირებულებათა კონფლიქტის დროს მისთვის პრიორიტეტის მისანიჭებლად.

საბოლოო ჯამში, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობის ფაქტორი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მის დასაცავად. მართალია, იგი არ წარმოადგენს არც „აუცილებელ“ და არც „საკმარის“ საფუძველს კონფლიქტის დროს გამოხატვის თავისუფლებისათვის პრიორიტეტის მისანიჭებლად, მაგრამ, პრაქტიკულად, მას ძალზე ხშირად ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. წინამდებარე ნაშრომში განხილული არაერთი საქმე გამოდგება ამის დასტურად.

§4.3. „მოვალეობები და პასუხისმგებლობა“

გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტის მიერ ამ თავისუფლებისაგან განუყოფელი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევა ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია მისი თავისუფლების შეზღუდვის იურიდიული თუ მორალური საფუძვლის განსაზღვრაში. თუ „საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო დებატებში მონაწილეობის“ ფაქტორი იმას განმარტავს, თუ რატომ წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს და რატომ სარგებლობს იგი განსაკუთრებული დაცვით, „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ ფაქტორის კარგად გააზრება იმის გარკვევაში გვეხმარება, მაშ როგორღა შეიძლება მოხდეს, რომ „დემოკრატიული საზოგადოების დასაყრდენი“ ღირებულებათა კონფლიქტში აღმოჩნდეს დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებთან, საფრთხე შეუქმნას მას და შეიზღუდოს მისივე დაცვის მოსაზრებებით.

დავიწყოთ იქიდან, რომ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ კონცეპტი ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციით არ არის შექმნილი. მან მხოლოდ დააზუსტა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში შესაბამისი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ შინაარსი და განსაზღვრა, როგორ უნდა მომხდარიყო მათი დარღვევისა თუ დაცულობის შეფასება. გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელ „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“ თავად კონვენციის მე-10 მუხლმა მიუთითა, რითაც ხაზი გაუსვა უფლება-მოვალეობათა ერთიანობას საზოგადოდ.

დავაკვირდეთ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგი ფრაზის შინაარსს: „ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში...“

ღიად, „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ თანაარსია „თავისუფლებისა“, მისი დამაბალანსებელი და საპირწონე. ამიტომ, „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ ხარისხი ყოველთვის უნდა შეესატყვისებოდეს „თავისუფლების“ ხარისხს, რათა ისეთი წონასწორობა უზრუნველყოს, სადაც „თავისუფლებას“ ყველაზე უფრო საუკეთესო, ჯანსაღი და ოპტიმალური რეჟიმი შეექმნება არსებობისათვის. „მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით“ გაწონასწორებული „თავისუფლება“ მხოლოდ სიკეთისა და პროგრესის წყარო შეიძლება იყოს და არა უგუნურებისა და დესტრუქციისა, რის საფრთხესაც უთუოდ გულისხმობს „თავისუფლების“ აბსოლუტური გაგება; მე ვიტყვოდი – პროვინციული, მონის კომპლექსით შეჭირვებული ფსიქოლოგიით შექმნილი წარმოდგენა „თავისუფლებაზე“. სწორედ ეს არის „თავისუფლების პარადოქსი“ -

„აბსოლუტური თავისუფლება საერთოდ არ არის თავისუფლება!“¹ **კარლ პოპერის** ეს ცნობილი სიტყვები, მრავალისმთქმელია, რომ ევროპული სასამართლოს პრეზიდენტის **ლუციუს ვალდჰაბერის** სეფე-სიტყვაში გაისმა 2002 წელს მე-10 ყოველწლიურ საერთაშორისო სასამართლო კონფერენციაზე, როდესაც იგი გამოხატვის თავისუფლებისა და საზოგადოებრივ ინტერესების კონფლიქტის გადაჭრის საკითხს შეეხო. სწორედ **კარლ პოპერის** ამ სიტყვებით ახსნა მან სხვა „პარადოქსი“, რომელზეც დასაწყისში მივანიშნეთ, – კერძოდ ის, რომ **დემოკრატიული საზოგადოება ზოგჯერ იძულებული ხდება თავის დასაცავად მსხვერპლად შესწიროს სწორედ ის უმთავრესი ღირებულება (გამოხატვის თავისუფლება), რომელსაც თავად ემყარება.** სწორედ ამ თავისუფლებისაგან განუყოფელი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დარღვევა წარმოადგენს ერთდროულად ლოგიკურ, მორალურ და იურიდიულ საფუძველს თავისუფლების, კერძოდ – გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა, ვინაიდან ასეთი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ყველაზე უფრო იმანენტური გამოხატვის თავისუფლებისთვისაა მისი ონტოლოგიური ბუნების გამო. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ „თავისუფლებისაგან განუყოფელ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“ საგანგებო მითითება, სწორედ კონვენციის მე-10 მუხლში, გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაშია გაკეთებული და არა სხვაგან, სხვა თავისუფლებებთან მიმართებაში, რომლებიც კონვენციის მიხედვით ასევე შეიძლება შეიზღუდოს სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის მოსაზრებებით (მაგალითად – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი), სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მე-9 მუხლი), შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მე-11 მუხლი), მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 ოქმის მე-2 მუხლი)).

„მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ ყველაზე უფრო იმანენტური გამოხატვის თავისუფლებისათვის ჯერ ერთი იმიტომ არის, რომ მას, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, გააჩნია სხვა ინტერესებში ენერგიული შეჭრის, სხვა ღირებულებებისათვის ზიანის მიყენების დიდი უნარი. მეორე – იმიტომაც, რომ დემოკრატიული საზოგადოებისათვის მისი უზარმაზარი მნიშვნელობის გამო, ის მაღალი სტანდარტით საჭიროებს დაცულობას. ამ ორი ფაქტორის დამაბალანსებელ და გამაწონასწორებელ ფაქტორად გვევლინება ამ თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტებისათვის შესაბამისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დაკისრება.

შესაბამისად, როდესაც „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ დარღვეულია, უგულვებელყოფილია, თავისუფლებაც შეიძლება შეზღუდულ იქნეს. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ მოვალეობებისა თუ პასუხისმგებლობის დარღვევამ შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

¹ *The Open Society and its Enemies*, K.R.Popper, Routledge and Kegan Paul, London, 1961.

განაპირობოს. მართალია, ფორმალური თვალსაზრისით, იგი არ არის საკმარისი პირობა შეზღუდვისა, მაგრამ იგი ყოველთვის არის ძალიან ძლიერი არგუმენტი შეზღუდვის აუცილებლობის აღიარებისათვის. როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა ერთგვარი შეშფოთება, რომ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ კონცეპტის გამოყენებამ პრაქტიკაში არ შეაფერხოს გამოხატვის თავისუფლების ეფექტიანი დაცვა. მაგალითად, ე. ლესტერი მიიჩნევს, რომ შეფასების თავისუფლების დოქტრინის ექსცესიურმა გამოყენებამ და „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ ექსპანსიურმა ინტერპრეტაციამ სერიოზულად შეასუსტა კონვენციის საფუძველზე გამოხატვის თავისუფლების დაცვა.²

აქვე უნდა ითქვას, რომ „მოვალეობები და პასუხისმგებლობა“ თანაარსია უწინარესად „იდეებისა თუ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებისა“. სხვა ინტერესებში ენერგიული შეჭრის უნარი სწორედ მას გააჩნია. მე-10 მუხლით დაცულ „საკუთარი აზრის უფლებას“, რამდენადაც იგი „გამოხატვას“ არ გულისხმობს, პასიური საწყისის გამო „მოვალეობები და პასუხისმგებლობა“ არ შეეხება. თითქმის არ შეეხება იგი „ინფორმაციისა და იდეების მიღების“ უფლებას. თუმცა, კონკრეტული საქმის კონტექსტში „შესაბამისი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ შეიძლება წარმოიშვას.

არსებობს „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ **საერთო (ფართო) და სპეციალური (ვიწრო) გაგება.**

საერთო გაგება ისაა, რომ მოვალეობები და პასუხისმგებლობა ეკისრება ნებისმიერ პირს, ვინც გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს (ცხადია, უწინარესად ვგულისხმობთ უმუალოდ „გამოხატვის“, ანუ იდეებისა და ინფორმაციების გავრცელების თავისუფლებას).

სპეციალური გაგება გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც განსაზღვრული, სპეციალური „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ წარმოდგება სუბიექტის მდგომარეობიდან, მისი სტატუსიდან. იგი უწინარესად შეეხებათ სამხედრო პირებსა და სახელმწიფო მოხელეებს. მათთვის დაკისრებული „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ შინაარსი სხვებისაგან განსხვავებულია. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სუბიექტის მდგომარეობა თუ სტატუსი სხვა შემთხვევებშიც ახდენს გავლენას „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ შინაარსის განსაზღვრაზე.

როგორც აღვნიშნეთ, **საერთო გაგებით**, „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ ეკისრება ყველას, ვინც გამოხატვის თავისუფლებას ახორციელებს. როგორც **ოზოილი, ჰარისი და უორბრიკი** მიუთითებენ, „მოვალეობებისა და

² იხ. **Anthony Lester**, *Freedom of Expression*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds). 1993. ვვ.490-1.

პასუხისმგებლობის“ დარღვევა ხელს უწყობს უპასუხისმგებლო გამონათქვამების შეზღუდვის გამართლებულად მიჩნევას.³ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ არსი ის არის, რომ გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტი უნდა ცდილობდეს შეძლებისდაგვარად თავი აარილოს სხვა ინტერესებთან დაპირისპირებას, მათ შორის სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დარღვევას; იგი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავისი შეხედულებებისა და ინფორმაციების გავრცელებას და ითვალისწინებდეს, თუ რა შეიძლება მათ მოჰყვეს. დიან, „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ ღირებულებათა კონფლიქტში იძენს თავის მნიშვნელობას. ღირებულებათა კონფლიქტიდან გამოსავალი ხომ ერთადერთია – საკითხი რომელიმე კონკურენტი ღირებულების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; მაშასადამე, რომელიმე მათგანი აუცილებლად უნდა „დაიჩაგროს“ მეტად ან ნაკლებად – ან ინდივიდური უფლება უნდა შეიზღუდოს, ანდა მასთან დაპირისპირებული საჯარო ან სხვა ინტერესი დარჩეს დაუცველი. როდესაც ინდივიდური უფლება, მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება იზღუდება თუნდაც მაშინ, როდესაც ეს „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ამა თუ იმ კანონიერი მიზნის მისაღწევად, პრინციპული კითხვები ჩნდება: გასაგებია, რომ თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ამა თუ იმ კანონიერი მიზნის მისაღწევად, გამოხატვის თავისუფლება „უნდა შეიზღუდოს“ და რომ ასეთი შეზღუდვა „გამართლებულია.“ მაგრამ, თუ შეზღუდვის გამართლებულობის ცნება „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევას არ მოიცავს, მაშინ გამოვა, რომ უფლების შეზღუდვის გამართლებულობის საფუძველი მხოლოდ ამა თუ იმ ინტერესის დაცვის აუცილებლობიდან წარმოდგება და არა იქიდანაც, რომ ეს უფლება შესაბამის შემთხვევაში ნაკლებ დაცვას იმსახურებდა. შეზღუდვის მიზეზი და საფუძველი საკუთრივ უფლების შესაბამის განხორციელებაშიც ძვეს და მხოლოდ იმით არ არის განპირობებული, თუ რას დაუპირისპირდა იგი და რამდენად სერიოზულად. პრინციპულად დავსვით კითხვა, თავისთავად რამდენად სწორია ინდივიდური უფლების შეზღუდვა იმის გამო, რომ ის ღირებულებათა კონფლიქტში აღმოჩნდა სხვა ღირებულებასთან. ღირებულებებს შორის კონფლიქტური ვითარება, თავისთავად, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს ამის საკმარისი გამართლება. უფლება განა მხოლოდ იმიტომ უნდა შეიზღუდოს, რომ ეს აუცილებელია სხვა ღირებულების დასაცავად და სხვა გზა არ არის? განა უფლების შეზღუდვის ზნეობრივი და სამართლებრივი საფუძველი მხოლოდ ეს არის და მეტი არაფერი? რა თქმა უნდა, არა! მხოლოდ ამ მიზეზთა გამო უფლებათა შეზღუდვა არ შეიძლება ზნეობრივად და თუნდაც მხოლოდ სამართლებრივად გამართლებული იყოს. აუცილებელია იმის გააზრება და აქცენტუაცია, რომ უფლებათა შეზღუდვის საფუძველი, უწინარესად, საკუთრივ ამ

³ D.G.Harris, M.O'Boyle, C.Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 1995, გვ.388.

უფლებათა შესაბამის განხორციელებაში ძვეს და რომ უფლება იმიტომაც შეიზღუდა, რომ შესაბამის შემთხვევაში ის ნაკლებ დაცვას იმსახურებდა. ლოგიკურად მივაღწეით უფლებებისა და მოვალეობების, უფლებებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის ერთიანობის საკითხს. ყოველგვარი უფლება და მათ შორის, გამონათქვის თავისუფლებაც, შესაბამის პასუხისმგებლობას გულისხმობს. ზემოთწამოჭრილ კითხვაზე პასუხიც აქ უნდა ვეძიოთ: **როდესაც უფლებით მოსარგებლე სუბიექტი არ ითვალისწინებს შესაბამის პასუხისმგებლობას, მისი უფლების ასეთი განხორციელება ნაკლებ დაცვას იმსახურებს როგორც ზნეობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, მეტი ლეგიტიმური საფუძველი ჩნდება მის შესაზღუდად.**

კიდევ უფრო ნათელი ხდება ეს დასკვნა, როდესაც ფრაზას – „არ ითვალისწინებს შესაბამის პასუხისმგებლობას“ კონკრეტულ შინაარსობრივ დატვირთვას მივანიჭებთ. მართლაცდა, რა არის ეს „შესაბამისი პასუხისმგებლობა“, რომელსაც გულისხმობს უფლებათა განხორციელება? ევროპულმა სასამართლომ იმავე *ოტო პრემინგერის* საქმეზე შემუშავებულ განჩინებაში შესანიშნავად ახსნა, რომ „ასეთი პასუხისმგებლობა“ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებასთან მიმართებაში, გულისხმობდა **უფლებით მოსარგებლე სუბიექტის ვალდებულებას, თავისი უფლების გამოყენების პარალელურად ეზრუნა იმისათვის, რომ სხვადასხვა საშუალებით მინიმუმამდე დაეყვანა სხვა ღირებულებებთან კონფლიქტის შესაძლებლობა, გაეტარებინა ისეთი ღონისძიებები, რომელიც თავიდან ააცილებდა სხვა ინტერესებთან დაპირისპირებას და ამასთანავე არ შეზღუდავდა მისი თვითგამონათქვის თავისუფლებას.**

სრულიად ნათელია შემდეგი: თავისთავად ის გარემოება, რომ სუბიექტი არ გაურბის ღირებულებათა კონფლიქტის შექმნასა და სხვა ღირებულებებისათვის მეტი თუ ნაკლები ზიანის მიყენებას, იმის მიმანიშნებელია, რომ ფაქტობრივად იგი ამ ღირებულების მთლიან ან ნაწილობრივ იგნორირებას ახდენს და ადვილად სწირავს მას თავის უფლებას, მაშინაც კი, როდესაც მას შეეძლო ამ ღირებულებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, ანდა შესაძლებლად ნაკლები (აუცდენელი) ზიანის მიყენებით განეხორციელებინა თავისი უფლება. ამიტომ, საკუთარი უფლებებით ამგვარი სარგებლობა ნაკლებად დაიმსახურებს დაცულობას. მაგალითად, მიულერს (მხედველობაშია მხატვარი, მომჩივანი საქმეში *Müller v. Switzerland*) გამოფენის შესასვლელში რომ გაეკეთებინა განცხადება, რომელიც აუწყებდა დამთვალეობებს, თუ რა შეიძლებოდა იქ ეხილათ, აიცდენდა მის გამოფენაზე ბავშვებისა და იმათ მოხვედრას, ვისაც არ სურდა არაბუნებრივი სექსუალური პრაქტიკის გამომხატველი სურათები ენახა და იქ მხოლოდ დაინტერესებული დამთვალეობელი მივიდოდა (შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ თავის ქალიშვილთან ერთად გამოფენაზე მისულმა მამამ შეატყობინა პოლიციას ამ

სურათების შესახებ). ასეთ პირობებში, სახელმწიფოსაც ნაკლები ლეგიტიმურობა ექნებოდა მის წინააღმდეგ სანქციების გამოსაყენებლად.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე იმ სუბიექტების მხრიდან, ვისი უფლების შეზღუდვაც „გამართლებულად“ შეფასდა, უმრავლეს შემთხვევაში არ იყო გაცნობიერებული თუ გათვალისწინებული უფლებით ნაგულისხმები შესაბამისი პასუხისმგებლობა; ვინაიდან, შესაძლებელი იყო გამონახულიყო „გამოხატვის“ სხვა ისეთი გზები თუ ფორმები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემდა, „აეცდინათ ან მინიმუმამდე დაეყვანათ სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების შესაძლებლობა“, რამაც წარმოშვა ზნეობრივი და სამართლებრივი მოტივაცია ასეთი თვითგამოხატვის შეზღუდვის „გამართლებულად“ შეფასებისა.

რა თქმა უნდა, აბსურდი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ კონფლიქტის აცდენა ყოველთვის შესაძლებელია; არც „შესაბამისი პასუხისმგებლობის“ შესახებ ევროპული სასამართლოს განმარტებანი უნდა დავინახოთ აბსოლუტურ განზომილებაში. ეს მთლიანად დაუკარგავდა გამოხატვის თავისუფლებას მომხიბლავ და აღმაფრთოვნებელ უნარს, გაეხმაურებინა და საყოველთაო მსჯელობის საგანი გაეხადა თვით ყველაზე მიუღებელი, შოკის მომგვრელი, გამოგნებელი და საზოგადოების მრუმე ცნობიერებაში მჭახე დისონანსის შემტანი აზრები და იდეები; სწორი მიმართულება თუ არა, დინამიკური მუხტი მაინც შეეძინა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დისკუსიისათვის, რომლის გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება და, რის უზრუნველყოფაც აზრთა თავისუფალი გაცხადებით არის მხოლოდ შესაძლებელი. მაგრამ, ამის მიუხედავად, ამავე დემოკრატიულ საზოგადოების ინტერესებითვეა განპირობებული აუცილებლობა იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლება „გონივრულ ფარგლებში“ იქნას მოქცეული. ამ ფარგლების „გონივრულობა“ კი მხოლოდ ღირებულებათა კონკრეტული კონფლიქტისა და შესაძლებლად „სამართლიანი ბალანსის“ კონტექსტში ყალიბდება.

ამრიგად, მართალია ღირებულებათა კონფლიქტების წარმოშობა ყოველთვის არ წარმოადგება „მოვალეობისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევიდან (უფრო მეტიც – სხვა ინტერესებისათვის ზიანის მიყენების ფაქტიც კი არ არის საკმარისი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის აღიარებისათვის), მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ზოგჯერ ეს გარემოებები პირდაპირ მიუთითებენ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევაზე და ქმნიან შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძველს. სწორედ ამიტომ, „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის საკითხი მხოლოდ კონკრეტული გარემოებების მიხედვით უნდა გადაწყდეს. შესაბამისად, საკვებით გამართლებულია ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომლის მიხედვით „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ მოცულობა

და ხარისხი შესაბამისი სუბიექტებისა და საქმის საერთო კონტექსტის საფუძველზე განისაზღვრება.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განმარტა Müller-ის საქმეში, ყველას, ვინც ახორციელებს გამოხატვის თავისუფლებას, თავის თავზე იღებს „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“, რომელთა ფარგლები დამოკიდებულია მის მდგომარეობასა და გამოყენებულ საშუალებებზე.⁴

ძალზე ხშირად, „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ ხარისხს განსაზღვრავს საკუთრივ „თავისუფლების“ ხარისხი, ანდა სხვა ინტერესებში უხეში შეჭრის შესაძლებლობა. ასეთ დროს, რაც მეტია თავისუფლების ხარისხი, ანდა ზიანის მიყენების რისკი, მით მეტია „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“. შესაბამისად, რაც მეტია „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის ხარისხი, მით მეტია თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულად მიჩნევის შანსიც.

ამის ნათელი გამოვლინებაა მედიის თავისუფლების სფერო.

მედიის უმნიშვნელოვანესი როლი, მისი თავისუფლების მაღალი ხარისხი და მისი ძლიერი ზეგავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, განაპირობებს ჟურნალისტებისა თუ გამომცემლების „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ მაღალ ხარისხს. როგორც ლუციუს ვილდჰაბერმა ანიშნა, თანამედროვე მედიის უზარმაზარი ძალაუფლება და სისწრაფე, საჯარო განცხადებების პოტენციურად გამაკოტრებელი ეფექტი აძლიერებს იმათ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, ვინც გაავრცელა ისინი.⁵ ევროპული სასამართლო პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეთა განჩინებებში მუდამ იმეორებს, რომ პრესამ არ უნდა გადაღახოს განსაზღვრული მიჯნები, რაც დადგენილია სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად,⁶ ეროვნული უშიშროებისა თუ მართლმსაჯულების ავტორიტეტის უზრუნველსაყოფად⁷, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის დასაცავად,⁸ საზოგადოებრივი წესრიგის ან დანაშაულის თავიდან აცილების ინტერესებისათვის⁹ და სხვ.

როგორც ვხედავთ, პრესის მოვალეობანი და პასუხისმგებლობა პირდაპირ წარმოდგება სხვა ინტერესებთან დაპირისპირების იმ დიდი რისკიდან, რასაც პრესის მაღალი ხარისხის პასუხისმგებლობა ობიექტურად გულისხმობს.

კიდევ უფრო მაღალია ტელევიზიის ჟურნალისტთა მოვალეობანი და პასუხისმგებლობა. საქმეში *Jersild v. Denmark*, ევროპულმა სასამართლომ

⁴ *Müller v. Switzerland*, judgment of 24 May 1988; series A 133.

⁵ **Luzius Wildhaber**, *The right to offend, shock or disturb? – aspects of freedom of expression under the European Convention on Human Rights*, 2001.

⁶ *Oberschlick v. Austria*, judgment of 23 May 1991, §58.

⁷ *Observer and Guardian Newspaper Ltd v. The United Kingdom*, judgment of 26 November 1991 §59, *Sunday Times (N1) v. The United Kingdom*, judgment of 26 April, 1976, §59.

⁸ *Dalban v. Romania*, judgment of 28 September 1999, reports 1999-VI, §49.

⁹ *Erdogdu and Ince v. Turkey*, judgment of 9 July 1999. reports 1999-IV, §52.

განასხვავა ისინი პრესის მუშაკებისაგან და მიუთითა მათ სპეციალურ პასუხისმგებლობაზე იმის მხედველობაში მიღებით, რომ ტელევიზიას გააჩნდა გაცილებით უფრო უშუალო და ძლიერი ეფექტის უნარი.¹⁰

მხედველობაში მიიღება ისიც, შესაბამისი იდეები თუ ინფორმაცია სპეციალურად დაინტერესებული აუდიტორიისათვის იყო გათვლილი თუ ფართო საზოგადოებისათვის; იყო თუ არა ისინი ხელმისაწვდომი ბავშვებისათვის. მაგალითად, Müller-ის საქმეში, როგორც აღვნიშნეთ, გადამწყვეტი ფაქტორი სწორედ ის აღმოჩნდა, რომ გამოფენა არ იყო შემოფარგლული მხოლოდ დაინტერესებული მაყურებლით. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მხატვართან ერთად, გამოფენის ორგანიზატორებმაც დაარღვიეს შესაბამისი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა.

მოვალეობებისა თუ პასუხისმგებლობის შინაარსს, როგორც ეს Müller-ის საქმიდანაც ჩანს, კონკრეტული კონტექსტი განსაზღვრავს, მაგრამ არსებობს საერთო მიდგომებიც ცალკეულ სფეროებთან მიმართებაში.

მაგალითად, ჟურნალისტთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შინაარსი მათი ფუნქციებიდან და დანიშნულებიდან წარმოდგება. ევროპულმა სასამართლომ თავის განჩინებაში არაერთხელ განმარტა, თუ რას გულისხმობდა პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში „ამ თავისუფლებისაგან განუყოფელი შესაბამისი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“: „პრესამ არ უნდა გადალახოს განსაზღვრული მიჯნები, განსაკუთრებით სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით. მის მოვალეობას წარმოადგენს პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გადაცემა, მაგრამ ისეთი ფორმით, რომელიც შეესაბამება მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“;¹¹ „ჟურნალისტი ვალდებულია იმოქმედოს კეთილი განზრახვით, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად იმისათვის, რათა საზოგადოება უზრუნველყოს სწორი და საიმედო ინფორმაციით“.¹² ამ პრინციპებიდან წარმოსდგება ინფორმაციის საგულდაგულო გადამოწმების ვალდებულებაც.

ცალკე საკითხია, როგორ უნდა მოხდეს ამ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ უგულვებელყოფის შეფასება.

ამის პასუხი, გარკვეულწილად, სასამართლოს ზემოაღნიშნულ დებულებებშიც ძევს. ცხადია, რომ, როდესაც ჟურნალისტი არ მოქმედებს კეთილი განზრახვით, არღვევს ჟურნალისტური ეთიკის წესებს, ავრცელებს მცდარ ანდა შეუძომებელ

¹⁰ *Jersild v. Denmark*, judgment of 23 September 1994, A.298, §31.

¹¹ *De Haes and Gijssels v. Belgium*, judgment of 24 february 1997; Reports 1997-I. გვ.233-34, §37; *Thoma v. Luxemburg*, no.38432/97, §45; ECHR 2001-III and *Colombani and Others v. France*, no.51279/99; §55; ECHR 2002-V.

¹² *Radio France and Others v. France*, no.53984/00, §37; ECHR-2004-II. *Colombani and Others*, §65; *McVicar v. the United Kingdom*, no.46311/99; §83-86; ECHR -2002-III. *Cumpănă and Mazăre v. Romania*, judgment of 17 December 2004.

ინფორმაციას, ამით უგულვებელყოფს გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელ „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“.

ისიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რა მიზანს ისახავდა შესაბამისი იდეებისა თუ ინფორმაციის გავრცელება. **ლუციუს ვილდჰაბერმა** სამართლიანად მიუთითა, რომ მედიის ბუნება თანამედროვე ეპოქაში რამდენადმე შეიცვალა. მისი აზრით, თანამედროვე მედიის მკაცრად კონკურენტულმა სამყარომ იდეათა გადაცემის მიზნიდან აშკარად გადაინაცვლა გაზეთის გაყიდვის საჭიროებისა და რეკლამის კომერციულ სფეროში. ვილდჰაბერი მიიჩნევს, რომ ასეთი ტრუიზმი უთუოდ იქონიებს გავლენას იმაზე, თუ რა გზას გამოიყენებს ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლებისა და სხვა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის მისაღწევად.¹³

შედარებით რთულია იმის შეფასება, „გადალახა თუ არა ჟურნალისტმა განსაზღვრული მიჯნები, განსაკუთრებით სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით“. ეს უკავშირდება ე.წ. „დასაშვები კრიტიკის“ კონცეფციას, რომლის ფარგლები განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რა სფეროს მიეკუთვნება გამოხატული აზრი, რას შეეხება იგი, ვის მიმართაა გამოთქმული, რასთან გვაქვს საქმე – მხოლოდ ინფორმაციის გადაცემასთან, თუ იდეებთან და შეხედულებებთან; „ფაქტების გადმოცემასთან“ თუ „შეფასებით მსჯელობასთან“; როგორია საერთო ფონი და კონტექსტი და ა.შ.

მაგალითად, საქმეში *Cumpăna and Mazăre v. Romania*, რომელიც შეეხებოდა ჟურნალისტის მიერ სახელმწიფო მოხელეების (ქალაქის მერის მოადგილისა და ქალაქის საბჭოს იურიდიული ექსპერტის) კორუფციაში დადანაშაულებას, ევროპულმა სასამართლომ მათი მხრიდან ასეთი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ უგულვებელყოფის შეფასება რამდენიმე გარემოებას დააფუძნა. კერძოდ იმას, რომ:

ა) მათი ბრალდებები წარმოადგენდა სინამდვილის არასწორ ასახვასა და არ ემყარებოდა ფაქტებს;

ბ) მათ ვერ შესძლეს მომჩივანთა მიმართ თავიანთი სერიოზული კრიმინალური ბრალდების (კორუფციაში დადანაშაულება) დასაბუთება და ვერ წარმოადგინეს სასამართლოში თავიანთი მტკიცებების თუნდაც მცირედი ფაქტობრივი საფუძველი;

გ) მათი პუბლიკაცია შეიცავდა შეურაცხმყოფელ და არაორაზროვან მინიშნებებს მოსარჩელეთა პირად ცხოვრებაზე.

¹³ Address by **Luzius Wildhaber**, *The right of offend, shock or disturb? – aspects of Freedom of Expression under the European Convention on Human Rights*. Sixth Annual RTE/UCD Lecture in the series Broadcasting, Society and the Law, Dublin, 11 October 2001. ასეთივე შეხედულებას გამოთქვამს ევროპული სასამართლოს მოსამართლე **ლუკის ლუკაიდისი** თავის სტატიაში „გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება“. იხ. **Loukis G. Loucaides**, *Freedom of Expression and the Right to Reputation*, MELANGES offerts à **Silvio Marcus Helmons**, Bruxelles, 2003.

ევროპულმა სასამართლომ არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა მათ ქცევასაც მათი სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში. კერძოდ იმას, რომ არ ესწრებოდნენ სასამართლო მოსმენებს და გამოიჩინეს სრული უინტერესობა საქმის განხილვის მიმართ. ამ გარემოებებმა, ერთობლიობაში, ევროპულ სასამართლოს შეუქმნა რწმენა მათი მხრიდან კონვენციის მე-10 მუხლით ნაგულისხმები „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ უგულვებელყოფის თაობაზე.

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაციის ძირითადი თემა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა (რა გარემოებასაც ხშირად ენიჭება გადამწონი მნიშვნელობა გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტისათვის), ევროპულმა სასამართლომ მაინც გამართლებულად მიიჩნია ჟურნალისტთა უფლებებში სახელმწიფოს ჩარევა და მათი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება, თუმცა, საკუთრივ მათთვის შეფარებული სასჯელები არათანაზომიერად ცნო დასახულ მიზანთან მიმართებაში.¹⁴

„მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ უგულვებელყოფის აღიარება, როგორც წესი, დიდ გავლენას ახდენს შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასებაზე, მაგრამ იგი საკმარისი არ არის ასეთი საჭიროების არსებობის დადასტურებისათვის.

ძალზე საგულისხმოა „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ მიმართება ჟურნალისტების მხრიდან „გადაჭარბებისა და პროვოკაციის“ უფლებასთან. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ჟურნალისტური პუბლიკაციები ხშირად ხასიათდებოდნენ გარკვეული გადაჭარბებით და ყოველთვის არ ემყარებოდნენ საკმარის ფაქტობრივ საფუძველს. ამის მიუხედავად, ასეთი პუბლიკაციები, მათ შორის, თვით ყველაზე უფრო პროვოკაციული ხასიათისა კი, დაცული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს ჩარევისაგან, თუკი, რა თქმა უნდა, არ არღვევდნენ დემოკრატიას თვითონ.¹⁵ დათქმას თუ არ გავითვალისწინებთ, რთული იქნებოდა გველიარებინა უფლებათა სამართლიანი დაბალანსების თვალსაზრისით ამ დებულების მისაღებად განურჩევლად ყველა შესაძლებელი შემთხვევისათვის. თუმცა ამავე დათქმით („თუკი არ არღვევდნენ დემოკრატიას თვითონ“) სასამართლომ აქცენტი სწორედ ჟურნალისტთა „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“ გააკეთა და დაადასტურა, რომ გამოხატვის თავისუფლება თვით პრესის თავისუფლებასთან მიმართებაშიც კი, არასოდეს არ არის აბსოლუტური, განუსაზღვრელი და შესაბამისი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან“ გათავისუფლებული.¹⁶

¹⁴ *Cumpănă and Mazăre v. Romania*, judgment of 17 December 2004.

¹⁵ *Unabhängige initiative Informationsveifalt v. Austria*, judgment of 26 February 2002.

¹⁶ პრესისათვის დაკისრებული „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ შინაარსზე უფრო ვრცლად ნაშრომის იმ თავში ვისაუბრებთ, რომელიც პრესის თავისუფლებას ეძღვნება.

საბოლოო ჯამში, მაინც უდავოა ის გარემოება, რომ მეტიხმეტად აგრესიულ ან არაადეკვატურად შემოწმებულ ინფორმაციაზე აგებული ჟურნალისტიკა უარყოფითად არის შეფასებული და იგი მედიის თავისუფლებისათვის თანაარსი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის ყველაზე უფრო აშკარა გამოვლინებად განიხილება.

ასევე ძლიერია მოვალეობანი და პასუხისმგებლობა მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების პატივისცემასთან მიმართებაში. მართალია, კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვისთვის „შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი“ ინფორმაციისა თუ იდეების გავრცელებას, რადგანაც ასეთია ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, მაგრამ როგორც **ლოუსონი** და **სხერმერსი** მიუთითებენ, „ტოლერანტობის მოთხოვნა ორმხრივია. საზოგადოების დემოკრატიულობას საფუძველი გამოეცლება, თუ დაშვებული იქნება შეურაცხყოფელი თავდასხმები რელიგიურ ჯგუფებზე“.¹⁷ სწორედ ამიტომ, ევროპულმა სასამართლომ, *Otto-Preminger*-ის საქმეში გამართლებულად ცნო ფილმის აკრძალვა, რომელშიც ქრისტიანული რელიგიის თავყანისცემის საგნები (იესო ქრისტე, მარიამ ღვთისმშობელი) გამოხატული იყვნენ პროვოკაციული ფორმით. სასამართლომ ერთი მხრივ მიუთითა, რომ მორწმუნენი ტოლერანტები უნდა ყოფილიყვნენ მათი რელიგიის მიმართ გამოთქმული კრიტიკისადმი, თუნდაც – მათთვის მტრული რელიგიის პროპაგანდისადმი. მაგრამ იმ მანერას, რომლითაც შემოთავაზებული ანდა უარყოფილი იყო ეს თუ ის რელიგია, შეიძლება სახელმწიფო აღეჭურვა ვალდებულებით, დაეცვა მე-9 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებით მშვიდობიანი სარგებლობა. სასამართლოს შეხედულებით, ზოგიერთ იშვიათ შემთხვევებში, ამა თუ იმ რელიგიის უარყოფისა თუ შემოთავაზების მეთოდები ისეთია, რომ ისინი რეალურად აბრკოლებს მორწმუნეთა უფლებას, გააჩნდეთ და გამოხატონ თავიანთი რელიგიური შეხედულებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მოვალეობები და პასუხისმგებლობა რელიგიური შეხედულებებისა და რწმენის კონტექსტში მოიცავდა გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტის ვალდებულებას, შეძლებისდაგვარად თავი აერიდებინა ისეთი გამოხატვისაგან, რომელიც უხეშად შეურაცხოფდა სხვებს და არღვევდა მათ უფლებებს.¹⁸

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, „**მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის**“ **ვიწრო გაგება** უკავშირდება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის პირებს, უფრო სწორად, მათ განსაზღვრულ მდგომარეობას. ესენი არიან **სახელმწიფო მოხელეები**

¹⁷ R.A.Lawson and H.G.Schermers, *Leading Cases of the European Court of Human Rights*, second edition, 1999, გვ.573.

¹⁸ *Otto-Preminger-Institute v. Austria*, judgment of 20 September 1994.

და სამხედრო პირები. მათთვის დაკისრებული მოვალეობანი და პასუხისმგებლობა სპეციფიკურია.

მაგალითად, სახელმწიფო მოხელეებთან მიმართებაში ისინი მათთვის წაყენებული ე.წ. „თავშეკავებულობის მოთხოვნიდან“ გამომდინარეობს. მათ ეკისრებათ ვალდებულება, თავშეკავება გამოიჩინონ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას, რათა მათმა ნათქვამმა თუ საქციელმა ნებით თუ უნებლიედ ჩრდილი არ მიაყენოს სახელმწიფო სამსახურის ავტორიტეტსა და მისდამი ხალხის ნდობას. ამავე მიზეზით მათ შეზღუდული აქვთ პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანებისა და პოლიტიკური საქმიანობის უფლებაც. მაგალითად, საქმე *R.Volkmer v. Germany*¹⁹ შეეხებოდა მასწავლებლის დათხოვნას განათლების სისტემიდან მოსწავლეებზე პოლიტიკური ზეწოლის განხორციელებისათვის. გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში იქნა მიღებული მომჩივნის მოვალეობები გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიაში. ეროვნულმა სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ მომჩივანი პოლიტიკურ ზეწოლას ახდენდა მოწაფეებზე და იყენებდა მათ თავისი პოლიტიკური ოპონენტებისათვის თვალყურის სადევნებლად. საერთაშორისო სასამართლომ გაიზიარა ეროვნული სასამართლოს აზრი და მიიჩნია, რომ მომჩივნის დამოკიდებულება თავისი მოწაფეების მიმართ შეუთავსებელი იყო მისი, როგორც მასწავლებლის მოვალეობებთან და ამიტომ მისი სამსახურიდან გათავისუფლება არ მიიჩნია არათანაზომიერ ღონისძიებად დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში. მან საჩივარი მიუღებლად ცნო.

კიდევ უფრო სპეციფიკურია სამხედრო პირებზე დაკისრებული „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ შინაარსი. მათი მხრიდან გამოხატვის თავისუფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამხედრო დისციპლინას. საქმეში *Engel and Others v. the Netherlands*, სასამართლომ დაადგინა, რომ დანიელი ჯარისკაცების მიმართ გამოყენებული დისციპლინური სანქცია სამხედრო დისციპლინის დარღვევით გამოქვეყნებული სტატიის გამო, ისახავდა არა მათთვის გამოხატვის თავისუფლების აღკვეთის მიზანს, არამედ მათ დასჯას ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენების გამო და, ამიტომ მისი შეზღუდვა გამართლებულად ცნო.²⁰

ზემოაღნიშნული საქმეები კიდევ ერთი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. იგი უკავშირდება „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის ხარისხს. „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევა მისი ხარისხისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების მიხედვით სამ ძირითად კატეგორიად შეიძლება დაიყოს. ესენია:

¹⁹ *R.Volkmer v. Germany*, decision of 22 November 2001.

²⁰ *Engel and Others v. Netherland*, judgment of 8 June 1976. series A. N22. იხ. აგრეთვე *Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria*, judgment 19 December 1994.

ა) „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გამონატვის თავისუფლების შეზღუდვას კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე;

ბ) „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევა, რომელიც მიჩნეულია გამონატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებად და აუცილებლად (ძალიან დიდი ალბათობით) გამოიწვევს შეზღუდვას კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე;

გ) „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევა, რომელიც მიჩნეულია „გამონატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებად“ კონვენციის მე-17 მუხლის გაგებით და გამოიწვევს საჩივრის მიუღებლად გამოცხადებას კონვენციის მე-10 მუხლთან საგნობრივი შეუთავსებლობის გამო (*ratione materiae*). (გამონატვის თავისუფლებასთან მიმართებაში კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენებადობის საკითხს ნაშრომში საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი).

თ ა ვ ი 5

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დასული უფლებები

იმისათვის, რათა საჯარო ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემატიკაში გავერკვეთ, აუცილებელია სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რას გულისხმობს გამოხატვის თავისუფლების დაცვა კონვენციის მე-10 მუხლის გაგებით; რა არის ამ მუხლით დაცვის საგანი და რა არა; რა არის ის, რისი შეზღუდვაც საჯარო ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად დასაშვებად არის მიჩნეული.

წინასწარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას საკუთრივ კონვენციის მე-10 მუხლის შინაარსი და საკანონმდებლო კონსტრუქცია იძლევა;

პირველი პუნქტის მიხედვით „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლებისაგან ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“;

მეორე პუნქტი ამ უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის შესაძლებლობას ითვალისწინებს და მიუთითებს პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში მათში ჩარევა გამართლებულად შეიძლება შეფასდეს (ჩარევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით, ემსახურობდეს ამავე პუნქტში ჩამოთვლილ რომელიმე კანონიერ მიზანს და იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“).

როგორც ვხედავთ, პირველი პუნქტის ფორმულირება ზოგადი, ფართო და ყოვლისმომცველია. იგი შინაარსის, გამოხატვის ფორმების ან საშუალებების, ანდა რაიმე სხვა ნიშნის მიხედვით „იდეებისა“ ან „ინფორმაციის“ შეზღუდვის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. შეიძლებოდა გაგვეკეთებინა სავარაუდო დასკვნა, რომ მე-10 მუხლის პირველი პუნქტი გამოხატვის თავისუფლებას იცავს მთლიანად და ყოველგვარი გამონაკლისი მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა იყოს გამართლებული.

შევამოწმოთ, რამდენად შეესაბამება ეს დასკვნა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციას, რომელიც აზუსტებს, აკონკრეტებს, შინაარსსა და მნიშვნელობას ანიჭებს კონვენციის დებულებებსა და მათში გამოყენებულ ცნებებსა თუ ტერმინებს.

ამისათვის განვიხილოთ ორი საკითხი:

1) რა არის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დაცვის საგანი, მისი *ratione materiae*;

ანუ – რა იგულისხმება ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით იმ უფლებებში, რომლებიც მე-10 მუხლის პირველ პუნქტშია

ჩამოთვლილი; რა არის ის, რაც დაცულია ამ პუნქტით და რომლის შეზღუდვაც მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა იყოს გამართლებული.

2) როგორი „გამოხატვა“ არ არის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის დაცვის საგანი, მისი *ratione materiae*;

ანუ – არსებობს თუ არა „გამოხატვის“ ისეთი შემთხვევები, რომლებიც იმთავითვე არ იმყოფება პირველი პუნქტით დაცვის სფეროში, ანდა იმყოფება კიდევაც, მაგრამ მისი შეზღუდვის გამართლებულობა ფასდება არა მე-2 პუნქტის საფუძველზე, არამედ სხვაგვარად.

§5.1. კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით დაცვის საგანი

კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი იცავს გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც ადამიანის ძირითადი უფლებაა და მიეკუთვნება **სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა კატეგორიას**. ამ უფლების მფლობელია ყველა ადამიანი (ფიზიკური პირი), იმის მიუხედავად, არის თუ არა ის „მოქალაქე“. ფიზიკური პირების გარდა ეს უფლება გააჩნიათ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.¹ მათგან განსხვავებით, სახელმწიფო ორგანოები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები თავიანთი უფლებების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების ძირითად უფლებას ვერ გამოიყენებენ.

გამოხატვის თავისუფლება მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სამ ძირითად უფლებას მოიცავს:

- 1) ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, აზრი;
- 2) ინფორმაციისა და იდეების გავრცელების თავისუფლებას;
- 3) ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლებას.

გავარკვიოთ თანმიმდევრობით, თუ რა იგულისხმება მათში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით.

პირველ რიგში, ორიოდ სიტყვით პირველ პუნქტში ჩამოთვლილი უფლებების საერთო სახელწოდების – „freedom of expression“ ქართული თარგმანის თაობაზე: კონვენციის ოფიციალურ თარგმანში გამოყენებულია „გამოხატვის თავისუფლება“. ჩვენი აზრით, აჯობებდა, გამოყენებულიყო „აზრის გამოხატვის თავისუფლება“.

¹ *Autronic AG v. Switzerland*, judgment of 22 May 1990. A.178. გვ.23

„*freedom of Expression*“ ზემოთ ჩამოთვლილი სამი უფლების საერთო სახელწოდებაა. იგი კონვენციის მე-10 მუხლის სახელწოდებაცაა იმავდროულად. მის შესატყვის ქართულ ტერმინად მართლაც შეიძლება გამოგვეყენებინა „გამოხატვის თავისუფლება“ ანდა „თვითგამოხატვის თავისუფლება“. *Prima facie*, ეს ტერმინები იქნებ უფრო ზუსტიც კი ყოფილიყო, ვიდრე „აზრის გამოხატვის თავისუფლება“, ვინაიდან მე-10 მუხლი მართლ „იდეებსა და შეხედულებებს“ კი არა, არამედ „ინფორმაციასაც“ შეეხება. მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში თავისუფალი თარგმანი უფრო გონივრულად გვესახება. ტერმინი – „აზრის გამოხატვის თავისუფლება“ ლოგიკურ საფუძველს ეფუძნება და ქართული ენის სტილისტური მოთხოვნების გათვალისწინების შესაძლებლობასაც იძლევა. გარკვეული პირობითობა კი მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლებების საერთო სახელწოდების აღმნიშვნელად დასაშვებად მიგვაჩნია. ჯერ ერთი, ერთგვარი პირობითობა საკუთრივ ინგლისურ ტერმინოლოგიასაც ახლავს. „გამოხატვა“ ყველაზე მეტად „იდეებისა და ინფორმაციების გავრცელებას“ შეეფერება. მაგრამ მე-10 მუხლი აგრეთვე მოიცავს „იდეებისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლებას“, ისევე როგორც – „აღადმიანის უფლებას, გააჩნდეს (იქონიოს) საკუთარი შეხედულება, აზრი“. „საკუთარი აზრის ქონა“ (ან „საკუთარ აზრზე დგომა“) და „ინფორმაციისა თუ იდეების მიღება“ კი საერთოდ არ არის „გამოხატვა“ ამ სიტყვის ორდინარული მნიშვნელობით. მე-10 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი უფლებების საერთო სახელწოდებად კონვენციამ მაინც აირჩია „გამოხატვის თავისუფლება“ (*freedom of expression*), ხოლო საკუთრივ მუხლის ტექსტში კი დააზუსტა მისი შინაარსი და მიუთითა ისეთ უფლებებზეც, რომლებიც პირდაპირი გაგებით „გამოხატვას“ არ წარმოადგენენ, მაგრამ გონივრულად არიან დაკავშირებულნი უშუალოდ „გამოხატვის თავისუფლებასთან“. ამრიგად, უფლებების საერთო სახელწოდება – „*freedom of expression*“ პირობითია და მისი ფარგლები უფრო ვიწროა იმ შინაარსთან შედარებით, რაც მასში საკუთრივ კონვენციის ტექსტით პირდაპირ იგულისხმება.

მეორე, ჩვენი აზრით, მე-10 მუხლში გათვალისწინებული უფლებებიდან კონვენციამ საერთო სახელწოდებაში ასახა ყველაზე უფრო ფუნდამენტური ასპექტები „გამოხატვის თავისუფლებისა“. მართალია „ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლება“, ისევე, როგორც „საკუთარი აზრის უფლება“ ცალკე, დამოუკიდებელ და სრულფასოვან უფლებებს წარმოადგენენ, მაგრამ უეჭველია, რომ მათ შორის წარმმართველია იდეებისა და ინფორმაციის გავრცელების (ანუ გამოხატვის) თავისუფლება. მათი „მიღების თავისუფლება“ კი გარკვეულწილად, მეორადაა, თუნდაც შემდეგი თვალსაზრისით: თუ იდეების, შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გამოთქმისა და გავრცელების თავისუფლება არ იქნა უზრუნველყოფილი, ცხადია, ვერც მათი მიღების შესაძლებლობა იარსებებს. ასე

რომ, ჩვენი რწმენით, უფლებათა საერთო სახელწოდებაში აქცენტი გაკეთებულია ჩამოთვლილ სამ უფლებათაგან ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ – „იდეებისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებაზე“.

მესამე, როდესაც საკუთრივ „იდეებისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებაზე“ საუბარი, მათ შორისაც ერთგვარი პრიორიტეტი „იდეებს“ ეკუთვნის. სწორედ ახალი თუ განსხვავებული იდეების, შეხედულებებისა და აზრების სააშკარაოზე გამოტანის გზითაა შესაძლებელი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ღია და თავისუფალი დისკუსიები, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული საზოგადოებისა და მისი პროგრესისათვის. გარდა ამისა, მასში ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მეორე ფუნქცია, რომელიც ამ თავისუფლებას გააჩნია – ფუნქცია პიროვნების თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციისა. ეჭვგარეშეა, აზრებისა და შეხედულებების გამოხატვა უფრო მეტად შეასრულებს ამ ფუნქციას, ვიდრე ოდენ რაიმე ინფორმაციის გავრცელება. ისედაც, სიტყვა – „გამოხატვა“ უფრო მეტად შეესაბამება „იდეებს“, „აზრებს“ თუ „შეხედულებებს“, ვიდრე „ინფორმაციას“. „აზრი“ კი მეტ-ნაკლებად „ინფორმაციასაც“ ასახავს. ეს უკანასკნელი ძალზე ხშირად სწორედ (სხვათა) იდეებისა და შეხედულებების ამსახველია და არა მარტო „ფაქტებისა“, ხოლო როდესაც იგი „ფაქტების“ გადმოცემას წარმოადგენს, მასაც უმეტესწილად თან ახლავს კომენტარი თუ სხვაგვარი აზრი ამ ფაქტების შესახებ.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, რაკი პირობითობა დასაშვებია, რაკი რთულია მოიძებნოს ყველა ნაგულისხმები უფლების სრულად გამომხატველი ტერმინი და რაკი სიტყვა – „გამოხატვა“ ქართულში განსაზღვრებასა და იმის დაზუსტებას მოითხოვს, თუ რის გამოხატვაზეა საუბარი, გამართლებული იქნებოდა, კონვენციის მე-10 მუხლში ჩამოთვლილი უფლებების საერთო სახელწოდებად შეირჩეს „აზრის გამოხატვის თავისუფლება“.²

* * *

ადამიანის უფლება, გააჩნდეს საკუთარი აზრი (აზრის თავისუფლება)

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, რთულია, რომ იგი „გამოხატვად“ მივიჩნიოთ, მაგრამ კონვენციის მე-10 მუხლი იცავს მას. იგი ორ ძირითად ასპექტს მოიცავს:

² სწორედ ეს ტერმინი იქნა გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ქართულ თარგმანში, რომელიც შესრულდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანამშრომლობის შედეგად იხ.: *ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით)*, „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია, თბილისი, 2004, გვ.20.

ა) ეს უფლება იცავს პიროვნებას იმ შედეგებისაგან, რომელიც შეიძლება მოჰყვეს წარსულში მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს.³

ბ) ეს უფლება იცავს პიროვნებას იმ შედეგებისაგან, რომელიც შეიძლება მოჰყვეს თავისთავად იმ გარემოებას, რომ მას ესა თუ ის აზრი გააჩნია.

მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, ეს უფლება არასდროს, არანაირ ვითარებაში არ იზღუდება. მასზე მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის შესაძლებლობა არ ვრცელდება. ასევე მიჩნეულია, რომ უკან დახვევის შესახებ კონვენციის მე-15 მუხლი მის მიმართ გამოყენებადი არ არის.⁴

ინფორმაციისა და იდეების გამოხატვა

„იდეები და ინფორმაცია“, როგორც ეს ევროპულმა სასამართლომ განმარტა, არ გულისხმობს მხოლოდ ფაქტობრივ მონაცემებს. უწინარესად ის გულისხმობს აზრებს, შეხედულებებს, კრიტიკას, კომენტარს.⁵

„იდეებისა“ და „ინფორმაციის“ გამიჯვნა ყოველთვის არც შესაძლებელია და არც გონივრული. „იდეები“ ხშირად ეყრდნობა ფაქტობრივ მონაცემებს, ხოლო „ინფორმაციას“ თან ახლავს მისი შეფასება თუ კომენტარი. ამიტომ, ის, თუ მთლიანობაში რომელ მათგანს უნდა მიეკუთვნოს ესა თუ ის გამონათქვამი, საქმის გარემოებებზე, საერთო კონტექსტსა და ზოგჯერ ნიუანსებზეა დამოკიდებული.

„იდეების“ აუცილებელი კომპონენტია შეფასებითი ელემენტი, ანუ, ამა თუ იმ მოვლენის, ამა თუ იმ ადამიანის, ანდა რომელიმე სხვა შეხედულების სუბიექტისეული შეფასება. ასეთი შეფასება გულისხმობს განსჯას, მსჯელობას, დამოკიდებულების გამოვლენას და სხვ. შესაბამისი დასკვნები სწორედ სუბიექტის აღქმისა და განსჯის შედეგია. მთლიანობაში მათ „შეფასებითი მსჯელობა“ (*value judgment*) ეწოდება. მასში წარმართველია სუბიექტის დამოკიდებულება გამოხატვის საგანთან. შეფასებითი მსჯელობა შეიძლება იყოს სწორი ან მცდარი, დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი, გონივრული ან პრიმიტიული, მაგრამ ის არ შეიძლება იყოს სინამდვილე ან სიცრუე. ამიტომ მისი სინამდვილესთან შესაბამისობა დამტკიცებას არ ექვემდებარება.

„ინფორმაცია“ გარკვეული ფაქტების გადმოცემაა (*statement of facts*), რომლებიც შეიძლება შეესაბამებოდეს სინამდვილეს (მთლიანად ან ნაწილობრივ) და შეიძლება არა. ამიტომ ფაქტების გადმოცემის დროს მთავარი ის კი არ არის, თუ

³ *Vogt v. Germany*, judgment of 26 September 1995. series A. N323.

⁴ იხ. **P. van Dijk. G.J.H. van Hoof**, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 1998. გვ.571,585.

⁵ *Lingens v. Austria*, judgment of 8 July 1986 series A N103.

რა დამოკიდებულება აქვს სუბიექტს შესაბამის „ფაქტებთან“, არამედ ის, თუ რამდენად შეესაბამება ისინი სინამდვილეს. როდესაც საქმე ცრუ ფაქტებს შეეხება, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, იცოდა თუ არა, ან შეეძლო თუ არა მის გამავრცელებელს სცოდნოდა მათი სიცრუის შესახებ. შესაბამისად, მტკიცებას ექვემდებარება არა მარტო გადმოცემული ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობა, არამედ ისიც, თუ რამდენად იყო გარკვეული ინფორმაციის გავრცელების უფლებით მოსარგებლე სუბიექტი შესაბამისი ინფორმაციის სიცრუეში.

„გამოხატვა“. გულისხმობს ნებისმიერი საშუალების გამოყენებას, რომელიც გამიზნულია საიმისოდ, რომ გადმოსცეს ესა თუ ის იდეა (აზრი) ან ინფორმაცია. „გამოხატვის“ ცნების შინაარსი გადაჯაჭვულია „იდეებთან“ და „ინფორმაციასთან“. მე-10 მუხლი იცავს არა უბრალოდ „გამოხატვას“, არამედ იდეების ან ინფორმაციის გამოხატვას. თუმცა, არსებობს „გამოხატვის“ კიდევ ერთი ფორმა, რომელიც არც იდეების გადმოცემას წარმოადგენს და არც ინფორმაციისა, მაგრამ მაინც დაცულია კონვენციით. ეს არის **„შეკითხვის დასმა“**, რომელიც ფაქტების დასადგენად გამოიყენება და დიდი როლს ასრულებს საზოგადოებრივ დებატებში. როგორც აღვნიშნეთ, კონვენციის მე-10 მუხლის I პუნქტი გამოხატვის ასეთ ფორმასაც იცავს, მაგრამ უხამსი ან ღირსების სხვაგვარად შემლახავი კითხვები შეიძლება მე-2 პუნქტის საფუძველზე შეიზღუდოს.

„გამოხატვა არ გულისხმობს იდეისა თუ ინფორმაციის მხოლოდ სიტყვებით გამოხატვას. იგი შეიძლება განხორციელდეს ნახატით,⁶ გამოსახულებით,⁷ მოქმედებით⁸ თუ სხვაგვარად. ზოგიერთ გარემოებებში ადამიანის ჩაცმულობაც „გამოხატვად“ შეიძლება იქნას მიჩნეული.

გამოხატვა უმოქმედობითაც შესაძლებელია. ამის კარგი მაგალითია საქმე *McGuinness v. The United Kingdom*,⁹ რომელიც შეეხებოდა თემთა პალატის დეპუტატს, რომელმაც უარი განაცხადა, ბრიტანეთის სამეფოსათვის მიეცა ერთგულების ფიცი (ევროპულმა სასამართლომ არ ცნო ამ საქმეზე მე-10 მუხლის დარღვევა). ამასთანავე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ „გამოხატვას“ წარმოადგენს მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც გამოყენებული სიტყვები, მოქმედება თუ სხვა საშუალება ადეკვატურად ასახავს შესაბამის იდეას თუ ინფორმაციას. **ქვეტექსტები, მათთან არაპირდაპირ დაკავშირებული იდეები, ან მათგან არაპირდაპირ გამომდინარე დასკვნები არ შეიძლება ჩაითვალოს „გამოხატვად“.**

⁶ *Müller and Others v. Switzerland*, judgment of 24 May, 1988. series A. N133.

⁷ *Chorher v. Austria*, judgment of 25 August 1993. series A. N266-13.

⁸ *Stevens v. The United Kingdom*; N11674/85, 46 DR 245(1986)

⁹ *McGuinness v. the United Kingdom*. appl. no. 39511/98, decision of 8 July 1999. Report 1999-V.

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ნეგატიურ ასპექტსაც, ანუ **გამოხატვის ნეგატიურ თავისუფლებას**. მასში ის იგულისხმება, რომ ადამიანს უფლება აქვს, არ გამოამჟღავნოს საკუთარი შეხედულებები; ანუ – აქვს **დუმილის უფლება**.¹⁰

გამოხატვის ნეგატიური თავისუფლება მოიცავს სპეციფიკურ შემთხვევებსაც, კერძოდ:

- ადამიანის უფლებას, არ მისცეს თვითმამხილებელი ჩვენება¹¹
- ჟურნალისტის უფლებას, არ გაამხილოს ინფორმაციის წყარო¹²

„ინფორმაციისა და იდეების გამოხატვის დაცვა“ კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით, გულისხმობს ნებისმიერ საკითხზე ნებისმიერი შინაარსის იდეებისა და ინფორმაციის გავრცელების უფლებას, რომლის შეზღუდვაც არ იქნება მიჩნეული „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. ამდენად, აპრიორულად დაცულია იდეები და ინფორმაცია იმის მიუხედავად, შეეხება ის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხს თუ არა, არსებითად სწორ „შეფასებით მსჯელობასთან“ გვაქვს საქმე თუ არა, ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს თუ არა და ა.შ.; თუმცა, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში მათი დაცულობის საფუძველები და ფარგლები განსხვავებულია. ზოგჯერ ინფორმაციის სინამდვილეც კი არ არის საკმარისი პირობა მის დასაცავად.

მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცულია საკუთრივ **განზრახვა** იდეებისა თუ ინფორმაციის გავრცელების გზით სხვებზე **ზემოქმედების მოხდენისა**. მაგრამ ზემოქმედების მოხდენის სურვილი უნდა განვასხვავოთ ისეთი ზეწოლისაგან, რომელიც იდეებისა თუ ინფორმაციის ადრესატს ალუკვეთავს ან უზღუდავს შესაძლებლობას, თავისუფლად გამოიმუშავოს თავისი შეხედულება და იმოქმედოს მის შესაბამისად.

დაცულია იდეებისა და ინფორმაციის გამოხატვის **მოტივი და მიზანი**. თუმცა, ზოგჯერ მათ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში მნიშვნელობა აქვთ შესაბამისი იდეისა თუ ინფორმაციის შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას. მაგალითად, იდეებისა თუ ინფორმაციის გამოხატვა დაცულია იმის მიუხედავად, ავტორი ამა თუ იმ საკითხზე საზოგადოებრივ დებატებში მონაწილეობას ისახავდა მიზნად, თუ „გამოხატვა“ სინამდვილეში მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებით იყო

¹⁰ იხ. *Young, Games and Webster*, Report of 14 December 1979, B 39 (1984), გვ.48, judgment of 13 August 1981, A.44, გვ.23-24. ეს საქმე შეეხებოდა პროფკავშირში სავალდებულო გაწევრიანების საკითხს. მომჩივნებმა უარი განაცხადეს გაწევრიანებაზე იმ მოტივით, რომ არ ეთანხმებოდნენ შეხედულებებს, რომელთა პროპაგანდასაც ეწეოდა პროფკავშირი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ მიიჩნიეს, რომ პროფკავშირში გაწევრიანების დავალდებულება მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენდა გამოხატვის ნეგატიური თავისუფლების დარღვევას.

¹¹ *K v. Austria*, Report of 13 October 1992, A.255-B, გვ.38. მოცემულ საქმეში კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივნის იტულება, მიეცა ჩვენება თავის თავის წინააღმდეგ, წარმოადგენდა დუმილის უფლების დარღვევას.

¹² *Goodwin v. The United Kingdom*, judgment of 27 March 1996.

მოტივირებული (მაგალითად, როდესაც სტატიის პუბლიკაციის დროს ავტორის მთავარ მიზანს ჰონორარის აღება წარმოადენდა).

მაგრამ, მაშინ, როდესაც ამა თუ იმ იდეისა თუ ინფორმაციის გავრცელებისას სუბიექტი არამართლზომიერ მიზანს ისახავს, მოქმედებს ბოროტი განზრახვით, არაკეთილსინდისიერია და ა.შ., ამ გარემოებებს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს.

გამონათვის თავისუფლების დაცვა „სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“ იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა დაუშვას იდეებისა თუ ინფორმაციის გავრცელება როგორც საზღვარგარეთიდან ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნიდან საზღვარგარეთ. მაგრამ, ცხადია, იგი ვერ იქნება პასუხისმგებელი საზღვარგარეთ განხორციელებული შეზღუდვებისათვის.¹³

„ინფორმაციისა და იდეების გამონათვის დაცვა“ გულისხმობს მათი გამონათვის, პროდუქციებისა თუ კომუნიკაციის საშუალების დაცულობასაც. ე.ი. მე-10 მუხლით დაცულია იდეებისა და ინფორმაციების გამონათვა იმის მიუხედავად, ნათქვამია თუ დაბეჭდილი,¹⁴ გადმოცემულია ხელოვნების ქმნილებით,¹⁵ გავრცელებულია რადიოთი,¹⁶ ტელევიზიით,¹⁷ ფილმით¹⁸ თუ ელექტრონული საინფორმაციო სისტემის მეშვეობით.

ამრიგად, ის რაც დაცულია, არ არის მხოლოდ იდეებისა და ინფორმაციის საკუთრივ „გამონათვა“. აგრეთვე დაცულია მათი პროდუქციებისა და კომუნიკაციის საშუალებები.

„გამონათვის საშუალებები“ იმიტომ არის დაცული, რომ მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ. მაშინაც კი, როდესაც პირი თავად არ არის შესაბამისი იდეისა თუ ინფორმაციის მფლობელი და მხოლოდ „გამონათვის საშუალებას“ უზრუნველყოფს, იგი დაცულია მე-10 მუხლით. მაგალითად, Müller-ის საქმეში მხატვართან ერთად, გამოფენის ორგანიზატორებიც ახორციელებდნენ გამონათვის თავისუფლებას.

ამასთან, იმის გამო, რომ ინფორმაციებისა თუ იდეების პროდუქციების, გადაცემისა და გავრცელების საშუალებების განვითარება სწრაფია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოს მიდგომა, რომ მხედველობაში მიიღოს ამ სფეროში ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარება.

განასხვავებენ „გამონათვის“ 3 ძირითად ტიპს (*Kind of expression*), რომლებიც დაცულია. ესენია:

¹³ Appl. 7597/76, *Bertrand Russell Peace Foundation Ltd v. The United Kingdom*, D&14 (1979), გვ.117 (124)

¹⁴ *Handyside v. The United Kingdom*, judgment of 7 December, 1976. series A. N24

¹⁵ *Müller and Others v. Switzerland*, judgment of 24 May 1988. series A. N133

¹⁶ *Groppera Radio AC v. Switzerland*, judgment of 28 March, 1990. series A. N173

¹⁷ *Autronic AG v. Switzerland*, judgment of 22 May, 1990. series A. 178

¹⁸ *Otto-Preminger Institut v. Austria*, judgment of 20 September, 1994. series A N295-A

ა) **პოლიტიკური გამოხატვა** (*political expression*) – ანუ, იდეებისა თუ ინფორმაციის გამოხატვა პოლიტიკურ საკითხებზე. ამასთან, „პოლიტიკურის“ გაგება ძალიან ფართოა. მასში არ იგულისხმება ე.წ. „მაღალი პოლიტიკა“; „პოლიტიკურ გამოხატავად“ მიჩნეულია შეხედულებებისა და ინფორმაციის გამოხატვა ისეთ საკითხებზე, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს.¹⁹

ბ) **შემოქმედებითი გამოხატვა** (*artistic expression*). საქმეში *Müller v. Switzerland* ევროპულმა სასამართლომ მკაფიოდ დაადგინა: „ისინი, ვინც ქმნიან (*create*), წარმოადგენენ (*perform*), ავრცელებენ (*distribute*) ან გამოფენენ (*exhibit*) ხელოვნების ნაწარმოებს, შეაქვთ წვლილი იდეებისა და შეხედულებების გაცვლაში, რაც არსებითაა დემოკრატიულ საზოგადოებაში.²⁰

გ) **კომერციული გამოხატვა** (*commercial expression*) – ანუ, იდეებისა და ინფორმაციის გამოხატვა კომერციის სფეროში. საფუძველმდებრივ პრეცედენტია საქმე *Mark Intern Verlag v. FRG*. მოპასუხე მთავრობის აზრით, სავაჭრო გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე მე-10 მუხლით გარანტირებული დაცვა არ უნდა გავრცელებულიყო, ვინაიდან მისი გამოქვეყნება მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის (გარკვეული მოვაჭრეების) ეკონომიკური ინტერესების ხელშეწყობას ემსახურებოდა. ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა და მიუთითა, რომ კომერციის სფეროში ინფორმაციისა და იდეების გავრცელება მე-10 მუხლის ფარგლებში იმყოფებოდა. მან ასეთ ინფორმაციას უწოდა „კომერციული ბუნების ინფორმაცია“ და აღნიშნა, რომ მე-10 მუხლი არ გამოიყენებოდა მხოლოდ გარკვეული ტიპის ინფორმაციის ანდა გამოხატვის გარკვეული ფორმებისა თუ საშუალებების მიმართ²¹

ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი საქმეა *Autronic AG v. Switzerland*. ევროპულ სასამართლოს მოუწია გადაეწყვიტა საკითხი, იყო თუ არა კონვენციის მე-10 მუხლით დაცული კომერციული მიზნებით სატელიტური სატელევიზიო სიგნალის მიღება და გადაცემა. მან მიიჩნია, რომ ასეთი უფლება მე-10 მუხლის ფარგლებში იყო და მიუთითა, რომ ეს მუხლი ვრცელდებოდა არა მარტო ინფორმაციისა და იდეების შინაარსზე, არამედ მისი გადაცემისა თუ მიღების საშუალებებზეც.²²

არ არსებობს გამოკვეთილი მიდგომა **გამოხატვის ენის** შესახებ. მე-10 მუხლი არ ითვალისწინებს იდეებისა თუ ინფორმაციის იმ ენაზე გამოხატვის უფლებას, რომელზეც სურს ადამიანს მათი გამოხატვა. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს,

¹⁹ *Thorgeirson v. Iceland*, judgment of 25 January 1992. series A. N239, §27.

²⁰ *Müller v. Switzerland*, judgment of 24 May 1988. series A. N133. §33.

²¹ *Mark Intern Verlag GmbH Klaus Beermann v. FRG*, judgment of 20 November, §§25,26, 1999, series A. N165.

²² *Autronic AG v. Switzerland*, judgment of 22 May 1999. series A. №178.

რომ ეს კონვენციის მე-8 მუხლის საკითხი უფროა, ვიდრე მე-10 მუხლისა. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ ევროპის საბჭო დიდ ყურადღებას აქცევს ეროვნული უმცირესობების ენის დაცვას (იხ. ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობის ენის შესახებ).²³ ამიტომ გამოითქვა შეხედულებები, რომ არსებული პრაქტიკა შეიძლება გადაისინჯოს.²⁴

ინფორმაციისა და იდეების გამოხატვის უფლება არ გულისხმობს **ინფორმაციის გადაცემის საშუალებებისადმი ხელმისაწვდომობას**²⁵ (მაგალითად, საგაზეთო სივრცეზე ან სატელევიზიო ეთერის დროზე). პიროვნების მოთხოვნა, სხვისი საშუალება გამოიყენოს თავისი აზრის გამოსახატავად, წარმოადგენს კონფლიქტს ამ საშუალების მეპატრონის გამოხატვის თავისუფლებასთან. თუმცა, დისკრიმინაციული უარი შეიძლება კონვენციის საკითხი განდეს.

ამასვე ეყრდნობა ე.წ. „შეპასუხების უფლება“. პიროვნებას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ იმავე მედიაში მიეცეს პასუხის გაცემის შესაძლებლობა, რომელშიც მის წინააღმდეგ კრიტიკა გამოქვეყნდა. გარდა ამისა, შეპასუხების უფლება იმავდროულად ეყრდნობა კონცეპტუალურ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ მედიამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციებისა და შეხედულებების პლურალიზმი. საქმეში *Edicional Tiempo v. Spain*²⁶ ევროპულმა კომისიამ მიუთითა, რომ შეპასუხების უფლება წარმოადგენდა ინფორმაციის პლურალიზმის გარანტიას, რომელიც დაცული უნდა ყოფილიყო.

თუმცა არც ამ შემთხვევაშია შესაბამისი მედიისადმი ხელმისაწვდომობა აბსოლუტურად უზრუნველყოფილი. თუ „პასუხი“ შეიცავს უხამსობას ან სხვაგვარად აშკარად არღვევს „დასაშვები კრიტიკის ფარგლებს“, რედაქციას უფლება აქვს უარი თქვას მის გამოქვეყნებაზე.²⁷ საერთოდ, „საპასუხო კრიტიკის“ მიმართ დამოკიდებულება უფრო ლიბერალურია და აღიარებულია ე.წ. „ადეკვატური პასუხის“ უფლება.²⁸

იდეებისა და ინფორმაციის მიღების უფლება

ჯერ ერთი, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ „იდეებისა და ინფორმაციის მიღების“ უფლება ცალკე, დამოუკიდებელი უფლებაა, თუმცა იგი ორგანულად უკავშირდება მათი გავრცელების უფლებას.

²³ *The European Charter for Regional or Minority Languages*, 1992. ETS 148. 14 HRLJ. 148 (1993).

²⁴ **D.G.Harris, M.O.Boyle. C.Warbrick.** *Law of the European Convention on Human Rights*. 1995. გვ.379.

²⁵ *S.X and Association Z. v. UK*, decision of 12 June 1971, §38. CD.

²⁶ *Edicional Tiempo v. Spain*, decision, 1989. 27; 253.

²⁷ აღსანიშნავია, რომ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ითვალისწინებენ შეპასუხების ცალკე უფლებას. მაგალითისათვის იხ. *American Convention on Human Rights*. Art.№14(1)

²⁸ მაგალითისათვის იხ. საქმე *Melnychuk v. Ukraine* (decision of 5 July 2005).

საქმეში *Sunday Times (NI) v. UK* ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გადაცემის უფლებებში“ იგულისხმებოდა არა მარტივი შემთხვევა საუბრის დროს იდეებისა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისა, არამედ ორი სავსებით დამოუკიდებელი უფლება – ინფორმაციისა და იდეების გამოხატვისა და მათი მოსმენის უფლებები.²⁹ თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მათი ორგანული კავშირი ძალიან მჭიდროა. ინფორმაციისა თუ იდეების გავრცელების თავისუფლების აზრი სწორედ ის არის, რომ პიროვნებას შეეძლოს სხვა ადამიანებს გაუზიაროს თავისი შეხედულებები; ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლებისა კი – ის, რომ ადამიანს გააჩნდეს უფლება, მოისმინოს ისინი, იცოდეს მათი არსებობის შესახებ და შეიმუშაოს საკუთარი აზრი მათ მიმართ. ამიტომ, მიჩნეულია, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაღვეს „მთქმელსა“ და „გამგონს“, მოუბარსა და აუდიტორიას შორის.

ეს უფლება **ნეგატიურ ასპექტსაც** მოიცავს. ადამიანს აქვს არა მარტო სხვისი შეხედულებებისა თუ ინფორმაციის მიღების უფლება, არამედ იმისაც, რომ უარი თქვას მათ მიღებაზე. იგი ეფუძნება პრინციპს – ვერავის დაავალდებულებ, მოუსმინოს სხვას.

იდეებისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლება მოიცავს **ინფორმაციის მოძიების უფლებასაც** (*the right of seek information*). თუმცა, მისი ფარგლები შეზღუდულია. მასში იგულისხმება ისეთი ინფორმაციის მოძიების უფლება, რომელიც შემოთავაზებულია ანდა რომელზედაც არის შესაბამისი წყაროს თანხმობა; ანუ – რომელიც ხელმისაწვდომია (*available*).

მასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული **ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება** (*right of access to information*).

შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად, მე-10 მუხლის კონტექსტში ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას კონვენცია იცავს იმ ზომით, რა ზომითაც ინფორმაციის მოძიების უფლებას, ანუ – უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც შემოთავაზებულია ან არსებობს თანხმობა მის გადაცემაზე. სხვაგვარად ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას კონვენციის მე-10 მუხლში დასაყრდენი არ გააჩნია.

საქმეში *Leander v. Sweden*, ევროპულმა სასამართლომ უარი თქვა, გაეზიარებინა მომჩივნის არგუმენტი, რომ კონვენციის მე-10 მუხლი ეფექტიანად იცავდა განსაზღვრული სახის ინფორმაციაზე მისი ხელმისაწვდომობის უფლებას. საქმე შეეხებოდა ხელისუფლების (უშიშროების სამსახურის საილუმლო დოკუმენტებში არსებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას მომჩივნის შესახებ, რომლის გამოც, მომჩივნის აზრით, მას უარი უთხრეს სამხედრო სამსახურში მიღებაზე. მან მოითხოვა ინფორმაციის გაცნობა, რათა საშუალება ჰქონოდა,

²⁹ *Sunday Times (NI) v. The United Kingdom*, judgment of 26 April 1979. series A. N30, §§65,66.

გაეპროტესტებინა იგი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი უფლება მე-10 მუხლით არ იყო გარანტირებული.³⁰

სამაგიეროდ, ისეთი ინფორმაციის მიმართ, რომელიც შემოთავაზებულია ანდა არსებობს მისი გადაცემის თანხმობა, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, არ შექმნას დაბრკოლებანი ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის.³¹

აქვე უნდა ითქვას ისეთი სპეციფიკური შემთხვევების შესახებ, სადაც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება შეიძლება გამოძინარეობდეს ადამიანის სხვა უფლებიდან, მაგალითად, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებიდან. ასეთ საკითხს ევროპული სასამართლო წააწყდა საქმეში *Gaskin v. UK*. საქმე შეეხებოდა პირად მონაცემებზე ხელმისაწვდომობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომჩივნის პირადი ცხოვრებისათვის. სასამართლომ ეს საქმე კონვენციის მე-8 (და არა მე-10) მუხლის საფუძველზე განიხილა. მან მიიჩნია, რომ ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე დაბრკოლების შექმნა წარმოადგენდა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევას. მაგრამ მიუთითა, რომ უშუალოდ მე-10 მუხლი სახელმწიფოს არ ავალდებულებდა მომჩივნისათვის შესაბამისი ინფორმაციის გადაცემას. იმავდროულად, მან კატეგორიულად არ უარყო, რომ მე-8 მუხლს საზოგადოდ შეიძლება წარმოეშვა პირად მონაცემებზე ხელმისაწვდომობის საერთო უფლება. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ საკითხზე შეხედულების გამოთქმის გარეშე, გამოძინარეობდა თუ არა მე-8 მუხლიდან პირად მონაცემებზე ხელმისაწვდომობის საერთო უფლება.³²

ამ თვალსაზრისით საინტერესო საქმეა აგრეთვე *Segerstedt Wiberg and Others v. Sweden*. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად არ მიიჩნია ხელისუფლების უარი, მომჩივნებისათვის უზრუნველყო მათ შესახებ ინფორმაციაზე სრული ხელმისაწვდომობა, რომელიც არსებობდა პოლიციის სახელმწიფო საიდუმლო რეესტრში. სასამართლომ განმარტა, რომ ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უარი გამართლებულად ჩაითვლებოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში, როდესაც სახელმწიფოს გააჩნდა საფუძვლიანი შიში, რომ შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნება დააზარალებდა საიდუმლო მეთვალყურეობის სისტემის ქმედითობას, რომელიც შექმნილი იყო ეროვნული უშიშროების დასაცავად და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მან მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში არ არსებობდა რაიმე საფუძველი განსხვავებული დასკვნის გამოსატანად. მან დაასკვნა, რომ მოპასუხე სახელმწიფო მოქმედებდა შეფასების

³⁰ *Leander v. Sweden*, judgment of 26 March 1987, series A. N116.

³¹ *Z. v. Austria*, no 10392/83 DR 13 (1988)

³² *Gaskin v. The United Kingdom*, judgment of 7 July 1989. series A N160, §37.52. იხ. აგრეთვე, *Guerra v. Italy*, judgment of 19 February 1998.

თავისუფლების ფარგლებში და შეეძლო გადაეწყვიტა, რომ ეროვნული უშიშროებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესები გადასწონიდა ცალკეული ინდივიდების ინტერესებს, გასცნობოდნენ პოლიციის საიდუმლო რეესტრში მათ შესახებ არსებულ სრულ ინფორმაციას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ ისეთი ინფორმაციის შენახვის გაგრძელება, რომელიც ასახავდა 30 წლის წინ მომხდარ ფაქტებს და, შესაბამისად, მომჩივნებზე საიდუმლო მეთვალყურეობის გაგრძელება ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიაში წევრობისა და მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო, ევროპულმა სასამართლომ მათ პირად ცხოვრებაში გაუძარტლებელ ჩარევად მიიჩნია და ამ მიმართებაში კონვენციის მე-8 მუხლი დარღვეულად ცნო.³³

ამრიგად, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება მე-10 მუხლის კონტექსტში ამოიწურება ისეთ ინფორმაციით, რომლის გადაცემაზეც თანხმობა არსებობს.

მეორე მხრივ, აღნიშნული სრულიად არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების არსებობას, ცალკეულ შემთხვევებში უზრუნველყოს გარკვეული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მაგალითად, ის ვალდებულია მოსახლეობას აცნობოს იმ შედეგების შესახებ, რომელიც წარმოიშვა ეკოლოგიური დაბინძურების ზონაში, ანდა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც მან შეიძლება გამოიწვიოს და სხვ.³⁴ გამოთქმულია საგულისხმო შეხედულება იმის თაობაზე, რომ კონვენციის მე-10 მუხლი უნდა უზრუნველყოფდეს ხელმისაწვდომობას ყველა ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც საზოგადოების ინტერესისა და ზრუნვის საგანს შეეხება.³⁵

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ორ ასპექტზე, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ იმის კარგად გაცნობიერებისათვის, თუ რას გულისხმობს კონვენციის საფუძველზე გამოხატვის თავისუფლების დაცვა.

1. კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი გამოხატვის თავისუფლებას იცავს **სახელმწიფოს ჩარევისაგან**. ასეთი დაცულობა სახელმწიფოს ჩარევისაგან ამ თავისუფლებათა აუცილებელი კომპონენტია.

„სახელმწიფოს ჩარევა“ ფართოდ არის განმარტებული. მასში იგულისხმება ჩარევა არა მარტო უშუალოდ სახელმწიფო დაწესებულებების, არამედ საჯარო სამართლის ნებისმიერი იურიდიული პირის მხრიდან. საქმეში *Casado Coca v.*

³³ *Segerstedt Wiberg and Others v. Sweden*, judgment of 6 June 2006.

³⁴ ევროპის საბჭოს ორგანოები მოუწოდებენ წევრ სახელმწიფოებს დაიცვან და უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება. იხ. საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1087(1996) და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2002) 2 ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

³⁵ იხ. **Anthony Lester**, *Freedom of Expression*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds). 1993. გვ.482. ლესტერი მიიჩნევს, რომ ევროპულმა სასამართლომ ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყვიტოს.

Spain ესპანეთის მთავრობა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბარსელონას ადვოკატთა საბჭოს მიერ ადვოკატის დისციპლინური დასჯა არ წარმოადგენდა „საჯარო ხელისუფლების“ მხრიდან ჩარევის აქტს. ეს არგუმენტი უარყოფილი იქნა. ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით ადვოკატთა საბჭო წარმოადგენდა საჯარო სამართლის დაწესებულებას და ემსახურებოდა საჯარო ინტერესებს. გარდა ამისა, დისციპლინური სასჯელი ძალაში დატოვებს ესპანეთის სასამართლოებმა, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებებს წარმოადგენენ.³⁶

პრაქტიკაში არაერთხელ გამხდარა სადავო საკუთრივ ის, თუ რა არის „ჩარევა“ – თავისუფლებათა განხორციელებისათვის მხოლოდ წინასწარი დაბრკოლებების შექმნა, რომელთა გამოც შეუძლებელი გახდა ინფორმაციისა თუ იდეების მიღება ან გადაცემა, თუ იგი ისეთ შემთხვევებსაც მოიცავს, როდესაც შესაბამისი თავისუფლებანი დაუბრკოლებლად განხორციელდა, მაგრამ შემდგომში გამოიწვია მან სანქციების დაკისრება. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია პრესის თავისუფლებისათვის.

მოპასუხე სახელმწიფოებს პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას არაერთხელ დაუყენებიათ „ჩარევის“ ვიწრო მნიშვნელობით გამოყენების საკითხი. მათი აზრით, მხოლოდ წინასწარი ცენზურის შედეგად პუბლიკაციის აკრძალვა უნდა ჩაითვალოს „ჩარევად“, ხოლო პოსტ-პუბლიკაციური სანქციები კი – არა.

ევროპული სასამართლო არ ეთანხმება ასეთ ვიწრო გაგებას და მიიჩნევს, რომ არა მარტო წინასწარი აკრძალვა ან ლიცენზიაზე უარის თქმა, არამედ ნებისმიერი სანქცია, რომელიც შედეგად მოჰყვა გამოხატვის თავისუფლების ამა თუ იმ განხორციელებას (სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი სანქციები, საგნების ან საშუალებების ჩამორთმევა და სხვა), წარმოადგენს ამ თავისუფლებათა განხორციელებაში სახელმწიფოს ჩარევას. სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი ღონისძიებები გავლენას ახდენენ მომავალში ამ თავისუფლებათა განხორციელებაზე; ამასთან, არა მარტო იმ პირთა მიმართებაში, ვის წინააღმდეგაც ისინი იქნა გამოყენებული, არამედ სხვებთან მიმართებაშიც.

თუმცა, ის გარემოება, წინასწარ შეზღუდვასთანა გვაქვს საქმე თუ შემდგომთან, ფაქტორია, რომელიც მხედველობაში მიიღება „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასებისას.

2. მართალია, მე-10 მუხლი (ისევე, როგორც მე-8, მე-9 ან მე-11 მუხლები) იცავს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან, მაგრამ ზოგჯერ „სახელმწიფოს

³⁶ *Casado Coca v. Spain*, judgment of 24 February 1994. იხ. აგრეთვე, საქმე *M.Rommelfanger v. FRG* (decision of 6 September 1989), რომელშიც მსჯელობის საგანი გახდა, წარმოადგენდა თუ არა ეკლესიისაგან განსხვავებული შეხედულებების გამოხატვისათვის ეკლესიის (რომელიც გერმანული კანონების მიხედვით საჯარო სამართლის კორპორაციას წარმოადგენდა) საავადმყოფოს ექიმის სამსახურიდან გათავისუფლება მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას.

ჩარევა“ (პირდაპირი გაგებით) არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ სახელმწიფოს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს. ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა იკისრეს გამოხატვის თავისუფლების დაცვის ვალდებულება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გულისხმობს ნეგატიურ (ანუ, ჩაურევლობის) ვალდებულებას, მაგრამ ზოგჯერ – პოზიტიურსაც. თუ ნეგატიური ვალდებულება იმას მოითხოვს, რომ სახელმწიფომ თავად არ შეუქმნას დაბრკოლება უფლებების განხორციელებას, პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოსაგან მოითხოვს აქტიურ ღონისძიებათა გატარებას, რათა ეს დაბრკოლებანი სხვა გზით არ შეიქმნას.

ყველაზე უფრო გავრცელებული შემთხვევები პოზიტიური ვალდებულების წარმოშობისა, უკავშირდება ვითარებას, როდესაც რეალური, აშკარა (*material*) მუქარა კერძო წყაროდან მოდის. საქმეში *Plattform „Arzte für des Leben“ v. Austria*³⁷ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ის მიზეზები, რის გამოც აღნიშნულ საქმეში არსებობდა კონვენციის მე-11 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, აღეკვეთა დემონსტრაციის დაშლა, იმავდროულად მიუთითებდა პოზიტიურ ვალდებულებებზე კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში. 2000 წელს განხილულ საქმეში *Fuentes Bobo v. Spain*, სასამართლომ აღიარა, რომ განსაზღვრულ გარემოებებში კონვენციამ შეიძლება წარმოშვას სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს, დაარეგულიროს ან შეზღუდოს კერძო (ფიზიკურ ან იურიდიულ) პირთა მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა.³⁸

უაღრესად საინტერესო ასპექტები გამოიკვეთა ზემოთ მითითებულ საქმეში *M.Rommelfanger v. FRG*, რომელიც შეეხებოდა კათოლიკური საავადმყოფოს ექიმის სამსახურიდან გათავისუფლებას იმის გამო, რომ მან საჯაროდ გამოთქვა აბორტის აკრძალვის საწინააღმდეგო შეხედულებები. ეკლესიამ მიიჩნია, რომ მან დაარღვია „ეკლესიისადმი ერთგულების“ ვალდებულება, რაც კონტრაქტის მიხედვით განიხილებოდა „მნიშვნელოვან მიზეზად“, რასაც შეიძლებოდა კონტრაქტის გაწყვეტა გამოეწვია. საკონსტიტუციო სასამართლომ კი დაადგინა, რომ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ეკლესიის ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, „ეკლესიისადმი ერთგულების“ დარღვევის შეფასება ეკლესიის უფლებას წარმოადგენდა და მისი მიხედულების ფარგლებში იყო მოქცეული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ გაიზიარა ეს შეხედულება და მიუთითა, რომ ეკლესიასთან კონტრაქტის გაფორმებით, მომჩივანმა თავის თავზე აიღო „ერთგულების ვალდებულება“, რომელიც მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებას განსაზღვრულ ფარგლებში ზღუდავდა. მართალია, გერმანული კანონებით

³⁷ *Plattform „Arzte für des Leben“ v. Austria*, A.139, 1988.

³⁸ *Fuentes Boso v. Spain*, judgment of 29 February 2000.

კათოლიკური ეკლესია საჯარო სამართლის კორპორაციას წარმოადგენდა, მაგრამ მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლება ვერ ჩაითვლებოდა „სახელმწიფოს აქტად“. კომისიამ დაადასტურა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებათა არსებობა, ქირავნობის ურთიერთობებში დაეცვა გამოხატვის თავისუფლება არაგონივრული საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან, მაგრამ, მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დამქირავებელი წარმოადგენდა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნებული იყო განსაზღვრულ შეხედულებებსა და ფასეულობებზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებაში მისი ფუნქციების განხორციელებისათვის. კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისად უნდა მიჩნეულიყო ის, რომ ეკლესიას ჰქონდა დაქირავებულთა გამოხატვის თავისუფლების განსაზღვრულ ფარგლებში მოქცევის უფლება. კომისიამ დაასკვნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი ამ ტიპის საქმეებში არ გულისხმობდა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყო დაცვა აღნიშნული სტანდარტის მიღმა.³⁹

მიჩნეულია, რომ პოზიტიური ვალდებულების თემა მე-10 მუხლთან მიმართებაში ჯერ კიდევ დამუშავებას საჭიროებს.⁴⁰

ის სფეროები, სადაც ევროპულმა სასამართლომ და ევროპულმა კომისიამ მიუთითეს მე-10 მუხლთან მიმართებაში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებათა შესახებ შემდეგია:

ა) ღონისძიებების გატარება პრესის ექსცესიური კონცენტრაციის წინააღმდეგ.⁴¹

ბ) შიდა მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის გაკონტროლება. მიჩნეულია, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საიმისოდ, რომ არ დაუშვას ასეთი ორგანოების მხრიდან მეტისმეტი შეზღუდვითი პრაქტიკა;

გ) დარღვეული უფლებების აღდგენა-გამოსწორებისათვის ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის (*remedial regime*) უზრუნველყოფა;

დ) ღონისძიებების გატარება თუ სხვაგვარი კონტროლი საიმისოდ, რომ არ იქნას დაშვებული დისკრიმინაცია.

აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს ბოლო პერიოდის იურისპრუდენცია მკვეთრად გამოხატავს თვალსაზრისს, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ღონისძიებების გატარებაზე. განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული პოზიტიურ ვალდებულებებზე მასმედიის თავისუფლების უზრუნველყოფის სფეროში.⁴²

³⁹ იხ. Appl. №12242/86. *M.Rommelfanger v. FRG*, decision of 6 September 1989. კომისიამ დაადგინა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებანი დარღვეული არ ჰქონდა და საჩივარი მიუღებლად ცნო.

⁴⁰ **D.G.Harris, M.O.Boyle, C.Warbrick**, *Law of the European Convention on Human Rights*, 1995, გვ.382,389.

⁴¹ *De Jeillustreede pors v. The Netherlands*, 1976. Com. Rep. §88.

⁴² *Özgür Gündem v. Turkey*, judgment of 16 March 2000.

ცალკე უზარმაზარი სფეროა ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის და კინემატოგრაფიულ საწარმოთა მხრიდან ლიცენზიების მიღების უფლება. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი მოიცავს ამ უფლებას, მაგრამ იგი ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან დარეგულირებას.

ლიცენზიის მიცემის საკითხში ეროვნული შეფასების თავისუფლება ძალზე ფართოა. ეს პირდაპირ გამომდინარეობს თავად იმ ფაქტიდან, რომ სახელმწიფოს უფლება, მოითხოვოს ტელევიზიის, რადიომაუწყებლობისა თუ კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება, მე-10 მუხლის პირველ და არა მეორე პუნქტშია მითითებული. არსებითად კი ეროვნული შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლები უკავშირდება ამ სფეროს სპეციფიკას, განპირობებულია მაუწყებლობის გადაცემის შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობებით (შეზღუდული საეთერო დროით, თავისუფალი სიხშირეების შეზღუდული რაოდენობით) და მიზნად ისახავს ამ შეზღუდული შესაძლებლობების ეფექტიან გამოყენებას.

ევროპულმა სასამართლომ და კომისიამ დაადგინეს, რომ კონვენცია არ ითვალისწინებდა ლიცენზიის მიღების გარანტირებულ უფლებას და იგი სახელმწიფოს ნებას რთავდა, თავად გადაეწყვიტა, ვისთვის მიეცა ლიცენზია და ვისთვის არა. მაგრამ ეს არ იყო შეუზღუდავი უფლება. ამ სფეროს რეგულირება ძირითადად ორგანიზაციული და ტექნიკური ასპექტებით უნდა შემოფარგლებულიყო. ლიცენზიაზე უარი არ უნდა ყოფილიყო თვითნებური ან დისკრიმინაციული. შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლები სახელმწიფოს არ ანიჭებდა მაუწყებლობაზე მონოპოლიის შენარჩუნების უფლებას. ყოველგვარი უარი ლიცენზიის მიცემაზე სახელმწიფო მონოპოლიის შენარჩუნების მიზნით, უნდა შეფასებულიყო მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ჭრილში და, მაშასადამე, მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა გამართლებულად, თუ დადგინდებოდა ამის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში; სანქციების დაკისრება იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ლიცენზიის გარეშე მოქმედებდნენ, არ წარმოადგენდა მე-10 მუხლის დარღვევას; მაგრამ იმავდროულად, ლიცენზიის არქონა არ აძლევდა სახელმწიფოს პროგრამების მიღებაში ჩარევის უფლებას. პროგრამების შინაარსობრივი დარეგულირება კი დასაშვებია იყო მხოლოდ პლურალიზმისა და ბალანსის უზრუნველსაყოფად; ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებულია. მაუწყებლობის შეზღუდული შესაძლებლობის გამო, აუცილებელია არსებობდეს ე.წ. „შიდა პლურალიზმი“ (*internal pluralism*), პროგრამები შინაარსობრივად მრავალფეროვანი უნდა იყოს, რათა მან დააკმაყოფილოს ყველა კატეგორიის მაყურებლის მოთხოვნილებები. „შიდა პლურალიზმის“ საჭიროება ასეთი ხარისხით არ არსებობს გაზეთებთან, ჟურნალებთან და წიგნებთან მიმართებაში. ამ სფეროში საკმარისია „გარე პლურალიზმის“ (*external pluralism*) უზრუნველყოფა – ის, რომ ქვეყანაში არსებობდეს განსხვავებული შეხედულების გამომხატველი, სხვადასხვა

მიმართულებისა თუ ყაიდის ჟურნალები, გაზეთები თუ წიგნები.⁴³ თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ საკაბელო და სატელიტური ტელევიზიების ტექნოლოგიის განვითარებამ ასევე გამოიწვია განსხვავებულობა. ვინაიდან სატელიტური მაუწყებლობა სახელმწიფოს ტერიტორიის გარედან წარმოსდგება, მის შინაარსზე სახელმწიფო კონტროლს ვერ ახორციელებს. საკაბელო ტელევიზიას კი პრაქტიკულად ლიმიტები არა აქვს და ისედაც უამრავი არხია ხელმისაწვდომი მაყურებლისათვის.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადასტურებულია აგრეთვე, რომ **„ინფორმაციისა და იდეების მიღება საზღვრების მიუხედავად“** გულისხმობდა უცხოური მაუწყებლობის მიღების უფლებასაც, რომელიც ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს ავალდებულებდა, არ დაემვათ დისკრიმინაცია უცხოეთის მაუწყებლობის მიმართ, ხოლო ევროპულ სასამართლოს კი – შეზღუდვის დასაშვები სტანდარტების შემუშავებას ამ სფეროში საერთაშორისო რეჟიმის ხელშესაწყობად.⁴⁴

დაბოლოს, კიდევ ერთი მიმართება:

ჩვენ უკვე გავარკიეთ, თუ რა უფლებები იგულისხმება კონვენციის მე-10 მუხლის პირველ პუნქტში, რა არის მისი დაცვის საგანი. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ **ის რაც დაცულია, დაცულია განსხვავებული ხარისხით, არათანაბრად.** იდეებისა და ინფორმაციების მიღებისა და გავრცელების თავისუფლება ზოგჯერ მეტია და ზოგჯერ ნაკლები. დაცულობის სხვადასხვა ხარისხს სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს. ზოგჯერ ეს დაკავშირებულია იდეებისა და ინფორმაციების შინაარსთან, ზოგჯერ – მათი გამოხატვის ფორმებთან, მათი პროდუცირებისა და კომუნიკაციის საშუალებებთან; იმ სფეროსთან, რომელსაც იდეები თუ ინფორმაცია შეეხება და შესაბამის სფეროში ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლებთან; ისევე როგორც, ზოგჯერ – „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ ფაქტორთან. დაცულობის სხვადასხვა ხარისხი ყოველთვის შესაბამის გონივრულ თვალსაზრისს ემყარება. ამიტომ მიჩნეულია, რომ **იდეებისა და ინფორმაციების გავრცელება თუ მიღება მართალია დაცულია არათანაბრად, მაგრამ არადისკრიმინირებულად.** მაშინაც კი, როდესაც თავისუფლების შეზღუდვა ამ თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტის ვინაობას უკავშირდება, ესეც კი არ განიხილება დისკრიმინაციად კონვენციის მე-14 მუხლის გაგებით. მაგალითად,

⁴³ იხ. **Ress Georg**, *Media Law in the context of the European Union and the European Convention on Human Rights* კრებულში *protecting Human Rights: The European Perspective*, Mélanges à la mémoire/de studies in memory of **Rolv Ryssdal**, გვ.175.

⁴⁴ იხ. ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები: *Groppera Radio AG v. Switzerland*, judgment of 28 March 1990. series A N137. *X v. Sweden* 3071/67; 26 CD71(1968); *Informationsverein Lentia and others v. Austria*, judgment of 24 November, 1993, series A N276; *Purcell and Others v. Ireland*, DR 70. decision of 16 April 1991; *Radio X.S. and W v. Switzerland* no 10799/84; 37, DR 236 (1984) და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო მოხელეებსა და უცხოელებს გამოხატვის თავისუფლება შეზღუდული აქვთ. მაგრამ ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი დისკრიმინირებულ მდგომარეობაში არიან. კონვენციის მე-16 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ მე-10 (ისევე, როგორც მე-11) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლები არ გულისხმობს დაბრკოლებას მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის, დააწესონ შეზღუდვები უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე. (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შეზღუდვების პირობები გონივრული უნდა იყოს და ამის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა. ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, შემზღუდველი პირობები არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ძირითად არსს გამოაცლის).⁴⁵

ასეა თუ ისე, მართალია კონვენციის მე-10 მუხლში გათვალისწინებული უფლებები დაცულია სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ ყოველ კონკრეტულ გამოვლინებაში მათი ნებისმიერი შეზღუდვა მაინც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით უნდა იყოს გამართლებული, ვინაიდან საკუთრივ პირველი პუნქტი შეზღუდვის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. ერთადერთი გარემოება, რომლის საფუძველზეც შეიძლება წამოჭრილიყო პირველი პუნქტის საფუძველზე უფლების შეზღუდვის გამართლებულად მიჩნევის დასაშვებადობის საკითხი, არის პირველ პუნქტში იმ დებულების ჩართვა, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ლიცენზიის მიცემაზე უარის ყველა შემთხვევა მაინც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა შემოწმებულიყო.

ამრიგად, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ თუ არ გავითვალისწინებთ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების საკმაოდ შეზღუდულ გაგებას, კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი გამოხატვის თავისუფლებას მისი შინაარსის, გამოხატვის საშუალებებისა თუ სხვა ფაქტორების მიუხედავად იცავს მთლიანად და ყოველგვარი შეზღუდვა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მოითხოვს გამართლებას.

ამ საერთო წესიდან ძალზე იშვიათ გამონაკლისებს შემდეგი პარაგრაფი ეძღვნება.

⁴⁵ *Rommelfanger v. FRG*. 154; 161; 1989.

§5.2. «გამონატვა», რომელიც არ იმყოფება მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების სფეროში

ახლა, როდესაც ძირითადად გაარკვეით, თუ რა არის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცვის საგანი, ვუპასუხოთ დასაწყისში დასმულ მეორე კითხვას – არსებობს თუ არა გამონატვის ისეთი შემთხვევები, რომლებიც იმთავითვე არ იმყოფება 1-ლი პუნქტის დაცვის სფეროში; ანდა იმყოფება კიდევაც, მაგრამ მისი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება ხდება არა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, არამედ სხვაგვარად.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ეს საკითხი არსებითად უკავშირდება შეხედულებებისა და ინფორმაციების დაცულობის სხვადასხვა ხარისხს, რაც მათი შინაარსიდან წარმოდგება.

წინა პარაგრაფში ჩვენ დაწვრილებით არ შევხებივართ შინაარსის მიხედვით იდეებისა და ინფორმაციების დახასიათებასა თუ კლასიფიკაციას; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ძალზე დიდი და მრავალპლასტიანი თემაა. მეორეც იმიტომ, რომ იგი განგებ შემოვინახეთ ზემოაღნიშნული საკითხის ანალიზისათვის, რამდენადაც ის შემთხვევები, რომლებიც ზემოაღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხის საფუძველს იძლევიან, სწორედ შეხედულებებისა და ინფორმაციის შინაარსობრივ მხარეს უკავშირდება. საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნულ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა იოლი საქმე არ გამოდგა.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირება ისეთი ზოგადი და ფართოა, რომ შეიძლება ითქვას – იგი აზრის გამონატვის თავისუფლებას იცავს მთლიანად და ყოველგვარი გამონაკლისი ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მოითხოვს გამართლებას. მართალია გამონატვის თავისუფლება დაცულია სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ ეს გარემოება ამ მიმართებით არაფერს ცვლის. დაცულობის სხვადასხვა ხარისხი, ფაქტობრივად მხოლოდ იმის მაუწყებელია, თუ რა წინასწარი შანსი აქვს ამა თუ იმ „გამონატვას“ იმისა, რომ სხვა ღირებულებებთან კონფლიქტის დროს უპირატესობა მოიპოვოს და არ შეიზღუდოს. მთავარი ისაა, რომ ნებისმიერი შეზღუდვის შეფასება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ხორციელდება და გაუმართლებლად იქნება მიჩნეული, თუკი იგი არ არის „კანონით გათვალისწინებული“, ან არ ემსახურება მე-2 პუნქტში მითითებულ კანონიერ მიზანს; ანდა არ არის „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ეს გარემოება კი, თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ შესაბამისი „გამონატვა“, იმის მიუხედავად, ამა თუ იმ ღირებულებით კონფლიქტში მას პრიორიტეტი მიენიჭება თუ პირიქით, შეიზღუდება, მაინც მოცულია 1-ლი პუნქტით და, მამასადამე, საზოგადოდ დაცული.

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს ისეთი იშვიათი შემთხვევებიც, რომლებიც ამ საერთო წესს არ ექვემდებარებიან და იზღუდებიან არა კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტის, არამედ მე-17 მუხლის საფუძველზე, რომელიც უფლებათა ბოროტად გამოყენებას კრძალავს. გამონატვის თავისუფლების ბოროტად სარგებლობის ზოგიერთ შემთხვევაში ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სფეროში არ იმყოფება; საჩივარს მიუღებლად აცხადებს კონვენციის მე-10 მუხლთან მისი საგნობრივი შეუთავსებლობის გამო (*ratione materiae*) და სახელმწიფოს მხრიდან მათ შეზღუდვას მართლებულად მიიჩნევს კონვენციის მე-17 მუხლის საფუძველზე.

ახლავე შეიძლება გვეთქვა, თუ რომელია ასეთი შემთხვევები. მაგრამ გადავწყვიტეთ, ისეთი გზა აგვეჩივოთ, რომელიც თავად მიგვაგნებინებდა მათ. რაც მთავარია, ასეთი გზა მკითხველსაც გაუადვილებდა ჩაწვდომოდა იმ ლოგიკას, რომელსაც ევროპული სასამართლოს შესაბამისი მიდგომა ემყარება.

რთული არ არის იმის მიხედვით, რომ ზემოაღნიშნული გამონაკლისები ისეთ სფეროებსა თუ შემთხვევათა ისეთ კატეგორიას უკავშირდება, რომელთა დაცულობის ხარისხი წინდაწინვე მცირეა და ნაკლები წინასწარი შანსი აქვთ სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების დროს პრიორიტეტი მოიპოვონ და არ შეიზღუდონ. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა მოწმობს, რომ ზოგჯერ ასეთი დაცულობის ხარისხი ისეთი მცირეა, რომ ფაქტობრივად „არადაცულობის“ ვითარებას უთანაბრდება. ამიტომ გადავწყვიტეთ, ზემოაღნიშნული გამონაკლისები სწორედ ამ სუსტად დაცულ სფეროებში გვეძია.

მაშ რომელია ის იდეები და ინფორმაცია, რომლებიც ძალზე სუსტი დაცვით სარგებლობს?

იმისათვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ და მის ლოგიკასაც ჩავწვდეთ, ყველაფერი საერთო კანონზომიერების ჭრილში უნდა დავინახოთ. უწინარესად, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, თუ პრაქტიკულად როდის არსებობს ყველაზე უფრო მეტი შანსი იმისა, რომ გამონატვის თავისუფლებამ ღირებულებით კონფლიქტში პრიორიტეტი ვერ მოიპოვოს და შეიზღუდოს, და არსებობს თუ არა მისი ისეთი ნიშან-თვისებები თუ მახასიათებლები, რომლებიც ძალზე დიდი ალბათობით ამცირებენ პრიორიტეტის შანსს და ზრდიან შეზღუდვის გამართლებულობის შესაძლებლობას.

თავის მხრივ, ზემოაღნიშნულ კითხვებზე ლოგიკურ პასუხს ძალზე იოლად მივაგნებთ, თუ ჯერ საპირისპირო შემთხვევებს დავაკვირდებით:

როდის არსებობს ყველაზე დიდი პერსპექტივა იმისა, რომ გამონატვის თავისუფლებამ ღირებულებით კონფლიქტში პრიორიტეტი მოიპოვოს და არ შეიზღუდოს?

სრულიად ცალსახად შეიძლება ითქვას: ასეთი პერსპექტივის არსებობა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც შესაბამისი იდეა თუ ინფორმაცია შეეხება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს და იმავდროულად წარმოადგენს ამ საკითხზე თავისუფალ საჯარო დებატებში მონაწილეობას. სწორედ ეს გახლავთ ის მთავარი ნიშან-თვისება, რომლის დროსაც ძალზე დიდი ალბათობაა იმისა, რომ პრიორიტეტი გამოხატვის თავისუფლებას მიენიჭოს.

კიდევ ერთი: ცნობილია, რომ გამოხატვის თავისუფლებას ორმაგი დატვირთვა აქვს: ერთი მხრივ, იგი პიროვნების თვითრეალიზაციის საშუალებაა, ხოლო მეორე მხრივ – საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე თავისუფალი დისკუსიისა. შესაბამისად, უდავოა, რომ ამ თავისუფლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება და ღირებულებით კონფლიქტში მისი პრიორიტეტულობის დიდი პოტენცია სწორედ მისი ამ მეორე დატვირთვიდან წარმოდგება. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ როდესაც ეს ფაქტორი არ არსებობს, გამოხატვის თავისუფლება, როგორც მხოლოდ პიროვნების თვითრეალიზაციის საშუალება, ღირებულებით კონფლიქტში პრიორიტეტის აღების ისეთ დიდ პოტენციას ვეღარ შეიცავს,¹ და პირიქით. ამასთან, საზოგადოებისათვის რაც უფრო საჭირობოროტო საკითხს შეეხება შესაბამისი იდეა თუ ინფორმაცია, რაც უფრო მეტია მისი წვლილი ამ საკითხების თავისუფალ განხილვაში და, მით უფრო, – ჭეშმარიტების მიღწევაში, მით მეტია ასეთი „გამოხატვის“ ღირებულებითი მნიშვნელობა და მისი დაცულობის საჭიროება დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ამრიგად: **ინტერესთა დაპირისპირების დროს გამოხატვის თავისუფლების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს მისი ღირებულებითი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე თავისუფალი საჯარო დებატების კონტექსტში.** შესაბამისად, როდესაც ასეთი ღირებულებითი მნიშვნელობა ძალიან მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს, ნაკლები მოტივებილა რჩება ინტერესთა დაპირისპირების დროს მისთვის პრიორიტეტის მისანიჭებლად.

სწორედ ამიტომაც მაგალითად, შეურაცხმყოფელი ან უხამსი გამონათქვამები ძალიან ცუდად დაცული, ანდა საერთოდ დაუცველი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მათ ძალზე მცირე ღირებულება გააჩნიათ ჭეშმარიტებასთან მიახლოების საქმეში. საგულისხმოა, რომ სწორედ „ღირებულებითი არარაობა“ ასეთი გამონათქვამების დაუცველობის მთავარი არგუმენტი აშშ-სა და კანადის კონსტიტუციურ სამართალში.² ცხადია, არც ის არის შემთხვევითი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში წარმოიშვა შეხედულება, „გამოხატული აზრის“

¹ ამის დასტურია მაგალითად ის, რომ „შემოქმედებითი თვითგამოხატვა“ ინტერესთა კონფლიქტის დროს არ სარგებლობს ისეთივე ძლიერი დაცვით, როგორც მაგალითად პოლიტიკურ საკითხებზე შეხედულებების გამოხატვა.

² მაგალითისათვის იხილეთ საქმე *Miller v. California* (1973)

ღირებულებისდა მიხედვით განსაზღვრულიყო, ისარგებლებდა თუ არა იგი კონვენციის მე-10 მუხლის დაცვით. თუმცა, ეს ნაბიჯი მაინც არ გადაიდგა. როგორც **დ. ჰარისი, მ.ო.ბოილი და ს. უორბრიკი** აღნიშნავენ, „ღირებული“ და „არაღირებული“ აზრების (*“valuable” and “valueless” opinions*) გამიჯვნის მცდელობა საჭირო არ იყო, ვინაიდან კონვენციის მე-10 მუხლი ისედაც დიდ გასაქანს იძლეოდა საიმისოდ, რომ სახელმწიფო აღჭურვილიყო „არაღირებული აზრების“ შეზღუდვის უფლებამოსილებით, თუკი შეძლებდა ამის აუცილებლობის დემონსტრირებას. მათი აზრით, „ზოგიერთი აზრის გამოხატვის გამორიცხვა კონვენციიდან შექმნიდა გადაულახავ სირთულეებსა და პრობლემებს იმის განსაზღვრისას, თუ რომელი მათგანი უნდა მიჩნეულიყო მე-10 მუხლით დაცულად, და რომელი არა.³

იმის მიუხედავად, რომ ევროპულმა სასამართლომ აირჩია მიდგომა, „არაღირებული აზრები“ არ გამოეძევებინა კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული სფეროდან, უდავოა, რომ გავრცელებული იდეებისა თუ ინფორმაციების ღირებულებით მნიშვნელობას საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან მიმართების კონტექსტში იგი ყოველთვის ითვალისწინებდა მათი შეზღუდვის გამართლებულობის დასაბუთებისას. საქმეში *Otto Preminger Institut v. Austria* კი ისეთი განმარტება მისცა, რომელმაც წარმოშვა კითხვა, ხომ არ იყო ეს ისეთი შემთხვევის აღწერა, რომელსაც სტრასბურგის სასამართლო კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების ფარგლებს გარეთ ამყოფებდა. კერძოდ, მან თქვა, რომ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების უხეში შეურაცხყოფა და მათი უფლებების დარღვევა არ წარმოადგენდა რაიმე ფორმით ისეთ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობას, რომელიც ხელს შეუწყობდა შემდგომ პროგრესს საკაცობრიო საკითხებში.⁴

ეს განმარტება მართლაც ორნაირად შეიძლებოდა გაგებულიყო.

ა) ან ევროპულმა სასამართლომ ახსნა, რომ მძიმე შეურაცხყოფელი გამონათქვამები არ ჩაითვლებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად და ამიტომ არ იმსახურებდა დაცვას;

ბ) ან მან დამატებით ისიც განსაზღვრა, რომ შეურაცხყოფელ გამონათქვამები, რომლებსაც არ შეჰქონდათ წვლილი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების განხილვაში, საერთოდ არ ჩაითვლებოდა „გამოხატვად“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით. ევროპული სასამართლოს მთელი პრაქტიკა და საკუთრივ *ოტო პრემინგერის ინსტიტუტის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მოწმობს, რომ რა თქმა უნდა, „ა“ ვარიანტია მართებული. „ბ“ ვარიანტის

³ **D.G.Harris, M.O.Boyle, C.Warbrick.** *Law of the European Convention on Human Rights*; Butterwarths, London, Dublin, Edinburgh, 1995; reprinted 1999; გვ.378.

⁴ *Otto-Preminger-Institut v. Austria*, A 295 A §49 (1994).

მართებულობის შემთხვევაში (ლოგიკურად) მათი უარყოფა მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე განხორციელდებოდა. ევროპულმა სასამართლომ კი მოცემულ საქმეში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ცნო.

ამგვარად, *ოტო პრემინგერის* საქმეში მიცემული განმარტება, მართალია, არ არის იმის დასტური, რომ შეურაცხყოფელი გამონათქვამები, რომლებსაც არანაირი ფორმით არ შეაქვთ წვლილი საერთო ინტერესის საკითხებზე საჯარო დებატებში, საერთოდ არ ჩაითვლებიან „გამოხატავად“ მე-10 მუხლის გაგებით, მაგრამ იმის დასტური კი ნამდვილად არის, რომ მათი ღირებულებითი მნიშვნელობა უკიდურესად მცირეა და სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვისაგან ძალზე სუსტი დაცვა გააჩნიათ. ამასთან, აღნიშნული განმარტება საერთო მიდგომის, საერთო სულისკვეთების გამომხატველი უფროა, ვიდრე იურიდიული პოსტულატი იმის განსაზღვრისას, თუ როგორი გამონათქვამები არ ჩაითვლებოდა ისეთ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად, რომელი ქვეყნის პროგრესს შეუწყობდა ხელს.

ეს განმარტება სიტყვა-სიტყვით, პირდაპირ რომ გაგვეგო, მაშინ ნებისმიერი, სხვისთვის შეურაცხყოფელი და სხვათა უფლებების დამრღვევი იდეებისა თუ ინფორმაციის შეზღუდვა გამართლებულად უნდა მიჩნეულიყო. ეს კი განსხვავებული აზრებისადმი დემოკრატიულ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ტოლერანტულ და შემწყნარებლურ დამოკიდებულებასთან შეუთავსებელი იქნებოდა. იგი წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდა *Handyside*-ს სახელმძღვანელო პრინციპთანაც, რომლის მიხედვით გამოხატვის თავისუფლება მოიცავს სხვისთვის „შეურაცხყოფელ, გამაოგნებელ და შემამოფოთებელ“ იდეებსა თუ ინფორმაციას. შემთხვევითი არც ის გახლავთ, რომ ევროპული სასამართლოს შემდგომმა პრაქტიკამ უარი თქვა გაემეორებინა *ოტო პრემინგერის* საქმის განჩინების ეს ცნობილი დებულება (სავარაუდოდ სწორედ იმიტომ, რომ იგი ისეთი ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლეოდა, რომელიც შეიძლებოდა წინააღმდეგობაში აღმოჩენილიყო გამოხატვის თავისუფლების ფუძემდებლურ პრინციპებთან) **ლოუსონმა** და **სხერმერსმა** სამართლიანად მიუთითეს, რომ იგი ფრთხილ მიდგომას საჭიროებდა.⁵ ჩვენი შეხედულებაც ისაა, რომ იგი გაგებული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური რწმენის (რაც ძალზე მგრძობიარე სფეროა) კონტექსტში და ვიწროდ: რომ მორწმუნეთა რელიგიური გრძობების შეურაცხყოფას **ნაკლები შანსი აქვს** მიჩნეულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე საჯარო დებატებში წვლილის შეტანად, მისი ღირებულებითი მნიშვნელობა მცირეა და ამდენად, – ნაკლებად იმსახურებს დაცულობას.

⁵ R.A.Lawson & H.G.Schermer, *Leading Cases of the European Court of Human Rights*, second edition, 1999, გვ.573.

დაახლოებით ასეთივე ინტერპრეტაციის მომხრეები არიან **ჰარისი, ო'ბოილი და უორბრიკი**. მათი შეხედულებით, ოტო პრემინგერის საქმე იყო იმისი ილუსტრაცია, რომ მცირედ ღირებული აზრები დაცული იყო კონვენციის მე-10 მუხლით.⁶

საბოლოო ჯამში, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არაღირებული, ნაკლებად ღირებული, ან უსარგებლო იდეები, შეხედულებები და ინფორმაცია, ისინიც, რომლებიც ვერ ჩაითვლებიან საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად, ანდა ამისი ნაკლები შანსი გააჩნიათ, მაინც კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების ფარგლებში არიან მოქცეული, არასდროს წარმოადგენენ მე-10 მუხლის გამოყენებადობის გამომრიცხველ გარემოებას და ცალკე აღებული, არასდროს ქმნიან საკმარის ფორმალურ იურიდიულ საფუძველს მათი დაცულობის უარსაყოფად. მაგრამ, პრაქტიკულად, კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტში მათი დაცულობის პერსპექტივა უკიდურესად მცირეა და, როგორც წესი, პრიორიტეტი მათთან დაპირისპირებულ ღირებულებას ენიჭება.

შესაბამისად, მძიმე შეურაცხყოფელი გამოთქმები, უხამსობა, პორნოგრაფია, სხვა სფეროები თუ ცალკეული შემთხვევები, რომელთა მიმართებაშიც ზემოაღნიშნული შეფასებების გამოყენება შესატყვისია, თეორიულად გამორიცხული არ არიან მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების სფეროდან, თუმცა, ფაქტობრივად არ არიან დაცული. ვფიქრობთ, აქ სწორედ ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც **„ფაქტობრივად დაუცველობის ვითარება“ ემიჯნება, ანდა, „უთანაბრდება“ კიდევაც „სამართლებრივად დაუცველობის“ ვითარებას.**

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი თუ მახასიათებელი, რომელიც ძალიან აადვილებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, წარმოადგენს ამ თავისუფლებისაგან განუყოფელი **„მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევა**, რომლის ყველაზე უფრო უარეს გამოვლინებას წარმოადგენს **ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენება**. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი **„მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევას** პირდაპირ უკავშირებს სანქციების, წესების, შეზღუდვებისა და პირობებისადმი გამომხატვის თავისუფლების დაქვემდებარების შესაძლებლობას.

აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია შემდეგი: რაც უფრო მეტია **„მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის ხარისხი**, ამა თუ იმ კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული რეალური თუ პოტენციური ზიანი და, საკუთრივ ამ კანონიერი ინტერესის მნიშვნელობა, მით უფრო მეტია გამომხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლება.

⁶ D.C.Harris, M.O'Boyle, C.Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 1995, გვ .374.

ასე რომ, საძიებელ „გამონაკლისებს“ და მასთან მიახლოებულ შემთხვევებს სწორედ ამ ორიენტირების საშუალებით უნდა მივაგნოთ.

საშიში სოციალური შედეგების გამოწვევის თვალსაზრისით ძალზე „ეფექტიანია“ დანაშაულისა თუ სხვა სამართალდარღვევათა ჩადენისაკენ წაქეზება. ასეთ დროს, „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დარღვევის ხარისხი ძალიან მაღალია“. ამიტომაც, თუკი რაიმე იმსახურებდა მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების ფარგლების გარეთ გატანას, ეს თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო ძალადობის, დანაშაულის და სხვა უკანონო მოქმედებების წაქეზება.

მაგრამ როგორია პრაქტიკა?

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩადენისაკენ სხვათა წაქეზება, თავისთავად დემოკრატიის ანტითეზას წარმოადგენს,⁷ ევროპული სასამართლო მას მაინც არ გამორიცხავს მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან და მისი შეზღუდვის გამართლებულობას მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აფასებს. თუმცა, მათ შეზღუდვას საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ეროვნული უშიშროებისა და სხვა პირთა უფლებების დასაცავად, როგორც წესი, გამართლებულად მიიჩნევს, ანუ, ფაქტობრივად არ იცავს.⁸

„ამა თუ იმ აზრის სხვისათვის თავსმოხვევა ან მათი მოსმენის ვინმესათვის იძულება მისსავე საცხოვრებელ ბინაში, პოტენციური შედეგების გათვალისწინებით, უფრო ნაკლებად საშიშია, ვიდრე ძალადობისა და კანონის დარღვევისაკენ მოწოდება, მაგრამ „მოვალეობისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის ხარისხი აქ ასევე ძალზე მაღალია. იგი თავისი სპეციფიკურობის გამოც იპყრობს ყურადღებას. ასეთი „გამოხატვა“, შეიძლება ითქვას, პიროვნებაზე ძალადობისა და აგრესიის თავისებური ფორმაა და შორს სცილდება „თავისუფალი დისკუსიების“ შინაარსსა და ფარგლებს. ამ თვალსაზრისით, იგი გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამიტომ, ისიც თავისუფლად შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა იმ კატეგორიისათვის, რომელიც „არ იმსახურებდა“ კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცულ სფეროში ყოფნას.

საგულისხმოა, რომ საზოგადოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში ასეთი და მსგავსი შემთხვევებისადმი (მათ შორის „არასათანადო (უკანონო) პროზელიტიზმისადმი“) დამოკიდებულება უარყოფითია. უფრო მეტიც, მიჩნეულია,

⁷სწორედ ასეთი შეფასება მისცეს ძალადობისა და უკანონობისაკენ წაქეზებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტმა ბატონმა **ლუციუს ვილდჰაბერმა** და ევროპული სასამართლოს სხვა მოსამართლეებმა თავიანთ ერთობლივ „განსხვავებულ აზრში“ საქმეზე *სურეკი და ოზდემირი თურქეთის წინააღმდეგ (Sürek and Özdemir v. Turkey, judgment of 8 July 1999)*. იხ. joint partly dissenting opinion of judges *Wildhaber, Küiris, Strážnicka, Baka and Traja*.

⁸გამონაკლისები შეიძლება უკავშირდებოდეს შემთხვევებს, როდესაც ძალადობისაკენ წაქეზება გადმოცემულია მხატვრული ფორით. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოხატვის „მხატვრული ფორმა“ განაპირობებს მსმენელთა მცირე აუცილობიან და ამასთანავე ამცირებს ხალხზე ზემოქმედების შესაძლებლობას. (იხ. საქმე *Karataş v. Turkey, judgment of 8 July 1999*).

რომ ასეთი ქმედება საკუთრივ გამოხატვის თავისუფლების ნეგატიური უფლების დარღვევაა⁹ (მართლაც, შეხედულებებისა და ინფორმაციების გამოხატვის გავრცელებისა და მიღების თავისუფლება, ნეგატიურ პლანში, გულისხმობს როგორც პიროვნების თავისუფლებას, არ გამოავლინოს საკუთარი აზრი, აგრეთვე, იმას, რომ უარი თქვას ვინმეს მოსმენაზე).

მაგრამ, სტრასბურგს სასამართლოს პრეცედენტების მიხედვით, ასეთი შემთხვევები ზოგჯერ რეალური დაცვითაც სარგებლობს.

მაგალითად, როდესაც საქმე რელიგიური აზრების გამოხატვას შეეხება, მათი შეზღუდვის გამართლებულობა კონვენციის მე-9 მუხლის კონტექსტში ფასდება. ეს კონტექსტი კი იმას გულისხმობს, რომ ასეთი აზრების „თავსმოხვევა“ (თუ აშკარად მიუღებელ ფორმებთან და საშუალებებთან არა გვაქვს საქმე) „რელიგიური რწმენის პროპაგანდად“ შეიძლება იქნეს მიჩნეული, რაც რელიგიის თავისუფლების უფლების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. შესატყვისი მაგალითია საქმე *Kokkinakis v. Greece*. ამ საქმეში მომჩივნები მიუთითებდნენ, რომ მათი ნაცნობი იელოველი ცოლ-ქმარი, მათი ნების საწინააღმდეგოდ, მათსავე ბინაში ეწეოდა თავიანთი რელიგიური იდეების პროპაგანდას და თავს ახვევდა მათთვის მიუღებელ შეხედულებებს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იელოვას მოწმეების ქცევაში არაფერი იყო უკანონო და რომ ისინი ახორციელებდნენ რელიგიის თავისუფლების უფლებას, რომელიც თავისთავში გულისხმობდა რელიგიური იდეების პროპაგანდის უფლებას საკუთარ რელიგიაზე სხვათა მოქცევის მიზნით.¹⁰

„არდაცულობის“ ვითარება ძალზე ხშირად უკავშირდება გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.

საერთოდ ძნელია მკვეთრი მიჯნების გავლება და იმის ზუსტად განსაზღვრა, სად და როდის გადაიზრდება თავისუფლების თანაარსი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ უგულვებელყოფა ამ თავისუფლების ბოროტად სარგებლობაში. ერთი რამ ცხადია: გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება უთუოდ გულისხმობს „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ უხემ დარღვევას და, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს მის უკიდურეს, უარეს გამოვლინებას.

შესაბამისია მისდამი დამოკიდებულებაც: როგორც წესი, ის ყოველთვის დაუცველია (ფაქტობრივად),¹¹ მაგრამ, სხვადასხვა შემთხვევებისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარია.

⁹ D.G.Harris, M.O.Boyle, C.Warbrick. *Law of the European convention on Human Rights*; Butterwarths, London, Dublin, Edinburgh, 1995; reprinted 1999; გვ.373.

¹⁰ *Kokkinakis v. Greece*, judgment of 25 May 1993.

¹¹ მაგალითისათვის იხ. საქმეები *Engel and Others v. Netherlands*, (judgment of 8 June, 1976, series A. No22) და *R.Volkmer v. Germany* (decision of 22 November 2001).

– ზოგჯერ ამ ფაქტორის არსებობა შესაბამისი შემთხვევის დაუცველობის დასაბუთების სისტემაზე გავლენას ვერ ახდენს; მისი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება მაინც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ჭრილში ხორციელდება.

– ზოგჯერ კი (და ეს იშვიათად ხდება), ვითარება პრინციპულად იცვლება. ევროპული სასამართლო გამონაკლისს უშვებს და აცხადებს, რომ შესაბამისი შემთხვევა მე-10 მუხლის მოქმედების ფარგლებიდან გადის. იგი იშველიებს კონვენციის მე-17 მუხლს, რომელიც კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებისა და თავისუფლებების ბოროტად გამოყენებას კრძალავს.

ამრიგად, გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც არა მარტო ფაქტობრივად, არამედ სამართლებრივადაც არ არის დაცული და რომლებსაც არ მოიცავს კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი, უკავშირდება გამონატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი მიდგომის საყრდენი მხოლოდ მე-17 მუხლი კი არ არის, არამედ მთელი კონვენცია და მისი სისტემა, უწინარესად კი მისი პრეამბულა, რომელშიც გადმოცემულია კონვენციის საერთო სულისკვეთება, მისი ღირებულებები და პრინციპები.

როდესაც „გამონატვის“ შესაბამისი შემთხვევა ეწინააღმდეგება გამონატვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებას, კონვენციის ღირებულებებსა და პრინციპებს, ევროპული სასამართლოს აზრით, ეს წარმოადგენს გამონატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების ისეთ შემთხვევას, რომელიც კონვენციის მე-17 მუხლს გაჭყავს მე-10 მუხლით დაცული სფეროდან. ამიტომ, შესაბამის საჩივრებს კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში მიუღებლად მიიჩნევს „საგნობრივი შუათავსებადობის“ გამო (*ratione materiae*). ეს გარემოება დამატებითი, ასე ვთქვათ, „პროცესუალური დადასტურებაა“ იმისა, რომ შესაბამისი „გამონატვა“, მართლაც, საერთოდ არ იმყოფება კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სფეროში.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთ არაორდინარულ გადაწყვეტილებებს ევროპული სასამართლო ძალზე იშვიათად იღებს (და არა ყოველთვის, ანდა ხშირად, როცა კი საქმე გამონატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას შეეხება); ასეთ გადაწყვეტილებას ევროპული სასამართლო მაშინ იღებს, როდესაც საქმე აქვს უფლებათა ბოროტად გამოყენებასთან მე-17 მუხლის გაგებით¹² და თანაც, არა ყოველთვის. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ნაწილობრივ წარმოადგება

¹² „უფლებათა ბოროტად გამოყენება“ ფართო ცნებაა. მისი შინაარსი, აუცილებელი ნიშან-თვისებები და ფარგლები მკვეთრად განსაზღვრული არ არის. ცხადია, როდესაც საქმე შეეხება კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენებას, უნდა არსებობდეს „უფლებათა ბოროტად გამოყენების“ ისეთი შემთხვევა (გაგება), როგორც საკუთრივ მე-17 მუხლშია აღწერილი.

მე-17 მუხლის საერთო დანიშნულებიდან¹³ და იმ როლიდან, რომელიც მას კონვენციის სისტემაში ეკისრება: იგი გამოიყენება, როგორც **ბოლო, უკიდურესი საშუალება (instrument of last resort)**.¹⁴

ცხადია, ყველაზე მეტი საფუძველი იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლების ესა თუ ის განხორციელება ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვალოს მე-17 მუხლის გაგებით, მაშინ არსებობს, როდესაც საქმე გვაქვს **ომისა და ძალადობის პროპაგანდასთან, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური თუ სხვაგვარი შეუწყნარებლობის გამოვლინებასთან (hate speech)**, მაგრამ მიჩნეულია, რომ მაშინაც კი, როდესაც მე-17 მუხლის შესატყვისობა დადგენილია, მისი გამოყენების საკითხი უნდა გადაწყდეს იმ საფრთხის სერიოზულობის ხარისხის მიხედვით, რომელიც დემოკრატიულ სისტემას შეექმნა.¹⁵

ევროპული სასამართლოს შესატყვისი პრეცედენტები ძირითადად უკავშირდება კომუნისტური, რასისტული და ქსენოფობიური ჯგუფების მიერ გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.¹⁶

საგულისხმოა, რომ ასეთი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის პრაქტიკაც. მაგალითად, საქმეში *Glimmerveen and Hagenback v. the Netherlands* ევროპული კომისია დაეყრდნო კონვენციის მე-17 მუხლს, რათა გაემართლებინა მე-10 მუხლითა და 1-ლი ოქმის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომჩივნის უფლებების შეზღუდვა, კერძოდ, მისი მსჯავრდება რასისტული პამფლეტების გავრცელებისათვის და რასისტული პლატფორმით არჩევნებში მონაწილეობიდან გამორიცხვა.¹⁷

კონვენციის მე-17 მუხლზე დაყრდნობით მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან ევროპულმა სასამართლომ ყველაზე უფრო ხშირად რასისტული, რელიგიური სიძულვილის გამომხატველი ისეთი შეხედულებები გამორიცხა, რომლებიც **ამკარად აგრესიული** იყო, ანდა წარმოადგენდა ისტორიულად ზუსტად დადგენილი ფაქტების – **ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის (ებრაელთა ღვანა,**

¹³ კონვენციის მე-17 მუხლს „უჩვეულოს“ უწოდებენ, ვინაიდან მისი მომარჯვება და გამოყენება შეუძლია როგორც ინდივიდს სახელმწიფოს წინააღმდეგ, ისე სახელმწიფოს ინდივიდის უფლებაში ჩარევის გამართლების დასასაბუთებლად. მისი ფუნქცია ემსახურება დემოკრატიული ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირებისა და ტოტალიტარიზმის საფრთხის თავიდან აცილების უზრუნველყოფას. იგი შემოღებული იქნა, როგორც ინსტრუმენტი, პოლიტიკური უფლებებით კომუნისტური მანიპულაციების წინააღმდეგ. დღესდღეობით იგი ფოკუსირდება რასობრივ და ტერორისტულ ჯგუფებზე. იგი, იმავდროულად, წარმოადგენს დამატებითი კონტროლის საშუალებას საიმისოდ, რომ სახელმწიფომ კონვენციის მე-15 მუხლი („კონვენციიდან უკან დახევა“) თვითნებურად არ გამოიყენოს. **D.G.Harris, M.O.Boyle, C.Warbrick. Law of the European convention on Human Rights**; Butterwarths, London, Dublin, Edinburgh, გვ.510-512.

¹⁴ Cf *Purcell v. Ireland*, No 15404/89. 262, 278 (1991).

¹⁵ *De Becker v. Belgium*. No 214/56 B2 (1960) Com Rep. para 279.

¹⁶ *W.P. and Others v. Poland*. No 42264/98, 2 September 2004; *Schimanek v. Austria*. No 32307/96, 1 February 2000.

¹⁷ No 8348/78 and 8406/78, *Glimmerveen and Hagenback v. the Netherlands*, 18 DR 187 (1979)

ჰოლოკოსტი და სხვ.) უარყოფას, რევიზიას ანდა აპოლოგიას და იმავდროულად გულისხმობდა რასობრივი ნიშნით დიფამაციას.

ნაკლებად აგრესიული შეხედულებების მიმართ ევროპული სასამართლო კონვენციის მე-17 მუხლს არ იშველიებს, მე-10 მუხლს გამოყენებად მიიჩნევს და ამ მუხლთან მიმართებაში საჩივრის მიუღებლად ცნობისას არსებით არგუმენტად მის „აშკარა უსაფუძვლობას“ მიუთითებს.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ასაბუთებს სტრასბურგის სასამართლო ამ უიშვიათეს გამონაკლისებს, კერძოდ, კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან განსაზღვრული შინაარსის შეხედულებების ამორიცხვას მე-17 მუხლის მოშველიებით, გაგაცნობთ ერთ-ერთი ახალი საქმის *გალოდი საფრანკეთის წინააღმდეგ (Garaudy v. France)* შინაარსს. იგი შეეხებოდა ისტორიულად ზუსტად დადგენილი ფაქტების – ჰოლოკოსტისა და სხვათა უარყოფას.

მომჩივანმა (მწერალმა და ფილოსოფოსმა) დაწერა წიგნი: „მითები, რომლებიც საფუძვლად უდევს ისრაელის პოლიტიკას (*Les mythes, fondateurs de la politique israélienne*)“. წიგნის გამოქვეყნების შემდეგ რამდენიმე ორგანიზაციამ წარადგინა სარჩელი იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომლებიც მათ განიცადეს წიგნის ავტორის მიერ საჯარო რასობრივი დიფამაციის და მათ მიმართ სიძულვილისა და აგრესიის გაღვივების შედეგად. მომჩივნის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. საბოლოო ჯამში, ის ცნობილი იქნა დამნაშავედ „ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა უარყოფისათვის“, აგრეთვე, გარკვეულ პირთა ჯგუფის (ებრაელების) საჯარო დიფამაციის, რასობრივი დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ზიზღის გაღვივებისათვის.

ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი მე-10 მუხლთან მიმართებაში მიუღებლად ცნო „საგნობრივი შეუთავსებლობის“ და „აშკარა უსაფუძვლობის“ მოტივებით. მან კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებადობის თვალსაზრისით განსხვავებულად შეაფასა მომჩივნის წიგნში გამოთქმული შეხედულებები: მათი ერთი ნაწილი, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის დადგენილი და საყოველთაოდ აღიარებული ფაქტების უარყოფა, მან არ მიიჩნია „აზრის გამონატავად“, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით იყო დაცული და რომლის შეზღუდვის გამართლებულობაც ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო. ამიტომ, მასთან მიმართებაში საჩივრის მიუღებლობის მოტივად მან „საგნობრივი შეუთავსებლობა“ დაასახელა. ხოლო ისეთ შეხედულებებთან მიმართებაში კი, რომლებიც მან შესაძლებლად ჩათვალა, რომ „გამონატავად“ მიჩნეულიყო მე-10 მუხლის გაგებით, საჩივარი „აშკარა უსაფუძვლობის გამო“ არ მიიღო (რამდენადაც მათი შეზღუდვა საჩივრის მისაღებობის სტადიაზევე გამართლებულად შეაფასა).

ევროპულმა სასამართლომ კერძოდ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება განსაზღვრულ შეზღუდვებს ექვემდებარებოდა; **პრონაციისტული პოლიტიკის გამართლება**, ისევე, როგორც **ზუსტად დადგენილი ისტორიული ფაქტების (მაგალითად, ისეთების, როგორც იყო ჰოლოკოსტი – ფაშისტების მიერ ებრაელთა მასობრივი განადგურება და სხვა) უარყოფა ან რევიზია საერთოდ არ ხვდებოდა კონვენციის მე-10 მუხლის გარანტიების ქვეშ**. ევროპული სასამართლოს მითითებით, კონვენციის მე-17 მუხლს ასეთი შემთხვევები კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების სფეროდან გაჰყავდა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მსჯავრდება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის უარყოფისათვის უნდა შეფასებულიყო მე-17 მუხლის კონტექსტში. წიგნში მომჩივანი საეჭვოს ხდიდა მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ისეთი ისტორიული ფაქტების ნამდვილობას, რომლებიც კარგად და ზუსტად იყო დადგენილი. კერძოდ – ნაციისტური რეჟიმის მიერ ებრაელთა დევნას, ჰოლოკოსტს, ნიუნბერგის სასამართლოს. ის, აგრეთვე, უარყოფდა ნაციისტების მიერ ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმესა და ხარისხს. ევროპული სასამართლოს აზრით, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა უარყოფა წარმოადგენდა ებრაელთა რასობრივი დიფამაციისა და მათ მიმართ სიძულვილის გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე უფრო გამოკვეთილ ფორმას. ასეთი მასშტაბის ისტორიული ფაქტების უარყოფა ან რევიზია ძირს უთხრიდა იმ ღირებულებებს, რომლებიც საფუძვლად ედო ბრძოლას რასიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ და შეექმლო სერიოზული ზიანი მიეყენებინა საზოგადოებრივი წესრიგისათვის. ასეთი მოქმედებები უხეშად ხელყოფდა სხვა პირთა უფლებებს და შეუთავსებელი იყო დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან. მასზე პასუხისმგებელი პირები, ევროპული სასამართლოს აზრით, ეჭვგარეშეა რომ ისახავდნენ მიზნებს, რომლებიც აკრძალული იყო კონვენციის მე-17 მუხლით.¹⁸

სასამართლომ ისიც მიუთითა, რომ მომჩივნის წიგნის შინაარსის დიდი ნაწილი, ნაშრომის საერთო ტონალობა და, შესაბამისად, მისი მიზანი, თავისი ხასიათით ნიჰილისტური იყო და ეწინააღმდეგებოდა კონვენციის ფუძემდებლურ პრინციპებს, რომლებიც კონვენციის პრეამბულაში იყო ასახული, კერძოდ – სამართლიანობასა და საყოველთაო მშვიდობას. ევროპული სასამართლოს აზრით, მომჩივანი ცდილობდა კონვენციის მე-10 მუხლი ბოროტად გამოეყენებინა ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის არსსა და სულისკვეთებას. მისი მითითებით, თუ ასეთი მიზნები დაშვებულად იქნებოდა

¹⁸ იგულისხმება კონვენციით გაცხადებული რომელიმე უფლების ან თავისუფლების არარად ქცევის, ან მათი იმაზე მეტი ხარისხით შეზღუდვის მიზანი, ვიდრე ეს საკუთრივ კონვენციით არის გათვალისწინებული.

აღიარებული, ისინი არარად გადააქცევდნენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის მე-17 მუხლის ძალით, მომჩივანი ველარ მოიშველიებდა მე-10 მუხლს ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის უარყოფის გამო პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად.

მან საჩივარი მიუღებლად ცნო „საგნობრივი შეუთავსებლობის“ გამო.

ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლომ არ უარყო მომჩივნის საჩივრის განხილვის შესაძლებლობა კონვენციის მე-10 მუხლის კონტექსტში წიგნის იმ ნაწილთან მიმართებაში, რომელშიც გადმოცემული იყო ისრაელის სახელმწიფოსა და ებრაელთა სათვისტომოს მოქმედებათა კრიტიკა, რაც ერთ-ერთი საფუძველი გახდა მომჩივნის დასჯისა, მათ შორის – რასობრივი დიფამაციისა და რასობრივი სიძულვილის გავრცელებისათვის.

ძალზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ევროპულმა სასამართლომ აქაც საეჭვოდ მიიჩნია კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებადობა. მან მიუთითა, რომ სასამართლოს სერიოზული ეჭვები გააჩნდა, შეიძლებოდა თუ არა, წიგნის საერთო ნიჰილისტური ტონალობის გათვალისწინებით, ასეთი შეხედულებების გამოხატვა მოქცეულიყო კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების ქვეშ. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მან დაუშვა, რომ ისინი შეიძლებოდა მიჩნეულიყო „გამოხატავად“ მე-10 მუხლის გაგებით. შესაბამისად, მისი შეზღუდვის გამართლებულობა მე-10 (II) მუხლის საფუძველზე უნდა გარკვეულიყო.

მან უდაოდ მიიჩნია, რომ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა ემსახურებოდა კონვენციით გათვალისწინებულ სულ მცირე, ორ კანონიერ მიზანს - „უწყესრიგობასა და დანაშაულის თავიდან აცილებას“, და, „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას“. სასამართლომ წიგნის მთელი შინაარსისა და ტონალობის გათვალისწინებით, უყოყმანოდ აღიარა შეზღუდვის საფუძველების „შესაბამისობა და საკმარისობა“ და, მასთან ერთად, მომჩივნის უფლებებში სახელმწიფოს ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და ამ მიმართებაში საჩივარი მიუღებლად ცნო „აშკარა უსაფუძველობის“ მოტივით.¹⁹

ისტორიული ფაქტების რევიზიასა და ამ გზით სხვა პირთა დიფამაციას შეეხებოდა აგრეთვე საქმე *Chauvy and others v. France*.²⁰ მაგრამ იმის გამო, რომ ამ საქმეში არც შესაბამისი მოვლენები მიეკუთვნებოდა ზუსტად დადგენილი ფაქტების კატეგორიას, და არც დიფამაცია ეფუძნებოდა რასობრივ ნიშანს, ევროპულმა სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია საკითხის მე-10 მუხლის კონტექსტში განხილვა:

¹⁹ *Garaudy v. France*, judgment of 24 June 2003.

²⁰ *Chauvy and Others v. France*, judgment of 29 June 2004.

მომჩივანმა დაწერა წიგნი, რომელშიც გააშუქა მე-2 მსოფლიო ომის პერიოდთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიული მოვლენა, რომელიც შეეხებოდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობას. წიგნში ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული ამ მოძრაობის ერთ-ერთი მებრძოლის რაიმონდ ობრაკის საქციელი და მინიშნებული იყო მის მიერ ღალატის ჩადენაზე, რასაც, ავტორის აზრით, შედეგად მოჰყვა გესტაპოს მიერ წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერთა დაპატიმრება.

ბ-ნმა და ქ-ნმა ობრაკებმა აღძრეს საქმე ცილისწამებისათვის. სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი წინააღმდეგობის მოძრაობის წევრების მიმართ ცილისმწამებლური მონაჭორის გავრცელებისათვის, მიუსაჯა ჯარიმა და კომპენსაციის გადახდა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ წიგნის მიზანს წარმოადგენდა ისტორიული მოვლენების შესახებ ოფიციალური ვერსიის დაბეჯითებით უარყოფა და ხალხის იმაში დარწმუნება, რომ ობრაკმა ღალატის აქტი ჩაიდინა. მან აღნიშნა, რომ ისტორიული სიმართლის ძიება წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლების განუყოფელ ნაწილს და მოცემულ შემთხვევაში ეს მნიშვნელოვანი ისტორიული საკითხი, რომელიც წარმოადგენდა ისტორიკოსებისა და საზოგადოების ხანგრძლივი დებატების საგანს, არ მიეკუთვნებოდა ზუსტად დადგენილი ფაქტების (როგორც იყო „ჰოლოკოსტი“) კატეგორიას, რომლის უარყოფასა ან გადასინჯვაზეც არ გავრცელდებოდა კონვენციის მე-10 მუხლის გარანტიები მე-17 მუხლის ძალით. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობა მე-10 მუხლის საფუძველზე უნდა შეფასებულიყო.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეროვნული სასამართლოს შეფასება, რომ წიგნის შინაარსი ეწინააღმდეგებოდა ისტორიული მეთოდის უმნიშვნელოვანეს წესებს და შეიცავდა აშკარად დაუჯერებელ გამონაგონს. მან არც ჩარევის „თანაზომიერება“ უარყო: გაითვალისწინა, რომ წიგნის ტირაჟის განადგურების გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული და ფაქტობრივად აკრძალული არ იყო. ამიტომ, მან არ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენების დასაბუთების თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს აგრეთვე საქმე *Norwood v. the United Kingdom*.

მომჩივანმა, რომელიც იყო ბრიტანეთის ნაციონალური (უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებების მქონე) პოლიტიკური პარტიის - „BNP“-ს წევრი, თვისი საცხოვრებელი სახლის ფანჯარაზე გამოაკრა პლაკატი წარწერით: „ისლამი განიდევნოს ბრიტანეთიდან! – დავიცვათ ბრიტანელი ხალხი! (*Islam out of Britain! – Protect the British People!*)“. პლაკატზე გამოხატული იყო აგრეთვე ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის სიმბოლო აკრძალვის ფორმით. იგი გაასამართლეს მძიმე სამართალდარღვევის ჩადენისათვის საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ აქტის (1986) მე-5 მუხლის საფუძველზე და დააჯარიმეს.

ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ პლაკატი წარმოადგენდა ისლამის რელიგიასა და მის მიმდევრებზე თავდასხმას.

მოძიების აზრით, მისი მსჯავრდება და დაჯარიმება წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში უკანონო ჩარევას.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეროვნულ სასამართლოთა შეფასება, რომ პლაკატი წარმოადგენდა თავდასხმას ბრიტანეთში მცხოვრებ განურჩევლად ყველა მუსლიმანზე, რაც შეუთავსებელი იყო კონვენციით აღიარებულ და უზრუნველყოფილ ღირებულებებთან, კერძოდ – ტოლერანტობას, სოციალურ მშვიდობასა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან. სასამართლოს დასკვნით, ასეთი ქმედება წარმოადგენდა აქტს, რომელიც კონვენციის მე-17 მუხლით იყო განუღმადგინებელი. ამიტომ, მისი საჩივარი მიუღებლად გამოცხადდა, როგორც კონვენციის დებულებებთან (*ratione materiae*) შეუთავსებელი.²¹

ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის გაცნობა მოწმობს, რომ იგი ცდილობს, რაც შეიძლება შეზღუდოს იმ შემთხვევათა წრე, რომლებსაც კონვენციის მე-17 მუხლი მე-10 მუხლის დაცვიდან გამორიცხავს. მაგალითად, იგი იშვიათად მიიჩნევს ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტებს ზუსტად დადგენილად და, მით უმეტეს ისეთად, რომელთა უარყოფაც კონვენციის მე-17 მუხლის ამოქმედებას გამოიწვევს.

თავისთავად ის გარემოება, რომ რასისტული შეხედულებების, ისევე, როგორც შეუწყნარებლობის სხვა გამოვლინებების შეზღუდვა არ ხორციელდება ყოველთვის მე-17 მუხლის საფუძველზე და შესაბამისი დასაბუთება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს ეყრდნობა, იმის დასტურია, რომ, თუმცაღა საერთო ტენდენციის შესაბამისად მათ სახელმწიფოს შუზღუდვისაგან სუსტი დაცვა გააჩნიათ, მაგრამ ფაქტობრივად მე-10 მუხლის მოქმედების ფარგლებში იმყოფებიან.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გვსურს გამოვთქვათ. ჩვენი შეხედულებით, რასისტული შინაარსის განცხადებების მიმართ ევროპული სასამართლოს მიდგომა უფრო ცალსახა უნდა იყოს. ასეთი განცხადებები მთლიანად შეუთავსებელია გამოხატვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებასთან, წარმოადგენს ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებას, ეწინააღმდეგება კონვენციის ღირებულებებს და ანტიდემოკრატიულია თავისი არსით. ამიტომ, **გაცილებით სამართლიანი იქნებოდა მათი მთლიანად გამორიცხვა კონვენციის მე-10 მუხლით დაცული სფეროდან.** კონვენციის მე-17 მუხლი, ისევე, როგორც კონვენციის პრეამბულა, რომელშიც კონვენციის მიზნები და ღირებულებებია გაცხადებული, ვფიქრობთ, საკმარისი ლოგიკური და იურიდიული საფუძველია ამ ნაბიჯის გადასადგმელად. უფრო მეტიც, **კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ**, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ამ სფეროში

²¹ Appl. no. 23131/03; *Norwood v. the United Kingdom*, decision of 16 November 2004..

ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც არაპირდაპირი დასტური ზემოაღნიშნული ნაბიჯის გადასადგმელად. უაღრესად საგულისხმოა 2004 წლის 12 თებერვალს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული „დეკლარაცია მედიაში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ“. იგი საგულისხმოა იმიტომაც, რომ იგი სწორედ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა საერთო ნების გამოხატულებას წარმოადგენს. ამ დეკლარაციაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ „პოლიტიკური დებატების თავისუფლება არ მოიცავს რასისტული აზრების, ისევე, როგორც ისეთი აზრების გამოხატვის თავისუფლებას, რომლებიც წარმოადგენენ სიძულვილის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის ნებისმიერი ფორმით წაქეზებას“.

ასეთი წინადადება მხოლოდ კონცეპტუალური მოსაზრებებით კი არ არის ნაკარნახევი (ანუ იმით, თუ პრინციპულად რა არის სწორი და სამართლიანი), არამედ ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ერთგვარი არათანმიმდევრულობითაც.

ამ არათანმიმდევრულობას რამდენიმე გამოვლინება აქვს.

1) ევროპული სასამართლო არათანმიმდევრულია კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენების საკითხში (აღმოჩნდა, რომ მე-17 მუხლის მოშველიება სხვადასხვა შემთხვევაში სრულიად სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მატარებელია, რაც ზოგჯერ გაუგებრობისა და „სამართლებრივი გაურკვევლობის“ წყარო შეიძლება გახდეს).

2) ევროპული სასამართლო არათანმიმდევრულია რასისტული შეხედულებებისადმი მიდგომისას (ზოგჯერ ის მეტისმეტად ლიბერალურად გამოიყურება).

უფრო დაწვრილებით:

ევროპული კომისიისა და სასამართლოს პრაქტიკაში აღმოჩნდა პრეცედენტები, სადაც კონვენციის მე-17 მუხლის მომარჯვება იმის დასაბუთებას კი არ ემსახურება, რომ შესაბამისი „გამოხატვა“ გასულია მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან, არამედ იმისა, რომ მისი შეზღუდვა კონვენციის მე-10 (II) მუხლის საფუძველზე გამართლებული იყო.

მაგალითად, საქმეებში *CF Purcell v. Ireland*²² და *Kühnen v. FRG*,²³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ გამოიყენა მე-17 მუხლი თავისი იმ დასკვნის დასაბუთების გასამყარებლად, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გამართლებული იყო მე-10 (II) მუხლის საფუძველზე.

ასე რომ, კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენება (მომარჯვება) მე-10 მუხლთან მიმართებაში ორ განსხვავებულ როლს ასრულებს. ზოგჯერ იგი იურიდიული

²² No 15404/89. *CF Purcell v. Ireland*, 262, 278 (1991).

²³ No12194/86. *Kühnen v. FRG*, 56.DR.205 (1988).

საყრდენია იმის დასასაბუთებლად, რომ ესა თუ ის „გამონატვა“ ჩაითვალოს კონვენციით გათვალისწინებული თავისუფლების ბოროტად გამოყენების ისეთ შემთხვევად, რომელიც ვეღარ იქნება მიჩნეული, როგორც მე-10 მუხლით დაცულ სფეროში მყოფი. ხოლო ზოგჯერ კი, იგი მხოლოდ დამატებითი არგუმენტია მე-10 (II) მუხლის საფუძველზე მისი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ შემთხვევაში მე-17 მუხლს შესაბამისი „გამონატვა“ გაჰყავს მე-10 მუხლით დაცული სფეროდან, მეორე შემთხვევაში კი არა.

ჯერ ერთი, თუ შემთხვევათა მეორე წყებაში მე-17 მუხლის მოშველიება, შესაბამისი შემთხვევის გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებად (მე-17 მუხლის გაგებით) კვალიფიკაციის დადასტურებაა, მაშინ გაუგებარია, ეს შემთხვევებიც რატომ არ გაჰყავს მე-17 მუხლს მე-10 მუხლით დაცული სფეროდან და რითი განსხვავდება ისინი შემთხვევათა პირველი წყებისაგან. მით უმეტეს, რომ არსებობს კიდევ მესამე კატეგორია შემთხვევებისა, სადაც ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მე-10 (II) მუხლის საფუძველზე გამართლებულად ცნო სწორედ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენდა ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებას, მაგრამ მე-17 მუხლი არანაირ კონტექსტში მოხსენიებულიც კი არ იყო.²⁴

მეორე, მე-17 მუხლის მოშველიება მე-10 (II) მუხლის საფუძველზე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დასაბუთების გასაძლიერებლად, აკნინებს შემთხვევათა პირველ წყებაში მე-17 მუხლის ფუნქციურ დატვირთვას და ხელოვნურ ბარიერებს უქმნის იმის ნათლად წარმოდგენას, თუ რას გულისხმობს დებულება იმის შესახებ, რომ „მე-17 მუხლს შესაბამისი შემთხვევა გაჰყავს მე-10 მუხლით დაცული სფეროდან“ – იმას, რასაც ის ლოგიკურად უნდა ნიშნავდეს (რომ შესაბამისი შემთხვევა საერთოდ არ არის დაცული მე-10 მუხლით), თუ რაიმე სხვას.

ის გარემოება, რომ კონვენციის მე-17 მუხლი მხოლოდ უკიდურეს, განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენება და წარმოადგენს ბოლო საშუალებას, სრულებითაც არ უნდა იწვევდეს ასეთ აღრევას. მისი გამოყენებადობის დაბალი სიხშირე სამართლებრივი და ზოგჯერ პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხია და, როგორც ჩანს, ნაკარნახევია იმ საზრუნავით, რომ მისი არსებობა, თავისთავად, არ გადაიქცეს გამოხატვის თავისუფლების (ისევე, როგორც კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებების) გაუმართლებელი შეზღუდვისა და მე-10 მუხლის გარანტიებისაგან მისი ხელოვნური მოწყვეტის მექანიზმად. ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ მე-17 მუხლის სხვადასხვაგვარ გამოყენებაზე და მისგან მომდინარე

²⁴ *Engel and others v. the Netherlands* (08.07.1976); *R.Volkmer v. Germany* (22.11.2001). *G.Pitkevich v. Russia* (08.02.2001).

„სამართლებრივ გაურკვევლობაზე“, რომელიც შეუძლებელს ხდის სრული დარწმუნებით იმის მტკიცებას, რა არის დაცული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით, და რა არა, მართლაც არსებობს თუ არა „გამოხატვის“ ისეთი შემთხვევები, რომლებზეც საერთოდ არ ვრცელდება მე-10 მუხლის მოქმედება.

ახლა რაც შეეხება მეორე სახის არათანამიმდევრულობას:

როგორც აღვნიშნეთ, ევროპული სასამართლო ზოგჯერ ლიბერალურ და შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ავლენს ისეთი შემთხვევების მიმართ, რომლებიც მხოლოდ არაპირდაპირ გულისხმობს რასისტული იდეების პროპაგანდას, ანდა წარმოადგენს ასეთი შეხედულებების გავრცელების ხელშეწყობას.

რასისტული შეხედულებების არაპირდაპირი პროპაგანდა, ანდა მათი გავრცელების ხელშეწყობა, ცხადია, „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის გაცილებით ნაკლებ ხარისხს გულისხმობს და, ამდენად, მათდამი დამოკიდებულება მართლაც შეიძლება იყოს უფრო ლიბერალური. მაგრამ, ამის მიუხედავად, ცალკეულ საქმეებზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა და, მით უფრო, შესაბამისმა არგუმენტაციამ, შეგვიქმნა შთაბეჭდილება, რომ მათ მიმართ იმაზე მეტი ლიბერალიზმი იყო დაშვებული, ვიდრე რაც გონივრული და სამართლიანი იქნებოდა შესაბამის შემთხვევებში.

ამის საილუსტაციოდ ორ მაგალითს გაგაცნობთ.

ევროპულმა სასამართლომ განიხილა ყოფილი ნაცისტის – მარშალ პეტენის (რომელიც პასუხისმგებელი იყო საფრანგეთში 10 ათასი ებრაელის დეპორტაციისათვის სიკვდილის ბანაკებში) რეაბილიტაციის მიზნით სარეკლამო განცხადების შეზღუდვის მართლზომიერება (საქმე *Lehideux and Isorni v. France*).²⁵ მართალია, მან აღნიშნა, რომ პრონაცისტული პოლიტიკის გამართლება ვერ ისარგებლებდა მე-10 მუხლის დაცვით, მაგრამ მიიჩნია, რომ რეკლამის ტექსტი ასეთ რამეს არ შეიცავდა. ეს დასკვნა მხოლოდ იმ გარემოებას ეყრდნობოდა, რომ რეკლამის ტექსტში არ იყო აღნიშნული მარშალ პეტენის წარსული საქმიანობა და მისი პასუხისმგებლობა ადამიანთა მკვლელობისათვის. იგი არ შეიცავდა „ნაცისტური სისასტიკისა და თვითნებობის“ რაიმე გამართლებას. გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ იგი ვერ იქნებოდა მსაჯული ისეთ საკითხებზე, რომელიც შეეხებოდა მოვლენებს, რომელთა ინტერპრეტაცია ისტორიკოსების დავის საგანს წარმოადგენდა. ევროპულმა სასამართლომ იმასაც მიანიჭა მნიშვნელობა, რომ ისტორიული მოვლენებიდან გასული იყო 40 წელზე მეტი და მაშინაც კი, თუ გამონათქვამები კვლავაც აღვივებდნენ უთანხმოებას და ტანჯვას აყენებდნენ მოსახლეობას, მათ წინააღმდეგ გამოყენებული ღონისძიებები არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთივე მკაცრი, როგორც 10 ან 20 წლის წინ.

²⁵ *Lehideux and Isorni v. France*, judgment of 23 September 1998.

უფრო მეტიც, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ყოველ ქვეყანას უფლება ჰქონდა, ღიად და თავისუფლად ემსჯელა თავისი ისტორიის შესახებ „ცივი გონებითა და ვნებათა ღელვის გარეშე“ და აუცილებლად მიიჩნია ისიც კი შეეხსენებინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავდა „შეურაცხყოფელ, გამაოგნებელ და შემამფოთებელ იდეებსა და ინფორმაციას“ და, რომ ასეთი იყო პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ლიბერალიზმის მოთხოვნები.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ ყოფილი ნაცისტის რეაბილიტაციისაკენ მოწოდება არ მიიჩნია არც ნაციზმის იდეების პროპაგანდად და არც გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებად. შესაბამისად, მან არა თუ არ დაუქვემდებარა ეს საკითხი კონვენციის მე-17 მუხლს, არამედ საერთოდ გაუმართლებლად შეაფასა შეზღუდვა კონვენციის მე-10 (II) მუხლის კონტექსტში.

ჩვენი აზრით, ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება და მით უფრო მისი არგუმენტაცია ძალზე საკამათოა. ათი ათასობით ადამიანის მკვლელობისათვის პასუხისმგებელი პირის რეაბილიტაციისაკენ მოწოდება, არაპირდაპირ, ნაცისტური იდეების პროპაგანდას თუ არა, მათ შემწყნარებლობას მაინც გულისხმობს. არა მგონია, რომ დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი „შემწყნარებლობა“ ნაცისტური იდეების შემწყნარებლობასაც გულისხმობდეს. გარდა ამისა, თუკი იმ ისტორიულ მოვლენებზე საუბარი, რომელიც ფაშისტური დიქტატურის წლებს უკავშირდება „ცივი გონებითა და ვნებათა ღელვის გარეშე“ განსჯის საგანი შეიძლება გახდეს, მაშინ რატომღა არ შეიწყნარა მან ზემოთგანხილულ *Garaudy*-ს საქმეში (ისრაელის პოლიტიკის შესახებ) წიგნის ავტორის ნიჰილიზმი? მაშინაც ხომ იყო გასული ისტორიული მოვლენებიდან 40-ზე მეტი წელი?

ჩვენ ძალზე შორსა ვართ იმის მცდელობისაგან, ერთმანეთთან გავათანაბროთ ზემოთ განხილულ ორ საქმეში „გამოხატვის“ თავისუფლების განხორციელების შედეგად კანონიერი ინტერესებისათვის შექმნილი საშიშროების ხარისხები, მაგრამ ასეთი დიდი ამპლიტუდა და მეტისმეტად განსხვავებული მიდგომა, ჩვენი აზრით, ევროპული სასამართლოს არათანმიმდევრულობისა და ასეთი კატეგორიის საქმეების მიმართ უსისტემო მოპყრობის გამოვლინებაა. ყოველ შემთხვევაში, ცნობილი ნაცისტის რეაბილიტაციისაკენ მოწოდების დაცვა დემოკრატიულ საზოგადოებაში ლიბერალიზმისა და შემწყნარებლობის არგუმენტით, საერთო ფონის გათვალისწინებით, ალოგიკური და გაუმართლებელია.

საქმეში *Jersild v. Denmark* მიღებული გადაწყვეტილება კიდევ უფრო საკამათოდ გვესახება. ეს საქმე შეეხებოდა ტელევიზიის ჟურნალისტს, რომელმაც ეთერში გაუშვა რასისტული განწყობილებების მქონე ახალგაზრდების ჯგუფთან ინტერვიუ, რა დროსაც აშკარად რასისტული შეხედულებები, უკიდურესად შეურაცხყოფელი და დამამცირებელი ეპითეტები იქნა გამოთქმული დანიაში

მცხოვრები ემიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების მისამართით. ინტერვიუში საერთოდ უარყოფილი იყო ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის კუთვნილება ადამიანური არსებებისადმი, შავკანიანები კი შედარებული იყვნენ გორილასთან. ჟურნალისტმა, თავის მხრივ, არაფერი დაუპირისპირა ამას და არ გამოხატა დამეგობი პოზიცია.²⁶

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტის მსჯავრდება რასისტული იდეების გავრცელების ხელშეწყობისათვის გამართლებული არ იყო.

ვფიქრობთ, სადაო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვექონდა რასობრივი ნიშნით მასობრივ საჯარო დიფამაციასთან, ანუ, თავისთავად ძალზე სერიოზულ დანაშაულთან. ამიტომ, ასეთი შეხედულებების გავრცელების შესაძლებლობის მიცემა კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენებადობის შესატყვისობაზე თუ არ მეტყველებდა, იმას მაინც „იმსახურებდა“, რომ მე-10 (II) მუხლის საფუძველზე შეზღუდულიყო „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის“ ასეთი უხეში ხელყოფის გამო. მაინც, ევროპულმა სასამართლომ პრიორიტეტი ჟურნალისტის თავისუფლებას მიანიჭა. მან, ამ შემთხვევაში, რატომღაც არ ჩათვალა, რომ ჟურნალისტი არაპირდაპირ ინაწილებდა იმ „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“, რომლებიც რასისტული განწყობილებების მქონე ახალგაზრდებმა აიღეს თავიანთ თავზე ემიგრანტებისა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების რასობრივი ნიშნით დიფამაციისას. არადა, თავად ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებული პრინციპის თანახმად, ჟურნალისტები და გამომცემლები (ნაწილობრივ მაინც) იზიარებენ გამოთქმული შეხედულებების ავტორთა „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“.²⁷

ვფიქრობთ, ამ საკვებით სწორ პრინციპს პირდაპირ ეწინააღმდეგება განჩინებაში მითითებული სასამართლოს შემდეგი დებულება: „ჟურნალისტის დასჯა იმისათვის, რომ სხვა პირს დაეხმარა გაევრცელებინა თავისი შეხედულებები, სერიოზულად დააზიანებს მასმედიის წვლილს თავისუფალი საჯარო დებატების გამართვაში.“ ძალიან საეჭვოა, რომ რასისტული შეხედულებების გავრცელება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე თავისუფალ საჯარო დებატებში (რომელიც ასე ძვირად ფასობს დემოკრატიულ საზოგადოებაში) წვლილის შეტანას წარმოადგენდეს, ხოლო მათ გავრცელებაში დახმარება კი მასმედიის როლს შეესაბამებოდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. გარდა ამისა, ვფიქრობ, ევროპულ სასამართლოს მეტად უნდა გაეთვალისწინებინა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა

²⁶ *Jersild v. Denmark*, judgment of 23 September 1994.

²⁷ ასეთი გნმარტება არაერთ საქმეში მისცა ევროპულმა სასამართლომ. მაგალითად, *Öztürk*-ის საქმეში მან მიუთითა, რომ იმის მიუხედავად, იზიარებდა თუ არა გამომცემელი (იგულისხმება სადაო წიგნის გამომცემელი) მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში გამოთქმულ შეხედულებებს, იგი ავტორის მხარდაჭერის უზრუნველყოფით, მონაწილეობდა შესაბამისი აზრის გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში და არაპირდაპირ იზიარებდა იმ „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“, რასაც ავტორი იღებდა თავის თავზე საზოგადოების წინაშე თავისი შეხედულებების გავრცელებისას (*Öztürk v. Turkey*, judgment of 28 September 1999).

ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1965 წლის 21 დეკემბერი) საერთაშორისო კონვენციის დებულება, რომლის მიხედვით, მხარე-სახელმწიფოებს ევალებათ, არ დაუშვან, რომ საჯარო ხელისუფლებამ ან საჯარო ინსტიტუტებმა ხელი შეუწყონ ან წააქეზონ რასობრივი დისკრიმინაცია. საგულისხმოა, რომ *Jersild*-ის საქმის განჩინებაში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, კონვენციის ინტერპრეტაციისას ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებანი მხედველობაში რომ უნდა ყოფილიყო მიღებული. ამის მიუხედავად, მან ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომელიც, ჩვენი აზრით, მართლაც შეესაბამებოდა ზემოაღნიშნული კონვენციის მოთხოვნას, არ გაიზიარა და მიუთითა, რომ ჟურნალისტის დასასჯელად განსაკუთრებით ძლიერი მიზეზის არსებობა (particularly strong reason) იყო აუცილებელი.

სასამართლომ თავის განჩინებაში აღნიშნა, მაგრამ ფაქტობრივად არ გაითვალისწინა არც აუდიო-ვიზუალური საშუალებების უშუალო და ძლიერი ზემოქმედების უნარი, შესაბამისი აუდიტორიის სიფართოვე და ის დიდი ზიანი, რომელიც განიცადა უამრავი ადამიანის უფლებებმა და რეპუტაციამ. ვფიქრობთ, რომ ის ბალანსი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჟურნალისტის უფლებებსა და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციის დაცვის ინტერესს შორის დაადგინა, არსებითად უსამართლოა. როგორც **ლოუსონმა** და **სხერმერსმა** აღნიშნეს *Jersild*-ის საქმესთან მიმართებაში, „რასობრივად მოტივირებული შეუწინარებლობა თუ ძალადობა ძირფესვიანად ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს (ordre public) ევროპაში“.²⁸

საყურადღებოა, რომ სასამართლოს ეს განჩინება მიღებულია 12 ხმით 7-ის წინააღმდეგ. უმცირესობაში დარჩენილმა მოსამართლეებმა (მათ შორის იყო სასამართლოს მაშინდელი პრეზიდენტი **როლფ რისდალი**) „განსხვავებულ აზრში“ სასამართლოს მიერ მიღწეული ბალანსის სამართლიანობა ეჭვქვეშ დააყენეს. მათი აზრით, რაკი რასისტული იდეების გავრცელება არ სარგებლობდა მე-10 მუხლის დაცვით, ეს თანაბრად უნდა შეხებოდა ჟურნალისტსაც. „განსხვავებულ აზრში“ ნათქვამია, რომ სტრასბურგის სასამართლო პირველად შეეჯახა შემთხვევას, სადაც სხვა პირთა უფლებები და რეპუტაცია ასეთი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სამწუხაროდ, უმრავლესობამ გაცილებით დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ჟურნალისტის თავისუფლებას, ვიდრე იმათ დაცვას, ვინც იძულებული იყო გატანჯულიყო რასობრივი სიძულვილით. გადაცემაში ყველაზე უხეში გამონათქვამები იყო ინტერვიუდან ამოკრეფილი. ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებით აუცილებელი იყო ჟურნალისტის მხრიდან მკაფიო, რასიზმის დამგმობი პოზიციის გამოთქმა. გადაცემის ნახვის შემდეგ, ადამიანთა დიდ ჯგუფს ნამდვილად არ დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გადაცემა მათი რეპუტაციისა და

²⁸ R.A.Lawson & H.G.Schermer, *Leading Cases of the European Court of Human Rights*, (sec. ed.) 1999, გვ.585.

უფლებების დაცვას ემსახურებოდა. და რომ **რასობრივი უმცირესობის დაცვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე ინფორმაციის გავრცელების უფლება საზოგადოდ**²⁹ (ხაზგასმა ჩემია – ე.გ.).

ზემოაღნიშნული ორი საქმე, ისევე, როგორც მე-10 მუხლთან დაკავშირებული ევროპული სასამართლოს სხვა პრაქტიკა ადასტურებს, რომ „ფაქტობრივად დაუცველ“ სფეროებშიც კი შესაბამისი შემთხვევისადმი დამოკიდებულებას კონკრეტულ საქმეზე არსებული სხვადასხვა ფაქტორების (ზოგჯერ ნიუანსებისაც კი) ერთობლიობა განსაზღვრავს, და არა ერთი რომელიმე მთავარი კონცეპტუალური მიდგომა, როგორი შეხედულებები თუ ინფორმაცია იმსახურებს დაცვას და რომელი არა.

სტრასბურგის სასამართლო ცდილობს, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გამოხატვის თავისუფლებისათვის შექმნილი გარანტიები ყოველ საქმეში ეფექტიანად იყოს ამოქმედებული. სწორედ აქედან წარმოდგება კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტისათვის უაღრესად ფართო, თითქმის ყოვლისმომცველი შინაარსის მინიჭება და მასში ნებისმიერი აზრისა თუ ინფორმაციის ნებისმიერი ფორმითა თუ საშუალებით გამოხატვის უფლების დამკვიდრება. ლოგიკა მარტივია: რაც უფრო ფართო შინაარსი ექნება მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტს, მით უფრო ფართო იქნება იმ შემთხვევათა წრე, რომელიც მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გარანტიებით ისარგებლებს.

და მაინც, დებულება იმის თაობაზე, რომ ევროპული კონვენციის 1-ლი პუნქტი გამოხატვის თავისუფლებას იცავს მთლიანად და ყოველგვარი შეზღუდვა ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა იყოს გამართლებული, ბოლომდე უტყუარი არ არის, სწორედ იმ იშვიათი გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ჩვენ ზემოთ აღვწერეთ. პრაქტიკამ გამოავლინა, რომ „გამოხატვის“ ზოგიერთ შემთხვევაზე მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თუნდაც ფორმალური დაცვის გავრცელებაც კი, პრინციპულად უსამართლო, არაგონივრული და მიუღებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ლოგიკურია, რომ ასეთი გამონაკლისები უკავშირდება გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას და მის ყველაზე უფრო უარეს გამოვლინებებს, კერძოდ იმ შემთხვევებს, რომლებიც ისახავენ კონვენციის მე-17 მუხლით აკრძალულ მიზნებსა და, მაშასადამე, ეწინააღმდეგებიან კონვენციის სულისკვეთებასა და ღირებულებებს.

აქვე აუცილებლად გვესახება მკითხველის ყურადღება საგანგებოდ გაავამხვილოთ იმ გარემოებებზე, რომ გამოხატვის თავისუფლების ბოროტად

²⁹ იხ. Joint Dissenting Opinion of Judges **Ryssdal, Bernhardt, Spielman** and **Loizou**; Joint Dissenting Opinion of Judges **Gölcükeü, Russo** and **Valticos**; Supplementary Joint Dissenting Opinion of Judges **Gölcükeü** and **Valticos** საქმეზე *Jursild v. Denmark*, judgment of 23 of September 1994.

გამოყენება (თვით კონვენციის მე-17 მუხლის გაგებითაც კი), არ წარმოადგენს საკმარის ფორმალურ იურიდიულ საფუძველს შესაბამისი შემთხვევის მე-10 მუხლის დაცვის სფეროდან გასაყვანად. ასეთ გადაწყვეტილებას ევროპული სასამართლო მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევებში იღებს და ზრუნავს საიმისოდ, რომ მე-17 მუხლის არსებობა, თავისთავად, არ გადაიქცეოს მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების შემასუსტებელ ფაქტორად.³⁰ ამიტომ მე-17 მუხლის გამოყენების ზუსტად განჭვრეტა ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

საბოლოო ჯამში, პასუხი კითხვაზე, არსებობს თუ არა ისეთი „გამონათვა“, რომელიც არ არის დაცული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით, კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენების არაერთგვაროვანი პრაქტიკის მიუხედავად, დადებითია. თუმცადა, ძალზე გაჭირდება ასეთი „გამონათვის“ აუცილებელი მახასიათებლების ზუსტი, ამომწურავი ჩამოთვლა.

უმჯობესი იქნებოდა საბოლოო დასკვნა მაინც ასე ჩამოგვეყალიბებინა:

კონვენციის მე-10 მუხლი არ იცავს „გამონათვის“ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით ეწინააღმდეგება გამონათვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებას, დემოკრატიულ ღირებულებებს და მათი შედეგების გათვალისწინებით მიუღებელია თვით დემოკრატიულ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მიუხედავად.

³⁰ ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ არაერთი მეცნიერი მიუთითებს. მაგალითად ენტონი ლესტერი მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-17 მუხლის განვრცობითი ინტერპრეტაცია ყოველგვარ შინაარსს გამოაცლის გამონათვის თავისუფლებას იმ ადამიანებისათვის, ვისაც არაპოპულარული და ექსტრემისტული პოლიტიკური შეხედულებები გააჩნია. იგი მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ კონვენციის მე-15 მუხლი უშვებს ამ თავისუფლებისაგან უკან დახევას ომისა და ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რაც, მისი აზრით, ასევე სერიოზულად დააზიანებს სიტყვის თავისუფლებას ასეთ პერიოდებში. იხ. **Anthony Lester, Freedom of Expression**, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds). 1993. გვ.466.

თ ა ვ ი 6

გამონათვის თავისუფლების შეზღუდვის პირობები

კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია გამონათვის თავისუფლების შეზღუდვის სამი ძირითადი პირობა:

1) გამონათვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული;

2) უფლების შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ იმ კანონიერ მიზნებს – მხოლოდ იმ საჯარო თუ კერძო ინტერესების უზრუნველყოფას, რომლებიც საკუთრივ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტშია მითითებული;¹

3) გამონათვის თავისუფლებაში ჩარევა, ანუ ამ უფლების შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად.

ამ სამივე პირობის დაკმაყოფილება სავალდებულო მოთხოვნაა იმისათვის, რომ სახელმწიფოს მხრიდან გამონათვის თავისუფლების ინდივიდურ უფლებაში ჩარევა გამართლებულად იქნას მიჩნეული და შეწყნარებული სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან.

ამასთან, თავიდანვე უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, რომ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები ვიწროდ არის განმარტებული. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ ხაზგასმით მიუთითა, რომ გამონათვის თავისუფლება ექვემდებარებოდა რიგ გამონაკლისებს, მაგრამ ისინი განმარტებული უნდა ყოფილიყო ვიწროდ.²

ცხადია, რომ „ვიწრო განმარტება“ შეზღუდვის სამივე პირობას შეეხება და იმას ემსახურება, რომ კონვენციის მე-10 მუხლით შეზღუდვის შესაძლებლობის დაშვებამ არ გამოიწვიოს გამონათვის თავისუფლების დაცულობის კონვენციით ნაგულისხმები

¹ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს შეზღუდვას სხვა პირთა უფლებების დასაცავად. მაგრამ მასში რაიმე სპეციფიკაცია არ არის გაკეთებული და არ არის ზუსტად განსაზღვრული, თუ კერძოდ რომელი უფლებები იგულისხმება „სხვა პირთა უფლებებში“. ამიტომ, თეორიულად, ადამიანის ნებისმიერი უფლება შეიძლება მასში ვიგულებოთ; მათ შორის, ცხადია, ისინიც, რომლებიც საკუთრივ ევროპული კონვენციით არის გათვალისწინებული. უფრო მეტიც, კონვენციით დადგენილი ზოგიერთი უფლება, თავისი შინაარსით, უკვე არის გამონათვის თავისუფლების შემზღუდველი. სავსებით ვიზიარებთ ე.ლესტერის თვალსაზრისს, რომელიც მიიჩნევს რომ კონვენციის ზოგიერთი უფლება სიტყვის თავისუფლების შინაარსობრივ ფარგლებს ისედაც ზღუდავს. მაგალითად, სამართლიანი განხილვის უფლებამ (მე-6 მუხლი) შეიძლება გაამართლოს სიტყვის თავისუფლების ზოგიერთი შეზღუდვა; პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი) იცავს პიროვნების პატივსა და რეპუტაციას უსაფუძვლო თავდასხმებისაგან და ა.შ. (იხ. **Anthony Lester**, *Freedom of Expression*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds). 1993. გვ.466).

² *Sunday Times* (N 2); §50; *Observer and Guardian*, §59; *Thorgeir Thorgeirson*, §63; *Nilsen et Johnsen*, §43.

სტანდარტების დაწევა.³ მაგრამ, მაინც, „ვიწროდ განმარტების“ მოთხოვნა სხვადასხვაგვარ მიმართებაშია ზემოაღნიშნულ შემზღვეველ პირობებთან.

პირველ პირობასთან მიმართებაში („ჩარევა“ რომ კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული“) დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, ორგვარია. შესაბამისი განმარტებანი, ერთი მხრივ, შეზღუდვითია, მეორე მხრივ – განვრცობითი. მაგალითად, ის გარემოება, რომ შეზღუდვა ამა თუ იმ შიდა საკანონმდებლო აქტით არის გათვალისწინებული, სრულიადაც არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ „კანონით გათვალისწინებულის“ პირობა დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს. მთავარია, რომ შემზღვეველი კანონი აკმაყოფილებდეს „ხელმისაწვდომობისა“ და „განჭვრეტადობის“ კრიტერიუმებს (ვიწრო განმარტება). მეორე მხრივ, ზოგჯერ ეს პირობა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ შეზღუდვა კანონით საერთოდ არ არის გათვალისწინებული. მაგრამ სამაგიეროდ, იგი კარგად არის დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით და ამდენად „ხელმისაწვდომია“ და „განჭვრეტადი“ (ფართო განმარტება). მიუხედავად ერთგვარი წინააღმდეგობისა, ასეთი ორგვარი მიდგომა სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

მეორე პირობასთან მიმართებაშიც დაახლოებით ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ერთი მხრივ, დაუშვებელია მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული კანონიერ მიზანთა ჩამონათვალის განვრცობა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა რაიმე სხვა ინტერესის დაცვის მოტივით, გარდა იმათისა, რომლებიც ამ ჩამონათვალშია მითითებული. მაგრამ, მეორე მხრივ, საკუთრივ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონიერი ინტერესების შესაბამისი ცნებები და მათი შინაარსი საკმაოდ ფართოდ არის განმარტებული. მაგალითად, „საზოგადოებრივი წესრიგის“ ცნებაში იგულისხმება არა მარტო საზოგადოებრივი წესრიგის ვიწრო, ორდინარული მნიშვნელობა, არამედ მისი ფართო გაგება (მაგალითად, „კანონიერ მიზნად“ არის აღიარებული წესრიგის დაცვა ტელე-რადიო კომუნიკაციების სფეროში და სხვა).

ყველაზე უფრო სრული დატვირთვით „ვიწრო ინტერპრეტაციის“ მოთხოვნა ვრცელდება მე-3 პირობაზე, ანუ, „შეზღუდვის აუცილებლობის“ შეფასებაზე და ეს ლოგიკურია. შეზღუდვის პირობა – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ შეფასებითი ცნებებით არის გამოხატული; ცალკე აღებული, საკმაოდ ბუნდოვანია და ვარიანტების დიდ შესაძლებლობას შეიცავს. ამიტომ, თავისთავად, განმარტებასა და შინაარსის დაზუსტებას ყველაზე მეტად სწორედ ეს პირობა საჭიროებდა. გარდა ამისა, სწორედ „აუცილებლობის“ შეფასებაზე ყველაზე უფრო პირდაპირ და მნიშვნელოვნად დამოკიდებული, მიჩნეული იქნება თუ არა გამოხატვის თავისუფლების ესა თუ ის შეზღუდვა გამართლებულად და როგორი იქნება ამ

³ ელესტერი მიჩნევს, რომ „ვიწროდ განმარტების“ მოთხოვნა სტრასბურგის იურისპრუდენციაში ყოველთვის არ არის დაცული (იხ. **Antony Lester**, მითითებული ნაშრომი, გვ. 485) იმ თვალსაზრისს ჩვენც ვეთანხმებით.

თავისუფლების დაცულობის საერთო სტანდარტი. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე დემოკრატიულ საზოგადოებაში, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის საფუძველზე მისი შეზღუდვის ვიწრო შესაძლებლობანი დაამკვიდრა.

შეზღუდვის ზემოაღნიშნულ სამივე პირობას ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ. ამასთან, პირველს – ცალკე, დამოუკიდებლად; მეორესა და მესამეს კი – ერთობლივად, ვინაიდან დემოკრატიულ საზოგადოებაში შეზღუდვის აუცილებლობის შეფასება სწორედ იმ კანონიერ მიზნებთან მიმართებას გულისხმობს, რომლის დაცვის მოტივითაც ეროვნული სახელმწიფო გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩაერია.

§6.1. რას გულისხმობს «კანონით გათვალისწინებული» („prescribed by Law“)

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უფლების შეზღუდვის კანონით გათვალისწინებულობის მოთხოვნა, გამოხატვის თავისუფლების გარდა, ვრცელდება ყველა უფლების მიმართ, რომელთა შეზღუდვის შესაძლებლობას სხვა კანონიერ ინტერესთა დასაცავად კონვენცია ითვალისწინებს. ამ მოთხოვნის შინაარსი ამ უფლებებთან მიმართებაში ერთი და იგივეა, ერთი და იმავე კრიტერიუმით ფასდება და ცალკეულ უფლებათა სპეციფიკურობა თითქმის ვერ ახდენს მნიშვნელოვან, არსებით გავლენას საერთო მიდგომაზე.

ამიტომ, იმის გასარკვევად, თუ რას გულისხმობს „კანონით გათვალისწინებული“, დავეყრდნობით არა მარტო უშუალოდ მე-10 მუხლის, არამედ კონვენციის სხვა მუხლების გამოყენებასთან დაკავშირებით შექმნილ შესაბამის პრაქტიკას.

მაშ ასე, რას გულისხმობს „კანონით გათვალისწინებული“?

ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შემდეგი ორი საკითხის გარკვევას მოთხოვს:

- ა) რა იგულისხმება თავისთავად „კანონში“, და
- ბ) როგორი უნდა იყოს ეს კანონი, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი.

ცალ-ცალკე გავცეთ პასუხები:

„კანონში“, რომელსაც ემყარება უფლების შეზღუდვა, უწინარესად იგულისხმება **ეროვნული სახელმწიფოს კანონი – შიდა კანონმდებლობის ნორმები**, ხანდახან – შესაბამის საკითხზე კარგად დამკვიდრებული **პოზიტიური სასამართლო პრაქტიკა** (ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია – საერთო სამართლის ქვეყნებთან მიმართებაში), აგრეთვე – **საერთაშორისო სამართლის ნორმები**, რომელთა უშუალოდ გამოყენებაც შესაძლებელია შესაბამის სახელმწიფოში. ამასთან. „კანონის“ ცნება ამ

საკითხთან მიმართებაში, კონვენციის გაგებით არ მოიცავს კანონზე დაბალი ნორმატიული ძალის შიდა იურიდიულ აქტებს.

ასეთი მიდგომა დიდი ხანია დამკვიდრდა საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობაში და პრაქტიკაში იგი იშვიათად გამხდარა პრობლემური. მაგალითად, ის, რომ „კანონში იგულისხმება არა მარტო ეროვნული კანონი, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმებიც, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა საქმეებში *Groppera Radio AG v. Switzerland*⁴ და *Autronic v. Switzerland*.⁵ ამ შვეიცარულ საქმეთა განხილვისას, ევროპულმა სასამართლომ მოთხოვნა – „კანონით გათვალისწინებული“ დაკმაყოფილებულად მიიჩნია, როდესაც გამოხატვის თავისუფლების შემზღვეველი წესები აღწერილი იყო საჯარო საერთაშორისო სამართლის ნორმებით, რომელთა უშუალოდ გამოყენებაც შვეიცარიაში შესაძლებელი იყო.

საქმის *Silver and Others v. The United Kingdom*⁶ განხილვისას კი, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებებში ჩარევა (მოცემულ შემთხვევაში – მიმოწერის საიდუმლოებაში) ვერ ჩაითვლებოდა „კანონიერად“, თუ ასეთი „ჩარევა“ „კანონზე ნაკლები იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის“ საფუძველზე განხორციელდებოდა (გაერთიანებულ სამეფოში მინისტრის განკარგულებით ხდებოდა პატიმართა წერილების შემოწმება, ზოგჯერ კი – მათთვის გაგზავნილი და მათ მიერ გაგზავნილი წერილების დაკავებაც). ევროპულმა სასამართლომ თავის განჩინებაში კარგად დაასაბუთა, თუ რატომ ვერ ჩაითვლებოდა შს მინისტრის განკარგულება „კანონიერად“ კონვენციის გაგებით. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან შს მინისტრის განკარგულება, ჩვეულებრივი კანონებისაგან განსხვავებით, საჯაროდ არ ქვეყნდებოდა და მოქალაქეებს არ ჰქონდათ მისი გაცნობის საშუალება, ამიტომ, მათ არც იმის შესაძლებლობა გააჩნდათ, რომ თავიანთი მოქმედების იურიდიული შედეგები გაეთვალისწინებინათ. შესაბამისად, ასეთი აქტის საფუძველზე მათი უფლებების შეზღუდვა „უკანონოდ“ ჩაითვლებოდა.

ზემოაღნიშნული დასაბუთება უშუალოდ გადაჯაჭვულია საკითხთა მე-2 წრესთან, ანუ იმ მოთხოვნებთან, რომლებსაც „კანონი“ უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ – კანონის „ხელმისაწვდომობისა“ და „განჭვრეტადობის“ მოთხოვნებთან. ზემოაღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ შს მინისტრის განკარგულება „კანონად“ არ მიიჩნია არა წმინდა ფორმალური მიზეზის გამო, არამედ მისი იმ თვისებრიობის გამო, რომ იგი არ აკმაყოფილებდა „განჭვრეტადობისა“ და „ხელმისაწვდომობის“ კრიტერიუმებს. **სწორედ „განჭვრეტადობა“ და „ხელმისაწვდომობა“ წარმოადგენს იმ იურიდიული აქტების შესაფასებელ კრიტერიუმებს, რომლებსაც ემყარება უფლების შეზღუდვა.**

⁴ *Groppera Radio AG v. Switzerland*, judgment of 28 March 1990.

⁵ *Autronic v. Switzerland*, judgment of 22 May 1990.

⁶ *Silver and Others v. the United Kingdom*, judgment 25 March, 1983

მაშ ასე, პასუხი მეორე კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს „კანონი“ და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი, ასეთია: **კანონი უნდა იყოს „განჭვრეტადი“ და „ხელმისაწვდომი“.**

„განჭვრეტადობის“ („*predictability and foreseeability*“) და „ხელმისაწვდომობის“ („*accessability*“) შეფასებანი გაცილებით უფრო რთული და პრობლემურია, ვიდრე ოდენ იმის დადგენა, განხორციელდა თუ არა უფლებაში ჩარევა ეროვნული სახელმწიფოს შესაბამისი კანონის საფუძველზე. საქმე ისაა, რომ ყველანაირი მოთხოვნის, სათანადო პროცედურის დაცვით მიღებული და გამოქვეყნებული ეროვნული სახელმწიფოს კანონი მაინც შეიძლება არ ჩაითვალოს „კანონად“ (კონვენციის გაგებით), თუ ის არ აკმაყოფილებს „განჭვრეტადობის“ კრიტერიუმს. ასე, რომ, თუ კანონი „განჭვრეტადი“ არ არის, მისი „ხელმისაწვდომობაც“ აზრს ჰკარგავს.

„განჭვრეტადობის“ კრიტერიუმით შეფასების სტანდარტი ძალიან მაღალი არ არის. ევროპული სასამართლო არ მოითხოვს შესაბამისი კანონის ტექსტის აბსოლუტურ სიზუსტეს. მთავარი იმის დადგენაა, რომ **მოცემული კანონის საფუძველზე შესაძლებელი იყო ამა თუ იმ მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათისა და მოსალოდნელი იურიდიული შედეგების გათვალისწინება, თანაც – შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებითა და თუნდაც სამართლებრივი ჩარევა-დარიგების საფუძველზე.** შესაბამისად, კანონი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდურ უფლებაში თვითნებური ჩარევის შესაძლებლობას იძლევა, შეიცავს ბუნდოვან და ორაზროვან დებულებებს და არ უზრუნველყოფს უფლების დაცულობას შესაბამისი სათანადო გარანტიებით, განიხილება, როგორც „განჭვრეტადობის“ მოთხოვნასთან შეუსაბამო.

პრაქტიკაში კანონის „განჭვრეტადობის“ შეფასება საკუთრივ მისი ტექსტის ზედმიწევნით ანალიზის გარდა, მოითხოვს სხვადასხვა გარემოების მხედველობაში მიღებას, როგორცაა ამ კანონის გამოყენების პრაქტიკა; ის, თუ რამდენად ერთგვაროვანია იგი; როგორია შესაბამის სფეროში ეროვნული სახელმწიფოსათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლები და სხვ.

სტრასბურგის სასამართლოს არაერთხელ მოუწია არადაამაკმაყოფილებლად მიეჩნია ეროვნული სახელმწიფოს შესაბამისი კანონის განჭვრეტადობის ხარისხი. მან სხვადასხვა საქმეებზე გამოტანილ თავის განჩინებებსა და გადაწყვეტილებებში სრულყოფილად და ყოვლისმომცველად ჩამოაყალიბა და დააზუსტა კანონის „განჭვრეტადობის“ მოთხოვნის შინაარსი. მაგალითად, საქმეში *Malone v. the United Kingdom*,⁷ მან შემდეგი მოთხოვნები წაუყენა „კანონს“, რომელიც უფლების შუზღუდვას ითვალისწინებს:

⁷ *Malone v. The United Kingdom*, judgment of 2 August 1984.

1) „კანონმა“ უნდა გამოიყენოს მკაფიო გამოთქმები, რათა მოქალაქეს შეეძლოს განსაზღვროს, როდის, რა შემთხვევაში და რა პირობებში აღიჭურვებიან სახელმწიფო ორგანოები უფლებამოსილებით, ჩაერიონ ინდივიდურ უფლებებში;

2) „კანონმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა თვითნებურად არ მოახდინონ უფლებებში ჩარევა;

3) „კანონი“ მიჩნეული იქნება სამართლის უზენაესობის საწინააღმდეგოდ, ხოლო მის შესაბამისად გადაღებული ნაბიჯები - „უკანონოდ“, თუ საზოგადოდ, ადამიანის უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის საკითხზე სახელმწიფოთა თავისუფალი შეფასების არე იქნება უსაზღვრო და არაგონივრული. ასეთი რამ უნდა გამოირიცხოს, რათა მოქალაქეს შეეძლოს განახორციელოს **ადეკვატური დაცვის უფლება** სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური მოქმედების საწინააღმდეგოდ.

მოცემულ საქმეში სასამართლომ განჭვრეტადობის კრიტერიუმი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია. ეს საქმე შეეხებოდა კონვენციის მე-8 მუხლს (დიდ ბრიტანეთში შს მინისტრის ბრძანებით, რეგისტრირდებოდა ყოველი სატელეფონო ნომერი, რომლითაც ურეკავდნენ ან ვისაც ურეკავდა ისეთი პირი, ვისზედაც არსებობდა ეჭვი, რომ ჩართული იყო ნაქურდალი ქონების გაყიდვაში. მოწმდებოდა მისი კორესპონდენცია). სასამართლომ დაადასტურა, რომ ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებდა უფლებაში ასეთი ჩარევის შესაძლებლობას, მაგრამ ეს კანონმდებლობა იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ ვერ უზრუნველყოფდა დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებსაც კი, რაც აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამიტომ, ასეთი ჩარევა „გაუმართლებელი და უკანონო“ იყო.

კიდევ უფრო დაწვრილებითი იყო განმარტებანი საქმეში *Kruslin v. France*. მასში სასამართლომ ნათლად ახსნა, თუ რას გულისხმობდა „კანონით უფლებათა დაცვის გარანტიების შექმნა“ (მოცემულ საქმეში მსჯელობის საგანი იყო, თუ რამდენად კანონიერი იყო სატელეფონო საუბრების მოსმენა მოსამართლის სანქციის საფუძველზე). ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდივიდური უფლების შეზღუდვა, როცა ეს აუცილებელია, უნდა ხდებოდეს ისეთი კანონის საფუძველზე, **რომელიც არ ქმნის საფრთხეს უფლებათა მეტისმეტი შეზღუდვისათვის**. კანონის ნორმები უნდა იყოს ცხადი, კონკრეტული და არ იძლეოდეს მისი დებულებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას; მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ როდის, რა პირობებში, რა ვითარებაში და რა ვადით შეიძლება მოხდეს ინდივიდურ უფლებაში ჩარევა და ჰქმნიდეს სრულ გარანტიას უფლებათა დაცვის სფეროში.

მოცემულ შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა ამ სფეროში იყო ბუნდოვანი, დაუკონკრეტებელი და იძლეოდა თვითნებობის შესაძლებლობას. შესაბამისად, ასეთ კანონზე დაყრდნობით განხორციელებული ჩარევა უფლებებში ვერ ჩაითვლებოდა გამართლებულად, მით

უმეტეს, რომ არც სასამართლო პრაქტიკით იყო ერთგვაროვნად დარეგულირებული ეს საკითხი (არ იყო განსაზღვრული მაგალითად, თუ რა პერიოდის განმავლობაში იყო დასაშვები სატელევიზიო საუბრების მოსმენა, რა ბედი ეწეოდა ჩანაწერებს და ა.შ.).⁸

ასევე უფლებათა დაცვის გარანტიების არარსებობის გამო იქნა მიჩნეული უკანონოდ რელიგიური უფლების განხორციელებაში სახელმწიფოს ჩარევა ბერძნულ საქმეში *Manoussakis and Others v. Greece*.⁹ სტრასბურგის სასამართლომ ამ თვალსაზრისით შეაფასა ბერძნული კანონი (№1363/1938), რომელიც კრძალავდა ყოველგვარი ეკლესიისა თუ ტაძრის გახსნას, თუ ის არ მიეკუთვნებოდა მართლმადიდებლურ რელიგიას. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელი იყო ხელისუფლების გადაწყვეტილებით. კერძოდ, განათლებისა და რელიგიური კულტების მინისტრს უფლება ჰქონდა, ნება დაერთო ასეთი დაწესებულების გახსნაზე, ან უარი ეთქვა, ანდა საერთოდ უპასუხოდ დაეტოვებინა განცხადება. კანონით არ იყო დადგენილი საჩივარზე პასუხის გაცემის არავითარი ვადა და პირობები. ასე რომ, აღნიშნული კანონი რელიგიური აღმსარებლობის უფლებას უქვემდებარებდა სპეციალურ ნებართვას, რომლის არარსებობა, თავის მხრივ, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევდა. სტრასბურგის სასამართლომ გაიზიარა მოძივნების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ასეთი კანონი წარმოადგენდა დაბრკოლებას სხვა რელიგიებისათვის და ვერ ჩაითვლებოდა „კანონად“, რომლის მიზანიც რელიგიის თავისუფლების დაცვა უნდა ყოფილიყო საბერძნეთის კონსტიტუციის მე-13 მუხლის შესაბამისად. კრიტიკას იმსახურებდა პროცედურაც, რაც ამ კანონით იყო დადგენილი ასეთი ნებართვის მისაღებად. ის დაკავშირებული იყო იმდენ ფორმლობებთან და სირთულეებთან, რომ ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდებოდა ნებართვის მიღება.

როგორც აღვნიშნეთ, „განჭვრეტადობის“ შესაფასებელი სტანდარტი ძალიან მაღალი არ არის და მთავარია იმის დადგენა, იძლეოდა თუ არა, საბოლოო ჯამში, კანონი იმის შესაძლებლობას, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო ამა თუ იმ მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და მოსალოდნელი იურიდიული შედეგები თუნდაც შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით ანდა სამართლებრივი რჩევა-დარიგების საფუძველზე.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს საქმე *Vogt v. Germany*¹⁰ სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემო საქსონიის მიწის კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მყოფ მოხელეებს ავალდებულებდა, დაეცვათ „პოლიტიკური ლოიალობის პრინციპი“, აკმაყოფილებდა მოთხოვნას „კანონით გათვალისწინებული“.

⁸*Kruslin v. France*, judgment of 24 April 1990.

⁹*Manoussakis and Others v. Greece*, judgment of 29 September, 1996.

¹⁰*Vogt v. Germany*, judgment of 26 September, 1995.

საგულისხმოა, რომ კანონის ზოგადი დებულება, რომლის შინაარსსაც სადაოდ ხდიდა მომჩივანი, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სასამართლოს განმარტებებით იყო დაკონკრეტებული. მომჩივანი მიუთითებდა, რომ შესაბამისი კანონის ფორმულირება იყო უზუსტო და ცხადად არ განმარტავდა, გამოიწვევდა თუ არა ამ პრინციპის დაუცველობა შესაბამისი მოხელის სამსახურიდან დათხოვნას. მისი აზრით, ამას ისიც ადასტურებდა, რომ იგი ამ კანონის მოქმედების დროს მიიღეს სამსახურში და შემდგომ ისევ აღადგინეს თანამდებობაზე, რაც შეუძლებელი იქნებოდა, თუკი ამ კანონის ცალსახა გაგება იარსებებდა.

საერთაშორისო სასამართლომ თავის განჩინებაში მიუთითა, რომ ეროვნული კანონმდებლობის სიზუსტის ხარისხი საზოგადოდ, მისი მოქმედების სფერო და მისი განმარტება შიდა სამართლის საქმე იყო. მოცემულ შემთხვევაში ფედერალური საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ ზუსტად იყო განსაზღვრული, თუ რით გამოიხატებოდა „პოლიტიკური ლოიალობა“. მათ დაადგინეს, რომ „სახელმწიფო მოსამსახურის აქტიური მონაწილეობა და საქმიანობა პოლიტიკურ პარტიაში, რომელსაც არაკონსტიტუციური მიზნები ჰქონდა (ისეთი, როგორც გაჩნდა კომპარტიას, რომლის წევრიც იყო მომჩივანი), შეუთავსებელი იყო პოლიტიკური ლოიალობის ვალდებულებასთან. მან აღნიშნა, რომ თუ კანონი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლეოდა, ეს არ იყო იმის ტოლფასი, რომ იგი არ აკმაყოფილებდა მოთხოვნას „კანონით გათვალისწინებული“.

ამასთანვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, კანონის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა არ გამორიცხავს „კანონით გათვალისწინებულის“ მოთხოვნის დაკმაყოფილებულად მიჩნევას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს გარემოება არასდროს არ არის გადაწყვეტი ფაქტორი. მაგალითად, თუ კანონი არასწორი, უფლების კიდევ უფრო შემზღუდველი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, ეს თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ იგი განჭვრეტადობის კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც ეროვნული სასამართლოების მხრიდან კანონის იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებს განუზომლად აფართოებდა (მაგალითად, გამოიწვევდა პუბლიკაციის ბლოკირებას) და მის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად შეაფასა და, შესაბამის პირობებში აუცილებლად მიიჩნია კანონმდებლობის მეტი სიზუსტე; კერძოდ ის, რომ მასში ცხადად ყოფილიყო მითითებული გარემოებები, რომელთა არსებობისას შეზღუდვები დასაშვები იქნებოდა.

ამის კარგი მაგალითია საქმე *Gaveda v. Poland*.¹¹ ვოევოდის სასამართლომ უარყო მომჩივნის შუამდგომლობა რეგისტრაციაში გაეტარებინა პერიოდული

¹¹*Gaveda v. Poland*, judgment of 14 March 2002.

გამოცემის სახელწოდება – „გერმანია: პოლონეთის ათასწლოვანი მტერი“; მიიჩნია, რომ სახელწოდება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ვოევოდის და ზემდგომი სასამართლოები დაეყრდნენ „პრესის შესახებ“ კანონის საფუძველზე მოქმედ იუსტიციის მინისტრის ორდონანსს, რომელიც ითვალისწინებდა, რომ რეგისტრაცია არ დაიშვებოდა, თუ შესაბამისი გამოცემა არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, რომ იუსტიციის მინისტრის ორდონანსი, რომელიც ითვალისწინებდა გამოცემის რეგისტრაციაზე უარის თქმას „სინამდვილესთან შეუსაბამობის“ შემთხვევაში, ეროვნულმა სასამართლოებმა იმგვარად განმარტეს, თითქოს იგი მათ აძლევდა უფლებამოსილებას, უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე, თუკი გამოცემის საკუთრივ სახელწოდება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ იუსტიციის მინისტრის ორდონანსს, ისევე, როგორც ამ ტიპის ნორმატიულ აქტებს საზოგადოდ, ყველაზე უფრო მეტი, რაც შეეძლო, ის იყო, რომ აეკრძალა გამოცემის რეგისტრაცია შუამდგომლობის ტექნიკურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო. ხოლო იმის მოთხოვნა, რომ თავად გამოცემის სახელწოდება სინამდვილესთან შესაბამისი ყოფილიყო, არამართლზომიერი იქნებოდა პრესის თავისუფლების თვალთახედვით, ვინაიდან პერიოდული გამოცემის სახელწოდება არ წარმოადგენდა რაიმეს მტკიცებას, როგორც ასეთს და, მისი ფუნქცია მხოლოდ პრესის ბაზარზე გამოცემის იდენტიფიკაციას ემსახურებოდა. გარდა ამისა, ამგვარი ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი გახდებოდა შესაბამისი საკანონმდებლო დებულების არსებობა, რომელშიც ცხადად იქნებოდა მითითებული სასამართლოს ის უფლებამოსილება, რომელიც საქმის განმხილველმა სასამართლოებმა თვითონ იგულვეს. ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულმა სასამართლოებმა, კანონის დებულების თავიანთი განმარტებით, ფაქტობრივად შემოიღებინეს პერიოდული გამოცემის რეგისტრაციის განმსაზღვრელი ახალი კრიტერიუმი, რაც არ შეიძლებოდა ნაგულისხმები ყოფილიყო ნორმატიული აქტით. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ, საბოლოო ჯამში, კანონის არასწორი ინტერპრეტაცია მისმა ბუნდოვნებამ გამოიწვია, რაც მომჩივანს ართმევდა შესაძლებლობას, შეეთანხმებინა მისთვის თავისი მოქმედებები. ამიტომ მომჩივნის გამონახტვის თავისუფლების შეზღუდვა ვერ ჩაითვლებოდა „კანონით გათვალისწინებულად“ და მე-10 მუხლი დარღვეული იყო.

რიგი საქმეთა განხილვისას, სტრასბურგის სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ კანონის ტექსტის აბსოლუტური სიზუსტე ყოველთვის არ იყო არც საჭირო, არც შესაძლებელი, და ზოგჯერ თვით სასურველიც კი; რომ „კანონით გათვალისწინებულის“ მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლებოდა, თუკი კანონის უზუსტობების შევსება და მისი შინაარსის დაკონკრეტება შესაბამისი სასამართლო პრაქტიკით ხორციელდებოდა.

მაგალითად, საქმეების *Mark Intern v. FRG*¹² და *Barthold v. FRG*¹³ განხილვისას, მიიჩნია, რომ გერმანული კანონები, რომლებიც „პატიოსან პრაქტიკას“ მოითხოვდა, მართალია, არ იყო აბსოლუტურად ზუსტი, მაგრამ ასეთი სიზუსტე არ იყო არც საჭირო და არც შესაძლებელი, განსაკუთრებით იმ სფეროში, „სადაც ვითარება მუდმივად ცვლადია ბაზრისა და კომუნიკაციების სფეროს შესაბამისად“. ევროპულმა სასამართლომ გერმანული კანონების „განჭვრეტადობის“ შესაფასებლად გაითვალისწინა შესაბამის სფეროში გერმანიაში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება. ასეთი პრაქტიკა მიიჩნია ცხადად და ყოვლისმომცველად და, აქედან გამომდინარე – დამაკმაყოფილებლად. გერმანული კანონების ცხოვრებაში გატარების პრაქტიკა იმდენად ერთგვაროვანი და სისტემური იყო, რომ იგი ავსებდა კანონის ზოგიერთ სიცარიელეს და აძლიერებდა მისი „განჭვრეტადობის“ შესაძლებლობას, აადვილებდა, გაითვალისწინებული ყოფილიყო ამა თუ იმ მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები.

შესაბამისი სასამართლო პრაქტიკისა თუ სამართლებრივი ტრადიციების მნიშვნელობა „კანონის განჭვრეტადობის“ შესაფასებლად, განსაკუთრებულია საერთო სამართლის ქვეყნებში, სადაც სამოსამართლო სამართალია წარმმართველი.

საქმეში *Sunday Times (NI) v. The United Kingdom*¹⁴ მომჩივანი სწორედ იმას მიუთითებდა, რომ ინგლისის საერთო სამართლის ნორმები არ იძლეოდა სწორი განჭვრეტის შესაძლებლობას. ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა მას და აღნიშნა, რომ ინგლისის საერთო სამართლის ნორმებით აღწერილი წესი, რომელსაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ეყრდნობოდა და ის, რაც შესაბამის დარღვევას შეეძლებოდა მოჰყოლოდა, „მოსალოდნელი იყო იმ ხარისხით, რაც შესაბამისი იყო მოცემულ გარემოებებში“.

ასევე გაერთიანებულ სამეფოს შეეხებოდა საქმე *Goodwin v. The United Kingdom*.¹⁵ მომჩივანი მიუთითებდა, რომ 1981 წლის კანონის მე-10 მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას „მართლმსაჯულების ინტერესებისათვის“, არ აკმაყოფილებდა „კანონის განჭვრეტადობის“ მოთხოვნას, ვინაიდან მასში არ იყო ჩამოყალიბებული ინფორმაციის წყაროს დაცვის პრინციპიდან გამონაკლისი. ამის გამო, რთული ხდებოდა იმ გარემოებათა განჭვრეტა, რომელთა არსებობის დროსაც შესაძლებლად ჩაითვლებოდა კერძო კომპანიის ინტერესის დასაცავად ინფორმაციის წყაროს დასახელების შესახებ სასამართლოს ბრძანება.

¹² *Mark Inten Verlag GmbH and Klaus Beermann v. FRG*, judgment of 20 November 1989.

¹³ *Barthold v. FRG*, judgment of 25 March 1985, §47.

¹⁴ *Sunday Times (NI) v. The United Kingdom*, judgment of 26 April 1979.

¹⁵ *Goodwin v. The United Kingdom*, judgment of 27 March, 1996.

ევროპულმა სასამართლომ ამის თაობაზე აღნიშნა, რომ ეროვნული კანონი ფორმულირებული უნდა ყოფილიყო სიზუსტის ისეთი ხარისხით, რომ დაინტერესებულ პირებს (აუცილებლობის შემთხვევაში – იურიდიული კონსულტაციის დახმარებით), შესაძლებლობა ჰქონოდათ, გაეთვალისწინებინათ კონკრეტული მოქმედების შედეგები. იმის გამო, რომ აბსოლუტური სიზუსტე ამ სფეროში დიდ სირთულეს წარმოადგენდა, გარკვეული მოქნილობა არა მარტო დასაშვებია, არამედ სასურველიც კი იყო იმისათვის, რათა ეროვნულ სასამართლოებს შესაძლებლობა მისცემოდათ, განევიტარებინათ სამართალი იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში რომელი შემზღუდველი ღონისძიებები ჩაითვლებოდა „აუცილებლად მართლმსაჯულების განხორციელებისათვის“. გარდა ამისა, კანონში გამოყენებული ცნება – „მართლმსაჯულების ინტერესებისათვის“ კარგად იყო განმარტებული ლორდთა პალატის მიერ. უფრო მეტიც, არსებობდა ლორდთა პალატის სხვა განმარტებაც, რომლის მიხედვით, პირს, რომელიც ყოველგვარი ბრალის გარეშე აღმოჩნდებოდა უკანონო მოქმედებებში ჩართული, შეიძლებოდა დაკისრებოდა სამართალდამრღვევთა ვინაობის გამხელის ვალდებულება. საერთაშორისო სასამართლოს აზრით, ზემოაღნიშნული და სხვა განმარტებანი მოცემულ სფეროში, შესაძლებლობას იძლეოდა, გასაგები გამხდარიყო 1981 წლის კანონის დარღვევის სამართლებრივი შედეგები, და, აქედან გამომდინარე, ადეკვატური დაცვის საშუალებებიც სრულყოფილად ყოფილიყო გათვალისწინებული. ამიტომ, მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული კანონი აკმაყოფილებდა „განჭვრეტადობის“ კრიტერიუმს.

კარგი მაგალითია აგრეთვე საქმე *Wingrove v. The United Kingdom*¹⁶.

იგი შეეხებოდა ვიდეოფილმ „ექსტაზური ხილვების“ სერთიფიცირებაზე უარს იმ მოტივით, რომ სიწმინდის თემისადმი მიუღებელი დამოკიდებულებით, იგი არღვევდა სისხლის სამართლის კანონს, რომელიც კრძალავდა „ღვთის გმობას“. მომჩივანი მიუთითებდა, რომ „ღვთის გმობის“ ამკრძალავი კანონის ნორმები ფორმულირებული იყო ისე ბუნდოვნად, რომ უჩვეულოდ რთული ხდებოდა იმის გარკვევა, ჩაითვლებოდა თუ არა ესა თუ ის მოქმედება „ღვთის გმობად“ და რას გადაწყვეტდა ადმინისტრაციული ორგანო. ამის გამო, შეუძლებელი ხდებოდა მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება.

მოპასუხე სახელმწიფოს მთავრობამ სავსებით გონივრული პასუხი გასცა ამ საკითხს. მისი აზრით, სამართალი არც უნდა ცდილიყო, დეტალურად აღეწერა, თუ რა შეიძლებოდა აღქმული ყოფილიყო, როგორც „ღვთის გმობა“.

საერთაშორისო სასამართლო დაეთანხმა მოპასუხე მთავრობის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ „ღვთის გმობა“ არ ექვემდებარებოდა ზუსტ იურიდიულ განსაზღვრებას. ამიტომ, ეროვნულ სახელმწიფოს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, შეეფასებინა, შეესაბამებოდა თუ არა კონკრეტული საქმის გარემოებები კანონში

¹⁶ *Wingrove v. The United Kingdom*, judgment of 25 March 1996.

აღწერილ დანაშაულს. გარდა ამისა, არსებობდა „ღვთის გმობის“ ლორდთა პალატისეული განმარტება, რომელიც სხვა საქმის განხილვის დროს იყო შემუშავებული. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოძივანს ადვილად შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მისი ფილმი, განსაკუთრებით კი – სცენები ჯვარცმულ ქრისტესთან სექსუალური მოქმედებებისა, შეფასებული იქნებოდა, როგორც „ღვთის გმობა“. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა იყო „კანონით გათვალისწინებული“.

დაბოლოს, ერთი მაგალითი იმისა, რომ „კანონის განჭვრეტადობის“ მოთხოვნა დაკმაყოფილებულია იმ შემთხვევაშიც, როცა ასეთი „განჭვრეტადობა“ სამართლებრივი დახმარების საშუალებით არის უზრუნველყოფილი.

საქმეში *Open Door and Dublin well Woman v. Ireland*¹⁷ მოძივანი მიუთითებდა, რომ არ იყო ადვილად გასათვალისწინებელი, რომ შესაბამისი კონსტიტუციური დებულება საკმარის კანონიერ საფუძვლად ჩაითვლებოდა მის წინააღმდეგ პროცესის წამოსაწყებად. საერთაშორისო სასამართლომ უარყო ეს არგუმენტი, რადგან მოიპოვა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრაქტიკულად, მოძივანს მიღებული ჰქონდა სამართლებრივი რჩევა-დარიგება ადვოკატისაგან, რომელშიც აღნიშნული იყო შესაძლებლობა, რომ კონსტიტუციას შეეძლო აღეჭურვა ხელისუფლება მის წინააღმდეგ შესაბამისი სანქციების უფლებამოსილებით.

* * *

ცალკე, თუნდაც ზედაპირულ განხილვას იმსახურებს ერთი საკითხი, რომელიც სპეციფიკურია კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებაში. იგი უკავშირდებოდა კანონით წინასწარი შეზღუდვის შემოღებას.

საკითხი ასე ისმის: ჩაითვლება თუ არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა „კანონით გათვალისწინებულად“, როდესაც კანონით დადგენილია წინასწარი ცენზურა, მაგალითად, პუბლიკაციისა?

სტრასბურგის სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა მოწმობს, რომ მართალია, არ არსებობს მკვეთრი აკრძალვა წინასწარი ცენზურისა, მაგრამ მის მიმართ დამოკიდებულება უარყოფითია. იგი აღკვეთს ან მეტისმეტად ზღუდავს, ერთი მხრივ, ინფორმაციისა და იდეების გავრცელებას და, მეორე მხრივ კი – მათ მიღებას იმათი მხრიდან, ვისაც უფლება აქვს მიიღოს ისინი და იქონიოს მათზე საკუთარი აზრი და შეხედულება. უფრო მეტიც, მიჩნეულია, რომ პოსტ-პუბლიკაციების დროს გამოყენებული სანქციებიც კი უარყოფით გავლენას ახდენს ინფორმაციის შემდგომი გაცვლის პროცესზე, ვინაიდან ამა თუ იმ მასალის გამოქვეყნების პერსპექტივები სწორედ ამ გამოცდილების ხარჯზე ყალიბდება და ყოველთვის წინასწარ ისმის

¹⁷*Open Door Counselling Ltd and Dublin well Woman v. Ireland*, judgment of 29 October 1992.

კითხვა, ხომ არ გამოიწვევს პუბლიკაცია სანქციებს. ამის მიუხედავად, „კანონით გათვალისწინებულობის“ მოთხოვნა წინასწარი ცენზურის დროს დაკმაყოფილებულად მიიჩნევა და შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას ძირითადი აქცენტი მეორე მოთხოვნაზე – „აუცილებლობის“ შეფასებაზეა გადატანილი.

ამ მხრივ საინტერესო საქმეა *Çetin and Others v. Turkey*, რომელიც შეეხებოდა თურქეთში საგანგებო მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო აქტის საფუძველზე საგანგებო მდგომარეობათა რეგიონის მმართველის მიერ გაზეთ *Ülkede Gündem*-ის პუბლიკაციისა და გავრცელების აკრძალვას იმ რეგიონებში, სადაც საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნული აქტი არ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რათა ჩარევა „კანონით გათვალისწინებულად“ ჩაითვალოს. როგორც ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, ეს აქტი საგანგებო მდგომარეობათა რეგიონების მმართველს ფაქტობრივად შეუზღუდავ უფლებამოსილებას ანიჭებდა და არ შეიცავდა აკრძალვის უფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიებს. იგი არ ექვემდებარებოდა სასამართლო კონტროლს, ხოლო საკუთრივ *Ülkede Gündem*-ის აკრძალვის გადაწყვეტილება არავითარ დასაბუთებას არ შეიცავდა. მაინც, ევროპულ სასამართლოს სადაოდ არ გაუხდია საკითხი, ჩაითვლებოდა თუ არა ასეთი აკრძალვა „კანონით გათვალისწინებულად“. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ასეთი აკრძალვები, პრინციპულად, არ იყო შეუთავსებელი კონვენციასთან, თუ მისი გამოყენება დაექვემდებარებოდა მკაცრად განსაზღვრულ პირობებს. მაგრამ ეს და ზემოაღნიშნული არგუმენტები მან ჩარევის აუცილებლობის უარსაყოფად გამოიყენა.¹⁸

დასასრულ, კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც ზემოაღნიშნულ საქმეშიც გამოვლინდა: **რა მიმართებაშია ერთმანეთთან „კანონით გათვალისწინებულობის“ პირობის შემოწმება კონვენციასთან შესაბამისი ეროვნული კანონის შესაბამისობის შეფასებასთან?**

ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა დაცულობაზე ევროპული ზედამხედველობა ვრცელდება არა მარტო კანონის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებზე, არამედ საკუთრივ კანონმდებლობაზეც, სწორედ „კანონით გათვალისწინებულობის“ პირობას უკავშირდება მჭიდროდ. ასეთი ზედამხედველობა კანონის განჭვრეტადობის შემოწმების პროცესშიც ხორციელდება. იმის შეფასება, შეიცავდა თუ არა კანონი უფლებათა დაცვის გარანტიებს, იძლეოდა თუ არა თვითნებური გამოყენების შესაძლებლობას და სხვა, ფაქტობრივად, კონვენციასთან მისი შესაბამისობას შემოწმებას ნიშნავს, ოღონდ ნაწილობრივ. კანონის განჭვრეტადობის აღიარება სრულიადაც არ გულისხმობს იმავდროულად იმის აღიარებასაც, რომ იგი კონვენციას სრულად შეესაბამება; კანონის კონვენციასთან შესაბამისობის შემოწმება *in abstracto*, გაცილებით უფრო რთულია, მრავალპლანიანი

¹⁸*Çetin and Others v. Turkey*, judgment of 13 February 2003.

და ყოველთვის არც ცალსახა დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი. საქმეს ისიც ართულებს, რომ ამა თუ იმ საკითხის დარეგულირება კომპლექსურია, სხვადასხვა ნორმების საშუალებით ხორციელდება და შესაბამისად, ერთობლიობაში შეფასებას მოითხოვს. ამის გამო, ზოგჯერ მხოლოდ მათი გამოყენების პროცესში იკვეთება კონვენციასთან შეუსაბამობა. უფრო ხშირად ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ერთი და იგივე ნორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კონვენციასთან შესაბამისად, ისე მის საწინააღმდეგოდ. ამიტომ, ასევე ხშირად, ევროპული სასამართლოს შეფასებანი არ არის კატეგორიული ხასიათისა და იმის თქმით ამოიწურება, რომ შესაბამისი ნორმის გამოყენებას შეიძლებოდა გამოეწვია კონვენციის მე-10 მუხლთან შეუთავსებელი გადაწყვეტილება. მაგალითად, საქმეში *Ukrainian Media Group v. Ukraine*, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ინდივიდური რეპუტაციის უფლების დაცვის სფეროში უკრაინის იმდროინდელი კანონმდებლობა თუმცა „განჭვრეტადი“ იყო, მაგრამ „შესაძლოა“ არ შეესაბამებოდა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებულ მოთხოვნებს. ამ კანონმდებლობის მიხედვით რეპუტაციის შემლახველი ნებისმიერი განცხადება, მათ შორის „შეფასებითი მსჯელობა“ სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცებას ექვემდებარებოდა. როგორც სასამართლომ აღნიშნა, ეს ნორმები აღუკვეთავდა სასამართლოებს იმის შესაძლებლობას, რომ განესხვავებინათ ერთმანეთისაგან „ყალბი ფაქტის მტკიცება“ და „პატიოსანი კომენტარი“. კანონმდებლობა შეიცავდა სხვა მოუქნელ ელემენტებსაც და საბოლოო ჯამში მის გამოყენებას „შეეძლო“ გამოეწვია კონვენციის მე-10 მუხლთან შეუთავსებელი გადაწყვეტილებანი.¹⁹

¹⁹ *Ukrainian Media Group v. Ukraine*, judgment of 29 March 2005. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე **R.A.Lawson & H.G.Schermers**, *Leading Cases of the European Court of Human Rights* (sec.ed.), 1999. გვ.38.

§6.2. უმჯობესების „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“

6.2.1. სამართო კონცეპტუალური გაგება

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 პუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია **ეროვნული უმუშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, დანაშაულისა და უწყესრიგობის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების აღსაკვეთად¹ ანდა მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის ინტერესებისათვის.**

ესენი გახლავთ ის „კანონიერი მიზნები“, რომელთა დასაცავადაც სახელმწიფოს მხრიდან გამოხატვის თავისუფლების ინდივიდური უფლების შეზღუდვა შეიძლება მიჩნეულ იქნას „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ამრიგად, ცალკე, განყენებული მსჯელობა იმაზე, იყო თუ არა შეზღუდვა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, შეუძლებელია. იგი ყოველთვის გულისხმობს შესაბამის კანონიერ მიზანთან მიმართებას. შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე კანონიერი მიზნის დასაცავად.

მაგრამ სანამ ევროპული სასამართლო იმის შეფასებას დაიწყებს, რამდენად აუცილებელი იყო შეზღუდვა ამა თუ იმ კანონიერი ინტერესის დასაცავად, ლოგიკურად და ბუნებრივად წირამიშობა იმის საჭიროება, თავიდანვე გარკვეულ იქნას, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან შესაბამისი შეზღუდვა და ესა თუ ის კანონიერი ინტერესი. ცხადია, რომ ესა თუ ის შეზღუდვა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს აუცილებელი ამა თუ იმ კანონიერ ინტერესის დასაცავად, თუ უფლების განხორციელებასა და შესაბამის კანონიერ მიზანს შორის გარკვეული ობიექტური და ლოგიკური კავშირი არსებობს. როდესაც ასეთი კავშირი სახეზეა, „ჩარევის აუცილებლობა“ სულ მცირე, გამორიცხული არ არის და მაშასადამე აუცილებლობის შეფასებაც აზრი აქვს და პირიქით – როდესაც ასეთი კავშირი არ

¹ „კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების აღკვეთა“ ძირითადად გულისხმობს სახელმწიფო მოხელისათვის დაწესებულ აკრძალვას, გაამხილოს ოფიციალური საიდუმლო, რომელიც მას გააჩნდა კონფიდენციალურად. ის მოიცავს აგრეთვე პრესისათვის იმის აკრძალვას, გამოაქვეყნოს კონფიდენციალური ინფორმაცია უმუშროების სამსახურის საქმიანობის შესახებ (*X v. FRG*, §13. Yearbook, 1970). მასშივე იგულისხმება სხვა შემთხვევებიც, მაგალითად, რომლებიც უკავშირდება პირადი ექიმისათვის განღობილ ინფორმაციას და სხვ.

არსებობს, „ჩარევის აუცილებლობა“ უკვე გამორიცხულია და მაშასადამე, ყოველგვარი შემდგომი შეფასებანი აზრს კარგავს. ასეთი ლოგიკური და ობიექტური კავშირის შემოწმება არსებითად, იმის გამოკვლევაა, ემსახურებოდა თუ არა ესა თუ ის შეზღუდვა ამა თუ იმ კანონიერი ინტერესის დაცვას: თუ ევროპული სასამართლოს განჩინებებსა და გადაწყვეტილებებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მანამ, სანამ „აუცილებლობის“ შეფასებას დაიწყებს, იგი პასუხს სცემს კითხვას – ემსახურებოდა თუ არა უფლების შეზღუდვა კონვენციით გათვალისწინებულ მიზანს. ამასთან, ეს ორი საკითხის გარკვევას გულისხმობს – საკუთრივ სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნის იდენტიფიკაციას „კანონიერ მიზნად“ და მის მიმართებას შესაბამის შეზღუდვასთან. თუ სახელმწიფოს მიერ უფლების შეზღუდვის საფუძვლად ისეთი მიზანია დასახელებული, რომელიც არ წარმოადგენს „კანონიერ მიზანს“ კონვენციის მე-10 მუხლის გაგებით, ცხადია შეზღუდვა ვერასოდეს იქნება გამართლებული. მაგრამ შესაძლოა, სახელმწიფოს მიერ დასახელებული მიზანი იყოს „კანონიერი“ (მე-10 მუხლის გაგებით), მაგრამ ის არ იყოს საკმარის ობიექტურ და ლოგიკურ კავშირში შესაბამის შეზღუდვასთან. მაგალითად, ეროვნული უშიშროების დაცვის ინტერესი „კანონიერი მიზანია“, მაგრამ პირადი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის შეზღუდვა, თუნდაც იგი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირს შეეხებოდეს, ძალზე ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეროვნული უშიშროების დაცვის ინტერესს ემსახურებოდეს, ვინაიდან ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ინფორმაციის გავრცელება ეროვნული უშიშროების დაცვის ინტერესს რაიმე ზიანს აყენებდა. მაშინ, როდესაც, მაგალითად სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის შეზღუდვა ყოველთვის ლოგიკურ კავშირშია ეროვნული უშიშროების დაცვის ინტერესებთან, რამდენადაც ამ ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება რეალურად დააზარალოს ან საფრთხე შეუქმნას ამ ინტერესს. შესაბამისად, იმის მიუხედავად, აუცილებლად იქნება თუ არა მიჩნეული ასეთი შეზღუდვა შემდგომში, კითხვაზე – ემსახურებოდა თუ არა იგი ამ საჯარო ინტერესის დაცვას, პასუხი ყოველთვის დადებითი იქნება. მაშასადამე აუცილებლობის შეფასებას აზრი ექნება. ამგვარად, იმის გარკვევა, ემსახურებოდა თუ არა ესა თუ ის შეზღუდვა ამა თუ იმ „კანონიერ მიზანს“, იმის შეფასებას გულისხმობს, შეეძლო თუ არა გამოხატვის თავისუფლების შესაბამის განხორციელებას მიეყენებინა რეალური ზიანი ან შეექმნა მისთვის ზიანის მიყენების საფრთხე. თუ ასეთი შესაძლებლობა გამორიცხულია, ცხადია ვერც უფლების შეზღუდვა (წინასწარ გამორიცხულად) ვერ მოემსახურება ამ ინტერესის დაცვას და *a fortiori* ვერასოდეს იქნება „აუცილებელი“.

სწორედ ამიტომ აღვნიშნეთ დასაწყისში, რომ „შეზღუდვის აუცილებლობის“ შეფასებამ ლოგიკურად წარმოშვა უწინარესად იმის დადგენის საჭიროება, ემსახურებოდა თუ არა შეზღუდვა კონვენციით გათვალისწინებულ რომელიმე

კანონიერ მიზანს. ამ საკითხზე მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში ხდება „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება აქტუალური.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი. ამ საკითხის შემოწმება, ისევე როგორც შეზღუდვის პირველი პირობისა – იყო თუ არა შეზღუდვა „კანონით გათვალისწინებული“, პრაქტიკაში გაცილებით უფრო იშვიათად წარმოშობს პრობლემებს, ვიდრე საკუთრივ შეზღუდვის „აუცილებლობის“ შეფასება. აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევებში კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გათვალისწინებულია კანონით და ემსახურება კონვენციის მე-10 მუხლში მითითებულ რომელიმე კანონიერ მიზანს, მაგრამ საკუთრივ შეზღუდვის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ძალზე ხშირად არ არის გაზიარებული ევროპული სასამართლოს მხრიდან, რაც სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ამა თუ იმ საჯარო ან სხვა პირთა ინტერესების დასაცავად ხელშემკვრელი სახელმწიფოები გაცილებით უფრო ხშირად მიიჩნევენ ამა თუ იმ შეზღუდვას „აუცილებლად“, ვიდრე ევროპული სასამართლო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში გამოხატვის თავისუფლების დაცულობის საერთო სტანდარტი უფრო დაბალია იმ სტანდარტთან შედარებით, რომელსაც ევროპული სასამართლო თავისი იურისპრუდენციით ამკვიდრებს.

ახლა კი დაწვრილებით იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს შეფასება – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

შეფასება – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ორ კომპონენტს მოიცავს – უფლებაში ჩარევის „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შეფასებას. იმისათვის, რათა გამოხატვის თავისუფლების ესა თუ ის შეზღუდვა გამართლებულად იქნეს მიჩნეული, ერთი მხრივ, იგი აუცილებელი უნდა იყოს შესაბამისი კანონიერი ინტერესის დასაცავად, მეორე მხრივ კი – თანაზომიერი დასახული კანონიერი მიზნისა.

შესაბამისად, „აუცილებელის“ კრიტერიუმის გამოყენების დროს იმის შეფასება ხდება, თუ რამდენად აუცილებელი იყო კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდურ უფლებაში ჩარევა შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. ხოლო უფლებაში ჩარევის თანაზომიერების (ზოგჯერ მას „პროპორციულობას“ უწოდებენ) დადგენა კი გულისხმობს ასევე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის შეფასებას, თუ რამდენად აუცილებელი იყო დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად უფლებაში სწორედ ისეთი ხარისხით ჩარევა, რაც შესაბამისმა ეროვნულმა სახელმწიფომ განახორციელა.

როდის არის ჩარევა „აუცილებელი“ და „თანაზომიერი“? მათზე პასუხი, პრაქტიკულად, იმავდროულად პასუხია კითხვაზე, უნდა ჩარეულიყო თუ არა სახელმწიფო უფლებაში, და თუ კი, რა ზომით, რა ხარისხით. უფრო მეტიც, იგი

იმ კითხვაზე პასუხიცაა, როგორი ბალანსი იქნება შესაბამის შემთხვევაში სამართლიანი – ინდივიდური უფლების სასარგებლო, თუ მისი საზიანო.

სიცხადისათვის აუცილებლად გვესახება, კარგად გამოვკვეთოთ, რომ ორივე კომპონენტის დროს “აუცილებლობის” შეფასება ხდება, მაგრამ პირველ შემთხვევაში – ჩარევის აუცილებლობისა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ჩარევის ხარისხის (უფლების შემზღუდავი ღონისძიებების) აუცილებლობისა. თუ „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შეფასებანი დადებითია, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო უნდა ჩარეულიყო უფლებაში და, ამასთანავე, იმ ხარისხითა თუ ზომით, როგორითაც ჩაერია. ეს ორივე კომპონენტი ერთობლივად განსაზღვრავს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ საერთო კვალიფიკაციას. ამიტომ, თუ მხოლოდ „თანაზომიერების“ შეფასებაა უარყოფითი, ეს იმას ნიშნავს, რომ უფლების შუზღუდა მაინც ვერ იქნება მიჩნეული, როგორც „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის გაცნობა მოწმობს, რომ შეფასება – „აუცილებელ დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მაღალ სტანდარტს გულისხმობს, გამომდინარე იმ დიდი როლიდან, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ეკისრება დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. როგორც დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ, ის არ გულისხმობს „აბსოლუტურად აუცილებელს“, ან „უკიდურესად აუცილებელს“, მაგრამ მისი შინაარსი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ოდენ „სასურველი“, „დასაშვები“, „მისაღები“, „სასარგებლო“ ან თუნდაც „საჭირო“. ეს არის ჩარევის აუცილებლობისა და ჩარევის თანაზომიერების საერთო სტანდარტი. თუმცა ეს სტანდარტი სხვადასხვაგვარად მიიღწევა.

საკუთრივ „ჩარევა“ უფლების განხორციელებაში მაშინ არის „აუცილებელი“, როდესაც არსებობს შესაბამისი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, და მისი „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძველი; ხოლო უფლებაში შესაბამისი ხარისხით ჩარევა – მაშინ, როდესაც ის დასახული კანონიერი მიზნის თანაზომიერია. ასე რომ, როგორც ვხედავთ, „ჩარევის აუცილებლობა“ უფრო აბსოლუტური განზომილებებით განისაზღვრება, მაშინ როდესაც, „უფლებაში შესაბამისი ხარისხით ჩარევის აუცილებლობა“ თანაზომიერების, ანუ შეფარდებითი განზომილებებით ხორციელდება.

„ჩარევის აუცილებლობის“ ამსახველი სტანდარტი („მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“) და ჩარევის თანაზომიერების მოთხოვნა ევროპულმა სასამართლომ პირველად *Handyside*-ს საქმეში ჩამოაყალიბა. მან მიუთითა, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა განპირობებული უნდა ყოფილიყო „**მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით**“ (*pressing social needs*), რომელიც გულისხმობდა „**შესაბამისი და საკმარისი**“ (*relevant and sufficient*) საფუძველის არსებობას ასეთი საჭიროების აღიარებისათვის. მანვე განმარტა, რომ შეფასება „აუცილებელი დემოკრატიულ

საზოგადოებაში“ გულისხმობდა ჩარევის ღონისძიების (ჩარევის ხასიათისა და ხარისხის) თანაზომიერებას დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში.²

როგორც **ჰარისი, ო’ბოილი და უორბრიკი** მიუთითებენ, აღნიშნული დებულება იმის დამტკიცების ტვირთს, რომ მართლაც არსებობდა შესაბამისი კანონიერი ინტერესის დასაცავად გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება და მისი აღიარებისათვის აუცილებელი „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძველი, მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებდა.³

მართლაც, ინდივიდურ უფლებაში ყოველი კონკრეტული ჩარევის აუცილებლობისა და თანაზომიერების შეფასებას, პირველ რიგში, შესაბამისი მოპასუხე სახელმწიფო ახორციელებს, რომელიც მოქმედებს შეფასების თავისუფლების მისთვის მიკუთვნებულ ფარგლებში. ევროპული სასამართლო კი მისი შეფასებების კონვენციასთან შესაბამისობას ამოწმებს და, იმავდროულად მხედველობაში იღებს როგორც ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლებს, ისე გამოხატვის თავისუფლების გამორჩეულ მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპულმა სასამართლომ თავის განჩინებაში შემდგომში არაერთხელ დაადასტურა ეს გარემოება სხვადასხვა კონტექსტში:

– „აუცილებელი“ კონვენციის მე-10 მუხლის გაგებით, გულისხმობს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“. ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული თავისუფლებით, რათა შეაფასონ ასეთი საჭიროების არსებობა, მაგრამ ის განუყრელადაა დაკავშირებული ევროპულ კონტროლთან. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს, თუ რამდენად შეესაბამება „ჩარევა“ კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას. აუცილებელია დადგინდეს, იყო თუ არა ჩარევა დასახული კანონიერი მიზნის თანაზომიერი და იყო თუ არა ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩარევის გასამართლებლად მოყვანილი არგუმენტები საკმარისი და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის კრიტერიუმებთან შესატყვისი. სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიყენა წესები, რომლებიც შეესაბამებოდა მე-10 მუხლის პრინციპებს და დაეყრდნო საქმეში არსებული ფაქტების მისაღებ შეფასებას.⁴

– საკითხის განხილვისას, ჩაითვლება თუ არა კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხელშემკვრელი სახელმწიფოები შეზღუდვის მიზანშეწონილობის შეფასებისას სარგებლობენ შეფასების გარკვეული, მაგრამ, არა შეუზღუდავი თავისუფლებით. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ შეზღუდვების კონვენციასთან

² *Handyside*, §48.

³ **D.G.Harris, M.O’Boyle, C.Warbrick**, მითითებული ნაშრომი, გვ.396.

⁴ *Janowski*, §30. *Rekvényi*, §42; *Öztürk*, §64; *Zana*, §54; *Ahmed*, §55; *Hertel*, §46; *Wille*, §61; *Worm*, §47; *Ceylan*, §32; *Karataş*, §48; *Erdogdu et Ince* §47; *Başkaya et Okşuoğlu*, §61; *Süre*, N1, §58

შესაბამისობის საკითხზე ყველა შემთხვევაში ევროპული სასამართლო იღებს, რომელიც საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით აფასებს, შესაბამებოდა თუ არა შესაბამისი ჩარევა „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ და იყო თუ არა იგი დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული.⁵ გამოხატვის თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევის აუცილებლობა ზედმიწევნით უნდა იქნას დადგენილი.⁶ სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული თავისუფლებით იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა აუცილებელი და რა ზომით გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეფასდეს, იყო თუ არა ხელისუფლების მიერ შერჩეული მეთოდები გონივრული და შესაბამისი.⁷

ზემოაღნიშნული განმარტებებით ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა შეზღუდვის პირობის – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონცეფცია; მისი კვინტესენცია შემდეგნაირად შეიძლება გადმოვცეთ:

I) შეფასება – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ „აუცილებლობის“ საკმაოდ მაღალ სტანდარტს გულისხმობს;

II) იგი შედგება „ჩარევის აუცილებლობის“ და „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებებისაგან;

III) ორივე მათგანი ზედმიწევნით უნდა იყოს დასაბუთებული: „ჩარევის აუცილებლობა“ განპირობებული უნდა იყოს „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“. მისი აღიარება კი ეყრდნობოდა „შესაბამის და საკმარის“ საფუძველს; „ჩარევის თანაზომიერება“ ასევე მოითხოვს „შესაბამის და საკმარის საფუძველს“;

IV) „ჩარევის აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ დამტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე სახელმწიფოს, რომელიც მოქმედებს შეფასების თავისუფლების მისთვის მიკუთვნებულ ფარგლებში. მათი შეფასებების კონვენციასთან შესაბამისობას კი ევროპული სასამართლო იკვლევს, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლების გამორჩეულ მნიშვნელობას, მეორე მხრივ კი – ეროვნული შეფასების თავისუფლების შესაბამის არეალს.

„ჩარევის აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასება ევროპული სასამართლოსათვის ფაქტობრივად ძირითადი საკითხია ყველა იმ უფლებასთან მიმართებაში, რომლებიც საჯარო ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად შეზღუდვებს ექვემდებარებიან. ამიტომ ის ძირითადი მიდგომები, რომლებიც ამ უფლებებთან მიმართებაშია შემუშავებული, სწორედ ჩარევის აუცილებლობისა და თანაზომიერების შეფასებისას გამოიყენება და მის პროცესში ვლინდება. მაგალითად, აღნიშნული შეფასებანი განუყოფელია საჯარო და კერძო

⁵ *Wingrove*, §53

⁶ *Worm*, §47

⁷ *Steel and Others*, §104

ინტერესების სამართლიანი დაბალანსების იდეისაგან, რაც ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზრუნავს წარმოადგენს.

6.2.2. „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება

„ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული. იმ გარემოებას, აღიარებს თუ არა ევროპული სასამართლო შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ და საამისოდ აუცილებელ „შესაბამის და საკმარის“ საფუძველს, წინასწარ ადვილად სავარაუდო არ არის. ასეთ შეფასებას საქმის კონკრეტული გარემოებები, ნიუანსები და საერთო კონტექსტი განსაზღვრავს. შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ რა გარემოებებთან გვაქვს საქმე, გამოვლინდება სხვადასხვა საკითხებისადმი შემუშავებული მიდგომების გამოყენების საჭიროება. მათი ურთიერთქმედებისა და დაბალანსების შედეგად ყალიბდება შეხედულება გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობის ან არარსებობის შესახებ.

დასაწყისში, სადაც ევროპული სასამართლოს „ძირითად მიდგომებზე“ ვისაუბრეთ, ჩვენ იქაც ჩამოვთვალეთ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებაზე და აღვნიშნეთ, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, არცერთ მათგანს არ აქვს ცალსახად გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუმცადა, ზოგიერთი ფაქტორის გავლენა შედარებით მეტია, ზოგიერთისა – შედარებით ნაკლები. ამჯერად, აქცენტს გავაკეთებთ იმაზე, თუ კერძოდ რა გავლენას ახდენს შესაბამისი ფაქტორები „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასებაზე.

ა) შეეხება თუ არა „გამონატვა“ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს.

– როდესაც საქმე საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხება და წარმოადგენს მასზე საჯარო დისკუსიაში „წვლილის შეტანას“, მისი გავრცელებისა და მიღების თავისუფლების შეზღუდვა იშვიათად შეიძლება იქნას მიჩნეული „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებად“. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ საქმე გვაქვს კანონიერი ინტერესების სერიოზულ დაზიანებასთან ან „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ უხეშ დარღვევასთან.

ბ) რა სფეროს შეეხება „გამონატვა“

ეს ფაქტორი პირველ ფაქტორს უკავშირდება და მისგან გამომდინარეობს.

– პოლიტიკის, მასმედიის თავისუფლების სფეროები უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებს და მათზე ყველაზე მეტადაა

დამოკიდებული დემოკრატიული პროცესის ფუნქციონირება. ამიტომ პოლიტიკურ საკითხებზე იდეებისა და ინფორმაციის, ისევე, როგორც მასმედიის თავისუფლების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დასაბუთება ძალზე გართულებულია. მათგან განსხვავებით, შედარებით იოლია სხვა სფეროებში (ხელოვნება, მეცნიერება და სხვ.) ჩარევის აუცილებლობის აღიარება. კომერციის სფეროში კი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ კრიტერიუმი საერთოდ არ გამოიყენება. საკმარისია სახელმწიფომ დაამტკიცოს, რომ „შეზღუდვა არ იყო არაგონივრული“.

გ) როგორია შესაბამის სფეროში შეფასების თავისუფლების ფარგლები

– თუ ასეთი ფარგლები ფართოა, „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ აღიარებაც გაიოლებულია, ვინაიდან ფართო ფარგლების დროს მეტი ანგარიში გაეწევა ეროვნული ხელისუფლების შეფასებას ასეთი საჭიროებისა და მისი „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლის არსებობის შესახებ; თუ ვიწრო – შედარებით რთული და საბოლოო შედეგს დანარჩენ ფაქტორთა ერთობლიობა გადაწყვეტს.

დ) ვის მიერ არის გამოთქმული კრიტიკა

– ვინაიდან განსაკუთრებით ფასობს ხალხის არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლება თავისი მანდატის განსახორციელებლად, აგრეთვე ადვოკატისა სასამართლო დარბაზში (თუ იგი შემოზღუდულია განსახილველი საქმის საკითხებით), შესაბამისად უკიდურესად გართულებულია მათი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის დასაბუთებაც. სხვა შემთხვევაში ამ თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტის ვინაობა შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენს ჩარევის აუცილებლობის შეფასებაზე.

ე) ვის მიმართაა გამოთქმული კრიტიკა

– იმათი კრიტიკის შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, ვის მიმართაც „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ფართოა (ხელისუფლების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები) ძალზე იშვიათად შეიძლება წარმოიქმნას და პირიქით – ვის მიმართაც ასეთი ფარგლები ვიწროა, მათი კრიტიკის შეზღუდვის საჭიროების აღიარება შედარებით გაიოლებულია.

ვ) როგორია ინფორმაციებისა და იდეების შინაარსი

სრულიად ცალსახა დამოკიდებულება სიძულვილისა და ზიზლის მთესველ განცხადებებთან (*hate speech*) და ძალადობის ჩადენისაკენ ხალხის წაქეზებასთან (*incitement of violence*) მიმართებაში.

რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის გამომხატველი იდეებისა და ინფორმაციების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ წარმოდგება იქიდან, რომ იგი პირდაპირაა მიმართული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ. ამიტომ სახელმწიფოს სრული უფლება აქვს შეზღუდოს იგი იმის მიუხედავად, გამოიწვიოს თუ არა რეალურად მათმა გავრცელებამ რეალური ზიანი და შეიტყვეს თუ არა მათ შესახებ მათ, ვისაც შეურაცხყოფილად და დამცირებულად შეიძლება ეგრძნოთ თავი⁸ (ცალკე საკითხია ის, რომ სიძულვილსა და ზიზლის მთესველი განცხადებების შეზღუდვა ზოგჯერ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს ეყრდნობა; ზოგჯერ – პირდაპირ მე-17 მუხლს, ზოგჯერ კი – ორივეს. ასეთი განსხვავებულობა, ზოგჯერ საქმის გარემოებების სპეციფიკურობასთანაა დაკავშირებული, ზოგჯერ – ევროპული სასამართლოს არათანმიმდევრულობასთან. მაგრამ ამ კონტექსტში ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა).

ასევე უყოყმანოდ აღიარებს ევროპული სასამართლო ძალადობის ჩადენისაკენ წაქეზების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ აჯანყების, ამბოხების, ტერორიზმისაკენ მოწოდების დროს. თუკი გამონათქვამი ძალადობის ჩადენისაკენ წაქეზებად არის კვალიფიცირებული, ევროპული სასამართლო აღიარებს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ მის შესაზღუდად⁹ და პირიქით.¹⁰

დიდია „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ აღიარების ალბათობა, თუ იდეებისა ან ინფორმაციების შინაარსი გამოხატავს **უხამსობას**. იზღუდება უხამსი კრიტიკაც, თუნდაც საპასუხო.¹¹

⁸ მაგალითისათვის იხ. *Norwood v. the United Kingdom* (judgment of 16 November 2004). მოცემულ საქმეში არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ საცხოვრებელი სახლის ფანჯარაზე გამოკრული პლაკატი, რომელიც წარმოადგენდა თავდასხმას ბრიტანეთში მცხოვრებ ყველა მუსლიმანზე, თუნდაც ერთმა მუსლიმანმა იხილა. მომჩივანი ცხოვრობდა შედარებით თვალსმოფარებულ ადგილას, რომელიც არ იყო დასახლებული მუსლიმებით. ამის მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ უყოყმანოდ აღიარა, რომ პლაკატი კონვენციის მე-10 მუხლის დაცვით ვერ ისარგებლებდა.

⁹ მაგალითისათვის იხ. *B.E.Hogefield v. Germany*, decision of 20 January, 2000, *M.Zana v. Turkey* (Appl. N2951/96, decision of 19 September, 2000, *Sürek (N1) v. Turkey*, judgment of 8 July 1999, *Sürek (N3) v. Turkey*, judgment of 8 July 1999.

¹⁰ მაგალითისათვის იხ. *Aksoy v. Turkey*, judgment of 10 October 2000, *Erdogdu and Ince v. Turkey*, judgment of 8 July, 1999; *Sürek (N4)*, judgment of 8 July, 1999; *Sürek and Özdemir v. Turkey*, judgment of 9 July, 1999; *Gerger v. Turkey*, judgment of 9 July 1999; *Arslan v. Turkey*, judgment of 8 July 1999; *Sener v. Turkey*, judgment of 18 July 2000 და სხვ.

¹¹ მაგალითად საქმეში *Melnychuk v. Ukraine* (decision of 5 July 2005) ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია გაზეთის რედაქტორის უარი, გამოექვეყნებინა მომჩივნის საპასუხო წერილი, რომელიც უხამს გამონათქვამებს შეიცავდა (მომჩივანმა თავის გამაკრიტიკებელს უწოდა სიტყვა, რომელიც კულგარულ ენაში გამოიყენებოდა „პენისის“ აღმნიშვნელად).

იდეებისა და ინფორმაციების შინაარსი, ცხადია, ყოველთვის უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს მათი შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასებაზე, ვინაიდან უწინარესად სწორედ ამ შინაარსიდან წარმოდგება ის საფრთხე, რომელიც კანონიერ ინტერესებს შეიძლება შეექმნას. ამჯერად აქცენტი გაკეთებული იქნა იდეებისა და ინფორმაციების ისეთ შინაარსზე, რომლებიც ძალზე დიდი ალბათობით გამოიწვევს მათი შეზღუდვის მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას.

ზ) რომელ მედიას შეეხება საქმე

ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა გაცილებით დიდი ნაწილი პრესას შეეხება და არა რადიოს ან ტელევიზიას.; ამის მიზეზი ის არის, რომ პრესა თავისუფალია ბევრი ისეთი გარდაუვალი შეზღუდვისაგან, რომლებიც აუდიო და ვიზუალური მედიისათვის არის დამახასიათებელი. მაუწყებლობის ტექნიკური შესაძლებლობების შეზღუდულობის გამო, რადიო და ტელევიზია ექვემდებარება ლიცენზირებას, რომლის დროსაც სახელმწიფო ბალანსისა და გემოვნების საკითხებს იღებს მხედველობაში და შეფასების თავისუფლების დიდი არეალი გააჩნია.

ამიტომ, საკუთრივ ლიცენზიის საკითხების გადამოწმებისას ეროვნული გადაწყვეტილებებისადმი დამოკიდებულება საკმაოდ ლიბერალურია. სამაგიეროდ, როდესაც საქმე რადიოსა თუ ტელევიზიის მეშვეობით გავრცელებულ სადავო „იდეებსა თუ ინფორმაციას შეეხება“ ეს გარემოება პირიქით, ისეთი ფაქტორია, რომელმაც შეიძლება გააძლიეროს „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ აღიარების შესაძლებლობა. რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით იდეებისა თუ ინფორმაციების გავრცელებამ ამ საშუალებების (განსაკუთრებით ტელევიზიის) ძლიერი ზემოქმედების გამო, მაყურებელსა თუ მსმენელზე შეიძლება გაცილებით უარყოფითი ეფექტი იქონიოს, ვიდრე იგივე იდეებისა თუ ინფორმაციის გავრცელებამ გაზეთების, ჟურნალებისა თუ წიგნების საშუალებით. შესაბამისად, მეტი წინაპირობა წარმოიქმნება შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ აღიარებისათვის. ამგვარად, რადიოსა და ტელევიზიის გამოყენება ზრდის იმ პოტენციურ ზიანს, რომელიც შესაბამის „გამონახტვას“ სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა გამოეწვია.

თ) როგორი იყო აუდიტორია, ვისთვისაც შესაბამისი იდეები თუ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა, ან ვისთვისაც ისინი უშუალოდ იყო გამიზნული

იდეებისა თუ ინფორმაციის შეზღუდვა ზოგჯერ დაკავშირებულია იმ აუდიტორიასთან, რომელშიც ის გავრცელდა. საქმე ისაა, რომ იდეები და

ინფორმაცია, რომლებიც სხვა ვითარებაში არ შეიზღუდებოდა, შეიძლება შეიზღუდოს იმის გამო, რომ იგი გავრცელდა ისეთ აუდიტორიაში, რომლისათვისაც იგი მიუღებელი და ზიანის მომტანი იყო. მართლაც, ესა თუ ის ინფორმაცია თუ იდეები, რომლებიც მისაღებია უფროსი თაობის ადამიანებისათვის, ზიანის მომტანი შეიძლება იყოს მოზარდებისათვის. ან, რაც მისაღებია „სპეციალურად დაინტერესებული აუდიტორიისათვის“, შესაძლოა მიუღებელი აღმოჩნდეს ფართო ან რომელიმე კატეგორიის აუდიტორიისათვის და ა.შ.

Handyside-ს ცნობილი საქმე ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის ნათელი მაგალითია. სადავო წიგნი შეეხებოდა სექსის თემას. მაგრამ იგი განკუთვნილი იყო მოზარდებისათვის. სასარგებლო რჩევებთან ერთად იგი შეიცავდა ბევრ ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც არასწორად შეიძლება აღქმულიყო მოზარდების მხრიდან და დაებრკოლებინა მათი სწორი ფიზიკური თუ ზნეობრივი განვითარება. ამიტომ ევროპული სასამართლო დაეთანხმა მოპასუხე სახელმწიფოს მოსაზრებას ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის საკითხში.

ზოგჯერ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც იდეები ან ინფორმაცია განკუთვნილია „სპეციალურად დაინტერესებული აუდიტორიისათვის“, მაგრამ ისინი ფართო აუდიტორიისათვის ხდება ხელმისაწვდომი, ვისთვისაც ისინი შეურაცხყოფელი ან სხვაგვარად მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ გზით იმის უზრუნველყოფას, რომ იდეებისა თუ ინფორმაციის გავრცელება შემოიზღუდოს სპეციალურად დაინტერესებული აუდიტორიით და არ მოხდეს მათი შემთხვევით მიღება იმ ადამიანთა მხრიდან, ვისაც არ სურდა მათი მიღება. ამის უზრუნველყოფა გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტის „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ აუცილებელი კომპონენტია.

ზოგჯერ თავისთავად აუდიტორიის სიფართოვეს ან სივიწროვეს აქვს მნიშვნელობა. ამა თუ იმ ინფორმაციისა თუ იდეების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ შეიძლება წარმოიშვას სწორედ იმიტომ, რომ იგი ფართოდ გავრცელდა. მაგალითად – გამოქვეყნდა ისეთ გაზეთში ან გადაიკა ისეთი სატელევიზიო არხით, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიას მოიცავდა. მაშინ, როდესაც ამავე იდეებისა თუ ინფორმაციების გადაცემა ადგილობრივი მედიით, ან ისეთი გაზეთით, რომელსაც მცირე ცირკულაცია გააჩნდა, შეზღუდვებს არ გამოიწვევდა. ეს სავსებით ლოგიკურია. როდესაც ინფორმაცია თუ იდეები ზიანის საფრთხის შემცველია, ცხადია, ზიანის შესაძლებლობა მით მეტია, რაც უფრო დიდია შესაბამისი აუდიტორია. ამიტომ, ევროპული სასამართლო ყოველთვის მხედველობაში იღებს, თუ რამდენად ფართო იყო შესაბამისი მკვითხველის, მსმენელის თუ მაყურებლის აუდიტორია. ამისათვის იგი ითვალისწინებს, თუ რამდენად ფართო გავრცელება გააჩნდა გაზეთს, რამდენად მრავალფეროვანი მაყურებელი ჰყავდა ამა თუ იმ სატელევიზიო პროგრამასა თუ რადიოგადაცემას,

დღის რა მონაკვეთში იყო იგი გადაცემული და ა.შ. საბოლოო ჯამში, როდესაც საქმე სადავო იდეებსა თუ ინფორმაციას შეეხება, ფართო აუდიტორიის ფაქტორი აძლიერებს ჩარევის მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. მცირე აუდიტორიის ფაქტორი კი პირიქით – აქარწყლებს ამ საჭიროებას.

ი) როგორია გამოხატვის ფორმა, მანერა და ვითარება

ერთი და იგივე ინფორმაციისა თუ იდეების შეზღუდვის საჭიროების ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს იმისდა მიხედვით, თუ როგორია გამოხატვის ფორმა, მანერა და ის უშუალო ვითარება, რომელშიც ისინი გამოითქვა.

მაგალითად, პოლიტიკოსის მიერ სადავო იდეებისა თუ ინფორმაციის გამოხატვა პირდაპირ და შეუნიღბავად, ზრდის ეფექტის, მათ შორის უარყოფითი ეფექტის შესაძლებლობას. მაგრამ იგივე იდეები თუ ინფორმაცია, რომლებიც გამოხატულია მხატვრული, ალეგორიული საშუალებებით, ანდა მეცნიერულ ნაშრომში – ამცირებს ასეთი ეფექტის შესაძლებლობას. ესა თუ ის იდეებისა თუ ინფორმაციის შეზღუდვის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება შეიძლება წარმოიშვას, თუ ისინი გამოთქმულია უშუალოდ ხალხის ფართო მასის წინაშე. მაგრამ თუ ისინი გამოხატულია, მაგალითად, აუდიტორიაში, ლექციის წაკითხვის დროს – ასეთი საჭიროება შეიძლება არ წარმოიშვას. ასევე განსხვავებულად შეიძლება შეფასდეს იდეებისა თუ ინფორმაციის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება ომიანობის დროსა და მშვიდობიანობის პერიოდში, პოლიტიკური დაძაბულობის რეგიონში და მის გარეთ და ა.შ.

კ) დარღვეულია თუ არა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“

გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად.

ვინაიდან „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ შინაარსი საკმაოდ ფართოა და მათი დარღვევაც სრულიად განსხვავებულად შეიძლება გამოვლინდეს, მისი როლი შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ აღიარებაში განსხვავდება.

უფრო მკვეთრი შედეგები მაშინ დგება, როდესაც „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევა სერიოზული და მნიშვნელოვანია. მაგალითად, გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების დროს „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძველი იოლი დასასაბუთებელია.

ასევე სერიოზული საფუძველი ჩნდება ჩარევის აუცილებლობის აღიარებისათვის მაშინ, როდესაც კანონიერი ინტერესებისათვის ზიანის მიყენება

ხდება ბოროტი განზრახვით. მაგალითად, დიფამაციის საქმეში წინასწარი შეცნობით ყალბი ინფორმაციის გავრცელების დროს.

როდესაც „მოვალეობებისა თუ პასუხისმგებლობის“ დარღვევა იმით გამოიხატება, რომ სუბიექტი გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას არ ცდილობს თავი აარიდოს სხვა ინტერესებთან დაპირისპირებასა და მათთვის ზიანის მიყენებს, არ ზრუნავს საიმისოდ, რომ აღკვეთოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს ზიანის შესაძლებლობა, ასეთ დროს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დარღვევა, რა თქმა უნდა, მაინც ფაქტორია ჩარევის აუცილებლობის სასარგებლოდ, მაგრამ მისი გავლენა ისეთი მნიშვნელოვანი აღარ არის. მაგალითად, შეუმოწმებელი ინფორმაციების გავრცელება ჟურნალისტთა მხრიდან ყოველთვის როდი გვევლინება ჩარევის აუცილებლობის „საკმარის საფუძველად“. თუ საქმე პოლიტიკურ დისკუსიას შეეხება, მცდარი ინფორმაციისა თუ ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული შეფასებების გავრცელება ყოველთვის როდია საკმარისი წონადი არგუმენტი პოლიტიკურ დისკუსიის თავისუფლების შესაზღვრად.

ამგვარად, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ნაკლებად სერიოზული დარღვევების დროს მისი წვლილი ჩარევის აუცილებლობის საფუძველის განსაზღვარში უფრო მეტადაა საქმის სხვა გარემოებებზე და საერთო კონტექსტზე დამოკიდებული, ვიდრე გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში.

ლ) როგორია კანონიერი ინტერესებისათვის მიყენებული ან პოტენციური ზიანი

ყველაზე უფრო პირდაპირ და უშუალოდ „ჩარევის აუცილებლობის“ დასაბუთება უკავშირდება იმ ზიანის შეფასებას, რაც კანონიერმა ინტერესებმა განიცადეს ან რომლის საფრთხეც შეექმნათ. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთა უმრავლესობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მეტად თუ ნაკლებად, სწორედ კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების მიმანიშნებელი, ანდა საკუთრივ ზიანის სიდიდის თუ სიმცირის განმსაზღვრელია. მაგალითად, სიძულვილის გაღვივება სწორედ იმიტომ გვევლინება „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დამადასტურებელ გარემოებად, რომ იგი ზიანს აყენებს არა მარტო კონკრეტული ინდივიდების ინტერესებს, არამედ საერთოდ დემოკრატიისთვის უმნიშვნელოვანეს შემწყნარებლობის იდეას, საზოგადოებაში სიმშვიდისა და ჰარმონიის უზრუნველყოფას. ძალადობის ჩადენისკენ წაქეზება იმიტომ არ სარგებლობს მე-10 მუხლის დაცვით, რომ იგი შეიცავს დიდ რისკს ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგისა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. ტელევიზიითა და რადიოთი ინფორმაციების გადაცემა იმიტომ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ იგი აძლიერებს

ზემოქმედების უნარს და მასთან ერთად ზიანის შესაძლებლობასა და სიდიდეს. აუდიტორიის ფაქტორი იმდენად არის მნიშვნელოვანი, რომ მისი საშუალებით ხდება პოტენციური ზიანის განსაზღვრა (სხვათა უფლებების დამრღვევი იდეები თუ ინფორმაცია, რაც უფრო ფართოდ გავრცელდება, მით მეტი იქნება იმ ადამიანთა რიცხვი, ვისი უფლებებიც შეილახა) და ა.შ.

ამრიგად, კანონიერი ინტერესებისთვის მიყენებული ან პოტენციური ზიანის ოდენობა ყველაზე უფრო პირდაპირ განსაზღვრავს უფლებაში ჩარევის შესაბამის და საკმარის საფუძველს, რამდენადაც „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ აღიარება სწორედ კანონიერ ინტერესებთან მიმართებას გულისხმობს. ამიტომაც, ევროპული სასამართლო ყოველთვის ზედმიწევნით იკვლევს, მიაყენა თუ არა შესაბამისმა „გამოხატვამ“ რეალური ზიანი კანონიერ ინტერესებს, ან შექმნა თუ არა მისი მიყენების საფრთხე, რამდენად რეალური იყო ეს საფრთხე და როგორი იყო მიყენებული თუ პოტენციური ზიანის ოდენობა. როდესაც რეალური თუ პოტენციური ზიანი სერიოზული და მნიშვნელოვანია და არ არსებობს სხვა გადამწონი ფაქტორი, სტრასბურგის სასამართლო იზიარებს ეროვნული ხელისუფლების პოზიციას შეზღუდვის აუცილებლობის თაობაზე.

მაგალითად, საქმეში *Radio France and Others v. France* ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ პიროვნების რეპუტაციის ძლიერად შემლახველი ინფორმაცია დღის განმავლობაში 62-ჯერ გადაიცა რადიოეთერით, რომლის მოქმედება საფრანგეთის მთელს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. გათვალისწინებული იქნა აუდიო და ვიდეო საშუალებების ზეგავლენის დიდი უნარიც. ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანი ძალზე სერიოზული იყო, რაც გამართლებულს ხდიდა შესაბამისი ჟურნალისტიკისა და მთავარი რედაქტორის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას.¹²

საქმე *Otto-Preminger-Institut v. Austria*¹³ შეეხებოდა ფილმის აკრძალვას, რომელიც წარმოადგენდა თავდასხმას რომის კათოლიკურ ეკლესიაზე. სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ავსტრიის მოსახლეობის დიდი ნაწილი (88%) სწორედ ამ რელიგიის მიმდევარი იყო. შესაბამისად, არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შესანარჩუნებლად და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად“.

პოტენციური ზიანის სიდიდე მიიღო ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში, როდესაც მხარი დაუჭირა ჟურნალისტიკის მიმართ სასამართლოს ამკრძალავ ბრძანებას, რომლითაც მას აკრძალა გაემეორებინა განცხადება, თითქოს ცნობილი სპორტსმენი აკრძალულ პრეპარატებს იყენებდა თავისი სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ამ განცხადებას შეეძლო

¹² *Radio France and Others v. France*, judgment of 30 March 2004.

¹³ *Otto-Preminger-Institut v. Austria*, judgment of 29 September 1994.

„საკმაოდ სერიოზული შედეგები“ მოეტანა სპორტსმენისათვის; ამიტომ, ასეთი დაუსაბუთებელი განცხადების აკრძალვისათვის არსებობდა საამისოდ „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“.¹⁴

ლოგიკურია ისიც, რომ “მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ უარყოფა ხშირად უკავშირდება პოტენციური ზიანის სიმცირეს. მას კი სხვადასხვა გარემოებები განაპირობებს. ხშირად ეს აზრების გამოხატვის ფორმასა და შესაბამისი აუდიტორიის სიმცირეს უკავშირდება.

ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ *Arslan*-ისა და *Gerger*-ის საქმეებში „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არარსებობა ევროპულმა სასამართლომ იმითაც დაასაბუთა, რომ შესაბამისი განცხადებები გაკეთებული იქნა ზეპირად, ცერემონიების დროს, ანდა გამოქვეყნებული იყო სალიტერატურო შრომებში, რამაც „მნიშვნელოვნად შეამცირა მათი პოტენციური ზიანი „სახელმწიფო უშიშროებისა თუ ტერიტორიული მთლიანობისათვის“.

ასევე „მცირე აუდიტორიაზე“ მითითებით დაასაბუთა ევროპულმა სასამართლომ პოტენციური ზიანის სიმცირე *Karataş*-ის საქმეში.¹⁵ მომჩივანი დაისაჯა სახელმწიფოს განუყოფლობის წინააღმდეგ პროპაგანდისათვის მას შემდეგ, რაც გამოაქვეყნა თავისი ლექსები.

იგივე არგუმენტები გამოიყენა სასამართლომ საქმეში *Alinak v. Turkey*, რომელიც შეეხებოდა წიგნების კონფისკაციას. წიგნი წარმოადგენდა ნოველას, რომელიც რეალურ ისტორიულ მოვლენებს ეყრდნობოდა. ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ნოველის ზოგიერთ პასაჟს მარლაც შეიძლება წაექეზებინა ადამიანები სამართალდარღვევათა ჩადენისაკენ, მაგრამ გამოხატვის მხატვრული ფორმა და შესაბამისი მცირე აუდიტორია მნიშვნელოვნად ამცირებდა ზიანის საშიშროებას.¹⁶

ასევე არ გაიზიარა თურქეთში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის არგუმენტი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დასაბუთებისას სტრასბურგის სასამართლომ, როდესაც სახელმწიფოს განუყოფლობის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო ნაშრომში იყო გადმოცემული.¹⁷ „ნაკლები ზიანის“ არგუმენტი იქნა მოხმობილი ჩარევის აუცილებლობის უარსაყოფად საქმეში *Salov v. Ukraine*, რომელიც შეეხებოდა პრეზიდენტობის კანდიდატის (პრეზიდენტ კუჩმას) სიკვდილის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მომჩივანს სტატუის მხოლოდ რვა ეგზემპლარი გააჩნდა და მის შესახებ ესაუბრა ადამიანების შეზღუდულ რაოდენობას.¹⁸

¹⁴ *Mc Vicar v. The United Kingdom*, judgment of 6 May 2002.

¹⁵ *Karantaş v. Turkey*, judgment of 8 July 1999, reports 1999-IV, §12.

¹⁶ *Alinak v. Turkey*, judgment of 29 March, 2005.

¹⁷ იხ. *Baskaya and Okoşuglu v. Turkey*, judgment of 8 July 1999, reports 1999-IV.

¹⁸ *Salov v. Ukraine*, judgment of 6 September, 2005.

„მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასებისას ევროპული სასამართლო ხშირად იყენებს პრინციპებს, რომლებსაც პირობითად „რეალური და ამწუთიერი“ საფრთხის შეფასება შეიძლება ეწოდოს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტორებს, რომლებიც ამცირებენ კონკრეტულ დროსა თუ სივრცეში ზიანის მიყენების საფრთხეს.

მაგალითად საქმეში *Goodwin v. The United Kingdom*¹⁹ ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ პუბლიკაციის აკრძალვის შედეგად კომპანიისათვის ზიანის მიყენების საფრთხე მნიშვნელოვანწილად უკვე განეიტრალებული იყო, ამიტომ აღარ არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, შეზღუდულიყო ჟურნალისტის უფლება, არ გაეთქვა ინფორმაციის წყარო.

ზემოაღნიშნულ საქმეთა მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობისა, იმის დადგენაა, მართლაც დაზიანდა თუ არა შესაბამისი კანონიერი ინტერესი ან წარმოიქმნა თუ არა მისი საფრთხე.

სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი უფლებაში ჩარევის „შესაბამისი“ საფუძვლის დასაბუთებისა, რაც მოპასუხე სახელმწიფოს მოეთხოვება „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ მტკიცებისას. დიან, მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტი, ვინაიდან „შესაბამისობის“ მოთხოვნა ვრცელდება ყველა იმ გარემოებაზე, რომელსაც უფლების შეზღუდვა ეყრდნობა.

ამრიგად, უფლებაში ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ „შესაბამისი საფუძველი“ მაშინ არსებობს, თუ უფლების განხორციელება მართლაც ზიანს აყენებს ან საფრთხეს უქმნის კანონიერ ინტერესს და მასში ჩარევა ნამდვილად მოემსახურება ამ ზიანის აცდენას, შემცირებას ან გამოსწორებას.

უფლების შეზღუდვის „შესაბამისი“ საფუძვლის დადგენის შემდეგ კი მისი „საკმარისობის“ შეფასება ხდება, რაც გაცილებით უფრო რთულია. აქ ღირებულებათა კონფლიქტის ჭრილში განიხილება ყველაფერი და ღირებულებათა პრიორიტეტულობის საკითხია წარმმართველი. ღირებულებათა შესაბამისი კონფლიქტის დროს და შესაბამის კონკრეტულ გარემოებებში, შეიძლება მაინც გადასწონოს გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობამ იმის მიუხედავად, რომ ის მართლაც აყენებდა ზიანს ამა თუ იმ კერძო თუ საჯარო ინტერესს და მასში ჩარევა მართლაც მოემსახურებოდა ამ ინტერესების დაცვას. მაგალითად, როდესაც საქმე შეეხება ადვოკატის, ჟურნალისტის, ან ხალხის არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლებას, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალიან ძვირად ფასობს, ანდა, როდესაც გამოთქმული აზრი შეეხება მწვავე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხს, ეს გარემოებები მნიშვნელოვნად ამცირებენ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას, ვერ ქმნიან „საკმარისობის“ იმ ხარისხს,

¹⁹ *Goodwin v. The United Kingdom*, judgment of 27 March 1996.

რაც აუცილებელია უფლების შეზღუდვის სამართლიანად მიჩნევისათვის და აქარწყლებენ, ნიადაგს აცლიან ასეთი შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“. ზოგჯერ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კანონიერი ინტერესებისათვის ზიანი მიყენებულია, მაგრამ მისი გამოსწორება ანდა შემდგომი პოტენციური ზიანის აღკვეთა შეუძლებელია, ამიტომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა შესაბამის გარემოებებში ვეღარ იქნება გამართლებული ამ ინტერესის დაცვის არგუმენტით. ამიტომ საკუთრივ ზიანის მიყენების ფაქტი (თუნდაც ეს სერიოზული ზიანი იყოს) აღარ გვეკლინება „საკმარის საფუძვლად“ შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დასასაბუთებლად.

ასეთი შემთხვევის მაგალითებია *Sürek (N2) v. Turkey* და *Weber v. Switzerland*.

Sürek-ის საქმე: მომჩივანმა გამოაქვეყნა იმ ჩინოვნიკების გვარები, ვინც პასუხისმგებელი იყო ტერორიზმის განხორციელებაში. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ეს ინფორმაცია მანამდე სხვა გაზეთებში უკვე დაბეჭდილი იყო. შესაბამისად, ინტერესი ხელისუფლების წარმომადგენელთა ვინაობის დაცვისა, „არსებითად იყო შემცირებული“ და სამართლიანი ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთა იდენტურობის დაცვას შორის, სიტყვის თავისუფლების სასარგებლო უნდა ყოფილიყო.²⁰

Weber-ის საქმე: იგი შეეხებოდა შვეიცარელი ჟურნალისტის მიერ პრესკონფერენციის დროს ინფორმაციის გახმაურებას განხილვის პროცესში მყოფ სისხლის სამართლის საქმეზე, რაც წარმოადგენდა შესაბამისი კანტონის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უზრუნველყოფილი გამოძიების საიდუმლოების დარღვევას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტის დასჯა წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში ისეთ ჩარევას, რაც არ იყო აუცილებელი დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად, ვინაიდან ეს ინფორმაცია, ძირითადად უკვე გახმაურებული იყო პრესის წინა კონფერენციის დროს და ამდენად, ზოგიერთი ფაქტის საიდუმლოების შენახვას, რომლებზედაც უკვე ეუწყა საზოგადოებას, აზრი აღარ ჰქონდა. შესაბამისად, მან მიიჩნია, რომ აღარ არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ ჟურნალისტის უფლების შესაზღუდად.²¹

* * *

უფლების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ და მისი „შესაბამისი“ და „საკმარისი“ საფუძვლების დასაბუთება, პირველ რიგში მოპასუხე სახელმწიფოს ევალება. ბუნებრივია, რომ ამ საკითხზე ეროვნული ხელისუფლებისა და ევროპული სასამართლოს შეფასებები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. ამ

²⁰ *Sürek (N2) v. Turkey*, judgment of 8 July 1999.

²¹ *Weber v. Switzerland*, judgment of 22 May 1990. იხ. აგრეთვე, *Observer and Guardian v. the United Kingdom*, judgment of 26 November 1991.

პრობლემიდან ამოსავალი ის მიდგომაა, რითაც ევროპული სასამართლო ხელმძღვანელობს. მიდგომა ასეთია: იგი პირველ რიგში იმას წყვეტს, თავისუფალი შეფასების როგორი არეალი (რამდენად ფართო თუ ვიწრო ფარგლები) შეიძლება ეკუთვნოდეს ეროვნულ სახელმწიფოს შესაბამის სფეროში თუ შესაბამის კანონიერ მიზანთან მიმართებაში და, აქედან გამომდინარე, რამდენად გონივრულია, რომ მეტი ნდობა გამოუცხადოს მის შეფასებებს და გაიზიაროს ისინი.

6.2.3. „ჩარმპის თანაზომიერების“ შეფასება

როგორც აღვნიშნეთ, უფლებაში ჩარევის „თანაზომიერების“ დადგენა გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის შეფასებას, თუ რამდენად აუცილებელი იყო დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად უფლებაში სწორედ ისეთი ხარისხით ჩარევა, რაც შესაბამისმა სახელმწიფომ განახორციელა.

ამისათვის, კანონიერი ინტერესებისათვის მიყენებული ან პოტენციური ზიანი შეფასებულ უნდა იქნას არა აბსოლუტურ განზომილებაში (რაც „აუცილებელის“ კრიტერიუმით შეფასებისას ხდება), არამედ შეფარდებითში, უფლებაში ჩარევის ხარისხთან მიმართებაში. უფრო ზუსტად: შეფასებული უნდა იქნას გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევის ხარისხი იმ საზოგადოებრივ ზიანთან შედარებით, რომელიც უფლების განხორციელებამ გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია, თუ კი არ მოხდებოდა მისი შეზღუდვა. ამისათვის კი უნდა შეფასდეს, აიწონოს და ერთმანეთთან შედარდეს ინდივიდური უფლებისათვის მიყენებული ზიანი და ის ზიანი, რომელიც განიცადა ან შეეძლო განეცადა მოცემულ კანონიერ ინტერესს, თუკი სხვანაირი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამა თუ იმ კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული ან შესაძლებელი ზიანის შეფასებაზე, თავის მხრივ, დიდ გავლენას მოახდენს თავად ამ ინტერესთა რაობა. სხვადასხვა საზოგადოებრივ მიზანთან მიმართებაში „ზიანის“ შეფასება განსხვავებული კრიტერიუმითა და სტანდარტებით უნდა მოხდეს, რასაც შესაბამის ინტერესთა მნიშვნელობა, სპეციფიკურობა და მათი ონტოლოგიური ბუნება განაპირობებს.

როდესაც პოტენციურ ზიანთან გვაქვს საქმე, ზემოაღნიშნულ საკითხთა გამორკვევა ფაქტობრივად გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენასაც სახელმწიფოს მხრიდან უფლების მოცემული ხარისხით შეზღუდვასა და კანონიერი ინტერესებისათვის ზიანის აცდენას შორის. ასეთი კავშირის დადგენა „თანაზომიერების“ შეფასების აუცილებელი კომპონენტია. თუმცა, „თანაზომიერების ანალიზი“ ამით არ ამოიწურება. ასევე აუცილებელია „სამართლიანი ბალანსის“ ძიება გამოხატვის თავისუფლების ინდივიდურ უფლებასა და დაპირისპირებულ კერძო ან საჯარო ინტერესს შორის. ეროვნულმა სასამართლომ უნდა დააბალანსოს, გააწონასწოროს, ერთი მხრივ, საზოგადოებისა და, მეორე მხრივ,

ცალკეული პირებისა თუ ჯგუფების ინტერესები. თუ არსებობს სხვა გონივრული საშუალებანი კანონიერ მიზანთა მისაღწევად ამ უფლებისათვის ნაკლები ზიანის მიყენებით, სახელმწიფო არ უნდა წავიდეს უფლებაში მეტიმეტი ჩარევის გზით. ის უნდა ცდილობდეს, შეარჩოს ნაკლებად რადიკალური საშუალებები.

ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის გაცნობის შედეგად, მიველით დასკვნამდე, რომ საბოლოო ჯამში, „თანაზომიერება“ მოიცავს სამ მნიშვნელოვან კომპონენტს:

- I. ინდივიდური უფლების შესაზღუდად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები არ უნდა იყოს თავითნებური – უსამართლო და დაფუძნებული ირაციონალურ მოსაზრებებზე. ეს ღონისძიებები რაციონალურად უნდა უკავშირდებოდეს დასახულ კანონიერ მიზანს;
- II. ეს ღონისძიებები, რომლებიც რაციონალურად უკავშირდებიან დასახულ კანონიერ მიზანს, რაც შეიძლება უფრო ნაკლებად უნდა ზღუდავდეს ინდივიდის უფლებას, აყენებდეს მას შესაძლებლად მინიმალური ხარისხის ზიანს;
- III. უნდა არსებობდეს თანაზომიერება უფლების შემზღუდველ ღონისძიებებსა და დასახულ კანონიერ მიზანს შორის. რაც უფრო მაღალია უფლების შეზღუდვის ხარისხი, მით მეტი უნდა იყოს კანონიერი ინტერესის მნიშვნელობა და ზიანი, რომელიც მან განიცადა ან შეიძლებოდა განეცადა.

თუ ამ სამივე კომპონენტს ერთად მოვუყრით თავს და საერთო მნიშვნელამდე დავიყვანთ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ „თანაზომიერების“ იდეა, ეს, ფაქტობრივად, „სამართლიანი ბალანსის“ იდეაა დაპირისპირებულ ღირებულებებს შორის, ანუ ინდივიდურ უფლებასა და იმ საჯარო თუ სხვა პირთა უფლებებს შორის, რომელთა სასარგებლოდაც ისინი იზღუდება. შესაბამისად, ვინაიდან ღირებულებებს შორის წარმოშობილი კონფლიქტები განსხვავებულია (განსხვავებულია დაპირისპირებული ღირებულებანი, მიყენებული ან პოტენციური ზიანის ხასიათი და ოდენობა, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ხასიათი და ხარისხი და ა.შ.), ჩარევის თანაზომიერება და მასთან ერთად – სამართლიანი ბალანსი სრულიად სხვადასხვაგვარად განისაზღვრება.

ზემოაღნიშნული დასკვნა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციას ეყრდნობა, ყველა იმ უფლებას შეეხება, რომელიც სხვა კანონიერი ინტერესის დასაცავად შეიძლება შეიზღუდოს, მათ შორის, – კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასაც. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი სტანდარტი უფლებაში ჩარევის „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერებისა“, სწორედ ამ უფლებასთან მიმართებაში გამოიყენება მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ყველა საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, სადაც თანაზომიერების პრობლემა იდგა, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: საქმეები, სადაც მიჩნეული იქნა, რომ უფლების შეზღუდვა დისპროპორციული იყო მიზანთან იმის გამო, რომ შემზღუდველი ღონისძიებები (სანქციები, ჯარიმები თუ სხვ.) საერთოდ არ იყო რაციონალურად დაკავშირებული შესაბამის კანონიერ მიზანთან, და, საქმეები, სადაც უფლების შეზღუდვის ხარისხი თუ საშუალებები მიჩნეულ იქნა არათანაზომიერად დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში. ევროპული სასამართლოს აზრით, ამ საქმეებზე შესაძლებელი იყო, უფლებაში ჩარევა განხორციელებულიყო გაცილებით ნაკლები ხარისხით, სხვა ალტერნატიული საშუალებებით იმ ღონისძიებათა მაგივრად, რომლებიც გამოყენებული იყო სახელმწიფოს მიერ.

თვალი გადავაკლოთ კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით შექმნილ ევროპული სასამართლოს შესაბამის პრაქტიკას, რომელიც აშკარას ხდის არა მარტო საერთო მიდგომას „თანაზომიერების“ მოთხოვნის მიმართ, არამედ შეფასების მაღალ სტანდარტებსაც, რომელიც გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან მიმართებაში გამოიყენება.

კლასიკური მაგალითი პირველი წყება შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს მიერ უფლების შესაზღუდად გამოყენებული ღონისძიება რაციონალურად არ უკავშირდებოდა შესაბამის კანონიერ მიზანს, არის საქმე *Vogt v. Germany*.²² გფრ-ის მოქალაქე დოროთი ფოგტი, გერმანული და ფრანგული ენების პედაგოგი, იყო კომპარტიის წევრი და ქვემო საქსონიის მიწის ლანდტაგის დეპუტატი. ადმინისტრაციული სასამართლოს დისციპლინურმა პალატამ იგი სამსახურიდან გაათავისუფლა სახელმწიფო მოხელისათვის სავალდებულო „პოლიტიკური ლოიალობის პრინციპის“ დარღვევისათვის, რაც გათვალისწინებული იყო როგორც ქვემო საქსონიის მიწის, ისე, ფედერალური კანონმდებლობით.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ მოქალაქე ფოგტის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა – მისი სასახურიდან გათავისუფლება „პოლიტიკური ლოიალობის პრინციპის დაუცველობისათვის, ისახავდა „კანონიერ მიზანს“ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით, კერძოდ კი – ეროვნული უშიშროების დაცვას, უწესრიგობის თავიდან აცილებასა და სხვა პირთა უფლებების უზრუნველყოფას. მაგრამ, მიიჩნია, რომ ასეთი ჩარევა არ იყო „თანაზომიერი“ და მამასადამე – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ვინაიდან ქ-ნი ფოგტის თანამდებობა – ენის მასწავლებელი, არ იყო უშუალოდ დაკავშირებული სახელმწიფო უშიშროების საფრთხესთან. გარდა ამისა, არც იმის მტკიცებულება არსებობდა, რომ იგი პირადად, ანტიკონსტიტუციურ საქმიანობას ეწეოდა და მავნე გავლენას ახდენდა მოწაფეებზე. ქ-ნი ფოგტი აკმაყოფილებდა პროფესიულ მოთხოვნებს და სრულყოფილად ახორციელებდა თავის

²² *Vogt v. Germany*, judgment of 26 September 1995. series A. no.323. Reports, 1996-IV.

სამსახურეობრივ მოვალეობებს. მისი სამსახურიდან გათავისუფლება კი დიდ ზიანს აყენებდა მის რეპუტაციას, სტოვებდა მას საარსებო სახსრების გარეშე და ართმევდა იმის უფლებას, რომ მომავალში მაინც ემუშავა თავისი პროფესიით, ვინაიდან გერმანიაში დიდ იშვიათობას წარმოადგენდა მასწავლებლის თანამდებობა სახელმწიფო სამსახურის გარეთ.

როგორც ვხედავთ, იმის გარდა, რომ ქ-ნ ფოგტის მიმართ გამოყენებული ღონისძიება – მისი სამსახურიდან გათავისუფლება რაციონალურად არ უკავშირდებოდა კანონიერ მიზანს, „არათანაზომიერება“ უფლების შემზღუდავი ღონისძიების სიმკაცრემაც განსაზღვრა: იგი დიდ ზიანს აყენებდა პიროვნებას.

სწორედ უფლებაში ჩარევის დიდი ხარისხი, იმ პიროვნებისათვის მიყენებული ზიანის სერიოზულობა, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ახორციელებდა, განსაზღვრავს „არათანაზომიერების“ ისეთ საფუძველს, რომელიც საქმეთა მე-2 წყებისთვის არის დამახასიათებელი. როგორც ე. ლესტერი მიუთითებს, რაც უფრო ძლიერია ჩარევის ხარისხი, უფლებისათვის მიყენებული ზიანი, მით უფრო ძლიერია ჩარევის მართლზომიერებისა და თანაზომიერების საგულდაგულოდ შემოწმების მოთხოვნა.²³ ბუნებრივია, რომ ასეთი ზიანი მეტია, როდესაც გამოყენებულია სისხლისსამართლებრივი ღონისძიება. ამის გამო, ბუნებრივია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში შეზღუდვის არათანაზომიერად მიჩნევა სწორედ სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებს უკავშირდება.

ევროპული სასამართლოს მიდგომა ასეთია: ის მოითხოვს, რომ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში იყოს გამოყენებული. *Özgür Gündem*-ის²⁴ საქმეში მან მიუთითა, რომ „დომინანტური პოზიცია“, რომლითაც სახელმწიფო სარგებლობდა, მას ავალდებულებდა, რომ შეეზღუდა სისხლისსამართლებრივი პროცედურებისათვის მიმართვა. ეს საქმე შეეხებოდა გაზეთისა და მისი თანამშრომლების მიმართ სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენებას სტატიებისათვის, რომლებიც ქურთისტანის პრობლემებს შეეხებოდა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიათა უმრავლესობა არ წარმოადგენდა „ძალადობისაკენ წაქეზებას“ არც შინაარსის, არც ტონალობისა და არც კონტექსტის მიხედვით და ამიტომ, სისხლისსამართლებრივი და სხვა ღონისძიებები, რომლებმაც დაანგრია გაზეთის მუშაობა, მიჩნეულ იქნა არათანაზომიერ ღონისძიებად. მხოლოდ სამი სტატიის შინაარსი იქნა შეფასებული „ძალადობისაკენ წაქეზებად“ და შესაბამისი სისხლისსამართლებრივი სანქციები – „თანაზომიერ ღონისძიებად“.

უშუალოდ კრიმინალური მსჯავრდების დისპროპორციულობაზე მიუთითა სასამართლომ *Lehideux and Isorni*-ის²⁵ საქმეში. ეს საქმე, რომელიც ჩვენ ზემოთაც

²³ იხ. **Anthony Lester**, *Freedom of Expression*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds). 1993. გვ.490.

²⁴ *Özgür Gündem v. Turkey*, judgment of 16 March 2000.

²⁵ *Lehideux and Isorni v. France*, judgment of 23 September 1998.

განვიხილეთ სხვა კონტექსტში, შეეხებოდა კრიმინალურ მსჯავრდებას ცნობილი ნაციისტის – მარშალ პეტენის რეაბილიტაციის მიზნით გაზეთში რეკლამის გამოქვეყნების გამო. სასამართლომ ხაზი გაუსვა კრიმინალური მსჯავრდების სერიოზულობას ისეთ ვითარებაში, როდესაც არსებობდა ინტერვენციისა და რეაგირების სხვა, ნაკლებად რეპრესიული, მათ შორის – სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებები.

საქმეში *Campăna and Mazăre v. Romania*,²⁶ რომელიც შეეხებოდა ჟურნალისტთა მხრიდან სახელმწიფო მოხელეთა დიფამაციას, ევროპულმა სასამართლომ აღიარა მათ უფლებებში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება; მაგრამ საკუთრივ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება და გამოყენებული სასჯელები (თავისუფლების აღკვეთა, სამოქალაქო უფლებებისაგან დისკვალიფიკაცია, პროფესიული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა), მიუხედავად იმისა, რომ შეწყალების აქტის შესაბამისად მათ ფაქტობრივად არც ერთი სასჯელი არ იწვნის, მაინც მიიჩნია ექსცესიურად და ისეთად, რომელიც „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებდა პრესის თავისუფლებაზე და კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა ჩარევის არათანაზომიერების მოტივით ცნო.

ზემოთ განხილულ საქმეში *Salov v. Ukraine*²⁷, რომელიც მომჩივნის მიერ პრეზიდენტ კუჩმას სიკვდილის შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელებას შეეხებოდა, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გამოყენებული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა (მიუხედავად იმისა, რომ იგი გადაევადა 2 წლით), აგრეთვე საადვოკატო პრაქტიკის ლიცენზიის გაუქმება არაპროპორციულ ღონისძიებას წარმოადგენდა ელექტორატის ნამდვილი ინფორმაციით მომარაგების ინტერესთან მიმართებაში.

საქმე *Han v. Turkey*²⁸ შეეხებოდა თურქეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის წევრის სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას პარტიის კონგრესზე წარმოთქმული სიტყვისათვის. ევროპულმა სასამართლომ მისი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებთან მიმართებაში არაპროპორციულ ჩარევად მიიჩნია.

განსაკუთრებით მკაცრი კრიტერიუმებით აფასებს ევროპული სასამართლო ადვოკატების მიმართ გამოყენებული სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების თანაზომიერებას, რომლებიც შედეგად მოჰყვა მათ მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებულ განცხადებებს (*Nikula v. Finland*,²⁹ *Kyprianou v. Kyprus*³⁰). მიიჩნევს, რომ ასეთი ღონისძიებები „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებს ადვოკატის პროფესიაზე,

²⁶ *Campăna and Mazăre v. Romania*, judgment of 17 December 2004.

²⁷ *Salov v. Ukraine*, judgment of 17 December 2004.

²⁸ *Han v. Turkey*, judgment of 13 September, 2005.

²⁹ *Nikula v. Finland*, judgment of 14 March 2002.

³⁰ *Kyprianou v. Kyprus*, judgment of 15 December 2005.

მათ მიერ თავიანთი როლის შესრულებაზე და ამიტომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იყოს გამართლებული.

საქმეში *Saday v. Turkey* ევროპულ სასამართლოს საკუთრივ სისხლისსამართლებრივი ღონისძიების გამოყენების შესატყვისობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია, მაგრამ სასჯელი – 6 თვით პატიმრობა (თანაც იზოლირებულ საკანში) აშკარად არათანაზომიერად მიიჩნია ბრალდებულისათვის, რომელმაც მხარეთა კამათის დროს სასამართლოსადმი (და არა პერსონალურად მოსამართლეებისადმი) მტრული დამოკიდებულება გამოავლინა. „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“ შეფარდებული ასეთი სასჯელი მან არათანაზომიერად მიიჩნია და ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.³¹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ საერთო ტენდენციისა, პრაქტიკაში არაერთი ისეთი საქმეცაა, სადაც სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება „თანაზომიერ ჩარევად“ იქნა მიჩნეული. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ასეთი გადაწყვეტილებას ევროპული სასამართლო მაშინ იღებს, როდესაც კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული ზიანი სერიოზულია და იმავდროულად, საქმე გვაქვს გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე პირის მხრიდან „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ უხემ დარღვევასთან. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ დიფამაციის ორი საქმე: *Pedersen and Baadsgaard v. Denmark*³² და *Radio France v. France*.³³ ეს საქმეები იმით არის საგულისხმო, რომ ორივე მათგანი შეეხება პრესის თავისუფლებას, რომელიც საზოგადოდ განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს და იმავდროულად – საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე გავრცელებულ ცნობებს. მართალია თავისუფლების აღკვეთის სასჯელი არც ერთ საქმეში არ იყო გამოყენებული, მაგრამ საკუთრივ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება, შეფარდებული სასჯელები (ჯარიმა) და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ევროპულმა სასამართლომ ჟურნალისტთა უფლებებში თანაზომიერ ჩარევად მიიჩნია.

„არათანაზომიერების“ შეფასება ყოველთვის შეფარდებითია და კონკრეტულ შემთხვევასთან შესაბამისობის მიხედვით განისაზღვრება. მართალია, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ჩარევის „არათანაზომიერად“ მიჩნევა, უფრო ხშირად სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებასა და სასჯელებს უკავშირდება, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც მრავლადაა, სადაც ნაკლებად მკაცრი ღონისძიებებიც „არათანაზომიერად“ იქნა მიჩნეული. ამის მაგალითი ზემოთ მოყვანილი *ფოვტის* საქმეცაა, სადაც თანამდებობიდან გათავისუფლება იქნა მიჩნეული არაპროპორციულ ღონისძიებად. ამის მაგალითია, აგრეთვე საქმე *Fuentes Bobo v. Spain*.³⁴ ევროპულმა სასამართლომ არათანაზომიერ ღონისძიებად მიიჩნია სატელევიზიო პროგრამების

³¹ *Saday v. Turkey*, judgment of 30 March 2006.

³² *Pedersen and Baadsgaard v. Denmark*, judgment of 17 December 2004.

³³ *Radio France v. France*, judgment of 30 March 2004.

³⁴ *Fuentes Bobo v. Spain*, judgment of 29 February 2000, para 45.

დირექტორის სამსახურიდან გათავისუფლება შეურაცხყოფელი გამონათქვამებისათვის ინტერვიუს დროს ესპანეთის სახელმწიფო ტელევიზიის მენეჯერის მისამართით. მან მიიჩნია, რომ „მომჩინისათვის ქირავნობის კონტრაქტის შეწყვეტა ყოველგვარი კომპენსაციის მიუხედავად, წარმოადგენდა მეტისმეტად მკაცრ ღონისძიებას, მაშინ, როდესაც ნაკლებად მტკივნეული და უფრო შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებები შეიძლებოდა გამოყენებულიყო“.

მისგან განსხვავებით საქმეში *Seurot v. France*³⁵ მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება სკოლის გაზეთში რასისტული შინაარსის წერილის გამოქვეყნებისათვის, ევროპულმა სასამართლომ თანაზომიერ ღონისძიებად მიიჩნია.

კარგი მაგალითია, აგრეთვე, *Informationsverein Lentia*-ს საქმეც.³⁶ ავსტრიაში ტელემაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო მონოპოლიის არსებობის გამო კერძო კომპანიას უარი ეთქვა უცხოური პროგრამების ჩვენების ლიცენზიის მიცემაზე. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მთავრობის არგუმენტი, თითქოს არ არსებობდა „ნაკლებად შემზღვეველი“ გადაწყვეტა ამ საკითხისა და მიუთითა, რომ მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში იყო დანერგილი „ნაკლებად შემზღვეველი“ სისტემები, როგორც იყო სისტემა გარკვეული პირობების დაცვით ლიცენზიის გაცემის, სახელმწიფო კორპორაციაში კერძო სექტორის მონაწილეობისა და სხვა „ნაკლებად შემზღვეველი“ სისტემები, როდესაც სახელმწიფო და კერძო კომპანიები თანაარსებობდნენ კანონის შესაბამისად. ევროპულმა სასამართლომ ლიცენზიის მიცემაზე უარი შეაფასა არათანაზომიერ ღონისძიებად დასახული კანონიერ მიზანთან (მაუწყებლობის სფეროში წესრიგის უზრუნველყოფა და პროგრამების ხარისხის ამაღლება) მიმართებაში და ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (მოგვიანებით, 1992 წელს, ავსტრიაში მიღებული იქნა კანონი, რომელმაც დაასრულა ტელემაუწყებლობის სფეროში მონოპოლური ვითარება).

„არათანაზომიერება“ რომ შეფარდებით ასპექტში ფასდება, ამის ნათელი მაგალითი *Tolstoy Miloslavsky*-ს საქმეცაა,³⁷ სადაც უფლებაში ჩარევა დიფამაციისათვის კრიმინალურ მსჯავრდებასთან ერთად ჯარიმის განსაკუთრებით დიდმა ოდენობამაც (1,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი) განსაზღვრა, რომელიც მომჩივანს დაეკისრა.

დაკისრებული ჯარიმისა და კომპენსაციის დიდ ოდენობას და არა საკუთრივ სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას დაეფუძნა ჩარევის არათანაზომიერად მიჩნევა საქმეში *Karhuvaara and Iltalehti v. Finland*,³⁸ რომელიც შეეხებოდა გაზეთის მთავარი რედაქტორის დასჯას პარლამენტის დეპუტატის პირად ცხოვრებაში ჩარევისათვის. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯარიმისა და კომპენსაციის დიდი მასშტაბები დეპუტატის პირადი ცხოვრების უფლების არც თუ ისე

³⁵ *Seurot v. France*, judgment of 18 May 2004.

³⁶ *Informationsverein Lentia and others v. Austria*, judgment of 25 August 1993.

³⁷ *Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*, judgment of 13 July 1995.1995

³⁸ *Karhuvaara and Iltalehti v. Finland*, judgment of 16 November 2004.

სერიოზული დარღვევის ფონზე აშკარად დისპროპორციულ ღონისძიებად უნდა მიჩნეულიყო.

საქმეში *Alinak v. Turkey*³⁹ ევროპულ სასამართლოს მოუწია ემსჯელა წიგნების კონფისკაციის შესახებ სასამართლოს ბრძანების თანაზომიერებაზე. წიგნი წარმოადგენდა ნოველას, რომელიც თურქეთის ხელისუფლების აზრით აღძრავდა შურისძიებისა და სიძულვილის გრძნობებს და აქეზებდა სამართალდარღვევათა ჩადენისაკენ. ევროპულმა სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა ეს მოსაზრება, მაგრამ მიიჩნია, რომ მხატვრული ფორმა ამცირებდა ზიანის შესაძლებლობას და ამიტომ დასახულ კანონიერ მიზნებთან მიმართებაში წიგნის კონფისკაცია არაპროპორციულ ღონისძიებად მიიჩნია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად „არათანაზომიერების“ შინაარსის შეფარდებითი ხასიათისა, ლოგიკურია ისიც, რომ როდესაც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ხარისხი არ არის დიდი, მეტი საფუძველი არსებობს იმისა, რომ იგი თანაზომიერ ღონისძიებად ჩაითვალოს, თუკი, რა თქმა უნდა, თავისთავად უფლებაში ჩარევის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. თვალსაჩინოებისათვის შესაბამისი მაგალითია *Hertel*-ის საქმე.⁴⁰ მომჩივანმა გამოაქვეყნა სტატია, სადაც მიუთითა მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნა იმის შესახებ, რომ მიკროტალღოვან ლუმელში დამზადებული საკვები საშიში იყო ჯანმრთელობისათვის, როგორც, ვითომდა კანცეროგენული. სავაჭრო საქმეთა სასამართლომ „კეთილსინდისიერი კონკურენციის“ შესახებ კანონის საფუძველზე გამოსცა ბრძანება, რომელიც მომჩივანს უკრძალავდა ასეთი განცხადებების გამეორებას. საქმის გადასინჯვის შემდეგ ფედერალურმა სასამართლომ გამოსცა ბრძანება, რომლითაც მომჩივანს მხოლოდ ის ეკრძალებოდა, რომ ფართო აუდიტორიის წინაშე ემტკიცებინა, თითქოს მიკროტალღოვან ლუმელში დამზადებული საკვების საშიშროება მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტს წარმოადგენდა, მითუმეტეს იმის აღუნიშნავად, რომ ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულებებიც არსებობდა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა, რომ მომჩივანის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ემსახურებოდა სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას და ემყარებოდა კანონს „კეთილსინდისიერი კონკურენციის“ შესახებ. მაგრამ, რაც შეეხებოდა უფლებაში ჩარევის აუცილებლობას, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ბრძანებისაგან განსხვავებით, მეორე ბრძანება აღარ აბრკოლებდა მომჩივანს, გაეკრძალებინა თავისი აზრები; მისგან მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ გაეკეთებინა შესაბამისი დათქმები ამ საკითხზე განსხვავებული აზრების არსებობის შესახებ. სასამართლოს შეხედულებით, გამოხატვის თავისუფლების ასეთი შეზღუდვა მცირემნიშვნელოვანი იყო თავისი ხასიათით და აუცილებელი იყო იმისათვის, რომ არ გავრცელებულიყო ისეთი

³⁹ *Alinak v. Turkey*, judgment of 29 March 2005.

⁴⁰ *Hertel v. Switzerland*, appl No53400/99, judgment of 17 January 2002.

განცხადებები, რომლებიც შეიცავდა არაზუსტ ინფორმაციას, აბნევდა საზოგადოებას და უსაფუძვლოდ ზიანს აყენებდა მას, ამასთანავე, უსამართლო იყო კონკურენტებისადმი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლომ (იგულისხმება ფედერალური სასამართლო) გაითვალისწინა და დააბალანსა დაპირისპირებული უფლებები და ინტერესები. მომჩივნის უფლებაში ჩარევა მან „თანაზომიერად“ მიიჩნია.

გამოხატვის თავისუფლების მცირემნიშვნელოვან შეზღუდვად მიიჩნია აგრეთვე, ევროპულმა სასამართლომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, მომჩივნის წიგნის თითოეულ ეგზემპლარში ჩადებულიყო შეტყობინება მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ, რომელსაც შედეგად მოჰყვა ამ წიგნის პუბლიკაციას (*Chauvy and Others v. France*)⁴¹. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ წიგნის ტირაჟის განადგურების გადაწყვეტილება არ იყო მიღებული და ფაქტობრივად მისი გამოქვეყნება აკრძალული არ ყოფილა. ამიტომ გადაწყვეტილება, წიგნში ჩადებულიყო შეტყობინება გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ, სასამართლოს აზრით, ვერ ჩაითვლებოდა არაპროპორციულ ღონისძიებად, რომელიც მეტისმეტად ზღუდავდა გამოხატვის თავისუფლებას რეპუტაციის უფლების დაცვის მიზანთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი დასკვნა ისაა, რომ თანაზომიერების პრინციპი, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა – „თანაზომიერი“ კონვენციისა თუ მისი ოქმების არც ერთ დებულებაში გამოყენებული არ არის, წარმოადგენს მთელი კონვენციის გამჭოლ უმნიშვნელოვანეს პრინციპს და ასრულებს გადამწყვეტ როლს დაპირისპირებული ინტერესების სამართლიანი დაბალანსების სფეროში.⁴²

⁴¹ *Chauvy and Others v. France*, judgment of 29 June 2004.

⁴² ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება ე.წ. „ლატენტური“ (ფარული) თანაზომიერების შესახებ. მაგალითად, ეისენი მიიჩნევს, რომ თანაზომიერება ყოველთვის არ არის თვალსაჩინო ელემენტი კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებში, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ მაინც დაადასტურა მათი არსებობა იმის დადგენით, თუ როგორ უნდა მომხდარიყო შესაბამისი დებულებების ინტერპრეტაცია. მისი აზრით, ზოგ საქმეებში ეს დაკავშირებული იყო უფლებათა განხორციელებაზე დაწესებული შეზღუდვების კანონიერების შეფასებასთან, ზოგჯერ – ამა თუ იმ უფლებისა თუ თავისუფლების შინაარსობრივი ფარგლების, ანდა სახელმწიფოთა პოზიტიური ვალდებულებების ფარგლების განსაზღვრასთან; ზოგჯერ კი – იმის შეფასებასთან, შეიძლებოდა თუ არა ადამიანებისადმი არაერთგვაროვანი მოპყრობა შესაბამის გარემოებებში მიჩნეულიყო დისკრიმინაციულად. იხ. **Mark-André Eissen**, *The Principle of Proportionality in the Case-Law of the European Court of Human Rights*. კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds). 1993. გვ.131.

§6.3. «აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში» - დასაბუთების ლოგიკა

6.3.1. კანონიერი ინტერესის დასაცავად უფლების შეზღუდვის დასაბუთების სამართო სქემა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ სახელმწიფოს მხრიდან საჯარო ან სხვა პირთა ინტერესების დასაცავად უფლებებში ყოველი ჩარევა სარწმუნოდ და დამაჯერებლად იყოს დასაბუთებული. როდესაც საქმე შეეხება გამოხატვის თავისუფლებას, როგორც ვიცით, ზედმიწევნით უნდა იქნას დადგენილი ყველა იმ პირობის დაცულობა, რომელსაც კონვენციის მე-10 მუხლი ითვალისწინებს.

ა) უფლების შეზღუდვა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული;

ბ) იგი უნდა ემსახურებოდეს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ ამა თუ იმ კანონიერ ინტერესს; და

გ) აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად.

მაგრამ როგორია ამ პირობათა ურთიერთმიმართება დასაბუთების თვალსაზრისით?

პირობათა ზემოაღნიშნული ჩამონათვალი დასაბუთების ლოგიკურ თანმიმდევრობასაც გამოხატავს. ამასთან, პირველი და მეორე პირობა ერთმანეთთან მიმართებაში ერთ ჰორიზონტალურ სიბრტყეში მოიაზრება. მართალია, თითოეული მათგანის შეუსრულებლობა საკმარისი საფუძველია მე-10 მუხლის დარღვევულად მიჩნევისათვის, მაგრამ დასაბუთების ლოგიკა არ დაირღვევა, თუ ორივე პირობის დაუცველობა იქნება დასაბუთებული. მაგალითად, ასე, რომ შესაბამის შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო კანონით გათვალისწინებული და ამასთანავე, იგი არ ემსახურებოდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებულ შესაბამის კანონიერ მიზანს. ამ ორი პირობის შეუსრულებლობის დასაბუთება მხოლოდ გაამყარებს ევროპული სასამართლოს დასკვნას მე-10 მუხლის დარღვეულობის თაობაზე. მაგრამ მესამე პირობის დაცულობისა თუ დაუცველობის დასაბუთების საჭიროება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშობა, მხოლოდ მაშინ ხდება აქტუალური, თუ პირველი და მეორე პირობა დაცულია. თუ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არ იყო კანონით გათვალისწინებული, ანდა არ ემსახურებოდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე კანონიერ მიზანს, უფლების შეზღუდვის აუცილებლობის შემოწმება აზრს კარგავს და საჭირო აღარ არის. მაგრამ როდესაც პირველი ორი პირობა დაცულია და შეზღუდვის

აუცილებლობა უნდა შემოწმდეს, დასაბუთების პროცესი ასევე ეტაპობრივია, რაც იმასთანაა დაკავშირებული, რომ იგი ორი საკითხის გარკვევას გულისხმობს:

ა) აუცილებელი იყო თუ არა საერთოდ სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩარევა („ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება);

ბ) აუცილებელი იყო თუ არა ისეთი ხასიათისა და ხარისხის ჩარევა, რაც განხორციელდა („ჩარევის თანაზომიერების“ შეფასება).

აქაც, მეორე პირობა ისეთივე მიმართებაშია პირველთან, როგორშიც წინა შემთხვევაში მესამე პირობა იყო პირველ ორთან: თანაზომიერების შეფასება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს აქტუალური, თუ თავისთავად უფლებაში ჩარევის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. შესაბამისად, თუ პირველ კითხვაზე პასუხი უარყოფითია, ანუ, თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა საერთოდ არ იყო აუცილებელი, რადგან არ არსებობდა საამისოდ „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, თანაზომიერების ანალიზი აზრს კარგავს, ვინაიდან უფლების შემზღუდველი ნებისმიერი ღონისძიება, თვით ყველაზე ნაკლებად შემზღუდველიც კი, არათანაზომიერი იქნება. ამის გამო, ლოგიკურია, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც „აუცილებლობის“ კრიტერიუმით შეფასების შედეგად დადგინდება უფლების შესაზღუდად აუცილებელი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არარსებობა, ევროპულმა სასამართლომ უნდა შეწყვიტოს შემდგომი დასაბუთება, ცნოს კონვენციის დარღვევა და უფლების შეზღუდვა აღარ შეაფასოს „თანაზომიერების“ კრიტერიუმით. პირველ საკითხზე უარყოფითი დასკვნა საკმარისი საფუძველია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის დასაფიქსირებლად. უფლების შეზღუდვის „თანაზომიერების“ ჭრილში განხილვა კი, არა მარტო ზედმეტი გარჯა იქნება, არამედ სრულიად ალოგიკური, გაუგებარი და დამაბნეველი.

6.3.2. „ჩარევის აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებათა აღრმვა პრაქტიკაში.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ დასაბუთების ზემოაღნიშნული ლოგიკა ძირითადად დაცულია. უფლებაში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების უარყოფისას, იგი „თანაზომიერების“ შეფასებას აღარ მიმართავს და კონვენციის მე-10 მუხლს დარღვეულად აცხადებს.¹ მაგრამ ისეთი განჩინებები თუ გადაწყვეტილებებიც მრავლად გვხვდება, სადაც „ჩარევის

¹ ამის დამადასტურებლად არაერთი საქმე შეიძლება დავასახელოთ პრაქტიკიდან. მაგალითად, საქმეში *Steur v. the Netherlands* (28.10.2003), რომელიც შეეხებოდა გამოძიების გაკრიტიკებისათვის ადვოკატის დისციპლინურ დასჯას, სასამართლომ მიუთითა, რომ საერთოდ არ არსებობდა უფლებაში ჩარევის საფუძველი, ცნო კონვენციის დარღვევა და აღარ მიუმართავს „თანაზომიერების ანალიზისათვის“. საქმეში *Selistö v. Finland* (16.12.2004) მიუხედავად იმისა, რომ იგი სერიოზულ ჩარევას (სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას) შეეხებოდა, სასამართლოს არაფერი უთქვამს ჩარევის დისპროპორციულობაზე, ვინაიდან საერთოდ უარყო ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ და ცნო კონვენციის დარღვევა.

აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებანი მკვეთრად გამიჯნული არ არის. ისინი ერთმანეთშია გადახლართული თუ აღრეული.

მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც თანმიმდევრობით კი არა, ერთსა და იმავე დროს, ერთდროულად ხდება „ჩარევის აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ დასაბუთება. ამასთან, ზოგჯერ „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება შთანთქავს „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებას, ზოგჯერ კი პირიქით ხდება. ისეთი შემთხვევებიცაა, როდესაც დასაბუთებულია ჩარევისათვის აუცილებელი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არარსებობაც და ჩარევის ღონისძიების არათანაზომიერებაც. ზოგჯერ სასამართლო საერთოდ არ იძლევა ზუსტ პასუხს იმაზე, არსებობდა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“; თუმცა მთელი მისი მსჯელობა და არგუმენტაცია იმის მაჩვენებელია, თითქოს იგი უარყოფს მას, მაგრამ კონვენციას მაინც ჩარევის არათანაზომიერების მოტივით ცნობს დარღვეულად. ხშირია ისეთი დასაბუთებაც, რომლის ალოგიკურობა ერთი შეხედვით ადვილად შესამჩნევი არ არის. იგი ყოველთვის ვერც ახდენს სამართლიანი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე არსებით გავლენას, მაგრამ უთუოდ ქმნის ერთგვარ ბუნდოვანებას, ართულებს სასამართლოს პოზიციების ნათლად წარმოდგენას და დამაჯერებლობას აკლებს მის გადაწყვეტილებებს. უდავოა, რომ ასეთი და მსგავსი შემთხვევები ეწინააღმდეგება დასაბუთების იმ ბუნებრივ ლოგიკას, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარეობს; აგრეთვე – ევროპული სასამართლოს სხვა განჩინებებსა და გადაწყვეტილებებს, სადაც ასეთი ლოგიკა დარღვეული არ არის.

ჩვენი დაკვირვებით, ყველაზე უფრო აშკარა და ტიპიური გამოვლინებანი ასეთი ალოგიკურობისა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ზოგჯერ (არც თუ იშვიათად), „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ შეფასებულია არა იმ ჭრილში, არსებობდა თუ არა საერთოდ სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩარევის საფუძველი, არამედ მხოლოდ უშუალოდ შემზღვეველ ღონისძიებასთან მიმართებაში. ანუ, შეფასებულია არა „საერთოდ ჩარევის“ აუცილებლობა, არამედ მხოლოდ „შესაბამისი ჩარევისა“, ანუ იმ შემზღვეველი ღონისძიებისა, რომელიც გამოყენებული იქნა. ეს კი ყოველთვის გამართლებული არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩარევა სერიოზულია თავისი ხასიათით, ანდა გამოყენებულია რამდენიმე შემზღვეველი ღონისძიება. იგი არღვევს ბუნებრივი ლოგიკის წესებს და იწვევს „თანაზომიერების“ შეფასების გაუფასურებას. ზოგჯერ კი – სხვაგვარ შეუსაბამობებსაც.

2.1. „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ მხოლოდ „შესაბამის ჩარევასთან“ მიმართებაში შეფასების უარყოფითი მხარეები

ა) „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების შეფასება მხოლოდ „შესაბამის ჩარევასთან“ მიმართებაში ღიად სტოვებს საკითხს, არსებობდა თუ არა საერთოდ უფლებაში ჩარევის აუცილებლობა, ანუ – იმის აუცილებლობა, რომ სახელმწიფოს ემოქმედნა უფლების შეზღუდვის მიმართულებით.

ზემოაღნიშნული საკითხი პასუხგაუცემელი რჩება როგორც მაშინ, როდესაც „შესაბამისი ჩარევა“ სერიოზულია თავისი ხასიათით (მაგალითად, გამოყენებულია სისხლისსამართლებრივი ღონისძიება), ისე მაშინ, როდესაც ჩარევა მინიმალურია.

სერიოზული ჩარევის დროს, თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობდა უფლებაში სერიოზული ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, ბუნებრივად წარმოიშობა კითხვა, იარსებებდა თუ არა ასეთი საჭიროება უფრო ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიების შემთხვევაში. რაკი სასამართლომ მხოლოდ ასეთი (ანუ სერიოზული) ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ უარყო, ლოგიკურად ივარაუდება, რომ უფრო ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიების „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ შეიძლება აღიარებული ყოფილიყო. არადა, სრულებითაც არ არის გამორიცხული ის, რომ არც ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიების საჭიროება არსებულებო. ამიტომ, რაც არ უნდა შევეცადოთ, გვერდი ავუაროთ იმ საკითხს, იმსახურებდა თუ არა უფლების შესაბამისი განხორციელება რაიმე შეზღუდვას მაინც, ეს საკითხი მოხსნილად ვერ ჩაითვლება და პასუხს მოითხოვს.

მინიმალური ჩარევის დროს ვითარება შედარებით ნათელია, მაგრამ კითხვის ნიშნები მაინც რჩება. როდესაც სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი (მინიმალური) შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ არ არსებობდა, ლოგიკურად ივარაუდება, რომ ჩარევის საფუძველი საერთოდ არ არსებობდა. მაგრამ რაკი სასამართლო ზუსტ პასუხს ამაზე ყოველთვის არ იძლევა, საკითხი მაინც გაურკვეველია.

ჩვენი შეხედულებით, იმ კითხვაზე პასუხის გაუცემლად, არსებობდა თუ არა საერთოდ საჭიროება იმისა, რომ სახელმწიფოს ემოქმედნა შესაბამისი კანონიერი ინტერესის დასაცავად უფლების შეზღუდვის მიმართულებით, შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება ვერ იქნება სრულყოფილი, ნათელი და სისტემური. გარდა ამისა, ის ართულებს სახელმწიფოს მიერ ვალდებულების დარღვევის ხარისხის და, აქედან გამომდინარე, მისი პასუხისმგებლობის ხარისხის ზუსტად განსაზღვრას; ამცირებს საზოგადოდ შეზღუდვის გაუმართლებულად მიჩნევის განჭვრეტადობის ხარისხს.

ბ) „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასება მხოლოდ „შესაბამის ჩარევასთან“ მიმართებაში უფრო რთულია და ცდომილების დიდ რისკს შეიცავს.

რაკი იგი არსებითად აერთიანებს „ჩარევის აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებებს, ეს მოითხოვს აბსოლუტურ და შეფარდებით

განზომილებათა ერთდროულად გამოყენებას, ვინაიდან „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება აბსოლუტური განზომილებით ხდება, ხოლო „ჩარევის თანაზომიერება“ კი შეფარდებით განზომილებას საჭიროებს (მაგალითად, ჩარევის აუცილებლობის შეფასებისას მნიშვნელობა იმას აქვს, თუ თავისთავად რამდენად სერიოზული იყო კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული ან პოტენციური ზიანი. „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებისას კი ამ ზიანის სიდიდე უფლებაში ჩარევის ხარისხთან, მისთვის მიყენებულ ზიანთან მიმართებაში მოწმდება).

ცხადია, რომ ამ თვისებრივად განსხვავებული ოპერაციების ერთდროულად განხორციელება რთულია და მცდარი დასკვნების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

გ) რაც მთავარია, „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების შეფასება მხოლოდ „შესაბამის ჩარევასთან“ მიმართებაში აზრს უკარგავს „ჩარევის თანაზომიერების“ ცალკე შეფასებას.

როგორც ვიცით, „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასება გულისხმობს „შესაბამისი და საკმარისი საფუძვლის“ დადგენას. ამიტომ, იმის დადგენა, არსებობდა თუ არა სწორედ ისეთი ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ და მისი „შესაბამისი და საკმარისი საფუძველი“, როგორც სახელმწიფომ განახორციელა, ფაქტობრივად იმის დადგენაა, იყო თუ არა აუცილებელი სწორედ ისეთი ხასიათისა და ხარისხის ჩარევა, როგორც განხორციელდა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასება. როგორც კი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ შეფასდება გასაჩივრებულ ღონისძიებასთან მიმართებაში, აღნიშნული შეფასება შეიწოვს, შთანთქავს და გადაფარავს „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებასაც. მართლაც, თუ არსებობდა გასაჩივრებული ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, მისი შესაბამისი და, მით უფრო – საკმარისი საფუძველი, ძნელი წარმოსადგენია, რომ გასაჩივრებული ღონისძიება არაპროპორციული აღმოჩნდეს. და პირიქით, თუ არ არსებობდა ასეთი შესაბამისი და საკმარისი საფუძველი, ასევე ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი პროპორციულად იქნეს მიჩნეული. ამრიგად, „ჩარევის თანაზომიერების“ ცალკე შეფასებას აზრი ეკარგება, ვინაიდან „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლის აღიარება ჩარევის თანაზომიერების აღიარების ტოლფასი ხდება, ხოლო მისი უარყოფა – თანაზომიერების უარყოფისა. კიდევაც რომ მივიჩნიოთ „თანაზომიერების“ ცალკე შეფასება შესაძლებლად, შედეგები მაინც წინასწარ ცნობილი იქნება. ამიტომ, როდესაც იგი მაინც ხორციელდება, ეს ალოგიკური და გაუძარტლებელია. ეს ალოგიკურობა კი, საბოლოო ჯამში, ჩარევის აუცილებლობისა და თანაზომიერების შეუსაბამო დასაბუთებაში ვლინდება.

2.2. სხვადასხვაგვარი შეუსაბამობანი, რომლებიც გამოწვეულია „ჩარევის აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებათა გაუმიჯნაობით.

ა) გასაჩივრებული ჩარევის (ანუ „შესაბამისი ჩარევის“) „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ უარყოფის შემდეგ „თანაზომიერების“ შეფასება ზოგჯერ (გასაგებია რატომაც) ფორმალურ ხასიათს იძენს და, ფაქტობრივად, მხოლოდ დასკვნის დაფიქსირებით გამოიხატება. სასამართლო განსხვავებულ კრიტერიუმებსა და არგუმენტებს ვეღარ იყენებს, ვინაიდან ის კრიტერიუმები და არგუმენტები, რომლებიც არათანაზომიერების დასაბუთებისთვის უნდა გამოეყენებინა, მან „შესაბამისი ჩარევის“ „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ უარყოფის დასაბუთებას მოახმარა. ამიტომ ასეთ დროს „არათანაზომიერი ჩარევის“ დასაბუთების ლოგიკა დაახლოებით ასეთია: არ არსებობდა შესაბამისი ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ და ამიტომ იგი დისპროპორციულად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგალითად, საქმეში *Ukrainian Media Group v. Ukraine*² სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ და მისი არათანაზომიერად მიჩნევაც ასეთი საფუძვლის არარსებობას დაუკავშირა. შეფასების სხვა რაიმე კრიტერიუმები აღარ გამოუყენებია. ზოგჯერ საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე – ჩარევის არათანაზომიერება ჩარევის „შესაბამისი და საკმარისი საფუძვლის“ არარსებობის დამადასტურებელ ძირითად თუ დამატებით არგუმენტად გვევლინება. მაგალითად, საქმეში *Salov v. Ukraine*³ სასამართლომ 5 წელი თავისუფლების აღკვეთა და საადვოკატო პრაქტიკის ლიცენზიის გაუქმება მკაცრ სასჯელად მიიჩნია და ამით გააძლიერა ჩარევის „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლის არარსებობის დასაბუთება.

ამრიგად, გამოდის, რომ ზოგჯერ ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არარსებობა განსაზღვრავს ჩარევის არათანაზომიერებას და ზოგჯერ კი ჩარევის არათანაზომიერება – ასეთი საფუძვლის არ არსებობას.

ისეთი შემთხვევებიცაა, როდესაც ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ და თანაზომიერება თითქოს ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი მსჯელობების საგანია, მაგრამ შესაბამისი დასკვნები სინამდვილეში ერთსა და იმავე გარემოებას ემყარება. მაგალითად საქმეში *Jersild v. Denmark*⁴ ერთი და იგივე გარემოება – ჟურნალისტის სისხლისსამართლებრივი დასჯის ფაქტი, სასამართლომ, როგორც შესაბამისი ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“, ისე მისი თანაზომიერების უარსაყოფად გამოიყენა.

ბ) მთავარი შეუსაბამობა მაინც ისაა, რომ ძალზე ხშირად „არაპროპორციული ჩარევის“ კვალიფიკაცია ენიჭება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ჩარევის საფუძველი საერთოდ არ არსებობდა. ამასთან, ზოგჯერ ასეთი საფუძველის არარსებობის შესახებ პირდაპირ არის მითითებული განჩინებაში, ზოგჯერ კი ეს დასკვნა

² *Ukrainian Media Group v. Ukraine*, judgment of 29 March 2005

³ *Salov v. Ukraine*, judgment of 6 September 2005

⁴ *Jersild v. Denmark*, judgment of 23 September 1994.

სასამართლოს არგუმენტაციიდან გამომდინარეობს; მაგრამ ორივე შემთხვევაში კონვენციის დარღვევის აღიარება მაინც „ჩარევის დისპროპორციულობას“ ეყრდნობა.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ზოგჯერ „დისპროპორციული ჩარევის“ კვალიფიკაცია ეძლევა შემთხვევებს, როდესაც ჩარევის საფუძველი საერთოდ არ არსებობდა, სრულებითაც არ არის უარყოფილი საზოგადოდ. სხვა მკვლევარებიც აღნიშნავენ ამას. მაგალითად, **დ.გ.ჰარისმა, მ.ო'ბოილმა და ს. უორბრიკმა** მიუთითეს, რომ პრაქტიკაში არსებობდა მთელი ჯგუფი შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდვა დისპროპორციულად იქნა მიჩნეული იმის გამო, რომ შეზღუდვის აუცილებლობა საერთოდ არ არსებობდა.⁵

ვფიქრობ, ძალზე გაჭირდება იმის გამართლება, რომ სახელმწიფომ პასუხი აგოს უფლებებში მხოლოდ „ექსცესიური ჩარევისათვის“, მაშინ როდესაც თურმე იგი საერთოდ არ უნდა ჩარეულიყო.

გარდა ამისა, ასეთ დროს გაუგებარი რჩება: თუ სასამართლომ აღიარა, რომ ჩარევის საფუძველი საერთოდ არ არსებობდა, რატომ მაშინვე არ ცნო კონვენციის დარღვევა. რაღა აზრი აქვს თანაზომიერებაზე მსჯელობს, თუკი მინიმალური ჩარევაც კი ვერასოდეს იქნება თანაზომიერი?

საქმეში *Open Door and Dublin Well Woman v. Ireland*⁶ სასამართლომ სააგენტოების აკრძალვა, რომლებიც ორსულ ქალებს ეხმარებოდნენ ინფორმაციით საზღვარგარეთ აბორტის გაკეთების შესაძლებლობის შესახებ, არათანაზომიერ ჩარევად მიიჩნია იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ აბორტის სრული აკრძალვა საფრთხეში აგდებდა ქალთა ჯანმრთელობას. არადა ეს მოსაზრება არსებითად და ლოგიკურად არგუმენტია სააგენტოების აკრძალვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არარსებობის დამტკიცებისა და არა შესაბამისი ღონისძიების არათანაზომიერებისა. სასამართლომ კი იგი „არათანაზომიერების“ არგუმენტად გამოიყენა, რისი დამტკიცების საჭიროებაც პრაქტიკულად აღარ არსებობდა.

საქმეში *Ukrainian Media Group v. Ukraine* სასამართლოს მსჯელობიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ჟურნალისტთა უფლებებში ჩარევის საფუძველი საერთოდ არ არსებობდა (სასამართლომ მიუთითა, რომ სტატიები პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებ წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას და პოლიტიკურ დისკუსიაში წვლილის შეტანას, რომ მათ არ ჰქონდათ დარღვეული დასაშვები კრიტიკის ფარგლებში, რომ პოლიტიკოსებს უნდა აეტანათ კრიტიკა და ა.შ.), არსებითად მართლაც სწორია სასამართლოს მსჯელობა, მაგრამ როდესაც შემდგომ მან ჟურნალისტთა დადანაშაულება დიფამაციის საქმეში აშკარად დისპროპორციულ ღონისძიებად მიიჩნია, აქ უკვე დაირღვა ლოგიკა, ვინაიდან ჩარევის საკმარისი საფუძველი მას (ფაქტობრივად) უკვე უარყოფილი ჰქონდა.

⁵ D.G.Harris, M.O'Boyle, C.Warbrick, *Law of the European convention on Human Rights. Butterworths. London, Dublin. Edinburgh*, 1995. გვ.411.

⁶ *Open Door and Dublin Well Woman v. Ireland*, judgment of 29 October 1992.

საქმეში *Alinak v. Turkey* ასევე შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ სასამართლომ უარყო გამოყენებული ღონისძიების – წიგნების კონფისკაციის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“, მაგრამ იმავდროულად მან ამ ღონისძიებას „არაპროპორციული ჩარევის“ კვალიფიკაცია მისცა.⁷

საქმეში *Han v. Turkey* სასამართლომ მომჩინის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება პარტიის კონგრესზე წარმოთქმული სიტყვისათვის არაპროპორციულ ღონისძიებად მიიჩნია, მაგრამ მისი არგუმენტაცია იმგვარი იყო, რომ იგი საერთოდ უარყოფდა შემზღვევის ყოველგვარ საფუძველს. ცხადია, რაკი მან მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების პროპორციულობა უარყო, ამან ლოგიკურად წარმოშვა იმის ალბათობა, რომ ნაკლებად შემზღვეველი ღონისძიება შეიძლება პროპორციულად მიჩნეულიყო. ასეთი რამ კი სრულებით არ შეესაბამებოდა გამოყენებულ არგუმენტაციას.⁸

საინტერესო შემთხვევაა საქმე *Salov v. Ukraine*. აქ სასამართლომ პირდაპირ აღიარა, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული ჩარევის „შესაბამისი და საკმარისი საფუძველი“. ამის მიუხედავად მან არ შეწყვიტა დასაბუთება და ჩარევის თანაზომიერების საკითხიც გადაწყვიტა, რაც ამ ეტაპზე უკვე ზედმეტ გარჯას წარმოადგენდა, რაკი ასეთი შემზღვევის დისპროპორციულობა მისი შესაბამისი და საკმარისი საფუძველის არარსებობის აღიარებით უკვე დადასტურებული ჰქონდა. ამ საქმეში „შესაბამისი და საკმარისი საფუძველის“ დადასტურების საკითხშიც ალოგიკურობას წავაწყდით. სასამართლომ აღიარა კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. მაგრამ მიუთითა, რომ ზიანი მნიშვნელოვანი არ იყო.

ზიანის ფაქტის აღიარების გამო გაჩნდა ექსპექტაცია, რომ სასამართლო აღიარებდა ჩარევის „შესაბამისი საფუძველის“ არსებობას, მაგრამ უარს იტყოდა მის „საკმარისად“ მიჩნევაზე (ჩვენი შეხედულებით „გამოხატვის“ შედეგად კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების ფაქტი ყველაზე პირდაპირი დადასტურებაა ამ ინტერესის დასაცავად უფლებაში ჩარევის შესაბამისობისა), მაგრამ ასე არ მოხდა. სასამართლომ „შესაბამისი საფუძველის“ არსებობაც უარყო.⁹

გ) „ჩარევის აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებათა აღრევა განაპირობებს სხვაგვარ შეუსაბამობებსაც, რომლებიც არათანმიმდევრულს ხდიან პრაქტიკას ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში.

მაგალითად, საერთო პრაქტიკის მიხედვით, „თანაზომიერების“ შეფასება მოიცავს უფლების შემზღვეველ ყველა ღონისძიებასა და სხვა სანქციებს, აგრეთვე, ჯარიმისა და კომპენსაციის ოდენობას. მაგრამ ზოგჯერ ძირითადი ღონისძიებები და შესაბამისი სასჯელები თითქოს მოწყვეტილია ერთმანეთს. მაგალითად. „ჩარევის აუცილებლობა“ მოწმდება სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების ფაქტთან მიმართებაში, ხოლო „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასება კი ამოიწურება

⁷ *Alinak v. Turkey*, judgment of 29 March 2005.

⁸ *Han v. Turkey*, judgment of 13 September 2005.

⁹ *Salov v. Ukraine*, judgment of 6 September 2005.

გამოყენებული სასჯელებით. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ასეთი რამ სწორედ მაშინ ხდება, როდესაც „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასება ფოკუსირებულია „შესაბამის ჩარევაზე“. ფოკუსის შეცვალა სასამართლოს იქითკენ უბიძგებს, რომ „თანაზომიერების“ შეფასებისას მხოლოდ სასჯელებით შემოიფარგლოს. ასეთი რამ კი ალოგიკურია და არსებითად მცდარიც.

ალოგიკურია იმიტომ, რომ გამოყენებული სასჯელებიც „შესაბამისი ჩარევის“ აუცილებელი კომპონენტია. ამიტომ, როდესაც სასამართლო „შესაბამისი ჩარევის“ „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ აღგენს, მან მხედველობაში უნდა მიიღოს არა მარტო სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების ფაქტი, არამედ გამოყენებული სასჯელებიც, ისევე, როგორც „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებაც აუცილებლად უნდა მოიცავდეს „შესაბამისი ჩარევის“ ყველა კომპონენტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შეფასებანი, როგორც არასრულყოფილ მონაცემებზე დაყრდნობილი, არაადეკვატური შეიძლება აღმოჩნდეს.

არსებითად მცდარია იმიტომ, რომ სასამართლოს არაფერი უშლის ხელს საიმისოდ, შესატყვის გარემოებებში მხოლოდ სასჯელის სიმკაცრეს დააყრდნოს მთლიანობაში ჩარევის არათანაზომიერად მიჩნევა (რაც არაერთხელ მომხდარა კიდევაც), ისევე, როგორც ზოგჯერ საკუთრივ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების ფაქტიც კი შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს ჩარევის ექსცესიურობის აღიარებისთვის. ამგვარად, სასჯელის სიმკაცრე შეიძლება გახდეს ჩარევის არათანაზომიერად მიჩნევის საფუძველი, მაგრამ „თანაზომიერების ანალიზის“ შემოფარგვლა მხოლოდ სასჯელებით, პრინციპულად მცდარია.

შემზღვეველი ღონისძიებებისა თუ მისი სხვადასხვა კომპონენტების ერთმანეთისაგან ასეთი მოწყვეტა დასაბუთების საერთო სქემაშიც შეუსაბამობის წყარო შეიძლება გახდეს. ეს კარგად გამოვლინდა *Salov*-ის ზემოთ მოხსენიებულ საქმეში. „თანაზომიერების“ შეფასებისას სასამართლო შემოიფარგლა სისხლისსამართლებრივი სასჯელით (5 წლით თავისუფლების აღკვეთა) და იმ შედეგებით, რომელიც მის მსჯავრდებას მოჰყვა (საადვოკატო ლიცენზიის ჩამორთმევა) და ისინი დისპროპორციულად მიჩნია, მაშინ, როდესაც უკვე აღიარებული ჰქონდა, რომ საკუთრივ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების შესაბამისი და საკმარისი საფუძველი არ არსებობდა.

ასეთი დასაბუთება არა მარტო თავისთავად არის მცდარი, არამედ ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს სხვა განჩინებებს, სადაც თანაზომიერების შეფასება მთლიანად მოიცავს გამოყენებულ ღონისძიებებს სასჯელებისა და ჯარიმისა თუ კომპენსაციის ოდენობის ჩათვლით.¹⁰

¹⁰ მაგალითად, *Pedersen and Baadsgaard v. Denmark* (17.12.2004); *Cumpănă and Mazăre v. Romania* (17.12.2004) და სხვა.

3. დასკვნა

გაუმართლებელია ისეთი შემთხვევები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, როდესაც

ა) – გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მხოლოდ უფლების შემზღუდველი ღონისძიების თანაზომიერებით განისაზღვრება იმგვარად, რომ არ ხდება უფლების შეზღუდვისათვის აუცილებელი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დასაბუთება და პირიქით,

– როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში შეზღუდვის აუცილებლობის უარყოფა მხოლოდ შემზღუდველი ღონისძიების არათანაზომიერებით განისაზღვრება ისე, რომ არ ხდება საკუთრივ შეზღუდვისათვის აუცილებელი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არარსებობის დასაბუთება;

ბ) – როდესაც „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შეფასება ერთდროულად ხდება, ერთსა და იმავე გარემოებებს ეფუძნება და გაიგივებულია;

გ) – როდესაც „აუცილებელის“ კრიტერიუმით შეფასების შედეგად „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არარსებობის დადგენის შემდეგ, მაინც გრძელდება შეზღუდვის „თანაზომიერების“ კრიტერიუმით შეფასება;

დ) – როდესაც შეცვლილია „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ ფოკუსი და სასამართლო იმას კი არ იკვლევს, არსებობდა თუ არა საერთოდ უფლებაში ჩარევის აუცილებლობა, არამედ მხოლოდ იმას – არსებობდა თუ არა „შესაბამისი ჩარევის“ აუცილებლობა და, ამის მიუხედავად, „თანაზომიერების შეფასებას“ დამატებით (ფაქტობრივად ხელახლა) ახდენს;

ე) – როდესაც „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასება არ მოიცავს ყველა შემზღუდველ ღონისძიებას და მის ყველა კომპონენტს და შემოფარგლულია მხოლოდ ზოგიერთი მათგანით.

ზემოთ აღნიშნული შემთხვევები, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ამ უფლების დარღვევისა თუ დაცულობის დასაბუთების ბუნებრივ ლოგიკურ სქემას და წინააღმდეგობრივია როგორც თავისთავად, ისე, ევროპული სასამართლოს საერთო პრაქტიკის, მით უფრო – მისი პრეცედენტული სამართლის კონტექსტში. იგი აბრკოლებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებელი პირობების ცხად და სისტემურ გააზრებას, ამ მხრივ ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვასა და, საბოლოო ჯამში, ევროპული კონვენციის მეშვეობით ადამიანის უფლებათა ეფექტიან საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვას.

§6.4. „სამართლიანი ბალანსისა“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონცეფციების ურთიერთმიმართება

ახლა, როდესაც უკვე გავაანალიზეთ შეზღუდვის პირობის – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ძირითადი რაობა და არსი, მისი ორი ძირითადი კომპონენტის – „აუცილებელისა“ და „თანაზომიერების“ შეფასებათა ზოგადი პრინციპები, მეტი მეთოდოლოგიური საფუძველი გაგვაჩნია გამოვიკვლიოთ, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან „სამართლიანი ბალანსის“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონცეფციები.

„სამართლიანი ბალანსის“ იდეა ამოსავალია დაპირისპირებულ ღირებულებათა კონფლიქტის გადაჭრისას, ვინაიდან ინდივიდურ უფლებათა, მათ შორის გამონატვის თავისუფლების განხორციელება, ცხოვრებაში ხშირად უპირისპირდება სხვა ღირებულებებს – საზოგადო (საჯარო) ან სხვა პირთა ინტერესებს. თუ საქმე მხარეთა მორიგებით არ დამთავრდა (რაც პროცედურული მოწესრიგება უფროა არსებული დავისა, ვიდრე პრობლემის კონცეპტუალური გადაწყვეტა), აუცდენელია ისეთი გადაწყვეტილება, როდესაც ან შესაბამის ინდივიდურ უფლებას ენიჭება უპირატესობა, ანდა მასთან დაპირისპირებულ საჯარო ან სხვა, კერძო ინტერესს. მაგრამ, თუ როდის როგორი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული, ამაზე პასუხს „სამართლიანი ბალანსის“ კონცეფცია იძლევა.

დიახ, ბალანსი დაპირისპირებულ ღირებულებებს შორის სამართლიანი უნდა იყოს. **„სამართლიანი ბალანსი“ არამც და არამც არ გულისხმობს უსათუოდ კონკურენტულ ღირებულებათა დაცულობის ხარისხის გათანაბრებასა და ინტერესების არითმეტიკულ დაბალანსებას.** ბალანსი სამართლიანი შეიძლება იყოს მაშინაც, როდესაც ინდივიდურ უფლებას მიენიჭება სრული უპირატესობა და მიჩნეული იქნება, რომ შესაბამის შემთხვევაში ის საერთოდ არ უნდა შეზღუდულიყო ამა თუ იმ საჯარო ან კერძო ინტერესის გამო, ანდა არ უნდა შეზღუდულიყო იმ ხარისხით, როგორითაც შეიზღუდა; და მაშინაც, როდესაც უპირატესობა რომელიმე საჯარო ან კერძო ინტერესს მიენიჭება და მიჩნეული იქნება, რომ უფლება უნდა შეზღუდულიყო, და ამასთან, სწორედ იმ ხარისხით, როგორითაც შეიზღუდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის მიუხედავად, როგორი იქნება ბალანსი – ინდივიდური უფლების სასარგებლო თუ საზიანო, ასეთი ბალანსი ორივე შემთხვევაში შეიძლება იყოს „სამართლიანი“ იმისდა მიხედვით, ღირებულებათა როგორ კონფლიქტთან, რა კონკრეტულ გარემოებებთან გვაქვს საქმე. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცდილობს შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს დაპირისპირებული ინტერესები, მოახდინოს მათი ჰარმონიზაცია და მიაღწიოს „დელიკატურ ბალანსს“. მეტად საგულისხმოა, რომ ევროპული სასამართლო დაპირისპირებულ ინტერესებს

შორის დელიკატური ბალანსის მიღწევას ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს საქმიანობის მთავარ ამოცანად მიიჩნევს.¹

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „სამართლიანი ბალანსი“ ინტერესთა გონივრულ გაწონასწორებას გულისხმობს, რაც სხვადასხვა უფლებასა და ვითარებასთან მიმართებაში, განსხვავებულად მიიღწევა. ბალანსის სამართლიანობაც ამის მიხედვით ყალიბდება. შესაბამისად, სრულიად კანონზომიერად მოქმედებას იწყებს პრინციპი, რომელსაც პირობითად შეიძლება **დინამიკური ბალანსი** ეწოდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს წინასწარი მზა ფორმულა ბალანსის სამართლიანობის მიღწევისა და იმის განსაზღვრისა, თუ ინტერესთა როგორი დაბალანსება იქნება გონივრული. დინამიკური ბალანსის პრინციპი გულისხმობს, რომ ბალანსის სამართლიანობას სრულიადაც არ განსაზღვრავს საკუთრივ ის, ინდივიდური უფლების სასარგებლოა იგი, თუ საზიანო. ბალანსის სამართლიანობას კონკრეტული საქმის კონკრეტული გარემოებები განსაზღვრავს და შესაბამისად, ხან ინდივიდური უფლება გადასწონის დაპირისპირებულ საჯარო თუ სხვა ინდივიდური ინტერესის დაცვის აუცილებლობასა და ხან კიდევ პირიქით. ამიტომ, **დაპირისპირებულ ღირებულებათა პირობით სასწორზე სამართლიანობის სიმძიმის ცენტრი ხან ერთ მხარესაა და ხან მეორე მხარეს.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების თვალთახედვა უწინარესად „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებაში აისახება**, ვინაიდან იმის დადგენა, იყო თუ არა ჩარევა ექსცესიური, სწორედ დაპირისპირებული ღირებულებების მნიშვნელობის, მათ მიერ განცდილი ზიანის შედარებისა და ურთიერთშეფარდების გზით ხორციელდება.

ასეა თუ ისე, საბოლოო ჯამში, ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებითა და შესაბამისი კრიტერიუმებითა და სტანდარტებით შეფასების შედეგად ყალიბდება დასკვნა იმის თაობაზე, მიაღწია თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ სამართლიან ბალანსს კონფლიქტურ ღირებულებებს შორის, მაშასადამე – იყო თუ არა შეზღუდვა „გამართლებული“ და უნდა იქნეს თუ არა კონვენციის დარღვევა აღიარებული.

ამიტომ, მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ **გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პირობა – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“** (რაც საერთოა კონვენციით გათვალისწინებული რამდენიმე უფლებისათვის), **იმავედროულად წარმოადგენს „სამართლიანი ბალანსის“ პირობასაც;** თუ ესა თუ ის შეზღუდვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ასეთი შეზღუდვა სამართლიანი, გონივრულია და რომ კონვენციის მე-10 მუხლი ეროვნულ სახელმწიფოს არ დაურღვევია: და პირიქით, – თუ შეზღუდვა არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ეს იმას გულისხმობს, რომ გამოხატვის

¹ იხ. *Soering v. the United Kingdom*, judgment of 7 July 1989.

თავისუფლების საზიანო ბალანსი უსამართლოა და ეროვნულმა სახელმწიფომ დაარღვია ეს უფლება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „სამართლიანი ბალანსისა“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ცნებების შინაარსი ერთი და იგივე თვისებრიობის გამომხატველია, ოღონდ, „სამართლიანობა“ არსია, მისაღწევი მიზანი, ხოლო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – ასეთი სამართლიანობის მიღწევის საშუალებაა; ისეთი შეფასების კრიტერიუმი, რომლის გამოყენებაც ამ მიზნის მიღწევას ემსახურება.

„სამართლიანი ბალანსისა“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ შეფასებების ასეთი ურთიერთმიმართება და, რაც მთავარია, გამონატვის თავისუფლების სასიცოცხლო მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში იმთავითვე განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ევროპული სასამართლო ამ თავისუფლების სასარგებლოდ ჩამოყალიბებულ ბალანსს გაცილებით უფრო ხშირად მიიჩნევს „სამართლიანად“, ვიდრე „უსამართლოდ“.

თ ა ვ ი 7

პოლიტიკის სფერო და პრესის თავისუფლება

გადაწყვეტით, ეს სფეროები ერთობლივად განგვეხილა რამდენიმე მიზეზის გამო.

ჯერ ერთი, პოლიტიკისა და მასმედიის თავისუფლების სფეროები ყველაზე უკეთაა დაცული, ვინაიდან ისინი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს უკავშირდებიან. პოლიტიკა საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, ხოლო მასმედიის თავისუფლება თავად წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს.

მეორე, სხვადასხვა და მით უფრო პოლიტიკურ საკითხებზე შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გავრცელება უმეტესწილად სწორედ პრესისა და მასმედიის სხვა საშუალებებით ხდება. ამიტომ მასმედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა (სხვადასხვა ჭრილში) ძალზე ხშირად ფიგურირებს ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებული საქმეების უდიდეს ნაწილში და თითქმის ყოველთვის – იმ საქმეებში, რომლებიც პოლიტიკის სფეროს შეეხება.

მესამე ევროპული სასამართლოს ქვემოთ მოხმობილი სხვადასხვა გადაწყვეტილებები თუ განაჩენები ერთდროულად გამოგვადგება ორივე სფეროსათვის დამახასიათებელი პრობლემატიკის გასაშუქებლად.

§7.1. გამონათვის თავისუფლება პოლიტიკის სფეროში

7.1.1. სამართო მიდგომა

პოლიტიკური შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გავრცელება განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს და მათ შესაზღუდად ძალიან მაღალი სტანდარტებია დამკვიდრებული. ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში ასეთი მიდგომა მკვეთრადაა გამონათული. მიჩნეულია, რომ პოლიტიკურ თემებზე აზრთა თავისუფალი ურთიერთგაცვლა უარსებითესია დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. ევროპული სასამართლოს განმარტებების თანახმად, კონვენციის მე-10 მუხლი ძალზე მცირე შესაძლებლობას იძლევა პოლიტიკური შეხედულებების გამონათვაზე შეზღუდვების დასაწესებლად.¹ სტრასბურგის სასამართლოს აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დემოკრატიულ საზოგადოებაში დაშვებული იყოს სხვადასხვა პოლიტიკური პროექტების წარდგენა და განხილვა მაშინაც კი, როდესაც ისინი აკრიტიკებენ არსებულ სახელმწიფო წყობილებას, იმ პირობით, თუ არ არღვევენ დემოკრატიათა თვითონ.²

¹ *Erdogdu v. Turkey*, judgment of 15 June 2000.; *Sener v. Turkey*, judgment of 17 July.

² *Aksoy v. Turkey*, judgment of 10 October 2000.

სასამართლოს აზრით, დემოკრატიის ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს იმ შესაძლებლობის არსებობა, რომ ქვეყანაში არსებული პრობლემები დიალოგის გზით გადაიჭრას და არა ძალადობის გამოყენებით, თუნდაც ასეთი დიალოგი საზოგადოების შეშფოთებას იწვევდეს.³ როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე **ჟან პოლ კოსტა** აღნიშნავს, პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას, ისევე როგორც პოლიტიკური საქმიანობის უფლებას ისეთი ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რომ დემოკრატიული ლეგიტიმურობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მის წინააღმდეგ.⁴

სწორედ ასეთ გაგებას ემყარება პოლიტიკური პარტიების, დეპუტატის, სიტყვის თავისუფლების განსაკუთრებული დაცვა და „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ დოქტრინა, რომელიც შეეხება ხელისუფლებისა თუ ცალკეული პოლიტიკოსების კრიტიკას და დიფამაციური განცხადებებისადმი არაერთგვაროვან მოპყრობას იმისდა მიხედვით, თუ ვის შეეხება ის, მთელ ხელისუფლებას, ცალკეულ პოლიტიკოსებს თუ კერძო პირებს.

პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული საქმეები ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში უამრავია. ცხადია, რომ თითოეული საქმეში სრულიად სხვადასხვაგვარი საკითხები წამოიჭრება. რომელთა მიმართ ევროპულ სასამართლოს კარგად შემუშავებული პოზიციები აქვს. შესაბამისად, საქმეების გადაწყვეტისას, როდესაც აუცილებელი ხდება ყველა შესატყვისი პრინციპისა და მიდგომის ერთდროულად გამოყენება, ისინი კონფლიქტის ვირტუალურ სასწორს სხვადასხვა მხარეს გადასწონიან, ზოგი – გამოხატვის თავისუფლების, ხოლო ზოგი – მასთან დაპირისპირებული ღირებულების სასარგებლოდ.

მთავარი სირთულე ის არის, რომ **პოლიტიკურ საკითხებზე გამოხატული იდეები, შეხედულებები და ინფორმაცია შეიძლება ღირებულებით კონფლიქტში აღმოჩნდეს უკლებლივ ყველა იმ კანონიერ ინტერესთან, რომლებიც კონვენციის მე-10 მუხლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლადაა მიჩნეული.** ამ ინტერესებს კი სხვადასხვა ღირებულება და მნიშვნელობა გააჩნიათ. სხვადასხვაა ამა თუ იმ „გამოხატვით“ მათთვის რეალური ზიანის მიყენებისა თუ საფრთხის შექმნის საერთო შესაძლებლობანიც. მაგალითად, ამა თუ იმ აზრის გამოხატვის შედეგად „ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობის“ ან „ეროვნულ უშიშროებისათვის“ რეალური ზიანის მიყენების შესაძლებლობები ცხადია, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე, მაგალითად, კონკრეტული პირის რეპუტაციისა თუ სხვა უფლებისათვის. განსხვავებულია ამ კანონიერ ინტერესთა დაცვის სფეროში ეროვნული სახელმწიფოებისათვის მიკუთვნებული შეფასების თავისუფლების ფარგლები და მისგან გამომდინარე, ეროვნული შეფასებების გათვალისწინების აუცილებლობა. თუ პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა პრესისა და მასმედიის საშუალებით ხდება, ეს აძლიერებს გამოხატვის თავისუფლების

³ *The United Communist party of Turkey and Others v. Turkey*, judgment of 30 January 1998. §57. *Socialist party of Turkey and Others v. Turkey*, judgment of 12 November 2003. §45.

⁴ იხ. **Jean-Paul Costa**, *the European Court of Human Rights and its Case Law*, Texas International Law Journal, 2000. N3, v. 38. გვ.465.

პოზიციას, ვინაიდან მის სასარგებლოდ ღირებულებითი კონფლიქტის გადაწყვეტაზე მასმედიის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცვის აუცილებლობაც იმოქმედებს. დაპირისპირებული ღირებულების დიდი მნიშვნელობა, მისთვის სერიოზული ზიანის მიყენება, გამონატვის თავისუფლებით სარგებლობისას პიროვნების მიერ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ უგულვებელყოფა, კონკრეტული ბრალდების დაუსაბუთებულობა და სხვა კი პირიქით, შეასუსტებენ მისი დაცულობის შესაძლებლობას. პოლიტიკური შეხედულებების შინაარსი, ფორმა, ადგილიანობა, საერთო კონტექსტი, ის, თუ ვინ არის ამ უფლებით მოსარგებლე სუბიექტი, ანდა ვის ან რის მიმართაა გამოთქმული ესა თუ ის შეხედულება, უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია, რომლებსაც ერთობლივად თუ დამოუკიდებლად, შეიძლება გადაწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს ღირებულებითი კონფლიქტის გადაჭრის დროს. შესაბამისად. ის საერთო მიდგომა, რომელიც პოლიტიკის სფეროში გამონატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცულობის აუცილებლობას გულისხმობს, სრულიად სხვადასხვაგვარ ფილტრს გაივლის და ამის შედეგად საბოლოოდ ყალიბდება აზრი ბალანსის სამართლიანობისა და, საბოლოო ჯამში, შეზღუდვის გამართლებულობისა თუ გაუმართლებლობის შესახებ.

ამის მიუხედავად, მაინც შესაძლებლად გვესახება ძირითადი მიდგომები გამოვყოთ:

ა) ხელისუფლების მწვავე კრიტიკა ნებადართულია.

(„დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ ყველაზე ფართოა ხელისუფლების (როგორც კოლექტიური ორგანოს) მიმართ. შემდგომი გრადაცია ასეთია – სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები და სხვა პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები, კერძო პირები. ამასთან, თუ კერძო პირები, კომპანიები, ასოციაციები, სხვა ორგანოები ჩართულნი არიან აქტიურ საზოგადოებრივ დებატებში, ეს გარემოება აფართოებს მათ მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს);

ბ) სასამართლო ხელისუფლებისა და მისი წარმომადგენლების კრიტიკის უფლება შეზღუდულია;

გ) დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, წარმოადგენდა თუ არა შესაბამისი „გამონატვა თავისუფალი პოლიტიკური დებატების ნაწილს (ამიტომ ამ გარემოებას სასამართლო ყოველთვის ზედმიწევნით იკვლევს);

დ) თავისუფალი პოლიტიკური დებატების მსვლელობის დროს დასაშვებია გარკვეული გადაჭარბებანი გამოთქმებისა და ტერმინების შერჩევისას, აღიარებულია ე.წ. განაწყენებისა და „ადეკვატური პასუხის“ უფლებაც;

ე) განსაკუთრებით ფასობს ხალხის არჩეული წარმომადგენლის – დეპუტატის პოლიტიკური სიტყვის თავისუფლება, მით უფრო, პარლამენტის ტრიბუნლიდან წარმოთქმული; აგრეთვე, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა სიტყვის თავისუფლება;

ვ) მათგან განსხვავებით, მიჩნეულია, რომ სახელმწიფო მოხელეთა (მათ შორის მოსამართლეთა) პოლიტიკური აქტივობის შეზღუდვა არ ეწინააღმდეგება

კონვენციის მე-10 მუხლს (გამომდინარე მათი მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის აუცილებლობიდან);

თ) **მიჩნეულია, რომ „პირადი ცხოვრების სფერო“ არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, მაგრამ არა ყოველთვის.** (მაგალითად, თანამდებობის პირების, პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ფაქტები, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს საზოგადოებრივი ინტერესის საგნად. თუმცა, შესაბამისი განცხადებების დაცულობის ხარისხი მაინც დაბალია).

7.1.2. ხელისუფლების კრიტიკა

პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული საქმეების უდიდესი ნაწილი ხელისუფლების კრიტიკას შეეხება. „ხელისუფლების კრიტიკად“ განიხილება ამა თუ იმ შეხედულების გამოთქმა სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის, მისი ცალკეული ქმედებებისა თუ ღონისძიებების შესახებ, მათ შორის ხელისუფლების ცალკეული რგოლების (მაგალითად, პოლიციის, უშიშროების სამსახურის, რომელიმე სამინისტროს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს ანდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების) საქმიანობის შესახებ, აგრეთვე, ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა მიმართ მათ სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთო მიდგომა ემყარება პრინციპს, რომ ხელისუფლების მწვავე კრიტიკა დასაშვებია. იმ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებანი, სადაც ხელისუფლების კრიტიკის დაცვის აუცილებლობაზე იყო საუბარი, სწორედ ამ პრინციპის დამკვიდრებას ემსახურება.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მოიძვეთ უამრავ დადასტურებას იმისა, რომ ხელისუფლების ყველაზე უფრო მწვავე კრიტიკასაც კონვენციის მე-10 მუხლით თითქმის გარანტირებული დაცვა აქვს. *Handyside*-ს საქმეში მიცემულ განმარტებაში, რომელიც საერთოდ კონვენციის მე-10 მუხლს შეეხება, ასახულია ასეთი მიდგომა. ამ განმარტებაში ხაზგასმულია, რომ მე-10 მუხლის დაცვით ისარგებლებდა სახელმწიფოსა თუ საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისათვის შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი და შემაშფოთებელი იდეები და ინფორმაცია.

მაგრამ, იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის კრიტიკის ობიექტი – მთელი ხელისუფლება, მისი რომელიმე ორგანო თუ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენელი, – მიდგომები განსხვავებულია.

ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება სრულიად განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს, როდესაც საქმე მთელი ხელისუფლების ანდა მისი ცალკეული რგოლის კრიტიკას შეეხება და კონკრეტულ პირებზე აქცენტი არ არის გაკეთებული. მიჩნეულია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ კრიტიკისადმი მოთმინება მაშინაც კი, როდესაც იგი პროვოკაციული და შეურაცხმყოფელია.⁵ განსაკუთრებით ფართოა ეს ფარგლები მთავრობის კრიტიკის

⁵ *Özgür Gündem v. Turkey*, judgment of 17 March 2000.

მიმართ. ასეთი მიდგომა ემყარება შეხედულებას, რომ დემოკრატიულ სისტემაში მთავრობის მოქმედება თუ უმოქმედობა უნდა დაექვემდებაროს არა მარტო საკანონმდებლო ან სასამართლო ხელისუფლების, არამედ საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროს.⁶ გარდა ამისა, ხელისუფლების დომინანტური პოზიცია მას ავალდებულებს, მოთმინება გამოიჩინოს კრიტიკისადმი და მოერიდოს სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც არსებობს მის მოწინააღმდეგეთა მხრიდან გაუმართლებელი თავდასხმებისა და კრიტიკისათვის პასუხის გაცემის სხვა საშუალებები.⁷ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს მოთმინება მაშინაც კი, თუ მის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა პროვოკაციულია და შეურაცხმყოფელი.⁸ პოლიტიკური პროტესტის გამოხატვაც სწორედ ამ ჭრილში განიხილება და მიჩნეულია, როგორც სახელმწიფოს ადმინისტრაციულ თუ სხვა პოლიტიკასთან შეუთანხმებლობის გამოვლენის საშუალება ცალკეულ ადამიანთა მხრიდან.

ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტებში არაერთხელ განმარტა, რომ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები მთავრობასთან მიმართებაში იყო გაცილებით მეტი, ვიდრე კერძო პირების, ან თუნდაც ცალკეულ პოლიტიკოსებთან მიმართებაში.⁹

ასეთ დროს გამოხატვის თავისუფლების დაცულობის სტანდარტი ძალიან მაღალია და ფაქტობრივად, მხოლოდ მაშინ იზღუდება, თუ ხელისუფლების კრიტიკა იმავდროულად გულისხმობს აშკარა და უშუალო საფრთხეს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული კანონიერი ინტერესების სერიოზული დაზიანებისა.

ხელისუფლების კრიტიკის კონტექსტში გამოთქმული შეხედულებები თუ ინფორმაცია ძალზე ხშირად უპირისპირდება ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, დანაშაულისა და უწყესრიგობის თავიდან აცილების საჯარო ინტერესებს. ამ ინტერესთა დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხებს ჩვენ მოგვიანებით ვრცლად შევეხებით თითოეულ ამ კანონიერ ინტერესთა მიმართებაში და ევროპული სასამართლოს შესაბამის პრაქტიკასაც გავაანალიზებთ. ამჯერად კი, მხოლოდ იმის თქმით შემოვიფარგლებით, რომ ხელისუფლების კრიტიკის კონტექსტში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულად მიჩნევა ძირითადად უკავშირდება ისეთ განცხადებებს, რომლებშიც გადმოცემულია იდეები თუ ინფორმაცია ხელისუფლების ძალადობით დამხობის, მისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის, ძალადობის გამოყენებისა თუ ტერორისტული აქტების გზით მასზე ზემოქმედებას მოხდენის შესახებ. ევროპულ სასამართლოს შემუშავებული აქვს სპეციალური კრიტერიუმები. იგი ყოველ შესაბამის

⁶ *Incal v. Turkey*, judgment of 9 June 1998.

⁷ *Ceylan v. Turkey*, judgment of 8 July 1999, §34; *Baskaya and Okçuoğlu v. Turkey*, judgment of 8 July 1999, §62; *Sürek (N1) v. Turkey*, judgment of 8 July 1999, §61, *Öztürk v. Turkey*, judgment of 29 September 1999, §66.

⁸ *Özgür Gündem*, §60.

⁹ იხ. *Ceylan, Okçuoğlu, Arslan, Özgür Gündem*-ის საქმეები (1999წ. 8 ივლისი)

შემთხვევაში ამოწმებს, წარმოადგენდა თუ არა შესაბამისი განცხადებანი ძალადობისა და ტერორიზმის მხარდაჭერას, სამართალდარღვევათა ჩადენისკენ ანდა მტრობისა და სიძულვილისაკენ სხვათა წაქეზებას. დადებითი დასკვნის შემთხვევაში იგი ასეთი შეხედულებების გავრცელების შეზღუდვას მიიჩნევს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებად“ და შესაბამისად – „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, თუკი, რა თქმა უნდა, გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიების (სანქციის, ჯარიმის და სხვ.) თანაზომიერებანი ეჭვს არ იწვევს.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ძალადობის აქტების პირდაპირი თუ არაპირდაპირი მხარდაჭერა და მით უფრო ძალადობისა და სამართალდარღვევის ჩადენისკენ მიწოდება ძირს უთხრის დემოკრატიას და ვერ ჩაითვლება პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის ისეთ ფორმად, რომელიც დაცვას იმსახურებს.¹⁰

ძალადობისაკენ მოწოდებასთან დაკავშირებულ საქმეებზე ევროპული სასამართლო ეროვნულ ხელისუფლებას შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლებს მიაკუთვნებს; დასაშვებად მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებასაც: „სასამართლო ადასტურებს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი არ ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს პოლიტიკური გამოსვლების დროს ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეადგენს... რა თქმა უნდა, სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გარანტებს, უფლება აქვთ, განახორციელონ ღონისძიებები, მათ შორის – სისხლისსამართლებრივი, ადეკვატური რეაგირებისათვის. როდესაც სადავო განცხადებები მოუწოდებენ ძალადობის გამოყენებისაკენ კონკრეტული პირის, სახელმწიფოს ანდა მოსახლეობის ნაწილის წინააღმდეგ, ეროვნული ხელისუფლება სარგებლობს შეფასების თავისუფლების შედარებით ფართო ფარგლებით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის შეფასებისას.¹¹

თუმცა, ამ საქმეებში მთავარ სირთულეს სწორედ იმის შეფასება წარმოადგენს, უნდა იქნეს თუ არა ესა თუ ის გამონათქვამი მიჩნეული ძალადობის ჩადენის მხარდაჭერად ან წაქეზებად და რამდენად მავნე ეფექტის პოტენციას გულისხმობდა იგი. აქვე, უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე საქმეზე თვით სამართალდარღვევათა ჩადენისკენ ხალხის მოწოდებაც კი დაიცვა იმის გამო, რომ ასეთი მიწოდება გამოხატული იყო მხატვრულ ნაწარმოებში და პოეტური ენით.

მაგალითად, 2005 წელს განხილული საქმე *Alinak v. Turkey* შეეხებოდა ნოველას, რომელიც ეფუძნებოდა რეალურ მოვლენებს, კერძოდ, ტრაგედიას,

¹⁰ ევროპულ სასამართლოს განსაკუთრებით ხშირად მოუწია ამ საკითხებთან შეხება იმ თურქული საქმეების განხილვის დროს, რომლებიც შეეხებოდა ქურთული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეების მიერ პრესისა თუ სხვა საშუალებებით გამოქმულ შეხედულებებს, მიმართულს თურქეთის სამრეთ აღმოსავლეთ ნაწილში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შესახებ.

¹¹ *Karataş v. Turkey*, judgment of 8 July 1999, §50; *Erdogdu et ince c. Turkuie*, judgment of 8 July 1999, §50.

რომელიც დატრიალდა თურქეთის სირნაკის პროვინციის ერთ-ერთ სოფელში უშიშროების სამსახურის მიერ ჩატარებული ღონისძიების შედეგად, რასაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ნოველის ზოგიერთი პასაჟი მართლაც აღძრავდა სიძულვილისა და შურისძიების გრძნობებს უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიმართ (თუმცა ნოველაში მათი ვინაობა დასახელებული არ იყო) და შეეძლო წაექეზებინა ძალადობის ჩადენა. მაგრამ გამოხატვის მხატვრული ფორმა, მცირე აუდიტორია, და შეზღუდული ეფექტის შესაძლებლობა ამცირებდა მათ საშიშროებას. სასამართლომ წიგნების კონფისკაცია მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია.¹² ასევე დასაბუთებული მანამდე განხილული (1999) *Karataş* საქმეში კონვენციის მე-10 მუხლის დარღვეულად ცნობა.¹³

საყურადღებოა, რომ ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტმა **ლუციუს ვილდჰაბერმა** და სხვა მოსამართლეებმა, რომლებიც არ დაეთანხმნენ უმრავლესობას, თავიანთ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრში გამოთქვეს შეხედულება, რომ ასეთ დროს განცხადებების შინაარს უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიანიჭებოდა, ვიდრე მათ ფორმას. „პოეტური ფორმა“, მათი აზრით, სრულიად არ ამცირებდა ეფექტის შესაძლებლობას და ამის დასადასტურებლად ბრძოლისაკენ „მარსელიეზას“ პოეტური მოწოდების გახსენებაც საკმარისი იყო.¹⁴

ასევე არ დაეთანხმა ვილდჰაბერი სასამართლოს უმრავლესობას *Süreç and Özdemir-ის* საქმეში. სასამართლომ სადავო განცხადებები არ მიიჩნია ძალადობის ჩადენისაკენ აშკარა წაქეზებად და მიუთითა, რომ განცხადებების უხეში ტონი და ის ფაქტი, რომ ისინი წარმოთქმული იყო უკანონოდ გამოცხადებული პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ, არ ამართლებდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, და რომ საზოგადოებას სრული უფლება ჰქონდა, სხვა კუთხით დაენახა თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში არსებული პოლიტიკური ვითარება. ვილდჰაბერის აზრით კი, უკანონო ორგანიზაციის ლიდერის გამონათქვამები შეეხებოდა PKK-ს ბრძოლის ტაქტიკას თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ და წარმოადგენდა მოწოდებას ბრძოლის გაგრძელების შესახებ. მან ხაზი გაუსვა, რომ გამოხატვის თავისუფლება არ იყო აბსოლუტური და როდესაც **საპირისპირო ღირებულება ადამიანის სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა იყო, გამოხატვის თავისუფლებას უკან უნდა დაეხია.** ძალადობის ჩადენისაკენ წაქეზება, როგორც პოლიტიკური შეხედულების გამოხატვის ფორმა, წარმოადგენდა **დემოკრატიის ანტითეზას**, ძირს უთხრიდა მას და ამიტომ მისი შეზღუდვა უნდა მიჩნეულიყო „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“. მანვე მიუთითა, რომ ასეთი შინაარსის განცხადებების დროს, რომლებიც ქმნიდნენ

¹² *Alinak v. Turkey*, judgment of 29 March 2005.

¹³ იხ. საქმე *Karataş v. Turkey* (08.07.1999)

¹⁴ იხ. მოსამართლეების **ვილდჰაბერის, ჰასტორ რიდრუეხოს, კოსტასა და ბაკას** ერთობლივი ნაწილობრივ განსხვავებული აზრის საქმეზე *Karataş v. Turkey*.

დემოკრატიის ხელყოფის საფრთხეს, სახელმწიფოებს შეფასების უფრო მეტი თავისუფლება უნდა მინიჭებოდათ.¹⁵

საკუთრივ „ხელისუფლების რეპუტაცია“ (თუ, რა თქმა უნდა, საქმე არ შეეხება სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს), ცალკე აღებული, არასდროს გვევლინება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველად. ეს კი, ხელისუფლებას კრიტიკის მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ დაწესებული სტანდარტებით კი არ არის მხოლოდ უზრუნველყოფილი, არამედ, საკუთრივ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, რომელიც ხელისუფლების კოლეგიური ორგანოს რეპუტაციის დაცვის ინტერესს არ განიხილავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველად.

მისგან განსხვავებით, ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა კრიტიკა შეიძლება გახდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი, თუ ასეთი კრიტიკის დროს მათი პირადი რეპუტაციაა შელახული. მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლის კრიტიკის მიმართაც დასაშვები კრიტიკის ფართო ფარგლებია დაწესებული და დიდი მოსალოდნელობაა იმისა, რომ ღირებულებითი კონფლიქტის დროს უპირატესობა მაინც გამოხატვის თავისუფლებას მიენიჭოს, მაგრამ თავისთავად ის გარემოება, რომ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლის კრიტიკა შეიძლება გახდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერი საფუძველი, ნათელი გამოვლინებაა მიდგომათა იმ განსხვავებულობისა, რასაც ევროპული კონვენცია ითვალისწინებს ერთი მხრივ, ხელისუფლების, როგორც კოლეგიურ ორგანოსა და მეორე მხრივ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების კრიტიკის კონტექსტში.

აქ საგულისხმოდ გვესახება ყურადღება შევაჩეროთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის „დეკლარაციაზე მედიაში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ“ რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ხელისუფლების ორგანოს რეპუტაციის დაცვის საკითხსაც შეეხება. დეკლარაციის მე-2 მუხლის მიხედვით სახელმწიფო, მთავრობა ან აღმასრულებელი, საკანონმდებლო ანდა სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტები თავიანთი დომინანტური პოზიციის გამო არ უნდა იქნენ დაცული სისხლის სამართლით მათი დიფამაციის ან შეურაცხმყოფისათვის. ხოლო მაშინ, თუ ისინი ასეთი დაცვით სარგებლობენ, იგი უნდა განხორცილდეს შეზღუდულად და ეს არ უნდა იქნას გამოყენებული კრიტიკის თავისუფლების შესაზღუდად. ამავე მუხლის მიხედვით, ამ ინსტიტუტების წარმომადგენლები დაცულნი არიან, მხოლოდ როგორ ინდივიდები.¹⁶

ლოგიკურია, რომ ხელისუფლების როგორც კოლეგიურ ორგანოს რეპუტაციის დაცვის საკითხი, პრაქტიკულად არც ღვება, ვინაიდან ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების შიდა სამართალი (მცირეოდენი გამონაკლისის გარდა), არც ითვალისწინებს ხელისუფლების კოლეგიალური

¹⁵ იხ. ვილდჰაბერის განსხვავებული აზი საქმეზე Sürek and Özdemir v. Turkey (08.07.1999)

¹⁶ Council of Europe. Committee of Ministers, *Declaration on Freedom of Political Debate in the Media* (adopted by the Committee of Ministers on 12 February 2004).

ორგანოს უფლებას, აღძრას სარჩელი თავისი რეპუტაციის დასაცავად (ასეთი უფლება არც სასამართლოს გააჩნია; თუმცა, ეს არ გამოორიციხავს სახელმწიფოს უფლებას, თავად განახორციელოს ღონისძიებები სასამართლოს ავტორიტეტის დასაცავად).

ამ მხრივ, უაღრესად საინტერესოა ერთი ინგლისური საქმე, რომელიც სწორედ ხელისუფლების ორგანოს რეპუტაციის დაცვის საკითხს შეეხებოდა. საგულისხმოა ის დასაბუთება, რომლებიც ინგლისურმა სასამართლოებმა მოიშველიეს ამ საკითხის გადაწყვეტისას, მაშინ, როდესაც ინგლისური საერთო სამართალი მასზე ცხად პასუხს არ იძლეოდა. ეს შემთხვევა იმ პერიოდს უკავშირდება (1993წ.), როდესაც შეერთებულ სამეფოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია ჯერ არ იყო ინკორპორირებული და აყვანილი შიდა სამართლის რანგში.¹⁷ საკითხის გადაწყვეტა დაეყრდნო ინგლისურ საერთო სამართალსა და ევროპულ კონვენციას ერთობლივად, გამოიყენეს რა შეფასების საერთო-ევროპული კრიტერიუმი.

ეს არის საქმე *Derbishire County Council v. Times Newspapers LTD*; (1993; A.C.534).¹⁸ იგი შეეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სარჩელს საკვირაო გაზეთის მიმართ კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით დიფამაციისათვის სტატიათა სერიალის გამო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს ორგანო არასწორად მართავდა თავის სახსრებს საპენსიო ფონდიდან. სარჩელმა დააყენა მნიშვნელოვანი საკითხი საერთო სამართლის ჩარჩოებში დიფამაციის საკითხზე – ჰქონდა თუ არა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს უფლება, წარედგინა სარჩელი გაზეთის წინააღმდეგ დიფამაციისათვის.

ინგლისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სამართლის ნორმები ამ საკითხზე იყო განუსაზღვრელი და დაუკონკრეტებელი, ამიტომ სწორი იქნებოდა, მხედველობაში მიეღოთ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი და მის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს პრაქტიკა, მათ შორის – გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შესაფასებლად გამოყენებული „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ კრიტერიუმები. სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოს ჰქონოდა უფლება, თავისი რეპუტაციის დასაცავად წარედგინა სარჩელი დიფამაციის წინააღმდეგ.

საქმის განხილვისას ლორდთა პალატამ პრინციპულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია, თუმცა მიიჩნია, რომ ინგლისური საერთო სამართალიც საკმარის საფუძველს იძლეოდა იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კოლეგიურ სახელმწიფო ორგანოს არ უნდა ჰქონოდა სარჩელების წარდგენის უფლება თავისი რეპუტაციის დაცვის მიზნით. ლორდთა პალატაში გამოითქვა აზრი, რომ „თავისუფლების“ სფეროში არ არსებობდა პრინციპული განსხვავება ინგლისურ საერთო სამართალსა და კონვენციის მე-10 მუხლს შორის და რომ

¹⁷ 1998 წელს შეერთებულ სამეფოში მიღებულ იქნა კანონი ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელმაც მოახდინა ევროპული კონვენციისა და შესაბამისი სამოსამართლო სამართლის ინკორპორაცია შიდა სამართალში.

¹⁸ ამ საკითხზე იხ. **Thomas David Jones**, *Human Rights: Group Defamation, Freedom of Expression and the Law of Nations*; chapt. III.

ინგლისური საერთო სამართალი შეესაბამებოდა იმ ვალდებულებებს, რომელიც სამეფომ აიღო თავის თავზე ამ კონკრეტულ სფეროში.¹⁹

მისასაღმებელია, რომ ქართული კანონი (2004წ.) სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ასეთივე მიდგომას ამკვიდრებს. იგი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება სარჩელი აღძრას ცილისწამების წინააღმდეგ.

ამრიგად, „ხელისუფლების რეპუტაცია“, როგორც ასეთი, არასდროს განიხილება გამოხატვის თავისუფლებასთან ღირებულებითი კონფლიქტის მონაწილედ. შესაბამისად, ხელისუფლების კრიტიკა, რომელიც არ გულისხმობს ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლების რეპუტაციის უფლების შელახვას და, იმავდროულად, არც კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე საჯარო ინტერესს უქმნის საფრთხეს, ფაქტობრივად არ იზღუდება.

თუმცა, ზუსტი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ხელისუფლების რეპუტაციის შელახვას ყოველთვის აბსოლუტური დაცვა აქვს. ასეთი აზრის გამოხატვა შეიძლება შეიზღუდოს კონვენციის მე-17 მუხლის ძალით, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე ჰქონდა გამოხატვის თავისუფლებით ბოროტად გამოყენებასთან ამ მუხლის გაგებით.

8.1.3. დეპუტატისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის სიტყვის თავისუფლება

დეპუტატის, როგორც ხალხის არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს. იგივე პრინციპი გამოიყენება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა მიმართებაში. ეს უშუალოდ უკავშირდება, ერთი მხრივ, მთავრობის საქმიანობის გაკონტროლების ფუნქციასა და მეორე მხრივ, ამომრჩევლების წინაშე მათ ანგარიშვალდებულებას.

როგორც სასამართლომ განმარტა, გამოხატვის თავისუფლება ყველასათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს განსაკუთრებით ძვირფასია ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებისათვის. ისინი წარმოადგენენ თავიანთ ელექტორატს, სხვათა ყურადღებას მიაქცევენ მათ საზრუნავზე და იბრძვიან მათი ინტერესებისათვის.²⁰

¹⁹ ბრიტანეთის პარლამენტის საკანონმდებლო სუვერენიტეტის ორთოლოქსალური დოქტრინა მრავალი წლის განმავლობაში სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ევროპული კონვენციის ინკორპორაციისათვის შიდა საართალში. მაგრამ კონვენციის ინკორპორაციამდელ პერიოდში (1998 წლამდე) ევროპულ კონვენციასთან ინგლისის საერთო სამართლისა და შესაბამისი პრაქტიკის ჰარმონიზაცია სამი პრეზუმციის გამოყენებით ხდებოდა:

- 1) თუ არსებობდა ეროვნული სამართლის ისეთი გონივრული განმარტება, რომელიც შეესაბამებოდა კონვენციას, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა ეს განმარტება და არა სხვაგვარი, მისი საწინააღმდეგო;
- 2) კონვენცია, არაპირდაპირ, ისედაც უწყობდა ხელს საერთო სამართლის განვითარებას, განსაზღვრავდა მის მიმართულებას; ყოველგვარი გაურკვევლობის თავიდან აცილება და დაძლევა ხდებოდა კონვენციის დებულებების მხედველობაში მიღებით;
- 3) სახელმწიფოს თანამდებობის პირებს ეკისრებოდათ ვალდებულება, სცოდნოდით თავიანთი ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები, თავიანთი აღმასრულებელი უფლებამოსილების განხორციელებისას გაეთვალისწინებინათ ცალკეულ პირთა უფლებები, რომლებიც კონვენციით იყო დადგენილი.

²⁰ *Castels v. Spain*, judgment of 23 April 1992. §42.

ევროპული სასამართლო კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ დეპუტატთა სიტყვის თავისუფლებას, რომელიც ოპოზიციაშია და საერთოდ ოპოზიციური პარტიებისათვის ამ უფლების უზრუნველყოფას; **მთავრობის მოქმედებების გაკრიტიკების უფლება, ევროპული სასამართლოს მითითებით, წარმოადგენს არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლების განუყოფელ კომპონენტს.**²¹ ევროპული სასამართლოს შეხედულებით, მთავრობის ოფიციალური შეხედულებისა და პოზიციის მოწინააღმდეგეს პოლიტიკურ არენაზე თავისი ადგილი უნდა გააჩნდეს.²² ამიტომ ნებისმიერი ჩარევა ოპოზიციონერის სიტყვის თავისუფლების ჩარევაში ევროპული სასამართლოს აზრით, მისი მხრიდან განსაკუთრებული კონტროლისა და ყურადღების (*closest scrutiny*) საგანი უნდა გახდეს.²³

თითქმის ყველა საქმეში, რომელიც დეპუტატის აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას შეეხება, ევროპული სასამართლო ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს მისი სიტყვის თავისუფლების დაცვის მნიშვნელობას და ეს გარემოება ყოველთვის წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც გამოხატვის თავისუფლების სასარგებლო ბალანსის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა მას ყოველთვის არა აქვს.

მაგალითად *Aksoy*-ს საქმეში²⁴ (რომელიც იყო მწერალი და პარლამენტის ყოფილი წევრი და დაისაჯა სეპარატისტული პროპაგანდისათვის), ევროპულმა სასამართლომ მე-10 მუხლის დარღვეულად ცნობა ორ გარემოებას დააფუძნა. ერთი მხრივ, მისი განცხადებები მან არ შეაფასა „ძალადობის ჩადენისაკენ მოწოდებად“ და მეორე მხრივ, დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ მომჩივანმა თავისი შეხედულებები თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკის შესახებ გამოთქვა „... როგორც პარლამენტის წევრმა და პოლიტიკური პარტიის გენერალურმა მდივანმა და ... როგორც თურქეთის პოლიტიკური პროცესების მონაწილემ.“

ევროპულმა სასამართლომ დაიცვა ბასკი პოლიტიკოსის (დეპუტატის) სიტყვის თავისუფლება, რომელმაც დაადანაშაულა ესპანეთის მთავრობა ბასკების შევიწროებაში.²⁵ სასამართლომ მიუთითა, რომ მე-10 მუხლი გულისხმობდა **სახელმწიფოსათვის შეურაცხყოფელი** აზრების გამოთქმის უფლებასაც და ხაზი გაუსვა ხალხის რჩეულის მიერ ამ უფლებით სარგებლობის მნიშვნელობას.

ამ მხრივ საინტერესო *Jerusalem*-ის საქმეც. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ იგი შეეხებოდა არა პარლამენტის, არამედ ქალაქის (ვენის) მუნიციპალურ საბჭოს წევრს. მეორე მხრივ, იმიტომ, რომ კრიტიკა გამოთქმული იყო არა მთავრობის მისამართით, არამედ ორი ასოციაციის მისამართით. მუნიციპალურ საბჭოში პოლიტიკური დებატების დროს მომჩივანმა ეს ორი ასოციაცია, როგორც

²¹ *Castels*, §30.

²² *Piermont v. France*, judgment of 27 April 1995, §76; *Castels*, A 236, ვკ.23.

²³ *Incal*, §40.

²⁴ *Aksoy v. Turkey*, judgment of 10 October 2000.

²⁵ *Castels v. Spain*, judgment of 23 April 1992.

„ტოტალიტარული ხასიათის სექტები“ და „ფაშისტური ტენდენციების“ გამომხატველი, ისე მოიხსენია.²⁶

ევროპულმა სასამართლომ მისთვის ასეთი განცხადებების გამეორების აკრძალვა „არაპროპორციულ ჩარევად“ მიიჩნია და მიუთითა, რომ განმცხადებელს ეკავა პოლიტიკური თანამდებობა და მისი, როგორც ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ სადავო განცხადებები გაკეთებული იყო მუნიციპალურ საბჭოში პოლიტიკური დებატების დროს. მანვე განმარტა, რომ **პოლიტიკოსების მსგავსად, კერძო პირები და ასოციაციები ექვემდებარებოდნენ კრიტიკის უფრო მეტ ფარგლებს, როდესაც ისინი ერთვებოდნენ საჯარო დებატებში.** ეს ორი ასოციაცია აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში და ამდენად, კრიტიკისადმი მეტი მოთმინება უნდა გამოეჩინათ. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოთქმები „ტოტალიტარული ხასიათის სექტები“ და „ფაშისტური ტენდენციების გამომხატველი“, „შეფასებითი მსჯელობა“ იყო, რომელიც მტკიცებას არ ექვემდებარებოდა.

იმ გარემოებას, ხალხის არჩეული წარმომადგენლის მიერ სადავო განცხადებები პარლამენტის ტრიბუნლიდან პოლიტიკური დებატების დროსაა წარმოთქმული თუ სხვაგვარად, ხშირად გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს. **განსაკუთრებული დაცვა ვრცელდება მხოლოდ პარლამენტში, პოლიტიკური დებატების დროს გაკეთებული განცხადებების მიმართ.** სხვა შემთხვევებში დეპუტატის სიტყვის თავისუფლებას გამორჩეული პრიორიტეტით აღარ სარგებლობს და შეიძლება შეიზღუდოს.

მაგალითად, *Wabl*-ის საქმე შეეხებოდა ავსტრიის პარლამენტის წევრს მწვანეთა პარტიიდან, რომელმაც გაასაჩივრა ბრძანება, რომლითაც მას აკრძალა გაემეორებინა გამოთქმა „ნაციისტური ჟურნალისტიკა“. ეს გამოთქმა მან გამოიყენა იმ სტატიასთან მიმართებაში, რომელიც მის რეპუტაციას ლახავდა.

ევროპულმა სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ ცნო პუბლიკაციის ცილისწამებლური ხასიათი და პარლამენტის წევრის მიერ წყენის გამოხატვის უფლება, მაინც არ მიიჩნია აკრძალვა გაუმართლებლად. მან მიუთითა, რომ მომჩივანს შეეძლო თავისი აზრი სტატიის თაობაზე სხვა ტერმინებით გამოეხატა და რომ „ჯეროვნად უნდა შეფასებულიყო დაპირისპირებული ინტერესები იმ სპეციალური იარლიყის მხედველობაში მიღებით, რომელიც მინიჭებული ჰქონდა ნაციონალ-სოციალისტური იდეებით შთაგონებულ საქმიანობას.“²⁷

ძნელია იმის უარყოფა, რომ „ნაციისტური ჟურნალისტიკა“ ისეთივე შეფასებით მსჯელობაა, როგორც „ფაშისტური ტენდენციები“ ან „ტოტალიტარული ხასიათის სექტები“. იმის მიუხედავად, რომ არაერთი პირობა არსებობდა მომჩივნის სიტყვის თავისუფლების დასაცავად (დეპუტატის სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობა, განაწყენების და შეპასუხების უფლება,

²⁶ *Jerusalem v. Austria*, judgment of 27 February 2001.

²⁷ *Wabl v. Austria*, judgment of 21 March 2000, §41.

„შეფასებითი მსჯელობა“, რომელიც მტკიცებას არ ექვემდებარება), სასამართლომ მაინც პრესის თავისუფლების სასარგებლო ბალანსი მიიჩნია სამართლიანად.

სულ ახლახან (2006) ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *Keller v. Hungary*. იგი შეეხებოდა უნგრეთის პარლამენტის წევრის მიერ მინისტრის დიმაპაციას. დიფამაციური განცხადება, რომელიც კონკრეტულ ბრალდებას შეიცავდა, მან პარლამენტი სხდომაზე გააკეთა, მაგრამ მინისტრის ვინაობა არ დაასახელა. ეს განცხადება შემდეგ მან გაიმეორა სატელევიზიო გამოსვლის დროს და მინისტრის ვინაობაც მიუთითა. რთულია იმის დარწმუნებით თქმა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ევროპული სასამართლო დეპუტატს მინისტრის ვინაობა პარლამენტშიც (პირველი განცხადების დროს), რომ დაესახელებინა, მაგრამ თავისთავად საგულისხმოა, რომ მან საქმე მინისტრის რეპუტაციის დაცვის სასარგებლოდ გადაწყვიტა და საჩივარი არ მიიღო აშკარა უსაფუძვლობის მოტივით.²⁸

დაბოლოს, დეპუტატის აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული უაღრესად საინტერესო საქმე, რომელშიც დეპუტატის მიერ „უმოქმედობით“ გამოხატული აზრის შეზღუდვა ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად ცნო. მომჩივანმა თავისი უმოქმედობით ისეთი აზრი გამოხატა, რომელიც შეუთავსებელი იყო მის, როგორც დეპუტატის მოვალეობებთან: საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ დეპუტატს უარი ეთქვა გამხდარიყო თემათა პალატის წევრი, იმის გამო, რომ მან უარი თქვა დაედო ფიცი ბრიტანეთის სამეფო გვირგვინის ერთგულებაზე, რაც ქვეყნის კონსტიტუციური პრინციპებისადმი ერთგულების გამოცხადებაზე უარის თქმას ნიშნავდა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ფიცის დადების ვალდებულება წარმოადგენდა გონივრულ მოთხოვნას ქვეყნის კონსტიტუციურ სისტემასთან მიმართებაში, ხოლო მომჩივანს კი შეეძლო თავისი პოლიტიკური შეხედულებები სხვაგვარად გამოეხატა. ამიტომ მან საჩივარი მიუღებლად ცნო „აშკარა უსაფუძვლობის“ მოტივით.²⁹

7.1.4. პოლიტიკური შეხედულებების გამოსატვის უფლების შეზღუდვა

მართალია, პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის უფლება ყოველ ადამიანს გააჩნია, მაგრამ ზოგჯერ ეს უფლება იზღუდება თავად დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი შეზღუდვა ვრცელდება ისეთ პირებზე, ვისაც თავიანთი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო ლოიალობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა ევალებათ. ესენი არიან სახელმწიფოს სამსახურში მყოფი პირები – პოლიციისა და შეიარაღებული ძალების

²⁸ *Keller v. Hungary*, decision of 4 April 2006. (ეს საქმე და ევროპული სასამართლოს შესაბამისი არგუმენტაცია დაწვრილებით არის გადმოცემული ნაშრომის იმ ნაწილში, რომელიც პოლიტიკოსების მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს შეეხება).

²⁹ Appl. n 39511/98. *McGuinness V. The United Kingdom*, decision of 8 June 1999.

წარმომადგენლები, სახელმწიფო მოხელეები, მათ შორის, მოსამართლეები, პროკურორები და ზოგჯერ მასწავლებლებიც კი.

უწინარესად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ობიექტური თვალსაზრისით ეფუძნება იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფო მოხელეების მიერ პოლიტიკური ლოიალობისა და ნეიტრალიტეტის პრინციპის დაუცველობამ ქვეყნის ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, თავდაცვისუნარიანობის, მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობისა და სხვა ინტერესებისათვის; მათ შორის – ადამიანის უფლებებისა და ინტერესებისათვის, რომლებიც სამართლიანად მოელიან სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან მიუკერძოებელ და სამართლიან მოპყრობას მათი პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების მიუხედავად.

ნორმატიული თვალსაზრისით, ასეთი შეზღუდვა უშუალოდ გამომდინარეობს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტიდან, რომელიც მიუთითებს გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე. ამ „მოვალეობათა და პასუხისმგებლობის“ შინაარსი და ფარგლები კი განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ ვინაა უფლებით მოსარგებლე სუბიექტი.

სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთა მიმართებაში ეს მოვალეობანი და პასუხისმგებლობა გულისხმობს ე.წ. „თავშეკავებულობის ვალდებულებას“, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება; თუმცა, ყველა მათგანი, საბოლოო ჯამში, ემსახურება ერთი და იმავე ამოცანის განხორციელებას – იყვნენ მიუკერძოებელნი, თავიანთი სიტყვითა თუ ქცევით არ შექმნან მიკერძოებულობის შთაბეჭდილება და ეჭვქვეშ არ დააყენონ სახელმწიფო სამსახურისადმი ხალხის ნდობა. ამიტომ, თავშეკავებულობის მოთხოვნა გულისხმობს როგორც იმას, რომ აქტიურად არ ჩაებან პოლიტიკურ საქმიანობასა თუ დისკუსიებში, აგრეთვე იმას, რომ ზომიერება გამოიჩინონ მათ მიმართ გაკრიტიკების შემთხვევაში პასუხის გაცემის დროს.

ამგვარად, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების გამოხატვისაგან თავის შეკავება, კონვენციის გაგებით, წარმოადგენს „მოვალეობასა და პასუხისმგებლობას“, რომელსაც გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტთა სამსახურეობრივი მდგომარეობა განაპირობებს.

ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა ამის შესახებ: „დემოკრატიულ სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფო მოსამსახურეებისაგან იმ კონსტიტუციური პრინციპებისადმი ლოიალობა, რომელიც ემყარება ... „სახელმწიფოს უფლებას, მათი სტატუსიდან გამომდინარე, დააკისროს მათ თავშეკავებულობის ვალდებულება“.³⁰ ამასთან, ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ ისინი, როგორც სხვა მოქალაქეები, აგრეთვე, სარგებლობენ მე-10 მუხლის დაცვით; ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საქმე ასეთ პირთა გამოხატვის თავისუფლებას შეეხება, აუცილებელია შემოწმდეს, მიღწეული იქნა თუ არა სათანადო ბალანსი გამოხატვის

³⁰ *Vogt v. Germany*, judgment of 26 September 1995, §59.

თავისუფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს კანონიერ ინტერესს შორის; აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ სახელმწიფო სამსახური მოქმედებდეს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ევროპული სასამართლოს განმარტებით, როდესაც საქმე სახელმწიფო მოხელეთა სიტყვის თავისუფლებას შეეხება, მე-10 (II) მუხლში მითითებული „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაც განაპირობებს ეროვნული ხელისუფლებისათვის შეფასების თავისუფლების შედარებით ფართო ფარგლების მინიჭებას ჩარევის ღონისძიების (პარტიაში შესვლის აკრძალვა) თანაზომიერების საკითხებში.³¹

ა) პოლიციისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები

დავიწყით იქიდან, რომ პოლიციისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანებაზე შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას თავად კონვენციის მე-11 მუხლი ითვალისწინებს, რომელიც მე-10 მუხლის კონტექსტშიც განიხილება. ასეთი შეზღუდვების დაწესება ხელშემკვრელი სახელმწიფოების შეფასების თავისუფლების ფარგლებშია მოქცეული.

მიჩნეულია, რომ ასეთი შეზღუდვების დაწესება პოლიციისა და შეიარაღებული ძალებისათვის ემსახურება ქვეყნის ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სამხედრო დისციპლინის დაცვას და მათ მიერ მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებას.

სახელმწიფოს დაცვის ეფექტიანობა მოითხოვს შეიარაღებული ძალების შიგნით სათანადო დისციპლინის დაცვას. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ მიმართებით ნებისმიერი შეზღუდვა ემსახურება კანონიერ მიზანს – ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას³², ვინაიდან „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ არმიის ნორმალური ფუნქციონირება ისეთი იურიდიული ნორმების გარეშე, რომელიც მიმართულია სამხედრო დისციპლინის დარღვევის აღსაკვეთად.“³³

ასეთივე მიდგომები გამოიყენება პოლიციის მიმართ.

„საზოგადოებაში პოლიციის როლის გათვალისწინებით, მისი პოლიტიკური ნეიტრალიტეტი წარმოადგენს კანონიერ მიზანს ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში... ეროვნულ ხელისუფლებას დემოკრატიის უზრუნველყოფისათვის შეუძლია აუცილებლად მიიჩნიოს, შეზღუდოს პოლიციელების უფლება, ეწეოდნენ

³¹ *Vogt* §53. *Ahmed and Others v. the United Kingdom*, judgment of 2 September 1998, §61; *Rekvenyi v. Hungary*, judgment of 20 May 1999, §43.

³² *Grigoriades v. Greece*, judgment of 25 November 1997, §410.

³³ *Engel*, §100, *Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria*, judgment of 19 December, 1994, §36.

პოლიტიკური საქმიანობას, მათ შორის, უფლება – აქტიურად ჩაება პოლიტიკურ დისკუსიაში.“³⁴

ევროპულმა სასამართლომ დაწვრილებით განმარტა, თუ რატომ იყო ესოდენ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა პოლიციაში: პოლიციელებისათვის დაკისრებული ვალდებულებანი, თავი შეიკავონ პოლიტიკური საქმიანობისაგან სამსახურის დეპოლიტიზაციის მიზნებით, ემსახურება ქვეყანაში პლურალისტური დემოკრატიის უზრუნველყოფას; პოლიციელები სახელმწიფოს სამსახურში არიან. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონიერად მოელოდნენ, რომ პოლიციის წინაშე მათი პირადი დემარშის დროს, მათ კონსულტაციას მისცემენ პოლიტიკურად ნეიტრალური სახელმწიფო მოსამსახურეები... სასამართლოს აზრით, საზრუნავი, რათა არ მოხდეს საზოგადოებაში პოლიციის როლის კომპრომეტაცია პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევის გზით, შეესაბამება დემოკრატიის პრინციპებს.³⁵

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც საქმე შეეხება არა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, არამედ ცალკეულ შემთხვევებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვას, შეზღუდვის გამართლებულობის დასაბუთება იოლი აღარ არის.

ევროპული სასამართლო არ უარყოფს, რომ პოლიციისა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებსაც გააჩნიათ პოლიტიკის სფეროში **მოსაზრებებისა და პრეფერენციების გამოხატვის შეზღუდული უფლება**. მან შეიმუშავა ასეთ პირთა მხრიდან პოლიტიკური შეხედულების გამოხატვის დასაშვები ფარგლები. მაგალითად, *Rekvényi*-ს საქმეში, რომელიც შეეხებოდა პოლიციისა და შეიარაღებული ძალების პროფესიონალი მოხელეებისათვის პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანებისა და პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვას, მან, ცხადია, ასეთი აკრძალვა არ მიიჩნია მე-10 მუხლის დარღვევად და მიუთითა, რომ მათ გააჩნდათ პოლიტიკური მოსაზრებებისა და პრეფერენციების გამოხატვის უფლება; კერძოდ – უფლება, განეხილათ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები, მოეწყოთ საარჩევნო კამპანიის შეხვედრები, ხმა მიეცათ და მხარი დაეჭირათ საპარლამენტო არჩევნებში და გაწევრიანებულიყვნენ პროფესიულ კავშირებში.

ზოგჯერ შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს საქმის კონკრეტული გარემოებები და კერძოდ ის, თუ რა საფრთხე შეუქმნა შესაბამისი პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვამ სამსახურებრივ ინტერესებს.

მაგალითად, *Grigoriades*-ის საქმის განჩინებაში ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედება არ ჩერდება ყაზარმების ზღურბლთან. ამ თავისუფლებით სარგებლობა სამხედრო მოსამსახურეებსაც შეუძლიათ. მაგრამ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება იქ, სადაც არსებობს რეალური საფრთხე სამხედრო დისციპლინისათვის“. აღნიშნული საქმე შეეხებოდა სამხედრო სასწავლებლის

³⁴ *Rekvényi*, §46.

³⁵ *Rekvényi*, §41.

კურსანტს, რომელმაც წერილით მიმართა თავის უფროსს. წერილში გაკრიტიკებული იყო არმია, როგორც ინსტიტუტი, სამხედროების ცხოვრება და გამოყენებული იყო უხეში გამოთქმები. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ წერილი არ იყო გამოქვეყნებული და სხვა გზით გავრცელებული, იგი არ შეიცავდა შეურაცხმყოფელ გამოთქმებს უშუალოდ ადრესატის მიმართ და მიიჩნია, რომ ის უარყოფითი ეფექტი, რაც შეიძლებოდა სამხედრო დისციპლინას ობიექტურად განეცადა, ძალზე მცირე იყო. შესაბამისად, მან არ მიიჩნია, რომ არსებობდა შეზღუდვის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება.³⁶

სამხედრო მოსამსახურებთან მიმართებაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლოა გამართლებულად იქნას მიჩნეული მაშინაც, როდესაც საქმე პოლიტიკურ შეხედულებებს კი არ შეეხება, არამედ სამსახურებრივ ინფორმაციას, რომლის გახმაურებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის ინტერესებს.

მაგალითად, *Hajianastassiou*-ს საქმის განჩინებაში ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ იარაღის შესახებ ტექნიკური ხასიათის ისეთი ინფორმაციის გახმაურებას, რომელიც წარმოების განვითარების დონეზე მიუთითებდა, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის.³⁷

ბ) სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლები

პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანების შეზღუდვის შესაძლებლობას კონვენციის მე-11 მუხლი სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართაც ითვალისწინებს. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ეს თანაბრად შეეხება ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც, შეზღუდვის კანონიერი მიზანია ადმინისტრაციის არჩეული თუ მუდმივი კორპუსის მიუკერძოებლობის მიმართ ხალხის ნდობის შენარჩუნება.

მაგ: *Ahmed*-ისა და სხვათა საქმეზე გამოტანილ განჩინებაში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივი მმართველობის სახელმწიფო მოხელეთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა ადგილობრივი მმართველობისა და ურბანიზაციის შესახებ 1984 წლის კანონის საფუძველზე, უნდა შეფასებულიყო, როგორც იმ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, რომ სახელმწიფო მოხელეები ყოფილიყვნენ მიუკერძოებელნი. ამიტომ, ასეთი შეზღუდვის დაწესება შეესაბამებოდა სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფარგლებს.

განჩინებაში სასამართლომ ზედმიწევნით დაასაბუთა, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა:

³⁶ *Grigoriades*, §45, §47.

³⁷ *Hadjianastassiou v. Greece*, judgment of 19 December 1992.

„ამომრჩევლებს უფლება აქვთ თავიანთი არჩეულისაგან ელოდონ, რომ ისინი განახორციელებენ თავიანთ მანდატს იმ ვალდებულებათა დაცვით, რომელიც მათ თავიანთ თავზე აიღეს საარჩევნო კამპანიის დროს... რომ ადგილობრივი ადმინისტრაციული სამსახურების წინაშე მათი პირადი დემარშის დროს, მათ კონსულტაციას გაუწევენ პოლიტიკურად ნეიტრალური სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც სრულიად გულგრილნი არიან ყოველგვარი პოლიტიკური ბრძოლისადმი“.³⁸

ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა მომჩივანთა არგუმენტს, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებათა შეზღუდვა დაშვებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ კონსტიტუციით და, ამასთან, მხოლოდ პოლიტიკური წესრიგისათვის რეალური საფრთხის პირობებში. ევროპული სასამართლოს აზრით, შემზღუდველი ნორმების არსებობა აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტის სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მან შესძლოს კანონიერი ინტერესების დაცვა იქ, სადაც ამის აუცილებლობა წარმოიშობა.³⁹

ფაქტობრივად, ამ დებულებით ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ სახელმწიფო სამსახურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა წარმოადგენს შუალედურ მიზანს სახელმწიფოს წინაშე მდგარი სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად. მართლაც, ზემოაღნიშნული შეზღუდვების აუცილებლობა, საბოლოო ჯამში, წარმოდგება სწორედ იმ კანონიერ მიზანთა მიღწევის აუცილებლობიდან, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტშია ჩამოთვლილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ შორის ობიექტური და რაციონალური კავშირების არარსებობის შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ვერ იქნებოდა გამართლებული კონვენციის ამ მუხლის გაგებით.

გ) მოსამართლეები და პროკურორები

მართალია, კონვენციის მე-11 მუხლში მოსამართლეებსა და პროკურორებზე საგანგებო მითითება არ არის, მაგრამ მათ, როგორც სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და „თავშეკავებულობა“ ასევე მოეთხოვებათ. ცხადია, პოლიტიკურ ორგანიზაციებში მათი გაერთიანების აკრძალვა ვერ იქნება მიჩნეული კონვენციის ვერც მე-11 და ვერც მე-10 მუხლის დარღვევად.

მათ მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა აუცილებელია მართლსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად და ხალხის ნდობის შესანარჩუნებლად.

რაც შეეხება პოლიტიკური შეხედულებებისა და პრეფერენციების გამოხატვას, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ მიმართ შესაძლებელია დაახლოებით ისეთივე სტანდარტების გამოყენება, რაც ევროპულმა სასამართლომ პოლიციისა

³⁸ *Ahmed and Others*, §53.

³⁹ *Ahmed and Others*, §52.

და შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა მიმართ დაადგინა (პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების განხილვა, ხმის მიცემა საპარლამენტო არჩევნებში და სხვა). თუმცა, ვფიქრობთ, რომ საარჩევნო კამპანიის შეხვედრებში მონაწილეობა მათთან მიმართებაში შეიძლება ექსცესიურადაც კი ჩაითვალოს სასამართლოს სრული მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. თავისთავად ასეთ შეხვედრებში მონაწილეობა და ამ გზით პოლიტიკური პრეფერენციების საჯაროდ დადასტურება ეჭვქვეშ დააყენებს მათ პოლიტიკურ მიუკერძოებლობას ხალხის თვალში.

ევროპულ სასამართლოს რამდენჯერმე მოუწია შეეფასებინა მოსამართლეთა მიერ გამოხატული ზოგიერთი ისეთი შეხედულების შეზღუდვის გამართლებულობა, რომლებსაც პოლიტიკური ქვეტექსტი ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში საკითხი კონკრეტული კონტექსტისა და იმის მიხედვით წყდება, იქონიებდა თუ არა გამოთქმული მოსაზრებანი უარყოფით ეფექტს მოსამართლის მიუკერძოებლობის იმიჯსა და სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვნად შესრულებაზე.

ამ მხრივ საინტერესოა *Wille*-ს⁴⁰ საქმე. მაღალი რანგის მოსამართლემ ლექციის დროს კონსტიტუციის ინტერპრეტაციისას გამოთქვა პოლიტიკური შეხედულებები. ლიხტენშტეინის პრინცმა განაცხადა, რომ აღარ აპირებდა მის საჯარო სამსახურში მიღებას ლექციებზე გაკეთებულ განცხადებების გამო.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ სადავო ლექციას ჰქონდა პოლიტიკური ქვეტექსტი და რომ მოსამართლეს ევალებოდა, გამოეჩინა თავშეკავება პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვისას. თუმცა, აღნიშნა, რომ მოსამართლის განცხადებები არ შეიცავდა სხვა პირთა შეურაცხყოფას, მიმდინარე საქმეების კომენტარს და არ არსებობდა არავითარი მტკიცება იმისა, რომ ლექციის დროს მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები გავლენას მოახდენდა სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად განხორციელებაზე, ანდა რომელიმე მიმდინარე ან უახლოეს მომავალში განსახილველ საქმეზე. ამიტომ, მიიჩნია, რომ ლიხტენშტეინის პრინცის განცხადება, რომელიც მიზნად ისახავდა მოსამართლისათვის ხელის შეშლას, მომავალში აღარ გაემეორებინა ასეთი განცხადებები, წარმოდგენდა ჩარევას, რომელიც არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

შეფასების ასეთივე კრიტერიუმი გამოიყენება პოლიტიკურ საკითხებზე პროკურორის აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას. 2000 წელს, ევროპულმა სასამართლომ განიხილა პროკურორის საჩივარი, რომელიც გაათავისუფლეს სამსახურიდან წერილის გამო, რომელშიც გააკრიტიკა შს მინისტრი და პოლიტიკური პარტია. ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ მე-10 მუხლით გარანტირებული უფლება სახელმწიფო მოხელეებსაც გააჩნდათ, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში საქმე ჰქონდათ ამ უფლების ექსცესიურ გამოყენებასთან. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, პროკურორი განაგრძობდა ისეთ საქმიანობას,

⁴⁰ *Wille v. Liechtenstein*, judgment of 28 October 1999.

რომელიც შეუთავსებელი იყო მიუკერძოებლობასთან, რომელიც მას მოეთხოვებოდა. თავშეუკავებელი პოლიტიკური კომენტარების გაკეთება, ევროპული სასამართლოს აზრით, ძირს უთხრიდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისადმი ხალხის ნდობას. ამიტომ მან პროკურორის საჩივარი მიუღებლად ცნო აშკარა უსაფუძვლობის გამო.⁴¹

დ) მასწავლებლები

იმის გამო, რომ კონვენციის ხელშემკვრელ ზოგიერთ სახელმწიფოში მასწავლებლის თანამდებობას სახელმწიფო მოხელის სტატუსი გააჩნია, შეზღუდვები მასზეც შეიძლება გავრცელდეს. მაგალითად, გერმანიაში მასწავლებლები სახელმწიფო მოხელეებს წარმოადგენენ და ევალუბათ „პოლიტიკური ლოიალობის“ პრინციპის დაცვა. ამ პრინციპის დაუცველობისათვის მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება მიჩნეულია, რომ ყოველთვის ემსახურება მართლზომიერ მიზანს.⁴² თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის გამართლებულად შეფასდება. ასეთ დროს გადამწყვეტი ის არის, თუ რამდენად აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა მასწავლებელი და როგორ აისახებოდა ეს მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებაზე.⁴³

7.1.5 ბამონატვის თავისუფლების შეზღუდვა არჩევნების დროს

ზოგჯერ პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სუბიექტის ვინაობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ სხვა გარემოებაზე. მოცემულ შემთხვევაში საუბარია ამ თავისუფლების დროში შეზღუდვაზე. იგი ვრცელდება პირთა განუსაზღვრელ წრეზე და სხვა

⁴¹ Appl., N 39822/98 *H. Altin c. Turkey*, decision of 6 April 2000.

⁴² ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა, რომ გერმანიაში სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის დაკისრებული ვალდებულება – აშკარად და აქტიურად მდგარიყვნენ თავისუფლების დემოკრატიული სისტემის მხარეზე, ემყარებოდა სახელმწიფო სამსახურის გაგებას, როგორც კონსტიტუციისა და დემოკრატიის გარანტიისა და რომ ამ გაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიისათვის ვაიმარის რესპუბლიკის მწარე გამოცდილების გათვალისწინებით. ნაციზმის კომმარის შემდეგ გვრ-ის კონსტიტუციას საფუძვლად დაედო პრინციპი „დემოკრატია, რომელსაც ძალუძს თავის დაიცვას“ (*Vogt v. Germany*).

⁴³ მაგალითად *Vogt*-ის საქმეში ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მასწავლებლის კომუნისტურ პარტიაში მონაწილეობა უარყოფითად არ აისახებოდა მისი მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობების ჯერონად განხორციელებაზე და ამიტომ მისი სამსახურიდან გათავისუფლება კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია. მაგრამ საქმეში *R. Volkmer c. Germany* (Decision of 22 September 1999) საპირისპირო დასკვნამდე მივიდა და საჩივარი მიუღებლად გამოაცხადა. თუმცა, ისეთი შემთხვევებიცაა, როდესაც მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება დაკავშირებული იყო არა მის პოლიტიკურ პარტიაში წევრობასთან, არამედ მის პოლიტიკურ შეხედულებებთან საზოგადოდ. მაგალითად, საქმეში *Glaser v. Germany* სასამართლომ გამართლებულად ცნო მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება, რომელიც, მართალია, არ იყო კომუნისტური პარტიის წევრი, მაგრამ აშკარად უჭერდა მას მხარს და გამოაქვეყნა სტატია კომუნისტურ გაზეთში (judgment of 28 August 1996). აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება უარყოფითად არის შეფასებული (იხ. **Anthony Lester**, *Freedom of expression*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds). 1993. გვ.474-475. იხ. აგრეთვე მოსამართლე **შპილმანის** განსხვავებული აზრი მოცემულ საქმეზე (Dissenting opinion of Judge Spielman, საქმე *Glaser v. Germany*).

ინდივიდუარი უფლების – თავისუფალი არჩევნების უფლების უზრუნველყოფას ემსახურება:

არჩევნები და სიტყვის თავისუფლება, განსაკუთრებით – პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება, წარმოადგენს ნებისმიერი დემოკრატიული სისტემის საფუძველს. ეს უფლებები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და განამტკიცებენ ერთიმეორეს. მაგალითად, სიტყვის თავისუფლება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევის დროს ხალხის მიერ თავისი ნება-სურვილის გამოხატვისა. ამის მიუხედავად, ეს ორი უფლება ზოგჯერ კონფლიქტში შეიძლება აღმოჩნდეს ერთმანეთთან და აუცილებელი გახდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა თავისუფალი არჩევნების უფლების სასარგებლოდ, კერძოდ – დროის გარკვეულ მონაკვეთში – უშუალოდ არჩევნების დროს და მანამდე, რამდენიმე ხნით ადრე. ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ ამ ორ უფლებას შორის ბალანსის გამოძებნისას, ეროვნულ ხელისუფლებას გააჩნია შეფასების საკმარისად ფართო ფარგლები ყველა საკითხის გადაწყვეტისას, რაც კი საარჩევნო სისტემის ორგანიზაციას შეეხება.⁴⁴

თავისუფალი არჩევნების უფლების სასარგებლოდ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება უკავშირდებოდეს სხვა კონტექსტსაც, კერძოდ, წინასაარჩევნო დისკუსიის პერიოდში კანდიდატის შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელებას. საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნების დროს ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელება თავისთავად ეწინააღმდეგება თავისუფალი არჩევნების იდეას, აბრკოლებს თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო პროცესის მეშვეობით ელექტორატის ნამდვილი ინფორმაციით აღჭურვას, ხელს უშლის მას გააკეთოს სწორი არჩევანი და მიიღოს თავისი ჭეშმარიტი ნების შესაბამისი გადაწყვეტილება. ამიტომ, კანდიდატების შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელება შეიძლება შეიზღუდოს ელექტორატის უფლებების დასაცავად. მაგრამ სირთულეც ისაა, რომ წინასაარჩევნო დისკუსია განიხილება პოლიტიკური დებატების ნაწილად, რომელიც, როგორც ვიცით, განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს. მიჩნეულია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში კანდიდატების შესახებ შეხედულებებისა და ინფორმაციის თავისუფალი ურთიერთგაცვლა უარსებითესია და ამიტომ მისი დაცულობა მაღალი ხარისხით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. შესაბამისად, წარმოიქმნება ერთგვარი წინააღმდეგობრივი, აბსურდული ვითარება – ელექტორატის უფლებები და საერთოდ სამართლიანი არჩევნების ჩატარების საჯარო ინტერესი ზოგჯერ ერთდროულად არის მოხმობილი დაპირისპირებული მხარეების მიერ, ოღონდ მომჩივნის მხრიდან – ზოგადად, ხოლო მოპასუხე მთავრობის მხრიდან – უფრო კონკრეტულად და პირდაპირი გაგებით. ცხადია, ღირებულებათა ასეთი კონფლიქტის გადაჭრა რთულია. ევროპული სასამართლოს პრაქტიკას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იგი მაინც ინფორმაციისა და იდეების თავისუფალი ურთიერთგაცვლის მომხრეა და კანდიდატთა შესახებ ყალბი

⁴⁴ *Bowman v. the United Kingdom*, judgment of 19 February 1998, §43.

ინფორმაციების გავრცელებას იშვიათად მიიჩნევს აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში ელექტორატის უფლებების დასაცავად.

ამის ნათელი მაგალითია საქმე *Salov v. Ukraine*. იგი შეეხებოდა პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის წარმომადგენლის სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას უკრაინაში 1999 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში სტატიის გავრცელებისათვის, რომელშიც მითითებული იყო ყალბი ინფორმაცია პრეზიდენტ კუჩმას სიკვდილის თაობაზე.⁴⁵ ეროვნულმა სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო მოქალაქეთა საარჩევნო უფლების განხორციელებაში ხელის შეშლისათვის მოტყუების გზით არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოპასუხე მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის უფლებებში ჩარევა ემსახურებოდა ელექტორატის უფლების დაცვას, აერჩია უკრაინის პრეზიდენტი თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო პროცესის მეშვეობით. მისი შეხედულებით, პრეზიდენტობის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის გავრცელება შეესაბამებოდა ელექტორატის ინტერესებს, მაგრამ ყალბი ინფორმაციების გავრცელებას შეეძლო ზიანი მიეყენებინა დეპუტატობის კანდიდატისათვის და ალექვეთა მისთვის ეფექტიანი საარჩევნო კამპანიის წარმოება. მისი შეხედულებით, მომჩივანმა, რომელიც იყო პრეზიდენტობის სხვა კანდიდატის წარმომადგენელი, მისი კონკურენტის სიკვდილის შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელებით მონაწილეობა მიიღო უპატიოსნო საარჩევნო კამპანიაში და ზიანი მიაყენა უკრაინის საზოგადოების ინტერესს, ჩაეტარებინა სამართლიანი არჩევნები.

ევროპული სასამართლო, ერთი მხრივ, დაეთანხმა მოპასუხე მთავრობას იმაში, რომ მომჩივნის უფლებაში ჩარევა ემსახურებოდა ელექტორატის ნამდვილი ინფორმაციით უზრუნველყოფას. მან აღიარა ისიც, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენდა ყალბი ფაქტის მტკიცებას, მაგრამ, მეორეს მხრივ, მიუთითა შემდეგზე: პრეზიდენტ კუჩმას სიკვდილს შესახებ ინფორმაციას შეეძლო გამოეწვია სერიოზული საჯარო დისკუსია არჩევნების პროცესში. ამიტომ პოლიტიკური დებატების ფარგლების მიმართ შემუშავებული პრინციპები ამ საქმეშიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მოთხოვნა ინფორმაციისა და იდეების თავისუფალი ურთიერთგაცვლის შესახებ, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით იყო ნაგულისხმები, შეეხებოდა საპრეზიდენტო არჩევნების ფრიალ სპეციფიკურ კონტექსტსაც, რაც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული.

ეფიქრობ, სადავო არ უნდა იყოს ასეთი მსჯელობის ერთგვარი წინააღმდეგობრივი ხასიათი. ასეთი დასაბუთებით კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის აღიარება იქნებ მიუღებლად კი ყოფილიყო, რომ არა სხვა გარემოებები, რომლებმაც დამატებითი საფუძველი შეჰმატა მე-10 მუხლის დარღვეულად ცნობის გამართლებულობას. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა სამი მნიშვნელოვანი გარემოება – ის, რომ მომჩივანი არ წარმოადგენდა ყალბი ინფორმაციის პირველ წყაროს (იგი გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციას ავრცელებდა); მცირე იყო პოტენციური ზიანი (მას

⁴⁵ *Salov v. Ukraine*, judgment of 6 September 2005.

ამ გაზეთის მხოლოდ რვა ეგზემპლარი გააჩნდა და მის შესახებ ესაუბრა ადამიანთა შეზღუდულ რაოდენობას); მომჩივანს შეეფარდა მეტისმეტად მკაცრი სასჯელი – 5 წლის თავისუფლების აღკვეთა (რომელიც გადაევადა 2 წლით) და ჯარიმა (UAH 170), რომლებსაც შედეგად მოჰყვა მისი საადვოკატო პრაქტიკის ლიცენზიის გაუქმება. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მე-10 მუხლის დარღვევის შესახებ, მთლიანობაში გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

ნ. პოლიტიკური დებატების თავისუფლება და შეუწყნარებლობის გამოვლინებანი (*hate speech*)

რასობრივი, რელიგიური თუ ნებისმიერი სხვაგვარი შეუწყნარებლობა შეუთავსებელია დემოკრატიასთან. იგი ეწინააღმდეგება კონვენციის ღირებულებებს, გამოხატვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებას და წარმოადგენს ამ თავისუფლების ბოროტად გამოყენებას. ამიტომ, ცხადია, რომ პოლიტიკური დებატების თავისუფლება, მიუხედავად მისი ძალზე ფართო ფარგლებისა, არ მოიცავს შეუწყნარებლობის გამოვლინების თავისუფლებას. ასეთი დამოკიდებულება საყოველთაოდ არის აღიარებული ევროპაში⁴⁶ და ასახულია ევროპის საბჭოს პოლიტიკურ დოკუმენტებში. მაგალითად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (No.R (97) 20 on „*hate speech*“) ხაზგასმით აცხადებს, რომ პოლიტიკური დებატების თავისუფლება არ მოიცავს რასისტული ან ამგვარი შეხედულებების გამოხატვის თავისუფლებას, რომლებიც წარმოადგენს სიძულვილის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა ან ნებისმიერი სხვაგვარი შეუწყნარებლობისაკენ წაქეზებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ დაამკვიდრეს მიდგომა, რომლის მიხედვით რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვაგვარი სიძულვილის გავრცელება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებას, რომელიც ვერ ისარგებლებს კონვენციის მე-10 მუხლის დაცვით. პრაქტიკაში სირთულეები იმის განსაზღვრას უკავშირდება, მიჩნეულ უნდა იქნას თუ არა ესა თუ ის შეხედულებები სიძულვილის გავრცელებად და, შესაბამის შემთხვევაში, რა უფრო გონივრულია კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენება თუ მათი შეზღუდვის გამართლება კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნული შეხედულებებისა თუ განწყობილებების წარმოშობა და გავრცელება ხშირად უკავშირდება მწვავე პოლიტიკური დაპირისპირების, პოლიტიკური ბრძოლის კონტექსტს და ხშირად ისინი აშკარად და პირდაპირ კი არ არის გადმოცემული, არამედ არაპირდაპირი, შენიღბული და ზოგჯერ ალევორიული ფორმით. ეს საკითხები არაერთხელ წამოიჭრა თურქული საქმეების განხილვის დროს, რომელთა უდიდესი ნაწილი უკავშირდება ქურთული წარმოშობის მოქალაქეების მხრიდან თურქეთის

⁴⁶შეუწყნარებლობის, როგორც ადამიანის საყოველთაო უფლების შესახებ იხილეთ **ბ.მ.ზუპანჩიჩის** სტატია On Tolerance, Copyright©2004 by **B.M. Zupančič**.

ხელისუფლების კრიტიკას თურქეთში მცხოვრები ქურთებისადმი და საერთოდ ქურთული პრობლემისადმი მისი დამოკიდებულების საკითხზე.⁴⁷ ეს საქმეები მოწმობენ, რომ სიძულვილის, შეურიგებლობის განწყობილების გავრცელება ხშირად არის გამოყენებული სეპარატისტული პროპაგანდის დროს, მოტივირებულია წინააღმდეგობის გრძნობის გასაღვივებლად და მიზნად ისახავს პოლიტიკური ბრძოლის გააქტიურებას.⁴⁸ ამიტომ ასეთ საქმეებს ევროპული სასამართლო დიდი სიფრთხილით ეკიდება. მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი მხოლოდ აშკარად აგრესიულ გამონათქვამებს აკვალიფიცირებს „სიძულვილისაკენ წაქეზებად“ (მაგალითად, მან ასეთი კვალიფიკაცია მისცა ისეთ გამონათქვამებს, როგორცაა „ფაშისტური თურქული არმია“, „იმპერიალიზმის დაქირავებული მკვლელები“). შესაბამისად, იგი შედარებით იშვიათად გამოიყენებს კონვენციის მე-17 მუხლს. დანარჩენ შემთხვევაში კი შემოიფარგლება კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მათი შეზღუდვის გამართლებულობის აღიარებით. რასობრივი, რელიგიური თუ სხვაგვარი შეუწყნარებლობის, რასობრივი ნიშნით დიფამაციის შესახებ ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტები ნაშრომის იმ თავშია მიმოხილული, რომელშიც კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლებებია გაანალიზებული; გაკეთებულია დასკვნა კონვენციის მე-17 მუხლის არაერთგვაროვანი გამოყენების თაობაზე, გაკრიტიკებულია ზოგიერთი გადაწყვეტილება რასისტული შეხედულებების გავრცელების არაპირდაპირი გზით ხელშეწყობისა თუ დახმარებისადმი შედარებით ლიბერალური დამოკიდებულების გამო. ამიტომ ამჯერად მათზე აღარ შევჩერდებით.


⁴⁷ იხ. *Ceylan v. Turkey*, Appl. N23556/94, 30 Eur. Ct. H.R. 73(1999); *Arslan v. Turkey*, App. N23462/94, 31 Eur. Ct.H.R.264(1999); *Genger v. Turkey*, App. N24919/94 (1999); *Polat v. Turkey*, App. N23500/94 (1999); *Karataş v. Turkey*, App. N23168/94 (1999); *Erdogdu & Ince v. Turkey*, App. No. 25067/94 & 25068/94 (1999); *Baskaya & Okcuoglu v. Turkey*, App. No. 23536/94 & 24408/94, 31 Eur. Ct. H.R. 282 (1999); *Okcuoglu v. Turkey*, App. N24246/94 (1999); *Sürek & Özdemir v. Turkey*, App. No. 23927/94 & 24277/94 (1999); *Sürek v. Turkey* (N1), App. N26682/95 (1999); *Sürek v. Turkey* (N2), App. N24122/94 (1999); *Sürek v. Turkey* (N3), App. N24735/94 (1999); *Sürek v. Turkey* (N4), App. N24762/94 (1999).

⁴⁸ მაგალითისათვის იხილეთ საქმე *Alinak v. Turkey*, judgment of 29 March 2005.

§7.2. პრესის თავისუფლება

7.2.1. პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული ღირებულებითი კონფლიქტის სპეციფიკურობა

როდესაც პრესის თავისუფლება კონვენციის მე-10 მუხლში მითითებულ რომელიმე კანონიერ ინტერესს უპირისპირდება, ღირებულებითი კონფლიქტი თვისებრივად განსხვავებულ სახეს იღებს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გამოხატვის თავისუფლება, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე თავისუფალი და ღია დისკუსიების გამართვის საშუალება, იმავდროულად თავად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს **საჯარო ინტერესს**. მაგრამ ეს დებულება ათმაგ დატვირთვას იძენს, როდესაც საქმე პრესის თავისუფლებას შეეხება და, ეს ბუნებრივია, ვინაიდან აზრთა თავისუფალი ურთიერთგაცვლა და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე ღია საჯარო დებატები სწორედ პრესისა და მასმედიის სხვა საშუალებებით ხორციელდება. პრესის ფუნქციაა გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოების საჭირობო საკითხებზე. ამ ფუნქციის შეუსრულებლობა კი ტოლფასია საზოგადოებისათვის იმ უფლების წართმევისა, მიიღოს ეს ინფორმაცია და იქონიოს მასზე თავისი შეხედულება. ამიტომ, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ პრესის საშუალებით ინფორმაციებისა თუ იდეების გავრცელების თავისუფლება, მათ შორის – ცალკეულ ჟურნალისტთა გამოხატვის თავისუფლების დაცვა, თავისი არსით, გაცილებით უფრო მეტადაა საჯარო ინტერესი, ვიდრე ინდივიდუალური – ოდენ როგორც „ინდივიდის უფლების დაცვა“. ამიტომ ღირებულებათა კონფლიქტის ის საერთო ფორმულა, რომელიც გრაფის სახით მანამდე გამოვხატეთ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში, კიდევ უფრო მეტ შინაარსობრივ დატვირთვას იძენს, როდესაც საქმე უშუალოდ პრესის თავისუფლებას შეეხება და აშკარას ხდის კონფლიქტის დროს სამართლიანი ბალანსის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის დიდ მოსალოდნელობას:



როგორც ვხედავთ, ღირებულებათა კონფლიქტის ეს პირობითი სასწორი ერთ მხარეს უკვე „დამძიმებულია“ პრესის თავისუფლების ორმაგი ღირებულებით და ამიტომაც არის, რომ მისი შეზღუდვა „უჩვეულოდ წონად გამართლებას მოითხოვს“.

ყოველივე ამის ილუსტრაცია იმისათვის დაგვჭირდება, რომ წინასწარვე სწორად გავიზიაროთ პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული ღირებულებათა კონფლიქტის უმთავრესი სპეციფიკა და გავიაღვილოთ იმის ახსნა, თუ რატომ სარგებლობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში პრესის თავისუფლება სრულიად განსაკუთრებული დაცვით.

7.2.2. სამართო მიღზომა

ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში პრესის თავისუფლების დაცულობის ხარისხი ძალზე მაღალია. ეს უკავშირდება პრესის ცხოველმყოფელ როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში:

– „გამოხატვის თავისუფლების პრინციპები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრესისათვის, რომლის წამყვანი როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში არასდროს უნდა დაგვაფიქვდეს.“¹

– „პრესის მოვალეობაა გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე. ამასთან, მხოლოდ პრესას კი არა აქვს ამოცანა, გადასცეს ინფორმაცია და იდეები, არამედ, საზოგადოებასაც აქვს უფლება, მიიღოს ის. სხვაგვარად, პრესა ვერ შესძლებდა შეესრულებინა „საზოგადოების მოდარაჯე ნაგაზის“ თავისი ძირითადი როლი.“²

– „კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მარტო პრესის თავისუფლებას, მოამარაგოს საზოგადოება ინფორმაციით, არამედ საზოგადოების უფლებასაც, იყოს სათანადოდ ინფორმირებული.“³

სრულიად გამორჩეულია პრესის თავისუფლების მნიშვნელობა პოლიტიკური დისკუსიების სფეროში. ევროპული სასამართლოს აზრით, პრესის თავისუფლება მოქალაქეებისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო სრულყოფილ ინსტრუმენტს საიმისოდ, რომ შეიტყოს პოლიტიკური ლიდერების შეხედულებებისა და პოზიციის შესახებ და იქონიოს მათზე საკუთარი აზრი. კერძოდ, პოლიტიკოსებისათვის იგი საშუალებაა იმისა, რომ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება საზოგადოების საჭირობოროტო საკითხებზე, ხოლო თითოეულ ადამიანისათვის კი – შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს თავისუფალ პოლიტიკურ დისკუსიაში, რაც წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების მთავარ ღერძს.⁴

¹ *Castel v. Spain*, judgment of 23 April 1992, §43; *Thorgeir Thorgeirson v. Iceland*, judgment of 25 June 1992, §63.

² *Observer and Guardian v. the United Kingdom*, judgment of 26 November 1991, §59. *Sunday Times (N 1) v. the United Kingdom*, judgment of 26 April 1979, §50. *Jersild v. Denmark*, judgment of 23 September 1994, §31.

³ *Sunday Times (N 1)*, §66

⁴ *Castels*, §43, *Lingens v. Austria*, judgment of 8 July 1986, § 42; *Oberschlick v. Austria*, judgment of 1 July 1997, §58. *Erdoğdu et Ince v. Turkey*, judgment of 8 July 1999, §48.

პრესის თავისუფლების ზემოაღნიშნული გაგება წარმოადგენს უძირითადეს ამოსავალ მიდგომას პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში, რომელსაც ემყარება და რომლისგანაც გამომდინარეობს სახელმძღვანელო პრინციპები პრესის თავისუფლების ფართო ფარგლებისა და მისი მაღალი სტანდარტით დაცვის აუცილებლობის შესახებ.

ამ კონტექსტში ძალზე საგულისხმოა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის „დეკლარაცია მედიაში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ“ (2004 წლის 12 თებერვალი). ამ დეკლარაციის პირველი მუხლის მიხედვით პლურალისტული დემოკრატია და პოლიტიკური დებატების თავისუფლება მოითხოვს, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყოს მისთვის საინტერესო საკითხებზე. ეს გულისხმობს მედიის უფლებას, გაავრცელოს ნეგატიური ინფორმაცია და კრიტიკული შეხედულებები პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოხელეების შესახებ, ისევე როგორც – საზოგადოების უფლებას, მიიღოს ისინი.⁵

ევროპული სასამართლო თავის განჩინებებში და გადაწყვეტილებებში მეთოდურად იმეორებს ერთსა და იმავე პრინციპს, რომ მართალია პრესამ არ უნდა გადალახოს განსაზღვრული მიჯნები, მაგრამ არც მას უნდა შეექმნას დაბრკოლებები იმისათვის, რათა ჯეროვნად განახორციელოს თავისი როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში – გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე:

– „მართალია პრესამ არ უნდა გადალახოს საზღვრები, რაც დადგენილია **სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად**“, მაგრამ მას ეკისრება მისია, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებზე.“⁶

– „მართალია პრესამ არ უნდა გადალახოს საზღვრები, მათ შორის **„ეროვნული უშიშროების“** ანდა **„მართლმსაჯულების ავტორიტეტის“** უზრუნველსაყოფად, მაგრამ მას ევალება მოამარაგოს საზოგადოება ინფორმაციით მისთვის საინტერესო საკითხებზე.“⁷

– „მართალია პრესამ არ უნდა გადალახოს განსაზღვრული მიჯნები, რაც დადგენილია **სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის**, ანდა **კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის დასაცავად**, მაგრამ, მან უნდა შეასრულოს თავისი ფუნქცია და გაავრცელოს ინფორმაცია საზოგადოებისათვის ნებისმიერ საინტერესო საკითხზე.“⁸

– „მართალია პრესამ არ უნდა გადალახოს განსაზღვრული მიჯნები და გაითვალისწინოს სახელმწიფოს უარსებითი ინტერესები, როგორცაა **მართლწესრიგის დაცვა და დანაშაულის თავიდან აცილება**, მაგრამ მან უნდა შეასრულოს თავისი ფუნქცია...“⁹ და ა.შ.

⁵ იხ. Council of Europe, Committee of Ministers, Declaration on Freedom of Political Debate in the Media, adopted by the Committee of Ministers on 12 February 2004.

⁶ *Lingens*, §41. *Oberschlick*, §58; *Bladet Tromsø et Stensaas v. Norway*, judgment of 20 May 1999, §59.

⁷ *Observer and Guardian*, §59, *Sunday Times*, (N1) §59. *Castels*, §43. *Jersild*, §31.

⁸ *Dalban v. Romania*, judgment of 28 September 1999, §49.

⁹ *Endoğdu v. Turkey*, judgment of 15 June 2000, §52

პრესის თავისუფლების ფართო ფარგლები და მისი მაღალი სტანდარტით დაცულობა, ცხადია, უზრუნველყოფილია არა მარტო ზემოაღნიშნული საერთო სულისკვეთების დამამკვიდრებელი დებულებებით, არამედ იმ განმარტებებით, რომლებიც უშუალოდ შეეხება პრესის თავისუფლების შეზღუდვის „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შეფასებას. ევროპული სასამართლო ზედმიწევნით განმარტავს, თუ რა პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს ევროპულმა სასამართლომ შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასებისას და „სამართლიანი ბალანსის“ ძიებისას:

– „პრესის თავისუფლებაში ჩარევა კონვენციის მე-10 მუხლს შეესაბამება მხოლოდ მაშინ, თუ ეს გადამწყვეტია საზოგადოებრივი ინტერესისათვის.“¹⁰

– „როდესაც საქმე პრესას შეეხება... გამოხატვის თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა მოითხოვს გათვალისწინებული იქნეს ის წამყვანი როლი, რომელიც მას გააჩნია პოლიტიკური დემოკრატიის ნორმალურ ფუნქციონირებაში.“¹¹

– „იმისათვის, რათა განისაზღვროს, ეფუძნებოდა თუ არა შეზღუდვა საკმარის საფუძვლებს, უნდა გათვალისწინებულ იქნას საჯარო ინტერესის ის მთავარი ასპექტი, რომელიც საქმემ შეიძინა.“¹²

პრესის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში ევროპული სასამართლო არ ანიჭებს ეროვნულ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლებს. მართალია, იგი აღიარებს ასეთი თავისუფლების გარკვეულ არეალს პრესის თავისუფლების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასებისას, მაგრამ ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული შეფასების თავისუფლება იზღუდება დემოკრატიული საზოგადოების ინტერესით, უზრუნველყოფილი იქნას პრესის თავისუფლება:

– „ნებისმიერი შეზღუდვის აუცილებლობა, ზედმიწევნით უნდა იყოს დადგენილი. დასკვნა შეზღუდვის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების შესახებ, პირველ რიგში ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა გამოიტანოს, რისთვისაც მათ გააჩნიათ შეფასების თავისუფლების გარკვეული ფარგლები. მაგრამ, როდესაც საქმე პრესის თავისუფლებას შეეხება, ეროვნული შეფასების თავისუფლება იზღუდება დემოკრატიული საზოგადოების ინტერესით, უზრუნველყოს და მხარი დაუჭიროს პრესის თავისუფლებას.“¹³ სასამართლოს განმარტებით, „ამავე ინტერესს უნდა დაექვემდებაროს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე იმის განსაზღვრა, იყო თუ არა შეზღუდვა დასახული კანონიერი მიზნის თანაზომიერი“.¹⁴

პრესის თავისუფლების სფეროში ევროპული სასამართლოს მიდგომები მთლიანად შეესაბამება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, მინისტრთა კომიტეტისა და მინისტრთა კონფერენციების მიერ მიღებულ პოლიტიკური

¹⁰ *Fressoz et Roire v. France*, judgment of 21 January 1999, §51.

¹¹ *Erdoğdu*, §52.

¹² *Bladet Tromsø et stensaas*, §59.

¹³ *Erdoğdu*, §53

¹⁴ *Erdoğdu*, §52

ხასიათის დოკუმენტებს გამოხატვის თავისუფლების, ჟურნალისტთა უფლებებისა და ეთიკის საკითხებზე.¹⁵

7.2.3. სპეციალური დოქტრინები და პრინციპები პრესის თავისუფლების ხელშეწყობად

ა) „გადაჭარბებული და პროვოკაციული“ გამონათქვამების გამოყენების უფლება

კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული „ინფორმაციისა“ და „იდების“ დაცულობის უმაღლესი სტანდარტი – „შეურაცხყოფელი გამოგონებელი ან შემაშფოთებელი“ ყველაზე უფრო გაბედულად და უყოყმანოდ, სწორედ პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში გამოიყენება. უფრო მეტიც, ევროპული სასამართლო დარწმუნებულია იმაში, რომ „ჟურნალისტური თავისუფლება გულისხმობს ისეთი გამონათქვამების გამოყენების უფლებასაც, რომლებიც გადაჭარბებულია და ზოგჯერ პროვოკაციულიც კი“.¹⁶ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიდგომა განურჩევლად ყველა შემთხვევაში როდი გამოიყენება. იგი, როგორც წესი, გამოიყენება „შეფასებით მსჯელობასთან“ მიმართებაში; ყველაზე უფრო ხშირად კი მაშინ, როცა საქმე განსაკუთრებით დაცულ სფეროს, მაგალითად, პოლიტიკური დისკუსიების თავისუფლებას შეეხება.¹⁷

„ფაქტების გადმოცემასთან“ მიმართებაში, თუნდაც საქმე საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხებოდეს, „გადაჭარბებას“ ან „პროვოკაციას“ ნაკლები შანსი აქვთ საიმისოდ, რომ დაცვას დაექვემდებარონ. ევროპული სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს, შეიძლება თუ არა ფაქტების არასწორად გადმოცემა შესაბამის შემთხვევაში მიჩნეულიყო ისეთ „გადაჭარბებად“ ან „პროვოკაციად“, რომელიც ჟურნალისტური თავისუფლების ფარგლებს არ არღვევდა. მაგალითად, საქმეში *Radio France and Others v. France*, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ რადიო ეთერში გადაცემული ინფორმაცია, რომელიც თითქოსდა მთლიანად ეყრდნობოდა გაზეთში („*Le Point*“) გამოქვეყნებულ სტატიას, სინამდვილეში მისგან გასხვავდებოდა. მასში არასწორად იყო გაშუქებული მიშელ ჟუნოსთან (რომელიც იყო პარიზის მერის ჟაკ-შირაკის ყოფილი მოადგილე) ინტერვიუს

¹⁵ იხ. Council of Europe, *Council of Europe activities in the media field*, Strasbourg, DH-MM(2000)1, გვ.61; Council of Europe, *Recommendations and Declarations adopted by the Committee of Ministers of the Council of Europe in the media field*, Strasbourg, DH-MM (2000)2, გვ.142; Council of Europe, *Recommendations and Resolutions adopted by the Parliamentary Assembly of the Council of Europe in the media field*, Strasbourg, DH-MM (2000)3, 173 გვ.; Council of Europe, *European Ministerial Conferences on mass media policy: Texts adopted*, Strasbourg, DH-MM(2000) 4, გვ.71. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. <http://www.humanrights.coe.int/media/>

¹⁶ *Bladet Tromsø et Stensaas*, §59; *Dalban* §49. *Erdogdu*, §52; *De Haes and Gijssels v. Belgium*, judgment of 24 February 1997, §46. *Özgür Gündem v. Turkey*, judgment of 16 March 2000, §43. *Lopes Gomes Da Silva v. Portugal*, judgment of 29 September 2000, §34.

¹⁷ იხ. „მედიაში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციის (2004) V მუხლი, რომელიც ასევე მიუთითებს გადაჭარბებისა და პროვოკაციის უფლებას ჟურნალისტებისათვის.

შინაარსი. რადიოეთერში გადაცემული ინფორმაციის თანახმად, ბ-ნმა ჟუნომ გაზეთის ჟურნალისტთან ინტერვიუს დროს არ უარყო ის გარემოება, თითქოს 1942-43 წლებში პიტივიერის პრეფექტის მოადგილედ მუშაობის დროს, სწორედ მან გააკეთა იმ ტრანსპორტის ორგანიზაცია, რომლითაც საფრანგეთიდან ათასობით ებრაელის დეპორტაცია განხორციელდა. არადა, საგაზეთო სტატიაში ამდაგვარი არაფერი იყო ნათქვამი. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული ვერ იქნებოდა მიჩნეული ისეთ „გადაჭარბებად“ ან „პროვოკაციად“, რომელიც შეიძლებოდა დასაშვებად მიჩნეულიყო ჟურნალისტური თავისუფლების განხორციელებისას და, იგი უნდა შეფასებულიყო, როგორც უსწორო, ყალბი ინფორმაციის გავრცელება.¹⁸

ბ) ინფორმაციის წყაროების დაცვა

პრესის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცულობის უზრუნველყოფი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია აგრეთვე ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობის დაცვის პრინციპი, რომელსაც ევროპული სასამართლო განუხრელად იცავს და ამკვიდრებს.

ევროპული სასამართლოს აზრით, ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროების დაცვა წარმოადგენს პრესის თავისუფლების უმნიშვნელოვანეს პირობას, რომელიც ასახულია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კანონებსა და პროფესიული ქცევის კოდექსებში, ისევე როგორც, რამდენიმე საერთაშორისო აქტში (კერძოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროში პოლიტიკის შესახებ ევროპული ქვეყნების მინისტრთა მე-4 კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში ჟურნალისტური თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ (პრაჰა, 1994); ევროპის პარლამენტის რეზოლუციაში ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალობის შესახებ (1994) და სხვ.).¹⁹ სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი დაცვის გარეშე წყაროები უარს იტყვიან პრესასთან თანამშრომლობაზე, რაც დააბრკოლებს პრესას, მოიძიოს და გადასცეს ინფორმაცია საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე და მამასადამე, შეასუსტებს მის შესაძლებლობას, შეასრულოს „მეთვალყურე ნაგაზის“ როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

თუმცა, ჟურნალისტთა დავალდებულება, გაამხილონ ინფორმაციის წყარო, ცალსახად აკრძალული არ არის, მაგრამ, ასეთი რამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლის მიხედვით, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია დასაშვები; კერძოდ მაშინ, როდესაც ეს განპირობებულია საზოგადოების უმთავრესი მოთხოვნებით. ამიტომ, ევროპული სასამართლოს აზრით, იგი განსაკუთრებული ყურადღებით მოითხოვს შესწავლას ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების თვალსაზრისით.

¹⁸ *Radio France and Others v. France*, judgment of 30 March 2004.

¹⁹ იხ: Committee of Ministers, Recommendation NR (2000)7 on the right of journalists not to disclose their sources of information, 8 March 2000, DH-MM (2000)2,125-128 (Explanatory Memorandum)

ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული საქმე, რომელიც ჟურნალისტური წყაროების დაცვის თემატიკას შეეხებოდა, იყო *Goodwin v. The United Kingdom*. განჩინებაში ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ფუძემდებლური დებულებანი ასეთი წყაროების დაცვის აუცილებლობისა და მისი გამხელის დავალდებულების გამამართლებელი საფუძვლების შესახებ.

ჟურნალისტი უილიამ გუდვინი მუშაობდა ჟურნალ *Engineer*-ში. მან დააპირა გამოექვეყნებინა სტატია კომპანია „ტეტრა LTD“-ს ფინანსური სირთულეების შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას შეიცავდა კომპანიის გეგმის პროექტი, რომელსაც გააჩნდა გრიფი – „მკაცრად კონფიდენციალური“. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი დაკარგული იყო. „ტეტრამ“ მიაღწია სასამართლოს განკარგულებას, რომლითაც „*Engineer*“-ს აეკრძალა სტატიის გამოქვეყნება, ხოლო მოგვიანებით კი – ბრძანებას, რომელიც ჟურნალისტს ავალდებულებდა, დაესახელებინა ინფორმაციის წყარო. ეროვნული სასამართლოს აზრით, ასეთი რამ აუცილებელი იყო „მართლმსაჯულების ინტერესებისათვის“, კერძოდ კი იმისათვის, რომ ინფორმატორის ვინაობის დადგენის გზით კომპანიას საშუალება მისცემოდა, აღედრა საქმე დაკარგული დოკუმენტის დაბრუნების მოთხოვნით და ეზრუნა კომპენსაციისათვის. გუდვინმა უარი თქვა ინფორმაციის წყაროს დასახელებაზე, რის გამოც უმაღლესმა სასამართლომ ის 500 ფუნტი სტერლინგით დააჯარიმა სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში, მომჩივანმა მიუთითა, რომ ვინაიდან „ტეტრამ“ მიაღწია პუბლიკაციის აკრძალვას, მან არ განიცადა ის ზიანი, რაც პუბლიკაციის გავრცელების შემთხვევაში შეიძლებოდა მიეღო. გარდა ამისა, ინფორმაცია „ტეტრას“ ცუდი მმართველობისა და ფინანსური სირთულეების შესახებ, მისი მომხმარებლებისა და ინვესტორებისათვის უშუალო ინტერესს წარმოადგენდა.

მოპასუხე მთავრობის აზრით კი, „ტეტრას“ უფლება ჰქონდა, საიდუმლოდ შეენახა კომერციული ინფორმაცია. ინფორმაციის წყარო, შესაძლოა თვითონვე იყო ბიზნეს-გეგმის გამტაცებელი და მომავალშიც ეზრუნა მისი გავრცელებისათვის. ასე რომ, „ტეტრასათვის“ კვლავაც არსებობდა ზარალისა და მისი თანამშრომლების უსაფრთხოდ დარჩენის საფრთხე.

ევროპულმა სასამართლომ განჩინებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობის დაცვა წარმოადგენდა პრესის თავისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. ასეთი დაცვის გარეშე ინფორმაციის წყაროები უარს იტყობდნენ პრესასთან თანამშრომლობაზე, რაც უარყოფითად იმოქმედებდა პრესის უნარზე, წარმოედგინა ზუსტი და საიმედო ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, რის შედეგადაც პრესის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების მეთვალყურისა, ძირი გამოეთხრებოდა. შემდეგ მან მიუთითა: „პრესის თავისუფლებისათვის ჟურნალისტური წყაროების დაცვის დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით დემოკრატიულ საზოგადოებაში და, აგრეთვე, იმ საფრთხის მხედველობაში მიღებით, რომელიც პრესის

თავისუფლებაზე შეიძლება იქონიოს ბრძანებამ წყაროს გამხელის შესახებ, აღნიშნული ღონისძიება ვერ იქნება მიჩნეული კონვენციის მე-10 მუხლთან შესაბამისად, თუ ასეთი ღონისძიება არ იქნება გამართლებული საზოგადოებრივი ინტერესების უფრო მნიშვნელოვანი მოთხოვნისგან (პ.39). ამიტომ, ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალობის შეზღუდვა, სასამართლოს მხრიდან მოითხოვდა განსაკუთრებული ყურადღებით განხილვას (პ.40). სასამართლომ მიუთითა, რომ ინფორმაციის წყაროს დასახელების „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასებისას, ეროვნულ შეფასების თავისუფლების არე შეზღუდული იყო დემოკრატიული საზოგადოების ინტერესის – პრესის თავისუფლების უზრუნველყოფის აუცილებლობით.

მოცემულ საქმეში, სასამართლომ გაითვალისწინა, რომ პუბლიკაციის აკრძალვის შედეგად კომპანიისათვის ზიანის მიყენების საფრთხე მნიშვნელოვანწილად უკვე განეიტრალებული იყო. მართალია „ტეტრას“ მცდელობა, მოესპო ზიანის საფრთხე (რაც ინფორმაციის სხვა გზით გავრცელებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა) და ემხილებინა არალოიალური თანამშრომელი, ემსახურებოდა მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვას, მაგრამ ეს ინტერესი მოცემულ შემთხვევაში, ვერ გადასწონიდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესს – ჟურნალისტის დაცვას ინფორმაციის წყაროს დასახელებისაგან. სასამართლომ თქვა: „წყაროს გამხელის შესახებ სასამართლოს ბრძანების მისაღებად საკმარისი არ არის იმაზე მითითება, რომ ასეთი ბრძანების გარეშე შეუძლებელია... უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება... სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საქმეთა განხილვისას, დაპირისპირებული ინტერესების გათვალისწინებით, ის უპირატესობას ანიჭებს დემოკრატიულ საზოგადოების დაინტერესებას, უზრუნველყოს პრესის თავისუფლება“. (პ.45).

სასამართლომ დაასკვნა, რომ როგორც სასამართლოს ბრძანება, რომელიც ჟურნალისტს ინფორმაციის წყაროს დასახელებას ავალდებულებდა, ისევე ჟურნალისტის დაჯარიმება ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის, არღვევდა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სიტყვის თავისუფლებას. შესაბამისად, მან ცნო ამ მუხლის დარღვევა.²⁰

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას შემდეგიც. წყაროების დაცვის პრინციპი ძალზე ხშირადაა მოხმობილი ჟურნალისტთა მხრიდან ცილისწამების საქმეებზე თავიანთი ბრალდების დაუსაბუთებლობის არგუმენტად. ასეთ დროს ევროპული სასამართლოს პოზიცია უფრო ზომიერია. იგი ზედმიწევნით იკვლევს, შეიძლებოდა თუ არა ბრალდების შესაბამისი და საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის წარმოდგენა ინფორმაციის წყაროს გამხელის გარეშე და რა საფრთხე ემუქრებოდა „წყაროს“ მისი გამხელის შემთხვევაში.

²⁰ *Goodwin v. the United Kingdom*, judgment of 27 March 1996. ეს გადაწყვეტილება მიღებულია 11 ხმით 7-ის წინააღმდეგ. უმცირესობაში დარჩენილი მოსამართლეების აზრით, კომპანიისათვის სერიოზული ზიანის საფრთხის აცილება და კომპანიის თანამშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა საკმაოდ სერიოზულ ინტერესს წარმოადგენდა საიმისოდ, რომ სასამართლოს სათანადო მნიშვნელობა მიენიჭებინა მისთვის ინტერესთა კონკურენციის დროს.

მაგალითად, *Cumpănă and Mazăre*-ს საქმის განჩინებაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი ვერ გაიზიარებდა მომჩივანთა არგუმენტს, თითქოს მათ თავიანთი ბრალდებების დამტკიცება ვერ შესძლეს ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობის დაცვის პრინციპის გამო და, მიუთითა, რომ მომჩივანთა მოვალეობა, წარმოედგინათ თავიანთი ბრალდების ფაქტობრივი საფუძველი, სრულიადაც არ იყო იმ ვალდებულების ტოლფასი, რომ დაესახელებინათ იმათი ვინაობა, ვინც ისინი შესაბამისი ინფორმაციით მოამარაგა. საქმეში არსებული მასალებიდან არ გამომდინარეობდა, რომ აუდიტორული სასამართლოს რეპორტი (რასაც ჟურნალისტთა ბრალდება თითქოსდა ემყარებოდა), კონფიდენციალურ დოკუმენტს წარმოადგენდა, რომლის გამხელაც შესაბამისი წყაროების მიმართ სანქციის გამოყენებას გამოიწვევდა.²¹

გ) „მსუსხავი ეფექტი“

პრესის მიერ თავისი როლის შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებული „მსუსხავი ეფექტის“ კონცეფცია.

„მსუსხავ ეფექტში“ იგულისხმება პრესის თავისუფლების ისეთი შეზღუდვა (ისეთი შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენება), რომელიც დააშინებს პრესას და ნებაყოფლობით ააღებინებს ხელს დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისი როლის შესრულებაზე.

ეს კონცეფცია, უპირატესად გამოიყენება ჟურნალისტთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიების (სასჯელები, სანქციები, აკრძალვები) თანაზომიერების შეფასებისას. შემზღუდველი ღონისძიების თანაზომიერებას ევროპული სასამართლო იმ თვალსაზრისით აფასებს, ხომ არ იქონიებდა იგი მსუსხავ ეფექტს (*chilling effect*) პრესის თავისუფლებაზე:

„სასამართლომ უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე, თუ გატარებული ღონისძიებები თუ დაკისრებული სანქციები ისეთი ხასიათისაა, რომელიც გადაარწმუნებს პრესას, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე მსჯელობაში მონაწილეობისაგან“.²²

„მსუსხავი ეფექტის“ კონცეპტი, ცხადია, „შემზღუდველი ღონისძიების“ თანაზომიერების საერთო კონტექსტში განიხილება და თანაზომიერების შეფასების საერთო კრიტერიუმებთან ერთად გამოიყენება. „მსუსხავი ეფექტი“, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთ-ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც შესაბამის შემთხვევაში აადვილებს გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიების არათანაზომიერად შეფასებას. ამასთან, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ შედარებით უფრო მკაცრი სანქციების გამოყენება ყოველთვის არათანაზომიერად იქნება მიჩნეული მათი „მსუსხავი ეფექტის“ გამო. მაგალითად, თუ ჟურნალისტის მიერ გამოხატვის თავისუფლების

²¹ *Cumpănă and Mazăre v. Romania*, judgment of 17 December 2004

²² *Bladet Tromsø et Stensaas*, §64

განხორციელების შედეგად მნიშვნელოვანი ინტერესები დაზარალდა და თანაც სერიოზულად, შესაძლოა მკაცრი სანქციებიც თანაზომიერად იქნეს მიჩნეული და ასეთ დროს „მსუსხავი ეფექტი“, რომელიც პრესის თავისუფლებამ განიცადა, იმდენად აქტუალური აღარ არის.

ჩვენი დასკვნით, „მსუსხავი ეფექტი“, საბოლოო ჯამში, შეფარდებითი კატეგორიაა და ამასთანავე, სრულებითაც არ არის მოწყვეტილი „სამართლიანობის“ თვალთახედვას. ჯერ ერთი, „მსუსხავი ეფექტის“ კონცეფცია, უწინარესად საერთო მიდგომის გამომხატველია: ევროპულმა სასამართლომ მოუწოდა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, მოერიდონ ჟურნალისტების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენებას, თუკი არსებობს რეაგირების სხვა, ნაკლებად შემზღვეველი საშუალებები. ცხადია, ასეთი მოწოდება ნაკარნახევია პრესის თავისუფლებაზე მსუსხავი ეფექტის მოხდენის თავიდან აცილების სურვილით. მეორე, ევროპულმა სასამართლომ შედარებით უფრო გამოკვეთილი პოზიციები ჩამოაყალიბა მხოლოდ გარკვეული კატეგორიის საქმეებზე, კერძოდ – პრესის თავისუფლებისა და რეპუტაციის უფლების კონფლიქტთან მიმართებაში. მაგალითად, საპატიმრო სასჯელს დიფამაციური დარღვევისათვის ევროპული სასამართლო პრინციპულად მიუღებლად მიიჩნევს.²³ ამგვარად, ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე შესაძლოა თავისთავად ჟურნალისტის სისხლისსამართლებრივმა მსჯავრდებამ იქონიოს „მსუსხავი ეფექტი“ პრესის თავისუფლებაზე, თუნდაც სასჯელად „ჯარიმა“ იყოს გამოყენებული. ზოგჯერ, საკუთრივ საპატიმრო ან სხვა სასჯელის გამოყენებამ, ზოგჯერ კი – მხოლოდდამხოლოდ დაკისრებული ჯარიმისა და კომპენსაციის დიდმა ოდენობამ, თუნდაც იგი არ იყოს დაკავშირებული სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებასთან. ექსცესიურად შემზღვეველი ღონისძიება თავისთავად შეიცავს „მსუსხავი ეფექტის“ რისკს. ამიტომაც ავლნიშნეთ, რომ მის შეფასებაზე სამართლიანობის ფუნდამენტური მოთხოვნებიც ახდენს გავლენას. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ პრესის თავისუფლების შეზღვევის შემთხვევათა უდიდესი ნაწილი „მსუსხავი ეფექტის“ ლოგიკით, გაუმართლებლად იქნებოდა შეფასებული.

„მსუსხავი ეფექტის“ კონცეპტის ასეთი გააზრება ეყრდნობა ევროპული სასამართლოს შესაბამის განჩინებებსა და გადაწყვეტილებებში ასახულ დებულებებსა და არგუმენტებს. ამ მხრივ ერთ-ერთი საგულისხმოა საქმეა *Cumpănă and Mazăre v. Romania*, რომელიც შეეხებოდა ჟურნალისტთა სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას სახელმწიფო მოხელეთა ცილისწამებისათვის. ჟურნალისტებს შეეფარდათ 7 თვით პატიმრობა, აეკრძალათ სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა და ჟურნალისტად მუშაობა 1 წლით. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ჟურნალისტთა გამოხატვის თავისუფლების შეზღვევა ევროპულმა სასამართლომ „მწვავე საზოგადოებრივ

²³ მედიის მხრიდან დიფამაციის ან შეურაცხყოფის დროს პატიმრობის სასჯელის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ გაცხადებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციაში (*Declaration on freedom of political debate in media*), რომელიც მიღებულია 2004 წლის 12 თებერვალს. ამ დეკლარაციის VIII მუხლის მიხედვით, საპატიმრო სასჯელი დასაშვებია მხოლოდ ძირითადი უფლებების ისეთი სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, როგორც არის სიძულვილის თესვა (*hate speech*).

საჭიროებად“ მიიჩნია, მან უარყო შემზღვეველი ღონისძიებების თანაზომიერება პრესის თავისუფლებაზე მათი „მსუსხავი ეფექტის“ გამო. განჩინებაში მან ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი დებულებები „მსუსხავი ეფექტის“ შესახებ ზოგიერთ ისეთ სასჯელთა მიმართებაში, რომლებიც გამოყენებული იყო ინდივიდური რეპუტაციის გაუმართლებელი ხელყოფისათვის.

კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მართალია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ჰქონდათ უფლება და კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, პოზიტიური ვალდებულებაც კი, დაერეგულირებინათ გამოხატვის თავისუფლება ინდივიდური რეპუტაციის ადეკვატური კანონიერი დაცვის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ეს არ უნდა გაეკეთებინათ ისეთი ფორმით, რომელიც მეტისმეტად დააშინებდა მედიას და უარს ათქმევინებდა თავისი როლის შესრულებაზე, ხალხის ყურადღება მიეპყრო ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ამკარა თუ საეჭვო შემთხვევებზე (მოცემულ საქმეში ჟურნალისტთა პუბლიკაცია ქალაქის მერიასა და კერძო კომპანიას შორის დადებული კონტრაქტის უკანონობასა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მექრთამეობასა და თაღლითობაში მონაწილეობაზე მიუთითებდა). ამიტომ, იგი განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა მოკიდებოდა შემთხვევებს, როდესაც გამოყენებული სანქციები ისეთი იყო, რომელიც პრესას ხელს ააღებინებდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დისკუსიაში მონაწილეობისაგან.

სწორედ ასეთად მიიჩნია ევროპულმა სასამართლომ ჟურნალისტების – კუმპენესა და მაზერესათვის შეფარებული სასჯელები – 7 თვით პატიმრობა, ამავე ვადით სამოქალაქო უფლებებით სარგებლობის აკრძალვა და 1 წლით ჟურნალისტად მუშაობის უფლების ჩამორთმევა. ხოლო საპატიმრო სასჯელის გამოყენება მან პრინციპულად დაუშვებლად მიიჩნია (ასეთი კატეგორიის საქმეებზე). მისი აზრით, ჟურნალისტები სავარაუდოდ, თავს შეიკავებდნენ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ინფორმაციის გადაცემისაგან, თუ ისინი მუდმივად იქნებოდნენ იმ რისკის ქვეშ, რომ კერძო პირთა რეპუტაციაზე თავდასხმის შემთხვევაში, მათ დაპატიმრებდნენ ან პროფესიით მუშაობას აუკრძალავდნენ. ასეთი მოსალოდნელი სანქციების შიშს რომ „მსუსხავი ეფექტი“ ექნებოდა პრესის თავისუფლების განხორციელებაზე, ევროპული სასამართლოს აზრით, ამკარა და უდავო იყო. ასეთი ეფექტი, რომელიც ზიანს აყენებდა საზოგადოებას მთლიანად, წარმოადგენდა ფაქტორს, რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული ჟურნალისტთა მიმართ გამოყენებული სანქციების პროპორციულობის შეფასებისას, რომლებიც უდავოდ უფლებამოსილნი იყვნენ ხალხის ყურადღება მიეპყროთ ქალაქის ხელისუფლებასა და კერძო კომპანიას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების კანონიერების საკითხზე.

ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით გაიმეორა, რომ „საპატიმრო განაჩენი“ პრესის მიერ დაშვებული დარღვევებისათვის კონვენციის პრინციპებთან შეთავსებადი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ჰქონდათ ძირითადი უფლებების სერიოზულ დარღვევასთან, მაგალითად, ძალადობისაკენ წაქეზების ანდა სიძულვილისა და ზიზლის მთესველი განცხადებების დროს.

საგულისხმოა შემდეგი გარემოებაც: ევროპულმა სასამართლომ არ მიანიჭა არსებითი მნიშვნელობა იმას, რომ ჟურნალისტებმა ფაქტობრივად, არ განიცადეს პატიმრობის სასჯელი რუმინეთის პრეზიდენტის მიერ მათი შეწყალების გამო. მან დაბეჯითებით აღნიშნა, რომ „მსუსხავ ეფექტს“, რომელიც უდაოდ თან ახლდა პატიმრობის სასჯელის შეფარდებას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ აქარწყლებდა ის გარემოება, რომ მომჩივნებმა არ განიცადეს ეს სასჯელი ისეთი ღონისძიების საფუძველზე, პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებას რომ განეკუთვნებოდა; მათ მიმართ გამოჩენილი გულმოწყალება არ აბათილებდა მათთვის საპატიმრო სასჯელის შეფარდების ფაქტს. სასამართლოს დასკვნით, კუმპენესა და მაზერეს საქმე იყო კლასიკური შემთხვევა ინდივიდის დიფამაციისა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატების კონტექსტში, როდესაც არ არსებობდა არავითარი გამართლება პატიმრობის სასჯელის გამოყენებისათვის.

რაც შეეხებოდა მომჩივნებისათვის ჟურნალისტად მუშაობის აკრძალვას 1 წლის ვადით (მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მასზე არ გავრცელდა შეწყალება), ევროპული სასამართლოს შეხედულებით, ეს სასჯელიც შეუთავსებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის როლის უზრუნველყოფასთან და მასაც გააჩნდა „მსუსხავი ეფექტი“ ამ როლის შესრულებაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ ჟურნალისტთა საქმიანობის წინასწარი შეზღუდვა მოითხოვდა სრულიად განსაკუთრებული ყურადღებით განხილვას და გამართლებული შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. მოცემულ საქმეში კი იგი არ იყო გამართლებული ჟურნალისტთა მიერ ჩადენილი დარღვევის ბუნებით. მან დაასკვნა, რომ ჟურნალისტად მუშაობის აკრძალვის (თუნდაც შეზღუდული ვადით) პრევენციული ღონისძიების გამოყენებით, ეროვნულმა სასამართლოებმა დაარღვიეს პრინციპი, რომ პრესას ჰქონოდა შესაძლებლობა, შეესრულებინა „მოდარაჯე ნაგაზის როლი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საბოლოო ჯამში, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ეს სასჯელები შეაფასა, როგორც არათანაზომიერი და მკაცრი იმ კანონიერ მიზანთან მიმართებაში, რასაც ისახავდა მათი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება შეურაცხყოფისა და დიფამაციისათვის. შესაბამისად, არ აღიარა „ასეთი შეზღუდვის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

აქვე, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ისეთი შემზღუდველი ღონისძიება, როგორც არის „ჯარიმა“ (თუნდაც როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელი) და კომპენსაცია, შედარებით იშვიათად განიხილებიან „მსუსხავი ეფექტის“ მქონედ. თუმცა, ცხადია, საერთო კონტექსტი ყოველთვის მიიღება მხედველობაში. მაგალითად საქმეში *Pedersen ad Baadsgaard v. Denmark*,²⁴ რომელიც ჟურნალისტების მხრიდან პოლიციის მძიმე ცილისწამებას შეეხებოდა (დანაშაულის დაბრალება), ევროპულმა სასამართლომ მათ წინააღმდეგ გამოყენებული სასჯელები – ჯარიმა (1078 ევროს ეკვივალენტური) და

²⁴ *Pedersen ad Baadsgaard v. Denmark*, judgment of 17 December 2004

კომპენსაცია (13469 ევროს ეკვივალენტური) არ მიიჩნია გადაჭარბებულად და ისეთად, რომელიც „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებდა მედიის თავისუფლებაზე. ზემოთ მითითებულ საქმეში კი *Radio France v. France* მთავარი რედაქტორისა და ჟურნალისტიკისათვის შეფარდებული სისხლისსამართლებრივი საჯელი – „ჯარიმა“ ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია გადაჭარბებულად და შეაფასა, როგორც „პროპორციული ჩარევა“ რეპუტაციის დაცვის კანონიერ ინტერესთან მიმართებაში.

ასა თუ ისე, „მსუსხავი ეფექტის“ კონცეფცია, უდავოდ გვეკლინება პრესის თავისუფლების უზრუნველყოფ უმნიშვნელოვანეს გარანტიად. თავისთავად, ის გარემოება, რომ ევროპული სასამართლო პრესის თავისუფლების შეზღუდვის საქმეებში შემზღუდველი ღონისძიების თანაზომიერებას „მსუსხავი ეფექტის“ ჭრილშიც განიხილავს, ნათელი გამოვლინებაა პრესის თავისუფლებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მინიჭებისა.

დ) სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას პრესის თავისუფლება

ცნობილია, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში სახელმწიფოებს ზოგჯერ წარმოშობათ საერთო პოზიტიური ვალდებულებანიც, ვინაიდან მიჩნეულია, რომ ამ თავისუფლების რეალური და ეფექტიანი განხორციელებისათვის ყოველთვის საკმარისი არ არის სახელმწიფოს მიერ იმ ვალდებულების შესრულება, რომ თავი შეიკავოს მასში ჩარევისაგან. ევროპული სასამართლოს აზრით, ამისათვის ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი გახდეს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოზიტიური ღონისძიებების გატარებაც. ამასთან, იმის გასარკვევად, წარმოეშობა თუ არა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება შესაბამის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს კონვენციას, კერძოდ – პრინციპი სამართლიანი ბალანსისა, რომელიც უნდა მიღწეულ იქნეს საჯარო ინტერესებსა და ინდივიდის ინტერესებს შორის.

ამ საერთო ლოგიკიდან გამომდინარე, დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლისა და კიდევ იმის გათვალისწინებით, რომ იგი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს საჯარო და ინდივიდურ ინტერესს, გასაკვირი არ არის, რომ პოზიტიური ვალდებულებანი ყველაზე უფრო ხშირად, სახელმწიფოს სწორედ პრესის თავისუფლების უზრუნველყოფასთან მიმართებაში წარმოეშობა. პრესის თავისუფლების შეზღუდვით ხომ ილახება არა მარტო ინფორმაციებისა თა იდეების გავრცელების, არამედ მათი მიღების თავისუფლებაც.

პრაქტიკულად, პოზიტიურ ვალდებულებათა მოცულობა ვითარებისა და მიხედვით განისაზღვრება და იგი გულისხმობს იმ არჩევანს, რომელიც უნდა გაკეთდეს როგორც პრიორიტეტებთან, ისე არსებულ საშუალებებთან მიმართებაში.

Özgür Gündem-ის საქმე გამოკვეთილი შემთხვევაა, როდესაც ასეთი არჩევანი ეროვნული სახელმწიფოს მიერ ზემოაღნიშნულ ორივე კომპონენტთან მიმართებაში არასწორად იქნა გაკეთებული. საქმე შეეხებოდა გაზეთსა და მის თანამშრომლებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ინციდენტს (თავდასხმას, ჩხრეკას, დაკავებასა და სისხლისამართლებრივ მსჯავრდებას) იმ საბაბით, რომ გაზეთი მხარს უჭერდა ქურთთა მუშათა პარტიას (*PKK*) და აქვეყნებდა სტატიებს, რომლებიც ძალადობის ჩადენისაკენ მოუწოდებდა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების დიდი უმრავლესობა როგორც თავისი შინაარსით, ისე ტონალობითა და საერთო კონტექსტით არ წარმოადგენდა ძალადობისაკენ მოწოდებას. მხოლოდ ის გარემოება, რომ მათში გადმოცემული იყო უკანონოდ გამოცხადებული ორგანიზაციის წევრთა ინტერვიუები და ტერმინი „ქურთისტანი“ გამოყენებული იყო თურქეთის ტერიტორიისგან განცალკევებულობის კონტექსტში, არ ამართლებდა გაზეთის გამონახტვის თავისუფლების შეზღუდვასა და ძალადობის იმ უკანონო აქტებს, რომლებიც განხორციელდა, კერძოდ – გაზეთის დარბევას, ჩხრეკისა და დაკავების უკანონო ოპერაციებს. ევროპული სასამართლოს აზრით, ის არგუმენტი, რომ გაზეთი და მისი თანამშრომლები მხარს უჭერდნენ ქურთთა მუშათა პარტიას, არ ამართლებდა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს მიერ არ იქნა გადადგმული ნაბიჯები ეფექტიანი გამოძიების წარსამართავად და ძალადობის უკანონო აქტების წინააღმდეგ დაცვის უზრუნველსაყოფად. სასამართლომ მიიჩნია, რომ გაზეთისა და მისი თანამშრომლების მიმართ გამოყენებულმა ღონისძიებებმა სერიოზული ზიანი მიაყენა გაზეთს; მაშინ, როდესაც ასეთი ღონისძიებების საჭიროების რეალური საფუძველი არ არსებობდა. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ თურქეთის მთავრობამ „ვერ შესძლო ემოქმედა მისი პოზიტიური ვალდებულების შესაბამისად, რომელიც გულისხმობდა გაზეთის დაცვას გამონახტვის თავისუფლების განხორციელების დროს“.²⁵

მანვე მიუთითა, რომ მართალია „პოზიტიური ვალდებულებები“ არ უნდა ყოფილიყო გაგებული, როგორც შეუძლებელი ან დისპროპორციული ტვირთი ხელისუფლებისათვის, მაგრამ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ გამონახტვის თავისუფლება, რომელსაც ახორციელებდნენ მასმედია და ჟურნალისტები.²⁶

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს პრესის თავისუფლებას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ასახულია ყველა იმ მიდგომასა და პრინციპში, რომლებიც პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში გამოყენება და რომლებიც პრესის თავისუფლების ხელშეწყობას ემსახურება.

განსაკუთრებით აქტუალურია სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებათა საკითხი საგანგებო მდგომარეობის რეგიონში პრესის თავისუფლებისათვის დაწესებულ შეზღუდვებთან მიმართებაში. საჯარო ინტერესების

²⁵ *Özgür Gündem v. Turkey*, judgment of 16 March 2000.

²⁶ იხ. აგრეთვე Council of Europe, 6th European Ministerial Conference on Mass Media Policy, *A Media Policy for Tomorrow, Political Declaration*, Cracow, 2000, DH-MM (2000)4, 67-68.

გათვალისწინებით, სახელმწიფოს უფლება აქვს შეზღუდვები დაუწესოს ამა თუ იმ გაზეთსა ან ჟურნალს, რომლის საქმიანობა საგანგებო მდგომარეობის რეგიონში ხელს უწყობს ვითარების გამწვავებასა და ესკალაციას. სწორედ აქ წარმოიშობა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებათა მთელი სპექტრი: უზრუნველყოს შეზღუდვათა გონივრული ფარგლები, უფლებათა დაცვის, უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიები, მათ შორის ეფექტიანი სასამართლო კონტროლი პრესის თავისუფლების გაუმართლებელი ანდა ექსცესიური შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად. შესატყვისი მაგალითია საქმე *Çetin and Others v. Turkey*, რომელიც შეეხებოდა საგანგებო მდგომარეობის რეგიონების სახელმწიფო მმართველის მიერ ყოველდღიური გაზეთის გამოცემისა და გავრცელების აკრძალვას იმ რეგიონებში, სადაც საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი აკრძალვები, პრინციპულად, არ იყო შეუთავსებელი კონვენციის მოთხოვნებთან, მაგრამ მათი გამოყენება უნდა დაქვემდებარებოდა მკაცრად განსაზღვრულ წესებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აკრძალვის გარკვეულ ფარგლებსა და ეფექტიან სასამართლო კონტროლს აკრძალვის უფლების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად. მან მხედველობაში მიიღო, რომ საგანგებო მდგომარეობის შესახებ შიდა სახელმწიფოებრივი აქტები მმართველს ძალზე ფართო უფლებამოსილებას ანიჭებდა, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევდა, აეკრძალა ნებისმიერი წერილობითი მასალის გავრცელება, რომელიც მიჩნეული იქნებოდა, როგორც საზოგადოებრივი წესრიგისათვის საშიშროების შემცველი და შეიძლებოდა აღქმულიყო, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის აგიტაცია ანდა უშიშროების ძალების ობსტრუქცია თავიანთი მოვალეობების შესრულების პროცესში. აღნიშნულ აქტებზე საკონსტიტუციო კონტროლი არ ვრცელდებოდა, ხოლო საკუთრივ მმართველის გადაწყვეტილება გაზეთის აკრძალვის შესახებ, ისევე როგორც მისი ტირაჟის ამოღების ორდერი არავითარ დასაბუთებას არ შეიცავდა. აკრძალვის ღონისძიების გაუქმება კი ისევ მმართველის ცალმხრივი დისკრეციული აქტით იყო შესაძლებელი. ყოველივე ეს კი სახელმწიფოს მხრიდან პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობას ნიშნავდა, რის შედეგადაც როგორც სასამართლომ აღნიშნა, საგანგებო მდგომარეობათა რეგიონში მოსახლეობას გაუმართლებლად აღეკვეთა განსხვავებული ინფორმაციებისა და იდეების მიღების შესაძლებლობა ამ რეგიონში მომხდარი მოვლენების შესახებ.²⁷

ე) პუბლიკაციების წინასწარი აკრძალვის უარყოფითი შეფასება

²⁷ *Çetin and Others v. Turkey*, judgment of 13 February 2003.

კონვენციის მე-10 მუხლი არ კრძალავს პუბლიკაციის წინასწარ აკრძალვას. (ამაზე მეტყველებს მე-2 პუნქტის დებულება, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს და სანქციებს...).

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც იმას მოწმობს, რომ პუბლიკაციის წინასწარი აკრძალვები არ არის კონვენციის მე-10 მუხლთან შეუთავსებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი კონფიდენციალურ ინფორმაციას შეეხება. თუმცა, სამაგიეროდ, **წინასწარ აკრძალვებზე ევროპული კონტროლი განსაკუთრებით მკაცრია**. ეს სიმკაცრე იმითაც გამოიხატება, რომ ამა თუ იმ ინფორმაციის პუბლიკაციის აკრძალვას, რაც ევროპულ სასამართლოს მისი პოტენციური ზიანის გათვალისწინებით „აუცილებლად“ შეიძლებოდა ელიარებინა, აღარ მიიჩნევა გამართლებულად, თუ ეს ინფორმაცია სხვა წყაროებით მაინც გავრცელდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავისი პრაქტიკით მკვეთრად ჩამოაყალიბა მიდგომა: **თუ კონფიდენციალური ინფორმაცია უკვე განმარტებულია, ანუ, თავისი არსით აღარ არის კონფიდენციალური, მისი შემდგომი დაცვა ვეღარ იქნება მიჩნეული „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“**.

ზიანის თავიდან აცილების მოტივით ამ ინფორმაციის შეზღუდვა, გამართლებული ვეღარ იქნება, რადგანაც ზიანი, რომელიც ინფორმაციის გამჟღავნებას შეეძლო გამოეწვია, უკვე გამოწვეულია. შესაბამისად, მისი შემდგომი აკრძალვა ზიანის აცილების მოტივით, უკვე გაუმართლებელია. მიჩნეულია, რომ ასეთ დროს ჟურნალისტთა მხრიდან მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა, რომლებიც ინფორმაციის პირველადი განმარტების პერიოდს უკავშირდება, ვეღარ გადასწონის ხალხის მიერ საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მიღების უფლებას.

ამ მიდგომის თვალსაჩინოებისათვის საკმარისია დავასახელოთ სამი საქმე.

1. *Weber*-ის საქმე შეეხებოდა შვეიცარელი ჟურნალისტის მსჯავრდებას იმის გამო, რომ მან სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია გაამჟღავნა პრესკონფერენციაზე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია ნაწილობრივ უკვე გამჟღავნებული იყო სხვა, წინა პრესკონფერენციაზე და ამიტომ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ინტერესი აღარ არსებობდა.²⁸

Observer and Guardian-ის საქმე შეეხებოდა გაზეთებისათვის დაწესებულ შეზღუდვას, რომელიც მათ უკრძალავდა ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის ყოფილი ოფიცრის მემუარების წიგნის (*Spycatcher*-ის) გამოქვეყნებას, რომელშიც იგი უშიშროების სამსახურის საქმიანობის მეთოდებს აღწერდა. იმის გამო, რომ აღნიშნული წიგნი საზღვარგარეთ გამოიცა და ინგლისშიც გავრცელდა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის აღკვეთა, რომელიც წიგნის გამოქვეყნებამ უშიშროების სამსახურს მიაყენა, უკვე შეუძლებელი იყო. ამიტომ, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება პუბლიკაციის აკრძალვის

²⁸ *Weber v. Switzerland*, judgment of 22 May 1990

გაგრძელების შესახებ ნაკარნახევი აღარ იყო „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“.²⁹

თითქმის იდენტურია *Vereniging Weekblad Bluf*-ის საქმე, რომელიც ასევე უშიშროების სამსახურის საქმიანობას შეეხებოდა. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ წიგნი ხელახლა დაიბეჭდა და ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისათვის, ამიტომ მისი, როგორც სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა, აღარ იყო გამართლებული მე-10 მუხლის თვალსაზრისით.³⁰

საერთო დამოკიდებულება წინასწარი აკრძალვებისადმი, უარყოფითია. ევროპული სასამართლოს აზრით, ვინაიდან ახალი ამბების, როგორც პროდუქციის გამოყენების პერიოდი ძალზე ხანმოკლეა, პუბლიკაციის ნებისმიერმა გადავადებამ, თუნდაც მცირე დროით, შეიძლება დაუკარგოს ინფორმაციას მთელი თავისი ღირებულება და გააქროს მისდამი ინტერესი.³¹

ამიტომ, ევროპულმა სასამართლომ დაამკვიდრა საერთო მოთხოვნები წინასწარი აკრძალვების გასამართლებლად – იგი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცირე ფარგლებს უნდა გულისხმობდეს და ამასთანავე, უზრუნველყოფდეს ქმედით სამართლებრივ მისაგებელს აკრძალვის უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.³²

ცხადია, ეს სრულიადაც არ არის იმის ტოლფასი, რომ პუბლიკაციის წინასწარი შეზღუდვა ყოველთვის გაუმართლებლად შეფასდება. ზემოაღნიშნული მხოლოდ საერთო მიდგომის გამომხატველია. ყოველთვის მიიღება მხედველობაში იმ ზიანის სერიოზულობის ხარისხი, რომელიც პუბლიკაციას კონვენციის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონიერი ინტერესებისათვის შეიძლებოდა გამოეწვია.³³

კ) „კვალიფიციური პრივილეგიის“ დოქტრინა.

ამ დოქტრინის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პრესის პუბლიკაცია კვალიფიციურ პრივილეგიას მიიღებს, ანუ სავარაუდოდ (დიდი ალბათობით) იქნება დაცული, თუ ის საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეეხება. ეს დოქტრინა, მართალია ინგლისურ-ამერიკულია, მაგრამ თავისი არსითა და სულისკვეთებით მთლიანად შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას; თუმცა, ეს ტერმინოლოგია იშვიათადაა გამოყენებული.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი ინტერესების მქონე თემატიკა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საიმისოდ, რომ ღირებულებათა კონფლიქტი პრესის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყდეს. ამავე დოქტრინის ჩარჩოებში განიხილება მიდგომა, რომელიც გამოიყენება თავად იმ საკითხის გადაწყვეტისას, წარმოადგენდა თუ არა პუბლიკაცია საზოგადოებრივი

²⁹ *The Observer and Guardian Newspaper LTD v. The United Kingdom*; judgment of 26 November 1991.

³⁰ *Vereniging Weekblad Bluf! v. The Netherlands*, judgment of 09 February 1995.

³¹ *Observer and Guardian*, 60. *Sunday Times* (N 2) v. *the United Kingdom*, judgment of 26 November 1991, §51.

³² იხ. *Ekin Association v. France*, judgment of 17 July 2001.

³³ წინასწარი აკრძალვების შესახებ იხ აგრეთვე საქმე *Goodwin v. the United Kingdom*, judgment of 27 March, 1996, *Plon v. France*, judgment of 18 May 2004.

ინტერესის მქონე თემატიკას: მიჯნით შემთხვევებში, შესაბამისი თემატიკა „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხად“ არის აღიარებული და მაშასადამე „კვალიფიციური პრივილეგიის“ დაცვით სარგებლობს. ცხადია, „კვალიფიციური პრივილეგიის“ დაძლევა შესაძლებელია, თუკი არსებობს საამისო საფუძვლები. ასეთ საფუძვლებად შეიძლება მიჩნეულ იქნას არაერთი გარემოება, მაგალითად, რეალური ან პოტენციური ზიანის სერიოზულობა, ჟურნალისტთა მხრიდან „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა“ და სხვ.

რაც შეეხება „აბსოლუტურ პრივილეგიას“, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი მას არ ცნობს. არ არსებობს არც ერთი ისეთი ფაქტორი თუ გარემოება, ცალკე აღებული, რომელიც პუბლიკაციის უპირობო დაცვის ტოლფასი იყოს. ასეთი პირობა შეიძლება რამდენიმე ფაქტორმა ერთობლიობაში შექმნას. მაგალითად, როდესაც საკითხი პოლიტიკური დისკუსიების თავისუფლებას შეეხება და ამასთანავე ჟურნალისტთა მხრიდან უგულვებელყოფილი არ არის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ საკითხი პრესის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყდეს. უფრო შესატყვისი იქნებოდა გვეთქვა, რომ ის მიდგომები და კრიტერიუმები, რომელსაც გულისხმობს შეზღუდვის „აუცილებლობის“ შეფასება და დაპირისპირებულ ღირებულებათა „სამართლიანი დაბალანსების“ პრინციპი უამრავი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს და გამორიცხავს ამა თუ იმ პუბლიკაციის დაცულობის აბსოლუტურ, წინასწარ გარანტიას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის სამართალში აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობს მხოლოდ „აზრის თავისუფლება“ (ადამიანის უფლება, იქონიოს საკუთარი აზრი). თვით პარალმენტის ტრიბუნლიდან გაკეთებული განცხადებების შეზღუდვაც კი შეიძლება გამართლებულად შეფასდეს, თუ ისინი უხეშად და უსაფუძვლოდ ლახავენ სხვათა რეპუტაციას, და, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ისინი წარმოადგენენ ძალადობისაკენ წაქეზებას ან ავრცელებენ სიძულვილს.³⁴

7.2.4. ჟურნალისტთა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“

პრესის თავისუფლებისათვის მინიჭებული უფართოესი ფარგლები დაბალანსებული და გაწონასწორებულია შესაბამისი „მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით“. გამოხატვის თავისუფლების თანაარსი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან“ არც პრესაა გათავისუფლებული. უფრო მეტიც, ვინაიდან „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ხარისხი“ ყოველთვის „თავისუფლების“ ხარისხის პროპორციულია (წონასწორობის შესანარჩუნებლად), ლოგიკურია, რომ პრესის თავისუფლების ფართო ფარგლებს, შესაბამისად მაღალი ხარისხის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ შეეტყვისება.

³⁴ მაგალითისათვის, იხ. საქმე *Keller v. Hungary* (decision of 4 April 2006), რომელიც შეეხებოდა დეპუტატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას პარლამენტის სესიაზე და სატელევიზიო გამოსვლის დროს გაკეთებული განცხადებისათვის. ევროპულმა სასამართლომ დეპუტატის საჩივარი „აშკარად უსაფუძვლოდ“ მიიჩნია.

არსებითად კი, ჟურნალისტთა მაღალი ხარისხის „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“ დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის უმნიშვნელოვანესი როლი და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მისი ძლიერი ზეგავლენა განაპირობებს. ჟურნალისტი მოვალე და პასუხისმგებელია, ისე წარმართოს თავისი საქმიანობა, როგორც ეს პრესის როლსა და დანიშნულებას შეესაბამება დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, როდესაც უგულვებელყოფილია ასეთი „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, მეტი ლეგიტიმური, მორალური თუ იურიდიული საფუძველი ჩნდება ჟურნალისტის სიტყვის თავისუფლების შესაზღუდად.

ევროპული სასამართლო ცალსახად აცხადებს, რომ გამონატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა პრესის თავისუფლებასაც შეეხება; რომ ეს „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ თავის მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც არსებობს სხვა ღირებულებათა, განსაკუთრებით კი კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული კანონიერი ინტერესების ხელყოფის რისკი. ასეთი რისკის ალბათობა კი გაცილებით მეტია პრესის დიდი ზეგავლენის გამო.

ამიტომ ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ ევროპული სასამართლო პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმეთა განჩინებაში იმეორებს, რომ პრესამ არ უნდა გადალახოს განსაზღვრული მიჯნები, რაც დადგენილია... „სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად“³⁵ ან „ეროვნული უშიშროებისა და „მართლმსაჯულების უშიშროების უზრუნველსაყოფად.“³⁶ ან „კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის დასაცავად“³⁷... ან „მართლწესრიგისა და დანაშაულის თავიდან აცილების ინტერესებისათვის“³⁸ და ა.შ.

ამგვარად, პრესის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ წარმოდგება სწორედ სხვა ინტერესებთან დაპირისპირების იმ დიდი რისკიდან, რასაც პრესის მაღალი ხარისხის თავისუფლება ობიექტურად გულისხმობს.

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს პრესის თავისუფლებისაგან განუყოფელი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ უგულვებელყოფის შეფასება?

ცხადია ერთი: სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების ფაქტი ჯერ კიდევ არ არის (და არც შეიძლება იყოს) საკმარისი პირობა იმისათვის, რომ ეს მოვალეობანი და პასუხისმგებლობა დარღვეულად მივიჩნიოთ. ღირებულებათა კონფლიქტების საერთოდ გამორიცხვა შეუძლებელია. პრესის დავალდებულება, არასდროს აღმოჩნდეს სხვა ღირებულებებთან კონფლიქტში, ერთი მხრივ, ისედაც არ არის აღსრულებადი, მეორე მხრივ, კიდევაც რომ დავუშვათ ასეთი შესაძლებლობა, ეს თავად პრესის თავისუფლებას გამოაცლის თავის ძალასა და ღირებულებას. ასეთი პრესა ვერასოდეს შესძლებს შეასრულოს „მოღარაჯენაგანის“ როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

³⁵ *Lihgens*, §41. *Oberschlick*, §58 და სხვა საქმეები.

³⁶ *Observer and Guardian*, §59. *Sunday Times*, §59 და სხვა საქმეები.

³⁷ *Dalban* §49.

³⁸ *Endođdu*, §52.

ამიტომ, პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ უნდა წარმოვადგინოთ, როგორც თავისებური თვითშეზღუდვის მექანიზმი, რომლის ამოქმედება, ერთი მხრივ, შეამცირებს სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების შესაძლებლობას, მაგრამ, მეორე მხრივ, არ დააბრკოლებს პრესის მიერ თავისი როლის შესრულებას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ პრესის თავისუფლებისაგან განუყოფელი „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ რამოდენიმე მნიშვნელოვანი მოთხოვნისაგან შედგება:

– იზრუნოს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე თავისუფალ დისკუსიებს. ეს მოთხოვნა გულისხმობს საზოგადოების სწორი და საიმედო ინფორმაციით მომარაგებას.

– დაიცვას „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები;

– საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე რეპორტაჟების მომზადებისას გაატაროს „სამართლიანობის დოქტრინა“;

– სიფრთხილით მოეკიდოს უფლებების განხორციელებას დაძაბულობისა და კონფლიქტების რეგიონში; საჭიროების შემთხვევაში გაემიჯნოს რესპონდენტების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და იზრუნოს იმისათვის, რათა ნებსით თუ უნებლიედ არ გადაიქცეს სიძულვილისა თუ ძალადობის მომწოდებელი განცხადებების გამავრცელებლად.

ვისაუბროთ მათ შესახებ უფრო დაწვრილებით:

საზოგადოების სწორი და საიმედო ინფორმაციით მომარაგების მოთხოვნა საკუთრივ პრესის როლიდან წარმოდგება პირდაპირ. პრესა ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოება სწორი და საიმედო ინფორმაციით და არ შეიყვანოს იგი შეცდომაში. ეს ვალდებულება, იმავდროულად გულისხმობს ჟურნალისტთა მხრიდან კეთილსინდისიერებასა და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების დაცვას.³⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ხაზგასმით მიუთითებს, რომ:

– „ამ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ ძალით, გარანტია, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით ჟურნალისტებს ეძლევათ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე რეპორტაჟების მომზადებას, ექვემდებარება პირობას, რომ დაინტერესებული პირი მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, იმისათვის, რათა საზოგადოება უზრუნველყოს სწორი და საიმედო ინფორმაციით და ამასთანავე, ჟურნალისტური ეთიკის დაცვით“.⁴⁰

– „კონვენციის მე-10 მუხლი იცავს ჟურნალისტის უფლებას, გაავრცელოს ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე იმ მომენტიდან, როდესაც ისინი ზუსტ ფაქტებზე დაყრდნობით გააკეთებენ კეთილსინდისიერ კომენტარს

³⁹ ჟურნალისტური ეთიკის პრინციპების შესახებ იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1215(1993) *ჟურნალისტური ეთიკის შესახებ*. (ტექსტი მიღებულია 1993 წლის 1 ივლისს), აგრეთვე საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1003(1993) *ჟურნალისტური ეთიკის შესახებ* (ტექსტი მიღებულია 1993 წლის ივლისს).

⁴⁰ *Bladet Tromsø et stensaas*, §65.

და წარმოადგენენ „საიმედო და დაწვრილებით“ ინფორმაციას ჟურნალისტური ეთიკის დაცვით“.⁴¹

– „მის (პრესის) მოვალეობას წარმოადგენს პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების გადაცემა, მაგრამ ისეთი ფორმით, რომელიც შეესაბამება მის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“.⁴²

– „ჟურნალისტი ვალდებულია იმოქმედოს კეთილი განზრახვით, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად, იმისათვის, რათა საზოგადოება უზრუნველყოს სწორი და საიმედო ინფორმაციით“.⁴³

ჟურნალისტთა მხრიდან საზოგადოებისათვის მცდარი ინფორმაციის მიცემას და მის შეცდომაში შეყვანას ევროპული სასამართლო განიხილავს „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დარღვევად“. ეს გარემოება ინტერესთა დაბალანსების კონტექსტში ყოველთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის მნიშვნელოვან წინაპირობად განიხილება. ასეთი საქმეები ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ბევრია და ისინი ამ საკითხში ევროპული სასამართლოს უცვლელ პოზიციას ადასტურებენ (ამისათვის საკმარისია დაგასახელოთ ბოლო დროინდელი *Cumpănă and Mazăre*-ს, *Pedersen and Baadsgaard*-ის და სხვა საქმეები).

საზოგადოებისათვის სწორი და საიმედო ინფორმაციით მომარაგების ვალდებულებებიდან, თვის მხრივ, წარმოდგება ჟურნალისტის მიერ **ინფორმაციის ნამდვილობის წინასწარ შემოწმების მოთხოვნა**.

მაგალითად, სწორედ ამ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ არ დაიცვა ორი ცილისმწამებლური სტატია, რომლებშიც მოყვანილი ფაქტების სისწორე მომჩივანმა ვერ დაასაბუთა. კომისიამ მიუთითა, რომ საკითხის „წინასწარი ადეკვატური და გულდასმითი შესწავლა“, რის განხორციელებაც მომჩივანმა ვერ შესძლო, წარმოადგენდა ჟურნალისტის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს.“⁴⁴

ამასთანავე, მიჩნეულია, რომ როდესაც ჟურნალისტი ემყარება ოფიციალურ ანგარიშს, სავალდებულო აღარაა დამატებითი მოკვლევის ჩატარება და მოპოვებული მასალის სიზუსტის გადამოწმება.⁴⁵

შესაბამისად, ჟურნალისტის მიერ საეჭვო წარმოშობის დოკუმენტების გამოყენება მიჩნეულია „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევად. თუმცა იგი ყოველთვის არ განიხილება შეზღუდვის საკმარის საფუძველად. ევროპულმა სასამართლომ ამ მიმართებით შესაბამისი მიდგომა შეიმუშავა ინტერესთა დაბალანსების კონტექსტში. ამ მიდგომის მიხედვით, ყოველ ასეთ შემთხვევაში საკითხი იმისდა მიხედვით უნდა გადაწყდეს, **აღემატებოდა თუ არა საზოგადოებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მოწოდების ინტერესი**

⁴¹ *Fressoz et Roie*, §54.

⁴² *De Haes and Gijssels*, §37.

⁴³ *Radio France and others*, §37; *Colombani and Others v. France* 20 June 2002 §65. *McVicar v. the United Kingdom*, judgment 7 May 2002, § 83-86.

⁴⁴ Appl. N18902/91. *H.N. v. Italy*, decision of 27 October 1998.

⁴⁵ *Bladet Tromsø and Stensaas*. judgment of 20 May 1999.

ჟურნალისტთა „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობით“ ნაგულისხმებ მოთხოვნებს. მაგალითად, *Fressoz et Roie*-ს საქმის განჩინებაში მან ამის თაობაზე აღნიშნა: „უნდა განისაზღვროს, გადააჭარბა თუ არა საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ინტერესმა იმ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, რომელიც ჟურნალისტებს ეკისრებოდათ საექვო წარმოშობის დოკუმენტაციის გამოყენების გამო“.⁴⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის სინამდვილესთან შესაბამისობის მოთხოვნა აბსოლუტური არ არის. ცილისწამების საქმეებზე პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში გამოიყენება საერთო მიდგომები: კონკრეტული ბრალდების დროს, **ჟურნალისტი ვალდებულია წარმოადგინოს ბრალდების შესატყვისი ფაქტობრივი საფუძველი და, როგორც სხვა შემთხვევებში, ბრალდების დასაბუთებულობის ხარისხი ბრალდების სიმძიმის ხარისხის პირდაპირპროპორციულად განისაზღვრება.** უფრო მძიმე ბრალდებას, შესაბამისად, უფრო წონადი დასაბუთება ესაჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ბრალდების წამოყენება „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დარღვევად“ განისაზღვრება.

ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჟურნალისტების მხრიდან **უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვას.** როგორც მან მიუთითა, დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის უარსებითესი როლის მიუხედავად, კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული დაცვა, მათ არ ათავისუფლებდა ვალდებულებისაგან, დაეცვათ სისხლის სამართლის კანონი⁴⁷ და უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება.⁴⁸

თუმცა, პრესაში ვინმეს “დამნაშავედ“ მოხსენიება ყოველთვის არ გულისხმობს არც „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ და არც საკუთრივ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

ამ მხრივ საინტერესო საქმეა *White v. Sweden*. შვეციაში ორმა უმთავრესმა საღამოს გაზეთმა გამოაქვეყნა სტატიათა სერიალი შეერთებული სამეფოს მოქალაქის, მოზამბიკელი წარმოშობის პიროვნების, ვინმე ენტონი უაიტის შესახებ. სტატიაში იგი დახასიათებული იყო, როგორც კრიმინალი, ცნობილი ბრაკონიერი და ამასთანავე, მოხსენიებული იყო, როგორც შვეციის პრემიერ მინისტრის ულოფ პალმეს მკვლეელი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ინფორმაციის გადაცემისას, ჟურნალისტებს არ ჰქონდათ დარღვეული შესაბამისი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა. ჯერ ერთი, მათი ინფორმაცია ემყარებოდა სამხრეთ აფრიკის უშიშროების სამსახურის მონაცემებს. გარდა ამისა, გაზეთებმა სხვადასხვა ღონისძიებები გაატარეს მომჩივნის პიროვნების შესახებ ინფორმაციის გადასამოწმებლად. კერძოდ – დაუკავშირდნენ კოლეგა ჟურნალისტებს, სახელმწიფო მოხელეებს, ცხოველებისა და ბუნების დაცვის ორგანიზაციებს სხვადასხვა ქვეყანაში. მათი ინფორმაციები ერთმანეთს ემთხვეოდა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მათ საკმარისი საფუძველი

⁴⁶ *Fressoz et Roie*, §52.

⁴⁷ *Fressoz et Roie*, §52.

⁴⁸ *Du Roy and Malaurie v. France*, judgment of 3 December 2000, §35.

გააჩნდათ შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის, გულწრფელად დარწმუნებულნი იყვნენ მის სიმართლეში და ამდენად, - არ ჰქონდათ დარღვეული „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“.

რაც შეეხება საკუთრივ უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებას, ევროპულმა სასამართლომ იგი დარღვეულად არ მიიჩნია. მან განმარტა, რომ გაზეთის რედაქტორთა გამართლების ფაქტი ზემოაღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის, სრულიადაც არ იყო შიდა სასამართლოების მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ტოლფასი. მათი არც ერთი გადაწყვეტილება არ შეიცავდა დებულებას იმის თაობაზე, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამებოდა. პირიქით, მათ მიუთითეს, რომ მტკიცების ტვირთი რედაქტორებს ეკისრებოდა; მათ კი ვერ შესძლეს ინფორმაციის სისწორის დამტკიცება. რედაქტორთა გამართლება იმ გარემოებას დაეფუძნა, რომ მათ იზრუნეს ინფორმაციის გადასამოწმებლად, რომელიც, თავის მხრივ, საკმარის საფუძველს ემყარებოდა.⁴⁹

როდესაც საქმე შეფასებით მსჯელობას შეეხება, მისი სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება, საერთო წესისამებრ, არ განიხილება როგორც ჟურნალისტის „მოვალეობა და პასუხისმგებლობა“. ევროპულმა სასამართლომ უარყო მოსაზრება, რომ ჟურნალისტს თითქოს უნდა ჩამოერთვას უფლება, გამოხატოს შეფასებითი მსჯელობა, სანამ მისი დამტკიცება არ შეუძლია.⁵⁰ სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და არღვევს შეხედულების გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების უმთავრეს კომპონენტს.⁵¹

თუმცა, აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ „შეფასებითი მსჯელობის“ მიმართ, ჟურნალისტს არასდროს წარმოეშობა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“. პირიქით, როდესაც შეფასებითი მსჯელობა სხვა პირთა რეპუტაციას ხელყოფს, ჟურნალისტთა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ ძალზე აქტუალურია. ჟურნალისტი ვალდებულია თავშეკავება გამოიჩინოს თავისი აზრის გამოხატვისას, მოერიდოს უმიზეზო პირადულ თავდასხმებსა და შეურაცხყოფელი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებას, სხვათა უფლებების და რეპუტაციის შელახვას. ევროპული სასამართლოს განმარტებით, პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაშინ იძენს, როდესაც არსებობს სხვა პირთა უფლებების დარღვევისა და რეპუტაციის შელახვის რისკი.⁵²

ამავე საკითხებს უკავშირდება სხვადასხვა კატეგორიის პირთა მიმართ დადგენილი „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებიდან გამომდინარე მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“. ჟურნალისტები ვალდებული არიან დაიცვან „დასაშვები

⁴⁹ *White v. Sweden*, decision of 11 January, 2005.

⁵⁰ *Dalban*, §49.

⁵¹ *Lingens*, §46. *Oberschlick* (N1), §63.

⁵² *Fressoz et Roie*, §52.

კრიტიკის“ ფარგლები და განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთ პირთა მიმართ, რომლებიც დაუცველნი არიან (იგულისხმებიან კერძო პირები) ანდა რომლებსაც პასუხის გაცემის შესაძლებლობები შეზღუდული აქვთ მათზე დაკისრებული „თავშეკავებულობის“ ვალდებულების გამო (იგულისხმებიან სახელმწიფო მოხელეები).

ჟურნალისტთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის კონტექსტში განიხილება, აგრეთვე, მათთვის წაყენებული მოთხოვნა, **გაატარონ სამართლიანობის დოქტრინა** თავისი საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული უწინარესად იმას გულისხმობს, რომ **საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ინფორმაციის გაშუქებისას მათ უნდა გამოიყენონ ე.წ. „ობიექტური და სამართლიანი რეპორტაჟის“** მეთოდი; არ დაუშვან ცალმხრივი ინფორმაციების გადაცემა და მიკერძოებული კომენტარის გაკეთება. პრესის მუშაკები ვალდებული არიან, საზოგადოებას გადასცენ განსხვავებული, მათ შორის – საპირისპირო შეხედულებები და იდეები. დაპირისპირებულ მხარეებს მათ უნდა მისცენ პრესის საშუალებით თავიანთი პოზიციების საზოგადოებისათვის გაცნობის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მათ ამ მიმართებით შედარებით მეტ თავისუფლებას ანიჭებს. მიჩნეულია, რომ **ობიექტური და სამართლიანი რეპორტაჟის მეთოდები შეიძლება იცვლებოდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სპეციფიკურობისა და მიხედვით:** „ნებისმიერი პირი, ჟურნალისტების ჩათვლით, რომელიც ახორციელებს გამოხატვის თავისუფლებას, თავის თავზე იღებს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, რომლის ფარგლები დამოკიდებულია მის მდგომარეობასა და ტექნიკურ საშუალებებზე“.⁵³ *Bladet Tromsø et Sensaas*-ის საქმის განჩინებაში კი ევროპულმა სასამართლომ კიდევ უფრო დააზუსტა: „ობიექტურმა და სამართლიანმა რეპორტაჟმა შეიძლება მიიღოს განსხვავებული ფორმა, რომელიც შეიძლება დამოკიდებული იყოს ინფორმაციის გავრცელების საშუალებაზე: არც ეროვნულ და არც ევროპულ სასამართლოს არ ეგების პრესის მაგივრად იმსჯელოს იმაზე, რეპორტაჟის როგორი ტექნიკა უნდა გამოიყენოს ჟურნალისტმა“.⁵⁴

სამართლიანობის დოქტრინის გატარება ცხადია იმასაც მოიცავს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პრესის კრიტიკაზე პასუხის გაცემისა და პრესის საშუალებითვე მისი გადაცემის შესაძლებლობა. საგულისხმოა, რომ ასეთი შესაძლებლობის არსებობის აუცილებლობა, ერთი მხრივ, ავალდებულებს საკუთრივ პრესას, თავად იზრუნოს საამისოდ, მეორე მხრივ კი – სახელმწიფოს, უზრუნველყოს ასეთი შესაძლებლობა. **სახელმწიფოს წარმოეშობა პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს სამართლიანობის დოქტრინის გატარება პრესის მიერ და მის კრიტიკაზე შეპასუხების შესაძლებლობა.**

⁵³ *Bladet Tromsø et Sensaas*, §63.

⁵⁴ *Fressoz et Roie* §52.

ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ არაერთხელ მიუთითეს, რომ საერთო პრინციპების მიხედვით, გაზეთი და სხვა კერძო მედია ახორციელებდნენ რედაქციულ თავისუფლებას იმის გადაწყვეტისას, გამოექვეყნებინათ თუ არა ესა თუ ის სტატია, კომენტარი თუ წერილი, რომლებიც წარმოდგენილი იყო კერძო პირთა მიერ. მაგრამ ზოგჯერ მედიას კანონიერად მოეთხოვებოდა გამოექვეყნებინა ზოგიერთი მასალა. მაგალითად, საპასუხო წერილი, რეტრაქცია (გამოსწორება), ბოდიშის მოხდა ან განაჩენი დიფამაციის საქმეზე. შესაბამისად, ზოგიერთ ვითარებაში წარმოიშობოდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყო ინდივიდის აზრის გამოხატვის თავისუფლება **შესაბამის მედიაში**. ყველა შემთხვევაში **სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო, რომ მედიის ხელმისაწვდომობაზე უარი არ ყოფილიყო თვითნებური და არაპროპორციული ჩარევა ინდივიდის გამოხატვის თავისუფლებაში, და რომ ნებისმიერი ასეთი უარის გასაჩივრება შესაძლებელი ყოფილიყო სასამართლოში.**⁵⁵ ამასთანავე, „თვითნებურ უარად“ არ განიხილება შემთხვევები, როდესაც საპასუხო წერილი უხამსობას შეიცავს ანდა სხვაგვარად არღვევს „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს.⁵⁶ თუმცა საერთოდ, აღიარებულია ე.წ. „ადეკვატური პასუხის უფლება და საპასუხო წერილის მიმართ დამოკიდებულება უფრო ლიბერალურია.“⁵⁷

ჟურნალისტთა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ და მასთან ერთად „ობიექტური და სამართლიანი რეპორტაჟის“ მოთხოვნა, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს **„კონფლიქტებისა და საზოგადოებაში დაძაბული ვითარების დროს** ინფორმაციის გადაცემისას, ვინაიდან ისინი, ნებით თუ უნებლიედ შეიძლება გახდნენ ვითარების ესკალაციის მიზეზი, სიძულვილისა და ძალადობისაკენ წაქეზების ხელშემწყობნი. ზოგიერთ შემთხვევაში, „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ შესაძლოა გულისხმობდეს მოთხოვნას, რომ ჟურნალისტი ცალსახად გაემიჯნოს ინტერვიუების დროს სხვა პირთა მიერ გამოთქმულ შეხედულებებს.

Erdogdu and Ince საქმეში ევროპულმა სასამართლომ შესანიშნავად ახსნა ეს საშიშროება და ჩამოაყალიბა შესაბამისი მიდგომა:

„გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა მასმედიის წარმომადგენლებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონფლიქტისა და დაძაბულობის პირობებში.

⁵⁵ *Winer v. The United Kingdom*, Commission decision of 10 July 1986. DR 48. გვ.154. *Earl Spencer and Countess Spencer v. The United Kingdom*. Commission decision of 16 January 1998. DR 25. გვ.26.

⁵⁶ *Melnychyk v. Ukraine*, decision of 5 July 2005.

⁵⁷ „შეპასუხების უფლების“ ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1974 წელს მიღებულ №26 რეზოლუციაში, მინისტრთა მე-4 კონფერენციის მიერ 1994 წელს მიღებულ რეზოლუციაში, აგრეთვე მედიაში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 12 თებერვალს მიღებულ დეკლარაციაში. მათი მიხედვით, ინდივიდს უნდა გააჩნდეს ადეკვატური დაცვის საშუალებანი პრესის პუბლიკაციის წინააღმდეგ, რომელმაც ხელყო მისი პირადი ცხოვრება, პატივი, ღირსება ან რეპუტაცია. იხ. Resolution (74) 26 on right to reply Position of the individual in relation to press, Committee of Ministers, 2 July, 1974. Resolution N2. „*Journalistic Freedoms and Human Rights*“, 4th European Ministerial Conference on Mass Media Policy, The Media in a Democratic Society, Prague, 7-8 December, 1994. Council of Europe, Committee of Ministers, *Declaration on Freedom of political debate in media*, adopted by Committee of Ministers on 12 February, 2004.

განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნას შეფასებული უკანონო ორგანიზაციათა წარმომადგენლების ისეთი შეხედულებების პუბლიკაცია, რომლებიც სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალადობისაკენ მოუწოდებენ... მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ასეთ დროს ეწვეიან დიდ რისკს, გახდნენ სიძულვილისა და ძალადობისაკენ მომწოდებელი გამოსვლების მხარდამჭერნი. ხოლო მაშინ, თუ გამოხატული აზრი ასეთ კატეგორიას არ განეკუთვნება, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა სისხლის სამართლის გამოყენებით არ უნდა შეზღუდონ საზოგადოების მხრიდან ინფორმაციის მიღების უფლება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული უშიშროებისა თუ დანაშაულის თავიდან აცილების ინტერესთა საბაბით, იმისათვის, რათა ზეწოლა მოახდინონ მასმედიაზე.⁵⁸

ამ მიდგომის შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ, რაკი გამოთქმული განცხადებები არ შეიცავდა ძალადობისაკენ მიწოდებას, *Erdogdu and Ince*-ს, *Sürek and Özdemir*⁵⁹-ისა და *Sürek (N 4)*⁶⁰ საქმეებში, დაცვა ისინი და ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

მათგან განსხვავებით, *Sürek (N 1)*⁶¹ და *Sürek (N 3)*⁶² საქმეებში სასამართლომ, რადგან სადავო განცხადებები „ძალადობისაკენ მოწოდებად“ მიიჩნია, გამართლებულად ცნო შესაბამისი რედაქტორებისა და ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა და მიუთითა, რომ რედაქტორები და ჟურნალისტები იზიარებდნენ გამონათქვამების ავტორთა „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“ იმ შემთხვევებშიც კი, თუ ისინი პირადად მხარს არ უჭერდნენ სტატიაში გამოხატულ მოსაზრებებს, ვინაიდან ამ განცხადებათა ავტორებს მათ საშუალება მისცეს საგაზეთო ნომერში მოეწოდებინათ დანაშაულის ჩადენისაკენ. პრესის თავისუფლების შეზღუდვა ამ საქმეებზე ევროპულმა სასამართლომ „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებად“ მიიჩნია.⁶³

ინტერვიუებში გამოთქმულ შეხედულებებთან გამიჯვნის ვალდებულება უფრო ხშირად წამოიჭრება სხვა პირთა რეპუტაციის ხელყოფის დროს. მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაშიც ჟურნალისტები და რედაქტორები იზიარებენ განცხადებების ავტორთა მოვალეობასა და პასუხისმგებლობას სხვა პირთა რეპუტაციის შელახვის გამო. თუმცა, „გამიჯვნის“ ვალდებულება ასეთ დროს ყოველთვის თანაბრად ძლიერი არ არის. მაგალითად, როდესაც საკითხი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეადგენს და მასზე საჯარო დებატების კონტექსტშია გაკეთებული, „გამიჯვნის“ ვალდებულება ისეთი ძლიერი აღარ არის. *Thoma*-ს საქმეში ევროპულმა სასამართლომ მიუთითა:

„ჟურნალისტებისათვის იმის მოთხოვნა, რომ სისტემატურად და აშკარად გაემიჯნონ იმ ციტატების შინაარსს, რომელმაც შესაძლოა შეურაცხყოფა

⁵⁸ *Erdogdu and Ince*, judgment of 8 July .99.

⁵⁹ *Sürek and ozdemir v. Turkey*, judgment of 8 July 99

⁶⁰ *Sürek (N4) v. Turkey*, judgment of 8 July 1999

⁶¹ *Sürek (N1) v. Turkey*, judgment of 8 July 1999

⁶² *Sürek (N3 v. Turkey*, judgment of 8 July 1999

⁶³ ამასთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე საქმე *Çetin and Others v. Turkey* (judgment of 5 December 2002), რომელიც შეეხებოდა პერიოდული გამოცემის აკრძალვას რეგიონში, სადაც საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული.

მიაყენოს ვინმეს, გამოიწვიოს მისი აღშფოთება და რეპუტაციის შელახვა, შეუთავსებელია პრესის ფუნქციასთან – გაავრცელოს ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ არსებულ მოსაზრებებსა და შეხედულებებზე.⁶⁴

ეს საქმე შეეხებოდა ჟურნალისტის მსჯავრდებას სწორი ინფორმაციის გავრცელების მოვალეობის დარღვევის გამო. მან ციტირება მოახდინა სხვა (მისი კოლეგა ჟურნალისტის) სტატიისა, რომელშიც კითხვის ქვეშ იყო დაყენებული საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ორგანოს კეთილსინდისიერება. ჟურნალისტმა, მართალია, აღნიშნა, რომ სხვისი აზრის ციტირებას ახდენდა, მაგრამ სრულებით არ გაემიჯნა მისი კოლეგის კომენტარებს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის ასეთი ხარისხი საკმარისი არ იყო მისი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად.

რესპონდენტების მიერ ინტერვიუში გამოთქმული შეხედულებებისადმი გამიჯვნის საკითხი აქტუალური გახდა ცნობილი *Jersild*-ის საქმეშიც. ვფიქრობ, აქ ევროპულ სასამართლოს ზომიერებისა და სამართლიანობის გრძნობამ უღალატა და სათანადო მნიშვნელობა არ მიანიჭა გამოთქმული შეხედულებებისაგან გამიჯვნის აუცილებლობას. საქმე ისაა, რომ რესპონდენტთა გამონათქვამები რასობრივი სიძულვილის გამომხატველი და უკიდურესად შეურაცხყოფელი ხასიათისა იყო (გამოყენებული იყო ყველაზე უფრო უხამსი და მიუღებელი გამონათქვამები. მაგალითად, შაკანია შედარებული იყვნენ გორილასთან, და მოხსენიებულნი, როგორც ცხოველები). ჟურნალისტმა თავის მხრივ, არაფერი დაუპირისპირა მათ, არ შეეკამათა მათ და არ გამოხატა თავისი პოზიცია. ევროპულმა სასამართლომ, მართალია ზოგადად მიუთითა ჟურნალისტის „მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე“, მაგრამ მხოლოდ იმ ერთადერთ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ჟურნალისტმა სატელევიზიო გადაცემის დროს ახალგაზრდები „ექსტრემისტებად“ მოიხსენია, გამართლებულად არ მიიჩნია ჟურნალისტის დასჯა რასისტული იდეების გავრცელების ხელშეწყობისათვის.“⁶⁵

ევროპული სასამართლოს მიერ ამ საქმეში დაკავებული პოზიცია არ შეესაბამება მის მიერვე დამკვიდრებულ საერთო მიდგომას. აშკარაა, რომ ჟურნალისტი (ნებისთიე უნებლიედ), მართლაც გახდა რასისტული შეხედულებების გავრცელების ხელშემწყობი, რაც სულ მცირე, მას ამ შეხედულებებისაგან გამიჯვნასა და მათი დამგმობი პოზიციის გამოთქმას ავალდებულებდა. ვფიქრობ, ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ვერ მიაღწია სამართლიან ბალანსს ჟურნალისტის უფლებებსა და სხვა პირთა რეპუტაციის დაცვის ინტერესს შორის.

ჟურნალისტთა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ უამრავ სხვა ვითარებასთან მიმართებაშიც წარმოიშობა და მათ მოცულობას და შინაარსსაც ამ ვითარებათა სპეციფიკურობა განაპირობებს.

⁶⁴ *Thoma v. Luxemburg*, judgment of 29 May 2001, §34.

⁶⁵ *Jersild v. Denmark*, judgment of 23 September 1994.

საბოლოო ჯამში, ჟურნალისტთა „მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით“ ნაგულისხმები მოთხოვნები, წარმოადგენენ პრესის ექსცესიური თავისუფლების დამაბალანსებელ ეფექტიან საშუალებას.

დაბოლოს, კიდევ ერთი ასპექტი: ჟურნალისტებისათვის დაკისრებული მოვალეობანი და პასუხისმგებლობა თანაბრად შეეხება შესაბამისი მედიის მესაკუთრეებს, გამომცემლობასა და მთავარ რედაქტორებს. შესაბამის პასუხისმგებლობას, მათ შორის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ისინიც იზიარებენ. აღიარებულია მათი პასუხისმგებლობის პრეზუმფცია ჟურნალისტის მიერ დიფამაციური განცხადებების გავრცელებისათვის. ასეთი პრეზუმფცია წარმოდგება მათი მოვალეობიდან, წინასწარი კონტროლი განახორციელონ ინფორმაციის გავრცელებაზე და აღკვეთონ დიფამაციური ან შეურაცხმყოფელი ბრალდებების გავრცელება. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდა კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც გამომცემლობისა და მთავარი რედაქტორების პასუხისმგებლობის პრეზუმფციას ითვალისწინებენ, არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციას, მათ შორის, – არც უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. უფრო მეტიც, როდესაც ჟურნალისტი ბოროტი განზრახვით მოქმედებს, რედაქტორის პასუხისმგებლობის პრეზუმფცია „ბოროტ განზრახვასაც“ მოიცავს; თუმცა ამ მიმართებაში პრეზუმფცია არ არის უცილობელი (*irrebutable*), თუკი იგი დაამტკიცებს, რომ ჟურნალისტისაგან განსხვავებით, კეთილი განზრახვით მოქმედებდა.⁶⁶ მთავარი რედაქტორის პასუხისმგებლობის პრეზუმფცია არ მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ დიფამაციური ან შეურაცხმყოფელი იდეები ან ინფორმაციის შინაარსი წინასწარ არ იყო ცნობილი და იმავდროულად რედაქტორს არ ჰქონდა მისი გაკონტროლების შესაძლებლობა, მაგალითად, იმის გამო, რომ ისინი პირდაპირი ეთერით გადაიცა. *Radio France*-ს საქმეში ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ რეპუტაციის შემლახავი ინფორმაცია რადიოეთერით 62-ჯერ გადაიცა. მაგრამ მთავარი რედაქტორის პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ ინფორმაციის პირველ გადაცემასთან მიმართებაში გამორიცხა, ვინაიდან მიიჩნია, რომ ყველა დანარჩენ შემთხვევაში რედაქტორს უკვე გააჩნდა ვითარების გაკონტროლების შესაძლებლობა.

⁶⁶ *Radio France and Others v. France*, judgment of 30 March 2004.

თ ა ვ ი 8

გამონახვის თავისუფლების შეზღუდვა სხვა პირთა უფლებებისა და ჩივილების დაცვისათვის

§8.1. სავსებით მიღობა «OFFEND, SHOCK OR DISTURB» ფორმის მიხედვით

გამონახვის თავისუფლებასა და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციას შორის ღირებულებითი კონფლიქტი ძალზე ხშირია და ეს არც არის გასაკვირი. შეხედულებებისა თუ იდეების გამონახვა, ისევე, როგორც ინფორმაციის გავრცელება, მათ შორის საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე, ხშირად შეეხება ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებსა თუ ცალკეულ პიროვნებებს; გამონახვის თავისუფლების დაცვლობა კი, თავისთავად უკვე გულისხმობს იმას, რომ დაცულია მოქმედება, რომელიც შეიცავს ძალიან დიდ რისკს სხვა პირთა უფლებების, მათ შორის რეპუტაციის დარღვევისა. დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია განსხვავებული აზრებისადმი შემწყნარებლობა. ეს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის არსებით, აუცილებელ კომპონენტად არის აღიარებული. ამიტომ, ევროპული სასამართლო, საზოგადოდ შემწყნარებელია ისეთი იდეებისა თუ ინფორმაციების პუბლიკაციისა, რომლებიც ზიანს აყენებენ სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციას ანდა შეიცავენ იმათი შეურაცხყოფისა თუ სატანჯველის რისკს, ვინც ისინი მოისმინა. ამასთანავე, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გამონახვის თავისუფლება არასოდეს იზღუდება სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად. რა თქმა უნდა იზღუდება და საკმაოდ ხშირადაც, როდესაც ამას ევროპული სასამართლო გამართლებულად მიიჩნევს.

აქ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ *Handyside*-ს საქმის განჩინებაში გადმოცემულ განმარტებას, რომელშიც ახსნილია გამონახვის თავისუფლების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და მისი დაცვლობის საერთო ფარგლები. ამჯერად მხედველობაში გვაქვს ფორმულა – „შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი“ (*offend, shock or disturb*). ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავდა არა მარტო ისეთ იდეებსა და ინფორმაციას, რომელსაც კეთილგანწყობით ან ინდიფერენტულად ეგებებიან, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელია სახელმწიფოსა თუ ადამიანთა ცალკეული ჯგუფებისათვის.¹

ამ დებულების ანალიზი ნათლად დაგვანახებს, თუ როგორია ძირითადი მიდგომა გამონახვის თავისუფლებასა და სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის ღირებულებითი კონფლიქტის გადაჭრისას.

¹ *Handyside*, §49.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა მოწმობს, რომ *Handyside*-ს ზემოაღნიშნული ფორმულა ძალზე ხშირად არის მოხმობილი იმ მომჩივანთა მიერ სასამართლოსათვის წარდგენილ მოსაზრებებში, რომელთა გამოხატვის თავისუფლება შესაბამისმა სახელმწიფომ სხვა პირთა უფლებების დასაცავად შეზღუდა. ჩვენი დაკვირვებით, ამის მიზეზი ნაწილობრივ, ისიც არის, რომ ეს ფორმულა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა: *Prima facie*, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლება მოიცავს სხვისი შეურაცხყოფის, გაოგნებისა და შეშფოთების უფლებას. არის თუ არა ეს მართლაც ასე?

იმისათვის, რათა ამ კითხვას ვუპასუხოთ, გავარკვიოთ ზემოაღნიშნული დებულების მიზანდასახულობა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რა კონტექსტშიც ფორმულა – „შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი“ არის გამოყენებული.

ასე დავსვათ საკითხი: რა არის ამ ფორმულის მიზანდასახულობა – საერთო სულისკვეთების გადმოცემა თუ გამოხატვის თავისუფლების უმაღლესი და სავალდებულო სტანდარტის დამკვიდრება?

ჩვენი შეხედულებით, ამ ფორმულის მიზანდასახულება საერთო სულისკვეთების, საერთო მიდგომისა თუ დამოკიდებულების გამოხატვაა.

თუ მივიჩნევთ, რომ ევროპულმა სასამართლომ ამ განმარტებით გამოხატვის თავისუფლების დაცულობის უმაღლესი და სავალდებულო სტანდარტი დაამკვიდრა, შედეგები არაგონივრული და აბსურდულიც კი იქნება. ეჭვგარეშეა, რომ ფორმულა – „შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი, შემაშფოთებელი“ ძალიან აფართოებს გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ ფარგლებს და, მასთან ერთად – იმ შემთხვევათა წრესაც, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლის დაცვით ისარგებლებს, თუკი, რა თქმა უნდა, მას სიტყვა-სიტყვით და მაშასადამე ისევე ფართოდ გავიგებთ, როგორაც ის არის ჩამოყალიბებული. გამოვა, რომ ასეთი „ინფორმაცია“ და „იდეები“ არასდროს არ უნდა შეიზღუდოს სხვა პირთა უფლებებისა თუ რეპუტაციის დაცვის მოსაზრებებით. ეს კი ყოველთვის გამართლებული ვერ იქნება და ცხადია, არც ევროპული სასამართლოს პრაქტიკაა ასეთი. მასში მოიძვეთ უამრავ მაგალითს იმისა, რომ სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია სხვებისათვის შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი თუ შემაშფოთებელი იდეებისა ან ინფორმაციის შეზღუდვა. უფრო მეტიც, საკუთრივ *Handyside*-ს საქმეშიც ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია საზოგადოებრივი მორალისა და არასრულწლოვანთა ინტერესების დასაცავად მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. ამრიგად, სხვებისათვის შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი იდეები და ინფორმაცია იზღუდება; იზღუდება საკმაოდ ხშირად და ეს შეზღუდვა კონვენციის საფუძველზე ხორციელდება. მაშ რაშია საქმე, განა *Handyside*-ს განმარტება ეწინააღმდეგება კონვენციასა და ევროპული სასამართლოს მთელ პრაქტიკას? რა თქმა უნდა, არა.

საქმეც ისაა, რომ როგორც აღნიშნეთ, აღნიშნული ფორმულა საერთო სულისკვეთების მაჩვენებელია და არა მზამზარეული ინსტრუქცია მექანიკური გამოყენებისათვის. იგი იმას კი არ განსაზღვრავს, რა უნდა იყოს ყოველთვის დაცული, არამედ იმას, თუ რა შეიძლება იყოს დაცული. იგი ხსნის, რომ თვით შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი და შემაშფოთებელი „იდეები“ და „ინფორმაცია“ კი შეიძლება იყოს დაცული და ეს თვისებები სრულიადაც არ არის საკმარისი მათ შესაზღუდად. *Handyside*-ს განმარტება არ ქმნის შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი იდეებისა თუ ინფორმაციის შეზღუდვისაგან დაცვის იმუნიტეტს. ასეთი იდეები და ინფორმაცია, რა თქმა უნდა, შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. არსებითად, *Handyside*-ს ზემოაღნიშნული დებულება განმარტავს შეზღუდვის პირობას – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და წარმოადგენს ერთგვარ მინიშნებას შეზღუდვის მცირე ფარგლების, „აუცილებელის“ მაღალი სტანდარტის შესახებ. ამაზე მეტყველებს ხსენებული განმარტების ბოლო წინადადებაც: „ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, ურომლისოდაც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.“ ამ წინადადების კონტექსტში ფორმულა – „შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი“ შემდეგ ლოგიკას გულისხმობს: რადგან დემოკრატიული საზოგადოება არ არსებობს პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნების გარეშე, ამიტომ სახელმწიფომ და ადამიანებმა უნდა აიტანონ მათთვის შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი თუ შემაშფოთებელი იდეებისა ან ინფორმაციის მოსმენა და, რომ ამიტომ, დემოკრატიულ საზოგადოებაში მათი შეზღუდვა ლოგიკურად მხოლოდ იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი.

ჩვენი შეხედულებით, *Handyside*-ს განმარტების მხოლოდ ამგვარი ინტერპრეტაციაა გონივრული და შესაბამისი. ამგვარად, ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული დებულება, რომელმაც ფართო შინაარსი მიანიჭა გამოხატვის თავისუფლებას, **პრაქტიკაში შედარებით ვიწრო ინტერპრეტაციას თხოულობს.**

ცალკე საკითხია, შეიძლება თუ არა საერთოდ ევროპული სასამართლოს ზოგადი ხასიათის განმარტებების განმარტება. ვფიქრობთ, რომ შეიძლება და ზოგჯერ აუცილებელიცაა, თუ მისი გამოყენების შესატყვისობა შესაბამის შემთხვევებში ეჭვებს წარმოშობს.

მოცემულ შემთხვევაში, ამოსავალი ჩვენთვის დებულების მიზანდასახულობა იყო. ევროპული სასამართლოს ზოგადი ხასიათის განმარტებების პირდაპირ გამოყენება ახალ საქმეებში მათი ურთიერთშესატყვისობის შეფასებას მოითხოვს. სწორედ ეს გახლავთ პრეცედენტული სამართლის სპეციფიკა და მისი სირთულეც. როგორც ევროპული სასამართლოს მოსამართლე **ზუპანჩიჩი** აღნიშნავს, ცოტაა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში ისეთი ზოგადი ხასიათის განმარტებები, რომელთა გამოყენება სხვა საქმეებში სირთულეს არ წარმოადგენს. იგი იმით ხსნის ამ გარემოებას, რომ ასეთი ზოგადი ხასიათის განმარტებები ყოველთვის შესაბამისი საქმის ფაქტობრივ და

სამართლებრივ კონტექსტს ემყარება. ამიტომ მათ ბრმად გამოყენებას სხვა საქმეებში დაუშვებლად მიჩნევს. ზუპანჩიჩის აზრით, პრეცედენტისა და მასთან ერთად შესაბამისი ზოგადი ხასიათის განმარტებების გამოყენების დროს აუცილებელია შესაბამისი საქმეთა ფაქტობრივი და სამართლებრივი კონტექსტების შედარება.²

მართლაც, რომელიმე „კერძო“ საფუძველზე შემუშავებული „ზოგადი“, ყოველთვის შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სხვა, თუნდაც მსგავს „კერძო“. შესაბამისად, ბუნებრივად წარმოიშობა ამ ორი კერძო შემთხვევის შედარების საჭიროება მათი იდენტურობისა თუ არა, მსგავსების ისეთი ხარისხით დადგენის მიზნით, რომელიც საკმარისად ჩაითვლება შესაბამის გარემოებებში. ლოგიკური სვლა „კერძოდან“ „ზოგადისაკენ“, ხოლო შემდეგ ამ „ზოგადიდან“ სხვა „კერძოსაკენ“, ანუ ინდუქციურ-დედუქციური ოპერაციები ცდომილების ორმაგ საფრთხეს შეიცავს და ყურადღებით შემოწმებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სასამართლოს ზოგადი ხასიათის განმარტებები, რომლებიც კონკრეტული საქმის კონტექსტის საფუძველზეა შექმნილი, ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული. ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება უამრავი ფაქტორისა და ნიუანსის გათვალისწინებას მოითხოვს, რომელთა საფუძველზე საბოლოო ჯამში ყალიბდება შეხედულება იმის თაობაზე, იყო თუ არა მოცემულ შემთხვევაში გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ასეთი ფაქტორებისა და ნიუანსების წინასწარ გათვალისწინება კი შეუძლებელია. ამიტომაც შეიძლება მოხდეს, რომ სასამართლოს ამა თუ იმ საკვებით სწორი დებულების გამოყენება და მის საფუძველზე საქმის ბედის გადაწყვეტა, სწორი და შესაბამისი არ აღმოჩნდეს.

ზემოაღნიშნულ პრობლემაზე იმდენად გავამახვილეთ ყურადღება, რამდენადაც აუცილებლად მივიჩნიეთ, გამოგვეკვეთა ევროპული სასამართლოს ზოგადი ხასიათის განმარტებების სავალდებულობის ერთგვარი პირობითი ხასიათი, რათა თავიდან აგვეცილებინა უსწორო დასკვნების გამოტანა ისეთ შემთხვევებთან მიმართებაში, როდესაც სასამართლოს ესა თუ ის გადაწყვეტილება „არ ემთხვევა“ მის მანამდე მიცემულ განმარტებებს, ანდა როდესაც სასამართლოს ერთი განმარტება არ ემთხვევა მეორეს. ასეთი „შეუსაბამოებების“ აღმოჩენა ყოველთვის ვერ იქნება იმის მაჩვენებელი, თითქოს სასამართლოს ერთი განმარტება ეწინააღმდეგება მეორეს, ანდა სასამართლოს გადაწყვეტილება – მსგავს საქმეზე მიღებულ წინარე გადაწყვეტილებას.

ნათელი გამოვლინება ასეთი „მოჩვენებითი წინააღმდეგობრიობისა“ არის *Handyside*-სა და *Otto-Preminger-Institute*-ს განმარტებები. *Handyside*-ს განმარტების მიხედვით, გამოსატვის თავისუფლება მოიცავს სხვისი „შეურაცხყოფის, გაოგნებისა თუ შეშფოთების უფლებას“, ვინაიდან ასეთია ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები. *Otto-Preminger-Institut*-ის საქმეში კი ევროპულმა სასამართლომ თქვა, რომ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ვერ ჩაითვლებოდა რაიმე

² M.Zupančič. *On the Interpretation of Legal Precedents and of the Judgments of the European Court of Human Rights*, 2004.

ფორმით საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად, რომელიც ქვეყნის პროგრესს შეუწყობდა ხელს. თუ ამ განმარტებებს სიტყვა-სიტყვით, პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ, პირველი მათგანის მიხედვით, სხვისთვის შეურაცხმყოფელი იდეები და შეხედულებები არასდროს არ უნდა შეზღუდულიყო, ხოლო მეორე მათგანის მიხედვით პირიქით – მათი შეზღუდვა ყოველთვის გამართლებულად უნდა მიჩნეულიყო. არა და, არცერთი მიდგომა არ იქნებოდა სწორი. *Handyside*-ს განმარტების მსგავსად, *Otto-Preminger-Institute*-ის განმარტებაც ვიწროდ უნდა გავიგოთ. მისი დედააზრი ისაა, რომ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ღირებულებითი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე საჯარო დებატების კონტექსტში ძალზე მცირეა და ნაკლებად იმსახურებს დაცულობას.

ასეთივე „მოჩვენებით შეუსაბამობად“ შეიძლება მივიჩნიოთ ევროპული სასამართლოს განმარტებები პრესის თავისუფლების სფეროში. იგი, ერთი მხრივ, მიუთითებს ჟურნალისტის მოვალეობებზე, საზოგადოება მოამარაგოს სწორი და ნამდვილი ინფორმაციით და დაიცვას ჟურნალისტური ეთიკის წესები. მეორე მხრივ კი მიუთითებს, რომ ჟურნალისტს აქვს გადაჭარბებისა და პროვოკაციის უფლება. ცხადზე ცხადია, რომ ნებისმიერი გადაჭარბება თუ პროვოკაცია ვერ იქნება შეწყნარებული ევროპული სასამართლოს მხრიდან.³ სასამართლოს შესაბამისი დებულების არსი ის გახლავთ, რომ ზოგჯერ გადაჭარბება და თვით პროვოკაციაც კი შეიძლება დაცული იქნას და ეს გარემოებანი, ცალკე აღებული, სრულიადაც არ არის საკმარისი საფუძველი მათ შესაზღუდად.

ამგვარად, ევროპული სასამართლოს ზოგადი ხასიათის განმარტებებს პირობითი ხასიათი აქვთ და მათი გამოყენების შესატყვისობა ახალ საქმეებში გონივრულ საფუძველზე უნდა შემოწმდეს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სტრასბურგის სასამართლოს ზოგადი განმარტებების პირობითობის ხარისხი ყოველთვის ერთნაირი არ არის. ზოგიერთი მათგანი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უფრო მეტ გარკვეულობას გულისხმობს, შედარებით უფრო კონკრეტულ წანამძღვრებს ეყრდნობა და ამის გამო ცდომილების ნაკლებ შესაძლებლობას შეიცავს. შესაბამისად, გაიოლებულია მისი შესატყვისობის შეფასებაც. მაგალითად, ევროპული სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ დიფამაციის საქმეებში რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გამავრცელებელი ვალდებულია თავისი ბრალდების სოლიდური ფაქტობრივი საფუძველი წარმოადგინოს, დიფამაციის საქმეთა უდიდეს უმრავლესობაში „შესატყვისი“ შეიძლება აღმოჩნდეს. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით *Handyside*-ს განმარტებაზე. დებულება იმის შესახებ, რომ გამოხატვის თავისუფლება მოიცავს შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი და შემაშფოთებელი იდეებისა თუ ინფორმაციების გავრცელებას, თუ მას პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, ძალზე ხშირად აღმოჩნდება შეუსაბამო. სწორედ ამიტომ იგი

³ მაგალითისთვის იხ. *Radio France and Others v. France*, judgment of 30 March 2004.

ვიწრო ინტერპრეტაციას მოითხოვს და უნდა მივიჩნიოთ, როგორც საერთო სულისკვეთების გამოვლინება, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი და ერთგვარი მინიშნება დასაშვები შეზღუდვის მცირე ფარგლების შესახებ.

ძალზე საგულისხმოა ამავე საკითხზე **ლუციუს ვილდჰაბერის** მოსაზრება, რომელიც ნაწილობრივ ემთხვევა ჩვენსას. იგი არ მიიჩნევს, რომ *Handyside*-ს განმარტებას მხოლოდ საერთო ორიენტაციის ფუნქცია აქვს (ყოველ შემთხვევაში ამას პირდაპირ არ მიუთითებს). პირიქით, მისი შინაარსი შედარებით უფრო პირდაპირი მნიშვნელობით ესმის და მიიჩნევს, რომ გამოხატვის თავისუფლება მოიცავს სხვისი შეურაცხყოფის, გამოაგნებისა თუ შეშფოთების უფლებას. მაგრამ ფაქტობრივად, მაინც აღიარებს ამ დებულების ვიწრო ინტერპრეტაციის აუცილებლობას. იგი, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ „შეურაცხყოფის“ უფლება აბსოლუტური არ არის. მეორე მხრივ, მიუთითებს იმ სფეროებს, რომელსაც „შეურაცხყოფის უფლება“ ვერ გადაფარავს (სიძულვილის გავრცელება (*hate speech*) და ძალადობის ჩადენისაკენ წაქეზება). მესამე მხრივ კი აზუსტებს, რომ „შეურაცხყოფის უფლება“ უწინარესად საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე იღებებისა და ინფორმაციების გავრცელების კონტექსტს გულისხმობს. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ვილდჰაბერმა აღნიშნა, რომ „შეურაცხყოფის უფლება“ მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო დებატების დემოკრატიული პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფას.⁴ ამ ნაწილში ვილდჰაბერის მოსაზრებას არსებითად ვეთანხმებით. საგულისხმოა, რომ ინტერპრეტაციისას ამოსავალი წერტილი მისთვისაც ამ განმარტების მიზანდასახულობაა. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ არც საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან მიმართებაშია „შეურაცხყოფის უფლება“ აბსოლუტური და ყოველთვის შესატყვისი. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არაერთი საქმეა ისეთი, სადაც ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხებოდა. მაგრამ პირადი რეპუტაციის შელახვა მაინც არ იქნა შეწყნარებული სასამართლოს მხრიდან.⁵ ასე რომ, „შეურაცხყოფის უფლება“ არც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიის კონტექსტს გადაფარავს მთლიანად; უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ ამ სფეროში „შეურაცხყოფის უფლებას“ ყველაზე მეტი დასაყრდენი გააჩნია არსებობისათვის, მაგრამ პირობითობის გარკვეული ხარისხი მაინც არსებობს და ამიტომ არც ამ სფეროში გამოდგება იგი უნაკლო და სავალდებულო ინსტრუქციად.

ასე თუ ისე, ვფიქრობთ, რომ ბ-ნი ვილდჰაბერისეული ინტერპრეტაცია ფორმულისა – „*offend, shock or disturb*“, მაინც იმის აღიარებას გულისხმობს, რომ მას პირობითი ხასიათი აქვს და ყოველთვის თანაბრად შესატყვისი არ არის.

⁴ **Wildhaber Luzius**, *The right of offend, shock or disturb? – aspects of freedom of expression under the European Court on Human Rights*. Sixth Annual RTE/UCD Lecture in the series; Broadcasting, Society and the Law. Dublin, 11 October, 2001.

⁵ მაგალითისათვის იხ. *Cumpăna and Mazăre v. Romania*, judgment of 17 December 2004. *Keller v. Hungary*, decision of 4 April 2006.

საბოლოო ჯამში, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ *Handyside*-ს საქმეში მიცემული განმარტებით, ევროპულმა სასამართლომ გამოხატა თავისი საერთო დამოკიდებულება გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობისადმი დემოკრატიულ საზოგადოებაში და საერთო სულისკვეთება მისი მაღალი სტანდარტით დაცვის აუცილებლობის შესახებ. ჩვენი რწმენით ფორმულა – „შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი“, როგორც ცალკე აღებული, ისე მთელი განმარტების კონტექსტში იმავე მიზანს ემსახურება და წარმოადგენს გარკვეულ მინიშნებას დაცვის შესაძლო უკიდურესი საზღვრების შესახებ.

ასეთი ინტერპრეტაცია მთლიანად შეესაბამება ევროპული სასამართლოს ზოგადი ხასიათის სხვა განმარტებებს, რომლებშიც იგივე აზრი სხვადასხვაგვარად არის გამოთქმული: „გამოხატვის თავისუფლება... ექვემდებარება რიგ გამონაკლისებს, რომლებიც განმარტებული უნდა იქნას ვიწროდ, ამა თუ იმ შეზღუდვის აუცილებლობა სარწმუნოდ უნდა იყოს დადგენილი“.⁶

„...როდესაც საქმე შეეხება კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ უფლებებს, აღნიშნული კონტროლი უნდა იყოს მკაცრი, გამომდინარე მათი მნიშვნელობიდან, რაც არაერთგზის აღუნიშნავს სასამართლოს. მათი შეზღუდვის აუცილებლობა სარწმუნოდ უნდა იქნას დადგენილი.“⁷

ამრიგად, სხვა პირთა შეურაცხყოფის, მათი უფლებებისა და რეპუტაციის შელახვის დროს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ყოველთვის ექვემდებარება დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი შეზღუდვის აუცილებლობის შეფასებას.

ცხადია, ასეთი აუცილებლობის შეფასების დროს განსაკუთრებული მიდგომები გამოიყენება. ამ განსხვავებულობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. კერძოდ:

- ა) კონკრეტული პიროვნების უფლებებსა და რეპუტაციას შეეხება საქმე, თუ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისა;
- ბ) რა ნიშნით ხდება შეურაცხყოფა – რასობრივი, რელიგიური ან სხვა კუთვნილების ნიშნით თუ სხვაგვარად.

ქვემოთ ცალ-ცალკეა განხილული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხები როგორც პირთა განუსაზღვრელი წრის ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, ისე ცალკეული, კონკრეტული ინდივიდების უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად.

⁶ *Observer and Guardian v. the United Kingdom*, judgment of 26 November 1991, §59. *Sunday Times (N2) v. the United Kingdom*, judgment of 26 November 1991, §50. *Thorgeir Thorgeirson v. Iceland*, judgment of 25 June 1992, §63.

⁷ *Radio ABC v. Austria*, judgment of 20 October 1997.

§8.2. ბამონატვის თავისუფლების შეზღუდვა

პირთა განუსაზღვრელი წრის ან ადამიანთა ბარკვეული ჯგუფის რეპუტაციისა თუ სხვა უფლებების დასაცავად

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სასამართლოს შესაბამისი იურისპრუდენცია დასაშვებად მიიჩნევს საზოგადოების, მისი ცალკეული ფენებისა თუ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის უფლებების დასაცავად ბამონატვის თავისუფლების შეზღუდვას. მთელი საზოგადოებისა თუ ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისათვის შეურაცხყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი იდეები და ინფორმაცია შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ასეთი ინფორმაციისა თუ იდეების გავრცელების ღრის შეიძლება ერთდროულად შეექმნას საფრთხე არა მარტო ცალკეული ინდივიდების (როგორც საზოგადოებისა თუ ცალკეული ჯგუფების წევრების) ინტერესებს, არამედ ამა თუ იმ საჯარო ინტერესსაც; მაგალითად – საზოგადოებრივი მორალის დაცვას, ქვეყანაში რელიგიური სიმშვიდის შენარჩუნებას, საზოგადოებრივ წესრიგს და სხვ. შესაბამისად, შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ორი კანონიერი ინტერესი - „სხვა პირთა უფლებები“ და შესაბამისი ესა თუ ის საჯარო ინტერესი. რაკი სხვადასხვა საჯარო ინტერესების დასაცავად ბამონატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხებს წინამდებარე ნაშრომში ცალკე თავები ეძღვნება, ამიტომ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ერთ პრობლემურ და ნაკლებად დამუშავებულ საკითხზე, კერძოდ – **ადამიანთა ჯგუფის დიფამაციაზე**.

ა) საკითხის დასმა

ადამიანთა ჯგუფის ან პირთა განუსაზღვრელი წრის რეპუტაციის დასაცავად ბამონატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემურობა იქიდან წარმოდგება, რომ „რეპუტაცია“, ამ სიტყვის ორდინარული გაგებით, მხოლოდ ინდივიდისთვისაა დამახასიათებელი. იგი კონკრეტულ სუბიექტს გულისხმობს. „რეპუტაციის“ მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ კონკრეტული სუბიექტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი.¹ აქედან გამომდინარე, წამოიჭრება საკითხი, შეიძლება თუ არა ინდივიდუალური რეპუტაცია შეილახოს ისეთი განცხადებებით, რომლებიც ადამიანთა განუსაზღვრელ რაოდენობას ან ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს შეეხება და მასში ცალკეული პიროვნებები დასახელებული არ არის. შესაბამისად, - შეუძლიათ თუ არა პიროვნებებს, ცალ-ცალკე თუ ერთობლივად, აღძრან საქმე (სამოქალაქო სარჩელი ან

¹ იხ. *The Oxford Companion to Law* by **David M. Walker**. Clarendon Press Oxford, 1980, გვ.1061.

კერძო ბრალდების საქმე) თავიანთი რეპუტაციის დასაცავად ისეთი განცხადებების წინააღმდეგ, რომელშიც კრიტიკის ობიექტის ვინაობა დასახელებული არ იყო.

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, დაშვებულია თუ არა ეს უფლება საზოგადოდ და შეესაბამება თუ არა იგი კონვენციის მე-10 მუხლს.

ბ) წინასწარი კომენტარი

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი არ წარმოიშობა რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ნიშნით ჯგუფურ დიფამაციასთან მიმართებაში. ასეთი დიფამაცია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით დანაშაულად არის გამოცხადებული და წარმოადგენს საჯარო ბრალდების საქმეს. ეს თემატიკა კარგად არის დამუშავებული გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკაში.²

ეს პრობლემა წარმოიშობა ადამიანთა ჯგუფის დიფამაციის ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც აქცენტი არ იყო გაკეთებული პერსონალიებზე.

ადამიანთა ჯგუფის დიფამაციის იურიდიული ბუნება თავისთავად მიგვანიშნებს რამდენიმე ორიენტირზე, რომლებიც სამართლებრივად სწორ დასკვნებამდე მიგვაახლოებს.

ამკარაა, რომ ჯგუფის დიფამაციასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტაზე უთუოდ იქონიებს გავლენას რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ:

I. ხელისუფლების წარმომადგენლებს შეეხებოდა საქმე თუ ადამიანთა სხვა ჯგუფებს;

II. რამდენად დიდი თუ მცირე იყო ადამიანთა ჯგუფი, ვის მიმართაც გამოითქვა დიფამაციური განცხადება;

III. შეიძლებოდა თუ არა განცხადების მიხედვით პერსონალიების (კონკრეტული პიროვნებების) ამოცნობა.

განცხადებები, რომლებიც პირობითად შეიძლება მიჩნეულ იქნას ჯგუფის დიფამაციად, პრაქტიკაში ხშირად უკავშირდება ხელისუფლების, მისი ცალკეული რგოლებისა თუ ინსტიტუტების კრიტიკას და გამოხატულია მის წარმომადგენელთა გაუპიროვნებელი კრიტიკით. ის გარემოება, რომ ხელისუფლებას ან მის ცალკეულ რგოლს, როგორც კოლექტიურ ორგანოს არ უნდა ჰქონდეს უფლება იზრუნოს თავისი რეპუტაციის დასაცავად, ეს სადავოდ არ განიხილება (ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ

² Jones, Thomas David, *Human Rights, Group Defamation, Freedom of Expression and the Law of Nations*, The Hague, Boston, London, Nighoff Publishers, 1998; Freeman, Monroe H. and Eric M. Freedman, *Group Defamation and Freedom of Speech: The Relationship Between Language and Violence*, Westport: Greenwood Press, 1995. იხ. აგრეთვე, ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე *Garaudy v. France* (24.06.2003), რომელიც შეეხებოდა ებრაელთა მასობრივ საჯარო დიფამაციას და ისტორიულად უტყუარად დადგენილი ფაქტის – ჰოლოკოსტის უარყოფას. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-17 მუხლის ძალით მომჩივანი ვეღარ მოიშველიებდა მე-10 მუხლს მასობრივი საჯარო დიფამაციის გამო პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად და ამ ნაწილში საჩივარი მიუღებლად გამოაცხადა კონვენციის მე-10 მუხლთან საგნობრივი შეუთავსებლობის გამო.

საკითხებზე და ავხსენით, რომ ასეთი მიდგომა განპირობებულია ხელისუფლების კრიტიკისადმი ძალზე ფართო ფარგლების არსებობით). მოცემულ შემთხვევაში, საკითხი შეეხება იმას, აქვთ თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება, აღძრან საქმე პიროვნული რეპუტაციის შელახვისათვის ისეთი განცხადებებისათვის, რომლებიც არ იყო უშუალოდ მიმართული მათ წინააღმდეგ პიროვნულად. აშკარაა, რომ მათთვის ასეთი განცხადებების წინააღმდეგ საქმის აღძვრის უფლების მინიჭება მიუღებელი იქნებოდა და გამოიწვევდა ხელისუფლების კრიტიკის უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას. მაგალითად, განცხადება იმის შესახებ, რომ „ხელისუფლება კორუმპირებულია“ ან „მოსამართლეები მთავრობის დაკვეთას ასრულებენ“, არ აღჭურავს ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებს იმის უფლებამოსილებით, იზრუნონ ინდივიდუალური რეპუტაციის დასაცავად და მოითხოვონ ავტორის დასჯა ან თუნდაც მხოლოდ მორალური ანაზღაურება. ასეთი რამ მიუღებელი იქნებოდა არა მარტო ზემოაღნიშნული პრინციპული მოსაზრების გამო, არამედ საკუთრივ დიფამაციური განცხადების მეტისმეტად ფართო და ზოგადი ხასიათის გამოც. მაგრამ ვითარება ნაწილობრივ შეიცვლება, თუ საგრძნობლად დავიწროებულია იმ პირთა წრე, რომელსაც განცხადება შეეხება; მაგალითად, ისეთი განცხადების შემთხვევაში, რომ „ამა თუ იმ სასამართლოში (რომელშიც სულ 5 ან 10 მოსამართლეა) ყველა მოსამართლე მექრთამეა“. უფრო მეტად შეიცვლება ვითარება რეპუტაციის დაცვის უფლების სასარგებლოდ, თუ განცხადებაში მინიშნებულია კონკრეტულ მოსამართლეზე და მისი ამოცნობა შესაძლებელია. ცხადია, ეს ფაქტორები კიდევ უფრო არსებითია მაშინ, როდესაც დიფამაციური განცხადება არ უკავშირდება მათ სამსახურებრივ საქმიანობასა და მოვალეობებს, ანდა შეეხება ადამიანთა ისეთ ჯგუფს, რომლებიც არ არიან ხელისუფლების წარმომადგენლები. მაგალითად, განცხადებები იმის შესახებ, რომ „(ამა თუ იმ) სამედიცინო კლინიკაში მომუშავე ექიმების პროფესიონალიზმი დაბალია“, ანდა (ამა თუ იმ) „გუნდის ფეხბურთელები სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად დოპინგს იყენებენ“, გაცილებით მეტი ალბათობით შეიძლება დაექვემდებაროს საქმის აღძვრას, ვიდრე მოსამართლეების შემთხვევაში. ისევე, როგორც, კიდევ უფრო გაძლიერდება ეს ალბათობა პერსონალებზე მინიშნების შემთხვევაში.

ასეა თუ ისე, სრულიად აშკარაა შემდეგი სამართლებრივი კანონზომიერება: **რაც უფრო მცირეა და ადვილად იდენტიფიცირებადი საკუთრივ ჯგუფი ადამიანებისა, რომელსაც დიფამაციური განცხადება შეეხო, მით უფრო მეტია ინდივიდუალური რეპუტაციის შელახვის შესაძლებლობა და მასთან ერთად – სამართლებრივი წინაპირობა და ერთგვარი გამართლება მის დასაცავად საქმის აღძვრის უფლების დასაშვებულობისა, ასევე: რაც უფრო ადვილად ამოსაცნობია დიფამაციის კონკრეტული ადრესატი, მით უფრო რეალურია ინდივიდუალური რეპუტაციის შელახვის ფაქტი და შესაბამისად, მით უფრო საფუძვლიანია შესაბამისი „მსხვერპლის“ უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.**

ახლა შევამოწმოთ, თუ რამდენად შეესაბამება ზემოაღნიშნული ლოგიკური დასკვნები ამ სფეროში დამკვიდრებულ პოზიციებს.

ვინაიდან ევროპულ სასამართლოს ამ საკითხზე თავისი მკვეთრი პოზიცია ჯერ არ გამოუხატავს, პირველ რიგში მიმოვიხილავთ საერთო ევროპულ პრინციპებსა და სხვადასხვა ქვეყანაში დამკვიდრებულ მიდგომებს.

გ) არასამთავრობო ორგანიზაცია „მე-19“ მუხლის მიერ შემუშავებული პრინციპები

შეერთებული სამეფოს არასამთავრობო ორგანიზაციამ „მე-19 მუხლი“ შეიმუშავა გამოხატვის თავისუფლებისა და რეპუტაციის დაცვის პრინციპები, რომლებიც ემყარება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, სტანდარტებსა და ევროპის გაერთიანების ქვეყნების პრაქტიკას. ამ პრინციპების მიხედვით, მისაღები არ არის ისეთი კანონმდებლობა დიფამაციის სფეროში, რომელიც ნებას რთავს ინდივიდს, აღძრას საქმე ადამიანთა ისეთი ჯგუფის სასარგებლოდ, რომელსაც თავად არ გააჩნია ასეთი უფლება.

„მე-19 მუხლმა“ განმარტა ზემოაღნიშნული პრინციპი: „ჯგუფს, რომელიც იურიდიულად არ არსებობს (*which have no legal existence*), არ გააჩნია ინდივიდუალური რეპუტაცია ამ სიტყვის, რაიმე მყარი გაგებით (*in any credible sense*). კანონი, რომელიც იცავს ასეთი ჯგუფის რეპუტაციას, გაუმართლებელია. ეს პრინციპი ვრცელდება შემთხვევათა ორივე წყებაზე – როდესაც პიროვნება აღძრავს საქმეს დიფამაციის წინააღმდეგ შესაბამისი ჯგუფის ყველა წევრის სასარგებლოდ და როდესაც იგი ჩივის, როგორც ამ ჯგუფის წევრი. ჯგუფის ინდივიდუალურ წევრებს შეუძლიათ აღძრან საქმე დიფამაციის წინააღმდეგ, რამდენადაც მათ შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ისინი პიროვნულად იდენტიფიცირებულები არიან და პირდაპირ დაზიანდნენ დიფამაციის შედეგად“.³

დ) ევროპული და სხვა ქვეყნების შიდა სამართალი და პრაქტიკა

ევროპული ქვეყნების შიდა სამართალი დიფამაციის სფეროში ძირითადად შეესაბამება ზემოაღნიშნულ პრინციპებს. კანონმდებლობითა და პრაქტიკით დამკვიდრებულია, რომ დიფამაცია უნდა შეეხებოდეს კონკრეტულ პიროვნებას. უფრო ზუსტად - დიფამაციური განცხადება, სულ მცირე, აღქმული უნდა იყოს იმგვარად, რომ იგი შეეხება კონკრეტულ პიროვნებას. სწორედ ეს გარემოება ეყრდნობა საფუძვლად მოპასუხის უფლებას, აღძრას სარჩელი ან მოითხოვოს განცხადების ავტორის სისხლისსამართლებრივი დასჯა.

³ Article 19, *Defining Defamation – Principles on Freedom of Expression and Protection of Reputation*, London: Article 19, International Centre Against Censorship (2000) გვ.5-6.

ევროპული ქვეყნების სასამართლოების პრაქტიკა მოწმობს, რომ ადამიანთა ფართო ჯგუფის მიმართ დიფამაციური განცხადებების გამო ამ ჯგუფის წევრთა საჩივრები თითქმის ყოველთვის უარყოფილია. ამასთან, გაცილებით უფრო იშვიათია შემთხვევები, როდესაც სარჩელზე უარის თქმის საფუძვლად გამოყენებულია გამოხატვის თავისუფლების დიდი მნიშვნელობის არგუმენტი. როგორც წესი, სარჩელზე უარი ეფუძნება კანონის მოთხოვნას, რომ დიფამაცია კონკრეტულ (ფიზიკურ ან იურიდიულ) პირს უნდა შეეხებოდეს.

უფრო დაწვრილებით:

შეერთებულ სამეფოში, როდესაც დიფამაციური განცხადებები შეეხება ადამიანთა ჯგუფს, მის წევრს არ შეუძლია აღძრას საქმე, თუ არ დაამტკიცებს, რომ განცხადება შესაძლოა მიმართული იყო მის წინააღმდეგ.⁴

გერმანიაში დამკვიდრებული დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, კოლექტიური განცხადებებით პიროვნების შეურაცხყოფა შესაძლებლად არის მიჩნეული, თუ შეურაცხყოფა მიზეზობრივად დაკავშირებულია ამ პიროვნებასთან. გარდა ამისა, „ადამიანთა ჯგუფი“ არ უნდა იყოს ძალზე მრავალრიცხოვანი, იგი გამოყოფილი უნდა იყოს რაიმე ნიშნით და არ უნდა წარმოადგენდეს უბრალოდ ხალხის ნაწილს. გარდა ამისა, შესაძლებელი უნდა იყოს მსხვერპლის პიროვნულად გამორჩევა (მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება ფედერალური არმიისა და ინდივიდუალური ჯარისკაცების შეურაცხყოფის გამო ისეთი განცხადებებისათვის, როგორც იყო „ჯარისკაცები პოტენციური მკვლელები არიან“. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს განცხადება წარმოადგენდა შეიარაღებული ძალების კრიტიკას საერთოდ და არ იყო უშუალოდ მიმართული ფედერალური არმიის ჯარისკაცების წინააღმდეგ ინდივიდუალურად.⁵

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, დიფამაცია უნდა შეეხებოდეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. სავალდებულოდ არ არის მიჩნეული, რომ პიროვნების ვინაობა პირდაპირ იყოს დასახელებული, მაგრამ აუცილებელია, პიროვნების ამოცნობა შესაძლებელი იყოს. სარჩელი ჯგუფური დიფამაციის წინააღმდეგ დასაშვებია, თუ დიფამაციური განცხადება შეეხება ადამიანთა მცირე ჯგუფს და თითოეულ მათგანს შეიძლებოდა თავი შეურაცხყოფილად ეგრძნო.⁶

იტალიის სამართალი მოითხოვს, მოსარჩელემ დაამტკიცოს, რომ დიფამაციური განცხადება მას პირდაპირ შეეხებოდა.⁷

⁴Robertson, Geoffrey & Andrew Nicol, *Robertson and Nicol on Media Law*, 4th ed., Sweet & Maxwell, London, 2002, გვ.92.

⁵Kommers, Donald P., *The Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany*, Durham and London: Duke University Press, 1997, გვ.620.

⁶Chavanne, Albert, "Presse-Diffamation" dans *Juris-Classeur pénal* (Lois Pénales Annexes), no 5, Fasc.90, 1996.გვ.19.

⁷Jones, Thomas David, *Human Rights: Group Defamation, Freedom of Expression and the Law of Nations*, The Hague, Boston, London: Nijhoff Publishers, 1998.

ასეთივე მიდგომებია დამკვიდრებული **შვეიცარიაში**. ერთ-ერთ საქმეში, რომელიც მონადირეების მიმართ დამამცირებელი კომენტარის გამო სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას შეეხებოდა, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთ ფართო კოლექტივზე თავდასხმა ვერ ჩაითვლებოდა ამ კოლექტივის თითოეული წევრის პირადი ღირსების რეალურ ხელყოფად, რომელიც მსჯავრდებას გაამართლებდა.⁸

კანადის სამართალი ამ სფეროში მთლიანად ემყარება ინგლისურ საერთო სამართალს – მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს რომ განცხადებები მის წინააღმდეგ იყო მიმართული.⁹

შეერთებულ შტატებში სასამართლოები, როგორც წესი, უარს აცხადებენ დიფამაციური სამართალი გაავრცელონ გაუპიროვნებელი ჯგუფური დიფამაციის საქმეებზე. სასამართლო პრაქტიკამ ჩამოაყალიბა სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც მხედველობაში მიიღება იმის გადაწყვეტისას, თუ რამდენად გამართლებულია სარჩელი. მაგალითად, დადგენილია, თუ რამდენი წევრისაგან შემდგარი ჯგუფის წევრს შეუძლია აღძრას საქმე დიფამაციის წინააღმდეგ, თუ იგი პირდაპირ დასახელებული არ არის (ეს რაოდენობაა 25). ჯგუფის სიდიდესთან ერთად, მხედველობაში მიიღება დიფამაციის ბუნება, დიფამაციური განცხადების ავტორის პატიოსნება, ჯგუფის სტრუქტურა, მოსარჩელის პოზიცია ამ ჯგუფში, ჯგუფის პოპულარობის ხარისხი და საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა შესაბამისი საკითხის საჯარო განხილვის მიმართ.¹⁰

რაც შეეხება **ასოციაციებსა თუ სხვა ჯგუფებს**, თუკი ისინი არიან იურიდიული პირები, მათ, ჩვეულებრივ გააჩნიათ სარჩელის აღძვრის უფლება დიფამაციის წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო შორს წავიდა იტალია. იგი აღიარებს სარჩელის უფლებას ისეთი ერთეულებისათვის, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, მაგრამ ექვემდებარებიან სამართლებრივ აღიარებასა და რეგულირებას.

ე) ევროპული სასამართლოს პოზიცია

ევროპულ სასამართლოს სპეციალურად არასდროს უმსჯელია და პასუხი არ გაუცია კითხვაზე, შეესაბამება თუ არა კონვენციის მე-10 მუხლს ადამიანთა ჯგუფის წევრის უფლება, აღძრას საქმე დიფამაციის წინააღმდეგ, რომელიც შეეხება ამ ჯგუფს მთლიანად. თუმცა, მის მიერ ზოგიერთი საქმის განხილვა იმპლიციტურად გულისხმობდა ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტასაც.

საქმე *Thoma v. Luxemburg* შეეხებოდა ჟურნალისტს, რომელმაც რადიოთი გააკეთა განცხადება წყლისა და ტყის კომისიის მოხელეთა კორუმპირებულობის

⁸ *Tharin et Consorts c. Debrot et Ministere public du canton de Vaud*, 2 April, 1974, 100 IV 43.

⁹ **Brown, Raymond E.**, *The Law of Defamation in Canada*, 2d ed (Loose-Leaf), vol 1. Carswell, P.G.44 – 6.60, 6.45-6.48. იხ. აგრეთვე *Bai v. Sing Tao Daily Ltd.*, (2003) O.Z. No 1917(C.A.Ont).

¹⁰ **Bromme, Jeffrey S.** „Group Defamation: Fire Guiding Factors“ (1985) 64 *Texas L.Rev.* 591-595.

შესახებ. ორმოცდათოთხმეტმა ტყის მცველმა და ცხრა ინჟინერმა სარჩელი აღძრა მომჩივნის წინააღმდეგ მათი რეპუტაციის შელახვის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ევროპულმა სასამართლომ საქმე მომჩივნის სასარგებლოდ გადაწყვიტა და ძირითადად დაეყრდნო საერთო არგუმენტს კერძო პირებთან შედარებით სახელმწიფო მოხელეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფართო ფარგლების შესახებ. მართალია იგი დაეთანხმე მოპასუხე მთავრობას იმაში, რომ ლუქსემბურგის წყლისა და ტყის კომისიაში მუშაობდა შეზღუდული რაოდენობა მოხელეებისა და ამიტომ ისინი ადვილად ამოსაცნობი იყვნენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, დაასკვნა, რომ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საქმე *Thorgeir Thorgeirson v. Iceland* შეეხებოდა ჟურნალისტის დასჯას სახელმწიფო მოხელეთა, კერძოდ, პოლიციის თანამშრომელთა დიფამაციისათვის. ჟურნალისტმა გამოაქვეყნა სტატია რეიკიავიკის პოლიციის თანამშრომელთა უხეშობის შესახებ. მოპასუხე მთავრობამ წამოაყენა არგუმენტები, რომ ჟურნალისტის სტატია არ წარმოადგენდა პოლიციის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების კრიტიკას და იგი მხოლოდ და მხოლოდ რეიკიავიკის პოლიციის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენებას ისახავდა მიზნად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტის კრიტიკა არ წარმოადგენდა თავდასხმას არც რეიკიავიკის პოლიციის ყველა წევრზე და არც განსაზღვრულ წევრებზე; რომ პოლიციის საქმიანობა წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, ხოლო სტატიებში გამოქვეყნებული ტერმინები გადაჭარბებულად ვერ ჩაითვლებოდა. შესაბამისად, მან ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

ზემოაღნიშნული საქმეებიდან არაპირდაპირ გამოძინარეობს შემდეგი დასკვნა: როგორც ჩანს, ევროპული სასამართლო ასევე იზიარებს თვალსაზრისს, რომ ადამიანთა ჯგუფის სავარაუდო დიფამაცია უნდა შეეხებოდეს ჯგუფის ინდივიდუალურ წევრებს პიროვნულად. ეს კი ფაქტის საკითხია და საქმის გარემოებების მიხედვით უნდა გადაწყდეს.

ამრიგად, ადამიანთა ჯგუფის სავარაუდო დიფამაციის დროს ინდივიდუალური რეპუტაციის დასაცავად სარჩელის აღძვრის უფლება ამ ჯგუფის წევრისათვის კონვენციის მე-10 მუხლთან შეთავსებად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც დიფამაცია მის წინააღმდეგ პიროვნულად იყო მიმართული. როგორც ჩანს, სოციალური კოლექტიური ღირსების არსებობა აღიარებული არ არის. ყოველ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლება მთლიანად გადასწონის მას.

§8.3. «დასაშვები კრიტიკის» კონცეფცია

8.3.1. კონცეფციის არსი და ზოგადი პრინციპები

„დასაშვები კრიტიკის“ კონცეფცია, რომელიც ევროპულმა სსამართლომ შეიმუშავა, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო კარგად დამუშავებულ და აპრობირებულ მეთოდს საქმეებზე, სადაც გამოხატვის თავისუფლებით ილახება სხვა პირთა უფლებები და რეპუტაცია (ანუ შეურაცხყოფისა და ცილისწამების (დიფამაციის) საქმეებზე). თუმცა, აღნიშნული კონცეფციის გამოყენებადობის არეალი, არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტულ ინდივიდთა კრიტიკის გამართლებულობის შეფასებით. ევროპული სსამართლო მას აქტიურად იყენებს გაუპიროვნებელი კრიტიკის შემთხვევებთან მიმართებაშიც. მაგალითად, საერთოდ ხელისუფლების, მთავრობის, მისი რომელიმე ორგანოს (მათ შორის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების), პოლიტიკისა თუ ამა თუ იმ საკითხში მათი ცალკეული გადაწყვეტილებების გაკრიტიკებისას. მაგრამ „დასაშვები კრიტიკის“ კონცეფციის გამოყენება ცალკეული ინდივიდების კრიტიკასთან მიმართებაში წარმოადგენს სამართლიანი ბალანსის მიღწევის საშუალებას გამოხატვის თავისუფლებასა და შესაბამისი ინდივიდის რეპუტაციის უფლებას შორის. მაშინ როდესაც, საერთოდ ხელისუფლების კრიტიკასთან მიმართებაში დაპირისპირებულ და დასაბალანსებელ ღირებულებად გვევლინება არა „ხელისუფლების რეპუტაცია“, არამედ ესა თუ ის საჯარო ინტერესი ან სხვა პირთა უფლებები, რომლებსაც სავარაუდოდ შეექმნათ საფრთხე გამოთქმული განცხადებების შედეგად.

„დასაშვები კრიტიკის“ კონცეფციის არსი ის გახლავთ, რომ უზრუნველყოს განსხვავებული მიდგომები იმისდა მიხედვით, თუ ვის ან რას შეეხება გამოთქმული კრიტიკა. განსხვავებული მიდგომების აუცილებლობა კი, თავის მხრივ, ნაკარნახევია არაერთი ფაქტორით, რომელთა გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია დაპირისპირებულ ინტერესთა სამართლიანი დაბალანსება დემოკრატიულ სახელმწიფოში. სახელმწიფო, ერთი მხრივ, ვალდებულია დაიცვას გამოხატვის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საყრდენი, პიროვნების თვითრეალიზაციისა და იმავდროულად, სხვა უფლებების დაცვის ეფექტიანი საშუალება; მეორე მხრივ, ვალდებულია აღკვეთოს ან შეამციროს ის რეალური თუ პოტენციური ზიანი, რომელიც მან შესაბამისი კანონიერი ინტერესისათვის შეიძლება გამოიწვიოს.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ სახელმწიფოს დაინტერესება კრიტიკის ობიექტის ინტერესების დაცვისა, სრულიად სხვადასხვა ხარისხისაა. რაც უფრო დაუცველია „კრიტიკის ობიექტი“ თავისთავად, მით უფრო ძლიერია სახელმწიფოს ვალდებულება მისი დაცვისა. ეს გახლავთ მთავარი კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად უდევს „დასაშვები კრიტიკის“ კონცეფციას. ამ კრიტერიუმის მიხედვით, უკვე იკვეთება დასაშვები კრიტიკის ყველაზე უფრო ფართო და ყველაზე უფრო ვიწრო ფარგლების

შესაბამისი ობიექტები. ხელისუფლებასთან მიმართებაში, მისი დომინანტური პოზიციის გამო, დასაშვები კრიტიკის ფარგლები ყველაზე უფრო ფართოა, კერძო პირებთან მიმართებაში კი, რომელთაც არავითარი ხელისუფლება და მდგომარეობა არ გააჩნიათ და ყველაზე დაუცველნი არიან, ასეთი ფარგლები ყველაზე ვიწროა. თუმცა, „დასაშვები კრიტიკის ფარგლებზე“ სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას. მაგალითად, კონცეპტუალური თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ პოლიტიკურ საკითხებზე შეხედულებების თავისუფლად გამოთქმა უაღრესად მნიშვნელოვანია, ძალზე აფართოებს ხელისუფლებისა და ცალკეულ პოლიტიკოსებთან მიმართებაში გამოთქმული კრიტიკის დაცვის შესაძლებლობას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, თუ რა ხარისხით არის დაცული შესაბამისი პირის გამოხატვის თავისუფლება და პასუხის გაცემის რა საშუალებები გააჩნია მას. პოლიტიკოსებს, რომლებსაც ტრიბუნა უპყრიათ ხელთ, ისედაც მრავალი საშუალება გააჩნიათ კრიტიკაზე პასუხის გასაცემად. მათგან განსხვავებით, სახელმწიფო მოხელეებს, ეკისრებათ „თავშეკავებულობის“ ვალდებულება, რათა თავიანთი გამონათქვამებით ეჭვქვეშ არ დააყენონ სახელმწიფო სამსახურის ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა. ეს გარემოება აძლიერებს პოლიტიკოსებთან შედარებით მათი უკეთესად დაცვის საჭიროებას და სხვა.

ასეა თუ ისე, „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების გრადაცია შემდეგია:

ასეთი ფარგლები ყველაზე უფრო ფართოა ხელისუფლებასთან მიმართებაში (გაუპიროვნებული კრიტიკის დროს).

შემდგომი თანმიმდევრობა კი ასეთია:

- სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები და სხვა პოლიტიკოსები
- სახელმწიფო მოხელეები
- კერძო პირები.

ცალკეულ შემთხვევაში, კერძო პირების მიმართ, რომელთაც გავლენიანი მდგომარეობა უკავიათ საზოგადოებაში, დასაშვები კრიტიკის ფარგლები ფართოვდება.

ხელისუფლებასთან მიმართებაში „დასაშვები კრიტიკის“ ფართო ფარგლებზე ჩვენ უკვე დაწვრილებით ვისაუბრეთ, როდესაც პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცულობის აუცილებლობა განვიხილეთ.

ამჯერად „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების კონცეფციას განვიხილავთ მხოლოდ კონკრეტულ ინდივიდებთან მიმართებაში.

8.3.2. „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები პოლიტიკოსების მიმართ

პოლიტიკოსების კრიტიკასთან მიმართებაში „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ძალიან ფართოა. იგი ემყარება შემდეგ გარემოებებსა და მოსაზრებებს:

ა) პოლიტიკოსების კრიტიკა, როგორც წესი, უკავშირდება პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე გამოხატვას. ჩვეულებრივ, იგი

„ხელისუფლების კრიტიკის“ კონტექსტში განიხილება. ასეთ თავისუფალ დისკუსიებს დემოკრატიულ საზოგადოებაში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამგვარი დისკუსიების მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც იგი უშუალოდ უკავშირდება ხელისუფლების მაღალ ეშელონებს, რომლებიც ყველაზე მეტად არიან პასუხისმგებელი იმ მიზანთა განხორციელებაზე, რომლებიც მათ ხალხმა დაუსახა, და რომელთა განხორციელებასაც იგი სამართლიანად მოითხოვს და ელის, კერძოდ – მათივე უფლებების დაცვასა და საერთო კეთილდღეობისათვის ზრუნვას. სწორედ „ხელისუფლების მიზნებს“ ეყრდნობა და მისგან გამომდინარეობს საყოველთაოდ (დემოკრატიულ საზოგადოებაში) გავრცელებული და დამკვიდრებული შეხედულებები და პრაქტიკა იმის თაობაზე, რომ „ხელისუფლების მწვავე კრიტიკა“ ნებადართულია, რომ პოლიტიკური დებატების დროს დასაშვებია მწვავე, გამაღიზიანებელი, უსიამოვნო და მკვახე თავდასხმები ხელისუფლების წარმომადგენლებზე, რომ მცდარი განცხადებები თავისუფალი კამათის დროს გარდაუვალია და ისინი დაცული უნდა იქნეს, რათა აზრის გამოხატვის თავისუფლებას ჰქონდეს საჭირო სივრცე, რომელიც მას ესაჭიროება გადარჩენისათვის;

ბ) პოლიტიკოსებმა პოლიტიკურ სარბელზე თავისი მოღვაწეობით თვითონვე აქციეს თავიანთი თავი საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების საგნად. მათი თითოეული ქცევა, მოქმედება თუ სიტყვა, და ხშირად პირადი ცხოვრებაც კი, საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეადგენს. ამიტომ, მიჩნეულია, რომ მათ მეტი მოთმინება უნდა გამოიჩინონ კრიტიკის მიმართ და ვალდებულნი არიან ატარონ ის ტვირთი, რომელიც პოლიტიკურ სარბელზე მოღვაწეობას უთუოდ ახლავს;

გ) მათ პოლიტიკური ტრიბუნა უპყრიათ ხელთ თავიანთი მდგომარეობის წყალობით და თავდაცვის კიდევ სხვა მრავალ საშუალებას ფლობენ უსამართლო კრიტიკაზე პასუხის გასაცემად.

ამ მიზეზთა გამო, მათი კრიტიკის დროს, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებისათვის თანაარსი „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ ნაკლებად არის შემზღუდველი, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულება და დაინტერესება მათი რეპუტაციის დაცვისა ნაკლებია.¹

შესაბამისად, როდესაც საქმე პოლიტიკოსთა კრიტიკას შეეხება და იგი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დებატების კონტექსტს უკავშირდება, გამოხატვის თავისუფლება სარგებლობს აშკარა და გამოკვეთილი პრიორიტეტით რეპუტაციის დაცულობისა და მათ ზოგიერთ სხვა უფლებასთან მიმართებაში. გამოხატვის თავისუფლება თითქმის აბსოლუტურ ხასიათს იძენს; მხოლოდ მეტისმეტად „უხამსი კრიტიკა“ და კიდევ ისეთი შემთხვევები ექცევა დაცვის

¹ ამ საკითხზე იხილეთ „მედიაში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციის (12.02.2004) VI მუხლი, რომლის მიხედვით, შიდა სამართალი არ უნდა ითვალისწინებდეს მკაცრ სანქციებს მედიისათვის პოლიტიკოსების ვაკრიტიკების გამო.

ფარგლებს გარეთ, როდესაც საქმე შეეხებოდა პოლიტიკოსის სერიოზულ და ამასთანავე, სრულიად უსაფუძვლო ბრალდებას.

ზემოაღნიშნული მიდგომები ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მკვეთრადაა ჩამოყალიბებული. დებულებები პოლიტიკოსის მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფართო ფარგლების შესახებ შესაბამის საქმეთა განჩინებებში სახელმძღვანელო პრინციპადაა გამოცხადებული: „პოლიტიკოსთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირთა მიმართ. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, იგი ვალდებულია გამოაჩინოს მოთმინება ჟურნალისტებისა და მთელი საზოგადოების მხრიდან მისი თითოეულ სიტყვისა თუ მოქმედებებისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღების გამო. უეჭველია, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს თითოეული ადამიანის რეპუტაციას და მაშასადამე იგი ვრცელდება პოლიტიკოსზეც. მაგრამ ასეთ დროს მისი რეპუტაციის დაცვის აუცილებლობას გადასწონის პოლიტიკოსის საკითხებზე თავისუფალი დისკუსიის საზოგადოებრივი ინტერესი“.²

როდესაც ამ წინასწარვე თითქმის უზრუნველყოფილ პრიორიტეტს ემატება სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ასევე გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ მოქმედებს (მაგალითად, საქმე შეეხება პრესის თავისუფლებას, საქმე გვაქვს „შეფასებით მსჯელობასთან“ და არა „ფაქტების მტკიცებასთან“ ჟურნალისტი მოქმედებს კეთილსინდისიერად და არა ბოროტი განზრახვით და სხვ.) თითქმის არავითარი შანსი აღარ რჩება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად.

მაგალითად, საქმეში *Lingens v. Austria* ეს ასპექტები ერთდროულად გამოვლინდა და ევროპულმა სასამართლომ თითოეულ მათგანს სათანადო მნიშვნელობა მიანიჭა. ლინგენსის საქმე ერთ-ერთი თვალსაჩინოა პოლიტიკოსის სფეროში გამოხატვის თავისუფლების დაცვის საკითხებზე კონცეპტუალური მიდგომებისა და სამოსამართლო სამართლის შესაბამისი ტენდენციების ჩამოყალიბებისათვის:

1975 წელს, ავსტრიაში საყოველთაო არჩევნების შემდეგ ებრაელთა საარქივო ცენტრის თავმჯდომარემ სიმონ ვიზენტალმა ავსტრიის ლიბერალური პარტიის თავმჯდომარეს ფ.პეტერს ბრალი დასდო მასში, რომ მე-2 მსოფლიო ომის დროს ის მსახურობდა CC-ის ბრიგადაში. კანცლერმა ბრუნო კრაისკიმ სატელევიზიო ინტერვიუში აქტიურად დაიცვა პეტერი და ვიზენტალს ბრალი დასდო „მაფიოზური მეთოდების“ გამოყენებაში. ამის შემდეგ ჟურნალისტმა გ.ლინგენსმა გამოაქვეყნა ორი სტატია, სახელწოდებით „პეტერის საქმე“, რომელიც შეეხებოდა ამ მოვლენებს და CC-ის იმ ბრიგადის საქმიანობას, სადაც პეტერი მსახურობდა. სტატიაში გაკეთებული იყო დასკვნა, რომ პეტერის წარსული მას, როგორც ავსტრიელ პოლიტიკოსს, მიუღებელს ხდიდა. სტატიაში გაკრიტიკებული იყო კრაისკიც; მისი სატელევიზიო გამოსვლა შეფასებული იყო, როგორც „ყველაზე მდაბიო ოპორტუნუზმი“, ხოლო მისი

² მაგალითისათვის იხ. *Lingens v. Austria*, judgment of 8 July 1986, § 92; *Oberschlick (N2)v. Austria*, judgment of 1 July 1997, §59.

პოზიცია კი, – როგორც „ამორალური და უღირსი“ და ნაციზმის მსხვერპლისადმი უტაქტო დამოკიდებულების გამომხატველი.

კრაისკის სარჩელის საფუძველზე, ვენის სასამართლოებმა ლინგენსი სცნეს დამნაშავედ დიფამაციაში (ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მ.) და მიუსაჯეს ჯარიმა.

ლინგენსის აზრით, მის, როგორც პოლიტიკური ჟურნალისტის მოვალეობას წარმოადგენდა თავისი შეხედულებების გამოხატვა და საზოგადოებისათვის გაცნობა. კანცლერს კი, როგორც პოლიტიკოსს, რომელიც მიჩვეული იყო თავის ოპონენტებზე თავდასხმას, თვითონაც უნდა ჰქონოდა სხვებისაგან თავდასხმის მოლოდინი.

მოპასუხე სახელმწიფოს აზრით, იგი ვალდებული იყო გამოეყენებინა თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და გაეტარებინა ღონისძიებები, რომელთაც აუცილებლად მიიჩნევდა საიმისოდ, რომ პოლიტიკური დიკუსიები არ გადაზრდილიყო პირად შეურაცხყოფაში.

სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლი ამ საქმეზე დარღვეულად მიიჩნია. მან არ გაიზიარა ვენის სასამართლოების პოზიცია, თითქოს პრესის ამოცანას მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა წარმოადგენდა; მისადმი დამოკიდებულების გამოხატვა კი, მხოლოდ მკითხველის უფლება იყო. საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული კანონი, რომელიც ჟურნალისტისაგან მოითხოვდა, დაემტკიცებინა თავისი აზრების სისწორე და ნამდვილობა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი პოლიტიკურ ფიგურებს შეეხებოდა, უმართებულოდ ზღუდავდა გამოხატვის თავისუფლებას და არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა ვერ შესძლო ფაქტების დამტკიცება; მაგრამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ეს არ იყო არსებითი, რადგან ლინგენსის სტატიის ძირითადი არსი „შეფასებითი მსჯელობას“ გულისხმობდა და ფაქტების საკითხი მთავარი არ იყო.

სასამართლო დაეყდნო *Handyside*-ს პრეცედენტულ საქმეზე შემუშავებულ დებულებას იმის თაობაზე, რომ მე-10 მუხლით დაცული იყო შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელი იდეები და ინფორმაცია, ვინაიდან ასეთი პლურალიზმის გარეშე არ არსებობდა დემოკრატიული საზოგადოება. სასამართლომ ხაზი გაუსვა პრესის უფლებას, გაეკრიტიკებინა პოლიტიკური ლიდერები, რომელთა ცხოვრება და საქმიანობა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ შესაბამისი ინფორმაციის მიღება საზოგადოებრიობისათვის აუცილებელი იყო სწორი პოლიტიკური არჩევანის გასაკეთებლად. სასამართლომ მიუთითა პოლიტიკოსთან მიმართებაში დასაშვები კრიტიკის ფართო ფარგლებზე და მის ვალდებულებაზე, მოეთმინა მისი, თუნდაც ძალიან მკაცრი კრიტიკა. სასამართლომ სათანადო მნიშვნელობა მიანიჭა იმასაც, რომ ჟურნალისტი კეთილსინდისიერად მოქმედებდა და არა ბოროტი განზრახვით.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიტიკოსის რეპუტაციის დასაცავად, ჟურნალისტის მიერ აზრის თავისუფლად

გამონათვის უფლებაში ჩარევა მოცემულ შემთხვევაში არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა მოწმობს გამონათვის თავისუფლების თითქმის ცალსახა პრიორიტეტს, როდესაც საქმე პოლიტიკოსის კრიტიკას შეეხება. იგი არ მოითხოვს, რომ „ფაქტები“ აბსოლუტური სიზუსტით იყოს დამტკიცებული. ის საკმარისად მიიჩნევს, თუნდაც მცირე ფაქტობრივი საფუძვლის წარმოდგენას. როდესაც საქმე „შეფასებით მსჯელობას“ შეეხება, მისი დამოკიდებულება კიდევ უფრო ცალსახაა მაშინაც კი, როდესაც პოლიტიკოსის წინააღმდეგ აშკარად პოლემიკური და შეურაცხმყოფელი გამოთქმებები იყო გამოყენებული. ასეთ დროს სასამართლო ითვალისწინებს საერთო პოლიტიკურ კონტექსტს, მოვლენათა წინარე ისტორიას და ზოგჯერ იმასაც კი, ასახავდა თუ არა პოლიტიკოსის მიმართ გამოყენებული ეპითეტები იმ საზოგადოებრივ რეაქციას, რომელიც პოლიტიკოსმა თავისი ამა თუ იმ ქმედებით გამოიწვია; ხოლო როდესაც სადავო თავისთავად ის გარემოება, „ფაქტების გადმოცემასთან“ ჰქონდათ საქმე თუ „შეფასებით მსჯელობასთან“, ევროპული სასამართლო მიდრეკილია მოიძიოს შესაბამისი არგუმენტები, რათა სადავო განცხადებებს „შეფასებითი მსჯელობის“ კვალიფიკაცია მისცეს და ამ გზით დაიცვას სიტყვის თავისუფლება.³

ამ მხრივ საინტერესო საქმეა *Unabhängige Informationsveifalt v. Austria*.⁴

მოძრვიანი ასოციაცია აქვეყნებდა პერიოდულ გამოცემას სახელწოდებით „ტატლატი“. 1992 წელს მან გამოსცა ბროშურა, რომელშიც მკითხველს სთავაზობდა ავსტრიის თავისუფლების პარტიისათვის გაეგზავნათ „მცირედი საჩუქრები მისი რასისტული პროპაგანდის პასუხად“. სტატიაში მოხსენიებული იყო პარტიის ლიდერი იორგ ჰაიდერი,⁵ გამოქვეყნებული იყო ამ პარტიის წევრთა სია მისამართებისა და ტელეფონის ნომრების მითითებით. სასამართლომ ჰაიდერის მიმართვის საფუძველზე გამოსცა ამკრძალავი ბრძანება და მიუთითა, რომ მტკიცება რასისტული პროპაგანდის გაწევის შესახებ, ფაქტის კონსტატაცია იყო და არა შეფასებითი მსჯელობა.

ევროპულმა სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ საკითხი იმ დროინდელ პოლიტიკურ კონტექსტში უნდა შეფასებულიყო, კერძოდ – იმ რეაქციის გათვალისწინებით, რომელიც მოჰყვა ჰაიდერისა და ავსტრიის თავისუფლების პარტიის ინცივატივით ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას „არაკონტროლირებადი იმიგრაციის“ შესახებ.

³ დ.გ.ჰარისი, მ.ო.ბოილი და ს.უორბრიკი მიუთითებენ, რომ პოლიტიკოსთა კრიტიკის საკითხებზე ევროპული სასამართლო იხრება იქითკენ, რომ გამონათქვამი მიაკუთვნოს „შეფასებით მსჯელობას“ და არა „ფაქტების გადმოცემას“, ხოლო მაშინ, როდესაც ფაქტებს მიაკუთვნებს, მიდრეკილია დაამტკიცოს, რომ მისი ავტორი კეთილი განზრახვით მოქმედებდა. იხ. D.G.Harris, M.O' Boyle, C.Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 1995, გვ.400.

⁴ *Unabhängige Informationsveifalt v. Austria*, judgment of 26 February 2002.

⁵ იორგ ჰაიდერი – უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებების მქონე ცნობილი ავსტრიელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ავსტრიის თავისუფლების პარტიის ლიდერი. მისი სხვადასხვა გამონათქვამების გამო, მას ბრალს სდებენ ნაციონალიზმსა და ნეონაციზმში

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ ავსტრიის მთავრობის არგუმენტი იმის შესახებ, რომ რასისტულ პროპაგანდაში დადანაშაულება ძალზე სერიოზულ ბრალდებას წარმოადგენდა და თავისი მნიშვნელობით კრიმინალურ მოქმედებებში დადანაშაულებას უთანაბრებოდა, შეიძლებოდა გაზიარებული ყოფილიყო კიდევაც ჟურნალისტთა „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ კონტექსტში; მაგრამ საქმის გარემოებები მოწმობდნენ, რომ არ არსებობდა ჟურნალისტის მხრიდან რაიმე ნიშანი სინამდვილის წინასწარგანზრახული უგულვებელყოფისა მკითხველისათვის ინფორმაციის მიწოდებისას. უფრო მეტიც, მისი მტკიცება არ წარმოადგენდა უმიზეზო პერსონალურ თავდასხმას. იგი უშუალოდ უკავშირდებოდა კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებას და წარმოადგენდა ერთგვარ წვლილს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხის საჯარო განხილვაში.

საერთაშორისო სასამართლომ უარყო ავსტრიის მთავრობის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ, რამდენადაც ჟურნალისტის გაცხადებები ფაქტებს შეეხებოდა, ამიტომ, მათი სისწორე უტყუარ დამტკიცებას საჭიროებდა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი ქმედების ჩადენის დამტკიცება, როგორც იყო „მტრობისაკენ წაქეზება“ (რასაც რასისტული პროპაგანდა ჩვეულებრივ გულისხმობს), შეიძლებოდა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პროცედურის შედეგად და, რომ დანაშაულის ჩადენის ბრალდების საფუძვლიანობის დადგენის სიზუსტის ხარისხი ძნელად თუ შეედრებოდა იმ სიზუსტეს, რომელიც ჟურნალისტს უნდა დაეცვა თავისი აზრის გამოხატვისას საზოგადოებრივი ჟღერადობის მქონე საკითხზე შეფასებითი მსჯელობის დროს. მომჩივანმა გამოაქვეყნა ის, რაც შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე პატიოსანი კომენტარი. ამიტომ, ევროპული სასამართლო ვერ დაეთანხმებოდა იმ კვალიფიკაციას, რომელიც ავსტრიის სასამართლოებმა ჟურნალისტის მტკიცებებს მისცეს.

საერთაშორისო სასამართლომ დასძინა, რომ საერთოდ, ჟურნალისტური პუბლიკაციები ხშირად ხასიათდებოდნენ გარკვეული გადაჭარბებით და ყოველთვის არ ემყარებოდნენ კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველს; მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ამგვარ ვითარებასთან არ ჰქონდათ საქმე. შესაბამისად, მან ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

ასევე დაიცვა ევროპულმა სასამართლომ სუსტ ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობილი პოლემიკური ხასიათის სტატია საქმეზე *Dichand and others v. Austria*.⁶

მომჩივანმა გაზეთში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც გააკრიტიკა ადვოკატი, პარლამენტის საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი გრაფი. ბ-ნი გრაფი, იმავე დროს, ერთ-ერთ საქმეში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, წარმოადგენდა მომჩივნის კონკურენტის ინტერესებს. სტატიაში ბ-ნი გრაფი გაკრიტიკებული იყო იმის გამო, რომ მან არ შეწყვიტა თავისი საადვოკატო პრაქტიკა სახელმწიფო სამსახურში შესვლის მიუხედავად. სტატიაში ასევე ნათქვამი იყო, რომ მისი საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში მიღებული იქნა

⁶ *Dichand and others v. Austria*, judgment of 26 February 2002.

შესწორება, რომელიც მომგებიანი იყო იმ გამოცემებისათვის, ვის ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა. სტატიაში საუბარი იყო აგრეთვე მის „სამარცხინო პოზიციაზე“, რომელიც მან დაიკავა სატელევიზიო გამოსვლის დროს.

ეროვნულმა სასამართლომ გამოსცა ამკრძალავი ბრძანება, რამდენადაც მისი შეხედულებით, ზემოაღნიშნული მტკიცებები უთანაბრდებოდა შეურაცხყოფას და შეეხებოდა ფაქტებს, რომელთა ჭეშმარიტება მოძივნებმა ვერ დაამტკიცეს.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიაში გადმოცემული იყო შეფასებითი მსჯელობისათვის საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. ამიტომ, მთლიანობაში, იგი უნდა მიჩნეულიყო, როგორც კეთილსინდისიერი და პატიოსანი კომენტარი საზოგადოებისათვის ინტერესის მქონე საკითხზე. ბ-ნი გრაფი პოლიტიკურ მოღვაწეს წარმოადგენდა და იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური მოღვაწის პოლიტიკური საქმიანობა და ბიზნესი არ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული, შეიძლებოდა გამოეწვია საზოგადოებრივი რეზონანსი.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ მართალია სტატია სუსტ ფაქტობრივ მონაცემებს ეყრდნობოდა და პოლიტიკური ხასიათისა იყო, მაგრამ იგი არ არღვევდა პოლიტიკოსის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

საქმე *Ukrainian Media Group v. Ukraine* შეეხებოდა გაზეთის დაჯარიმებას უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების დროს პრეზიდენტობის ორ კანდიდატზე გამოქვეყნებული სტატიებისათვის, რომლებშიც ისინი პრეზიდენტ კუჩმასთან ფარულ ალიანსში იყვნენ „მხილებული“. მიუხედავად იმისა, რომ სტატიები „შეფასებით მსჯელობასთან“ ერთად „ფაქტების გადმოცემასაც“ შეიცავდა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სტატიები ძირითადად ფოკუსირებული იყო პრეზიდენტობის შესაბამისი კანდიდატების, როგორც პოლიტიკური ფიგურების კრიტიკაზე, მათ სავარაუდო შეთანხმებებზე პრეზიდენტ კუჩმას ადმინისტრაციასთან და მიიჩნია, რომ მთლიანობაში სტატიები „შეფასებითი მსჯელობის“ ფარგლებში თავსდებოდა. სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია პუბლიკაციებში გამოყენებული იყო მკაცრი, პოლემიკური და სარკასტული ენა და კანდიდატები უთუოდ შეურაცხყოფილები იყვნენ, მაგრამ ისინი, რომლებმაც პოლიტიკოსის პროფესიის არჩევით შეგნებულად თვითონვე დაიყენეს თავი კრიტიკის ქარ-ცეცხლის ქვეშ, ვალდებული იყვნენ ეზიდათ ეს ტვირთი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ შესაბამის გარემოებებში პრეზიდენტობის კანდიდატთა რეპუტაციის დაცვის ინტერესი ვერ გადასწონიდა საარჩევნო კამპანიისა და მასში მონაწილე პირთა შესახებ კანონიერი პოლიტიკური დისკუსიის საჯარო ინტერესს.⁷

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ისეთი საქმეებიც გვხვდება, როდესაც სასამართლომ დაიცვა არა თუ მხოლოდ სადაო და პოლემიკური, არამედ აშკარად ან უკიდურესად შეურაცხყოფელი გამონათქვამებიც კი.

⁷ *Ukrainian Media Group v. Ukraine*, judgment of 29 March, 2005.

ინტერესს იწვევს ასეთი „შეფასებითი მსჯელობის“ გამართლებულობის დასაბუთების მეთოდი. ევროპული სასამართლო ასეთ დროს ზოგჯერ ამოწმებს, იყო თუ არა ყოველივე ამაში კრიტიკის ობიექტის **ვიქტიმური წვლილი**, ანუ რამდენად ადეკვატური იყო შესაბამისი შეფასება იმ რეაქციისა, რაც მან გამოიწვია თავისი მოქმედებით. ამავე დროს, ხშირადაა მოშველიებული ჟურნალისტის მხრიდან ე.წ. „გადაჭარბებული და პროვოკაციული გამოთქმების გამოყენების უფლებაც.“ ამ მხრივ საინტერესოა ორი (*Oberschlick*⁸-ის და *Lopes Gomes Da Silva*⁹-ს) საქმე.

პირველ საქმეზე ჟურნალისტი მსჯავრდებულ იქნა შეურაცხყოფისათვის იმ სტატიის გამო, რომელშიც მან კომენტარი გააკეთა პოლიტიკოსის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე. მომჩივანმა იგი მოიხსენია „იდიოტად“.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა ამ გამონათქვამის აშკარად პოლემიკური და შეურაცხმყოფელი ხასიათი, მაგრამ მიიჩნია, რომ იგი არ წარმოადგენდა უმიზეზო პიროვნულ აგრესიას და ავტორმა წარმოადგინა საკუთარი მოსაზრების ობიექტური და გასაგები ახსნა-განმარტება, რომელიც პოლიტიკოსის სიტყვებიდან გამომდინარეობდა (პ.34). ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიტიკოსმა „თავად განიზრახა, ყოფილიყო პროვოკაციული და მძაფრი რეაქცია გამოეწვია საზოგადოების მხრიდან (პ.31). ამასთანავე მიუთითა, რომ სიტყვა „იდიოტი“ შეესაბამებოდა იმ აღშფოთებას, რომელიც განზრახ იქნა გამოწვეული (პ.34).

მეორე საქმეში ევროპულმა სასამართლომ ასევე დაიცვა მუნიციპალური არჩევნების კანდიდატის მისამართით გამოქმული შეურაცხმყოფელი ეპითეტები „სასაცილო“, „უხეში“, „გაუთლელი“ და მიიჩნია, რომ მომჩივნის რეაქცია გამოწვეული იყო კანდიდატის მწვავე, პროვოკაციული ტონით, ხოლო ჟურნალისტური თავისუფლება გულისხმობდა გადაჭარბებული და პროვოკაციული გამოთქმების გამოყენების უფლებასაც (პ.35).

ასეთ მიმართებებში ვიქტომოლოგიური ასპექტების გათვალისწინება, ცხადია, რომ მისაღებიცაა და მიზანშეწონილიც, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც სადავოდ გვესახება იმის მართებულობა, რომ საერთაშორისო სასამართლომ თავის თავზე აიღოს იმის შეფასება, თუ რა და როგორი აღშფოთება გამოიწვია პოლიტიკოსის სიტყვამ ან ქმედებამ კონკრეტულ დროსა და ვითარებაში, რა მიზანი ამოძრავებდა მას, მოქმედებდა თუ არა განზრახ და რა ეპითეტებს იმსახურებდა ამის გამო. ვფიქრობთ, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ეროვნული ხელისუფლება უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, შეაფასოს ასეთი გარემოებები და მასთან ერთად – რეპუტაციის უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის სამართლიანობა. შეურაცხმყოფელი გამონათქვამების დაცვის ასეთი დასაბუთება საკამათოა და ეჭვქვეშ აყენებს თავისთავად იმ გარემოებას, გააჩნიათ თუ არა პოლიტიკოსებს საერთოდ პიროვნული ღირსების დაცვის უფლება.

⁸ *Oberschlick (N 2) v. Austria*, judgment of 1 July 1997.

⁹ *Lopes Gomes Da Silva v. Portugal*, judgment of 28 September 2000.

ტრადიციულ მიდგომებს პოლიტიკოსის შეურაცხყოფისა და დიფამაციის საქმეებზე ევროპული სასამართლო უცხოელ პოლიტიკოსებთან მიმართებაშიც გამოიყენებს, მაშინაც კი, როდესაც საქმე უცხო სახელმწიფოს მეთაურს შეეხება.

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლთან შეუსაბამოდ ცნო საფრანგეთის კანონი, რომლის მიხედვით უცხო სახელმწიფოს მეთაურის შეურაცხყოფისა და ცილისწამების დროს, ჩვეულებრივი დიფამაციისაგან განსხვავებით, არ იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა მაშინაც კი, თუ დამტკიცდებოდა განცხადებების სინამდვილესთან შესაბამისობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი იყო ბოროტი განზრახვის არსებობა და ამის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელეს (ანუ უცხო სახელმწიფოს მეთაურს) ეკისრებოდა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთის ეს კანონი უცხოეთის სახელმწიფოს მეთაურს განსაკუთრებულ სტატუსს და მეტისმეტ პრივილეგიას ანიჭებდა. ეს, სასამართლოს აზრით, ეწინააღმდეგებოდა თანამედროვე წარმოდგენებს და არ შეესაბამებოდა „საზოგადოების უმთავრეს მოთხოვნებებს“.

ეს საქმე (*Colombani and others v. France*) შეეხებოდა გაზეთში „ლე მონდ“ (*Le Monde*) დაბეჭდილ სტატიას პირველ გვერდზე სათაურით: „მაროკო: ჰაშიმის წამყვანი მსოფლიო ექსპორტიორი“, ქვესათაურით: „კონფიდენციალური მოხსენება მიანიშნებს მეფე ჰასან II-ის გარემოცვაზე, ხოლო მეორე გვერდზე – სათაურით: „კონფიდენციალური მოხსენება: მაროკოს მთავრობა დაკავშირებულია ჰაშიმის უკანონო ვაჭრობასთან“. სტატია ეყრდნობოდა ევროპული თანამეგობრობის კომისიის თხოვნით მომზადებულ კონფიდენციალურ მოხსენებას.

საფრანგეთის სააპელაციო სასამართლომ ჟურნალისტები დამნაშავედ ცნო ბოროტი განზრახვით ჩადენილი მოქმედებებისათვის, რაც იმით გამოხატა, რომ ბრალი დასდეს მეფეს პირმოთნეობასა და ორსახოვნებში, არ გაერკვნენ კონფიდენციალური მოხსენების შინაარსის სიზუსტესა და სარწმუნოებაში, არ მიიღეს რჩევები მაროკოს ხელისუფლებისაგან და გამოავლინეს არაკეთილსინდისიერება პუბლიკაციის მასალების მომზადების დროს. ორივე მსჯავრდებულს მიესაჯა ჯარიმა და მაროკოს მეფისათვის სიმბოლური თანხების გადახდა მორალური ზიანისათვის.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან ჟურნალისტები ოფიციალური მოხსენების ინფორმაციას ეყრდნობოდნენ, მისი სარწმუნოების შემოწმება მათ არ ევალებოდათ; მით უმეტეს, რომ საფრანგეთის კანონი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას „ფაქტების“ დამტკიცების შემთხვევაშიც კი არ ითვალისწინებდა.¹⁰

საგულისხმოა, რომ უცხო სახელმწიფოს მეთაურის შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრის სფეროშიც კი არ მიანიჭა ევროპულმა სასამართლომ შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლები

¹⁰ *Colombani and Others v. France*, judgment of 25 May 2002.

ეროვნულ ხელისუფლებას და მიიჩნია, რომ მათი რეპუტაციის განსაკუთრებული დაცვა არ შეესაბამებოდა საზოგადოების უმთავრეს მოთხოვნებს.

ჩვენი აზრით, იმის ცალსახად უარყოფა, რომ სახელმწიფოებს არ უნდა გააჩნდეთ შეფასების თავისუფლების უფრო მეტი ფარგლები უცხო სახელმწიფოს მეთაურის პატივისა და ღირსების დაცვის სფეროში, იოლი არ არის, ვინაიდან ეს დაკავშირებულია საგარეო პოლიტიკის, დიპლომატიისა და სხვა დელიკატურ საკითხებთან. მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საბოლოო ჯამში, მაინც გამართლებულად გვესახება სწორედ იმ პრობლემების დიდი საზოგადოებრივი რეზონანსის გათვალისწინებით, რომელსაც სადაო სტატია შეეხებოდა. ნარკობიზნესიდან მომდინარე საფრთხე მსოფლიო საზოგადოების განსაკუთრებული შემოთების წყაროა და მას უფლება აქვს, ყველაფერი იცოდეს მის შესახებ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ სტატიის გამოქვეყნება, იმის მიუხედავად, თუ რამდენად ზუსტად ასახავდა ის კონფიდენციალური მოხსენების მონაცემებს, შეესაბამებოდა საზოგადოების ინტერესებს.

პოლიტიკის სფეროში ინფორმაციისა და იდეების გადაცემის მნიშვნელობის კონტექსტში განიხილება აგრეთვე, პოლიტიკოსის ფოტოების გამოქვეყნების უფლებაც, მაშინაც კი, თუ მისი გამოქვეყნება ლახავს პოლიტიკოსის ინტერესებს (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ის გულისხმობს პირადი ან ოჯახური ცხოვრების სფეროში უხეშად შეჭრას).

შესატყვისი მაგალითია საქმე, რომელიც შეეხებოდა ავსტრიული პოლიტიკური მოღვაწის ბ-ნი პოშის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიას.¹¹ იგი წარმოადგენდა როგორც ავსტრიის, ისე ევროპის პარლამენტის წევრს. სტატია შეეხებოდა მის ფინანსურ მდგომარეობას და თან ახლდა მისი ფოტოსურათი. პოშმა მიაღწია სასამართლოს ამკრძალავ ბრძანებას, რომლის შესაბამისად, იკრძალებოდა მისი ფოტოსურათების პუბლიკაცია ამგვარ სტატიებთან დაკავშირებით. ეროვნულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენადაც ბ-ნი პოშის სახე არ იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, მისი ფოტოსურათების დაბეჭდვით შეიქმნა შესაძლებლობა ეცნოთ იგი, რითაც შეილახა მისი კანონიერი ინტერესები.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ასეთი ამკრძალავი ღონისძიება ემსახურებოდა პოლიტიკოსის უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის ინტერესს, მაგრამ არ ცნო მისი „აუცილებლობა“.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სტატიის შინაარსი შეეხებოდა საზოგადოებრივი ჟღერადობის საკითხს და მცირედ თუ ეხებოდა მისი პირადი ცხოვრების სფეროს; პრესას ჰქონდა უფლება, გადაეცა ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე. ამიტომ, ამ შემთხვევაში არც კი ჰქონდა მნიშვნელობა იმას, იყო თუ არა პოშის სახე საზოგადოებისათვის ცნობილი. მხედველობაში უნდა მიღებულიყო მხოლოდ ის, იყო თუ არა იგი გამოსული პოლიტიკურ არენაზე. რამდენადაც ბ-ნი პოში იყო პოლიტიკოსი და ეწეოდა

¹¹ *Krone Verlag GmbH & Co. KG. v. Austria*, judgment of 26 July 2002.

პოლიტიკურ საქმიანობას, ის ვალდებული იყო მთლიანად ეტარებინა მისი უარყოფითი შედეგების ტვირთიც.

ყოველივე ზემოაღნიშნული არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, თითქოს პოლიტიკოსების კრიტიკა მათ საქმიანობასთან დაკავშირებით ყოველთვის დაცულია და ევროპული სასამართლო პოლიტიკოსის რეპუტაციის სასარგებლოდ ჩამოყალიბებულ ბალანსს არასდროს მიიჩნევს სამართლიანად. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სერიოზული და სრულიად უსაფუძვლო ბრალდების შემთხვევაში პრიორიტეტი შეიძლება პოლიტიკოსის რეპუტაციის უფლებას მიეკუთვნოს. ამის კარგი მაგალითია საქმე *Keller v. Hungary*. უნგრეთის პარლამენტის დეპუტატმა (სოციალისტური პარტიიდან) პარლამენტის სესიაზე განაცხადა, რომ ულტრა-მემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფის საქმის გამოუძიებლობა გამოწვეული იყო „პასუხისმგებელი მინისტრის“ (ვინაობა არ დაუსახელებია) ლოიალური დამოკიდებულებით, რაც, თავის მხრივ განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ მინისტრის მამა წარმოადგენდა შოვინისტური ულტრა-მემარჯვენე ორგანიზაციის *Hungarista*-ს (რომელიც დიდ სიმპათიას ამჟღავნებდა ნაციზმისადმი) წევრი. ეს განცხადება დეპუტატმა შემდეგ დაადასტურა სატელევიზიო გამოსვლის დროს, დაასახელა მინისტრის ვინაობაც და ნათელი მოჰფინა პარლამენტის სერიაზე ნათქვამს.

ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ საქმე შეეხებოდა ხელისუფლების ბოროტად გამოყენების სერიოზულ ბრალდებას, რომელიც დამტკიცებას ექვემდებარებოდა. ვინაიდან დეპუტატმა ვერავითარი ფაქტობრივი საფუძველი ვერ წარმოადგინა, მათ საქმე მინისტრის რეპუტაციის დაცვის სასარგებლოდ გადაწყვიტეს და მომჩივანს დააკისრეს მორალური ზიანის ანაზღაურება.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე „ფაქტების გადმოცემას“ შეეხებოდა. ამასთანავე, დაადასტურა თავისი პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებული პრინციპი იმის შესახებ, რომ მაშინაც კი, როდესაც სადავო განცხადება შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდა, უნდა არსებულიყო საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი მის დასაცავად. ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი იგი შეიძლებოდა მიჩნეულიყო ექსცესიურად (*Jenusalem v. Austria*, no.26958195, §43. ECHR, 2001-II). სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ მომჩივანი არ შემოიფარგლა პარლამენტის სესიაზე ნათქვამით და სატელევიზიო გამოსვლის დროს სახელდებით დაასახელა მინისტრი. მისი აზრით, ასეთი საჯარო ინსინუაცია ვეღარ ისარგებლებდა იმ პრივილეგიით, რომლითაც საპარლამენტო დებატები სარგებლობდა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივანს მხოლოდ მინისტრის მიერ პირადი მოტივით მოვალეობათა შეუსრულებლობის ფაქტის დამტკიცების ტვირთი დააკისრეს და არა იმ „ფაქტისაც“, რომელიც მემარჯვენე ორგანიზაციაში მამამისის მონაწილეობას შეეხებოდა. საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ ბრალდების სერიოზული ხასიათისა და ხარისხის და, რაც მთავარია, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანმა ვერავითარი საფუძველი ვერ წარმოადგინა, მისი საჩივარი მიუღებლად

გამოაცხადა „აშკარად უსაფუძვლობის“ მოტივით. როგორც ვხედავთ, მიუხედავად არაერთი ფაქტორისა, რომლებიც საწინააღმდეგო ბალანსის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს (საკითხი შეეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, პოლიტიკოსის კრიტიკას და დეპუტატის სიტყვის თავისუფლებას) ევროპულმა სასამართლომ პოლიტიკოსის რეპუტაციის დაცვის სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე.¹²

ეს საქმე ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ თვით პოლიტიკოსების კრიტიკის ძალიან ძლიერად დაცულ სფეროშიც კი, გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტური არ არის.

8.3.3. პოლიტიკოსების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობა

ერთადერთი სფერო, როდესაც პოლიტიკოსის რეპუტაციასთან მიმართებაში სიტყვის თავისუფლების პრიორიტეტი სათუოდ მიიჩნევა, უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც პოლიტიკოსთა მიმართ წარმოქმული განცხადებები მათი პირად და ოჯახურ ცხოვრებას და მის ყველაზე უფრო ინტიმურ ასპექტებს შეეხება. მართალია, სახელმწიფოს მაღალ თანამდებობის პირთა თუ სხვა გავლენიან პოლიტიკოსთა პირადი ცხოვრებაც კი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს და საზოგადოებას უფლება აქვს ყველაფერი იცოდეს მათ შესახებ, მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ასეთ საქმეებზე გაკეთებულ განცხადებებს ნაკლები წვლილი შეაქვთ საზოგადოების საჭირობოროტო საკითხების განხილვაში, ნაკლებია მათი ღირებულებითი მნიშვნელობა და შესაბამისად, მათი მაღალი სტანდარტით დაცულობის საჭიროება. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში სრულიადაც არ განიხილება გამოხატვის თავისუფლებასთან შედარებით უფრო ნაკლებ ღირებულებად და თავისი მნიშვნელობისა და ბუნების გამო სახელმწიფოს ეკისრება ძლიერი პოზიტიური ვალდებულებანი მასში ჩაურევლობის უზრუნველსაყოფად. ამის დასტურია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1165 (1998)⁽¹⁾ „Right to privacy“. მისი დებულებების თანახმად, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება და გამოხატვის თავისუფლება არ იმყოფებიან ერთმანეთთან იერარქიულ დამოკიდებულებაში, რამდენადაც თანაბარ ღირებულებებს წარმოადგენენ, ხოლო ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა კი უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არა მარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების, მათ შორის – მასმედიის მხრიდან ჩარევისგანაც.¹³

ამასთანავე ცხადია, რომ ისეთ გამორჩეულ შემთხვევაში, როდესაც ასეთ პირთა პირადი და ოჯახური ცხოვრების ფაქტები პირდაპირ უკავშირდება მათი მხრიდან თავიანთი ფუნქციებისა და სამსახურეობრივი მოვალეობების ჯეროვნად

¹² *Keller v. Hungary*, decision of 4 April 2006

¹³ იხ. ზემოაღნიშნული რეზოლუციის მე-11 და მე-12 პუნქტები.

განხორციელებას და სერიოზულ ზიანს აყენებს ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობას, მათ შესახებ ინფორმაციების გავრცელების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დასაბუთებისათვის აღარ იარსებებს საამისოდ აუცილებელი „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძველი.¹⁴

ამიტომ პოლიტიკოსების პირადი და ოჯახური ცხოვრება, მთლიანობაში, უკეთაა დაცული. დაცულობის ხარისხს კონკრეტული გარემოებები განსაზღვრავს: უკავშირდება თუ არა შესაბამისი ინფორმაცია სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად განხორციელებასა და მისადმი ხალხის ნდობას, რამდენად უხეშად შეილახა უფლება და შეიტანა თუ არა შესაბამისმა განცხადებებმა რაიმე წვლილი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე თავისუფალ დისკუსიაში.

ამ მხრივ საინტერესო საქმეა *Karhuvaara and Iltalehti v. Finland*.¹⁵ მოცემულ საქმეში პრესის თავისუფლების სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტა იმ გარემოებას დაემყარა, რომ პრესის პუბლიკაციის შედეგად პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების უფლების შელახვა სერიოზული არ იყო.

გაზეთში გამოქვეყნდა სამი სტატია პარლამენტის დეპუტატის A-ს ქმრის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდებისა და გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ. ქ-ნი A-ს მეუღლე ცნობილი იქნა დამნაშავედ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის (განაჩენის მიხედვით, იგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში თავს დაესხა პოლიციის თანამშრომელს). ის გარემოება, რომ ეს პიროვნება პარლამენტის დეპუტატის ქმარი იყო, ყველა სტატიის სათაურში იყო მითითებული.

ქ-ნმა A-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის შესახებ. მისი მტკიცებით, სტატიათა პუბლიკაციამ მას განსაკუთრებული ზიანი მიაყენა და შეარყია ამომრჩევლების თვალში მისი რეპუტაცია. ეროვნულმა სასამართლომ სტატიის ავტორის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი დეპუტატის პირად ცხოვრებაში შეჭრისათვის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში. მისი აზრით, სტატიის მიზანს წარმოადგენდა მკითხველის ყურადღება მიექცრო სამართალდამრღვევის ოჯახურ კავშირებზე და არა მოვლენის არსის გაშუქება.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ემსახურებოდა დეპუტატის უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას, მაგრამ უარყო ასეთი ჩარევის თანაზომიერება დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში. იგი ეროვნულ სასამართლოს დაეთანხმა იმაშიც, რომ სტატიის შინაარსი ფოკუსირებული იყო სამართალდამრღვევის ოჯახურ კავშირებზე და სტატიას შეეძლო

¹⁴ „მედიაში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ“ ზემოაღნიშნული დეკლარაციის VII მუხლი მიუთითებს, რომ პოლიტიკოსთა პირადი და ოჯახური ცხოვრება დაცული უნდა იყოს მედიის მხრიდან ჩარევისაგან. მაგრამ თუ შესაბამისი ინფორმაცია პირადი ცხოვრების შესახებ წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს იმ თვალსაზრისით, რომ იგი უკავშირდება მის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებას, ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს მესამე მხარისათვის ზიანის მიუყენებლად (ხაზგასმა ჩემია – ე.გ.).

¹⁵ *Karhuvaara and Iltalehti v. Finland*, judgment of 16 November 2004.

უარყოფითი გავლენა მოეხდინა პარლამენტის დეპუტატის არჩევნების დროს ამომრჩეველთა ნება-სურვილზე და, მაშასადამე, ქ-ნი A-ს სამსახურეობრივ კარიერაზე. მაგრამ ეს, ევროპული სასამართლოს აზრით, არ წარმოადგენდა საკმარის გამართლებას მკაცრი გამამტყუნებელი განაჩენისათვის. მომჩივნისათვის დაკისრებული ჯარიმისა და კომპენსაციის დიდი მასშტაბები დეპუტატის პირადი ცხოვრების უფლების არც თუ ისე სერიოზული დარღვევის ფონზე, წარმოადგენდა აშკარად დისპროპორციულ ღონისძიებას პირადი ცხოვრების უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესთა ასეთი კონფლიქტის დროს.

აქვე, აუცილებლად უნდა შევჩერდეთ უაღრესად საინტერესო საქმეზე, რომელიც შეეხება საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის **ფრანსუა მიტერანის** პირადი ექიმის მიერ მისი პირადი ცხოვრების ფაქტების (კერძოდ ავადმყოფობის ისტორიის შესახებ) ინფორმაციის გავრცელებას მისი გარდაცვალების შემდეგ, რამაც დაარღვია საქმიო საიდუმლოების დაცვაზე პრეზიდენტის უფლება და დიდი ზიანი მიაყენა მის რეპუტაციას.¹⁶ ეს საქმე საინტერესოა იმით, თუ როგორ დააბალანსა ევროპულმა სასამართლომ დაპირისპირებული ინტერესები და როდის და რატომ მიიჩნია, რომ პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელობა აღემატებოდა პრეზიდენტის უფლებების დაცვის აუცილებლობას:

მომჩივანმა კომპანიამ მოიპოვა საგამომცემლო უფლება წიგნზე „დიდი საიდუმლო“ („*Le Grand Secret*“) რამდენიმე ჟურნალისტიკისა და ექიმი გრიუბერისაგან, რომელიც იყო საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის პირადი ექიმი. წიგნში აღწერილი იყო პრეზიდენტ მიტერანის კიბოთი დაავადების ისტორია პრეზიდენტის პოსტზე მისი პირველი ვადის დასაწყისიდან, რის შესახებაც საზოგადოება არ იყო ოფიციალურად ინფორმირებული სულ უკანასკნელ პერიოდამდე. წიგნში აღნიშნული იყო აგრეთვე, პრეზიდენტ მიტერანისა და მისი ექიმის ურთიერთობა და ის სირთულეები, რომლებსაც წააწყდა ექიმი გრიუბერი საზოგადოებისათვის პრეზიდენტის ავადმყოფობის შესახებ ნამდვილი ინფორმაციის დამალვისას, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ თვით პრეზიდენტის განკარგულებით, ყოველ ექვს თვეში ერთხელ გამოდიოდა ბიულეტენი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

წიგნი გამოქვეყნდა 1996 წლის 17 იანვარს, დაახლოებით 10 დღის შემდეგ პრეზიდენტ მიტერანის გარდაცვალებიდან. მეორე დღესვე, პრეზიდენტის ქვრივისა და მისი შვილების სასწრაფო მიმართვის საფუძველზე გამოიცა დროებითი ამკრძალავი ბრძანება წიგნის შემდგომი გავრცელების შეწყვეტის შესახებ.

1996 წლის ივლისში მაღალი ინსტანციის პარიზის ტრიბუნალმა (*tribunal de grande instance*) არსებითად განიხილა საქმე. მან ექიმი გრიუბერი დამნაშავედ ცნო მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის ჩადენაში, კერძოდ – პროფესიული საიდუმლოს დარღვევისათვის, ხოლო წიგნის თანაავტორი ჟურნალისტი და მომჩივანი კომპანიის ადვოკატი – ამ სამართალდარღვევის ჩადენაში დახმარებისათვის. ქ.პარიზის

¹⁶ *Plon (société) v. France*, judgment of 18 May 2004.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 1996 წლის ოქტომბრის თვეში ძალაში დატოვა წიგნის პუბლიკაციის აკრძალვა და ექიმ გრიუბერს, მომჩივან კომპანიასა და კომპანიის ადვოკატს სოლიდარულად დააკისრა ქნი მიტერანისათვის 100000 ფრანგული ფრანკის, ხოლო პრეზიდენტის სამი შვილისათვის ცალ-ცალკე 80000 ფრანგული ფრანკის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ ასევე ძალაში დატოვა წიგნი პუბლიკაციის აკრძალვა.

მან მიუთითა, რომ წიგნი შეიცავდა ინფორმაციას, რომლის გახმაურება დაუშვებელი იყო, ვინაიდან ექიმის პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენდა. მან ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელება შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა განსაზღვრულ შეზღუდვებს; განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე სხვა პირთა უფლებებს შეეხებოდა.

მანვე უარყო მიტერანების ოჯახის სარჩელი პრეზიდენტ მიტერანის პირადი ცხოვრების დაცულობის საკითხზე იმ არგუმენტის საფუძველზე, რომ თითოეული ადამიანის უფლება, მოეთხოვა თავისი პირადი ცხოვრების დაცულობა ნებისმიერი ფორმით გახმაურებისაგან, მხოლოდ ცოცხალ ადამიანებს გააჩნდათ.

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიჩნია, რომ როგორც დროებითი ამკრძალავი ბრძანება, ისე შემდგომი სასამართლო დადგენილებები წიგნის გავრცელების აკრძალვის შესახებ, აგრეთვე, გადაწყვეტილებანი კომპენსაციის შესახებ, წარმოადგენდა მომჩივანი კომპანიის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას. სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს ეს ღონისძიებები ლოგიკურად სავარაუდო და მოსალოდნელი იყო და, ამასთანავე, ემსახურებოდა კანონიერ მიზანს – კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გახმაურების“ თავიდან აცილებასა და „სხვა პირთა უცლებების“ დაცვას.

ევროპულმა სასამართლომ განსხვავებულად შეაფასა წიგნის გავრცელების აკრძალვის შესახებ დროებითი და საბოლოო ღონისძიებების აუცილებლობა.

სასამართლოს აზრით, დროებითი აკრძალვა გამართლებული იყო, რადგან ის გამოცემული იყო სულ რაღაც 11 დღის შემდეგ პრეზიდენტ მიტერანის სიკვდილიდან, როდესაც განცდები საზოგადოებაში და მათ შორის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო. წიგნში გადმოცემული ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად პრეზიდენტ მიტერანის რეპუტაციისადმი მიყენებული ზიანი ძალზე სერიოზული იყო და მისი გავრცელება პრეზიდენტის სიკვდილიდან ასეთი მცირე ხნის შემდეგ მხოლოდ გააღრმავებდა მისი ოჯახის მწუხარებას, რომელმაც თავისი სასწრაფო მიმართვა წიგნის გავრცელების შეწყვეტის მოთხოვნით სწორედ გლოვის ვითარების კონტექსტს დაუკავშირა.

ევროპული სასამართლოს აზრით, ჩარევის ღონისძიება პროპორციული იყო დასახული მიზნისა, ვინაიდან იგი დროში გონივრულად იყო შეზღუდული. მან დაასკვნა, რომ ეროვნული სასამართლოს დროებითი ამკრძალავი ბრძანება წიგნის გავრცელების შესახებ არ არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს.

მეორე მხრივ, 1996 წლის ოქტომბრის თვეში მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება წიგნის გავრცელების აკრძალვის გაგრძელების შესახებ, უკვე აღარ ემყარებოდა „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“. ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო ცხრანახევარი თვის შემდეგ პრეზიდენტის გარდაცვალებიდან. ამ გადაწყვეტილების კონტექსტი იყო სრულიად განსხვავებული იმ კონტექსტისაგან, როდესაც სასამართლომ პრეზიდენტის ოჯახის სასწრაფო მიმართვის საფუძველზე დროებითი აკრძალვის გადაწყვეტილება გამოიტანა. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა პრეზიდენტის გარდაცვალებიდან, მით უფრო მცირდებოდა ამ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობა. ევროპული სასამართლოს აზრით, ამ დროისათვის საზოგადოებრივი ინტერესი იმისა, ემსჯელათ ფრანსუა მიტერანის პრეზიდენტის პოსტზე ორი ვადით ყოფნის ისტორიის საკითხებზე, უკვე აღემატებოდა თავისი მნიშვნელობით საექიმო საიდუმლოების დაცვაზე პრეზიდენტის უფლების დაცვის მოთხოვნას. რაკი პრეზიდენტის პირადმა ექიმმა ეს საიდუმლო გათქვა, პრეზიდენტის სიკვდილის შემდგომ გასული დროის ხანგრძლივობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული ისეთი სერიოზული „ჩარევის ღონისძიების“ აუცილებლობის შეფასებისას, როგორც წიგნის მთლიანი და საბოლოო აკრძალვა წარმოადგენდა.

უფრო მეტიც, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ბოლო ღონისძიების მომენტისათვის წიგნის 40 ათასი ეგზემპლარი უკვე გაყიდული იყო, არსებობდა ინტერნეტშიც და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აქტიურად მიმდინარეობდა მისი კომენტარი. ასე რომ, წიგნში გადმოცემული ინფორმაცია უკვე აღარ იყო კონფიდენციალური. შესაბამისად, „საექიმო საიდუმლოების დაცვა“ ვეღარ იქნებოდა გამოხატვის თავისუფლების გადამწონი ფაქტორი.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ 1996 წლის ოქტომბრის თვის შემდეგ აკრძალვის მოქმედების გაგრძელება აღარ იყო განპირობებული შესაბამისი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ წიგნის მთლიანი და საბოლოო აკრძალვა არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს.

* * *

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში პოლიტიკოსების შესახებ ინფორმაციისა თუ შეხედულებების გამოხატვა სრულიად განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს. ისინი, საბოლოო ჯამში, განიხილება, როგორც პოლიტიკურ სფეროში გამოთქმული შეხედულებები და ინფორმაცია მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ არ შეეხებიან წმინდა პოლიტიკურ საკითხებს. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ **შეუძლებელიც კია ზუსტად განისაზღვროს ის, თუ რა შეიძლება „პოლიტიკური დისკუსიების“ სფეროს მიეკუთვნოს.** როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა „სასამართლო პრაქტიკა

არაფრით არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პოლიტიკური დისკუსიები მკვეთრად განვმეიჯნოთ სხვა საკითხების განხილვისაგან, რომლებიც ასევე წარმოადგენენ საზოგადოებრივ ინტერესს.¹⁷

8.3.4. დასაშვები კრიტიკის ფარგლები სახელმწიფო მოხელეთა მიმართ

მიდგომა ასეთია: **სახელმწიფო მოხელეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ვიწროა, ვიდრე პოლიტიკოსების მიმართ, მაგრამ უფრო ფართო, ვიდრე კერძო პირთა მიმართ. ამგვარად, მათ ამ მიმართებით, შუალედური ადგილი აქვთ მიჩენილი.**

ასეთი მიდგომა ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, შენგებულად არ დაუყენებიათ თავიანთი თავი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ. მათი საქმიანობა არ არის ისე ფართოდ განმაურებული და საზოგადოებისათვის ცნობილი, როგორც პოლიტიკოსებისა; ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს მათი რწმენა. ამიტომ, მათ მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები არ შეიძლება იყოს ისეთივე ფართო, როგორც პოლიტიკოსებთან მიმართებაში და აუცილებელია მათი დაცვა შეურაცხმყოფილი კრიტიკისაგან განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებენ.

სახელმწიფო მოხელეთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების განსაზღვრაზე გავლენას ახდენს აგრეთვე, ე.წ. „თავშეკავებულობის მოთხოვნაც“, რომელიც მათ ეკისრებათ. **პასუხის გაცემის საშუალებები მათ შეზღუდული აქვთ და ისინი ვალდებული არიან იზრუნონ სახელმწიფო სამსახურის ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის იმიჯის შესაქმნელად. ეს გარემოება აძლიერებს სხვათა „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“ მათთაში კირიტიკის გამოთქმის კონტექსტში.**

ეს პრინციპები და მიდგომები ევროპულმა სასამართლომ თავისი პრაქტიკით ჩამოაყალიბა და იყენებს ყოველ ისეთ საქმეში, რომელიც სახელმწიფო მოხელეთა რეპუტაციას შეეხება. მაგალითად, *Janowski*-ს საქმეზე შედგენილ განჩინებაში, რომელიც სახელმწიფო მოხელის შეურაცხოფისათვის ჟურნალისტის მსჯავრდებას შეეხებოდა, მან ახსნა, თუ რატომ არ შეიძლებოდა სახელმწიფო მოხელეთა გათანაბრება პოლიტიკოსებთან: დასაშვები კრიტიკის „ასეთი ფარგლები სახელმწიფო მოხელეთა მიმართ მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს, რა თქმა უნდა, უფრო ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი კერძო პირების მიმართ, მაგრამ, ამასთანავე ვერც იმას ვიტყვით, რომ, პოლიტიკოსების მსგავსად მათ შეგნებულად დაუქვემდებარეს თავიანთი ყოველი სიტყვა თუ მოქმედება საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას და რომ ისინი პოლიტიკოსებთან უნდა იქნენ გათანაბრებული, როდესაც საქმე მათი ქმედების კრიტიკას შეეხება. სახელმწიფო მოხელეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, უნდა სარგებლობდნენ

¹⁷ *Thorgeir Thorgeirson v. Iceland*, judgment of 25 June 1992, §64.

საზოგადოებრივი ნდობით და ამიტომ „აუცილებლად“ შეიძლება იქნეს მიჩნეული მათი დაცვა სიტყვიერი შეურაცხყოფელი თავდასხმებისაგან, როდესაც ისინი სამსახურეობრივ ფუნქციებს ასრულებენ“.¹⁸

სახელმწიფო მოხელეთა რეპუტაციის დაცვისა და გამონატვის თავისუფლების ღირებულებითი კონფლიქტის გადაჭრაზე, ცხადია სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას და მათი ერთობლივად მხედველობაში მიღებით ყალიბდება დასკვნა ბალანსის სამართლიანობის შესახებ. მაგალითად, თუ კრიტიკა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დებატების კონტექსტშია გამოთქმული, ანდა საქმე შეეხება პრესის თავისუფლებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს გამონატვის თავისუფლების სასარგებლო ბალანსის ჩამოყალიბება. დიდი მნიშვნელობა აქვს შეურაცხოფისა თუ წამოყენებული ბრალდების ხასიათსა და მათ საფუძვლიანობასაც.

მაგალითად, ერთ-ერთი საჩივრის განხილვისას, რომელიც შეეხებოდა რამდენიმე საჯარო მოხელისა და მოსამართლის მიმართ შეურაცხყოფელი ბრალდების წამოყენებას (თანაც არაერთგზის და საჯაროდ), ევროპულმა სასამართლომ მათი რეპუტაციის დაცვის ინტერესისათვის პრიორიტეტის მინიჭება სწორედ იმ გარემოებებს დააფუძნა, რომ გამოთქმული კრიტიკა მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიის ნაწილად; რომ ღირებულებათა კონფლიქტში ჩართული არ იყო პრესის თავისუფლების დაცვის ინტერესი და რომ ბრალდება მეტისმეტად შეურაცხყოფელი ხასიათისა იყო. შესაბამისად, მან მომჩივნის მსჯავრდება მიიჩნია დასახული კანონიერი მიზნის პროპორციულად და საჩივარი მიუღებლად ცნო, როგორც აშკარად უსაფუძვლო.¹⁹

ღირებულებათა კონფლიქტის თვალსაზრისით ძალზე საინტერესო საქმეა *Nikula v. Finland*. აქ პროკურორის რეპუტაციის დაცვის ინტერესი ადვოკატის სიტყვის თავისუფლებას დაუპირისპირდა. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ადვოკატის სიტყვის თავისუფლების სასარგებლო ბალანსი მიიჩნია სამართლიანად. ადვოკატის სიტყვის თავისუფლების მნიშვნელობასთან ერთად, გადამწყვეტი აღმოჩნდა ის გარემოებები, რომ კრიტიკა შემოზღუდული იყო სასამართლო პროცესის საკითხებით და არ უთანაბრებოდა პირად შეურაცხყოფას. ამ პირობებში ადვოკატის სისხლის სამართლის მსჯავრდება დაუდევრობით ჩადენილი დიფამაციისათვის არ იქნა მიჩნეული თანაზომიერ ღონისძიებად.

ადვოკატის მიერ გამოქვეყნებულ მემორანდუმში პროკურორი გაკრიტიკებული იყო „არნახული უკანონობისა“ და „როლების მანიპულირებისათვის“. კერძოდ, ადვოკატი უთითებდა, რომ მისი კლიენტის საქმეში იგი „პროცესუალური ტაქტიკის საშუალებებით“ ცდილობდა „თანამონაწილე მოწმედ ექცია“, ხოლო „პირს, ვინც მოწმედ უნდა გამოსულიყო, შეთითხნილი ბრალდება წაუყენა“.

¹⁸ *Janowski v. Poland*, judgment of 21 January 1999, § 33.

¹⁹ Appl. N 32051/96 A, *Jääskeläinen and Others v. Finland*, decision of 4 May 2000.

ევროპულმა სასამართლომ განჩინებაში ნათლად ჩამოაყალიბა ყველა დაპირისპირებული ინტერესი. ერთი მხრივ, ზაზი გაუსვა სახელმწიფო მოხელეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლებს, მათდამი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას და მათი რეპუტაციის დასაცავად სახელმწიფოს დაინტერესებას. მეორე მხრივ, მიუთითა ადვოკატის სიტყვის თავისუფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მისი პროცესუალური როლის გათვალისწინებით. ამასთანავე აღნიშნა, რომ, მართალია, ადვოკატებს გააჩნდათ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის ზეპირი კომენტარის უფლება, მაგრამ მათ კრიტიკას არ უნდა დაერღვია განსაზღვრული ფარგლები და, რომ მათი სიტყვის თავისუფლება უსაზღვრო არ იყო. თუმცადა, საბოლოო ჯამში, მიიჩნია, რომ ადვოკატის კრიტიკა არ არღვევდა „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს. იგი მიმართული იყო ბრალდების ტაქტიკისაკენ და, მართალია, ზოგიერთი გამონათქვამი არასათანადო იყო, მაგრამ მთლიანობაში, იგი მკაცრად შეზღუდული იყო მოცემულ საქმეზე პროკურორის საქმიანობით და არ შეეხებოდა მის საერთო პროფესიულ ან სხვა თვისებებს. ამიტომ, მოცემულ პროცესუალურ კონტექსტში, პროკურორს მეტი მოთმინება ჰქმარებდა კრიტიკისადმი, რომელიც შემოზღუდული იყო სასამართლო პროცესის საკითხებით და არ უთანაბრდებოდა პირად შეურაცხყოფას.²⁰

ადვოკატსა და სახელმწიფო მოხელეს შეეხებოდა აგრეთვე საქმე *Steur v. the Netherlands*. ადვოკატი დისციპლინური წესით დაისაჯა პროფესიული ქცევის წესების დარღვევისათვის სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადების გამო, თითქოს გამომძიებელმა თვითმამხილებელი ჩვენების მისაღებად მის კლიენტზე მიუღებელი ზეწოლა განახორციელა. სადისციპლინო საბჭომ მიიჩნია, რომ ადვოკატმა გამომძიებელს ბრალი დასდო ფიცის გატეხვაში ისე, რომ არავითარ ფაქტებს არ ემყარებოდა.

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ ადვოკატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა გამომძიებლის უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის მიზანს ემსახურებოდა. მან აღნიშნა, რომ მომჩივნის კრიტიკა, რომელიც შეეხებოდა გამომძიებლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას მტკიცებულების მოპოვების ხერხს, აშკარად დისკრედიტაციული იყო; რომ სახელმწიფო მოხელეები დაცული უნდა ყოფილიყვნენ შეურაცხყოფელი თავდასხმისაგან თავიანთი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, მაგრამ მისი რეპუტაციის დასაცავად ადვოკატის სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა მოცემულ საქმეში გაუმართლებლად მიიჩნია. მან გაითვალისწინა, რომ სახელმწიფო მოხელეთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები უფრო ფართო იყო, ვიდრე კერძო პირების მიმართ, ხოლო ადვოკატის სიტყვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში, მისი პროცესუალური როლის გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტი მნიშვნელობა მაინც იმას მიანიჭა, რომ ადვოკატის კრიტიკა მკაცრად შემოზღუდული იყო გამომძიებლის ქცევით მისი კლიენტის საქმეზე, არ შეეხებოდა

²⁰ *Nikula v. Finland*, judgment of 21 May 2002.

პიროვნების საერთო პროფესიულ თუ სხვა თვისებებს და ვერ ჩაითვლებოდა პირად შეურაცხყოფად. ამასთანავე, მიიჩნია რომ ადვოკატს გააჩნდა თავისი ბრალდების გარკვეული ფაქტობრივი საფუძველი. სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადება მთლიანად შეესაბამებოდა მისი კლიენტის ჩვენებას, რომელიც მან შემდგომში მისცა გამომძიებელ მოსამართლეს. ამიტომ სავარაუდო იყო, რომ მანამდე, ზეწოლის შესახებ ინფორმაცია მან თავის ადვოკატს გაანდო. ასეთ პირობებში გაუმართლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ადვოკატი ბოროტი განზრახვით მოქმედებდა. მართალია, ადვოკატის მიმართ რაიმე სანქცია გამოყენებული არ იყო, მაგრამ მისი კლიენტისაგან მამხილებელი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე გამოთქმული კრიტიკის *ex post facto* გადასინჯვის მუქარა ძნელად თუ უთავსდებოდა კლიენტის დაცვის მის მოვალეობას. ამ გარემოებებს კი უთუოდ ექნებოდა „მსუსხავი ეფექტი“ მის პროფესიულ პრაქტიკაზე. საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ გაუმართლებლად მიიჩნია გამომძიებლის რეპუტაციის დასაცავად ადვოკატის სიტყვის თავისუფლებაში ჩარევა.²¹

პოლიტიკოსებთან და სახელმწიფო მოხელეებთან მიმართებაში დასაშვები კრიტიკის ფარგლების განსხვავებულობის ყველაზე უფრო პრინციპული გამოვლინება უკავშირდება მძიმე ბრალდების წამოყენების შემთხვევებისადმი არაერთგვაროვან მოპყრობას. მაგალითად, თუ პოლიტიკოსებისათვის კორუფციის ან სხვა დანაშაულის დაბრალება მხოლოდ ბრალდების სრული უსაფუძვლობის პირობებში შეიძლება შეიზღუდოს, სახელმწიფო მოხელეებთან მიმართებაში ბრალდების საფუძვლიანობის მოთხოვნა გაცილებით უფრო პრინციპულია.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ როდესაც საქმე არ შეეხება პოლიტიკოსებს, დიფამაციის საქმეებში კონკრეტული ინდივიდების კონკრეტული ბრალდება მომჩივანს ავალდებულებს წარმოადგინოს არსებითი, საკმარისი საფუძველი თავისი ბრალდებისა.

ამასთანავე, ის, თუ რა ჩაითვლება „არსებით და საკმარის საფუძველად“ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ბრალდების სიმძიმის ხარისხი, ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიხედვით, „ბრალდების საფუძველი“ „ბრალდების სიმძიმის ხარისხის“ პროპორციული უნდა იყოს. უფრო სერიოზულ ბრალდებას, შესაბამისად, უფრო სოლიდური საფუძველი ესაჭიროება.

ამ მხრივ, ერთ-ერთი ძალზე საინტერესო საქმეა *Cumpănă and Mazăre v. Romania*, რომელიც ზემოთ უკვე რამდენჯერმე მოვისხენიეთ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ეს საქმე შეეხებოდა საშუალო რანგის სახელმწიფო მოხელეების – ქალაქის მერის მოადგილისა და ქალაქის საბჭოს იურიდიულ ექსპერტის კორუფციაში დადანაშაულებას: კერძოდ, ჟურნალისტებმა გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში მათ ბრალი დასდეს იმაში, რომ პირადი დაინტერესებით ხელი მოაწერეს უკანონო კონტრაქტს კერძო კომპანიასთან, რამაც გამოიწვია ქალაქის ბიუჯეტის სასარგებლოდ

²¹ *Steur v. the Netherlands*, judgment of 28 October 2003.

შემოსავლების დაკარგვა. სტატიაში გამოთქმული იყო აზრი, რომ ისინი ზემოაღნიშნულ კერძო კომპანიასთან ერთად ჩაბმული იყვნენ თაღლითურ მაქინაციებში. იურიდიული ექსპერტის შესახებ კი ნათქვამი იყო შემდეგი: „იგი ან არ იცნობდა კანონმდებლობას, როდესაც ხელი მოაწერა კონტრაქტს და, ამ შემთხვევაში ძალზე რთულია იმის გაგება, თუ როგორ იქნა ის შემდგომში მოსამართლედ დანიშნული (რამდენადაც მართლმსაჯულებას ახორციელებს იმავე კანონების საფუძველზე, რომელსაც არ იცნობს), ანდა მან აიღო ქრთამი და შესაძლოა ამას მომავალშიც გააგრძელებს“...

სტატიას თან ახლდა კარიკატურა, რომელშიც გამოსახული იყვნენ ხელიხელჩაკიდებული მამაკაცი და ქალი ბანკნოტებით სავსე ჩანთით და გადმოცემული იყო მათი ურთიერთნათქვამები:

– „შენ აქ კარგი საქმე გააკეთე, როდესაც მე მერის მოადგილე ვიყავი. ჩვენ ვიშოვეთ საკმარისი ამერიკაში წასასვლელად“.

– „თუ შენ ვახდები ადვოკატი, მე ვავხვდები მოსამართლე და ჩვენ გვექნება საკმარისი ფული მთელ მსოფლიოში სამოგზაუროდ“.

ჟურნალისტები ცნობილი იქნენ დამნაშავედ შეურაცხყოფისა და დიფამაციისათვის. ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მათ მიუთითეს, რომ სტატია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს, კერძოდ, ქალაქის მერიის მიერ უკანონო კონტრაქტის დადებას (ეს გარემოება შემდეგ მართლაც დაადასტურა აუდიტორულმა სასამართლომ) შეეხებოდა და ისინი, როგორც პრესის მუშაკები, ვალდებულები იყვნენ საზოგადოებისათვის ეცნობებინათ ამის შესახებ. მათი გამონათქვამები კი წარმოადგენდა „შეფასებით მსჯელობას“, რომელიც მტკიცებას არ ექვემდებარებოდა.

ევროპული სასამართლო (დიდი პალატა) არ დაეთანხმა მათ შეფასებებს და აღნიშნა, რომ სტატია შეიცავდა კონკრეტული პირების მიმართ კონკრეტულ ბრალდებას, კერძოდ, კორუფციაში დადანაშაულებას, რაც ჟურნალისტებს ავალდებულებდა, წარმოედგინათ არსებითი ფაქტობრივი საფუძველი თავიანთი მტკიცებებისა. სასამართლოს აზრით, მოცემულ საქმეში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან იგი სერიოზულ კრიმინალურ ბრალდებას შეეხებოდა. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ასეთი ვალდებულება წარმოდგებოდა კონვენციის მე-10 მუხლში მითითებული „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან“, რაც პრესის თავისუფლების კონტექსტში გულისხმობდა ჟურნალისტთა ვალდებულებას, ემოქმედათ კეთილი განზრახვით, საზოგადოება მოემარაგებინათ სწორი და საიმედო ინფორმაციით და არ შეეყვანათ იგი შეცდომაში. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ პუბლიკაცია აგრეთვე შეიცავდა შეურაცხმყოფელ და არაორაზროვან მინიშნებებს მოსარჩელეთა პირად ცხოვრებაზე. საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაციის ძირითადი თემა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა და საქმე ჟურნალისტთა სიტყვის თავისუფლებას შეეხებოდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც იმას მიენიჭა, რომ სახელმწიფო მოხელეთა მიმართ მათი ბრალდებები

წარმოადგენდა სინამდვილის არასწორ ასახვას, რომ მათ ვერ შესძლეს თავიანთი სერიოზული კორუფციული ბრალდების დასაბუთება და ვერ წარმოადგინეს სასამართლოში თავიანთი მტკიცებების თუნდაც მცირედი ფაქტობრივი საფუძველი. ევროპულმა სასამართლომ აღიარა სახელმწიფო მოხელეთა რეპუტაციის დასაცავად ჟურნალისტთა გამონატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (თუმცა, კონვენციის მე-10 მუხლი მან მაინც დაარღვეულად ცნო გამოყენებული საპატიმრო სასჯელის არათანაზომიერების მოტივით)

თითქმის ანალოგიურია საქმე *Pedersen and Baadsgaard v. Denmark*, იმ განსხვავებით, რომ იგი პოლიციის უფროსის დიფამაციას შეეხება.

მომჩინებმა (ჟურნალისტებმა) სატელევიზიო გადაცემაში ბრალი დასდეს (თანაც დაბეჯითებით) პოლიციის უფროსს იმაში, რომ მან გადამალა ან გაანადგურა ეჭვმიტანილის უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულება, კერძოდ – ერთ-ერთი მოწმის ჩვენება, რასაც შედეგად მოჰყვა უდანაშაულო ადამიანის მკვლელობაში დადანაშაულება.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩინებმა აღნიშნეს, რომ მათი განცხადებები წარმოადგენდა „შეფასებით მსჯელობას“, ემყარებოდა ფაქტობრივ საფუძველს (სატელევიზიო გადაცემა მართლაც შეიცავდა ინტერვიუს ერთ პიროვნებასთან, რომელიც ადასტურებდა, რომ, თავის დროზე, პოლიციას მისცა ჩვენება, რომელიც დიდი ეჭვის ქვეშ აყენებდა ეჭვმიტანილის მიერ მკვლელობის ჩადენის შესაძლებლობას), ხოლო ისინი მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და არ ჰქონდათ დარღვეული „დასშვები კრიტიკის“ ფარგლები. მათი აზრით, სახელმწიფო მოხელეების, განსაკუთრებით კი პოლიციის მაღალჩინოსან თანამშრომელთა მიმართ, პოლიტიკოსთა მსგავსად, „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები იყო განსაკუთრებით ფართო, და ამიტომ, მათი მსჯავრდება არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-10 მუხლით ნაგულისხმებ სტანდარტებს.

ევროპულმა სასამართლომ კარგად გამოკვეთა, რომ მომჩინებები დაისაჯნენ არა პოლიციის კრიტიკისათვის, ანდა იმისათვის, რომ ეჭვქვეშ დააყენეს მკვლელობის საქმის გამოძიების სისწორე, არამედ იმისათვის, რომ სპეციფიკური, კონკრეტული და მძიმე ბრალდება წაუყენეს კონკრეტულ პიროვნებას – თითქოს მან გადამალა ეჭვმიტანილის უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი, რაც დანიის კანონმდებლობით მძიმე დანაშაულს წარმოადგენდა და 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა. ასეთი ბრალდების შემცველი „შეფასებითი მსჯელობა“ მტკიცებას ექვემდებარებოდა და მის დასაცავად აუცილებელი იყო „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძველის არსებობა, ხოლო ეს საფუძველი მათი ბრალდების სიმძიმის ხარისხის პროპორციული უნდა ყოფილიყო; უფრო სერიოზულ ბრალდებას, შესაბამისად, უფრო სოლიდური ფაქტობრივი საფუძველი ესაჭიროებოდა.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა პოლიციის საქმიანობის კრიტიკის ფართო უფლება, მაგრამ მიუთითა, რომ მისი წარმომადგენლების მიმართ ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელების დროს „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები არ იყო

ისეთი ფართო, როგორც კონკრეტულ პოლიტიკოსებთან მიმართებაში. პოლიციის უფროსისადმი (რომელიც უძღვებოდა წინდაწინვე პოლემიკური ინტერესის აღმძვრელ კრიმინალურ გამოძიებას) მოპყრობა, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთივე, როგორც პოლიტიკოსის მიმართ. მისი მძიმე კრიმინალური ბრალდება არა მარტო ზიანს აყენებდა მისდამი ხალხის ნდობას, არამედ ხელყოფდა მის უფლებას, ჩათვლილიყო უდანაშაულოდ, სანამ კანონის შესაბამისად არ დაუმტკიცებდნენ ბრალს.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ კრიმინალური საქმის გამოძიების კრიტიკული შეფასება და ის მიზანი, რასაც მომჩივანთა სატელევიზიო პროგრამა ისახავდა, შეესაბამებოდა მედიის როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში; მაგრამ ასეთი მძიმე ბრალდების წამოყენება საკმარისი საფუძვლის გარეშე, შეუძლებელი იყო გამართლებულად მიჩნეულიყო ამ როლის განხორციელების მიზნებით.

შესაბამისად, მან დაპირისპირებული ღირებულებების სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში მიიჩნია, რომ არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ მომჩივანთა გამოხატვის თავისუფლების შესაზღვრულად და არც გამოყენებული სასჯელი (ჯარიმა 8000 დანიური კრონი) და კომპენსაცია (100000 დანიური კრონი) მიიჩნია გადაჭარბებულად ანდა ისეთად, რომელიც „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებდა მედიის თავისუფლებაზე.²²

პოლიციელის რეპუტაციის დაცვის სასარგებლოდ გადაწყვიტა ევროპულმა სასამართლომ საქმე, რომელიც შეეხებოდა ჟურნალისტის სტატიას, რომელშიც დასახელებული იყო პოლიციელის ვინაობა, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმისა და დისციპლინური საქმის განხილვა დამთავრებული არ იყო. სასამართლომ აღიარა, რომ სტატია შეეხებოდა საზოგადოებრივად საინტერესო საკითხს – პოლიციელის მხრიდან ხელისუფლების გადამეტებასა და ემიგრანტების დეპორტაციის კანონიერებას. მაგრამ მიიჩნია, რომ ჟურნალისტს ნიგერიის მოქალაქის ძალდატანებითი დეპორტაციის დროს მომხდარი ინციდენტზე შეეძლო საზოგადოების ყურადღება მიექცოდა დეპორტაციის პროცედურაში მონაწილე პოლიციელის გვარის გამოქვეყნების გარეშე.²³ ასევე გამართლებულად მიიჩნია ევროპულმა სასამართლომ ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმის გამო, რომ მან თავის სტატიაში პრეფექტის მოადგილე დაადანაშაულა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაში პირადი დაინტერესებით (*Ivanciuc v. Romania*). ეროვნულმა სასამართლომ, მართალია, უარი თქვა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, რამდენადაც მიიჩნია, რომ ჟურნალისტი ბოროტი განზრახვით არ მოქმედებდა, მაგრამ დააკისრა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მიყენებული მორალური ზიანისათვის. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ჟურნალისტის ბრალდებას არავითარი ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნდა და დადგენილად მიიჩნია, რომ ჟურნალისტმა შეუძომწმელებელი ინფორმაცია გამოაქვეყნა. მეორე მხრივ, მან მხედველობაში მიიღო ისიც, რომ იგი სასამართლოზე არც ერთხელ

²² *Pedersen and Baadsgaard v. Denmark*; judgment of 17 December 2004.

²³ იხ. *“Wirtschafts-Trend” Zeitschriften-Verlags GmbH v. Austria*, decision of 14 November 2002.

არ გამოცხადდა და არ გამოამჟღავნა არავითარი დაინტერესება საქმის განხილვის მიმართ. სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ იგი ვერ დარწმუნდა იმაში, რომ ჟურნალისტი კეთილსინდისიერად მოქმედებდა. შესაბამისად, ჟურნალისტის საჩივარი მან „აშკარად უსაფუძვლოდ“ მიიჩნია.²⁴

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო მოხელის“ ცნება სტრასბურგის იურისპრუდენციაში ფართოდ არ არის განმარტებული. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მოხელეების მიმართ შემუშავებული მიდგომები ვერ იქნება გამოყენებული ყველა ისეთი პირის მიმართ, ვინც კი სახელმწიფოს ანდა ისეთ კომპანიას ჰყავს დაქირავებული, რომლის მესაკუთრეც სახელმწიფოა. მაგალითად, მან უარი თქვა „სახელმწიფო მოხელეებად“ მიეჩნია სახელმწიფო აეროპორტის ხელმძღვანელი პირები საქმეში *Busuioc v. Moldova*. მან მიუთითა, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ „სამართალდამცველ მოხელეებს“ (Law enforcement officers) და ისინი კერძო პირებს გაუთანაბრა.²⁵

მოსამართლეების მიმართ, რამდენადაც ისინიც სახელმწიფო მოხელეებს წარმოადგენენ, ცხადია ასეთივე პრინციპები გამოიყენება. განსხვავება ის არის, რომ მიდგომები კიდევ უფრო ფრთხილი და დელიკატურია. ეს კი ბუნებრივია, ვინაიდან სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში და თავად ევროპული კონვენცია მასზე, როგორც „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველზე“ საგანგებოდ მიუთითებს. ამ საჯარო ინტერესის დიდი მნიშვნელობის გამო, მოსამართლის სტატუსი სრულიად სპეციფიკურ შინაარსს იძენს, რომელიც მას განსაკუთრებულ მოთხოვნებს აკისრებს. მოსამართლეები, როგორც სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელნი, ვალდებულნი არიან იზრუნონ მართლმსაჯულების ავტორიტეტის, დამოუკიდებლობისა და მისი მიუკერძოებლობის იმიჯის შესაქმნელად. აქედანვე წარმოდება მათი „თავშეკავებულობის ვალდებულება“; რომელიც გულისხმობს როგორც იმას, რომ მოერიდონ სიტყვით (პოლიტიკური თუ სხვა ისეთი შეხედულებების გამოხატვით) თუ საქციელით ჩრდილი არ მიაყენონ სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს, არამედ იმასაც, რომ გამოჩინონ თავშეკავება მაშინაც, როდესაც მათ აკრიტიკებენ. ამგვარად, „შეკავების უფლება“ მათ, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო შეზღუდული აქვთ, ვიდრე სხვა კატეგორიის სახელმწიფო მოხელეებს.

მოსამართლეთა კრიტიკისადმი დაკავშირებულ საკითხებს სხვადასხვა ასპექტში, შესაბამის პრაქტიკასთან ერთად, ჩვენ ცალკე თავში განვიხილავთ, რომელიც სპეციალურად მიეძღვნება სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის

²⁴ *Ivanciuc v. Romania*, decision of 8 September 2005; იხ. აგრეთვე საქმე *Radio France and Others v. France* (judgment of 30 March, 2004), რომელიც სახელმწიფო მოხელის მძიმე ბრალდებას შეეხებოდა.

²⁵ *Busuioc v. Moldova* (judgment of 21 December 2004), §64. მოცემული საქმე შეეხებოდა სახელმწიფო აეროპორტის ხუთ ხელმძღვანელ პირს. სასამართლომ ჟურნალისტის კრიტიკული წერილი თითოეულ მათგანთან მიმართებაში ცალ-ცალკე განიხილა და მხოლოდ იმ გამონათქვამების გამო შეიწყნარა ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, რომლებიც ცრუ ფაქტების გადმოცემას წარმოადგენდა. „შეფასებით მსჯელობასთან“ მიმართებაში შეზღუდვა გაუმართლებლად მიიჩნია.

საჯარო ინტერესის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სხვადასხვა საკითხებს.

8.3.5. კერძო პირთა კრიტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ყველაზე უფრო ვიწროა. ეს იმას ნიშნავს, რომ კრიტიკის დროს მათი რეპუტაციისა თუ სხვა უფლებების შელახვის გასამართლებლად უფრო წონადი დასაბუთებაა საჭირო.

მიჩნეულია, რომ პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, რომელთაც, თავიანთი მდგომარეობის წყალობით, ისედაც უამრავი საშუალება გააჩნიათ თავის დასაცავად), კერძო პირები მთლიანად დაუცველი არიან და არც რაიმეს ფასად უთქვამთ უარი თავიანთი კეთილი სახელის დაცვაზე. ამიტომ, მათი უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის მიმართ სახელმწიფოს ვალდებულება გაცილებით ძლიერია. შესაბამისად, მათი რეპუტაციის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას უფრო დაბალი სტანდარტები გამოიყენება და შედარებით გაადვილებულია შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების დასაბუთება“.

კერძო პირებთან მიმართებაში დასაშვები კრიტიკის ვიწრო ფარგლების შესახებ ევროპული სასამართლო ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებს. მაგალითად საქმის *A.Neves v. Portugal* გადაწყვეტილებაში მან აღნიშნა: კერძო პირები უფრო დაცული უნდა იქნენ ჟურნალისტთა კრიტიკისაგან. განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ არ უკავიათ თანამდებობები.²⁶

მათთან მიმართებაში კრიტიკის ვიწრო ფარგლების აღიარება, ცხადია არ გულისხმობს იმას, რომ ბალანსის სამართლიანობაზე მოქმედი სხვა ფაქტორები მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, თუ გამოთქმული კრიტიკა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხება და იგი საჯარო დისკუსიის კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული, ანდა კონფლიქტში პრესის თავისუფლებაც მონაწილეობს, ეს ფაქტორები სერიოზულად გაართულებენ გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის დასაბუთებას. თუმცა, მეორე მხრივ, გაძლიერებულია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ და შესაბამისად, გაზრდილია ამ ვალდებულებათა დარღვეულად მიჩნევის შანსი.

ასევე ჯეროვანი ყურადღება ექცევა კრიტიკის ხასიათსა და მისი დასაბუთებულობის ხარისხს, ზიანს, რომელიც პიროვნებამ განიცადა, შემზღუდველი ღონისძიების თანაზომიერებას და სხვ. შესაბამისად, ბალანსის სამართლიანობა ყოველთვის დაპირისპირებული ინტერესების გონივრული გაწონასწორების გზით მიიღწევა.

თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის პრაქტიკას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ იმ საქმეთა დიდი ნაწილი, სადაც სადაოდ იქცა

²⁶ Appl. N 20683/92. *A.Neves v.Portugal*, decision of 20 February 1995.

კერძო პირთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლების დაცულობა, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს შეეხებოდა. შესაბამისად, ღირებულებათა კონფლიქტის გადაჭრისას გათვალისწინებას მოითხოვდა საზოგადოების უფლება, მიეღო მასზე ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ ამ ფაქტორის არსებობა კრიტიკის ვიწრო ფარგლების მიუხედავად, უმრავლეს შემთხვევაში სასწორს გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ ხრის.

მაგალითად, *Fressoz and Roire*-ს საქმეში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული სტატია უკავშირდებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს და წარმოადგენდა საზოგადოებრივი დებატების ნაწილს, ვინაიდან იგი შეეხებოდა საფრანგეთის ავტომანქანების მწარმოებელ ერთ-ერთ მთავარ კომპანიაში არსებულ დავას; ამასთანავე, იგი გამოქვეყნებული იყო იმ პერიოდში, სანამ დავა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიის მიზანს წარმოადგენდა არა ამ კომპანიის პრეზიდენტის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენება, არამედ საზოგადოებისათვის მისთვის საინტერესო თემაზე ინფორმაციის მიწოდება. მისი აზრით, საკითხები, რომლებიც შეეხებოდა სამუშაოსა და გადასახადებს, იპყრობდა საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას. ამიტომ, საზოგადოების ინტერესი, ყოფილიყო ინფორმირებული, გადასწონიდა მომჩივნის „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“, რომლებიც მათ გააჩნდათ „საეჭვო წარმოშობის დოკუმენტაციის გამო“.²⁷

ასევე დაიცვა ევროპულმა სასამართლომ ჟურნალისტთა გამოხატვის თავისუფლება *Bergens Tidende*-ს საქმეში კერძო პირის რეპუტაციის სერიოზული შელახვის მიუხედავად. საქმე შეეხებოდა გაზეთისთვის, მისი ყოფილი რედაქტორისა და ჟურნალისტისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრებას პლასტიკური ქირურგის სასარგებლოდ მისი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. გაზეთში დაბეჭდილ სტატიებში გადმოცემული იყო პაციენტთა უკმაყოფილება ქირურგის საქმიანობის მიმართ, რის გამოც იქმნებოდა მისი არაკვალიფიციურობის შთაბეჭდილება. ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ სტატიებმა ექიმის რეპუტაციას არსებითი ზიანი მიაყენა და უსათუოდ ცუდად იმოქმედებდა მის პროფესიულ კარიერაზე. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა იმ გარემოებას, რომ სტატიები „შეეხებოდა ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან ასპექტებს და საზოგადოება დაინტერესებული იყო ასეთი ინფორმაციის მიღებით. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, ექიმის ინტერესებისა და პროფესიული რეპუტაციის დაცვა ვერ აღემატებოდა პრესის თავისუფლების მნიშვნელობასა და, კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებისათვის აქტუალურ თემაზე ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას“.²⁸

პრესის როლს გაუთანაბრა ევროპულმა სასამართლომ გარემოს დაცვის ასოციაციის „მეთვალყურე კონტროლიორის“ როლი გარემოს დაცვის საკითხებში

²⁷ *Fressoz and Roire v. France*, judgment of 21 January 1999.

²⁸ *Bergens Tidende and others v. Norway*, judgment of 2 May 2000.

ინფორმაციის მიწოდებისას საქმეში *Vides Aizsardzibas Klubs v. Latvia*. სწორედ გარემოს დაცვის საკითხებით საზოგადოების დიდი დაინტერესება, მისთვის შესაბამის ინფორმაციის მიღების აუცილებლობის უზრუნველყოფა იქნა მიჩნეული ისეთ ღირებულებად, რომელმაც ბალანსი გამოხატვის სასარგებლოდ გადახარა, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი ბრალდების „სოლიდული საფუძველი“ (ჩვენი აზრით) არ არსებობდა:

გარემოს დაცვის ასოციაციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმული იყო შეშფოთება საზღვაო ნაპირის ზოლში დიუნის ზონის დაცვასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამო. რეზოლუციაში (რომელიც ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა), გამოთქმული იყო ბრალდება რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მისამართით, რომელიც თითქოსდა ხელს აწერდა უკანონო ნებართვებს და ამტკიცებდა უკანონო გადაწყვეტილებებს, რითაც ხელს უწყობდა უკანონო მშენებლობას დაცულ ზონაში. ბრალდება ეყრდნობოდა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილ ერთადერთ დოკუმენტს, რომელშიც მშენებლობის ადგილიდან ზღვის ზოლამდე მანძილი არასწორად იყო მითითებული. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ იგი ხელს აწერდა უკანონო ნებართვებს, არ არსებობდა და მთელი პასუხისმგებლობის მასზე დაკისრება შეცდომისათვის, უსამართლო იქნებოდა.

ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა მომჩივანი ორგანიზაციის როლზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ მისი საქმიანობა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციისა, სპეციალიზირებული იყო სწორედ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხებით და იგი ასრულებდა „მეთვალყურე კონტროლიორის“ როლს. როგორც პრესის როლი, მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის დაკისრებული ასეთი როლიც უმნიშვნელოვანესი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. თავისი საზოგადოებრივი მანდატის რეალიზაციისათვის ასოციაციას უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, საზოგადოებისათვის ეცნობებინა მისთვის საინტერესო ფაქტების შესახებ და ამ გზით ხელი შეეწყო ამ სფეროში საქმიანობის გამჭვირვალებისათვის. რაც შეეხება ბრალდებასა და მის საფუძვლიანობას, ვფიქრობთ, ამ ნაწილში ევროპული სასამართლოს დასაბუთება მოიკოჭლებს. იგი წინააღმდეგობრივია. მან ერთი მხრივ აღიარა, რომ ბრალდება ფაქტებს შეეხებოდა და მიუთითა კიდევაც, რომ მომჩივანი ასოციაცია „შეეცადა დაესაბუთებინა თავისი ფაქტობრივი ბრალდების სინამდვილესთან შესაბამისობა“. მეორე მხრივ კი, აღნიშნა, რომ საბჭოს თავმჯდომარის მოქმედებების აღწერა „უკანონობად“, „შეფასებით მსჯელობას“ წარმოადგენდა. საბოლოო ჯამში, სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ დაარწმუნა ევროპული სასამართლო მომჩივანი ორგანიზაციის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობაში და ცნო კონვენციის დარღვევა.²⁹

საზოგადოებრივი ინტერესების საკითხზე დებატების კონტექსტმა „გადაარჩინა“ აგრეთვე ესპანეთის სახელმწიფო ტელევიზიის მენეჯერის მიმართ შეურაცხყოფელი

²⁹ *Vides Aizsardzibas Klubs v. Latvia*, judgment of 27 May 2004.

ტერმინის გამოყენება. სატელევიზიო პროგრამების დირექტორმა ინტერვიუს დროს მას „წურბელა“ უწოდა, რასაც მოჰყვა მისი სამსახურიდან გათავისუფლება. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივნის განცხადებები წარმოადგენდა სახელმწიფო ტელევიზიაში მენეჯმენტის პრობლემებზე „მხურვალე დებატების ნაწილს“ და ამასთანავე ისინი წარმოთქმული იყო „სწრაფი, სპონტანური კამათის“ დროს.³⁰

საქმეში *Selistö v. Finland*, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხის ფაქტორთან ერთად, გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტას იმანაც შეუწყო ხელი, რომ, მართალია, ბრალდება საკმაოდ სერიოზული იყო, მაგრამ ჟურნალისტის სტატიაში კრიტიკის ობიექტის ვინაობა დასახელებული არ იყო (თუმცაღა, ეროვნული სასამართლოების აზრით, პიროვნების იდენტიფიკაცია შესაბამის გარემოებებში არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა). საქმე შეეხებოდა ექიმი ქირურგისათვის იმის დაბრალებას, რომ მან ოპერაცია მთვრალმა გააკეთა, რასაც პაციენტის სიკვდილი მოჰყვა. ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ვინაობის დასახელების შემთხვევაში, ასეთი ბრალდების დასაბუთება აუცილებელი იქნებოდა. მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში ეს აქტუალური არ იყო. მან ხაზი გაუსვა, რომ ჟურნალისტის სტატია შეეხებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უმნიშვნელოვანეს ასპექტს, ხოლო ჟურნალისტს კი უფლება ჰქონდა შესაბამისი პრობლემის ილუსტრაციისათვის ნებისმიერი ცხოვრებისეული შემთხვევა შეერჩია.³¹

ამავე ლოგიკით (ოღონდ ამჯერად საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხის ფაქტორის არარსებობის გამო) მან არ დაიცვა ავსტრიის ფედერალური სარკინიგზო კომპანიის თანამშრომლის მიერ თავისი დამქირავებლის კრიტიკა, რასაც ასევე მოჰყვა მისი სამსახურიდან გათავისუფლება. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის კრიტიკა ვერ ჩაითვლებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პრობლემების განხილვაში მონაწილეობად. ამიტომ, დამქირავებლის ისეთი სიტყვებით გაკრიტიკება, რომლებმაც შელახა კლიენტების თვალში მისი რეპუტაცია, რეაგირებას იმსახურებდა. მან მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლება დასახული მიზნის პროპორციულად მიიჩნია და საჩივარი მიუღებლად ცნო, როგორც აშკარად უსაფუძვლო.³²

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ვიწრო ფარგლები თავის რეალურ შინაარსს მაშინ იძენს, როდესაც საქმე მძიმე სიტყვიერ შეურაცხოფასა ანდა სერიოზულ ბრალდებას შეეხება. ასეთ დროს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხისა და საჯარო დებატების ფაქტორები აღარ არის გადამწონი მნიშვნელობისა. ფაქტობრივი ბრალდების დროს, ევროპული სასამართლო პრინციპულად მოითხოვს შესაბამის სოლიდურ საფუძველს გამოხატვის თავისუფლების გასამართლებლად.

ამ მხრივ, რამდენიმე საქმე იქცევს ყურადღებას. *Constantinescu*-ს საქმე შეეხებოდა მასწავლებელთა პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის

³⁰ *Fuentes Bobo v. Spain*, judgment of 29 February 2000.

³¹ *Selistö v. Finland*, judgment of 16 November 2004.

³² Appl. N 28962/95; *R.Predota v. Austria*, decision of 18 January .2000.

მსჯავრდებას ცილისწამებისათვის იმის გამო, რომ მან სამ მასწავლებელს „ქურდი“ (*delapidatori*) უწოდა მას შემდეგ, რაც უკვე შეწყვეტილი იყო მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სიტყვის თავისუფლება მაშინაც შეიძლება შეზღუდულიყო, როდესაც იგი წარმოადგენდა პროფკავშირების დამოუკიდებლობისა და ფუნქციონირების შესახებ საზოგადოებრივი დებატების ნაწილს. მომჩივანს, მიუხედავად მისი მდგომარეობისა, მოეთხოვებოდა დამორჩილებოდა გარკვეულ შეზღუდვებს სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად. ცნო რა სადავო განცხადების ცილისწამებლური ხასიათი, სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანს სავსებით შეეძლო პროფესიული კავშირების შესახებ თავისუფალ დებატებში თავისი აზრის გამოხატვა სიტყვა „*delapidatori*“-ის გამოყენების გარეშე.³³

McVicar-ისა და *Alves Costa*-ს საქმები კერძო პირთა მიმართ ისეთი ბრალდების წამოყენებას შეეხებოდა, რომლებიც, სასამართლოს აზრით, დამკიცებას საჭიროებდა.

McVicar-ის საქმეზე ჟურნალისტმა თავის სტატიაში ბრალი დასდო სპორტსმენს, რომ იგი აკრძალულ პრეპარატებს იყენებდა თავისი სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას შეეძლო საკმაოდ სერიოზული შედეგები მოეტანა სპორტსმენისათვის. ამიტომ, მათი ნამდვილობის დამტკიცების მოთხოვნა უნდა შეფასებულყო, როგორც მომჩივნის გამოხატვის თავისუფლების გამართლებული შეზღუდვა. ვინაიდან მან ვერ შესძლო თავისი ბრალდების დამტკიცება, ამიტომ სასამართლოს ამკრძალავი ბრალდება, აღარ გაემორებინა მომავალში ასეთი განცხადება, ვერ იქნებოდა მიჩნეული არათანაზომიერ ღონისძიებად სპორტსმენის რეპუტაციის დაცვის კანონიერ მიზანთან მიმართებაში.³⁴

Alves Costa-ს საქმეში მომჩივანი ცილისწამებისათვის დაისაჯა გაზეთში გამოქვეყნებული ღია წერილის გამო, რომელშიც ის მიმართავდა იმ სამედიცინო ცენტრის დირექტორს, სადაც მისი ქალიშვილი იყო სამკურნალოდ მოთავსებული. წერილში ნათქვამი იყო, რომ ცენტრში სამედიცინო მომსახურება წარმოებდა ძალიან დაბალ დონეზე, რამაც მისი ქალიშვილის სიკვდილი განაპირობა; დირექტორის მისამართით კი გამოყენებული იყო ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „სრულიად უღირსებო ადამიანი“, „არაკვალიფიციური მუშაკი“, „ურჩხული“ და სხვ.

მომჩივნის საჩივრის მისაღებობის შეფასებისას, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონკრეტული ბრალდების წამოყენების დროს სავალდებულო იყო ბრალდების ავტორს თავისი ბრალდების, სულ მცირე, სოლიდური ფაქტობრივი საფუძველი წარმოედგინა. მან მიუთითა, რომ მომჩივანმა ვერ შესძლო სამედიცინო ცენტრში ბავშვის სიკვდილის მის მიერ ნავარაუდები მიზეზების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, ხოლო ცენტრის დირექტორის მიმართ გამოყენებული ეპითეტები კი აშკარად შეურაცხყოფელი და ცილისმწამებლური იყო. სასამართლოს აზრით, მომჩივანს ასეთი

³³ *Constantinescu v. Romania*, judgment of 27 June 2000

³⁴ *McVicar v. The United Kingdom*; judgment of 07 May 2002.

შეურაცხმყოფელი გამოთქმების გარეშე შეექმლო გამოეხატა თავისი კრიტიკული აზრი ცენტრის მუშაობის ცუდი ორგანიზაციის შესახებ და ამით წვლილი შეეტანა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მან მიიჩნია, რომ ცილისწამებისათვის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს გააჩნდა შესაბამისი “წონადი და საკმარისი“ საფუძველი. მან საჩივარი აშკარად უსაფუძვლოდ ცნო.³⁵

ყოველგვარ ფაქტობრივ საფუძველსმოკლებულ „შეფასებით მსჯელობად“ მიიჩნია ევროპულმა სასამართლომ ადგილობრივი კერძო გაზეთის დამფუძნებლისა და რედაქტორის მისამართით სხვა ჟურნალისტის მიერ საგაზეთო სტატიაში ისეთი გამონათქვამების გამოყენება, როგორც იყო „მანტაჟისტი“, „ყველაფერზე წამსვლელი“, „ნიღბიანი“, „ცბიერი და ორგული“, „ჰომოსექსუალისტი“ საქმეში *Katamadze v. Georgia* და საჩივარი მიუღებლად ცნო, როგორც „აშკარად უსაფუძვლო“.³⁶

დაბოლოს, კიდევ ერთი მიდგომა კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების საკითხზე: როდესაც კერძო პირები ან ასოციაციები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში, მათ მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ფართოვდება და მიჩნეულია, რომ ასეთ დროს, კრიტიკისადმი მათ მეტი მოთმინება მოეთხოვებათ.³⁷

³⁵ *Ales Costa v. Portugal*, decision of 25 March 2004.

³⁶ *Nato Katamadze v. Georgia*, app. N69857/01, decision of 2 February 2001.

³⁷ *Jerusalem v. Austria*, judgment of 27 February, 2001.

§8.4. გამონატვის თავისუფლებასა და რეპუტაციის უფლებას შორის ღირებულებათა კონფლიქტების გადაჭრის უფასება

რეპუტაციის უფლებისა და გამონატვის თავისუფლების კონფლიქტის (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ღირებულებითი კონფლიქტის) გადაჭრა, საბოლოო ჯამში, ყოველთვის ემყარება ღირებულებათა იმ პრეფერენციებს, რომლებიც შესაბამის საზოგადოებაშია დამკვიდრებული და, რომლებიც, თავის მხრივ, აღმოცენებულია შესაბამის სამართლებრივ შეხედულებებზე, კულტურასა და ტრადიციებზე. აშშ-ში გამონატვის თავისუფლებას აშკარა და ძლიერი პრიორიტეტი აქვს. მაგრამ, მაგალითად გერმანიაში პირიქითაა. აქ ადამიანის ღირსება ყველა სხვა ძირითადი უფლების საფუძვლად არის აღიარებული და მიჩნეულია, რომ გამონატვის თავისუფლებამ ყოველთვის უკან უნდა დაიხიოს, როდესაც შელახულია ადამიანის ღირსება. შესაბამისია გერმანულ სასამართლოთა პრაქტიკაც.¹

ევროპული სასამართლოს პოზიცია უფრო შუალედური და ზომიერია. მთავარი ის გახლავთ, რომ **მართალია არსებობს ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული მიდგომები, მაგრამ არ არსებობს წინასწარ მყარად განსაზღვრული სავალდებულო პრიორიტეტები.** ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ფორმულირება ფართო ვარიანტის შესაძლებლობას იძლევა. აზრის გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის პირობა – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და მასში ნაგულისხმები „აუცილებლობის“ და „თანაზომიერების“ შეფასებანი, ისევე როგორც მითითება „გამონატვის თავისუფლებისაგან განუყოფელ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“, შესანიშნავად უზრუნველყოფს კონფლიქტების სხვადასხვაგვარად გადაჭრის შესაძლებლობას იმისდა მიხედვით, თუ რა არის გონივრული და სამართლიანი საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „შუალედური და ზომიერი პოზიცია“ სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ რეპუტაციის უფლებასა და გამონატვის თავისუფლებას შორის ღირებულებათა კონფლიქტის დროს პრეფერენციები საერთოდ არ არსებობს. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ასეთი კონფლიქტების გადაჭრისა იმის მაჩვენებელია, რომ უპირატესობა, საბოლოო ჯამში, მაინც გამონატვის თავისუფლებას ენიჭება და რეპუტაციის უფლება ხშირად ეწირება დემოკრატიული საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს. ეს უპირატესობა განსაკუთრებით აშკარაა მაშინ, როდესაც საქმე ხელისუფლების წარმომადგენელთა კრიტიკას ან მასმედიის თავისუფლებას შეეხება. ასეთ დროს გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულად შეფასება ძალზე გართულებულია. ევროპული სასამართლო იქითკენ იხრება, რომ შესაბამისი „გამონატვა“ „შეფასებით მსჯელობად“

¹ იხ. კ.კუბლა შვილი. აზრის თავისუფლება ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლებაა. კრებულში „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“ (კ.კორკელიას რედაქტორობით). თბილისი, 2002 წ. გვ. 124-6.

მიიჩნიოს და საკითხი გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ და რეპუტაციის უფლების საზიანოდ გადაწყვიტოს. როდესაც საქმე მასმედიის თავისუფლებას შეეხება, ასეთი ბალანსის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს მასმედიის თავისუფლებისათვის დადგენილი სხვა გარანტიების არსებობაც (ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობის დაცვის პრინციპი, ჟურნალისტების მიმართ ისეთი შემზღვეველი ღონისძიების გამოყენების დაუშვებლობა, რომელიც „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებს მასმედიის თავისუფლებაზე და ა.შ.). არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რეპუტაციის უფლების საზიანოდ ჩამოყალიბებული ბალანსი სამართლიანი არ არის. ევროპული სასამართლოს პალატებსა და დიდ პალატაში საკითხები ხმათა უმრავლესობით წყდება და, ცხადია, საბოლოო გადაწყვეტილება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შესაბამისი პალატის თითოეული მოსამართლის პიროვნულ შეხედულებებსა და პრეფერენციებზე. ამიტომაც, ზოგჯერ უმცირესობაში დარჩენილი მოსამართლეების მოსაზრებები შესაძლოა უფრო სამართლიანი და გონივრული აღმოჩნდეს, ვიდრე უმრავლესობისა. ამის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნათელი მაგალითი (ჩვენი აზრით) *Jersild*-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებაა, რომლითაც ადამიანთა დიდი ჯგუფის უფლებები და რეპუტაცია, ვფიქრობთ რომ უსამართლოდ შეეწირა მასმედიის თავისუფლებას.

მხედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოებაც.

იმის გამო, რომ ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლოებში გამოხატვის თავისუფლებას, საბოლოო ჯამში, ძალზე ხშირად ენიჭება უპირატესობა რეპუტაციის უფლებასთან მიმართებაში (იმის მიუხედავად, ვის მხარესაა მტკიცების ტვირთი) და ცილისწამების საქმეებზე სარჩელების დაკმაყოფილება ძალზე გართულებულია, ასეთ პრაქტიკას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მათ შორის აშშ-ში, ევროპასა და საკუთრივ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ისინი მიიჩნევენ, რომ **რეპუტაციის უფლება უკეთეს დაცვას იმსახურებს. ცილისმწამებლური ფაქტების გავრცელებას ისინი საერთოდ არ განიხილავენ „აზრის გამოხატავად“ (კლასიკური გაგებით) და არ აიგივებენ მას ინფორმაციის გავრცელების უფლებასთან, რომელიც სარგებლობს და უნდა სარგებლობდეს კიდევაც განსაკუთრებული დაცვით. ამიტომ მათ მიაჩნიათ, რომ ყალბი დიფამაციური განცხადებების დაცვა გამოხატვის თავისუფლების უფლების შესაბამისი შიდა-ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით (აშშ-ს კონსტიტუციის 1-ლი დამატებითა თუ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მეშვეობით) სწორი არ არის და იმავდროულად, რეპუტაციის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვის ტოლფასია. მათი შეხედულებით, ასეთი უსამართლობა განსაკუთრებული სიმწვავეთ ვლინდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ინდივიდური რეპუტაცია შელახულია მასმედიის მიერ და მიაჩნიათ, რომ ყველაზე უფრო ხშირად რეპუტაციის უფლება უსაფუძვლოდ სწორედ მასმედიის თავისუფლებას ეწირება.**

პროფესორმა **ელენ მაჩამ** თავის სტატიაში შემოთავაზებაც კი გამოთქვა და აღნიშნა: „ორივე სისტემის (აშშ-ის უზენაესი სასამართლოსა და სტრასბურგის

სასამართლოს) დომინანტური პოზიცია პრესის თავისუფლების სასარგებლოდაა ცუდი ჟურნალისტიკის შემთხვევების საგანგაშო სისწრაფით გაზრდის მიუხედავად კი, რაც გვაიძულებს დავფიქრდეთ, ინარჩუნებს თუ არა პერსონალური რეპუტაცია კვლავაც თავის ღირებულებას.²

პროფესორმა **ელდერმა** კი თავის სტატიაში მიუთითა, რომ ფაქტობრივად, მედიაზე ორიენტირებულმა სასამართლო გადაწყვეტილებებმა გაუმართლებლად შეამცირეს (აშშ-ში) ინდივიდური რეპუტაციის კვაზი-კონსტიტუციური ინტერესის დაცვა და სახელმწიფოს სავსებით კანონიერი ინტერესი – არ წაახალისოს დიფამაციური სიყალბე, პრაქტიკაში არაადეკვატურად აღმოჩნდა დაცული.³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე **ლ.ლუკაიდისმა**, რომელმაც საგანგებოდ გამოიკვლია გამოხატვის თავისუფლებისა და რეპუტაციის უფლებათა ურთიერთმიმართება აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ იურისპრუდენციაში, ამ საკითხისადმი მიძღვნილ ვრცელ სტატიაში ასე დააყენა საკითხი: „არავის შეუძლია უარყოს სიტყვის თავისუფლების, განსაკუთრებით კი პრესის თავისუფლების მნიშვნელობა, როგორც დემოკრატიული საზოგადოების უარსებითესი ფაქტორისა... მაგრამ შეიძლება თუ არა ასეთი თავისუფლების შესაბამისი დაცვა განსაზღვრულ გარემოებებში იყოს ისეთი ექსცესიური, რომ მან ყალბი განცხადებების მსხვერპლს ალუკვეთოს აუცილებელი ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი?“⁴

ლუკაიდისის აზრით, რეპუტაციის უფლების საზიანოდ გამოხატვის თავისუფლების გადამეტებით დაცვა (*over protection*) განპირობებულია იმით, რომ რეპუტაციის უფლება არ წარმოადგენს კონვენციით გარანტირებულ ცალკე უფლებას და იგი მხოლოდ კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლების ერთ-ერთი კომპონენტია. ამ გარემოებას, მისი თქმით, „მრავალ შემთხვევაში შეიძლებოდა გამოეწვია ინდივიდური ღირსებისა და რეპუტაციის დაცვის კანონიერი მოთხოვნის ნეიტრალიზება.“⁵

ლუკაიდისი არა მარტო რეპუტაციის უფლების უკეთ დაცულობის მომხრეა, არამედ მასმედიის გარკვეული შეზღუდვებისადმი დაქვემდებარებისაც და ამას იგი საინტერესო არგუმენტების მოშველიებით ასაბუთებს. მისთვის ამოსავალია ის გარემოება, რომ მასმედია **შეუზღუდავი და არაკონტროლირებადი ხელისუფლებაა**. ამიტომ მიიჩნევს, რომ მისი „თვითცენზურა“ (*self censorship*) საკმარისი არ არის **თვითნებობის თავიდან ასაცილებლად**. ლუკაიდისის აზრით, მასმედია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ხელისუფლება, არ შეიძლება ანგარიშვალდებული იყოს მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე. საწინააღმდეგო ვითარება უთუოდ მიგვიყვანდა თვითნებობასთან, რომელიც ძირს უთხრის დემოკრატიის თვითონ. იგი მიიჩნევს, რომ

²Eleni Micha “Defamation: Dignity Lost?” in Netherlands Quarterly of Human Rights. vol.16. გვ.275, 284.

³Elder. “Kentucky Criminal Libel Law and Public officials – an Historical Anachronism?” (1981; 8N, Ky.L.Rev.37.გვ.923).

⁴Loukis G.Loucaides, “Freedom of Expression and the Right of Reputation”. MELANGES offerts a’ silvio Marcus Helmons, Bruxelles, 2003; გვ.202.

⁵ იქვე, გვ.200.

მოსაზრება ასეთი ანგარიშვალდებულების აუცილებლობისა, კიდევ უფრო საფუძვლიანი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ მასმედის საქმიანობა კომერციული მიზნებითაც არის მოტივირებული: **არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ მასმედია კომერციული საწარმოა; იგი უფრო მეტად მოგებითაა დაინტერესებული, ვიდრე საზოგადოებისათვის სწორი ინფორმაციის გადაცემით, ხელისუფლების გაკონტროლებითა თუ სხვა იდეალისტური მიზნებით. ამიტომ, ის უნდა ექვემდებარებოდეს შეზღუდვებს ინდივიდური უფლებისა და სიმათლის დასაცავად;**⁶ (ხაზგასმა ჩემია – ე.გ.) როდესაც საქმე შეეხება დიფამაციური ბუნების ინფორმაციას, იგი უნდა იცავდეს ბუნებრივი სამართლიანობის წესებს, მათ შორის წესს „*audi alteram partem*“ (მოუსმინე მეორე მხარესაც).⁷

ამ კონტექსტში მეტად საგულისხმოდ გვესახება წინამდებარე ნაშრომში ზემოთ გადმოცემული **ლუციუს ვილდჰაბერის** შეხედულებაც თანამედროვე ეპოქაში მედიის ბუნების შეცვლის შესახებ და მისი შემოთქმა იმის გამო, რომ „კონკურენტულმა სამყარომ იდეათა გადაცემის მიზნიდან აშკარად გადაინაცვლა გაზეთის გაყიდვის საჭიროებისა და რეკლამის კომერციულ სფეროში“. მთლიანად ვეთანხმებით მის იმ მოსაზრებასაც, რომ ასეთი ტრუიზმი უსათუოდ იქონიებს გავლენას გამოხატვის თავიუფლებისა და სხვა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის განსაზღვარზე.⁸ თუმცა ვერ დავეთანხმებით ლუკაიდისის იმ შეხედულებას, თითქოს რეპუტაციის უფლების საზიანო ბალანსი იმით იყოს განპირობებული, რომ იგი ევროპული კონვენციით არ არის ცალკე უფლებად გათვალისწინებული.

ევროპული კონვენცია ღირსების უფლებასაც არ ითვალისწინებს, რომელსაც სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია ძირითად უფლებათა შორის.⁹ ამის ნათელი დადასტურებაა ადამიანის უფლებათა სფეროში უნივერსალური და რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი აქტები. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948წ.) პრეამბულის მიხედვით ადამიანის თანაარსი ღირსების, მისი თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების აღიარება წარმოადგენს საყოველთაო თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველს. მისი პირველივე მუხლიც ღირსებასა და თანასწორობას შეეხება. ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის (1981წ.) პრეამბულა „ადამიანის ღირსებას“ მოიხსენიებს

⁶ იქვე, გვ.216,212.

⁷ *Bladet Tromso A/S and Pal Stensaas v. Norway* 09 July 1998. dissenting opinion of Judge **Loukaides**.

⁸ Address by **Luzius Wildhaber**, *The Right of Offend, Shock or Disturb? – Aspects of Freedom of Expression under the uuropean Convention on Hgman Rights*. Dublin, 11 October. 2001.

⁹ ადამიანის ღირსება მთლიანად ხელშეუვალია. სახელმწიფოს არა აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოართვას ადამიანს ღირსება. ღირსება ადამიანად ყოფნასთანაა განუყრელად დაკავშირებული. ღირსება გააჩნიათ ადამიანებს მიუხედავად სქესისა, ასაკისა, კულტურისა და განათლების დონისა. ღირსება არ არის დაკავშირებული უფლებაუნარიანობასთან, ქმედუნარიანობასთან ან ღირსების შეგრძნების შესაძლებლობასთან. ღირსება გააჩნია ფიზიკური ნაკლის მქონეს და სულით ავადმყოფს, ბავშვს თუ უმძიმესი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პატიმარს. ადამიანის ღირსება ვრცელდება გვაშზე და გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნაზე. ღირსება აქვს ადამიანს იმის მიუხედავად, გააჩნია თუ არა მას ღირსების შეგრძნება და შეესაბამება თუ არა საქციელი, საქმიანობა თუ ცხოვრების სტილი ადამიანის ღირსებას. ღირსების უფლების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ქრისტიანულმა მოძღვრებამ. ადამიანის ღირსების საფუძველი მისი ღმერთთან მსგავსებაა: „შექმნა ღმერთმა კაცი სახედ თვისა, თავის ხატად შექმნა იგი“. (იხ. **კაპულაშვილი**, *ძირითადი უფლებები*, გვ.86-87).

„თავისუფლების“, „თანასწორობისა“ და „სამართლიანობის“ ღირებულებებთან ერთად. ძირითადი უფლებების შესახებ ევროპის კავშირის ქარტიის (2000წ.) პრეამბულა კი უნივერსალურ ღირებულებებად „ადამიანის ღირსებას“, „თავისუფლებას“, „თანასწორობასა“ და „სოლიდარობას“ აცხადებს. მისი პირველი მუხლიც ასევე ღირსებას შეეხება.

მართალია რეპუტაციის უფლება და ღირსების უფლება ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ამ უფლებით დაცული სფეროები ნაწილობრივ გადაფარავენ ერთმანეთს. რეპუტაციის შელახვით შეიძლება შეილახოს ადამიანის ღირსება. მაგალითად, ადამიანთა ამა თუ იმ ნიშნით დისკრიმინაცია ღირსების უფლებას ლახავს. მაგრამ დისკრიმინაციული ან სხვაგვარად დამამცირებელი შეხედულებების გავრცელებით ილახება პიროვნების რეპუტაცია და ღირსებაც. ზემოაღნიშნული *Jersild*-ის საქმე სწორედ ასეთი შემთხვევაა. შესაბამისად, დასკვნიდან, რომ კონვენციით რეპუტაციის უფლების გაუთვალისწინებლობა ღირებულებათა კონფლიქტის დროს მისი ერთგვარი უგულვებელყოფის მიზეზია, არაპირდაპირ ისიც გამოძინარეობს, რომ ღირსების უფლების გაუთვალისწინებლობაც შესაძლოა მისი უგულვებელყოფის მიზეზი გახდეს. არადა, კონვენციის საფუძველზე ღირსების უფლებისადმი ასეთი დამოკიდებულების შესაძლებლობა ყოველად წარმოუდგენელია. იგი ეწინააღმდეგება კონვენციის არსს, სულისკვეთებასა და ღირებულებებს.

ჯერ ერთი, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა სხვა რეგიონული აქტების მსგავსად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას ეყრდნობა და იგი (მისი პრეამბულის თანახმად) „საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებულ გარკვეულ უფლებათა ერთობლივი აღსრულებისათვის“ შეიქმნა. ამიტომ ცხადია, რომ ადამიანის ღირსება, მიუხედავად კონვენციაში მისი გაუთვალისწინებლობის ფაქტისა, მისთვის ისეთივე იდეალია, როგორც საყოველთაო დეკლარაციისათვის.

მეორე, კონვენციით გათვალისწინებული არაერთი უფლება, მათ შორის წამების, დამამცირებელი თუ არაადამიანური სასჯელისა და მოპყრობის, მონობის, იძულებითი შრომის, დისკრიმინაციის აკრძალვა და სხვ., ადამიანის ღირსებიდან გამოძინარეობს. შესაბამისად, ამ უფლებათა გაცხადება ადამიანის ღირსების დაცვას ემსახურება. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ძირითადი უფლებების შესახებ ევროპის კავშირის ქარტიაში, რომელშიც უფლებები საყოველთაო, უნივერსალური ღირებულებების მიხედვითაა დაჯგუფებული. ადამიანის ღირსების, როგორც ღირებულების დამცავ უფლებებად მიჩნეულია „ღირსების პატივისცემისა და დაცვის უფლება“ (მ.1), „პიროვნების ხელშეუვალობის უფლება“ (იგულისხმება ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუვალობა (*physical and mental integrity*) – მ.3), „წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა“ (მ.4), „მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა“ (მ.5) და „თვით სიცოცხლის უფლებაც“ კი (მ.2).

ცალკე საკითხია ის, თუ რამდენად აუცილებელი იყო ევროპულ კონვენციაში ღირსებისა და რეპუტაციის უფლებების გათვალისწინება.

ევროპული კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს იცავს. ადამიანის ღირსება, თავისი უნივერსალური მნიშვნელობის გამო, ცხადია, არ თავსდება „პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა“ ცნებაში. ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნას ის, რომ ევროპული კონვენცია მას ცალკე უფლებად არ ითვალისწინებს.

რაც შეეხება რეპუტაციის უფლებას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი: როდესაც რეპუტაციის შელახვით ილახება ადამიანის ღირსება, ძნელია იმის უარყოფა, რომ ასეთ დროს ღირსების შელახვის ხარისხი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე მაგალითად წამების, დისკრიმინაციის ან მონობის დროს. რეპუტაციის უფლება (და მასთან ერთად ღირსების უფლება) ნაწილობრივ მოცულია კონვენციის მე-8 მუხლით. გარდა ამისა, ისინი უთუოდ იგულისხმებიან „სხვა პირთა უფლებებში“, რომელიც კონვენციის მე-9, მე-11 და სხვა მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება საფუძვლად დაედოს შესაბამის უფლებათა თუ თავისუფლებათა შეზღუდვას. ამასთანავე, რეპუტაციის უფლება სახელდებით არის მითითებული კონვენციის მე-10 მუხლში, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლო გამამართლებელი საფუძველი (მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი ნიუანსი. შემთხვევითი არ არის, რომ მე-10 მუხლი „რეპუტაციაზე“ მიუთითებს და არა „ღირსებაზე“. ღირსება, რამდენადაც იგი მხოლოდ ადამიანისთვისაა იმანენტური, არ გააჩნიათ იურიდიულ პირებს. მაშინ როდესაც იურიდიულ პირს „რეპუტაცია“ და მისი დაცვის უფლება გააჩნია).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი დასკვნა ისაა, რომ ბალანსი, რომელიც ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია გამოხატვის თავისუფლებასა და რეპუტაციის უფლებას შორის, ღირებულებითი პრეფერენციების (კერძოდ, პირველი მათგანისათვის უპირატესობის მინიჭების) გამოხატულება უფროა, ვიდრე საკუთრივ კონვენციიდან გამომდინარე ლოგიკური შედეგი.

სხვა საკითხია, რამდენად ვეთანხმებით ასეთ პრიორიტეტს. იმ საკითხში, რომ რეპუტაციის უფლება ღირსია უკეთესი დაცვისა, მთლიანად ვეთანხმებით ბატონ ლუკაიდისს და სხვებს, ვინც ამ თვალსაზრისს იზიარებს.

თავისთავად მრავლისმეტყველია ის გარემოებაც, რომ სტრასბურგის სასამართლოს არაერთ განჩინებაზე არსებულ „განსხვავებულ აზრებში“ გამოთქმულია ცალკეულ მოსამართლეთა ანგარიშგასაწევი შეხედულებანი იმის თაობაზე, რომ რეპუტაციის უფლება უსაფუძვლოდ შეეწირა გამოხატვის თავისუფლებას, რომ იგი უკეთ დაცვას იმსახურებს და რომ განსაზღვრულ გარემოებებში ადამიანის ღირსების დაცვა არ შეიძლება იყო იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება.¹⁰

¹⁰ იხ. dissenting opinion of judges Palm, Fuhrman and Baka საქმეში *Stensas v. Norway*; Concurring opinion of judge Rozakis joined by judges Baka and Lorenzen საქმეში *Maronek v. Slovakia* (19 April 2001); Dissenting opinion of judge Rozakis საქმეში *Nilsen and Johnsen v. Norway* (25.11.1999)

თ ა ვ ი 9

გამონახვის თავისუფლების შეზღუდვა საჯარო ინფორმაციის დასაცავად

§ 9.1. შეზღუდვა ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად

ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, თუ რატომ გადავწყვიტეთ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხები კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამი „კანონიერი მიზნის“ - „ეროვნული უსაფრთხოების“, „ტერიტორიული მთლიანობისა“ და „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“ საჯარო ინტერესებთან მიმართებაში ერთდროულად განგვეხილა.

ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ის გახლავთ, რომ ამ კანონიერ მიზნებთან მიმართებაში ეროვნულ ხელისუფლებას შეფასების თავისუფლების ფართო არეალი ენიჭება, მეორე მხრივ კი ის, რომ პრაქტიკაში ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოხატვის თავისუფლება ერთდროულად უპირისპირდება ამ საჯარო ინტერესებს. განსაკუთრებით ხშირია „ეროვნული უშიშროებისა“ და „ტერიტორიული მთლიანობის“, „ეროვნული უშიშროებისა და „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“ კომბინაციები, მაგალითად, სეპარატისტული პროპაგანდის, ტერორიზმისა ან სხვაგვარი უკანონო მოქმედებების წაქეზების შემთხვევაში. ეს სფეროები ერთგვაროვანი პრობლემატიკით ხასიათდება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ევროპული სასამართლოს მხრიდან მათდამი ერთგვაროვანი მიდგომების, კრიტერიუმებისა და სტანდარტების გამოყენებას.

* * *

„სამართლიანი ბალანსის“ განსაზღვრის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი შემთხვევებში, როდესაც გამოხატვის თავისუფლება ღირებულებით კონფლიქტში იმყოფება ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჯარო ინტერესებთან, გახლავთ შეფასების თავისუფლების ფართო არეალი, რომელსაც ევროპული სასამართლო ეროვნულ სახელმწიფოებს მიაკუთვნებს ამ სფეროების დარეგულირებისათვის. ეს გამომდინარეობს ამ საჯარო ინტერესების დიდი მნიშვნელობიდან; რაც მთავარია, იმ სპეციფიკურობიდან, რომელიც მათ დაცვას ახლავს და რომელიც ზრდის ადგილობრივი შეფასებების გათვალისწინების მიზანშეწონილობას. ევროპული სასამართლოს შეხედულებით, ეროვნულმა ხელისუფლებამ უკეთ იცის, თუ რა არის „აუცილებელი“ ქვეყნის ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამიტომ, განსაკუთრებით ფართოა შეფასების თავისუფლების არეალი ფაქტების შეფასების სფეროში, რაც ძალზე მართებულად გვესახება: მართლაც, საერთაშორისო სასამართლოს, რომელიც ნაკლებად იცნობს ადგილობრივ გარემოებებს და ნაკლები ინფორმაცია გააჩნია,

შეიძლება მცდარი წარმოდგენა შეექმნას ამა თუ იმ სახელმწიფოში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების რეალურ ინტერესებზე. ნაკლები წინაპირობანი არსებობს საიმისოდ, რომ მან შეუცდომლად იმსჯელოს მაგალითად იმაზე, თუ რა ზიანის მიყენება შეუძლია ამა თუ იმ საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებას ქვეყნის ეროვნული უშიშროებისათვის. მისი მსჯელობა ამ საკითხზე შეიძლება შეუსაბამო, ხოლო დასკვნა კი – არაადეკვატური აღმოჩნდეს. ცხადია, გონივრული არ იქნება, რომ მან ხელის ერთი დაკვრით უარყოს ადგილობრივი ხელისუფლების შეხედულება, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი ქვეყანაში ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაზე. სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია, სახელდობრ ის, რომ იგი ეროვნულ ხელისუფლებას ამ სფეროში შეფასების თავისუფლების ფართო არეს მიაკუთვნებს და დიდ ანგარიშს უწევს მის შეფასებებს, მართებული და ძალზე გონივრულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ სირთულეები, რომელიც საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკაში წამოიჭრება საქმეებზე, სადაც გამოხატვის თავისუფლება ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად იზღუდება, ყველაზე უფრო ხშირად იმის შეფასებას უკავშირდება, თუ რამდენად რეალური იყო ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ამ საჯარო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების საფრთხე ან რამდენად სერიოზული ზიანი შეიძლებოდა გამოეწვია გამოხატვის თავისუფლების უფლების შესაბამის განხორციელებას.

მიყენებული ან „პოტენციური ზიანის“ მნიშვნელობაზე უფლების შეზღუდვისათვის აუცილებელი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დამტკიცებისათვის, ჩვენ დაწვრილებით ზემოთაც ვისაუბრეთ, ვინაიდან „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ ცნების შინაარსის დადგენა შეუძლებელი იყო ამ საკითხის გამოკვლევის გარეშე. მათ შორის შევეხეთ ისეთ საქმეებსაც, სადაც ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის მიყენებული ზიანის შეფასება იყო აქტუალური. ამის მიუხედავად, ჩვენ ხელახლა დაგვჭირდება ზოგიერთ საქმეზე მითითება ამ კატეგორიის საქმეებზე ევროპული სასამართლოს პრაქტიკის სისტემური გააზრებისათვის და იმის თვალსაჩინოებისათვის, თუ რამდენად ცალსახაა ევროპული სასამართლოს მიდგომა ამ საჯარო ინტერესებთან მიმართებაში, ღირებულებათა რა პრეფერენციების გამომხატველია შემთხვევები, სადაც შეფასების ფართო არეალის მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეროვნული სახელმწიფოს შეფასება შეზღუდვის აუცილებლობის თაობაზე და რატომ გადასწონა ამა თუ იმ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესმა ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები.

შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ გაცილებით მეტია საქმეები, სადაც ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა სახელმწიფოთა შეფასებებს შეზღუდვის აუცილებლობის თაობაზე და უპირატესობა

გამონატვის თავისუფლებას მიანიჭა, ვიდრე ის საქმეები, სადაც მან გაიზიარა ასეთი შეფასება და არ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

ის, რაც წინდაწინვე შეიძლება ითქვას ის არის, რომ ამ სფეროებში ეროვნული სახელმწიფოებისათვის შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლების მინიჭების მიუხედავად, ევროპული სასამართლო მხოლოდ „მნიშვნელოვანი ზიანის“ შემთხვევაში მიიჩნევს უფლების შეზღუდვას „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“. უფრო ხშირად ეს მაშინ ხდება, როდესაც სრულიად აშკარაა, რომ „აზრის გამოხატვისას“ ხდება ძალადობის ან სხვა უკანონო მოქმედებისაკენ წაქეზება, სიძულვილისა და მტრობის გაღვივება, რაც, თავისთავად, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საფრთხეს გულისხმობს.

მაგალითად, საქმე *Zana v. Turkey* სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია. ყოფილი მერის დასჯა იმის გამო, რომ ინტერვიუს დროს მხარი დაუჭირა ტერორისტულ აქტებს. მან გაიზიარა, რომ ეროვნული ხელისუფლება მოქმედებდა ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებით. სასამართლომ ისიც გაითვალისწინა, რომ მომჩივანი ინტერვიუს დროს არ გაემიჯნა ძალადობის აქტებს, რომლებიც მომზადებული იყო PKK-ს მიერ თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთში. შესაბამისად, მიიჩნია, რომ მისი დასჯა განპირობებული იყო „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“ და წარმოადგენდა თანაზომიერ ღონისძიებას დასახულ საჯარო ინტერესებთან მიმართებაში.¹

არის შემთხვევები, როდესაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულად მიჩნევა საჯარო ინტერესებისათვის მიყენებულ აშკარა და სერიოზულ ზიანს კი არ ეფუძნება, არამედ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცირე ხარისხს და უფლების შეზღუდვის ისეთ ხასიათს, რის გამოც ევროპული სასამართლო აღარ არის მეტისმეტად კრიტიკული ეროვნული ხელისუფლების შეფასებისადმი. შესატყვისი მაგალითია საქმე *Leander v. Sweden*.² პოლიციის საიდუმლო კარტოთეკის მონაცემების საფუძველზე, რომელიც პირად ცხოვრებას შეეხებოდა, მოქალაქეს უარი უთხრეს სახელმწიფო სამხედრო სამსახურში მიღებაზე „შეუფერებლობის“ მოტივით. მოქალაქემ მოითხოვა „შეუფერებლობის“ შეფასების გაუქმება და მასზე არსებული მასალების გაცნობა პასუხის გასაცემად. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეროვნული სასამართლოს შეფასება, რომ უფლების (ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა) შეზღუდვა ეროვნული უშიშროების დაცვას ემსახურებოდა. მან ხაზი გაუსვა, რომ ამ სფეროში ფართო იყო ეროვნული შეფასების თავისუფლების არე და მოცემულ შემთხვევაში ეროვნული სასამართლოს დასკვნა ინდივიდურ უფლებაში ჩარევის აუცილებლობის შესახებ, ნდობას იმსახურებდა. ევროპულმა სასამართლომ დამატებით არგუმენტად ისიც მიუთითა, რომ სახელმწიფო სამსახურში მიღების უფლება არ განეკუთვნებოდა ევროპული

¹ *Zana v. Turkey* (APP., no.2951/96; decision of 19 September 2000); *Zana v. Turkey*, judgment of 25 November 1997; Reports 1999-VII; იხილეთ აგრეთვე *Sürek* (N 1) (judgment of 8 July 1999) და *Sürek* (N 3) (judgment of 8 July 1999) საქმეები, სადაც ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები ძალადობის წაქეზებისაკენ იყო მიმართული და ამიტომ ავტორთა დასჯა ნაკარნახევი იყო „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით“.

² *Leander v. Sweden*, judgment of 26 March 1987.

კონვენციით დაცულ უფლებებს და არ არსებობდა სახელმწიფოს მოვალეობა, პიროვნებისათვის გაეცნო მის შესახებ არსებული საიდუმლო მასალები.

რაც შეეხება შემთხვევებს, სადაც ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად არ ცნო ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, ისინი, უფრო ხშირად, ერთდროულად ორ საფუძველს ემყარება. კერძოდ, ეს მაშინ ხდება, როდესაც ევროპული სასამართლო არ იზიარებს ეროვნული სახელმწიფოს შეფასებას შესაბამისი საჯარო ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის საფრთხის სერიოზულობის თაობაზე და იმავდროულად, ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, რომლებიც ასუსტებენ სახელმწიფოს პოზიციას უფლებაში ჩარევის აუცილებლობის თაობაზე.

რა გვაქვს მხედველობაში: როდესაც „გამოხატვა“ შეეხება პოლიტიკის სფეროს ან საკუთრივ ხელისუფლების კრიტიკას (რაც ძალზე ხშირია გამოხატვის თავისუფლებისა და ზემოაღნიშნულ საჯარო ინტერესთა კონფლიქტის დროს), ან პრესის, ანდა დეპუტატის სიტყვის თავისუფლებას, „სამართლიანი ბალანსის“ მიღწევის გზა განსხვავებულია. ეს სფეროები განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს. ამიტომ, როდესაც აღნიშნული ფაქტორები არსებობს, ისინი ყოველ შესაბამის შემთხვევაში ამცირებენ ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლებს და საბოლოო ჯამში ეს ფარგლები აღარ არის ისეთი ფართო, როგორც მათი არარსებობის შემთხვევაში, რის გამოც, ევროპული სასამართლო შეზღუდვის „გამართლებულობას“ მაღალი სტანდარტით აფასებს. შესაბამისად, ყოველთვის, როდესაც ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება (ანდა ასეთი ზიანის საფრთხის სერიოზულობა) არ დასტურდება და თან საქმე შეეხება პოლიტიკის სფეროს, პრესის თავისუფლებას და ა.შ., ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას გამართლებულად არ მიიჩნევს.

ახლა დავუბრუნდეთ „მნიშვნელოვანი ზიანის“ მიყენების საკითხს და განვიხილოთ, თუ როგორ ხდება სხვადასხვა შემთხვევაში ასეთი ზიანის არარსებობის დასაბუთება.

ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა მოწმობს, რომ ძირითადი არგუმენტები, რომლებიც საფუძველად ედება ასეთ დასაბუთებას შემდეგია:

ა) გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიება საერთოდ არ იყო უშუალოდ დაკავშირებული ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზანთან, და შესაბამისად, იგი ვერ მოემსახურებოდა პოტენციური ზიანის აღკვეთას. (იხ. საქმე *Vogt v. Germany*, რომელშიც კომუნისტი მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება სახელმწიფო მოხელისათვის სავალდებულო „პოლიტიკური ლოიალობის პრინციპის“ დაუცველობისათვის, არ იქნა მიჩნეული „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ვინაიდან მისი თანამდებობა – ენის მასწავლებელი, არ იყო უშუალოდ დაკავშირებული ეროვნული უშიშროების რაიმე საფრთხესთან);

ბ) შესაბამისი „გამოხატვა“, მართალია, პოტენციურად გულისხმობდა საჯარო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს, მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში და

შესაბამის დროს, მას არ ან აღარ შეეძლო რაიმე ზიანის გამოწვევა, რის გამოც მისი შეზღუდვა აზრს ჰკარგავდა.

შესატყვისი მაგალითია საქმე *Vereniging Weekblad Bluf! v. the Netherlands*,³ მომჩივანი ასოციაციის საჟურნალო გამოცემის დაპატიმრება (ყადაღის დადება) და ამოღება გავრცელებიდან (ცირკულაციიდან) იმ მოტივით, რომ იგი შეეხებოდა შინაგანი უშიშროების სამსახურის საქმიანობას, ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად არ მიიჩნია, ვინაიდან ჟურნალი დაყადაღების შემდეგ ხელახლა დაიბეჭდა და 2500 ეგზემპლარი გავრცელდა. ევროპული სასამართლოს აზრით, **რადგან ინფორმაცია უკვე ფართოდ იყო გავრცელებული, მისი დაცვა, როგორც სახელმწიფო საიდუმლოებისა აზრს ჰკარგავდა და ამიტომ, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა აღარ იყო გამართლებული მე-10 მუხლის თვალსაზრისით.**

თითქმის იდენტურია ჩვენს მიერ აღრე მოხსენიებული საქმე *Observer and Guardian v. the United Kingdom*.⁴ შეერთებული სამეფოს მთავრობა შეეცადა, შეეჩერებინა ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის ყოფილი ოფიცრის პიტერ რაიტის მემუარების წიგნის გამოქვეყნება. ამ წიგნში რაიტი ამტკიცებდა, რომ ბრიტანეთის უშიშროების სამსახური ბევრ უკანონო მოქმედებას სჩადიოდა. ლორდთა პალატამ (სამმა მოსამართლე ლორდმა ორის წინააღმდეგ) ძალაში დატოვა ინგლისის სასამართლოს აკრძალვა წიგნის გამოქვეყნების შესახებ. მან მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ინტერესები, რაც დაკავშირებული იყო ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფასთან, ისევე, როგორც უშიშროების სამსახურის ეფექტიან მუშაობასთან, უმართებულად დაზიანდებოდა ამ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში. საპირისპირო აზრის მქონე მოსამართლე ლორდები კი ამტკიცებდნენ, რომ ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია უკვე ფართოდ იყო გავრცელებული საზღვარგარეთ (წიგნი აშშ-ში დაიბეჭდა და შემდეგ ინგლისიც გავრცელდა), სახელმწიფოს დაინტერესება აკრძალვის შენარჩუნებისა, ვერ სჭარბობდა იმ დიდ ზიანს, რომელიც ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებას ემუქრებოდა, როგორიც სიტყვის თავისუფლება იყო (ლორდი **ბრიჯი** სინანულით აღნიშნავდა, რომ ინგლისურმა მოსამართლეებმა ვერ შეინარჩუნეს საერთო სამართლის ტრადიცია და ვერ გამოიყენეს მისი შესაძლებლობა, გარანტია შეექმნათ ადამიანის ძირითადი უფლებებისათვის, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია თავისუფალი საზოგადოებისათვის).

ევროპულმა სასამართლომ სწორედ უმცირესობაში დარჩენილი მოსამართლეების პოზიცია გაიზიარა. მან დიფერენცირებულად შეაფასა დროის ორ სხვადასხვა პერიოდში უფლებაში ჩარევის მიზანშეწონილობა. პირველ პერიოდში, სანამ მემუარები ჯერ არ იყო გავრცელებული, მისი აკრძალვა მართებულად მიიჩნია. მაგრამ მეორე პერიოდში, ანუ მას შემდეგ, რაც ინფორმაციის დიდი ნაწილი, რომელსაც ეს წიგნი შეიცავდა, საჯარო გახდა სატელევიზიო გადაცემებით, საგაზეთო პუბლიკაციებითა და სხვა საშუალებებით, დაიბეჭდა აშშ-ში მთლიანად, გავრცელდა ინგლისშიც და ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის, ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულ სასამართლოს უნდა მოეხსნა აკრძალვა, ე.ი. მანამ,

³ *Vereniging Weekblad Bluf! v. Netherlands*, judgment of 9 February 1995

⁴ *Observer and Guardian v. the United Kingdom*, judgment of 26 November, 1991.

სანამ ინფორმაცია მართლაც საიდუმლო იყო, მისი აკრძალვა აუცილებლობას შეადგენდა, მაგრამ როგორც კი იგი გამჟღავნდა და დაკარგა კონფიდენციალური ხასიათი, აზრი დაეკარგა მის აკრძალვაც ეროვნული უშიშროების დასაცავად, რადგან „ის ზიანი, რომელიც ამ ინფორმაციის გამჟღავნებას შეეძლო მიეყენებინა ამ ინტერესისათვის, უკვე მიყენებული იყო“. შესაბამისად, ეროვნული უშიშროების დაცვის ინტერესი აღარ შეიძლებოდა ამ უფლების შემდგომი შეზღუდვის საფუძველი ყოფილიყო და ჩარევა ვეღარ განიხილებოდა, როგორც „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად.

გ) შესაბამისი შინაარსის აზრი საერთოდ არ ქმნიდა რაიმე საფრთხეს ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის.

მაგალითად, საქმეში *Cyprus v. Turkey*⁵ დავის საგანი გახდა სასკოლო სახელმძღვანელოების შემოწმების პროცედურა და შეზღუდვები, დაწესებული ბერძნულენოვანი გაზეთის ცირკულაციაზე.

ევროპულმა სასამართლომ მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია როგორც საკუთრივ პროცედურა, რომელიც დადგენილი იყო თურქეთის კვიპროსული ხელისუფლების მიერ სასკოლო სახელმძღვანელოების შემოწმებისათვის მათ გავრცელებამდე, ისე ამ პროცედურის შედეგად ბერძნულენოვანი გაზეთის გავრცელების შეზღუდვა. ის არ დაეთანხმა ფაქტების შეფასების სფეროში თურქეთის ხელისუფლებას და მიუთითა, რომ ხელისუფლებამ ცენზურის შედეგად ფაქტობრივად აკრძალა სახელმძღვანელოთა დიდი ნაწილი, რომლის შინაარსი სრულიად უვნებელი იყო ქვეყნის ეროვნული უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის.

დ) შესაბამისი „გამოხატვა“, გულისხმობდა ნაკლებ პოტენციურ ზიანს ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის, რის გამოც არ არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ მისი შეზღუდვისა.

ამ კატეგორიის საქმეები ბევრია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში და ამასთანავე, დასაბუთებაც უფრო გართულებულია, ვინაიდან აქ „გარკვეული ზიანის“ არსებობა ეჭვს არ იწვევს და იმის დასაბუთება ხდება, რომ ეს ზიანი არ იყო „მნიშვნელოვანი“.

როგორც უკვე ვიცით, იმის გასარკვევად, გულისხმობს თუ არა „გამოხატვა“ საჯარო ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას, ევროპული სასამართლო სპეციალურ კრიტერიუმს იყენებს, როდესაც „გამოხატვა“ გულისხმობს „ძალადობისაკენ წაქეზებას“, იგი „მნიშვნელოვან ზიანს“ დადასტურებულად მიიჩნევს, ხოლო როდესაც არ გულისხმობს, იგი არკვევს, გულისხმობდა თუ არა ის „ნაკლებ ზიანს“ მაინც და შემდეგ, სხვა გარემოებების, მხედველობაში მიღებით აფასებს, გამართლებული იყო თუ არა უფლების შეზღუდვა.

„ნაკლები ზიანის“ არგუმენტი მაშინაც გამოიყენება, როდესაც გამოხატვის ფორმა ანდა ის გარემოება, რომ იგი მიმართული იყო მცირე უაუდიტორიისადმი,

⁵ *Cyprus v. Turkey*, judgment of 10 May 2001.

ამცირებდა პოტენციურ ზიანს, რომელიც ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს შეიძლება განეცადა.

განვიხილოთ დაწვრილებით:

ამა თუ იმ აზრის „ძალადობისაკენ წაქეზებად“ კვალიფიკაციის სისწორის შესაფასებლად, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც შესაბამისი განცხადებების შინაარსს, ცალკეულ ფრაზებსა და ტერმინებს, ისე მათ საერთო ტონალობას, სტილს, სულისკვეთებას, იმ კონტექსტს, რომელშიც ისინი იყო გაკეთებული და მათი ავტორების ვინაობასაც კი.

მაგალითად, რამდენიმე საქმეებში (*Erdogdu and Ince, Sürek and Özdemir, Sürek (№4)*),⁶ ევროპულმა სასამართლომ მიჩნია, რომ შეხედულებები, რა კონტექსტშიც ისინი გამოქვეყნდა, არ წარმოადგენდა „ძალადობისაკენ წაქეზებას“, ხოლო მათი უხეში და მწვავე სტილი არ იყო საკმარისი აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად დასახული კანონიერი მიზნის – ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული უშიშროების დასაცავად.

ასევე არ იქნა მიჩნეული „ძალადობისაკენ წაქეზებად“ წიგნის შინაარსი, რომელშიც აღწერილი იყო თურქეთის კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის ცხოვრების ისტორია.⁷ ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ წიგნი, რომლის შინაარსი არ განსხვავდებოდა მისი ადრინდელი გამოცემებისაგან, არ ისახავდა ძალადობისაკენ წაქეზების მიზანს და არ არსებობდა მისი აკრძალვის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება.

იგივე არგუმენტები გამოიყენა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Han v. Turkey*. იგი შეეხებოდა სახელმწიფოს ერთიანობისა და განუყოფლობის წინააღმდეგ პროპაგანდისათვის თურქეთის სახალხო-დემოკრატიულ პარტიის წევრის სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას, რომელიც შედეგად მოჰყვა პარტიის კონგრესზე მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. თავის გამოსვლაში მომჩივანმა განაცხადა, რომ უნდა გააქტიურებულიყო ბრძოლა თურქეთის იმპერიალისტური ტერორიზმის წინააღმდეგ ქურთი ხალხის თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის. პოლიტიკურ პარტიებს უნდა გაეტარებინათ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხალხის მრისხანებას შეუპოვარ წინააღმდეგობად გადააქცევდა. ამასთანავე, მან განაცხადა, რომ პარტიის საქმიანობა, რომელიც კანონიერების საზღვრებით იყო შემოზღუდული, განწირული იყო წარუმატებლობისათვის. ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ თვითგამორკვევისათვის ბრძოლის ყველა საშუალების გამართლება წარმოადგენდა სახელმწიფოს ერთიანობისა და განუყოფლობის წინააღმდეგ პროპაგანდას. ევროპული სასამართლო დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ მომჩივნის გამოსატყვის თავისუფლებაში ჩარევა ემსახურებოდა ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ინტერესს; მაგრამ მიიჩნია, რომ მთლიანობაში მომჩივნის სიტყვა უნდა შეფასებულიყო, როგორც თურქეთის ხელისუფლების პოლიტიკის კრიტიკა და იგი არ შეიცავდა სამართალდარღვევათა ჩადენის,

⁶ *Erdogdu and Ince v. Turkey*, judgment of 8 July 1999.

Sürek and Özdemir v. Turkey, judgment of 8 July 1999.

Sürek (N 4) v. Turkey, judgment of 8 July 1999.

⁷ *Öztürk v. Turkey*, judgment of 28 September 1999.

შეიარაღებული წინააღმდეგობის ან ამბოხებისაკენ პირდაპირ წაქეზებას. ამიტომ მისი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება მოცემულ პირობებში არაპროპორციულად უნდა შეფასებულიყო დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში.⁸

პოტენციური ზიანის შეფასებაზე გამონატვის ფორმისა და შესაბამისი მცირე აუდიტორიის გავლენის თვალსაზრისით კარგი მაგალითია *Karataş*-ის საქმე: მოძივანი დაისაჯა სახელმწიფოს განუყოფლობის წინააღმდეგ პროპაგანდისათვის მის შემდეგ, რაც გამოაქვეყნა თავისი ლექსები. სასამართლომ ცნო მე-10 მუხლის დარღვევა. დაეყრდნო რა თავის სამოსამართლო სამართალს, მან დაადასტურა, რომ მე-10 მუხლი იცავდა მხატვრული თვითგამონატვის თავისუფლებას და უზრუნველყოფდა დაცვით არა მარტო იდეების რაობას, არამედ მათი გამონატვის საშუალებებსაც. სასამართლომ აღნიშნა, რომ პოეზია განსაზღვრულად მიმართული იყო მხოლოდ ძალიან მცირე აუდიტორიისადმი, რაც ამცირებდა პოტენციურ ზიანს ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მნიშვნელოვანი ხარისხით. მან აღიარა, რომ ლექსები ზოგიერთი პასაჟი თავისი ტონალობით აგრესიულად ჟღერდა და გარკვეულწილად მოუწოდებდა ძალადობის ჩადენისაკენ; მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ისინი მხატვრული იყო თავისი ბუნებით და მცირე იყო მათი პოტენციური ზიანი, გადამწყვეტი იყო და ამიტომ ვერ ჩაითვლებოდა, როგორც აჯანყებისაკენ მოწოდება იმ შემთხვევისაგან განსხვავებით, როდესაც ასეთივე შინაარსის აზრები უშუალოდ მძიმე პოლიტიკური ვითარების პირისპირ იქნებოდა გამოთქმული.⁹

ე) მაგრამ ყველაზე უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც აზრის გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის „გაუმართლებლობის“ დასაბუთება ერთდროულად რამდენიმე არგუმენტს ეყრდნობა – ერთი მხრივ „პოტენციურად ნაკლებ ზიანს (უფრო ხშირად – „ძალადობისაკენ წაქეზების“ უარყოფის გზით) და მეორე მხრივ სხვა ფაქტორებს – პოლიტიკის სფეროში გამონატვის თავისუფლების შეზღუდვისათვის მცირე არეალის არსებობას, პრესის თავისუფლების ან დეპუტატის სიტყვის თავისუფლების განსაკუთრებით მაღალი ხარისხით დაცულობის საჭიროებას, ხელისუფლების მხრიდან მისი კრიტიკისადმი ტოლერანტობის მოთხოვნას, მხატვრული თუ მეცნიერული თვითგამონატვის თავისუფლების დაცვის აუცილებლობას, უფლების შეზღუდვის სერიოზულობას და სხვა. მათ შორის, ყველაზე უფრო ხშირია პოლიტიკური აზრისა და პრესის თავისუფლების განსაკუთრებული დაცულობის არგუმენტების მოშველიება და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხები უშუალოდ უკავშირდება პოლიტიკის სფეროს, ხოლო ამ სფეროში აზრების გამონატვა კი, უფრო ხშირად, სწორედ პრესის საშუალებით ხდება. გასაგები და ლოგიკურია ისიც, რომ როდესაც „გამონატვა“ ზემოაღნიშნული საჯარო ინტერესებისათვის მხოლოდ პოტენციურად ნაკლები ზიანის მიყენებას გულისხმობს და იმავდროულად სხვა დამატებითი სერიოზული არგუმენტებიც არსებობს გამონატვის თავისუფლების სასარგებლოდ,

⁸ *Han v. Turkey*, judgment of 13 September 2005.

⁹ *Karataş v. Turkey*, judgment of 8 July, 1999.

„სამართლიანი ბალანსი“ გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ, გაცილებით უფრო დამაჯერებელი ხდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მხოლოდ საჯარო ინტერესებისადმი „ნაკლებ ზიანს“ ემყარება.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ამის დასტურად:

Baskaya and Okçuagly-ს საქმე შეეხებოდა¹⁰ მომჩივნების დასჯას სახელმწიფოს განუყოფელობის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისათვის მას შემდეგ, რაც გამოაქვეყნეს საუნივერსიტეტო სამეცნიერო ნაშრომი, სადაც გაკრიტიკებული იყო „თურქეთის სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგია“ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

მიუხედავად მოპასუხე სახელმწიფოს მგრძობიარე არგუმენტებისა, რომლებიც თურქეთში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხებოდა, ევროპულმა სასამართლომ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა და დაეყრდნო ორ ძირითად საფუძველს: ნაშრომში გამოთქმული აზრები არ წარმოადგენდა „ძალადობისაკენ წაქეზებას“, ხელისუფლების მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები კი ძალიან ფართო იყო, რის გამოც აკდემიური მეცნიერული თვითგამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ვერ იქნებოდა გამართლებულად მიჩნეული.

Arslan-ის, *Polat*-ისა და *Gerger*-ის საქმეები¹¹ ასევე შეეხებოდა მომჩივნების დასჯას სახელმწიფოს მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდისათვის. სამივე საქმეში ევროპულმა სასამართლომ ცნო მე-10 მუხლის დარღვევა. საგულისხმოა, რომ მან, ერთი მხრივ, დაადასტურა, რომ „ძალადობისაკენ წაქეზების“ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასებისას ეროვნულ ხელისუფლებას გააჩნდა შეფასების თავისუფლების ფართო არე; მაგრამ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ როდესაც საქმე პოლიტიკურ სიტყვას შეეხებოდა, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი შეზღუდვის ძალიან მცირე არეალს, ხოლო ხელისუფლების კრიტიკის მიმართ კი – ძალიან ფართო ფარგლებს გულისხმობდა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანთა გამონათქვამები არ წარმოადგენდა ძალადობისაკენ წაქეზებას, მიუხედავად ცალკეული პასაჟებისა და გამოყენებული სიტყვებისა, როგორცაა „წინააღმდეგობა“, „ბრძოლა“ და ა.შ. მან ისიც გაითვალისწინა, რომ განცხადებები გამოთქმული იქნა ზეპირად, ცერემონიების დროს, ანდა – გამოქვეყნებული სალიტერატურო შრომებში, რამაც „მნიშვნელოვნად შეამცირა პოტენციური ზიანი“ ეროვნული უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის.

უაღრესად საინტერესოა *Aksoy*-ს საქმე¹² იმ თვალსაზრისით, თუ როგორ იცვლება მიდგომა ხალხის არჩეული წარმომადგენლის მიერ წარმოთქმული სიტყვის შეფასებისას და როგორი განსხვავებულია საკუთრივ ხელვა დეპუტატის სიტყვის თავისუფლებისა.

¹⁰ *Baskaya and Okçuagly v. Turkey*, judgment of 8 July 1999.

¹¹ *Arslan v. Turkey*, judgment of 8 July 1999

Polat v. Turkey, judgment of 8 July 1999

Gerger v. Turkey, judgment of 8 July 1999

¹² *Aksoy v. Turkey*, judgment of 10 October 2000, §59.

აქსიო არის მწერალი და თურქეთის პარლამენტის ყოფილი წევრი. ის სამჯერ იქნა დასჯილი სეპარატისტული პროპაგანდისათვის იმ გამონათქვამების გამო, რომელიც შეეხებოდა ვითარებას თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთში. სამივე შემთხვევა ევროპულმა სასამართლომ მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია.

პირველი დასჯა მოჰყვა მომჩივნის მიერ წარმოთქმულ სიტყვას პოლიტიკური პარტიის კონფერენციაზე. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ „გამონათქვამის თავისუფლება, რომელიც ძვირფასია თითოეული ინდივიდისათვის, განსაკუთრებით ძვირადღირებული იყო ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლისათვის. მისი აზრით, მომჩივანმა გამოხატა თავისი აზრი, როგორც პარლამენტის წევრმა და პოლიტიკური პარტიის გენერალურმა მდივანმა, რითაც „შეასრულა თავისი როლი, როგორც თურქეთის პოლიტიკური სცენის მონაწილემ“. თურქეთის მთავრობისაგან განსხვავებით, ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია, რომ გამოთქმული შეხედულებები რასისტული იყო. მისი აზრით, ისინი უნდა შეფასებულიყო, როგორც მოწოდება ელიარებინათ ხალხის გარკვეული ნაწილის უფლებები (იგულისხმება ქურთული წარმოშობის მოქალაქეები).

მეორედ მომჩივანი დაისაჯა თავისი სტატიისათვის ყოველკვირეულ გაზეთში. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მისი გამონათქვამები ძალადობის ჩადენისაკენ კი არ მოუწოდებდა, არამედ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას ემსახურებოდა. დამატებით არგუმენტად ევროპულმა სასამართლომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესის არსებითი როლის შესახებაც მიუთითა.

მესამე დასჯა მოჰყვა ბროშურის გამოცემას, რომელიც ხალხის თვითგამორკვევის უფლებას შეეხებოდა. ევროპული სასამართლოს აზრით, შესაბამისი ტექსტი ასევე არ შეიცავდა ძალადობის ჩადენისაკენ წაქეზებას. მან ხაზგასმით მიუთითა, რომ „არსებითი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, დაშვებული ყოფილიყო დისკუსიები განსხვავებულ პოლიტიკურ ასპექტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი სადავოს ხდიდნენ სახელმწიფოს მოწყობის არსებულ წესს, თუ კი, რა თქმა უნდა, არ არღვევდნენ დემოკრატიას თვითონ.

პოლიტიკოსის აზრის გამონათქვამის თავისუფლების შეზღუდვის ზედმიწევნით შემოწმების აუცილებლობაზე მიუთითა ევროპულმა სასამართლომ *Incal*-ის საქმეში:¹³ მომჩივანი დაისაჯა ფურცლების გამოქვეყნებისათვის, რომლებშიც გავრცელებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკა მუშების, განსაკუთრებით კი ქურთული წარმოშობის მუშების მიმართ.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ფურცლების შინაარსი, თუ იგი კონტექსტში იქნებოდა გააზრებული, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო, როგორც ძალადობის ჩადენისაკენ მოქალაქეების წაქეზება, ანდა სიძულვილის (*hatred*) თუ მტრობის (*hostility*) გაღვივება. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მთავრობის მოქმედებები წარმოადგენდა მკაცრი შეფასების საგანს არა მარტო საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, არამედ საზოგადოების მხრიდანაც. ისიც საგულისხმოა, რომ ევროპულმა სასამართლომ გამონათქვამების შეფასებისას მხედველობაში მიიღო მათი ავტორის

¹³ *Incal v. Turkey*, judgment of 9 July 1998.

ვინაობა და ის გარემოება, რომ არ დადასტურდა მომჩივნის რაიმე პასუხისმგებლობა თურქეთში ტერორიზმის პრობლემის გამო.

ხელისუფლების მხრიდან კრიტიკისადმი ტოლერანტობისა და სახელმწიფოს მიერ თავისი პოზიტიური ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დაცვის აუცილებლობაზე მითითებით გააძლიერა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის დასაბუთება *Özgür Gündem*-ის საქმეში.¹⁴ ეს საქმე შეეხებოდა გაზეთისა და მისი თანამშრომლების მიმართ განხორციელებულ აგრესიას, დევნას, დაპატიმრებასა და სისხლისსამართლებრივ დასჯას გამოქვეყნებული სტატიებისათვის.

მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი იმის თაობაზე, თითქოს გაზეთი და მისი თანამშრომლები ეხმარებოდნენ *PKK*-ს, ევროპული სასამართლოს აზრით, არ წარმოადგენდა გამართლებას იმისა, რომ სახელმწიფოს არ გადაეღვა ნაბიჯები ეფექტიანი გამოძიებისა და უკანონო მოქმედებებისაგან გაზეთის დაცვისკენ. მან მიიჩნია, რომ სტატიები არ წარმოადგენდნენ ძალადობისაკენ წაქეზებას არც შინაარსის, არც ტონისა და არც კონტექსტის მიხედვით. არც ქურთული ორგანიზაციების წევრთა ინტერვიუები და არც სიტყვა – „ქურთისტანის“ გამოყენება ისეთ კონტექსტში, რომ ის ცალკეა თურქეთის ტერიტორიისაგან, თავისთავად არ წარმოადგენდა გაზეთის უფლებების დარღვევის გამართლებას. მხოლოდ სამი სტატიის შინაარსი იქნა შეფასებული, როგორც „ძალადობისაკენ წაქეზება“ და შესაბამისი ღონისძიებებიც როგორც „თანაზომიერი“ მე-10 მუხლის გაგებით.

ფაქტობრივად, იგივე არგუმენტები გამოიყენა ევროპულმა სასამართლომ სხვა ანალოგიურ თურქულ საქმეებშიც, სადაც პრესის თავისუფლების შეზღუდვა გაუმართლებლად მიიჩნია. მართალია, მან ხაზგასმით მიუთითა პრესის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე ქვეყანაში კონფლიქტისა და დაძაბულობის დროს, რამდენადაც იგი შეიძლება სიძულვილის გავრცელებისა და დარღვევების ხელშემწყობი საშუალება გამხდარიყო, მაგრამ უპირატესობა მაინც პრესის თავისუფლებას მიანიჭა, გაეგრძელებინა თვით სადაო ინფორმაცია და იდეები, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი პოლიტიკას შეეხებოდა, ისევე როგორც – ხალხის უფლებას, შეეტყვოთ ქურთული პრობლემის გადაწყვეტის განსხვავებული გზების შესახებ.¹⁵

Ekin Association-ის საქმეში გადამწყვეტი გახდა უფლების შეზღუდვის სერიოზული ხასიათი და ხარისხი. იგი შეეხებოდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებას, რომლითაც აიკრძალა წიგნის გავრცელება, რომელიც ბასკების კულტურას შეეხებოდა. ეს აკრძალვა ეყრდნობოდა კანონის იმ მუხლს, რომელიც შს მინისტრს უცხოური (უცხო ენაზე ან უცხოური წარმოშობის) პუბლიკაციების აკრძალვის უფლებამოსილებას ანიჭებდა. ევროპული სასამართლო

¹⁴ *Özgür Gündem v. Turkey*, judgment of 16 March 2000.

¹⁵ მაგალითად იხილეთ, *Sener v. Turkey* (judgment of 18 July 2000). იხილეთ აგრეთვე ახალი თურქული საქმეები, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეულად ცნო მომჩივანთა მსჯავრდების გამო სეპარატივისტული პროპაგანდათვის: *Doğaner v. Turkey* (judgment of 21 October 2004), *Marasli v. Turkey* (judgment of 9 November 2004); სიძულვილის წაქეზებისათვის: *Odabasiv v. Turkey* (judgment of 10 November 2004), *Dicle v. Turkey* (judgment of 10 November 2004), *Kalin v. Turkey* (judgment of 10 November 2004), *Auhan v. Turkey* (judgment of 10 November 2004).

დაეყრდნო პუბლიკაციის წინასწარი აკრძალვის საკითხზე შემუშავებულ მიდგომას, რომლის მიხედვით, წინასწარი აკრძალვა შეზღუდვის მცირე ფარგლებს უნდა გულისხმობდეს და იმავდროულად, უნდა უზრუნველყოფდეს ქმედით სამართლებრივ მისაგებელს შეზღუდვის უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ევროპულმა სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში მიიჩნია, რომ გამოყენებული ღონისძიება ვერ აკმაყოფილებდა ამ ორ მოთხოვნას. მან მიუთითა, რომ წიგნის შინაარსი ვერ ამართლებდა მოძრაობის გამონატვის თავისუფლების ასეთ სერიოზულ დარღვევას ვითომდა ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოტივით. შესაბამისად, შს მინისტრის გადაწყვეტილება მან შეაფასა, როგორც „არათანაზომიერი ჩარევა“ დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებაში და ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.¹⁶

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გამონატვის თავისუფლებისა და ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჯარო ინტერესების კონფლიქტის დროს, ევროპული სასამართლო, ამ საჯარო ინტერესების დაცვის სფეროში ეროვნული შეფასების თავისუფლების ფართო არეალის მიუხედავად, მხოლოდ მაშინ იზიარებს მათ შეფასებებს უფლების შეზღუდვის გამართლებულობის თაობაზე, როდესაც შესაბამისი „გამონატვა“ გულისხმობდა ამ საჯარო ინტერესებისათვის „მნიშვნელოვანი ზიანის“ მიყენებას, ასეთად კი ზიანს მხოლოდ მაშინ მიიჩნევს, როდესაც „გამონატვა“ წარმოადგენდა ძალადობის ან სხვა უკანონო მოქმედებებისაკენ წაქეზებას.

დანარჩენ სხვა შემთხვევაში კი, სამართლიანი ბალანსი, როგორც წესი, გამონატვის თავისუფლების სასარგებლოდ ყალიბდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ პოლიტიკის სფერო, პრესის თავისუფლება და ზოგიერთი სხვა ფაქტორი (რომლებსაც ძალზე ხშირად უკავშირდება ზემოაღნიშნული საჯარო ინტერესთა და გამონატვის თავისუფლების ღირებულებითი კონფლიქტი), ზრდიან გამონატვის თავისუფლების დაცულობის აუცილებლობას, შესაბამისად, ამკაცრებენ იმ ზედამხედველობას, რომელსაც ევროპული სასამართლო ეწევა და ამცირებენ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლებს, რომელიც საბოლოო ჯამში აღარ არის ისეთი ფართო, როგორც ამ ფაქტორთა არარსებობის პირობებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დებულება იმის თაობაზე, რომ ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის სფეროში ეროვნულ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების ფართო არე გააჩნიათ, მეტისმეტად პირობითია, რამდენადაც მისი ფარგლების განვრცობალობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას და თანაც, – უმეტესწილად შემზღუდველს. ეს კი იმას განაპირობებს, რომ, საბოლოო ჯამში, ზემოაღნიშნულ საჯარო ინტერესთა დაცვის სფეროში ეროვნული სახელმწიფოებისათვის შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლების მიკუთვნება ყოველთვის აღარ გვევლინება შეზღუდვის აუცილებლობის თაობაზე სახელმწიფოთა პოზიციის გაზიარების რეალურ და მნიშვნელოვან წინაპირობად.

¹⁶ *Ekin Association v. France*, judgment of 17 July 2001.

თუმცა, არ იმის უარყოფა შეიძლება, რომ ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებული საერთო მიდგომა ზემოაღნიშნულ საჯარო ინტერესთა დაცვის სფეროში სახელმწიფოთათვის შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლების მინიჭების თაობაზე, მაინც ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც საწყისი პოზიციისა თუ ათვლის წერტილის გამომხატველი. ეს საჯარო ინტერესები ყოველთვის წარმოადგენს ფაქტორს, რომლებიც ზრდიან მოპასუხე სახელმწიფოთა შეფასებების გაზიარების შანსს უფლების შეზღუდვის „აუცილებლობის“ თაობაზე და, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენენ კონკრეტულ შემთხვევაში დაპირისპირებულ ინტერესთა შორის მიღწეული „სამართლიანი ბალანსის“ შესაბამის პროპორციებზე.

* * *

ამ თემის დასასრულ, კიდევ ერთი საკითხის შესახებ, რომელიც ცალკე ანალიზს მოითხოვს: ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არის საქმეები, სადაც გამონათქვამის თავისუფლება ღირებულებით კონფლიქტშია სამხედრო დისციპლინისა და შეიარაღებული ძალების სფეროში წესრიგის დაცვის ინტერესთან, რაც არ არის უშუალოდ მითითებული მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ „კანონიერ მიზანთა“ ჩამონათვალში. ჩვენი ყურადღება იმ გარემოებამ მიიპყრო, რომ შეიარაღებული ძალების სფეროში დისციპლინისა და წესრიგის დასაცავად გამონათქვამის თავისუფლების შეზღუდვის ფორმალურ საფუძვლად სახელმწიფოს მიერ ხან „ეროვნული უშიშროების დაცვის“, ხან კიდევ „უწესრიგობის თავიდან აცილების“ მიზნებია დასახელებული.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რომელ მათგანზე მითითებაა უფრო მართებული. სხვანაირად: - კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რომელ „კანონიერ მიზანს“ შეესაბამება ეს სფერო – „ეროვნული უშიშროების დაცვას“ თუ „უწესრიგობის თავიდან აცილებას“?

ჩვენი დაკვირვებით, არც ევროპული სასამართლო შესაბამისი პრაქტიკა იძლევა ცალსახა პასუხს ამ კითხვაზე. ერთი მხრივ, მან მიუთითა, რომ „შეიარაღებული ძალების სფეროში უწესრიგობის თავიდან აცილება იყო კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული კანონიერი მიზანი“,¹⁷ რითაც ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ „უწესრიგობის თავიდან აცილების“ კანონიერი მიზანი შეიარაღებული ძალების სფეროსაც გულისხმობდა. მაგრამ, მეორე მხრივ, საგულისხმოა, რომ შესაბამის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისას „უწესრიგობის თავიდან აცილებასთან“ ერთად და, ზოგჯერ კი მის გარეშეც, ხშირად ფიგურირებს „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის“, „საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა“ და „ეროვნული უშიშროების“ ცნებები და აქცენტი სწორედ ამ ინტერესთა დაცვის აუცილებლობაზეა გადატანილი.

ასეთი ვარიაციების მიზეზი, ვფიქრობთ სწორედ ის სპეციფიკაა, რომელიც შეიარაღებული ძალების სფეროში გამონათქვამის თავისუფლების დაცულობას ახლავს. „უწესრიგობის თავიდან აცილება“ შეიარაღებული ძალების სფეროში, ხშირ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს შუალედურ მიზანს მთავარი მიზნის –

¹⁷ *Engel v. the Netherlands*, judgment of 8 June 1976.

„ეროვნული უშიშროების“ ან „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“ უზრუნველყოფისა. არსებითად, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ორივე კანონიერი მიზანი – „ეროვნული უშიშროების დაცვაც“ და „უწესრიგობის თავიდან აცილებაც“ მოიცავს სამხედრო დისციპლინისა და წესრიგის დაცვის ინტერესს. ამიტომ, წმინდა ფორმალური თვალსაზრისით, არც ამ ორიდან ერთ რომელიმე „კანონიერ მიზანზე“ მითითება შეიძლება იყოს მცდარი და არც ორივესი ერთობლივად. მაგრამ საკითხი მაინც კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან და კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს და შეფასდეს, როგორი კვალიფიკაცია იქნება უფრო შესაბამისი და შესატყვისი. შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მართებული იყოს „უწესრიგობის თავიდან აცილების“ მიზნის მითითება, ზოგჯერ – „ეროვნული უშიშროებისა“, ზოგჯერ კი – ორივე მათგანისა ერთდროულად, იმისდა მიხედვით, თუ რა შინაარსის იდეის თუ ინფორმაციის გამოხატვა მოხდა, რა საფრთხის შემცველი იყო ის, რა მიზანს ისახავდა თავად მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული უფლების შემზღვეველი ღონისძიება და იყო თუ არა ის რაციონალურად დაკავშირებული სწორედ ამ მიზნის მიღწევასთან. ამ გარემოებებზე, შესაძლოა, მეტად თუ ნაკლებად, დამოკიდებული აღმოჩნდეს ევროპული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, იყო თუ არა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაბამისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა **დასახული კანონიერი მიზნის** მისაღწევად, ანდა, რამდენად თანაზომიერი იყო შემზღვეველი ღონისძიება **სწორედ ამ მიზანთან მიმართებაში**.

სამწუხაროდ, ევროპული სასამართლოს შესაბამის იურისპრუდენციაში ვერ მოვიძიეთ რაიმე ისეთი განმარტება, რომელიც გარკვეულ სიცხადეს შეიტანდა ამ მიმართებით. ევროპული სასამართლოსათვის ამოსავალია ის, თუ რა მიზანს ისახავდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. შეფასებაც ამ მიზანთან მიმართებაში ხდება. ხოლო თავისთავად ის, თუ რამდენად შესაბამისი იყო მხოლოდ „ეროვნული უშიშროების“, ან მხოლოდ „უწესრიგობის თავიდან აცილების“, ანდა ერთობლივად ორივე კანონიერი მიზნის დასახელება კონკრეტულ შემთხვევაში, ეს გარემოება ევროპული სასამართლოს მხრიდან კრიტიკული შეფასების საგანი არ ხდება. ასეთი განურჩევლობა შესაძლოა არასწორი შეფასების საფუძველი გახდეს, ვინაიდან სწორედ იმიტომ, რომ შეიარაღებული ძალების სფეროში წესრიგის უზრუნველყოფა შუალედური მიზანია „ეროვნული უშიშროების“ უზრუნველყოფის მიზანისა, ესა თუ ის შემზღვეველი ღონისძიება წესრიგის უზრუნველყოფის მიზანთან მიმართებაში შეიძლება თანაზომიერი იყოს, ხოლო ეროვნული უშიშროების მიზანთან მიმართებაში კი არათანაზომიერი აღმოჩნდეს, რაც, შესაბამისად, არაადეკვატურ დასკვნას გამოიწვევს.

ძნელია იმის თქმა, წარმოშვა თუ არა ამან პრაქტიკაში რეალური სირთულეები, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ შესაბამის საქმეებზე გადაწყვეტილებათა დასაბუთების გაცნობისას არაერთი კითხვა იბადება, რასაც ქვემოთ მიმოხილული საქმეებიც მოწმობს.

ამ კატეგორიის საქმეებში ევროპულ სასამართლოს რაიმე განსხვავებული შეფასების კრიტერიუმი არ შეუძუშავებია. შეიარაღებული ძალების სფეროში იგი

სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების ფართო არეს მიაკუთვნებს, თუმცა, როგორც სხვაგან, ეს გარემოება ყოველთვის არ გვევლინება სახელმწიფოს პოზიციის გაზიარების მნიშვნელოვან წინაპირობად. აქაც დიდი ყურადღება იმას ექცევა, თუ რამდენად რეალური იყო საჯარო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების საფრთხე, როგორი იყო პოტენციური ზიანი ანდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ხარისხი; როდესაც უფლებაში ჩარევის ხარისხი მცირეა, ზიანის სიდიდესა თუ მისი საფრთხის სერიოზულობას აღარ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

მაგალითად, *Rekvenyi*-ს საქმეში¹⁸ ამოსავალი გახდა უფლების შეზღუდვის მცირე ხარისხი. საქმე შეეხებოდა პოლიციისა და შეიარაღებული ძალების წევრებისათვის (რომლებიც კარიერის ხაზით ექვემდებარებოდნენ წინსვლასა და დაწინაურებას) დაწესებულ კრძალვას, შესულიყვნენ პოლიტიკურ პარტიაში და პოლიტიკური საქმიანობისათვის მიეყოთ ხელი.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა, რომ ეს შეზღუდვა შემოღებული იყო პოლიციისა და შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალიტეტის უზრუნველსაყოფად და ემსახურებოდა კანონიერ მიზანს – **ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას**. ის ვერ იქნებოდა მიჩნეული არაპროპორციულ ღონისძიებად დასახული კანონიერი მიზნისა, ვინაიდან პოლიციისა და შეიარაღებული ძალების წევრებს უნარჩუნდებოდათ უფლება, გამოეხატათ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები სხვა გზით (მაგალითად უფლება, ემსჯელათ პოლიტიკურ პროგრამებზე, მოეხდინათ საარჩევნო კამპანიის შეხვედრების ორგანიზაცია, ხმა მიეცათ საპარლამენტო არჩევნებში და გაერთიანებულიყვნენ პროფკავშირებში). ამიტომ, ასეთ გარემოებებში, შეზღუდვა ვერ ჩაითვლებოდა გადაჭარბებულ ღონისძიებად.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა უწინარესად სამხედრო დისციპლინის აუცილებელი კომპონენტია, და შეიარაღებული ძალების სფეროში წესრიგის დაცვას ემსახურება, მაინც, ამ საქმეზე „საჯარო ინტერესად“ მხოლოდ „ეროვნული უშიშროება“ და „საზოგადოებრივი უსაფრთხოება“ განიხილებოდა „კანონიერ მიზნებად“, ხოლო „უწესრიგობის თავიდან აცილება“ საერთოდ არ იქნა მოხსენიებული.

Grigoriades-ის საქმეში¹⁹ სამართლიანი ბალანსი გამოხატვის თავისუფლების სასარგებოდ ჩამოყალიბდა საჯარო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების საფრთხის არარეალურობის გამო. ამ საქმეში „კანონიერ მიზნად“ (რომლის დასაცავადაც უფლება შეიზღუდა), „სამხედრო დისციპლინა“, ზოგადად – „შეიარაღებული ძალების სფეროში უწესრიგობის თავიდან აცილების“ მიზანი იყო დასახელებული მოპასუხე სახელმწიფოს მიერ, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატული აზრი მიმართული იყო არმიის, როგორც ინსტიტუტის წინააღმდეგ.

საქმე შეეხებოდა ახალწვეულის დასჯას არმიის (ჯარის) შეურაცხყოფისათვის თავის წერილში, რომელიც მან გაუგზავნა ზემდგომ ოფიცერს. ევროპულმა

¹⁸ *Rekvenyi v. Hungary*, judgment of 20 May 1999.

¹⁹ *Grigoriades v. Greece*, judgment of 25 November 1997. Reports 1997-VII. §45.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის „მე-10 მუხლის მოქმედება არ ჩერდებოდა არმიის ბარაკების ჭიშკართან და სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შექმნილი იყო სამხედრო დისციპლინის დასაცავად, ეროვნული ხელისუფლების მიერ არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული გამოხატვის თავისუფლების ჩახშობის მიზნით, მაშინაც კი, როდესაც იგი მიმართული იყო არმიის, როგორც ინსტიტუტის წინააღმდეგ“. მან გაიზიარა, რომ წერილის შინაარსი შეიცავდა მკაცრ და თავშეუკავებელ გამოთქმებს შეიარაღებული ძალების შესახებ. თუმცა, გაითვალისწინა, რომ ეს გამონათქვამები გაკეთებული იყო საჯარისო ცხოვრებისა და ჯარის, როგორც ინსტიტუტის საერთო და მრავალსაუკუნოვანი კრიტიკის კონტექსტში. წერილი არ იყო სპეციალურად გამიზნული წერილის მიმღების ან სხვა პირებისათვის და არ ისახავდა მათზე მავნე ზეგავლენის მოხდენის მიზანს. ასეთ პირობებში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არ იყო მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გამართლებული.

ერთი მხრივ იმის გამო, რომ უწესრიგობა შეიარაღებული ძალების სფეროში, პოტენციურად, ყოველთვის გულისხმობს ეროვნული უშიშროებისათვის გარკვეული საფრთხის არსებობას, და, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ გამოხატული შეხედულებები მიმართული იყო არმიის, როგორც ინსტიტუტის წინააღმდეგ, წმინდა ფორმალური თვალსაზრისით, აქ არც „ეროვნული უშიშროების“ საჯარო ინტერესის მითითება არ იქნებოდა უმართებულო; თუმცა, შემზღუდველი ღონისძიების არათანაზომიერება ამ მიზანთან მიმართებაში კიდევ უფრო აშკარა გახდებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ობიექტურად იმდენად მცირე იყო ეროვნული უშიშროებისათვის ზიანის მიყენების საფრთხის რეალურობა, რომ, შეიძლება ითქვას, შემზღუდველი ღონისძიება არ იყო რაციონალურად დაკავშირებული ასეთი საფრთხის აცილებასთან. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამიტომ არ იქნა ეს საჯარო ინტერესი მითითებული შემზღუდველი ღონისძიების გასამართლებლად.

ასეთი მიდგომა ჩვენ მართებულად გვესახება და მიგვაჩნია, რომ „ეროვნული უშიშროებისათვის“ ზიანის მიყენების საფრთხის რეალურობა და შემზღუდველი ღონისძიების რაციონალური კავშირი ამ საჯარო ინტერესის დაცვის მიზნის მიღწევასთან, შეიძლებოდა ქცეულიყო კრიტერიუმებად იმის განსაზღვრისათვის, როდის უნდა იქნეს „კანონიერ მიზნად“ დასახელებული მხოლოდ „წესრიგის დაცვის ინტერესი შეიარაღებული ძალების სფეროში“ (ე.ი. ფორმალურად - „უწესრიგობის თავიდან აცილება“) და როდის – იმავდროულად „ეროვნული უშიშროებისაც“.

სამწუხაროდ, ევროპული სასამართლო არ ახდენს რაიმე ნიშნით დიფერენციაციას და სხვა ანალოგიურ საქმეებში მაინც ორივე კანონიერ მიზანთან მიმართებაში განიხილავს შემზღუდველი ღონისძიების თანაზომიერების საკითხს.

მაგალითისათვის გამოგვადგება *Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs and Gubi*-ს საქმე.²⁰ ეს საქმეც გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყდა ისევ ზიანის მიყენების საფრთხის არარეალურობის გამო (თავდაცვის მინისტრმა უარი თქვა ნებართვის გაცემაზე ჟურნალი „Der Igel“

²⁰ *Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria*, judgment of 19 December 1994.

გავრცელებულიყო ჯარისკაცებს შორის ბარაკებში). მაგრამ, ზემო შემთხვევისაგან განსხვავებით, მან ორივე კანონიერ მიზანთან მიმართებაში შეაფასა უფლებაში ჩარევის თანაზომიერება და მიუთითა, რომ „თავდაცვის მინისტრის აკრძალვა წარმოადგენდა არათანაზომიერ ღონისძიებას **თავდაცვისა და წესრიგის** დაცვასთან მიმართებაში, რა კანონიერ მიზნებსაც ისახავდა მინისტრი“. შესაძლოა, მოცემულ საქმეში, ამას მართლაც ჰქონდა თავისი ობიექტური და გონივრული გამართლება, მაგრამ, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, დასაბუთება მხოლოდ იმის მიხედვით კი არ მომხდარიყო, თუ რა მიზანს ისახავდა მინისტრი, არამედ, უწინარესად იმის მიხედვით, რა საჯარო ინტერესის დაზიანების საფრთხეს გულისხმობდა შესაბამისი „გამოხატვა“ ობიექტურად, და, რომელ მიზნთან იყო შემზღუდველი ღონისძიება რაციონალურად დაკავშირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე **მიზანი, რომელსაც ისახავდა შემზღუდველი ღონისძიება, ხშირად არ ემთხვევა მიზანს, რომელთანაც ეს ღონისძიება რაციონალურად არის დაკავშირებული.** ასეთი თანხვედრის გარეშე კი, ყოველგვარი შეფასება „თანაზომიერებისა“ არაადეკვატური შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ სასურველია, რომ შეიარაღებული ძალების სფეროში წესრიგის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეებზე ევროპულმა სასამართლომ ზედმიწევნით შეამოწმოს, არსებობდა თუ არა რაციონალური კავშირი შემზღუდველ ღონისძიებასა და დასახულ კანონიერ მიზანს შორის; მით უმეტეს, რომ ასეთი რაციონალური კავშირის დადგენა თავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არის „თანაზომიერების“ შეფასების აუცილებელ კომპონენტად მიჩნეული საზოგადოდ.

§9.2. უეჭოდვა უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით

ამ საჯარო ინტერესების დაცვის სფეროში კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს შეფასების თავისუფლების ფართო არე აქვთ მინიჭებული, მაგრამ, არა იმდენად ფართო, როგორც ეროვნული უშიშროების, ანდა მორალის სფეროში. მათ დასაცავად გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ინტერესთა დაბალანსების საერთო პრინციპებისა და კონკრეტული გარემოებების საფუძველზე განისაზღვრება და (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტელე- და რადიო მაუწყებლობის სფეროს) რაიმე სპეციალური კრიტერიუმები თუ მიდგომები შემუშავებული არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის საქმეები ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ძალიან ბევრი არ არის, ნიშანდობლივია, რომ ისინი მრავალფეროვანია და ფართო სპექტრს მოცავს.

საქმე ისაა, რომ „უწესრიგობის თავიდან აცილების“ მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება მნიშვნელოვანწილად აღმოჩნდა იმაზე დამოკიდებული, თუ „საზოგადოებრივი წესრიგის“, როგორი გაგება იარსებებდა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში. ევროპულმა სასამართლომ „უწესრიგობის თავიდან აცილების“ კანონიერი მიზნის ცნების შინაარსი სწორედ ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში დამკვიდრებული შეხედულებების საფუძველზე დაადგინა. მან გაითვალისწინა, რომ არსად არ არსებობდა „საზოგადოებრივი წესრიგის“ ცნების ზუსტი განსაზღვრება, და, საერთო მხოლოდ ის იყო, რომ ყველგან იგი ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა. შესაბამისად, დაეყრდნო რა ამ გარემოებას, თავისი იურისპრუდენციის შემუშავებისას მანაც „საზოგადოებრივი წესრიგის“ ცნების ფართო გაგება დაამკვიდრა, რომლის მიხედვით, მასში იგულისხმება „საზოგადოებრივი წესრიგი“ არა მარტო ვიწრო, (ორდინარული), არამედ ფართო მნიშვნელობითაც.

თავის მხრივ, საკუთრივ ის გარემოება, რომ ეროვნულმა მიდგომებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს კონვენციის (მე-10 და სხვა მუხლებით გათვალისწინებული) ტერმინის – „უწესრიგობის თავიდან აცილების“ შინაარსის განსაზღვრაში, ერთ-ერთ თავალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს იმისა, რომ სახელმწიფოთათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლება არ ამოიწურება მხოლოდ „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შეფასების საკითხებით და ვრცელდება კონვენციაში გამოყენებული ცნებებისა და ტერმინების, მათ შორის იმ საზოგადოებრივ მიზანთა გამომხატველი ცნებების შინაარსის განსაზღვრაზე, რომელთა დასაცავადაც უფლება შეიძლება შეიზღუდოს. ამ გზით, ისინი, არაპირდაპირ, დიდ როლს თამაშობენ კონვენციის დებულებების განმარტებაში, მათი შინაარსის დადგენასა თუ მოქმედების არეალის განსაზღვრაში.

„საზოგადოებრივი წესრიგის“ ცნების ფართო მნიშვნელობით დამკვიდრების გამო, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში შეხვდებით საქმებს, სადაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საჯარო ინტერესში მოაზრებულია სრულიად სხვადასხვა სფერო თუ მიმართულება: ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შენარჩუნება, საზოგადოებაში სხვადასხვაგვარი დაძაბულობის, მათ შორის მტრობისა თუ სიძულვილის გავრცელების ტენდენციების აღკვეთა, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების ნორმალური ფუნქციონირება, სახელმწიფოს ამა თუ იმ კანონიერი საქმიანობის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კანონიერი ღონისძიების სათანადო განხორციელების უზრუნველყოფა და მათ ხელშესაშლელად შექმნილი დაბრკოლებების აღკვეთა, დემონსტრაციების, მიტინგების, სამხედრო ალღუმების დროს წესრიგის დაცვა, საარჩევნო კამპანიების სათანადოდ წარმართვა, სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების დაცულობის უზრუნველყოფა, კომუნიკაციების (მათ შორის საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების) აგრეთვე, შეიარაღებული ძალებისა და სხვა სფეროებში წესრიგის დაცვა და სხვა.

„უწესრიგობისა“ და „დანაშაულის აღკვეთის“ კანონიერი მიზნები ძალზე ხშირად ერთდროულად მითითებული შესაბამისი შეზღუდვის „დასახულ მიზნად“, გამომდინარე იმ ფართო პოტენციიდან, რასაც შეიძლება გულისხმობდეს ამა თუ იმ მავნე, მიუღებელი და თუნდაც ნეიტრალური შინაარსის შეხედულებების, აზრებისა თუ ინფორმაციის გავრცელება. ასევე ხშირია ამ მიზანთა ერთობლიობა „ეროვნული უშიშროების“, „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“, „მორალისა“ და „სხვა პირთა რეპუტაციისა და უფლებების დაცვის“ კანონიერ მიზნებთან. ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მოპასუხე სახელმწიფოს მოეთხოვება, დაამტკიცოს გამოხატვის თავისუფლების შესაბამისი შეზღუდვის „აუცილებლობა“ და „თანაზომიერება“ დასახულ კანონიერ მიზნებთან მიმართებაში და დაასაბუთოს, რომ შემზღუდველი ღონისძიება ობიექტურად და რაციონალურად იყო დაკავშირებული სწორედ ამ მიზნის მიღწევასთან.

საგულისხმოა, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე ყველაზე უფრო ხშირია შემთხვევები, სადაც არა სიტყვით, არამედ რაიმე მოქმედებით (საქციელით) (ზოგჯერ უმოქმედობითაც) ხდება „აზრის გამოხატვა“, რაც ზოგჯერ წარმოშობს განსხვავებული მიდგომებისა თუ შეფასების განსხვავებული კრიტერიუმებისა და სტანდარტების გამოყენების აუცილებლობას.

ქვემოთ მიმოხილული საქმეებიდან, მკითხველი თავად გაარკვევს, თუ რატომ გაიზიარა თუ უარყო ევროპულმა სასამართლომ ეროვნული ხელისუფლების პოზიცია შეზღუდვის აუცილებლობის თაობაზე და როგორი ბალანსი მიიჩნია სამართლიანად გამოხატვის თავისუფლებისა და „უწესრიგობისა“ თუ „დანაშაულის აღკვეთის“ საჯარო ინტერესების დაპირისპირებისას.

„საზოგადოებრივი წესრიგის“ ვიწრო, ორდინარული მნიშვნელობა ძირითადად ისეთ საქმეებს უკავშირდება, სადაც მშვიდობიან დემონსტრაციაში მონაწილეობა გადაზრდილია ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობასა ან სხვაგვარ უკანონო მოქმედებაში.

მაგალითად, საქმეში *Steel and Others v. the United Kingdom*,¹ ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობა, რომელსაც მოჰყვა მოძივნების დაპატიმრება, წარმოადგენდა მათი მხრიდან უკმაყოფილებისა და უთანხმოების გამოხატვას სახელმწიფოს განსაზღვრული საქმიანობის მიმართ და ამიტომ, მე-10 მუხლი ამ შემთხვევაში გამოყენებადი იყო. მოცემულ საქმეში ორი მოძივნის მიმართ დაადგინა, რომ მე-10 მუხლი დარღვეული არ იყო, ვინაიდან „ხელისუფლების კანონიერი მოქმედებების მიმართ ფიზიკურ ობსტრუქციას, გამაყრუებელ სროლასა და მოტოციკლეტებით თარეშს შეედლო „გაემართლებინა“. მათი სცენიდან გამოყვანა და დაპატიმრება“. იმავე ლოგიკით, მშვიდობიან დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის სხვა სამი მოძივნის დაპატიმრება მან მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია.

სხვა საქმეში,² ევროპულმა სასამართლომ „უწესრიგობის თავიდან აცილების“ მიზნის მიღწევის თანაზომიერ ღონისძიებად მიიჩნია მოძივნის დაკავება და დაპატიმრება, რომელმაც არაფრად ჩააგლო პოლიციის გაფრთხილება, დაეცვა წესრიგი დემონსტრაციის დროს და საჩივარი მიუღებლად ცნო.

Chorherr-ის საქმე შეეხებოდა მოძივნის დაკავებასა და დაპატიმრებას იმის გამო, რომ მან უარი თქვა, შეეწყვიტა საპროტესტო შინაარსის ფურცლების გავრცელება და ლოზუნგების (პლაკატების) გამოფენა სამხედრო ალლუმის დროს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით და ემსახურებოდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კანონიერ მიზანს – უწესრიგობის თავიდან აცილებას.³ ეს საქმე იმითაც არის საყურადღებო, რომ „უწესრიგობის თავიდან აცილების“ ინტერესი აქ ერთდროულად ითავსებს თავის თავში „საზოგადოებრივი წესრიგის“ ვიწრო და ფართო გაგებას. ვიწრო, ორდინარული მნიშვნელობით, აქ იგულისხმება უშუალოდ სამხედრო ალლუმის მსვლელობისას წესრიგის დაცვის ინტერესი, ხოლო ფართო მნიშვნელობით კი – ინტერესი ჯარისკაცებს შორის საპროტესტო განწყობილებების აღკვეთისა შეიარაღებული ძალების მობილურობის, ერთიანობისა და სიმტკიცის უზრუნველსაყოფად. ფორმულური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ეს „ეროვნული უშიშროების“ დაცვის ინტერესსაც უკავშირდება. მაგრამ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ამ ინტერესისათვის სერიოზული ზიანის მიყენების რეალური საფრთხე არ არსებობდა, სავსებით მართებულად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად, მხოლოდ „უწესრიგობის თავიდან აცილების“ კანონიერი მიზანი იქნა მითითებული.

ზემორე შემთხვევისაგან განსხვავებით, საარჩევნო კამპანიის დროს საპროტესტო შინაარსის ფურცლების გავრცელების გამო მოძივნის დასჯა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ არ მიიჩნია გამართლებულად მე-10 მუხლის გაგებით. ამ ფურცლებში

¹ *Steel and Others v. the United Kingdom*, judgment of 23 September 1998

² *G.L.McBride v. The United Kingdom*, appl. N 27786/95; decision of 5 July 2001.

³ *Chorherr v. Austria*, judgment of 25 August 1993; series A; No266-B §30-34.

საბერძნეთში მცხოვრები მუსლიმანური უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ერთ-ერთი რეგიონის (*Thrace*) მუსლიმანური მოსახლეობა აღწერილი იყო, როგორც თურქი.⁴ ამ საქმეში გადაძვნილი ფაქტორი აღმოჩნდა მომჩივნის ვინაობა. ევროპულმა კომისიამ მიიჩნია, რომ ხალხის წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლების დაცვის ინტერესი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი დასჯა ამ უფლების განხორციელების გამო, ვერ ჩაითვლებოდა „უწესრიგობის თავიდან აცილების“ პროპორციულ ღონისძიებად.

ყველაზე უფრო ხშირია საქმეები, სადაც „უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების“ ინტერესში იგულისხმება დაძაბულობისა და არეულობის აღკვეთა, საზოგადოებაში სტაბილურობის, სიმშვიდისა და ჰარმონიის შენარჩუნება.

მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ მიუღებლად ცნო საჩივარი, რომელიც შეეხებოდა საპროპაგანდო დოკუმენტების, მათ შორის PKK-ს წიგნებისა და ჟურნალების კონფისკაციასა და განადგურებას. სასამართლომ დაადგინა, რომ პუბლიკაციები, რომლებიც კანონის დარღვევისაკენ წაქეზებას შეიცავდა, განკუთვნილი იყო გასავრცელებლად და მიზნად ისახავდა თურქეთში არსებული დაძაბულობის გავრცელებას შვეიცარიაში. მან მიიჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ასეთი ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების დასაცავად და დანაშაულის აღსაკვეთად და, საჩივარი მიუღებლად ცნო.⁵

თავშესაფრის მაძიებლისათვის კომუნიკაციის საშუალებების ჩამორთმევის „აუცილებლობა“ შეაფასა სასამართლომ საქმეში *A.Zaou v. Switzerland*.⁶ ამ საშუალებებს მომჩივანი იყენებდა შვეიცარიაში პოლიტიკური პროპაგანდის საწარმოებლად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაბამისი ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა მომჩივნისათვის შესაძლებლობის აღკვეთა, გაეგრძელებინა პოლიტიკური პროპაგანდისტული საქმიანობა საერთაშორისო დონეზე. მან მხედველობაში მიიღო მომჩივნის პერსონალური ისტორია და გადაწყვიტა, რომ ჩარევა „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“ უწესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად და საჩივარი მიუღებლად გამოაცხადა.

გერმანიასა და პოლონეთს შორის, ისევე, როგორც გერმანელ და პოლონელ ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნების ინტერესებით დაასაბუთა პოლონეთის მთავრობამ მომჩივნისათვის უარის თქმა, რეგისტრაციაში გაეტარებინა პერიოდული გამოცემა სახელწოდებით – „გერმანია, - პოლონეთის ათასწლოვანი მტერი“. ევროპული სასამართლო არ შეიჭრა ღრმად ასეთი დასაბუთების შეფასებაში და კონვენციის მე-10 მუხლი იმ საფუძველზე ცნო დარღვეულად, რომ სახელწოდების მიხედვით პერიოდული გამოცემის რეგისტრაციაზე უარის თქმა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“ და ასეთი უარის უფლება მხოლოდ ნაგულები

⁴ *S.Ahmed v. Greece*, Appl. No 18877/91; reports of 4 May 1995.

⁵ *F.Kaptan v. Switzerland*, appl. No55641/00; decision of 29 March 2001.

⁶ *A.Zaoui v. Switzerland*, appl. No 41615/98; decision of 18 January 2001.

იყო ეროვნული სასამართლოების მხრიდან კანონის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად.⁷

„ტერიტორიულ მთლიანობასთან“ ერთად „უწესრიგობის თავიდან აცილების“ მიზანი დაედო საფუძვლად სახელმწიფოს მიერ ევროპული პარლამენტის გერმანელი წევრის მიმართ გატარებულ ღონისძიებას.⁸ ეს ღონისძიება გულისხმობდა ფრანგული პოლინეზიიდან გაძევებას, იქ დაბრუნებისა და აგრეთვე ახალ კალედონიაში შესვლის აკრძალვას. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღწეული ბალანსი „ტერიტორიული მთლიანობის“ დაცვისა და „უწესრიგობის თავიდან აცილების“ საჯარო ინტერესებსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის სამართლიანი არ იყო და ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

„უწესრიგობის თავიდან აცილების“ მიზანი ხშირად არის ერთობლიობაში „მორალის დაცვისა“ და ხანდახან – „სხვა პირთა რეპუტაციისა და უფლებების დაცვის“ კანონიერ მიზნებთან. უმეტესწილად, ეს მაშინ ხდება, როდესაც საქმე რელიგიური მორალის სფეროს შეეხება.

რელიგიური შეუწყნარებლობის ყოველგვარი გამოვლინება, პოტენციურად, შეიცავს დიდ რისკს საზოგადოებაში რელიგიური მშვიდობისა და ჰარმონიის დარღვევისა. შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აგრესიული, შეურაცხმყოფელი თუ მიუღებელი იყო ესა თუ ის აზრი თავისი შინაარსითა თუ გამოხატვის ფორმით საზოგადოებისა და ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისთვის, იმის განმსაზღვრელია, წარმოშვა თუ არა მან რეალური საფრთხე საზოგადოებაში რელიგიური სიმშვიდისა და წესრიგის დარღვევისა, და მაშასადამე – „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ ასეთი აზრების შეზღუდვისა უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ როდესაც საქმე შეეხება რელიგიური მტრობისა და სიძულვილისაკენ ხალხის პირდაპირ წაქეზებას, აგრეთვე, ღვთისმცმობ გამონათქვამებს, იგი აღიარებს ასეთი აზრების შეზღუდვის აუცილებლობას ქვეყანაში რელიგიური სიმშვიდისა და ჰარმონიის შენარჩუნების ინტერესებისათვის და მართებულად მიიჩნევს როგორც „მორალისა“ და „სხვა პირთა რეპუტაციისა და უფლებების“ დაცვის, ისე „უწესრიგობის თავიდან აცილების“ მიზნის მითითებას. ვინაიდან ასეთ საქმეებში მორალის საკითხებია მაინც წარმმართველი, მათ ჩვენ შემდეგ პარაგრაფში შევეხებით, სადაც საზოგადოებრივი მორალის, მათ შორის რელიგიური მორალის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემატიკას გავაანალიზებთ.⁹

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნორმალურად ფუნქციონირება, მათ მიერ თავიანთი ფუნქციების სათანადოდ შესრულების ინტერესი (კერძოდ – სახელმწიფო მოხელეთა პოლიტიკური მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის ინტერესი) იყო გაიგივებული „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ ინტერესთან

⁷ *Gaweda v. Poland*, No 26229/95, judgment of 14 March 2002.

⁸ *Piermont v. France*, judgment of 27 April 1995, series A, No 314; §77.

⁹ *M. Gündüz v. Turkey*, appl. No 3507/97, decision of 29 March 2001; *Otto-Preminger Institut v. Austria*, judgment of 20 September, 1994.

საქმეში *Ahmed and others v. the United Kingdom*,¹⁰ სადაც ევროპულმა სასამართლომ არ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. მან მიიჩნია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ჩინოვნიკთა პოლიტიკურ საქმიანობაზე დაწესებული შეზღუდვები ემყარებოდა ადგილობრივი ხელისუფლების შესახებ კანონს, წარმოადგენდა საპასუხო ღონისძიებას იმ მოთხოვნის შესასრულებლად, რომ სახელმწიფო მოხელეები ყოფილიყვნენ მიუკერძოებელნი, რაც მთლიანად თავსდებოდა ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლებში.

უაღრესად საინტერესოა საქმე *McGuinness v. The United Kingdom*, სადაც „დეპუტატის მიერ სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპებისადმი ერთგულების დადასტურება“ იქნა მიჩნეული წესრიგის დაცვის ინტერესად. ეს საქმე შეეხებოდა ინგლისის თემთა პალატის დეპუტატის უარს ბრიტანეთის სამეფოსათვის მიეცა ერთგულების ფიცი, რის გამოც მას უარი ეთქვა ნებართვის მიცემაზე, მონაწილეობა მიეღო თემთა პალატაში და ესარგებლა განსაზღვრული პრივილეგიებით.

ევროპულმა სასამართლომ, რომელმაც დეპუტატის საჩივარი მიუღებლად ცნო, მიიჩნია, რომ პარლამენტის წევრის აზრის გამოხატვის თავისუფლების ასეთი შეზღუდვა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა: სავალდებულო ფიცი ქვეყნის კონსტიტუციურ სისტემასთან მიმართებაში გონივრული მოთხოვნა იყო, ვინაიდან ის სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპებისადმი დეპუტატის ერთგულების დადასტურებას წარმოადგენდა და აუცილებელი იყო ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობის შესანარჩუნებლად, მაშინ, როდესაც მომჩივანს არაფერი აბრკოლებდა თავისი შეხედულებები სხვაგვარად გამოეხატა.¹¹

სახელმწიფოს კანონიერი საქმიანობის განხორციელებისათვის დაბრკოლებების აღკვეთის, კერძოდ კი – სახელმწიფოს ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში ცოცხალი რესურსების კანონიერი ექსპლუატაციის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის ინტერესი დაედო საფუძვლად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას საქმეში *Drieman and others v. Norway*. ზემო საქმისაგან საპირისპიროდ, ამ საქმეში აზრის გამოხატვა მოქმედებით, ამასთანავე ისეთი მოქმედებით (ქცევით) განხორციელდა, რომელიც ამა თუ იმ ფორმით აზრის მშვიდობიან დემონსტრაციას კი არ გულისხმობდა სახელმწიფოს გარკვეული საქმიანობისადმი უთანხმოების გამოსავლენად, არამედ ასეთი საქმიანობისათვის აქტიურად ხელის შეშლას.¹²

ევროპულმა სასამართლომ „ასეთი მოქმედებით“ აზრის გამოხატვა გამიჯნა სხვა შემთხვევებისაგან და მას დაცვის უფრო ნაკლები სტანდარტი დაუწესა. სახელმწიფოს კი, მისი შეზღუდვის აუცილებლობის შესაფასებლად თავისუფლების ფართო არეალი განუსაზღვრა. ეს საქმე შეეხებოდა მომჩივნების დასჯას იმისთვის, რომ ზვიგენების დაჭერის კანონიერი ექსპედიციის ჩასაშლელად ზღვაში განლაგდნენ ზვიგენებსა და ზვიგენების დამჭერ გემს შორის.

¹⁰ *Ahmed and others v. the United Kingdom*, judgment of 2 September 1998. Reports 1998-VII.

¹¹ *McGuinness v. The United Kingdom*, Appl. No 39511/98; decision of 8 June, 1999; reports 1999-IV.

¹² *Drieman and others v. Norway*; Appl. No 33678/96; decision of 4 May 2000.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მომჩივანთა განზრახვას მარტო ის კი არ წარმოადგენდა, რომ თავიანთი აზრი გამოეხატათ ზვიგენების ჭერის საწინააღმდეგოდ, არამედ ისიც, რომ ხელი შეეშალათ ამისათვის. მათ მართლაც აღუკვეთეს მეთევზეებს თავიანთი საქმის გაკეთების შესაძლებლობა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა შეეხებოდა „საქციელს“, - **იმდაგვარ მოქმედებას, რომელიც არ იმსახურებდა ისეთივე დაცვას, როგორსაც საერთო ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დისკუსია და აზრთა მშვიდობიანი დემონსტრაცია.** მან მიუთითა, რომ ხელშემკვრელ მხარეებს გააჩნდათ ფართო არე იმის შეფასებისას, თუ რამდენად საჭირო იყო ღონისძიებების გატარება ამ ტიპის მოქმედებების შესაზღუდად. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მომჩივანთა დასჯა ემსახურებოდა შესაბამისი სახელმწიფოს ექსკლუზიურ ეკონომიურ ზონაში ცოცხალი რესურსების კანონიერი ექსპლუატაციის ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის ინტერესს და საჩივარი მიუღებლად ცნო.

ფაქტობრივად, იგივე საკითხი იდგა საქმეში *L.Nicol and Selvarayagam v. The United Kingdom*, რომელიც შეეხებოდა ორი დემონსტრანტის დაპატიმრებას „თევზჭერაში კანონით ნებადართული შეჯიბრების ჩაშლისა და წესრიგის დარღვევისათვის“. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „მომჩივნების დაპატიმრება თანაზომიერი ღონისძიება იყო წესრიგის დარღვევისა იმ რისკის გათვალისწინებით, რომლებიც შექმნეს მომჩივნებმა კანონიერი საქმიანობისათვის გულმოდგინედ, აქტიურად ხელის შეშლით“. სასამართლომ ეს საჩივარიც მიუღებლად ცნო.¹³

დასასრულ, კიდევ ერთი კატეგორიის საქმეების შესახებ, რომლებიც „საზოგადოებრივი წესრიგის“ ფართო მნიშვნელობით გამოყენების კიდევ ერთ სფეროს უკავშირდება. ევროპული კონვენციის სამართალში სახელმწიფო მოხელეთა მიერ თავიანთი პროფესიული მოვალეობის ჯეროვნად შესრულების ინტერესი, განიხილება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ ინტერესად მე-10 მუხლის გაგებით. მაგალითად, საქმე *Peterson v. Germany* შეეხებოდა უახლესი ისტორიის მასწავლებლის თანამდებობიდან გათავისუფლებას მისი „არასაკმარისი კვალიფიკაციის“ საფუძველით. მისი პროფესიული მომზადების ღონის შესაფასებლად კომპეტენტურმა ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო, ერთი მხრივ ის გარემოება, რომ გდრ-ის არსებობის პერიოდში გამოქვეყნებულ მის შრომებში გატარებული იყო ოფიციალური პოლიტიკური ხაზი, მეორე მხრივ კი ის, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ მას საერთოდ არ ჰქონდა გამოქვეყნებული შრომები, სადაც გერმანიის სახელმწიფოებრიობის ისტორიაში მომხდარი ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის რეალიები იქნებოდა ასახული. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპეტენტური ხელისუფლების მიერ უახლესი ისტორიის პედაგოგის პროფესიული კვალიფიკაციის შესამოწმებლად მისი შრომების მხედველობაში მიღება და ამის საფუძველზე მისი სამსახურიდან

¹³ *L.Nicol and D.Selvarayagam v. The United Kingdom*, decision of 11 January 2001.

გათავისუფლება არ არღვევდა ამ მასწავლებლის გამოხატვის თავისუფლებას და საჩივარი მიუღებლად ცნო.¹⁴

* * *

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, „უწესრიგობის თავიდან აცილების“ საჯარო ინტერესში მოიაზრება ტელე და რადიო კომუნიკაციების სფეროში წესრიგის უზრუნველყოფის ინტერესიც. ვინაიდან ეს ძალზე სპეციფიკური სფეროა, მისთვის დამახასიათებელ პრობლემატიკა წინამდებარე ნაშრომში ცალკეა განხილული.

¹⁴ Appl. No 39793/98. *G.Peterson v. Germany*, decision of 22 November 2001.

§9.3. შეზღუდვა საზოგადოებრივი მორალის დასაცავად

საქმეები, სადაც გამოხატვის თავისუფლება საზოგადოებრივი მორალის (მათ შორის – რელიგიური მორალის) საჯარო ინტერესების სასარგებლოდ შეიზღუდა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მცირეა. თუმცა გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ამის მიუხედავად, ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაში ეს თემა კარგადაა დამუშავებული და ცხადაა გამოკვეთილი მისი შეხედულებები და მიდგომები ამ სფეროში.

განხილულ საქმეთა უმეტესობა გახმაურებულ საქმეებს მიეკუთვნება და პრეცედენტული მნიშვნელობისაა, რამდენადაც მათში უმნიშვნელოვანესი განმარტებებია გადმოცემული და ჩამოყალიბებულია ძირითადი პრინციპები ამ სფეროში გამოხატვის თავისუფლების დაცულობის ფარგლებისა თუ მისი შეზღუდვის აუცილებლობის საკითხებზე. უფრო მეტიც, თავისთავად ძალზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ სწორედ ამ კატეგორიის საქმეზე (იგულისხმება *Handyside*-ს საქმე) მიღებულ განჩინებაში ჩამოყალიბდა ევროპულმა სასამართლომ თავისი საერთო კონცეფცია გამოხატვის თავისუფლების შესახებ; მან ძალზე ფართო შინაარსი მიანიჭა კონვენციის მე-10 მუხლს, როდესაც გამოხატვის თავისუფლების დაცულობის უკიდურესი საზღვრების გამოსახატად შექმნა ცნობილი ფორმულა – „offend, shock or disturb“; დაადგინა უფლებათა შეზღუდვის პირობის – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ შესაფასებელი სტანდარტი – „ძწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ (pressing social needs); მანვე ნათლად ჩამოაყალიბა ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა (margin of appreciation), რითაც უფლებათა დაცულობაზე ევროპული ზედამხედველობის პრინციპები განსაზღვრა. ზოგადი ხასიათის ამ განმარტებებმა ფასდაუდებელი მნიშვნელობა შეიძინა არა მარტო საკუთრივ მე-10 მუხლის ინტერპრეტაციისა და გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფისათვის, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვაზე საერთაშორისო კონტროლის ფარგლების დადგენისა და საერთოდ ევროპული კონვენციის პრინციპების დამკვიდრებისათვის.

* * *

დასაწყისში, სადაც ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა გაკანონიერებულა, აღვნიშნეთ, რომ ევროპული სასამართლო შეფასების თავისუფლების ფართო არეს მიაკუთვნებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ისეთ საჯარო ინტერესთა დაცვისას, სადაც არ არსებობს მისი საერთო ევროპული გაგება, ერთიანი ევროპული კონცეფცია და სტანდარტი. სრულიად ეჭვგარეშეა, რომ ყველაზე უფრო შესაბამისი სფერო, რაზედაც ყოველივე ეს შეიძლება ითქვას, სწორედ მორალის სფეროა. ეს იმით არის განპირობებული, რომ აქ ეროვნული შეფასების თავისუფლება საკუთრივ „მორალის“ ცნების შინაარსსაც მოიცავს. სხვა სფეროებში კი ასეთ ვითარებასთან საქმე არა გვაქვს. მაგალითად, როგორც ვიცით,

ასევე ძალიან ფართოა ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები ეროვნული უშიშროების დაცვის სფეროში. ევროპულმა სასამართლომ ასეთი ფართო ფარგლების მინიჭება დააფუძნა გონივრულ და რაციონალურ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ეროვნულმა სახელმწიფოებმა უკეთ იცოდნენ, თუ რა შეადგენდა მათი ქვეყნის ეროვნული უშიშროების რეალურ ინტერესებს და გამოხატვის თავისუფლების როგორი შეზღუდვა იქნებოდა აუცილებელი ამ ინტერესის დასაცავად. მაგრამ, თავისთავად „ეროვნული უშიშროების“ ცნების შინაარსის განსაზღვრაზე ამა თუ იმ ქვეყნის რაიმე სპეციფიკა არსებით გავლენას ვერ ახდენს. ამ ცნების შინაარსი ნაკლებად ცვლადია და ეს იმით არის განპირობებული, რომ არ არსებობს კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში „ეროვნული უშიშროების“ სხვადასხვაგვარი, მით უმეტეს – ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული გაგება. კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები წარმოადგენენ დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოებს და ამდენად, მათ საზოგადოებრივ სისტემასა და მართლწესრიგში შეუძლებელია არსებობდეს „ეროვნული უშიშროების“ სრულიად განსხვავებული კონცეფციები. ამგვარად, მცდარი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ეროვნული უშიშროების“ ცნების მიმართ საერთო-ევროპული კონსენსუსი არსებობს. სრულიად სხვა ასპექტია იმის შეფასება, თუ რა არის აუცილებელი მის დასაცავად. აქ კი ნამდვილად უარსებითია ადგილობრივი ვითარებებისა და გარემოებების გათვალისწინება. სწორედ ამას ეფუძნება ამ სფეროში სახელმწიფოთათვის შეფასების თავისუფლების ფართო არის მიკუთვნებაც.

მაგრამ, მორალთან მიმართებაში, საქმე სხვაგვარადაა. საქმე ისაა, რომ **„მორალის“ ცნების განსაზღვრაში ევროპული კონსენსუსი არ არსებობს. არ არსებობს „მორალის“ ერთიანი ევროპული კონცეფცია;** კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში, რომლებიც განსხვავებული კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების ქვეყნებს წარმოადგენენ, დამკვიდრებულია „მორალის“ სხვადასხვაგვარი გაგება. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას (ზოგჯერ თვით ერთი სახელმწიფოს შიგნითაც კი) გამოყენებულია განსხვავებული მიდგომები მორალის, მათ შორის რელიგიური მორალისა და ეთიკის მიმართ. განსაკუთრებითაა მხედველობაში მისაღები ის გარემოებაც, რომ „მორალის“ გაგებამ (ყველაზე მეტად ინტიმური ურთიერთობების სფეროში) დიდი ევოლუცია განიცადა თანამედროვე ეპოქაში და ამასთანავე, სხვადასხვაგვარი ხარისხით. ზოგ ქვეყანაში „მორალის“ ცნება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ზოგან ნაკლებად (ამის თვალსაჩინოებისათვის იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ ევროპის საბჭოს ზოგიერთ სახელმწიფოში ჰომოსექსუალურ წყვილს შორის სამოქალაქო და თვით რელიგიური ქორწინებაც კი დაშვებულია, ზოგან კი არა). ამიტომ, ის, რაც ერთ რომელიმე ქვეყანაში, თუნდაც მის რომელიმე რეგიონში „მორალურად“ განიხილება, სხვაგან იგი შეიძლება „ამორალურად“ იყოს შეფასებული. შესაბამისად, **ამა თუ იმ შემთხვევის მიმართ საზოგადოებრივი რეაქციაა მთავარი ორიენტირი იმისა, რამდენად დაუპირისპირდა გამოხატვის თავისუფლების ესა თუ ის განხორციელება საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალს და, აქედან**

გამომდინარე – იმის შეფასებისა, აუცილებელი იყო თუ არა უფლებებში ჩარევა მორალის დასაცავად. მაშასადამე, მორალის სფეროში ადგილობრივი გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობა უკავშირდება არა მარტო უფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასებას, არამედ საკუთრივ „მორალის“ ცნებისათვის კონკრეტული შინაარსის მინიჭებას და იმის განსაზღვრას, რა უნდა იყოს მიჩნეული შესაბამის შემთხვევაში „მორალად“, და რა – „მორალის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ“. ამგვარად, მორალის სფეროში სახელმწიფოთათვის შეფასების დიდი თავისუფლების მინიჭებას ორმაგი დატვირთვა გააჩნია.

საზოგადოებრივი მორალის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დასაბუთებისას ხშირად მიუთითებენ „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის“ მიზანსაც. ასეთ დროს, ამ ცნებაში იგულისხმება არა ცალკეული კონკრეტული ადამიანები, არამედ საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ან ადამიანთა ცალკეული ჯგუფები, ვისთვისაც შეურაცხმყოფელი ანდა მათი უფლებების სხვაგვარად შემლახველი შეიძლება ყოფილიყო ესა თუ ის „გამოხატვა“.¹ მორალის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას ზოგჯერ გამოიყენებ „უხამსობის“ კრიტერიუმი.

* * *

ერთ-ერთი პირველი გახმაურებული და უმნიშვნელოვანესი თავისი პრეცედენტული ღირებულებით იყო საქმე *Handyside v. The United Kingdom*². ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ახსნა გამოხატვის თავისუფლების სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. კერძოდ მან თქვა, რომ „გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენდა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებით საფუძველს და საბაზისო წინაპირობას მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარებისათვის“. მან ფართოდ განმარტა კონვენციის მე-10 მუხლის შინაარსი და მიუთითა, რომ იგი „იცავდა, არა მარტო მისაღებ, კეთილგანწყობილ ან ნეიტრალურ ინფორმაციებსა და იდეებს, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი ან შემამოფოთებელი იქნებოდა საზოგადოების ან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის. ეს იყო პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, ურომლისოდაც არ არსებობდა დემოკრატიული საზოგადოება: ეს განმარტება და მასში გადმოცემული სულისკვეთება სახელმძღვანელო გახდა ყველა მომდევნო (არა მარტო მორალთან დაკავშირებული) საქმისათვის; დღესაც ძალაშია და მთავარ ორიენტირს წარმოადგენს მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცულობის

¹ იგივე თვალსაზრისს იზიარებს ე. ლესტერი. იგი მიუთითებს, რომ მორალისა და ჯანმრთელობის სფეროში შესაბამისი საჯარო ინტერესები მჭიდროდაა გადაჯაჭვული „სხვა პირთა უფლებებთან“ და ასეთ დროს კანონიერ მიზანთა ერთობლიობასთან გვაქვს საქმე. იხ. **Anthony Lester, Freedom of Expression**, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R. Macdonald, F. Matscher & H. Petzold (Eds). 1993. გვ.488.

² *Handyside v. The United Kingdom*, judgment of 7 December 1976.

ფარგლების განსაზღვრისა და მისი შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისათვის.

Handyside-ის საქმე შეეხებოდა საგამომცემლო ფირმა „Stage-1“-ის მიერ ლონდონში 1971 წელს გამოქვეყნებულ „პატარა წითელ სახელმძღვანელოს“. ეს წიგნი, რომელიც მანამდე გამოცემული იყო ევროპის მრავალ ქვეყანაში, განკუთვნილი იყო 12-დან 18 წლამდე მოზარდებისათვის და შეეხებოდა სექსის თემას. წიგნის სხვადასხვა თავის სათაურები იყო: „სექსი“, „ურთიერთობა და პეტინგი“, „ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები“, „მასტურბაცია“, „ორგაზმი“, „პორნოგრაფია“, „იმპოტენცია“, „შეიტყვე მეტი“, „ჰომოსექსუალიზმი“, „ვენერიული დაავადებანი“, „ნორმალური და არანორმალური“, „აბორტის მეთოდები“ და სხვა. აღნიშნული წიგნი მხოლოდ ინფორმაციას კი არ შეიცავდა, არამედ გარკვეულ რჩევა-დარიგებებსაც იძლეოდა. მასში, გარკვეულწილად, იგნორირებული იყო ქორწინების ინსტიტუტი, საკითხები გაშუქებული იყო ცალმხრივად, ასუსტებდა მოზარდებზე მშობლების, ეკლესიის, ახალგაზრდული ორგანიზაციების გავლენას (რომლებიც მათში აყალიბებდნენ თავშეკავებულობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას), გარკვეულწილად რყვნიდა მათ და აქეზებდა მეტი თავისუფლებისაკენ, რასაც შეეძლო მათე ზეგავლენა მოეხდინა ბავშვებზე.

ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანმა დაარღვია ინგლისის კანონი „უხამსი პუბლიკაციების შესახებ“ (1964); იგი დააჯარიმეს და დაავალდებულეს, გაენადგურებინა დარჩენილი წიგნები.

გამომცემლის მიმართ გამოყენებული ღონისძიებები (ჯარიმა და წიგნების კონფისკაცია) ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, როგორც „სახელმწიფოს მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა“; მაგრამ მიიჩნია, რომ ასეთი ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის დაცვის და მოზარდების ზნეობრივი განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო სასამართლომ ამ საქმეზე გააკეთა მნიშვნელოვანი დასკვნები ზნეობისა და მორალის სფეროში სახელმწიფოთათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „შეუძლებელი იყო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მოქმედი იყო მორალის ერთიანი ევროპული კონცეფცია და, რომ მორალის მოთხოვნების ამსახველი დებულებები სხვადასხვა ეროვნულ კანონმდებლობაში განსხვავდებოდნენ ადგილის, ღრრისა და სხვა გარემოებების მიხედვით. ამიტომ, ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც უშუალოდ და განუწყვეტლივ ეხებოდნენ თავიანთ ქვეყანაში საზოგადოებრივ რეაქციას ამ საკითხზე, პრინციპულად მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოეთქვათ აზრი მორალის მოთხოვნების შინაარსის თაობაზე და იმაზე, თუ რა იქნებოდა მოცემულ შემთხვევაში „აუცილებელი ჩარევა“, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლეს“.

ევროპულმა სასამართლომ, ერთი მხრივ, ფართო განმარტება მისცა კონვენციის მე-10 მუხლის შინაარსს, როდესაც მიუთითა, რომ იმაში, რაც თავისუფლად შეიძლებოდა გამოხატულიყო, იგულისხმებოდა სხვისთვის „შეურაცხმყოფელი, გამოგნებელი და შემაშფოთებელი ინფორმაცია და იდეები“;

მეორე მხრივ კი, ამ თავისუფლებით სარგებლობისას, ადამიანის შესაბამის „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზეც“ მიუთითა: „ნებისმიერი პირი, რომელიც სარგებლობს გამოხატვის თავისუფლებით, იღებს თავის თავზე შესაბამის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, რომლის მოცულობა დამოკიდებულია მის მდგომარეობასა და გამოყენებულ საშუალებებზე. სასამართლომ არ შეიძლება არ გაითვალისწინოს ამ პირის მოვალეობა და პასუხისმგებლობა, როდესაც განსაზღვრავს, უწყობდნენ თუ არა მართლაც ხელს მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული „შეზღუდვები“ და „სანქციები“ მორალის დაცვასა და რა გარემოებები ხდინდნენ მას „აუცილებელს დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

Handyside-ს საქმე იმითაც იყო რთული, რომ წიგნი შეიცავდა ფაქტობრივ ინფორმაციას, ძირითადად სწორს და არაიშვიათად – სასარგებლოსაც კი. მაგრამ, ამავე დროს, მასში იყო ისეთი რამ, რაც ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების კრიტიკულ ასაკში მყოფი მოზარდების მხრიდან, შეიძლებოდა აღქმული ყოფილიყო, როგორც წაქეზება ისეთ საქმიანობაზე, რომელიც არ შეესაბამებოდა მათ ასაკს და ზოგჯერ – დანაშაულზეც კი (მარიხუანას მოწევაზე). ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად მუდმივი ევოლუციისა ეთიკისა და აღზრდის სფეროში, რაც გაერთიანებულ სამეფოში იყო, კომპეტენტურ ინგლისის სასამართლოს ჰქონდა უფლება, მისი თავისუფლების ფარგლებში დაესკვნა, რომ სახელმძღვანელოს შეეძლო დამღუპველი გავლენა მოეხდინა მოზარდის ზნეობის სწორად ჩამოყალიბებასა და მის სწორ განვითარებაზე. ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია მორალის დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა და არ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

დაახლოებით იგივე არგუმენტები გამოიყენა სტრასბურგის სასამართლომ საქმეში *Müller and others v. Switzerland*.³ მან აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, საერთაშორისო სასამართლო პატივისცემით მოპყრობოდა ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს შეხედულებას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მას აუცილებლად ესახებოდა ზნეობის და მორალის დაცვისათვის, რადგან მათ უკეთ იცოდნენ, რა იქნებოდა საზოგადოებრივი მორალის საწინააღმდეგო მათ ქვეყანაში.

ეს საქმე შეეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების (კანტონის) მიერ მხატვრის დასჯას უხამსი სურათების გამოფენისათვის. შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს საკასაციო განყოფილების დასკვნით „სურათები გამოხატავდნენ არაბუნებრივი სექსუალური პრაქტიკის (ცხოველებთან ადამიანის კავშირის) ორგანოს, თანაც, ძალიან უხეშად და დიდ ფორმატზე. ეროვნულმა სასამართლომ ღონისძიების სახით გამოიყენა ჯარიმა და სურათების კონფისკაცია.

საერთაშორისო სასამართლომ ვერ ჰპოვა აქ მე-10 მუხლის დარღვევის საფუძველი. თავის განჩინებაში მან აღნიშნა: „მომჩინის დასჯა შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის საფუძველზე, მიმართული იყო ზნეობის დაცვისაკენ; დღეს, ისევე, როგორც *ჰენდისაიდის* საქმის განხილვის

³ *Müller and others v. Switzerland*, judgment of 24 May, 1988.

დროს, შეუძლებელია მონაწილე სახელმწიფოების საზოგადოებრივ სისტემასა და მართლწესრიგში მოვიდით ზნეობის ერთგვაროვანი ევროპული კონცეფცია. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას გამოყენებულია განსხვავებული მიდგომები მორალის მიმართ, განსაკუთრებით კი ჩვენს ეპოქაში, რომელიც დამახასიათებელია ამ სფეროში აზრის ძალიან დრმა ევოლუციით. სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც უშუალო და განუწყვეტელ შემხებლობაშია თავისი ქვეყნის ცხოვრებისეულ რეალობებთან, პრინციპულად, მეტი შესაძლებლობა აქვს ზნეობის მოთხოვნათა შინაარსის, აგრეთვე, „აუცილებელი შეზღუდვებისა“ და „საჯარიმო სანქციების“ შესახებ გამოთქვას ადეკვატური აზრი მათი დაცვისათვის“.

ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ისიც, რომ ზემოაღნიშნული სურათები შესრულდა სპეციალურად ამ გამოფენისათვის და ფართო საზოგადოებისათვის იყო თავისუფლად ხელმისაწვდომი, არ იყო დადგენილი გამოფენაზე შესასვლელი გადასახადის თანხა და ასაკობრივი შეზღუდვები. გამოფენამ დიდი ყურადღება მიიპყრო და აღაშფოთა საზოგადოება.

საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, იგი აღიარებდა იმ გარემოებას, რომ სექსუალური მორალის კონცეფცია ბოლო წლებში შეიცვალა, მაგრამ მას მაინც არ ესახებოდა უსაფუძვლოდ შვეიცარიის სასამართლოების აზრი, რომ ეს სურათები „უხეშად შეურაცხყოფდნენ წარმოდგენას სექსუალურ ეთიკაზე, რომელიც, ნორმალური, ჩვეულებრივი მგრძნობელობის ადამიანებისათვის იყო დამახასიათებელი“. მან დაასკვნა, რომ ამ გარემოებებში, შეფასების თავისუფლების გათვალისწინებით, რომელიც გადაცემული ჰქონდათ სახელმწიფოებს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში, შვეიცარიის სასამართლოებმა სურათების ხალხისაგან იზოლირება და მხატვრის დაჯარიმება მართებულად მიიჩნიეს „აუცილებლად“ მორალის ინტერესებიდან გამომდინარე.

ქვემოთ განხილულ ორ საქმეში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას „მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების პატივისცემა“ დაელო საფუძვლად. „მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას“ ხშირად განიხილავენ „რელიგიური მორალის“ დაცვის ინტერესის კონტექსტში და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან რელიგიური უფლებების, ეთიკისა და მორალის საკითხები აქ მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. თუმცა, „რელიგიური მორალის“ ტერმინის გამოყენება ასეთი კატეგორიის საქმეებთან მიმართებაში, მაინც პირობითია, ვინაიდან მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გამართლებულობის დასასაბუთებლად ზოგჯერ მიუთითებენ არა „მორალის დაცვის“ საჯარო ინტერესს, არამედ შეზღუდვის მხოლოდ უშუალო მიზანს - „სხვა პირთა უფლებებს“, რომლებშიც, მოცემულ კონტექსტში, კონვენციის მე-9 მუხლით უზრუნველყოფილი რელიგიური უფლებები, მათ შორის - „რელიგიური გრძნობების პატივისცემის უფლება“ იგულისხმება. ამის მიუხედავად, „რელიგიური მორალის“ ტერმინის გამოყენება მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასთან მიმართებაში, ჩვენ მაინც მართებულად გვესახება ერთი მხრივ იმის გამო, რომ ეს ტერმინი უფრო სრულად ასახავს პრობლემის არსს და მეორე მხრივ იმის გამოც, რომ ამ სფეროსადმი

მიდგომაც ისეთივეა, როგორც „მორალის“ მიმართ: არც აქ არსებობს საერთო ევროპული კონცეფცია და სტანდარტი, რაც ეროვნული ხელისუფლებისათვის შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლების მინიჭებას განაპირობებს.

სწორედ ასეთი ფართო ფარგლების გამო ევროპულმა სასამართლომ საქმის *Otto Preminger Institute v. Austria* განხილვისას, მთლიანად გაიზიარა ავსტრიის სასამართლოების შეფასებანი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის თაობაზე რელიგიური რწმენის პატივისცემის უფლების, ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შენარჩუნებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის: *ოტო პრემინგერის* აუდიოვიზუალური საინფორმაციო საშუალებების ინსტიტუტი აპირებდა კინოთეატრში ეჩვენებინა ვერნერ შრიოდერის ფილმი „სიყვარულის ტაძარი“. რომის კათოლიკური ეკლესიის ინსბრუკის ეპარქიის მიმართვის საფუძველზე ინსბრუკის პროკურორმა გამოიტანა დადგენილება ფილმის დაპატიმრების შესახებ. მოგვიანებით, ინსბრუკის მიწის სასამართლომ დაადგინა ფილმის კონფისკაცია იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ფილმის პროვოკაციული ხასიათი არ თავსდებოდა ავსტრიის კონსტიტუციით დაცული მხატვრული შემოქმედების თავისუფლების ფარგლებში.

ევროპულმა სასამართლომ საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ბალანსის გამოძებნა აზრის მხატვრულად გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიური რწმენის პატივისცემის უფლებას შორის.

მან მიიჩნია, რომ მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა კანონის საფუძველზე განხორციელდა, ვინაიდან ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავდა რელიგიური კულტის პერსონაჟებისა და საგნებისადმი ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც საზოგადოების „სამართლიან გულისწყრომას“ იწვევდა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ეროვნული სასამართლომ შეფასება, რომ ფილმში მამა ღმერთის, იესო ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის პროვოკაციული ფორმით გამოხატვა სწორედ ასეთ გულისწყრომას გამოიწვევდა.

იგი ასევე დაეთანხმა შეფასებას, რომ უფლებებში ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზნებს, კერძოდ, რელიგიური უფლებებისა და მორალის დაცვას, ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შენარჩუნებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. მან ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-9 მუხლით დაცული აზრის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება წარმოადგენდა დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვან საფუძველს, ვინაიდან სწორედ რელიგიური განზომილებებით ხორციელდებოდა მორწმუნეთა თვითიდენტიფიკაცია და მათი წარმოდგენა ცხოვრებაზე. მანვე მიუთითა, რომ მართალია მორწმუნენი შეგნებულად უნდა ურიგდებოდნენ მათი შეხედულებების კრიტიკას და მათი რწმენისადმი შეუწყნარებელი შეხედულებების გავრცელებას, მაგრამ კრიტიკის ისეთი ფორმები და საშუალებები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლების მშვიდობიან განხორციელებას, სახელმწიფოს აკისრებდა შესაბამის პასუხისმგებლობას, ჩარეულიყო ინდივიდურ უფლებაში საჯარო ინტერესის სასარგებლოდ. ევროპული სასამართლოს აზრით, რელიგიური კულტის პერსონაჟებისა და საგნების პროვოკაციული გამოხატვა ბოროტი განზრახვით,

არღვევდა შემწყნარებლობის ატმოსფეროს, რაც დამახასიათებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

რაც შეეხება ჩარევისათვის აუცილებელ „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“, მისი არსებობა ევროპულმა სასამართლომ რელიგიური მშვიდობის შენარჩუნებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნებს დაუკავშირა. იგი დაეთანხმა ავსტრიის მთავრობის შეფასებას, რომ ფილმი წარმოადგენდა თავდასხმას ქრისტიანულ რელიგიაზე, განსაკუთრებით კი – რომის კათოლიკურ ეკლესიაზე. მან გაითვალისწინა, რომ ავსტრიის მოსახლეობის დიდი ნაწილი (88%) სწორედ ამ რელიგიის მიმდევარი იყო; რის გამოც, არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შესანარჩუნებლად და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისევე, როგორც მორალის სფეროში, აგრეთვე არ არსებობდა ზოგად-ევროპული წარმოდგენა საზოგადოებაში რელიგიის დანიშნულების შესახებ. ამიტომ, ეროვნული ხელისუფლების შეფასება კონკრეტულ დროსა და ადგილზე ჩარევის აუცილებლობის თაობაზე, ანგარიშგასაწევი იყო. მან ყურადღება გაამახვილა კონვენციის მე-10 მუხლით ნაგულისხმებ „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“ და მიუთითა, რომ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და მათი უფლებების ღარღვევა არ წარმოადგენდა რაიმე ფორმით ისეთ საჯარო დისკუსიაში მონაწილეობას, რომელიც ხელს შეუწყობდა შემდგომ პროცესს საკაცობრიო საკითხებში. მან დაასკვნა, რომ ინსბრუკის სასამართლოები მოქმედებდნენ მათთვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლებში და, რომ არც ფილმის დაპატიმრება და არც მისი შემდგომი კონფისკაცია არ არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს.⁴

რელიგიური მორალის სფეროს შეეხებოდა *უინგროუს* საქმეც (*Wingrove v. the United Kingdom*), რომელშიც ეროვნული ხელისუფლებისა და საერთაშორისო სასამართლოს პოზიციები სრულად დაემთხვა ერთმანეთს.

ქ.ლონდონში მცხოვრებმა ნაიჯელ უინგროუმ დაწერა სცენარი და უხელმძღვანელა მის საფუძველზე 18 წუთიანი ვიდეო ფილმის შექმნას სახელწოდებით „ექსტაზური ხილვები“. ფილმი შეეხებოდა წმინდა ტერეზას ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომელიც იყო მონაზონი, ცხოვრობდა მე-16 საუკუნეში და ცნობილია იმით, რომ ჰქონდა ძლიერი ექსტაზური ხილვები იესო ქრისტეზე.

მომჩივანმა ვიდეოკასეტა წარადგინა ფილმების კლასიფიკაციის ბრიტანეთის სამმართველოში სერტიფიკატის მისაღებად, რომელიც მას საშუალებას მისცემდა გაეყიდა, გაექირავებინა ფილმი ან სხვა გზით მოეხდინა მისი დემონსტრირება. სამმართველომ მას უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მოცემული ნაწარმოები სიწმინდის თემისადმი მიუღებელი დამოკიდებულებით გამოიწვევდა მორწმუნეთა გულისწყრომას, ხოლო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მას მიიჩნევდა იმ სისხლის სამართლის კანონის ღარღვევად, რომელიც კრძალავდა ღვთის გმობას.

⁴ *Otto-Preminger-Institute v. Austria*, judgment of 20 September. 1994.

ვიდეოფილმის ავტორმა საჩივრით მიმართა სახელმწიფო კომიტეტს, რომელიც იხილავდა დავეს ვიდეოპროდუქციის სფეროში. საჩივარში ავტორი მიუთითებდა, რომ მისი ფილმი წმინდა ეროტიული იყო და სხვა მიზნებს არ ისახავდა. კომიტეტმა უარყო საჩივარი, ვინაიდან მიიჩნია, რომ ფილმის საერთო ტონალობა და სულისკვეთება უთუოდ შეურაცხყოფდა მორწმუნეთა გრძნობებს, რომლებიც ამ ფილმს შეაფასებდნენ, როგორც ქრისტეს ღვთაებრიობისადმი უპატივცემულობას.

ევროპის საერთაშორისო სასამართლოში წარდგენილ საჩივარში უინგროუმ მიუთითა, რომ მას დაერღვა აზრის გამოხატვის თავისუფლება. მისი აზრით, ბრიტანეთის სამმართველოს უარი სერთიფიკატის მიცემაზე და ამასთან, საკანონმდებლო ნორმა, რომლის შესაბამისად დანაშაულს წარმოადგენდა ვიდეონაწარმოების გავრცელება ასეთი სერთიფიკატის გარეშე, წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან იდეების თავისუფლად გავრცელებაში ჩარევას.

მოპასუხე სახელმწიფოს მთავრობა მიუთითებდა, რომ „მორწმუნეთა რელიგიური გრძნობებისადმი პატივისცემა“ აიძულებდა სახელმწიფოს, შეეზღუდა რელიგიური თაყვანისცემის საგნების პროვოკაციული გამოხატვის საჯარო ჩვენება (ფილმში გამოსახული იყო სექსუალური სცენები ჯვარცმულ ქრისტესთან).

ევროპულმა სასამართლომ შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლები მიაკუთვნა მოპასუხე სახელმწიფოს „კანონით გათვალისწინებულის“, „კანონიერი მიზნისა“ და შეზღუდვის „აუცილებლობის“ შეფასებებში. მან გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს მოსაზრება და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში უფლებაში ჩარევა მიზნად ისახავდა, დაეცვა რელიგიური თემა ისეთი გაგებისაგან, რომელიც დამამცირებელი, სალანძღავი, უხეში და შეურაცხმყოფელი ტონის, სტილისა და სულისკვეთების გამო შეურაცხყოფდა მათ, ვისაც სწამდა და ვინც ერთვულება ქრისტიანულ ეთიკას. ამიტომ, სერთიფიკატის მიცემაზე უარი ემსახურებოდა მორალის დაცვის კანონიერი მიზნის მიღწევას.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან მორალისა და რელიგიის სფეროში არ არსებობდა საერთო-ევროპული კონცეფცია, ის, რასაც შეეძლო შეურაცხყოფა მიეყენებინა მორწმუნე ადამიანებისათვის, დამოკიდებული იყო ადგილზე, დროზე, ეპოქაზე, მოცემულ ქვეყანასა თუ რეგიონში რელიგიური მიმდინარეობის რაოდენობაზე და ა.შ. ამიტომ, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან უშუალო და პირდაპირი კონტაქტის გამო ეროვნული სახელმწიფოები უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, შეეფასებინათ, თუ რა იქნებოდა აუცილებელი შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისაგან მორწმუნეთა გრძნობების დასაცავად.

ევროპული სასამართლო დაეთანხმა მოპასუხე სახელმწიფოს და მიიჩნია, რომ ვიდეოფილმის სცენები ემსახურებოდა არა ეროტიული განცდების აღწერას, არამედ მაყურებელში ასეთივე განცდების გამოწვევას, რაც, ჩვეულებრივ, პორნოგრაფიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა. ფილმში არ იყო პერსონაჟების ხასიათების აღწერის მცდელობაც კი. ნებართვის მიცემის შემთხვევაში ფილმი გავრცელდებოდა ვიდეოკასეტების საშუალებით და, ფაქტობრივად, შეუზღუდავი რაოდენობის

ადამიანისათვის გახდებოდა ხელმისაწვდომი. ამას ისიც ემატებოდა, რომ მომჩივანმა უარი თქვა ფილმიდან ყველაზე უფრო პროვოკაციული სცენების ამოღებაზე.

ყოველივე ამის გამო, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ფილმის გავრცელებისათვის ნებართვის მიცემაზე უარის თქმით, სახელმწიფო მოქმედებდა შეფასების თავისუფლების მისთვის განკუთვნილ ფარგლებში და არ ცნო მე-10 მუხლის დარღვევა.⁵

აბორტისა და დაუბადებელი ბავშვების სიცოცხლის უფლების თემას შეეხებოდა უაღრესად საინტერესო საქმე *M.Rommelfanger v. FRG*. ამ საქმეში აზრის გამოხატვის თავისუფლება რელიგიური მორალის პრინციპების დასაცავად შეიზღუდა, მაგრამ შეზღუდვა კათოლიკური ეკლესიის საავადმყოფოსთან მომჩივნის საკონტრაქტო ვალდებულებას ეყრდნობოდა. ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას მოუწია ემსჯელა იმაზე, წარმოეშობოდა თუ არა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, ეზრუნა მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, რომლის შეზღუდვაც საკონტრაქტო ვალდებულების დარღვევას უკავშირდებოდა. აღნიშნული საკითხი იმავდროულად მოიცავდა იმ საკითხის გადაწყვეტასაც, ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს უფლება, ჩარეულიყო ეკლესიის ავტონომიურობაში და აეკრძალა მისთვის უფლება, ეკლესიის საავადმყოფოს თანამშრომლებისაგან მოეთხოვა, არ გამოეთქვათ ეკლესიის შეხედულებების საწინააღმდეგო შეხედულებები.

მომჩივანი მუშაობდა ექიმად რომის კათოლიკური ეკლესიის ფონდის საავადმყოფოში ქ.ესენში. კონტრაქტით მას ევალეობოდა, რომ თავისი პროფესიული მოვალეობების შესრულებისას ეხელმძღვანელა ქრისტიანული პრინციპებით. ეკლესიისადმი ერთგულებისა და მისი მორალური პრინციპების სერიოზული დარღვევა, კონტრაქტის მიხედვით, განიხილებოდა „მნიშვნელოვან მიზეზად“, რომელსაც შეიძლებოდა კონტრაქტის გაწყვეტა გამოეწვია.

მომჩივანმა სხვა ექიმებთან ერთად ხელი მოაწერა წერილს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „Stern“-ში. წერილში გაკრიტიკებული იყო სამედიცინო პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირთა დამოკიდებულება აბორტის კანონმდებლობისადმი, რომლის მიხედვითაც ექიმის მიერ აბორტის გაკეთება ორსული ქალის თანხმობით და განაყოფიერებიდან არაუგვიანეს 12 კვირის განმავლობაში დასაშვებად იყო მიჩნეული. ასეთ „კანონიერ აბორტს“ ეს პიროვნებები „ნაცისტურ მასობრივ მკვლელობად“ მიიჩნევდნენ. წერილში ასეთი დამოკიდებულება შეფასებული იყო, როგორც „სამედიცინო პროფესიის ჩინოვნიკურ-კონსერვატორული წრის არაჰუმანური დამოკიდებულება ქალების მიმართ“. საავადმყოფომ მომჩივანს კონტრაქტი შეუწყვიტა. მიზეზად დასახელებული იყო მის მიერ ისეთი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა, რომლებიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა ეკლესიის შეხედულებებს დაუბადებელი ბავშვების მკვლელობის შესახებ.

⁵ *Wingrove v. the United Kingdom*. judgment of 25 November 1996.

ეროვნულმა სასამართლოებმა თავდაპირველად საქმე მომჩინის სასარგებლოდ გადაწყვიტეს. მაგრამ ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ პრიორიტეტი ეკლესიის ავტონომიურობას მიანიჭა. მან მიიჩნია, რომ მართალია ეკლესიის ავტონომიის უფლება არ იყო განუსაზღვრელი, მაგრამ პრინციპული იყო, მას ჰქონოდა უფლება, თვითონ განესაზღვრა, თუ რა იყო ეკლესიისადმი ნდობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი; რა იყო ეკლესიის სპეციფიკური ამოცანები, მორალისა და რწმენის არსებითი პრინციპები და რა უნდა მიჩნეულიყო ამ პრინციპების დარღვევად. საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ საეკლესიო სამართლის მიხედვით (*ecclesiastical Law*) დაუბადებელი ბავშვების მკვლელობა წარმოადგენდა სერიოზულ დანაშაულს, რომელიც იწვევდა ეკლესიიდან ავტომატურ განკვეთას კანონიკური წესების კოდექსის შესაბამისად (*Codex Juris Canonici Canones 2257 para 1 and 2350 para 1*). ეს დოქტრინა, რომელიც ეკლესიაში 1-ლი საუკუნიდან ხორციელდებოდა და დამტკიცებული იყო მე-2 ვატიკანის საბჭოს მიერ, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, წარმოადგენდა პრინციპულ შეხედულებას, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო იმის განსჯა, დაარღვია თუ არა მომჩივანმა ეკლესიისადმი ერთგულების ვალდებულება.

საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ეკლესიის ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, ეკლესიისადმი ერთგულების ვალდებულების დარღვევის შეფასება ეკლესიის უფლება იყო და ამ საკითხის გადაწყვეტა ეკლესიის შეფასების თავისუფლების ფარგლებში იყო მოქცეული. ამის შედეგად, მომჩივანი ექიმის სამსახურიდან გათავისუფლება საბოლოოდ ძალაში შევიდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ იმსჯელა, ჰქონდა თუ არა მომჩივანს უფლება, მოეთხოვა გამოხატვის თავისუფლების დაცულობა კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე. კომისიამ მიუთითა, რომ „კათოლიკური ეკლესიის საავადმყოფოს ექიმის“ სტატუსი მომჩივანს არ აღუკვეთავდა კონვენციის მე-10 მუხლით დაცვის უფლებას; მაგრამ მაინც არ ცნო კონვენციის დარღვევა იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ მომჩივანმა ეკლესიასთან საკონტრაქტო ხელშეკრულების გაფორმებით, თავის თავზე აიღო „ერთგულების ვალდებულება“, რომელიც ზღუდავდა მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებას განსაზღვრულ ფარგლებში. მანვე განმარტა, რომ პრინციპულად, კონვენცია უშვებდა ასეთი ტიპის საკონტრაქტო ვალდებულებებს, თუ შესაბამისი პიროვნება ამას თავისი ნება-სურვილით აკეთებდა. დამქირავებელი (ეკლესია) წარმოადგენდა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნებული იყო განსაზღვრულ შეხედულებებსა და ფასეულობებზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებაში მისი ფუნქციების განხორციელებისათვის. კომისიის აზრით, კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისად უნდა მიჩნეულიყო ეკლესიის უფლება, განსაზღვრულ ფარგლებში მოექცია თავის თანამშრომელთა აზრის გამოხატვის თავისუფლება. ამიტომ, კომისიის დასკვნით, სახელმწიფოს ასეთ პირობებში პოზიტიური ვალდებულებანი აღარ წარმოეშობოდა. კომისიამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ეროვნული შეფასების თავისუფლებას და მიუთითა, რომ ეროვნული სასამართლო (იგულისხმება

საკონსტიტუციო სასამართლო) კომპეტენტური იყო დაესკვნა, რომ ასეთი ერთგულების მოთხოვნა არ იყო არაგონივრული. მოთხოვნა, რომ ეკლესიის თანამშრომელს თავი შეეკავებინა აბორტის შესახებ ისეთი განცხადებების გაკეთებისაგან, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ეკლესიის შეხედულებას, კომისიის აზრით, ვერ ჩაითვლებოდა არაგონივრულ მოთხოვნად ეკლესიისათვის ამ საკითხის განსაკუთრებული, გადამწყვეტი (*crucial*) მნიშვნელობის გამო. კომისიამ, საბოლოო ჯამში, მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე არ ჰქონდათ არც აზრის გამოხატვის თავისუფლებაში „სახელმწიფოს ჩარევასთან“ და არც „სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობასთან“ და ამიტომ საჩივარი, როგორც „აშკარად უსაფუძვლო“, მიუღებლად გამოაცხადა.

როგორც ვხედავთ ამ საქმეში რელიგიური მორალის პრინციპების დაცვის სასარგებლოდ სამართლიანი ბალანსის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ეროვნული შეფასების თავისუფლება. ეროვნულმა ხელისუფლებამ თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა **ეკლესიის შეფასების თავისუფლებას**, რომელიც ეყრდნობოდა და გამომდინარეობდა მისი კონსტიტუციური უფლებიდან, თვითონ დაერეგულირებინა თავისი საშინაო საქმეები.⁶ ამ გარემოებამ ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებისათვის ანგარიშის გაწევა კიდევ უფრო აქტუალური გახადა. ამიტომ ევროპული კომისიის მიერ დაკავებული პოზიცია, მოცემულ პირობებში საკითხის მართლაც ერთადერთი სწორი და გონივრული გადაწყვეტა იყო.

* * *

ზემოაღნიშნული ხუთივე საქმე იმის ილუსტრაციაა, რომ **მორალის, მათ შორის რელიგიური მორალისა და ეთიკის სფეროებში სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლო შეფასების თავისუფლების ფართო არეს მიაკუთვნებს ეროვნულ სახელმწიფოებს და რეალურადაც დიდ ანგარიშს უწევს მათ შეფასებებს**, რაც ემყარება ამ სფეროებში საერთო-ევროპული შეხედულებებისა და სტანდარტების არარსებობას.

აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს ამ პოზიციას საკუთრივ ამ სასამართლოში მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, რომლებიც ხშირად გვევლინებიან შესაბამის განჩინებებზე განსხვავებული აზრის ავტორებად. მათი აზრით, მორალის სფეროში შეფასების თავისუფლების ასეთი ფართო არის მინიჭება სახელმწიფოებისათვის, ევროპულ სასამართლოს წაართმევს საშუალებას, გამოავლინოს მე-10 მუხლის დარღვევა. მაგალითად, ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **შპილმანი**, რომელიც არ ეთანხმებოდა სასამართლოს განჩინებას *მიულერის* საქმეზე, თავის განსხვავებულ აზრში ამტკიცებდა, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს მეტად უნდა გაეთვალისწინებინათ აზრის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა, ხოლო ევროპულ სასამართლოს არ უნდა

⁶ *M.Rommelfanger v. FRG*, decision of 6 September, 1989.

დაეკნინებინა თავისი მაკონტროლებელი ფუნქცია თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანესი საყრდენის მიმართ.⁷

ასეთი მოსაზრებანი ჩვენ საფუძველს მოკლებულად გვსახება. ჯერ ერთი, იმავე ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ ღამოკიდებულება ყოველთვის უპირობოდ ერთგვაროვანი არ არის და იგი ყოველთვის როდი იზიარებს ეროვნული ხელისუფლების შეფასებებს მორალის დასაცავად გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის შესახებ. ევროპული ზედამხედველობა ამ სფეროში ნამდვილად არ არის შინაარსს მოკლებული. ევროპული სასამართლო პოზიციები „სამართლიანი ბალანსის“ მისაღწევად, იმისდა მიხედვით ყალიბდება, თუ ღირებულებათა როგორი კონფლიქტია შექმნილი.

მაგალითად, საქმე *Open Door and Dublin Well Woman v. Ireland*⁸ ზემოაღნიშნული საქმის (*M. Rommenfanger v. FRG*) მსგავსად, აბორტის თემაზე იდეებისა და ინფორმაციის გავრცელებას შეეხებოდა და, მამასადამე, ღირებულებათა კონფლიქტში ჯანმრთელობის დაცვის ინტერესიც იყო ჩართული; მაგრამ სამაგიეროდ არ არსებობდა მათი გამოხატვისაგან თავშეკავების რაიმე ვალდებულება და თანაც საქმე შეეხებოდა სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას უფლების განხორციელებაში: ირლანდიის უზენაესმა სასამართლომ შესაბამისი კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე, რომელიც იცავდა დაუბადებელი ბავშვების უფლებებს, აკრძალა იმ სააგენტოების საქმიანობა, რომლებიც ორსულ ქალებს ეხმარებოდნენ საზღვარგარეთ აბორტის გაკეთების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციით.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების ასეთი შეზღუდვა კანონიდან გამომდინარეობდა, იცავდა ბავშვთა უფლებებს, მაგრამ, ვინაიდან ასეთი ინფორმაციის არარსებობას შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მოეტანა იმ ქალთა ჯანმრთელობისათვის, ვისთვისაც ორსულობა საშიში იყო, ამიტომ, მთლიანობაში, ასეთი ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების უფლების შეზღუდვა, ვერ იქნებოდა გამართლებულად მიჩნეული საზოგადოებრივი მორალის დაცვის ინტერესებით.

უთუოდ საინტერესოა პარალელის გავლება ისეთ საქმეებთან, სადაც საზოგადოებრივი მორალის დაცვის ინტერესი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას უპირისპირდება. ასეთი კონფლიქტის მიმართ ევროპული სასამართლოს მიდგომა შედარებით განსხვავებულია. მართალია, მორალის დაცვის სფეროში ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლები ყოველთვის ფართოა, მაგრამ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევის გასამართლებლად, იგი გაცილებით უფრო წონად დასაბუთებას მოითხოვს, ვიდრე გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისას. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ საკუთრივ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებასთან მიმართებაში, სახელმწიფოთა თავისუფალი შეფასების ფარგლები ძალიან ვიწროა, შეიძლება ითქვას – ყველაზე უფრო ვიწროც კი სხვა სფეროებთან შედარებით.

⁷ იხ. მოსამართლე ა. შპილმანის „არათანმხვდელი აზრი“ საქმე *Müller and Others v. Switzerland* (24.05.88).

⁸ *Open Door and Dublin Well Woman v. Ireland*, judgment of 29 October 1992.

სახელმწიფოებს აკისრიათ ძლიერი პოზიტიური ვალდებულება, ყველა საშუალებით უზრუნველყონ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობა. განსაკუთრებით ძლიერი კი ასეთი ვალდებულება მაშინაა, როდესაც საქმე შეეხება პირადი ცხოვრების ყველაზე უფრო ინტიმურ საკითხებს.

მაგალითისათვის გამოგვადგება საქმე *Dudgeon v. The United Kingdom*⁹: ევროპულმა სასამართლომ უარი თქვა, გამართლებულად ელიარებინა საზოგადოებრივი მორალის ინტერესებისათვის ირლანდიური კანონი, რომელიც ჰომოსექსუალიზმის კრიმინალიზაციას ახდენდა. სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია *ჰენდისაიდისა* და სხვა საქმეებში მან გამოხატა თავისი ლიბერალური დამოკიდებულება სახელმწიფოს შეფასებების მიმართ მორალის საკითხებში, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასების თავისუფლების არეალის სიფართოვეს განაპირობებდა არა მარტო უფლებასთან დაპირისპირებული საჯარო ინტერესის მნიშვნელობა და სპეციფიკა, არამედ დარღვეული უფლების სპეციფიკაც, ისევე, როგორც საკუთრივ დარღვევის ხასიათი და ხარისხიც. მოცემულ საქმეში საკითხი შეეხებოდა პირადი ცხოვრების ყველაზე უფრო ინტიმურ ასპექტებს; ამიტომ, საჭირო იყო ამ უფლებაში ჩარევის ყველაზე უფრო წონადი დასაბუთება. ამასთან, სასამართლომ უარყო, რომ *ჰენდისაიდისა* და *დაჯენის* საქმეებში სხვადასხვა სტანდარტი გამოიყენა. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამას. საერთაშორისო სასამართლოს საწყისი პოზიცია ერთგვაროვანია: საზოგადოებრივი მორალის დაცვის სფეროში ის ეროვნულ ხელისუფლებას ყოველთვის შეფასების თავისუფლების ფართო არეს ანიჭებს, მაგრამ ამ თავისუფლების საბოლოო ფარგლები საქმეში არსებული სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენის შედეგად ყალიბდება. *დაჯენის* საქმეში ეს ფარგლები პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების სპეციფიკამ დაავიწროვა; აგრეთვე – ამ უფლებაში ჩარევის სერიოზულობამ (რამდენადაც ჰომოსექსუალიზმს დანაშაულად აცხადებდა). სწორედ ამ გარემოებათა გამო მიიჩნია ევროპულმა სასამართლომ, რომ საზოგადოებრივი მორალის დასაცავად პირადი ცხოვრების უფლებაში ასეთი უხეში ჩარევისათვის დასაბუთების უფრო მაღალი ხარისხი იყო საჭირო მის გასამართლებლად.

აღსანიშნავია, რომ შემდგომში (2002 წელს) ევროპულმა სასამართლომ კიდევ უფრო შეამცირა საზოგადოებრივი მორალის დაცვის მოტივებით პირადი, ინტიმური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევის გამართლებულად მიჩნევის შანსი იმით, რომ ახლებურად მიუდგა ტრანსსექსუალიზმის პრობლემას და ამ საკითხთა დარეგულირება მთლიანად გამორიცხა ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლებიდან. ევროპულმა სასამართლომ (დიდმა პალატამ) თავისი განჩინებით საქმეზე *Christine Goodwin v. the United Kingdom* შეცვალა ძველი პრეცედენტი და მიიჩნია, რომ სქესის შეცვლისა და მისი შედეგების იურიდიულ აღიარებაზე უარის თქმა არღვევდა ტრანსსექსუალების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას და ამიერიდან ვეღარ იქნებოდა გამართლებული. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ტრანსსექსუალების სამართლებრივი აღიარებისა და

⁹ *Dudgeon v. The United Kingdom*, judgment of 22 October 1981.

ტრანსსექსუალების ახალი სქესობრივი კუთვნილების იურიდიულად აღიარების აშკარად უდავო საერთაშორისო ტენდენცია და დაადგინა, რომ ამ საკითხთა დარეგულირება ამიერიდან ვეღარ დარჩებოდა სახელმწიფოთათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლებში და ტრანსსექსუალს, სქესის შეცვლის იურიდიულად აღიარების კვალობაზე, უნდა ესარგებლა ყველა იმ უფლებით, რომელიც მისი ახალი სქესობრივი კუთვნილებიდან გამომდინარეობდა (მაგალითად, ცოლის მოყვანის ან გათხოვების უფლებით, პენსიის მიღების უფლებით ახალი შეცვლილი სქესის შესაბამისად და სხვ.).¹⁰ ტრანსსექსუალიზმის აღიარების გამო *ქრისტინ გუდვინის* პრეცედენტი სამართლიანად არის მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპული სამოსამართლო სამართლის ევოლუციური პროცესის ნათელ გამოხატულებად.

¹⁰ *Christine Goodwine v. The United Kingdom*, judgment of 11 July 2002.

§9.4. სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა

სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ერთერთი იმ კანონიერ ინტერესთაგანია, რომელთა დასაცავადაც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს.

გამოხატვის თავისუფლებისა და სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის კანონიერ ინტერესებს შორის ღირებულებათა კონფლიქტის მთავარი თავისებურება ის გახლავთ, რომ აქ „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“ საჯარო ინტერესთან ერთად, კონფლიქტში იმავდროულად ხშირად მონაწილეობს „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის“ ინტერესი. კერძოდ, ზოგჯერ – კონკრეტულ მოსამართლეთა უფლებები და რეპუტაცია (ეს ის შემთხვევებია, როდესაც კონკრეტულ მოსამართლეთა რეპუტაციის შელახვით, იმავდროულად ილახება სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი და რეპუტაცია); ზოგჯერ – სხვა პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები (მაგალითად, თუ რომელიმე განსახილველი საქმის შესახებ პრესის პუბლიკაციამ სასამართლოს მიუკერძოებლობაზე უარყოფითი ეფექტი იქონია, ეს იგივეა, რაც მიუკერძოებელ სასამართლოზე მხარეთა უფლების დარღვევა).

შესაბამისად, ღირებულებათა კონფლიქტის სამართლიან გადაჭრაზე არსებით გავლენას ახდენს ის გარემოება, გამოხატვის თავისუფლების განხორციელებამ ხელყო „სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა“, როგორც მხოლოდ საჯარო ინტერესი, თუ მან იმავდროულად ზიანი მიაყენა კონკრეტულ პირთა უფლებებსა და რეპუტაციას.

კიდევ ერთი სპეციფიკა ის გახლავთ, რომ „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“ დასაცავად შეიძლება შეიზღუდოს არა მარტო გარეშე პირთა გამოხატვის თავისუფლება, არამედ საკუთრივ მოსამართლეებისაც. მოსამართლე ვალდებულია თავისი სიტყვითა თუ საქციელით ზიანი არ მიაყენოს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტსა და მიუკერძოებლობას. მაგალითად, როდესაც მოსამართლე აშკარად გამოხატავს თავის პოლიტიკურ შეხედულებებსა და პრეფერენციებს, წინასწარ გამოთქვამს თავის აზრს განსახილველ საქმეზე ან უკვე განხილულ საქმეზე აკეთებს ზოგიერთ კომენტარს, ანდა ექსცესიურად პასუხობს მის წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკას, ამან შეიძლება ჩრდილი მიაყენოს მასაც და საერთოდ სასამართლოს ავტორიტეტსა და მიუკერძოებლობასაც. სწორედ ამას ეფუძნება მათთვის სავალდებულო პროფესიული ქცევის წესები და ე.წ. „თავშეკავებულობის“ მოთხოვნაც.

* * *

სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა უმშვნელოვანესია დემოკრატიულ საზოგადოებაში

სასამართლოსადმი ხალხის ნდობის მოსაპოვებლად და შესარჩუნებლად. ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტებში შესანიშნავად ახსნა და დაასაბუთა, თუ რატომ იყო ესოდენ მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოებას ჰქონოდა რწმენა სასამართლოსადმი:

„სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი“ გამოხატავს იდეას, რომ სასამართლოები წარმოადგენენ ორგანოებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან განამტკიცონ იურიდიული უფლებები და მოვალეობანი და გადაწყვიტონ დავები მათ შესახებ. ფართო საზოგადოებამ სწორედ ასე უნდა აღიქვას მათი დანიშნულება, იგი პატივს უნდა მიაგებდეს მას, ენდობოდეს და ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ სასამართლოებს ძალუბთ სათანადოდ შეასრულონ ეს ფუნქცია.“¹

„სასამართლოს ავტორიტეტი“ მოიცავს გაგებას, რომ სასამართლოები არიან და ხალხის მიერ აღიქმებიან, როგორც სამართლებრივი დავის გადაწყვეტის, პიროვნების დანაშაულობისა თუ უდანაშაულობის განსაზღვრის ერთადერთი შესაბამისი დაწესებულება“.²

„გათვალისწინებული უნდა იქნეს სასამართლოთა განსაკუთრებული მისია საზოგადოებაში. სასამართლოები წარმოადგენენ მართლმსაჯულების გარანტს, მათი როლი სამართლის უზენაესობაზე დამყარებულ სახელმწიფოში გადამწყვეტია. ამიტომ ისინი უნდა სარგებლობდნენ საზოგადოებრივი ნდობით. შესაბამისად, აუცილებელია მათი დაცვა უსაფუძვლო კრიტიკისაგან.“³

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, თუ რას გულისხმობდა ცნება – „სასამართლო ხელისუფლება“ კონვენციის მე-10 მუხლის გაგებით.

ცნება – „სასამართლო ხელისუფლება“ ევროპული სასამართლოს განმარტებების მიხედვით სამ კომპონენტს მოიცავს. იგი გულისხმობს სასამართლოს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ განშტოებას, საკუთრივ მოსამართლეებს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, და რაც მთავარია, თვით მართლმსაჯულების განხორციელების მექანიზმს.⁴

შესაბამისად ცხადია, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა თითოეულ ამ კომპონენტს შეიძლება ეფუძნებოდეს.

საბოლოო ჯამში, „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვა“ ფაქტობრივად გულისხმობს დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოსადმი საერთოდ, ისევე როგორც უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესისადმი ხალხის ნდობის უზრუნველყოფას.⁵

საქმეები, სადაც დაბალანსებას მოითხოვს გამოხატვის თავისუფლება და სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის საჯარო ინტერესი, ყველაზე უფრო ხშირად დაკავშირებულია სასამართლო

¹ *Sunday Times (NI) v. the United Kingdom*, judgment of 26 April 1979; §55.

² *Warm v. Austria*, judgment of 29 August, 1997.

³ *Prager et Oberschlick v. Austria*, judgment of 26 April 1995, §34.

De Haes et Gijssels v. Belgium, judgment of 24 February 1997, §37.

⁴ *Sunday Times (NI)* §55.

⁵ *Fey v. Austria*, judgment of 24 February 1993.

პროცესის განმავლობაში პრესით ან სხვა საშუალებით პროცესის შესახებ ინფორმაციის გადაცემასთან.

ასეთ დროს რამდენიმე საშიშროება წარმოიშობა. ჯერ ერთი, განსახილველი საქმის შესახებ ინფორმაციების გადაცემა ხშირად გადაიზრდება „პარალელურ სასამართლო განხილვაში“. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ყოველი საშუალებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი ის, რომ პრესამ არ მიითვისოს სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივა და არ გადააქციოს „ინფორმაციის გადაცემა“ „პარალელურ სასამართლო განხილვად“; მისი აზრით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში „ფსევდოსასამართლო პროცესების“ გამართვამ შეიძლება დამლუპველი შედეგები იქონიოს იმაზე, რომ სასამართლოები აღქმული იყვნენ, როგორც ერთადერთი კვალიფიციური ორგანოები, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ იურიდიული საკითხები.

მეორე, იქმნება საშიშროება საქმეზე წინასწარი შთაბეჭდილებისა და განწყობილების შექმნისა საზოგადოებაში, რამაც, ერთი მხრივ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს სასამართლოს მიუკერძოებლობაზე, და მეორე მხრივ, დააბრკოლოს საზოგადოების თვალში სასამართლოს მიერ მიღებული თუნდაც ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების ასეთად აღქმა.

მესამე, ყოველივე ეს საფრთხეში აგდებს აგრეთვე სასამართლოში საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, რომელიც გულისხმობს უფლებას მიუკერძოებელ სასამართლოზე. სწორედ ამიტომ სასამართლო პროცესების გაშუქების სფეროში მასობრივი ინფორმაციების საშუალებებს ეკისრებათ შესაბამისი მოთხოვნები, რომლებიც მათი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ კონტექსტში მოიაზრება.

ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა გარკვეული სტანდარტი „დასაშვები კომენტარისა“ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით და მიუთითა, თუ როდის ჩაითვლებოდა მისი ფარგლები დარღვეულად.

„მიმდინარე სასამართლო განხილვის შესახებ „დასაშვები კომენტარის“ ფარგლები არ მოიცავს ისეთ განცხადებებს, რომლებიც ნებისთი თუ უნებლიედ ქმნიან იმ შანსის შემცირების რისკს, რომ პიროვნებამ სრულყოფილად ისარგებლოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით ანდა ძირი გამოუთხაროს ამ როლისადმი საზოგადოებრივ ნდობას, რომლებსაც უზრუნველყოფენ სასამართლოები მართლმსაჯულების განხორციელებისას“.⁶

საგულისხმოა, რომ თავად „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“ ცნება, კონვენციის მე-10 მუხლის კონტექსტში ევროპულმა სასამართლომ სწორედ კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე განმარტა და მიუთითა, რომ მასში იგულისხმებოდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის სწორედ ისეთი გაგება, რომელსაც კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებდა და რომელიც სამართლის უზენაესობის ფუძემდებლურ პრინციპს გამოხატავდა.⁷

⁶ *News Verlags GmbH & Co. KG v. Austria*, judgment of 11 January 2000.

⁷ *Sunday Times* (N 1), §55.

სასამართლო პროცესების შესახებ პრესით ან სხვა საშუალებით ინფორმაციის გადაცემის საქმეებზე ევროპული სასამართლო ცდილობს მიაღწიოს დელიკატურ ბალანსს გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის ინტერესს შორის.

ერთი მხრივ, იგი აღიარებს, რომ სასამართლო პროცესების შესახებ ინფორმაციების გადაცემამ შეიძლება ძირი გამოუთხროს სასამართლოს მიუკერძოებლობასა და მისდამი ხალხის ნდობას: „თუ სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილი საკითხების შესახებ ინფორმაციის გადაცემა ისეთი ფორმით ხდება, რომელიც ხელს უწყობს ამ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის წინასწარ ჩამოყალიბებას, ამან შესაძლოა გამოიწვიოს სასამართლოსადმი ნდობისა და პატივისცემის დაკარგვა. არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ საინფორმაციო საშუალებებში მიმდინარე „ფსევდოსასამართლო განხილვებმა“ შესაძლოა დამლუპველი გავლენა იქონიოს იმაზე, რომ სასამართლოები აღქმულ იქნას, როგორც სამართლებრივი დავის გადაწყვეტის ერთადერთი შესაბამისი ადგილი“.⁸

მეორე მხრივ, ევროპული სასამართლო იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელებასთან, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხები შეადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, ხოლო პრესა კი წარმოადგენს ერთ-ერთ ქმედით საშუალებას საზოგადოების იმაში დასარწმუნებლად, რომ მოსამართლეები თავიანთ მოვალეობებს ახორციელებენ სწორედ იმ მისიის შესაბამისად, რომელიც მათ ეკისრებათ.⁹ ევროპული სასამართლოს აზრით, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ისეთი ეფექტის შესაძლებლობა, რომ სისხლისსამართლებრივი ან სხვა სანქციების გამოყენების შიშით, მოქალაქეები მოერიდნონ ასეთ საკითხებზე თავიანთი შეხედულებების გამოთქმას.¹⁰

ცხადია, რომ ღირებულებათა დაპირისპირებისას კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთი სწორი გზა ინტერესების სამართლიანი დაბალანსებაა. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნები უნდა გაწონასწორდეს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე თავისუფალი დისკუსიის მოთხოვნებთან და მათ შორის მიღწეულ უნდა იქნეს სამართლიანი ბალანსი.¹¹ „ბალანსის სამართლიანობა“, ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში სხვადასხვაგვარად შეიძლება განისაზღვროს და მასზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას. ზოგიერთი მათგანი ბალანსს გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ გადახრის, ზოგჯერ კი პირიქით, – მის საწინააღმდეგოდ. შესაბამის საქმეთა განხილვისას ევროპული სასამართლო ითვალისწინებს, რამდენად დიდი იყო საზოგადოებრივი ინტერესი შესაბამისი სასამართლო პროცესის მიმართ; რა ეფექტი იქონია გავრცელებულმა ინფორმაციამ წინასწარი აზრის ჩამოყალიბებასა და სასამართლოს

⁸ *Sunday Times* (N 1), §63.

⁹ *Prager et Oberschlick*, §34.

¹⁰ *Barfold v. Denmark*, judgment of 22 February 1989.

¹¹ *Barfold*, §29.

დამოუკიდებლობაზე; ინფორმაცია ობიექტური იყო თუ ცალმხრივი; იყო თუ არა დარღვეული „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ პრინციპი; როგორი იყო სტატიის საერთო ტონალობა; შესაბამისად – უგულვებელყოფილი იყო თუ არა ჟურნალისტთა მხრიდან კონვენციის მე-10 მუხლით ნაგულისხმები „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, და ა.შ.

კიდევ ერთი ძირითადი პრინციპი, რომლითაც ევროპული „სასამართლო ხელმძღვანელობს“ „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად“ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას, ის გახლავთ, რომ იგი ამ სფეროში ეროვნულ ხელისუფლებას არ ანიჭებს შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლებს და მიაჩნია, რომ სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის სფეროში საერთო ევროპული სტანდარტის შემუშავება გაცილებით უფრო შესაძლებელია, ვიდრე მაგალითად მორალისა და რელიგიის დაცვის საკითხებში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების არსებობის შესახებაც საკუთრივ ევროპულ სასამართლოში.

ამ მხრივ, საინტერესო საქმეა *Sunday Times (NI) v. UK*. იგი შეეხებოდა პუბლიკაციის აკრძალვას, რომელშიც გადმოცემული იყო ერთ-ერთი მიმდინარე სასამართლო პროცესის შეფასება. მოპასუხე სახელმწიფოს აზრით, ეს პუბლიკაცია „ქმნიდა ცუდ პერსპექტივას, მომხდარიყო საქმის „საგაზეთო განხილვა“ („trial by newspapers“). ამიტომ მისი აკრძალვა აუცილებელი იყო სასამართლოსადმი ხალხის ნდობის შესანარჩუნებლად.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პუბლიკაციამ არ შეუქმნა რეალური საფრთხე მართლმსაჯულების ინტერესებს და ამიტომ არ არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ პუბლიკაციის აკრძალვისა. მისი აზრით, ინგლისურმა სასამართლოებმა ჯეროვნად არ გაითვალისწინეს გამოხატვის თავისუფლების დიდი მნიშვნელობა და ბალანსი საჯარო ინტერესის სასარგებლოდ, მოცემულ შემთხვევაში, ვერ ჩაითვლებოდა სამართლიანად. მან მიუთითა, რომ მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის სფეროში სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების მცირე არეალი გააჩნდათ, რათა შეეფასებინათ, შეექმნა თუ არა რეალური საფრთხე მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის ინტერესს. მანვე განმარტა ამის მიზეზი: „შეფასების თავისუფლების შიდა-სახელმწიფოებრივი ფარგლები არ არის იდენტური ყველა იმ მიზანთან მიმართებაში, რომელიც მე-10 (II) მუხლშია ჩამოთვლილი. ჰენდისაიდის საქმე შეეხებოდა მორალის დაცვას. პოზიციები, რომლებსაც იკავებენ სახელმწიფოები „მორალის“ მოთხოვნების მიმართ, განსხვავდება და, სახელმწიფო ხელისუფლებას, პრინციპულად, აქვს მეტი შესაძლებლობა აზრი გამოთქვას ამ მოთხოვნათა შინაარსის შესახებ, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლეს. მაგრამ ძნელია ამის თქმა ისეთი გაცილებით უფრო ობიექტური ცნების მიმართ, როგორიცაა „მართლმსაჯულების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა“. ხელშემკვრელი სახელმწიფოების შიდა სამართალსა და პრაქტიკას ამ მხრივ ბევრი აქვთ საერთო. ეს ასახულია კონვენციის მთელ რიგ დებულებებში, მათ

შორის – მე-ნ მუხლში, რომელიც არ არის მორალის საკითხის ეკვივალენტური. შესაბამისად აქ უფრო ფართო ევროპული ზედამხედველობა შეესაბამება სახელმწიფოთათვის გადაცემული შეფასების თავისუფლების უფრო ვიწრო დისკრეციულ უფლებამოსილებას¹².

საგულისხმოა, რომ ცხრა მოსამართლე დარჩა „განსხვავებულ აზრზე“. მათი შეხედულებებით, ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასებანი „მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“ დასაცავად უფლებაში ჩარევის „აუცილებლობის“ შესახებ უფრო მეტად იყო ანგარიშგასაწევი ევროპული სასამართლოს მხრიდან. თავიანთ „განსხვავებულ აზრში“ მათ მიუთითეს: „შეიძლება ბევრი საერთოა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შეხედულებებში კონვენციის მე-ნ მუხლთან მიმართებაში, მაგრამ ფაქტია, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტები და სასამართლო პროცედურა შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ამიტომ, „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“ ცნება არ შეიძლება მოვწყვიტოთ ქვეყნების შიდა სახელმწიფოებრივ მდგომარეობას და არ შეიძლება განისაზღვროდეს ერთგვაროვნად... სწორედ ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს პირველადი შეფასება იმ საფრთხისა, რომელიც სასამართლოს ავტორიტეტსა და მიუკერძოებლობას ემუქრება და განსაზღვროს, თუ რა შემზღუდ ღონისძიებებია საჭიროა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. შესაბამისი შეზღუდვები შეიძლება განსხვავებული იყოს იმისდა მიხედვით, თუ როგორია მოცემული ქვეყნის სამართლებრივი სისტემა და ტრადიციები.¹³

მოსამართლე **ზეკიამ** კი, რომელიც დაეთანხმა უმრავლესობის გადაწყვეტილებას, თავის თანმხვედრ აზრში დამატებითი არგუმენტები წამოაყენა, ერთი მხრივ, იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ არ არსებობდა ინგლისში, საზოგადოდ, მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად სასამართლო პროცესების თაობაზე პუბლიკაციების აკრძალვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ და, მეორე მხრივ, საიმისოდ, რომ ეროვნული სამართლებრივი ტრადიციების სხვადასხვაობის მიუხედავად, აუცილებელი იყო გამომუშავებულიყო ერთიანი საერთაშორისო ევროპული სტანდარტი ამ სფეროში.

კერძოდ, მან მიუთითა: „კონტინენტური სამართლის ქვეყნებში არაფერია იგივეობრივი საერთო სამართალთან სასამართლოსადმი პატივისცემის საკითხში. ამის მიუხედავად, ეს ქვეყნები ახერხებენ უზრუნველყონ სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა. განა არ უნდა დავეთანხმოთ იმ მტკიცებას, რომ ინგლისში პირობები სხვანაირია და არსებობს აუცილებლობა, უცვლელად შევინარჩუნოთ საერთო სამართლის დებულებები სასამართლოსადმი პატივისცემის საკითხზე, რომელიც ორ საუკუნეზე მეტია არსებობს და ეფექტიანად

¹² *Sunday Times (NI)*, §55.

¹³ იხ. მოსამართლეების ვიარდის, კრემონის, უილიამსონის, რისდალის, ვან დერ მერშის, სერ ჯერალდ ფიცმორისის, ბინდშედლერ-რობერის, ლიშისა და მეტშერის ერთობლივი განსხვავებული აზრი საქმეზე *Sunday Times v. the United Kingdom* (26.04.1979).

ახორციელებს სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას? ინგლისელ მოსამართლეთა ცოდნა და გამოცდილება, რომელიც დაგროვდა, საშუალებას გვაძლევს უპირობოდ, ყოველგვარი დათქმის გარეშე განვაცხადოთ, რომ ინგლისში მართლმსაჯულების სტანდარტები ძალიან მაღალია და ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ პრესაში ამა თუ იმ პუბლიკაციამ მათზე რაიმე გავლენა მოახდინოს. ყოველთვის, როდესაც ეს შესაძლებელია, საერთაშორისო სასამართლომ უნდა გამოიმუშაოს იმ უფლებებისა და თავისუფლებების ერთიანი საერთაშორისო ევროპული სტანდარტი, რომელიც კონვენციით არის გათვალისწინებული. ეს შეიძლება მოხდეს თანდათანობით, როდესაც შესაფერისი შემთხვევა იქნება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეროვნული სამართლებრივი სისტემები სრულ და სათანადო შემოწმებას გაივლიან სტრასბურგში¹⁴.

ჩვენი შეხედულებით, მოსამართლე ზეკიას „თანმხვედრ აზრში“ გამოთქმული შეხედულებები, არაპირდაპირ, უმცირესობაში დარჩენილ მოსამართლეთა არგუმენტებს განამტკიცებს. მისი აზრი, რომ ინგლისში საერთო სამართალი შესანიშნავად უზრუნველყოფს „სასამართლოს ავტორიტეტსა და მიუკერძოებლობას“ და რომ ნაკლებად მოსალოდნელია პრესის პუბლიკაციამ რაიმე გავლენა მოახდინოს მასზე, არაპირდაპირ სწორედ იმის მტკიცებაა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლოს ავტორიტეტს, მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას ჯერ კიდევ მყიფე საფუძველი გააჩნია, და ჯერ არც საკმარისი საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობს, მოსამართლეზე შესაძლოა მეტი გავლენა იქონიოს პრესის პუბლიკაციაში გამოთქმულმა შეფასებამ, ვიდრე ისეთ ქვეყანაში, სადაც სასამართლოს დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტი საკანონმდებლო თუ სხვა საშუალებებით კარგა ხანია რეალურად არის უზრუნველყოფილი და ამასთანავე, იგი საზოგადოებაში დამკვიდრებული სამართლებრივი კულტურის განუყოფელ ელემენტადაა ქცეული. მოსამართლე არა მარტო რეალურად უნდა იყოს დამოუკიდებელი, არამედ, რაც მთავარია, იგი დამოუკიდებლად უნდა გრძნობდეს თავს იმისათვის, რათა მცდარმა საზოგადოებრივმა აზრმა და მით უფრო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გამოთქმულმა შეფასებებმა „მსუსხავი ეფექტი“ არ იქონიოს მის მიუკერძოებლობაზე, ისევე, როგორც, სასამართლოსადმი ხალხის ნდობაზე.

ამიტომ, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის საჯარო ინტერესსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის კონფლიქტის გადაჭრისას ევროპულ სასამართლოს ეგების, მეტად გაითვალისწინოს შესაბამის ქვეყანაში ამ მიმართებით არსებული ვითარება, ერთი მხრივ, სასამართლოს დამოუკიდებლობის იდეის რეალური უზრუნველყოფის მხარდასაჭერად, ხოლო მეორე მხრივ, ამ სფეროში სწორედ იმ საერთო ევროპული სტანდარტის მისაღწევად, რომლის დამკვიდრებაც თავად ევროპულ სასამართლოს აუცილებლად ესახება.

¹⁴ იხ. მოსამართლე ზეკიას თანმხვედრი აზრი საქმეზე *Sunday Times v. the United Kingdom* (26.04.1979).

ასე რომ, *Sunday Times*-ის საქმეზე უმცირესობაში დარჩენილ მოსამართლეთა განსხვავებულ აზრში გამოთქმული შეხედულება სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის სფეროში ეროვნულ სახელმწიფოთათვის შეფასების თავისუფლების შედარებით ფართო ფარგლების მინიჭების თაობაზე, ჩვენ გონივრულად და რაციონალურად გვესახება; მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს საერთო მიდგომას, ღირებულებათა ყოველგვარი კონფლიქტის გადაჭრის დროს მხედველობაში მიიღოს თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებანი და სხვა არაერთი ფაქტორი, რომლებიც ერთი ან მეორე ღირებულების სასარგებლოდ ხრის სასწორს.

მაგალითად:

– როდესაც საქმე შეეხება საზოგადოდ სასამართლო სისტემის ფუნქციონირების კრიტიკას, უკვე დასრულებულ სასამართლო პროცესებს ანდა საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანს, ასეთ დროს აზრის გამოხატვის თავისუფლებას უფრო მეტი პრიორიტეტი ენიჭება; თუკი, რა თქმა უნდა, ამ თავისუფლების განხორციელებისას უგულვებელყოფილი არ იყო მისგან განუყოფელი „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“. მართლმსაჯულების სისტემის კრიტიკა, იმის მიუხედავად, საფუძვლიანი ან კონსტრუქციულია თუ არა ის, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობად შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუ საკუთრივ აზრის გამოხატვის ფორმა და ტონალობა არ არღვევს იმ ფარგლებს, რაც შეიძლება შეფასებული იქნეს, როგორც „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“.¹⁵

– როდესაც პუბლიკაცია შეეხება უკვე დასრულებულ სასამართლო პროცესს, სულ მცირე, იხსნება ამ კონკრეტულ საქმის განხილვასა და სასამართლოს მიუკერძოებლობაზე გავლენის მოხდენის, ამ გზით კი რომელიმე მხარის უფლებებისა თუ ინტერესების შელახვის პრობლემა. თუმცა, არ ქრება სასამართლოს ავტორიტეტის უსაფუძვლოდ შელახვისა და სამომავლოდ, სასამართლოს მიუკერძოებლობაზე უარყოფითი ეფექტის რისკი.

– როდესაც პუბლიკაცია განხილვაში მყოფ სისხლის სამართლის საქმეს შეეხება, ევროპული სასამართლოს პოზიცია კიდევ უფრო გამოკვეთილია. ევროპული სასამართლოს აზრით, ასეთ საქმეებზე პუბლიკაციის მომზადებისას **ჟურნალისტს აკისრია განსაკუთრებული ვალდებულება, სულ მცირე, არ გადალახოს საზღვრები, რაც დადგენილია მართლმსაჯულების ჯეროვნად**

¹⁵ საქმეში *De Haes et Gijssels v. Belgium*, ჟურნალისტი დაისაჯა დაწვრილებითი ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის საქმეზე, რომელიც შეეხებოდა ბავშვებზე მეთვალყურეობს დაწესებას. მიუხედავად იმისა, რომ სტატიის ტონი პოლემიკური და ზოგჯერ აგრესიულიც კი იყო (თავისთავად, ეს გარემოება სასამართლომ უარყოფითად შეაფასა), მიჩნეულ იქნა, რომ არ არსებობდა ჟურნალისტებისათვის საყვედურის საფუძველი იმისათვის, თითქოს ისინი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე ინფორმაციის გადაცემისას. მათ უფლებას, გადაეცათ ინფორმაცია და იდეები, შეესაბამებოდა საზოგადოების უფლება, მიეღოთ ისინი. ეს განსაკუთრებით სამართლიანი იყო მოცემულ საქმეში, ვინაიდან იგი მცირეწლოვანი ბავშვების ბედსა და საერთოდ მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებას შეეხებოდა. იხ. *De Haes et Gijssels v. Belgium*, judgment of 24 February 1997, §39.

განხორციელების მიზნებით და განუხრელად დაეცვას უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება.¹⁶

შედარებით რთულია ისეთი კონფლიქტების გადაჭრა, სადაც კრიტიკა უშუალოდ შეეხება კონკრეტულ მოსამართლეებსა თუ სასამართლო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც კრიტიკა გამოთქმულია ადვოკატის მიერ.

როდესაც კრიტიკა შეეხება კონკრეტულ მოსამართლეებს (მათ მიერ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან ან მათ მიერ თავიანთი სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით) და ეს კრიტიკა ლახავს პირად ან პროფესიულ რეპუტაციას, ასეთ დროს გამოხატვის თავისუფლებას ერთდროულად ორი ღირებულება უპირისპირდება – მოსამართლეთა პირადი უფლებები და რეპუტაცია, როგორც ინდივიდური ინტერესი და მეორე მხრივ, სასამართლოს ავტორიტეტი და რეპუტაცია.

ძირითადი მიდგომები ასეთია.

ერთი მხრივ:

1) მიჩნეულია, რომ კონკრეტულ მოსამართლეთა რეპუტაციის შელახვით, ილახება საერთოდ სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი. ამასთან, რადგან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია, ხალხს ჰქონდეს სასამართლოსადმი ნდობა, ამიტომ სახელმწიფოს დაინტერესება სასამართლო ხელისუფლებისა და მათ შორის კონკრეტულ მოსამართლეთა რეპუტაციის დაცვისა, საკმარისად ძლიერია.

2) მოსამართლეებს ეკისრებათ ე.წ. „თავშეკავებულობის“ მოთხოვნა. გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას ისინი ვალდებული არიან ეჭვქვეშ არ დააყენონ სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა. ეს მოთხოვნა ვრცელდება მათ მიმართ გამოთქმული აღდგენილია პასუხის გაცემის კონტექსტზეც. „ადეკვატური პასუხის გაცემის უფლება“ მათ შეზღუდული აქვთ.

მეორე მხრივ:

3) მოსამართლეები, ისევე, როგორც პროკურორები, წარმოადგენენ სახელმწიფო მოხელეებს, რომელთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან მიმართებაში.

ის გარემოება, დარღვეულია თუ არა „დასაშვები კრიტიკის ფარგლები“, თავის მხრივ, შემდეგი ფაქტორების მიხედვით განისაზღვრება:

– შეეხებოდა თუ არა საქმე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხს და წარმოადგენდა თუ არა გავრცელებული შეხედულებები თუ ინფორმაცია ასეთ საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობას;

– რასთან გვეკონდა საქმე – მხოლოდ „ფაქტების გადმოცემასთან“, თუ „შეფასებით მსჯელობასთან“, დაადასტურა თუ არა კრიტიკის ავტორმა გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობა, ხოლო თუ „შეფასებითი მსჯელობა“

¹⁶ *Du Roy and Malaurie v. France*, judgment of 3 October 2000.

კონკრეტულ ბრალდებას გულისხმობდა, წარმოადგინა თუ არა მან თავისი შეფასებითი მსჯელობის საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი;

– რა მიზანს ისახავდა კრიტიკის ავტორი და რამდენად კეთილსინდისიერი იყო მისი მოტივაცია.

– წარმოადგენდა თუ არა შესაბამისი „გამოხატვა“ „სასამართლოსადმი უპატივცემულობას“ შიდა ნორმების მიხედვით.

ზემოაღნიშნული მიდგომები ევროპულმა სასამართლომ თავისი პრაქტიკით დაამკვიდრა. სხვათა მიერ მოსამართლის რეპუტაციის შელახვის, ისევე, როგორც საკუთრივ მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხებს ევროპული სასამართლო მეტად დელიკატურად მიიჩნევს. იმის მიზეზები ის გახლავთ, რომ მოსამართლის განსაკუთრებული სტატუსი და ე.წ. „თავშეკავებულობის მოვალეობა“ ერთსა და იმავე დროს შეიძლება მოგვევლინოს მისი უფლებების დაცვის, ანდა პირიქით, მისი შეზღუდვის გამამართლებელ ფაქტორად. კერძოდ, მაშინ, როდესაც კრიტიკა მის წინააღმდეგაა მიმართული, „თავშეკავებულობის ვალდებულება“ აძლიერებს სხვათა „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“, გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას უსაფუძვლოდ არ შელახონ მისი რეპუტაცია, და მასთან ერთად, სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა. მაგრამ, როდესაც საქმე საკუთრივ მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას შეეხება, აღნიშნული ფაქტორი („თავშეკავებულობის მოთხოვნა“), პირიქით, შემზღუდველია: ის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, რომელიც განუყოფელია გამოხატვის თავისუფლებისაგან და რომელიც ამ თავისუფლებით მოსარგებლე ნებისმიერ სუბიექტს ეკისრება, მოსამართლესთან მიმართებაში „დამძიმებულია“ „თავშეკავებულობის ვალდებულებით“. შესაბამისად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისი გამოხატვის თავისუფლების დასაცავად ნაკლები შანსი რჩება, ვინაიდან ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ყოველ შესაბამის შემთხვევაში თავად განიხილება, როგორც სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის საფრთხეში ჩაყენება. ევროპულმა სასამართლომ შესანიშნავად ახსნა ეს ორივე მომენტი თავის პრეცედენტებში.

მაგალითად, ზემოხსენებულ საქმეში *De Haes et Gijssels v. Belgium*, სასამართლომ მიუთითა: მოსამართლეები უნდა სარგებლობდნენ საზოგადოებრივი ნდობით და შესაბამისად, ისინი დაცული უნდა იყვნენ უსაფუძვლო თავდასხმებისაგან, განსაკუთრებით იმის მხედველობაში მიღებით, რომ მათ ეკისრებათ თავშეკავებულობის ვალდებულება, რომელიც მათ არ აძლევს კრიტიკაზე შეპასუხების უფლებას.¹⁷

Wille-ს საქმეში კი, რომელიც მაღალი რანგის მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას შეეხებოდა, სასამართლომ აღნიშნა: „მაშინ, როდესაც დაინტერესებული პირი მაღალი რანგის მოსამართლეა, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ფაქტი, რომ როდესაც საქმე ასეთი პოზიციის მქონე პირის

¹⁷ *De Haes et Gijssels*, §37.

გამონატვის თავისუფლებას შეეხება, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მართლაც, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ველოდოთ მოსამართლეებისაგან, რომ ისინი გამოიჩინენ თავშეკავებას თავიანთი გამონატვის თავისუფლებით სარგებლობისას ყოველთვის, როდესაც სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დგება“.¹⁸

ამრიგად, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად შეიძლება შეიზღუდოს როგორც ნებისმიერი პირის გამონატვის თავისუფლება მოსამართლის კრიტიკისათვის, ისე, საკუთრივ მოსამართლის გამონატვის თავისუფლებაც.

აქვე, ცხადია, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც მოსამართლის მიერ შესაბამისი შეხედულებების გამოთქმა ეჭვქვეშ არ აყენებს სასამართლოს ავტორიტეტსა თუ მიუკერძოებლობას, მისი გამონატვის თავისუფლება ისეთივე დაცვით სარგებლობს, როგორითაც ნებისმიერი სხვა პირისა.

საქმე *Harabini v. Slovakia* შეეხებოდა სლოვაკიის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გამონატვის თავისუფლებას. მის წინააღმდეგ იუსტიციის მინისტრმა წამოიწყო პროცედურა მისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევის მიზნით, იმ საბაბით, რომ მის მიერ გამოთქმული შეხედულებები კონსტიტუციასა და სასამართლო ხელისუფლების შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, მოტივირებული იყო პირადი ხელისუფლების განმტკიცების სურვილით.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ხელისუფლების წინადადება მომჩივნისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის თაობაზე, უთუოდ იქონიებოდა „მსუსხავ ეფექტს“ მისი აზრის გამონატვის თავისუფლებაზე, თუმცა, მომჩივნის საჩივარი მაინც აშკარად უსაფუძვლოდ ცნო იმის გამო, რომ ასეთი ეფექტი მხოლოდ დროის ძალზე მცირე მონაკვეთში არსებობდა, რამდენადაც მთავრობის ინიციატივა სულ მალე უარყოფილი იქნა და მომჩივანს თავისი შეხედულებების გამო თანამდებობიდან გადაყენების საშიშროება აღარ ემუქრებოდა.¹⁹

კიდევ ერთი აუცილებლად მხედველობაში მისაღები გარემოება: ადამიანის უფლებათა ევროპული სამოსამართლო სამართლის მიხედვით, **თუ მოსამართლე პოლიტიკაშია ჩართული, მის მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ფართოვდება**, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი „პოლიტიკური კუთვნილება“ აისახება მის სამსახურეობრივ საქმიანობასა და მის, როგორც მოსამართლის მიუკერძოებლობაზე. ამ მხრივ სანიტერესო საქმეა *Hrico v. Slovakia*. საქმე შეეხებოდა ჟურნალისტის დასჯას ცილისწამებისათვის იმ სტატიის გამო, სადაც მან მკაცრად გააკრიტიკა უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე ერთ-ერთი სლოვაკი პოეტის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის.

ევროპულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ მომჩივანი გასცდა მოსამართლის მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს, როდესაც გამოიყენა ისეთი უხეში

¹⁸ *Wille v. Liechtenstein*, judgment of 28 October 1999.

¹⁹ *Harabini v. Slovakia*, decision of 29 June 2004.

გამოთქმები, როგორცაა „სამარცხვინო განაჩენი“, „სასამართლო ფარსი“, „საეჭვო მოტივაცია“ და სხვა.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მთლიანად ემსახურებოდა კანონიერი ინტერესების – სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის რეპუტაციის დაცვას, მაგრამ უარყო ასეთი ჩარევის „აუცილებლობა“. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მოსამართლე აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა და წამოყენებული იყო დეპუტატობის კანდიდატად სლოვენიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიიდან. ამ პარტიას კი, მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიციები გააჩნდა იმ საკითხებზე, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო მის მიერ განხილულ საქმესთან. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიაში გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშნული გარემოების გამო მოსამართლე ვალდებული იყო თვითაც იღებინა, არ იყო მოკლებული ფაქტობრივ და ლოგიკურ საფუძველს და იმავდროულად წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე. ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ სტატიაში მართლაც მწვავე და უხეში გამოთქმები იყო გამოყენებული, მაგრამ ზემოაღნიშნულ გარემოებებში ამ მოსამართლის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები დარღვეულად ვეღარ ჩაითვლებოდა. რაკი მოსამართლე აქტიურად იყო პოლიტიკაში ჩართული, მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები იყო გაცილებით უფრო ფართო, ვიდრე სხვა შემთხვევებში, მით უმეტეს, რომ მისმა „პოლიტიკურმა კუთვნილებამ“ შესაძლოა გავლენა იქონია საქმის შედეგზე. ამიტომ, მთლიანობაში, ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.²⁰

სხვა ორდინარულ შემთხვევებში, როდესაც საქმე შეეხება მოსამართლეთა კრიტიკასა და რეპუტაციის შელახვას მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო, „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებისა და სხვა საერთო მიდგომების გათვალისწინებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, შეიცავდა თუ არა კრიტიკა კონკრეტულ ბრალდებას და რამდენად საფუძვლიანი იყო ის.

მაგალითად, საქმეში *Barfod v. Denmark*, ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს შეფასება უფლებაში ჩარევის „აუცილებლობის“ შესახებ და გამართლებულად მიიჩნია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტის საჯარო ინტერესის დასაცავად. ეს საქმე შეეხებოდა პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, რომელშიც ორი არაპროფესიონალი მოსამართლე გაკრიტიკებული იყო იმისათვის, რომ დანიის ერთ-ერთი დაბალი რგოლის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მათ მხარი დაუჭირეს ადგილობრივ ხელისუფლებას გადასახადების საკითხში. პუბლიკაციაში ნათქვამი იყო, რომ სასამართლომ არ შეასრულა თავისი მოვალეობა დამოუკიდებლად და

²⁰ *Hrico v. Slovenia*, judgment of 20 July 2004.

მიუკერძოებლად და, რომ ორმა არაპროფესიონალმა მოსამართლემ შეასრულა „თავისი მოვალეობა — მომსახურებოდა ხელისუფლებას“.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას, მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ პუბლიკაციით უხეშად იყო შელახული ორი არაპროფესიონალი მოსამართლის რეპუტაცია, რომელთა წინააღმდეგაც არავითარი მამხილებელი მასალა არ არსებობდა. საერთაშორისო სასამართლომ არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა იმასაც, რომ პუბლიკაცია საერთოდ მართლმსაჯულების სისტემის კრიტიკას კი არ შეეხებოდა, რა შემთხვევაშიც იგი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად ჩაითვლებოდა, არამედ ერთ კონკრეტულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის შეფასების დროს ძალზე უხეშად და სრულიად უსაფუძვლოდ იქნა შელახული არაპროფესიონალ მოსამართლეთა რეპუტაცია.²¹

საგულისხმოა, რომ ამ საქმეში ევროპული სასამართლო ერთსულოვანი არ იყო. ეჭვქვეშ იქნა დაყენებული საკუთრივ კონცეპტუალური მიდგომა სასამართლოსთან მიმართებაში „დასაშვები კრიტიკის“ შედარებით ვიწრო ფარგლების შესახებ. გამოითქვა მოსაზრება ამ ფარგლების გაფართოების აუცილებლობის შესახებ. ასეთი შეხედულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთმა (ყოფილმა) მოსამართლემ **გოლჩიუკლუმ** (თურქეთი) გამოთქვა თავის „განსხვავებულ აზრში“.

მან მიუთითა, რომ სასამართლო ხელისუფლების მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ისეთივე ფართო უნდა ყოფილიყო, როგორც ხელისუფლების სხვა განშტოებების მიმართ. მისი აზრით, *ლინგენსის* საქმის პრეცედენტი (რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა) სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა ამას. კერძოდ, მან თქვა: „*ლინგენსის* საქმეში იმის დაფიქსირება, რომ პოლიტიკოსებმა მეტი კრიტიკა უნდა მოითმინონ, განა იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკოსების კრიტიკა შეიძლება და სახელმწიფო დაწესებულების – სასამართლოსი არა? ვეთანხმები კომისიის დასკვნას (იგულისხმება ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია), რომლის მიხედვით, იმისათვის, რომ მოქალაქემ შეინარჩუნოს კრიტიკული კონტროლი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაზე, უკიდურესად მნიშვნელოვანია, დადგინდეს შეზღუდვის ძალიან მკაცრი პირობები ყველა იმ პუბლიკაციისა, რომელიც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის, სასამართლო ორგანოების საქმიანობას. სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის საჯარო განხილვა ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ეს საჯარო ინტერესი მეტია, ვიდრე არაპროფესიონალ მოსამართლეთა რეპუტაციით დაინტერესება“.²²

ზემოაღნიშნული მოსაზრება, ჩვენი აზრით, მისაღებად ვერ ჩაითვლება.

ჯერ ერთი, ევროპული სასამართლო გამოკვეთილად ფართო ფარგლებს მხოლოდ პოლიტიკოსების“ მიმართ ადგენს, რომლებშიც სახელმწიფოს უმაღლესი

²¹ *Barfod v. Denmark*; §30-35.

²² იხ. მოსამართლე **გოლჩიუკლუს** განსხვავებული აზრი საქმეზე *Barfod v. Denmark* (№149) 13 EHRR. 493.

თანამდებობის პირები, მთავრობისა და პარლამენტის წევრები იგულისხმებიან. რაკი აღმსრულებელი ხელისუფლება პოლიტიკური განშტოებაა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღმსრულებელი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი „პოლიტიკოსია“ იმ გაგებით, რომ მათდამი ზემოაღნიშნულ პირებთან თანაბარი მიდგომა გამართლებულად ჩაითვალოს. დიფერენციაციისას მხედველობაში მართო ის კი არ მიიღება, ესა თუ ის პირი ხელისუფლების პოლიტიკური განშტოების წარმომადგენელია თუ არაპოლიტიკურის, არამედ მათი მდგომარეობა და სტატუსი.

მეორე. მით უფრო მიუღებელია სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა გათანაბრება პოლიტიკოსებთან მათდამი გამოთქმული კრიტიკის დასაშვები ფარგლების საკითხში. სასამართლო ხელისუფლება, რომელიც პროფესიული ნიშნით ყალიბდება, არა თუ არ ერევა პოლიტიკაში, არამედ ძალზე შორს უჭირავს თავი მისგან, ნაკლებად მონაწილეობს საზოგადოებრივ დისკუსიებში, ძალზე თავშეკავებული ურთიერთობა აქვს პრესასთან და მასმედიის სხვა საშუალებებთან. შესაბამისი მოთხოვნები მათი პროფესიული ქცევის კოდექსებშიც არის ასახული. მოსამართლე, რომლის მიერ მიღებულმა ამა თუ იმ სასამართლო გადაწყვეტილებამ კრიტიკა დაიმსახურა, უკიდურესად შეზღუდულია, რათა პრესის ან სხვა საშუალებებით უპასუხოს კრიტიკას თავისი გადაწყვეტილების გასამართლებლად. ამიტომ მათი რეპუტაციის დაცვით სახელმწიფოს დაინტერესება, რა თქმა უნდა, შედარებით უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა სახელმწიფო მოხელეებისა, და გაცილებით უფრო ძლიერი, ვიდრე პოლიტიკოსებისა, რომლებსაც პოლიტიკური ტრიბუნა უპყრიათ ხელთ.

მესამე. კიდევ უფრო ნათელია საკითხი, როდესაც საქმე არაპროფესიონალ მოსამართლეებს შეეხება. ისინი, რომლებიც ცალკეული სასამართლო საქმეების განხილვაში მონაწილეობენ, ფაქტობრივად საზოგადოების წარმომადგენლები არიან. მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობით, ისინი სასამართლო ხელისუფლებაში მონაწილეობენ. არაპროფესიონალ მოსამართლეთა ინსტიტუტის არსი სწორედ სასამართლო ხელისუფლებაში ხალხის მონაწილეობას გულისხმობს. ამ გზით, მისი გაკონტროლების შესანიშნავი საშუალებაა, რის აუცილებლობასაც გოლჩიუკლუც მიუთითებს. ამიტომ, თუ ვინმესთან მათ გათანაბრებაზე შეიძლებოდა წამოჭრილიყო მოსაზრება, მას მხოლოდ მაშინ ექნებოდა რაიმე გამართლება, თუ მათ კერძო პირებს გაუთანაბრებდნენ, ანუ, პირიქით, – კიდევ უფრო შეამცირებდნენ მათდამი დასაშვები კრიტიკის ფარგლებს. საერთოდ კი, როდესაც საზოგადოების წარმომადგენელი არაპროფესიონალი მოსამართლეები, მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობენ და კრიტიკა სწორედ ამ ფუნქციების განხორციელებას უკავშირდება, რა თქმა უნდა, გაცილებით სწორი და სამართლიანია, რომ ისინი პროფესიონალ მოსამართლეებს გაუთანაბრდნენ. სწორედ ასეთი მიდგომა

დააფიქსირა ევროპულმა სასამართლომ *Barford*-ის საქმეზე, რაც ჩვენ სავსებით სწორად, ლოგიკურად და კანონზომიერად გვესახება.²³

სრულიად სპეციფიკურია ევროპული სასამართლოს მიდგომა ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს ადვოკატი აკრიტიკებს. საქმე ისაა, რომ როდესაც საქმე ადვოკატის სიტყვის თავისუფლებას შეეხება, აქ ერთსა და იმავე დროს გამოიყენება ორი მიდგომა, რომელიც ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით გადაქაჩავს ბალანსის სამართლიანობას:

ერთი მხრივ, ადვოკატის სიტყვის თავისუფლება, მისი პროცესუალური როლის გათვალისწინებით, ძალზე ძვირად ფასობს და მიჩნეულია რომ მისი შეზღუდვა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია გამართლებული.²⁴ მეორე მხრივ, ადვოკატის სწორედ ეს სპეციფიკური სტატუსი, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მას მიაკუთვნებს ცენტრალურ როლს (როგორც შუამავალს სასამართლოსა და მოდავე მხარეებს შორის), მათ განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს. ეს მოთხოვნები, როგორც წესი, ასახულია ადვოკატთა კოლეგიის მიერ მიღებულ „პროფესიული ქცევის წესებში“. ამ მოთხოვნათა შორის, მართლმსაჯულების პროცესში მათი როლის გათვალისწინებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მათი ვალდებულება, ხელი შეუწყონ მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას და ამ გზით სასამართლოსადმი ხალხის ნდობის განმტკიცებას. როგორც ევროპული სასამართლო მიიჩნევს, სავსებით კანონიერია მოლოდინი იმისა, რომ თავიანთი საქმიანობით ადვოკატები ხელს შეუწყობენ მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებასა და ხალხის ნდობის უზრუნველყოფას.²⁵ ამავე თვალსაზრისს აფუძნებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პრინციპებიც.²⁶ აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ადვოკატის მხრიდან ისეთი აზრის გამოხატვა, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ხალხის ნდობას (დიდი ალბათობით)

²³ ვერ დავეთანხმებით ელესტერს, რომელიც მიიჩნევს, რომ ევროპულმა სასამართლომ *Barford*-ის საქმეში უსამართლო ბალანსი ჩამოაყალიბა გამოხატვის თავისუფლებასა და არაპროფესიონალ მოსამართლეთა რეპუტაციის დაცვის უფლებას შორის. მას გაცილებით უფრო სწორად ესახება ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის საპირისპირო გადაწყვეტილება იმავე საქმეზე (იხ. Anthony Lester, *Freedom of Expression*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds). 1993, გვ.476-7).

²⁴ *Nikula v. Finland*, judgment of 21.March 2002

²⁵ *Schöpfer v. Switzerland*, judgment of 20 May 1998.

²⁶ მაგალითად, ადვოკატთა როლის შესახებ ძირითადი პრინციპების მე-20 პუნქტის შესაბამისად, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების მე-8 კონგრესის მიერ 1990 წელს, ადვოკატები უნდა სარგებლობდნენ „სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმუნიტეტით იმ განცხადებების გამო, რომლებიც მათ გააკეთეს კეთილი განზრახვით სასამართლო კამათის მსვლელობისას თავიანთი პროფესიული გამოსვლის დროს სასამართლოს, ტრიბუნალის თუ სხვა სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული ხელისუფლების წინაშე“. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი თავის რეკომენდაციაში №21(2000წ.) ევროპის ქვეყნებს მოუწოდებს, გაატარონ ღონისძიებები, რასაც აუცილებლად მიიჩნევენ ადვოკატის პროფესიის თავისუფლად განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამ რეკომენდაციების მიხედვით, ადვოკატი არ უნდა დაექვემდებაროს რაიმე სანქციებს ან ზეწოლას ასეთი სანქციების გამოყენების მუქარის გამო ან სხვაგვარად, თუკი იგი მოქმედებდა თავისი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. ამავე რეკომენდაციების შესაბამისად, ადვოკატი პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს სასამართლოს და თავის მოვალეობებს სასამართლოს მიმართ უნდა ასრულებდეს ისეთი ფორმით, რომლებიც შეესაბამება შიდა სამართლებრივ და სხვა წესებსა თუ პროფესიულ სტანდარტებს (პრინციპები I:4 და III:4)

შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს და ყოველთვის წარმოადგენს განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით განსჯის საგანს. ამავე მიზეზთა გამოა ისიც, რომ ადვოკატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში ევროპული სასამართლო ეროვნულ ადვოკატის შეფასების თავისუფლების შედარებით ფართო ფარგლებს მიაკუთვნებს.

როდესაც ადვოკატის კრიტიკა საერთოდ მართლმსაჯულების სისტემას შეეხება, შეზღუდვის გამართლებულობის შანსი უფრო ნაკლებია. როდესაც კრიტიკის ობიექტი სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებები და კონკრეტული მოსამართლეებია, მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კრიტიკის ფორმასა და მის საფუძვლიანობას; აგრეთვე, იმ გარემოებას, სასამართლოს დარბაზში, თავისი პროფესიული როლის შესრულების დროსაა ის გამოთქმული, თუ სხვაგან. ადვოკატის მიერ სასამართლოს დარბაზში წარმოთქმული კრიტიკა, მით უმეტეს მაშინ, თუ იგი შემოფარგლულია განსახილველი საქმის საკითხებით, ან უშუალოდ უკავშირდება მას, განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს.²⁷ მაგრამ ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ადვოკატის სიტყვის თავისუფლება არც სასამართლოს დარბაზში იყო შეუზღუდავი და განსაზღვრული ინტერესები, მათ შორის „სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა“, წარმოადგენდა საკმარის გამართლებას მის შესაზღუდად.²⁸ თუმცა, ასეთ დროს განსაკუთრებული ყურადღების საგანია შესაბამისი სანქციების (დისციპლინური თუ სისხლისსამართლებრივი სასჯელების) თანაზომიერება დასახულ კანონიერ მიზანთა მიმართებაში. ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი სასჯელების გამოყენება, განსაკუთრებით კი პატიმრობისა, მხოლოდ ძალზე იშვიათად შეიძლება მიჩნეულ იქნას აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი „მსუსხავი ეფექტის“ გათვალისწინებით. სასამართლოს აზრით, საპატიმრო სასჯელი უთუოდ იქონიებს მსუსხავ ეფექტს არა მარტო შესაბამის ადვოკატზე, არამედ ადვოკატის პროფესიაზე საერთოდ. განსაზღვრულ გარემოებებში კი, ასეთი საქციელი შეიძლება წარმოადგენდეს არა მარტო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, არამედ ადვოკატის კლიენტის „სამართლიანი განხილვის“ უფლების დარღვევაც; ამიტომ, „მსუსხავი ეფექტი“ უთუოდ უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის განსაზღვრისას.²⁹

Schöpfer-ის საქმეში ევროპულმა სასამართლომ ადვოკატთა ასოციაციის მიერ მომჩივანზე დაკისრებული დისციპლინური სასჯელი, რაც მოჰყვა პრესკონფერენციაზე თავისი კლიენტების პატიმრობის კანონიერების თაობაზე გაკეთებულ კრიტიკურ კომენტარს, არ მიიჩნია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად. განჩინებაში ევროპულმა სასამართლომ კარგად განმარტა, თუ რა ღირებულებები მოითხოვდა სამართლიან დაბალანსებას და როგორ უნდა

²⁷ *Nikula v. Finland*, judgment of 14 March 2002, §54-55.

²⁸ *Kyprianou v. Kyprus*, judgment of 15 December 2005. §154.

²⁹ *Nikula*, § 49, *Steur v. Netherland*, judgment of 28 October 2003, §37. *Kyprianou v. Cyprus*, judgment of 15 December 2005, §181.

მიღწეულიყო ის. კერძოდ, ერთი მხრივ, მან მიუთითა ადვოკატების ცენტრალურ როლზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და მათ ვალდებულებაზე, ხელი შეეწყოს ამ პროცესის ჯეროვნად განხორციელებისა და სასამართლოსადმი ნდობის მოპოვებისათვის; მეორე მხრივ კი აღნიშნა: „უეჭველია, რომ ადვოკატებს გააჩნიათ მართლმსაჯულების ფუნქციონირების შესახებ საჯარო განცხადებების გაკეთების უფლება, მაგრამ მათმა კრიტიკამ არ უნდა გადალახოს განსაზღვრული მიზნები. უნდა მიღწეულ იქნას წონასწორობა ისეთ განსხვავებულ ინტერესებს შორის, როგორცაა, ერთი მხრივ – საზოგადოების უფლება, მიიღოს ინფორმაცია სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების საკითხებზე, და, მეორე მხრივ – მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესი და ადვოკატის პროფესიის ღირსება. ეროვნული ხელისუფლება მათთან მჭიდრო და უშუალო კონტაქტის წყალობით, საერთაშორისო მოსამართლესთან შედარებით უკეთ მდგომარეობაშია შეაფასოს, როდისაა ამ ინტერესებს შორის ბალანსი სამართლიანი. აი, ამიტომ სარგებლობს იგი შეფასების თავისუფლების შედარებით ფართო ფარგლებით შეზღუდვის აუცილებლობის შეფასებისას, რომელიც იმავდროულად ევროპულ კონტროლსაც ექვემდებარება“.³⁰

ამ მხრივ საინტერესო საქმეა, აგრეთვე, *Amihalachioaie v. Moldova*. ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა ემსახურებოდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას, მაგრამ არ ცნო შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“.³¹

ეს საქმე შეეხებოდა მოლდოვას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც კანონი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ყველა ადვოკატი ვალდებული იყო გამხდარიყო მოლდოვას ადვოკატთა საბჭოს წევრი, არაკონსტიტუციურად ცნო. ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია, სადაც გაშუქებული იყო საზოგადოებრივი რეაქცია საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაზე. მასში ციტირებული იყო მომჩივნის – მოლდოვას ადვოკატთა საბჭოს პრეზიდენტის ამიჰალაჩიოაიეს განცხადება, რომელიც მან გააკეთა გაზეთის რეპორტიორთან სატელეფონო საუბრის დროს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის გამონათქვამები იყო უხეში და გამოხატავდა სასამართლოსადმი უპატივცემულობას. მან მომჩივანს დააკისრა ჯარიმა (36 ევროს ეკვივალენტური თანხის ოდენობით).

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის განცხადებების შინაარსი და ფორმა არ არღვევდა „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს და ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (საგლისხმოა, რომ კონვენციის დარღვევის აღიარების ფაქტი ევროპულმა სასამართლომ „სამართლიან დაკმაყოფილებად“ მიიჩნია და არ განუსაზღვრა მომჩივანს რაიმე მატერიალური ანაზღაურება იმ მორალური ზიანისათვის, რომელიც მან განიცადა).

³⁰ *Schöpfer v. Switzerland*, judgment of 20 May 1998, § 33.

³¹ *Amihalachioaie v. Moldova*, judgment of 20 April 2004.

საქმეში *Kyprianou v. Cyprus*, ევროპულმა სასამართლომ (დიდმა პალატამ) ადვოკატის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტის დასაცავად კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია იმის გამო, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის ჩადენისათვის სასამართლომ მას საპატიმრო სასჯელი (კერძოდ, 5 დღით პატიმრობა) განუსაზღვრა. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ასეთი სასჯელი „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებდა როგორც ამ ადვოკატზე, ისე ადვოკატის პროფესიაზე საერთოდ. მაგრამ ეს საქმე მხოლოდ ამ ნიშნით როდი იყო საგულისხმო. იგი საგულისხმო იყო ღირებულებათა კონფლიქტის თავისებურების გამო. აქ სასამართლოსადმი ხალხის ნდობის უზრუნველყოფის ინტერესი საფრთხეში აღმოჩნდა როგორც ადვოკატის, ისე სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დარღვევის შედეგად. ეს „მოვალეობები და პასუხისმგებლობა“ ადვოკატმა სასამართლოს კრიტიკისას დაარღვია, ხოლო სასამართლომ – ამ კრიტიკაზე პასუხის გაცემისას.

ადვოკატი კიპრიანუ ასიზების სასამართლოში გამოდიოდა დამცველად მკვლელის საქმეზე. მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის დროს სასამართლომ მას მისცა შენიშვნა, რომ იგი შორს გასცდა განსახილველი საქმის არსებით საკითხებს. ადვოკატმა, რომელსაც ორმოცწლიანი პრაქტიკა გააჩნდა, იწყინა ეს შენიშვნა, შეწყვიტა დაკითხვა და მოითხოვა საქმიდან მისი გათავისუფლება, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ადვოკატმა განაცხადა, რომ დაკითხვის დროს მოსამართლეები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და „*ravasakia*“-ს (სამიჯნურო ბარათებს) უგზავნიდნენ ერთმანეთს. ამიტომ ასეთ პირობებში იგი დაკითხვას ვეღარ გააგრძელებდა. სასამართლომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ადვოკატს განუცხადა, რომ თუ იგი ბოდიშს არ მოიხდიდა, მას გაასამართლებდნენ „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“. ადვოკატმა ხმამაღალი ტონით უპასუხა: „შეგიძლიათ გამასამართლოთ!“ სასამართლომ შესვენების შემდეგ დაუყოვნებლივ განიხილა ეს ფაქტი, დამნაშავედ ცნო ადვოკატი „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“ და მიუსაჯა 5 დღით პატიმრობა. ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ აღიარა, რომ ადვოკატის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება და სასჯელი ემსახურებოდა სასამართლოს ავტორიტეტის დაცვას; თუმცა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კონვენციის მე-10 მუხლი მაინც დარღვეულად ცნო საპატიმრო სასჯელის არათანაზომიერების მოტივით. სასამართლომ გაითვალისწინა ამ სასჯელის „მსუსხავი ეფექტი“, ამასთანავე ის გარემოებაც, რომ ადვოკატის კრიტიკა შემოიფარგლებოდა სასამართლო პროცესის საკითხებით და შეეხებოდა იმ მანერას, რომლითაც სასამართლო სხდომას წარმართავდა. მაგრამ საინტერესო ის გახლავთ, რომ სასამართლომ იმავდროულად ცნო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევაც. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოსადმი უპატივცემულობის შესახებ ადვოკატის საქმის განხილვისას ასიზების სასამართლო მიკერძოებული იყო და მან დაარღვია ადვოკატის უფლება მიუკერძოებელ სასამართლოზე როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური თვალსაზრისით. საქმეც ისაა, რომ

კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ადვოკატის უფლების დარღვევა მის კრიტიკაზე სასამართლოს თავშეუკავებელმა რეაქციამ განაპირობა. მოსამართლეებმა თავიანთი წყენა ისეთი განცხადებებით გამოხატეს, რომლებმაც ობიექტურად გამართლებული გახდა ადვოკატის ეჭვები სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის მისი გასამართლების დროს. მოსამართლეებმა კერძოდ განაცხადეს, რომ ისინი, როგორც „პიროვნებები“ „ღრმად შეურაცხყოფილები“ იყვნენ; რომ ასეთი საქციელი შეუფერებელი იყო ნებისმიერ ცივილიზებულ ადგილას და მით უფრო სასამართლოში; რომ წარმოუდგენელი იყო სასამართლოსადმი უპატივცემულობის ასეთი უხეში და მიუღებელი გამოვლინებები ნებისმიერი ადამიანის და მით უფრო – ადვოკატის მხრიდან და სხვ. შესაბამისად, მათ ადვოკატის კრიტიკის გამო თავიანთი წყენა ასეთი ფორმით რომ არ გამოეხატათ, სასამართლოსადმი მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ აღარ დადგებოდა. ეს გარემოება კი მოცემულ საქმეში იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც ამ განაწყენებულმა მოსამართლეებმა ადვოკატის მიმართ საქმე თავად განიხილეს. სწორედ ამიტომაც მიუთითა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, რომ საერთო სამართალში დამკვიდრებული შემჭიდროებული სამართალწარმოება (*summary jurisdiction*),³² რომელიც სასამართლოს ნებას რთავს *in facie curiari*³³ ჩადენილი „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ფაქტები თავადვე განიხილოს და არა სხვამ, მოცემულ შემთხვევაში გამართლებული არ იყო და საქმე განსახილველად უნდა გადასცემოდა სხვა სასამართლოს.³⁴

³² **Summary jurisdiction – შემჭიდროებული სამართალწარმოება.** საერთო სამართლის ქვეყნებში გამოიყენება „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ საქმეთა განხილვისას. იგი გულისხმობს გამარტივებული და სწრაფი პროცედურით საქმის განხილვას მოსამართლის ან მაგისტრატის მიერ ერთპიროვნულად, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე (იხ. *The Oxford Companion to Law*, Clarendon Press – Oxford, 1980, გვ.1197).

³³ ***in facie curiari* – სასამართლოს წინაშე.**

³⁴ აღსანიშნავია, რომ კიბრიანუს საქმის პირველი განხილვის დროს (24 იანვარი 2004წ.) ევროპული სასამართლოს პალატამ საერთოდ უარყოფითად შეაფასა სასამართლოს წინაშე ჩადენილი სასამართლოსადმი უპატივცემულობის საქმეთა განხილვა შემჭიდროებული პროცედურით, ანუ – დაუყოვნებლივ და იმავე სასამართლოს მიერ, ვის წინაშეც იგი სავარაუდოდ იქნა ჩადენილი. პალატამ მიუთითა, რომ კვიპროსში არსებული ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 მუხლს და საერთო სამართლის არასწორ გაგებას ეფუძნებოდა (§37). მან აუცილებლად მიიჩნია ყველა შემთხვევაში საქმის ორდინარული გამოძიებისათვის გადაცემა და მისი განხილვა სხვა სასამართლოს მიერ. საქმის დიდ პალატაში განხილვის დროს მე-3 მხარედ ჩართული სახელმწიფოების (გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, მალტა) მთავრობებმა წარმოადგინეს საწინააღმდეგო მოსაზრებები და პალატის პოზიციას „მცდარი“ უწოდეს. მათ მიუთითეს, რომ კვიპროსის პოზიცია ამ საკითხში ზუსტად ისეთივე იყო, როგორც საერთო სამართლის სხვა ქვეყნებისა. მათი აზრით, შემჭიდროებული სამართალწარმოების გამოყენება „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ საქმეებში საერთო სამართლით კარგად დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენდა; ემსახურებოდა სასამართლოს ავტორიტეტის დაცვისა და მართლმსაჯულების პროცესის დაუბრკოლებელი განხორციელების ამოცანას; ნაკარნახევი იყო პრაქტიკული მოსაზრებებით და იმავდროულად წარმოადგენდა ეფექტიან შემაკავებელ საშუალებას. მათი დასკვნით, პალატის მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა უგულვებელყოფდა სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების არეს და საერთო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს. (ფაქტობრივად იგივე აზრი გამოხატეს ევროპული სასამართლოს მოსამართლეებმა **სერ ნიკოლას ბრატცამ და ბ-ნმა პელონამ** თავიანთ „თანმხვედრ აზრში“). როგორც ჩანს, სწორედ ამ მოსაზრებების გამო დიდმა პალატამ თავი აარიდა შემჭიდროებული სამართალწარმოების ავ-კარგიანობასა და კონვენციის მე-6 მუხლთან მის შესაბამისობაზე ზოგად მსჯელობასა და საკითხი კონკრეტული საქმის კონტექსტის მიხედვით გადაწყვიტა. მან შეაფასა, გამოიწვია თუ არა შემჭიდროებული სამართალწარმოების გამოყენებამ მოცემულ შემთხვევაში კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა და ვინაიდან დადებით დასკვნამდე მივიდა, აღიარა ამ მუხლის დარღვევა.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ, ერთი მხრივ, ადვოკატმა სასამართლოს გაკრიტიკებისას დაარღვია „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები, პროფესიული ქცევის სტანდარტები და ისეთი ფორმით განახორციელა ის, რომ ზიანი მიაყენა სასამართლოს ავტორიტეტსა და ღირსებას. მეორე მხრივ კი, მოსამართლეებმა, აღნიშნულ კრიტიკაზე შეპასუხებისას დაარღვიეს „თავშეკავებულობის“ მოვალეობა და ისეთი განცხადებები გააკეთეს, რომლითაც ეჭვქვეშ დააყენეს თავიანთი მიუკერძოებლობა. ორივემ ერთად კი (ადვოკატმა და სასამართლომ) თავიანთი აზრის თავშეუკავებელი გამოხატვით ზიანი მიაყენეს სასამართლოსადმი ხალხის ნდობის შენარჩუნებას.

კიპრიანუს საქმე ნათელი მაგალითია იმისა, რომ სასამართლოსადმი ხალხის ნდობის შენარჩუნებას, რის გამოც სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიულ საზოგადოებაში, სრულიად სხვადასხვა გზით შეიძლება საფრთხე შეექმნას. სწორედ ამიტომაც, რომ სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად გამართლებულად შეიძლება იქნას მიჩნეული ნებისმიერი პირის – როგორც პროცესის მონაწილე მხარის,³⁵ ადვოკატის, ჟურნალისტის თუ საზოგადოების სხვა წარმომადგენლის, ისე საკუთრივ მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

³⁵ მაგალითისათვის იხ. საქმე *Saday v. Turkey* (judgment of 30 March 2006), რომელიც შეეხებოდა ბრალდებულის დასჯას „სასამართლოსადმი უპატივცემულობისათვის“ მხარეთა კამათის დროს სასამართლოსადმი მტრული დამოკიდებულების გამოხატვისათვის. საგულისხმოა, რომ მისი გამონათქვამები იყო აბსტრაქტული და არ შეეხებოდა მოსამართლეებს პერსონალურად. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა, რომ ბრალდებულის მიერ აზრის გამოხატვამ საფრთხე შეუქმნა მართლმსაჯულების ნორმალურად განხორციელებას და ამიტომ მიიჩნია, რომ მისი დასჯა ემსახურებდა სასამართლოს ავტორიტეტის დაცვას. თუმცა, კონვენციის მე-10 მუხლი მაინც დარღვეულად ცნო სასჯელის არათანაზომიერების გამო.

თ ა ვ ი 10

გამონათვის თავისუფლება სალკაულ სფეროებში

§10.1. ჯანმრთელობის დაცვის ინტერესი და გამონათვის თავისუფლება

საქმეები, სადაც გამონათვის თავისუფლება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესის დასაცავად შეიზღუდა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში თითოთოროლაა; თუმცა საკმაოდაა ისეთი საქმეები, რომლებიც ჯანმრთელობის სფეროს სხვადასხვაგვარად უკავშირდება. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება, მაგალითად, საქმეები, სადაც საკუთრივ გამონათვლი აზრები თუ ინფორმაცია შეეხებოდა ჯანმრთელობის სფეროს, მაგრამ ისინი შეიზღუდა „სხვა პირთა უფლებების“ ან სხვა ინტერესების დასაცავად; ანდა, სადაც ჯანმრთელობის დაცვის ინტერესი გამონათვის თავისუფლების შეზღუდვის კი არა, პირიქით – მისი დაცულობის ერთ-ერთ საფუძვლად მოგვევლინა, და სხვ. მართალია, ასეთ საქმეთა მიმოხილვა ამ პარაგრაფში აუცილებლობას არ წარმოადგენდა (ვინაიდან ჩვენი ინტერესი უშუალოდ ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გამონათვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხებზეა ფოკუსირებული), მაგრამ, რამდენადაც ისინი ჯანმრთელობის სფეროს შეეხება, მათთან პარალელის გავლება, შედარება და შეჯერება, ვფიქრობთ, მაინც სასარგებლო იქნება საერთო სურათის შესაქმნელად და იმის გასარკვევად, თუ როგორია ევროპული სასამართლოს საერთო დამოკიდებულება ჯანმრთელობის დაცვის საჯარო ინტერესისადმი, რა მნიშვნელობა ენიჭება მას და რა გავლენას ახდენს ღირებულებათა კონფლიქტში ამ საჯარო ინტერესის მონაწილეობა „სამართლიანი ბალანსის“ ჩამოყალიბებაზე.

როგორია ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლები ჯანმრთელობის დასაცავად გამონათვის თავისუფლების შეზღუდვისას? ევროპული სასამართლოს მცირეოდენი პრაქტიკა არ იძლევა ამ მიმართებით თამამი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას; მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ფარგლები არც ისეთი ფართოა, როგორც მორალის ან ეროვნული უშიშროების დაცვის სფეროებში და არც ისეთი ვიწრო, როგორც პრესის თავისუფლების ანდა მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვისას. პოზიცია მკვეთრადაა გამონათვლი მხოლოდ ექიმების პროფესიული რეკლამის საკითხებთან მიმართებაში. ამ სფეროში სტრასბურგის სასამართლო ეროვნულ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების საკმაოდ ფართო არეს მიაკუთვნებს.

წინდაწინვე უნდა ითქვას, რომ „ჯანმრთელობის დაცვის“ საჯარო ინტერესი იშვიათადაა ერთადერთი საფუძველი გამონათვის თავისუფლების შეზღუდვისა. მასთან ერთად, საქმის გარემოებებისა და მიხედვით, ხშირად მიუთითებენ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სხვა კანონიერ მიზნებს. ყველაზე უფრო ხშირად - „სხვა პირთა უფლებების დაცვის“ ინტერესს, რომელშიც ზოგჯერ საკუთრივ „ჯანმრთელობის უფლება“ ნაგულისხმები. არის

„დანაშაულის თავიდან აცილების“, „საზოგადოებრივი უსაფრთხოების“, „მორალის დაცვის“ კანონიერ მიზნებთან ერთობლიობის შემთხვევებზეც.

მაგალითად, 2000 წელს ევროპულმა სასამართლომ მიუღებლად ცნო საჩივარი და გამართლებულად შეაფასა ერთ-ერთი წიგნის ავტორისათვის შეფარდებული სანქციები. აღნიშნული წიგნი შეეხებოდა კანაფის კულტივაციასა და წარმოებას და, ფაქტობრივად, წარმოადგენდა კანაფის კულტივაციის წაქეზებას.

ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ კანაფის წარმოების წაქეზება შესაბამისი სახელმწიფოს კანონით დანაშაულად იყო გამოცხადებული. შესაბამისად, მიიჩნია, რომ წიგნის ავტორის დასჯა მთლიანად თავსდებოდა ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლებში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გამართლებული იყო დანაშაულის თავიდან აცილებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებით და რომ არსებობდა ჩარევისათვის აუცილებელი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დამადასტურებელი „შესაბამისი და საკმარისი საფუძველი“.¹

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა პირთა უფლებების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კლასიკური შემთხვევებია პროფესიონალი ექიმებისათვის თავიანთი პროფესიული საქმიანობის რეკლამირების აკრძალვა.

მართალია, აღიარებულია, რომ ასეთი რეკლამები კომერციულ მიზნებთან ერთად, ჯანმრთელობის პროფესიული მომსახურების მიზნებსაც ისახავს და ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა სასარგებლოც კი იყოს, მაგრამ ამ გარემოებათა მიუხედავად, მათი შეზღუდვა ემყარება პრინციპულ მოსაზრებას, არ იქნას დაშვებული ამ სფეროებში კომერციული კონკურენცია, რადგან იგი, საბოლოო ჯამში შეიცავს არასწორი არჩევანის გაკეთების რისკს და, მაშასადამე, ჯანმრთელობის დაზიანების რისკსაც. ასე რომ, რაოდენ კონტრადიქტორულადაც არ უნდა ჟღერდეს, იდეები და ინფორმაციები, რომლებიც მიზნად ისახავს „ჯანმრთელობის პროფესიულ მომსახურებას“, ადამიანთა უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესების გამო იზღუდება.

ასეთი მიდგომა ხაზგასმით დააფიქსირა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, როდესაც 1987 წელს მიუღებლად ცნო საჩივარი, რომელიც შეეხებოდა საფრანგეთის კანონებით დადგენილ შეზღუდვებს მედიკოსების მიმართ, რომლებიც ითვალისწინებდა პროფესიული რეკლამის აკრძალვას მაშინაც კი, როდესაც ისინი ჯანმრთელობის პროფესიულ მომსახურებას ისახავდნენ მიზნად.²

1999 წელს კომისიამ გამართლებულად მიიჩნია ექიმის მიერ (რომელსაც სურდა პოტენციური პაციენტების ყურადღება მიექცრო ჰომეოპათიური მედიცინისადმი) სარეკლამო განცხადებების გავრცელების უფლების შეზღუდვა. მან აღნიშნა, რომ „კონვენციის ორგანოები არ უნდა შეედავონ თავიანთი

¹ Appl. 42015/98. *M. Marrow v. the United Kingdom* (5 December 2000)

² Appl. N 10267/83. *Jean Alexandre and others v. France*, decision of 10 December 1987. D.R.54. გვ.5.

შეფასებებით კომპეტენტურ სამედიცინო ორგანოებს, რომლებმაც გონივრულ საფუძველზე დაყრდნობით, აუცილებლად მიიჩნიეს შეზღუდვა.³

თუმცა, ევროპული სასამართლო, მიუხედავად შეფასების თავისუფლების დიდი ფარგლებისა, ყოველთვის როდი იზიარებს ეროვნული ხელისუფლების პოზიციას შეზღუდვის აუცილებლობის საკითხზე. ცხადია, ეს მაშინ ხდება, როდესაც მიიჩნევა, რომ პუბლიკაცია პროფესიულ რეკლამას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხის გაშუქებას. შესატყვისი მაგალითია საქმე *Stambuk v. Germany*.

მომჩივანი – ექიმი-ოფთალმოლოგი დააჯარიმეს 10000 მარკით იმის გამო, რომ დაარღვია პრაქტიკოსი ექიმების მიერ თავიანთი საქმიანობის რეკლამირების აკრძალვის წესი. გაზეთში გამოქვეყნდა სტატია თვალის ოპერაციის მის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდების შესახებ (კერძოდ, საუბარი იყო ლაზერის მეთოდის გამოყენებაზე); სტატიას თან ახლდა ექიმის ფოტოსურათი სამუშაო კაბინეტში; სტატიაში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ მასთან მკურნალობა გაიარა 400-მდე პაციენტმა მკურნალობის წარმატების 100%-იანი მაჩვენებლით. დისციპლინურმა სასამართლომ სტატია და ფოტოსურათი შეაფასა, როგორც რეკლამისათვის დამახასიათებელი თვისებების მქონე პუბლიკაცია, რომელიც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემით.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პრაქტიკოსი ექიმების საქმიანობის ზოგადი პროფესიული ნორმები წარმოადგენდა საერთო გამართლებას რეკლამაში მათი მონაწილეობის შეზღუდვისა; მაგრამ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესები გაწონასწორებული უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი ინტერესებით, კერძოდ – მათი უფლებით, მიეღოთ ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხზე.

სტატია საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას სამედიცინო ხასიათის საერთო პრობლემებზე და ოპერაციის მეთოდიკა მთლიანობაში ობიექტურად იყო გაშუქებული. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ აღმოაჩინეს სტატიაში უსწორო ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, მათ შორის – ოპერაციის ახალი მეთოდიკის გამოყენების შედეგების თაობაზე, რომელიც დამტკიცებული იყო გამოცდილებითა და რეალური ფაქტებით. ეს კი წარმოადგენდა მკურნალობის ახალი მეთოდის პრეტენზიის მნიშვნელოვან ელემენტს. გარდა ამისა, ფოტოსურათის გამოქვეყნება ვერ ჩაითვლებოდა ვერც აკრძალული ან არაობიექტური ინფორმაციის გამოქვეყნებად და, ვერც – შეცდომაში შემყვან რეკლამად. სტატიის მთავარ მიზანს არ წარმოადგენდა ექიმის პიროვნებისა და მისი პრაქტიკის რეკლამირება; ამას მხოლოდ მეორადი მნიშვნელობა გააჩნდა. ასეთ გარემოებებში ეროვნული სასამართლოების შეფასება ვერ იქნებოდა მიჩნეული, როგორც გამოხატვის თავისუფლებისათვის შესაბამისი. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს ჩარევამ ვერ დაადგინა გონივრული ბალანსი კონფლიქტურ ინტერესებს შორის; კერძოდ, ერთი მხრივ, – ჯანმრთელობის დაცვის საჯარო ინტერესსა და გამოხატვის თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, – სხვა

³ *Colman v. The United Kingdom*. A. 258, 1999. (com.per. §39).

პრაქტიკოსი ექიმების უფლებებსა და ინტერესებს შორის. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.⁴

სხვათა ჯანმრთელობის უფლებების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ხშირად უკავშირდება აბორტის თემას.

1995 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მიუღებლად ცნო საჩივარი და მიუთითა, რომ აბორტის მოწინააღმდეგისათვის დაწესებული სასამართლოს აკრძალვა, დაერიგებინა აბორტის საწინააღმდეგო შეხედულებების გამომხატველი ფურცლები იმ კლინიკის უშუალო სიახლოვეში, სადაც აბორტის პრაქტიკა ხორციელდებოდა, აუცილებელი იყო სხვათა ჯანმრთელობის უფლებების დასაცავად.⁵

საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი იმან ითამაშა, რომ აბორტის საწინააღმდეგო შეხედულებების გავრცელება იმ კლინიკის უშუალო სიახლოვეში ხდებოდა, რომელიც აბორტის პრაქტიკას ეწეოდა. კომისიის დასკვნა, რომ „ასეთ ადგილას“ „ასეთი შეხედულებების“ გავრცელების შეზღუდვა უცილებელი იყო სხვათა უფლებების დასაცავად, ეჭვებს იწვევს. რა თქმა უნდა, მოცემულ შემთხვევაში გაზრდილი იყო რისკი იმ ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენისა, ვისთვისაც ორსულობა საშიშროებას წარმოადგენდა და ვისაც გადაწყვეტილი ჰქონდა აბორტის გაკეთება. შესაბამისად, გაზრდილი იყო რისკი მათი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისა. მაგრამ, ის გარემოება, რომ შეხედულებების ასეთი გავრცელება ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რეალურ საშიშროებას ქმნიდა, საკამათოდ გვესახება. აბორტის საწინააღმდეგო შეხედულებები ისედაც ფართოდ არის გავრცელებული. ისინი არ იკრძალება, ვინაიდან ადამიანების ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების უშუალო და რეალურ საფრთხეს არ ქმნიან. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ამის რისკი გაზრდილი იყო, მაგრამ არსებობდა თუ არა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ ასეთი შეხედულებების გავრცელების შეზღუდვისა და, შესაბამისად, „საკმარისი“ საფუძველი საამისოდ, ამაზე დადებითი პასუხის დაბეჯითებით გასაცემად, ვფიქრობთ საკმარისი არგუმენტები არ არსებობს. მოცემულ შემთხვევაში, შეხედულებების შესაბამის პირობებში გავრცელების „მაკნებლობა“ არ აღწევდა იმ ხარისხს, რომ გაემართლებინა მისი შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“.

კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას: კომისიამ ამ საქმეში შეზღუდვის გასამართლებლად მხოლოდ „სხვა პირთა უფლებებზე“ მიუთითა. უფრო მართებული იქნებოდა „ჯანმრთელობის დაცვის“ საჯარო ინტერესზე მითითებაც. არსებითად, ასეთ კვალიფიკაციას სირთულეები არ გამოუწვევია და არც შეიძლებოდა გამოეწვია, ვინაიდან „სხვა პირთა უფლებებში“ სწორედ „ჯანმრთელობის უფლება“ იყო ნაგულისხმები. ცალკე თემაა იმის გარკვევა, რამდენად აუცილებელია გაიმიჯნოს – როდისაა „ჯანმრთელობის დაცვა“ „საჯარო ინტერესი“ და როდის - „სხვა პირთა უფლებები“. ამ მიმართებით კვლევა ბუნებრივად დაიყვანება იმის გარკვევამდე, შეიძლება თუ არა გამოხატვის

⁴ *Stambuk v. Germany*, judgment of 17 October 2002.

⁵ *H.J. Van Den Dungeon v. the Netherlands*, decision of 22 February 1995.

თავისუფლებამ ხელყოს ჯანმრთელობის დაცვის საჯარო ინტერესი, მაგრამ არ ხელყოს ჯანმრთელობის ინდივიდური უფლება და პირიქით. ამ საკითხზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს და იქნებ სქოლასტიკურ ჩიხშიც მოგვამწყვდიოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ „კანონიერ მიზანთა“ მითითების დროს სიზუსტისა და შესაბამისობის დაცვა ფორმალური თვითმიზანი არ არის. მას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას, რადგანაც ამა თუ იმ შეზღუდვის აუცილებლობა, ისევე, როგორც შემზღუდველი ღონისძიებების თანაზომიერება სწორედ ამ მიზნებთან მიმართებაში ფასდება; რაც ჯანმრთელობის, როგორც საჯარო ინტერესის დასაცავად „აუცილებლად“ და „თანაზომიერად“ ჩაითვლება, „ჯანმრთელობის უფლების“ მიმართ შესაძლოა ასეთად არ შეფასდეს; ისევე, როგორც პირიქით.

ამ მიმართებით ევროპული კომისიისა თუ ევროპული სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე შეინიშნება უზუსტობანი და ამდენად მივიჩნიეთ საჭიროდ ამ კონკრეტული საქმის მაგალითზე ყურადღების გამახვილება ამ ერთი შეხედვით არაარსებით საკითხზე.

რაც შეეხება ჯანმრთელობის სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საქმეებს, მათში საქმეთა რამდენიმე კატეგორია შეიძლება გამოვყოთ. საქმეთა ერთი წყება უკავშირდება ისეთ შემთხვევებს, როდესაც „გამოხატვა“ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ისახავდა მიზნად, მაგრამ მაინც შეიზღუდა „სხვა პირთა უფლებების დაცვის“ ან სხვა ინტერესებით. უმეტესწილად, ეს ის შემთხვევებია, როდესაც ხდება ჯანმრთელობის სფეროში მეცნიერულად დაუსაბუთებელი შეხედულებებისა თუ დაუმტკიცებელი ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ისეთ პირობებში, როდესაც მათ შეიძლებოდა უკუეფექტი ჰქონოდა და სხვადასხვა ინტერესებისათვის მხოლოდ ზიანის მიყენების საფრთხე შეექმნათ. მაგალითად, საქმეში *Hertel v. Switzerland* მომჩივნის მიერ აზრის გამოხატვა, ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას ისახავდა მიზნად, მაგრამ იგი შეიზღუდა (თუმცა, ნაწილობრივ) სხვა პირთა უფლებების დასაცავად. ეს ის საქმეა, რომელიც შეეხებოდა მომჩივნის შეხედულებებს მიკროტალღოვან ლუმენში დამზადებული საკვების მავნებლობაზე. ეროვნულმა სასამართლომ მომჩივანს აუკრძალა, ფართო აუდიტორიის წინაშე ემტკიცებინა, რომ ყოველივე ეს მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტს წარმოადგენდა და არ აღენიშნა ამ საკითხზე განსხვავებული აზრების არსებობის შესახებ. ევროპულმა სასამართლომ ეს შეზღუდვა გამართლებულად ცნო იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ მომჩივნის მტკიცებები მართლაც არ წარმოადგენდა მეცნიერულად დამტკიცებულ ფაქტს. ამიტომ, მომჩივნის დავალებულება, თავისი აზრის გამოხატვის დროს აუცილებლად მიეთითებინა შესაბამის საკითხზე განსხვავებული აზრების შესახებ, საშუალებას იძლეოდა, „არ გავრცელებულიყო ისეთი განცხადებები, რომლებიც შეიცავდა არაზუსტ ინფორმაციას, აბნევდა საზოგადოებას, ამასთანავე, არღვევდა კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპებს და ხელყოფდა კონკურენტი ასოციაციის (ელექტრო-საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მწარმოებელთა და მიმწოდებელთა

ასოციაციის) წევრთა უფლებებს. ევროპულმა სასამართლომ საჩივარი მიუღებლად ცნო.⁶

ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ისახავდა მიზნად ერთ-ერთი მედიკამენტის გამოყენების თანმდევი უარყოფითი შედეგების შესახებ ინფორმაციის გადაცემა რადიოთი საქმეზე *Schweizerische Radio und Fernsehgesellschaft (SRG) v. Switzerland*.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ინფორმაციის გადაცემის აკრძალვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა უფლებების დასაცავად. მან აღიარა, რამ, მართალია, ხალხის ჯანმრთელობაზე დებატები, კერძოდ კი – მედიკამენტების მოქმედების თანმდევი შედეგების საკითხი საერთო ინტერესის საგანს შეადგენდა, მაგრამ, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე შეეხებოდა მხოლოდ ერთ მედიკამენტს (რომელიც არ იყო უფრო მეტი ზიანის მომტანი, ვიდრე სხვა ეკვივალენტური პროდუქტები), ასეთი ინფორმაციის გავრცელება უსამართლო იყო. სასამართლოს აზრით, მომჩივან ასოციაციას ან თავი უნდა შეეკავებინა რომელიმე სპეციალური მედიკამენტის დასახელებისაგან, ანდა მედიკამენტების მთელ ჯგუფს უნდა შეეხებოდა. ევროპულმა სასამართლომ ასოციაციის საჩივარი მიუღებლად ცნო.⁷

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქმეთა ის კატეგორია, სადაც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საჯარო ინტერესი (ანდა „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ინტერესი“) გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის საფუძველი კი არ არის, არამედ პირიქით, მისი დაცულობის შენარჩუნების არგუმენტი.

მორალის დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილ პარაგრაფში ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ცნობილი საქმე *Open Door and Dublin Well Woman v. Ireland*, სადაც საკითხი შეეხებოდა ირლანდიაში იმ სააგენტოების საქმიანობის აკრძალვას, რომლებიც ქალებს ამარაგებდა ინფორმაციით საზღვარგარეთ აბორტის გაკეთების შესაძლებლობის შესახებ. ევროპულმა სასამართლომ სწორედ იმიტომ არ ცნო მორალის დასაცავად ასეთი სააგენტოების აკრძალვა გამართლებულად, რომ ასეთი ინფორმაციის არარსებობა საფრთხეში აგდებდა იმ ქალთა ჯანმრთელობას, ვისთვისაც ორსულობა საშიში იყო. ამ საქმეში გამოხატვის თავისუფლების დაცულობის გასამართლებლად დასახელებულ იქნა როგორც „ჯანმრთელობის დაცვის“ საჯარო ინტერესი, ისე „სხვა პირთა უფლებებიც“. ეს საქმე იმითაც იყო საინტერესო, რომ აქ, ფაქტობრივად, კონკურენციაში აღმოჩნდა არა გამოხატვის თავისუფლება და ჯანმრთელობის საჯარო ინტერესი, არამედ ორი საჯარო ინტერესი – ჯანმრთელობისა და მორალის დაცვისა. ამ საქმეში გამოხატვის თავისუფლება (ინფორმაციის გავრცელების უფლება) უპირისპირდებოდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალს (ევროპულმა სასამართლომ ვერ უარყო ეს გარემოება, ვინაიდან ირლანდიის კონსტიტუცია დაუბადებელი ბავშვების სიცოცხლეს იცავდა), მაგრამ, სამაგიეროდ, ხელს უწყობდა ჯანმრთელობის დაცვის, კერძოდ კი იმ ქალთა

⁶ Appl. N 5344099. *Hertel v. Switzerland*, decision of 17 January 2002.

⁷ Appl. N 43524/96. *Schweizerische Radio und Fernsehgesellschaft (SRG) v. Switzerland*, decision of 12 April 2001.

ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებს, ვისთვისაც ორსულობა საშიშროებას წარმოადგენდა. კონფლიქტის გადაჭრისას განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა „ინფორმაციის მიღების უფლებამ“, რომელსაც მოიცავს კონვენციის მე-10 მუხლი. რა თქმა უნდა, მით უმეტეს დიდია იდეებისა და ინფორმაციის მიღების უფლების მნიშვნელობა, როდესაც ისინი ადამიანთა ჯანმრთელობისათვის არის აუცილებელი. სწორედ ამიტომ, ევროპულმა სასამართლომ უპირატესობა გამოხატვის თავისუფლებასა და იმ ადამიანთა უფლებებს მიანიჭა, ვის ჯანმრთელობაც შეიძლება რეალური საფრთხე შექმნოდა იმ ინფორმაციის არარსებობისას, რომელსაც აკრძალული სააგენტოები ავრცელებდნენ.

ღირებულებათა კონკურენციის საინტერესო შემთხვევაა ქვემოთ მითითებული საქმეც, სადაც ჯანმრთელობისა და სხვა პირთა უფლებების დაცვის ინტერესებმა სასწორი გამოხატვის სასარგებლოდ გადახარა. ესაა საქმე *Bergens Tidende and Others v. Norway*.⁸

აქ გამოხატვის თავისუფლება ექიმის რეპუტაციის დასაცავად შეიზღუდა, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ ეს შეზღუდვა გაუმართლებლად მიიჩნია პრესის თავისუფლების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა პირთა უფლებების ინტერესებიდან გამომდინარე და ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

საქმე შეეხებოდა გაზეთის, მისი ყოფილი რედაქტორისა და ჟურნალისტის დაჯარიმებასა და მათთვის იმ ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, რომელიც მათ პლასტიკური ქირურგის რეპუტაციას მიაყენეს სტატიათა სერიალით, რომელშიც გადმოცემული იყო უკმაყოფილო პაციენტების გამოცდილება.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სტატიები შეეხებოდა ადამიანთა ჯანმრთელობის მნიშვნელოვან ასპექტს და წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს. მან გაითვალისწინა, რომ სტატიებში გადმოცემული ფაქტები, რომლებიც პაციენტებს შეეხებოდა, არსებითად ნამდვილი იყო და გაზეთის მიერ ისინი კეთილსინდისიერად იყო გადმოცემული. ის გარემოება, რომ მომჩივანმა გაზეთმა თავის სტატიებში ცალსახად არ გამოკვეთა აზრი, რომ ერთ-ერთი რესპონდენტი ქალბატონის შეფასებები არ უნდა დასდებოდა საფუძვლად ისეთი აზრის შექმნას, თითქოს ამ ექიმს ქირურგიული ოსტატობა არ გააჩნდა, ევროპული სასამართლოს შეხედულებით, არ იყო საკმარისი არგუმენტი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად. მან აღიარა, რომ პუბლიკაციას ნეგატიური ეფექტი ჰქონდა ექიმის პროფესიულ კარიერაზე და, რომ მან მნიშვნელოვნად დააზიანა მისი პროფესიული რეპუტაცია; მაგრამ მიიჩნია, რომ ექიმის ინტერესი, დაცული ყოფილიყო მისი პროფესიული რეპუტაცია, არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ გადაეწონა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი – პრესის თავისუფლება და ჯანმრთელობის დაცვის (ანუ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე) საკითხზე ინფორმაციის მიღების უფლება.

* * *

⁸ *Bergens Tidende and others v. Norway*, judgment of 2 May 2000, reports 2000-V, §51.

ზემოთ მიმოხილული საქმეები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჯანმრთელობის დაცვის საჯარო ინტერესის გავლენა ღირებულებათა სხვადასხვაგვარი კონფლიქტის გადაჭრაზე ყოველთვის არსებითია. ევროპული სასამართლო ამ საჯარო ინტერესის დაცულობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმის მიუხედავად, თუ რა როლს თამაშობს იგი ღირებულებათა შესაბამის კონფლიქტში და უპირისპირდება თუ არა ის გამოხატვის თავისუფლებას. როდესაც იგი გამოხატვის თავისუფლებას უპირისპირდება, იგი მნიშვნელოვნად ზრდის მისი შეზღუდვის გამართლებულად მიჩნევის შანსს, ხოლო როდესაც გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად იგი სხვა ღირებულებებთანაა კონფლიქტში, იგი ამ უფლების დაცულობის გამამართლებელ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ **სამართლიანი ბალანსი თითქმის ყოველთვის იმ მხარესაა გადახრილი, სადაც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესია ჩართული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ საჯარო ინტერესისათვის ზიანის მიყენების რეალურ საფრთხესთან გვაქვს საქმე.**

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკა, როდესაც შესაბამისი შემთხვევების დასაბუთებისას, მართალია მოიხსენიებენ „ჯანმრთელობის დაცვის“ საჯარო ინტერესს, მაგრამ უფლების შეზღუდვის უშუალო საფუძვლად მხოლოდ „სხვა პირთა უფლებებს“ მიუთითებენ (რომელშიც სწორედ „ჯანმრთელობის უფლებას“ გულისხმობენ), მართებულად არ მიგვაჩნია. ჩვენი შეხედულებით, შესაბამის შემთხვევაში ორივე კანონიერ მიზანზე მითითებაა საჭირო, ვინაიდან აქ მიზანთა ერთობლიობასთან გვაქვს საქმე და არა „ზოგადისა“ და „კერძოს“ კონკურენციასთან. ასეთი სიზუსტის დაცვა უფლების შეზღუდვისა და დაცულობის გამართლებულობის თაობაზე შესაბამისი დასკვნების ადეკვატური არგუმენტაციისათვის არის აუცილებელი.

§10.2. ტელე- და რადიო მაუწყებლობის სფერო

10.2.1. სპეციფიკა და ძირითადი პოზიციები

კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-3 წინადადებაში მითითებულია: „ეს მუხლი არ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება“.

თავისი არსით, ეს გამოხატვის თავისუფლების შემზღვეველი დებულებაა, მაგრამ მისი გამოყენება მხოლოდ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის კონტექსტშია შესაძლებელი. მე-10 მუხლის კონსტრუქციიდან გამომდინარე, ის, თუ რა შემთხვევაში იქნება ლიცენზირების მოთხოვნა კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისი და როდის იქნება ლიცენზიის მიცემაზე უარი მიჩნეული გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევად, მხოლოდ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს. ანუ, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში, აქაც, გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებულად მიჩნეული, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ამა თუ იმ საზოგადოებრივი მიზნის მისაღწევად.

შეიძლება ითქვას, რომ მე-10 მუხლის პირველ პუნქტში ამ დებულების (რომელსაც დათქმითი ხასიათი აქვს) არარსებობა, ისედაც არ გამოიწვევდა პრინციპულად განსხვავებულ შედეგებს ტელე- და რადიომაუწყებლობის სფეროში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას, ვინაიდან შესაბამისი შემთხვევები საერთო ფორმულების ჭრილში იქნებოდა განხილული. მაგრამ, ამის მიუხედავად, ასეთი დათქმის მიზანშეწონილობა კონვენციის ტექსტში, მაინც უდავოა, რადგან იგი შეეხება ლიცენზიის, ანუ წინასწარი ნებართვისა თუ აკრძალვის სფეროს. ეს კი, უფლებაში სერიოზულ ჩარევას გულისხმობს. როდესაც წინასწარი აკრძალვა სხვა სფეროს შეეხება, მაგალითად პრესას, აქ ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. ამიტომ, საკუთრივ კონვენციაში იმის ხაზგასმა, რომ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირების მოთხოვნა დაშვებულია, იმის მაჩვენებელია, რომ ჩარევის გამართლებულობის შეფასებისადმი მიდგომა შედარებით ლიბერალურია. დათქმითი დებულების ჩართვა პირველ პუნქტში და არა მეორეში, თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ ლიცენზიის მიცემაზე უარის სფეროში ეროვნული შეფასების თავისუფლება ძალიან ფართოა, ხოლო ევროპული კონტროლი – შესაბამისად ვიწრო. მაგრამ პრობლემაა იმის განსაზღვრა, თუ კერძოდ რა საკითხების განსაზღვრაა მოქცეული ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლებში და რა არა; შეუძლია თუ არა სახელმწიფოს დაარეგულიროს ლიცენზირების საკითხი პროგრამების შინაარსის მიხედვით თუ იგი ვალდებულია მხოლოდ ლიცენზირების ტექნიკური და ფინანსური მხარე გაითვალისწინოს. აღნიშნული პრობლემები

წარმოდგება ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით მაუწყებლობის გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობებით, რაც დარეგულირებას მოითხოვს.

აღამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ შეიმუშავეს შემდეგი პოზიციები:

ა) ტელე- და რადიომაუწყებლობის ბუნება – საეთერო დროის, თავისუფალი სიხშირეების შეზღუდული რაოდენობა და სხვა ტექნიკური ასპექტები მედიის სხვა საშუალებებისაგან განსხვავებულ რეგულირებას საჭიროებს. **კონვენცია არ ითვალისწინებს ლიცენზიის მიღების გარანტირებულ უფლებას** და ეს საკითხი ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლებშია მოქცეული; ეს იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფოს, სალიცენზიო სისტემის შემოღებისას, უფლება აქვს თავად განესაზღვროს და კანონით დააწესოს ამა თუ იმ სახის ლიცენზიის მიღების პირობები და უარი თქვას ლიცენზიის გაცემაზე, თუ ლიცენზიის მიღების მსურველი ვერ აკმაყოფილებს ამ პირობებს. სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლებშია აგრეთვე მოქცეული სახელმწიფოს უფლება, განსხვავებული მიდგომები დაადგინოს სახელმწიფო და კერძო კომპანიებისათვის, კომერციული და არაკომერციული დაწესებულებებისათვის, რელიგიური და არარელიგიური ორგანიზაციებისათვის, ფიზიკური პირებისათვის, სახელმწიფო თუ სატელიტური გადამცემების მიმართ და ა.შ. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგი ამ სფეროში; იზრუნოს პლურალისტული¹ და არაკომერციული სამაუწყებლო სისტემის შესაქმნელად და გადაცემათა ხარისხისათვის, რათა მაქსიმალურად იქნას დაკმაყოფილებული მოსახლეობის საჭიროებები და მოთხოვნები. სწორედ ამ მოსაზრებებს ეფუძნება ეროვნულ სახელმწიფოთათვის შეფასების თავისუფლების ფართო არეალის მიკუთვნება, რათა დაარეგულიროს ეს სფერო ადგილობრივი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ბ) სახელმწიფოს მხრიდან ასეთი რეგულირება ძირითადად ორგანიზაციულ და ტექნიკურ ასპექტებს უნდა მოიცავდეს და არ უნდა უშვებდეს დისკრიმინაციას. თავის მხრივ, ორგანიზაციულ-ტექნიკური ასპექტების რეგულირების დროს გამოყენებული სალიცენზიო ღონისძიებები უნდა აკმაყოფილებდეს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. ევროპულმა სასამართლომ განმარტა მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის ზემოაღნიშნული დათქმითი დებულების შინაარსი და მიუთითა, რომ მის მიზანს წარმოადგენდა იმის ცხადად და გარკვევით თქმა, რომ სახელმწიფოებს ნება ეძლეოდათ სალიცენზიო სისტემის საშუალებით დაერეგულირებინათ თავიანთ ტერიტორიაზე მაუწყებლობის ორგანიზაცია და განსაკუთრებით – მისი ტექნიკური ასპექტები. მანვე აღნიშნა, რომ ტექნიკური ასპექტები უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ლიცენზიის

¹ იგულისხმება ე.წ. „შიდა პლურალიზმი“ (*internal pluralism*), რომელიც არსებითაა ტელე- და რადიომაუწყებლობისათვის. მაუწყებლობის შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობის გამო, აუცილებელია არსებობდეს პროგრამების მრავალფეროვნება ყველა კატეგორიის ადამიანთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. როგორც ვიცით, „შიდა პლურალიზმის“ აუცილებლობა პრესასთან მიმართებაში არ წარმოშობა შესაძლებლობათა შეუზღუდველობის გამო; ამ საკითხზე იხ. **Georg Röss, Media Law in the context of the European Union and European Convention on Human rights** კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*, გვ.1175.

მიცემა ან მასზე უარი შეიძლებოდა დამოკიდებული ყოფილიყო სხვა გარემოებებზე, მათ შორის – შესაბამისი სადგურის ბუნებასა და მიზნებზე, მის პოტენციურ აუდიტორიაზე ეროვნულ, რეგიონულ თუ ლოკალურ დონეზე; ისევე, როგორც – შესაბამისი აუდიტორიის უფლებებსა და საჭიროებებზე. აქვე სასამართლომ დააზუსტა, რომ ამ გარემოებებს შეიძლებოდა გამოეწვია იმათ უფლებებში ჩარევა, ვისი მიზნებიც მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-3 წინადადების გაგებით კანონიერი იყო, მაშინაც კი, თუ ისინი არ შეესაბამებოდნენ მე-2 პუნქტში მითითებულ მიზნებს. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ყოველი ასეთი ჩარევის შეთავსებადობა მე-2 პუნქტის მოთხოვნების ჭრილში უნდა ყოფილიყო შეფასებული.²

გ) მართალია, მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი სახელმწიფოს ნებას რთავს გადაწყვიტოს, ვის მისცეს ლიცენზია და ვის არა, მაგრამ ევროპული სასამართლოს აზრით, აქედან არ გამომდინარეობს სახელმწიფოს შეუზღუდავი უფლება, უარი თქვას ლიცენზიის გაცემაზე რადიომაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო მონოპოლიის შენარჩუნების მიზნით. მან უარყო კომისიის მიერ ადრეულ გადაწყვეტილებაში დაკავებული პოზიცია,³ რომლის მიხედვით, რადიომაუწყებლობის სფეროში ეროვნული შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლები სახელმწიფოს ანიჭებდა მონოპოლიის შენარჩუნების უფლებას. დაადგინა, რომ მონოპოლიის შენარჩუნების მიზნით ლიცენზიაზე უარის თქმა უნდა შეფასებულიყო მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და მაშასადამე, მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა გამართლებულად, თუ დადგინდებოდა, რომ ამ მიზნით ლიცენზიაზე უარის თქმა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁴

დ) სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს სანქციები იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც ლიცენზიის გარეშე მოქმედებენ და, ეს არ განიხილება მე-10 მუხლის დარღვევად.⁵ მაგრამ, ამავე დროს, ის გარემოება, რომ საწარმო ლიცენზიის გარეშე მოქმედებს, არ აძლევს სახელმწიფოს იმის უფლებას, რომ ჩაერიოს პროგრამების მიღებაში.⁶

ე) დასაშვებიაა მიჩნეული, სალიცენზიო უფლებამოსილება სახელმწიფომ გამოიყენოს იმაში, რომ ტელე- და რადიომაუწყებლობის სფერო დაარეგულიროს პროგრამების შინაარსის მიხედვით. მაგრამ შინაარსობრივი რეგულირების დროს სახელმწიფო უნდა ხელმძღვანელობდეს პლურალიზმისა და ბალანსის პრინციპებით. ამასთან, შინაარსის მიხედვით შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ მიზნებს⁷ (თუმცა, ცხადია, რომ სატელიტურ მაუწყებლობაზე, რამდენადაც იგი სახელმწიფოს ტერიტორიის

² *Informationsverein Lentia and others v. Austria*, judgment, of 24 November 1998. Series A; N 276; §32. *Groppera Radio AG and others v. Switzerland*, judgment of 28 March 1990.

³ *X. v. Sweden*, 3071/67, 26 CD 71, decision of 7 February 1968.

⁴ *Informationsverein Lentia and others v. Austria*, judgment of 24 November 1998. Series A; N 276.

⁵ *X. v. Sweden*

⁶ *Radio X. S. and W. v. Switzerland*, decision of 17 May 1984.

⁷ *Purcell and others v. Ireland*, DR, 70, decision of 16 April 1991.

ფარგლებს გარედან წარმოდგება, სახელმწიფო მისი პროგრამების შინაარსზე კონტროლს ვერ ახორციელებს).

ვ) თავისებურია დამოკიდებულება უცხოეთის მაუწყებლობის მიმართ. ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია ის მიზეზები, რომელთა გამოც სახელმწიფო დაინტერესებულია გააკონტროლოს უცხოური პროგრამები შინაარსობრივად (მაგალითად, დაიცვას ეროვნული კულტურა), მაგრამ, მეორე მხრივ, მხედველობაშია მისაღები, რომ მე-10 მუხლი უზრუნველყოფს „ინფორმაციისა და იდეების მიღებას... საზღვრების მიუხედავად“. ამას გარდა, ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, არ დაუშვან დისკრიმინაცია უცხოეთის მაუწყებლობის მიმართ. ამიტომ ევროპული სასამართლო ცდილობს შეიმუშაოს ამ მიმართებით შეზღუდვის დასაშვები სტანდარტები ამ სფეროში საერთაშორისო რეჟიმის ხელშესაწყობად.

ამრიგად, მიუხედავად ტელე- და რადიომაუწყებლობის სფეროში ეროვნული შეფასების დიდი თავისუფლებისა, ევროპული ზედამხედველობა ვრცელდება ყოველგვარ შეზღუდვაზე. შეფასება ხორციელდება ყოველთვის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის კრილში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ არ იყო შეზღუდვა თვითნებური ან დისკრიმინაციული, ანდა რომ არ ხელყოფდა ის კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს.

ამ სფეროსთან დაკავშირებული საქმეების უმრავლესობა შეეხებოდა ლიცენზიის მიცემაზე უარის თქმას სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობისათვის ანდა ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული მიზეზების გამო. აგრეთვე ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სამაუწყებლო კომპანიას უარი ეთქვა ლიცენზიაზე იმის გამო, რომ იგი ცდილობდა კანონის გვერდის ავლით მოეპოვებინა შესაბამისი მაუწყებლობის უფლება.

საქმეთა ერთი წყება უკავშირდება განსხვავებულ თემას – უფლებას საეთერო დროზე წინასაარჩევნო კამპანიისა თუ სხვა კონტექსტში. ქვემოთ მიმოხილული საქმეებიდან კარგად ჩანს, როგორ იქმნებოდა ევროპული იურისპრუდენცია ამ სფეროში და რა გავლენას ახდენდა ტელე-რადიოკომუნიკაციების სწრაფი განვითარება ახლებური მიდგომების ჩამოყალიბებაზე.

10.2.2. საქმეების მიმოხილვა

ა) ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებები

1968 წელს ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ ტერმინი „ლიცენზია“ არ უნდა გაგებულ იქნას იმგვარად, რომ ის სავსებით გამორიცხავდა სახელმწიფო მონოპოლიას, როგორც ასეთს.⁸

1978 წელს კომისიამ ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა რამდენიმე პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემას აფიშების საშუალებით უკანონო მაუწყებლობის რეკლამისათვის, დაადგინა, რომ

⁸ Appl. N3071/67; *X v. Sweden*, decision of 7 February 1968. Reports 26. გვ.71.

სახელმწიფოს ჰქონდა უფლება, კონვენციის დებულებათა შესაბამისად გაეტარებინა ღონისძიებები იმათ წინააღმდეგ, ვინც შეეცადა გვერდი აეგლო დადგენილი სალიცენზიო მოთხოვნებისათვის.⁹

1984 წელს კომისიამ მიუღებლად ცნო საჩივარი, რომელიც შეეხებოდა განსაზღვრული სატელევიზიო პროგრამების დისტრიბუტორებისათვის დაწესებულ საკანონმდებლო აკრძალვას, მოეხდინათ მომჩივნის მიერ შექმნილი პროგრამების დისტრიბუცია. კომისიამ დაადგინა, რომ, რამდენადაც მე-10 მუხლი სახელმწიფოს აძლევდა უფლებას, მოეთხოვა სამაუწყებლო საწარმოთა ლიცენზირება, სავსებით ლეგიტიმური იყო სახელმწიფოსათვის, გაეტარებინა ღონისძიებები სალიცენზიო პირობების გვერდის ავლის აღსაკვეთად. იმავდროულად მან მიუთითა, რომ ეს არ ეწინააღმდეგებოდა საკუთრივ მაუწყებლობის უფლებას და **რომ მაუწყებლობის უფლება მოიცავდა თავისუფლებას მაუწყებლობის მიღებაში ჩარევისაგან.**¹⁰

1986 წელს კომისიამ მიუღებლად გამოაცხადა საჩივარი იმ რადიოსადგურების წარმომადგენლებისა, რომლებიც მუშაობდნენ ბელგიაში შესაბამისი ლიცენზიის გარეშე და გაიმეორა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა უფლება, გაეტარებინა ღონისძიებები სალიცენზიო პირობების გვერდის ავლის აღსაკვეთად.¹¹

იმავე წელს განხილულ ერთ საქმეში, სადაც ადგილობრივი სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემა აკრძალა ისეთ სადგურს, რომელსაც შესრულებული ჰქონდა ყველა სამართლებრივი პირობა შესაბამისი ლიცენზიის მოსაპოვებლად, კომისიამ მიუთითა: „სახელმწიფოებს არა აქვთ სალიცენზიო სისტემის სფეროში შეუზღუდავი თავისუფლების ფარგლები. თუმცა კონვენცია არ ითვალისწინებს ლიცენზიის გარანტირებულ უფლებას მაუწყებლობისათვის, მაგრამ სახელმწიფოს უარი ლიცენზიის მიცემაზე არ უნდა იყოს ამკარად თვითნებური, დისკრიმინაციული, კონვენციის პრეამბულის პრინციპებისა და მასში უზრუნველყოფილი უფლებების საწინააღმდეგო. ამიტომ, სალიცენზიო სისტემა, რომელიც არ უზრუნველყოფდა პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნებს, როლის გარეშეც არ არსებობდა დემოკრატიული საზოგადოება, დაარღვევდა კონვენციის მე-10 მუხლის პირველ პუნქტს“.¹²

1991 წელს კომისიამ განიხილა არაკომერციული სამაუწყებლო დაწესებულების საჩივარი, რომელსაც დაავალდებულეს გადაეხადა ფინანსური კომპენსაცია საფეხბურთო მატჩის რადიო და ტელე გადაცემისათვის. კომისიამ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი მოპასუხე სახელმწიფოს არ ავალდებულებდა, უზრუნველყო ასეთი მატჩების უფასო რეპორტაჟის უფლება, ვინაიდან შესაბამისი საფეხბურთო მატჩის ჩატარება ფინანსურად უზრუნველყოფილი იყო წინასწარი შენატანებით, რომლებიც გაღებული იყო

⁹ Appl. N 8266/78 *X v. The United Kingdom. Radio Carolina*, decision of 4 December 1978. D.R.16. გვ.190.

¹⁰ Appl. N 10799/84; *Radio 24 AG. S.W. and A. v. Switzerland*, decision of 17 May 1984. D.R.37. გვ.236.

¹¹ Appl N 10405/89 *X. and Others v. Belgium. Radio Scorpio*, decision of 5 March 1986.

¹² Appl. N 10746/84. *Verein Alternatives Lokalradio Bern and Radio Dreyockland Basel v. Switzerland*, decision of 16 October 1986. D.R. 49. გვ.126.

როგორც ხალხის, ისე ტელევიზიისა და რადიოს მიერ, რათა მოეპოვებინათ მატჩების მაუწყებლობის უფლება. ამიტომ, საჩივარი მიუღებლად იქნა ცნობილი.¹³

1993 წელს კომისიამ განიხილა ორი საჩივარი. ერთი მათგანი შეეხებოდა ლიცენზიის მიცემაზე უარს, მეორე კი – ლიცენზიის უკან გამოთხოვას სახელმწიფოს მიერ. პირველ შემთხვევაში მოპასუხე სახელმწიფო დაეყრდნო თავის კანონს, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ფიზიკურ პირს, ინდივიდუალურად, არ შეიძლებოდა გადასცემოდა მაუწყებლობის ნებართვა. მეორე შემთხვევაში ლიცენზია მიეცა არაკომერციულ დაწესებულებებს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მისი ნამდვილი მიზანი კომერციული იყო, სახელმწიფომ უკან გამოითხოვა იგი. ორივე საჩივარი კომისიამ მიუღებლად ცნო.¹⁴

ასევე მიუღებლად გამოაცხადა კომისიამ საჩივარი, რომელიც შეეხებოდა უარს ადგილობრივი დაბალი ძაბვის ტელევიზიისათვის სიხშირის ხაზის გადაცემაზე. კომისიამ მიიჩნია, რომ ასეთი ჩარევა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად და სხვათა უფლებების დასაცავად. კომისიამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას მიანიჭა, რომ მოძივანი, ფაქტობრივად, ცდილობდა, უკანონოდ მოეპოვებინა ლოკალური ტელევიზიის ქსელი, რომლის უფლებამოსილება ვრცელდებოდა ქვეყნის ტერიტორიის ძალიან დიდ ნაწილზე.¹⁵

„სხვათა უფლებების დაცვის“ სასარგებლოდ გადაწყდა იმ საქმეთა ბედი, რომლებიც შეეხებოდა ორი სამაუწყებლო კომპანიისათვის უარის თქმას, გაეგრძელებინა თავისი პროგრამები ჰოლანდიური საკაბელო ქსელის მეშვეობით. კომისიამ გაიზიარა მოსაზრება, რომ ეს აკრძალვა ემსახურებოდა პლურალისტული და არაკომერციული სამაუწყებლო სისტემის დაცვასა და შენარჩუნებას, ამ სისტემაში განსხვავებულ აზრთა გამოხატვის უზრუნველყოფას, და მაშასადამე – „სხვათა უფლებების დაცვის“ კანონიერ მიზანს. მოძივან კომპანიებს ქსელის მეშვეობით პროგრამების გადაცემაზე იმიტომ ეთქვათ უარი, რომ ისინი არ მიიჩნიეს „უცხოეთის სამაუწყებლო კომპანიებად“.¹⁶

1997 წელს კომისიამ მიუღებლად ცნო საჩივარი, რომელიც შეეხებოდა ლიცენზიის მიცემაზე უარს სატელევიზიო არხის ამოქმედებისათვის. კომისიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ეს უარი გამართლებული იყო თავისუფალი სიხშირეების შეზღუდული რაოდენობით.¹⁷

კომისიამ მიუღებლად ცნო აგრეთვე საჩივრების მთელი წყება, რომლებიც შეეხებოდა მიმღები ანტენების უნებართვო დადგმას.¹⁸

¹³ Appl N 13920/88. *Netherlands Omroepprogramma stichting v.the Netherlands*, decision of 11 July 1994. D.R.71. p.126.

¹⁴ Appl. N 17505/90; *C. Nydahl v. Sweden*, decision of 11 January 1993; Appl. N 18424/91. *Röda Kovsets Ungdomsförbund and others v. Sweden*, decision of 15 January 1993.

¹⁵ Appl. N 18353/91. *M.N. v. Spain*, decision of 6 July, 1993.

¹⁶ Appl. N 18033/91. *Cable Music Europe LRD v. the Netherlands*, decision of 29 November 1993. Appl. N 21472/93. *X. SA v. The Netherlands*, decision of 11 January 1994; DR. 76. გვ.129.

¹⁷ Appl. N 27388/95; *N. Grauso v. Poland*, decision of 9 April 1997.

¹⁸ Appl. N 10462/83; *B. v. Federal Republic of Germany*, decision of 15 March 1984; D.R. 37. გვ.155; 10248/83 *Aebi v. Switzerland*, decision of 5 March 1985; D.R.41. გვ.141. 177713/91; *Schindewolf v. Federal Republic of Germany* decision of 2 September 1992.

თავის გადაწყვეტილებებში კომისიამ კარგად გამოკვეთა, რომ ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით ინფორმაციის მიღების თავისუფლება ყოველთვის არ გულისხმობდა ლიცენზირების მოთხოვნას. მაგრამ როდესაც საქმე შეეხებოდა უცხოური სატელევიზიო კომერციული გადაცემების გადმოტანას, ლიცენზიის მოთხოვნა გამართლებული იყო მე-10 მუხლის გაგებით, რადგანაც რეგიონული სახელმწიფო სამაუწყებლო ორგანო სარგებლობდა შეზღუდულ დროზე უპირატესი უფლებით. ამის გამო, მან სამართლიანად მიიჩნია ჰოლანდიის სახელმწიფო სამაუწყებლო ორგანოს გადაწყვეტილება რეგიონული პროგრამების განვითარების შესახებ, რომლის საფუძველზეც ერთ-ერთ კომპანიას უარი ეთქვა უცხოური კომერციული გადაცემების მისაღებად და გადმოსატანად ლიცენზიის მიცემაზე. ამ საქმეში არსებითი გახდა სწორედ ის, რომ საკითხი შეეხებოდა უცხოური პროგრამების გადმოტანას, რომელიც განიხილებოდა სამაუწყებლო საქმიანობის ისეთ სახედ, რომელიც ექვემდებარებოდა ლიცენზირებას.¹⁹

ბ) ევროპული სასამართლოს განჩინებები და გადაწყვეტილებები

ელექტრონულ მედიის შესახებ პირველი საქმე, რომელიც ევროპულმა სასამართლომ განჩინებით გადაწყვიტა იყო *Groppera Radio AG and others v. Switzerland*.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შვეიცარიის ხელისუფლების მიერ შვეიცარიის საკაბელო ქსელის ოპერატორის მიმართ დაწესებული აკრძალვა, გადმოეცა იტალიიდან პროგრამები, არ ხელყოფდა ამ კომპანიის უფლებას, გადაეცა ინფორმაცია და იდეები, რაც მე-10 მუხლით იყო გარანტირებული. მისი აზრით, ასეთი ჩარევა არ არღვევდა სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლებს, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ამ აკრძალვას საფუძველად დაედო არა შესაბამისი პროგრამების შინაარსი ან ტენდენციები, არამედ ის გარემოება, რომ, ფაქტობრივად, შვეიცარული სადგური საზღვრებს მიღმა სწორედ იმიტომ ფუნქციონირებდა, რომ გვერდი აეგლო კანონზე დაფუძნებული სატელეკომუნიკაციო სისტემისათვის შვეიცარიაში.²⁰

არანაკლებ ცნობილია მეორე შვეიცარული საქმე *Autronic AG v. Switzerland*: შვეიცარიის ხელისუფლებამ უარი უთხრა კომპანიას, გადაეცა არაკოდირებული სატელევიზიო პროგრამები საბჭოთა ტელეკომუნიკაციების სატელიტიდან. უარი ეფუძნებოდა მაუწყებლობის შესაბამისი სახელმწიფოს თანხმობის არარსებობას. ევროპული სასამართლოს აზრით, მართალია, ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს, კერძოდ საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების სისტემაში უწყსრიგობის აღკვეთასა და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებას, მაგრამ მიიჩნია, რომ ეროვნული ხელისუფლება გასცდა შეფასების თავისუფლების მისთვის მიკუთვნებულ ფარგლებს ასეთი ჩარევის განხორციელებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ის, თითქოს არაკოდირებული მაუწყებლობის ბუნება თავისთავად შეიცავდა რისკს იმისა, რომ ხალხს

¹⁹ Appl N 25987/94. *A.W.Hins and P.B. Nugenholt v. the Netherlands*, decision of 7 May 1996. D.R.84. გვ.135.

²⁰ *Groppera Radio AG and others v. Switzerland*, judgment of 28 March 1990, series A. N 173.

ყოველგვარი განზრახვის მიუხედავად მოეპოვებინა საიდუმლო ინფორმაცია, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. გარდა ამისა, სასამართლომ მხედველობაში მიიღო სატელიტური მაუწყებლობის სფეროში სწრაფი ტექნიკური და სამართლებრივი განვითარება და ამასთანავე ევროპული კონვენცია საზღვრებგარეშე ტელევიზიის შესახებ.²¹

აუდიოვიზუალური მედიის სფეროში სახელმწიფოს მონოპოლიური მდგომარეობის მე-10 მუხლთან შეთავსებადობის საკითხი გახდა მსჯელობის საგანი საქმეში *Informationsverein Lentia and Others v. Austria* (1993). ევროპული სასამართლოს აზრით, ის გარემოება, რომ ავსტრიაში საზედამხედველო უფლებამოსილება მედიაზე მთლიანად ეკუთვნოდა სახელმწიფო რეგულირების ეროვნულ ხელისუფლებას, თავისთავად, არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-10 მუხლს. ასეთ მონოპოლიურ სისტემას მართლაც შეეძლო სასარგებლო წვლილი შეეტანა პროგრამების ხარისხის ამაღლებასა და სათანადო ბალანსის უზრუნველყოფაში, მაგრამ როდესაც მონოპოლია ზღუდავდა გამოხატვის თავისუფლებას, ეს დასაშვები იყო მხოლოდ მაშინ, თუ არსებობდა შესაბამისი შემზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში კერძო კომპანიისათვის უცხოური პროგრამების გადაცემის ლიცენზიის მიცემაზე უარის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება არ არსებობდა. მან ხაზი გაუსვა, რომ პლურალიზმის პრინციპის დაცულობა, რომლის უზრუნველყოფის გარანტს სახელმწიფო წარმოადგენდა, განსაკუთრებით აუცილებელი იყო აუდიო-ვიზუალური მედიის მიმართ, ვისი პროგრამებიც ფართო აუდიტორიისათვის იყო განკუთვნილი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი უარის გამართლება არ შეიძლებოდა იმ არგუმენტით, რომ უამრავი პროგრამა, მათ შორის უცხოური, იყო ხელმისაწვდომი ავსტრიელებისათვის და რომ მრავალი ასეთი პროგრამის გადმოცემა უკანონოდ ხდებოდა. რაც მთავარია, არ შეიძლებოდა უარის დასაბუთება იმით, რომ არ არსებობდა საკითხის გადაწყვეტის „ნაკლებად შემზღუდველი“ გზები, ვინაიდან მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში იყო დანერგილი სხვადასხვა სისტემა, მაგალითად ლიცენზიის გაცემა გარკვეული პირობების დაცვით, სახელმწიფო კორპორაციაში კერძო სექტორის მონაწილეობის დაშვება წინასწარი დათქმით და სხვა ასეთი „ნაკლებად შემზღუდველი“ სისტემები. ამ სისტემებში სახელმწიფო და კერძო სადგურები თანაარსებობდნენ კანონის შესაბამისად, რომლებშიც გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ღონისძიებები კერძო მონოპოლიების განვითარების აღსაკვეთად. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ცნო ამ საქმეზე კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.²²

ოთხი წლის შემდეგ, *Radio ABC*-ს საქმის განხილვისას (1997) ევროპულმა სასამართლომ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ავსტრიამ მიიღო კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფდა მის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. საუბარი იყო 1997 წლის მიღებულ კანონზე რეგიონული მაუწყებლობის შესახებ, რომელმაც დაასრულა ავსტრიაში მონოპოლიური

²¹ *Autronic AG v. Switzerland*, judgment of 22 May 1990, series A. N 178.

²² *Informationsverein Lentia and others*, judgment of 24 November 1999, Series A. N 276; §§32-33 and 38-42.

ვითარება.²³ თუმცა, მანამდე ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ გადადგა. მისი 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების შედეგად, ავსტრიაში კერძო სამაუწყებლო კომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ, კაბელით გადაეცათ პროგრამები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მაგრამ, სახმელეთო მაუწყებლობის (*terrestrial broadcasting*) უფლებას კვლავ სახელმწიფო სამაუწყებლო კომპანია ინარჩუნებდა. ასეთი „ნაკლებად შემზღუდველი“ ღონისძიება ევროპულმა სასამართლომ არ შეაფასა „არათანაზომიერად“.

მესამე განმარტებული ავსტრიული საქმის – *Tele 1 Privatfernsehgesellschaft metl* განხილვისას, რომელიც შეეხებოდა კერძო კომპანიისათვის ლიცენზიის მიცემაზე უარს, დაეფუძნებინა და ამოქმედებინა სახმელეთო სატელევიზიო გადაცემი ვენის რეგიონში, ევროპულმა სასამართლომ განსხვავებულად შეაფასა დროის ორი მონაკვეთი. 1993-დან 1996 წლამდე პერიოდში მან ცნო მე-10 მუხლის დარღვევა, ვინაიდან იმდროინდელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის მიცემის შესაძლებლობას ვინმესათვის, გარდა სახელმწიფო სამაუწყებლო კორპორაციისა. 1996-97 წლებში კი მან, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად კაბელით პროგრამების გადაცემის შესაძლებლობის შექმნის გამო, არ ცნო კონვენციის დარღვევა. მომჩივანი ფირმა მიუთითებდა, რომ მისი უფლებები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შედეგად ირღვეოდა, ვინაიდან, სახმელეთო ტელევიზიას (რომელზე უფლებასაც სახელმწიფო კორპორაცია ინარჩუნებდა), ვერ შეედრებოდა საკაბელო ტელევიზია მაცურებლებისათვის მისი ხელმისაწვდომობის გაგებით. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს არგუმენტი იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ ვენაში თითქმის ყველა ბინა შესაძლებელი იყო დაკავშირებოდა საკაბელო ქსელს და რომ საკაბელო ტელევიზია წარმოადგენდა სახმელეთო ტელევიზიის სიცოცხლისუნარიან ალტერნატივას.²⁴

სალიცენზიო მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად ცნო კანონისა და წესრიგის დაცვის საჯარო ინტერესებისათვის კომპანიის უფლებების შეზღუდვა საქმეში *J. Leveque v. France*. სასამართლომ მიუღებლად ცნო იმ კომპანიის მენეჯერის საჩივარი, რომელსაც საფრანგეთის კომპეტენტურმა სამაუწყებლო ხელისუფლებამ (CSA) უარი უთხრა ლიცენზიის მიცემაზე, განეხორციელებინა ადგილობრივი სატელევიზიო სამსახური. თავისი სამოსამართლო სამართლით დამკვიდრებული პრინციპების შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები სალიცენზიო სისტემის სფეროში შეუზღუდავი არ იყო, რაც იმას გულისხმობდა, რომ სახელმწიფოს უარი სამაუწყებლო ლიცენზიის მიცემაზე არ უნდა ყოფილიყო „აშკარად თვითნებური ან დისკრიმინაციული“. მაგრამ გაითვალისწინა, რომ მოცემულ საქმეში უარი ეფუძნებოდა კომპანიის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი პროექტის არსსა და შინაარსს, რომელიც არ

²³ *Radio ABC*, judgment of 20 October 1997; Reports 1997-VII §37.

²⁴ *Tele 1 Privatfernsehgesellschaft mbH*, judgment of 21 September 2000.

შეესაბამებოდა კომპეტენტური ხელისუფლების იდეას ადგილობრივი ტელევიზიის შესახებ, კერძოდ, იმ კრიტერიუმებს, რომლებიც კანონით იყო დაწესებული. ასეთ პირობებში, ლიცენზიის მიცემაზე უარის გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიჩნეული, როგორც „აშკარად თვითნებური“ და შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კანონის, წესრიგისა და სხვათა უფლებების დასაცავად.²⁵

ასევე სალიცენზიო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო გაიზიარა ევროპულმა სასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოს პოზიცია საქმეში *United Christian Broadcasters LTD v. The United Kingdom*: კომპეტენტურმა ხელისუფლებამ უარი უთხრა რელიგიურ ორგანიზაციას, მიეღო განაცხადი სამაუწყებლო ლიცენზიის მისაღებად. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა კანონს, რომელიც კრძალავდა სახელმწიფო მაუწყებლობის ლიცენზიის გადაცემას რელიგიური ორგანიზაციისათვის. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს არ იყო „თვითნებური შეზღუდვა“, ვინაიდან ასეთი შეზღუდვა გამოყენებული იქნებოდა ყველა იმ კანდიდატის მიმართ, ვინც ვერ დააკმაყოფილებდა სტატუტორულ რეკვიზიტებს; მით უმეტეს, რომ არაფერი აბრკოლებდა მომჩივანს, მიეღო და გამოეყენებინა ლოკალური სამაუწყებლო ლიცენზია. ევროპულმა სასამართლომ საჩივარი მიუღებლად ცნო.²⁶

საჯარო ინტერესებისა და სხვათა უფლებების დაცვის (კერძოდ კი – რადიომაუწყებლობის სფეროში წესრიგის დაცვისა და მაუწყებლობის მიღების ხარისხის უზრუნველყოფის ინტერესების) სასარგებლოდ გადაწყდა საკითხი საქმეში *T.Book v. The United Kingdom*. ევროპულმა სასამართლომ მიუღებლად ცნო საჩივარი, რომელიც შეეხებოდა ხელისუფლების უარს, კერძო კომპანიისათვის მიეცა მოკლე ტალღებზე რადიომაუწყებლობის ლიცენზია. მან გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს შეხედულება, რომ არსებობდა კანონიერი ინტერესი იმისა, რომ მოკლელტალღოვანი რადიოხაზები შენარჩუნებულიყო საერთაშორისო მაუწყებლობისათვის და დაცული ყოფილიყო ასეთი მაუწყებლობის ხარისხი. მით უფრო, რომ კერძო კომპანიებს შეეძლოთ გამოეყენებინათ მაუწყებლობის სხვა ტიპის (ლოკალური, სატელიტური) ლიცენზიები. სასამართლომ განასხვავა ეს საქმე *Informationsverein Lentia*-ს საქმისაგან, სადაც სახელმწიფოს მთელ მაუწყებლობაზე ჰქონდა მონოპოლია. ამ საქმეში შეზღუდვა მხოლოდ მოკლე-ტალღოვან ხაზებს შეეხებოდა. ამიტომ, შეზღუდვა არ იქნა მიჩნეული „არათანაზომიერად“ დასახული კანონიერი მიზანთან – წესრიგის და სხვათა უფლებების დაცვასთან მიმართებაში.²⁷

რადიომაუწყებლობის სფეროში წესრიგის დაცვის ინტერესითა და ტექნიკურ შესაძლებლობათა შეზღუდულობით იყო ასევე განპირობებული ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი ადგილობრივი რადიოსადგურისათვის სამაუწყებლო ლიცენზიის მიცემაზე უარი შვეიცარიულ საქმეში *Skyradio AG and others*. ევროპულმა სასამართლომ საჩივარი მიუღებლად ცნო. მან აღნიშნა, რომ

²⁵ Appl. N 35591; *J.Lévéque v. France*. decision of 23 November 1999.

²⁶ Appl. N 44802/98, *United Christian Broadcasters LTD v. The United Kingdom*, decision of 7 November 2000.

²⁷ Appl. N 38218/97; *T.Brook v. The United Kingdom*, decision of 11 July 2000.

სამაუწყებლო ლიცენზიის გადაცემა, შესაძლებელია, დამოკიდებული ყოფილიყო ისეთ კრიტერიუმებზე, როგორცაა შემოთავაზებული სადგურის ბუნება და მიზნები, აგრეთვე, სპეციფიკური აუდიტორიის უფლებები და საჭიროებები. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ არეალში, რომელსაც ლიცენზია მოიცავდა, მოქმედებდა ახალგაზრდა მსმენელზე გათვლილი რადიოსადგურების მთელი წყება. ასეთ პირობებში, ხელისუფლების გადაწყვეტილება, არ გადასცემოდა მომჩივანს ერთადერთი შესაძლებელი სიხშირე (*only available frequens*) არ იყო არაგონივრული და „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“ დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად.²⁸

პროგრამების პლურალიზმისა და ბალანსის ინტერესები გაითვალისწინა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Demuth v. Switzerland*, როდესაც უარყო კონვენციის დარღვევა საკაბელო ტელევიზიით პროგრამების გადაცემაზე ლიცენზიის მიცემის უარის გამო. მომჩივანი კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროგრამები ფოკუსირებული იყო ავტომობილების შესახებ ინფორმაციაზე, ისახავდა კომერციულ მიზანს და ვერ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნას, რომ პროგრამებს წვლილი შეეტანა საზოგადოებისათვის საერთო, განსხვავებული და ობიექტური ინფორმაციის გადაცემაში. სასამართლომ მხედველობაში მიიღო შვეიცარიის, როგორც ფედერალური სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკური და კულტურული სტრუქტურა, კულტურული და ლინგვისტური პლურალიზმი, მთიანი და დაბლობი რეგიონების არსებობა, რაც მეტ აუცილებლობას წარმოშობდა პროგრამების პლურალიზმისა და ბალანსის უზრუნველსაყოფად. ასეთ პირობებში ლიცენზიის მიცემაზე ფედერალური საბჭოს უარი მან არ მიიჩნია არაგონივრულად.²⁹

* * *

განსხვავებული თემა ელექტრონული მედიის ხელმისაწვდომობა, ანუ უფლება საეთერო დროზე რადიოსა და ტელევიზიაში.

ამ საკითხს პირველად ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია შეეხო. მან ცხადად განმარტა, რომ ინფორმაციისა და იდეების გაცვლის თავისუფლება, კონვენციის მე-10 მუხლის გაგებით, როდი გულისხმობდა კერძო პირის ან ორგანიზაციის ძირითად და ხელშეუვალ (*general and unfettered*) უფლებას, ჰქონოდათ რადიოსა ან ტელევიზიაში მაუწყებლობის (ეთერის) დროზე ხელმისაწვდომობა. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, ერთი რომელიმე ან რამდენიმე პირთა ჯგუფისათვის მაუწყებლობის დროზე უარის თქმისას, განსაზღვრულ გარემოებებში, შეიძლებოდა წარმოჭრილიყო მე-10 მუხლის პრობლემა ცალკე, ანდა კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთად. მაგალითად – წინასაარჩევნო პერიოდში რომელიმე პოლიტიკური

²⁸ Appl. N 46841/99 *Skyradio AG. and others v. Switzerland*, decision of 27 September 2001.

²⁹ *Demuth v. Switzerland*, judgment of 27 September 2001.

ჯგუფისათვის მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის აღკვეთისას ისეთ პირობებში, როდესაც სხვებისათვის იგი ხელმისაწვდომი იყო.³⁰

ევროპულმა კომისიამ, შემდგომში ისიც განმარტა, რომ მაუწყებლობის დროის განაწილების საკითხის გადაწყვეტა ექვემდებარებოდა განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებსაც შეიმუშავებდა შესაბამისი სამაუწყებლო კომპანია თავისი სარედაქციო პოლიტიკის ჩარჩოებში.³¹

იგივე საკითხები გახდა ევროპული სასამართლოს განსჯის საგანი საქმეში *Ch. Antonopoulos v. Greece*. იგი შეეხებოდა პატარა (მცირერიცხოვანი) პოლიტიკური პარტიისათვის რადიოსა და ტელევიზიაში შედარებით შეზღუდული საეთერო დროის დათმობას საარჩევნო კამპანიის დროს.

ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა პრინციპი, რომ ვინაიდან „რადიოსა და ტელევიზიაში საეთერო დრო არ იყო შეუზღუდავი, განსაზღვრული კრიტერიუმები უნდა დადგენილიყო იმისათვის, რათა უზრუნველყოფილიყო დროის პროპორციული განაწილება.“ მოცემულ საქმეში კომპეტენტური ხელისუფლების გადაწყვეტილება ეფუძნებოდა, ერთი მხრივ, პროპორციული თანასწორობის პრინციპს, და, მეორე მხრივ – პოლიტიკური პროგრამებისათვის დროის დათმობის არსებულ შესაძლებლობებს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დროის განაწილება ვერ ჩაითვლებოდა თავითნებურად, არაპროპორციულად ან დისკრიმინაციულად და ამიტომ არ ცნო მე-10 მუხლის დარღვევა.³²

³⁰ Appl. N 4515170. *Sc. X and Association of Z. v. The United Kingdom*. decision of 12 July 1971. yearbook 14. p.538.

³¹ Appl. N 24744/94, *R.Huggelt v. The United Kingdom*, decision of 28 June 1995. D.R. 82. p.98.

³² Appl. N 58333/00, *Ch. Antonopoulos v. Greece*, decision of 29 March 2001.

§10.3. ბამონატვის თავისუფლება კომერციის სფეროში

ეს ის სფეროა, რომელიც არ არის სირთულეებს მოკლებული. მიჩნეულია, რომ კომერციული თვითგამონატვა კიდევ უფრო ნაკლებ ღირებულია, ვიდრე პოლიტიკური ან თუნდაც შემოქმედებითი თვითგამონატვა.¹ შესაბამისად, ის მათთან შედარებით უფრო ნაკლებად არის დაცული. სულ მცირე, ორი მიზეზი მაინც არსებობს იმისა, თუ რატომ იმსახურებს კომერციული თვითგამონატვა ნაკლებ დაცვას, რატომ არის მისი დაცულობის ხარისხი უფრო დაბალი.

კომერციის სფეროში გავრცელებული იდეები და ინფორმაცია, რომელთა შეზღუდვის საკითხი შეიძლება დაისვას, როგორც წესი, უპირისპირდება სხვა პირთა კომერციულ და ეკონომიკურ ინტერესებს. ამიტომ, სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისით, მათი შეზღუდვა ნაკლებად საშიშია დემოკრატიული პროცესის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა, ეკონომიკისა და კომერციის სფეროს რეგულირების სახელმწიფოთა მიერ დადგენილ სისტემებში, ამ სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, საყოველთაოდ არის დამკვიდრებული ეკონომიკური ოპერაციებისა თუ სხვა კომერციულ საკითხებზე ინფორმაციების შეზღუდვის პრაქტიკა. ამ სპეციფიკის გამო, სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლო შეფასების თავისუფლების ფართო არეს ანიჭებს ეროვნულ ხელისუფლებას. შესაბამისად, თუ პოლიტიკური ან შემოქმედებითი თვითგამონატვის შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დასაბუთება საკმაოდ მძიმე ტვირთია სახელმწიფოსათვის, კომერციული თვითგამონატვის შეზღუდვის გასამართლებლად საკმარისადაა მიჩნეული იმის დამტკიცება, რომ შეზღუდვა არ იყო არაგონივრული.

საქმეები, რომელიც სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლომ განიხილა და კომერციის სფეროში გამონატვის თავისუფლებას შეეხებოდა, დაკავშირებული იყო „არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან“. ეს ის შემთხვევებია, როდესაც თვითრეკლამის გზით, ანდა სხვათა, მათ შორის კონკურენტების შესახებ კრიტიკული ან სხვაგვარი აზრის გავრცელებით ილახება ესა თუ ის ეკონომიკური, კომერციული ან სხვა ინტერესი.

კომერციის სფეროში გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის „აუცილებლობის“ შეფასება უფრო ხშირად არის დამოკიდებული ინფორმაციის ნამდვილობაზე, ვიდრე სხვა სფეროებში. მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს შეუძლია ინფორმაციის სინამდვილე კომერციული თვითგამონატვის კანონიერების აუცილებელ პირობად გამოაცხადოს. მაგრამ აქაც, ინფორმაციის ნამდვილობა ყოველთვის არ არის საკმარისი მის დასაცავად კომერციის სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე. მხედველობაშია „კეთილსინდისიერი კონკურენციის“ პრინციპი, რომელიც

¹ D.G.Harris, M.O'Boyle, C.Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 1995, გვ.402.

გულისხმობს სხვათა საიდუმლოების დაცვისა და გარკვეული ინფორმაციის კონფიდენციალობის პატივისცემის მოვალეობას.

ერთ-ერთი ფუძემდებლური გადაწყვეტილება საერთაშორისო სასამართლომ მიიღო საქმეში *Mark Intern and Beerman v. FRG*.²

Mark Intern-მა – საგამომცემლო ფირმამ, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოებს იცავდა მსხვილი კომპანიების კონკურენციისაგან, დაბეჭდა კრიტიკული ინფორმაცია კოსმეტიკური ფირმა „კლუბის“ შესახებ. ინფორმაციაში მოთხრობილი იყო, თუ როგორ შეიძინა ერთ-ერთმა მყიდველმა ამ ფირმის კოსმეტიკა, რომელიც უვარგისი გამოდგა, მაგრამ ვერ მიაღწია დანახარჯის ანაზღაურებას ფირმის მხრიდან. პუბლიკაციაში ეს შემთხვევა განზოგადებული იყო და შეფასებული, როგორც ამ კომპანიის ოფიციალური პოლიტიკა. „კლუბის“ აზრით, რომელმაც აღიძრა სარჩელი, ამ პუბლიკაციამ ერთეული დაუსაბუთებელი შემთხვევის განზოგადებით სერიოზულად შელახა ფირმის რეპუტაცია და ზიანი მიაყენა მას. ჰამბურგის რეგიონულმა სასამართლომ და შემდეგ ფედერალურმა სასამართლომ მხარი დაუჭირეს სარჩელს და დაეყრდნენ გერმანულ კანონს „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ“.

საერთაშორისო სასამართლო დაეთანხმა ეროვნულ სასამართლოებს და მიიჩნია, რომ საგამომცემლო ფირმის მოქმედებამ უსაფუძვლო ეჭვები აღძრა „კლუბის“ კომერციული პოლიტიკის მიმართ და ამით ზიანი მიაყენა მის ბიზნესს და, რომ მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის გავრცელების უფლებაში ჩარევა ემსახურებოდა „სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას“, რაც წარმოადგენდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კანონიერ საზოგადოებრივ ინტერესს.

ამასთან, სასამართლომ აღინიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანი იყო ეროვნული შეფასების თავისუფლება კომერციის საკითხებში და მით უფრო ისეთ რთულ და ცვლად სფეროში, როგორც იყო „არაკეთილსინდისიერი კონკურენცია“. ამიტომ, ეროვნული ხელისუფლების შეფასება სერიოზულად ანგარიშგაწევი იყო. ამავე განჩინებაში სასამართლომ დაასაბუთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მართალი და სწორი ინფორმაციის გავრცელებაც შეზღუდულიყო, რადგან ერთეულ შემთხვევას შეეძლო არასწორი წარმოდგენა შეექმნა ამა თუ იმ კომპანიის საერთო პრაქტიკაზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კომერციულ კონტექსტში. საერთაშორისო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ეროვნულ სასამართლოთა შეფასებანი მოცემულ საქმეში, თავსდებოდა ეროვნული ხელისუფლებისათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ფარგლებში და ევროპულ სასამართლოს არ უნდა შეეცვალა მათი შეფასებანი უფლების შეზღუდვის „აუცილებლობის“ შესახებ, რომლებიც გონივრულ საფუძველზე იყო დამყარებული.

² *Mark Intern Verlag GmbH and Klaus Beerman v. FRG*, judgment of 20 November, 1989. series A. no.165.

საგულისხმოა, რომ რვა მოსამართლე დარჩა განსხვავებულ აზრზე. მათ ინელმძღვანელეს გამოხატვის თავისუფლების ორმაგი ხედვის კონცეფციით და აქცენტი გააკეთეს არა ჟურნალისტის უფლებაზე, გაევრცელებინა ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე, არამედ, საზოგადოების უფლების მნიშვნელობაზე, მიელო ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელი იყო სწორი კომერციული არჩევანის გასაკეთებლად. მათი აზრით, ეს საჯარო ინტერესი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ვაჭრობის ქსელის ერთ-ერთი სექტორის, ერთი წყება კომერსანტების ვიწრო ინტერესი. მათი შეხედულებით, დარღვეული იყო თანაზომიერების პრინციპიც, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არსებითი იყო ისიც, რომ ინფორმაცია ნამდვილ ინციდენტს შეეხებოდა და არა გამოგონილს.³

საქმეთა ერთი წყება შეეხება პროფესიულ სფეროში თვითრეკლამას, რაც „არაკეთილსინდისიერ კონკურენციად“ ითვლება. ეს უწინარესად შეეხებათ ექიმებსა და ადვოკატებს. როგორც ზემოთაც ავლინებთ, კონვენციის ორგანოებმა დაამკვიდრეს სამედიცინო და იურიდიულ სფეროში ექიმებისა და ადვოკატების მიერ საკუთარი საქმიანობის შესახებ სარეკლამო განცხადებების სრული შეზღუდვა. ასეთი შეზღუდვის გამართლებულობის საფუძველია კონვენციის მონაწილე არაერთ სახელმწიფოში დამკვიდრებული თვითრეკლამის ფართომასშტაბიანი აკრძალვის პრაქტიკა.⁴ ასეთი პრაქტიკა ემყარება სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ექიმებსა და ადვოკატებს შორის კომერციული კონკურენციის წინააღმდეგ, ვინაიდან მიჩნეულია, რომ ასეთი კონკურენცია ხელს უშლის ადამიანებს გონივრულ და რაციონალურ საფუძველზე გააკეთონ არჩევანი სამედიცინო თუ იურიდიული მომსახურების შერჩევას.

ამგვარი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გონივრულობის გამო ევროპის საერთაშორისო სასამართლო პროფესიული რეკლამის რეგულირების სფეროში შეფასების თავისუფლების ფართო არეს ანიჭებს სახელმწიფოებს და სარეკლამო განცხადებების შეზღუდვას სახელმწიფოთა მხრიდან, გამართლებულად მიიჩნევს.

მაგალითად, საქმე *Casado Coca v. Spain* შეეხებოდა ბარისტერის (ადვოკატის) მიერ თავისი სარეკლამო ფურცლების გავრცელებას, რომელმაც გამოიწვია დისციპლინური პროცესის აღძვრა მის წინააღმდეგ. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ეს ჩარევა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

³ გამოთქმულია შეხედულება, რომ კომერციის სფერო უკეთ დაცვას იმსახურებს. მაგალითად ელესტერის აზრით, „გამოხატვის“ წმინდა ეკონომიკური მოტივი არ უნდა აღუკვეთავდეს შესაბამის იდეასა თუ ინფორმაციას ეფექტიან დაცვას; რომ პატიოსანი რეკლამა ადამიანს ეხმარება სწორი არჩევანის გაკეთებაში და ამიტომ ასეთი ინფორმაციის თავისუფალი დენა შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს. იხ. **Anthony Lester**, *Freedom of Expression*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds). 1993. გვ.480.

⁴ ამის კარგი მაგალითია ინგლისი. ინგლისის სააპელაციო სასამართლომ პირდაპირ დაუჭირა მხარი ექიმების მომსახურების რეკლამის სრულ აკრძალვას. მან დაადგინა, რომ ეს წესი, რომელიც მიიღო საყოველთაო სამედიცინო საბჭომ, გამართლებული იყო იმ პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც მიმართული იყო ექიმებს შორის კომერციული კონკურენციის წინააღმდეგ (R.V.General Medical Council expe Cocman: 1 AKER 479 CA).

გამართლებულად ჩაითვლებოდა, ვინაიდან არაფერი არსებობდა იმის სამტკიცებლად, რომ იგი ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლებს სცილდებოდა, მით უმეტეს, რომ შესაბამისი საერთო-ევროპული სტანდარტი არ არსებობდა.⁵ (ექიმების თვითრეკლამასთან დაკავშირებული საქმეები ნაშრომის იმ ნაწილშია მიმოხილული, რომელიც ჯანმრთელობის სფეროს შეეხება ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.)⁶

ასეთი მიდგომა დღესაც ძალაშია, მას მთლიანად იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თუკი რაიმე ხდება დისკუსიისა და სპეციალური გამოკვლევის საგანი, ეს გახლავთ იმის შეფასება, შესაბამის შემთხვევაში გამოხატული იდეები თუ ინფორმაცია, წარმოადგენდა თუ არა პროფესიული საქმიანობის თვითრეკლამას; ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ამგვარი თვითრეკლამა ყოველთვის ორდინარული რეკლამის ფორმით კი არ ხორციელდება, არამედ შენიღბულად – საგაზეთო სტატიებით, სატელევიზიო ინტერვიუებითა და სხვა საშუალებებითა თუ ფორმებით. იგი აუცილებლად მიიჩნევს **სარეკლამო განცხადებები განასხვავოს პროფესიულ სფეროში ისეთი გამონათქვამებისა თუ განცხადებებისაგან, რომლებიც თვითრეკლამას კი არ ემსახურებოდა, არამედ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიის გამართვას.** შესაბამისად, როდესაც „გამოხატვა“ საკუთარი საქმიანობის რეკლამას ემსახურება, ევროპული სასამართლო მის შეზღუდვას გამართლებულად აფასებს, ხოლო, როდესაც მას „საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად“ განიხილავს, პირიქით – მის შეზღუდვას გაუმართლებლად მიიჩნევს.

მაგალითად საქმეში *Barthold v. FRG* არ იქნა გაზიარებული ეროვნული ხელისუფლების შეფასება, რომ ვეტერინარის შესახებ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია მის კომერციულ რეკლამას წარმოადგენდა.

ბარტოლდი იყო ვეტერინარული ქირურგი და ქ.ჰამბურგში თითქმის ერთადერთი იყო, ვინც ავადმყოფი კატების მომსახურებით იყო დაკავებული. მას ინტერვიუ ჩამოართვა ადგილობრივმა ჟურნალისტმა, რომელმაც შემდეგ დაწერა სტატია ჰამბურგში ამ სფეროში არსებული სიცარიელისა და ხარვეზების შესახებ. კოლეგა-ვეტერინარებმა უჩივლეს მას და დაადანაშაულეს იმაში, რომ მან მიუღებელი გზა გამოიყენა თვითრეკლამისათვის; მოითხოვეს მისი დასჯა „არაკეთილსინდისიერი კონკურენციისათვის“.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბარტოლდის მიერ ჟურნალისტთან საუბრის დროს თავისი აზრის გამოთქმა კომერციულ რეკლამას კი არ წარმოადგენდა, არამედ საჯარო დისკუსიას საზოგადოებისათვის საინტერესო

⁵ Casado Coca v. Spain, judgment of 24 February 1994. series A. N285.

⁶ იხ. Appl. N42015/98. *M. Marrow v. the United Kingdom* (5 December, 2000), Appl. N10267/83, *Jean Alexandre and others v. France*, decision of 10 December, 1987; *Colman v. the United Kingdom*. A, 258, 1999 (com.per. §39).

საკითხზე და, შესაბამისად, მისი დასჯა „არაკეთილსინდისიერი კონკურენციისათვის“ გაუმართლებლად ცნო.⁷

ამრიგად, კომერციის სფეროში ევროპული სასამართლო შეფასების თავისუფლების ძალზე ფართო არეს მიაკუთვნებს სახელმწიფოებს და დიდ ანგარიშს უწევს მათ შეფასებებს ამ სფეროში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხებზე. პრაქტიკულად ეს იმით გამოიხატება, რომ სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ დაამტკიცონ შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე კომერციულ რეკლამას შეეხება. ეს მიდგომა არაერთხელ დაადასტურა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებსა თუ განჩინებებში.⁸

⁷ *Barthod v. FRG*, judgment of 25 March 1995, series A. no.90.

⁸ მაგალითისათვის იხ. აგრეთვე საქმე *Jacobowski v. Germany*, judgment of 23 June 1994, series A. N285.

თ ა ვ ი 11

შეღარებითი ანალიზი

§11.1. გამონატვის თავისუფლება აშშ-ის და კანადის კონსტიტუციურ სამართალში და მათი შეღარებითი ანალიზი ადამიანის უფლებათა მეორეული კონვენციის სამართალთან

გამონატვის თავისუფლებას, ისევე, როგორც სხვა ინდივიდურ უფლებათა უმეტესობას, აშშ-ის კონსტიტუცია აბსოლუტური ფორმით აცხადებს, თუმცა სასამართლოს შესაბამისი განმარტებები შეზღუდვითი ხასიათისაა და შესაძლებლობას იძლევა საჯარო ინტერესებიც იქნას გათვალისწინებული.

გამონატვის თავისუფლების ამერიკული კონცეფცია, ისევე, როგორც საერთო-ევროპული, მას განიხილავს, ერთი მხრივ, როგორც პიროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებას, და მეორე მხრივ, როგორც წანამძღვარს, წინაპირობას სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა, როგორც ფუნდამენტს დემოკრატიული წესრიგისა. ამ კონცეფციის შექმნაში უზარმაზარი როლი და დამსახურება მიუძღვით გამონატვის თავისუფლების ცნობილ დამცველებს – გამორჩენილ მოღვაწეებს, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ყოფილ მოსამართლეებს **ოლივერ უენდელ ჰოლმსსა** და **უილიამ ბრანდისს**.¹ მათ შესანიშნავად დაასაბუთეს გამონატვის თავისუფლების ეს ორმაგი მნიშვნელობა და იგი სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახეს.²

გამონატვის თავისუფლების ასეთი ხედვა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში საბოლოოდ დამკვიდრდა ამერიკულ პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებასა თუ საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

11.1.1. ძირითადი მსგავსება და განსხვავება

აშშ-ში გამონატვის თავისუფლების დაცულობის მთავარი კონსტიტუციური გარანტიაა მისი 1-ლი დამატება, რომელშიც არაორაზროვნად არის მითითებული, რომ **კონგრესს არა აქვს უფლება მიიღოს არავითარი კანონი, რომელიც ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას**. თუმცა, აშშ-ის უზენაესი სასამართლო და ქვემოთ სასამართლოები კონსტიტუციის ამ აკრძალვას არასოდეს გებულობენ სიტყვა-სიტყვით და მას განიხილავენ, მხოლოდ როგორც ძალიან ძლიერ პრეზუმფციას იმისა, რომ ამ უფლებას მტკიცე კონსტიტუციური დაცვა აქვს და მისი ყოველგვარი შეზღუდვის იურიდიული დასაბუთება და გამართლება ძალზე რთულია. ამის ნათელი ილუსტრაციაა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტება საქმეზე *New York Times v. US*: „ყველა საქმე, რომელიც სასამართლოში შემოდის და დაკავშირებულია გამონატვის თავისუფლების შეზღუდვასთან, თავიდანვე

¹ იხ/С.Франковский, Р.Гольдман, Э.Лентовска. *Верховный Суд США о Гражданских Правах и Свободах*. Изд. «БЕГА» (Польша). 1997.

² *Gitlow v. New York* (1925). *Abrahams v. United States*; 250; 49; 616 (1919), გვ.630; *Whitney v. California* (1927); US 291; გვ.376.

დამძიმებულია არაკონსტიტუციურობის პრეზუმფციით ... ხელისუფლებაზე დაკისრებულია მძიმე ტვირთი გაამართლოს შესაბამისი შეზღუდვის აუცილებლობა“.³

როგორც ვხედავთ, ამერიკული მიდგომა არსებითად მსგავსია ევროპულისა. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი გამონათვის თავისუფლებას ასევე თითქმის მთლიანად იცავს. ნებისმიერი შეჭრა სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებაში, მის შეზღუდვად განიხილება. ეს არის საწყისი პოზიცია. შემდეგ კი ხდება იმის გარკვევა, მართებულად შეიზღუდა თუ არა ის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ძირითადი განსხვავებანი კი, რომელთა შესახებაც დასაწყისშივე შეიძლება ითქვას, შემდეგია:

1) ევროპული კონვენცია პირდაპირ მიუთითებს, თუ რა საჯარო ინტერესის დასაცავად შეიძლება იყოს გამართლებული გამონათვის თავისუფლების შეზღუდვა და რა ძირითადი კრიტერიუმი იქნება გამოყენებული ამ გამართლებულობის შესაფასებლად. ამ კრიტერიუმის გამოყენების სტანდარტების დადგენა კი სასამართლო პრაქტიკის საქმეა. მაშინ, როდესაც, ყოველივე ამის განსაზღვრა აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალში, მთლიანად სასამართლო იურისპრუდენციის პრეროგატივაა. აშშ-ის სასამართლოების, ძირითადად აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ, უმთავრესად მე-20 საუკუნეში სხვადასხვა საქმეებზე შექმნილმა იურისპრუდენციამ განსაზღვრა გამონათვის თავისუფლების არეალი და ფარგლები, ღირებულებანი, რომელთა დასაცავადაც ის შეიძლება შეიზღუდოს და ასეთი შეზღუდვის აუცილებელი პირობები. მანვე შეიმუშავა საამისოდ არაერთი საინტერესო კონცეფცია, ლოქტრინა თუ მიდგომა.

2) პრინციპულად განსხვავდება საკუთრივ უფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასების მეთოდიკა, რაც იმითაა განპირობებული, რომ ერთ (აშშ-ის) შემთხვევაში გამონათვის თავისუფლების დაცულობა ქვეყნის კონსტიტუციასთან მიმართებაში მოწმდება, მეორე შემთხვევაში კი – საერთაშორისო-სამართლებრივ აქტთან (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციასთან) მიმართებაში. ამ გარემოებამ, კერძოდ, საერთაშორისო კონტროლის განხორციელების ამოცანამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „აიძულა“ შეემუშავებინა ისეთი მეთოდი, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა, განსხვავებული სამართლებრივი და კულტურული ტრადიციების 46 ქვეყანაში ადამიანის უფლებათა განხორციელებაში სახელმწიფოს ჩარევის „გამართლებულობა“ შეეფასებინა არა კონვენციასთან მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის შემოწმებით, არამედ – გონივრულ საფუძველზე და საღ აზრზე დაყრდნობით – სწორედ ამ ტრადიციების, ადგილობრივი სპეციფიკისა და რეალების გათვალისწინებით. როგორც ვიცით, ეს ამოცანა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შესანიშნავად გადაჭრა საამისოდ შეემუშავებული და დამკვიდრებული ეროვნული „შეფასების თავისუფლების“ ლოქტრინის (*margin of appreciation*) მეშვეობით.

³ Constitutional Law, Cases, - Comments, - Questions: Lockhart, Kamisar, Choper, Shiffrin; American Casebook series, 1991.

ცხადია, ადგილობრივი შეფასებების გათვალისწინების აუცილებლობა ერთი ქვეყნის (მით უმეტეს ისეთი დიდი ქვეყნისა, როგორცაა აშშ) შიგნითაც არსებობს, მაგრამ უდავოა, რომ საერთაშორისო კონტოლის განხორციელების დროს ეს აუცილებლობა განსაკუთრებით აშკარაა არა მარტო გაცილებით უფრო დიდი მასშტაბების გამო, არამედ იმის გათვალისწინებითაც, რომ **იგი პირდაპირ უკავშირდება სუვერენიტეტის საკითხებსაც.**

3) ერთ-ერთი ადვილად თვალში საცემი განსხვავება ისაა, რომ ევროპული სასამართლო, რამდენადაც იგი კონვენციის დებულებებითა და ეროვნული შეფასების თავისუფლებითაა შეზღუდული, **ძალზე ზოგად ფორმულირებებს იყენებს**, ყოველ კონკრეტულ შემთხვევას ამ ზოგადი ფორმულების ჭრილში განიხილავს და აფასებს, რა მიმართება აქვს კერძო შემთხვევას დადგენილ ზოგადთან. მაშინ, როდესაც ამერიკულ კონსტიტუციურ სამართალში ასეთი უნივერსალური, წინასწარ დადგენილი „ზოგადი“ არ არსებობს, ის კონკრეტული პრეცედენტებით იქმნება და ამ გზით „კერძო“ ხდება „ზოგადის“ რაღაც გარკვეული, ერთ-ერთი ნაწილი.

4) **ამერიკულ კონსტიტუციურ სამართალში უფრო მეტია კარგად დამუშავებული თემები, მეტი დიფერენციაციაა საკითხებისა.** მაგალითად, კარგადაა დამუშავებული პრესის პუბლიკაციებისათვის „კვალიფიციური პრივილეგიის“ მინიჭების პირობები, გამონატვის თავისუფლების დაცულობის დამოკიდებულება მისი გამონატვის ადგილსა და დროზე, შესწავლილია მოქმედებით გამონატვის სპეციფიკა, სპეციალური კრიტერიუმებია შემუშავებული საზოგადოებრივი მორალის დასაცავად გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად, პროპაგანდის დროს, აგრეთვე, პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციისა თუ ადვოკატის სარეკლამო განცხადებების შესაზღუდად და სხვ.

ამის მიუხედავად, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ **ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში და ამერიკულ კონსტიტუციურ სამართალში გაცილებით მეტია მსგავსება, ვიდრე განსხვავება.** ერთიც და მეორეც განუზომელ მნიშვნელობას ანიჭებს გამონატვის თავისუფლებას, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ დასაყრდენს; აღიარებს მის ორმაგ დატვირთვას და მნიშვნელობას, ორივე ითვალისწინებს ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას სახელმწიფოს მხრიდან საჯარო ინტერესებისა თუ სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად; ერთგვაროვანია ის საჯარო ინტერესებიც, რომელთა დასაცავადაც ის შეიძლება შეიზღუდოს; ორივე მათგანი ამ შეზღუდვის გასამართლებლად ძალზე წონად დასაბუთებას მოითხოვს. ამერიკული კონსტიტუციური სამართალი შეზღუდვის გამართლებულობის გამორკვევისას ასევე იყენებს გარკვეულ კრიტერიუმებს, რომლებიც ევროპული კრიტერიუმების „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ ანალოგად შეიძლება მივიჩნიოთ. ამერიკული კონსტიტუციური სამართალი, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი, განსაკუთრებულად და სხვაზე მეტად იცავს პოლიტიკის სფეროში გამონატვის თავისუფლებასა და პრესის თავისუფლებას, კომერციის სფეროს კი – ყველაზე ნაკლებად. ორივეგან დიფერენცირებულია მიდგომები სახელმწიფოს თანამდებობის პირთა და კერძო პირთა რეპუტაციის დაცვის სფეროში და ორივეგან მიჩნეულია, რომ დასაშვები კრიტიკის ფარგლები ფართოა პირველ შემთხვევაში, და ვიწროა მეორეში;

მსგავსია დიფამაციური განცხადებებისადმი დამოკიდებულება იმისდა მიხედვით, თუ რას შეეხება იგი, იდეებსა და შეხედულებებს, თუ ფაქტებსა და ინფორმაციას; ორივეგან გაბატონებულია შეხედულება, რომ „პატიოსანი კრიტიკა არ ისჯება“, ერთგვაროვნადაა განსაზღვრული მცდარი ინფორმაციის შეზღუდვის აუცილებელი პირობებიც და სხვ.

11.1.2. რა არ არის დაცული

არსებობს თუ არა რაიმე ისეთი გამონათქვამები, რომლებიც თავიდანვე არ არის დაცული აშშ-ის კონსტიტუციის 1-ლი დამატებით?

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებები პირდაპირ იუწყება, თუ რა არ ისარგებლებს კონსტიტუციის 1-ლი დამატების დაცვით.

მაგალითად, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ისეთი გამონათქვამები, რომლებიც არ გამოხატავენ რაიმე აზრსა და იდეას და მხოლოდ მძიმე სიტყვიერ შეურაცხყოფას გულისხმობენ, არ არის დაცული კონსტიტუციის 1-ლი დამატებით (შეუძლებელია აქ არ გაგვახსენდეს *Otto Preminger*-ის საქმის განჩინებაში გადმოცემული დებულება იმის შესახებ, რომ მძიმე შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ვერ განიხილებიან საჯარო დისკუსიაში მონაწილეობად, რომელიც ხელს შეუწყობდა პროგრესს საკაცობრიო საკითხებში).⁴

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს სხვა განმარტებები კიდევ უფრო შემზღუდველია. მათი მიხედვით, აშშ-ის კონსტიტუციის 1-ლი დამატებით არ არის დაცული ისეთი აზრის გამოხატვა, რომელიც არა მარტო შეურაცხმყოფელია, არამედ უხამსიც და არავითარი ღირებულება არ გააჩნია. საქმეზე *Chaplinsk v. New Hampshire* (1942) უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ უხამსი პორნოგრაფიული, შეურაცხმყოფელი და აგრესიული გამოთქმები არ არის დაცული 1-ლი დამატებით, ვინაიდან მათ მცირე ღირებულება აქვთ სიმართლესთან მიახლოების საქმეში. სწორედ „უხამსობის“ ნიშნით საქმეზე *Roth v. United States* (1957) სექსუალური თვითგამოხატვა გაიმიჯნა პორნოგრაფიისაგან, ხოლო საქმეზე *Miller v. California* (1973) მოხდა პორნოგრაფიის დეკანონიზაცია. არაკონსტიტუციურად გამოცხადდა საჯარო ჩვენება სექსუალური მოქმედებებისა, რომლებიც გადმოცემულია ვულგარული ფორმით და მოკლებულია ყოველგვარ ლიტერატურულ, მხატვრულ, პოლიტიკურ თუ სამეცნიერო ღირებულებას ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქის წარმოდგენაში, რომელიც ცხოვრობს თანამედროვე საზოგადოების თანამედროვე ნორმებით.

ურიგო არ იქნება, თუ კანადურ პარალელსაც გავავლებთ: საქმეზე *Dakes R. v. Butler* (1992 j 1 SCR 452) უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პარლამენტს შეეძლო მიეღო კანონი, რომელიც დანაშაულად აცხადებდა ისეთი პორნოგრაფიის პუბლიკაციას, რომელიც სექსუალურად ძალზე აღვირახსნილია, გულისხმობს ძალადობას ან ქალთა მიმართ დამამცირებელ დამოკიდებულებას, და რომ ამ შემთხვევაში საკანონმდებლო აკრძალვა ასეთი გამოხატვის თავისუფლებისა,

⁴ იხილეთ ევროპული სასამართლო განჩინება საქმეზე *Otto-Preminger institut v. Austria* (20.09.1994).

მართებულია, რადგან ეს მასალები შეუთავსებელია გამოხატვის თავისუფლების საწყისებთან და მის ფუძემდებლურ გაგებასთან, ვინაიდან ისინი ადამიანის პიროვნების ყველაზე უფრო ქვენა გრძნობებს გამოხატავენ და მოტივირებული არიან მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით.

აშშ-ში ასევე არ არის 1-ლი დამატებით დაცული ნებისმიერი შინაარსის აზრების თავსმოხვევა, მათი მოსმენის იძულება ვინმესათვის მისივე საცხოვრებელ ბინაში. მიჩნეულია, რომ ეს ხელყოფს პიროვნების ხელშეუხებლობას. ნაწილობრივ განსხვავებულია ამ საკითხზე ევროპული სასამართლოს მიდგომა. საზოგადოდ ისიც აღიარებს გამოხატვის ნეგატიურ თავისუფლებას, ანუ ადამიანის უფლებას არ გამოხატოს საკუთარი აზრი ანდა უარი თქვას სხვის მოსმენაზე. როდესაც საქმე რელიგიური შეხედულებების თავსმოხვევას შეეხება, იგი განასხვავებს „სათანადო“ და „არასათანადო“ („კანონიერ“ და „უკანონო“) პროზელიტიზმს. მაგრამ მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ რელიგიური იდეების პროპაგანდის დროს ზემოაღნიშნული ფორმებისა და საშუალებების გამოყენებას იგი ყოველთვის როდი განიხილავს პიროვნების ხელშეუხებლობის ან მისი სხვა უფლებების ხელყოფად.⁵

ასევე არ იცავს აშშ-ის კონსტიტუციის I დამატება წაქეზებას, ანუ ისეთ გამოხატვას, რომელიც უბიძგებს სხვა ადამიანს კანონსაწინააღმდეგო ქმედების დაუყოვნებლივ ჩადენისაკენ ისეთ ვითარებაში, როცა ადვილი შესაძლებელია, ასეც მოხდეს. კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა წაქეზებას, ფაქტობრივად, არც ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი იცავს, მაგრამ ამ მიმართებაში აშშ-ს კონსტიტუციური დოქტრინა უფრო ლიბერალურია.⁶ აშშ-ში ასევე შედარებით ლიბერალურია დამოკიდებულება შეუწყნარებლობის გამოვლინებებისადმი. გამოთქმულია შეხედულება, რომ ამ სფეროში შედარებით მკაცრი ევროპული მიდგომები განპირობებულია გენოციდისა და ტოტალიტარიზმის ტრაგიკული ევროპული გამოცდილებით.⁷

11.1.3. რა არის დაცული

აშშ-ის კონსტიტუციის 1-ლი დამატებით, ისევე, როგორც ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით:

ა) დაცულია როგორც საკუთრივ იდეებისა და შეხედულებების გამოხატვა, ისე ინფორმაციების გავრცელება. ანუ, დაცულია როგორც „ფაქტების მტკიცება“, ისე „შეფასებითი მსჯელობა“.

ბ) ამავე დროს, ეს „შეხედულებები“ თუ „ინფორმაცია“ დაცულია იმის მიუხედავად, ნათქვამია თუ დაბეჭდილი; გადმოცემულია ხელოვნების ქმნილებით

⁵ *Kokkinakis v. Greece*, judgment of 25 May 1993; series A. no.260-A

⁶ მაგალითისათვის იხ. *Abrahams v. the United States*, 250 US 616,630(1919); *Whitney v. California*, 274 US 357, 375-78. ამ სფეროში ამერიკული და ევროპული მიდგომების შესახებ იხილეთ აგრეთვე **David Kretzmer**, *Freedom of Speech and Racism*, 8. Cardozo Law Review (1987). გვ.445. **Sandra Coliver** (ed), *Striking a Balance: Hate Speech, Freedom of Expression and Non-discrimination*, 1992.

⁷ ასეთი აზრი გამოთქვა მაგალითად **ელესტერმა**. იგი ყურადღებას ამახვილებს იმ საშიშროებაზეც, რომ რასობრივი თუ რელიგიური ჰარმონიის სახელით შეიძლება მოხდეს გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა. იხ. **Anthony Lester**. *Freedom of Expression*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds). 1993. გვ.474.

თუ სხვა მხატვრული ფორმითა თუ საშუალებით; გავრცელებულია ელექტრონული სისტემისა თუ სხვა გზით; უფლება განხორციელებულია „მოქმედებით“ თუ „უმოქმედობით“ და ა.შ. ესე იგი, **დაცულია არა მარტო ის, რაც გამოიხატება, არამედ მისი გამოხატვის „ფორმები“ და „საშუალებებიც“.**

გ) **დაცულია თითქმის ყველა სფეროში გამოთქმული შეხედულებები და ინფორმაცია**, კერძოდ, – ინფორმაციებისა და იდეების გამოხატვა ხელოვნების, ლიტერატურის, პოლიტიკის, კომერციის, სამეცნიერო-კლავიკით, იუმორისა და ჭკორების სფეროში;

დ) **დაცულია იმის მიუხედავად, თუ ვინ არის გამოხატვის თავისუფლების უფლებით მოსარგებლე სუბიექტი.**

თუმცა, **ორივე სისტემაში გამოხატვის აღნიშნული ფორმები, საშუალებები, სფეროები და ამ თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტთა უფლებები დაცულია არათანაბრად, სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ, - არადისკრიმინირებულად.**

ამ თავალსაზრისით, მთავარი განსხვავება ის არის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ისეთი მრავალფეროვანი არ არის, როგორც აშშ-ის სასამართლოებისა.

მაგალითად, გაცილებით უფრო მდიდარია ამერიკული სასამართლო პრაქტიკა ისეთი საქმეებით, რომელიც უკავშირდება ამა თუ იმ ქცევით „აზრის გამოხატვას“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ასეთი საქმეები ცოტაა; შესაბამისად, მასში არ არის კარგად დამუშავებული და შესწავლილი ასეთი საშუალებით აზრის გამოხატვის საკითხი და ის სპეციფიკა, რომელიც შესაბამისი საქმეების გადაწყვეტას შეიძლება ახლდეს თან. თუმცა, სასამართლოს საერთო განმარტებებისა და პრაქტიკის შესაბამისად, ნებისმიერი „მოქმედება“ ისევე, როგორც „უმოქმედობა“, განიხილება აზრის გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებად.⁸

ამერიკულ პრეცედენტებს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ასეთ საქმეებს დიდი ადგილი უჭირავთ იმ საქმეთა შორის, რომელიც აზრის გამოხატვას შეეხება. ეს საქმეები, როგორც წესი, უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც ამა თუ იმ მოქმედებით ხდება პროტესტის, ანუ საპროტესტო აზრის გამოხატვა რაიმეს ან ვინემს მიმართ და ძირითადად პოლიტიკის სფეროთი შემოიფარგლება. მაგალითად, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა კანონი, რომელიც კრძალავდა ამერიკის შეერთებული შტატების ღროშის დაწვას ისეთ გარემოებებში, რომელიც შეურაცხმყოფდა თანდამსწრეებს. პირიქით, კონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც კრძალავდა სახელმწიფო საკუთრებისა და ეროვნული ძეგლების დანგრევას, თუნდაც ის პოლიტიკური შეხედულებებით ყოფილიყო მოტივირებული. მან ასევე არაკონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც კრძალავდა არმიაში გასაწვევი ორდენების დაწვას იმის მიუხედავად, რომ ეს მოქმედება გამოხატავდა უკმაყოფილებას ვიეტნამში აშშ-ის სამხედრო ჩარევის გამო. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა გამამტყუნებელი განაჩენი ქურთუკის ტარებისათვის, რომელზეც შეურაცხმყოფელი ლოზუნგები იყო და გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას სამხედრო გაწვევებისადმი.

⁸ *M. McGuinness v. The United Kingdom* (Appl. no. 39511/98. decision 8 June 1999. reports 1999).

სასამართლომ აგრეთვე დაიცვა სტუდენტთა და მოსწავლეთა უარი აშშ-ის დროშისათვის ფიცის მიცემაზე რელიგიურ მოსაზრებათა გამო, სტუდენტების მიერ შავი ყელსახვევების ტარება პროტესტის ნიშნად, ზანგების მჯდომარე აქცია „თეთრ რაიონებში“ რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ და სხვ.

11.1.4. შეზღუდვის პირობები

ა) აშშ

ახლა ყველაზე უფრო არსებით საკითხზე – როგორია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებელი პირობები აშშ-ში და რა მიმართებაშია ის შესაბამის ვეროპულ გამოცდილებასთან.

როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ის კონსტიტუციის 1-ლი დამატება გამოხატვის თავისუფლებას აბსოლუტური ფორმით აცხადებს, მაგრამ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ეს კონსტიტუციური ნორმა განმარტებულია მისი მიზნების ჭრილში და სალი აზრის ევოლუციური სტანდარტების გათვალისწინებით. სწორედ იმის გამო, რომ ეს უფლება აბსოლუტური ფორმითაა გაცხადებული, ევროპული შემთხვევისაგან განსხვავებით, არ არსებობს წინასწარ დადგენილი აუცილებელი პირობები მისი შეზღუდვისა, არც ის საზოგადოებრივი ინტერესები, რომელთა დასაცავად ის შეიძლება შეიზღუდოს და არც ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას ამ შეზღუდვის გასამართლებლად. ეს პირობები უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებით არის განსაზღვრული. ისინი მოწმობენ, რომ ყველაზე უფრო ხშირად, სასამართლოებს მოუწიათ გამოხატვის თავისუფლების დაბალანსება **საზოგადოებრივი წესრიგის, ინდივიდის ხელშეუხებლობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებთან**. ასევე ხშირია საქმეები, სადაც გამოხატვის თავისუფლების დარღვევის პრეზუმფცია დაძლეულია **საზოგადოებრივი მორალის დასაცავად და ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის**. როგორც ამერიკელი კონსტიტუციონალისტები მოკლედ მიუთითებენ, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულია **საზოგადოებისა და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობისათვის**.⁹

არსებითად, ევროპული მიდგომაც იგივეა. ევროპული კონვენციის მიხედვით, ფაქტობრივად, იმავე საჯარო ინტერესების სასარგებლოდ შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, რა ინტერესების სასარგებლოდაც აშშ-ის კონსტიტუციის 1-ლი დამატებიდან შესაბამისი გამონაკლისებია დაშვებული სასამართლოთა განმარტებებით. განსხვავება კი ისაა, რომ რაკი ევროპული კონვენცია (მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი) კონკრეტულად მიუთითებს იმ საჯარო თუ სხვა ინტერესებს, რომელთა სასარგებლოდაც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, ცხადია, რომ ამ ინტერესთა ჩამონათვალი ამომწურავია და მისი განვრცობა ევროპული სასამართლოს განმარტებით დაუშვებელია (ეს არ შეეხება საკუთრივ ამ ინტერესთა გამომხატველი ტერმინების განმარტებასა და მათთვის ფართო შინაარსის მინიჭებას, რასაც ევროპული სასამართლო ხშირად

⁹ R.Blancpain, “Judicial Review”, *American Constitutional Law in International Encyclopedia of Law*. part II. ch.5. Kluwer, 1993.

ახდენს), მაშინ, როდესაც, ამ ინტერესთა განსაზღვრა აშშ-ში მთლიანად სასამართლოთა პრეროგატივაა.

საბოლოო ჯამში, ასეთი სურათი ყალიბდება:

როგორც ვიცით, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, იმისათვის, რათა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა „გამართლებულად“ იქნას მიჩნეული ევროპული სასამართლოს მხრიდან, აუცილებელია, რომ შესაბამისი შეზღუდვის შესაძლებლობა გათვალისწინებული იყოს ეროვნული სახელმწიფოს კანონით, შეზღუდვა ემსახურებოდეს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ კანონიერ მიზნებს და „აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ამ მიზანთა მისაღწევად.

ამერიკული კონსტიტუციური სამართლის მიხედვით, იმისათვის, რათა გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდოს, და ამასთან, არ აღმოჩნდეს კონსტიტუციასთან კონფლიქტში, სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ შეზღუდვა პირდაპირ მოემსახურება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს და გამოყენებული იქნება, რაც შეიძლება კონკრეტულად ამ მიზნის მისაღწევად. შეზღუდვის აუცილებელი პირობაა აგრეთვე საზოგადოებრივი ინტერესების დაზიანების „აშკარა და რეალური“ საფრთხის არსებობა.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს *Case law*-ს შესაბამის არგუმენტაციას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ამ სამნაწილიანი ბარიერის დაწესება უფლების შეზღუდვისა, თავის არსში გულისხმობს „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ ევროპული პრინციპების დაცვას; თუმცა, შეფასების კრიტერიუმის გამოსახატავად გამოყენებული ტერმინები და შეფასების სტანდარტები განსხვავებულია.

ცალსახა პასუხი კითხვაზე, სად უფრო ძლიერი დაცვა აქვს გამოხატვის თავისუფლებას, ძალიან რთულია. ის, რაც თამამად შეიძლება ითქვას, ის არის, რომ ყოველგვარი იურიდიული შეზღუდვის დასაბუთება და გამართლება, როგორც ევროპაში, ისე აშშ-ში ძალიან რთულია და ღირებულებათა კონფლიქტის პრობლემა ამერიკული მოსამართლეების მიერ სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეების მსგავსად, უფრო ხშირად, გადაჭრილია სასწორის გადაწონვით იდეათა ფართო გაცვლის აუცილებლობის სასარგებლოდ. ეს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და ოპტიმისტურ შეხედულებას, რომ რაც უფრო იშვიათად ჩაერევა სახელმწიფო საზოგადოებრივ დისკუსიებში, მით მეტია ჭეშმარიტებისა და საზოგადოებრივი სიკეთის გამარჯვების შესაძლებლობა.

ზემოთ დასმული კითხვის პასუხთან მისაახლოებლად, უძჯობესია ასე დაისვას საკითხი; რომელი კრიტერიუმის გამოყენება იძლევა უფრო ნაკლებ შესაძლებლობას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა? თუ ამოვალთ საკუთრივ შესაბამისი კრიტერიუმების შედარებითი ანალიზიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამერიკული „აშკარა და რეალური“ საფრთხის კრიტერიუმის გამოყენება, თავისთავად, მეტ წინაპირობას ქმნის გამოხატვის უფლების უკეთ დაცულობისათვის, ვიდრე ევროპული კრიტერიუმი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“:

ევროპული გაგებით, „აუცილებლობის“ შეფასება ნიშნავს უფლების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დადგენას, რაც თავის მხრივ, გულისხმობს საამისოდ „აუცილებელი და შესაბამისი“ საფუძვლის დასაბუთებას სახელმწიფოს მხრიდან. ამერიკული „აშკარა და რეალური საფრთხის“

კრიტერიუმი კი, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში გამოიყენება, მისი განმარტებების შესაბამისად, გულისხმობს იმის დადგენას, რომ არსებობდა „აშკარა და რეალური საფრთხე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინსტერესის სერიოზული დაზიანებისა, ანუ მავნე შედეგებისა, რომლის თავიდან ასაცილებლად კონგრესს შეეძლო ემოქმედნა“.

თავისთავად ის გარემოება, რომ აღნიშნული კრიტერიუმი რამდენიმე შემზღუდველ პირობას ითვალისწინებს, იმის მიმანიშნებელია, რომ ამ კრიტერიუმით შეფასება უკიდურესად ამცირებს უფლებაში შეჭრის გამართლებულობის შესაძლებლობას და რომ მხოლოდ ძალზე იშვიათი შეიძლება იყოს ისეთი საქმეები, სადაც ყველა ეს მოთხოვნა დამაკმაყოფილებლად ჩაითვლებოდა.

მართალია, „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასება ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, ასევე მოიცავს იმის დადგენას, თუ რამდენად რეალური იყო ასეთი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არსებობა, მაგრამ ეს კრიტერიუმი არ აკეთებს აქცენტს უშუალოდ კონკრეტული ზიანის აშკარა საფრთხეზე, ზიანის გარდუვალობაზე ან მის სერიოზულობაზე. ეს გარემოებები ცხადია, მიიღება მხედველობაში ყოველი კონკრეტული საქმის განხილვის დროს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისთავად ის გარემოება, რომ ამ კრიტერიუმის ფორმულირება გაცილებით უფრო ფართო და ზოგადია, მეტ ალბათობას გულისხმობს იმისა, რომ მისი გამოყენების დროს უფლებაში ჩარევის გამართლებულობის შეფასება უფრო ბევრ შემთხვევას დაუკავშირდეს.

„აშკარა და რეალური“ საფრთხის კრიტერიუმი პირველად გამოყენებული იქნა საქმეში *Schenck v. United States* (1919), რომელიც დაკავშირებული იყო მოწოდებასთან, თავი აერიდებინათ სამხედრო სამსახურისათვის. **ოლივერ უნდელ ჰოლმსის** ავტორობით მიღებული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ასეთ მოწოდებებს შეეძლოთ აშკარად რეალური საფრთხე შეექმნათ აშშ-სათვის და მოეტანათ სერიოზული ბოროტება. ჰოლმსმა შემდეგნაირად დაასაბუთა ეს: როცა სახელმწიფო საომარ მდგომარეობაშია, ბევრი რამ, რაც მშვიდობიანობის დროს შეიძლება თქმულიყო, ისეთ გართულებებს იწვევს, რომ ის ვეღარ იქნება გამართლებული ვერცერთი სასამართლოს მიერ ვერანაირი კონსტიტუციური უფლების საფუძველზე.¹⁰

ჰოლმსი ცდილობდა „აშკარა და რეალური საფრთხის“ კრიტერიუმი გამოეყენებინა სხვა საქმეებშიც, მაგრამ მისი შეხედულებები როდი იყო გაზიარებული. საქმე *Abrahams v. United States* (1919) შეეხებოდა აშშ-ში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს – კომუნისტებს, რომლებმაც გაავრცელეს ფურცლები, სადაც დაგმობილი იყო აშშ-ის პოზიცია I მსოფლიო ომში და შეიცავდა მოწოდებას მუშებისადმი, შეეჩერებინათ იარაღის წარმოება, რომელსაც აშშ რუსეთის რევოლუციის ჩასახშობად გამოიყენებდა. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ შეინარჩუნა საბრალდებო განაჩენი. მოსამართლე ჰოლმსი უმცირესობაში აღმოჩნდა. მაგრამ მის მიერ შედგენილი განსხვავებული აზრი ძალიან ცნობილი და პოპულარულია. ჰოლმსის აზრით, კონგრესს არ ჰქონდა

¹⁰ ჯანდა, ბერი, გოლდმენი. *ამერიკული დემოკრატია. აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი*. თბ.1995.

უფლება, დაესაჯა ხალხი ომისადმი მისი დამოკიდებულების გამო, მით უფრო, რომ ბრალდებულთა განზრახვა იყო არა გერმანიის წინააღმდეგ ომში აშშ-სათვის სირთულეების შექმნა, არამედ აშშ-ის ინტერვენციის აღკვეთა რუსეთში, რაც მათი უმწიფარობის გამოხატულება იყო. მან აღნიშნა: ჩვენ განსაკუთრებით უნდა შევინარჩუნოთ გონიერება და სიფრთხილე ისეთი აზრების გამოხატვის შეზღუდვისას, რომლებიც გვძულს, დამღუპველად გვეჩვენება, თუკი ისინი არ ქმნიან რეალურ საფრთხეს.¹¹

ასევე არ იქნა გაზიარებული ჰოლმისის შეხედულებები საქმეში *Gitlow v. New York* (1925). დამნაშავეებს ბრალი ედებოდათ ხელისუფლების ძალადობით დამხობისაკენ მოწოდებების გამო.

მაგრამ, ჰოლმისის პოზიცია, არ შეზღუდულიყო საშიში აზრების გავრცელება, თუ ისინი არ ქმნიდნენ რეალურ საფრთხეს, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საბოლოოდ მიიღო და მოიწონა 1969 წელს საქმეში *Brandenburg v. Ohio*, რომელიც კუ-კლუქს-კლანელებს შეეხებოდა. ამ საქმეზე მიღებული განმარტებებით განისაზღვრა, რომ თვითგამოხატვის უფლება ექვემდებარებოდა დაცვას იმ შეთხვევის გარდა, როცა საქმე ჰქონდათ რეალურ ძირგამომთხრელ საქმიანობასთან და არსებობდა **ძალიან დიდი ალბათობა უკანონო მოქმედებების ჩადენისა და საჯარო ინტერესებისათვის სხვაგვარად ზიანის მიყენების აშკარა და რეალური საფრთხე.**

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს შემდგომი პრაქტიკა ამის შესაბამისად წარიმართა. მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებულ საქმეში მან სწორედ იმიტომ ცნო არაკონსტიტუციურად ბრძანებულება, რომელიც სკოლებთან ნებისმიერ პიკეტირებას კრძალავდა, გარდა მუშათა დემონსტრაციებისა, რომ ხელისუფლებამ ვერ დაასაბუთა, რატომ მისცა ამის უფლება მხოლოდ მუშათა დემონსტრაციებს და რა საშიშროებას შეიცავდა სხვაგვარი დემონსტრაციები.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ სპეციფიური მიდგომა შეიმუშავა აზრის გამოხატვის ისეთი ფორმის მიმართ, როგორცაა **იდეების პროპაგანდა**. იგი იდეების პროპაგანდას, რომელიც დაცულია კონსტიტუციით, მაგრამ შეიძლება შეიზღუდოს ქვემოთ შემთხვევებში, განასხვავებს წამქეზებლობისაგან, რომელსაც კონსტიტუცია არ იცავს. სასამართლოს მიერ შექმნილი იურისპრუდენციის მიხედვით, **ხელისუფლებას შეუძლია შეზღუდოს ისეთი იდეების პროპაგანდა, რომლის მიზანია უკანონო მოქმედებათა გამოწვევა** თუ: ა) არსებობს **დიდი ალბათობა**, რომ ხალხი დაუყოვნებლივ დაარღვევს კანონს და არავითარი შანსი აღარ რჩება იმ შედეგების შესახებ საჯარო მსჯელობისათვის, რისკენაც პროპაგანდა უბიძგებდა ადამიანებს (ე.წ. „**რეალური და ამწუთიერი საფრთხის ტესტი**“), ან ბ) შესაბამისი აზრი მართლაც წარმოშობს სხვა ადამიანებში **კანონის დარღვევის საშიშ ტენდენციას**, ვინაიდან, მიჩნეულია გონივრულად, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლება ვერ დაელოდება, თუ როდის აღმოჩნდება ის უშუალოდ უკანონო მოქმედების წინაშე (ე.წ. „**საშიში ტენდენციის ტესტი**“).¹²

¹¹ Hughes Chares Evans *The Supreme court*, New York, 1928.

¹² *We The People. A secondary level Student Text. აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართლმართლობა*. თბ. 1997.

როგორც ვხედავთ, აშკარა და რეალური საფრთხის კრიტერიუმის შინაარსი (1-ლ შემთხვევაში), გამდიდრებულია ახალი ნიშნით – შედეგების **დაუყოვნებლივ** დადგომის ვარაუდით, რაც თავის წილ, ასევე ამცირებს უფლებაში შეჭრის გამართლებულობის შესაძლებლობას.

კიდევ უფრო მაღალი სტანდარტებია გამოყენებული **პრესის პუბლიკაციების** დასაცავად. ამის კარგი მაგალითია საქმე *New York Times v. US* (1971) – საქმე პენტაგონის დოკუმენტების შესახებ. აშშ-ის ხელისუფლება ცდილობდა აეძულებინა „ნიუ იორკ ტაიმსი“ და „ვაშინგტონ პოსტი“, შეეჩერებინათ პუბლიკაცია, რომელიც შეიცავდა საიდუმლო კვლევის მასალებს სახელწოდებით – „ვიეტნამში აშშ-ის პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ისტორია“. ჯერ საოლქო, შემდეგ კი კოლუმბიის სააპელაციო სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო დაემტკიცებინა პუბლიკაციის აკრძალვის უცილებლობა. ამ საქმეზე შედგენილ იქნა გადაწყვეტილების თანმხვედრი სამი სხვადასხვა აზრი მოსამართლეებისა. მათში განვითარებულია სწორედ ის იდეა, რომ მხოლოდ ძალზე **სერიოზული, რეალური და გარდაუვალი ზიანის დაუყოვნებლივ მიყენებისას შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლება.**

მოსამართლეები **ბლეკი და დუგლასი** თავიანთ თანმხვედრ აზრში სწერდნენ: პრესამ 1-ლი დამატებით იმიტომ მიიღო დაცვის უფლება, რომ ემხილებინა ხელისუფლების ბნელი საქმეები და ეცნობებინა ხალხისათვის. მხოლოდ თავისუფალ და შეუბოროტებელ პრესას შეუძლია ეფექტიანად გააშიშვლოს სიცრუე, რის უფლებასაც ხელისუფლება ხშირად აძლევს თავის თავს. ტერმინი – „ეროვნული უშიშროება“ ძალიან ფართო და ბუნდოვანია და ის არ შეიძლება ყოველთვის უპირობოდ გამოდგეს ისეთი ფუნდამენტური უფლების შესაზღუდად, რომელიც 1-ლი დამატებით არის დაცული. მოხმობილი იყო სხვა საქმეებიც, სადაც ასევე უარყოფილი იქნა „ეროვნული უშიშროების“ ფართო დოქტრინა.

მოსამართლე **ბრენანმა** თავის თანმხვედრ აზრში ხაზგასმით აღნიშნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო **არა სავარაუდოდ, არამედ – გარდაუვლად მოსალოდნელი სერიოზული ზიანი.** სახელმწიფოს მთავარი არგუმენტი პუბლიკაციის შეზღუდვისა ის იყო, რომ მას „შეეძლო“, „შეიძლებოდა“ მიეყენებინა ზიანი ეროვნული უშიშროებისათვის. 1-ლი დამატებისათვის მიუღებელია ყოველგვარი შეზღუდვა, რომელიც ზიანის შესაძლო მიყენების ვარაუდებსა და წარმოდგენებს ემყარება. აშშ-ის სასამართლოების Case law-ს მიხედვით, ძალიან შეზღუდული კატეგორიის საქმეებზე შეიძლება გადაილახოს პუბლიკაციისთვის დაწესებული შეზღუდვები. ასეთ შემთხვევებთან მხოლოდ მაშინ გვექნება საქმე, როცა ქვეყანა „ომის მდგომარეობაში“ იმყოფება. აკრძალვის დაკანონება უნდა ემყარებოდეს ხელისუფლების დამაჯერებელ და დასაბუთებელ მტკიცებას, რომ პუბლიკაცია **გარდაუვლად, უშუალოდ და დაუყოვნებლივ გამოიწვევს უშიშროების შეზღუდვებს** ეროვნული უშიშროებისათვის.

მოსამართლეების **უაითისა და სტიუარტის** თანმხვედრ აზრში ასევე ზიანის სერიოზულობის აუცილებლობაზეა საუბარი: ჩვენ გვჯერა, რომ ამ დოკუმენტების გავრცელება გამოიწვევს ეროვნული უშიშროებისათვის არსებითი ზიანის მიყენებას. მაგრამ ისიც გვჯერა, რომ აშშ-ის კონსტიტუციის 1-ლი დამატება ძალიან მაღალ

მოთხოვნებს აყენებს. ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ ცნობების გამჟღავნება გამოიწვევს საზოგადოებრივი ინტერესისადმი **სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანის** მიყენებას. 1-ლი დამატება უჩვეულოდ წინადაგმართლებას მოითხოვს.

ზემოაღნიშნული ფორმულირებანი მოწმობენ, რომ აშშ-ში გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებულობის სტანდარტები ცალკეული კატეგორიის საქმეებზე კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე ის საერთო მინიმალური სტანდარტი, რასაც გულისხმობს „**აშკარა და რეალური საფრთხის**“ კრიტერიუმი, რამდენადაც, შესაბამის შემთხვევებში უფლებაში ჩარევის გამართლებულობის შესაძლო არეალი დავიწროებულია ისეთი დამატებითი პირობების შემოტანით, როგორცაა, **საზოგადოებრივი ინტერესისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხე**, ანდა ასეთი შედეგის დაუყოვნებლივ გამოწვევის შესაძლებლობა.

ასეთ შემთხვევებთან მიმართებით, კიდევ უფრო თამამად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შესაფასებელი არაერთი პირობით დახუნძლული კრიტერიუმები გაცილებით ნაკლები ვარიანტების შესაძლებლობას იძლევიან და გაცილებით მოკლე რხევის ამპლიტუდას გულისხმობენ, ვიდრე ევროპული „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შედარებით უფრო ზოგადი, აბსტრაქტული და გარემოებებისა და მიხედვით მეტისმეტად ცვლადი შირაარსის ფორმულირება.

* * *

აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალში საკუთრივ „**აუცილებლის**“ კატეგორიაც ფართოდ გამოიყენება. კონსტიტუციის თანახმად, კონგრესს შეუძლია მიიღოს არა ყველა კანონი, რომელთა მიღების უფლებამოსილებაც გააჩნია, არამედ მხოლოდ ისეთები, რომელთა მიღებაც არის „**აუცილებელი**“ და „**შესაბამისი**“. კონსტიტუციის განმარტებების შესაბამისად, სიტყვა – „**აუცილებელი**“ მნიშვნელოვნად ზღუდავს კონგრესის უფლებამოსილებას და ანიჭებს მას მხოლოდ ისეთი კანონების მიღების უფლებას, რომლებიც უკიდურესად აუცილებელია და. რომელთა გარეშეც ხელისუფლება ცარიელ ცნებად გადაიქცეოდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ არც ისეთი უკიდურესი შემთხვევები იგულისხმება მხოლოდ, როდესაც შესაბამისი კანონი ერთადერთი საშუალებაა დასახული მიზნის მისაღწევად და რომ ეს მიზანი, რომელსაც კანონის მიღება ისახავს, მის გარეშე სრულიად მიუღწევადი იქნებოდა (*M. Cullor v. Maryland* 17 US 4 Wheat; 316. 414-414/1819).

„**აუცილებლის**“ კატეგორია გამოიყენება კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის სფეროშიც. მაგალითად, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც კრძალავდა არასავაჭრო ხასიათის სარეკლამო ფურცლებსა და ცნობებს, მაგრამ, ბევრ გამონაკლისს უშვებდა (მაგალითად – პოლიტიკური რეკლამებს). სასამართლომ იმიტომაც სცნო ეს კანონი არაკონსტიტუციურად, რომ, როგორც მან აღნიშნა, ხელისუფლება არ განიცდიდა იმის აუცილებლობას, რომ მხოლოდ ზოგიერთი სახის რეკლამა დაეშვა და არა ყველანაირი.

„**აუცილებლის**“ კატეგორია გამოყენებულ იქნა აგრეთვე ისეთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა „**ადამიანებისადმი არაერთგვაროვანი**

მოპყრობის“ გამართლების დასაბუთება, რაც უაღრესად დიდ სიფრთხილესა და დელიკატურობას მოითხოვდა.

ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია აშშ-ის კონსტიტუციის მე-14 დამატების გამოყენების თვალსაზრისით, რომელიც ადამიანებისადმი თანაბარ მოპყრობას მოითხოვს. მაგრამ, აღიარებულია სახელმწიფოს შესაბამისი უფლებაც, საჭიროების შემთხვევაში „არაერთგვაროვნად მოეპყრას ადამიანებს“, როდესაც ეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესით არის განპირობებული. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ასეთი არაერთგვაროვანი მოპყრობის გონივრულობის დასაბუთება, ანუ იმის დამტკიცება, თუ რატომ იყო სახელმწიფო იძულებული, შეეზღუდა მე-14 დამატებით გათვალისწინებული უფლება. მაგრამ, როდესაც ადამიანთა კლასიფიკაცია ძალიან საეჭვოა (ამის კლასიკური მაგალითია ადამიანთა რასობრივი ნიშნით დაყოფა – „რასობრივი სეგრეგაცია“), ანდა შეეხება რომელიმე ძირითადი უფლების განხორციელებას (მაგ. ხმის უფლებას), ასეთ დროს ადამიანებისადმი განსხვავებული მიდგომა კიდევ უფრო მკაცრი კრიტერიუმით ფასდება. სწორედ აქ არის გამოყენებული „აუცილებელის“ კრიტერიუმი: სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს, რომ შესაბამისი კანონი, რომელიც ადამიანებისადმი განსხვავებულ მიდგომას ემყარება, თუ რატომ იყო „აუცილებელი“ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ინტერესის დასაცავად. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში „აუცილებლობის“ ფარგლები ძალიან ვიწროა: საქმეში *Dunn v. Blumstein* (405; 49; 330; 1972) საკითხი შეეხებოდა ადამიანთა სქესის მიხედვით კლასიფიკაციას, რის გამოც, უზენაესმა სასამართლომ დააფიქსირა დამატებითი კონტროლის აუცილებლობა და მიუთითა, რომ კანონებს, სადაც ნაგულისხმები იყო ასეთი კლასიფიკაცია, მხარს დაუჭერდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოემსახურებოდნენ ძალიან მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მიზნებს და, ამავე დროს, უშუალოდ და არსებითად იქნებოდნენ ამ მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული. ამავე საქმეში აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მიუთითა: **თუკი არსებობს სხვა გონივრული საშუალებანი მიზანთა მისაღწევად სახელმწიფოს კონსტიტუციურად დაცული საქმიანობისათვის ნაკლები ზიანის მიყენებით, სახელმწიფო არ უნდა წავიდეს უფლებაში მეტი ჩარევის გზით და ცდილობდეს, შეარჩიოს ნაკლებად რადიკალური საშუალებები.** როგორც ვხედავთ, ეს, ფაქტობრივად, უფლებაში „თანაზომიერი ჩარევის“ მოთხოვნაა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში ასევე მოიაზრება, როგორც უფლებაში ჩარევის „თანაზომიერების“ შეფასების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

ბ) კანადა

„აუცილებელისა“ და განსაკუთრებით „თანაზომიერების“ კატეგორიები კარგად არის დამუშავებული და გამოყენებული კანადის კონსტიტუციურ სამართალშიც კონსტიტუციური უფლებების დარღვევის გამამართლებელი შემთხვევების დასაბუთებისას. ამ მიმართებით, გაცილებით უფრო ახლოა კანადის კონსტიტუციური სამართლის დებულებები ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის შესაბამის დებულებებთან, ვიდრე ამერიკული.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ 1982 წლის კანადური ქარტია თავისებურ გაგებას ამკვიდრებს კონსტიტუციური უფლებების დარღვევის გამამართლებელი შემთხვევებისა. იგი, აშშ-ის კონსტიტუციის მსგავსად, უფლებებს აბსოლუტური ფორმით აცხადებს, მაგრამ მის 1-ლ ნაწილში ჩამოთვლილი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მხოლოდ იმ გონივრულ საზღვრებში უზრუნველყოფს, რომლებიც კანონით არის ნაგულისხმები და რომლებიც არგუმენტებულად შეიძლება იყოს გამართლებული თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საქმეთა მთელი წყების განხილვისას, კანადის უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა კრიტერიუმი იმის განსასაზღვრად, როდის იქნება უფლების შეზღუდვა არგუმენტებულად გამართლებული. ამ საქმეთა შორის პირველი იყო საქმე *Regina v. Dakes* (1986, 1 scr. 103). ამ საქმეში სასამართლო იხილავდა სტატუტს, რომლის მიხედვით, ნარკოტიკების მფლობელ პირს ევალებოდა იმის მტკიცება, რომ მას არ ინახავდა გასაღების მიზნით (თუ რაღა თქმა უნდა ასეთი პოზიცია ეკავა); ანუ, მას ეკისრა მტკიცების ტვირთი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს არ შეესაბამებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციას: იმის მტკიცების ტვირთი, რომ ქარტიით უზრუნველყოფილი უფლებების შეზღუდვა გონივრულია და არგუმენტებულად გამართლებული დემოკრატიულ საზოგადოებაში, იმის მხარეზეა, ვის სურვილსაც შეესაბამება ამ შეზღუდვის მტკიცება. იმისათვის, რათა შეზღუდვები აღიარებულ იქნას, როგორც გონივრული და არგუმენტებულად გამართლებული თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში, დაკმაყოფილებული უნდა იყოს ორი კრიტერიუმი:

პირველი: **მიზანი**, რომელსაც ემსახურება ქარტიით გათვალისწინებულ უფლებათა შემზღუდავი ღონისძიებები, **უნდა იყოს საკმარისად მნიშვნელოვანი**, რათა ამან გაამართლოს კონსტიტუციური უფლებების დარღვევა. ამასთან, სტანდარტი უნდა იყოს საკმარისად მაღალი – ეს **მიზანი**, როგორც მინიმუმი, **უნდა უკავშირდებოდეს პრობლემებს, რომლებიც აქტუალური და მნიშვნელოვანია თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოებისათვის.**

მეორე: როგორც კი მიზანი აღიარებულია საკმარისად მნიშვნელოვანად, მხარემ, რომელიც უთითებს უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობაზე (ე.ი. სახელმწიფომ) უნდა აჩვენოს, რომ **შერჩეული საშუალებები გონივრულია და არგუმენტებულად გამართლებული**. ამასთან, იმისათვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა ეს საშუალებები „გონივრული და არგუმენტებულად გამართლებული“, აუცილებელია ჩატარდეს „**თანაზომიერების**“ ანალიზი, რომელიც, თავის მხრივ სამ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავს:

1) მიღებული ზომები უნდა ემსახურებოდნენ დასახული მიზნის მიღწევას. ისინი არ უნდა იყოს თვითნებობის შედეგი, უსამართლო და დაფუძნებული ირაციონალურ მოსაზრებებზე. ისინი რაციონალურად უნდა უკავშირდებოდნენ მიზანს (ზემოაღნიშნულ საქმეზე სასამართლომ გააკეთა დასკვნა, რომ სტატუტი, რომელზედაც იყო საუბარი, მართალია, უზრუნველყოფდა ძალიან მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს, კერძოდ – ნარკოტიკებით ვაჭრობის შეზღუდვას, მაგრამ შექმნილ პრეზუმფციასა და მთავრობის მიზანს შორის არ იყო რაციონალური კავშირი. ამიტომ, სტატუტი არ გამართლდა).

2) ეს ღონისძიებები, რომლებიც რაციონალურად უკავშირდებოდნენ მიზანს, რაც შეიძლება უფრო ნაკლებად უნდა ზღუდავდნენ შესაბამის უფლებებსა თუ თავისუფლებებს;

3) უნდა არსებობდეს თანაზომიერება იმ ღონისძიებების შედეგებს შორის, რომლებიც ზღუდავენ უფლებებსა და თავისუფლებებს და იმ მიზანს შორის, რომელიც აღიარებულია „საკმარისად მნიშვნელოვნად“.

განსაკუთრებით მაღალია ამ მესამე კრიტერიუმის შეფასების სტანდარტი. კანადის უზენაესი სასამართლოს აზრით, მაშინაც კი, როდესაც პირველი ორი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, მაინც შეიძლება აღმოჩნდეს, რომ იმ შედეგების ნეგატიურობის სერიოზულობის გამო, რომლებიც უფლებათა შეზღუდველ ღონისძიებებს მოჰყვება ცალკეული პირებისა თუ პირთა ჯგუფებისათვის, ეს ღონისძიებები აღარ ჩაითვალოს გამართლებულად იმ მიზნებით, რომლებსაც ისინი მოწოდებულია ემსახუროს. „გონივრული და არგუმენტებულად გამართლებული“, ფაქტობრივად, თავის თავში მოიცავს უფლების შეზღუდვის ყველა უცილებელ კომპონენტს. იგი:

ა) ზღუდავს იმ საზოგადოებრივ მიზნებს, რომელთა დასაცავად უფლება შეიძლება შეიზღუდოს, აწესებს რა შესაბამის სტანდარტს – **მიზანი უნდა იყოს საკმარისად მნიშვნელოვანი**;

ბ) ზღუდავს იმ შემთხვევათა წრესაც, როდესაც უფლება შეიძლება შეიზღუდოს თუნდაც საკმარისად მნიშვნელოვანი მიზნის დასაცავად, აწესებს რა დამატებით შეზღუდვას – **საკმარისად მნიშვნელოვანი მიზანი უნდა უკავშირდებოდეს დემოკრატიული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემებს**.

გ) განსაზღვრავს უფლების შეზღუდვის სხვა აუცილებელ პირობებს და ევროპული „აუცილებელისა“ და „თანაზომიერების“ თითქმის იდენტურ კრიტერიუმებს იყენებს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უფლების შეზღუდვის კანადური კრიტერიუმის – „გონივრულად და არგუმენტებულად გამართლებულის“ შინაარსი მოიცავს ევროპული კრიტერიუმების – „აუცილებელისა“ და „თანაზომიერების“ შინაარსს, მაგრამ იგი უფრო ფართოა, რამდენადაც თავის თავში აერთიანებს უფლების შეზღუდვის ყველა აუცილებელ პირობას, მათ შორის – იმ საზოგადოებრივ მიზანთა განსაზღვრას, რომელთა დასაცავადაც უფლება შეიძლება შეიზღუდოს, რაც, კანადური ქარტიისაგან განსხვავებით, ევროპულ კონვენციაში წინასწარ არის დადგენილი და მათი განსაზღვრა არ ხდება შეფასების რაიმე კრიტერიუმის გამოყენების გზით.

რაც შეეხება არსებით მხარეს – სად უფრო მაღალია უფლებათა დაცვის სტანდარტი: არსებობს რამდენიმე ასპექტი, რომლებიც მეტ, თუნდაც ფორმალურ წინაპირობას ქმნიან საიმისოდ, რომ კანადაში გამოხატვის თავისუფლების დაცვა უფრო მაღალი სტანდარტით განხორციელდეს, ვიდრე ევროპულ კონვენციაზე დაყრდნობით:

1) მხედველობაშია ის, რომ კანადის უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით, საზოგადოებრივი მიზნის „საკმარისად მნიშვნელოვნად“ აღიარება

საკმარისი არ არის და აუცილებელია, რომ ეს მიზანი უკავშირდებოდეს დემოკრატიული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემებს, რაც თავისთავად, კიდევ უფრო ავიწროებს უფლებაში ჩარევის გამართლებულობის შესაძლო არეალს. ჩვენს მიერ ვერ იქნა მოძიებული კანადის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში შესაბამისი შემთხვევა და არ მოგვეცა შესაძლებლობა, შეგვეფასებინა, რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ეს დამატებითი შეზღუდვა გამოხატვის თავისუფლების დაცულობის მიღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად და, რამდენად არსებით გავლენას ახდენს იგი საერთო ფონზე, ან ცვლის თუ არა მას, მაგრამ, თავისთავად, მაინც მხედველობაში მისაღებ ფაქტორად გვესახება;

2) გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია კანადური „თანაზომიერების“ კრიტერიუმის მესამე კომპონენტი, კერძოდ ის მოთხოვნა, რომ შემზღუდველი ღონისძიება უფლებას უნდა აყენებდეს **შესაძლებლად მინიმალური ხარისხის ზიანს**. ევროპული „თანაზომიერების“ პრინციპის გამოყენება ასევე გულისხმობს ასეთ მიმართებას. ევროპული სასამართლოს შესაბამისი იურისპრუდენცია მოწმობს, რომ ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უფლებაში შეჭრის ხარისხს და ითვალისწინებს არსებობდა თუ არა უფლების უფრო ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ ეს გარემოებები, მაინც „თანაზომიერების“ შეფასების მხოლოდ ერთ-ერთი ორიენტირია და არა მკვეთრი და სავალდებულო მოთხოვნა შეზღუდვის გასამართლებლად. ეს კი მეტ ალბათობას ქმნის საიმისოდ, რომ თუნდაც ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეულ საქმეთა გადაწყვეტის დროს შედარებით დაბალი სტანდარტი იქნას გამოყენებული.

11.1.5. პოლიტიკის სფერო

პოლიტიკის სფეროში გამოხატვის თავისუფლებას ისევე, როგორც ევროპაში, აშშ-სა და კანადაშიც უპირატესი დაცვა აქვს. საერთოა ის კონცეფცია, რომელსაც ასეთი პრივილეგია ემყარება. ეს განსაკუთრებით საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიების უზარმაზარი მნიშვნელობის აღიარება თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისა და წინსვლისათვის. ამავე კონცეფციას ეყრდნობა პრესის თავისუფლების, აგრეთვე დეპუტატის სიტყვის თავისუფლების განსაკუთრებული დაცვა და დოქტრინა, რომელიც შეეხება ხელისუფლებისა თუ ცალკეული პოლიტიკოსების კრიტიკასა და დიფამაციური განცხადებებისადმი არაერთგვაროვან მოპყრობას იმისდა მიხედვით, თუ ვის შეეხება ის – მთელ ხელისუფლებას, ცალკეულ პოლიტიკოსებსა თუ კერძო პირებს.

პოლიტიკური თვითგამოხატვის უპირატესი დაცვისა და მის შესაზღუდად უკიდურესად მაღალი სტანდარტების გამოყენების აუცილებლობა შესანიშნავად ახსნა კანადის უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ **მაკლასსინმა**: სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე შეხედულებების თავისუფლად და ღიად გამოხატვის უფლებას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ჩვენი დემოკრატიისათვის. მის გარეშე შეუძლებელია მწვავე დისკუსიები პოლიტიკისა და ღირებულებების შესახებ. უფრო მეტიც – აზრის თავისუფალი გამოხატვის გარეშე შეუძლებელია დავიცვათ სხვა უფლებებიც, როდესაც შეუძლებელია მივმართოთ საზოგადოებრივი

აზრის სასამართლოს (ანუ საზოგადოების სამსჯავროს). ამავე დროს, ყოველგვარი შეზღუდვა გამოხატვის თავისუფლებისა, უნდა იყოს აუცილებელი, გამართლებული და მთლიანად თავსებადი თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებთან. მაგრამ, შეზღუდვები, რომლებიც შეეხებიან სოციალური და პოლიტიკური დისკუსიების მგრძობიარე ნერვს, მოითხოვენ განსაკუთრებულად ფრთხილად განხილვას იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია ასეთი დისკუსიისათვის ცენზურის დაწესებასთან.¹³

პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული დაცვა და მათ შესაზღუდად ძალიან მაღალი სტანდარტები აშშ-ში სასამართლოებმა დაამკვიდრეს და ხელისუფლების სხვა განშტოებებმა ადვილად როდი გაიზიარეს ასეთი მიდგომა. შესაბამის სასამართლო პრეცედენტებში გამოთქმული იდეები და შეხედულებები, კონსტიტუციის 1-ლი დამატების განმარტებანი, მათი შესაბამისი იურიდიული ნორმები თუ დებულებები უაღრესად ფასეულ ნაწილს წარმოადგენენ აშშ-ის კონსტიტუციური სამართლისა და უნივერსალური და საყოველთაო ღირებულების – „თავისუფლების“ დაცვის ჭრილში განიხილება.

ამის ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა დროშის საქმე (*Texas v. Jonson*, 1989). 1984 წელს დალასში, რესპუბლიკური პარტიის საერთო-ამერიკული ყრილობის დროს, ჯონსონი მონაწილეობდა დემონსტრაციაში აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის რ.რეიგანის წინააღმდეგ, რა დროსაც საჯაროდ დასწვა აშშ-ის დროშა. ჯონსონი გაასამართლეს და მიუსაჯეს 1 წლით პატიმრობა და 2000\$ ჯარიმა.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ტეხასის შტატის ხელისუფლებას არ ჰქონდა უფლება, სისხლის სამართლის დევნა აღედრა იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელმაც, პოლიტიკური პროტესტის ნიშნად, რესპუბლიკური პარტიის კონვენტის დროს დასწვა ამერიკული დროშა. გადაწყვეტილებაში მითითებულია: „დროშის შეურაცხყოფისათვის კონსტიტუციური დაცვა არის დადასტურება თავისუფლების პრინციპისა, რომელსაც დროშა განასახიერებს“. მოსამართლე **ბრენანმა** თავის თანმხვედრ აზრში აღნიშნა: „ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება კი არ დააკნინებს, არამედ, პირიქით, გააძლიერებს და აამაღლებს იმ რანგს, რომლითაც დროშა დამსახურებულად სარგებლობს ჩვენს საზოგადოებაში. ეს გადაწყვეტილება ადასტურებს თავისუფლებისა და შემწყნარებლობის პრინციპს და ამტკიცებს ფაქტს, რომ ისეთი კრიტიკული აზრის დაშვება ჩვენი მხრიდან, როგორც ბრალდებულმა გამოხატა, წარმოადგენს ჩვენი ძლიერების წყაროს.“¹⁴

ამ გადაწყვეტილების პასუხად, ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც დანაშაულად აცხადებდა დროშის შეგნებულად განადგურებას, დამახინჯებას, ფიზიკურ შეურაცხყოფას, დაწვას, იატაკზე ან მიწაზე შენახვას ან ფეხებით გათელვას. 1990 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ეს კანონიც ანტიკონსტიტუციურად ცნო და მიუთითა: „დროშის შეურაცხყოფისათვის დასჯადობა, ამცირებს იმ თავისუფლების შინაარსის სიმდიდრეს, რომელიც

¹³ იხ. **Redish M.** *The Value of the Free Speech* 1982.

¹⁴ *Constitutional Law. Cases-Comments – Questions*, (seventh edition; **William B. Lockhart; Yale Kamisar; Jesse H. Chopper; Steven H. Shiffrin.** American Casebook Series, Westpublishing Co. St. Paul. Minn. 1991.

უზრუნელყოფს ამ სიმბოლოსადმი ხალხის პატივისცემასა და მოწიწებას (*US v. Eichman; 1990*).

ყველა იმ საქმეზე დაკავებული პოზიცია, რომლებიც პოლიტიკური პროტესტის გამოხატვას შეეხებოდა, ისევე, როგორც სხვა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებანი, სადაც ხელისუფლების კრიტიკის უფლების დაცვაზე იყო საუბარი, ევრდნობა აშშ-ში, ისევე, როგორც ევროპაში აღიარებულ პრინციპს, რომ **„ხელისუფლების მწვავე კრიტიკა ნებადართულია“**. პოლიტიკური პროტესტის გამოხატვაც სწორედ ამ ჭრილში განიხილება და მიჩნეულია, როგორც „სახელმწიფოს ადმინისტრაციულ თუ სხვა პოლიტიკასთან შეუთანხმებლობის გამოვლენის საშუალება“ ცალკეულ ადამიანთა მხრიდან.

პოლიტიკური პროტესტის გამოხატვის დაცვასთან დაკავშირებით, აშშ-ის უზენაესი და სხვა სასამართლოების პრაქტიკა თანმიმდევრული და ერთგვაროვანია. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საქმეთა განხილვის დროს კონსტიტუციის 1-ლი დამატების ძალით, დაცულად გამოცხადდა პროტესტის გამოხატვის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის: სტუდენტთა და მოსწავლეთა უარი აშშ-ის დროშისათვის ფიცის მიცემაზე რელიგიურ თუ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო; მათ მიერ შავი ყელსახვევების ტარება პროტესტის ნიშნად; ზანგების მჯდომარე აქცია „თეთრ რაიონებში“ რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ; ქურთუკის ტარება სამხედრო გაწვევებისადმი უარყოფითი და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გამომხატველი ლოზუნგებით; ნეო-ნაცისტური ჯგუფების მარშირება სასამართლოს შენობის წინ და ებრაულ რაიონებში და სხვ. (ეს საქმეები ჩვენ ზემოთაღ მოვიხსენიეთ, როცა მოქმედებით აზრის გამოხატვის სპეციფიკას შევეხეთ). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური შეხედულებებით მოტივირებული პროტესტის გამოხატვის ყოველგვარი ფორმა თუ საშუალება როდი განიხილება კონსტიტუციურად. თუ პროტესტის გამომხატველი მოქმედება რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ხდება, ის არ არის დაცული 1-ლი დამატებით. მაგალითად, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც კრძალავდა სახელმწიფო საკუთრებისა და ეროვნული ძეგლების დანგრევასა თუ განადგურებას, თუნდაც ის პოლიტიკური შეხედულებით ყოფილიყო ნაკარნახევი. ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ამ ლოგიკიდან ნაწილობრივ ამოვარდნილია, შეეხებოდა საქმეს, სადაც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც კრძალავდა არმიაში გასაწვევი ორდენების დაწვას იმის მიუხედავად, რომ ეს მოქმედება გამოხატავდა უკმაყოფილებას ვიეტნამში აშშ-ის სამხედრო ჩარევის გამო. როგორც ჩანს, ასეთი მიდგომა ნაკარნახევი იყო შეიარაღებული ძალების სფეროში წესრიგის დაცვის განსაკუთრებული აუცილებლობითა.

11.1.6. დიფამაცია

ახლა პასუხი გავცეთ იმას, თუ როგორია დიფამაციის წინააღმდეგ სარჩელების დაკმაყოფილების შესაძლებლობები აშშ-ის კონსტიტუციური სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის მიხედვით.

ამერიკულ კონსტიტუციურ სამართალში ეს პრობლემა, უწინარესად დიფამაციური განცხადების ავტორის ბრალის საკითხს უკავშირდება. ამასთან, იმის მიხედვით, თუ ვის შეეხება საქმე, სახელმწიფო მოხელეს თუ კერძო პირს, მიდგომები განსხვავებულია.

როგორც აშშ-ს კონსტიტუციურ სამართალში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალის მსგავსად, გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ **დასაშვები კრიტიკის ფარგლები პოლიტიკოსის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირის მიმართ.**

მიდგომათა სხვადასხვაგვარობა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ კარგად გამოჰკვეთა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Gertz v. Robert Welch (inc 418, 45 323; 1994)*: ჩვენთვის რთული არ არის განვასხვავოთ მოსარჩელები დიფამაციის საქმეზე. დიფამაციის თითოეული მსხვერპლისათვის დაცვის პირველი საშუალება თვითშეველაა – არსებული შესაძლებლობის გამოყენება სიცრუის უარსაყოფად ან შეცდომის გასასწორებლად, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რეპუტაციისადმი მიყენებული ზიანი. სახელმწიფო თანამდებობის პირებსა და სხვა საზოგადო მოღვაწეებს, ჩვეულებრივ, აქვთ გაცილებით მეტი ხელმისაწვდომობა ინფორმაციის ეფექტიანად გავრცელებისა და, შესაბამისად – მეტი რეალური შესაძლებლობა, წინ აღუდგნენ მათი რეპუტაციის შელახვას, ვიდრე კერძო პირებს. კერძო პირები უფრო დაუცველი არიან და მაშასადამე, სახელმწიფოს დაინტერესება მათ დასაცავად, უფრო მაღალია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ გამოდიოდნენ იმ შეხედულებიდან, რომ სახელმწიფოს თანამდებობის პირებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ნებაყოფლობით დაუშვეს, რომ მათ წინაშეა დიდი საფრთხე ზიანისა, რაც შეიძლება მიიღონ დიფამაციური განცხადებებისაგან, ვინაიდან მათ თავიანთ თავზე აიღეს „**სახელმწიფოს მართვის გავლენიანი როლი**“, რაც არ ითქმის კერძო პირებზე, რომელთაც არანაირად არ უთქვამთ უარი თავიანთი კეთილი სახელის დაცვაზე. ამიტომ, ისინი პირველ რიგში იმსახურებენ ზიანის ანაზღაურებას“.¹⁵ ანალოგიური შინაარსის არაერთი განმარტება შეიძლება მოვიძიოთ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში.¹⁶

შესაბამისი ამერიკული კონსტიტუციური დოქტრინა მეტისმეტად ზღუდავს სარჩელების დაკმაყოფილების შესაძლებლობას დიფამაციისათვის ისეთი გამოცემების მიმართ, რომლებიც აქვეყნებენ სავარაუდოდ ცილისმწამებლურ განცხადებებს სახელმწიფო თანამდებობის პირების ან სხვა საზოგადო მოღვაწეთა მიმართ. ასეთი სარჩელი რომ დაკმაყოფილდეს, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ განცხადება გაკეთდა „**რეალური ბოროტი განზრახვით**“. ამასთან, „რეალური ბოროტი განზრახვის“ ცნება ფართოდ არის განმარტებული და მოიცავს როგორც იმ შემთხვევებს, როდესაც განცხადების ავტორმა დანამდვილებით იცოდა მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიცრუე, აგრეთვე, იმ შემთხვევებსაც, როდესაც მან **შეგნებულად თუ უპასუხისმგებლოდ გვერდი აუარა ამ ინფორმაციის ნამდვილობის**

¹⁵ *Constitutional Law, Cases-Comments-Questions* (seventh edition) American Casebook Series, Westpublishing Co. 1991.

¹⁶ მაგალითად, ერთ-ერთ ავსტრიულ საქმეში, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკური მოღვაწის მიმართ გაზეთში კრიტიკული შინაარსის სტატიათა სერიალის გამოქვეყნებას მის ფოტოსურათებთან ერთად, ევროპულმა სასამართლომ, რომელმაც საჩივარი მიუღებლად ცნო, მიუთითა, რომ შესაბამისი პიროვნება „წარმოადგენდა პოლიტიკოსს, ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას და ვალდებული იყო მთლიანად ეტარებინა მისი შედეგების ტვირთიც“. *Krone Verlag GmbH&Co. KG v. Austria*; judgment of 26 February 2002.

გამორკვევას. თავისთავად „ინფორმაციის სიცრუე“ კი სრულებითაც არ არის მიჩნეული „რეალური ბოროტი განზრახვის“ დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად. გააჩნია, რა კონტექსტში იქნა შესაბამისი განცხადებები გამოთქმული და რა მიზანს ისახავდნენ ისინი. მაგალითად, თავისუფალი პოლიტიკური დებატების დროს გამოთქმული მცდარი მტკიცებები და ინფორმაცია ხელისუფლებისა და ფუნქციონერების შესახებ, ზიანის ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

ეს პოზიცია აშშ-ის უზენაეს სასამართლოში პირველად გამოიკვეთა 1964 წელს საქმის *New York Times v. Sullivan* (376; US; 252 1964) განხილვისას. ეს საქმე შეეხებოდა პოლიციელს ალაბამას შტატიდან, რომელიც უჩიოდა გაზეთს. გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში საუბარი იყო პოლიციელთა მხრიდან ტერორის უპრეცედენტო ტალღაზე ზანგთა მოძრაობის გამო მარტინ ლუთერ კინგის დასაცავად. პოლიციელი მიუთითებდა, რომ მის წინააღმდეგ ბრალდების ერთი ნაწილი იყო ყალბი. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციით დაცვას ექვემდებარებოდა არა მარტო „აბსტრაქტული დისკუსია“, არამედ „გაცხარებული კამათიც“ და რომ მცდარი მტკიცებები გარდუვალია თავისუფალი დებატების დროს. მოსამართლე **უილიამ ბრენანი** წერდა: „ჩვენ ამ საქმეს ვიხილავთ იმ პრინციპის სრული აღიარების ფონზე, რომ პოლიტიკური დებატები უნდა იყოს თავისუფალი და ღია; დასაშვებია მწვავე, გამაღიზიანებელი, უსიამოვნო და მკვახე თავდასხმები ხელისუფლებასა და ფუნქციონერებზე“. სასამართლომ დაადგინა, რომ ინფორმაციის სიცრუე არ აბრკოლებს დაცვას და რომ თავისუფალი კამათის მსვლელობის დროს მცდარი განცხადებები გარდუვალია და ისინი დაცული უნდა იყოს სარჩელებისაგან, რათა აზრის გამოხატვის თავისუფლებას ჰქონდეს „საჭაერო სივრცე, რომელიც მას ესაჭიროება გადარჩენისათვის“.

ამავე საქმეზე სასამართლომ დაიმოწმა **ჯონ სტიუარტ მილის** 1859 წლის ტრაქტატი „თავისუფლების შესახებ“, სადაც ნათქვამია, რომ „ყალბ განცხადებებსაც შეუძლიათ ფასეული წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ დებატებში, რადგან მისგან წარმოდგება უფრო გამოკვეთილი შეხედულება სიმართლეზე, რაც სიცრუესთან მისი დაპირისპირებით ხდება“.¹⁷

საბოლოო ჯამში, სასამართლომ შეიმუშავა კრიტერიუმი: იმისათვის, რომ სიტყვის თავისუფლება შევათავსოთ ფუნქციონერის კეთილი სახელის დაცვის ინტერესთან, – აიკრძალოს საჯარო ფუნქციონერის კრიტიკისათვის ზიანის ანაზღაურება, თუ ფუნქციონერი არ დაამტკიცებს, რომ გამონათქვამს ჰქონდა **„რეალური ბოროტი განზრახვა“ (actual malice)**. ეს პრინციპი გახდა სახელმძღვანელო მოძღვენო დიფამაციის საქმეებზე.

სამი წლის შემდეგ (1967 წელს) უზენაესმა სასამართლომ ეს პრინციპი გაავრცელა საზოგადო მოღვაწეებზეც (კერძოდ – გამოჩენილ მწერლებზე, მხაბიობებზე, ტელევიზიის მუშაკებზე).

¹⁷ **ჯანდა, ბერი, გოლდმენი.** „ამერიკული დემოკრატია: აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი“. თბ. 1995.

რაც შეეხება კერძო პირებს, დიფამაციის წინააღმდეგ სარჩელის მოსაგებად მათ უნდა დაამტკიცოს ბრალის, როგორც ფაქტის არსებობა. მაშასადამე, **მოპასუხე უნდა მოქმედებდეს, სულ მცირე – დაუდევრობით მაინც.**

ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში დიფამაციური განცხადების ავტორის ბრალს ასევე ენიჭება დიდი მნიშვნელობა, მაგრამ „ბრალეულობის“ მოთხოვნა ასე მკვეთრად დაყენებული არ არის. შეიძლება ითქვას, რომ იგი მოცულია იმის შეფასებით, დაარღვია თუ არა პირმა გამონათქვამის თავისუფლებისაგან „განუყოფელი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, რომელთა შინაარსი და მოცულობა განსხვავდება იმის მიხედვით, ვის მიერ, ვის მიმართ არის გამოთქმული კრიტიკა, ანდა რა საკითხს შეეხებოდა. როდესაც საქმე პოლიტიკოსებს, მათ შორის სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებს შეეხება, რომელთა მიმართაც „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ძალიან ფართოა, ისედაც ძალზე გართულებულია მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკის შეზღუდვის გამართლებულობის შანსი, მაგრამ ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ეს აქტიურად უკავშირდება იმის განსაზღვრას „შეფასებით მსჯელობასთან“ ჰქონდათ საქმე თუ „ფაქტების გადმოცემასთან“. საშუალო და დაბალი რგოლის სახელმწიფო მოხელეების, აგრეთვე, კერძო პირებთან მიმართებაში, თუ საქმე ფაქტების გადმოცემას შეეხება, ევროპული სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს, რომ განცხადების ავტორმა დაამტკიცოს თავისი ბრალდების საფუძვლიანობა გარკვეული ხარისხით მაინც. ანუ იგი ვალდებულია წარმოადგინოს თავისი ბრალდების სულ მცირე, – სოლიდური ფაქტობრივი საფუძველი. ასეთი მიდგომა დიფამაციის საქმეებში მოსარჩელებს გაცილებით უკეთეს პოზიციაში ამყოფებს, ვიდრე აშშ-ში, სადაც მოპასუხის ბრალეულობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელებს ეკისრებათ. ეს მომენტი პრინციპულად განასხვავებს ერთმანეთისაგან ამერიკულ და ევროპულ მიდგომებს. შეიძლება ითქვას, რომ ევროპული სასამართლო უფრო მეტ ანგარიშს უწევს რეპუტაციის უფლების მნიშვნელობას და მისი მიდგომა უფრო ზომიერია (და იქნებ, – უფრო სამართლიანიც), ვიდრე აშშ-ის უზენაესი სასამართლოსი.¹⁸ აშშ-ში რეპუტაციის უფლების საზიანო ბალანსის ჩამოყალიბებას ძალზე ხშირად სწორედ ის გარემოება უწყობს ხელს, რომ ყოველთვის იოლი როდია მოსარჩელის მიერ დიფამაციური განცხადების ავტორის „ბოროტი განზრახვის“ დადასტურება, რაც ერთადერთი გზაა სარჩელის მოსაგებად.

როდესაც საკუთრივ იმის გარკვევაა გართულებული, „ფაქტების გადმოცემას“ შეეხებოდა საქმე თუ „შეფასების მსჯელობას“ აშშ-ს სასამართლოები, ევროპული სასამართლოს მსგავსად, იქითკენ იხრებიან, რომ შესაბამისი „გამონათქვა“ „შეფასებით მსჯელობად“ მიიჩნიონ და საკითხი გამონათქვამის თავისუფლების სასარგებლოდ და რეპუტაციის უფლების საზიანოდ გადაწყვიტონ. დაახლოებით ერთგვაროვანია მიდგომა ისეთ „შეფასებით მსჯელობასთან“ მიმართებაშიც, რომლებიც ფაქტებს შეეხება და კონკრეტულ ბრალდებას გულისხმობს. ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, ასეთი „შეფასებითი მსჯელობა“ შესაბამისი ხარისხით დამტკიცებას ექვემდებარება.

¹⁸ *Mc. Vicar v. United Kingdom*, judgement of 7 May 2002. *Nikula v. Finland*, judgment of 14 March 2002. *Cumpănă and Măzare v. Romania* .judgment of 17 December 2004.

ამერიკული კონსტიტუციური სამართალი ასევე დიფერენცირებულ მიდგომას იყენებს: როდესაც აშშ-ის უზენაესი სასამართლო იხილავდა კონსტიტუციის 1-ლი დამატების გამოყენების საკითხს ისეთ შემთხვევებში, როდესაც საკითხი შეეხებოდა არა ფაქტების გადმოცემას, არამედ შეხედულებების გამოხატვას, მან უარყო მოსაზრება, რომ უნდა არსებობდეს აბსოლუტური დაცვა ყოველგვარ სარჩელზე შინაარსის მიუხედავად. კერძოდ, საქმის *Milkovich v. Lorain Journal* (484; US, 1 1990) განხილვისას, სასამართლომ ცალკე კატეგორიად გამოჰყო ისეთი აზრის გამოხატვა, რომელიც უშუალოდ ფაქტებს უკავშირდება. „ზოგიერთი გამოხატვა შეიძლება ამტკიცებდეს პირდაპირ სიცრუეს, მაგრამ გამოხატული იყოს აზრის ფორმით, რომელიც პიროვნებას არანაკლებ ზიანს შეიძლება აყენებდეს, ვიდრე პირდაპირი სიცრუე. (მაგალითად: „ჯონი მატყუარაა“ - ეს ყალბი ფაქტის მტკიცებაა. მაგრამ „მე მგონი ჯონი მატყუარაა“ - ეს აზრია, მაგრამ ისეთივე მანე). სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთ შემთხვევაში, სარჩელი მოიგებდა, თუ მოსარჩელე დაამტკიცებდა, რომ მოპასუხე მოქმედებდა ბრალის იმ ხარისხით, რაც საკმარისად ჩაითვლებოდა კონკრეტულ გარემოებებში.¹⁹

არსებული ზოგიერთი განსხვავების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლებისა და ინდივიდის რეპუტაციის უფლებათა დაპირისპირების გადაჭრისა იმის მაჩვენებელია, რომ ორივე სისტემაში პრიორიტეტი, საბოლოო ჯამში, მაინც გამოხატვის თავისუფლებას ენიჭება და რეპუტაციის უფლება ხშირად ეწირება დემოკრატიული საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს.

11.1.7. პრესის თავისუფლება

ამერიკული კონსტიტუციური სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის მსგავსად, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესების მქონე საკითხებზე საჯარო დებატებისა და აქედან გამომდინარე – **პრესის როლის** (საზოგადოების მოდარაჯე ნაგაზი) უზარმაზარი მნიშვნელობის გამო, განსაკუთრებულ დაცვას ანიჭებს პრესის თავისუფლებას და მის შესაზღუდად უკიდურესად მაღალ სტანდარტებს იყენებს; მით უფრო, ისეთი პუბლიკაციების მიმართ, რომლებიც ხელისუფლების კრიტიკას, ცალკეულ თანამდებობის პირთა ქედებებს ანდა საზოგადოებრივი ინტერესის სხვა საკითხებს შეეხება.

საქმეში *FCC v. League of Women Voters* (468, US, 364; 375 1984) აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „ცნობების მიწოდება ისეთ საკითხზე, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, იმსახურებს უაღრესად მკაცრ დაცვას პირველი დამატების თანახმად“.²⁰

¹⁹ R.Blanspail, *Judicial Review, American Constitutional Law in International Encyclopedia of Law*. part II. ch.5. “The Judicial”, Kluwer. 1993.

²⁰ *Constitutional Law; Cases-Comment-Questions (seventh edition) American Casebook series*. 1991.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე **ჩარლზ ევანს ჰიუჯი** წერდა: „ფაქტია, რომ პრესის თავისუფლება შეიძლება ბოროტად იქნას გამოყენებული ვინმე გარეწრის, სკანდალის მსურველის მიერ, მაგრამ ეს არაფრით არ ნიშნავს იმას, რომ ნაჩქარევად შევზღუდოთ პრესის თავისუფლება, როდესაც საქმე თანამდებობის პირთა არასწორ ქმედებებს შეეხება“.²¹ აკრძალვის სხვა გამამართლებელი საფუძველი არ არსებობს; დაცულია საიდუმლო, კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნებაც. კერძოდ: აღიარებულია, რომ, მართალია, კონფიდენციალური ინფორმაცია ექვემდებარება დაცვას, მაგრამ როგორც კი ეს ინფორმაცია ხელში ჩაუვარდება პრესას – კერძო ორგანიზაციას, იმის მიუხედავად, იარსებებს თუ არა ნებართვა მის პუბლიკაციაზე, ხელისუფლებას აღარ შესწევს ძალა ხელი შეუშალოს პუბლიკაციას, თუკი ვერ შეიძლება სასამართლოს წინაშე იმის დემონსტრირებას, რომ ამ ინფორმაციის პუბლიკაცია გარდაუვლად და დაუყოვნებლივ გამოიწვევს პირდაპირ და სერიოზულ ზიანს. ამასთან, ზიანად არ განიხილება ინფორმაციის გამოქვეყნების შედეგად მთავრობის დამცირება ხალხის თვალში, ანდა მისდამი ხალხის ნდობის დაკარგვა. ამიტომ, მოსარჩლის მხრიდან იმის მტკიცება, რომ პუბლიკაცია ასეთ ზიანს გამოიწვევს, საკმარისი არ არის მის ასაკრძალად. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენიოთ ზემოთ უკვე მოხსენიებული ცნობილი პენტაგონის საქმე (*New York Times Company v. United States* (1971)), რომელიც შეეხებოდა პენტაგონის მასალებს ვიეტნამში აშშ-ის პოლიტიკის შესახებ. მოსამართლე **ბლეკი** ამ გადაწყვეტილებაზე თავის თანმხვედრ აზრში წერდა: პრესა, მაშინაც და ახლაც, უნდა ემსახურებოდეს მართულებს, და არა მმართველებს²² (როგორც ვიცით, დაახლოებით ასეთივეა ევროპული სასამართლოს მიდგომა. იგი იკვლევს, თუ რა რეალური ზიანი შეიძლებოდა მოეტანა ამა თუ იმ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას შესაბამის დროსა და ვითარებაში).²³ ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მსგავსად, აშშ-ის კონსტიტუციური სამართალი ასევე ქმნის პრესის თავისუფლების დაცვის სხვა გარანტიებსაც, მათ შორის ჟურნალისტების უფლებას, არ გათქვან ინფორმაციის წყარო.

ერთგვაროვანია პრესისათვის (და საერთოდ მასმედიისთვის) წაყენებული მოთხოვნებიც. მაგალითად, ორივეგან მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს შეუძლია კონტროლი გაუწიოს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას და მოსთხოვოს „სამართლიანობის დოქტრინის“ გატარება, რომელიც ავალდებულებს მათ, ეთერში გაუშვან განსხვავებული და დაპირისპირებული იდეები, თუკი საკითხი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ინტერესებს შეეხება.

დაბოლოს, პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საინტერესო დოქტრინის შესახებ: საერთო სამართლის ქვეყნებში და უწინარესად, აშშ-სა და ინგლისში, დამკვიდრებულია ე.წ. „**კვალიფიციური პრივილეგიის**“ დოქტრინა, რომლის არსიც ისაა, რომ პრესის პუბლიკაცია „**კვალიფიციურ პრივილეგიას**“ მიიღებს (ანუ, ძალზე დიდი ალბათობით იქნება დაცული), თუ იგი საჯარო ინტერესის საგანს შეეხება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა,

²¹ Hughes Charls Evans, მითითებული ნაშრომი, გვ.138.

²² R.Blanspail, *Judicial Review, American Constitutional Law in International Encyclopedia of Law*. 1995.

²³ მაგალითისათვის იხ. *Observer and Guardian v. The United Kingdom*, judgment of 26 November 1991.

რომ ინგლისის საერთო სამართალში „კვალიფიციური პრივილეგიის“ საკითხები კარგადაა დამუშავებული, ეს თემა დღესაც იპყრობს ყურადღებას. გამოთქმულია არაერთი საინტერესო მოსაზრება „კვალიფიციური პრივილეგიის“ დოქტრინის მოდიფიცირების მიმართულებით. მაგალითად, დიფიშაციის ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი, სააპელაციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **სერ ბრაიენ ნიელსის** აზრით, იმისათვის, რომ სტატიამ „კვალიფიციური პრივილეგია“ მიიღოს, საკმარისი არ არის, რომ იგი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეეხებოდეს. მისი შეხედულებით, ასევე **აუცილებელია, რომ საკუთრივ ასეთი სტატიის გამოქვეყნებაც საზოგადოებრივ ინტერესს შეადგენდეს.** ამავე დროს, იგი მიიჩნევს, რომ სასამართლოს მხრიდან შეფასების დროს, ამ გარემოებების სადაოდ მიჩნევის შემთხვევაში, **ყოველგვარი ეჭვი სტატიის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.**²⁴ „კვალიფიციური პრივილეგიის“ დოქტრინა, თავისი არსითა და სულისკვეთებით, მთლიანად შეესაბამება საერთო-ევროპულ პრაქტიკას, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულ იურისპრუდენციაში ასეთი ტერმინოლოგია თითქმის არ არის გამოყენებული.

11.1.8. ეროვნული უშიშროების დაცვა

უაღრესად საინტერესოა აშშ-ის კონსტიტუციური სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის პოზიციების ურთიერთშეჯერება **ეროვნული უშიშროების დაცვის** სფეროში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებთან მიმართებაში.

როგორც ვიცით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეროვნული უშიშროების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ მიზნის დასაცავად გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის აუცილებლობის საკითხში, ეროვნულ ხელისუფლებას შეფასების თავისუფლების ფართო არეს ანიჭებს, ამ მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას უფრო მეტი ხარისხით მიიჩნევს შესაძლებლად და არ იყენებს ძალიან მაღალ სტანდარტებს.

აშშ-ში კი პირიქით, მაღალი სტანდარტებია და ამ მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობა არ არის უფრო ადვილად დასასაბუთებელი, ვიდრე სხვა შემთხვევებში. ამის თქმის საფუძველს ჩვენ ორი გარემოება გვაძლევს. ჯერ ერთი, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ უარჰყო „ეროვნული უშიშროების“ ფართო დოქტრინა; მიიჩნია, რომ „უშიშროება“ ძალზე ფართო და ბუნდოვანი ცნება იყო და ის ყოველთვის ვერ გამოდგებოდა ისეთი ფუნდამენტური უფლების ხელყოფის გასამართლებლად, როგორსაც გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენდა. მეორე, მან პენტაგონის ზემოხსენებულ საქმეში ძალიან მაღალი სტანდარტები დაადგინა: ეროვნული უშიშროების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებად ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი **გარდაუვლად, უშუალოდ და დაუყოვნებლივ** გამოიწვევდა **უშიშროების შედეგებს** ეროვნული უშიშროებისათვის. თავისთავად ის არის საგულისხმო, რომ სერიოზული შედეგების გარდაუვლად, უშუალოდ და დაუყოვნებლივ დადგომის

²⁴ იხ.: Sir Brian Neils, *Qualified Privilege and the Press*, გაზეთი „The Times“, 18 იანვარი, 2000 წელი.

საფრთხე, როგორც გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის საერთო კრიტერიუმი, არაერთი კატეგორიის საქმისათვის, სწორედ ეროვნული უშიშროების ინტერესთან მიმართებაში იქნა შემუშავებული და, უმრავლეს შემთხვევაში, ამ უფლების სხვა ღირებულებებთან კონფლიქტის გადაწყვეტის დროსაც გამოიყენება.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს შესაბამისი განმარტებების თანახმად, **ეროვნული უშიშროების დასაცავად გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის დაბალი სტანდარტების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ქვეყანა ომის მდგომარეობაშია** და გამონატვის თავისუფლების სრულად განხორციელებას გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი და უმძიმესი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის უშიშროებისათვის.

ის, რაც სადავოდ ითვლება ამერიკის კონსტიტუციურ სამართალში ეროვნული უშიშროების დასაცავად გამონატვის თავისუფლების სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვის სფეროში, დაკავშირებულია იმ ეჭვებთან, შეუძლია თუ არა სასამართლოს, ადეკვატურად და სწორად შეაფასოს, ან შეუძლია თუ არა საერთოდ, შეაფასოს, თუ რამდენად სერიოზული ზიანი შეიძლება მიაყენოს გამოთქმულმა აზრმა თუ გავრცელებულმა ინფორმაციამ ეროვნულ უშიშროებას, ხომ არ არის ეს არაკომპეტენტური შეჭრა აღმსრულებელი ხელისუფლების ფუნქციებში, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული უშიშროების დაცვაზე.

ასეთი შეხედულებები გამომდინარეობს აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალში დამკვიდრებული ე.წ. **პოლიტიკური საკითხის დოქტრინიდან**, რომლის მიხედვით, სასამართლო, რომელიც თავის საქმიანობაში იურიდიული კატეგორიებით ხელმძღვანელობს, არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შეფასებაში, რომლებიც მიღებულია პოლიტიკური ორგანოს მიერ პოლიტიკურ საკითხთა გადაწყვეტისათვის მისაღები კატეგორიების, კრიტერიუმებისა და სტანდარტების გამოყენებით. სწორედ პოლიტიკური საკითხის დოქტრინას ემყარება ის, რომ აშშ-ში სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება კონგრესის ზოგიერთ ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და წარმოდგება ხალხის წინაშე მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობიდან. მაგალითად, ასეთი სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება კონგრესის გადაწყვეტილებაზე ამა თუ იმ თანამდებობის პირის იმპიჩმენტის საკითხზე მისი წმინდა პოლიტიკური ბუნების გამო. ისიც საგულისხმოა, რომ აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ, პოლიტიკური საკითხის დოქტრინაზე დაყრდნობით, თვითონ თქვა უარი, გაეგრძელებინა სასამართლო კონტროლი სენატის იმპიჩმენტის ვერდიქტზე, როდესაც ერთ-ერთმა იმპიჩირებულმა თანამდებობის პირმა მას შესაბამისი განცხადებით მიმართა.²⁵

ეროვნული უშიშროების დასაცავად აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის გადაწყვეტილებაზე სასამართლო კონტროლის გამორიცხვის შესაძლებლობას აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი მოსამართლეც იზიარებს. პენტაგონის დოკუმენტების საქმეზე მოსამართლეთა ერთმა ნაწილმა, კერძოდ, უმცირესობაში დარჩენილმა სამმა მოსამართლემ (მოსამართლეები **ჰარლანი, ბერგერი, ბლეკმუნი**) შეადგინა

²⁵ **Berger Raoul**; *Impeachment – The Constitutional Problems* Harvard University Pressw 1971. გვ.166.

Gerhardt T. Michael: *The Federal Impeachment Process – a Constitutional and Historical Analysis*, Princeton, 1995.

განსხვავებული (არათანმხვედრი) აზრი, რომელშიც ვკითხულობთ: დავის არსი შეეხება საგარეო პოლიტიკის სფეროში უფლებამოსილებათა წრეს. სასამართლოს შეუძლია სახელმწიფოს მოსთხოვოს, დაამტკიცოს, რომ მასალების გამჟღავნება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ეროვნულ უშიშროებას, მაგრამ სასამართლოს არ შეუძლია თვითონ იმსჯელოს იმაზე, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს მოცემული ინფორმაციის გამჟღავნებამ ეროვნულ უშიშროებას. აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებანი საგარეო პოლიტიკის სფეროში, რაზედაც ის პასუხისმგებელია ხალხის წინაშე, თავისი არსით, პოლიტიკური საკითხია და არა იურიდიული. ჩვენი კონსტიტუციის შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილებანი პოლიტიკური ხელისუფლების პრეროგატივაა. ასეთი გადაწყვეტილებანი გამოირჩევიან სირთულითა და დელიკატურობით და მათ მისაღებად მოვლენათა განჭვრეტის განსაკუთრებულად დიდი უნარია საჭირო. ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებენ და უნდა იღებდნენ ისინი, ვინც უშუალოდ არიან ხალხის წინაშე პასუხისმგებელი და ვისი კეთილდღეობაც მათი საქმიანობის შედეგებზეა დამოკიდებული. ასეთ გადაწყვეტილებათა მისაღებად, სასამართლო ხელისუფლებას არ გააჩნია არც კვალიფიკაცია, არც შესაძლებლობა და არც შესაბამისი პასუხისმგებლობა. უძველესი დროიდან, ის შეეხება ხელისუფლების უფლებამოსილების ისეთ სფეროს, რომელიც დახურულია სასამართლო ჩარევის, კვლევისა თუ კონტროლისაგან“.²⁶

ზემოთ, სადაც ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა გავაანალიზეთ, უკვე აღვნიშნეთ, რომ ზემოაღნიშნული პრობლემა ორმაგდება საერთაშორისო სასამართლოში ასეთ საკითხთა განხილვისას. აღვნიშნეთ, რომ ზემოაღნიშნულ ერთგვარ უხერხულობას, რაც სასამართლოს მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილების შეფასებას უკავშირდება, სხვა უხერხულობაც ემატება, რაც იქიდან წარმოდგება, რომ აქ ეროვნული კი არა, არამედ საერთაშორისო სასამართლოა შემფასებელი სუბიექტი, რომელიც ისედაც ნაკლებად იცნობს ადგილობრივ გარემოებებს და ნაკლები წარმოდგენა აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოში ეროვნული უშიშროების რეალურ ინტერესებზე. ამიტომ, მისი მსჯელობა ამ საკითხზე შეიძლება კიდევ უფრო შეუსაბამო აღმოჩნდეს, ხოლო მისი შეფასება კიდევ უფრო არაადეკვატური, ვიდრე, თუნდაც ეროვნული სასამართლოს მსჯელობანი და შეფასებანი იმავე საკითხზე. შესაბამისად, გავაკეთეთ დასკვნა, რომ პოლიტიკური საკითხის დოქტრინის ჭრილში, გონივრულად გვესახებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია, რომელიც ეროვნულ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების ძალიან ფართო არეს მიაკუთვნებს ეროვნული უშიშროების დასაცავად უფლებათა შეზღუდვის სფეროში.

11.1.9. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

გამოხატვის თავისუფლების გონივრულ საზღვრებში მოქცევა და მისი შეზღუდვის გამართლებულობა აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალში, ისევე,

²⁶ **Louis Jaffe**, *Standing to Secure Judicial Review* Harvard, 1961.

R.Blanpail, *Judicial Review*, American Constitutional Law in International Encyclopedia of Law. part. II. ch.5. “The Judiciary”, Kluwer, 1993.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში უკავშირდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასაც. ორივეგან „საზოგადოებრივი წესრიგის“ ცნება გააზრებულია და გამოიყენება ფართო გაგებით. თუმცა აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალში „წესრიგს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ღირებულებათა სისტემაში და უმთავრეს ღირებულებათა აღიარებულ სამეულში მოიაზრება „თავისუფლებასა“ და „თანასწორობასთან“ ერთად. ამასთან, საგულისხმოა, რომ იგი, თავისი არსით, მეორადია. მისი მნიშვნელობა ნაწარმოებია და, გამომდინარეობს „თავისუფლების“ დაცვის აუცილებლობიდან. ამერიკულ კონსტიტუციურ სამართალში „წესრიგი“, „თავისუფლების“ უზრუნველყოფის აუცილებელ ფაქტორად განიხილება: „თავისუფლების“ კონსტიტუციური გარანტია გულისხმობს ორგანიზებული საზოგადოების არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს და რომლის გარეშეც თავისუფლება დაიმარხება ანარქიის ექსცესების ქვეშ. „წესრიგის“ ღირებულების მეორადი ხასიათის მიუხედავად, ის არ განიხილება „თავისუფლებასთან“ შედარებით პრინციპულად ნაკლებ ღირებულებად და, ღირებულებათა ზემოაღნიშნულ სამეულში მისთვის ამა თუ იმ ადგილის მიკუთვნება მხოლოდ იურისტთა პიროვნული პრეფერენციების სფეროა. აშშ-ის მოსამართლეთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც „წესრიგს“ „თავისუფლებაზე“ მაღლაც კი აყენებს და ამ ორი ღირებულების კონფლიქტის დროს, უპირატესობას „წესრიგს“ ანიჭებს, რაც შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებებშია ასახული.

აშშ-ში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია არა მარტო მაშინ, როდესაც ის ხელყოფს „საზოგადოებრივ წესრიგს“ ორდინარული გაგებით, არამედ, მაშინაც, როცა ის საფრთხეს უქმნის სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებების საქმიანობასა და ნორმალურ ფუნქციონირებას. ამიტომ, აშშ-ში გამოხატვის შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა აზრის გამოხატვის დრო, ადგილი, მანერა, საშუალება და კონკრეტული ვითარება. ამ მიმართებით ნაკლებად მკაცრი სტანდარტებია დადგენილი. მაგალითად, ქუჩასა და პარკში, რომელსაც თავისი დანიშნულება აქვს, შეიძლება შეიზღუდოს ხმაურიანი გამოსვლები, იმის მიუხედავად, თუ რა შინაარსის აზრების გამოხატვა ხდება, აგრეთვე, – საცხოვრებელ რაიონებში დღე-ღამის გარკვეულ პერიოდებში რუპორით იღებების ფრქვევა, აზრების გამოხატვა დაწესებულებებში ისეთი ფორმითა თუ საშუალებით, რომელიც ხელს უშლის მის ეფექტიან მუშაობას და ა.შ.; მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ასეთი გამოსვლები დასაშვებია. ზოგიერთი ამერიკელი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ აზრის შინაარსისა და მისი გამოხატვის ფორმის საფუძველზე შეიძლება შეიზღუდოს. ხოლო გამოხატვის დროის, ადგილისა და საშუალების მიმართ შეზღუდვის დაწესება არ ნიშნავს აზრის თავისუფლად გამოხატვის, როგორც უფლების შეზღუდვას, ვინაიდან ამის გაკეთება შესაბამის სუბიექტს შეუძლია სხვაგან, სხვა დროს, სხვა ფორმითა თუ საშუალებით. ხელისუფლებას აქვს უფლება, დაადგინოს ადგილი და დრო ასეთი თავისუფალი გამოსვლებისათვის. სახელმწიფოს არ შეუძლია მხოლოდ ერთი რამ – აიძულოს ადამიანი გაჩუმდეს – ასეთი იძულება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მისი ნათქვამი მიმართულია არკანონიერი მოქმედების

დაუყოვნებლივ ჩადენის სტიმულირებისაკენ და ამასთანავე, დიდია ალბათობა ასეთი მძიმე შედეგის აუცილებლობისა.

როგორც ვიცით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალშიც „საზოგადოებრივი წესრიგის“ ფართო გაგებაა დამკვიდრებული. ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ყოველი კონკრეტული შეზღუდვა „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შემოწმებას ექვემდებარება, რა დროსაც მხედველობაში მიიღება როგორც „საზოგადოებრივი წესრიგისათვის“ მიყენებული ან პოტენციური ზიანი, ისე უფლებაში ჩარევის ხასიათი და ხარისხი. ამ საჯარო ინტერესის დაცვის უფრო კონკრეტული, სპეციფიური კრიტერიუმების გამოყენებისაგან იგი თავს იკავებს. რაც სავსებით გამართლებულია. მაგალითად, იმის განსაზღვრა, არსებობდა თუ არა „დიდი ალბათობა საზოგადოებრივი წესრიგისათვის მძიმე შედეგის გარდაუვალი დადგომისა“, ზუსტ შეფასებას მოითხოვს და ასეთი ამოცანის გადაჭრას ევროპული სასამართლო თავის თავზე ვერ აიღებს. იგი ადგილობრივი ხელისუფლების ჩანაცვლების ტოლფასი იქნებოდა. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში იგი ეროვნულ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების შედარებით ფართო არეს მიაკუთვნებს და მეტ ნდობს უცხადებს მათ ამ საჯარო ინტერესის დასაცავად უფლებათა შეზღუდვის აუცილებლობის შეფასების საკითხში.

11.1.10. მორალის დაცვა

ფაქტობრივად, იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას **საზოგადოებრივი მორალის**, მათ შორის – **რელიგიური მორალის** დასაცავად. „მორალის“ გაგება მთლიანადაა დამოკიდებული შესაბამის საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებზე. ამიტომ, ევროპული სასამართლო, რომლის იურისდიქცია განსხვავებული კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების მქონე ქვეყნებზე ვრცელდება, მათ შეფასების თავისუფლების ფართო არეს მიაკუთვნებს, დიდ ანგარიშს უწევს ეროვნული ხელისუფლების შეფასებებს და თავს იკავებს რაიმე სპეციფიური, შესატყვისი კრიტერიუმების გამოყენებისაგან.²⁷ აშშ-ს კონსტიტუციური სამართალი კი ამ საკითხებს გადაწყვეტს მორალის საკითხებისათვის სპეციალურად შემუშავებული „უხამსობის“ კრიტერიუმის გამოყენებით. წიგნები, ლიტერატურა, ფილმები, ფერწერული ტილო და ყოველგვარი სხვა მასალა იკრძალება, თუ მათში „უხამსობა“ გადმოცემული.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განსაზღვრა „უხამსობის“ კონსტიტუციური სტანდარტები. საქმეში *Miller v. California* (1973) მან დაადგინა, რომ „ნაშრომი, პიესა, ფილმი ან წიგნი უხამსია და შეიძლება აიკრძალოს, თუ ის ა) მთლიანობაში ავხორცობის ინსტიტუტებს ემსახურება (განმარტებულია „ავხორცობაც“, როგორც ვნებიანი ფიქრების აღზნების ტენდენცია); ბ) სექსუალური ქცევა მასში ნაჩვენებია აშკარად შეურაცხმყოფელი სახით; გ) ნამუშევარი მოკლებულია ყოველგვარ

²⁷ *Müller and others v. Switzerland*, judgment of 25 May 1988. series A. no.133. *Wingrove v. The United Kingdom*. judgment of 25 November 1996. Reports. 1996 – V. *Open Door and Dublin Well Woman v. Ireland*, judgment of 29 October 1992. series A. no.246-A. *Otto-Preminger Institut v. Austria*. judgment of 20 September 1994. series A. no. 295. A.

ლიტერატურულ, პოლიტიკურ, მხატვრულ თუ მეცნიერულ ღირებულებას. სწორედ უხამსობის ნიშნით გაიმიჯნა სექსისაგან პორნოგრაფია, რომელიც არ არის დაცული კონსტიტუციის 1-ლი დამატებით (*Roth v. United States*, 1957).

„უხამსობის“ ცნების შინაარსი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრეთვე სხვა გარემოებებზეც. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „უხამსობის“ განსაზღვრა სხვადასხვა ადგილის მიხედვით განსხვავებული შეიძლება იყოს და რომ კონსერვატორულ საზოგადოებაში შეიძლება დადგინდეს უფრო მკაცრი მოთხოვნები, ვიდრე, მაგალითად, ნიუ-იორკში.

ცნობილია, რომ „უხამსობის“ კრიტერიუმი ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაშიც გამოიყენება, მაგრამ იგი არ გვეკლინება ძირითადად და განმსაზღვრელ კრიტერიუმად საზოგადოებრივი მორალის დასაცავად გამონატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას. ევროპულ სასამართლოს არც „უხამსობის“ ცნების შინაარსის განმარტება შეუძლებელია.

არასრულწლოვანთა ზნეობრივი განვითარების ინტერესები ევროპული იურისპრუდენციის მსგავსად²⁸ აშშ-ს კონსტიტუციურ სამართალშიც საკმარისი გამამართლებელი საფუძველია გამონატვის თავისუფლების შესაზღუდად. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ნორმათა მიზანშეწონილობას, რომელიც ბავშვთა ზნეობას იცავდა: საქმის *Ginsburg v. New York* (390; US. G29. 1968) განხილვისას უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა სტატუტს, რომელიც კრძალავდა სექსუალურად ორიენტირებული ლიტერატურის მიყიდვას 17 წლამდე არასრულწლოვანებისათვის. სასამართლო დაეთანხმა იმას, რომ შესაბამისი მასალები არ იყო უხამსი, მაგრამ სახელმწიფოს დაინტერესება ბავშვებს შორის ამგვარი ლიტერატურის გაუვრცელებლობისა, საკმარისი აღმოჩნდა სტატუტის გასამართლებლად.

12.1.11. კომერციის სფერო

კომერციის სფეროში გავრცელებული იდეები თუ ინფორმაცია აშშ-ის კონსტიტუციური სამართლის მიხედვით, სარგებლობენ გაცილებით ნაკლები კონსტიტუციური დაცვით, ვიდრე სხვა სფეროებში გამოთქმული აზრები. როგორც ვიცით, ასეთივეა საერთო ევროპული პრაქტიკა.

კომერციის სფეროში ისეთი გამონათქვამები, რომლებიც შეიცავენ ოდენ წინადადებას ამა თუ იმ კომერციული ხელშეკრულების დადებისა, თავდაპირველად, საერთოდ გამორიცხული იყო კონსტიტუციის 1-ლი დამატების დაცვიდან. შემდეგ აღიარეს, რომ ისინიც სარგებლობენ გარკვეული კონსტიტუციური დაცვით, თუმცა, – ნაკლები ხარისხით.

ეს პოზიცია პირველად აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაიკავა საქმეზე *Virginia State Board of Pharmacy v. Virginia Citizens Consumer Council* (425; US, 478; 763-765, 1976). სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია სტატუტი, რომელიც კრძალავდა რეცეპტით გასაცემი წამლების რეკლამას ფასების მითითებით. სასამართლომ მიუთითა, რომ კომერციის და მით უფრო, წამლებით მომარაგების სფეროში, ინფორმაციის მიიღება მომხმარებლისათვის არანაკლებ

²⁸ *Handyside v. The United Kingdom*, judgment of 12 December 1976.

მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დაინტერესება პოლიტიკური დისკუსიებით. რეკლამა კი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ მოქალაქეს სწორად წარემართა თავისი ეკონომიკური ინტერესები და მიეღო მრავალრიცხოვანი კერძო ეკონომიკური გადაწყვეტილებანი. ამისათვის კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომერციული ინფორმაციის თავისუფალ დენას.

მოგვიანებით, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განსაზღვრა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით უნდა მომხდარიყო იმის დადგენა, იყო თუ არა ესა თუ ის კომერციული იდეა თუ ინფორმაცია კონსტიტუციის 1-ლი დამატებით დაცული და, თუ ჰო, – რა ხარისხით, როგორი იქნებოდა მისი შეზღუდვის დასაშვები ფარგლები.

ეს კრიტერიუმები, რომლებიც შედარებით ლიბერალურია, სასამართლომ ჩამოაყალიბა საქმეზე *Central Hudsons Gaz and Electric corp. v. Republic Service Commission* (447; US 557, 1980): თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ, გამონათქვამი დაცულია თუ არა 1-ლი დამატებით. იმისათვის, რათა კომერციული გამონათქვამი მოხვდეს 1-ლი დამატების დაცვის ქვეშ, ის, როგორც წესი, უნდა შეეხებოდეს კანონიერ კომერციულ საქმიანობას. შემდეგ უნდა გავარკვიოთ, არსებითია თუ არა საზოგადოების გაცხადებული ინტერესები. თუ ორივე საკითხზე პასუხი დადებითია, მაშინ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, ემსახურება თუ არა ეს რეგულირება უშუალოდ აღნიშნული სფეროს ინტერესთა უზრუნველყოფას.

გამოიყენა რა ეს კრიტერიუმები, უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა კაზინოში თამაშის რეკლამის აკრძალვას პუერტო-რიკოში. მან დაადგინა, რომ ეს შეზღუდვა უშუალოდ ეხმიანებოდა საჯარო ინტერესს, კერძოდ იმას, რომ იქ მცხოვრებლებს რაც შეიძლება ნაკლები ეთამაშათ კაზინოში. სასამართლომ ეს შემთხვევა განასხვავა სხვა საქმეებისაგან, როდესაც არაკონსტიტუციურად ცნო აკრძალვები აბორტისა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების რეკლამაზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ეს შეეხებოდა კონსტიტუციით დაცულ საქმიანობას, მაშინ, როდესაც, კაზინო შეიძლებოდა საერთოდ აეკრძალათ.²⁹

პროფესიული რეკლამები მხოლოდ ნაწილობრივ არის შეზღუდული: კერძოდ, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 1-ლი დამატება ადგენდა ზღვარს საიმისოდ, თუ რა ზომით შეეძლო ცალკეულ შტატს, შეეზღუდა იურიდიულ და სამედიცინო სფეროში პროფესიული მომსახურების რეკლამა. სასამართლომ აღიარა შტატების უფლება, შეეზღუდა ადვოკატების პირადი რეკლამა; მაგრამ მან არაკონსტიტუციურად ცნო შტატების მიერ ადვოკატთა ისეთი რეკლამების შეზღუდვა, რომლებიც არ იყო დაკავშირებული მოტყუებასთან ან იძულებასთან; ხოლო კონსტიტუციურად ცნო რეკლამის ისეთი საშუალება, როგორცაა ადვოკატის მიერ პირადი წერილების საშუალებით საკუთარი მომსახურების შეთავაზება.

²⁹ *Pasatas de Puerto Rico Assoc v. Tourizm Co.* (418, 45; 328-1986).

11.1.12. ღასკჰნა

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ადასტურებს ჩვენს მიერ დასაწყისში მითითებული იმ დებულების მართებულობას, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცულობის სფეროში აშშ-ს კონსტიტუციურ სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალს შორის უფრო მეტია მსგავსება, ვიდრე განსხვავება. თითქმის ერთგვაროვანია პრობლემატიკა, რომელიც ამ უფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებას ახლავს, გამოიყენება იდენტური ან მსგავსი მიდგომები არაერთ საკითხთან მიმართებაში. ძირითადი განსხვავებანი წარმოდგება იმ ფაქტიდან, რომ ერთ შემთხვევაში საერთაშორისო კონტროლის განხორციელებასთან გვაქვს საქმე, ხოლო მეორე შემთხვევაში არა. ევროპული სასამართლო შეზღუდულია ერთი მხრივ კონვენციის დებულებებით, რომელიც ძალზე ზოგად ფორმულირებებს იყენებს, მეორე მხრივ კი – ეროვნული შეფასების თავისუფლების არეალით, რაც განაპირობებს მისი მხრიდან, საერთო, ზოგადი ხასიათის კრიტერიუმების გამოყენების მიზანშეწონილობას უფრო მეტად, ვიდრე ეს ნებისმიერი ეროვნული (მათ შორის აშშ-ს) სასამართლოებისათვის იქნებოდა აუცილებელი.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ორივე სისტემაში გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებულადაა დაცული და სხვა ღირებულებებთან კონფლიქტის დროს მას ხშირად ენიჭება უპირატესობა. თუმცა იმის განსაზღვრა, სად უფრო ძლიერი დაცვა აქვს გარანტირებული ამ უფლებას, იოლი არ არის. მაინც, ჩვენი აზრით, ევროპული სასამართლოს პოზიცია უფრო ზომიერია. აშშ-ში აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა უფრო გართულებულია, ვიდრე ევროპული კონვენციის საფუძველზე.

§11.2. ბამონათვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში

11.2.1. შესავალი.

მეორე მსოფლიო ომში ადამიანის უფლებისადმი ბარბაროსული მოპყრობის ფაქტებმა საერთაშორისო თემობა დაარწმუნა იმაში, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის გარეშე შეუძლებელი იყო საყოველთაო მშვიდობის, თავისუფლებისა და ჰარმონიის დამკვიდრება. გადაუდებელი გახდა აუცილებლობა, მიღწეულიყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო აღიარება, მათი საერთო (ერთგვაროვანი) გაგება და, რაც მთავარია, მათი უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, ვინაიდან გამოცდილებამ აჩვენა, რომ მთავარ სირთულეს მათი პრაქტიკაში აღიარება წარმოადგენდა. აშკარა გახდა ისიც, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ქმედითი საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე. თუ ომამდე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებები ძირითადად შემოიფარგლებოდა რელიგიური უმცირესობისა და ომის მსხვერპლთა დაცვის, მონობისა და იძულებითი შრომის აღკვეთის საკითხებით,¹ ომის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოების ზრუნვის საგანი ყველა ძირითადი უფლება და თავისუფლება გახდა.

საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად წლების განმავლობაში შემუშავებული და მიღებული იქნა ადამიანის უფლებათა აღნუსხვისა და მათი დაცვის მექანიზმების განმსაზღვრელი ფართო უნივერსალური და რეგიონული სამართლებრივი ბაზა; დაიდო 100-ზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულება; სახელმწიფოებმა ნებაყოფლობით იკისრეს თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება; შეიქმნა საერთაშორისო კონტროლის სისტემა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად; ადამიანის უფლებათა დაცვა ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლის ცალკე დარგად,

¹ რელიგიური უფლებების დაცვას შეეხებოდა მაგალითად, *ვესტფალიის ხელშეკრულება (Treaty of Westphalia – 1648)*, რომელმაც დაადგინა გერმანიაში კათოლიკებისა და პროტესტანტების თანაბარი უფლებები, *კუჩუკ-კანარჯის ხელშეკრულება (Treaty of Kutchuk Kainardji – 1784)*, რომლითაც თურქებმა აიღეს ვალდებულება, დაეცათ ქრისტიანული რელიგია თავიანთ ტერიტორიაზე. *ვენის კონგრესმა 1815 წელს* დაადგინა რელიგიის თავისუფლება და რელიგიითა თანასწორობა შვეიცარიასა და გერმანიაში. 1926 წელს ერთა ლიგამ მიიღო *მონობის აკრძალვის შესახებ საერთაშორისო კონვენცია*, რომელიც ხელმოწერ ქვეყნებს ავალდებულებდა, აღეკვეთათ მონებით ვაჭრობა და მიეღწიათ მისი სრული გაუქმება. 1905-6 წლებში მიღებული იქნა *ბერნის ორი მრავალმხრივი ხელშეკრულება იძულებითი შრომის აკრძალვისა და სხვა სოციალური უფლებების შესახებ*. ომის მსხვერპლთა დაცვას შეეხებოდა *ჟენევის კონვენცია (1864)* და *სანკტ-პეტერბურგის დეკლარაცია (1868)*. I მსოფლიო ომის შემდეგ დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებებით სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულებანი დაეცათ რასობრივი, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობები. ერთა ლიგის ხელშეკრულებები ასევე ფოკუსირებული იყო უმცირესობის წარმომადგენელთა სიცოცხლისა და თავისუფლების დაცვაზე (UN. Yearbook on Human Rights-1946KJ, 1969; **Robinson J. International Law and Organisation**, 1967; *The Oxford Companion to Law by David M. Walker*, 1980; *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი*, (პასუხისმგებელი რედაქტორი – **ლ.ალექსიძე**, თბილისი, 2003).

რომელსაც „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“ ეწოდება. ადამიანი გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.² ეს იყო უზარმაზარი თვისებრივი ნახტომი ადამიანის უფლებათა მთელი ისტორიის კონტექსტში.

ყოველივე ამას დასაბამი მისცა იმან, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნისას მის წესდებაში შეტანილი იქნა დებულება, რომელიც მოუწოდებდა წევრ-სახელმწიფოებს, დაეცვათ ადამიანის ღირსება, მისი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად გაეროს ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად გამოცხადდა.

1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**. ამ დეკლარაციამ ჩაუყარა საფუძველი იმას, რომ ადამიანის უფლებათა პატივისცემა „გაეროს მიზნებიდან“ ძირითად საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპად გადაქცეულიყო. თავისთავად მრავლისმთქმელი იყო დეკლარაციის პრეამბულაში იმის გაცხადება, რომ იგი ეყრდნობოდა ადამიანთა თანაბარი ღირსების, თანასწორობისა და უფლებათა ხელშეუვალობის აღიარებას.³ დეკლარაციაში გაცხადებულია ადამიანის როგორც

² აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის აღიარება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მხოლოდ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სფეროში შემოიფარგლება. საზოგადოდ, ადამიანს (ფიზიკურ პირს) არ გააჩნია საერთაშორისო სამართლის სუბიექტისათვის დამახასიათებელი უფლებაუნარიანობა. საერთაშორისო სამართლის სუბიექტები წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის ისეთ მონაწილეებს, რომლებიც არა მარტო ფლობენ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ ურთიერთობის სხვა მონაწილეებთან ერთად თავად ქმნიან ამ ნორმებს და უზრუნველყოფენ მათ შესრულებასა და დაცვას. ამიტომ, სრული უფლებაუნარიანობა მხოლოდ სახელმწიფოებს გააჩნიათ. თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები, გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ასევე აღიარებულნი არიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად. მათი უფლებაუნარიანობა შედარებით ვიწროა. მათ მეორად, არაძირითად სუბიექტებს უწოდებენ. ფიზიკურმა პირმა საერთაშორისო სამართლის სუბიექტისათვის დამახასიათებელი უფლებაუნარიანობა (ნაწილობრივ მანც) შეიძინა მას შემდეგ, რაც ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია) მას უფლება მიეცა თავად დაეცვა საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი მისი უფლებები და საჩივრით მიემართა შესაბამისი საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანიზაციისათვის დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასეთი თავისუფლების გამო ამას **სპეციფიკურ სუბიექტუნარიანობას** უწოდებენ. (იხ. *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი*, ლექსიკონი-ცნობარი, პასუხისმგებელი რედაქტორი – **ლ.ალექსიძე**, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003წ., გვ.350-351).

³ აღნიშნული წარმოადგენდა დადასტურებას ადამიანის უფლებების ისეთი გაგებისა, რომლის მიხედვით უფლებები ღმერთისგან არის ბოძებული, ვინაიდან ისინი თანაარსია ადამიანისათვის, როგორც გონიერი, თავისუფალი ნების მქონე არსებისათვის. შესაბამისად, ისინი აუცილებელია მისი სრული და თავისუფალი განვითარების, სულიერი, მორალური და სხვაგვარი დამოუკიდებლობისათვის და ამიტომ არ ექვემდებარება პოზიტიური სამართლით ხელყოფასა და გაუქმებას. ასეთი ხედვა წარმოადგენდა ბუნებითი სამართლის მოძღვრებიდან, რომლის იდეები თავდაპირველად შეიმუშავეს ბერძენმა და რომაელმა სტოელებმა, რომაელმა იურისტებმა და ქრისტიანმა მამებმა. შუა საუკუნეებში ეს იდეები საფუძვლად დაედო არაერთ პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებას და აისახა კანონებში. ბუნებითი უფლებების აღიარებასა და დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა ადამიანის უფლებათა **ვირჯინის დეკლარაციამ** (1770), რომლის მიხედვით ყველა ადამიანი ბუნებით თანასწორი, თავისუფალი და დამოუკიდებელია, გააჩნია თანაარსი უფლებები და სახელმწიფოს არ შეუძლია ჩამოართვას ადამიანს სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება და უფლება იმისა, ესწრაფოდეს ბედნიერებასა და უსაფრთხოებას. ყოველივე ეს შემდგომში აისახა *ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში* (1776) და *უფლებათა ბილში* (1791). ამერიკულმა მაგალითებმა დიდი გავლენა იქონია ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ფრანგულ დეკლარაციაზე (1789). ბუნებითი სამართლის თეორიას ძალზე ამჭიდროებდა **პარლამენტის აბსოლუტური უზენაესობის დოქტრინა**, რომელიც არ ცნობდა უმაღლეს ღვთიურ სამართალს. დღესდღეობით თითქმის ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და საერთაშორისო სამართლებრივი აქტი (ადამიანის უფლებათა სფეროში) აღიარებს

სამოქალაქო და პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. მართალია დეკლარაციას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და იურიდიულად სავალდებულო ძალა არ გააჩნია (*is not legally enforceable*),⁴ მაგრამ მისი მნიშვნელობა და გავლენა ძალიან დიდია. იგი გაეროს თითქმის ყველა ქვეყანამ თავისთვის სავალდებულოდ აქცია. მეორე მხრივ, მან საფუძველი დაუდო ადამიანის უფლებათა დაცვის დღეისთვის მოქმედი უნივერსალური და რეგიონული სახელშეკრულებო მექანიზმების შექმნას. კერძოდ, მიღებული იქნა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966), საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (1966), კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1969), კონვენციები გენოციდის (1948), მონათა ვაჭრობის (1956), იძულებითი შრომის (1957), განათლების დარგში დისკრიმინაციის (1960), წამებისა და სასტიკი არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ სასჯელის (1987), აკრძალვათა შესახებ და სხვა. ამის გარდა, მიღებულ იქნა რეგიონული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, მათ შორის – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950), ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (1969), ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია (1981), ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ (2000) და სხვ.

ამ დოკუმენტების პრეამბულებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ისინი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით დამკვიდრებული პრინციპების უზრუნველყოფას ემსახურებიან.⁵

ქვემოთ ევროპულ კონვენციასთან შედარებით ასპექტში მიმოხილულია **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია** და ის ძირითადი უნივერსალური თუ რეგიონალური ხელშეკრულებები, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებას ითვალისწინებენ; კერძოდ – **საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ადამიანისა და**

ადამიანის ძირითად უფლებათა ხელშეუვალობას და მის თანდაყოლილ ბუნებას (Berger A., *Dictionary of Roman Law*, 1953.; Jolowicz H.F. – *Historical Introduction of to the Study of Roman Law* - 1972; Jones J.W. *Historical Introduction to the theory of Law* 1940; *Oxford Companion to Law* by D.Walker, 1980) იხ. აგრეთვე კ.კუბლავეშილი, *ძირითადი უფლებები, გამომცემლობა ჯისიაი, თბ..*

⁴ გაეროს წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან იმოქმედონ გაეროს წესდებაში მითითებული მიზნების შესაბამისად. თუმცა, საკუთრივ წესდება არ მოუთხოვს ადამიანის იმ უფლებებს ან თავისუფლებებს, რომელთა დაცვაც სახელმწიფოებს ევალებათ. წესდება არ შეიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ წევრი ქვეყნები თანახმანი არიან დაიცვან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. უფრო მეტიც, „შიდა იურისდიქციის“ („domestic jurisdiction“) მუხლი აღუკვეთავს ორგანიზაციას უფლებას, ჩაერიოს საკითხებში, რომელიც ქვეყნის შიდა იურისდიქციას განეკუთვნება ან მოსთხოვოს მას, რომ იგი წესდების საფუძველზე გადაწყვეტას დაუქვემდებაროს (იხ. *The Oxford Companion to Law* by David M. Walker, Clarendon Press, Oxford, 1980, გვ.593).

⁵ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პრეამბულაში პირდაპირ მითითებულია, რომ ხელშემკვერელი მხარეები „მზად არიან გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებულ გარკვეულ უფლებათა ერთობლივი აღსრულებისათვის“. კონვენცია ასრულებს საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებული პრინციპების კოლექტიური გარანტიის როლს ევროპაში. კონვენციის დანიშნულება სწორედ საყოველთაო დეკლარაციასთან მიმართებაშია გააზრებული. იხ. Juan Antonio Carrillo Salcedo, *The Place of the European Convention in International law*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds), 1993, გვ.15.

ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია და ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ.⁶ ეს ხელშეკრულებები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ისინი, ევროპული კონვენციის მსგავსად,⁷ კონტროლისა და დავების გადაწყვეტის სპეციალური ორგანოების შექმნას ითვალისწინებენ, რომლებსაც უფლება აქვთ დადგენილი პროცედურის შესაბამისად განიხილონ ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტები და შეაფასონ, დაარღვია თუ არა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება. კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით დაარსებულია **ადამიანის უფლებათა კომიტეტი**⁸ (თუმცა მის გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა არ გააჩნია და მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს),⁹ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციით – **ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია და ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო**, ადამიანის და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტიით – **ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული კომისია**. შესაბამისად დადგენილია ამ ორგანოთა ფუნქციები და საქმიანობის წესი. რაც შეეხება ევროპის კავშირის ქარტიას ძირითადი უფლებების შესახებ, მას ასეთი ორგანო არ შეუქმნია. ევროგაერთიანების სამართლის (რომლის ნაწილის არის ქარტია) სწორი ინტერპრეტაციისა და გამოყენების უზრუნველყოფის ამოცანა დაკისრებული აქვს **მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს**. ადამიანის უფლებათა სფეროში გაერთიანების სამართლის ევროპულ კონვენციასთან მიმართებაზე ჩვენ ცალკე, შემდეგ პარაგრაფში ვისაუბრებთ. ამჯერად ჩვენს ამოცანას წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ როგორია ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების მიხედვით „გამონატვის თავისუფლების“ გაგება, რომელ უფლებებს მოიცავს იგი, როგორია მათი ფარგლები და შეზღუდვის შესაძლებლობა.

⁶ გამონატვის თავისუფლებას ითვალისწინებს *ეუთო*-ს მიერ მიღებული აქტებიც. მაგალითად, ქპელსინკში 1975 წელს მიღებული „დასკვნითი აქტი“, რომელშიც მთელი თავი (№2) ეძღვნება „ინფორმაციას“ და საუბარია ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელობაზე, მედიის როლზე, ჟურნალისტის უფლებებსა და სამუშაო პირობებზე, შესაბამის სახელმწიფო ვალდებულებებზე; აგრეთვე, *ადამიანის განზომილებების შესახებ კონვენციის კოპენჰაგენისა* (1990) და *მოსკოვის თათბირის* (1991) *დოკუმენტები*, რომლებშიც ასევე გაკეთებულია აქცენტები თავისუფალი და ღია საზოგადოებისათვის ინფორმაციის თავისუფალი ურთიერთგაცვლის მნიშვნელობაზე და ეროვნული უმცირესობის უფლებებზე ინფორმაციის სფეროში; იხ. აგრეთვე, „*პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის*“ (1990).

⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ შემოიტანა სამი მნიშვნელოვანი სიასლე საერთაშორისო სამართალში. პირველი – კოლექტიური უზრუნველყოფის სისტემა; მეორე – ინდივიდუალური პეტიციის უფლება ხელშემკვრელ მხარეთა იურიდიციის ფარგლებში; მესამე – დავების მორიგებით გადაწყვეტის მექანიზმი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამართლიანადაა აღიარებული, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა აღსრულების პირველ ქმედით რეგიონულ მექანიზმს (იხ. **Juan Antonio Carrillo Salcedo**, მითითებული ნაშრომი, გვ.16).

⁸ ინდივიდური საჩივრებს განხილვის უფლება კომიტეტს მიენიჭა პაქტის პირველი ფაკულტატური ოქმით.

⁹ ინდივიდური საჩივრის განხილვის სფეროში ადამიანის უფლებათა კომიტეტის უფლებამოსილების საკითხზე იხილეთ **ნინო ხაინდრავას** სტატია „*სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის საზედაშედეგლო სისტემების შედარებითი ანალიზი*“ კრებულში *ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპულ და საერთაშორისო სამართალში*, (კ.კორკელიას რედაქტორობით), თბილისი, 2002. გვ.267-283.

11.2.2. შმსაბამისი დებულებები

ა) გაეროს აქტები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

Universal Declaration of Human Rights

(გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია №217 A (III) მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს).

მუხლი 19.

ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი აზრი ყოველგვარი ჩარევის გარეშე, აგრეთვე, თავისუფლებას, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი მედიის საშუალებით და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

International Covenant on Civil and Political Rights

(გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2200 A (XXI) მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს)

პაქტი აკონკრეტებს საყოველთაო დეკლარაციაში გადმოცემულ უფლებებს.

მუხლი 19.

1. ყველას აქვს უფლება, გააჩნდეს საკუთარი აზრი ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

2. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ზეპირად, წერილობით, ბეჭდვით, მხატვრული ფორმით ან ნებისმიერი სხვა მედიის საშუალებით არჩევანის შესაბამისად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით უზრუნველყოფილ უფლებებს თან ახლავს სპეციალური მოვალეობები და პასუხისმგებლობა. ამიტომ ისინი შეიძლება დაექვემდებაროს განსაზღვრულ შეზღუდვებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია:

ა) სხვათა უფლებებისა თუ რეპუტაციის დასაცავად;

ბ) ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის (order public) ან ხალხის ჯანმრთელობისა ან მორალის დასაცავად.

მუხლი 20.

1. ომის ნებისმიერი პროპაგანდა აკრძალული უნდა იყოს კანონით.

2. ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის ნებისმიერი მხარდაჭერა, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციის, სიძულვილის ან ძალადობისაკენ წაქეზებას, აკრძალული უნდა იყოს კანონით.

ბ) რეგიონული აქტები

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია

American Convention on Human Rights

(მიღებულია ადამიანის უფლებათა შესახებ ინტერ-ამერიკულ სპეციალურ კონფერენციაზე. *San José, Costa Rica*, 22 დეკემბერი, 1969 წ.)

პრეამბულაში მითითებულია, რომ იგი ემყარება ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ქარტიას, ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ამერიკულ დეკლარაციას და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას).

მუხლი 13. აზრისა და გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ყველა სახის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ზეპირად, წერილობით, ბეჭდვით, მხატვრული ფორმით ან სხვა ნებისმიერი მედიუმის საშუალებით არჩევანის შესაბამისად.

2. ზემორე პუნქტით გათვალისწინებული უფლებების განხორციელება არ შეიძლება დაექვემდებაროს წინასწარ ცენზურას, მაგრამ შეიძლება დაექვემდებაროს შემდგომში პასუხისმგებლობის დაკისრებას, რომელიც დადგენილი უნდა იყოს კანონით და აუცილებელი:

a) სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად;

b) ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის ან საზოგადოების ჯანმრთელობისა თუ მორალის დასაცავად.

3. გამოხატვის თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს არაპირდაპირი მეთოდებითა თუ საშუალებებით, კერძოდ, ხელისუფლების უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ან კერძო კონტროლით გაზეთებზე, რადიომაუწყებლობის სიხშირეებზე თუ მოწყობილობებზე, რომელიც გამოყენებულია ინფორმაციის გასავრცელებლად ანდა სხვა რაიმე საშუალებით იმ მიზნით, რათა დააბრკოლოს იდეებისა და შეხედულებების კომუნიკაცია და ცირკულაცია (გავრცელება).

4. მიუხედავად მე-2 პუნქტის დებულებებისა, გამოხატვის თავისუფლება საჯარო კანონით შეიძლება დაექვემდებაროს წინასწარ ცენზურას მხოლოდ იმ ერთადერთი მიზნით, რომ დაარეგულიროს მისი მიღება ბავშვებისა და მოზარდების მორალური დაცვის მოსაზრებით.

5. ომის ნებისმიერი პროპაგანდა, აგრეთვე ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის ნებისმიერი პროპაგანდა, რომელიც წარმოადგენს უკანონო ძალადობისაკენ წაქეზებას ან სხვა მსგავს მოქმედებას რომელიმე ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ რასობრივი, რელიგიური ან ენობრივი კუთვნილების, კანის ფერის ან ეროვნული წარმოშობის რომელიმე საფუძველზე, უნდა განიხილებოდეს კანონით დასჯად დანაშაულად.

ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია
African (Banjul) Charter on Human and Peoples Rights

(მიღებულია 1981 წლის 27 ივნისს. ძალაში შევიდა 1986 წლის 24 ოქტომბერს)

მუხლი 9.

1. ყოველ ადამიანს გააჩნია ინფორმაციის მიღების უფლება;
2. ყოველ ადამიანს გააჩნია თავისი აზრის გამოხატვისა და გავრცელების უფლება კანონის შესაბამისად (*within the Law*)

ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ
Charter of Fundamental Rights of the European Union
(2000/c 364/01)

მუხლი 11. გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება

1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი აზრი, მიიღოს და გავრცელოს ინფორმაცია და იდეები სახელმწიფო ხელისუფლების ჩაურევლად და საზღვრების მიუხედავად.
2. მედიის თავისუფლება და პლურალიზმი დაცულია.

11.2.3. მიმონილვა

ა) რომელი უფლებებია დაცული.

გამოხატვის თავისუფლების ისეთი გაგება, როგორსაც ევროპული კონვენცია გულისხმობს, სწორედ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ დაამკვიდრა. მასში ცხადადაა ჩამოყალიბებული ის უფლებები, რომელსაც იგი მოიცავს. ესენია:

ადამიანის უფლება, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება (აზრის თავისუფლება) და ადამიანის უფლება, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები (გამონახტვის თავისუფლება). მანვე ჩამოაყალიბა ამ თავისუფლებათა აუცილებელი კომპონენტები – ამ უფლებათა განხორციელება „საჯარო ხელისუფლების მხრიდან ჩაურევლად“, „ნებისმიერი საშუალებით“ და „სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“. სწორედ ეს კომპონენტები სძენს ამ უფლებებს „თავისუფლების“ სტატუსსა და შინაარსს.

მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ ძირითადი გაგება ერთგვაროვანია, ევროპული კონვენციის ენა უფრო მოკრძალებულია. მაგალითად, იგი **სხვა აქტებისაგან განსხვავებით, სახელდებით არ ითვალისწინებს ინფორმაციის მოძიების უფლებას (the right to seek information);¹⁰ საგანგებოდ არ მიუთითებს იმაზე, რომ მე-10 მუხლი იცავს ყველა სახის („all kinds“) ინფორმაციასა და იდეებს. აგრეთვე არ ითვალისწინებ ე.წ. „შეპასუხების უფლებას“ იმ პირისათვის, ვინც დაზარალდა ამა თუ იმ მედიის საშუალებით გავრცელებული იდეებითა თუ ინფორმაციით.¹¹ თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კონვენციის ორგანოებმა ისე განმარტეს მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შინაარსობრივი ფარგლები, რომელიც შეესაბამებოდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლს.¹² არაპირდაპირ აღიარებულია „შეპასუხების უფლებაც“. მიჩნეულია რომ „სამართლიანობის დოქტრინა“ მედიის საშუალებებს ავალდებულებს პასუხის გამოქვეყნებას. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მედიის უსაფუძვლო უარი პასუხის გამოქვეყნებაზე კონვენციის დარღვევის აღიარების საკმარის საფუძვლად განიხილება. ამერიკული კონვენცია, როგორც ჩანს, უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ უფლებას და მას ცალკე უფლებად ითვალისწინებს. კონვენციის მე-14 მუხლი არა მარტო ადგენს ამ უფლებას, არამედ ქმნის მისი უზრუნველყოფის გარანტიებსაც:**

მუხლი 14. პასუხის უფლება (ამერიკული კონვენცია)

1. ნებისმიერ პირს, ვინც დაზარალდა უზუსტო (inaccurate) ან შეურაცხმყოფელი განცხადებებით ან იდეებით, რომლებიც საჯაროდ გავრცელდა კომუნიკაციის კანონით რეგულირებული მედიუმით, გააჩნია პასუხის ან გასწორების უფლება კომუნიკაციის იმავე გამოცემაში და იმ პირობებში, რომლებიც კანონით შეიძლება იქნას დადგენილი.

¹⁰ გამონაკლისია აფრიკული ქარტია. მასში არ არის მითითებული ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების თავისუფლება (ქარტია ითვალისწინებს მხოლოდ ინფორმაციის მიღების უფლებას და აზრის გამონახტვისა და გავრცელების თავისუფლებას). მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, ეს უფლება უთუოდ ნაგულისხმებია. რაკი აღიარებულია „ინფორმაციის მიღების უფლება“, ლოგიკურად იგი უნდა მოიცავდეს „ინფორმაციის გავრცელების უფლებასაც“, ვინაიდან პირველი მათგანის უზრუნველყოფა შეუძლებელია მეორის გარეშე.

¹¹ ამ საკითხს ყურადღება მიაქცია ელესტერმაც თავის სტატიაში გამონახტვის თავისუფლების შესახებ (იხ. **Anthony Lester, Freedom of Expression**, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold (Eds). 1993. გვ.466-7.

¹² მაგალითად, Müller-ის საქმეში ევროპული სასამართლო დაეყრდნო სწორედ პაქტის მე-19 მუხლს, როდესაც დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავდა მხატვრულ თვითგამონახტვას (artistic expression), იხ. განჩინება, §37.

2. გასწორება ან პასუხი არ შეასუსტებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო.

3. პატივისა და რეპუტაციის ქმედითი დაცვისათვის თითოეულ გამომცემელს, თითოეულ გაზეთს, ფილმს, რადიო თუ სატელევიზიო კომპანიას უნდა გააჩნდეს პასუხისმგებელი პიროვნება, რომელიც არ არის დაცული იმუნიტეტით ან სპეციალური პრივილეგიით.

ყურადღებას იპყრობს ამერიკული კონვენციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის დებულება, რომლითაც დაზუსტებულია „ჩაურევლობის“ ცნების შინაარსი. ეს დებულება კრძალავს არაპირდაპირი მეთოდებისა თუ საშუალებების გამოყენებას, რომლებიც მიზნად ისახავენ იდეებისა და შეხედულებების თავისუფალ კომუნიკაციასა და გავრცელებას. „გამოხატვის თავისუფლებაში ჩაურევლობის“ ასეთი გაგება, ცხადია, უფრო მყარ საფუძველს ქმნის ამ თავისუფლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ამ განსხვავებების მიუხედავად, მაინც მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ გამოხატვის თავისუფლების გაგება და ის უფლებები, რომლებიც მასში იგულისხმება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში, ერთგვაროვანია და მათ შორის პრინციპული სხვაობა არ არის.

ბ) უფლებებიდან გამონაკლისები

როგორც ცნობილია, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი გამოხატვის თავისუფლებიდან გამონაკლისებს არ უშვებს. მასში არ არის მითითებული, თუ როგორი აზრებისა თუ ინფორმაციების გამოხატვა არ იმყოფება მე-10 მუხლის მოქმედების სფეროში. შედარებამ გვაჩვენა, რომ ზოგიერთი სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ აქტში ამ მიმართებით უფრო მეტი სიცხადეა.

კერძოდ:

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლში, მართალია ასეთი გამონაკლისი მითითებული არ არის, მაგრამ მე-20 მუხლი, ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ გამონაკლისზე მითითებას წარმოადგენს. ამ მუხლის დებულება, რომლის მიხედვით, ომის ნებისმიერი პროპაგანდა, აგრეთვე ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის ნებისმიერი მხარდაჭერა, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციის, სიძულვილის ან ძალადობისაკენ წაქეზებას, აკრძალული უნდა იყოს კანონით, ფაქტობრივად იმის მაუწყებელია, რომ ასეთი შინაარსის იდეებისა თუ ინფორმაციების გავრცელება არ არის მოცული მე-19 მუხლით.

ამერიკულ კონვენციაში კი დაახლოებით ასეთივე შინაარსის დებულება იმავე მუხლშია მითითებული, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ეძღვნება (იხ. მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი), რაც იმის დასტურია, რომ იგი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა (დანამდვილებით) არ უნდა იქნეს დაცული.

ომის პროპაგანდა ან სიძულვილის გავრცელება პრაქტიკულად არც ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში სარგებლობს რეალური დაცვით, მაგრამ რაკი ისინი პირდაპირ აკრძალული არ არის, მათი უარყოფა ხან მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (შეზღუდვის გამართლებულობის შესაფასებელი საერთო კრიტერიუმების მეშვეობით) ხდება, ხან კიდევ კონვენციის მე-17 მუხლით, რაც სასამართლოს მხრიდან იმის დასაბუთებას საჭიროებს, რომ შესაბამისი შემთხვევა გამოხატვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებას ეწინააღმდეგებოდა,

გ) მითითება „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“

როგორც ვიცით, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი საგანგებოდ უთითებს გამონატვის თავისუფლებისაგან განუყოფელ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე. სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები ასევე აღიარებენ უფლებებით მოსარგებლე სუბიექტთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას. მაგრამ უშუალოდ გამონატვის თავისუფლებასთან მიმართებაში ასეთ აქცენტს მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი აკეთებს. იგი მიუთითებს, რომ გამონატვის თავისუფლებას თან ახლავს **სპეციალური მოვალეობები და პასუხისმგებლობა** და მისი შეზღუდვის შესაძლებლობას სწორედ მათ დარღვევას უკავშირებს (იხ. მე-19 მ. პ.3) სხვა აქტებში „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობაზე“ მითითება უფრო ზოგადია და ყველა უფლებას უკავშირდება. თუმცა, სამაგიეროდ, უფრო დაზუსტებულია, თუ ვის ან რის წინაშე წარმოიშობა ასეთი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა.

მაგალითად:

– **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლი** მიუთითებს საზოგადოდ უფლებათა განხორციელების დროს ადამიანის მოვალეობაზე **ადამიანთა თემობის წინაშე (duties to the community);**

– **ამერიკული კონვენციის 32-ე მუხლიც** საერთოდ უფლება-მოვალეობათა ერთიანობას შეეხება და მასში აღნიშნულია, რომ ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია **თავისი ოჯახის, თავისი საზოგადოების (his community) და კაცობრიობის წინაშე.** იმავდროულად იგი განსაზღვრავს უფლებით სარგებლობის საერთო ფარგლებს: „თითოეული ადამიანის უფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში შემოზღუდულია **სხვათა უფლებებით, სხვათა უსაფრთხოებით და საერთო კეთილდღეობის** სამართლიანი მოთხოვნებით.

– **აფრიკული ქარტია** მიუთითებს თითოეული ადამიანის მოვალეობაზე თავისი **ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს, სხვა კანონიერად აღიარებული თანამეგობრობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე;** თითოეული ადამიანის მოვალეობაზე – თავისი უფლებები განახორციელოს **სხვათა უფლებების, კოლექტიური უსაფრთხოებისა და საერთო ინტერესების შესაბამისად (მ.27).**

– ევროპის კავშირის ქარტიაში ასევე ხაზგასმულია, რომ ქარტიით გარანტირებული უფლებები განუყოფელია შესაბამისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისაგან **სხვა ადამიანის, ადამიანთა თანამეგობრობისა და მომავალი თაობის წინაშე**. თავისთავად ისიც საგულისხმოა, რომ ყოველივე ეს ქარტიის პრეამბულაშივეა აღნიშნული.

დ) შეზღუდვის შესაძლებლობა და საფუძველი

დავიწყოთ იქიდან, რომ ყველა მათგანი აღიარებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას სხვა კანონიერ ინტერესთა დასაცავად. მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ზოგჯერ შესაბამისი მუხლითაა გათვალისწინებული, ზოგჯერ კი ისეთი საერთო ხასიათის დებულებებით, რომლებიც სხვა უფლებებსაც შეეხება.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ევროპის კავშირის ქარტია მხოლოდ საერთო ხასიათის დებულებებით შემოიფარგლნენ და ცალკე, სპეციალურ მუხლში მიუთითეს გაცხადებულ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა და საფუძველი. მაგრამ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტმა და ამერიკულმა კონვენციამ, ევროპული კონვენციის მსგავსად, იმავე მუხლში მიუთითა გამოხატვის შეზღუდვის შესაძლებლობა, რომლებშიც ეს უფლება იყო გაცხადებული.

რაც შეეხება აფრიკულ ქარტიას, მასში გამოხატვის შეზღუდვის შესაძლებლობა არც იმავე მუხლით და არც საერთო ხასიათის დებულებით გათვალისწინებული არ არის. ამის მიუხედავად, ეჭვგარეშეა რომ ასეთი შესაძლებლობა დაშვებულად უნდა ვიგულისხმოთ გამოხატვის თავისუფლების იმ ფორმულირებიდან გამომდინარე, რომელიც ქარტიის მე-9 მუხლშია გადმოცემული. მასში მითითებულია, რომ „ყოველ ადამიანს გააჩნია თავისი აზრის გამოხატვის და გავრცელების უფლება **კანონის ფარგლებში**“ (within the Law). აშკარაა, რომ აფრიკულმა ქარტიამ ამ თავისუფლების ფარგლების საკითხის გადაწყვეტა **მთლიანად ეროვნულ ხელისუფლებას მიანდო** და მისი შეფასების თავისუფლების ფარგლებს მიაკუთვნა.

შეზღუდვის „**კანონით გათვალისწინებულობის**“ მოთხოვნას უკლებლივ ყველა აქტი ითვალისწინებს

– შეზღუდვის „**აუცილებლობის**“ მოთხოვნას – უმეტესი მათგანი, კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი, ამერიკული კონვენცია და ევროპის კავშირის ქარტია.

– შეზღუდვის „**თანაზომიერების**“ მოთხოვნა, რომელიც ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში მითითებული არ არის, მაგრამ ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციით არის დამკვიდრებული, ევროპის კავშირის ქარტიის 52-ე მუხლით ყველა უფლების შეზღუდვის აუცილებელ პირობად არის გამოცხადებული. სხვა აქტები ასეთ პირობას არ ითვალისწინებენ.

რაც შეეხება შეზღუდვის საფუძველს, ანუ იმ კანონიერ ინტერესებს, რომელთა დასაცავადც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, ამ მიმართებით შემდეგი სურათი გამოკვეთა:

– საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით დაშვებულია უფლებათა (მათ შორის გამოხატვის თავისუფლების) შეზღუდვა სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების, მორალის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის ინტერესებისათვის;

– სამოქალაქო პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მიხედვით – სხვა პირთა უფლებების, საზოგადოებრივი წესრიგის, ხალხის ჯანმრთელობისა და მორალის დასაცავად;

– ამერიკული კონვენციის მიხედვით – სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის, ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოების ჯანმრთელობისა და მორალის დასაცავად;

– ევროპის კავშირის ქარტიის მიხედვით – სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე, კავშირის მიერ აღიარებული საჯარო ინტერესების დასაცავად.

როგორც ვხედავთ ყველა აქტი აღიარებს უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას შემდეგი სამი ინტერესის დასაცავად. ესენია: **სხვა პირთა უფლებები, საზოგადოებრივი წესრიგი და მორალი.**

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში ჩამოთვლილი სხვა კანონიერი მიზნები კი ზოგჯერ არის გათვალისწინებული და ზოგჯერ არა. რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ინტერესებს, ისინი (გარდა ევროპული კონვენციისა) არსად არსად არ არის მითითებული.

იმის მიუხედავად, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში კანონიერ მიზანთა ჩამონათვალი გაცილებით უფრო ვრცელია, მაინც არ იქნებოდა მართებული ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფრო ფართო შესაძლებლობას ითვალისწინებს და გაადვილებულია სხვა ინტერესების დასაცავად მისი შეზღუდვა. ამ მიმართებით მხედველობაში მისაღებია რამდენიმე გარემოება:

I. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რამდენადაც მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და არსებითად ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებს ამკვიდრებს,¹³ იგი შეფასების თავისუფლების ძალიან დიდ სივრცეს გულისხმობს ეროვნული ხელისუფლებისათვის. ამიტომ მასში მეტისმეტი დეტალიზაცია ამ მიმართებით არც საჭირო იყო და არც გამართლებული. ვფიქრობთ, ამით უნდა აიხსნას, საყოველთაო დეკლარაციაში ისეთი

¹³ *The Oxford Companion to Law* by David M. Walker, Clarendon Press. Oxford. 1980. გვ.593.

ფართო შინაარსის ტერმინის გამოყენება უფლებათა შეზღუდვის საფუძვლად, როგორცაა – „საერთო კეთილდღეობის ინტერესები“.

II. ზედმეტი კონკრეტიზაცია თავისთავადაც ვერ იქნებოდა გამართლებული იმ მუხლებში, რომლებიც მხოლოდ ერთ რომელიმე უფლებას კი არ შეეხება, არამედ ყველას, ან უფლებათა რომელიმე ჯგუფს. სხვადასხვა უფლებათა განსხვავებულ ონტოლოგიურ ბუნებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ის, თუ რა ინტერესებთან შეიძლება აღმოჩნდეს იგი კონფლიქტში, ანდა ღირებულებათა როგორი კონფლიქტია უფრო ტიპიური; აქედან გამომდინარე, – ისიც, თუ რომელი ინტერესების დასაცავად იქნება მიზანშეწონილი უფლების შეზღუდვის შესაძლებლობის დაშვება. ამიტომ საერთო ხასიათის დებულებებში მართლაც უფრო გამართლებულია ყველაზე უფრო ტიპიურ კონფლიქტებზე აქცენტის გაკეთება და იმავდროულად (საგარანტიოდ) ფართო შინაარსობრივი ფარგლების მქონე ცნებების გამოყენება. ჩვენი შეხედულებით, კიდევ ამანაც განაპირობა საყოველთაო დეკლარაციაში „საერთო კეთილდღეობის ინტერესებზე“ მითითება, რომელშიც სხვადასხვა საჯარო ინტერესი შეიძლება იგულისხმებოდეს. ამავე ლოგიკას შეესაბამება ევროპის კავშირის ქარტიის საერთო შინაარსის შემზღუდველ დებულებაში, ერთი მხრივ, მითითება „სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის“ ინტერესზე (როგორც მინიშნება ტიპიურ ღირებულებათა კონფლიქტზე) და, მეორე მხრივ, იმის აღნიშვნა, რომ ქარტიით გარანტირებულ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია „კავშირის მიერ აღიარებული საჯარო ინტერესების დასაცავად“ ზედმეტი კონკრეტიზაციის გარეშე.

III. რაც მთავარია, არსებობს ტერმინთა ინტერპრეტაციის, მათი შინაარსის დაზუსტების შესაძლებლობა შესაბამის ნორმათა უშუალო გამოყენების დროს. მაგალითად, „დანაშაულის თავიდან აცილების“ ინტერესს ამერიკული კონვენცია შეზღუდვის საფუძვლად არ ითვალისწინებს, მაგრამ ძალზე დიდია მოსალოდნელობა იმისა, რომ იგი მოიაზრება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის“ ინტერესში მისი ფართო ინტერპრეტაციის გზით. „ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ინტერესი“ შეიძლება იგულისხმებოდეს „ეროვნული უშიშროების“ ინტერესში, „კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების აღკვეთის ინტერესი“ – „სხვა პირთა უფლებების დაცვის“ ან რომელიმე საჯარო ინტერესში და ა.შ. ერთადერთ სათუო შემთხვევად გვესახება „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის“ ინტერესის მიკუთვნება რომელიმე სხვა კანონიერი ინტერესისათვის. არადა ეს ინტერესი, უფლების შეზღუდვის საფუძვლად ევროპული კონვენციის გარდა, სხვაგან არსად არ არის სახელდებით მითითებული, მათ შორის – არც ამერიკულ კონვენციაში. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს ავტორიტეტსა და მიუკერძოებლობასთან ერთად იმ პირთა უფლებებიც ილახება, რომლებიც სასამართლოში შესაბამისი განსახილველი საქმის მხარეებს წარმოადგენენ, გამოხატვის თავისუფლება ამერიკული კონვენციის საფუძველზე „სხვათა უფლებების დაცვის“ მოტივით შეიძლებოდა შეზღუდულიყო. მაგრამ ცხადია, რომ ეს მხოლოდ ლოგიკური ვარაუდებია. ამიტომ, ის, თუ როგორია რეალური მდგომარეობა და

შეიძლება თუ არა ამერიკული კონვენციის საფუძველზე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის მოტივით, ამაზე პასუხს მხოლოდ ინტერ-ამერიკული სასამართლოს პრაქტიკა თუ მოგვცემს.¹⁴ თუმცა, ის დიდი და ძველი ტრადიციები, რომლებიც დამკვიდრებულია საერთო სამართლის ქვეყნებში „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ საკითხებში, სრულ საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა ჯეროვნად არის დაცული ნებისმიერი ხელყოფისაგან, მათ შორის – უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კიდევ უფრო ცხადი გახდა შემდეგი: ის თვალში საცემი გარემოება, რომ კონვენციის მე-10 მუხლში კანონიერ ინტერესთა ჩამონათვალი უფრო ვრცელია, ვიდრე სხვა აქტებში, არ გვიქმნის საკმარის საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ევროპული კონვენციის საფუძველზე გამოხატვის თავისუფლებას უფრო ნაკლები დაცვა აქვს გარანტირებული, ვიდრე გაეროს ან რეგიონული აქტებით.

ე) დამატებითი გარანტიები

როგორც ვიცით, ევროპული კონვენციის მე-17 მუხლით დადგენილია უფლებათა (მათ შორის გამოხატვის თავისუფლების) დაცვის დამატებითი გარანტიები. ამ მუხლში აკრძალულია კონვენციის ისეთი განმარტება, რომელიც გამიზნულია არარად აქციოს ამ კონვენციით გაცხადებული რომელიმე უფლება ან თავისუფლება, ანდა შეზღუდოს იგი იმაზე მეტად, ვიდრე ეს საკუთრივ კონვენციით არის გათვალისწინებული.

მსგავს დებულებებს შეიცავენ სხვა აქტებიც, მაგალითად საყოველთაო დეკლარაცია (30-ე მუხლი) სამოქალაქო აპოლიტიკური უფლებების პაქტი (მე-5 მუხლი), ევროპის კავშირის ქარტია (53-ე და 54-ე მუხლები).

ვ) დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენი საბოლოო დასკვნა ისაა, რომ ევროპული კონვენციითა და შესაბამისი პრაქტიკით დადგენილი გამოხატვის თავისუფლების შინაარსი და ფარგლები შეესაბამება ადამიანის უფლებათა სფეროში როგორც გაეროს, ისე სხვა რეგიონულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს და ამ მიმართებით მათ შორის პრინციპული სხვაობა არ არის.

¹⁴ ამ საკითხზე იხ. **Cancado Trindade, Antônio Augusto** *The Inter-American Court of Human Rights at a Crossroads: Current challenges and its Emerging Case Law on the Eve of the New Century* (გვ.167-192) და **Buergental Thomas** *The European and Inter-American Human Rights Court: Beneficial interaction* (გვ.123-134), კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*, 2000.

§11.3. გამონატვის თავისუფლებისა და სხვა ძირითად უფლებათა დაცვა ევროპაში ქ.წ. «სამმაგი იურისდიქციის» კონტექსტში

ზემოთ ჩვენ მიმოვიხილეთ უმთავრესი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც გამონატვის თავისუფლებას ითვალისწინებენ, მათ შორის, სამი რეგიონული აქტი – ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია და ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ. პირველი ორი მათგანი ევროპულ კონვენციასთან მიმართებაში მხოლოდ შედარებითი ასპექტის თვალსაზრისით არის საინტერესო. მათი ურთიერთქმედების პრობლემა სირთულეთა შექმნის თვალსაზრისით აქტუალური არ არის, რამდენადაც ეს სისტემები განსხვავებულ რეგიონებს (ამერიკა, აფრიკა, ევროპა) მოიცავენ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით ძირითად უფლებათა შესახებ ევროპის კავშირის ქარტიასა და ევროპულ კონვენციაზე, რამდენადაც ისინი ერთსა და იმავე რეგიონს მოიცავენ (ევროპის კავშირის სამართალი მოქმედებს ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ 25 სახელმწიფოში). შესაბამისად გაჩნდა ინტერესი, გაგვეჩვენა, თუ რა მიმართებაშია ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის კავშირის სამართალი ევროპულ კონვენციასთან, როგორია მათი ურთიერთქმედება და როგორ აისახება მათი ერთობლივი გამოყენება ევროპაში ძირითად უფლებათა უზრუნველყოფაზე. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხის გარკვევა შეუძლებელია ეროვნულ სამართლებრივ სისტემებთან თითოეული მათგანის ურთიერთმიმართების გათვალისწინების გარეშე. სწორედ ეს სამი სამართლებრივი სისტემა და მათ შორის ურთიერთმიმართებანი ქმნიან ევროპაში “სამმაგი იურისდიქციის“ ვითარებას, რომელიც ქვემოთ არის ახსნილი მისგან გამომდინარე პრობლემებთან ერთად.

11.3.1. „სამმაგი იურისდიქციის“ ცნება

დღეს ევროპაში არსებობს ადამიანის უფლებათა სამართლის **სამი სხვადასხვა წყარო** – ერთი ეროვნული და ორი საერთაშორისო. კერძოდ:

- 1) ეროვნული სამართალი;
- 2) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართალი;
- 3) ევროპის კავშირის სამართალი (EU Law) და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (ECJ) პრეცედენტული სამართალი.

შესაბამისად არსებობს **სამი იურისდიქცია**:

- 1) ეროვნული სასამართლოებისა;
- 2) სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსი (ECtHR);
- 3) მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსი (ECJ)¹ ლუქსემბურგში.

იმის გამო, რომ ევროპაში ვირტუალურად ყველა საჯარო ინსტიტუციის თითქმის ყველა აქტი შეიძლება გადაისინჯოს ადამიანის ძირითად უფლებებთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით, ბუნებრივად წარმოიშობა სამართლებრივი წყაროებისა და შესაბამისი იურისდიქციების კოორდინაციის საკითხი.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე **ლუციუს ვილდჰაბერი** აღნიშნავს, მთავარი სირთულე ის არის, რომ ეს სისტემები კი არ თანაარსებობენ (*coexist*), არამედ ნაწილობრივ ფარავენ (*overlap*) ერთმანეთს. ვითარება არ არის იმდგვარი, რომ შესაბამისი იურისდიქციის სასამართლომ მხოლოდ „თავისი წყარო“ გამოიყენოს (ანუ, მხოლოდ თავისი სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებული უფლებები). პირიქით, უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვა წყაროების კომბინაციაა აუცილებელი. ეს განსაკუთრებით ცხადია ეროვნულ სასამართლოებთან მიმართებაში. ისეთ საქმეებში, რომლებშიც ჩართულია ევროპის კავშირის სამართალი (*EU Law*), მათ მხედველობაში უნდა მიიღონ სამი წყარო – ეროვნული სამართალი, ევროპული კონვენცია და ევროპის კავშირის სამართალი.

თავისთავად მრავლისმეტყველია ის გარემოება, რომ ევროპის კავშირის სამართალში ეროვნულ სასამართლოებს ეწოდებათ „ორდინარული იურისდიქციის გაერთიანების სასამართლოები“ (*community Courts of Ordinary Jurisdiction*). **ვილდჰაბერი** სამართლიანად აღნიშნავს, რომ ასეთივე წარმატებით მათ შეიძლება „ორდინარული იურისდიქციის კონვენციის სასამართლოები“ (*“Convention Courts of Ordinary Jurisdiction“*) ეწოდოთ.²

¹ „მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო“ საერთო სახელწოდებაა „ევროპის გაერთიანებათა მართლმსაჯულების სასამართლოსი“ (*Court of Justice of the European Communities*). იგი დაარსდა პარიზის ხელშეკრულებით 1951 წელს როგორც „The Court of Justice of the Coal and Steel Community“. დღევანდელი სახელწოდება და იურისდიქცია განისაზღვრა 1957 წელს. იგი წარმოადგენს გაერთიანებათა შიდა სასამართლოს. ეროვნულ სამართლებრივ სისტემებთან მიმართებაში მისი პოზიცია დაახლოებით ისეთივეა, როგორც მთავარი ფედერალური სასამართლოსი ფედერალურ სახელმწიფოში. იგი შეიძლება შევადაროთ უფრო საკონსტიტუციო ან ადმინისტრაციულ სასამართლოს, ვიდრე საერთო იურისდიქციის სასამართლოებს. მისი იურისდიქცია დადგენილია და გამოძინარეობს მხოლოდ გაერთიანების ხელშეკრულებიდან. მას აქვს ექსკლუზიური იურისდიქცია წევრ სახელმწიფოებს შორის ყველა დავაზე, რომლებიც შეეხება ხელშეკრულებების დებულებათა გამოყენებას და აგრეთვე ყველა დავაზე, რომლებიც დაკავშირებულია გაერთიანების მიზნებთან და ამოცანებთან საზოგადოდ. იგი გამოიყენებს პროცედურულ წესებს, რომლებიც მის მიერვეა დადგენილი. *The Oxford Companion to Law by David M. Walker*, 1980. P.437-438. იხ. აგრეთვე: **G. Berg**, *Judicial Control of the European Communities*, **D.Valentine**, *The Court of Justice of the European Communities*. **ლბრ კტჯეფვპლბ**, *ევროკავშირი*, თბილისი, 2002. *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი*, ლექსიკონი-ცნობარი, პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ალექსიძე**, თბილისი, 2003.

² *The Coordination of the Protection of Fundamental Rights*; Address by **Luzius Wildhaber**, Geneva, 8 September, 2005.

ერთმანეთის გადაძვარი ასეთი სამი სამართლებრივი სისტემა წარმოშობს აუცილებლობას, ამ სისტემათა ურთიერთქმედება გააზრებულ იქნას ორი თვალთახედვით, კერძოდ – ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანობისა და სამართლებრივი გარკვეულობის თვალთახედვით.

ცხადია, თითოეულ სამართლებრივ სისტემას შეუძლია გააჩნდეს თავისი უფლებები და მათი დაცულობის გარკვეული სტანდარტი, რომელიც ადაპტირებულია შესაბამისი სახელმწიფოს ან შესაბამისი სისტემის სფეროში; მაგრამ თანაბრადვე მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს შეთანხმებული და თანმიმდევრული მიდგომა იმ უფლებებთან მიმართებაში, რომლებიც საერთოა ამ სამართლებრივი სისტემებისათვის. ასეთი საერთო უფლებები კი ისინია, რომლებიც ევროპული კონვენციით არის დადგენილი. სწორედ ისინი ქმნიან „*ius commune*“-ს³ ადამიანის უფლებებისა მთელს ევროპაში. ევროპული კონვენციით გაცხადებული უფლებები გათვალისწინებულია ხელშემკვრელი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემებით, ცხადია, მათ შორის იმ სახელმწიფოთა სისტემებით, რომლებიც ევროპის კავშირში არიან გაერთიანებულნი. იმავდროულად, ევროპის კავშირის სამართალი ასევე გულისხმობს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. ეს კონტექსტი აშკარას ხდის სამართლებრივი გარკვეულობის საჭიროებას როგორც კომპეტენციათა გამიჯვნის, ისე მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.

საქმე ისაა, რომ ბევრი ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც უწევს მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს თავისი ფუნქციების განხორციელებისას (სახელმწიფოთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შეფასება, გაერთიანების ინსტიტუციების მიერ განხორციელებული აქტების კონტროლი, ევროპის კავშირის კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საკითხები და სხვა), უშუალოდაა დაკავშირებული ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევასთან და, შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან (რომლის ამოცანაც გაერთიანების სამართლის სწორი ინტერპრეტაციისა და გამოყენების უზრუნველყოფაა) რეაქციას მოითხოვს. მეორე მხრივ, ზოგჯერ სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრებულია სახელმწიფოთა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ეყრდნობა გაერთიანების სამართლის გამოყენებას. ზოგჯერ კი საჩივრები უშუალოდ მიმართულია ევროპული გაერთიანებისა და მათი ორგანოების წინააღმდეგ.

შესაბამისად წამოიჭრება ამ ორი ევროპული სასამართლოს იურისდიქციის საკითხი ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში. კერძოდ:

– შეუძლია თუ არა, პრინციპულად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განიხილოს საჩივრები ევროპულ გაერთიანებათა და მათ ორგანოთა წინააღმდეგ, ანდა იმსჯელოს გაერთიანების სამართლის შესაბამისად განხორციელებულ ამა თუ იმ ღონისძიებაზე ადამიანის უფლებათა დაცულობის


³ „*ius commune*“ (ლათ.) – საერთო სამართალი, სამართალი ყველასათვის.

თვალსაზრისით; თუ პასუხი დადებითია, მაშინ გასარკვევია, რა ფარგლებში შეიძლება ეს მოხდეს;

– შეუძლია თუ არა მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს, როდესაც იგი თავისი იურისდიქციის ფარგლებში აფასებს სახელმწიფოს ამა თუ იმ მოქმედებას გაერთიანების სამართალთან შესაბამისობის კუთხით, იმსჯელოს იმაზეც, წარმოადგენდა თუ არა იგი ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევას.

ცხადია, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვს კარგად გააზრებას, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპის კავშირის სამართალი ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში, და მეორე მხრივ, ეს უკანასკნელი – ეროვნულ სამართლებრივ სისტემასთან.

ამრიგად, ზემოთ მითითებული სამი სამართლებრივი სისტემის (შესაბამისი წყაროებითა და იურისდიქციით) ვირტუალურ სამკუთხედში გაცილებით მეტი სამართლებრივი გარკვეულობა არსებობს მხოლოდ ერთ წყვილს – ევროპულ კონვენციასა და ეროვნულ სისტემებს შორის (რამდენადაც კონვენციით სახელმწიფოთა მოვალეობები და პასუხისმგებლობა ამ აქტში გაცხადებულ უფლებებთან მიმართებაში მკაფიოდაა გადაწყვეტილი), ვიდრე დანარჩენ ორ შემთხვევაში.



11.3.2. ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში ევროპის კავშირის სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ურთიერთმიმართება.

ევროპის კავშირის სამართალი გულისხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გაცხადებული ძირითადი უფლებების დაცვას. ევროპის კავშირმა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციამ, აიღო ვალდებულება, დაეცვა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებები:

ა) ევროპის კავშირის ხელშეკრულების მუხლში E (მე-2 ნაწილი) მითითებულია: „კავშირი დაიცავს ძირითად უფლებებს, რომლებიც დადგენილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით, რამდენადაც იგი გამომდინარეობს წევრი სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური პრინციპებიდან“. ამავე მუხლით ძირითად უფლებათა დაცვა გამოცხადებულია გაერთიანების სამართლის ძირითად პრინციპად.

ბ) 2000 წელს მიღებულ იქნა ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტია, რითაც კავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აღიარებდა ევროპული კონვენციით გარანტირებულ ძირითად უფლებებს. უფრო მეტიც, ქარტიის 52-ე მუხლმა დაადგინა, რომ რამდენადაც ქარტია შეიცავდა კონვენციით დადგენილ უფლებებს, მათი შინაარსი და ფარგლები იქნებოდა იგივე, რაც კონვენციით იყო დადგენილი.

მიჩნეულია, რომ ამ და სხვა ღონისძიებებით, ფაქტობრივად, განხორციელდა ევროპული კონვენციის ინკორპორაცია გაერთიანების სამართალში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განიხილება, როგორც გაერთიანების პირველადი სამართლის (*primary law of community*)⁴ ნაწილი, ხოლო მისი დაცვა – გაერთიანების აქტების კანონიერების წინაპირობად.⁵

11.3.3. ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში ევროპის კავშირისა და ევროპული სამართლებრივი სისტემების ურთიერთმიმართება

დავიწყოთ იმით, რომ ასევე აღიარებულია ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში ამ ორი სამართლებრივი სისტემის ეკვივალენტურობის პრეზუმფცია, რომელიც ობიექტურ საფუძველს ემყარება, ვინაიდან ორივე მათგანი ორიენტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე.

⁴ primary law (of community) – იგულისხმება მასტრიხტის, ამსტერდამისა და ნიცის ჩარჩო-ხელშეკრულებანი.

⁵ ECJ; Opinion 2/94 1996 ECR. §§34-36.

მაგრამ, იმავდროულად, აღიარებულია, რომ სრული ეკვივალენტურობა არ არის და არც შეიძლება იყოს, რამდენადაც ეროვნული სამართლებრივი სისტემები ყოველთვის ითვალისწინებენ თავიანთ სამართლებრივ, კულტურულ და ისტორიულ ტრადიციებს. ამიტომ, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, როგორც წესი, მხოლოდ ფუნდამენტურ საფუძველს ქმნიან, რომელსაც შემდეგ ეროვნული სისტემები არგებენ თავიანთ ტრადიციებს და ახდენენ მის დეტალიზაციას. ასეთივე არასრულია რელევანტურობის ხარისხი ევროპულ კონვენციასა და ეროვნულ სისტემებს შორის. მაგრამ ამ კონტექსტში ეს იმდენად აქტუალური არ არის, როგორც ზემორე კონტექსტში, რამდენადაც ევროპულ კონვენციასთან მიმართებაში ძირითად უფლებათა ეკვივალენტური დაცვის, შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის საკითხები კონვენციით არის დარეგულირებული. სახელმწიფოებს ნაკისრი აქვთ უფლებათა დაცვის ვალდებულება და ექვემდებარებიან პასუხისმგებლობას მისი დარღვევისათვის.

მაგრამ, ევროპის კავშირის სამართალთან მიმართებაში სამართლებრივი გარკვეულობის ხარისხი მაღალი არ არის. ამიტომ „ეკვივალენტურობის“ ხარისხის მნიშვნელობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კონტექსტში გამოიყენება შესაბამისი პრეზუმფცია და რა გავლენას ახდენს იგი უფლებრივი საკითხების გადაწყვეტაზე.

საკითხმა იმის შესახებ, უნდა მიიღონ თუ არა ევროპის კავშირის წევრმა ქვეყნებმა მხედველობაში კავშირის სამართლით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები, თავიდანვე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრობის ფაქტიდან და კიდევ იმ გარემოებიდან, რომ მათი ქმედება ექვემდებარება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მხრიდან გადასინჯვას, თავისთავად გამომდინარეობდა ზემოაღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხი. მაგრამ ამ საკითხზე ორი სხვადასხვაგვარი მიდგომის გამომხატველი შეხედულებები გამოითქვა:

პირველი მიდგომის მიხედვით, კავშირის წევრი ქვეყნები უნდა დაემორჩილონ კავშირის სამართლებრივ სისტემას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რათა კავშირის წევრი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე რეალურად სარგებლობდეს უფლებებით არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ კავშირის ყველა ქვეყანაში (ეს გახლავთ აღიარებული მიდგომა; სამმაგი იურისდიქციის პრობლემის წარმოშობაც სწორედ მას უკავშირდება). ეს მიდგომა მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გენერალურმა ადვოკატმა⁶ **ჯაკობსმა** 1993 წელს ერთ-ერთ საქმეზე (*Konstantinides – 296*) გამოსვლისას:

⁶ ევროპის გაერთიანებათა მართლმსაჯულების სასამართლოში არსებობს რვა გენერალური ადვოკატი, მათ ისეთივე კვალიფიკაცია აქვთ, როგორც მოსამართლეებს; ევალებათ სრული მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა. ღია სასამართლო პროცესზე ისინი საჯაროდ გამოთქვამენ მოსაზრებებს საქმის შესახებ და ამზადებენ მოხსენებას, რაც მიზნად ისახავს სასამართლოს დახმარებას და იმის უზრუნველყოფას, რომ ხელშეკრულებათა ინტერპრეტაციისა და გამოყენებისას სამართალი დაცულია. ზოგიერთ შემთხვევაში გენერალური ადვოკატი მოქმედებს, როგორც პირველი

„როდესაც გაერთიანების მოქალაქე ერთი ქვეყნიდან მიდის მეორეში როგორც მუშა ან თვითდასაქმებული (*selfemployed*), ხელშეკრულების 48-ე და 52-ე და 45-ე მუხლებით იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო იმ შესაძლებლობით, რომ გააგრძელოს თავისი ბიზნესი ან პროფესიული საქმიანობა, არამედ უნდა სარგებლობდეს იმავე საცხოვრებელი თუ სამუშაო პირობებით, როგორც სარგებლობს მასპინძელი ქვეყნის მოქალაქე. ამავე დროს ის უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმით, რომ მას მოეპყრობიან ძირითადი ღირებულებების საერთო კოდექსის შესაბამისად, განსაკუთრებით კი იმ ღირებულებებისა, რომლებიც ევროპული კონვენციით არის დადგენილი. სხვა სიტყვებით, იგი უნდა იყოს „*civis europeus sum*“⁷ და შეიძინოს სტატუსი იმისათვის, რომ შეეწინააღმდეგოს მისი ძირითადი უფლებების ნებისმიერ დარღვევას.“⁸

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **გეორგ რესი** აღნიშნავს, მართალია, ჯაკობსმა ევროპელი მოქალაქის სტატუსი ჩამოაყალიბა, რაც გააკეთა კიდევაც **მაასტრიხტის ხელშეკრულებამ**⁹, მაგრამ ნიშანდობლივი სწორედ ის არის, რომ იგი ძირითადად დაეყრდნო გაერთიანების სამართალთან კავშირს, როგორც წინაპირობას უფლებებით რეალური სარგებლობისა.¹⁰

იმავე 1993 წელს გენერალურმა ადვოკატმა **გულმანმა** გამოთქვა **მეორე მიდგომის** გამომხატველი მოსაზრება. კერძოდ, მან განაცხადა, რომ არ არსებობდა არავითარი აუცილებლობა იმისა, წევრ ქვეყნებს დაეცვათ ის ძირითადი უფლებები, რომლებსაც გაერთიანების სამართლებრივი სისტემა აღგენდა. მისი აზრით, არ არსებობდა არავითარი საფუძველი იმაში ეჭვის შესატანად, რომ ეროვნულ სამართლებრივ სისტემებს არ შეეძლოთ ამ ამოცანის ადეკვატურად გადაჭრა. გაერთიანების ყველა ქვეყანა სამართლის უზენაესობაზე დამყარებული სახელმწიფო იყო და ამდენად ისინი ვალდებული იყვნენ დაეცვათ ის უფლებები, რომლებიც ევროპული კონვენციით იყო გაცხადებული.¹¹

გეორგ რესი მართებულად მიიჩნევს, რომ აღნიშნული თვალსაზრისის გაზიარება იმის ტოლფასი იქნებოდა, მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოში სახელმწიფოთა ღონისძიებების შეფასება მომხდარიყო მხოლოდ საბაზრო

ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე. იგი გამოთქვამს შეხედულებას, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საქმე. მის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს და არ ექვემდებარება კომენტარს მხარეთა მხრიდან. მოწმეთა დაკითხვის დროს მისი მონაწილეობა სავალდებულოა.

⁷ *Civis Europeus Sum* – საერთო ევროპული მოქალაქეობა.

⁸ იხ. <http://www.jeanmonnetprogram.org/papers/97/97-06-IV.html>

⁹ Art 18-22, ex Art 8a-e ECT (იგულისხმება ევროპის კავშირის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იქნა 1992 წლის 7 თებერვალს მაასტრიხტში. ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს)

¹⁰ **Ress Georg**, *Media Law in the Context of the European Union and the European Convention on Human Rights*, 2000. გვ.1191.

¹¹ Case C – 2/92, Bostock, Opinion of **Advokate General Gulman**. 20.04.1993, 1994 ECR 995, §§33-4.

თავისუფლებების ჭრილში და არა იმავდროულად ძირითადი უფლებების ჭრილშიც, რომ სახელმწიფოს ნებისმიერი აქტი მიჩნეულიყო გაერთიანების სამართლის ფარგლებში (*within the scope of community law*). ეს კი ძალიან ამბიციურ განცხადებად უნდა ჩათვლილიყო, რადგან ამ ფარგლების დადგენა იოლი საქმე არ იყო.¹²

მართლაც, ობიექტურად გამართლებული პრეზუმფცია იმისა, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის კავშირის სამართალი ეკვივალენტურია ეროვნული სისტემებისა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის არგუმენტად, რომ თითქოს არ არსებობს საჭიროება ეროვნულმა სისტემებმა დაიცვან კავშირის სამართალით უზრუნველყოფილი უფლებები. ეს მნიშვნელოვნად დაასუსტებს უფლებათა დაცულობის გარანტიებს კავშირის სამართლის კონტექსტში და გაუმართლებელია, მით უფრო ადამიანის უფლებათა ქარტიის მიღების შემდეგ, რომლის 51-ე მუხლის მიხედვით, ქარტიის დებულებების ადრესატი, კავშირის ინსტიტუციებსა და ორგანოებთან ერთად, არიან აგრეთვე **წვერი სახელმწიფოები და ისინი გათვალისწინებულ უნდა იქნან კავშირის სამართლის გამოყენების დროს.**

კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი ზემოაღნიშნული დასკვნის სასარგებლოდ ის ფაქტია, რომ კავშირის სამართლის შიდა განხორციელებაზე სტრასბურგის სასამართლო არ ავრცელებს, ანდა ნაწილობრივ ავრცელებს თავის იურისდიქციას „ეკვივალენტური დაცვის“ იმავე პრეზუმფციაზე დაყრდნობით, რაც აშკარას ხდის ეროვნულ სახელმწიფოთა გადამწყვეტ როლს კავშირის სამართლის გამოყენებისას ძირითად უფლებათა უზრუნველყოფაში.

11.3.4. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიღგომა

მიღგომები განსხვავდება იმისდა მიხედვით, უშუალო ვის წინააღმდეგ არის მიმართული საჩივარი და რა მიმართებაშია იგი გაერთიანების სამართალთან და შესაბამის ღონისძიებებთან. კერძოდ, განასხვავებენ 2 კატეგორიის საჩივრებს:

ა) საჩივრები, ევროპული გაერთიანებებისა ან მათი წვერი ქვეყნების წინააღმდეგ კოლექტიურად;

ბ) საჩივრები ევროპული კონვენციის ხელშემკრელ ცალკეულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ მათ მიერ გაერთიანების სამართლისა თუ გადაწყვეტილებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ამასთან, „ბ“ კატეგორიის საჩივრებისადმი მიღგომაც განსხვავებულია იმისდა მიხედვით, გააჩნია თუ არა სახელმწიფოს გაერთიანების სამართლისა თუ

¹² Ress Georg, იქვე გვ.1192.

გადაწყვეტილების განხორციელების დროს მიხედულების (შეფასების) გარკვეული თავისუფლება.

ა) საჩივრები ევროპული გაერთიანებებისა ან მათი წევრი ქვეყნების წინააღმდეგ კოლექტიურად

საჩივრებს, რომლებიც მიმართულია ევროპული გაერთიანებებისა ან მათი ორგანოების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია მის გაუქმებამდე) ყოველთვის მიუღებლად აცხადებს *ratione personae*-ს მოთხოვნასთან შეუსაბამობის საფუძველით. ასეთი მიდგომის მართებულობა არავის გაუხდია სადავოდ; ვინაიდან ევროპული გაერთიანებანი არ არიან კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები, მათ წინააღმდეგ მიმართულ საჩივრებზე კონვენციის ორგანოების იურისდიქცია არ ვრცელდება.¹³ მაგრამ საკითხი იმის შესახებ, არიან თუ არა ევროპული გაერთიანებების წევრი სახელმწიფოები, შესაბამისად – ევროპის კავშირი (EU) კოლექტიურად პასუხისმგებელი გაერთიანებებისა და მისი ორგანოების ქმედებისათვის, არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი. თავისთავად ამ საკითხის წამოჭრა ლოგიკურ საფუძველს ემყარება: ევროპულ გაერთიანებათა ყველა წევრი სახელმწიფო ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა და ისინი კონვენციის 1-ლი მუხლით პასუხისმგებელი არიან კონვენციის ნაგულვები დარღვევისათვის, თუ იგი გამოწვეულია „მათი იურისდიქციის ფარგლებში“ განხორციელებული აქტების შედეგად. შესაბამისად, თუ გაზიარებული იქნება ის მოსაზრება, რომ ევროპულ გაერთიანებაში (ევროპის კავშირში) წევრი სახელმწიფოები თავიანთ იურისდიქციას ახორციელებენ კოლექტიურად, მაშინ აღმოჩნდება, რომ კონვენციის ორგანოების მხრიდან ასეთი საჩივრების მიუღებლად გამოცხადება *ratione personae*-ს წესთან შეუსაბამობის საფუძველით სწორი არ არის.

აღსანიშნავია, რომ ასეთი არგუმენტი ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის წინაშე იყო წამოყენებული ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც მომჩივანი (*French Union, the CFDT*) მიუთითებდა, რომ ევროპულ გაერთიანებათა საბჭომ მას არ მისცა წარმომადგენლობის უფლება საკონსულტაციო საბჭოში, რომელიც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების (*European Coal and Steel Community Treaty*) მე-18 მუხლით. მომჩივნის აზრით, საბჭოს გადაწყვეტილება საკუთრივ ევროპულ გაერთიანებებს და ევროპულ გაერთიანებათა წევრ სახელმწიფოებს ერთობლივად და ცალ-ცალკე აკისრებდა პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებათა

¹³ საჩივრები, რომელიც შეეხებოდა ევროპულ გაერთიანებებს: Dec. of 10.07.1978 #8030/77; DR 13, 231; Dec of 08.05.1985, *Dalfino vs Belgium and the European Communities*, №11055/84; საჩივრები, რომელიც შეეხებოდა ევროპულ პარლამენტს: Dec. of 05.10.1987, *Associazione spirituale per l'unificazione del mondo cristiano vs Italy* #11574/85 (unpubl).

ევროპული კონვენციის მე-11, მე-13 და მე-14 მუხლების ნაგულები დარღვევისათვის. კომისიამ მიიჩნია, რომ ამ საქმეზე მისი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა *ratione personae*-ს საფუძველით როგორც გაერთიანების, ისე წევრი სახელმწიფოების მიმართ.¹⁴

მაგრამ საქმეც ისაა, რომ კომისიის ეს გადაწყვეტილება დაემყარა იმ არგუმენტს, რომ იმ დროისათვის საფრანგეთს ჯერ არ ჰქონდა აღიარებული ინდივიდუალური პეტიციის უფლება. შესაბამისად, კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოები მართლაც ვერ იქნებოდნენ კოლექტიურად პასუხისმგებელი კონვენციის წინაშე იმ სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებისათვის, რომელზეც კონვენციის ორგანოების იურისდიქცია არ ვრცელდებოდა. ამგვარად, პრინციპულად, კომისიამ არ გამორიცხა შესაძლებლობა იმისა, რომ ევროპის კავშირის წევრი ქვეყნები კოლექტიურად პასუხისმგებელი ყოფილიყვნენ კონვენციის სავარაუდო დარღვევებისათვის.

1987 წელს კონვენციის ორგანოებში შეტანილი იქნა სხვა საჩივარი ევროპული გაერთიანებებისა და მისი წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ. მომჩივანი, რომელიც იყო ევროპული პარლამენტის სამსახურის თანამშრომელი, ასაჩივრებდა სამსახურიდან მის გათავისუფლებას და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც უარყო მისი აპელაცია, როგორც ხანდაზმული (*time barred*). ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ საჩივარი არ მიიღო განსახილველად *ratione personae*-ს საფუძველით, რამდენადაც იგი მიმართული იყო ევროპული გაერთიანებების წინააღმდეგ. მაგრამ კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხი კომისიამ ღიად დატოვა. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ასეთი რამ დაშვებულიც რომ ყოფილიყო, საჩივრის მიღება მაინც შეუძლებელი გახდებოდა, რამდენადაც მომჩივანს ამოწურული არ ჰქონდა ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი, რომელიც მას გაერთიანების სამართლის საფუძველზე გააჩნდა (კომისიამ გამოიყენა არგუმენტი, რომ მან თავად აღუკვეთა თავის თავს ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი იმით, რომ ვადის დარღვევით შეიტანა საჩივარი ლუქსემბურგის სასამართლოში).¹⁵

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შეხედულებანი ევროპულ გაერთიანებათა და მისი წევრი ქვეყნების კოლექტიური პასუხისმგებლობის აღიარების აუცილებლობის შესახებ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო დამკვიდრდა. არაერთხელ აღინიშნა, რომ ასეთი საჩივრების მიუღებლად გამოცხადება კონვენციის ორგანოების მხრიდან *ratione personae*-ს მოთხოვნასთან შეუსაბამობის საფუძველით მართებული არ არის.¹⁶

¹⁴ Dec. of 10.07.1978, N8030/77. DR 13, 231.

¹⁵ Dec. of 19.01.1989. #13539188, *Dufau vs European Communities and the collectivity of their member States*.

¹⁶ იხ. **Wolfgang Peukert**, *The Importance of the European Convention on Human Rights for the European Union*. კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective*, 2000. გვ.1119. **A.Bultrini**, *La questione dell' adesionale*

გამოთქმულია იმგვარი შეხედულებაც, რომ ევროპის კავშირის, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის პასუხისმგებლობაც კი შეიძლება არ გამოირიცხოს ე.წ. ფუნქციური მემკვიდრეობის საფუძველზე. მაგალითად, გეორგ რესის აზრით, ევროპულ გაერთიანებასა და მის ინსტიტუციებს კონვენციის წინაშე პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოემშვათ არაპირდაპირ – „ფუნქციური მემკვიდრეობით“ (მონაცვლეობით) – (*functional succession*). ასეთი შეხედულება ემყარება შემდეგ მოსაზრებას: ევროპული კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ევროპის კავშირში გაერთიანებით, ამ საერთაშორისო ორგანიზაციას გადასცეს გარკვეული უფლებამოსილებანი. ისინი პასუხისმგებელი არიან უფლებამოსილების გადაცემაზე. ამიტომ ევროპის კავშირი, წარმოადგენს მემკვიდრეს იმ ვალდებულებებისა, რომლებიც მის წევრებს დაკისრებული აქვთ კონვენციის საფუძველზე.¹⁷

ბ) საჩივრები კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მიერ გაერთიანების სამართლის ან გადაწყვეტილებების განხორციელებასთან დაკავშირებით

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტრასბურგის სასამართლოში ზოგჯერ გასაჩივრებელია გაერთიანების სამართლის შიდა განხორციელება, ანუ სახელმწიფოს ესა თუ ის ღონისძიება, რომელიც ემყარება გაერთიანების სამართალს ან მისგან უშუალოდ გამომდინარეობს. სწორედ აქ ისმება საკითხი, პასუხისმგებელია თუ არა სახელმწიფო კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევისათვის, რომელიც შედეგად მოჰყვა გაერთიანების სამართლის გამოყენებას. (თავისთავად წამოიჭრება იმის გარკვევის აუცილებლობაც, თუ რამდენად ადეკვატური იყო სახელმწიფოს მოქმედება გაერთიანების სამართალთან მიმართებაში და გააჩნია თუ არა სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქცია იმისა, რომ შეაფასოს „გაერთიანების სამართლის“ გამოყენების შესაბამისობა ევროპულ კონვენციასთან).

თავიდანვე უნდა აღინიშნოს ერთი რამ. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოს მიდგომა ამ სფეროში არ იყო ყოველთვის ერთგვაროვანი. იგი განიცდიდა ცვლადებადობას. ამჟამად შეინიშნება ერთგვარი ტენდენცია „გამონაკლისების“ დაშვებისა და იურისდიქციის გაფართოებისა, ოღონდ – განსაზღვრული მიმართულებით და განსაზღვრულ ფარგლებში, ყოველი ცალკეული კონკრეტული საქმის მიხედვით (*case by case*).

della Comunità Europea alla CEDU di fronte alla Corte di Giustizia, Pivista di diritto internazionale privato e processuale, 1997. გვ.302-320. **L.Weitzel** *Droits de l'Homme et Droits Communautaire*, კრებულში *Présence du Droit Public et des Droits de l'Homme*, Mélanges offerts à **Jasques Velu**; Tome troisième, 1992, გვ.1391-1399.

¹⁷ **Ress Georg**. *Media Law in the context of European Union and the European Convention on Human Rights*, art. *Studies in memory of Rolv Ryssdal. Protecting Human Right: The European Perspective*, Carl Keymanns Verlag KG. Köln. Berlin. Bonn. München, 2000. გვ.1182.

დავიწყოთ იქიდან, რომ თავიდანვე სავსებით სამართლიანად აღიარებული იქნა შემდეგი პრინციპი: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, სახელმწიფოებს აკისრებს განსაზღვრულ ვალდებულებებს, რომლისაგან ისინი ვერ გათავისუფლდებიან საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლით და მისთვის უფლებამოსილების გადაცემით, თუ ეს უკანასკნელი საქმიანობს კონვენციის დარღვევით.¹⁸

მაგრამ საქმეც ისაა, ჰქონდათ თუ არა კონვენციის ორგანოებს უფლებამოსილება შეემოწმებინათ, რამდენად შეესაბამებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის სამართალი და ცალკეული გადაწყვეტილებანი ევროპულ კონვენციას, ხოლო თუ ასეთი შემოწმების უფლებამოსილებას ევროპული სასამართლო მიიკუთვნებდა, ხომ არ იქნებოდა ეს იურიდიქციის გავრცელება არასათანადო სუბიექტზე.

ამიტომ ამ საკითხს (ნაწილობრივ) **იმ პრეზუმფციის** მეშვეობით მოევლო, რომ **გაერთიანების სამართალი (ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში) ეკვივალენტურია ევროპული კონვენციისა.** ამ პრეზუმფციიდან გამომდინარეობს **სხვა პრეზუმფცია**, კერძოდ – იმის მიჩნევა, რომ **სახელმწიფოს არ დაურღვევია კონვენცია**, თუკი მას არაფერი გაუკეთებია იმაზე მეტი, გარდა იმისა, რომ **შეესრულებინა სამართლებრივი ვალდებულება**, რაც ამ ორგანიზაციაში მისი წევრობიდან გამომდინარეობდა. შესაბამისად, მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოება: კონვენციის ხელშემკვრელი მხარის ესა თუ ის გასაჩივრებული ღონისძიება, რომელიც გაერთიანების სამართლის საფუძველზე განხორციელდა, **ზუსტად განსაზღვრულ საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენდა** თუ გაერთიანების სამართლის გამოყენებისას სახელმწიფო **საკუთარი მიხედულებით მოქმედებდა.** ცხადია, რომ პირველი რიგის შემთხვევებში, მეტი ლოგიკური და იურიდიული საფუძველი არსებობს იმისა, რომ საჩივარი კონვენციის ორგანოებში მიუღებლად იქნეს ცნობილი, ვიდრე მეორე რიგის შემთხვევებში. თუმცა, ის, თუ საჩივრის მიუღებლად ცნობის კონვენციით გათვალისწინებული რომელი საფუძველი უნდა იქნას გამოყენებული – *ratione materiae*-ს ან *ratione personae*-ს წესების დაუცველობისა თუ „აშკარად უსაფუძვლობისა“, ეს ცალკე თემაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონვენციის ორგანოების პრაქტიკა როგორც საკუთრივ საჩივრის მისაღებობის საკითხში, ისე მიუღებლობის საფუძველების განსაზღვრაში ერთგვაროვანი არ იყო.

ამ პრობლემის მკვლევარები ხშირად მიუთითებენ საქმეს *M & Co. KG. v. Germany*,¹⁹ რომელიც ისეთ შემთხვევას შეეხება, როდესაც სახელმწიფო გაერთიანების სამართლის გამოყენებისას მოქმედებდა საკუთარი მიხედულების

¹⁸ *M. & Co. KG v. Germany*, decision of European Commission of HR of 9 February 1990. DR. 64. გვ.168.

¹⁹ *M & Co. KG. v. Germany*, decision of European Commission of HR of 9 February 1990. DR. 64.

(შეფასების) თავისუფლების გარეშე. საქმე შეეხებოდა კომპანიის საჩივარს, რომელსაც დაეკისრა დიდი ჯარიმა გაერთიანების „უნდობლობის პროცედურის“ (*Community anti-trust proceeding*) შედეგად. კომპანიამ მიმართა მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს (ECJ) და მიუთითა, რომ პროცედურის დროს, რომლის შედეგადაც მას დაეკისრა ჯარიმის გადახდა, დაირღვა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული „საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“. ლუქსემბურგის სასამართლომ მისი საჩივარი უარყო როგორც „აშკარად უსაფუძვლო“. გერმანიის ხელისუფლებამ გამოსცა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ბრძანება. კომპანიამ საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას და მიუთითა, რომ გაერთიანებათა კომისია, რომელმაც მას ჯარიმა დააკისრა და გერმანიის სახელმწიფო, რომელმაც გამოსცა ლუქსემბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ბრძანება, პასუხისმგებელი იყვნენ კონვენციის დარღვევისათვის.

კომისიამ პირველ რიგში გადაწყვიტა, რომ ევროპული გაერთიანებების სამართალსა და გადაწყვეტილებებზე, რამდენადაც ისინი არ იყვნენ კონვენციის ხელშემკვერი მხარეები, კომისია იურისდიქციას ვერ გაავრცელებდა *ratione personae*-ს საფუძველით. შემდეგ კომისიამ იმსჯელა იმაზე, პასუხისმგებელი იყო თუ არა გერმანიის სახელმწიფო ისეთი გადაწყვეტილების აღსრულების ბრძანების გამოცემისათვის, რომელიც სავარაუდოდ არღვევდა კონვენციას. კომისია დაეყრდნო ეკვივალენტური დაცვის პრეზუმფციას და მიუთითა, რომ ევროპის კავშირი არა მარტო აღიარებდა ძირითად უფლებებს, არამედ უზრუნველყოფდა მათ დაცულობაზე კონტროლს. მან მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ არა მარტო განიხილა კომპანიის საჩივარი, არამედ მიუთითა კიდევაც, რომ „საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“ გაერთიანების სამართლის ძირითად პრინციპს წარმოადგენდა და საჩივარი მხოლოდ უსაფუძვლობის გამო უარყო. კომისიამ დაასკვნა, რომ ასეთ ვითარებაში, გერმანიის სახელმწიფოს არ მოეთხოვებოდა ლუქსემბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ ბრძანების გამოცემამდე დარწმუნებულიყო იმაში, რომ „უნდობლობის პროცედურის“ დროს, რომელსაც შედეგად ჯარიმის დაკისრება მოჰყვა, კომპანიის სამართლიანი განხილვის უფლება დარღვეული არ იყო. ამ ნაწილში კომისიამ საჩივარი „საგნობრივი შეუთავსებადობის“ გამო (*ratione materiae*) უარყო. ასეთი დასაბუთება, წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, ვინაიდან კომისიამ იმავდროულად ისიც მიუთითა, რომ კონვენციის ხელშემკვერი სახელმწიფოები არ თავისუფლდებოდნენ კონვენციის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისაგან გაერთიანებისათვის უფლებამოსილებების გადაცემის გზით. ამიტომ კომისიის ამ გადაწყვეტილებამ კრიტიკა გამოიწვია, მათ შორის, თვით ამ კომისიის წევრთა მხრიდანაც. მათი აზრით, *ratione materiae*-ს წესის დაუცველობის საფუძველზე საჩივრის მიუღებლობა, ფაქტობრივად, ხელშემკვერი სახელმწიფოებისათვის

პასუხისმგებლობის მოხსნას ნიშნავდა, რაც გამართლებულად ვერ ჩაითვლებოდა.²⁰ საგულისხმოა, რომ ევროპული სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა **როლფ რისდალმაც** 1995 წელს ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ეძღვნებოდა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს როლის განსაზღვრის საკითხებს, ხაზგასმით განაცხადა, რომ ვერ გაიზიარებდა იმ მოსაზრებას, თითქოს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები თავისუფლდებოდნენ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისაგან გაერთიანებისათვის თავიანთი ზოგიერთი უფლებამოსილების გადაცემით.²¹

ეს პრინციპი მოგვიანებით (1999წ.) ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა *Mathey*-ს საქმეში. მან აღნიშნა, რომ კონვენცია არ გამორიცხავდა უფლებამოსილების გადაცემას საერთაშორისო ორგანიზაციისათვის, როდესაც უზრუნველყოფილი იყო, რომ კონვენციის უფლებების დაცვა გრძელდებოდა (*rights continue to be secured*); მაგრამ იქვე დააზუსტა, რომ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა ასეთი გადაცემის შემდეგაც გრძელდებოდა.²²

„აშკარად უსაფუძვლობის“ მოტივი ევროპულმა სასამართლომ პირველად გამოიყენა საქმეებში *Waite and Kennedy v. Germany* და *Beer and Regan v. Germany* (18.02.1999) ევროპულმა სასამართლომ „ეკვივალენტური დაცვის“ ცნება შეცვალა უფრო ფართო შინაარსის მქონე ცნებით – „დაცვის გონივრული ალტერნატიული საშუალებები“ და საჩივარი არ მიიღო „აშკარა უსაფუძვლობის“ გამო სწორედ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ არსებობდა „დაცვის გონივრული ალტერნატიული“ საშუალებანი.“ მას არ დაუყენებია ეჭვქვეშ კონვენციის გამოყენებადობის საკითხი, მაგრამ უარყო კონვენციის დარღვევა (ასეთივე იყო ამავე საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებაც).²³

ევროპული სასამართლოს მიერ საჩივრის მიუღებლად ცნობის დასაბუთება „აშკარად უსაფუძვლობით“ უფრო გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ. ნათელია, რომ როდესაც საჩივრის მიუღებლობა არსებითად ემყარება პრეზუმფციას „ეკვივალენტური დაცვის“ ან თუნდაც „დაცვის ალტერნატიული გონივრული საშუალებების“ არსებობის შესახებ, ლოგიკურად, ამას „აშკარა უსაფუძვლობის“ კვალიფიკაცია უფრო შეესატყვისება, ვიდრე „საგნობრივი შეუთავსებადობისა“. „საგნობრივი შეუთავსებადობა“ არ შეიძლება დასაბუთდეს მხოლოდ იმით, რომ არსებობს ალტერნატიული დაცვის სხვა გონივრული საშუალებანი.

²⁰ იხ. **Ch. Rozakis**, *La position des organes de la CEDH à l'égard des aspects de l'ordre Juridique communicataire; La protection des droits de l'homme dans le cadre européen*, L'adhésion des Communautés européennes à la CEDH. 1991. გვ.179,289-297. **A.Weitzel**, *Bulletin des Droits de l'Homme*, #7 Juillet, 1997, გვ.281. **Wolfgang Peukert**, მითითებული ნაშრომი, გვ.1114.

²¹ Round Table on the developing role of the European Court of Justice, Brussels, 12.05.95. CE, doc.Cour (95).

²² Judgment of 18 February 1999. §32.

²³ *R.Waite and T.Kennedy v. Germany*. 18.02.99. §68. *K.Beer and Ph.Regan v. Germany*, N28934/95

უკანასკნელ ხანებში ჩაისახა ტენდენცია, რომ „გონივრული ალტერნატიული დაცვის“ არსებობის პრეზუმფცია გათვალისწინებულ იქნას პრინციპულად, ანუ, მხოლოდ იმაში დარწმუნების შემდეგ, რომ ასეთი „გონივრული და ალტერნატიული საშუალებანი“ მართლაც უზრუნველყოფენ ეფექტიან დაცვას.²⁴

ასე რომ, პრეზუმფცია ჯერ კიდევ მოქმედებს, მაგრამ დღევანდელი მიდგომების თანახმად, იგი აღარ განიხილება უცილობლად (*irrebutable*). მაგალითად, **ვილდჰაბერი** მიიჩნევს, რომ „გონივრული, ალტერნატიული დაცვის“ პრეზუმფცია შეიძლება უარყოფილ იქნას, თუ საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით მიჩნეული იქნება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების აშკარა დარღვევა. როგორც ის აღნიშნავს, ასეთ შემთხვევებში საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესები გადაიწონება კონვენციის როლით, როგორც „ევროპაში საჯარო წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტისა“ ადამიანის უფლებათა სფეროში და, სახელმწიფო იქნება კონვენციის საფუძველზე პასუხისმგებელი ყველა აქტისათვის, რომელიც მისი ზუსტად განსაზღვრული საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში არ ექცევა.²⁵

ამ მოსაზრებათა შესაბამისად, **საჩივრები გაერთიანების სამართლის ან გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელებულ სახელმწიფოთა ისეთი ღონისძიებების წინააღმდეგ, როდესაც სახელმწიფოები სარგებლობდნენ მიხედულების გარკვეული თავისუფლებით, პრინციპულად მისაღებად არის მიჩნეული.** აღიარებულია, რომ კონვენციის ხელშემკვრელი მხარე, რომელიც განახორციელებს გაერთიანების სამართალს ან გადაწყვეტილებებს, მაგრამ ეს არ წარმოადგენს მის მკაცრად განსაზღვრულ საერთაშორისო ვალდებულებას, მოქმედებს „თავისი იურიდიქციის ფარგლებში“ და პასუხისმგებელია კონვენციის შესაძლო დარღვევისათვის.

ასეთ საქმეებში, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, მთავარი სირთულეები იმის განსაზღვრას უკავშირდებოდა, თავსდებოდა თუ არა სახელმწიფოს შესაბამისი მოქმედება მისი „მკაცრად განსაზღვრული საერთაშორისო ვალდებულების ფარგლებში“ და, მართლაც იყო თუ არა კონვენციით გათვალისწინებული უფლებები ჩართული გაერთიანების სამართლის გამოყენების პროცესში.²⁶ საჩივრის მისაღებობის საკითხიც ამისდა მიხედვით წყდება. ასეთი საქმეები პრაქტიკაში ბევრი არ არის და ძირითად უკავშირდებოდა რამდენიმე უფლებას; კერძოდ – **თავისუფალი არჩევნების უფლებას** (წამოჭრილი იყო, მაგალითად, საკითხი, ექვემდებარება თუ არა სახელმწიფო კონვენციის წინაშე პასუხისმგებლობას არა მარტო ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს, არამედ ევროპული პარლამენტის არჩევნების დროს

²⁴ *Lenzing v. Germany*, appl. N39025/92.

²⁵ *The Coordination of the Protection of Fundamental Rights in Europe*, Adress by **Luzius Wildhaber**, Geneva, 8 September, 2005.

²⁶ Wolfgang Peukert, მითითებული ნაშრომი, გვ.1115.

დაშვებული დარღვევებისათვის);²⁷ გადაადგილების თავისუფლებას (წამოჭრილი იყო საკითხი, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან ევროპის კავშირის მოქალაქისა და ევროპული პარლამენტის წევრისათვის გაერთიანების სამართლით უზრუნველყოფილი უფლებები ევროპულ კონვენციით გარანტირებულ უფლებასთან),²⁸ საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას (მაგალითად, წამოჭრილი იყო საკითხი, არღვევს თუ არა კონვენციას ეროვნული სასამართლოების უარი, პირველადი გადაწყვეტილების მისაღებად საქმე გადაეცათ ლუქსემბურგის სასამართლოსათვის²⁹) და სხვა.

ორი ევროპული სასამართლოს ურთიერთობის ისტორიაში უთუოდ აღსანიშნავია *Bosphorus*-ის საქმე, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ საჩივრები იმ შედეგების გამო, რომლებიც მოჰყვა ლუქსემბურგის სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების (*preliminary ruling*) გამოყენების საფუძველზე მიღებული ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, სტრასბურგის სასამართლოში მისაღები იყო *ratione materiae*. სასამართლომ მოცემულ საქმეში მიიჩნია, რომ გაერთიანების სამართალი ეკვივალენტური იყო იმისა, რასაც კონვენცია გულისხმობდა. საქმე შეეხებოდა ირლანდიის ხელისუფლების მიერ თვითმფრინავის კონფისკაციას, რომელიც თურქეთის ავიაკომპანიას დაქირავებული ჰქონდა იუგოსლავური ავიაკომპანიისაგან. ირლანდიის ხელისუფლება მოქმედებდა იმ წესების შესაბამისად (*EC Council Regulation 990/93*), რომელიც თავის მხრივ ეყრდნობოდა გაეროს სანქციურ რეჟიმს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ. წინასწარი გადაწყვეტილების მიღებისას ლუქსემბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი კომპანიისათვის დამდგარი შედეგები დისპროპორციული იყო და შეუთავსებელი საკუთრების ძირითად უფლებასთან. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენცია მოცემულ საქმეში დარღვეული არ იყო და რომ ლუქსემბურგის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა მომჩივნის საკუთრების უფლება.³⁰

* * *

ამრიგად, დღესდღეობით ევროპული სასამართლოს მიდგომები ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ.

– დადასტურებულია პრინციპი, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები არ თავისუფლდებიან კონვენციის წინაშე ვალდებულებებისაგან

²⁷ Dec. of 10.05.1979. №8612/79. DR 15,259;

²⁸ Series A №314

²⁹ Dec. of 12.05.1993. №20631/92. *DIVAGSA. Co v. Spain*, DR 74, 274; de of 31.03.1943; *Jansen vs Netherlands*; dec. of 02.07.2990 *Brighina vs Germany* №15771/89.

³⁰ *Bosphorus, Hava, Yolari, Turizm, Ve, Tikaret anonim Çirketi v. Ireland*. appl. N45036/98, judgment of Grand Chamber of 30 June 2005.

ევროპის კავშირში გაერთიანებისა და მისთვის უფლებამოსილების გადაცემის გამო, თუ მათი მოქმედება გაერთიანების სამართლის გამოყენების პროცესში არღვევს კონვენციას;

– საჩივრები გაერთიანების სამართლისა და გადაწყვეტილებების განხორციელებასთან დაკავშირებით აღარ არის მიჩნეული მიუღებლად *ratione personae*-ს ან *ratione materiae*-ს წესებთან შეუთავსებლობის საფუძველით. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება „აშკარად უსაფუძვლობის“ მოტივი და ეს ეყრდნობა „ალტერნატიული დაცვის გონივრული საშუალებების“ არსებობის პრეზუმფციას;

– თავად ეს პრეზუმფციაც არ განიხილება უცილობლად, თუკი საქმის გარემოებები მეტყველებენ ძირითადი უფლებების აშკარა დარღვევაზე;

– ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, გაერთიანების სამართლისა თუ გადაწყვეტილებების განხორციელებისას სახელმწიფო მისი მკაცრად განსაზღვრული საერთაშორისო ვალდებულების ფარგლებში მოქმედებდა თუ გააჩნდა მიხედულების გარკვეული თავისუფლება;

– დადასტურებულია, აგრეთვე, იმ საჩივრების საგნობრივი შეთავსებლობა კონვენციასთან, რომელიც შეეხება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების შემდგომ აქტებს;

– საჩივრები უშუალოდ ევროპული გაერთიანებისა და მათი ორგანოების წინააღმდეგ არ მიიღება *ratione personae*-ს მოთხოვნასთან შეუსაბამობის საფუძველით;

– ევროპული გაერთიანებისა და მათი წევრი ქვეყნების კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხი კი ჯერჯერობით ღიად არის დატოვებული და მასზე მკვეთრი პოზიცია არ არსებობს.

ზემოაღნიშნულ პრობლემებზე სპეციალისტთა მიერ გამოთქმული საერთო შეხედულება ისაა, რომ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია პასუხისმგებელი და რომ ევროპული სასამართლო (და მანამდე ევროპული კომისია) თავს არიდებს მათზე ცხადი და გადამჭრელი პასუხების გაცემას. თუმცა, იმავდროულად აღიარებულია აშკარა ტენდენცია, რომ ყველა იმ საჩივრის მისაღებობის საკითხი, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეეხება ევროპულ გაერთიანებასა და ევროპის კავშირს, დაექვემდებარება იმის შეფასებას, თუ არსებითად რამდენად ეფექტიანად იცავს გაერთიანების სამართალი და პრაქტიკა შესაბამის უფლებას და, საკმარისი იქნება თუ არა იგი „აშკარად უსაფუძვლობის“ მოტივით საჩივრის მიუღებლობის შესახებ გადაწყვეტილების გასამართლებლად. თითქმის ერთსულოვანია აზრი, რომ ევროპის კავშირის წევრი ქვეყნები კოლექტიურად (რამდენადაც ყველანი კონვენციის ხელშემკვერელები არიან) თუ ცალკე (როდესაც სახელმწიფო ახორციელებს გაერთიანების ღონისძიებებს) პასუხისმგებელი არიან კონვენციის საფუძველზე. ხშირად მოშველიებულია კონვენციის, როგორც „ცოცხალი ინსტრუმენტისა“ და

მისი ეკოლუციური ინტერპრეტაციის აუცილებლობის არგუმენტიც თანამედროვე პირობებში უფლებათა რეალური და ქმედითი უზრუნველყოფის ამოცანის შესასრულებლად.

11.3.5. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (ECJ) მიღობა

წევრი სახელმწიფოს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, ისევე, როგორც გაერთიანების ამა თუ იმ გადაწყვეტილების ევროპის კავშირის სამართალთან შესაბამისობის შემოწმების პროცესში ლუქსემბურგის სასამართლო, უფრო ხშირად არ აკეთებს პირდაპირ დასკვნებს იმ საკითხზე, დარღვეულია თუ არა შესაბამისი ღონისძიებით ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები. როგორც **გეორგ რესი** აღნიშნავს, ამას გარკვეული გონივრული გამართლება მართლაც გააჩნია. ასეთი დასკვნის გამოსატანად მას მოუწევდა ევროპული კონვენციის ინტერპრეტაცია. შესაბამისად ვერ იქნებოდა გამორიცხული ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც პრინციპულად განსხვავებული შეიძლებოდა ყოფილიყო სტრასბურგის სასამართლოსეული ინტერპრეტაციისაგან. თუმცადა, მიაჩნია, რომ ეს გამოსავალი არ არის.³¹ საგულისხმოა, რომ ასეთი რისკის შესახებ ყურადღება გაამახვილა **როლფ რისდალმაც** ბრიუსელში მრგვალი მაგიდის შეხვედრაში მონაწილეობის დროს (1995).³²

თავისი პრაქტიკით ლუქსემბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მას არ გააჩნდა უფლებამოსილება შეემოწმებინა ევროპულ კონვენციასთან ისეთი ეროვნული წესების შესაბამისობა, რომელიც არ იმყოფებოდა გაერთიანების სამართლის ფარგლებში (*within the Community Law*). ხოლო მაშინ, როდესაც ეს წესები გაერთიანების სამართლის ფარგლებში იყო მოქცეული და საკითხი მას წინასწარი გადაწყვეტილებისათვის³³ გადაეცემოდა, ასეთ დროს, ცხადია, ეს წესები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებთან; მაგრამ ასეთი ინტერპრეტაცია, პირველ რიგში, ეროვნულ

³¹ **Ress Georg**, *Media Law in the context of the European Union and the European Convention on Human Rights*, 2000, გვ.1183-1184.

³² Round Table on the developing role of the European Court of Justice, Brussels, 12.05.95. doc. Cour (95), 261.

³³ „წინასწარი გადაწყვეტილების“ (*preliminary ruling*) უფლებამოსილება ამ სასამართლოს გააჩნია ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ინტერპრეტაციის, გაერთიანების ინსტიტუციების აქტების კანონიერების, აგრეთვე, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და საბჭოს მიერ დაფუძნებული ორგანოების სტატუსის ინტერპრეტაციის საკითხებზე. „წინასწარი გადაწყვეტილება“, რომელიც შეეხება მხოლოდ გაერთიანების სამართლის საკითხებს, სვალდებულოა ეროვნული სასამართლოსათვის, რომლებიც შემდეგ განიხილავენ საქმეს მასზე დაყრდნობით. *The Oxford Companion to Law* by **D.Walker**, 1980, გვ.982.

სასამართლოებს უნდა გაეკეთებინათ, ხოლო თუ საჭირო გახდებოდა, მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსაც.³⁴

მართალია, არის შემთხვევები, როდესაც ლუქსემბურგის სასამართლო თვითონ აკეთებს დასკვნებს სტრასბურგის პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში იგი არ განიხილავს საკითხს ფაქტებთან მიმართებაში და ეროვნული სასამართლოების მიხედულებას ანდობს იმის შეფასებას, თუ რა გავლენას მოახდენს შესაბამის ფაქტებთან მიმართებაში კონვენცია გაერთიანების სამართალთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ასეთი ორი განსხვავებული შემთხვევის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ *Carpenter*-ისა³⁵ და *Hacene Akrich*-ის³⁶ საქმეები. ორივე მათგანი შეეხებოდა ევროპის კავშირის მოქალაქეთა მეუღლეების მე-3 ქვეყნებში გაძევებას. პირველ საქმეში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა რა სტრასბურგის იურისპრუდენცია, დაადგინა, რომ ქ-ნი კარპენტერის გაძევება იქნებოდა დისპროპორციული ჩარევა და დაარღვევდა მისი ქმრის ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას კონვენციის მე-8 მუხლის გაგებით. მაგრამ მეორე მსგავს საქმეზე, მან არ შეაფასა თავად კონვენციის მე-8 მუხლის გავლენა ფაქტებზე და მხოლოდ ის მიუთითა, რომ წევრი ქვეყნებს გაერთიანების სამართალი ავალდებულებდა, მხედველობაში ყოფილიყო მიღებული ოჯახური ცხოვრების უფლება, რომელიც ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით იყო დადგენილი.³⁷

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მხრიდან ეროვნული სასამართლოებისათვის შეფასების თავისუფლების გადაცემას ვილდჰაბერი საერთოდ გონივრულად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ამ თავისუფლებას ეროვნული სასამართლოები მართებულად იყენებენ. ამის დასტურად მას ის გარემოება მიაჩნია, რომ სტრასბურგის სასამართლოში ძალზე ცოტაა სერიოზული საჩივრები ეროვნული სასამართლოების ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პირველად გადაწყვეტილებებს ეყრდნობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სტრასბურგის სასამართლოში მიჩნეულია მისაღებად *ratione materiae*, რაც ეს მან *Bosporus*-ის საქმეში დაადგინა.³⁸

გეორგ რესის აზრით, ლუქსემბურგის სასამართლოს მხრიდან ძირითადი უფლებების დარღვეულობის საკითხზე დასკვნის გამოტანისაგან თავის შეკავება უფლებათა დაცვის საზიანოდ მოქმედებს. იგი ასე აყენებს საკითხს: რამდენადაც

³⁴ Case C-260/89 ERT 1991, ECRI-2925.

³⁵ 11 ივლისი, 2002. C-60/00.

³⁶ 23 სექტემბერი 2003. C-109/01.

³⁷ იხილეთ, აგრეთვე e.g. ECJ 22.10.2000, Requête, C-94/00 §52. ECJ 20.5.2003, *Österreich Rundfunk and Others*, C-465/00, operative provision #4; ECJ 6.11.2003 *Bodil Linqvist* C-101/01, operative provision #5.

³⁸ *The Coordination of the protection of Fundamental Rights in Europe*. Address by **Luzius Wildhaber** Geneva, 8 September, 2005.

ევროპული გაერთიანება უნდა დაემორჩილოს უფლებებსა და გარანტიებს, როდესაც მათი ესა თუ ის ქმედება ინდივიდის სამართლებრივი დაცვის სფეროს შეეხება, ასეთ ფონზე ისმის კითხვა, მაშ ვისი მოქმედება შეიძლება გადასინჯოს მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ კავშირის ადამიანის უფლებათა სამართალთან მისი შესაბამისობის თვალსაზრისით? **რესი** მიიჩნევს, რომ ამ სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ კავშირის სამართალი და საქმიანობა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. მისი აზრით, ეს პირდაპირ გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ევროპული კონვენცია არის გაერთიანების პირველადი სამართლის ნაწილი; აგრეთვე – ევროპის გაერთიანების ხელშეკრულების (ECT) იმ დებულებიდან (მ. 220), რომლის მიხედვით ეს სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ხელშეკრულების ინტერპრეტაციისა და გამოყენებისას სამართალი დაცული იქნება.³⁹

ამასთან დაკავშირებით, უთუოდ საგულისხმოა **რისდალის** მიერ ბრიუსელის ზემომითითებულ შეხვედრაზე გამოთქმული შეხედულება. მას აღუნიშნავს, რომ მართალია მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს გადადგმული ჰქონდა ნაბიჯები ადამიანის უფლებათა დაცვის საჭიროებისაკენ, მაგრამ ვითარება ამ მიმართულებით მაინც არადაამაკმაყოფილებელი იყო.⁴⁰

ბ) რამდენად შეესაბამება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პოზიციები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომებს გამოხატვის თავისუფლების სფეროში არსებითად

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ იმ საქმეთა დიდი ნაწილი, რომელიც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ჭრილშიც შეიძლებოდა შეფასებულიყო, შეეხებოდა სამაუწყებლო მედიასა და კომერციულ რეკლამებს.

ძირითადი დასკვნა ისაა, რომ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო საკითხებს უპირატესად განიხილავს საბაზრო თავისუფლებების ჭრილში და არა იმავდროულად ადამიანის უფლებათა ჭრილშიც და გაურბის იმ საკითხებზე დასკვნის გამოტანას, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ესა თუ ის უფლება.

მაგალითად, ცნობილია, რომ სტრასბურგის სასამართლო რადიო- და ტელემაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო მონოპოლიას უარყოფითად აფასებს და მიიჩნევს, რომ კერძო მაუწყებლობის სრული აკრძალვა არღვევს კონვენციის მე-10 მუხლს. მართალია სამაუწყებლო საწარმოებს არა აქვთ ლიცენზიის მიღების რაიმე

³⁹ **Ress Georg.** იქვე.

⁴⁰ CE. doc. Cour (95) 261.

გარანტია, მაგრამ სახელმწიფოს თვითნებური ანდა დისკრიმინაციული უარი კომუნიკაციის უფლების დარღვევად განიხილება. სტრასბურგის სასამართლო აღიარებს, რომ სახელმწიფო მონოპოლია მართლაც უზრუნველყოფს პროგრამების ხარისხსა და პლურალიზმს, ამ სფეროს დარეგულირებისათვის სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლებს მიაკუთვნებს, მაგრამ მოითხოვს, რომ ყოველგვარი შეზღუდვა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე უნდა იყოს გამართლებული. ასეთი მიდგომა მკვეთრადაა გამოხატული და დამკვიდრებული სტრასბურგის სასამართლოს მიერ.⁴¹ მისგან განსხვავებით, როდესაც ლუქსემბურგის სასამართლო შეეხო სამაუწყებლო მონოპოლიის საქმეს საბერძნეთში,⁴² მან მიიჩნია, რომ გაერთიანების სამართალი არ აღკვეთავდა მონოპოლიის შესაძლებლობას არაეკონომიკური ხასიათის ინტერესებისათვის. იმავდროულად, მან თავი აარიდა იმის თქმას, შეესაბამებოდა თუ არა მონოპოლიური ვითარება ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს და ამ საკითხის გადაწყვეტა ეროვნულ სასამართლოს მიანდო.

ასევე თავი აარიდა მან ძირითად უფლებებზე მსჯელობას *Grogan*-ის საქმეში იმით, რომ გაერთიანებულ სამეფოში არსებული აბორტის კლინიკების შესახებ ინფორმაციის არაკომერციული მიზნებით გავრცელება მოაქცია გაერთიანების სამართლის ფარგლებს გარეთ.⁴³

სხვა საქმეში,⁴⁴ რომელიც შეეხებოდა მედიკამენტების რეკლამის აკრძალვას, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს აკრძალვა შეესაბამებოდა ევროპის გაერთიანების ხელშეკრულებას (ECT) ისე, რომ არც კი უხსენებია კონვენციის მე-10 მუხლი. ასევე, რამდენიმე საქმეში, რომლებიც მარკეტინგის პრაქტიკის სატელევიზიო რეკლამას შეეხებოდა, სასამართლომ ისე მიიჩნია შეზღუდვა სატელევიზიო მაუწყებლობის ღირებულებასა და გაერთიანების ხელშეკრულებასთან შესაბამისად, რომ არ უმსჯელია, რამდენად შეესატყვისებოდა იგი კონვენციის მე-10 მუხლს.⁴⁵

ცხადია, რომ ეროვნული ჩარევის ღონისძიებები საბაზრო თავისუფლებებში (*Freedom to provide service, freedom of establishment*⁴⁶ და სხვა), რომლებიც გამართლებულია ECT-ს იმ მუხლის საფუძველზე, რომლებიც გამონაკლისებს ითვალისწინებს (მ.36), კონვენციის მე-10 მუხლის ჭრილშიც შეიძლება გამართლებულად მიჩნეულიყო, თუკი ჩარევა თანაზომიერად შეფასდებოდა. მაგრამ

⁴¹ *Informationsverein Lentia and Others v. Austria*, judgment 28 October, 1993. Series A no 279

⁴² Case C-260/89 ERT 191, ECR I-2925

⁴³ Case C/159/90. 4 October, 1991, *The Society for the Protection of Unborn Children Ireland LTD v. Stephen Grogan and Others*, 1991 ECR IU-685. §31.

⁴⁴ Case C-320/93, 10 November 1994 *Lucien Ortscheit GmbH v. Eurim Pharm Arzneimittel GmbH*, 1994, ECR I-5243.

⁴⁵ Joined cases C – 34/95, C-35/95 and C-36/95. 9 July 1997. *Konsumentombudsmannen (KO) v. De Agostini (svenska) Förlag AB (C-34/95) and TV shop i Sverige AB (C-35/95 and C-36/95)* 1997 ECR I-3843.

⁴⁶ “Freedom to provide service” (მომსახურების თავისუფლება) და “Freedom of establishment” (დაფუძნების თავისუფლება) დადგენილია ხელშეკრულების 43-ე და 43 მუხლებით. ისინი წარმოადგენენ იმ ძირითად თავისუფლებებს, რომლებიც მთავარ როლს არსრულებენ ევროპის კავშირის შიდა ბაზრის (EU internal Market) ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის (იხ. http://europa.eu.int/comm/internal_market/services/principles_en.htm)

მოცემულ კონტექსტში მთავარი მანძი ის არის, რომ ლუქსემბურგის სასამართლო გაურბის უფლებებზე აქცენტუაცისა და მით უფრო – მათი დარღვევის აღიარებას. როგორც **რესი** აღნიშნავს, მას უჭირს ხელის ერთი დაკვრით ჩაშალოს კავშირის ღონისძიებები ძირითად უფლებათა დაცვის ხარჯზე.⁴⁷

ამის კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს გაერთიანების ღირეპტივა საზღვრებსგარეშე სატელევიზიო მაუწყებლობის შესახებ. ღირეპტივა ეფუძნებოდა საერთო ბაზრის დებულებებს „მომსახურების თავისუფლებისა“ და „დაფუძნების თავისუფლების“ სფეროში ჰარმონიზაციის შესახებ. ღირეპტივა ადგენდა კვოტურ რეჟიმს, რომლის მიხედვით, მაუწყებლობას ევალებოდა, მაუწყებლობის დროის უდიდესი ნაწილი დაეთმო „ევროპული ნამუშევრებისათვის“, ხოლო წევრ ქვეყნებს კი მოეთხოვებოდათ ამის უზრუნველყოფა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რადიო და ტელევიზია წარმოადგენდა „მომსახურებას“ (*service*) ევროპის გაერთიანების ხელშეკრულების გაგებით და არ უმსჯელია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს ღირეპტივა მედიის თავისუფლების იმ სტანდარტებს, რომლებიც ევროპული კონვენციითა და შესაბამისი პრაქტიკით იყო დადგენილი.⁴⁸ უდავოა, რომ კვოტური რეჟიმი წარმოადგენს მაუწყებლობის დარეგულირებას პროგრამების შინაარსის მიხედვით. აშკარაა ისიც, რომ ღირეპტივა ემსახურებოდა ევროპული კულტურისა და ევროპული ფილმის დაცვას ამერიკული დომინანტობისაგან, რასაც გარკვეული გამართლება გააჩნია. მაგრამ თუ ეს ღირეპტივა კონვენციის მე-10 მუხლის ჭრილში შეფასდებოდა, მისი გამართლება ძალზე გაჭირდებოდა. ცნობილია ევროპული სასამართლოს მიდგომა ამ საკითხში. იგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მხოლოდ იმ მიზნით შეიძლება ჩაერიოს პროგრამების შინაარსის მიხედვით მაუწყებლობის დარეგულირებაში, რათა უზრუნველყოს პლურალიზმი. შესაბამისად, მე-10 მუხლის კონტექსტში ძალზე გართულდებოდა იმის დასაბუთება, რომ არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ პროგრამებზე კვოტური რეჟიმის დადგენისა და მაუწყებლობის თავისუფლებაში ასეთი ხარისხით ჩარევისა. როგორც **გეორგ რესი** და **იურგენ ბრიომერი** აღნიშნავენ, ამ ღირეპტივას დიდი დებატები გამოუწვევია გერმანიაში იმ თვალსაზრისით, ჰქონდა თუ არა ევროპულ გაერთიანებას უფლებამოსილება, რომ დაერეგულირებინა ეს სფერო. თუმცა, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს წინაშე ეს საკითხი არ დაუყენებიათ. თავად რესი აღიარებს, რომ „მაუწყებლობა“ მართლაც არის „მომსახურება“ ევროპის გაერთიანების ხელშეკრულების მიზნების კონტექსტში, მაგრამ იგი მიიჩნევს, რომ

⁴⁷ *Ress Georg*. იქვე, გვ.1184.

⁴⁸ *Case C-288/89. Judgment of the Court of 25 July 1991, Stichting Collectieve Antennevoorziening Gounda and Others v. Commissariaat voor de Media*, 1991, ECR I-4007.

გაერთიანებას არ აქვს უფლებამოსილება, დაარეგულიროს მედიის სფეროს ყველა ასპექტი, მათ შორის – მედიის კონცენტრაციის საკითხები.⁴⁹

ამრიგად, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო თავს არიდებს ძირითად უფლებებზე ორიენტირებული სასამართლო იურისპრუდენციის შექმნას. იგი ძირითადად ღიად სტოვებს ასეთ საკითხებს და ამით ევროპულ სასამართლოს საშუალებას აძლევს პირველი პასუხი სპეციფიკურ საკითხებზე სწორედ მან გასცეს. სავარაუდოა, რომ იგი გაურბის შესაძლო კონფლიქტს, რასაც გარკვეული ახსნა გააჩნია. ამას, დამატებით, ალბათ ისიც განაპირობებს, რომ ამ სასამართლოს მზერა, როგორც ჩანს, ისედაც არ არის გამახვილებული ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევის აღმოჩენაზე. საამისოდ მას არ გააჩნია ისეთივე ხარისხის პასუხისმგებლობა, როგორც სტრასბურგის სასამართლოს. ყოველივე ეს კი მეტყველებს შემდეგზე: მიუხედავად იმისა, რომ ევროპის კავშირის სამართალი აღიარებს ევროპული კონვენციით გაცხადებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; მიუხედავად იმისა, რომ ამ უფლებათა დაცვა კავშირის სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად არის გამოცხადებული, აღიარებულია ამ უფლებათა ზუსტად ისეთივე შინაარსი და ფარგლები, რაც ევროპული კონვენციით არის დადგენილი და ისიც კი გაცხადებულია, რომ ეს დებულება ვერ აღუკვეთავს კავშირის სამართალს უფრო ექსტენსიური დაცვის განხორციელების უფლებას (ევროპის კავშირის ქარტიის 52-ე მუხლი), მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი ამ უფლებათა დაცვის ქმედით მექანიზმებს არ შეიცავს და ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს დარღვეული უფლებების აღდგენა-გამოსწორებას.⁵⁰ სტრასბურგისა

⁴⁹ **Ress Georg/Bröhmer, Jürgen**, *Europäische Gemeinschaft und Medienveifalt – Die Kompetenzen der Europäischen Gemeinschaft zur Sicherung des Pluralismus in Medienbereich (European Community and Media Pluralism – the Powers of the European Community to Protect Pluralism in Media)*, Frankfurt, 1998.

⁵⁰ სწორედ ამ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება **ლუციუს ვილდჰაბერმა** ჟენევაში თავისი გამოსვლის დროს, როდესაც სამართლებრივი სისტემების კოორდინაციის საკითხი ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანობის თვალსაზრისით წარმოადგინა. მან მოიყვანა ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ვერ შეძლო მომჩივნამ თავისი უფლების დაცვა გაერთიანების სამართლის საფუძველზე და მხოლოდ 13 წლის შემდეგ სტრასბურგის სასამართლოში მიადწია დარღვეული უფლების აღდგენა-გამოსწორებას (remedy). ეს იყო *Mr Koura Poirres*-ის საქმე. იგი შეეხებოდა ფიზიკურად უუნარო მომჩივანს, რომელიც იყო სპილოს ძვლის ნაპირის მოქალაქე. იგი შვილად აიყვანა საფრანგეთის მოქალაქემ, მაგრამ მან ვერ მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა. მან მოითხოვა უუნარობისათვის განკუთვნილი დახმარება, მაგრამ საფრანგეთის სასამართლოებმა მას უარი უთხრეს, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქეს. საფრანგეთის სასამართლოებმა მიმართეს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს საფრანგეთის კანონმდებლობის გაერთიანების სამართალთან შესაბამისობის თაობაზე, რამდენადაც მომჩივანი იყო ევროპის კავშირის მოქალაქის პირდაპირი მემკვიდრე. ლუქსემბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ გაერთიანების სამართალი ამ ფაქტთან მიმართებაში არ გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მშვილბეგელი ნამდვილად იყო EU-ს მოქალაქე. სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი არ იყო „ემიგრირებული მუშა“, რამდენადაც იგი ყოველთვის ცხოვრობდა და მუშაობდა საფრანგეთში. ლუქსემბურგის ამ გადაწყვეტილების საფუძველზე საფრანგეთის სასამართლომ აპელაციის დროს უარყო მომჩივნის მოთხოვნა დახმარების შესახებ, რის შემდეგაც მან მიმართა სტრასბურგს. სტრასბურგის სასამართლომ კი დაადგინა, რომ მან განიცადა დისკრიმინაცია მოქალაქეობის ნიადაგზე და მიაკუთვნა სამართლიანი დაკმაყოფილება უფლების დარღვევის შედეგად განცდილი მორალური და მატერიალური ზიანისათვის. ვილდჰაბერმა აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში კონვენცია არა მარტო იყო გამოყენებადი, არამედ იგი დარღვეულიც კი აღმოჩნდა.

და ლუქსემბურგის სასამართლოები ცდილობენ არ შეიჭრან ერთმანეთის კომპეტენციაში, რათა თავიდან აიცილონ აღრევა და კონფუზია. მაგრამ, ვინაიდან საქმე გვაქვს ერთმანეთის ნაწილობრივად გადამფარ (*overlap*) სისტემებთან, სრული გამიჯვნა შესაძლებელი არ არის და მაინც არსებობს შეუთავსებლობა ევროპული კონვენციის არსებით გამოყენებასა და გადამოწმების პროცედურებს შორის. გარდა ამისა, ერთმანეთის საქმეში ჩაურევლობა უარყოფითად აისახება ადამიანის უფლებათა რეალურ უზრუნველყოფაზე, რაც აშკარას ხდის, ერთი მხრივ, ეროვნული სამართლებრივი სისტემების გადამწყვეტ როლს ევროპული სამართლებრივი არქიტექტურის შექმნაში, მეორეს მხრივ კი – სტრასბურგის იურისდიქციის გაფართოების საჭიროებას ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის კავშირის სამართლებრივ სისტემასთან მიმართებაში.

11.3.6. გამოსავლის ძიება

ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში დღეისათვის ევროპაში მოქმედი სამი სამართლებრივი სისტემის (შესაბამისი წყაროებისა და იურისდიქციის) კოორდინაციის, მათ შორის ურთიერთმიმართების საკითხში მეტი სამართლებრივი გარკვეულობის, მათი ურთიერთქმედების ეფექტიანობის ამაღლებისა და უფლებათა რეალური უზრუნველყოფის ყველაზე უფრო გონივრულ გზად დღესდღეობით განიხილება ევროპის კავშირის მიერთება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან და შესაბამისად – მის მიერ სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის აღიარება.⁵¹ კონვენციის ხელშემკვრელ მხარედ გახდომის საკითხზე ევროპის კავშირმა უკვე გამოხატა თავისი თანხმობა.⁵² ეს ევროპის კონსტიტუციის პროექტშიც კი იქნა გათვალისწინებული. თავის მხრივ, კონვენციის მე-14 ოქმმა კარი გაუხსნა ევროპის კავშირს და კონვენციის 59-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით დაადგინა, რომ კონვენცია ღია იყო მისთვის ხელმოსაწერად. თუ ეს მართლაც მოხდება, სტრასბურგის სასამართლო აღიჭურვება უფლებამოსილებით, სრული კონტროლი განახორციელოს კავშირის სამართალსა და მის ღონისძიებებზე და დააკისროს მას საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა უფლებათა დარღვევისათვის. ეს კი მოხსნის ბევრ გაურკვეველობას და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად წაადგება ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეს. თუმცა, არსებობს იმის მოსალოდნელობაც, რომ წამოიჭრას ზოგიერთი სპეციფიკური

⁵¹ იხ. **Takis Tridimas**, *The General Principles of EU Law*, Second Edition, Oxford University Press, 2006. General Editor: **Francis G. Jacobs**, former Advocate General, ECJ.

⁵² მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს დასკვნის მიხედვით (Opinion 2/94 1996 ECR §34-36), ევროპის კავშირის ხელშეკრულებაში შესაბამისი დამატების შეტანის გარეშე გაერთიანებას არა აქვს უფლებამოსილება შეუერთდეს კონვენციას.

ან სხვა გაუთვალისწინებელი პრობლემა თუ სირთულე, დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინების საჭიროებასთან ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში. ისიც მხედველობაშია მისაღები, იქონიებს თუ არა გავლენას და, თუ კო, რა ხარისხით, სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებები და ევროპის კავშირთან სირთულეების შექმნისა თუ ერთგვარი დაპირისპირების საფრთხის არსებობა კონკრეტულ საკითხთა გადაწყვეტაზე. თუმცა, გახდება თუ არა ევროპის კავშირი კონვენციის მხარე, თავისთავად, პოლიტიკური საკითხი უფროა, ვიდრე სამართლებრივი. თუ ეს მოხდება, სავარაუდოა, რომ სტრასბურგი ევროპის კავშირს შეფასების თავისუფლების ფართო ფარგლებს მიაკუთვნებს და დიდ ანგარიშს გაუწევს მის პოზიციებს ამა თუ იმ საკითხში.

აქვე უნდა ითქვას, რომ შემოთავაზებულია სხვა გზებიც. მაგალითად, – ლუქსემბურგისა და სტრასბურგის სასამართლოს საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმი. ეს მექანიზმი ითვალისწინებს ლუქსემბურგის სასამართლოში წინასწარი პროცედურების შემოღებას. მან, საჭიროების შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უნდა მიმართოს კონსულტაციისათვის ისეთ საკითხებზე, რომელიც შეეხება ევროპული კონვენციის ინტერპრეტაციას. თუმცა, ეს გზა ეფექტიანი არ არის. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებათა მრავალი საკითხი ლუქსემბურგის სასამართლოში კვალიფიცირებულ იქნა, როგორც „საერთო ბაზრის პრობლემები გაერთიანების ჩარჩოებში“, ანდა სხვაგვარად, მაგრამ არა როგორც ისეთი საკითხები, რომლებიც განეკუთვნებოდა ადამიანის უფლებათა ნორმებს. გამოთქმული იყო აგრეთვე შეხედულება ევროპული კონვენციის ყველა დებულების საგანგებოდ ჩართვის შესახებ ევროპის კავშირის ხელშეკრულებაში ცალკე ტიტრად (*as a separate Title*) და შესაბამისად, – ლუქსემბურგის სასამართლოს იურისდიქციის გავრცელების შესახებ ამ ტიტრზე.⁵³

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ სანამ ევროპის კავშირი კონვენციის ხელშემკვრელი მხარე არ გამხდარა, ამ ორ სამართლებრივ სისტემას შორის ურთიერთმიმართების დასაზუსტებლად უნდა შეიქმნას პრეცედენტები, რომელიც თუნდაც დროებით დაარეგულირებს ღიად დარჩენილ საკითხებს და, რომ ეს შეიძლება გააკეთოს როგორც სტრასბურგის, ისე ლუქსემბურგის სასამართლომ.⁵⁴ ალბათ უფრო სწორი იქნება, ეს თავის თავზე სტრასბურგის სასამართლომ აიღოს, ვინაიდან სწორედ ის არის აღიარებული ევროპული კონსტიტუციური მართლწესრიგის გარანტად ადამიანის ძიითად უფლებათა სფეროში.⁵⁵

⁵³ **Wolfgang Peukert**, მითითებული სტატია, გვ.1121.

⁵⁴ **Georg Ress**. მითითებული სტატია, გვ.1196.

⁵⁵ საკუთრივ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას უწოდა „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტი“ („A constitutional instrument of European Public Order“ (ordre public). იხ. *Loizidou v. Turkey*, judgment of 23 March 1995 §75.

თუმცა, ევროპული სასამართლოს როლისა და დანიშნულების უკეთ გასააზრებლად ასეთი საკითხებიც ისმის:

– უნდა არსებობდეს თუ არა თავისუფლების ერთადერთი კონცეპტი მთელი ევროპისათვის და უნდა შექმნან თუ არა იგი სწორედ ევროპულმა კონვენციამ და სტრასბურგის სასამართლომ;

– არის თუ არა მათი როლი იმაზე მეტი, ვიდრე ფუნდამენტური პლატფორმის უზრუნველყოფა, რომლის საფუძველზეც ეროვნული სამართლებრივი სისტემები შეიმუშავენ უფრო დეტალიზებულ სისტემებს თავიანთი საჭიროებების შესაბამისად და მოარგებენ მას თავიანთ სამართლებრივ, კულტურულ და ისტორიულ ტრადიციებსა და გამოცდილებას;

– რა უფრო გონივრულია, ლუქსემბურგის სასამართლომ მისდიოს სტრასბურგის პრეცედენტებს, თუ თავად შეეცადოს თავისი სტანდარტის დადგენა და სხვ.

ეს საკითხები დღეს აქტიური მსჯელობის საგანია და ცხადია, ისინი პოლიტიკური მიზანშეწონილობით განისაზღვრება. თუმცა ის დიდი ღვაწლი, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ უკვე გაიღო და რა როლიც მან უკვე შეასრულა ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის საერთო ევროპული სტანდარტების დამკვიდრებისა და მათი რეალური უზრუნველყოფის საქმეში, მყარ წინაპირობას ქმნის, რათა ვირწმუნოთ, რომ მას ძალუძს ამ მიმართებით წარმმართველი ფუნქციის შესრულება.

თ ა ვ ი 12

მიზანობრივი კავშირის“ როლი გამოხატვის თავისუფლების დარღვევის აღიარებასა თუ უარყოფაში

ცნობილია, რომ ფილოსოფიური კატეგორიების გამოყენება სამართლის უკლებლივ ყველა დარგმა დაისაჭიროვა. ეს, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. ისეთი ფილოსოფიური კატეგორიებით ოპერირება, როგორცაა მაგალითად, „კერძო და ზოგადი“, „ნაწილი და მთელი“, „მიზეზი და შედეგი“, „არსება და მოვლენა“, „ფორმა და შინაარსი“, „არსი და ჯერარსი“, „შესაძლებლობა და სინამდვილე“ და სხვა, ცხოვრებისეულ მოვლენათა ნათელ დანახვასა და შემეცნებას უწყობს ხელს, გამჭვირვალეს ხდის საკუთრივ აზროვნების პროცესს და აადვილებს ჭეშმარიტებასთან მიახლოებას. მისი დადგენის გარეშე კი შეუძლებელია სამართლებრივ ნორმათა ადეკვატური გამოყენება და მათი უცდომელი შეფარდება არსებულ სინამდვილესთან, რომელშიც უამრავი ადამიანის, ადამიანთა ცალკეული ჯგუფების, მთელი საზოგადოებისა თუ საკუთრივ სახელმწიფოს უფლებები, სურვილები თუ ინტერესები ერთმანეთში დრამატულადაა გადახლართული, ხშირად – დაპირისპირებულიც. ასეთი კონფლიქტების სამართლებრივი მოწესრიგება შეუძლებელია წამოჭრილი პრობლემის სწორი სამართლებრივი დიაგნოზის გარეშე, ვინაიდან მხოლოდ მის შესატყვის სამართლებრივ ღონისძიებათა მიგებებას შეიძლება ჰქონდეს ქმედითი ეფექტი საზოგადოებრივი ჰარმონიისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის დემოკრატიულ სახელმწიფოში. ასეთი დიაგნოზის დასმა, მოვლენათა სწორი სამართლებრივი შეფასება კი შეუძლებელია შესაბამის გარემოებათა წარმომავლობის, მათი ურთიერთმიმართების, მათ შორის ობიექტური თუ სუბიექტური კავშირებისა თუ ურთიერთგანპირობებულობის გარკვევის გარეშე.

ამიტომაც „მიზეზისა და შედეგის“ კატეგორიებით მოვლენათა ჭვრეტა ესოდენ მნიშვნელოვანი სამართლის ყველა დარგისათვის და არა მარტო სინამდვილის ფაქტების დადგენის, არამედ მათი სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისითაც.

შესაბამისად, იმთავითვე დიდი მოსალოდნელობა არსებობდა იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა არანაკლებ მნიშვნელოვანი შეიძლებოდა ყოფილიყო. მათ შორის, გამონახტვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის. თუმცა, არსებობდა იმის ეგებისობაც, რომ ამ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებული და, იმავდროულად, მრავალგვარი იქნებოდა „მიზეზობრივი კავშირის“ შესაბამისი მიმართებანი, მისი დადგენის საჭიროება, მიზანდასახულობა და სამართლებრივი დატვირთვა.

უბრალო თვალის გადავლებაც კი იმ ცნებებსა და კატეგორიებზე, რომლითაც ოპერირებს ევროპული სასამართლო, ძალუმაღ შეგვაგრძნობინებს ამ ცნებათა შინაარსებს შორის ობიექტური და რაციონალური კავშირების პოტენციურ მუხტს, იმგვარ მაგნიტურ ველს, რომლის არსებობაც შესაბამის გარემოებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს და ამიტომაც მის

დადასტურებას ან უარყოფას შეიძლება საჭიროებდეს საქმეზე ობიექტურად საფუძვლიანი გადაწყვეტილების მისაღებად: „უფლების განხორციელება“ და „საჯარო ინტერესის დაზიანება“, „უფლებაში ჩარევა“ და „უფლებისათვის ზიანის მიყენება“, „უფლების შემზღვეველი ღონისძიების გამოყენება“ და „საჯარო ინტერესისათვის საფრთხის აღკვეთა“, „სახელმწიფოს მიერ უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა“ და „უფლების დარღვევა“, „ბიროვნების მიერ განცდილი ზიანი“ და „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა“ და ა.შ.

თვალის ასეთი თავდაპირველი შევლებით გაგვიჩნდა რწმენა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი წარმოადგენდა შესატყვის სფეროს „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის გამოყენებისათვის. მასთან ერთად გაჩნდა ინტერესიც, გაგვერკვია, რა იყო ის თავისებურებანი, რაც შეიძლებოდა განპირობებული ყოფილიყო როგორც ამ დარგის მრავალმხრივი და სრულიად განსხვავებული პრობლემატიკით, ისე საკუთრივ საერთაშორისო კონტროლის განხორციელების სპეციფიკით. მაგალითად, საკუთრივ ის გარემოება, რომ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შიდა სამართალში აქტიურად გამოიყენება ეს კონცეფცია, თავისთავად მიანიშნებდა იმაზე, რომ ევროპულ სასამართლოსაც აუცილებლად მოუწევდა მასთან შეხება. შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებანი, რომელთა კონვენციასთან შესაბამისობის დადგენა ევროპული სასამართლოს ამოცანაა, ძალზე ხშირად ეფუძნება ამა თუ იმ გარემოებებს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას ან არარსებობას. ევროპულ სასამართლოში შეტანილ ინდივიდურ საჩივრებში და მათზე მოპასუხე სახელმწიფოს მიერ წარდგენილ განმარტებებში ძალზე ხშირადაა გარემოებათა შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა ან არარსებობა მომარჯვებული კონვენციის (მათ შორის – გამოხატვის თავისუფლების) დარღვევისა თუ დაურღვევლობის დამადასტურებელ ძირითად თუ დამხმარე არგუმენტად. ცხადია, რომ შესაბამის გადაწყვეტილებათა თუ განჩინებათა დასაბუთების დროს, ევროპული სასამართლო „ვერ შეძლებდა“ გვერდი აევილო მისთვის თუნდაც მხარეთა მიერ წამოყენებულ არგუმენტებსა თუ კონტრარგუმენტებზე პასუხის გაცემისას. ასე რომ, ჩვენი წინასწარი ვარაუდით, მიზეზობრივი კავშირის კონცეფცია ამ გზით მაინც შეაღწევდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში და მნიშვნელოვან ფუნქციას იტვირთებდა გადაწყვეტილებათა ობიექტური საფუძვლის დასაბუთებაში.

ყოველივე ამის გამო, გადავწყვიტეთ, ერთი მხრივ, გაგვერკვია, თუ როგორია ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციისადმი, გამოიყენება თუ არა ის პრაქტიკაში და როგორია მისი გამოყენებადობის საერთო სურათი. მეორე მხრივ – თავად მოგვეცია შესაბამისი სამართლებრივი პრობლემატიკისა და „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის გადაკვეთის წერტილები, ამ გზით „აღმოგვეჩინა“ და „მოგვეჩინა“ ის სფეროები, ასპექტები და მიმართებები, სადაც „მიზეზობრივი კავშირის“ თემა შეიძლებოდა აქტუალური ყოფილიყო და დიდი თუ მცირე მნიშვნელობა ჰქონოდა აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის ევროპული ზედამხედველობის განხორციელების პროცესში.

მით უმეტეს, რომ საერთაშორისო სამართალში, საერთოდ, მიზეზობრივი კავშირის არსებობა მართლსაწინააღმდეგო აქტის ჩადენასა და მიყენებულ ზიანს შორის შესაბამისი იურიდიული შედეგების დადგომის, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ პირობად განიხილება.¹

§12.1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში «მიზეზობრივი კავშირის» კონცეფციის გამოყენების სამართო სურათი

კითხვაზე – გამოიყენება თუ არა მიზეზობრივი კავშირის კონცეფცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში, პასუხის გაცემა იოლი არ არის. მარტივი „ჰოს“ თქმა შეუძლებელია. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეპასუხა: გამოიყენება, მაგრამ არასრულყოფილად, ფრაგმენტულად; გამოიყენება, მაგრამ არა ერთიან კონცეპტუალურ საფუძველზე დაყრდნობით; გამოიყენება, მაგრამ სხვადასხვაგვარი ვარიაციების სახით, რომელთა მიკუთვნება „მიზეზობრივი კავშირის“ რომელიმე თეორიისათვის ძალზე გაჭირდება. საკითხთა წრე, რომელსაც ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის პრაქტიკაში და რომელთა გადაწყვეტაც უწევს, უთუოდ გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის აუცილებლობას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ევროპული სასამართლო კიდევაც ადგენს მას. მისი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების დასაბუთების შინაარსი პირდაპირი დასტურია ამისა. სასამართლოს ესა თუ ის მსჯელობანი ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, არსებითად, სწორედ გარკვეულ გარემოებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას ან უარყოფას ემსახურება. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ყოველივე ეს არ არის ყოველთვის ნათლად გამოკვეთილი, სპეციფიკური შესატყვისი ტერმინოლოგიით ასახული და „მიზეზობრივი კავშირთან“ (მისი კლასიკური გაგებით) ცალსახად გაიგივებული. შესაბამისად, ის შინაარსი და სამართლებრივი დატვირთვა, რაც „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციას გააჩნია სამართლის სხვა დარგებში (განსაკუთრებით სისხლის სამართალში), აქ, შეიძლება ითქვას, გარკვეული ქვეტექსტებისა და ვარიაციების სახით არსებობს და იგულისხმება (როგორც ჩანს, ამის მიზეზი, ნაწილობრივ, პრობლემატიკათა ის განსხვავებულობაა, რითაც სამართლის სხვადასხვა დარგები ხასიათდებიან და, შესაბამისად, იმ საკითხთა განსხვავებული იურიდიული ბუნება, რომელთა გადაწყვეტასთანაც ისინი არიან დაკავშირებულნი).

ამ კონცეფციის სახელდებით გამოყენება სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში შედარებით იშვიათია. არ არსებობს ჩამოყალიბებული მიდგომები იმის თაობაზე, თუ როდის და რა შემთხვევაში, რომელ საკითხთა გადაწყვეტის დროს არის აუცილებელი სხვადასხვა გარემოებებს შორის ასეთი კავშირის შემოწმება, რა სამართლებრივი დატვირთვა გააჩნია მას შესაბამის შემთხვევაში, ანდა მიზეზობრივი

¹ იხ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი (პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ალექსიძე), 2003წ., გვ.275.

კავშირის დადგენილად მიჩნევის როგორი სტანდარტი იქნება მისაღები და შესატყვისი გადასაწყვეტი საკითხისდა მიხედვით.

საკუთრივ ტერმინი „მიზეზობრივი კავშირი“ გამოიყენება, მაგრამ იშვიათად და სხვადასხვა ვარიაციების ფორმით („ცხადი მიზეზობრივი კავშირი“, „პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი“ და სხვა). ზოგჯერ ის შეცვლილია სხვა ტერმინებით, როგორცაა „პირდაპირი კავშირი“, „უშუალო კავშირი“, „მჭიდრო და პირდაპირი კავშირი“, „გონივრული კავშირი“ და სხვ. აშკარად იგრძნობა, რომ ამა თუ იმ ტერმინის შერჩევას განჩინების ავტორთა პრეფერენციები და გემოვნება უფრო განსაზღვრავს, ვიდრე გადასაწყვეტი საკითხისადმი მისი შესატყვისობა. უფრო ხშირად კი, ასეთი კავშირის აღმნიშვნელად რაიმე სპეციალური ტერმინოლოგია არც კია გამოყენებული და მიზეზობრივი კავშირის აღიარება თუ უარყოფა საკუთრივ ამა თუ იმ საკითხის დასაბუთების ლოგიკაშივე ძევს, მასში იგულისხმება. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ ზოგჯერ არც კია ჯეროვნად გააზრებული დასაბუთების მეთოდი „მიზეზისა“ და „შედეგის“ კატეგორიებს რომ ემყარება, ანდა ნაწილობრივ იქნებ გააზრებულია კიდევაც, მაგრამ აშკარაა, რომ პრინციპულად, მთლიანად უგულვებელყოფილია ხედვის ასეთი კუთხით მოვლენათა დანახვის, შეფასებისა და დაფიქსირების საჭიროება.

როგორც ჩანს, სტრასბურგის სასამართლოს სამოსამართლო სამართალში შესატყვისი სამართლებრივი პრობლემატიკის დანახვასა და გააზრებას „მიზეზისა“ და „შედეგის“ ამ ფილოსოფიური კატეგორიების ჭრილში, გარკვეულწილად შემთხვევითი ხასიათი აქვს და იმ მოსამართლეთა აზროვნების ყაიდაზეა დამოკიდებული, რომლებიც შესაბამის გადაწყვეტილებათა თუ განჩინებათა ავტორებად გვევლინებიან.

ყოველივე ამის გამო, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფცია გამოიყენება, მაგრამ უსისტემოდ, არასრულად, ფრაგმენტულად, ზოგჯერ გაუაზრებლად, არა თუ ერთიან მეთოდოლოგიურ და კონცეპტუალურ საფუძველზე დაყრდნობით.

**§12.2. მიზეზობრივი კავშირის» კონცეფციის
აქტუალურობა და მისი უმუცვლელი როლი
კონვენციის დარღვევის გამო საერთაშორისო-
სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრაში
(მიზეზობრივი კავშირის ძირითადი მიმართება)**

ჩვენი გამოკვლევის შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი ვებერთელა, მაგრამ არაერთგვაროვანი სივრცეა „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის გამოყენებისათვის. სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, აქ წარმოიშობა უამრავი და თანაც სრულიად სხვადასხვაგვარი ასპექტი თუ მიმართება, სადაც ამ კონცეფციის გამოყენება არა თუ მარტო შესატყვისია, არამედ აუცდენელიც. საკითხთა ის ფართო წრე, რომელსაც ევროპული კონტროლის განხორციელების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეეხება და რომელთა გადაწყვეტაც უწევს, უთუოდ წარმოშობს სხვადასხვა გარემოებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შემოწმების ლოგიკურ აუცილებლობას. თუმცა, ასეთი შემოწმების მიზანდასახულობა, უშუალო ამოცანა თუ შინაარსი, გადასაწყვეტ საკითხთა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, სრულიად განსხვავებულია. არაერთგვაროვანია ასეთი შემოწმების შედეგების სამართლებრივი მნიშვნელობაც.

ჩვენი შეხედულებით, იმდენად მრავალსახოვანი, დინამიური და ნიუნსირებულია ადამიანის უფლებათა სამართალში მიზეზობრივი კავშირის გამოყენებადობის პოტენციალი, რომ ეს სფერო უმდიდრესი მასალაა საკუთრივ ამ კონცეფციის უკეთ შეცნობის, გააზრებისა და განვითარებისათვის.

იმის კარგად გააზრება, თუ რისი შეფასება და დასაბუთება ხდება ევროპული ზედამხედველობის განხორციელებისას, თავისთავად გვეკარნახობს იმას, თუ რამდენად აქტუალური შეიძლება იყოს მიზეზობრივი კავშირის თემა სხვადასხვა მიმართებაში.

საგულისხმო და მნიშვნელოვანია, რომ მიზეზობრივი კავშირის ძირითადი, უმთავრესი მიმართება ადამიანის უფლებათა დაცვაზე ევროპული ზედამხედველობის შინაარსს უკავშირდება და მისგან უშუალოდ გამომდინარეობს. აღმოჩნდა, რომ მიზეზობრივი კავშირის არსებობა კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევასა და სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების შეუსრულებლობას შორის (რაც შესაბამისი პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულების დარღვევით გამოიხატება), ფაქტობრივად, ერთადერთი საყრდენია უფლების დარღვევის გამო სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა.

ამის დასაბუთება არცთუ ისე რთულია.

ადამიანის უფლებათა დაცვაზე ევროპული ზედამხედველობის შინაარსი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის შემოწმებას გულისხმობს, დაარღვია თუ არა მაღალმა ხელშემკერელმა მხარემ კონვენციით გათვალისწინებული ესა თუ ის უფლება. შიდა-სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების კონვენციასთან შესაბამისობის

შემოწმება, საქმეზე დადგენილი ფაქტების შეფასების გზით ხორციელდება. ევროპული ზედამხედველობის ძირითადი სივრცე სწორედ კონვენციასთან მიმართებაში ფაქტების შეფასებაა. „ფაქტების შეფასება“ კი უთუოდ გულისხმობს გარკვეულ გარემოებებს შორის განსაზღვრული ურთიერთმიმართების დადგენას. შესაბამისად, მიზეზობრივ კავშირებსაც შეიძლება არსებითი და ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს კონვენციის დარღვევის აღიარებისა თუ უარყოფის საკითხზე საბოლოო თუ შუალედური დასკვნების გასაკეთებლად. ეს გარემოება, უკვე საკმარისი წინაპირობაა იმის აღიარებისათვის, რომ მიზეზობრივი კავშირის თემა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში აქტუალურია. რა თქმა უნდა, ეს ჯერჯერობით მხოლოდ ლოგიკური არგუმენტია, მაგრამ ადამიანის უფლებათა დაცვაზე ევროპული ზედამხედველობის შინაარსი, ისევე, როგორც კონვენციის ამა თუ იმ მუხლის დარღვევის შეფასების სისტემა, მეთოდები და პრინციპები ამ არგუმენტის მართებულობას ადასტურებს.

იმისათვის, რათა შესაძლო ცდომილებებს თავი დავაღწიოთ, კარგად უნდა გავაცნობიეროთ შემდეგი:

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიზანი სახელმწიფოს შესაძლო თვითნებობისაგან ადამიანის დაცვაა. აქედან წარმოდგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, როგორც კონვენციის ორგანოს როლი და დანიშნულება. ეს გახლავთ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის გამო შესაბამისი სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ ინდივიდური საჩივრების განხილვისას, იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იკვლევს, დაირღვა თუ არა კონვენცია და, მაშასადამე, არსებობს თუ არა შესაბამისი სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

ასეთი პასუხისმგებლობა პირდაპირ ეფუძნება თავად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას, რომელიც წარმოადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფოების ნების საერთო გამოხატულებას. კონვენციის რატიფიკაციის კვალობაზე მათ ნებაყოფლობით იკისრეს ვალდებულება, უზრუნველყონ ამ კონვენციით გაცხადებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა და ამასთანავე იმ სტანდარტებით, რომლებიც კონვენციით არის დადგენილი. კონვენციის 1-ლი მუხლი სწორედ ამ ვალდებულებაზე მიუთითებს:

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის 1-ლ კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

შესაბამისად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ევროპულ სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, დააკისროს შესაბამის სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა კონვენციის დარღვევის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

მაგრამ რას გულისხმობს უფრო კონკრეტულად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ვალდებულება?

როგორც ვიცით, იგი გულისხმობს უფლებათა დაცვის **ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებს**.

ნეგატიური ვალდებულება ისაა, რომ სახელმწიფომ თვითონ არ ხელყოს და უკანონოდ არ ჩაერიოს კონვენციით გათვალისწინებულ ინდივიდურ უფლებათა განხორციელებაში. როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ამა თუ იმ ქმედების, ღონისძიებისა თუ აქტის შედეგად უფლება ირღვევა, ეს სახელმწიფოს მიერ უფლების დაცვის ნეგატიური ვალდებულების დარღვევის გამომხატველია. მაგალითად, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ექსცესიური ძალის გამოყენებით ადამიანის მოკვდინება (კონვენციის მე-2 (II) მუხლში მითითებული ძალის გამოყენების მართლზომიერების პირობების დაუცველად); პირის დაპატიმრება კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების დარღვევით; პრესის პუბლიკაციის სასამართლო აკრძალვა კონვენციის მე-10 (II) მუხლით გათვალისწინებული გამონათვის თავისუფლების შეზღუდვისათვის აუცილებელი პირობების არარსებობის მიუხედავად; რომელიმე ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობის მიერ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების სარგებლობის შესახებ დისკრიმინაციული კანონის მიღება და სხვა.

მაგრამ, ნეგატიურთან ერთად, სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულებანიც. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ყველა პირობა და გარანტია ადამიანის უფლებათა დასაცავად, გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად, რათა თავიდან აიცილოს მათი ხელყოფა, მათ შორის, მესამე მხარის მიერაც. თუ ასეთი ღონისძიებები გატარებული იქნა, მაგრამ მესამე მხარის მიერ უფლების ხელყოფა მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული, ეს არ იქნება „კონვენციის დარღვევა“. ვინაიდან „კონვენციის დარღვევა“ უსათუოდ გულისხმობს, სულ მცირე, „სახელმწიფოს წვლილს“ უფლების დარღვევაში. შესაბამისად, თუ აღმოჩნდა, რომ მე-3 მხარის მიერ უფლების ხელყოფა განაპირობა (ან ხელი შეუწყო) სახელმწიფოს მხრიდან უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ, მაშინ „კონვენციის დარღვევა“ სახეზეა და, შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველიც არსებობს. მართალია, პოზიტიური ვალდებულებანი სახელმწიფოს კონვენციით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებასთან მიმართებაში არ ეკისრება, მაგრამ ეს თემა მოცემულ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით ასეთი ვალდებულებანი სახელმწიფოს ძალზე ხშირად წარმოემობა გამონათვის თავისუფლებასთან მიმართებაში.

პოზიტიურ ვალდებულებებს განეკუთვნება აგრეთვე ე.წ. „პროცესუალური ვალდებულებანიც“. ეს იმას ნიშნავს, რომ უფლების ხელყოფის თითოეულ ფაქტზე (ვისგანაც არ უნდა წარმოდგებოდეს ის, თვით სახელმწიფოსა თუ მესამე მხარისაგან) შესაბამისი რეაგირება მოახდინოს. მასში იგულისხმება ხელყოფის ფაქტების ჯეროვნად გამოძიება, ჭეშმარიტების დადგენა, მართლმსაჯულების განხორციელება, დამრღვევ პირთა მიმართ სამართლებრივი სანქციების გამოყენება და


სხვ. უფლების დაცვის პროცესუალური ვალდებულებების შეუსრულებლობა შესაბამისი უფლების პროცესუალური დარღვევის გამომხატველია და უფლების არსებით ნაწილში დარღვევის თანაბრად იწვევს კონვენციის შესაბამისი მუხლის დარღვევის აღიარებას. პროცესუალური ვალდებულებების შეუსრულებლობა კიდევ იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ მის გარეშე შეუძლებელია დარღვეული უფლების ეფექტიანი აღდგენა-გამოსწორება, დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურება თუ კომპენსაციის მიკუთვნება.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ კონვენციის ამა თუ იმ მუხლის დარღვეულად ცნობა და, მაშასადამე, შესაბამის სახელმწიფოზე საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ყოველთვის უკავშირდება სახელმწიფოს მიერ უფლების დაცვის ნეგატიური ან პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობას, ზოგჯერ კი – ორივეს ერთდროულად. ასე რომ, მიზეზობრივი კავშირის ძირითადი მიმართება უკვე გამოიკვეთა: იმისათვის, რათა სახელმწიფოს დაეკისროს პასუხისმგებლობა კონვენციის დარღვევისათვის, აუცილებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მისი მხრიდან უფლების დაცვის პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულებების შეუსრულებლობასა და ინდივიდური უფლების დარღვევას შორის.

ამასთან, კარგად უნდა გავაცნობიეროთ შემდეგი:

როდესაც „უფლების დარღვევა“, როგორც ობიექტური გამოვლინება, სახელმწიფოს ვალდებულებათა შეუსრულებლობის შედეგია, ეს უკვე იმის ტოლფასია, რომ კონვენცია დაირღვა. „კონვენციის დარღვევა“ სამართლებრივი შეფასებაა მომხდარისა და იგი შინაარსობრივად იმას გულისხმობს, რომ უფლების დარღვევა სახელმწიფომ გამოიწვია. ეს ცნება უკვე დატვირთულია „მიზეზის“, „შედეგისა“ და მათ შორის „მიზეზობრივი კავშირის“ ცნებათა შესაბამისი კონკრეტული შინაარსით.

ყოველივე ეს გრაფიკულად ასე შეიძლება გამოისახოს:



ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ „ვალდებულებათა შეუსრულებლობა“, საბოლოო ჯამში, აუცილებელი პირობაა კონვენციის შესაბამისი მუხლის დარღვევულად ცნობისა და მოპასუხე სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ასეთი მიზეზობრივი კავშირის არსებობის გარეშე სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

ეს გარემოება უკვე წარმოადგენს პრინციპულ განაცხადს საიმისოდ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მიზეზობრივი კავშირის თემა აქტუალურად მივიჩნით.

მაგრამ, მოდით ახლა ასე დავსვათ საკითხი:

მიზეზობრივი კავშირის არსებობა ვალდებულებების შეუსრულებლობასა და უფლების დარღვევას შორის უეჭველია, რომ არის აუცილებელი საფუძველი კონვენციის შესაბამისი მუხლის დარღვევის აღიარებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობისათვის, მაგრამ არის თუ არა იგი იმავდროულად საკმარისიც?

სამართლის ნებისმიერ დარგში, პასუხისმგებლობის საკითხი ან ობიექტური შერაცხვის, ანდა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპების მიხედვით განისაზღვრება. ობიექტური შერაცხვა – მხოლოდ მიზეზობრივ კავშირს გულისხმობს; ბრალეული პასუხისმგებლობა კი – მიზეზობრივ კავშირსა და ბრალს ერთდროულად.

რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში?

აღმოჩნდა, რომ – ობიექტურ შერაცხვასთან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის ხელშემკვერი მხარის საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას საგანგებოდ არასდროს იკვლევს მის „ბრალს“ კონვენციის დარღვევაში. სახელმწიფოს ბრალეულობა და მით უფრო მისი ფორმები და სახეები ცალკე სპეციალური მსჯელობის საგანი არ ხდება. მართალია, ზოგჯერ გადაწყვეტილებებსა და განჩინებაში შეხვდებით ისეთ ფრაზებს, როგორცაა „სახელმწიფოს ბრალი მიუძღვის“ ან „ეს სახელმწიფოს ბრალით მოხდა“, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ მათში არსებითად „მიზეზობრივი კავშირი“ იგულისხმება და იმის გამომხატველია, რომ ესა თუ ის გარემოება სახელმწიფოს მოქმედებამ თუ უმოქმედობამ განაპირობა. ამის დასტური თავისთავად ის გარემოებაა, რომ არასდროს მომხდარა, მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად (სახელმწიფოს ვალდებულების შეუსრულებლობასა და უფლების დარღვევას შორის), სასამართლოს არ ეცნოს კონვენციის დარღვევა. ვერასდროს შეხვდებით ევროპულ სასამართლოს განჩინებაში ისეთ დებულებას, რომ კონვენცია დაირღვა, მაგრამ ამაში სახელმწიფოს ბრალი არ მიუძღვის, და ამიტომ საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება. უფრო მეტიც, ვერც ისეთ დებულებას შეხვდებით, რომ მართალია უფლების დარღვევა სახელმწიფოს ქმედებამ განაპირობა, მაგრამ რაკი მისი ბრალი ამ უფლების დარღვევაში არ დადასტურდა, ამიტომ კონვენცია არ დარღვეულა.

ასეთი მსჯელობები ალოგიკური იქნებოდა ზემოაღნიშნული ფორმულის ჩარჩოებში, რომელსაც ევროპული სასამართლო გამოიყენებს და რომლის მიხედვითაც, უფლების დარღვევის „ავტორობა“ ან „თანაავტორობა“ საკმარის საფუძველს წარმოადგენს კონვენციის შესაბამისი მუხლის დარღვევის აღიარებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობისათვის.

იდეაში, აქ „სახელმწიფოს ბრალი“ საკუთრივ ქმედებაში – პოზიტიურ ან ნეგატიურ ვალდებულებათა შეუსრულებლობაში შეიძლება ვიგულისხმოთ. მაგალითად, როდესაც სახელმწიფოს ესა თუ ის ქმედება (გადაწყვეტილება, ღონისძიება თუ სხვა აქტი) პირდაპირ არღვევს უფლებას, შესაძლოა აქ განზრახი ბრალი ვიგულისხმოთ, ხოლო პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობისას, შესაბამისი ვალდებულების შინაარსისა და უფლების დარღვევის შესაძლებლობის ხარისხისა და მიხედვით – ზოგჯერ განზრახი და ზოგჯერ გაუფრთხილებელი. მაგრამ, პრინციპულად, მისი არსებობა ან არარსებობა და მით უფრო – ბრალის ფორმა, გავლენას ვერ ახდენს კონვენციის დარღვევის აღიარებასა თუ უარყოფაზე და ყველაფერს მიზეზობრივი კავშირის არსებობა წყვეტს.

ამგვარად, კონვენციის დარღვევის გამო ხელშემკვრელი სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წესი, ფაქტობრივად, ობიექტური შერაცხვის პრინციპის გამომხატველია: თუკი ინდივიდური უფლების დარღვევა განპირობებულია, წარმოდგება სახელმწიფოს ქმედებიდან (მოქმედებიდან თუ უმოქმედობიდან) სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველი უკვე არსებობს. მაშასადამე, მიზეზობრივი კავშირის არსებობა ერთადერთი საყრდენია სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა და, აქედან გამომდინარე, მისი უარყოფა ყოველად წარმოუდგენელი და მიუღებელი იქნება როგორც სამართლებრივი, ისე სამართლიანობის თვალსაზრისით:

რაკი შედეგის არსებობა (ანუ უფლების დარღვევა) აუცილებელი პირობაა პასუხისმგებლობისა, ხოლო ბრალეულობა საჭირო არ არის, მიზეზობრივი კავშირი მაინც უნდა არსებობდეს. ამის გარეშე პასუხისმგებლობა ობიექტურ საფუძველს მოკლებული და იმავდროულად უსამართლო იქნება.

საბოლოო ჯამში, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა დაცვაზე ევროპული ზედამხედველობის განხორციელების დროს კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეფუძნება მიზეზობრივ კავშირს სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულების დარღვევასა და ადამიანის უფლების დარღვევას შორის.

სწორედ ეს გახლავთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მიზეზობრივი კავშირის ძირითადი მიმართება.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ კონვენციის დარღვევის აღიარების ყოველი ფაქტი, პრაქტიკულად, ასეთი მიზეზობრივი კავშირის არსებობას ემყარება ყოველთვის. მნიშვნელობა არა აქვს იმას, მიუთითა თუ არა მასზე ევროპულმა სასამართლომ და ჰქონდა თუ არა მას ამ ფილოსოფიური კატეგორიის ჭრილში საერთოდ გაცნობიერებული ეს გარემოება.

ცალკე საკითხია, თუ რამდენად აქტუალურია მიზეზობრივი კავშირის საგანგებოდ შემოწმება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

მართებული იქნება, თუ პასუხს ასე ჩამოვაცალიბებთ:

მიზეზობრივი კავშირის არსებობა (ხემაღნიშნულ მიმართებაში) ყოველთვის აუცილებელია, მაგრამ მისი საგანგებოდ შემოწმება ყოველთვის თანაბრად აქტუალური არ არის. უფრო მეტიც: ზოგჯერ ამის აუცილებლობა არც კი წარმოიშობა, იმდენად ცხადია მისი არსებობა.

მაგრამ, მთლიანობაში ამ საკითხზე გავლენას რამდენიმე გარემოება ახდენს:

კერძოდ:

1) როგორია უფლების ხელყოფის ხასიათი – პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

პირდაპირი, უშუალო ხელყოფის დროს მიზეზობრივი კავშირის შემოწმების აუცილებლობა უფრო ნაკლებია, ვიდრე არაპირდაპირი ხელყოფის შემთხვევაში.

ნეგატიური ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს, უმეტესწილად, სწორედ ასეთ პირდაპირ და უშუალო ხელყოფასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, პიროვნების საცხოვრებელ ბინაში უკანონო ჩხრეკის განხორციელება პირდაპირ არღვევს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას (მე-8 მუხლი). ასეთ დროს მიზეზობრივი კავშირი ისედაც ცხადია და ამიტომ მასზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება არ ღირს. მაგრამ ზოგჯერ მიზეზობრიობის ჯაჭვი შედარებით გრძელია და, შესაბამისად, მისი შემოწმების აქტუალურობაც მატულობს.

პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს უფლებათა დარღვევას უფრო ხშირად არაპირდაპირი ხასიათი აქვს. მაგალითად, კანონმდებლობის რაიმე ხარვეზმა, ანდა იმ გარემოებამ, რომ ის საკმარისად ცხადად არ უზრუნველყოფდა უფლებათა დაცვას, შესაძლოა კანონთა გამოყენების პროცესში არაპირდაპირ გამოიწვიოს უფლების დარღვევა. ცხადია, ასეთ დროს აუცილებელია შემოწმდეს, იყო თუ არა კანონმდებლობის ხარვეზი ქმედითი მიზეზი უფლების დარღვევისა.

2) რამდენად რთულია უფლებათა დარღვეულობის შეფასება და სახელმწიფოს ქმედებით გამოწვეული შედეგების სამართლებრივი იდენტიფიკაცია.

ასეთი იდენტიფიკაციის პროცესი ზოგჯერ უმარტივესია, ზოგჯერ შედარებით რთული, ზოგჯერ კი ძალიან რთული, მრავალეტაპიანი და ნიუანსირებული. მიზეზობრივი კავშირის შემოწმების სირთულეც მასზეა დამოკიდებული.

მაგალითად, *habeas corpus*-ის წესის დარღვევა რომ კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევაა, ამის განსაზღვრა სირთულეს არ წარმოადგენს. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს. შესაბამისად, როდესაც კონვენციის ეს მოთხოვნა შესრულებული არ არის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება დარღვეულია. ასეთ დროს ვალდებულების შეუსრულებლობა (სახელმწიფოს უმოქმედობა) და შედეგი (უფლების დარღვევა) ერთგვარად გადაზრდილია ერთმანეთში, იგივეობრივია და ერთმანეთის ტოლფასი. შეფასება უმარტივესია, ხოლო მიზეზობრივი კავშირი – ცხადზე ცხადი.

კონვენციის მე-4 (1) მუხლთან მიმართებაში ვითარება განსხვავებულია. „მონობა“ და „ყმობა“, რომელიც ამ მუხლით არის აკრძალული, ისეთი „შედეგია“, რომელმაც უკვე გაიარა შეფასების პროცესი. ასეთ დროს ევროპული სასამართლო ერთი მხრივ იკვლევს, წარმოადგენს თუ არა პიროვნების ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა „მონობასა“ და „ყმობას“ კონვენციის გაგებით, ხოლო მეორე მხრივ ამოწმებს, არის თუ არა ასეთი ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოს ვალდებულების დარღვევის შედეგი. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის არსებობა ასეთ შედეგთან საკმარისი არ არის მე-4 მუხლის დარღვევისათვის, თუ იგი არ იქნა იდენტიფიცირებული „მონობად“ ან „ყმობად“. თუ პიროვნებისათვის შექმნილი ფაქტობრივი და იურიდიული მდგომარეობა არ იქნა შეფასებული როგორც „მონობა“ ან „ყმობა“, ცხადია მიზეზობრივი კავშირის არსებობა ვერაფერს შეცვლის.

ზოგჯერ საქმე უფრო რთულადაა. მაგალითად, „დაცვის უფლების დარღვევა“ და „საქმის განხილვის გაჭიანურება“ შეიძლება გახდეს „საქმის სამართლიანი განხილვის უფლების“ (მე-6 მ.) დარღვეულად ცნობის საფუძველი, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უხეშად დაირღვა დაცვის უფლება, ანდა რამდენად ხანგრძლივად გაჭიანურდა საქმე. ამ გარემოებების მიხედვით განისაზღვრება, დაცვის უფლების შესაბამისი ხარისხით დარღვევა შესაბამის შემთხვევაში უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული „სამართლიანი განხილვის უფლების“ დარღვევად, ხოლო, საქმის განხილვის შესაბამისი ვადით გაჭიანურება – „გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების“ დარღვევად. მაგრამ ასეთი იდენტიფიკაციის პროცესი შედარებით რთულია იმ თვალსაზრისით, რომ მასზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმ სუბიექტურმა თუ ობიექტურმა მიზეზებმა, რომლებმაც დაცვის უფლების დარღვევა ანდა საქმის განხილვის გაჭიანურება გამოიწვია. მაგალითად, საქმის გაჭიანურების საქმეებზე სასამართლო იკვლევს, თუ რამ განაპირობა კერძოდ ასეთი გაჭიანურება. ეს შეიძლება იყოს ცუდი საპროცესო კანონმდებლობა, საქმის წარმოების ცუდი მენეჯმენტი და სხვა. მაგრამ ძალზე ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პიროვნება, ვისაც საქმე შეეხება, ამა თუ იმ მიზეზით თავადვე აბრკოლებს თავისი საქმის განხილვას. ასეთ დროს საქმის განხილვის გაჭიანურების მთელი დრო კი არ მიიღება მხედველობაში, არამედ მხოლოდ დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საქმე სახელმწიფოს მიზეზით გაჭიანურდა. ცხადია, რომ თუ ეს პერიოდი არ არღვევს „გონივრული ვადის“ ფარგლებს, მიზეზობრივი კავშირის არსებობა საქმის განხილვის გაჭიანურების ფაქტთან გადამწყვეტი აღარ არის.

დაახლოებით ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებაში. აქ მიზეზობრივ კავშირს ეფუძნება არა მარტო იმის განსაზღვრა, დაირღვა თუ არა საერთოდ კონვენციის მე-3 მუხლი, არამედ იმისაც, თუ რასთან გვექონდა საქმე – „წამებასთან“ თუ „არაადამიანურ“ ან „დამამცირებელ“ მოპყრობასთან. ევროპული სასამართლო ასეთ დროს იკვლევს, გამოიწვია თუ არა სახელმწიფოს ამა თუ იმ ქმედებამ პიროვნების ტანჯვა (*anguish and distress*) და როგორი იყო მისი ხასიათი და ხარისხი. კვალიფიკაციაც შესაბამისად განსხვავებულია. სატანჯველი, რომელიც პიროვნებამ სახელმწიფოს ქმედების

შედეგად განიცადა, ზოგჯერ მისდამი შესაბამისი მოპყრობის „წამებად“ მიჩნევის საფუძველია, ზოგჯერ – მხოლოდ „არაადამიანურ მოპყრობად“ მიჩნევისა, ზოგჯერ კი იგი საერთოდ ვერ ქმნის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საფუძველს. სახელმწიფოს ქმედებით გამოწვეული ნებისმიერი უსიამოვნება და დისკომფორტი როდია ყოველთვის საკმარისად მიჩნეული მე-3 მუხლის დარღვევის აღიარებისათვის. ასეთ დროს მიზეზობრივი კავშირის არსებობა სახელმწიფოს ქმედებასა და პიროვნების მიერ განცდილ უსიამოვნებას შორის გადამწყვეტი აღარაა, თუ ამ უსიამოვნების ხარისხი არ ქმნის ისეთ თვისებრიობას, რომელიც შეიძლება შეფასებულ იქნას, სულ მცირე, „დამამცირებელ“ ან „არაადამიანურ“ მოპყრობად. მაგალითად, ცნობილია, რომ პატიმართა ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები ზოგჯერ შეიძლება მიჩნეულ იქნას „არაადამიანურ“ ან „დამამცირებელ“ მოპყრობად, ზოგჯერ კი არა, იმისდა მიხედვით, თუ კერძოდ რა პირობებში უხდებოდა მოძივანს ცხოვრება და როგორი უსიამოვნება შეიძლებოდა მას გამოეწვია.¹

მაგრამ ყველაზე უფრო რთული შედეგთა იდენტიფიკაციის თვალსაზრისით ისეთი შემთხვევებია, როდესაც შეფასების პროცესზე გავლენას ახდენს **ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლება**. საქმე ისაა, რომ კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებს კონვენციით გათვალისწინებულ ზოგიერთ უფლებასთან (გამონათვის თავისუფლებაც სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება) მიმართებაში მიკუთვნებული აქვთ შეფასების თავისუფლების გარკვეული არეალი, რომელიც გათვალისწინებასა და ანგარიშის გაწევას საჭიროებს შესაბამის უფლებათა დაცვაზე ევროპული კონტროლის განხორციელების პროცესში.

ეს ის უფლებებია, რომლებიც შეიძლება შეიზღუდონ განსაზღვრულ შემთხვევებში საჯარო ან სხვა პირთა ინტერესების დასაცავად. შეზღუდვის შესაძლებლობა კი კონვენციის შესაბამის მუხლში ზოგადად არის მითითებული.

ევროპული ზედამხედველობის შინაარსი ასეთ დროს სრულიად განსხვავებულია.

სხვა შემთხვევებში, კერძოდ ისეთი უფლებების დროს, რომლებიც მხოლოდ გამონაკლისებს ექვემდებარება და მუხლში ამომწურავადაა მითითებული გარემოებები, რომელთა არსებობა გამორიცხავს შესაბამისი მუხლის დარღვეულად ცნობას (მაგალითად – თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება – მე-5 მ.) და, მით უმეტეს, აბსოლუტური უფლებების დროს, რომლებიც არავითარ შეზღუდვებს, გამონაკლისებსა თუ უკანდახევას არ ექვემდებარება (მე-3, მე-4, მე-7 მუხლებით გათვალისწინებული და სხვა უფლებები). ევროპული სასამართლოს ამოცანა შედარებით მარტივია. იგი არკვევს, **ხომ არ შეიზღუდა ეს უფლებები**. ნებისმიერი

¹ მაგალითად, საქმეზე *Kalashnikov v. Russia* (15.07.2002) ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ის უკიდურესად მძიმე საყოფაცხოვრებო და სანიტარული პირობები, რომელშიც მოძივანი რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფებოდა, წარმოადგენდა ადამიანისადმი დამამცირებელ მოპყრობას. *Erol Direkçi and Ergül Direkçi v. Turkey* (Appl. N 47826/99 decision of 31.03.2005) საქმეზე კი, რომელიც შეეხებოდა ანემითა და ღვიძლის კიბოთი დაავადებული პირის დაპატიმრებას, ევროპულმა სასამართლომ არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ მისი ავადმყოფობა არ იყო გამოწვეული ციხის ცუდი პირობებით და ის გათავისუფლდა მისი ავადმყოფობის დიაგნოზის დადასტურების შემდეგ. ევროპული სასამართლოს აზრით, დაპატიმრების ბრძანება უთუოდ გააძლიერებდა მის ტანჯვას (*anguish and distress*), მაგრამ ის სატანჯველი, რომელიც მან განიცადა, ვერ აღწევდა იმ ხარისხს, რომელიც აუცილებელი იყო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვეულად აღიარებისათვის.

შეზღუდვა, ხელყოფა თუ ჩარევა (დაშვებული გამონაკლისების გარდა) კონვენციას არღვევს და ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლება მასზე არ ვრცელდება. მაშინ როდესაც, იმ უფლებებთან მიმართებაში, რომელთა შეზღუდვის შესაძლებლობას თავად კონვენცია უშვებს, შეფასების საგანი ისაა, **იყო თუ არა მოცემულ შემთხვევაში უფლების შეზღუდვა გამართლებული**. თუ მიჩნეულია, რომ უფლების შეზღუდვა შესაბამისი კანონიერი ინტერესის დასაცავად გამართლებული არ იყო, ეს კონვენციის დარღვევის აღიარების ტოლფასია და პირიქით. ასე რომ, ევროპული ზედამხედველობის უშუალო ამოცანა ასეთ დროს უფლებათა შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებაა. კონვენციის შესაბამისი მუხლის დარღვევის აღიარება ან უარყოფა სწორედ ასეთი შეფასების შედეგებს ემყარება.

უფლებათა შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება იოლი არ არის, და ამას სწორედ ის განაპირობებს, რომ ეროვნულ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებანი უფლებათა შეზღუდვის შესახებ მათი შეფასების თავისუფლებას ემყარება. თუ ეროვნული სახელმწიფო მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ უფლების შეზღუდვა გამართლებულია რომელიმე საჯარო ან სხვა პირთა ინტერესების დასაცავად, ის იყენებს კონვენციით გათვალისწინებულ შესაძლებლობას და ზღუდავს უფლებას. ევროპული სასამართლო კი არკვევს, შეესაბამებოდა თუ არა ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასებანი უფლებათა შეზღუდვის შესახებ კონვენციის პრინციპებს და უფლებათა დაცულობის კონვენციით ნაგულისხმებ სტანდარტებს. ამასთან, ზოგჯერ გაუმართლებლად შეიძლება შეფასდეს საკუთრივ ეროვნული კანონმდებლობით უფლებათა შეზღუდვების დაწესება და მიჩნეულ იქნეს, რომ შესაბამისი საკანონმდებლო შეზღუდვები არ შეესაბამება კონვენციას. ზოგჯერ შემზღუდველი კანონის კონვენციასთან შესაბამისობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გაუმართლებლად არის მიჩნეული კონკრეტული შემთხვევის მიმართ ასეთი კანონის გამოყენება. მაგრამ **უფლებათა შეზღუდვის გამართლებულობის შეფასების მთელი სირთულე უკავშირდება იმ პირობათა შემოწმებას, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც უფლების შეზღუდვის შესაძლებლობაა დაშვებული**. საქმე ისაა, რომ ასეთი პირობები კონვენციის მუხლებში შეფასებითი კრიტერიუმების მეშვეობითაა ჩამოყალიბებული და ამიტომ რხევის დიდ ამპლიტუდას გულისხმობენ.

ასეთი უფლებებია: პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მ.), აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მე-9 მ.), გამოხატვის თავისუფლება (მე-10 მ.), შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მე-11 მ.), მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 ოქმის მე-2 მუხლი). ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მაშინ, თუ ასეთი შეზღუდვა **„აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“** განსაზღვრული კანონიერი ინტერესებისათვის. კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი საქმის საქვეყნოდ განხილვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს სასამართლოს აზრით, **მკაცრად აუცილებელია** განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საქვეყნობა დააზარალებდა მართლმსაზღვრების ინტერესს. მე-7 ოქმის 1-ლი მუხლი **„აუცილებლობაზე“** მიუთითებს: უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნას ამა თუ იმ ქვეყნიდან, თუ მისი გაძევება **აუცილებელია** საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის, ან

განპირობებულია ეროვნული უშიშროების მოსაზრებებით. კონვენციის მე-2 მუხლში **„აბსოლუტური აუცილებლობის“** შეფასებითი კატეგორიაა გამოყენებული და მითითებულია, რომ ადამიანის მოკვდინება არ განიხილება სიცოცხლის უფლების დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვება ძალის გამოყენებას, რომელიც **აბსოლუტურ აუცილებლობას** წარმოადგენდა ამავე მუხლში მითითებულ მიზანთა მისაღწევად. კონვენციის მე-15 მუხლი ითვალისწინებს კონვენციიდან უკან დახვევისა და უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას საგანგებო მდგომარეობის დროს **„მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე“**.

ცხადია, რომ ის, თუ რა არის „აუცილებელი“, „მკაცრად აუცილებელი“, „აბსოლუტურად აუცილებელი“ ან „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ანდა როდისაა უფლებების შეზღუდვა „მკაცრად განპირობებული“ მდგომარეობის სიმწვავეთ, შეფასების ცალკე ვეებერთელა სფეროა, სადაც გარემოებათა შორის მჭიდრო ობიექტური კავშირების დადგენას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ამასთან, რაკი საკუთრივ კონვენცია ითვალისწინებს ასეთი შეზღუდვის შესაძლებლობას, უწინარესად, ეროვნულმა სახელმწიფოებმა უნდა შეაფასონ, იყო თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში უფლების შეზღუდვა „აუცილებელი“, „მკაცრად აუცილებელი“ თუ „აბსოლუტურად აუცილებელი“ განსაზღვრული მიზნებისათვის. მეორე მხრივ, ვინაიდან კონვენციამვე მიანიჭა ეროვნულ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების გარკვეული ფარგლები, ევროპული ზედამხედველობის ამოცანა შედარებით გართულებულია: ევროპული სასამართლოს ფუნქციაა, გადაამოწმოს უფლების შეზღუდვის აუცილებლობის საკითხებში ეროვნული ხელისუფლების შეფასებების კონვენციასთან შესაბამისობა, მაგრამ იმავდროულად, იგი ვალდებულია ასეთი შემოწმების პროცესში გარკვეული ანგარიში გაუწიოს მათ შეფასებებსაც.

საბოლოო ჯამში, მიზეზობრივი კავშირის თემასთან ხიდის გასადგებად უნდა ავლნიშნოთ, რომ როდესაც საქმე გვაქვს ისეთი პირობებით უფლების შეზღუდვასთან, რომელშიც შეფასებითი კრიტერიუმებია გამოყენებული, როგორც უფლებათა ფაქტობრივი შეზღუდვის დროს ეროვნული სახელმწიფოს მხრიდან ასეთი შეფასებების განხორციელებისას, ისე შემდგომ, ამ შეზღუდვათა გამართლებულობის შეფასებისას, ევროპული კონტროლის განხორციელების პროცესში (პირობითად მას შეიძლება ვუწოდოთ ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასებების შეფასება) გარდაუვლად წარმოიშობა საჭიროება უფლების შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შემოწმებისა, თუმცაღა, სრულიად სხვადასხვაგვარი კუთხით, სხვადასხვა ხარისხითა და განსხვავებული სამართლებრივი დატვირთვით. ამ განსხვავებულობას კი განაპირობებს იმ უფლებათა განსხვავებული ონტოლოგიური ბუნება, რომლებიც სხვა ინტერესთა სასარგებლოდ შეიძლება შეიზღუდონ შესატყვისი „აუცილებლობის“ პირობებში.

ანალიზის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ უფლებათა შეზღუდვის გამართლებულობის შეფასება, რომელიც ხორციელდება შეზღუდვის პირობის დაცულობის შემოწმებით, არის უმთავრესი სფერო, სადაც აშკარად გამოიკვეთა მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობა სხვადასხვა მიმართებაში.

საგულისხმოა, რომ სხვა გამოკვეთილი შემთხვევები ასევე უკავშირდება **გარკვეული პირობების არსებობას**, რომელიც შეიძლება პირდაპირ არც კი იყოს მითითებული კონვენციის მუხლში, მაგრამ იგულისხმებოდეს საკუთრივ შესაბამისი უფლების შინაარსში. მაგალითად, კონვენციის მე-14 მუხლში (დისკრიმინაცია) არავითარი პირობა არ არის მითითებული. პირიქით, დისკრიმინაციის აკრძალვას აბსოლუტური ხასიათი აქვს, მაგრამ იგი ერთ „პირობას“ მაინც გულისხმობს. დავაკვირდეთ: იგი კრძალავს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას დისკრიმინაციის ნიადაგზე. ამიტომ, ცხადია, რომ თუ უფლების დარღვევა არ იყო დაკავშირებული დაზარალებულის რაიმე კუთვნილებასთან, იგი ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციად.

კონვენციის დარღვევის გამო სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპიც (რაზედაც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ) ხომ შესაბამისი პირობის შემცველია: სახელმწიფო მაშინაა პასუხისმგებელი უფლების დარღვევისათვის, თუ მან დაარღვია შესაბამისი პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულება.

ასევე: შეუძლებელია ესა თუ ის „შედეგი“ საფუძვლად დაედოს უფლების დარღვეულად ცნობას ან პირიქით, – მის უარყოფას, ანდა დაზარალებულისათვის კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე „სამართლიანი დაკმაყოფილების“ განსაზღვრას, თუ არ დადასტურდა (მიზეზობრივი კავშირის დადგენის გზით) ამ შედეგის ისეთი წარმოშობა, რომელიც სამართლებრივად გაამართლებდა მის არგუმენტად გამოყენებას შესაბამის მიმართებაში და ა.შ.

ამრიგად, „მიზეზობრივი კავშირის“ თემა ყოველთვის აქტუალურია, როდესაც გარკვეული პირობების დაცულობის შემოწმებაა აუცილებელი, იმის მიუხედავად, საქმის ფაქტობრივ მხარეს შეეხება ეს პირობები, თუ სამართლებრივ მხარეს.

შესაბამისად, წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა დაცვაზე ევროპული კონტროლის განხორციელების დროს წარმოიშობა მიზეზობრივი კავშირის შემოწმების აუცილებლობა როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ გარემოებებს შორის, გადასაწყვეტი საკითხისდა მიხედვით.

უმთავრესი შესაბამისი მიმართებანი კი ასეთია. სხვადასხვა შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს:

- 1) გამოიწვია თუ არა უფლების დარღვევა სახელმწიფოს მხრიდან მისი დაცვის პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულების შეუსრულებლობამ;
- 2) აცილებული იქნებოდა თუ არა უფლების დარღვევა ასეთი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში;
- 3) შეეძლო თუ არა უფლების განხორციელებას (პოტენციურად) ზიანი მიეყენებინა შესაბამისი კანონიერი ინტერესისათვის;
- 4) მართლაც გამოიწვია თუ არა უფლების განხორციელებამ რეალური ზიანი ან შექმნა თუ არა ასეთი ზიანის კონკრეტული საფრთხე;

5) შეეძლო თუ არა შემზღუდველ ღონისძიებას (პოტენციურად) მომსახურებოდა შესაბამისი ინტერესის დაცვას;

6) მართლაც იქნებოდა თუ არა უფლების შემზღუდველი ღონისძიებით აცდებულ იმ ზიანი, რომელიც შეიძლებოდა მას გამოეწვია, თუკი არ შეიზღუდებოდა;

7) შესაძლებელი იყო თუ არა კონკრეტულ დროსა და ვითარებაში მიზნის მიღწევა სხვაგვარად, თუ არა იმ ღონისძიების შედეგად, რომელიც გამოყენებული იყო;

8) განაპირობა თუ არა უფლების დარღვევა, რომელიმე იმ „კუთვნილებამ“ ან „სტატუსმა“, რომელიც მე-14 მუხლშია მითითებული;

9) წარმოადგენდა თუ არა ესა თუ ის ფაქტი, მოვლენა თუ გარემოება კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევის პირდაპირ შედეგს და ა.შ.

ცხადია, რომ ამ საკითხების გამოკვლევა იგივეა, რაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა უფლების განხორციელებასა და კანონიერ მიზანს შორის; უფლების განხორციელებასა და რეალურ ან პოტენციურ ზიანს შორის, უფლების შემზღუდველ ღონისძიებასა და კანონიერი ინტერესების დაცვას შორის; უფლების შემზღუდველი ღონისძიების გამოყენებასა და კანონიერი ინტერესისათვის ზიანის აცდენას შორის; ადამიანის უფლების დარღვევასა და მის ამა თუ იმ კუთვნილებას შორის, უფლების დარღვევასა და სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულების შეუსრულებლობას შორის და ა.შ.

გარემოებათა ზემოაღნიშნული „ლოგიკური წყვილები“, რომლებიც მიზეზობრიობის ჯაჭვით შეიძლება აღმოჩნდეს ერთმანეთთან დაკავშირებული, ყალიბდება იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებასთან გვაქვს საქმე, რა „პირობის“ დაცულობის შემოწმება ხდება, რა შეფასებითი კატეგორიაა გამოყენებული უფლების შეზღუდვის „პირობაში“, უფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასების რა ეტაპზე ვიმყოფებით ან რა არის დასაბუთების უშუალო ამოცანა.

§ 12.3. მიზეზობრივი კავშირის როლი იმის დადგენისას, იყო თუ არა უფლების შეზღუდვა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

გამონათვის თავისუფლება კონვენციით გათვალისწინებულ ზოგიერთ სხვა (კონვენციის მე-8, მე-9, მე-11 მუხლით, აგრეთვე მე-4 ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული) უფლებების მსგავსად, მაშინ იქნება დარღვეულად აღიარებული, თუ მისი შეზღუდვა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“ ანდა არ იქნა მიჩნეული „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“. კონვენციის მე-10 მუხლში მითითებული ერთი ან რამდენიმე კანონიერი ინტერესის დასაცავად.

აღმოჩნდა, რომ საკუთრივ იმის შეფასება, იყო თუ არა უფლების შეზღუდვა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, წარმოშობს სხვადასხვა გარემოებებს შორის არაერთ ისეთ მიმართებას, სადაც მიზეზობრივი კავშირის შემოწმების გარეშე ნებისმიერი დასკვნა შეზღუდვის აუცილებლობის აღიარების ანდა უარყოფის შესახებ დაუსაბუთებელი, ობიექტურ საფუძველს მოკლებული იქნება.

იმისათვის რათა ამ დასკვნის მართებულობა დავამტკიცოთ, კიდევ ერთხელ კარგად უნდა გავიაზროთ, თუ როგორია დასაბუთების საქმეთა იმის შეფასებისას, არის თუ არა შეზღუდვა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

როგორც ვიცით, შეზღუდვის აუცილებლობის შემოწმება შემდეგი სამი ძირითადი საკითხის გამოკვლევას გულისხმობს.

ა) მართლაც ემსახურებოდა თუ არა ეროვნული სახელმწიფოს მიერ ინდივიდურ უფლებაში ჩარევა კონვენციის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის კანონიერ მიზანს;

ბ) იყო თუ არა აუცილებელი საკუთრივ „ჩარევა“ დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად („ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება)

გ) იყო თუ არა აუცილებელი სწორედ ისეთი „ჩარევა“ (ან ისეთი ხარისხით „ჩარევა“), როგორც განხორციელდა („ჩარევის თანაზომიერების“ შეფასება).

თუ სამივე ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, ეს ნიშნავს, რომ ჩარევა იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მაგრამ იმისათვის, რათა მათში „მიზეზობრივი კავშირის“ არეალი აღმოვაჩინოთ, დაწვრილებით უნდა განვიხილოთ ისინი ერთობლიობაშიც და ცალ-ცალკეც.

ნაშრომის იმ თავში, რომელიც შეეხებოდა შეზღუდვის აუცილებლობის დასაბუთების ლოგიკას, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთა ჩამონათვალი წარმოადგენდა შეფასების ისეთ სამ ეტაპს, როდესაც ყოველ მომდევნო ეტაპზე გადასვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, თუ წინა ეტაპზე შეფასების დროს საკითხი დადებითად გადაწყდა. კერძოდ: „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასებას მაშინ ჰქონდა აზრი, თუ ჩარევა ნამდვილად ემსახურებოდა დასახული კანონიერი მიზნის მიღწევას. ისევე როგორც, „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასება მხოლოდ

მაშინ იძენდა აზრსა და მნიშვნელობას, როდესაც საკუთრივ „ჩარევის აუცილებლობა“ უკვე აღიარებული იყო.

ამასთან, მიზეზობრივი კავშირის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ სამივე ეტაპზე შეფასება წარმოებს არა საზოგადოდ და გაწყენებულად, არამედ სწორედ **იმ კანონიერ მიზანთან მიმართებაში**, რომლის დასაცავადაც მოხდა ინდივიდურ უფლებაში ჩარევა, ან ყოველ შემთხვევაში – რასაც ისახავდა ეროვნული ხელისუფლება ამ უფლების შეზღუდვისას.

ამრიგად, ინდივიდურ უფლებაში ჩარევა უნდა ემსახუროდეს არა კონვენციის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ კანონიერ მიზანს, ან საზოგადოების ინტერესებს ზოგადად, არამედ ზუსტად იმას, რის დასაცავადაც ის შეიზღუდა. შესაბამისად, „ჩარევის აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებაც ამ მიზანთან მიმართებაში უნდა მოხდეს.

სწორედ აქ იკვეთება „მიზეზობრივი კავშირის“ აქტუალობა და აი, რატომ: ჯერ განვიხილოთ

ა) მართლაც ემსახურებოდა თუ არა უფლებაში ჩარევა დასახულ კანონიერ მიზანს (შეფასების პირველი ეტაპი)

ცხადია, რომ ინდივიდურ უფლებაში ჩარევა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოემსახუროს ამა თუ იმ კანონიერ მიზანს, ანუ, ამა თუ იმ საჯარო თუ სხვა პირთა ინტერესების დაცვას, როდესაც ამ უფლების განხორციელებას შეუძლია (პოტენციურად) ზიანი მიაყენოს შესაბამის ინტერესს. თუ ასეთი (პოტენციური) ზიანის შესაძლებლობა წინასწარვე გამორიცხულია, ვერც მისი შეზღუდვა მოემსახურება ამ ინტერესის დაცვას. შესაბამისად, ვერც ამ უფლების შეზღუდვა იქნება გამართლებული შესაბამისი ინტერესის დაცვის აუცილებლობით.

მაშასადამე, იმ კითხვაზე – ემსახურებოდა თუ არა ინდივიდურ უფლებაში ჩარევა დასახულ კანონიერ მიზანს – პასუხი ვერასდროს იქნება დადებითი, თუ არ დადგინდა, რომ მას გააჩნდა ზიანის გამოწვევის პოტენცია. გამოიწვია თუ არა მან კონკრეტული ზიანი ან ასეთი ზიანის კონკრეტული საფრთხე, ეს ცალკე საკითხია და შეფასების მე-2 და მე-3 ეტაპებისათვის არის გადამწყვეტი. ამ პირველი ეტაპისათვის კი, მინიმუმ, რაც აუცილებლად უნდა დადგინდეს, შესაბამისი ინტერესისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობაა. თუ ხედვის კუთხეს შევცვლით, ყოველივე ეს ასეთნაირად უნდა ჩამოვაყალიბოთ:

უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ინდივიდური უფლების განხორციელებასა და იმ პოტენციურ ზიანს შორის, რომელიც ამ უფლების განხორციელებას შესაბამის გარემოებებში საზოგადოდ შეეძლო გამოეწვია სწორედ იმ კანონიერი ინტერესისათვის, რისთვისაც ის შეიზღუდა.

მაგრამ არის თუ არა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ შემთხვევაში საერთოდ შესაძლებელი, როგორ უნდა მოხდეს მისი დადგენა, რა წესით, ან რა

არის ასეთი დასაბუთების უშუალო ამოცანა? ამ კითხვებს შემდეგი პასუხი უნდა გაეცეს.

ჩვენი აზრით, ეს არის საგარეულო მიზეზობრივი კავშირის დამყარების ისეთი ფორმა, რომელიც თავისი შინაარსით და ბუნებით რეტროსპექტული კი არ არის, არამედ პროსპექტულია. აქ რეალური ზიანის გამოწვევის შესაძლებლობები უნდა იქნეს შეფასებული თუნდაც შორეულ პერსპექტივაში, ოღონდ ობიექტურ და რაციონალურ საფუძველზე დაყრდნობით. თუ ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ უფლების შესაბამისი განხორციელება პოტენციური საფრთხის (თუნდაც მხოლოდ აბსტრაქტული საფრთხის) შემცველია სწორედ ამ კანონიერი ინტერესისათვის და უკვე არსებობს მინიმალური და აუცილებელი ობიექტური საფუძველი იმის აღიარებისათვის, რომ მისი შეზღუდვა მართლაც შეიძლება ემსახურებოდეს მის დაცვას.

შესაბამისად, ამ შემთხვევაში, თუ რაიმე გაგებით უფლების განხორციელებასა და პოტენციურ ზიანს შორის მიზეზობრივ კავშირზე შეიძლება ლაპარაკი, ეს უნდა იყოს მინიმუმ იმის დამტკიცება, რომ ასეთი კავშირი ობიექტურად გამორიცხული არ არის.

არსებითად კი, შესაბამისი ლოგიკური ოპერაციის შინაარსი იმის შეფასებაა, **ქმნიდა თუ არა უფლების განხორციელება აბსტრაქტულ საფრთხეს მაინც შესაბამისი ინტერესისათვის, იყო თუ არა იგი ობიექტურად და რაციონალურად დაკავშირებული¹ ამ კანონიერ მიზანთან.** ამ დროს მხედველობაში მიიღება როგორც ამ უფლების ონტოლოგიური ბუნება, ისე უფლების განხორციელების კონკრეტული მახასიათებლები, რაღა თქმა უნდა, ასევე – შესაბამისი კანონიერი მიზნის რაობა, სპეციფიკა და მისი მგრძობიარობის ხარისხი ზიანის მიმღეობისა თუ მისდამი მედეგობის თვალსაზრისით.

ამრიგად, მიზეზობრივი კავშირის დადგენა უფლების განხორციელებასა და პოტენციურ ზიანს შორის, არსებითად იგივეა, რაც აბსტრაქტული საფრთხის შესაძლებლობის აღიარება, რაც ობიექტური და რაციონალური კავშირის დადგენა უფლების განხორციელებასა და შესაბამის კანონიერ მიზანს შორის. თუ ასეთი კავშირი არ არსებობს, ეს იმის ტოლფასია, რომ არც უფლების შეზღუდვა იქნება ობიექტურად და რაციონალურად განპირობებული ამ კანონიერი მიზნის დაცვის ინტერესით და მამასადაძმე, ეს შეზღუდვა, ვერ მოემსახურება ამ ინტერესის დაცვას. შესაბამისად, გაუმართლებელი იქნება უფლების შეზღუდვა ისეთი ინტერესის დასაცავად, რომელთანაც ის არ იმყოფება ობიექტურ და რაციონალურ კავშირში და რომლისთვისაც მას აბსტრაქტული საფრთხის შექმნაც კი არ შეეძლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ ჩვენი პირველი დასკვნა:

¹ „რაციონალური კავშირი“ წინამდებარე ნაშრომში პირობით გამოიყენება ისეთი ურთიერთმიმართების აღმნიშვნელად, როდესაც შესაბამის გარემოებათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის წარმოშობა ლოგიკურია და, მამასადაძმე, გარკვეულწილად კანონზომიერიც. ასეთი ურთიერთმიმართება გონივრულ ახსნას ექვემდებარება და მიზეზობრივი კავშირის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს. „ობიექტური და რაციონალური“ კავშირის დადგენა კი არსებითად იმის აღიარებაა, რომ შესაბამის გარემოებებს შორის მიზეზობრივი კავშირი, სულ მცირე, გამორიცხული არ არის.

შეფასების პირველ ეტაპზე, როდესაც უნდა დადგინდეს, ემსახურებოდა თუ არა უფლების შეზღუდვა შესაბამისი კანონიერი ინტერესის დაცვას, აუცილებელია სავარაუდო (შესაძლო) მიზეზობრივი კავშირის არსებობა უფლების განხორციელებასა და პოტენციურ ზიანს შორის. ამ დროს უნდა დამტკიცდეს ის გარემოება, რომ ასეთი კავშირი, სულ მცირე, გამორიცხული არ არის. ე.ი. აქ დასაბუთების ამოცანაა მიზეზობრივი კავშირის არგამორიცხულობის მტკიცება.

ამის დამტკიცება, იმავდროულად იქნება იმის აღიარების ტოლფასი, რომ არ იყო გამორიცხული, უფლების განხორციელებას გამოეწვია რეალური ზიანი. მაშასადამე, უფლების შეზღუდვა შეიძლება ყოფილიყო ობიექტურად და რაციონალურად განპირობებული შესაბამისი კანონიერი მიზნის დაცვის ინტერესით.

ყოველივე ამის დადგენა, ჯერ ერთი, იმისთვის არის აუცილებელი, რომ ლოგიკურად სწორად წარიმართოს შეფასების პირველი ეტაპი. მართალია, ეს თვითმიზანი არ არის და „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შეფასებანი მაინც მოგვცემდა შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობას და აგვარიდებდა მცდარ საბოლოო გადაწყვეტილებას, მაგრამ, საქმე ისაა, რომ უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, საჭირო აღარ გახდებოდა შეფასების მე-2 და მე-3 ეტაპები და ყოველივე ეს ზედმეტი გარჯა იქნებოდა. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში „აუცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ შეფასება მცდარი ათვლის წერტილიდან დაიწყებოდა, რაც შეიძლებოდა გზასაცდენილი დასაბუთების ლოგიკისა და არასწორი ფორმულირებისა თუ მოტივაციის მიზეზი გამხდარიყო. ეს კი მიუღებელი იქნებოდა, ვინაიდან თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც ის, რომ არსებითად სწორი საბოლოო გადაწყვეტილება იქნას მიღებული უფლების შეზღუდვის გამართლებულობისა თუ გაუმართლებულობის თაობაზე, აგრეთვე ისიც, რომ ეს გადაწყვეტილება სწორ არგუმენტაციას ემყარებოდეს, მით უმეტეს, ევროპული სასამართლოს განჩინებების დიდი პრეცედენტული გავლენის გათვალისწინებით.

* * *

ახლა შევეცადოთ განვსაზღვროთ, მიზეზობრივი კავშირის რომელ თეორიას უფრო შეესაბამება ზემოაღნიშნული მიმართება, ანუ იმის დადგენა, შეეძლო თუ არა უფლების განხორციელებას ზიანი მიეყენებინა შესაბამისი კანონიერი ინტერესისათვის.

ამ კითხვას მარტივად ვუპასუხებთ, როგორც კი ნათლად წარმოვიდგენთ, რომ შეფასების ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესს იმის გარკვევა კი არ წარმოადგენს, თუ კერძოდ რა ზიანი მიაყენა უფლების განხორციელებამ შესაბამის კანონიერ ინტერესს, არამედ ის, შეეძლო თუ არა მას შესაბამის გარემოებებში ზიანის გამოწვევა საერთოდ.

თავისთავად ცხადია: მსჯელობა იმაზე, შეეძლო თუ არა უფლების განხორციელებას შესაბამის გარემოებებში ზიანის გამოწვევა ამა თუ იმ კანონიერი ინტერესისათვის, მხოლოდ საერთო კანონზომიერებას ემყარება, ამა თუ იმ ქმედებით შესაბამისი შედეგის გამოწვევის დიდ მოსალოდნელობას გულისხმობს. ამის გამო

ასეთი შედეგი შესაბამისი ქმედებისათვის ტიპურია, ადეკვატურია და არსებითად პრეზუმფციას უტოლდება. რეალური ზიანის გამოწვევის შესაძლებლობის გარკვევა სწორედ იმის შეფასებაა, თუ საზოგადოდ რამდენად მოსალოდნელი, რამდენად ადეკვატურია ასეთი ზიანი შესაბამისი ქმედების შედეგად. თუ დადგინდება, რომ ის მოსალოდნელი და ადეკვატურია, მაშინ ეს კანონზომიერება შესაბამის კონკრეტულ შემთხვევაზეც გავრცელდება და იარსებებს ასეთივე ვარაუდი თუ პრეზუმფცია, რომ მასაც შეუძლია ასეთი შედეგი გამოიწვიოს, რომ ეს სულ მცირე, გამორიცხული არ არის, რომ ამიტომ იგი შესაბამისი ინტერესისათვის პოტენციური საფრთხის შემცველია და მისი შეზღუდვა შეიძლება გამართლებული იყოს მისი დაცვის მოსაზრებით.

როგორც ვხედავთ, ასეთი მიზეზობრივი კავშირი უფლების განხორციელებასა და პოტენციურ ზიანს შორის, **მთლიანად ჰიპოთეტიურია, წარმოსახვითია**, რამდენადაც მისი დადგენა ზოგად კანონზომიერებებს ემყარება და არა კონკრეტული შემთხვევის რეალურ შედეგებს.

მისგან განსხვავებით, როდესაც მთლიანად სინამდვილის სფეროში ვიმყოფებით და ჩვენს ინტერესს იმის გარკვევა შეადგენს, რეალურად რა შედეგები გამოიწვია უფლების შესაბამისმა განხორციელებამ, ასეთი შედეგების ადეკვატურობისა და ტიპურობის შემოწმება აღარ შეიძლება იყოს ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ზიანის გამოწვევის შესაძლებლობის შეფასებისას. თუ დადგინდება, რომ უფლების განხორციელება ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო ასეთი ზიანის წარმოშობისა, უკვე იარსებებს გარკვეული ობიექტური საფუძველი (და არა გამართლება) ამ უფლების განხორციელების შესაზღუდად, ვინაიდან შეზღუდვის გამართლებულობა, საბოლოოდ, დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლების შეზღუდვის აუცილებლობის კონტექსტით განისაზღვრება, რა დროსაც მიყენებული ზიანის გარდა სხვა არაერთი გარემოება მიიღება მხედველობაში.

ამიტომ, ჩვენი შეხედულებით, **რეალურ ზიანთან მიმართებაში უფრო შესატყვისია მიზეზობრივი კავშირის ისეთი გაგება, რომელიც გადმოცემულია პრინციპით *conditio sine qua non***. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იგი მხოლოდ სინამდვილის სფეროშია ეფექტური და მხოლოდ სინამდვილის ორ ფაქტს შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად შეიძლება იქნას გამოყენებული. მიზეზობრივი კავშირის ისეთი გაგება, რომელსაც *conditio sine qua non* გულისხმობს, თავისთავად გამორიცხავს მის გამოყენებადობას ჰიპოთეტიურ სფეროში. შესაძლო შედეგთან მიმართებაში იგი გამოსადეგი არ არის. ის მხოლოდ რეალურ შედეგთან მიმართებაში შეიძლება გამოგვადგეს იმის დასადგენად, წარმოადგენდა თუ არა ესა თუ ის ქმედება აუცილებელ პირობას შედეგისა, ურომლისოდაც იგი არ განხორციელდებოდა. ეჭვგარეშეა, რომ მიზეზობრივი კავშირის ასეთი გაგება, თავისი შინაარსით, მხოლოდ რეტროსპექტიულია და მხედველობაში იღებს ყველა გარემოებას, რომელიც რეალურად ჩაერთო მიზეზობრიობის ჯაჭვში და გამოიწვია ან არ გამოიწვია ესა თუ ის შედეგი, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა ასეთი შედეგის დადგომა შესაბამის გარემოებებში კანონზომიერი საზოგადოდ.

ჰიპოთეტურ სფეროში კი მიზეზობრივი კავშირის ადეკვატური თეორიის რესურსები უნდა გამოვიყენოთ, თუმცა ნაწილობრივ და თანაც შემოქმედებითად. ვინაიდან შესაძლო, პოტენციურ ზიანთან მიმართებაში მიზეზობრივი კავშირი მთლიანად ჰიპოთეტურია, იგი მხოლოდ ზოგად კანონზომიერებებს შეიძლება ემყარებოდეს. ეს კი მიზეზობრივი კავშირის ადეკვატური თეორიის ძირითადი სპეციფიკაა, რაც მას სხვა კლასიკური თეორიებისაგან განასხვავებს.

როგორია პრაქტიკა და რა ვითარებასთან გვაქვს საქმე ამ მიმართებით?

ევროპული სასამართლოს განჩინებებისა და გადაწყვეტილებების შესწავლა ორი დასკვნის საშუალებას იძლევა. პირველი დასკვნა ისაა, რომ შეფასების პირველ ეტაპზე, როდესაც სასამართლო იკვლევს, ემსახურებოდა თუ არა უფლების შეზღუდვა დასახულ კანონიერ მიზანს, ძალზე ხშირად, იგი სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე ახდენს ამას და აფასებს, შეეძლო თუ არა უფლების განხორციელებას პოტენციურად რაიმე ზიანი მიეყენებინა შესაბამისი ინტერესისათვის.

პრაქტიკაში ხშირია საქმეები, სადაც ამა თუ იმ უფლების შეზღუდვისას ეროვნული ხელისუფლების მიერ ისეთი კანონიერი ინტერესია დასახელებული, რომლისთვისაც მას არავითარი ზიანის მიყენება არ შეეძლო. ევროპული სასამართლო ასეთ შემთხვევებში (ხშირად) შეზღუდვის გაუმართლებლობას სწორედ იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ უფლების განხორციელება აბსტრაქტულ საფრთხესაც კი არ ქმნიდა შესაბამისი ინტერესის დაზიანებისათვის და პირდაპირ მიუთითებს ამას თავის განჩინებაში. ცხადია, რომ თავისთავად ფაქტი ამგვარი დასაბუთებისა, უკვე იმის დამადასტურებელია, რომ სასამართლომ არსებითად იმსჯელა უფლების განხორციელების შედეგად ზიანის მიყენების შესაძლებლობაზე და გამორიცხა ასეთი შესაძლებლობა. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი სავარაუდო (ჰიპოთეტური) მიზეზობრივი კავშირის აღიარება ან უარყოფა, რაც ჩვენ აუცდენელად გვესახება შეფასების პირველ ეტაპზე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში თავის გარკვეულ დადასტურებას პოულობს. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ სწორედ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრაქტიკა შევარჩიეთ.

შესატყვისი მაგალითია საქმე *Cyprus v. Turkey*.² ამ საქმეზე დავის საგანი გახდა სასკოლო სახელმძღვანელოების შემოწმების პროცედურა და შეზღუდვები, რომლებიც დაწესებული იყო ბერძნულენოვანი გაზეთის გავრცელებაზე. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეულად ცნო სწორედ იმ მოტივით, რომ შესაბამისი „აზრის გამოხატვა“ პოტენციურადაც კი არ ქმნიდა საფრთხეს იმ კანონიერი ინტერესისათვის, რომლის დაცვის მოტივითაც იგი შეიზღუდა. იგი არ დაეთანხმა „ფაქტების შეფასების“ სფეროში თურქეთის ხელისუფლებას და მიუთითა, რომ ხელისუფლებამ ცენზურის შედეგად აკრძალა სახელმძღვანელოთა დიდი

² *Cyprus v. Turkey*, judgment of 10 May 2001.

ნაწილი, რომლის შინაარსი სრულიად უგნებელი იყო ქვეყნის ეროვნული უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის.

სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე ჩვენი მეორე დასკვნა ისაა, რომ, შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას გამოყენებული ლოგიკა ზოგჯერ წინააღმდეგობრივია. არის შემთხვევები, როდესაც ევროპული სასამართლო, ერთი მხრივ (შეფასების პირველ ეტაპზე) აღიარებს, რომ უფლების შეზღუდვა ემსახურებოდა დასახულ კანონიერ მიზანს, მაგალითად, რომელიმე საჯარო ინტერესს, მაგრამ იმავდროულად (შეფასების მეორე ეტაპზე) იმასაც მიუთითებს, რომ „უფლების განხორციელება“ არ უქმნიდა რაიმე საფრთხეს მოცემულ საჯარო ინტერესს და ამას შეზღუდვის აუცილებლობის გამომრიცხველ არგუმენტად იყენებს.³ არადა აშკარაა, რომ თუ „უფლების განხორციელება“ არ უქმნიდა რაიმე საფრთხეს შესაბამის კანონიერ ინტერესს, ვერც მისი შეზღუდვა მოემსახურებოდა ამ ინტერესის დაცვას და *a fortiori* ვერასოდეს იქნება იგი „აუცილებელი.“

მიგვაჩნია, რომ სასამართლომ დასაბუთების სწორი და ერთგვაროვანი სისტემა უნდა გამოიყენოს ყველა საქმეზე, სადაც ინდივიდური უფლება სხვა ინტერესების სასარგებლოდ იზღუდება. დასაბუთების სისტემა კი მაშინ იქნება სწორი, თუ სასამართლო პირველ რიგში და მიზეზობრივ კავშირზე დაყრდნობით ცალსახად გაარკვევს, მართლაც ემსახურებოდა თუ არა უფლების შეზღუდვა შესაბამის კანონიერ ინტერესს.

ბ) „ჩარევის აუცილებლობის“ დასაბუთება (შეფასების მეორე ეტაპი)

როგორც ზემოთაც ავლნიშნეთ, ამ ეტაპზე სასამართლო აფასებს, იყო თუ არა აუცილებელი საკუთრივ „ჩარევა“ უფლების განხორციელებაში. ცნობილია, რომ ევროპულმა სასამართლომ საამისოდ შეიმუშავა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ სპეციალური შეფასების კრიტერიუმი. თავის მხრივ, ასეთი საჭიროების განმსაზღვრელია „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლის არსებობა. ანუ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, არსებობდა თუ არა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება კონვენციით გათვალისწინებული უფლების შესაზღუდად და მართლაც არსებობდა თუ არა „შესატყვისი და საკმარისი“ საფუძველი ასეთი საჭიროების აღიარებისათვის.

არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ აქაც, უფლების შეზღუდვისათვის აუცილებელი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დასაბუთება უნდა მოხდეს არა განყენებულად (საზოგადოებრივ ინტერესებზე ზოგადი მითითებით), არამედ სწორედ იმ კანონიერ მიზანთან მიმართებაში, რის დასაცავადაც ის შეიზღუდა.

ლოგიკა გვკარნახობს ვაღიაროთ, რომ როდესაც შესაბამისი ინტერესის დასაცავად უფლებაში ჩარევის აუცილებლობაა შეფასების საგანი:

³ *Vogt v. Germany*, judgment of 26 September 1995.

1) უფლების შეზღუდვასა და შესაბამისი კანონიერი ინტერესის დაცვას შორის ობიექტური და რაციონალური კავშირი გრადაციულობის გაცილებით მეტი ხარისხით მოითხოვს დამტკიცებას, ვიდრე შეფასების პირველ ეტაპზე;

2) გაცილებით მეტად მნიშვნელოვანი ხდება ის გარემოება, მართლაც დაზიანდა თუ არა შესაბამისი ინტერესი, განიცადა თუ არა მან რეალური ზიანი ან შეიქმნა თუ არა ზიანის კონკრეტული საფრთხე (აქ „აბსტრაქტული საფრთხის“ შექმნა უკვე აღარ არის საკმარისი);

3) გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს იმანაც, თუ როგორია ეს რეალური თუ პოტენციური ზიანი, დიდია თუ მცირე, სერიოზულია თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი.

ამკარაა, რომ „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებისა“ და მისი განმსაზღვრელი „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლის დასაბუთებისას ამ გარემოებებს აქვს და უნდა ჰქონდეს კიდევ გაცილებით დიდი მნიშვნელობა. ცხადია ისიც, რომ როდესაც რეალური ან პოტენციური ზიანი მნიშვნელოვანია, მეტი „შესატყვისი და საკმარისი“ საფუძველი იარსებებს შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დასაბუთებისათვის, ვიდრე საპირისპირო შემთხვევაში.

ყოველივე ამის გამო, „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასების ეტაპზე „მიზეზობრივი კავშირის“ აქტუალურობა განსაკუთრებით ამკარა და ძნელად უარსაყოფია.

ისევ ლოგიკა გვკარნახობს, რომ:

1) შეუძლებელია რეალური ან პოტენციური ზიანი საფუძვლად დაედოს „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ აღიარებას, თუ არ დადგინდა, რომ უფლების განხორციელებამ უკვე მიაყენა რეალური ზიანი შესაბამის კანონიერ ინტერესს ან შექმნა ზიანის კონკრეტული საფრთხე;

2) შეუძლებელია რეალური ან პოტენციური ზიანის საკუთრივ ოდენობა საფუძვლად დაედოს „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ აღიარებას, თუ არ დადგინდა, რომ ასეთი ზიანი მართლაც უფლების განხორციელების შედეგად წარმოიშვა ან შეიქმნა სწორედ ასეთი ზიანის კონკრეტული საფრთხე.

ასე რომ, „აუცილებლობის“ შეფასების ამ ეტაპზე მიზეზობრივი კავშირის დადგენის საჭიროება არა მარტო ამკარაა, არამედ ყველაზე უფრო მეტად უახლოვდება მის კლასიკურ გაგებას ფორმულით – *conditio sine qua non*.

შესაბამისად, ჩვენი მეორე დასკვნა ასეთია:

ისეთ შემთხვევებში, როდესაც უფლების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებისა“ და მისი განმსაზღვრელი „შესაბამისი და საკმარისი საფუძვლის“ აღიარება ეფუძნება შესაბამისი კანონიერი ინტერესისათვის მიყენებულ რეალურ ანდა

პოტენციურ ზიანს და, მით უმეტეს, საკუთრივ ასეთი ზიანის ოდენობას, აუცილებლად უნდა დადგინდეს, მართლაც უფლების განხორციელებამ გამოიწვია თუ არა ზიანი ან მისი რეალური შესაძლებლობა.

კერძოდ, მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს უფლების განხორციელებასა და შესაბამისი კანონიერი ინტერესისათვის მიყენებულ რეალურ ზიანს, ანდა ასეთი ზიანის მიყენების კონკრეტულ საფრთხეს შორის.

რაც შეეხება აბსტრაქტულ საფრთხეს, რომელიც ზიანის შესაძლებლობის წარმოშობის შემთხვევათა ერთ წყებას მოიცავს, მასთან მიმართებაში მიზეზობრივი კავშირი დადგენილად შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუკი შეფასების პირველ ეტაპზე უკვე გაირკვა, რომ უფლების განხორციელება ამ ინტერესის დაზიანების პოტენციური საფრთხის შემცველია. თუმცადა, როგორც ზემოთაც ავლნიშნეთ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ „აბსტრაქციული საფრთხის“ შექმნა ყოველთვის წარმოადგენდეს საკმარის ობიექტურ საფუძველს უფლების შუზღუდვის აუცილებლობის გასამართლებლად.

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება მხოლოდ *conditio sine qua non* წესის მოქმედების არეალი როდია. ცალკეულ შემთხვევაში, მიზეზობრივი კავშირის ზოგიერთ მიმართებაში, ადეკვატური თეორიის გამოყენება შეიძლება განდეს აუცილებელი.

მაგალითად, როდესაც საკითხი შეეხება პუბლიკაციის წინასწარ აკრძალვას, მიზეზობრივი კავშირის თვალსაზრისით ძალზე სპეციფიკური ვითარება წარმოიშობა. ესა თუ ის პუბლიკაცია, მაგალითად ამა თუ იმ სტატიის გამოქვეყნება ჩვეულებრივ იკრძალება სწორედ იმიტომ, რომ მისი გამოქვეყნება ნამდვილად ან სავარაუდოდ გამოიწვევს ზიანს. იმავდროულად მხედველობაში მიიღება ზიანის შესაძლო ოდენობაც. პუბლიკაცია იკრძალება ამ მეტად თუ ნაკლებად სავარაუდო, დიდი თუ მცირე ზიანის აღსაკვეთად. აკრძალვის გადაწყვეტილება უთუოდ თხოულობს იმის განჭვრეტას, თუ რა მოხდებოდა გამოქვეყნების შემთხვევაში – რამდენად მოსალოდნელი იყო საკუთრივ ზიანის ფაქტი და როგორი იყო მოსალოდნელი ზიანის ოდენობა. აკრძალვის გადაწყვეტილება სწორედ ამ მოსალოდნელობას ეყრდნობა, მაშასადამე – ჰიპოთეტიურ მიზეზობრივ კავშირს ორ შესაძლო ხდომილებას შორის. ასეთი კავშირი კი მხოლოდ ადეკვატური თეორიის მომარჯვებით შეიძლება დადგინდეს.

ამასთან, რაკი „ჩარევის აუცილებლობის“ ეტაპზე ვიმყოფებით როგორც ზიანის ფაქტის, ისე ზიანის შესაბამისი ოდენობის მოსალოდნელობის (ალბათობის) ხარისხს არსებითი მნიშვნელობა აქვს პუბლიკაციის წინასწარი აკრძალვის აუცილებლობის შესაფასებლად. ეს სამართლებრივი მიზანშეწონილების სფეროა და კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული. ზოგჯერ შეიძლება საქმე გვქონდეს მცირე ზიანის რეალურ შესაძლებლობასთან, ზოგჯერ კი – დიდი ზიანის შესაძლებლობასთან, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს შესაძლებლობა არ იყოს რეალური. ჩვენი შეხედულებით, პუბლიკაციის აკრძალვის გასამართლებლად უნდა დადგინდეს, რომ იგი დანამდვილებით გამოიწვევდა ზიანს, ანდა, ყველაზე უფრო მეტი – შექმნიდა ზიანის

კონკრეტულ საფრთხეს (როგორც ავლნიშნეთ, ზიანის აბსტრაქტული საფრთხის წარმოქმნის გამო შეზღუდვა მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევებში შეიძლება აღმოჩნდეს გამართლებული). მაგრამ ეს „კონკრეტული საფრთხე“, რომელთანაც უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი, წარმოსახვითია, ჰიპოთეტურია და არა სინამდვილეში არსებული.

ზემოაღნიშნული, ვფიქრობ, საკმარისი დადასტურებაა იმისა, რომ პუბლიკაციის წინასწარი აკრძალვის გადაწყვეტილება, ისევე როგორც ასეთ აკრძალვაზე უარის თქმისა, უთუოდ გულისხმობს ჰიპოთეტური მიზეზობრივი კავშირის დადგენას ან უარყოფას შესაძლო ხდომილებებს შორის, რაც შადეგთა ადეკვატურობის შემოწმებით უნდა განხორციელდეს.

შესაბამისად, ჩვენი მესამე დასკვნა ასეთია.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმე შეეხება უფლების განხორციელების აკრძალვას პოტენციური ზიანის აცილების მოტივით, აუცილებლად უნდა დადგინდეს მართლაც (ან დიდი ალბათობით) გამოიწვევდა თუ არა უფლების განხორციელება რეალურ ზიანს ან შექმნიდა თუ არა მის კონკრეტულ (რეალურ) საფრთხეს. მაშასადამე, უნდა დადგინდეს ჰიპოთეტური მიზეზობრივი კავშირი უფლების შესაძლო განხორციელებასა და შესაძლო (პოტენციურ) ზიანს შორის.

ახლა, ნუ ვიკმარებთ ლოგიკას და შევამოწმოთ, თუ რა დადასტურებას ჰპოვებს ზემორე დასკვნები ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში.

სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები მოწმობენ, რომ უფლებაში ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების შეფასებისას“ ევროპული სასამართლო ყოველთვის ითვალისწინებს, დაზარალდა თუ არა რეალურად შესაბამისი კანონიერი ინტერესი ან შეექმნა თუ არა მას საფრთხე. თუმცა, იმისდა მიხედვით, თუ რომელ უფლებასა და რომელ კანონიერ ინტერესთანა გვაქვს საქმე, ანდა რას გვკარნახობს საქმის დანარჩენი გარემოებები, დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. ზოგჯერ რეალური ზიანის მიყენებაც კი შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი უფლების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროების“ აღიარებისათვის; მაგრამ, ზოგჯერ მხოლოდ ზიანის საფრთხის (მათ შორის აბსტრაქტული საფრთხის) შექმნაც შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. თუმცა, ცხადია, არსებობს საერთო კანონზომიერება: რეალური ზიანის დროს უფრო მეტი წინაპირობაა „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლის აღიარებისათვის, ვიდრე პოტენციური ზიანის დროს. აგრეთვე, რაც უფრო მეტია ზიანი (მათ შორის პოტენციური), მით უფრო გაადვილებულია (შედარებით ასპექტში) „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ აღიარება და სხვ.

ამ საკითხებზე მსჯელობისას ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში ხშირადაა გამოყენებული ისეთი შეფასებები, როგორიცაა „სერიოზული ზიანი“, „მნიშვნელოვანი ზიანი“, „ნაკლები ზიანი“, „პოტენციურად ნაკლები ზიანი“ და ა.შ. შემუშავებულია სპეციალური მიდგომები ზოგიერთი გარემოების მიმართ და მიჩნეულია, რომ ისინი, როგორც წესი, ზრდიან ან ამცირებენ პოტენციურ ზიანს. მაგალითად, თუ სამართალდარღვევებისაკენ მოწოდება მიმართულია მცირე

აუდიტორიისადმი, მიჩნეულია, რომ ეს გარემოება ამცირებს პოტენციურ ზიანს, რაც შეიძლებოდა განეცადა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა თუ ეროვნული უშიშროების ინტერესებს⁴ და სხვა.

ზოგჯერ აუცილებელი ხდება არა მარტო უშუალო, არამედ სხვა თანამდევნი შედეგების გათვალისწინებაც.

მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს ძალადობისაკენ წაქეზებასთან, პოტენციური ზიანიც მნიშვნელოვნად ითვლება. მაგრამ თუ ასეთ წაქეზებას რეალურად მოჰყვა ასეთი მოქმედებანი, მასობრივი არეულობა, საზოგადოებრივი დაძაბულობა და სხვა, ასეთ დროს ზიანი კიდევ უფრო მატულობს. ანდა, თუ უკანონო დემონსტრაცია სხვა უკანონო მოქმედებებში გადაიზარდა, მარტო საზოგადოებრივ წესრიგს კი არა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებსაც შეიძლება საფრთხე შეექმნას. როდესაც პიროვნების უფლებები და რეპუტაციაა შელახული, ასეთ დროს მარტო ის კი არ არის მნიშვნელოვანი, თუ რამდენად სერიოზულია საკუთრივ უფლების დარღვევა, არამედ ისიც, თუ სხვა რა შედეგები შეიძლებოდა მოეტანა მას დაზარალებულისათვის.⁵

ზოგჯერ აუცილებელი ხდება მიყენებული და პოტენციური ზიანის ერთდროულად შეფასება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, საზღვაო ნავთობწარმოების მუშაკთა პროფკავშირების ფედერაციის მიერ მოწყობილი გაფიცვის აკრძალვის „აუცილებლობის“ შეფასებისას, ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო როგორც ის ზიანი, რაც ოცდათექვსმეტ საათიანმა გაფიცვამ გამოიწვია, ასევე ის პოტენციური ზიანიც, რომელსაც გაფიცვის გაგრძელება უსათუოდ გამოიწვევდა, რომ არ აკრძალულიყო მთავრობის შესაბამისი ღონისძიებით დადგენილებით.⁶

მაგრამ ყველაზე უფრო თვალსაჩინო დასტურს ჩვენი ზემორე დასკვნის მართებულებისა წარმოადგენს ის მიდგომა, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შესაფასებლად ისეთ კანონიერ ინტერესებთან მიმართებაში, როგორცაა „უწესრიგობის თავიდან აცილება“, „საზოგადოებრივი უსაფრთხოება“ და „ეროვნული უშიშროების დაცვა“.

ევროპული სასამართლო „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ უყოყმანოდ აღიარებს თუ უფლების განხორციელებამ შექმნა „აშკარა და რეალური საფრთხე“ ამ ინტერესებისათვის ზიანის მიყენებისა (ეს კრიტერიუმი იმავდროულად

⁴ *Karataş v. Turkey*, judgment of 8 July 1999. Reports 1999-IV. §52.

⁵ *McVicar v. The United Kingdom*, judgment of 6 May 2002.

⁶ *Federation of offshore Workers' Trade Union and Others v. Norway*, judgment of 26 June 2002. სასამართლომ მიუთითა, რომ 36 საათიანმა გაფიცვამ, მოიცვა ნორვეგიის კონტინენტური შელვის ყველა ობიექტი და გამოიწვია უზარმაზარი ზარალი. მთავრობამ მისი აკრძალვის დადგენილება მაშინ მიიღო, როდესაც გაჩნდა დიდი ალბათობა იმისა, რომ გაფიცვის გაგრძელება არა მარტო ნავთობპროდუქტების მოპოვებით მიღებული მოგების დიდ დანაკარგებს გამოიწვევდა კერძო თუ სახელმწიფო კომპანიებისათვის, არამედ შეაფერხებდა ევროპის კავშირის ქვეყნებში საწარმოო თუ საყოფაცხოვრებო მომხმარებელთა ენერგორესურსებით მომარაგებას, რაც შელახავდა ნორვეგიის, როგორც ევროპის კავშირის ქვეყნებისათვის გაზის მთავარი მიმწოდებლის რეპუტაციას, იგი ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევდა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, ქვეყნის საგარეო ბალანსისათვის და ასევე გამოიწვევდა მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებას, რასაც, თავის მხრივ, შეიძლებოდა უარყოფითი შედეგები მოეტანა შრომის დაცვის, საწარმოო უსაფრთხოებისა თუ ეკოლოგიის თვალსაზრისით.

ადასტურებს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს, რომ უფლების შეზღუდვის „აუცილებლობის“ გამართლება კანონიერი ინტერესებისათვის, უფრო ხშირად კონკრეტული საფრთხის შექმნის შემთხვევებს შეიძლება მოიცავდეს. „აშკარა და რეალური“, რა თქმა უნდა, საფრთხის კონკრეტულობის გამომხატველია).

მაგალითად, საშიში იდეების პროპაგანდის, სახელმწიფოს საიდუმლოების ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დროს, ევროპული სასამართლო აფასებს, წარმოიშვა თუ არა „აშკარა და რეალური საფრთხე“ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, ანდა ეროვნული უშიშროებისათვის. ცხადია, ასეთი საფრთხე ხშირად წარმოიქმნება, მაგალითად, აჯანყების, შეიარაღებული წინააღმდეგობის თუ სხვა სამართალდარღვევათა ჩადენისაკენ ხალხის უშუალო მოწოდების დროს, ვინაიდან ასეთ დროს გაცილებით უფრო პირდაპირი და ობიექტური კავშირი არსებობს უფლების განხორციელებასა და ზიანის წარმოშობას შორის, ვიდრე სხვა შემთხვევებში. ევროპული სასამართლოს პრეზიდენტმა **ლუციუს ვილდჰაბერმა** არაერთხელ დაადასტურა იმის გადამწყვეტი მნიშვნელობა, მართლაც შეიქმნა თუ არა რეალური საფრთხე ძალადობის ჩადენისაკენ ხალხის მოწოდების დროს. კერძოდ მან მიუთითა: „სასამართლომ უნდა გაარკვიოს, აზრის გამოხატვამ რეალურად გამოიწვია თუ არა საფრთხე საზოგადოებისათვის. თუ სასამართლო ვერ დაადგენს საკმარის კავშირს შესაბამის სიტყვებსა და ძალადობის ჩადენის რეალურ შესაძლებლობას შორის, პოლიტიკური სიტყვის თავისუფლების კონვენციით გარანტირებული დაცვა ძალაში დარჩება.“⁷ ნათელია, რომ მიზეზობრივი კავშირის აღიარების ტოლფასია სასამართლოს ნებისმიერი დასკვნა იმის თაობაზე, რომ უფლების განხორციელებამ გამოიწვია „აშკარა“ და „რეალური“ საფრთხე საზოგადოებისათვის და არსებობდა საკმარისი კავშირი შესაბამისი მოწოდებასა და ძალადობის ჩადენის რეალურ შესაძლებლობას შორის.

როგორც ვიცით, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, აგრეთვე ეროვნული უშიშროების დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ამერიკულ (აშშ) კონსტიტუციურ სამართალშიც ამ სიკეთებისათვის ზიანის მიყენების აშკარა და რეალური საფრთხის დადგენას უკავშირდება. განსხვავება ისაა, რომ აშშ-ში მიდგომა უფრო მკვეთრადაა ჩამოყალიბებული; შესაბამისი სპეციალური კრიტერიუმები საგანგებოდაა შემუშავებული და დამკვიდრებული.⁸

1964 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ (*Branderburg v. Ohio*) დაადგინა, რომ თვითგამოხატვის თავისუფლება ექვემდებარებოდა დაცვას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საქმე ჰქონდათ ძირგამომთხრელ საქმიანობასთან და არსებობდა უკანონო მოქმედების ჩადენისა და საჯარო ინტერესებისათვის სხვაგვარად ზიანის მიყენების „აშკარა და რეალური საფრთხე“. „აშკარა და რეალური საფრთხის“ შესაფასებლად

⁷ Address by **Luzius Wildhaber**, Sixth Annual RTE (UCD Lecture in series: Broadcasting, Society and the Law, *The right to offer, shock or disturb? – aspects of freedom of expression under the European Convention on Human Rights*, Dublin, 11 October 2001. იხ. აგრეთვე, Address by **Luzius Wildhaber** at Istanbul University, *Freedom of expression under Article 10 of the European Convention on Human Rights*, Istanbul, 9 April 2002.

⁸ *Scherck v. the United States*, 1999. ჯანდა, ბერი, გოლდმენი, *ამერიკული დემოკრატია. აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი*. 1995.

შემოტანილი იქნა დამატებითი კრიტერიუმი – **შედეგების დაუყოვნებლივ დადგომის ვარაუდი და მოსალოდნელობა.**⁹

იგივე ვითარება გვაქვს ეროვნული უშიშროების ინტერესთან მიმართებაშიც. მის დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი **გარადაუვლად, უშუალოდ და დაუყოვნებლივ** გამოიწვევს **უშიშროების შედეგებს** ეროვნული უშიშროებისათვის.

ასეთივე მიდგომაა დამკვიდრებული ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ხდება კონფიდენციალური ინფორმაციის პუბლიკაცია პრესის მიერ. აშშ-ის კონსტიტუციური სამართლის მიხედვით, ხელისუფლებას არ შესწევს ძალა ხელი შეუშალოს პუბლიკაციას, თუკი ვერ შესძლებს სასამართლოს წინაშე იმის დემონსტრირებას, რომ ამ ინფორმაციის პუბლიკაცია **გარადაუვლად და დაუყოვნებლივ გამოიწვევს პირდაპირ და სერიოზულ ზიანს** ეროვნული უშიშროებისათვის.¹⁰

ეს ამერიკული პარალელი ჩვენ მხოლოდ იმისათვის გავავლეთ, რომ ნათლად წარმოგვიჩინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალსა და აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალში კანონიერი ინტერესისათვის რეალური ზიანის მიყენების ანდა ასეთი ზიანის კონკრეტული საფრთხის შექმნის ფაქტის დადგენა ინდივიდური უფლების შეზღუდვის გამართლებულად შეფასებისათვის, რათა ამ გზით დაგვედასტურებინა, რომ **ეს ტიპური გადაწყვეტა** საჯარო ინტერესის დასაცავად უფლების შეზღუდვის გამართლებულობის პრობლემისა. ცალკე საკითხია ის, თუ როგორ ხდება საფრთხის რეალურობის შეფასება. ასეთ დროს მხედველობაში მიიღება სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც აძლიერებენ ანდა ამცირებენ კონკრეტულ ვითარებაში ზიანის გამოწვევის შესაძლებლობას.

მაგალითად, შეიარაღებული წინააღმდეგობის, დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევათა ჩადენისკენ ხალხის წაქეზების დროს პოტენციური ზიანი „ეროვნული უსაფრთხოებისა“ თუ „საზოგადოებრივი წესრიგისათვის“ ყოველთვის ძალზე სერიოზულია. მაგრამ თუ ასეთი მოწოდება განხორციელდა „უშუალოდ მძიმე პოლიტიკური ვითარების პირისპირ“, ზიანის საფრთხე გაცილებით უფრო კონკრეტულია და რეალური.¹¹

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს სხვა ტიპის შემთხვევებიც, სადაც უფლების შეზღუდვის მწვავე „საზოგადოებრივი საჭიროების“ განსაზღვრა ზიანის საფრთხის რეალურობის შეფასების მიხედვით გადაწყდა. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო სხვადასხვა ფაქტორები, რომლებმაც ან

⁹ *We the people. A secondary level Student Text. აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართლმართლობა*, 1997.

¹⁰ **Sanlon T.** *Theory of freedom of Expression*; 1973. **Redish M.** *The Value of the Free speech*, 1982.

¹¹ სწორედ ასეთი საფრთხის არარსებობის გამო ევროპულმა სასამართლომ გაუმართლებლად ცნო მომჩივნის აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა საქმეზე *Karatas v. Turkey* (judgment of 8 July 1999). მან აღიარა, რომ მომჩივნის ლექსები აღძრავდა შურისძიების გრძობებს და გარკვეულწილად წააქეზებდა სამართალდარღვევათა ჩადენას. მაგრამ მიიჩნია, რომ ისინი ვერ ჩაითვლებოდა აჯანყებისკენ მოწოდებად სხვა ისეთი გამონათქვამებისაგან განსხვავებით, რომლებიც უშუალოდ მძიმე პოლიტიკური ვითარების პირისპირ იქნებოდა გამოთქმული.

შეამცირეს ზიანის მიყენების საფრთხე კონკრეტულ დროსა თუ სივრცეში, ანდა მიყენებული ზიანის მიუხედავად, საერთოდ აზრი დაუკარგეს უფლების შეზღუდვას.

უფრო კონკრეტულად, ეს ის შემთხვევებია, როდესაც აღიარებულია კანონიერი ინტერესისათვის პოტენციური საფრთხის შექმნა, მაგრამ უარყოფილია რეალური ზიანის გამოწვევის შესაძლებლობა, ანდა, აღიარებულია გარკვეული ზიანის მიყენების ფაქტი, მაგრამ უარყოფილია უფრო სერიოზული ზიანის შესაძლებლობა. ისეთი შემთხვევებიცაა, როდესაც აღიარებულია რეალური ან პოტენციური ზიანი, მაგრამ მიჩნეულია, რომ განსაზღვრულ გარემოებათა ძალით ზიანის არსებობის ფაქტმა დაკარგა მნიშვნელობა.

მაგალითად, საქმეში *Goodwin v. The United Kingdom* ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ კომპანიის მცდელობა, მოესპო ზიანის საფრთხე, რაც კომპანიის ფინანსური სირთულეების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ემსახურებოდა მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვას. მაგრამ მან გაითვალისწინა, რომ პუბლიკაციის აკრძალვის შედეგად კომპანიისათვის ზიანის მიყენების საფრთხე მნიშვნელოვანწილად უკვე განეიტრალებული იყო, ამიტომ აღარ არსებობდა „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ შეზღუდულიყო ჟურნალისტის უფლება, არ გაეთქვა ინფორმაციის წყარო.¹²

საქმეებში *Vereniging Weekblad Bluf! v. The Netherlands* და *Observer and Guardian v. The United Kingdom* გადამწყვეტი გახდა დროის ფაქტორი. შესაბამისი ინფორმაციების პუბლიკაცია აიკრძალა მაშინ, როდესაც სხვა გზით ისინი უკვე გავრცელებული იყო და ის ზიანი, რომელიც მათ შეეძლოთ გამოეწვიათ, ფაქტობრივად უკვე მიყენებული იყო. ამიტომ ინფორმაციის გავრცელების უფლების შეზღუდვა ვეღარ მოემსახურებოდა ზიანის აცილებას.¹³

ზემოაღნიშნული მაგალითები იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში თავს იჩენს უამრავი ასპექტი, რომლებიც უფლების განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანის განსაზღვრას უკავშირდება. გამოიწვია თუ არა უფლების შესაბამისმა განხორციელებამ რეალური ზიანი, ან შექმნა თუ არა მისი საფრთხე, რამდენად რეალური იყო ეს საფრთხე, შეეძლო თუ არა მას რეალური ზიანის გამოწვევა შესაბამის გარემოებებში, რამდენად სერიოზული იყო მიყენებული ან პოტენციური ზიანის ხასიათი და ოდენობა – ის საკითხებია, რომლებზე მსჯელობა ევროპულ სასამართლოს თითქმის ყველა საქმეზე უწევს, სადაც კი ინდივიდური უფლება საჯარო ან სხვა კანონიერი ინტერესის დასაცავად შეიზღუდა. ასეთი მსჯელობები კი წარმოუდგენელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შემოწმების გარეშე.

საერთო ჯამში, იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებასა და მასთან დაპირისპირებულ რა კანონიერ ინტერესთან გვაქვს საქმე, ზიანის არსებობის ფაქტი, მისი ხასიათი და ოდენობა მეტად ან ნაკლებად არის აქტუალური, მაგრამ,

¹² *Goodwin v. the United Kingdom*, judgment of 27 March 1996. Report 1996-II.

¹³ *Vereniging Weekblad Bluf! v. The Netherlands* judgment of 9 February 1995; *Observer and Guardian v. The United Kingdom*, judgment of 26 November 1991.

პრინციპულად, ისინი ყოველთვის ახდენენ გავლენას უფლების შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ შეფასებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი **საბოლოო დასკვნა** „აუცილებლობის“ შეფასების ეტაპთან მიმართებაში ასეთია:

ვინაიდან კანონიერი ინტერესებისათვის მიყენებულ რეალურ ზიანსა და სხვა თანამდევ შედეგებს, შესაძლებელ (პოტენციურ) ზიანსა და თვით ზიანის ოდენობასაც კი, სხვადასხვა შემთხვევებში შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს უფლების შეზღუდვის აუცილებლობის შეფასებისას, ამიტომ მიზეზობრივი კავშირის არსებობა უფლების განხორციელებასა და ასეთ ზიანს ან მის კონკრეტულ საფრთხეს შორის ანდა უფლების შესაძლო განხორციელებასა და შესაძლო (პოტენციურ) ზიანს შორის აუცილებელია.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მიზეზობრივი კავშირის დასაბუთების საჭიროება სხვადასხვა უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან მიმართებაში სხვადასხვა ხარისხით წარმოჩინდება კონკრეტული საქმის გარემოებებისა და მიხედვით. ზოგჯერ მიზეზობრივი კავშირი ისედაც აშკარაა და მას საგანგებო დასაბუთება არ ესაჭიროება.

გ) „ჩარევის თანაზომიერების“ დასაბუთება (შეფასების მესამე ეტაპი)

წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ შეფასების ამ ეტაპზე „მიზეზობრივი კავშირის“ აქტუალურობა სრულიად ახალი რაკურსით გამოვლინდება.

ეს რომ ნათელი გახდეს, გავიხსენოთ, თუ რას გულისხმობს „თანაზომიერების“ ანალიზი:

როგორც ვიცით, იგი გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში იმის შეფასებას, თუ რამდენად აუცილებელი იყო დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად უფლებაში სწორედ ისეთი ჩარევა, რაც შესაბამისმა ეროვნულმა სახელმწიფომ განახორციელა. ანუ, რამდენად აუცილებელი იყო სწორედ იმ შემზღუდველი ღონისძიების გამოყენება მიზნის მისაღწევად, რომელიც გამოყენებული იყო.

ვუპასუხოთ ამ ძირითად კითხვას – **როდისაა შემზღუდველი ღონისძიება აუცილებელი დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად?**

ცნობილია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის მიხედვით, შემზღუდველი ღონისძიება შემდეგ სამ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს:

1) ის პირდაპირ და რაც შეიძლება კონკრეტულად უნდა ემსახურობდეს დასახული კანონიერი მიზნის მიღწევას (ეს იმას გულისხმობს, რომ შემზღუდველი

ღონისძიება უშუალოდ, რაციონალურად და არა აბსტრაქტულად და მოჩვენებითად უნდა უკავშირდებოდეს შესაბამისი კანონიერი ინტერესის დაცვას).

2) შემზღვეველი ღონისძიება უნდა იყოს თანაზომიერი და არა ექსცესიური (ამისათვის კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული რეალური ან შესაძლებელი ზიანი შეფასებული უნდა იქნეს არა აბსოლუტურ განზომილებაში (როგორც ეს „შეზღვევის აუცილებლობის“ შეფასებისას ხდება), არამედ შეფარდებითში – უფლებაში ჩარევის ხარისხთან მიმართებაში. უფრო ზუსტად: შეფასებული უნდა იქნეს უფლებაში ჩარევის ხარისხი იმ ზიანთან შედარებით, რომელიც მან გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია, თუკი არ მოხდებოდა მისი შეზღვევა. საერთო მიდგომა ასეთია: რაც უფრო მაღალია უფლების შეზღვევის ხარისხი, მით მეტი უნდა იყოს კანონიერი ინტერესის თავისთავადი მნიშვნელობა და ზიანი, რომელიც მან განიცადა ან შეეძლო განეცადა).

3) შემზღვეველი ღონისძიება უნდა იყოს გონივრული. ის რაც შეიძლება უფრო ნაკლებად უნდა ზღუდავდეს უფლებას (აქ ის იგულისხმება, რომ თუ არსებობს ალტერნატიული საშუალებები მიზანთა მისაღწევად, მათ შორის უნდა შეირჩეს ყველაზე უფრო ნაკლებად შემზღვეველი).

თუნდაც ჩვენს მიერ ზემოთ გაკეთებულ აქცენტებზე დაყრდნობით, მკითხველი შეძლებს შეფასების ამ სამივე მიმართებაში თავადაც ამოიცნოს ის „ლოგიკური წყვილები“, რომელთა შორისაც მიზეზობრიობის ჯაჭვი შეიძლება გაიბას. „თანაზომიერების“ შეფასების სამივე მიმართება სრულიად სხვადასხვა გარემოებებს აწყვილებს ლოგიკურად და, მთლიანობაში, იგი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ფართო ლოგიკური სივრცე, სადაც მიზეზობრიობის ჯაჭვები სხვადასხვა მიმართულებითაა გაბმული და ერთ წერტილში გადაკვეთილი. ეს წერტილი კი სიმბოლური მაჩვენებელია სამივე პირობის დაცულობისა.

აღსანიშნავია, რომ შეფასების ამ ეტაპზე გამოვლინდა გარემოებათა **ახალი „ლოგიკური წყვილი“**, რომლებიც მიზეზობრიობის ჯაჭვით არიან დაკავშირებულნი.

თუ შეფასების პირველ და მეორე ეტაპებზე მიზეზობრიობის ჯაჭვი უფლების განხორციელებასა და კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენებას აკავშირებდა ერთმანეთთან, აქ **შემზღვეველ ღონისძიებასა და დასახული კანონიერი მიზნის მიღწევას** შორის დგება ასეთი კავშირის დადგენის საკითხი, თანაც ორ კონტექსტში.

პირველი კონტექსტი თავისთავად იმას უკავშირდება, რომ შემზღვეველი ღონისძიება უშუალოდ, რაციონალურად და არა აბსტრაქტულად და მოჩვენებითად უნდა უკავშირდებოდეს შესაბამისი კანონიერი ინტერესის დაცვას. ასეთი კავშირის არსებობა იმას გულისხმობს, რომ გამოყენებულ შემზღვეველ ღონისძიებას პოტენციურად უნდა შეეძლოს შესაბამისი კანონიერი ინტერესის დაცვას მოემსახუროს. ეს, მიზეზობრივი კავშირის დადგენის დაახლოებით ისეთივე მიმართებაა, რაც შეფასების პირველ ეტაპზე არსებობდა. განსხვავება ისაა, რომ იქ გარემოებათა სხვა „ლოგიკურ წყვილთან“ გვქონდა საქმე და უნდა გარკვეულიყო, შეეძლო თუ არა პოტენციურად უფლების განხორციელებას ზიანი მიეყენებინა

შესაბამისი კანონიერი ინტერესისათვის. აქ კი ის უნდა გაირკვეს, შეუძლია თუ არა შემზღვეველ ღონისძიებას, პოტენციურად ამავე ინტერესის დაცვას მოემსახუროს.

ცხადია, რომ აქაც, ისევე, როგორც შეფასების პირველ ეტაპზე, რაკილა ჰიპოთეტიურ სფეროში ვიმყოფებოდით, მსჯელობა მხოლოდ ცოდნასა და ზოგად კანონზომიერებებს ემყარება და შესაბამის კანონიერ ინტერესზე მოცემული შემზღვეველი ღონისძიების ეფექტის ტიპიურობისა და ადეკვატურობის განსაზღვრას გულისხმობს. ასეთი ჰიპოთეტიური მიზეზობრივი კავშირის დადგენა კი მხოლოდ ადეკვატური თეორიის ხელვის კუთხეს შეესაბამება.

მეორე კონტექსტი უკვე შემზღვეველი ღონისძიების აუცილებლობის და თანაზომიერების შეფასებას უკავშირდება. შემზღვეველ ღონისძიებას არა მარტო პოტენციურად უნდა შეეძლოს შესაბამისი ინტერესის დაცვას მოემსახუროს, არამედ დანამდვილებით. შესაბამისად მატულობს მიზეზობრივი კავშირის გრადაციულობის მაღალი ხარისხით დასაბუთების აუცილებლობა.

თუ შემზღვეველი ღონისძიება აუცილებელია დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი შემზღვეველი ღონისძიების გამოყენებასა და დასახული კანონიერი მიზნის მიღწევას შორის.

იმისდა მიხედვით, თუ შესაბამის შემთხვევაში რა შეიძლება იქნეს მიჩნეული „მიზნის მიღწევად“, შეიცვლება შემზღვეველი ღონისძიების აუცილებლობის დასაბუთების შინაარსიც. თუ უფლების განხორციელების შედეგად კანონიერი ინტერესი რეალურად დაზარალდა, „მიზნის მიღწევაში“ შეიძლება იგულისხმებოდეს ზიანის შემცირება, გამოსწორება, შეძგომი ზიანის აღკვეთა ან პროფილაქტიკა (კერძო და ზოგადი პრევენციის მეშვეობით), ანდა მორალური თუ სხვაგვარი კომპენსაცია და სხვა. მაგალითად, როდესაც შელახულია პიროვნების რეპუტაცია პრესის პუბლიკაციის შედეგად, სასამართლოს ბრძანება ცილისწამების გამეორების აკრძალვისა, ემსახურება ცილისწამების მსხვერპლის დარღვეული უფლების აღდგენა-გამოსწორებასა და მორალურ კომპენსაციას. როდესაც პოტენციურ ზიანთან გვაქვს საქმე, ასეთ დროს, შემზღვეველი ღონისძიების მთავარი დანიშნულება მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაა.

ამიტომ, როდესაც შემზღვეველი ღონისძიების აუცილებლობა დგინდება, უნდა შემოწმდეს, მიღწეულია თუ არა მიზანი და არის თუ არა ეს სწორედ ამ შემზღვეველი ღონისძიების გამოყენების შედეგი.

მაგრამ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო აშკარა საჭიროება მიზეზობრივი კავშირის დასაბუთებისა უკავშირდება უფლების წინასწარი შეზღვევის ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემზღვეველი ღონისძიება, პირველ რიგში, მიზნად უნდა ისახავდეს კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას. ამ დროს **აუცილებლად უნდა დადგინდეს, იქნა თუ არა უფლების შეზღვევით აცილებული ის ზიანი, რომელიც უფლების განხორციელებას ობიექტურად შეეძლო გამოეწვია.**

მაგრამ შემზღვეველი ღონისძიების „თანაზომიერების“ შეფასება მხოლოდ ამ საკითხების გარკვევით არ ამოიწურება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ღონისძიება რაც შეიძლება უფრო ნაკლებად უნდა ზღუდავდეს უფლებას, მაგრამ იმავდროულად, იგი რა თქმა უნდა, შესაბამისი კანონიერი მიზნის მიღწევასაც უნდა უზრუნველყოფდეს. **მაშასადამე აუცილებელია დადგინდეს, რომ გამოყენებული ღონისძიება წარმოადგენდა უფლების ყველაზე უფრო ნაკლებად შემზღუდველს იმ ალტერნატიულ ღონისძიებათა შორის, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იყო მიზნის მიღწევა.**

როგორც ვხედავთ, „თანაზომიერების“ შეფასების ეტაპზე, საბოლოო ჯამში ოთხი მიმართება გამოიკვეთა:

1) სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რა შედეგი შეეძლო ობიექტურად გამოეწვია უფლების განხორციელებას, რათა მისი საშუალებით განსაზღვროს, შესაძლებელი იყო თუ არა გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიებით მისი აცილება;

– მაშასადამე, დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი უფლების განხორციელებასა და პოტენციურ ზიანს შორის (რასაც შეფასების პირველ ეტაპზეც ახდენს).

2) სასამართლომ უნდა დაადგინოს, შესაძლებელი იყო თუ არა დასახული მიზნის მიღწევა გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიების გზით;

– მაშასადამე, დაადგინოს სავარაუდო (ჰიპოთეტიური) მიზეზობრივი კავშირი შემზღუდველი ღონისძიების გამოყენებასა და დასახული მიზნის მიღწევას შორის;

3) სასამართლომ უნდა დაადგინოს, მართლაც მიღწეული იქნა თუ არა ეს მიზანი ამ შემზღუდველი ღონისძიების გამოყენებით;

– მაშასადამე, დაადგინოს მიზეზობრივი კავშირი შემზღუდველი ღონისძიების გამოყენებასა და მიზნის რეალურად მიღწევას შორის;

4) სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ ამ მიზნის მიღწევა სხვა, უფლების ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიებებით, შეუძლებელი იყო.

– მაშასადამე, გამორიცხოს სავარაუდო (ჰიპოთეტიური) მიზეზობრივი კავშირი ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიების გამოყენებასა და მიზნის მიღწევას შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ შეფასების მესამე ეტაპი („თანაზომიერების“ შეფასება) „მიზეზობრივი კავშირის“ დადგენის სხვადასხვაგვარ მიმართებებს მოიცავს. მათ შორის უმთავრესია ასეთი კავშირის დადგენა „შემზღუდველ ღონისძიებასა“ და „დასახული კანონიერი მიზნის მიღწევას“ შორის. მისი დადგენის საჭიროება კი განსაკუთრებით მატულობს ისეთ შემთხვევებში, როდესაც შემზღუდველი ღონისძიების გამოყენება პოტენციური ზიანის აღკვეთას ემსახურება.

ევროპული სასამართლოს განჩინებები მართლაც რომ „შესაბამისი და საკმარისი საფუძველია“ ამ ლოგიკური დასკვნის გასაკეთებლად.

პრაქტიკა მოწმობს, რომ შემზღუდველი ღონისძიების არათანაზომიერება ძალზე ხშირად კონვენციის შესაბამისი მუხლის დარღვეულად ცნობის საფუძველი.

„მიზეზობრივი კავშირის“ თემიდან გამომდინარე, ჩვენი ინტერესი კონცენტრირებული იყო შემთხვევებზე, სადაც კონვენციის დარღვეულად ცნობა ექსცესიური ღონისძიებების გამოყენებამ ან იმ გარემოებამ განაპირობა, რომ შემზღვეველი ღონისძიება ამა თუ იმ მიზეზით არ ემსახურებოდა დასახული კანონიერი მიზნის მიღწევას.

საინტერესო შემთხვევაა საქმე *Vogt v. Germany*. ამ საქმეში უფლების შემზღვეველი ღონისძიება არ მიიჩნეის აუცილებლად სწორედ იმის გამო, რომ იგი არ იყო პირდაპირ და რაციონალურ კავშირში იმ საჯარო ინტერესის დაცვასთან, რისთვისაც ის გამოიყენეს.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ კომუნისტი მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება სახელმწიფო მოხელისათვის სავალდებულო პოლიტიკური ლოიალობის პრინციპის დაუცველობისათვის, არ იყო აუცილებელი, ვინაიდან მისი თანამდებობა (ენის მასწავლებელი) არ იყო უშუალოდ დაკავშირებული ეროვნული უშიშროების რაიმე საფრთხესთან; მით უმეტეს, რომ არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ იგი ანტიკონსტიტუციურ საქმიანობას ეწეოდა ან მავნე გავლენას ახდენდა მოწაფეებზე – არ არსებობდა.¹⁴

საგულისხმოა: ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ მასწავლებლის მხრიდან „პოლიტიკური ლოიალობის“ პრინციპის დაუცველობა უქმნიდა პოტენციურ საფრთხეს „უწესრიგობის თავიდან აცილებისა“ და „ეროვნული უშიშროების“ ინტერესებს, მაგრამ, სამაგიეროდ, არ მიიჩნია, რომ საკუთრივ „შემზღვეველი ღონისძიება“ (სამსახურიდან გათავისუფლება) ამ მიზნებთან რაციონალურად იყო დაკავშირებული. ვინაიდან მასწავლებლის სამსახურებრივი საქმიანობა არ ქმნიდა გარკვეულ საფრთხეს ამ მიზნებისათვის, ამიტომ ვერც მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოემსახურებოდა პოტენციური ზიანის აღკვეთას.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ საქმის განხილვისას ევროპულმა სასამართლომ, სულ მცირე, სამჯერ იმსჯელა მიზეზობრივი კავშირის შესახებ და სამივეჯერ საერთო კანონზომიერებებზე დაყრდნობით:

პირველად მაშინ, როდესაც აღიარა, რომ „პოლიტიკური ლოიალობის“ პრინციპის დაუცველობა საზოგადოდ ქმნიდა პოტენციურ საფრთხეს ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის.

მეორედ მაშინ, როდესაც დაადგინა, რომ მასწავლებლის თანამდებობა და სამსახურებრივი საქმიანობა საზოგადოდ არ ქმნიდა რაიმე საფრთხეს ამ ინტერესებისათვის.

მესამედ მაშინ, როდესაც დაადგინა, რომ შემზღვეველი ღონისძიება არ იყო რაციონალურად დაკავშირებული შესაბამისი კანონიერი მიზნის დაცვასთან და ამიტომ ვერ მოემსახურებოდა პოტენციური ზიანის აღკვეთას.

ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული ორი საქმე კი (რომლებიც აკრძალვის შემდეგ ხელახლა დაბეჭდილ და გავრცელებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას

¹⁴ *Vogt v. Germany*, judgment of 26 September 1995.

შეეხებოდა)¹⁵ სხვაგვარი შემთხვევის თვალსაჩინოებაა. სასამართლომ შემზღუდველ ღონისძიებათა „აუცილებლობა“ სწორედ იმიტომ უარყო, რომ მათ აღარ შეეძლოთ არც უკვე მიყენებული ზიანის აღკვეთა და არც შემდგომი სხვა (პოტენციური) ზიანის თავიდან აცილება. ამიტომაც, მათი გამოყენება ვეღარ მოემსახურებოდა შესაბამისი ინტერესების დაცვას.

* * *

ვფიქრობ, ყოველივე ზემოაღნიშნული ნათელი დადასტურებაა შემდეგი დასკვნის მართებულებისა:

იმის დადგენა, იყო თუ არა საჯარო ან სხვა პირთა უფლებების დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეღუპვა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, შეფასების სამივე ეტაპზე თავისთავად წარმოშობს „მიზეზობრივი კავშირის“ სრულიად სხვადასხვაგვარ მიმართებებს, რომლებიც ასეთი კავშირის დადასტურებას ან უარყოფას საჭიროებენ შესაბამის სამართლებრივ საკითხთა გადასაწყვეტად.

სხვადასხვა მიმართებებში მიზეზობრივი კავშირის დადგენის საჭიროება, მიზანდასახულობა, სამართლებრივი დატვირთვა და მისი ზეგავლენის ხარისხი კონვენციის დარღვევის აღიარებისა და უარყოფის საქმეში განსხვავებულია.

ამის მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო ჯამში, „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის გამოყენების როლი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონვენციასთან შესაბამისობის შემოწმების სფეროში უმნიშვნელოვანესია და გადამწყვეტი.

¹⁵ *Vereniging Weekblad Bluf! v. the Netherlands*, judgment of 9 February 1990. *Observer and Guardian v. the UK*, judgment of 11 November 1991.

§12.4. სამართო ხასიათის ძირითადი დანაკარგები

1. ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მიზეზობრივი კავშირის თემის აქტუალურობის მთავარი მაჩვენებელი ის არის, რომ კონვენციის დარღვევისათვის ხელშემკვრელი სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, ფაქტობრივად ობიექტური შერაცხვის პრინციპი მოქმედებს. მთავარია დადგინდეს, რომ უფლების დარღვევა სახელმწიფოს მიერ ამ უფლების დაცვის პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულების შეუსრულებლობამ განაპირობა; ხოლო სახელმწიფოს „ბრალის“ დამტკიცება საჭირო არ არის. შესაბამისად, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ვალდებულებების შეუსრულებლობასა და უფლების დარღვევას შორის მიზეზობრივ კავშირს ემყარება. ამიტომ, მისი უარყოფა, არსებითად, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის არამართო ობიექტური, არამედ ყოველგვარი საფუძვლის არსებობის აუცილებლობის უარყოფის ტოლფასია.

მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობასა და უფლების დარღვევას შორის გახლავთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მიზეზობრივი კავშირის ძირითადი მიმართება.

თუმცა, მიზეზობრივი კავშირის საგანგებოდ შემოწმება (ამ მიმართებაში) ყოველთვის თანაბრად აქტუალური არ არის. ამას ძირითადად ორი გარემოება განსაზღვრავს: რა უფლებასთან გვაქვს საქმე და როგორია ხელყოფის ხასიათი – პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

არაპირდაპირი ხელყოფის დროს (რაც პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს უფრო ხშირია), იმის მიუხედავად, თუ რა უფლებასთან გვაქვს საქმე, მიზეზობრივი კავშირის შემოწმება ყოველთვის მნიშვნელოვანია. მაშინ, როდესაც პირდაპირი ხელყოფის დროს (რაც ნეგატიური ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევებისათვისაა დამახასიათებელი), მიზეზობრივი კავშირის შემოწმება ყოველთვის აუცილებელი არ არის. კერძოდ, აბსოლუტურ უფლებათა ხელყოფის დროს, ვინაიდან ნებისმიერი „ჩარევა“ უფლების დარღვევის ტოლფასია, მიზეზობრივი კავშირი ისედაც ცხადია. მაგრამ ისეთ უფლებებთან მიმართებაში, რომლებიც გარკვეულ პირობებში შეზღუდვებს ექვემდებარებიან და ევროპული ზედამხედველობის შინაარსი უფლებათა შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებით გამოიხატება, მიზეზობრივი კავშირის შემოწმება ასეთ დროს, პირიქით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

2. ევროპული ზედამხედველობის განხორციელების პროცესში წარმოიშობა მიზეზობრივი კავშირის მრავალი სხვა, მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი მიმართება. მისი აქტუალურობა ზოგჯერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ამა თუ იმ მუხლიდან პირდაპირ გამოსჭვივის, ზოგჯერ კი მისი აუცილებლობა შესაბამისი მუხლის დარღვევის აღიარებისა თუ უარყოფის ორდინარული ლოგიკიდან ბუნებრივად გამომდინარეობს.

სრულიად სხვადასხვაგვარია განსხვავებულ შემთხვევებში მიზეზობრივი კავშირის დადგენის სამართლებრივი დატვირთვა. ზოგჯერ ამა თუ იმ გარემოებებს

შორის ასეთი კავშირის არსებობა პირდაპირ გავლენას ვერ ახდენს კონვენციის ამა თუ იმ მუხლის დარღვევის აღიარებასა ან უარყოფაზე და მხოლოდ სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში იძენს სამართლებრივ დატვირთვას. ზოგჯერ პირიქით, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების დარღვევის თაობაზე საბოლოო თუ შუალედური დასკვნების გაკეთებისათვის. მაგრამ მისი როლი სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ობიექტური და ლოგიკური საყრდენის შექმნაში ყოველთვის ცხადია და შეუცვლელი.

3. ჩვენი შეხედულებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის ფართო გამოყენებადობის მაჩვენებელი და იმავდროულად მისი სპეციფიკა ის არის, რომ:

ა) განსხვავებულ შემთხვევებში აუცილებელი ხდება მიზეზობრივი კავშირის დადგენა არა მარტო რეალური ზიანის ან მისი გამოწვევის კონკრეტულ საფრთხესთან მიმართებაში, არამედ ზოგჯერ ზიანის აბსტრაქტულ საფრთხესთან მიმართებაშიც.

გ) იგი თანაბრად შეეხება როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ გარემოებებს, თანაბრად მოიცავს როგორც ობიექტური სინამდვილის, ისე შესაძლებლობის (ჰიპოთეტიურ) სფეროს, რის გამოც მიზეზობრივი კავშირის დადგენას ხან რეტროსპექტული ხასიათი აქვს, ხან კი – პროსპექტული.

შესაძლებლობის (ჰიპოთეტიურ) სფეროს ისეთი შემთხვევები განეკუთვნება, როდესაც უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი არა სინამდვილის ორ ხლომილებას შორის (ანუ *post factum*), არამედ, როდესაც უნდა შემოწმდეს შესაძლო (ჰიპოთეტიური) მიზეზობრივი კავშირი შესაძლო ხლომილებასთან მიმართებაში.

შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ რა საკითხის დასაბუთება ხდება, სხვადასხვაა გარემოებათა ის პირობითი „ლოგიკური წყვილები“, რომელთა შორისაც უნდა გაიბას მიზეზობრივი ჯაჭვი.

ესენი შეიძლება იყოს:

ა) სინამდვილის ორი ფაქტი, ორი ხლომილება

ეს მიზეზობრივი კავშირის დადგენის შედარებით მარტივი ფორმაა და ძირითადად ქმედებასა და რეალურ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემთხვევებს მოიცავს (მაგალითად, უფლების განხორციელებასა და საჯარო ინტერესისათვის ზიანის მიყენებას, ანდა სახელმწიფოს ღონისძიებასა და ინდივიდისათვის მიყენებულ ზიანს შორის).

ბ) ფაქტი და შესაძლო ხლომილება

აქ „შესაძლო (ჰიპოთეტიური) მიზეზობრივი კავშირის“ დადგენასთან გვაქვს საქმე და სხვადასხვა შემთხვევებს უკავშირდება. მაგალითად, როდესაც უნდა

დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი „უფლების განხორციელებასა“ და პოტენციურ ზიანს შორის. ამ დროს იმის დადგენა კი არ ხდება, მართლაც გამოიწვია თუ არა უფლების განხორციელებამ ზიანი, არამედ იმისა, შეეძლო თუ არა მას ზიანის გამოწვევა საერთოდ.

გ) ფაქტი და შესაძლო ხლომილების არგანხორციელება

ესეც ჰიპოთეტური სფეროს განეკუთვნება და სხვადასხვა მიმართებებს მოიცავს. მაგალითად, როდესაც უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი „უფლების შემზღუდველ ღონისძიებასა“ და პოტენციური ზიანის აღკვეთას შორის. ასეთ დროს იმის გარკვევა კი არ ხდება, მართლაც აცილებული იქნა თუ არა პოტენციური ზიანი შემზღუდველი ღონისძიების გამოყენებით, არამედ იმისა, გულისხმობდა თუ არა შემზღუდველი ღონისძიება შესაძლო ზიანის თავიდან აცილების უნარს.

დ) ორი შესაძლო ხლომილება

ასეთი „ლოგიკური წყვილი“ (რომლის ორივე კომპონენტი ჰიპოთეტურია) მხოლოდ სამ მიმართებაში გამოვლინდა.

პირველი შემთხვევა შემზღუდველი ღონისძიების „თანაზომიერების“ შეფასებას, კერძოდ კი იმის დადგენას უკავშირდება, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ღონისძიება ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი იყო იმ ალტერნატიულ ღონისძიებათა შორის, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იყო კანონიერი მიზნის მიღწევა. ამ დროს საკმარისი არ არის იმის დამტკიცება, რომ გამოყენებული ღონისძიების შედეგად შესაძლებელი იყო მიზნის მიღწევა. **დამატებით ისიც უნდა დადგინდეს, რომ სხვა ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიებებით იგივე მიზანი მიუღწევადი იყო.**

მეორე შემთხვევა გამოყენებული ძალის „აბსოლუტური აუცილებლობის“ შეფასების ერთ-ერთი ასპექტია (მე-2 მ.). აქაც დაახლოებით იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე: საკმარისი არ არის მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ გამოყენებული ძალის შედეგად დანამდვილებით შეიძლებოდა მიღწეულიყო კონვენციის მე-2 მუხლში მითითებული რომელიმე კანონიერი მიზანი. **დამატებით იმის დამტკიცებაც აუცილებელია, რომ ამ მიზნის მიღწევა სხვა საშუალებებით ან ნაკლები ძალის გამოყენებით შეუძლებელი იყო.**

მესამე შემთხვევა უკავშირდება პუბლიკაციის წინასწარ აკრძალვას (მე-10 მ.). ასეთ დროს აუცილებელია დადგინდეს, რომ პუბლიკაცია, თუ ის არ აიკრძალებოდა ნამდვილად (ან დიდი ალბათობით) გამოიწვევდა ზიანს ან შექმნიდა მის კონკრეტულ საფრთხეს.

ე) ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივი გარემოება.

ასეთ „ლოგიკურ წყვილთან“ საქმე გვაქვს მაგალითად მაშინ, როდესაც დისკრიმინაციის საქმეზე უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი დაზარალებულის რასობრივ, რელიგიურ ან სხვა კუთვნილებასა (ფაქტობრივი გარემოება) და კონვენციით გათვალისწინებული მისი რომელიმე უფლების დარღვევას (სამართლებრივი გარემოება) შორის.

ე) ორი სამართლებრივი გარემოება

ასეთი „ლოგიკური წყვილი“ ყალიბდება ყოველთვის, როდესაც უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი „უფლების დარღვევას“ და სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების დაცვის „პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობას“ შორის.

4. სხვადასხვა შემთხვევაში, გადასაწყვეტ საკითხთა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, განსხვავებულია მიზეზობრივი კავშირის შემოწმების მიზანდასახულობა, უშუალო ამოცანა და მიზეზობრივი კავშირის დადგენილად მიჩნევის აუცილებელი მინიმალური სტანდარტი.

– ზოგჯერ საკმარისია იმის დამტკიცება, რომ მიზეზობრივი კავშირი გამორიცხული არ არის (მაგალითად, როდესაც უნდა შეფასდეს, შეეძლო თუ არა უფლების განხორციელებას ზიანი მიყენებინა შესაბამისი კანონიერი ინტერესისათვის, საკმარისია იმის დამტკიცება, რომ ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არ იყო).

– ზოგჯერ თავისთავად მიზეზობრივი კავშირის დამტკიცებაა საჭირო, ანუ ისეთი ობიექტური კავშირის დადგენა, რომ ერთი გარემოება წარმოადგენდა მეორის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც იგი არ იარსებებდა (მაგალითად, როდესაც უნდა დამტკიცდეს, რომ ინდივიდური უფლების დარღვევა სახელმწიფოს მიერ ამ უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობამ გამოიწვია. ამ დროს უნდა დამტკიცდეს, რომ თუ სახელმწიფო ამ ვალდებულებებს შეასრულებდა, უფლების დარღვევა თავიდან იქნებოდა აცილებული).

– ზოგჯერ თავისთავად მიზეზობრივი კავშირის არსებობის ფაქტი საკმარისი არ არის და აუცილებლადაა მიჩნეული მყარი, მაღალი ინტენსიურობის მქონე მიზეზობრივი კავშირი (მაგალითად, კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებაში, იმისათვის, რათა მომჩივნის მიერ სახელმწიფოსაგან მოთხოვილი ღონისძიება მიჩნეულ იქნას პოზიტიურ ვალდებულებად, აუცილებელია არსებობდეს პირდაპირი და უშუალო კავშირი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობასა და იმ ღონისძიებას შორის, რომლის გატარებასაც მოითხოვდა მომჩივანი).

– ზოგჯერ კი ასეთი (მაღალი ინტენსიურობის მქონე) მიზეზობრივი კავშირის არსებობაც არ არის საკმარისი და აუცილებელი ხდება იმავე გარემოებებთან სხვა გარემოებების მიზეზობრივი კავშირი გამოირიცხოს, რათა უფლების ამა თუ იმ შეზღუდვის ობიექტური საფუძველი დამტკიცდეს.

5. მიზეზობრივი კავშირის აქტუალურობა ყველაზე უფრო აშკარად გამოიკვეთა კონვენციის იმ მუხლებთან მიმართებაში, რომლებშიც პირდაპირ არის მითითებული ანდა ნაგულისხმები ესა თუ ის „პირობა“, ანდა სადაც ესა თუ ის „პირობა“ საკუთრივ ამა თუ იმ მუხლის დარღვევის დასაბუთების ორდინარულ ლოგიკაში იგულისხმება. სწორედ ასეთი პირობების დაცულობის შემოწმების პროცესი აღმოჩნდა ის ლოგიკური სივრცე, სადაც სხვადასხვა გარემოებებს შორის

ობიექტური და რაციონალური კავშირების დადგენამ (მეტი თუ ნაკლები ხარისხით) პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინა შესაბამისი მუხლის დარღვევის უარყოფისა თუ აღიარებისათვის.

შესაბამისად გამოიკვეთა მიზეზობრივი კავშირის გამოყენებადობის სხვადასხვა არეალი.

ა) ყველაზე უფრო ფართო არეალი ამ კონცეფციის გამოყენებისა უკავშირდება კონვენციის იმ მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებენ საჯარო ან ხვა პირთა ინტერესების დასაცავად უფლების შეზღუდვას, გამონაკლისების დაშვებას ან მათგან უკანდახევას შესაბამის პირობებში (კონვენციის მე-2, მე-6, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-15 მუხლები, 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი, მე-4 ოქმის მე-2 მუხლი, მე-2 ოქმის 1-ლი მუხლი).

ასეთ დროს მიზეზობრივი კავშირის დადგენა უშუალოდ ემსახურება ამ პირობათა დაცულობის შემოწმებას, ანუ უფლებათა შეზღუდვის, გამონაკლისებისა და უკანდახვევის გამართლებულობის შეფასებას (კონვენციის გაგებით) და ამდენად, არსებით გავლენას ახდენს კონვენციის შესაბამისი მუხლის დარღვევის აღიარებასა თუ უარყოფაზე.

მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ამ პირობებში გამოყენებულია სხვადასხვა შეფასებითი ცნებები და ფრაზები (როგორცაა „აუცილებელი“, „მკაცრად აუცილებელი“, „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, „განპირობებული“, „აბსოლუტურად აუცილებელი“, „რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე“ და სხვ.), შესაბამისად გართულებულია მიზეზობრივი კავშირის შემოწმების პროცესი და ის შეფარდებითი განზომილებებისადმი დაქვემდებარებას თხოულობს. ამის გამო, განსხვავებულია სხვადასხვა მიმართებებში მიზეზობრივი კავშირის დადგენის საჭიროება, მიზანდასახულობა, მისი სამართლებრივი დატვირთვა და ასეთი კავშირის დადგენილად მიჩნევის აუცილებელი და შესატყვისი მინიმალური სტანდარტებიც.

გამოიკვეთა საინტერესო დინამიკა. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტია კონვენციის შესაბამის მუხლში ნაგულისხმები „აუცილებლობის“ ხარისხი, მით უფრო მეტია შესატყვის გარემოებებს შორის ობიექტური კავშირის დასაბუთების საჭიროებაც და ასეთი კავშირის დადგენილად მიჩნევის შესატყვისი სტანდარტიც.

შესაბამისად, მტკიცების ყველაზე მაღალი სტანდარტი შესატყვისია „აბსოლუტური აუცილებლობისათვის“, ყველაზე დაბალი კი ისეთი შეფასებითი ცნებისათვის, როგორცაა „განპირობებული“ მე-7 ოქმის 1-ლი (2) მუხლის კონტექსტში.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული შეფასებითი კატეგორიების შემცველი პირობების დაცულობის შემოწმება „მიზეზობრივი კავშირის“ საშუალებით, ერთადერთი სწორი გზაა იმისათვის, რათა მყარი ობიექტური საფუძველი გააჩნდეს სასამართლოს ნებისმიერი დასკვნას იმის თაობაზე, იყო თუ არა უფლების შეზღუდვა, მათგან უკანდახვევა ანდა დაშვებული გამონაკლისი „გამართლებული“ შესაბამისი საჯარო თუ სხვა პირთა უფლებების დაცვის ინტერესით.

მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „აბსოლუტური აუცილებლობის“ შეფასებას, ვინაიდან იგი სიცოცხლის უფლებას უკავშირდება. მხოლოდ პიროვნების მიმართ გამოყენებული ძალისა და კონვენციის მე-2 მუხლში ჩამოთვლილ კანონიერ მიზანთა მიღწევას შორის მიზეზობრივი კავშირის უტყუარად დადგენის გზით შეიძლება დადგინდეს, რომ ადამიანის მიმართ ძალის გამოყენება, რამაც მისი მოკვდინება გამოიწვია, შესაბამის შემთხვევაში წარმოადგენდა მართლზომიერ აქტს.

ერთი შეხედვით, პარადოქსადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს ის გარემოება, რომ „მიზეზობრივი კავშირის“ ლოგიკისათვის დამახასიათებელი სიზუსტე და სიცხადე სწორედ „შეფასებითი მსჯელობასთან“ მიმართებაში აღმოჩნდა შესატყვისი და აღეკვატური.

ბ) „მიზეზობრივი კავშირის კონცეფციის გამოყენების ერთ-ერთი ფართო სფერო უკავშირდება სახელმწიფოთა მიერ უფლების დაცვის „პოზიტიურ ვალდებულებათა შეუსრულებლობას“. ასეთ დროს აუცილებელი ხდება მიზეზობრივი კავშირის დადგენა სახელმწიფოს მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობასა და უფლების დარღვევას შორის, რათა აღიარებულ იქნეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი დარღვევისათვის.

გ) სპეციფიკური შემთხვევაა დისკრიმინაციის მუხლი (მე-14), ვინაიდან მიზეზობრივი კავშირი (ჩვენი რწმენით) აქ წარმოადგენს აკრძალვის ფორმით ჩამოყალიბებული ამ უფლების შინაარსის აუცილებელ კომპონენტსა და მის სამართლებრივ მახასიათებელს, შეიძლება ითქვას – დისკრიმინაციის დამაფუძნებელ ნიშანს.

ამ მუხლის კონტექსტში მიზეზობრივი კავშირის დადგენა ადამიანის ამა თუ იმ სტატუსსა და კონვენციით გათვალისწინებულ რომელიმე უფლების დარღვევას შორის ერთადერთი გზაა იმის დასადგენად, იქონია თუ არა გავლენა მისმა სტატუსმა უფლების დარღვევაზე და, მაშასადამე, იმავდროულად წარმოადგენდა თუ არა მისი უფლების დარღვევა დისკრიმინაციასაც.

დ) „მიზეზობრივი კავშირისათვის“ კარგად გამოკვეთილი სფეროა აგრეთვე პირის მიერ განცდილი სხვადასხვა მორალური თუ მატერიალური ზიანის მიმართება კონვენციით გათვალისწინებულ მისი უფლების დარღვევასთან. ასეთ დროს მიზეზობრივი კავშირის დადგენა სახელმწიფოს მოქმედებასა და მის მიერ განცდილ ზიანს, ისევე, როგორც უფლების დარღვევასა და სხვა იმ ზიანს შორის, რომელსაც დაზარალებული მისი უფლების დარღვევის შედეგად მიიჩნევს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე ამ პირისათვის „სამართლიანი დაკმაყოფილების“ განსაზღვრისათვის.

ე) აგრეთვე აშკარაა მიზეზობრივი კავშირის აქტუალურობა კონვენციის ორი სხვადასხვა მუხლის (ერთობლივად და არა ცალ-ცალკე) დარღვევის აღიარების, „კონვენციის დარღვევის მსხვერპლის სტატუსის“ განსაზღვრის, კონვენციასთან

საჩივრის საგნობრივი შეუთავსებლობის (*ratione materiae*) შეფასებისას და სხვა მიმართებებში.

6. იმის ცალსახად განსაზღვრა, თუ „მიზეზობრივი კავშირის“ როგორი გაგება უნდა იქნეს გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში – მინიმალისტური თუ მაქსიმალისტური, ანდა „მიზეზობრივი კავშირის“ რომელი კლასიკური თეორიით უნდა ვინელმძღვანელოთ, შეუძლებელია.

ერთი მხრივ იმის გამო, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში განიხილება სამართლის სრულიად სხვადასხვა დარგისათვის დამახასიათებელი საკითხები და, მეორე მხრივ, თავად ევროპული კონტროლის სპეციფიკიდან გამომდინარე (სუბსიდიურობის პრინციპი), რომელიმე მათგანისათვის სრული უპირატესობის მინიჭება გონივრული არ არის. მიზეზობრივი კავშირის სხვადასხვაგვარი მიმართებების ანალიზმა ცხადყო, რომ ამ თეორიებიდან არც ერთი მათგანი, ცალ-ცალკე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში უნივერსალურ საშუალებად არ გამოდგება თუნდაც ამ დარგის ტიპური სამართლებრივი პრობლემატიკის ჩარჩოებში.

უფრო მეტიც. აღმოჩნდა, რომ მიზეზობრივი კავშირის ამა თუ იმ მიმართებაში ესა თუ ის თეორია საერთოდ არ არის გამოყენებადი.

მაგალითად:

Conditio sine qua non ჰიპოთეტურ სფეროში გამოყენებადი არ არის.

როდესაც ხდება ჰიპოთეტური მიზეზობრივი კავშირის დადგენა, კერძოდ იმის განსაზღვრა, შეიძლო თუ არა (პოტენციურად) ერთ გარემოებას გამოეწვია მეორე და დასაბუთების ამოცანა მხოლოდ ამით ამოიწურება, შეუძლებელია დასკვნის გამოტანა ისეთი მსჯელობით, როგორსაც *conditio sine qua non* გულისხმობს. ეს წესი მხოლოდ სინამდვილის სფეროში, მხოლოდ რეალურ შედეგთან მიმართებაში შეიძლება გამოგვადგეს იმის დასადგენად, წარმოადგენდა თუ არა ესა თუ ის გარემოება აუცილებელ „მიზეზს“ „შედეგისა“, ურომლისოდაც იგი არ განხორციელდებოდა. მიზეზობრივი კავშირის ასეთი გაგება, თავისი შინაარსით მხოლოდ რეტროსპექტულია, „უკვე მომხდარის“ ანალიზია და ამიტომაც მხედველობაში იღებს ყველა გარემოებას, რომელიც რეალურად ჩაერთო მიზეზობრიობის ჯაჭვში და გამოიწვია ან არ გამოიწვია ესა თუ ის შედეგი, იმის მიუხედავად, იყო თუ არა ასეთი შედეგის დადგომა შესაბამის გარემოებებში ტიპური და კანონზომიერი.

ასე რომ, პრინციპი *conditio sine qua non* მხოლოდ სინამდვილის სფეროშია გამოსადეგი და მხოლოდ ხდომილებებს (ან სხვა ფაქტობრივ გარემოებას) შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

პოტენციურ შესაძლო (ანუ ჰიპოთეტურ) შედეგთან მიმართებაში უფრო შესატყვისი მიზეზობრივი კავშირის ადეკვატური თეორიაა. ასეთ შედეგთან მიმართებაში მიზეზობრივი კავშირის დადგენა, არსებითად, განსაზღვრული „შედეგის“ დადგომის შესაძლებლობის შეფასებას გულისხმობს, რომელიც შესაბამისი „მიზეზის“

პოტენციის შემოწმების მიხედვით განისაზღვრება. ასეთ დროს, რაკი შემოწმების უშუალო საგანი ის კი არ არის, გამოიწვია თუ არა შესაბამისმა „მიზეზმა“ შესაბამისი „შედეგი“, არამედ ის, როგორია ასეთი შედეგის მოსალოდნელობა საერთოდ, ცხადია, რომ შეფასება მხოლოდ ზოგად კანონზომიერებებს შეიძლება ემყარებოდეს და არა კონკრეტული შემთხვევის კონკრეტულ შედეგებს.

შესაბამისად, ჰიპოთეტური სფეროში, თუნდაც მხოლოდ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გამოყენებული უნდა იქნეს ადეკვატური თეორიის ის პრინციპული კონცეპტუალური დებულება, რომელიც შედეგთა ტიპიურობისა და ადეკვატურობის განსაზღვრას გულისხმობს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ასეთი შემოწმება განხორციელდეს არა რეალურ, არამედ ჰიპოთეტურ შედეგთან მიმართებაში.

სამაგიეროდ, აღმოჩნდა, რომ ადეკვატური თეორიის გამოყენება შეუძლებელია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მიზეზი ისეთი ფაქტობრივი გარემოებაა, რომელიც არ არის „ქმედება“. გაირკვა, რომ ტიპიური, ადეკვატური შედეგების გამოწვევის უნარი მხოლოდ ქმედებას (მოქმედებას ან უმოქმედობას) გააჩნია, რამდენადაც მას ობიექტურ სინამდვილეზე ზემოქმედების, მისი შეცვლის პოტენცია აქვს. ასეთი პოტენცია კი ყოველგვარ „მიზეზს“ არ გააჩნია. მაგალითად: დისკრიმინაციის საქმეებზე აუცილებელია დადგინდეს, იყო თუ არა დაზარალებულის რასობრივი, სოციალური თუ სხვა კუთვნილება აუცილებელი პირობა კონვენციით გათვალისწინებული მისი რომელიმე უფლების დარღვევისა. ცხადია, რომ „დაზარალებულის კუთვნილება“ მხოლოდდამხოლოდ „ფაქტორია“ და ის არასდროს არ შეიძლება ადეკვატურად იწვევდეს მისივე უფლების დარღვევას. ისევე, როგორც „უფლების დარღვევა“ არასდროს არ არის და არც შეიძლება იყოს „ადეკვატური შედეგი“ დაზარალებულის ამა თუ იმ კუთვნილებისა. მაგრამ ეს ფაქტორი კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გახდეს აუცილებელი, მათ შორის გადამწყვეტი პირობა და, მაშასადამე, სრულფასოვანი მიზეზიც უფლების დარღვევისა.

ამიტომ აქ მხოლოდ *conditio sine qua non* წესის გამოყენებაა შესაძლებელი, რამდენადაც მხოლოდ იმის დადგენაა საჭირო, მართლაც წარმოადგენდა თუ არა შესაბამის კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულის ესა თუ ის კუთვნილება აუცილებელ პირობას მისი უფლების დარღვევისა.

7. რაც შეეხება საზოგადოდ იმას, თუ ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მიზეზობრივი კავშირის როგორი მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული – მინიმალისტური თუ მაქსიმალისტური, ჩვენი დასკვნა ასეთია – ზოგჯერ მინიმალისტური, ზოგჯერ მაქსიმალისტური.

როდესაც საკითხი შეეხება „ძირითად მიმართებას“, ანუ მიზეზობრივ კავშირს „სახელმწიფოს ვალდებულებების შეუსრულებლობასა“ და „უფლების დარღვევას“ შორის, ევროპულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს „სამართლებრივი მიზანშეწონილობით“. მან უნდა შეაფასოს, როგორი მიზეზობრივი კავშირის არსებობისას იქნება გამართლებული და გონივრული ამა თუ იმ „შედეგის“

სახელმწიფოსათვის შერაცხვა და ამ შედეგის გამო მისთვის საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

ასეთი სხვადასხვაგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მიზეზობრივი კავშირი („ვალდებულებების შეუსრულებლობასა“ და „უფლების დარღვევას“ შორის) სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ერთადერთი საყრდენია და ბრალეულობის მეშვეობით კორექციის შესაძლებლობა არ არსებობს. ამიტომ, პასუხისმგებლობის „გამართლებულობა“ გაცილებით მეტი ხარისხითაა იმაზე დამოკიდებული, მიზეზობრივი კავშირის როგორი სტანდარტი (მინიმალისტური თუ მაქსიმალისტური) იქნება გამოყენებული, ვიდრე სამართლის სხვა დარგებში, სადაც „მიზეზობრივ კავშირთან“ ერთად „ბრალეულობაც“ აუცილებელია პასუხისმგებლობისათვის.

საბოლოო ჯამში კი, ამა თუ იმ მიდგომის გამოყენება მიზეზობრივი კავშირის ამა თუ იმ განსხვავებულ მიმართებებში, **სალი აზრის** მიხედვით უნდა გადაწყდეს, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მიზეზობრივი კავშირის დადგენის მიზანდასახულობა და სამართლებრივი დატვირთვა კონვენციის დარღვევის აღიარებისა და უარყოფის დასაბუთების პროცესში, გადასაწყვეტი საკითხის იურიდიული ბუნება და ევროპული კონტროლის განხორციელების ამოცანები, რაც მთავარია, საკუთრივ „მიზეზობრივი კავშირის“ შესაბამისი მიმართების თავისებურებები.

* * *

ჩვენი საბოლოო **დასკვნა** და **რეკომენდაცია** ასეთია:

1. მართალია ადამიანის უფლებათა დაცვაზე საერთაშორისო კონტროლი არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელებას ორდინარული გაგებით და მისი უმთავრესი დანიშნულება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი პოლიტიკისა და სტანდარტების შემუშავება და დამკვიდრებაა, მაგრამ რადგან ამ ამოცანის შესრულება ყოველი კონკრეტული ინდივიდის კონკრეტული უფლების დაცულობის შემოწმებით მიიღწევა, ეს გარემოება სტრასბურგის სასამართლოს ავალდებულებს იზრუნოს, რათა მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ყოველი სასამართლო დავის გადაწყვეტა ემყარებოდეს მხოლოდ შესაბამისი საქმის ობიექტურ საფუძველს და სამართლიანი იყოს ორივე მხარესთან მიმართებაში. უფლების დარღვევის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაზღვრის ამოცანა არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ კონკრეტულ საქმეთა განხილვისას ევროპული სასამართლო ამოდიოდეს ამ სახელმწიფოში ამა თუ იმ უფლებათა დაცულობის საერთო მდგომარეობიდან, ამ მდგომარეობის გაუმჯობესების, სასურველი ტენდენციების დამკვიდრების, ანდა წმინდა პოლიტიკური ინტერესებიდან, თუკი შესაბამისი საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა ამის საშუალებას. საერთაშორისო სასამართლო ვალდებულია შეიბოჭოს თავი კონკრეტული საქმის გარემოებებით და მხოლოდ მათ საფუძველზე გამოიტანოს გადაწყვეტილება. მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილება

შეიძლება იყოს ობიექტური, სამართლიანი და ადეკვატური იმ მიზნებთან მიმართებაში, რასაც ევროპული სასამართლოს საქმიანობა ემსახურება.

შესატყვის შემთხვევაში “მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის გამოყენება, ჩვენ გვესახება, როგორც სასამართლოს თვითშეზღვევის ქმედითი მეთოდი და დამატებითი გარანტია იმისა, რომ ობიექტურად საფუძვლიანი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული, არა თუ პოლიტიკურად მოტივირებული. იგი უცდომელი საშუალებაა მრავალპლასტიანი შეფასებითი მსჯელობების დაქსაქსულ ლაბირინთში გზის გასაგნებად.

განსაკუთრებით აშკარად გამოჩნდა „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის ასეთი ქმედითი ეფექტი საჯარო ან სხვა პირთა ინტერესების სასარგებლოდ ინდივიდუალურ უფლებათა შეზღუდვის გამართლებულობის მრავალეტაპიანი შეფასების პროცესთან მიმართებაში. შეფასების სამ ეტაპზე (ემსახურებოდა თუ არა შეზღუდვა კანონიერი ინტერესის დაცვას, იყო თუ არა შეზღუდვა „აუცილებელი“, ხოლო შემზღუდავი ღონისძიება „თანაზომიერი“ დასახული კანონიერი ინტერესის მისაღწევად), რომელთაგან თითოეული თავისთავში სხვა მიმართებებსაც გულისხმობს, ნათლად წარმოჩნდა „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის უტყუარი და საიმედო ლოგიკა და ცდომილებათა დაძლევის უნარი.

ვფიქრობთ, რომ „მიზეზობრივი კავშირის“ კონცეფციის გააზრებული გამოყენება შესატყვის შემთხვევებში, ევროპულ სასამართლოს შესაძლებლობას მისცემს, ერთი მხრივ იმისა, რომ უკუაგლოს არაადეკვატური და ირაციონალური „არგუმენტები“ და თავისი გადაწყვეტილება მყარ ობიექტურ და ლოგიკურ საფუძველზე დაამყაროს; მეორე მხრივ კი იმისა, რომ ერთგვაროვანი მიდგომა გამოიყენოს ერთგვაროვან საკითხთა გადაწყვეტისას. ყოველივე ეს თავისთავად უკვე მყარ საფუძველს შექმნის ერთგვაროვანი და სწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებისათვის.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა შეიმუშაოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში „მიზეზობრივი კავშირის“ გამოყენებადობის საერთო კონცეფცია. იგი გააზრებული უნდა იქნეს, როგორც შეფასების მეთოდი და ხედვის კუთხე გარემოებათა ობიექტური განპირობებულობის კვლევისას. უნდა განისაზღვროს საკითხთა წრე, რომელთა გადაწყვეტაც შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ დაექვემდებაროს მიზეზობრივი კავშირის შემოწმების შედეგებს. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც მას გადამწყვეტი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონვენციის ამა თუ იმ მუხლის დარღვევის უარყოფისა თუ აღიარებისათვის (მაგალითად, კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლებთან მიმართებაში), ამ კონცეფციის გამოყენება სახელმძღვანელო პრინციპად გამოაცხადოს და სათანადო დასაბუთება ასახოს კიდევაც შესაბამისი საქმის განჩინებაში.

დასკვნითი დებულებები

1. ევროპაში გამოხატვის თავისუფლების აღიარებისა და დამკვიდრების რეტროსპექტიულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ გამოხატვის თავისუფლების იდეა პიროვნების თავისუფლების იდეასთან მიმართებაში უნდა იქნეს გააზრებული. სხვა ინტერესებთან გამოხატვის თავისუფლების დაბალანსების პრობლემა ისეთივე ძველია, როგორც თავად ადამიანის თავისუფლების იდეის წარმოშობა. ადამიანთა თანაარსებობამ და ორგანიზაციულად (სახელმწიფოებად) მათმა გაერთიანებამ იმთავითვე ობიექტური საფუძველი შეუქმნა ინდივიდის თავისუფლების შეზღუდვას. „თავისუფლების“ ყველაზე უფრო დემოკრატიული განმარტებანიც კი მის არააბსოლუტურობას უსვამს ხაზს. პრინციპიდან – „თავისუფლება ნიშნავს უფლებას ყველაფრის კეთებისა, რაც სხვას არ აყენებს ზიანს“, იმთავითვე გამომდინარეობს, რომ ყოველგვარი თავისუფლება, მათ შორის – გამოხატვისა, სხვა ინტერესებთან ჰარმონიზაციასა და მშვიდობიან თანაარსებობას მოითხოვს. რაკი ღირებულებათა კონფლიქტები გარდაუვალია, დილემიდან გამოსავალი დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთადერთია – ეს არის მათი სამართლიანი დაბალანსება. სწორედ ამიტომ, სავსებით გონივრული და გამართლებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია, რომელიც დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს.

2. მართალია, გამოხატვის თავისუფლებამ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გზა გაიარა, მაგრამ საერთო იყო ის კონცეპტუალური საფუძველი, რასაც მისი აღიარება დაემყარა – საერთო იყო წარმოდგენები ამ თავისუფლების შინაარსის, მნიშვნელობისა და როლის, აგრეთვე მისი ფარგლების შესახებ სხვა კანონიერ ინტერესთა მიმართებაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოწმობს, რომ იგი საერთო ევროპული ტრადიციებითა და გამოცდილებით არის ნასაზრდოები.

3. ღირებულებათა კონფლიქტების გადაჭრა, რომელშიც გამოხატვის თავისუფლებაა ჩართული, საკმაოდ რთულია. ერთი მხრივ, არსებობს გამოხატვის თავისუფლებისათვის პრიორიტეტის მინიჭების ერთგვარი პრეზუმფცია. მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი პრეზუმფცია ყოველთვის გამართლებული არ არის. გამოხატვის თავისუფლებას, მისი ონტოლოგიური ბუნების გამო, სხვა ინტერესებში ენერგიული შეჭრის დიდი უნარი გააჩნია; იგი ხშირად გვეკლინება „აგრესორის“ როლში და მისგან მიყენებული ან მოსალოდნელი ზიანის სერიოზულობა

სახელმწიფოს მასში ჩარევის უფლებამოსილებით აღჭურავს. ამრიგად, „წესების“, „პირობების“, „სანქციებისა“ თუ „შეზღუდვებისადმი“ გამოხატვის თავისუფლების დაქვემდებარებას ძირითადად მისი „ვიქტიმური, პროვოკაციული ბუნება“ განაპირობებს.

4. სხვა კანონიერ ინტერესებთან კონფლიქტის დროს გამოხატვის თავისუფლებისათვის პრიორიტეტის მინიჭების პრეზუმფცია ემყარება მის ორმაგ დატვირთვას – იგი არა მარტო თავისთავადი ღირებულებაა, არამედ სხვა ღირებულებათა დაცვის ხერხია. იგი არა მარტო პიროვნების თვითრეალიზაციისა და განვითარების საშუალებაა, არამედ – ჭეშმარიტების მიღწევისა, რამდენადაც სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება საზოგადოებისათვის საჭირობოროტო საკითხებზე ღია, თავისუფალი დისკუსიები, რაც დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის აუცილებელი კომპონენტია. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების ორმაგი დატვირთვა მის ორმაგ ღირებულებას განაპირობებს. ამიტომ ლოგიკურია არა მარტო ის, რომ სტრასბურგის სასამართლო მას დემოკრატიული საზოგადოების საყრდენს და მისი განვითარების წინაპირობას უწოდებს, არამედ ისიც, რომ ღირებულებათა კონფლიქტის დროს ამ ორმაგი ღირებულების მქონე ინდივიდუალური უფლებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას იმთავითვე მყარი და სერიოზული საფუძველი გააჩნია. თუმცა, გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის აღიარება დემოკრატიულ საზოგადოებაში მის მეორე დატვირთვას – როგორც თავისუფალი საჯარო დებატების, ჭეშმარიტების მიღწევის საშუალებას უფრო მეტად უკავშირდება, ვიდრე პირველს – როგორც პიროვნების თვითრეალიზაციის საშუალებას.

5. გამოხატვის თავისუფლებაზე ვრცელდება ყველა ის პრინციპი, რომელიც გამოიყენება კონვენციის იმ უფლებებთან მიმართებაში, რომლებიც სხვა კანონიერ ინტერესთა დასაცავად შეზღუდვებს ექვემდებარებიან. მათ შორისაა უფლებათა შინაარსობრივი ფარგლების განვრცობითი, ხოლო შემზღუდველი დებულებების – შეზღუდვითი განმარტება, შეზღუდვის პირობების დაცულობის შესაფასებლად მკაცრი კრიტერიუმების დაწესება, აგრეთვე, შეზღუდვის აუცილებლობის სარწმუნოდ დასაბუთების მოთხოვნა. ამის მიუხედავად, ეჭვგარეშეა, რომ ყველაზე უფრო მაღალ სტანდარტებს სტრასბურგის სასამართლო სწორედ გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში გამოიყენებს.

6. ყველა ის მიდგომა, რომელიც გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეფასებისას გამოიყენება, მყარ კონცეპტუალურ საფუძველზე განისაზღვრება. წარმოშობის საფუძვლისა და მიზანდასახულობის მიხედვით ეს მიდგომები ძირითადად სამ მნიშვნელოვან საწყისს ემყარება:

მიდგომათა ერთი ნაწილი ასახავს ღირებულებათა ერთგვარ იერარქიას, რომელიც იმისდა მიხედვით განისაზღვრება, თუ რამდენად ადეკვატურია გამოხატვის თავისუფლების განხორციელების შესაბამისი შემთხვევა იმ ფუნქციისა თუ დანიშნულებისა, რომელიც ამ თავისუფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში ეკისრება და რასაც ემყარება მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის აღიარება. შესაბამისად, გამოყენებული მიდგომები მიზნად ისახავს უზრუნველყოს დაცულობის ის ხარისხი, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შესაბამისი შემთხვევის ღირებულებით მნიშვნელობას შეესატყვისება.

მიდგომათა მეორე ნაწილი სუბსიდიურობის პრინციპიდან წარმოდგება, ადამიანის უფლებათა დაცვაზე საერთაშორისო კონტროლის სპეციფიკას ასახავს და მოწოდებულია სუვერენულ სახელმწიფოთა პოზიციებისადმი პატივისცემა შეუხამოს საერთაშორისო კონტროლის ამოცანებს.

მიდგომათა მესამე ნაწილს კი საკუთრივ ღირებულებათა კონფლიქტების სამართლებრივი ბუნება განაპირობებს და შესაბამისი ინტერესების ჰარმონიზაციასა და გაწონასწორებას ემსახურება.

7. სხვა კანონიერ ინტერესთა დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობისა და თანაზომიერების შეფასებაზე მთლიანობაში არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას – შეეხებოდა თუ არა შესაბამისი იდეები თუ ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს; რა სფეროს მიეკუთვნებოდა ისინი; როგორია შესაბამის სფეროში ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლები; ვის მიერ ან ვის მიმართ იყო გამოთქმული კრიტიკა; როგორი იყო ინფორმაციისა და იდეების შინაარსი; „ფაქტების გადმოცემას“ წარმოადგენდა შესაბამისი შემთხვევა თუ „შეფასებით მსჯელობას“; როგორი იყო აუდიტორია, ვისაც შეეხებოდა, ვინც შეიტყო, ან ვისთვისაც გამიზნული იყო შესაბამისი იდეები თუ ინფორმაცია; როგორი იყო გამოხატვის ფორმა, მანერა, ვითარება; რომელ მედიას (ბეჭდვითს თუ სამაუწყებლოს) შეეხებოდა საქმე; დარღვეული იყო თუ არა „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“; როგორი იყო შესაბამისი კანონიერი ინტერესისათვის მიყენებული ან პოტენციური ზიანი, უფლებაში ჩრევის ხასიათი და ხარისხი და სხვა. ეს ფაქტორები სხვადასხვა მიმართულებით გადახრიან ბალანსს და მათ საფუძველზე ყალიბდება საბოლოო დასკვნა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობისა და თანაზომიერების საკითხებზე. თუმცა, ზოგიერთი ფაქტორის გავლენა უფრო ძლიერია და არსებითი.

8. სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ ფაქტორი, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად განაპირობებს ინტერესთა კონფლიქტში გამოხატვის თავისუფლებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას, არის „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობა“. საზოგადოებრივი ინტერესის

საკითხებზე იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი ბრუნვის, მათ შესახებ საჯარო დებატების სასიცოცხლო მნიშვნელობის გამო, სტრასბურგის სასამართლოსათვის ხშირად არის გადამწყვეტი, შეეხებოდა თუ არა შესაბამისი იდეები თუ ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს, რამდენად უშუალო შემხებლობაში იყო იგი დემოკრატიული პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებასთან და წარმოადგენდა თუ არა ამ პროცესში „მონაწილეობას“. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ გამოხატვის თავისუფლების განხორციელების ყველა შესაძლო შემთხვევათა შორის „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობას“ ყველაზე მეტი შანსი გააჩნია ღირებულებათა კონფლიქტში პრიორიტეტის მოსაპოვებლად და ძლიერი მედეგობა შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

ამავე ლოგიკიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში ყველაზე უკეთ დაცულია პოლიტიკის სფერო (განსაკუთრებით, ხელისუფლების კრიტიკა) და პრესის თავისუფლება. შედარებით ნაკლებად არის დაცული შემოქმედებითი სფერო. კიდევ უფრო ნაკლებად – კომერციის სფერო. ამის თვალსაჩინოებისათვის იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ თუ პოლიტიკის სფეროში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად მოპასუხე სახელმწიფოს შეზღუდვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებისა“ და მისი „შესაბამისი და საკმარისი საფუძვლის“ დასაბუთება მოეთხოვება, კომერციის სფეროში კი საკმარისად არის მიჩნეული მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ „შეზღუდვა არ იყო არაგონივრული“.

9. პრესის თავისუფლებას ევროპული სასამართლო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს მიაკუთვნებს დემოკრატიულ საზოგადოებაში, ვინაიდან სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე საჯარო დისკუსიები. პრესისათვის იდეებისა და ინფორმაციის გადაცემა მართო უფლება კი არა, მოვალეობაც არის. გარდა ამისა, ის ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალებაა საზოგადოების მხრიდან ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლების უზრუნველყოფისა. ამ თვისებრიობის გამო, პრესის თავისუფლება ერთსა და იმავე დროს გვევლინება როგორც ინდივიდუალურ, ისე საჯარო ინტერესად. პრესის თავისუფლების იდეა, იმის მიუხედავად, ცალკეულ ჟურნალისტთა უფლებებს შეეხება იგი თუ პრესის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, შორს სცილდება „გამოხატვის“, როგორც ინდივიდუალური უფლების დაცვის ამოცანას და გაცილებით უფრო ფართოდ – საზოგადოებაში მისთვის საინტერესო საკითხებზე იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი ბრუნვისა და მათზე თავისუფალი დისკუსიის უზრუნველყოფის კონტექსტში მოიაზრება. ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ პრესის თავისუფლების შეზღუდვა უჩვეულოდ წონად გამართლებას მოითხოვს.

პრესის თავისუფლების ხელშესაწყობად ევროპული სასამართლო გამოიყენებს არაერთ პრინციპს, კონცეფციასა თუ დოქტრინას; მათ შორისაა „გადაჭარბებული და პროვოკაციული გამონათქვამების გამოყენების უფლება“, ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროების კონფიდენციალობის დაცვა, „მსუსხავი ეფექტის“ კონცეფცია, პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში სახელმწიფოსათვის ძლიერი პოზიტიური ვალდებულებების დაკისრება, პუბლიკაციების წინასწარი აკრძალვის უარყოფითი შეფასება და სხვა.

10. გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ კონცეფცია, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლს უდევს საფუძვლად და რომელსაც რეალური შინაარსი სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციამ მიანიჭა, შესანიშნავად ხსნის იმ „პარადოქსს“, რომ დემოკრატიის დასაყრდენი – „გამოხატვის თავისუფლება“ შეიძლება კონფლიქტში აღმოჩნდეს დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებთან, საფრთხე შეუქმნას მას და შეიზღუდოს მისივე დაცვის მოსაზრებებით. „მოვალეობები და პასუხისმგებლობა“ სტრასბურგის იურისპრუდენციაში გააზრებულ უნდა იქნეს, როგორც გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცულობის გამაწონასწორებელი ფაქტორი. შესაბამისად, მოქმედებს შემდეგი კანონზომიერება: რაც მეტია თავისუფლება, მით უფრო დიდია სხვა კანონიერი ინტერესების ხელყოფის რისკი; ამიტომ, რაც უფრო დიდია ასეთი რისკი, მით უფრო მეტია შესაბამისი „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“; და, რაც მეტია „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის ხარისხი, მით მეტია – გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულად მიჩნევის შანსი.

„მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ კონცეფცია ასახავს უფლება-მოვალეობათა ერთიანობასა და განუყოფლობას. ამ კონცეფციას შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: ღირებულებათა კონფლიქტის დროს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამამართლებელი საფუძველი მხოლოდ იქიდან კი არ წარმოდგება, რომ დაპირისპირებული ღირებულება დაცვას საჭიროებს და გამოხატვის თავისუფლება აუცილებლად უნდა შეიზღუდოს, რადგან სხვა გზა არ არის, არამედ, უწინარესად იქიდან, რომ შესაბამისი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევით განხორციელებული გამოხატვის თავისუფლება მორალურად და სამართლებრივად ნაკლებ დაცვას იმსახურებს. ზოგჯერ თავად ღირებულებათა კონფლიქტის წარმოშობაც „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევის შედეგია. ფართო გაგებით – „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“ ეკისრება ყველას, ვინც გამოხატვის თავისუფლებას ახორციელებს. ვიწრო გაგებით – იგი უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც სუბიექტთა მდგომარეობა და სტატუსი განაპირობებს მათ სპეციფიკურ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას.

„მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ დარღვევას განეკუთვნება გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მის საზიანო ბალანსს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე შეეხება მის უკიდურეს გამოვლინებებს – რასობრივი, რელიგიური, თუ სხვაგვარი სიძულვილის გავრცელებას (*hate speech*) და ძალადობისაკენ წაქეზებას (*incitement of violence*). ასეთი გამოვლინებანი შეიძლება შეიზღუდოს არა მარტო კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, არამედ მე-17 მუხლის საფუძველზეც.

11. ბალანსის სამართლიანობის განსაზღვრაზე ყოველ საქმეში არსებით გავლენას ახდენს ეროვნული შეფასების თავისუფლების არე, რომლის ფარგლებზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კრიტიკული იქნება ევროპული სასამართლო ეროვნული შეფასებებისადმი და რამდენად გაუწევს იგი ანგარიშს ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებებს უფლების შეზღუდვის აუცილებლობის საკითხში. „ეროვნული შეფასების თავისუფლებისა“ და კონვენციის, როგორც „ცოცხალი ინსტრუმენტის“ დოქტრინებით ევროპულმა სასამართლომ შესანიშნავად უზრუნველყო კონვენციის ელასტიურობა და ქმედითობა, – კერძოდ ის, რომ 1950 წელს მაშინდელ ევროპაში მიღებულ აქტს ეფექტიანად ემოქმედნა დროსა და სივრცეში – სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოლიტიკური, კულტურული და სამართლებრივი ტრადიციების მქონე სახელმწიფოებში.

„ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა“, რომელიც ევროპულმა სასამართლომ თავისი იურისპრუდენციით შექმნა, შესანიშნავად უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, იმას, რომ უფლებათა დაცვაზე საერთაშორისო კონტროლი არ გადაიზარდოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევაში და, მეორე მხრივ, იმას, რომ თავიდან იქნეს აცილებული უფლებათა შეზღუდვის აუცილებლობის საკითხში არაადეკვატური შეფასებები ევროპული სასამართლოს მხრიდან, რომელიც ეროვნული ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ნაკლებად იცნობს ადგილობრივ რეალიებს. ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინას, რომელიც ასახავს სუვერენიტეტის, სუბსიდიურობისა და დემოკრატიის პრინციპებს და არსებითად საერთაშორისო კონტროლის თვითშეზღუდვას გულისხმობს, სტრასბურგის სასამართლო გონივრულად იყენებს. იგი მხოლოდ იმ სფეროებში მიაკუთვნებს ეროვნულ ხელისუფლებას შეფასების თავისუფლების ფართო არეალს, რომლებშიც არ არსებობს ერთიანი ევროპული კონცეფცია და სტანდარტი, სადაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინება და „ეროვნული მოსამართლე უკეთეს მდგომარეობაშია გამოთქვას ადეკვატური აზრი უფლების შეზღუდვის აუცილებლობის საკითხზე, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე“. ასეთ სფეროებად მიჩნეულია ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მორალის დაცვის საჯარო ინტერესები, აგრეთვე,

კომერციის სფერო (პროფესიული რეკლამის რეგულირების ჩათვლით); და რაც ძალზე საგულისხმოა, ტელე- და რადიომაუწყებლობის ლიცენზირების საკითხები.

ფართო ფარგლები გამოხატვის საზიანოდ ხრის ბალანსს, ვინაიდან რაც უფრო ფართოა ეს ფარგლები, მით უფრო მსუბუქია სახელმწიფოს ტვირთი, გაამართლოს უფლების შემზღუდველი ღონიძიება.

ამ საერთო კანონზომიერების მიუხედავად, აშკარად გამოიკვეთა შემდეგი: ყველა იმ საჯარო ინტერესს შორის, რომელთა მიმართებაშიც ეროვნული შეფასების თავისუფლება ფართოა, პრაქტიკაში, სტრასბურგის სასამართლო ეროვნულ შეფასებებს ყველაზე უფრო ხშირად მაშინ ანიჭებს პრიორიტეტს, როდესაც გამოხატვის თავისუფლება საზოგადოებრივი მორალის, მათ შორის, რელიგიური მორალის დასაცავად იზღუდება. შედარებით იშვიათად – მაშინ, როდესაც შეზღუდვა ეროვნული უშიშროების ან ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ემსახურება. როგორც ჩანს, ერთი მხრივ, ეს იქიდან წარმოდგება, რომ გამოხატვის თავისუფლება შედარებით იშვიათად წარმოშობს აშკარა და რეალურ საფრთხეს ეროვნული უშიშროებისა თუ ტერიტორიული მთლიანობისათვის. მეორე მხრივ, იქიდან, რომ შესაბამისი შემთხვევები ხშირად უკავშირდება პოლიტიკის სფეროს, რომელიც ბალანსს გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ გადახრის. მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი მორალისა და მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხოვა პირდაპირ შეეხება საზოგადოების მგრძნობიარე ნერვს და იწვევს მშვიდობის, ჰარმონიისა და შემწყნარებლობის ატმოსფეროს დარღვევას, რომელთა არსებობაც ესოდენ მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ჩვენი დასკვნით, „ეროვნული შეფასების თავისუფლების“ დოქტრინის გამოყენება არათუ არ ეწინააღმდეგება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების იდეას, არამედ პირიქით, ხელს უწყობს მის მიღწევას. ამიტომ ვერ გავიზიარებთ შეხედულებას, რომ შეფასების თავისუფლების დოქტრინის ინტერპრეტაცია ყოველთვის სიტყვის თავისუფლების სასარგებლო მკაცრი პრეზუმფციის მიხედვით უნდა გადაწყდეს.

12. გამოხატვის თავისუფლებასა და რეპუტაციის უფლებას შორის ღირებულებათა კონფლიქტებს ევროპული სასამართლო თავისივე პრაქტიკით კარგად დამუშავებულ ე.წ. „დასაშვები კრიტიკის“ კონცეფციის მეშვეობით გადაჭრის, რომლის ფარგლების განსაზღვრა დამოკიდებულია კრიტიკის ობიექტის მდგომარეობასა და თავდაცვის საშუალებებზე. რაც უფრო დაუცველია პიროვნება, მით უფრო ძლიერია სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას მისი რეპუტაცია. ამიტომ, დასაშვები კრიტიკის ფარგლები ყველაზე უფრო ფართოა პოლიტიკოსების მიმართ, უფრო ნაკლები – სახელმწიფო მოხელეთა მიმართ; ყველაზე ნაკლები – კერძო პირებთან მიმართებაში. ფარგლების სიფართოვე თუ სივიწროვე განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ როგორია შესაბამის კატეგორიის პირებთან

მიმართებაში „ფაქტების გადმოცემისა“ და „შეფასებითი მსჯელობის“ შემთხვევებისადმი დამოკიდებულება. მაგალითად, „კონკრეტული ბრალდება“ პოლიტიკოსთან მიმართებაში მცირე ფაქტობრივი საფუძვლის წარმოდგენის შემთხვევაშიც შეიძლება გამართლდეს, დანარჩენ შემთხვევაში მას სოლიდური ფაქტობრივი საფუძველი ესაჭიროება. აგრეთვე, შეფასებით გამონათქვამებს პოლიტიკოსთან მიმართებაში თითქმის გარანტირებული დაცვა აქვთ უზრუნველყოფილი, კერძო პირებთან მიმართებაში კი, შეფასებითი გამონათქვამებიც კი შეიძლება გადაჭარბებულად იქნას მიჩნეული. საზოგადოდ მოქმედებს პრინციპი – რაც უფრო სერიოზულია ბრალდება, მით უფრო მეტი გამართლება ესაჭიროება მას.

დამატებითი ფაქტორები, რომლებიც ასეთი კონფლიქტის დროს გამოხატვის თავისუფლების სასარგებლო ბალანსს უწყობს ხელს, შემდეგია: ევროპული სასამართლო მიდრეკილია იმისკენ, რომ რთულად გასამიჯნ ვითარებაში, საკითხს, რომელსაც შეეხებოდა შესაბამისი იდეა თუ ინფორმაცია მიაკუთვნოს „საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხის“ სტატუსი; შესაბამისი გამონათქვამი განიხილოს „შეფასებით მსჯელობად“ და არა „ფაქტების გადმოცემად“, ხოლო ფაქტების შემთხვევაში – დადგენილად მიიჩნიოს, რომ სუბიექტი კეთილსინდისიერად მოქმედებდა და არა ბოროტი განზრახვით. სწორედ ამ გზით ახორციელებს სტრასბურგის სასამართლო იმის უზრუნველყოფას, რომ „გამოხატვის თავისუფლებას ჰქონდეს საჭარო სივრცე, რომელიც მას ესაჭიროება გადარჩენისათვის“.

13. გამოხატვის თავისუფლებისა და რეპუტაციის უფლების ღირებულებათა კონფლიქტების გადაჭრის ისტორია მოწმობს, რომ, ევროპული სასამართლოს პოზიცია ძირითადად ზომიერად უნდა ჩაითვალოს. მართალია, არსებობს ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული მიდგომები, რომლებიც ერთი ან რომელიმე ღირებულების სასარგებლო ბალანსის ვარაუდის საფუძველს იძლევა, მაგრამ არ არსებობს წინასწარ მყარად განსაზღვრული სავალდებულო პრიორიტეტები. ამის მიუხედავად, ვიზიარებთ შეხედულებას, რომ რეპუტაციის უფლება ზოგჯერ უსაფუძვლოდ ეწირება გამოხატვის თავისუფლებას; განსაკუთრებით ეს მაშინ ხდება, როდესაც კონფლიქტში „პრესის თავისუფლება“ მონაწილეობს. ვემხრობი იმის გათვალისწინების აუცილებლობას, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კომერციალიზაციამ თანამედროვე მედიას შეუცვალა ბუნება და იგი ზოგჯერ მოგებაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე საჭირობოროტო საკითხების შესახებ საზოგადოების სწორი ინფორმაციით მომარაგების იდეალისტურ მიზნებზე. მოსალოდნელია, რომ იმაზე, თუ როგორი იქნება უახლოესი სურათი მასმედიის მიერ თავისი როლის შესრულებისა დემოკრატიულ საზოგადოებაში, დამოკიდებული იქნება, შეიცვლება თუ არა ევროპული

სასამართლოს მყარი მიდგომები პრესის თავისუფლების სტანდარტების განსაზღვრაში.

ნაშრომში არ არის გაზიარებული თვალსაზრისი, რომ რეპუტაციის უფლების საზიანო ბალანსის ჩამოყალიბება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ „რეპუტაციის უფლება“ არ არის კონვენციით ცალკე უფლებად გათვალისწინებული.

14. სტრასბურგის იურისპრუდენციით ჯერ არ არის მკვეთრად გადაწყვეტილი ადამიანთა ჯგუფის დიფამაციასთან დაკავშირებული საკითხები. სასამართლოს ჯერ არ გაუცია ზუსტი პასუხი კითხვაზე, შეესაბამება თუ არა კონვენციის მე-10 მუხლს ადამიანთა ჯგუფის წევრის უფლება, აღძრას საქმე დიფამაციის წინააღმდეგ, რომელიც შეეხება ამ ჯგუფს მთლიანად. თუმცა, მისი პრაქტიკიდან არაპირდაპირ გამომდინარეობს დასკვნა, რომ ევროპული სასამართლო იზიარებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, ადამიანთა ჯგუფის სავარაუდო დიფამაცია უნდა შეეხებოდეს ჯგუფის ინდივიდუალურ წევრებს პიროვნულად; შესაბამისად, ადამიანთა ჯგუფის სავარაუდო დიფამაციის დროს ინდივიდუალური რეპუტაციის დასაცავად სარჩელის აღძვრის უფლება ამ ჯგუფის წევრისათვის კონვენციის მე-10 მუხლთან შეთავსებად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც დიფამაცია მის წინააღმდეგ პიროვნულად იყო მიმართული. როგორც ჩანს, „სოციალური კოლექტიური ღირსების“ არსებობა აღიარებული არ არის. ყოველ შემთხვევაში, გამონათვის თავისუფლება მთლიანად გადასწონის მას.

15. ევროპული სასამართლოს პოზიციას იმის შესახებ, რომ სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის სფეროში საერთო-ევროპული კონსენსუსის მიღწევა შესაძლებელია, სავსებით ვიზიარებთ. ამის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ ამ სფეროში ადგილობრივი რეალობის გათვალისწინება აუცილებელია. საკითხი, თუ რამდენად გამართლებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მიმდინარე სასამართლო პროცესის გაშუქების აკრძალვა, იმისდა მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ როგორია მოცემულ სახელმწიფოში სასამართლოს დამოუკიდებლობის რეალური სტანდარტები. სადაც ეს სტანდარტები მაღალია, ასეთი გაშუქება სასამართლოზე გავლენის მოხდენის ნაკლებ საფრთხეს წარმოშობს. მაგრამ სადაც დაბალია, აქ ევროპულ სასამართლოს განსაკუთრებული სიფრთხილე მოეთხოვება. სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შედარებით დაბალი სტანდარტი იმპლიციტურად გულისხმობს სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხეს არა მარტო საზოგადოებისა თუ მასმედიის, არამედ ხელისუფლების მხრიდანაც. ამიტომ, სადაც ხელისუფლების მხრიდან ზეგავლენის მოხდენის საფრთხე გამორიცხული არ არის, იქ მასმედიის შეზღუდვა შესაძლოა ყოველთვის გამართლებული არ იყოს. პირიქით, „მოდარაჯე ნავაზის“

როლის შესრულება, შესაძლოა სწორედ ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდეს ყველაზე უფრო აქტუალური.

16. ერთგვარ არათანმიმდევრულობას წავაწყდით რასობრივი, რელიგიური ან სხვაგვარი სიძულვილის გავრცელებისა თუ მისთვის ხელშეწყობის შემთხვევებისადმი დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლო (სავსებით კანონზომიერად) მიიჩნევს, რომ სიძულვილის გავრცელება შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ შემწყნარებლობასთან. მაგრამ, მისი დამოკიდებულება შედარებით ლიბერალურია ისეთი შემთხვევების მიმართ, რომლებიც მხოლოდ არაპირდაპირ გულისხმობს ასეთი შეხედულებების გავრცელებაში დახმარებას. ასეთ დროს სასამართლო ჟურნალისტთა თავისუფლების სასარგებლო ბალანსს მიიჩნევს სამართლიანად. ჩვენი შეხედულებით, სტრასბურგის სასამართლო ყოველთვის არ არის ადეკვატურად კრიტიკული იმ საკითხის შეფასებისას, ინაწილებენ თუ არა ჟურნალისტები რასისტული შეხედულებების ავტორთა „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას“.

ევროპულ სასამართლოს ეგების, თავისივე დებულება იმის შესახებ, რომ კონვენციის ინტერპრეტაციისას ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებანი (მათ შორის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ) მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, პრაქტიკაში უფრო ეფექტიანად ამოქმედოს. შესაბამის შემთხვევაში ეროვნული ხელისუფლებისათვის შეფასების თავისუფლების ფართო არეალის მიკუთვნების გზით მან ხელი უნდა შეუწყოს იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომლებიც მათ ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებებით ეკისრებათ.

17. აგრეთვე არათანმიმდევრულობა გამოვლინდა სიძულვილის გავრცელებისა და ძალადობისაკენ წაქეზების შეზღუდვის დასაბუთებისას. ასეთი შეზღუდვა ზოგჯერ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ხორციელდება, ზოგჯერ – მე-17 მუხლისა, ხოლო ზოგჯერ – მე-17 მუხლი მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის დასაბუთების გამაძლიერებელ არგუმენტად არის მოშველიებული. ჩვენი შეხედულებით, კვალიფიკაციების ასეთი ნაირგვარობა ართულებს იმის ზუსტად წარმოდგენას, თუ როგორი „გამოხატვა“ ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების ფუძემდებლურ გაგებას და რა არ იმყოფება ნამდვილად კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების სფეროში. ასეთ აღრევას (სამართლებრივ გაურკვევლობას) არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ კონვენციის მე-17 მუხლის დანიშნულება კონვენციაში გააზრებულია, როგორც „ბოლო, უკანასკნელი საშუალება“ კონვენციის უფლებების ბოროტად გამოყენების შესაზღუდად.

18. ხარვეზები შეინიშნება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პირობის – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ დასაბუთების ლოგიკაში. ზოგჯერ ეს იმით გამოიხატება, რომ აღრუელია სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში „ჩარევის აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებანი (ხან „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასება შთანთქავს „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებას, ხან კი – პირიქით); ზოგჯერ შეცვლილია „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებისა“ და მისი „შესაბამისი და საკმარისი საფუძვლის“ შეფასების ფოკუსი და იგი კონცენტრირებულია არა უფლებაში ჩარევის აუცილებლობაზე, არამედ მხოლოდ შესაბამისი შემზღუდველი ღონისძიების აუცილებლობაზე, რაც ართულებს იმის ნათლად წარმოდგენას, არსებობდა თუ არა საერთოდ უფლებებში ჩარევის საფუძველი და გააჩნდა თუ არა სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლება, ემოქმედნა უფლების შეზღუდვის მიმართულებით. გარდა ამისა, ასეთი ცალმხრივი ანალიზი „თანაზომიერების შეფასებას“ ან ფორმალურ ხასიათს აძლევს, ანდა საერთოდ ზედმეტს ხდის. ისეთი შემთხვევებიცაა, როდესაც „ჩარევის თანაზომიერება“ მხოლოდ სასჯელის ზომის, ჯარიმისა თუ ზიანის ანაზღაურების ოდენობის მიხედვით განისაზღვრება და არა საკუთრივ ძირითადი შემზღუდველი ღონისძიების მიხედვით. ნაშრომში უარყოფითად არის შეფასებული ევროპული სასამართლოს ისეთი პრაქტიკა, როდესაც შეზღუდვის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მხოლოდ უფლების შემზღუდველი ღონისძიების არათანაზომიერებით განისაზღვრება, იმგვარად, რომ არ ხდება შეზღუდვის აუცილებლობის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ დასაბუთება და პირიქით; როდესაც „ჩარევის აუცილებლობისა“ და „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასება ერთდროულად ხდება, ერთსა და იმავე გარემოებებს ეფუძნება და გაიგივებულია; აგრეთვე, როდესაც ჩარევისათვის აუცილებელი „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ არარსებობის დადგენის შემდეგ მაინც გრძელდება შეზღუდვის „თანაზომიერების“ კრიტერიუმით შეფასება; და, როდესაც „თანაზომიერების შეფასება“ არ მოიცავს ყველა კომპონენტს და შემოფარგლულია მხოლოდ ზოგიერთი მათგანით. ჩვენი შეხედულებით, ასეთი „დასაბუთება“ ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს სხვა განჩინებებს, სადაც დასაბუთების სწორი და ბუნებრივი ლოგიკა დარღვეული არ არის; რაც მთავარია, იგი ართულებს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობისა და თანაზომიერების საფუძვლების ნათლად წარმოდგენას.

19. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის დებულებები, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების სფეროში, თუ მათ პირდაპირ გავიგებთ, ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მაგრამ ასეთი წინააღმდეგობა მოჩვენებითია. ყოველივე ამის მიზეზი საკუთრივ „პრეცედენტული სამართლის“ ქმნალობის სპეციფიკაა – ერთი მხრივ ის, რომ პრეცედენტული

სამართლის დებულებები, პოზიტიური ნორმებისაგან განსხვავებით, ყოველთვის შესაბამისი საქმის ფაქტობრივ და იურიდიულ კონტექსტს ემყარება; ამიტომ მათი ბრმად გამოყენება სხვა საქმეებში დაუშვებელია და შესაბამის საქმეთა ფაქტობრივი და სამართლებრივი კონტექსტების შედარებას საჭიროებს. მეორე მხრივ კი ის, რომ ხშირად პრეცედენტული სამართლის დებულებების მიზანდასახულობა მხოლოდ საერთო სულისკვეთების, ამა თუ იმ საკითხში საერთო მიდგომის დამკვიდრებაა და არა მყარი და სავალდებულო პრინციპების განსაზღვრა. ამიტომ მათი გამოყენება სხვა საქმეებში სიფრთხილესა და გონივრულობას მოითხოვს და მხოლოდ მათი მიზანდასახულობის გარკვევის გზით უნდა გადაწყდეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეცედენტული სამართლის დებულებების „სავალდებულობას“ ზოგჯერ პირობითი ხასიათი აქვს.

სწორედ ხედვის ასეთი კუთხით შეფასების შედეგად დავასკვნით, რომ გამოხატვის თავსუფლების სფეროში სტრასბურგის სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და ხშირად ციტირებადი დებულება იმის შესახებ, რომ კონვენცია მოიცავს სხვისთვის „შეურაცხყოფელი, გამოგნებელი და შემაშფოთებელი“ იდეებისა თუ ინფორმაციის გავრცელებას, არ უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ კონვენცია იცავს „სხვისი შეურაცხყოფის, გაოგნებისა თუ შეშფოთების უფლებას“; ეს დებულება მხოლოდ საერთო სულისკვეთების მაჩვენებელია და არა მზამზარეული ფორმულა მექანიკური გამოყენებისათვის. იგი იმას კი არ განსაზღვრავს, თუ რა „უნდა იყოს“ ყოველთვის დაცული, არამედ იმას, თუ რა „შეიძლება იყოს“ დაცული და გვიხსნის, რომ თვით სხვისთვის შეურაცხყოფელი, გამოგნებელი და შემაშფოთებელი იდეებისა და ინფორმაციების გავრცელებაც კი შეიძლება გამართლებულად შეფასდეს და რომ ეს თვისებები სრულიადაც არ არის საკმარისი საფუძველი მათ შესაზღუდად. ასეთივე ფრთხილ მიდგომას საჭიროებს დებულება ჟურნალისტთა მხრიდან „გადაჭარბებისა და პროვოკაციის“ უფლების შესახებ და სასამართლოს ზოგიერთი სხვა განმარტება.

20. ნაშრომში სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე გააზრებულია „სამართლიანი ბალანსის“ კონცეფციის თეორიული ასპექტები და გაკეთებულია დასკვნა, რომ კონფლიქტურ ინტერესებს შორის „სამართლიანი ბალანსის“ მიღწევა, მათი დაბალანსება და გაწონასწორება არამც და არამც არ გულისხმობს კონკურენტულ ღირებულებათა დაცულობის ხარისხის გათანაბრებასა და ინტერესების არითმეტიკულ დაბალანსებას; რომ ბალანსი „სამართლიანი“ შეიძლება იყოს მაშინაც, როდესაც ინდივიდუალურ უფლებას მიენიჭა სრული უპირატესობა საჯარო ინტერესის ან სხვა პირთა უფლებების სასარგებლოდ, და მაშინაც, როდესაც უფლებაში ყველაზე უფრო სერიოზული ჩარევაც გამართლებულად იქნა მიჩნეული. ამდენად, რაკი წინასწარი ფორმულა „სამართლიანი ბალანსის“ მიღწევისა არ არსებობს და იგი კონკრეტული საქმის

გარემოებებისდა მიხედვით განისაზღვრება, მოქმედებს პრინციპი, რომელსაც პირობითად „დინამიკური ბალანსი“ შეიძლება ეწოდოს, რამდენადაც დაპირისპირებულ ღირებულებათა პირობით, ვირტუალურ სასწორზე სამართლიანობის სიმძიმის ცენტრი ხან ერთ მხარესაა და ხან მეორე მხარეს.

სამართლიანი ბალანსის იდეა კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე „სამართლიანი დაკმაყოფილების“ განსაზღვრაშიც აისახება. ზოგჯერ ისეთი რთულია დაპირისპირებული ინტერესების სამართლიანი დაბალანსება და გაწონასწორება, რომ ევროპული სასამართლო, ცალკეულ შემთხვევებში, კონვენციის დარღვევის აღიარებისა და სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭების სხვა პირობების არსებობის (მაგალითად, მომჩივნის მიერ ზიანის საკომპენსაციოდ მოთხოვნილი თანხის დასაბუთების) მიუხედავად, უარს ამბობს მომჩივნისათვის კონვენციის დარღვევით მიყენებული მორალური ზიანის მატერიალურ ანაზღაურებაზე და საკუთრივ კონვენციის დარღვევის აღიარების ფაქტს შესაბამის შემთხვევაში საკმარის „სამართლიან დაკმაყოფილებად“ მიიჩნევს. ჩვენი დაკვირვებით, ეს უწინარესად უკავშირდება მომჩივნის მხრიდან გმობხატვის თავისუფლებისათვის თანაარსი „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ ისეთ დარღვევას, რომელიც შესაბამის გარემოებებში არ აღმოჩნდა საკმარისი გამობხატვის თავისუფლების საზიანო ბალანსის გასამართებლად.

ნაშრომში „სამართლიანი ბალანსის“ კონცეფცია გააზრებულია შეზღუდვის პირობის – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ მიმართებაშიც. ჩვენი დასკვნით, მათი შინაარსი ერთი და იგივე თვისებრიობის გამომხატველია (შეზღუდვის პირობა – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ იმავდროულად წარმოადგენს „სამართლიანი ბალანსის“ პრობასაც: თუ შეზღუდვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ შეზღუდვა სამართლიანი და გონივრულია); მათ შორის განსხვავება ის არის, რომ „სამართლიანობა“ არსია, მისალწვევი მიზანი, ხოლო – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კი – ასეთი სამართლიანობის მიღწევის საშუალება, ისეთი შეფასების კრიტერიუმი, რომლის გამოყენება ამ მიზნის მიღწევას ემსახურება. თუმცა, ჩვენი შეხედულებით, ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების თვალთახედვა უმთავრესად მაინც „ჩარევის თანაზომიერების“ შეფასებაში აისახება.

21. ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან (ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია, ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შედარებისა და შეჯერების შედეგად გამოიკვეთა ორი გარემოება, რომელთა საფუძველზე, თუკი სტრასბურგის იურისპრუდენცია არ იქნებოდა

მხედველობაში მიღებული, შეიძლება გაკეთებულიყო დასკვნა, რომ ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების დაცულობის უფრო ნაკლებ გარანტიებს შეიცავს, ვიდრე სხვა აქტები. პირველი გარემოება ისაა, რომ ევროპული კონვენცია სხვა აქტებისაგან განსხვავებით, სახელდებით არ ითვალისწინებს ზოგიერთ უფლებას, მაგალითად, ინფორმაციის მოძიების უფლებას (*the right to seek information*), „შეპასუხების უფლებას“ იმ პირისათვის, ვინც დაზარალდა ამა თუ იმ მედიის საშუალებით გავრცელებული იდეებისა თუ ინფორმაციისაგან; საგანგებოდ არ მიუთითებს იმაზე, რომ მე-10 მუხლი იცავს ყველა სახის („*all kinds*“) ინფორმაციასა და იდეებს; მეორე გარემოება კი ის გახლავთ, რომ ევროპული კონვენცია ითვალისწინებს ყველაზე უფრო ვრცელ ჩამონათვალს იმ კანონიერი ინტერესებისა, რომელთა სასარგებლოდაც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს. ამასთან დაკავშირებით ჩვენი აზრი ისაა, რომ ზოგიერთი „ნაკლი“ სტრასბურგის იურისპრუდენციით არის „გამოსწორებული“. ხოლო შეზღუდვის გამამართლებელ კანონიერ მიზეზთა ვრცელი ჩამონათვალი კი (სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით), თავისთავად, გამოხატვის თავისუფლებაში ექსცესიური ჩარევის წინაპირობად კი არ გვეკლინება, არამედ საჯარო ინტერესების სათანადოდ გათვალისწინების, მათი გონივრული და სამართლიანი დაბალანსების სამართლებრივ გარანტიად. ამიტომ, საბოლოო ჯამში, მიგვაჩნია, რომ ევროპული კონვენციით დადგენილი გამოხატვის თავისუფლების შინაარსი და ფარგლები შეესაბამება ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში როგორც გაეროს, ისე სხვა რეგიონულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებს და მათ შორის პრინციპული სხვაობა არ არის.

რაც შეეხება იმას, რომ სხვა აქტებისაგან განსხვავებით, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი პირდაპირ არ კრძალავს ომის პროპაგანდასა და სიძულვილის წაქეზებას, პრაქტიკით ეს „ნაკლიც“ არის გამოსწორებული; ისინი ფაქტობრივად არასოდეს სარგებლობენ რეალური დაცვით. ამის მიუხედავად, ვინაიდან ისინი დემოკრატიის ანტითეზას წარმოადგენენ, მიგვაჩნია, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების ფარგლებში მათი თუნდაც ფორმალურად მოქცევა გამართლებული არ არის.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იყო მსოფლიოში პირველი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი, რომელმაც უფლებათა კოლექტიური აღსრულების ქმედითი რეგიონული მექანიზმი შექმნა, სხვა შესაბამის აქტებთან მიმართებაში მისი მეტისმეტად კრიტიკული განხილვა არც კი მიგვაჩნია გამართლებულად. უფრო მეტიც. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალმა ძლიერი ბიძგი მისცა სხვა რეგიონული სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სტრასბურგის იურისპრუდენციით შექმნილმა კონცეფციებმა, დოქტრინებმა თუ პრინციპებმა დიდი გავლენა იქონია მათზე. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო დასტურად ისიც გვესახება,

რომ „თანაზომიერების“ კრიტერიუმი, რომლითაც მთლიანად გამსჭვალულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი, საკუთრივ კონვენციასა და მის ოქმებში ნახსენებებს კი არ არის; მაშინ როდესაც, ძირითადი უფლებების შესახებ ევროპის კავშირის ქარტია (უეჭველია, რომ სწორედ სტარსბურგის იურისპრუდენციის გავლენით) მასზე სახელდებით მიუთითებს. დღევანდელი მსოფლიოს ძლიერი ინტეგრაციის ვითარებაში ეს სისტემები, მოსალოდნელია, რომ უფრო და უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს. ამიტომ, თანამედროვე პირობებში, გაცილებით უფრო აქტუალურად გვესახება მათი ურთიერთქმედების ხასიათსა და ტენდენციებზე დაკვირვება, ვიდრე, საერთო, ფართო კონტექსტის გაუთვალისწინებლად, ამ სისტემებში დამკვიდრებული ცალკეული მიდგომებისა თუ პოზიციების ოდენ კონსტატაცია.

22. გამოხატვის თავისუფლების სფეროში ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლისა და აშშ-ს კონსტიტუციური სამართლის შედარებითმა ანალიზმა დაადასტურა, რომ მათ შორის გაცილებით მეტია მსგავსება, ვიდრე განსხვავება; ორივეგან აღიარებულია გამოხატვის თავისუფლების განუზომელი მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში; ერთგვაროვანია ის კანონიერი ინტერესები, რომელთა სასარგებლოდაც დასაშვებად არის მიჩნეული მისი შეზღუდვა; ორივეგან პრინციპულია შეზღუდვის გამართლებულობის წონადი დასაბუთების მოთხოვნა; ერთგვაროვანია ის სფეროები, სადაც გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს (იგულისხმება პოლიტიკის სფერო და პრესის თავისუფლება); ერთგვაროვანად არის დიფერენცირებული დიფამაციური განცხადებებისადმი დამოკიდებულება იმისდა მიხედვით, თუ ვის შეეხება ის და ა.შ. ამის მიუხედავად, ჩვენი შეხედულება ისაა, რომ აშშ-ის კონსტიტუციის პირველი დამატების საფუძველზე გამოხატვის თავისუფლებას უფრო ძლიერი დაცვა აქვს უზრუნველყოფილი (სხვა საქმეა, არის თუ არა ის ყოველთვის გამართლებული), ვიდრე ევროპული კონვენციის საფუძველზე. ჩვენი შეხედულებით, „ამკარა და რეალური საფრთხის“ ამერიკული კრიტერიუმის გამოყენება დაცულობის უფრო მაღალ სტანდარტს უზრუნველყოფს, ვიდრე ევროპული კრიტერიუმი – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. დაცულობის მაღალი სტანდარტის ყველაზე უფრო ნათელი დადასტურებაა დიფამაციის საქმეებში მტკიცების ტვირთის მოსარჩელეზე დაკისრება, უფრო ლიბერალური დამოკიდებულება რასობრივი თუ სხვაგვარი შეუწყნარებლობის სხვადასხვა გამოვლინებებისადმი და მათი შეზღუდვის დასაშვებულობა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენის, ანდა ზიანის სხვაგვარად მიყენების ამკარა და რეალური საფრთხის პირობებში.

სავსებით ვიზიარებთ შეხედულებას, რომ რასობრივი, ეროვნული, რელიგიური თუ სხვაგვარი შეუწყნარებლობის გამოვლინების მიმართ ევროპული სასამართლოსა

და საერთოდ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში დამკვიდრებული შედარებით მკვეთრი პოზიციები და შეუგუებლობა ნაკარნახევია ტოტალიტარიზმისა და გენოციდის ტრაგიკული ევროპული გამოცდილებით. ასეთი მიდგომები სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, როგორც თავისთავად, ისე ზემოაღნიშნულ კონტექსტში.

23. ევროპაში ე.წ. „სამმაგი იურისდიქციის“ ვითარების გაანალიზების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ევროპაში ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში სამი სამართლებრივი სისტემის თანაარსებობა წარმოშობს პრობლემას ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანობისა და სამართლებრივი გარკვეულობის თვალსაზრისით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს კომპეტენციათა გამიჯვნის საკითხში. აღმოჩნდა, რომ ეს ორი სასამართლო ცდილობს არ შეიჭრას ერთმანეთის უფლებამოსილებაში, რათა თავიდან აიცილონ აღრევა და პარალელიზმი; ეს კი ადამიანის უფლებათა საზიანოდ მოქმედებს. ლუქსემბურგის სასამართლო უპირატესად საკითხებს განიხილავს საბაზრო თავისუფლებების ჭრილში და არა იმავდროულად ადამიანის ძირითად უფლებათა ჭრილში; გაურბის იმ საკითხებზე დასკვნის გამოტანას, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ესა თუ ის უფლება. რაც შეეხება ევროპულ სასამართლოს, მისი დამოკიდებულება და პოზიციები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. ევროპული კონვენციის ორგანოები საჩივრებს გაერთიანების სამართლისა და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით აცხადებდნენ მიუღებლად *ratione personae*-ს ან *ratione materiae*-ს წესებთან შეუთავსებლობის საფუძველით. ამჯერად, შესაბამის შემთხვევებში გამოიყენება „აშკარა უსაფუძველობის“ მოტივი, და ეს ეყრდნობა „ალტერნატიული დაცვის გონივრული საშუალებების“ არსებობის (იგულისხმება ევროპის კავშირის სამართალი) პრეზუმფციას. თავად ეს პრეზუმფცია არ განიხილება უცილობლად, თუკი საქმის გარემოებები მეტყველებენ ძირითადი უფლებების აშკარა დარღვევაზე. აღიარებულია, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები ევროპის კავშირში გაერთიანებით და მისთვის უფლებამოსილების გადაცემით არ თავისუფლდებიან კონვენციის საფუძველზე პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი მოქმედება გაერთიანების სამართლის გამოყენების პროცესში არღვევს კონვენციას. დღესდღეობით შეინიშნება აშკარა ტენდენცია, რომ ყველა იმ საჩივრის მისაღებობის საკითხი, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეეხება ევროპის კავშირს, დაექვემდებარება სტრასბურგის სასამართლოს მხრიდან იმის შეფასებას, თუ რამდენად ეფექტიანად იცავს გაერთიანების სამართალი და პრაქტიკა შესაბამის უფლებას. თითქმის ერთსულოვანია აზრი იმის შესახებ, რომ კავშირის წევრი ქვეყნები, კოლექტიურად თუ ცალკე, პასუხისმგებელნი არიან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე. გაკეთებულია დასკვნა, რომ დღეს უკვე

სრულიად აშკარაა არა მარტო სტრასბურგის იურისდიქციის გაფართოების საჭიროება ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის კავშირის სამართლებრივ სისტემასთან მიმართებაში, არამედ ისიც, რომ ამ ნაბიჯის გადასადგმელად უკვე მომწიფებულია ნიადაგი.

ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ „სამმაგი იურისდიქციის“ ვითარებით შექმნილი „სამართლებრივი გაურკვევლობის“ თავიდან აცილების ყველაზე უფრო ეფექტიან გზას წარმოადგენს ევროპის კავშირის ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ მხარედ გახდომა. შესაბამისად, მოწონებულია კონვენციის მე-14 ოქმის პოზიცია, რომელმაც კარი გაუხსნა ევროპის კავშირს.

24. ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მიზეზობრივი კავშირის კონცეფციის გამოყენებადობის აქტუალურობის საკითხზე ჩვენი დასკვნები შემდეგია:

ა) მიზეზობრივი კავშირის კონცეფციის როლი კონვენციის ნებისმიერი უფლების დარღვევის აღიარებაში შეუცვლელია, ვინაიდან კონვენციის დარღვევისათვის ხელშემკვრელი სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ მიზეზობრივ კავშირს სახელმწიფოს მხრიდან უფლების დაცვის ნეგატიური ან პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობასა და უფლების დარღვევას შორის.

ბ) ასევე შეუცვლელია „მიზეზობრივი კავშირის“ როლი კონვენციით დაწესებული გარკვეული პირობების შემოწმებისას, მათ შორის იმ უფლებათა შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას, რომელთა მიმართებაში კონვენცია ითვალისწინებს შემზუდველ პირობებს, რომლებიც შეფასებითი კატეგორიებითაა აღწერილი („აუცილებელი“, „მკაცრად აუცილებელი“, „აბსოლუტურად აუცილებელი“, „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“).

კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით შექმნილი სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გაკეთებული ჩვენი დასკვნა ისაა, რომ „მიზეზობრივი კავშირის“ გამოყენება აუცილებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დასაბუთების სამივე ეტაპზე: – მართლაც ემსახურებოდა თუ არა უფლებათაში ჩარევა დასახულ კანონიერ მიზანს (I) და იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი“ (II) და „თანაზომიერი“ (III).

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალში მიზეზობრივი კავშირის გამოყენებადობის გამჭოლმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვაზე საერთაშორისო კონტროლის განხორციელების პროცესში მიზეზობრივი კავშირის განსხვავებული მიმართებები მოიცავენ როგორც სინამდვილის, ისე ჰიპოთეტურ სფეროს, როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ გარემოებებს; განსხვავებულ მიმართებებში შეიძლება (და უნდა) იქნეს გამოყენებული მიზეზობრივი კავშირის როგორც მინიმალისტური, ისე მაქსიმალისტური გაგება;

ხოლო თავად ეს საკითხი კი საღი აზრის მიხედვით უნდა გადაწყდეს პრობლემის იურიდიული ბუნების, დასაბუთების მიზანდასახულობისა და, რაც მთავარია, შესაბამის შემთხვევაში სამართლებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით.

EVA GOTSIRIDZE

FREEDOM OF EXPRESSION

WITHIN THE CONTEXT OF FAIR BALANCE OF CONFLICTING VALUES

**(According to the European Convention on Human Rights and the
Jurisprudence of the European Court of Human Rights)**

CONCLUSIVE PROVISIONS

1. The idea of freedom of expression must be judged in relation to the idea of freedom of an individual. The problem of balancing freedom of expression with other interests is ancient as the origin of the idea of freedom of an individual itself. The coexistence of human beings and their organization into states have provided an objective basis for limiting the freedom of an individual. Even the most democratic definitions of "freedom" underline its non-absoluteness. The principle that "freedom means the right to do anything that does not inflict harm to another" entails that any freedom, including freedom of expression, calls for harmonization with other interests and peaceful coexistence. As value conflicts are inevitable, the way out of the dilemma in a democratic society is one – fair balance of values. That's why the position of the European Court of Human Rights is quite reasonable and justified as it sets reaching a fair balance between conflicting interests as the core objective of the European Convention on Human Rights and the European Court.

2. Although freedom of expression has evolved differently in different European countries, the conceptual framework on which its recognition was based

was common – the opinions on the essence, importance and role of the freedom as well as on its extents in relation to other lawful interests. The Case Law of the European Court of Human Rights shows that it has built on the common European traditions and experience.

3. Resolving a conflict of values involving freedom of expression is a daunting challenge. On the one hand, there is a certain presumption of attaching priority to freedom of expression. However, on the other hand, such presumption is not always justified. Due to its ontological nature, freedom of expression has a strong propensity to intervene into other interests. It often appears in the role of "an aggressor" and the gravity of the damage it has inflicted or may inflict empowers the state to intervene into it. Thus, subjection of freedom of expression to "formalities", "conditions", "restrictions" or "penalties" is mainly accounted for by its "provocative nature" .

4. If there is a conflict with other lawful interests, the presumption of attaching priority to freedom of expression is based on its dual implication – it is not only a value as such but also an instrument to safeguard other values. It is the means for not only self-realization and development of an individual but also for accomplishing the truth inasmuch as it is by virtue of freedom of expression that open, free discussions on the issues of public concern, a necessary component of a democratic political process, are made possible. Consequently, the dual implication of freedom of expression produces a dual value. Therefore, logical is not only the European Court's reference to it as a foundation of a democratic society and a precondition for its development but also the fact that whenever a conflict of values is involved, the priority of this individual right of dual value has a solid and serious basis. However, recognition of a special importance of freedom of expression in a democratic society is more related to its other implication – an instrument guarantee free public debates and accomplish the truth – than to the first one – an instrument for self-realization of an individual.

5. Freedom of expression is subject to all the principles applying to the rights under the Convention, which are subject to limitations in favor of other legitimate interests, among them - a broad interpretation of the scopes of rights and a

narrow interpretation of restricting provisions, imposition of strict criteria for evaluation of the observance of grounds for restriction, and a requirement to convincingly establish the necessity for limitation. Nevertheless, it is beyond question that the European Court applies the highest standards in relation to freedom of expression.

6. All the approaches employed in evaluating the interference into freedom of expression are measured against rigid conceptual principles. According to the basis for origin and the purpose to be served, these approaches are mainly built on three important principles:

One part of approaches reflects a certain hierarchy of values that is defined according to how adequate the given case of realization of freedom of expression is to the task or purpose that the freedom has in a democratic society and on which the recognition of its great importance is based. Consequently, the approaches that are employed are aimed at guaranteeing the degree of protection that corresponds to the value significance of the given case of implementation of freedom of expression.

The second set of approaches is based on the principle of subsidiarity, reflecting the specifics of international control over human rights and being designed to harmonize respect for the positions of sovereign states with the objectives of international control.

The third set of approaches is based on the legal nature inherent to conflict of values themselves and is intended to harmonize and balance the interests involved.

7. Overall, there are a number of factors influencing the evaluation of the necessity for and reasonableness of restricting freedom of expression to safeguard other legitimate interests – whether the expression involved an issue of public interest (concern); what sphere it falls within; what the margin of appreciation is in the given sphere; who expressed criticism and against whom; what the content of information and ideas was; whether it was a "statement of facts" or "value judgment"; what was the target auditorium, the audience concerned by or learning the given ideas or information; what the form, manner or situation of expression was; which media (printed or broadcasting) was concerned; whether "duties and responsibilities" were

violated; what the damage, whether inflicted or potential, was; what the character or extent of intervention into a right, etc was. These factors shift the balance to different sides and provide the basis for a final opinion on the necessity for and proportionality of restricting freedom of expression. However, the influence of some factors is much stronger and more substantial.

8. The Case Law of the European Court shows that the factor for which priority is most often attached to freedom of expression in a conflict of interests is "participation in a public debate on the matter of public concern". On account of the vital importance the free exchange of ideas and information on the matters of public concern and of public debates of such issues, it is often decisive for the European Court whether the expressed idea involved an issue of public concern, how directly it was related to the normal operation of a democratic process and whether it constituted "participation" into such process. It can be said with certainty that of all the possible cases of implementation of freedom of expression "participation in a public debate on the issue of public concern" has the greatest chance to gain priority in a conflict of values and the strongest resistance to restriction.

Proceeding from the same logic, the political sphere (particularly, government criticism) and freedom of press are best protected in the Convention Law. The sphere of artistic expression is relatively less and the sphere of commerce – much less protected. To illustrate this, suffice is to mention that to justify restriction of freedom of expression in politics, the respondent state is required to establish "pressing social needs" and its "relevant and sufficient basis" for restriction. In the sphere of commerce it is enough to prove that "restriction was not unreasonable".

9. The European Court gives a vitally important roles to freedom of press in a democratic society as it is trough it that public discussions of the issues of public concerns are made possible. Imparting ideas and information for the press is not only the right but also the duty. Besides, it is one of the most effective ways to ensure freedom of obtaining information and ideas for the public. For this reason, freedom of press is both an individual and a public interest. The idea of freedom of press irrespective of whether it concerns the rights of an individual journalist or an institutional independence of the press transcends the objective of protecting "freedom

of expression" as an individual right and assumes a much wider implication – ensuring a free flow of ideas and information on matters of its interest and a free discussion of such matters. Therefore, it stands to reason that restricting freedom of press requires an unusually weighty justification.

To promote freedom of press, the European Court employs a number of principles, concepts and doctrines, including "the right to use exaggerated and provocative expressions", protection of the confidentiality of the sources of journalistic information, the concept of "a chilling effect", assigning positive obligations to the state in connection with freedom of press, negative evaluation of pre-censorship of publications, etc.

10. The concept of "the duties and responsibilities" inherent to freedom of expression that serves as the basis for Article 10 of the European Convention and to which the jurisprudence of the European Court of Human Rights has attached a real significance, perfectly opens "the paradox" that the foundation of democracy – "freedom of expression" may come into conflict with and prejudice the interests of a democratic society and, therefore, be restricted out of concerns to safeguard these interests. "Duties and responsibilities" in the jurisprudence of the Strasbourg Court must be viewed as a factor that balances the higher standard of protection enjoyed by freedom of expression. Consequently, the following principle holds true: the greater freedom, the greater such risk of prejudicing another legitimate interest. Therefore, the greater such risk, the more the relevant "duties and responsibilities" and the heavier the degree of violation of such "duties and responsibilities", the greater the chance of justifying restriction of freedom of expression.

The concept of "duties and responsibilities" reflects the coherence and indivisibility of rights and duties. This concept leads us to the following conclusion: whenever a conflict of interest is involved, the grounds for restricting freedom of expression emanate not only from the fact that a conflicted value requires protection and freedom of expression must be necessarily restricted, because there is no other way but, rather, from the fact that the freedom of expression implemented in prejudice of the relevant "duties and responsibilities" deserves a less legal protection from both moral and legal standpoints. Sometimes, even the outbreak of a conflict of values is

the consequence of violation of "duties and responsibilities". In a wider sense, "duties and responsibilities" are assigned to all who implement the freedom of expression. In a narrow sense, it is related to the cases in which the position and status of persons account for their specific duties and responsibilities.

One of the violations of "duties and responsibilities" is abuse of freedom of expression that without fail tilts the balance against such freedom, particularly when its extreme variations are involved – racial and religious slurs or other hate speech and incitement to violence. Such manifestations may be restricted under not only Paragraph 2 of Article 10 but also Article 17 as well.

11. National margin of appreciation has an essential influence on determining the fairness of balance in any case; on it depends the European Court's degree of scrutiny to which the decisions of national authorities are subjected and the degree of deference attached to the same decisions in matters of restriction of rights. With the doctrines of national margin of appreciation and of the Convention as a "living instrument" the European Court has smoothly achieved the flexibility and effectiveness of the Convention, in particular, has succeeded in that the act passed in 1950 in the Europe of that time has been operating in time and space - at different times and in different countries of diverse political, cultural and legal traditions.

The doctrine of national margin of appreciation that the European Court has created by its jurisprudence makes sure that on the one hand international control over the protection of rights does not grow into an encroachment upon the sovereignty of a state and, on the other hand, inadequate evaluations on the part of the European Court in connection with the necessity to restrict rights is prevented as unlike the national governments, the European Court is less aware of the local realities. The doctrine of national margin of appreciation that reflects the principles of sovereignty, subsidiarity and democracy and essentially entails self-restriction of international control is implemented reasonably by the European Court. It affords national government a wide margin of appreciation in such areas only with respect to which there is no uniform, common European concept and standard, where it is important to consider the local specifics and "a national judge is in a better position to express an opinion on the necessity to restrict a right than an international judge". Such areas include the

interests of national security, territorial integrity, public safety and protection of morals as well as a sphere of commerce (including regulation of professional advertisement) and interestingly, licensing of broadcasting, television or cinema enterprises.

Wide scopes tilt the balance to the detriment of freedom of expression because the wider the scopes, the lighter the burden of the state to justify a restricting measure.

Despite this common principle, the following has been clearly manifest: of all the public interests with respect to which the national margin of appreciation is wide, in practice the European Court attaches priority to national evaluations most often where freedom of expression is restricted out of concerns to protect public, including religious, morals, relatively less often – where restriction serves the national security or territorial integrity considerations. As it seems, on the one hand, this emanates from the fact that freedom of expression relatively seldom presents a clear and imminent threat to national security or territorial integrity, and on the other hand, from the fact that relevant cases are often related to politics that overweighs balance in favor of freedom of expression. However, abuse of public morals and religious sentiments of believers directly touches a sensitive nerve of the public and disrupts the atmosphere of peace, harmony and tolerance the existence of which is so critically important in a democratic society.

In our opinion, not only the employment of the doctrine of national margin of appreciation does not contravene but is fully compatible with and conducive to the idea of fair balance between conflicting values. Therefore, we cannot agree with the idea that the interpretation of “the margin of appreciation” must always be resolved according to a strict presumption in favor of freedom of speech.

12. The conflict of values between freedom of expression and the right to reputation is solved by the European Court with the concept of the so-called "admissible criticism" that is widely employed in practice. The scopes of such "admissible criticism" depend on the position and available means of protection of the object of criticism. The more vulnerable an individual is, the greater the state obligation to protect his reputation. Therefore, the scopes of admissible criticism are

Some of the additional factors tilting balance in favor of freedom of expression in times of such conflicts are as follows: in hard-to-handle situations, the European Court tends to accord the status of a "public concern" to the matter involved by the expression; deem the respective expression as "value judgment", not as "statement of facts", and in the event of facts – hold that the person acted bona fide, not with an evil or malicious intent. That's how the European Court makes sure that "freedom of expression has the breathing space for survival".

13. The history of resolving the conflict of the values of freedom of expression and right to reputation shows that the position of the European Court must be seen as basically moderate. Although there are some approaches to certain issues which help predict balance to tilt in favor of a certain value, there are not rigid or strictly defined mandatory priorities. Nevertheless, we concur with the idea that Right to Reputation is sometimes vainly scarified to freedom of expression, particularly when a conflict involves freedom of press. I think it necessary to consider that the media commercialization has changed the nature of modern media corollary of which is that sometimes it is focused more on making profit than furnishing the society with objective information on the issues of public concern. We may just as well expect that on the nearest picture of the media performing its role in a democratic society will depend whether the European Court changes its rigid approaches to defining the standard of freedom of press.

The thesis does not concur with the idea that the development of a balance to the detriment of right of reputation is corollary to the fact that the European Convention does not specifically uphold it as a separate right.

14. The jurisprudence of the European Court has not yet achieved a blueprint solution to the issues related to defamation of groups of individuals. The Court has not yet given a precise answer to the question whether the right of a member of a group of individuals to file a defamation lawsuit involving the entire group is compatible with Article 10 of the Convention. However, we can infer an indirect conclusion from its practice that the European Court shares the idea that a possible defamation of a group of individuals must concern personally the members of the group. Consequently, in the event of possible defamation of a group of individuals, the right of a member of the group to protect his individual right may be seen compatible with Article 10 of the European Convention if defamation was directed personally against him. As it seems, the existence of "social collective dignity" is not recognized. In any case, freedom of expression fully overweighs it.

15. We fully agree with the position of the European Court that a common European consensus can be reached in the area of maintaining the authority and impartiality of the judiciary. Nevertheless, we believe that it is necessary to consider local realities in this sphere. The question as to how justified it is to prohibit the media from highlighting a current hearing must be judged against the actual standards of the independence of the judiciary in the given state. Where these standards are high, such broadcasting presents little threat of influence upon the court. However, where they are low, the European Court has to handle the matter extremely carefully. A relatively low standard of independence and impartiality of the judiciary implies the threat of influencing the judiciary not only on the part of the public and the media but on the part of government as well. Therefore, where the threat of influence on the part of government is not ruled out, imposition of limitation on the media may not always be justified. On the contrary, the role of a "watchdog" may be the most important in this particular situation.

16. We came across a sort of inconsistency with respect to the approach to dissemination or promotion of racial or religious slurs or other hate speech. The European Court holds (quite reasonably) that dissemination of hate is incompatible with the tolerance specific for a democratic society. However, its approach is comparatively more liberal to the situations involving only indirect help in disseminating such opinions. In such cases, the Court tilts balance in favor of freedom of journalists. In our opinion, the European Court is not always adequately critical in evaluating the question whether journalists share "the duties and responsibilities" of the authors of racist ideas.

The provision of the European Court that in interpreting the Convention other human rights agreements (including the International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination) must be taken into account must be translated into practice more effectively. In the relevant case, by allowing a wider margin of appreciation to national governments, it must facilitate the fulfillment of their obligations under the said agreements.

17. There has been inconsistency in validating the imposition of restriction on dissemination of hatred and incitement to violence. Such restriction is imposed sometimes under Paragraph 2 of Article 10 and sometimes under Article 17 of the European Convention. And, sometimes, Article 17 is invoked as an additional argument to strengthen the reasoning for violation of Paragraph 2 of Article 10 of the Convention. In our opinion, such a diversity of qualifications makes it difficult to clearly comprehend and precisely identify the expression that clashes with the fundamental understanding of freedom of expression and what actually is not within the area of application of Article 10 of the Convention. Such confusion (legal uncertainty) must not be caused by the fact that the purpose of Article 17 in the Convention is seen as the "last resort" to restrict abuse of the rights and freedoms guaranteed under the Convention.

18. There are gaps in the logic of substantiating the condition for restriction of freedom of expression – "necessary in a democratic society". Sometimes, there is a lack of consistency in evaluating "the necessity for interference" and "the proportionality of interference" into the right by the government (sometimes the

evaluation of "the necessity for interference" absorbs that of "the proportionality of interference" and sometimes vice-versa); sometimes the focus of the evaluation of "pressing social needs" and its "relevant and sufficient basis" is shifted from the necessity for interference in the right to only the necessity for the restricting measure imposed, that makes it hard to clearly comprehend whether the basis for interfering in the right existed at all and whether the state had a legitimate right to act towards interfering into the right. Besides, such a partial analysis either gives a formal character to "the evaluation of proportionality" or casts it away as an excess baggage altogether. There are cases when "the proportionality of interference" is determined only against the extent of punishment or the amount of penalty or compensation of damage, not against the principal restricting measure. The thesis gives a negative evaluation to the practice of the European Court when "the necessity for restriction in a democratic society" is defined only against the disproportionality of a restricting measure without substantiating "pressing social needs" for imposition of restriction and vice-versa; when "the necessity for interference" and "the proportionality of interference" are evaluated at one and the same time, are based on one and the same circumstances and are identified as one and the same; when after establishing the non-existence of "pressing social needs" for interference, evaluation is still made by "proportionality" criteria still continues and when "the evaluation of proportionality" does not entail all the components and is limited to some of them only. In our opinion, such "substantiation" contravenes other judgments of the European Court where the correct and natural logic of substantiation is maintained, not prejudiced. Above all, it complicates having a clear understanding of the principles of the necessity for and proportionality of interference in freedom of expression.

19. If assumed directly, the provisions general character of the case law of the European Court of Human Rights, including in the area of freedom of expression, often contradict one another. However, such contradiction is only on the surface. The reason lies in the specifics of the evolvement of Case Law as such – on the one hand, unlike positive norms, the provisions of case law are always based on the factual and legal context of the given case and, therefore, they cannot implicitly apply to other cases as they require the comparison of the factual and legal contexts of the respective

cases. On the other hand, oftentimes the purpose of the provisions of case law is to establish only a common approach to this or that issue, not to define rigid and binding principles. Therefore, one has to exercise caution and, before applying them to other cases, establish their purpose. Proceeding from the above, the "binding effect" of the provisions of case law sometimes has only a conditional character.

It is by evaluation of this question from across this angle that we can conclude that the most well-known and often-cited provision of the European Court in the area of freedom of expression that the Convention entails dissemination of the ideas and information which "offend, shock or disturb" others cannot be misunderstood as if the Convention protects the right to "offend, shock or disturb" others. This provision reflects common spirit only and is no way a blueprint formula for mechanical application. It defines not "what must always be protected" but "what can be protected", explaining that even dissemination of the ideas and information which "offend, shock or disturb" others may be judged as justified and that these features cannot serve as a sufficient basis for their limitation. The same cautious approach is required in connection with the provision on the journalist's right of exaggeration and provocation and some other interpretations of the Court.

20. Based on the case law of the European Court of Human Rights, the thesis highlights the theoretical aspects of the concept of "fair balance", inferring that reaching a fair balance between conflicting values does not at all mean equalizing the degree of their protection and an arithmetic balancing of interests; that balance can be "fair" even when an individual right is given absolute priority in favor of a public interest or the rights of another person and even when even the most serious interference into a right was justified. Thus, as there is no blueprint formula to reach "fair balance" and it is defined according to the specific facts of each particular case, the principles that can conditionally be referred to as "dynamic balance" holds inasmuch as "the center of gravity/focal point of fairness on the conditional, virtual scale of conflicting values is sometimes on one side and at other times – on the other.

The thesis analyzes the concept of "fair balance" in connection with the grounds for restriction – "necessary in a democratic society". According to our conclusion, their substance carries the same implication (grounds for restriction – "necessary in a democratic society" is concurrently a condition for "fair balance" – if a limitation was necessary in a democratic society, this means that the limitation was fair and reasonable); the difference between them lies in the fact that "fairness" is an essence, a goal to reach while "necessary in a democratic society" – a means for achieving such fairness, the evaluation criterion, the employment of which serves this goal. However, in our opinion, the concept of fair balance of interests still finds its reflection primarily in the evaluation of "the proportionality of interference".

21. The comparison of universal and regional international legal acts in the area of human rights with the European Convention on Human Rights has identified two facts based on which, if the jurisprudence of Strasbourg were ignored, it could be inferred that the European Convention contains fewer guarantees for protection of freedom of expression than other acts do. The first fact is that unlike other acts, the European Convention does not specifically refer to certain rights, e.g. the "right to seek information", the "right to response" for the person who incurred damages from the ideas or information disseminated by the media; does not expressly provide that Article 10 protects "all kinds" of information and ideas; the other fact is that the European Convention provides a longer list of the legitimate interests in favor of which freedom of expression can be restricted. In this respect, we believe that some "gaps" have been filled through the jurisprudence of the European Court. The long list of the legitimate aims justifying restriction (in consideration of the practice) serves not as a precondition for excessive intervention into freedom of expression but rather as a legal guarantee for adequate consideration of public interests and their fair balancing. Therefore, overall, we believe that the substance and scopes of freedom of expression under the European Court are consistent with both UN and other regional international human rights acts and there is not principal difference between them.

As for Article 10 of the European Convention that, unlike other acts, does not expressly prohibit war propaganda and incitement to violence, the Case Law has filled this "gap" as well – in fact, they have never enjoyed protection. Nevertheless, as they

are antithesis to democracy, we don't believe that covering them even formally by Article 10 of the European Convention is justified.

22. The comparative analysis of the European Court of Human Rights and the US Constitutional Law in the field of freedom of expression has shown that there are more similarities than differences between them. Both recognize the inestimable value of freedom of expression in a democratic society; similar are the legitimate interests in favor of which it can be restricted; both contain a principle requirement that there must be a solid argument for justification of limitation; similar are the spheres where freedom of expression enjoys special protection (politics and freedom of press); the attitude to defamatory statements are similarly differentiated according to whom they concern, etc. Nevertheless, we believe that by virtue of its First Amendment, the US Constitution guarantees greater protection for freedom of expression than the European Convention (whether it is always justified is another question). In our opinion, the application of the American criterion of "clear and imminent (real) danger" guarantees a greater standard of protection than the European criterion – "necessary in a democratic society". The most plausible evidence for a high standard of protection is related to the imposition of the onus (burden) of proof on the plaintiff in defamation lawsuits, a more liberal attitude to a variety of manifestations of racial or other intolerance, and the admissibility of their limitation only under the conditions of committing an illegal act or a clear and imminent (real) danger of otherwise inflicting a damage.

We fully concur with the idea that the relatively more stringent approach to racial, national, religious or other intolerances of the European Court and High Contracting Parties to the Convention are accounted for by the tragic experiences of totalitarianism and genocide in Europe. Such approaches can be deemed justified both out of or within the above context.

23. After analyzing the so-called "three-fold jurisdiction" in Europe, we arrived at the conclusion that the co-existence of three legal systems in the area of fundamental rights in Europe gives rise to challenges in connection with the effectiveness of human rights protection and legal certainty, including in delineating the competences of the European Court of Human Rights and the European Court of

Justice. It turns out that these two courts are trying not to intervene into the jurisdictions of each other in order to prevent confusion and paralelism. This ultimately works to the detriment of human rights. The Luxemburg Court primarily considers issues in the context of market freedoms, not simultaneously in the context of fundamental human rights, keeping back from making conclusions on whether this or that right under Article 10 of the European Convention has been violated and, avoiding in general, creation of human rights oriented jurisprudence. As far as the European Court of Human Rights is concerned, its approaches have evolved over time. The organs of the European Convention find applications against the EU law and decisions inadmissible based on incompatibility with the rules of *ratione personae* or *ratione materiae*. This time, in the relevant case the Court uses a “manifestly ill-founded” ground, based on the presumption of the existence of "reasonable alternative means of protection" (the EU Law). This presumption is not irrebutable if the facts of a case point to a clear human rights violation. It is recognized that by acceding and transferring powers to the European Community, High Contracting Parties are not released from their responsibilities under the European Convention if while applying the EU law, their acts violate the Convention. At present, there is a clear trend that the question of admissibility of all the claims which directly or indirectly concern the European Union will be subject to the evaluation by the European Court as to how effectively the EU Law and practice protect this or that right. The idea is almost unanimous that the member-states of the European Community are responsible, jointly or severally, under the European Convention of Human Rights. The inference has been drawn that not only is it necessary to expand the jurisdiction of the European Court of Human Rights to the legal system of the European Community in the areas of fundamental rights but that there is already a fertile ground to make this step.

We agree with the idea that the most effective way to prevent the "legal uncertainty" created by the "three-fold jurisdiction" is EU accession to the European Convention on Human Rights. Therefore, I approve that Protocol 14 to the European Convention has opened the door to the European Union. We believe that the European Court of Human Rights will probably give the European Union a wide margin of appreciation and will pay serious deference to its positions on this or that issue.

24. Our conclusions on the issues of application of the concept of causation in the European Law of Human Rights are as follows:

a) The role of the concept of causation in eliminating the violation of any of the Convention rights is irreplaceable as the international legal liability of a High Contracting Party for violation of the Convention is based on only a causal connection between the Party's non-compliance with negative or positive obligation to protect a right and violation of the right.

b) Equally irreplaceable is the role of "causal connection relationship" in examining the certain conditions under the Convention, including in evaluating the justifiability of the restriction of the rights in relation to which the Convention provides restricting conditions which are described in evaluation categories ("necessary", "strictly necessary", "absolutely necessary", "necessary in a democratic society").

The conclusion that we have drawn from analyzing the judicial practice in connection with the application of Article 10 of the Convention is that the use of "causal connection" is necessary on all the three stages of validating the imposition of restriction on freedom of expression: 1) whether interference in the right actually served the legitimate aim and whether interference has been 2) "necessary" and 3) "proportionate".

c) An in-depth analysis of the application of a "causal connection " in the European Human Rights Law has shown that different understandings of "causation" in the process of international control over human rights entail both "matter of facts" and "matter of law"; a minimalistic as well as maximalistic understanding of "causal connection" may (and must) be used in different situations, and latter must be judged by common sense criteria taking into account: 1) legal nature of the specific issues standing before the court; 2) the purpose and burden of proving causation in given case; 3) characteristics of the cause and effect relationship, and most importantly, 4) legal advisability in the respective case.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ადამიანის
უფლებათა ევროპული კომისიის
განჩინებები და გადაწყვეტილებები

განჩინებები

1. **De Becker v. Belgium** – 27 March 1962
2. **Engel and others v. the Netherlands** – 8 June 1976
3. **Handyside v. the United Kingdom** – 7 December 1976
4. **Sunday Times (N 1) v. the United Kingdom** – 26 April 1979
5. **Dudgeon v. the United Kingdom** – 22 October 1981
6. **Silver and Others v. the United Kingdom** – 25 March 1983
7. **Malone v. the United Kingdom** – 2 February 1984
8. **Barthold v. Federal Republic of Germany** – 25 March 1985
9. **Barthold v. Federal Republic of Germany** – 31 January 1986
10. **Lingens v. Austria** – 8 July 1986
11. **Glaserapp and Kosiek v. Federal Republic of Germany** – 28 August 1986
12. **Leander v. Sweden** – 26 March 1987
13. **Müller and others v. Switzerland** – 24 March 1988
14. **Barfod v. Denmark, 22 February** – 22 February 1989
15. **Gaskin v. the United Kingdom** – 7 July 1989
16. **Markt Intern Verlad GmbH and Klaus Beermann v. Federal Republic of Germany** – 20 November 1989
17. **Groppera Radio AG and others v. Switzerland** – 28 March 1990
18. **Weber v. Switzerland** – 22 March 1990
19. **Autronic AG v. Switzerland** – 22 March 1990
20. **Kruslin v. France** – 24 April 1990
21. **Oberschlick (N 1) v. Austria** – 23 May 1991
22. **The Observer and Guardian Newspapers Ltd v. the United Kingdom** – 26 November 1991
23. **Sunday Times (N 2) v. the United Kingdom** – 26 November 1991
24. **Castels v. Spain** – 23 April 1992
25. **Thorgeir Thorgeirson v. Iceland** – 25 June 1992
26. **Schwabe v. Austria** – 28 August 1992
27. **Herczegfalvy v. Austria** – 24 September 1992
28. **Open Door Counselling Ltd and Dublin Well Woman v. Ireland** – 29 October 1992
29. **Hadjianastassiou v. Greece** – 19 December 1992
30. **Colman v. the United Kingdom** – 28 June 1993
31. **Chorherr v. Austria** – 25 August 1993
32. **Informationsverein Lentia and others v. Austria** – 24 November 1993

33. **Casado Coca v Spain** – 24 February 1994
34. **Jacobowski v. Germany** – 23 June 1994
35. **Otto-Preminger-Initstut v. Austria** – 20 September 1994
36. **Jersild v. Denmark** – 23 September 1994
37. **Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria** – 19 December 1994
38. **Vereniging Weekblad Bluf! v. the Netherlands** – 9 February 1995
39. **Prager and Oberschlick v. Austria** – 26 April 1995
40. **Piermont v. France** – 27 April 1995
41. **Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom** – 13 July 1995
42. **Vogt v. Germany** – 26 September 1995
43. **Goodwin v. the United Kingdom** – 27 March 1996
44. **Ahmed Sadik v. Greece** – 15 November 1996
45. **Wingrove v. the United Kingdom** – 25 November 1996
46. **De Haes and Gijsels v. Belgium** – 24 February 1997
47. **Telesystem Tyrol Kabeltelevision v. Austria** – 9 June 1997
48. **Oberschlick (N 2) v. Austria** – 1 July 1997
49. **Worm v. Austria** – 29 August 1997
50. **Radio ABC v. Austria** – 20 October 1997
51. **Zana v. Turkey** – 25 November 1997
52. **Grigoriades v. Greece** – 25 November 1997
53. **The United Communist Party of Turkey and Others v. Turkey** – 30 January 1998
54. **Guerra v. Italy** – 19 February 1998
55. **Bowman v. the United Kingdom** – 19 February 1998
56. **Schöpfer v. Switzerland** – 20 May 1998
57. **Incal v. Turkey** – 9 June 1998
58. **Hertel v. Switzerland** – 25 August 1998
59. **Ahmed and Others v. the United Kingdom** – 2 September 1998
60. **Lehideux and Isorni v. France** – 23 September 1998
61. **Steel and others v. the United Kingdom** – 23 September 1998
62. **Janowski v. Poland** – 21 January 1999
63. **Fressoz and Roire v. France** – 21 January 1999
64. **Bladet Tromsø and Stensaas v. Norway** – 20 May 1999
65. **Rekvényi v. Hungary** – 20 May 1999
66. **Arslan v. Turkey** – 8 July 1999
67. **Baskaya and Okçuoglu v. Turkey** – 8 July 1999
68. **Ceylan v. Turkey** – 8 July 1999
69. **Erdogdu and Ince v. Turkey** – 8 July 1999
70. **Gerger v. Turkey** – 8 July 1999
71. **Karataş v. Turkey** – 8 July 1999
72. **Okçuoglu v. Turkey** – 8 July 1999

73. **Polat v. Turkey** – 8 July 1999
74. **Sürek (N 1) v. Turkey** – 8 July 1999
75. **Sürek (N 2) v. Turkey** – 8 July 1999
76. **Sürek (N 3) v. Turkey** – 8 July 1999
77. **Sürek (N 4) v. Turkey** – 8 July 1999
78. **Sürek and Özdemir v. Turkey** – 8 July 1999
79. **Öztürk v. Turkey** – 28 September 1999
80. **Dalban v. Romania** – 28 September 1999
81. **Wille v. Liechtenstein** – 28 October 1999
82. **Hashman and Harrup v. the United Kingdom** – 25 November 1999
83. **Nilsen and Johnsen v. Norway** – 25 November 1999
84. **News Verlags GmbH and CoKG v. Austria** – 11 January 2000
85. **Fuentes Bobo v. Spain** – 29 February 2000
86. **Özgür Gündem v. Turkey** – 16 March 2000
87. **Wabl v. Austria** – 21 March 2000
88. **Bergens Tidende and others v. Norway** – 2 May 2000
89. **Erdogdu v. Turkey** – 15 June 2000
90. **Constantinescu v. Romania** – 27 June 2000
91. **Sener v. Turkey** – 18 July 2000
92. **Tele 1 Privatfersehgesellschaft mbH v. Austria** – 21 September 2000
93. **Lopes Gomes Da Silva v. Portugal** – 28 September 2000
94. **Du Roy and Malaurie v. France** – 3 October 2000
95. **Aksoy v. Turkey** – 10 October 2000
96. **Tammer v. Estonia** – 6 February 2001
97. **Jerusalem v. Austria** – 27 February 2001
98. **Thoma v. Luxembourg** – 23 March 2001
99. **Marônek v. Slovakia** – 19 April 2001
100. **Cyprus v. Turkey** – 10 May 2001
101. **Sürek, Kamil T. v. Turkey** – 14 June 2001
102. **VgT Verein gegen Tierfabriken v. Switzerland** – 28 June 2001
103. **Feldek v. Slovakia** – 12 July 2001
104. **Ekin Association v. France** – 17 July 2001
105. **Perna v. Italy** – 25 July 2001
106. **E.K. v. Turkey** – 7 February 2002
107. **Dichan and others v. Austria** – 26 February 2002
108. **Unabhängige Initiative Informationsvielfalt v. Austria** – 26 February 2002
109. **De Diego Nafria v. Spain** – 14 March 2002
110. **Gaveda v. Poland** – 14 March 2002
111. **Nikula v. Finland** – 14 March 2002
112. **McVicar v. the United Kingdom** – 7 May 2002
113. **Altan v. Turkey** – 14 March 2002
114. **Yağmurdereli v. Turkey** – 4 June 2002

115. **Ali Erol v. Turkey** – 20 June 2002
116. **Colombani and others v. France** – 20 June 2002
117. **Karataş v. Turkey** – 9 July 2002
118. **Özler v. Turkey** – 11 July 2002
119. **Sürek (N 5) v. Turkey** – 16 July 2002
120. **Freiheitliche Landesgruppe Burgenland v. Ausitria** – 18 July 2002
121. **Mtehmet Bayrak v. Turkey** – 3 September 2002
122. **Karakoç and Others v. Turkey** – 15 October 2002
123. **Ayşe Öztürk v. Turkey** – 15 October 2002
124. **Stambuk v. Germany** – 17 October 2002
125. **Demuth v. Switzerland** – 17 October 2002
126. **Özcan Riliç v. Turkey** – 26 November 2002
127. **Informationsverein Lentia v. Austria** – 28 November 2002
128. **Yalçın Küçük v. Turkey** – 5 December 2002
129. **Çetin and others v. Turkey** – 13 February 2003
130. **Erkanli v. Turkey** – 13 February 2003
131. **Roemen and Schmit v. Luxembourg** – 25 February 2003
132. **C.S.Y v. Turkey** – 4 March 2003
133. **Gökçeli v. Turkey** – 4 March 2003
134. **Lešnik v. Slovakia** – 4 March 2003
135. **Yasar Kemal Gökçeli v. Turkey** – 4 March 2003
136. **Appleby and others v. Romania** – 4 March 2003
137. **Skalka v. Poland** – 27 May 2003
138. **Zarakolu v. Turkey** – 27 May 2003
139. **Hrico v. Slovakia** – 19 September 2003
140. **Radio France and Others v. France** – 23 September 2003
141. **Merphy v. Irland** – 10 July 2003
142. **Ernst and others v. Belgium** – 15 July 2003
143. **Alinak v. Turkey** – 2 September 2003
144. **Karkin v. Turkey** – 23 September 2003
145. **Caralan v. Turkey** – 25 September 2003
146. **Kizilyaprak v. Turkey** – 2 October 2003
147. **Zarakolu v. Turkey (N 1,2,3)** – 2 October 2003
148. **Demetraş v. Turkey** – 9 October 2003
149. **Pedersen and Baadsgaard v. Denmark** – 19 June 2003
150. **Steur v. the Netherlands** – 28 October 2003
151. **Krone Verlag GmbH & Co. KG. (N 2) v. Austria** – 6 November 2003
152. **Socialist party of Turkey and Others v. Turkey** – 12 November 2003
153. **Gündüz v. Turkey** – 4 December 2003
154. **Krone Verlag GmbH & Co. KG v. Austria** – 11 December 2003
155. **Yankov v. Bulgaria** – 11 December 2003
156. **Krone Verlag GmbH v. Austria** – 11 December 2003

157. **Abdullah Aydin v. Turkey** – 9 March 2004
158. **Gerger v. Turkey** – 9 March 2004
159. **Radio France v. France** – 30 March 2004
160. **Mehdi Zana v. Turkey (N 2)** – 6 April 2004
161. **Amihalachioaie v. Moldova** – 20 April 2004
162. **Plon (Societe) v. France** – 18 May 2004
163. **Vides Aizsardzibas Klubs v. Latvia** – 27 May 2004
164. **Yurttas v. Turkey** – 27 May 2004
165. **Rizos et Daskas v. Greece** – 28 May 2004
166. **Chauvy and others v. France** – 29 June 2004
167. **Zarakolu et Belge Uluslararası Yayincılık v. Turkey** – 13 July 2004
168. **Haydar Yildirim and others v. Turkey** – 15 July 2004
169. **Kürkçü v. Turkey** – 27 July 2004
170. **Okutan v. Turkey** – 29 July 2004
171. **Feridun Yazar v. Turkey** – 23 September 2004
172. **Sabou et Pircalab v. Romania** – 28 September 2004
173. **Varli and others v. Turkey** – 19 October 2004
174. **Doğaner v. Turkey** – 21 October 2004
175. **Rıza Dinç v. Turkey** – 28 October 2004
176. **Maraşlı v. Turkey** – 9 November 2004
177. **Dicle v. Turkey** – 10 November 2004
178. **Odabaşı v. Turkey** – 10 November 2004
179. **Ayhan v. Turkey (N 1)** – 10 November 2004
180. **Baran v. Turkey** – 10 November 2004
181. **Kalin v. Turkey** – 10 November 2004
182. **Karhuvaara and Iltalehti v. Finland** – 16 November 2004
183. **Selistö v. Finland** – 16 November 2004
184. **Özkaya v. Turkey** – 30 November 2004
185. **Elden v. Turkey** – 9 December 2004
186. **Cumpănă and Mazăre v. Romania** – 17 December 2004
187. **Pedersen and Baadsgaard v. Denmark** – 17 December 2004
188. **Busuioc v. Moldova** – 21 December 2004
189. **Halis v. Turkey** – 11 January 2005
190. **Zana and others v. Turkey** – 11 January 2005
191. **Dağtekin v. Turkey** – 13 January 2005
192. **Karademirci and Others v. Turkey** – 25 January 2005
193. **Erdost v. Turkey** – 8 February 2005
194. **Steel and Morris v. the United Kingdom** – 15 February 2005
195. **Pakdemirli v. Turkey** – 22 February 2005
196. **Birol v. Turkey** – 1 March 2005
197. **Gümüş and others v. Turkey** – 15 March 2005
198. **Taniyan v. Turkey** – 17 March 2005

199. **Ağın v. Turkey** – 29 March 2005
200. **Ukrainian Media Group v. Ukraine** – 29 March 2005
201. **Sokolowski v. Poland** – 29 March 2005
202. **Alinak v. Turkey** – 29 March 2005
203. **Rainys et Gasparavičius v. Litva** – 7 April 2005
204. **Falakaoğlu v. Turkey** – 26 April 2005
205. **Teslim Töre v. Turkey** – 19 May 2005
206. **Turhan v. Turkey** – 19 May 2005
207. **Hiyasettin Altin v. Turkey** – 25 May 2005
208. **Pamak v. Turkey** – 7 June 2005
209. **Independent News and Media and Independent Newspapers Ireland Limited v. Ireland** – 16 June 2005
210. **Ergin v. Turkey (N 1,2,3,4,5)** – 16 June 2005
211. **Ergin et Keskin v. Turkey (N 1,2)** – 16 June 2005
212. **Salov v. Ukraine** – 6 September 2005
213. **L.A. v. Turkey** – 13 September 2005
214. **Kyprianou v. Cyprus** – 15 December 2005
215. **Stângu and Scutelnicu v. Romania** – 31 January 2006
216. **Giniewski v. France** – 31 January 2006
217. **Karademirci and Others v. Turkey** – 25 January 2005
218. **Saday v. Turkey** – 30 March 2006
219. **Malisiewicz-Gasior v. Poland** – 6 April 2006
220. **Dammann v. Switzerland** – 25 April 2006
221. **Stoll v. Switzerland** – 25 April 2006
222. **Vereinigung Bildender Künstler v. Austria** – 25 January 2007

გადაწყვეტილებები

1. **X. v. Sweden** – 7 February 1968
2. **Sc. X. and the Association of Z. v. the United Kingdom** – 12 July 1971
3. **M. v. the United Kingdom** – 20 March 1972
4. **Sacchi v. Italy** – 12 March 1976
5. **De Geillustreerde Pers v. the Netherlands** – 6 July 1976
6. **X. v. the United Kingdom** – 4 December 1978
7. **X. and Church of Scientology v. Sweden** – 5 May 1979
8. **X. and Y. v. Belgium** – 13 May 1982
9. **X. Association v. Sweden** – 1 March 1982
10. **I.Liljenberg v. Sweden** – 1 March 1983
11. **B. v. Federal Republic of Germany** – 15 March 1984
12. **Barroud v. France** – 7 May 1984

13. **Radio X., S., W. and A. v. Switzerland** – 17 May 1984
14. **Aebi v. Switzerland** – 5 May 1985
15. **X. and others v. Belgium** – 5 March 1986
16. **Verein Alternatives Lokalradio Bern and Verein Radio Dreyeckland Basel v. Switzerland** – 16 October 1986
17. **Freie Rundfunk AG i Gr v. Federal Republic of Germany** – 4 March 1987
18. **G.M.T. Hodgson D. Woolf Productions Ltd. and National Union of Journalists and Channel Four Television Co Ltd v. the United Kingdom** – 9 March 1987
19. **Sundberg v. Sweden** – 15 October 1987
20. **Jean Alexandre and others v. France** – 10 December 1987
21. **Gemeinde Rothenthurm v. Switzerland** – 14 December 1988
22. **Hempfung v. Federal Republic of Germany** – 7 March 1989
23. **Rommelfanger v. Federal Republic of Germany** – 6 September 1989
24. **Berns and Ewert v. Luxemburg** – 6 March 1991
25. **R.Ebner v. Switzerland** – 6 June 1991
26. **Nederlandse Omroepprogramma Sticxting v. the Netherlands** – 11 July 1991
27. **Times Newspapers Ltd. and A. Neil v. the United Kingdom** – 8 October 1991
28. **B.Purcel and others v. Ireland** – 16 April 1991
29. **W. and K. v. Switzerland** – 8 April 1991
30. **K. v. Federal Republic of Germany** – 2 July 1991
31. **Schindewolf v. Federal Republic of Germany** – 2 September 1991
32. **Dumarché v. France** – 2 September 1992
33. **Times Newspapers Ltd. and A.Neil v. the United Kingdom** – 12 October 1992
34. **Nederlandse Omroepprogramma Stichting v. the Netherlands** – 13 October 1993
35. **C.Nydahl v. Sweden** – 11 January 1993
36. **Cable Music Europe Ltd v. the Netherlands** – 29 November 1993
37. **M.N. v. Spain** – 6 July 1993
38. **Röda Korsets Ungdomsförbund and others v. Sweden** – 15 January 1993
39. **Brind and others v. the United Kingdom** – 9 May 1994
40. **McLaughlin v. the United Kingdom** – 9 May 1994
41. **X. SA v. the Netherlands** – 11 January 1994
42. **J. v. Germany** – 31 August 1994
43. **A. Loersch and Nouvelle association du Courrier v. Switzerland** – 24 February 1995
44. **G.Hirrmann v. Austria** – 6 April 1995
45. **G.F. v. Switzerland** – 18 October 1995
46. **A. Neves v. Portugal** – 20 February 1995
47. **U.Walendy v. Germany** – 11 January 1995
48. **P. Zihlmann v. Switzerland** – 28 June 1995
49. **R.J.Huggett v. the United Kingdom** – 28 June 1995
50. **H.J. Van Den Dungen v. the Netherlands** – 22 February 1995

51. **Association mondiale pour l'Ecole Instrument de Paix v. Switzerland** – 24 February 1995
52. **J. Haider v. Austria** – 18 October 1995
53. **G.Honsik v. Austria** – 18 October 1995
54. **H.Trieflinger v. Germany** – 6 September 1995
55. **O.E.F.A. Remer v. Germany** – 6 September 1995
56. **Nationaldemokratische Partei Deutschlands (NPD) Bezirksverband München-Oberbayern v. Germany** – 29 November 1995
57. **F.Rebhandl v. Austria** – 16 January 1996
58. **British Broadcasting Corporation v. the United Kingdom** – 18 January 1996
59. **P.Marais v. France** – 24 January 1996
60. **A.W.Hins and P.B.Hugenholtz v. the Netherlands** – 7 March 1996
61. **L.Scharts v. Luxembourg** – 12 April 1996
62. **F.Bocos Rodriguez v. Spain** – 12 April 1996
63. **E.Bader v. Austria** – 15 May 1996
64. **Vereniging Radio 100 and others v. the Netherlands** – 27 June 1996
65. **D.I. v. Germany** – 26 June 1996
66. **D.P. v. Romania** – 4 September 1996
67. **Société nationale de programmes France 2 v. France** – 15 January 1997
68. **J.Van Der Auwera v. Belgium** – 21 May 1997
69. **J.R.López-Aando Raynaud and E.Pardo Unanua v. Spain** – 15 January 1997
70. **R.Saszmann v. Austria** – 27 February 1997
71. **H.-C.Leiningen-Westerburg v. Austria** – 20 January 1997
72. **E.Nurminen and others v. Finland** – 26 February 1997
73. **L.De Angelis v. Italy** – 17 January 1997
74. **N.Grauso v. Poland** – 9 April 1997
75. **S.Panev v. Bulgaria** – 3 December 1997
76. **G.Adams and T.Benn v. the United Kingdom** – 13 January 1997
77. **L. Grech and F.Montanaro v. Malta** – 21 January 1997
78. **Grupo Interpres SA v. Spain** – 7 April 1997
79. **H.Mahler v. Germany** – 14 January 1998
80. **H.N. v. Italy** – 27 October 1998
81. **Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlagsgesellschaft mbH v. Austria** – 16 April 1998
82. **B.A.Middelburg, S. van der Zee and Het Parool B.D. v. the Netherlands** – 21 October 1998
83. **H.Nachtmann v. Austria** – 9 September 1998
84. **Pere v. the Netherlands** – 17 November 1998
85. **A. Öztürk v. Turkey** – 19 October 1999
86. **S. Aslantaş v. Turkey** – 1 March 1999
87. **K.Lindner v. Germany** – 9 March 1999
88. **E.Immler v. Germany** – 2 March 1999

89. **H.J.Witzsch v. Germany** – 20 April 1999
90. **McGuinness v. the United Kingdom** – 8 June 1999
91. **J. Lévêque v. France** – 23 November 1999
92. **R.Predota v. Austria** – 18 January 2000
93. **M.Zana v. Turkey** – 19 September 2000
94. **A.Jääskeläinen and others v. France** – 4 May 2000
95. **H.J.Schimanek v. Austria** – 1 February 2000
96. **G.Drieman and others v. Norway** – 4 May 2000
97. **B.E.Hogefeld v. Germany** – 20 January 2000
98. **T.Brook v. the United Kingdom** – 11 July 2000
99. **H.Altin v. Turkey** – 6 April 2000
100. **M.Marlow v. the United Kingdom** – 5 December 2000
101. **United Christian Broadcasters Ltd. v. the United Kingdom** – 7 November 2000
102. **Ch.Debbasch v. France** – 27 April 2000
103. **J.Campmany y Diez de Revenga and J.L. López-Galiacho Perona v. Spain** – 12 December 2000
104. **L. Nicol and D.Selvanayagam v. the United Kingdom** 11 January 2001
105. **A.Zaoui v. Switzerland** – 18 January 2001
106. **G.Pitkevich v. Russia** – 8 February 2001
107. **H.Lunde v. Norway** – 13 February 2001
108. **Ch.Antonopoulos v. Greece** – 29 March 2001
109. **F.Kaptan v. Switzerland** – 12 April 2001
110. **Schweizerische Radio- und Fernsehgesellschaft (SRG) v. Switzerland** – 12 April 2001
111. **J.McBride v. the United Kingdom** – 5 July 2001
112. **Skyradio AG and others v. Switzerland** – 27 September 2001
113. **Verdens gang and Aase v. Norway** – 16 October 2001
114. **J.Petersen v. Germany** – 22 November 2001
115. **R.Volkmer v. Germany** – 22 November 2001
116. **Shamsa v. Poland** – 10 January 2002
117. **Hertel v. Switzerland** – 17 January 2002
118. **Gaudio v. Italy** – 21 February 2002
119. **F.Kubli v. Switzerland** – 21 February 2002
120. **Hurter v. Switzerland** – 21 February 2002
121. **Wingerter v. Germany** – 21 March 2002
122. **Brawn v. the United Kingdom** – 2 July 2002
123. **Pasalaris et Fondation de presse SA v. Greece** – 4 July 2002
124. **Temirkan v. Turkey** – 19 September 2002
125. **Wirtschafts-frend Zeitschriften-Verlagsgesellschaft mbH (N 2) v. Austria** – 14 November 2002
126. **Lucas v. the United Kingdom** – 18 March 2003

127. **Krone Verlag GmbH & Co. KG et Mediaprint Zeitungs-und Zeitschriftenverlag GmbH & Co. KG v. Austria** – 20 March 2003
128. **Harlanova v. Latvia** – 3 April 2003
129. **Krutil v. Germany** – 20 May 2003
130. **Kay v. Turkey** – 27 May 2003
131. **Bou Gibert et El Hogar y La Moda S.A. v. Spain** – 13 May 2003
132. **Camacho Lopez Escobar v. Spain** – 20 May 2003
133. **Garaudy v. France** – 26 June 2003
134. **Société Prisma Presse v. France** – 1 July 2003
135. **Kiliç v. Turkey** – 8 July 2003
136. **Freiheitliche Partei Österreichs, Landesgruppe Neiderösterreich v. Austria** – 9 October 2003
137. **Morogdu v. Greece** – 23 October 2003
138. **Arslan v. Turkey** – 13 November 2003
139. **Böhm v. Germany** – 16 December 2003
140. **A. v. Finland** – 8 January 2004
141. **Aksaç v. Turkey** – 15 January 2004
142. **Malisiewicz-Gasior v. Pologne** – 29 January 2004
143. **Alves Costa v. Portugal** – 25 March 2004
144. **S.B. and others v. Belgium** – 6 April 2004
145. **Kilinç v. Turkey** – 27 April 2004
146. **Öllinger v. Austria** – 13 May 2004
147. **Meltex Ltd v. Armenia** – 13 May 2004
148. **Krone Verlag Gesellschaft mbH & Walter v. Austria** – 13 May 2004
149. **Seurot v. France** – 18 May 2004
150. **Eccleston v. the United Kingdom** – 18 May 2004
151. **Österreichischer Rundfunk v. Austria** – 25 May 2004
152. **Chernyshe. v. Russia** – 10 June 2004
153. **Sirbu and others v. Moldova** – 15 June 2004
154. **Wirtschafts-Trend Zeitschriften-Verlags GmbH v. Austria** – 22 June 2004
155. **Harabin v. Slovakia** – 29 June 2004
156. **Rodica Cârstea et Veronica Grecu v. Romania** – 12 October 2004
157. **Christian Democratic People's Party v. Moldova** – 22 March 2005
158. **Melnychyk v. Ukraine** – 5 July 2005
159. **Ivanciuc v. Romania** – 8 September 2005
160. **I.A. v. Turkey** – 13 September 2005
161. **Perrin v. the United Kingdom** – 18 October 2005
162. **Blake v. the United Kingdom** – 25 October 2005
163. **Güner Corum v. Turkey** – 3 November 2005
164. **Klein v. Slovakia** – 8 November 2005
165. **Balsytė-Lideikienė v. Lithuania** – 24 November 2005
166. **Otto v. Germany** – 24 November 2005

167. **Vérités Santé Pratique Sarl v. France** – 1 December 2005
168. **Nordisk Film & TV A\S v. Denmark** – 8 December 2005
169. **Krone Verlags GmbH v. Austria** – 22 December 2005
170. **Hachette Filipacchi Associés v. France** – 2 February 2006
171. **Katamadze v. Georgia** – 14 February 2006
172. **Leempoel and S.A. Édition ciné Revue v. Belgium** – 2 March 2006
173. **Keller v. Hungary** 4 April 2006
174. **Geraguyn Khorhurd Patgamavorakan Akumb v. Armenia** – 11 April 2006

გამოყენებული ლიტერატურა

ზრომები

I. ქართულენოვანი

1. ალექსიძე ლ.; *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი*, თბილისი, 2004.
2. გაბეჩაძე დ.; *რეპუტაცია, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი*, კრებულში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (რედაქტორი კ. კორკელია), თბილისი, 2006.
3. გაბრიჩიძე გ.; *ადამიანის უფლებათა დაცვა და ევროპის გაერთიანების სამართალი*, კრებულში ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი კ.კორკელია), თბილისი, 2002.
4. გვიანაშვილი ი.; *ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ინტერპრეტაცია*, კრებულში ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი კ.კორკელია), თბილისი 2002.
5. გიორგაძე გ., თორდია ვ., ხმალაძე ვ.; *საქართველოს კონსტიტუციური სამართალი*, თბილისი, 2001.
6. გომიენი დ.; *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეგზური*. თბილისი, 2000.
7. გოცირიძე ე.; *განმარტებითი ბარათი საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსზე* (რუსულ ენაზე). ჟ. „მართლსაჯულების მაცნე“, თბილისი, 1998.
8. გოცირიძე ე.; *ფასეულობათა აღიარებიდან მათ რეალურ დამკვიდრებამდე*, ჟ. „სამართალი“, თბილისი, 1999, №4.
9. გოცირიძე ე.; *ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ინკორპორაციისათვის (წინათქმა)*; კრებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 2001.
10. გოცირიძე ე.; *ადამიანის უფლებათა დაცვა: ინტერესთა წონასწორობა და ღონისძიებათა თანაზომიერება*, ჟ. „სამართალი“, 2001, №12.
11. გოცირიძე ე.; *ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კლასიფიკაციისათვის*, კრებულში ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი კ.კორკელია), თბილისი 2002.

12. გოცირიძე ე.; ადამიანის უფლებათა ევროპული სამოსამართლო სამართლის ტენდენციების თაობაზე (წინათქმა), კრებული „ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი“, თბილისი, 2002.
13. გოცირიძე ე.; საჯარო და კერძო ინტერესების დინამიკური წონასწორობა ევროპის ადამიანის უფლებათა პრეცედენტულ სამართალში (წინასიტყვაობა), კრებული „ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი“, თბილისი, 2002.
14. გოცირიძე ე.; აზრის გამოხატვის თავისუფლება – თანამედროვე ევროპული ხედვა (ძირითადი დებულებები), ჟ. „სამართალი“, თბილისი, 2003, №3.
15. გოცირიძე ე.; აზრის გამოხატვის თავისუფლება აშშ-ისა და კანადის საკონსტიტუციო სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, №4. 2004.
16. გოცირიძე ე.; აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება (ღირებულებითი კონფლიქტის დილემები), ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2005.
17. გოცირიძე ე.; კუმპენე და მაზერე რუმინეთის წინააღმდეგ, თბილისი, 2006.
18. გოცირიძე ე.; აზრის გამოხატვა, რომელსაც არ იცავს კონვენციის მე-10 მუხლი, კრებულში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (რედაქტორი კ. კორკელია), თბილისი, 2006.
19. გოცირიძე ე.; „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (დასაბუთების ლოგიკა), ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, თბილისი, 2006, №3
20. გოცირიძე ე.; „სამშავი იურისდიქცია“ და ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა ევროპაში, სტატიათა კრებული, მიძღვნილი აკადემიკოს ლევან ალესიძის 80 წლის იუბილისადმი, (მიღებულია დასაბეჭდად).
21. გოცირიძე ე.; აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მორალის დასაცავად, ჟ. „სამართალი“, №1-2, 2006.

22. გოცირიძე ე.; აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვა ღირებულებითი კონფლიქტის დროს (წინათქმა), კრებული აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის სამართალში. თბილისი, 2006.
23. გოცირიძე ე.; მიზეზობრიობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2006.
24. დემეტრაშვილი ა.; მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი 1992.
25. ვილდჰაბერი ლ.; ადამიანის უფლებათა დაცვა: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები. ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2003, №1.
26. ზოიძე ბ.; ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005.
27. ზოიძე ბ.; მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ, ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2006.
28. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი (პასუხისმგებელი რედაქტორი – ლ.ალექსიძე), გამომცემლობა „ჯისიაი“. 2003
29. იზორია ლ.; ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, კრებულში ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი კ.კორკელია), თბილისი, 2002.
30. კორკელია კ.; სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2002, №2-3.
31. კორკელია კ.; აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6, №1, 2003.
32. კორკელია კ.; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004.

33. კორკელია კ., ქურდაძე ი.; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. თბილისი, 2004.
34. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა.; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005.
35. კუბლაშვილი კ.; აზრის თავისუფლება – ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება. კრებულში ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი კ.კორკელია), თბილისი 2002
36. კუბლაშვილი კ.; ძირითადი უფლებები, გამომცემლობა „ჯისიაი“.
37. ლანგი იაშა; მედია და არჩევნები, ევროპის საბჭო, გამომცემლობა „რეგთაიმი“, თბილისი, 2004
38. ლეონარდი დ.; ევროკავშირი, თბილისი, 2002.
39. ლიჩი როდნი; ევროპა (ევროკავშირის მოკლე ენციკლოპედია), თბილისი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2002.
40. მელქაძე ო.; საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბილისი, 1996.
41. მონტესკიე შ.ლ.; კანონთა გონი, თბილისი, 1994.
42. ორახელაშვილი ა.; ადამიანის უფლებათა სამართლის მიმართება სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობის სამართალთან, კრებულში ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი კ.კორკელია), თბილისი, 2002.
43. ორახელაშვილი ა.; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია, კრებულში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (რედაქტორი კ. კორკელია), თბილისი, 2006.
44. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი (ავტორები ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა), თბილისი.

45. უგრეხელიძე მ.; მიზეზობრივი კავშირის გაგებისათვის. ჟ. „მაცნე“ (ფილოსოფიისა და სამართლის სერია), 1977, №1.
46. ცნობილაძე პ.; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, 1996.
47. ცნობილაძე პ.; სიტყვის თავისუფლება – დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ელემენტი, კრებულში ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი კ.კორკელია), თბილისი 2002.
48. წერეთელი თ.; დანაშაულებრივი ქმედება და მისი შედეგი, „მეცნიერება“, თბილისი, 1966.
49. ზაინდრავა ნ.; სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის საზედამხედველო სისტემების შედარებითი ანალიზი, კრებულში ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი კ.კორკელია), თბილისი 2002.
50. ჯანაშია თ., გამოხატვის უფლება და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მიხედვით. ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004, § 4.
51. ჯანდა ჯენეთ, ბერი ჯეფრი მ., გოლდმენი ჯერი; ამერიკული დემოკრატია, აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 1995.
52. ჯინჯოლავა ზ.; საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თბილისი 1993.
53. აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა (*We The People. A secondary level Student Text*), თბილისი, 1997. (სამეცნიერო რედაქტორი – მ.უგრეხელიძე)

1. *A Free Trade of Ideas, the separate opinions of Judge Vanni Bonello*, edited by Sir Nicolas Bratza and Michael O'Boyle, Strasbourg 2006w
2. **Abel Richard L.**; *A socialist Approach to Risk*, 41, md., L, Review, 1982.
3. **Amos M.S. and Walton F.P.**; *Introduction to French Law*, 1967
4. **Aquarius (Watermeyer Cj)**; *Causation and Legal Responsibility*, 1941, 58, SALJ, 232, 1945, 62, SALJ, 126.
5. **Alkema Evert Albert**; *The European Convention as a constitution and its Court as a constitutional court*. კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
6. **Badinter Robert**; *La Convention européenne des Droits de l'Homme et le Conseil Constitutionnel*. კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
7. **Bassiouny M.Charif**; *A Draft International Criminal code and Draft Statute for an International Criminal Tribunal*. Martinus NijHoff Publishers, 1987.
8. **Barendt E.** *Freedom of Speech*, 2nd ed. Oxford. Oxford University Press, 2005.
9. **Бердичевский Ф.Ю.**; *Вероятностная причинная связь в уголовном праве*, «Вопросы борьбы с преступностью», вып.10, М., 1969, с.47-52.
10. **Berger Vincent**; *Publicité professionnelle et liberté d'expression*. კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
11. **Berger Vincent**; *Jurisprudence de la Cour Européenne des Droits de l'Homme*, 8-e edition, Dalloz, 2002

12. **Berger Raoul;** *Impeachment – The Constitutional Problems*, Harvard University Press, 1971.
13. **Berger A.;** *Encyclopedic Dictionary of Roman Law*, 1953;
14. **Беренсон Марк;** «Конституционные и законодательные Определения для защиты Свободы Прессы в Рамках законодательства США». წიგნბო: *Судьи и журналисты в странах восточной европы в период перехода к демократии*. Редактор: **Герман Шварц** и **Чарлз Браун**, Киев 1998.
15. **Bernhardt Rudolf;** *The Convention and Domestic Law*, კრებულბო *The European System for the Protection of Human Rights*, edited by **R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold**, (Ed.). 1993.
16. **Bernstein Richard J.;** *Beyond Objectivism and Relativism, Science, Hermeneutics and Praxis*, 1983.
17. **Black’s Law Dictionary;** *Centennial Edition (1891-1991)*. St.Paul, MiNN West Publishing Co. 1991.
18. **Blanpail R.;** “Judicial Review”, *American Constitutional Law in International Encyclopedia of Law*. part II. ch.5. Kluwer, 1993.
19. **Braithwaite R.B.;** *The Nature of scientific Explanation*, Cambridge, 1953.
20. **Brems E.;** *The Margin of Appreciation Doctrine in Case-Law of the European Court of Human Rights*, *Zaörl.* vol.59. 1996.
21. **Bromme Jeffrey S.;** *Group Defamation: Fire Guiding Factors*, *Texas L.Rev.* 64 (1985) 591-595.
22. **Brown Raymond E.;** *The Law of Defamation in Canada*, 2d ed (Loose-Leaf), vol 1. Carswell.
23. **Buergental Thomas;** *The European and Inter-American Human Rights Courts: Beneficial interaction*. კრებულბო *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal;* **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.

24. **Bultrini A.**; *La questione dell'adesione della Comunità Europea alla CEDH di fronte alla Corte di Giustizia, Rivista di diritto internazionale privato e processuale*, 1997.
25. **Буткевич В.Г.**; *Міжнародне-правова відповідальність*. В кн.: *Міжнародне право. Основи Теорії*. Київ. "Либидь". 2002. 459-492.
26. **Cançado Trindade, Antônio Augusto**; *The Inter-American Court of Human Rights at a crossroads: Current challenges and its emerging case Law on the eve of the new century*. კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
27. **Callewaert Johan**; *Quel avenir pour la marge d'appréciation?* კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
28. **Chavanne, Albert**; *"Presse-Diffamation" dans Juris-Classeur pénal (Lois Pénales Annexes)*, 1996.
29. **Chambliss W.J. & Seidman R.B.**; *Sociology of the Law*, 1970;
30. **Clapham Andrew**; *Symbiosis in International Human Rights Law: The Öcalan Case and the Evolving Law on the Death Sentence*, *Journal of International Criminal Justice* 1 (2003), 475-489.
31. **Cohen C. Jonathan**; *Discrimination raciale et liberté d'expression – à propos de l'arrêt Jersild de la Cour Européenne des droits de l'homme*, *RUDH*, vol.7. 1995
32. **Cohen F.S.**; *Field Theory and judicial Logic*. 1950, 59, *Yale LJ*, 238, 251-6.
33. **Coliver Sandra** (ed); *Striking a Balance: Hate Speech, Freedom of Expression and Non-discrimination*, 1992.
34. **Conde Victor**; *A handbook of International Human Rights, Terminology* University of Nebraska PRESS, 1999.

35. *Constitutional Law, Cases, - Comments, - Questions*: **Lockhart, Kamisar, Choper, Shiffrin**; American Casebook series, 1991.
36. **Costa Jean-Poul**; *The European court of Human Rights and its Recent Case Law*. Texas International Law journal. Volume 38, 2003, N 3, p.455-467.
37. *Dahl's Law Dictionary*; Second Edition. French to English/English to French by Henry Saint Dahl. Dalloz, Paris, 2001.
38. **Darbishire Helen**; *Media and electoral process*. წიგნში *Media and Democracy*, Council of Europe, publishing 1999.
39. **Davidson D.**; *Action, Reasons and Causes*, Journal of Philosophy, 60, 1963, 685.
40. **David R. and de Vries H.P.**; *French Legal System*, 1958.
41. **Dembour Marie-Benedicte**; *Who Believes in Human Rights? Reflections on the European Convention*. Cambridge University Press, 2006.
42. **De Salvia Michele**; *Contrôle européen et principe de subsidiarité: faut-il encore (et toujours) émarger à la marge d'appréciation?* კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
43. **Deutsch E.**; *Begrenzung der Haftung aus abstracter Gefährdung weden fehlender adäquater Kausalität*. Juristenzeitung, 1966, s.556.
44. **Dias R.W.M.**; *Bibliography of Jurisprudence*, 1970
45. **P. van Dijk, G.J.H. van Hoof**; *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, Kluwer Law international the Hague-London-Boston, 1998.
46. **Дженис Марк, Кей Ричард, Брэдли Энтони**; *Европейское право в области Прав Человека*. Практика и комментарии, 439. «Права человека», Москва, Будапешт, 1997.

47. **Dupuy P.-M.**; *Les Grand Textes de Droit Internationale Public*. 4^e edition. Dalloz, 2004.
48. **Dworkin Ronald**; *Taking Rights seriously*, 1977.
49. **Eaton T.**; *Causation in Constitutional Torts*, 1981-2, 67, Iova Law journal, 443.
50. **Edgerton H.W.**; *Legal Cause*, 1924, 72, U.Pa. Law Review, 211, 352.
51. **Eissen Marc-Andre**; *The Principle of Proportionality in the Case-Law of the European Court of Human Rights*. კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by **R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold**, (Ed.). 1993.
52. **Elder**; “*Kentucky Criminal Libel Law and Public officials – an Historical Anachronism?*” (1981; 8N, Ky.L.Rev.37.gv.923).
53. *Encyclopedia of Philosophy* (Paul Edwards edition), 1967.
54. **Esmein A.**; *Elements de droit constitutionel*, 1903.
55. **Gotsiridze Eva**; *Zur Beweislast bei Verleumdung im georgischen Zivilprozess*, Osteuropa Recht, August 2006. A49647, BWV-Berliner Wissen-schafts-Verlag, გვ.219-230.
56. **Feingold C.**; *The doctrine of margin of appreciation and the European Convention of Human Rights* (1997); Notre Dame Lawyer 90
57. **Finlay Thomas A.**; *Judicial self-restraint*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal, P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber* (Eds). 2000.
58. **Fix-Zamudio Héctor**; *The European and the Inter-American Courts of Human Rights: A brief comparison*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal, P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber* (Eds). 2000.
59. **Франковский С., Гольдман Р., Лентовска Э.**; *Верховный Суд США о Гражданских Правах и Свободах*. Изд. «БЕГА» (Польша). 1997.

60. **Foster L.**; *The Risk Theory and Proximate Cause*, 1953, Nebraska Law Review, 72.
61. **Friedrich C.J.**; *Philosophy of law in Historical Perspective*, 1958
62. **Frowein Jochen Abr.**; *Art 13 as a growing pillar of Convention Law*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
63. **Gerhardt T. Michael**; *The Federal Impeachment Process – a Constitutional and Historical Analysis*, Princeton, 1995
64. **Golsong Heribert**; *Interpreting the European Convention on Human Rights Beyond the Confines of the Vienna Convention on the Law of Treaties?* კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by **R.Macdonald, F.Matscher & H.Petzold**, (Ed.). 1993.
65. **Gorovits S.**; *Causal judgments and Causal Explanation*. Journal of Philosophy, 62, 1965.
66. **Governmental Liability**; *A Comparative Study* edited by **John Bell** and **Anthony W. Bradley**. United Kingdom Comparative Law Series. Volum 13. 1991.
67. **Green Leon**; *Rationale of Proximate Cause*, Kansas City, 1927.
68. **Greer Steven**; *Public Interests and Human Rights in the European Convention on Human Rights*, Strasbourg, 1995.
69. **Hall J.**; *General Principles of Criminal Law*, Indianapolis. 1947.
70. **Harris D.J., O’Boyle M., Warbrick C.**; *Law of the European Convention on Human Rights*. Butterworths. London, Dublin. Edinburgh, 1995.
71. **Hart H.L.A.** and **Tony Honoré**; *Causation in the Law. Second Edition*, Clarendon Press, Oxford, 1985 (Reprinted 2002).

72. **Hedigan John;** *The European Convention on Human Rights and Counter-Terrorism. FORDHAM International Law Journal*, Volum 28, January 2005, N2, p,392-431.
73. **Holdsworth, sir W.,** *History of English Law*, 1966
74. **Horwitz Morton J.;** *The doctrine of Objective Causation in Politics of Law: A Progressive Critique*. 360, 363 (David Kairys ed., 1990).
75. **Hughes Charls E.;** *The Supreme court*, New York, 1928.
76. **Hurard François;** *Regulation of the Broadcasting sector: the regulatory authorities*, წიგნში *Media and Democracy*, Council of Europe, publishing 1999.
77. **Jaffe Lauis;** *Standing to Secure Judicial Review Harvard*, 1961.
78. **Jakobs F. & White R.;** *The European Convention on Human Rights*, 1996.
79. **Jakubowicz Karol;** *Media and democracy*, წიგნში *Media and Democracy*, Council of Europe, publishing 1999.
80. **Jolowicz H.F.;** *Historical Introduction of to the Study of Roman Law;* 1972
81. **Jones T.D.;** *The Devaluation of Human Rigths under the European Convention in Public Law*. 1995.
82. **Jones T. D.;** *Human Rights: Group Defamation, Freedom of Expression and the Law of Nations;* chapt. III. 1998.
83. **Jones J.W.;** *Historical Introduction to the Theory of Law*, 1940.
84. **Juan Antonio Carrillo Salcedo;** *The Place of the European Convention in International Law*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by **R.Macdonald; F.Matscher & H.Petzold**, (Ed.). 1993.
85. **Keeley P.J.;** *Causation and Justice: A comment*. 1978. Washington ULQ. 635-636.

86. **Kelsen H.**; *Vergeltung und Kausalität*, Hague, 1941.
87. **Kempees Peter**; “*Legitimate aims*” in the *Case-Law of the European Court of Human Rights*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
88. **Kommers, Donald P.**; *The Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany*, Durham and London: Duke University Press, 1997, გვ.620.
89. **Кондаков Н.И.**; *Логический словарь-справочник*. «Наука». 1975.
90. **Kreamer H.J.**; *Die Kausalität im öffentlichen Recht*, NJW. 1965, 182.
91. **Kretzmer David**; *Freedom of Speech and Racism*, 8. *Cardozo Law Review* (1987).
92. **Курис П.М.**; *Международные правоотношения и ответственность государств*, Вильнюс, 1973.
93. **Лацис Отто**; «*Два русских чуда: независимый суд и свободная пресса*», წიგნში: *Судьи и журналисты в странах восточной европы в период перехода к демократии*. Ред.: **Герман Шварц и Чарлз Браун**, Киев 1998.
94. **Lambert Pierre**; *Racisme et liberte d’expression dans la Convention européenne des droits de l’homme*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
95. **Lawson R.A. & Schermers H.G.**; *Leading Cases of the European Court of Human Rights* (sec.ed.) 1999.
96. **Leach Philip**; *Taking Case to the European Court of Human Rights*, With a foreword by Sir **Nicolas Bratza**. Blackstone Press Limited. 2001.
97. **Lester Anthony**; *Freedom of Expression*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by **R.Macdonald; F.Matscher & H.Petzold**, (Ed.). 1993.

98. **Lord Mackay of Clashfern;** *The margin of appreciation and the need for balance*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
99. **Loucaides Loukis G.;** *Questions of Fair Trial Under the European Convention of Human Rights. Human Rights Law Review. Volum 3, N 1, Spring 2003, p.27-52.*
100. **Loucaides Loukis G.;** *Freedom of Expression and the Right to Reputation* Mélanges offerts À **Silvio Marcus Helmons**, Bruxelles, 2003.
101. **Loeb L.E.;** *Causal Theories and Causal Overdetermination. Journal of Philosophie, 71, 1974, 525.*
102. **Macdonald R.St.J.;** *The Margin of Appreciation*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights, edited by R.Macdonald; F.Matscher & H.Petzold*, (Ed.). 1993.
103. **Macovey M.;** *Freedom of Expression: A Guide to the Implementation on Article 10 of the European Convention on Human Rights*, 2001.
104. **Маковей М., Черфанова Е.;** *Европейская конвенция о защите прав человека: право на свободу выражения своего мнения*, Москва, 2001.
105. **Малинин В.Б.;** *Причинная связь в уголовном праве*, СПб: «Юридический центр Пресс», 2002.
106. **Matscher Franz;** *Idéalisme et réalisme dans la jurisprudence de la Cour Européene des Droits de l'Homme*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
107. **Matscher Franz;** *Methods of Interpretation of the Convention*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights, edited by R.Macdonald; F.Matscher & H.Petzold* (Ed.). 1993.
108. *Международное право* (ответ. ред. **Г.В.Игнатенко и О.И. Тиунов**) Москва, 1999 (глава VII).

109. **Micha Eleni**; *Defamation: Dignity Lost?* Netherlands Quarterly of Human Rights. vol.16. gv.275, 284.
110. **Микеле де Сальвиа**; *Прецеденты Европейского Суда по Правам Человека*. Санкт-Петербург. Юридический центр Пресс. 2004.
111. *Model Penal Code (USA) official Draft and Explanatory Notes*. Philadelphia, PA. American Law Institute. 1985.
112. **Nagel**; *How useful is Judicial Review in free speech cases*. 69. Connel. Dev. 1984.
113. **O'Boyle Michael**; *Freedom from self-incrimination and the right to silence: a Pandora box?* კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
114. **Oetheimer Mario**; *L'Harmonisation de la Liberté D'expression en Europe*, Paris, 2001.
115. **Oliver-Martin F.**; *Historie du droit Francais*, 1961.
116. **Orakhelashvili Alexander**; *Peremptory Norms in International Law*, Oxford Monographs in International Law, Oxford University Press, 2006.
117. **Orakhelashvili Alexander**; *The International Court and Its Freedom to Select the Ground Upon Which It Will Base Its Judgment*; International and Comparative Law Quarterly, vol.56, January 2007; გვ.171-184.
118. **Peczenik A.**; *Causes and Damages*, Lund, 1979.
119. **Pekkanen Raimo**; *Criticism of the judiciary by the Media*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
120. **Peters Bettina**; *Rights and Responsibilities of media professionals – Law and ethics*, წიგნში *Media and Democracy*, Council of Europe, publishing 1999.

121. **Petzold Herbert;** *The Convention and the Principle of Subsidiarity*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by **R.Macdonald; F.Matscher & H.Petzold**, (Ed.). 1993.
122. **Peukert Wolfgang;** *The importance of the European Convention on Human Rights for the European Union*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal; P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber (Eds). 2000.*
123. **Phillips J.J.;** *Reflections on Factual Causation*, 1978, Wachington University Law Quarterly, 661.
124. **Prebensen Søren C.;** *Evolutionary interpretation of the European convention on Human Rights*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal; P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber (Eds). 2000.*
125. **Радченко М.В.;** *Проблемы гражданской и уголовно-правовой ответственности за оказание медицинских услуг, не отвечающих требованиям безопасности*. “Российский юридический журнал”, 2001, №2, стр.93-99.
126. **Redish M.;** *The Value of the Free Speech*, 1982.
127. **Ress Georg;** *Media Law in the Context of the European Union and the European Convention on Human Rights*. კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal; P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber (Eds). 2000.*
128. **Ress Georg/Bröhmer, Jürgen;** *Europäische Gemeinschaft und Medienveifalt – Die Kompetenzen der Europäischen Gemeinschaft zur sicherung des Pluralismus in Medienbereich* (European Community and Media Pluralism – the Powers of the European Community to Protect Pluralism in Media), Frankfurt, 1998.
129. **Robertson Geoffrey & Andrew Nicol;** *Robertson E Nicol on Media Law*, 4th ed., Sweet & Maxwell, London, 2002.
130. **Robinson J.;** *International Law and Organisation*, 1967

131. **Rozakis Ch.**; *La position des organes de la CEDH à l'égard des aspects de l'ordre Juridique communicataire*; la protection des droits de l'homme dans le cadre européen, L'adhésion des Communautés européennes à la CEDH. 1991.
132. **Sauer Wilhalm**; *Gerechtigkeit*. Berlin. 1959.
133. **Schulz F.**; *History of Roman Legal Science*, 1946; *Continental Legal History Series*, vol.1. General Survey of Continental Legal History, 1912
134. **Sherlok A.**; *Freedom of Expression: how far should it go?* ECR. vol.20. 1995.
135. **Сергеевский Н.Д.**; *О значении причинной связи в уголовном праве*. Ярославль: ТИПО-ЛИТ. Г.Фальк, 1980.
136. **Sólyom László**; *The interaction between the Case-Law of the European Court of Human Rights and the protection of Freedom of speech in Hungary*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
137. **Starmer Keir, Strange Micelle and Whitaker Quincy** with **Jennings Anthony** and (QC) and **Owen Tim** (QC); *Criminal justice, Police Powers and Human Rights*. Blackstone Press. 2001.
138. **Strachan D.M.A.**; *The Scope and Application of the "But For" Causal Test*, 33, *Minnesota Law Journal*, 386, 1970.
139. **Sudre Frédéric**; *Les "obligation positives" dans la jurisprudence européenne des Droits de l'Homme*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** (Eds). 2000.
140. **Тарновский Е.**; *Четыре свободы*. С.Петербург, 1906.
141. **Teitgen P.-H.**; *Introduction to the European Convention on Human Rights*, კრებულში *The European System for the Protection of Human Rights*, edited by **R.Macdonald; F.Matscher & H.Petzold**, (Ed.). 1993.

142. **Thaman Stephen C.**; *Gerechtigkeit und Verfahrensvielfalt. Interdisziplinäre Studien zu Recht und Staat: (B 26) Recht-Gesellschaft-Kommunikation.* Festschrift für Klaus **F.Röhl**. Nomos Verlagsgesellschaft. Baden-Baden. 2003.
143. **Thaman Stephen C.**; *Comparative Criminal Procedure. A Casebook Approach.* Carolina Academic Press. Durham, North Carolina, 2002.
144. *The Oxford Companion to Law* by **David Walker**; Clarendon Press. Oxford. 1980.
145. **Thode E.W.**; *The Undefensible Use of the Hypothetical Case to Determine Cause in Fact.* 1968, 46, Texas Law Review, 1344.
146. **Thorgeirsdóttir Herdis**; *Journalism Worthy of the name: At Affirmative Reading of Art. 10 of the ECHR*, *Ўозбџо Netherlands Quarterly of Human Rights*, volume 22, N 4. 2004.
147. **Thomassen Wilhelmina**; *Six Yeras as a Judge in the European Court of Human Rights. 1998/2004: Highlights and Frustrations.* Netherlands Quarterery of Human Rights. Volum 22 #4, December 2004.
148. **Trechsel Stefan**; *Spotlights on Article 2 ECHR, The Rights to Life. Development and Developing International and European Law.* Essays in Honour of **Konrad Ginther** on the Ocassion of his 65-th Birthday (Offprint), Peter Lang, 1999.
149. **Tridimas Takis**; *The General Principles of EU Law*, Second Edition, Oxford University Press, 2006 General Editor: **Francis G.Jacobs**.
150. **Угрехелидзе М.Г.**; *Теория «вероятной причинной связи» требует проверки*, ж. «Советское государство и право», 1974, №5, стр.90-93.
151. **Voorhoof Dirk**; *Guaranteeing the freedom and independence of Media*, *Ўозбџо Media and Democracy*, Council of Europe, publishing 1999.
152. **Церетели Т.В.**; *Причинная связь в уголовном праве*, Москва, 1963.

153. **Шварц Герман**; *Как свободная пресса может помочь независимой судебной системе*, წიგნში: *Судьи и журналисты в странах восточной европы в период перехода к демократии*. Ред.: **Герман Шварц и Чарлз Браун**, Киев 1998.
154. **Warnock G.J.**; *Every Event has a Cause, Logic and Language*, Series II, pp.95, 103-4.
155. *Websters Ninth New Collegiate Dictionary*, 1988
156. **Weitzel L.**; *Droits de l'Homme et Droits Communautaire*, კრებულში *Présence du Droit Public et des Droits de l'Homme, Mélanges offerts à Jacques Velu*; Tome troisième, 1992, gv.1391-1399.
157. **White Aidan**; *The information society*, წიგნში *Media and Democracy*, Council of Europe, publishing 1999.
158. **Williams Glanville**; 1) *Causation in the Law*. 1961. *Cambridge Law journal*, 62, 2) *The Risk Principle*. 1961, 77, *Law Quarterly Review*. 179.
159. **Wildhaber Luzius**; *Precedent in the European Court of Human Rights*, კრებულში *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*; **P.Mahoney, F.Matscher, H.Petzold & L.Wildhaber** Carl Heymanns Verlag, p.1529-45. (Eds). 2000.
160. **Wildhaber Luzius**; *The Rights to Offend, Shock or Disturb? – aspects of Freedom of Expression under the European Convention on Human Rights*, 2001.
161. **Wildhaber Luzius**; *Freedom of Expression under Article 10 of the European Convention on Human Rights*, address, Istanbul, 9 April 2002.
162. **Wildhaber Luzius**; *The Coordination of the Protection of Fundamental Rights*, address, Gene., 8 September, 2005.
163. **Lord Wright**; *Notes on Causation and Responsibility in English Law*, 1955, *Cambridge Law Journal* 163.
164. **Wolcher Louis E.**; *The Many meanings of “Wherefore” in Legal History*. *Washington Law Review*, July 1993, Volume 68, Number 3, pp.559-650.

165. **Yourou H.C.**; *The margin of appreciation doctrine in the dynamics of European Human Rights Jurisprudence (1988) 3 Connecticut Journal of International Law.*
166. **Zupančič Boštjan M.**; *Fair Trial in Times of Terrorism, “Law and Order” versus “the Rule of Law “*, Copyright © 2003.
167. **Zupančič Boštjan M.**; *On the Interpretation of Legal Precedents and of The judgments of the European Court of Human Rights.* February 2004. Copyrights © 2004.
168. **Zupančič Boštjan M.**; *On Tolerance*, Copyright©2004
169. **Zweigert K.**, *Encyclopedia of Comparative Law*, 1969

ნორმატიული მასალა

A) ადამიანის უფლებათა სფეროში უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია – 1948 წლის 10 დეკემბერი (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 217 A(III)).
2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ – 1966 წლის 16 დეკემბერი (ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს) მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 2207 (XXI)
3. საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ – 1965 წლის 21 დეკემბერი (ძალაში შევიდა 1969 წლის 4 იანვარს). მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 2106 (XX)
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია - 1950 წლის 4 ნოემბერი (ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს) და მისი 1-ლი (1952), მე-4 (1963), მე-6 (1983), მე-7 (1984), მე-12 (2000), მე-13 (2002) ოქმები.
5. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია – 1969 წლის 22 ნოემბერი (ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს)

6. ადამიანის და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია – 1981 წლის 27 ივნისი (ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს)
7. ევროპის კავშირის ქარტია ძირითადი უფლებების შესახებ – 2000\С 364\01
8. დეკლარაცია იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებს – 1992 წლის 18 დეკემბერი (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 47\137).
9. დეკლარაცია ინდივიდის, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანოების უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დაიცვან და ხელი შეუწყონ საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს – 1998 წლის 9 დეკემბერი (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 53\144)
10. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1165 (1998)⁽¹⁾ **Right to privacy.**
11. დეკლარაცია რასისტული, ანტისემიტური და ქსენოფობიური ელემენტების გამოყენების შესახებ პოლიტიკაში 2005 წლის 17 მარტი. (მიღებულია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) მიერ.)
12. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1215 (1993) **ჟურნალისტური ეთიკის შესახებ** – 1993 წლის 1 ივლისი.

B. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული დოკუმენტები მედიის სფეროში

1. ევროპული კონვენცია საზღვრებგარეშე ტელევიზიის შესახებ – 1989 წლის 5 მაისი (ძალაში შევიდა 1993 წლის 1 მაისს (ERS №132), შესწორებულია თავისივე ოქმით (ETS №171).
2. რეზოლუცია (74) 26 პრესასთან ურთიერთობაში პირის მდგომარეობის შესახებ შეპასუხების უფლებასთან მიმართებაში – 1974 წლის 2 ივლისი.
3. დეკლარაცია გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ – 1982 წლის 29 აპრილი.
4. რეკომენდაცია R (89) ძალადობრივი, სასტიკი ან პორნოგრაფიული შინაარსის მქონე ვიდეოგრამების გავრცელების პრინციპების შესახებ – 1989 წლის 27 აპრილი.

5. რეკომენდაცია R (94) 13 მედიის გამჭვირვალობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ – 1994 წლის 22 ნოემბერი.
6. რეზოლუცია №2 „ჟურნალისტური თავისუფლება და ადამიანის უფლებები“, პრაკა, 1994 წლის 7-8 დეკემბერი.
7. რეკომენდაცია R (96) 4 კონფლიქტურ და დაძაბულ სიტუაციებში ჟურნალისტების დაცვის შესახებ – 1996 წლის 3 მაისი.
8. რეკომენდაცია R (96) 10 საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამსახურების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შესახებ – 1996 წლის 11 სექტემბერი.
9. რეკომენდაცია R (97) 19 ელექტრონულ მედიაში ძალადობის ჩვენების შესახებ – 1997 წლის 30 ოქტომბერი.
10. რეკომენდაცია R (97) 20 სიძულვილის გამონატვის შესახებ – 1997 წლის 30 ოქტომბერი.
11. რეკომენდაცია R (97) 24 მედიისა და შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცების შესახებ – 1997 წლის 30 ოქტომბერი.
12. რეკომენდაცია R (99) მედიის პლურალიზმის განმტკიცების შესახებ – 1999 წლის 19 იანვარი.
13. რეკომენდაცია R (99) მედიაში საარჩევნო კამპანიის გაშუქების შესახებ – 1999 წლის 9 სექტემბერი.
14. რეკომენდაცია R (2002) 7 ჟურნალისტის უფლების შესახებ, არ გაამჟღავნონ ინფორმაციის წყარო – 2000 წლის 8 მარტი.
15. რეკომენდაცია R (2002) ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის შესახებ – 2002 წლის 21 თებერვალი.
16. დეკლარაცია მედიაში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ, – 2004 წლის 12 თებერვალი.

სხვა მასალები

1. *Analysis of the Courts Case-Law in 2001*. Document Prepared by the Jurisconsult under the Authority of the President of the Court.
2. *Charter of Fundamental Rights of the European Union*. Official journal of European Communities. 18.12.2000 (c 364/01).
3. *Texas Criminal code*. §6.04. Causation: conduct and result.
4. Written Comment on the Draft Georgian Law on Freedom of Press and speech, by Mr. **Andrew Nicol** and **Dirk Woorhoof**.
5. *Recommendation No. R (84) 15 of the Committee of Ministers to Member States Relating to Public Liability* (Adopted by the Committee of Ministers on 18 September 1984 at the 375-th meeting of Ministers' Deputies).

6. *Report of Judgments and decisions*, European Court of Human Rights, indev-2002; 2002-IV, 2000-IX, 2003-III, 2003-VIII, 2004-II, 2004-VI.
7. *Yearbook of the European Convention on Human Rights*, Council of Europe, Leiden, Boston, 2004.
8. *Yearbook of the European Convention on Human Rights*, Council of Europe, Leiden, Boston, 2005.
9. *Human Rights in International Law*, Collected Texts – 2nd edition, Council of Europe Publishing, 2000.
10. *Treaty establishing a Constitution for Europe*. Official Journal of the European Union. 16.12.2004. v. 47. c 310/01.
11. *Freedom of Expression, Case-Law concerning Art.10 of the European Convention on Human Rights*, Council of Europe Publishing, 2002.
12. Report of the European Commission Against Racism and Intolerance (ECRI), Expert Seminar on Combating racism while respecting freedom of expression (Strasbourg, 16-17 November 2006), იხ. ecri/plenary meetings/2006/ecri 41/ ecri 06-47.
13. *Постановление Пленума Верховного Суда Российской Федерации от 24 февраля 2005 г. №3 «О судебной практике по делам о защите чести и достоинства граждан, а также деловой репутации граждан и юридических лиц.*
14. საქართველოს კონსტიტუცია.
15. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (2006 წლის 20 ივნისის ცვლილებებით).
16. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2006 წლის 20 ივნისის ცვლილებებით).
17. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (2006 წლის 25 მაისის ცვლილებებით).
18. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი (2006 წლის 23 ივნისის ცვლილებებით).
19. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი (2005 წლის 27 დეკემბრის ცვლილებებით).
20. საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კოდექსი (2006 წლის 23 ივნისის ცვლილებებით).
21. საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. 2004 წლის 24 ივნისი.
22. მოდელური კანონი ცილისწამების შესახებ საქართველოსათვის, შემუშავებული „მე-19 მუხლის“ მიერ (აზრის თავისუფალი გამოხატვის გლობალური კომპანია. 2004 წლის თებერვალი. მედიის თავისუფლების

- სფეროში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლის დაკვეთით).
23. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რჩეული გადაწყვეტილებები, თბილისი, 2001.
 24. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიმოხილვა, განჩინებებისა და გადაწყვეტილებების კრებული (შემდგენელი ე.გოცირიძე), 2001წ.
 25. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი. გადაწყვეტილებათა კრებული (შემდგენელი ე.გოცირიძე), 2002წ.
 26. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი, განჩინებების და გადაწყვეტილებების კრებული (შემდგენელი ე.გოცირიძე), თბილისი, 2005.
 27. აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში, განჩინებებისა და გადაწყვეტილებების კრებული (შემდგენელი ე.გოცირიძე), თბილისი, 2006.

ევს ბოცირიძის

უ რ ო მ ე ბ ი დისერტაციის თემაზე

I. მონოგრაფიები

1. მიზეზობრიობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, (რედაქტორი ლევან ალექსიძე) გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2006.
2. კუმპენე და მაზერე რუმინეთის წინააღმდეგ: ფაქტები, ანალიზი, შეფასება (ბროშურა), საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2005.
3. აზრის გამოხატვის თავისუფლება აშშ-ისა და კანადის საკონსტიტუციო სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში (შედარებითი ანალიზი). მონოგრაფიული სტატია. ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, №4. 2004.

II. სტატიები

1. განმარტებითი ბარათი საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსზე. ჟ. „მართლსაჯულების მაცნე“, თბილისი, 1998.
2. ფასეულობათა აღიარებიდან მათ რეალურ დამკვიდრებამდე, ჟ. „სამართალი“, თბილისი, 1999, №4.
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ინკორპორაციისათვის, კრებულში: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2001.
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კლასიფიკაციისათვის, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში (რედაქტორი კონსტანტინე კორკელია), თბილისი 2002.
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სამოსამართლო სამართლის ტენდენციების თაობაზე, კრებულში: „ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი“, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2002.

6. საჯარო და კერძო ინტერესების დინამიკური წონასწორობა ევროპის ადამიანის უფლებათა პრეცედენტულ სამართალში, კრებულში: „ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი“, საართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი (რედაქტორი კონსტანტინე კემულარია) თბილისი, 2002.
7. აზრის გამოხატვის თავისუფლება – თანამედროვე ევროპული ხედვა (ძირითადი დებულებები), ჟ. „სამართალი“, თბილისი, 2003, №3.
8. აზრის გამოხატვის თავისუფლება და რეპუტაციის უფლება (ღირებულებითი კონფლიქტის დილემები), ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №3.
9. აზრის გამოხატვა, რომელსაც არ იცავს კონვენციის მე-10 მუხლი, კრებულში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (რედაქტორი კონსტანტინე კორკელია), თბილისი, 2006.
10. „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (დასაბუთების ლოგიკა), ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, თბილისი, 2006, №3
11. აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მორალის დასაცავად, ჟ. „სამართალი“, №1-2, 2006.
12. „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით. ჟ. „ადამიანი და კონსტიტუცია“; 2006, №2.
13. აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვა ღირებულებათა კონფლიქტის დროს, კრებულში: აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში (რედაქტორი კონსტანტინე კუბლაშვილი), საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2006.
14. Zur Beweislast bei Verleumdung im georgischen Zivilprozess, j.Osteuropa Recht, N3-4/2005. BWV. BERLINER WISSENSCHAFTS-VERLAG.
15. Causation: Reflection in the Mirror of the European Conventioen on Human Rights, Liber amicorum LUZIUS WILDHABER (Collection of Essays). Engel Verlag (Kehd), 2006.

16. “სამშავი იურისდიქცია“ და ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა ევროპაში. კრებულში: თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები, მიძღვნილი აკადემიკოს ლევან ალექსძის 80 წლის იუბილისადმი; (რედაქტორი კონსტანტინე კორკელია), მიღებულია დასაბეჭდად.

III. კრებულები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2001.
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი (განჩინებათა მიმოხილვა), საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2002.
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი (განჩინებათა და გადაწყვეტილებათა მიმოხილვა (რედაქტორი კონსტანტინე კემულარია); საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2005.
4. აზრის გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალში (რედაქტორი კონსტანტინე კუბლაშვილი), საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2006.

IV. რეცენზიები

1. ადამიანის უფლებათა დაცვა: ინტერესთა წონასწორობა და ღონისძიებათა თანაზომიერება. რეცენზია წიგნზე: *Protecting Human Rights: The European Perspective, Studies in memory of Rolv Ryssdal*, ჟ. სამართალი, 2001, №12.

V. თარგმანები

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და მისი პირველი (დამატებითი), მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე, და მეთორმეტე ოქმები, **ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით**; თარგმანის რედაქტორები **მინდია უგრეხელიძე** და **თეა წულუკიანი**; „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, თბილისი, 2004.

2. ა) ევროპის საბჭო: *მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, ეფექტიანობა და როლი*. რეკომენდაცია №R(94)12, მიღებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტომბერს და განმარტებითი მემორანდუმი.
- ბ) *მოსამართლეთა სტატუტის ევროპული ქარტია და განმარტებითი მემორანდუმი* (სტრასბურგი, 1998 წლის 8-10 ივლისი)
- მოსამართლე და მართლმსაჯულება, ევროპული სტანდარტები: ლუციუს ვილდჰაბერის* წინასიტყვაობით, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2001.